

კავშირი „იურისტები სამართლებრივი
სახელმწიფოსთვის“



საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები

ნაწილი III

შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და
პასუხისმგებელი რედაქტორი
სამართლის დოქტორი
ვასილ ბონაშვილი

„თბილისელები“
თბილისი
2006



Mission to Georgia

Published with the financial support of the OSCE Mission to Georgia
წიგნი იბეჭდება საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური დახმარებით

წინამდებარე წიგნი არის ამ სერიის III ნაწილი. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, გერმანიის, ესპანეთის, ესტონეთის, თურქეთის, კანადის, ნორვეგიის, რუმინეთის, უკრაინის, უნგრეთის, ყაზახეთის, ზორვატიის კონსტიტუციების ოფიციალური და უახლესი ტექსტები ქართულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნები სხვადასხვა მართვა-გამგეობის, სახელმწიფო წყობილების ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმებით გამოირჩევიან და განსხვავებულ სამართლის სისტემებს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, თითოეულ ქვეყანას ერთვის კონსტიტუციის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმიზ ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

წიგნი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს სამართალშემოქმედების პროცესში ჩართულ პირებს, პარლამენტის წევრებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ნაშრომი ასევე განკუთვნილია საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებულ პირთათვის, იურისტებისა და პოლიტოლოგებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის.

შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და
პასუხისმგებელი რედაქტორი
სამართლის დოქტორი
პასილ ბონაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ბეჟაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-
მჯდომარე

ბესიკ ლოლაძე – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

პროფ. ზურაბ ძლიერიშვილი

პროფ. რევაზ გოგუელიძე

ასოცირ. პროფ. მაკა სალხინაშვილი

ასოცირ. პროფ. დავით ბოსტოლანაშვილი

კონსტანტინე ვარძალაშვილი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

ISBN 99928-0-850-0 (ყველა ნაწილი)

ISBN 99940-0-624-X (III ნაწილი)

შემდგენელთა შესახებ:

წიგნში წარმოდგენილი კონსტიტუციების თარგმანი შესრულებულია, ზოგადი ცნობარები და კონსტიტუციის მიმოხილვები მოწმადებულია შემდეგი პირების მიერ:

- ბოსნია და ჰერცეგოვინა – *ვასილ გონაშვილი*
- გერმანია – *აკაკი ველთაური*
- ესპანეთი – კონსტიტუცია და ზოგადი ცნობარი – *მიხეილ მარგველაშვილი*, კონსტიტუციის მიმოხილვა – *ვასილ გონაშვილი*
- ესტონეთი – კონსტიტუცია და ზოგადი ცნობარი *ჰაატა კეშელაეა*, კონსტიტუციის მიმოხილვა – *ვასილ გონაშვილი*
- თურქეთი – *გიორგი გვასალია*
- კანადა – *შალვა ხუციშვილი*
- ნორვეგია – კონსტიტუცია და ზოგადი ცნობარი – *თამარ მაჭარაშვილი*, კონსტიტუციის მიმოხილვა – *ვასილ გონაშვილი*
- რუმინეთი – კონსტიტუცია და ზოგადი ცნობარი – *ვახტანგ ჟვანია*, კონსტიტუციის მიმოხილვა – *ვასილ გონაშვილი*
- უკრაინა – *დავით კაშია*
- უნგრეთი – *შალვა ხუციშვილი*
- ყაზახეთი – *გიორგი გვასალია*
- ხორვატია – *ვასილ გონაშვილი*

შინაარსი

წინათქმა.....	6
ბოსნია და ჰერცეგოვინა	8
ზოგადი ცნობარი.....	9
კონსტიტუციის მიმოხილვა	14
კონსტიტუცია	26
გერმანია	45
ზოგადი ცნობარი.....	46
კონსტიტუციის მიმოხილვა.....	52
კონსტიტუცია	63
ესპანეთი	142
ზოგადი ცნობარი.....	143
კონსტიტუციის მიმოხილვა	149
კონსტიტუცია	163
ესტონეთი.....	222
ზოგადი ცნობარი.....	223
კონსტიტუციის მიმოხილვა.....	228
კონსტიტუცია	242
თურქეთი	284
ზოგადი ცნობარი.....	285
კონსტიტუციის მიმოხილვა.....	290
კონსტიტუცია	299
კანადა.....	392
ზოგადი ცნობარი.....	393
კონსტიტუციის მიმოხილვა.....	398
კონსტიტუცია	413
უნგრეთი.....	484
ზოგადი ცნობარი.....	485
კონსტიტუციის მიმოხილვა.....	490
კონსტიტუცია	504

რუმინეთი	527
ზოგადი ცნობარი	528
კონსტიტუციის მიმოხილვა	534
კონსტიტუცია	549
უკრაინა	599
ზოგადი ცნობარი	600
კონსტიტუციის მიმოხილვა	606
კონსტიტუცია	620
უნგრეთი	681
ზოგადი ცნობარი	682
კონსტიტუციის მიმოხილვა	687
კონსტიტუცია	698
ყაზახეთი	740
ზოგადი ცნობარი	741
კონსტიტუციის მიმოხილვა	746
კონსტიტუცია	758
ხორვატია	800
ზოგადი ცნობარი	801
კონსტიტუციის მიმოხილვა	806
კონსტიტუცია	818
რეზიუმე	858

ნებისმიერი ქვეყნის, ისევე როგორც საქართველოს განვითარება და გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი სისტემის სრულყოფილების ხარისხზე, კანონმდებლობის დემოკრატიულობის დონესა და მისი აღსრულების სამართლებრივ ნებაზეა დამოკიდებული. იმისთვის, რომ საქართველოში ყველაზე უფრო საუკეთესო, საქართველოზე მორგებული კონსტიტუციური ინსტიტუტები დავამკვიდროთ, აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების დეტალური შესწავლა.

წარმოდგენილი წიგნის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შეეთავაზოთ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების მოდელები, სახელმწიფო ორგანოებს შორის ბალანსის მექანიზმები, სახელმწიფო, რეგიონალურ, ავტონომიურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის არსებული კავშირები, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მათი გარანტიების კონსტიტუციური ასპექტები, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების თავისებურებები და მახასიათებლები, კონსტიტუციის გადასინჯვის მოდელები, რომელთა ანალიზისა და საქართველოს რეალობის გათვალისწინების საფუძველზე, შესაძლოა საქართველოს კანონმდებლობის უფრო სრულყოფილი მექანიზმები იქნეს შემუშავებული.

ნაშრომის ერთ-ერთ დადებით მახასიათებლად ის უნდა ჩათვალოს, რომ თარგმანისას გამოყენებულ იქნა შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებსა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული ტექსტები. ამასთან, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს მის უახლეს ცვლილებებსაც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში წარმოდგენილ კონსტიტუციებს ერთვის სტატია, სადაც კონსტიტუციის მრავალმხრივ ანალიზთან ერთად ასევე განხილულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, მოქმედი კონსტიტუციის მიღების პროცედურა და მისი განსაკუთრებული თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის თავისებურების საერთო სურათს წარმოაჩენს.

თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის უკეთ გაცნობისა და გააზრებისთვის, წიგნი შეიცავს უახლეს ინფორმაციას შესაბამის ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. მოკლედ არის მოცემული ქვეყნების შექმნის ისტორია და ძირითადი თარიღები, მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი შემადგენლობა, ზრდის ტემპი, რელიგია, ეთნიკური ჯგუფები, არსებული პოლიტიკური პარტიები, უკანასკნელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თარიღები, ტერიტორიული ორგანოების სტატუსი და სახელწოდებები, აღმასრულებელი ხელი-

სუიკიდების შემადგენლობა და არსებული სამინისტროები. ეკონომიკის მოკლე მსოფლიო, მონაცემები ერთიანი შიდა პროდუქტისა და ექსპორტ-იმპორტის შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტის რაოდენობა და სხვ.

რაც შეეხება შემდგენელთა ჯგუფს, იგი პრაქტიკოსი იურისტებისგან შედგება, რომელთაც გარკვეული სამეცნიერო გამოცდილებაც გააჩნიათ. მათი უპირატესობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის თანამშრომლებსა და პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა და კანონშემოქმედებით პროცესში აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. ორი შემდგენელი საქართველოს პარლამენტის, ხოლო ერთი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულ პირებს და მისცემს საშუალებას უკეთ გაეცნონ სხვა ქვეყნების კონსტიტუციურ აქტებსა და კონსტიტუციური სამართლის თავისებურებებს.

ეს წიგნი არის ამ სერიის III ნაწილი. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ უახლოეს მომავალში გვემავს კიდევ 2-3 ნაწილის გამოცემას, რომლებზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს.

ეასილ გონაშვილი
სამართლის დოქტორი



ბოსნია და ჰერცეგოვინა



ზოგადი ცნობარი შესავალი

ცენტრალური ბოსნიის ტერიტორიაზე შეინიშნება ჩვ.წთაღ-მდე მე-3 ათასწლეულის კულტურის ნაკვალევი. ჩვ.წთაღ-ის პირველ საუკუნეებში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ამჟამინდელი ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ რომაელებს. შუა საუკუნეებში ბოსნია ვასალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა სერბეთთან. 960 წლიდან იგი გახდა თვითმმართველი ტერიტორია, თუმცა მე-12 საუკუნეში მისი ნაწილი დაიპყრეს უნგრელებმა. 1463-1528 წ.წ. ბოსნიის ტერიტორია აღმოჩნდა თურქეთის მმართველობის ქვეშ, სადაც 1718 წლამდე იმყოფებოდა. 1878 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინა გადავიდა ავსტრია-უნგრეთის მმართველობაში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბოსნია და ჰერცეგოვინა შევიდა იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს – ხორვატიის შემადგენლობაში. საბჭოური რეჟიმის პერიოდში ბოსნია და ჰერცეგოვინა გაერთიანებული იყო იუგოსლავიის შემადგენლობაში რესპუბლიკის სახით.

ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ სუვერენიტეტი გამოაცხადა 1991 წელს, როდესაც გამოეყო იუგოსლავიას. 1995 წელს დეიტონის შეთანხმებით ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში შეიქმნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და სერბეთის რესპუბლიკა. 1996 წლიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ გააძლიერა კონტროლი ამ ტერიტორიაზე და შეიყვანა 60 ათასი მშვიდობის-მყოფელი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა; დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ხორვატია, სამხრეთით და აღმოსავლეთით – სერბია და მონტენეგრო.

ფართობი: სულ: 51,129 კმ²; ხმელეთი: 51,129 კმ²; წყალი: 0 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, რკინა, ბოქსიტი, თუთია, ქრომი, კობალტი, მარგანეცი, ნიკელი, მარილი, ქვიშა, ხე-ტყე.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 4,025,476 (2005).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 18.3% (კაცი 378,784; ქალი 358,784);
15-64 წლის: 70.7% (კაცი 1,458,405; ქალი 1,388,793);
65 წლის და ზემოთ: 11.0% (კაცი 188,741; ქალი 251,969) (2005).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.44% (2005);

შობადობა: 12.49 დაბადებული/ 1,000 მოსახლეზე (2005);

სიკვდილიანობა: 8.44 გარდაცვლილი/ 1,000 მოსახლეზე (2005);

მიგრაცია: 0.3 მიგრანტი / 1,000 მოსახლეზე (2005);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა:

მთელი მოსახლეობის მიმართ: 77.83 წელი; კაცი: 74.21; ქალი: 81.72 (2005).

მოქალაქეობა: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის

ეთნიკური ჯგუფები: ბოსნიელი: 48%, სერბი: 37.1%, ხორვატი 14.3%, სხვა 0.6% (2000);

რელიგია: მუსლიმანური 40%, ორთოდოქსალური 31%, კათოლიკური: 15%, სხვა 14%.

ენა: ბოსნიური, ხორვატიული, სერბიული.

განათლებულობა:

სრული მოსახლეობის: 94.6%; კაცი 98.4%; ქალი 91.1% (2000);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: არ აქვს;

მოკლე ფორმა: ბოსნია და ჰერცეგოვინა;

ადგილობრივი მოკლე ფორმა: ბოსნა ი ჰერცეგოვინა

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: არ აქვს
ყოველი: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა; ბოსნიისა და
ჰერცეგოვინის სოციალისტური რესპუბლიკა.

სახელმწიფოს ფორმა: ფედერაციული რესპუბლიკა

დედაქალაქი: სარაევო

ადმინისტრაციული ერთეულები:

2 ადმინისტრაციული ერთეული – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და სერბეთის რესპუბლიკა და ერთი საერთაშორისო ზედამხედველობის მქონე ოლქი – ბროკოს ოლქი.

დამოუკიდებლობა: 1992 წლის 1 მარტი (რეფერენდუმის ჩატარების დღე; იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის დღე);

ეროვნული დღესასწაული: ეროვნული დღე 25 ნოემბერი (1943);

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტის თავმჯდომარე სულეიმან ტიხიკი (2006 წლის 28 თებერვლიდან) პრეზიდენტის წევრი არის ბოსნიის მხრიდან;

მთავრობის მეთაური: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ადნან ტენჯიკი (2002 წლიდან).

არჩევნები: პრეზიდენტის წევრები (ბოსნიელი, ხორვატი, სერბი) არჩეულნი არიან ხალხის მიერ 4 წლის ვადით. ყოველ 8 თვეში ხდება თავმჯდომარის როტაცია.

მთავრობის შემადგენლობა:

პრემიერ-მინისტრი,
გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სამინისტრო,
თავდაცვის სამინისტრო,
იუსტიციის სამინისტრო,
კომუნიკაციისა და ტრანსპორტის სამინისტრო,
საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო,
საგარეო საქმეთა სამინისტრო,
უშიშროების სამინისტრო,
ფინანსთა სამინისტრო,

სამოქალაქო საქმეთა სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

პარლამენტი – საპარლამენტო ასამბლეა (სკუპშინა) შედგება ორი პალატიდან: წარმომადგენელთა პალატის (მის შემადგენლობაშია 42 წევრი, რომლებიც აირჩევიან პროპორციული სისტემით, საიდანაც 28 ადგილი ეკუთვნის ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, ხოლო 14 – სერბეთის რესპუბლიკას. წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით) და ხალხთა პალატისაგან (მის შემადგენლობაშია ერთეულებიდან თანაბრად არჩეული 15 წევრი. აირჩევიან 4 წლის ვადით);

არჩევნები: წარმომადგენელთა ეროვნული პალატის უკანასკნელად ჩატარდა 2002 წელს, ხოლო ხალხთა პალატის – 2003 წელს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები:

დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა ალიანსი, ბოსნიის პარტია, სამოქალაქო დემოკრატიული პარტია, ხორვატთა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ხორვატ მემარჯვენეთა პარტია, ხორვატიის დემოკრატიული კავშირი, ხორვატიის სახალხო კავშირი, დემოკრატიული ეროვნული კავშირი, დემოკრატიული ხალხთა ალიანსი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, ახალი ხორვატიის ინიციატივა, პარტია დემოკრატიული მოძრაობისათვის, დემოკრატიული პროგრესის პარტია, სერბთა დემოკრატიული პარტია, სერბთა რადიკალური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-დემოკრატიული კავშირი, სერბეთის რესპუბლიკის სოციალისტური პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა:

1990 წლამდე ბოსნია და ჰერცეგოვინა რჩებოდა იუგოსლავიის რესპუბლიკის შედარებით განვითარებულ რესპუბლიკად. 1992-1995 წ.წ. სამოქალაქო ომმა მის ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიაყენა. საწარმოების 80% შეჩერდა, შეწყდა ნავთობის იმპორტი.

1995 წლიდან ქვეყნის ეკონომიკის აღსადგენად მიღებულ იქნა ფართომასშტაბიანი საერთაშორისო მხარდაჭერა. ეკონომიკის აღდგენა მიმდინარეობს რეკონსტრუქციის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, რის საფუძველზეც 1996-2000 წ.წ. მიღებულ იქნა \$5,1 მილიარდი.

2000 წლისთვის ინფლაციის დონე შეადგენდა 8%-ს, უმუშევრობის დონე – 35-40%-ს.

ნელ-ნელა მიმდინარეობს მეტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი, ტექსტილური მრეწველობა, საავტომობილო და საავიაციო ნაწილების

წარმოება. 2000 წლიდან გერმანიასა და ჩეხეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობით დაიწყო ავტომანქანების გამოშვება.

ქვეყნის მეურნეობის მთავარ რგოლს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომლის ძირითადი პროდუქტებია თამბაქო, სიმინდი, ხორბალი, შაქრის ლერწამი. ასევე განვითარებულია მევენახეობა. ქვეყნის ტერიტორიაზე გადის ნავთობსადენი და გაზსადენი.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$28.26 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 5.2% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$6,800 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით:
სოფლის მეურნეობა: 14.2%; მრეწველობა: 30.8%; მომსახურება: 55% (2002).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 25% (2004);

ბიუჯეტი: სახელმწიფო შემოსავალი: \$4.373 მილიარდი; გასავალი: \$4.401 მილიარდი (2005).

ექსპორტი: \$2.7 მილიარდი (2005);

ექსპორტის პარტნიორი: იტალია 22.3%, ხორვატია 21.1%, გერმანია 20.8%, ავსტრია 7.4%, სლოვენია 7.1%, უნგრეთი 4.8% (2004);

იმპორტი: \$6.8 მილიარდი (2005);

იმპორტის პარტნიორები: ხორვატია 23.8%, სლოვენია 15.8%, გერმანია 14.8%, იტალია 11.4%, ავსტრია 6.6%, უნგრეთი 6.1% (2004);

საგარეო ვალი: \$3.1 მილიარდი (2005);

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$650 მილიონი (2001);

ვალუტა: მარკა (BAM).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციონალიზმის ისტორია დაკავშირებულია ყოფილი იუგოსლავიის კონსტიტუციურ სამართალთან, ვინაიდან 1945 წლიდან ბოსნია და ჰერცეგოვინა იუგოსლავიის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

იუგოსლავიის სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი აქტი – იუგოსლავიის ფედერაციული ეროვნული რესპუბლიკის (იფერ) შექმნის შესახებ 1945 წლის 29 ნოემბერს იქნა მიღებული. ამ გადაწყვეტილებით გაუქმდა მონარქია და შეიქმნა რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფო.

იუგოსლავიის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1946 წელს, სადაც ფორმალურად ხელისუფლების წყაროდ ხალხი განისაზღვრა, ხოლო იუგოსლავია აღიარებულ იქნა „თანასწორუფლებიან გაერთიანებად“, რომლის შემადგენლობაშიც 6 ეროვნული რესპუბლიკა, მათ შორის, ბოსნია და ჰერცეგოვინა შევიდა. სერბეთის შემადგენლობაში შეიქმნა ვოევოდინას ავტონომიური მხარე და კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური ოლქი.

1953 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი „იფერ-ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოწყობის საფუძვლებისა და ხელისუფლების საკავშირო ორგანოების შესახებ“, რის შემდეგ ქვეყანაში მოქმედებდა ორი კონსტიტუციური კანონი, რომლებიც გარკვეულ საკითხებში ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. აღნიშნულმა აქტმა გარკვეულწილად შეამცირა ფედერაციის უფლებები და გაზარდა რესპუბლიკების უფლებები სამეურნეო დარგში.

1963 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც ეფუძნებოდა ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ განვითარებას, ითვალისწინებდა ფედერაციას, რესპუბლიკებს, ავტონომიურ და ადგილობრივ ერთეულებს შორის ფუნქციების გაშიჯენას, ქვემდგომი ტერიტორიული ერთეულების დადგენას და კომუნისტური პარტიის როლის უზრუნველყოფას ქვეყნის მართვაში, ასევე სახელმწიფოს მოიხსენიებდა „სოციალისტურად“. ამ კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულ იქნა ფედერაციის შემადგენლობაში შემაჯავალი ყველა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, მათ შორის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის.

1963 წლის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 1967 წელს, რითაც შეიცვალა ქვეყნის უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა და საარჩევნო სისტემა, ასევე 1978 წელს, რომელმაც გარკვეული გარანტიები განსაზღვრა რესპუბლიკებისთვის და 1971 წელს, რითაც რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ერთეულებს გადაეცათ კულტურული, ჯანდაცვისა და განათლების საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ამ კონსტიტუციაში საერთო ჯამში 42-ჯერ იქნა ცვლილება შეტანილი.

მა ახალმა, 1974 წლის კონსტიტუციამ გაიმეორა წინა შესწორებები და, კონსონან. იუგოსლავია აღიარა საკავშირო და მშრომელთა, მოქალაქეთა და პარტიისწორუფლებიან ერთა დამოუკიდებელ სოციალისტურ, თვითმმართველ, თანამდებობის სახელმწიფოდ. ფედერაციას დარჩა ქვეყნის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უფლებამოსილება, ხოლო სხვა საკითხების გადაწყვეტა ფედერალური ერთეულების კომპეტენციამში შევიდა. აღნიშნულმა კონსტიტუციამ 1981-1988 წლებში კვლავ განიცადა ცვლილებები რესპუბლიკების სასარგებლოდ, თუმცა ამით ვერ იქნა შეჩერებული იუგოსლავიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლის პროცესი.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. იუგოსლავიის დასავლეთ და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გამწვავდა ეროვნული დაპირისპირება, რაც 1992 წლიდან სამხედრო მოქმედებებში გადაიზარდა. კონფლიქტის დარეგულირებასა და სახელმწიფოთა სტატუსის განსაზღვრაში ჩაერთნენ საერთაშორისო ორგანიზაციები – ეუთო, ევრო საბჭო, გაერო, ნატო, რომლებმაც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის რამდენიმე მოდელი წარმოადგინეს.

მოლაპარაკებების შედეგად 1995 წელს აშშ-ის ოპიოს შტატის ქ. დეიტონში მიღწეულ იქნა თანხმობა საერთო ჩარჩო შეთანხმებაზე, რომელიც მოიცავდა 11 დებულებას და იყოფოდა სამ ბლოკად: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გაყოფის რუქად, დარეგულირების სამხედრო ასპექტებად და სამოქალაქო საკითხებად. სამოქალაქო საკითხებს შორის, შეთანხმების მე-4 დებულებად გათვალისწინებული იყო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია. მას ხელი მოაწერეს კონფლიქტის ყველა მხარის წარმომადგენლებმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 14 დეკემბერს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში კონსტიტუციის მიღების ამგვარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. მის მისაღებად გამოყენებულ იქნა ისეთი საშუალებები, როგორცაა მოლაპარაკებების წარმოება, უმტიმატუმები, შეიარაღებული ძალები.

მართალია კონსტიტუციის ტექსტს ხელი კონფლიქტის მხარეებმა მოაწერეს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური პროცედურა იყო, ვინაიდან მხარეებს არ ჰქონდათ ხელმოწერამდე კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის უფლება.

ცვლილებების შეტანის წესი გათვალისწინებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის ტექსტში. შესწორებების შეტანა შესაძლებელია საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებით, მათ შორის, წარმომადგენელთა

პალატის წევრთა 2/3-ის დასწრებითა და ხმის მიცემით. თუმცა, დაუშვებელია იმ საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანა, რომელმაც შესაძლოა უარყოს ან შეასუსტოს კონსტიტუციით აღიარებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ან შეცვალოს ამ შეზღუდვის დამდგენი დებულება.

აღსანიშნავია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციაში დღემდე არცერთი შესწორება არ არის შეტანილი.

კონსტიტუციის ანალიზი. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია აგებულია რამდენიმე ძირითად პრინციპზე, ესენია: ტერიტორიული მოწყობის განსაკუთრებული მოდელი, ერთეულების უფლებამოსილების მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე; სახელმწიფო ორგანოთა ფორმირება ტერიტორიული ერთეულების ქვითის წინასწარი განსაზღვრით; ქვეყნის მართვაში საერთაშორისო ორგანიზაციების დროებითი მონაწილეობა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრა საერთაშორისო აქტების შესაბამისად; სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის პრინციპის გამოყენებით.

რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიულ დაყოფას, კონსტიტუცია ითვალისწინებს საკმაოდ ორიგინალურ მოდელს, რასაც საფუძვლად იდევს ქვეყანაში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის – ბოსნიელების, სერბებისა და ხორვატების არსებობა. მართალია ბოსნია და ჰერცეგოვინა აღიარებულია რესპუბლიკური მმართველობის მქონე სახელმწიფოდ, მაგრამ ამავდროულად იგი შედგება ორი ე.წ. „ერთეულისგან“ (ინგლისურად `Entities`, რუსულად "Образования") – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და სერბეთის რესპუბლიკისგან. თუმცა, კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ერთეულებს შორის ურთიერთობა ფედერაციულია, კონფედერაციული თუ რაიმე სხვა ფორმის. შესაძლოა ფორმალური ხასიათი აქვს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალურ ორგანოებს არ მოიხსენიებს „სახელმწიფო ორგანოებად“, მათ მხოლოდ „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებებს“ უწოდებს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინას და მის ერთეულებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის პრინციპს. ამომწურავად არის ჩამოთვლილი მათი უფლებამოსილება, რომელთაც განეკუთვნება საგარეო პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ცენტრალური ორგანოების დაფინანსება და საერთაშორისო ვალდებულებები, პოლიტიკა და რეგულირება იმიგრაციის, ლტოლვილთა და თავშესაფრის სფეროში, საერთაშორისო და ერთეულების დონეზე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, ერთეულებს

შორის ტრანსპორტის რეგულირება, საპაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი. ასევე განსაზღვრულია ერთეულების უფლებამოსილებებიც, რაც გარკვეულ საკითხებში უფრო ფართოა ვიდრე სხვა ქვეყნების ფედერალური ერთეულების, მაგრამ აუცილებელი პირობაა, რომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტს. მათ შორის აღსანიშნავია ერთეულების უფლება მეზობელ სახელმწიფოებთან დაამყარონ სპეციალური პარალელური ურთიერთობები. ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საპარლამენტო ასამბლეასთან შეთანხმებით შეუძლიათ დადოს შეთანხმებები სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ერთეულების სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი „ნარჩენი უფლებამოსილები“ საკითხი: რაც კონსტიტუციით პირდაპირ არ არის მიკუთვნებული ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის, განეკუთვნება ერთეულების უფლებამოსილებას.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ბიუჯეტის შემოსავლების 2/3-ს უზრუნველყოფს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, ხოლო 1/3-ს – სერბეთის რესპუბლიკა.

კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოქალაქეობის საკითხს. ქვეყანაში აღიარებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეობა და ერთეულის მოქალაქეობა. ნებისმიერი ერთეულის მოქალაქეები ამაღვროულად არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეები. ყოველ ერთეულს შეუძლია თავის მოქალაქეს მისცეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პასპორტი. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შეუძლია პასპორტი მისცეს იმ მოქალაქესაც, რომელსაც არ მიუღია ერთეულის პასპორტი.

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ასევე ორმაგი მოქალაქეობის საკითხიც. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს შეუძლიათ შეინარჩუნონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, იმ პირობით, თუ ბოსნიასა და ჰერცეგოვინას და შესაბამის სახელმწიფოს შორის ამ საკითხზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადებულია ორმხრივი შეთანხმება. თუმცა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებმა შეიძლება ხმა მისცენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, თუ ბოსნია და ჰერცეგოვინა არის მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

ბოსნია და ჰერცეგოვინა და ორივე ერთეული უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას. საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ფონზე კონსტიტუცია ითვალისწინებს მათ დეტალურ ჩამონათვალს. ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა პირი სარგებლობს მნიშვნელოვანი პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებითა და თავისუფლებებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი პროტოკოლებით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები პირდაპირ მოქმედებენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მათ გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა სამართლის ნორმის მიმართ.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის შექმნილია ადამიანის უფლებათა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ომბუდსმენი, რომელიც არ არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქე და ადამიანის უფლებათა პალატა, რომლის წევრთა უმრავლესობა უცხოელია. ომბუდსმენს ნიშნავს ეუთო, ხოლო პალატის წევრებს – ევროპული საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. ეს პალატა უფლებამოსილებით წააგავს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და წარმოადგენს ადამიანის უფლებების საკითხებზე ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოს.

კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების უფლებების დაცვა-აღდგენის საკითხის დარეგულირების აუცილებლობაზე. მათთვის აღიარებულია სახლში თავისუფლად დაბრუნების უფლება. ასევე უფლება აქვთ, მოითხოვონ იმ ქონების დაბრუნება, რომელიც ჩამოერთვათ 1991 წლის საომარი მოქმედებების დროს, ხოლო თუ შეუძლებელია ამგვარი ქონების დაბრუნება, მიიღონ კომპენსაცია. ამ სახის ქონებასთან დაკავშირებით იძულებით მიღებული ყველა ვალდებულება ან გაკეთებული განცხადება ბათილია. ამ პირთა უფლებების აღდგენის მიზნით შექმნილია უძრავი ქონების უფლებათა კომისია, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების განცხადებების განხილვა მათთვის უძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე. კომისიის წევრთა უმრავლესობა უცხოელია.

ბოსნია და ჰერცეგოვინა, კონსტიტუციის საფუძველზე, წინასწარ იღებს ვალდებულებას იყოს გარკვეული საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე. კონსტიტუციის დანართში ჩამოთვლილია ამგვარი ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილედაც უნდა დარჩეს ბოსნია და ჰერცეგოვინა ან უნდა შეუერთდეს მათ.

სახელმწიფო ორგანოებიდან კონსტიტუციის დონეზე გათვალისწინებულია საპარლამენტო ასამბლეის, პრეზიდუმის, მინისტრთა საბჭოს, მუდმივი კომიტეტის, საკონსტიტუციო სასამართლოს, ცენტრალური ბანკის შექმნა.

მმართველობის ფორმის მხრივ ბოსნია და ჰერცეგოვინა წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას. საპარლამენტო ასამბლეა შედგება ორი პალატის – ხალხთა პალატისა და წარმომადგენელთა პალატისგან. კონსტიტუციაში არ არის პირდაპირ დაფიქსირებული, რომ იგი საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, თუმცა უფლებამოსილებიდან გამომდინარე ნათე-

ლია, რომ საკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტა მის კომპეტენციაში შედის. საპარლამენტო ასამბლეა პასუხისმგებელია: კანონმდებლობის მიღებაზე; ცენტრალური ორგანოების საქმიანობისა და საერთაშორისო ვალდებულებების დასაფინანსებელ შემოსავლებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე; ცენტრალურ ორგანოთა დასაფინანსებლად ბიუჯეტის წარდგენაზე; მისი უფლებამოსილების შესასრულებლად აუცილებელი ნებისმიერი სხვა საკითხის გადაწყვეტაზე. გარდა ამისა, ერთეულებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ საკანონმდებლო ასამბლეას მიანდონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული გარკვეული საკითხების გადაწყვეტა.

ხალხთა პალატის ფორმირება ხდება არაპირდაპირი წესით. ამის გამო კონსტიტუცია მისი წევრების თანამდებობაზე არჩევისას იყენებს არა „არჩევის“, არამედ „შერჩევის“ ტერმინს. პალატის ფორმირებისას, ისევე როგორც სხვა ორგანოების ფორმირებისას, დაცულია ერთეულებს შორის თანასწორობის პრინციპი, ისე, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინას გააჩნია სერბებზე ორჯერ მეტი წარმომადგენლობა. პალატების უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

ხალხთა პალატა შედგება 15 დელეგატისგან, რომლის 2/3 (10 წევრი) შერჩევა ფედერაციიდან (5 ხორვატი და 5 ბოსნიელი), ხოლო 1/3 (5 სერბი) – სერბეთის რესპუბლიკიდან. ფედერაციიდან ასარჩევ ნაწილს ირჩევენ შესაბამისად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს ხორვატიისა და ბოსნიის დელეგატები, ხოლო სერბეთის რესპუბლიკიდან ასარჩევ წევრებს ირჩევენ სერბეთის საკანონმდებლო ორგანო. კვორუმს შეადგენს პალატის 9 წევრი, იმ პირობით, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ 3 ბოსნიელი, 3 ხორვატი და 3 სერბი დელეგატი.

მეორე პალატა – წარმომადგენელთა პალატა შედგება 42 წევრისგან, რომლის 2/3 (28 წევრი) აირჩევა ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო 1/3 (14 წევრი) – სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ამ პალატის წევრთათვის გათვალისწინებულია პირდაპირი არჩევნები, რის მიხედვით ისინი აირჩევიან უშუალოდ თავიანთი ერთეულიდან.

ყოველი პალატა თავის წევრთაგან ირჩევს ერთ სერბს, ერთ ბოსნიელს და ერთ ხორვატს მისი თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციების შესასრულებლად. ამ სამი შერჩეული წევრიდან ყოველი მათგანი რიგ-რიგობით იკავებს თავმჯდომარის თანამდებობას.

საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებაში პალატები თანასწორუფლებიანი არიან. ყველა საკანონმდებლო აქტი საჭიროებს ორივე პალატის მიერ დამტკიცებას.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მხოლოდ ხალხთა პალატის დათხოვნის შესაძლებლობას. იგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ. ასევე

გათვალისწინებულია თვითდათხოვნის მექანიზმი, რის მიხედვით დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თვით ეს პალატა, ხმათა უმრავლესობით, რომელშიც შედის არანაკლებ ორი ერის – ბოსნიის, სერბეთის ან ხორვატიის დელეგატთა უმრავლესობა.

კონსტიტუცია არ ითვალისწინებს „დეპუტატის“ ცნებას, იგი ხალხთა პალატის წევრებს „დელეგატებს“ უწოდებს, ხოლო წარმომადგენელთა პალატის წევრებს „წევრებს“. მათ გააჩნიათ საკმაოდ ფართო იმუნიტეტი, რაც იმას გულისხმობს, რომ დელეგატები და წევრები არ შეიძლება მიეცენ არა მარტო სისხლისსამართლებრივ, არამედ სამოქალაქო პასუხისგებაშიც საპარლამენტო ასამბლეაში მათ მიერ თავიანთი მოვალეობების დროს განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისთვის.

სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს კოლეგიალური ორგანო პრეზიდენტი, რომელიც შედგება 3 წევრისგან: ფედერაციის ტერიტორიიდან უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული 1 ბოსნიელისა და 1 ხორვატიის, და სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან ამავე წესით არჩეული 1 სერბისგან. ყოველ ამომრჩევლს აქვს თითო ხმა. პრეზიდენტის წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. ხელშეორედ არჩევა შესაძლებელია ზედიზედ ორჯერ, შემდეგ კი დაუშვებელია მისი არჩევა 4 წლის მანძილზე. პრეზიდენტის წევრები თავისი შემადგენლობიდან 8 თვის ვადით ნიშნავენ თავმჯდომარეს, შემდგომ ხდება მათი როტაცია. თავმჯდომარის თანამდებობა ფორმალურია, მას არ გააჩნია დამოუკიდებელი უფლებამოსილებები. გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებს პრეზიდენტი.

პრეზიდენტის კომპეტენციას წარმოადგენს: ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმართვა; ელჩებისა და სხვა საერთაშორისო წარმომადგენლების დანიშვნა, რომელთაგან არა უმეტეს 2/3 შეიძლება შეირჩეს ფედერაციის ტერიტორიიდან; წარმომადგენლობა და წევრობა საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებში; მოლაპარაკებების წარმოება, შეთანხმებების დენონსაცია და, საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით, მათი რატიფიკაცია; საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებათა შესრულება; მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით, საპარლამენტო ასამბლეისთვის ყოველწლიური ბიუჯეტის წარდგენა; საპარლამენტო ასამბლეისთვის მისივე მოთხოვნით, მაგრამ არანაკლებ ყოველწლიურად, პრეზიდენტის ხარჯების შესახებ მოხსენების წარდგენა; აუცილებლობის შემთხვევაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია; მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებსაც მას დააკისრებს საპარლამენტო ასამბლეა ან რომლებიც შეთანხმებულია ერთეულებთან.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭო. მის თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა. მინისტრებს ნიშნავს თავმჯდომარე და ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს არსებობა კონსტიტუციით არის განმტკიცებული. თავმჯდომარე და მინისტრები შეადგენენ მთავრობას, რომლის კომპეტენციაში შედის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კომპეტენციას მიკუთვნებული პოლიტიკის განხორციელება, გადაწყვეტილებების მიღება და საპარლამენტო ასამბლეისთვის მოხსენებების წარდგენა.

ერთეულებს შორის პარიტეტის პრინციპი დაცულია ასევე მინისტრთა დანიშვნისას. ფედერაციის ტერიტორიიდან შეიძლება დაინიშნოს მინისტრთა არა უმეტეს 2/3. მინისტრის მოადგილე არ შეიძლება იყოს იმავე ხალხის წარმომადგენელი, რომელსაც წარმოადგენს მინისტრი. მინისტრის მოადგილეებს ნიშნავს თავმჯდომარე და ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა.

მინისტრთა საბჭო უნდა გადადგეს, როგორც კი საპარლამენტო ასამბლეა მას უნდობლობას გამოუცხადებს.

შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო ხელმძღვანელობის უფლება გააჩნია პრეზიდენტის ყოველ წევრს დაკავებული თანამდებობის ძალით. ქვეყნის შეიარაღებული ძალებს საქმიანობის კოორდინაციისათვის პრეზიდენტის წევრები ირჩევენ სამხედრო საკითხთა მუდმივ კომიტეტს, რომლის წევრებიც თვითონაც არიან.

სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურიდან სპეციფიკურია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში სახელწიფოებრივ დონეზე გათვალისწინებულია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა. სხვა სასამართლოების ფორმირებაზე კონსტიტუცია ყურადღებას არ ამახვილებს. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ყოველ ერთეულს გააჩნია საკუთარი უზენაესი სასამართლო და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციაში ფუნქციონირებს 10 კანტონის და მუნიციპალური სასამართლო, ხოლო სერბეთის რესპუბლიკაში – 5 მუნიციპალური სასამართლო.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის 9 წევრი. მის ფორმირებაში ერთეულებთან ერთად მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციაც: სასამართლოს 4 წევრი შეირჩევა ფედერაციის წარმომადგენელთა პალატის, ხოლო 2 წევრი – სერბეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ. დანარჩენი 3 წევრი შეირჩევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტთან კონსულტაციის შემდეგ.

მოსამართლეები არიან მაღალი მორალური თვისებების მქონე ცნობილი იურისტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს

ნებისმიერი ამოძრეველი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული მოსამართლეები არ შეიძლება იყვნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან მისი მეზობელი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები. თავდაპირველად დანიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების ვალა შეადგენს 5 წელს, ხოლო შემდგომ დანიშნულები თანამდებობას იკავებენ 70 წლის მიღწევამდე, თუ არ გადადგებიან ან რაიმე მიზეზით შეთანხმებით არ გადააყენებენ სხვა მოსამართლეები.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი შემადგენლობების დანიშნისათვის საპარლამენტო ასამბლეამ შეიძლება მიიღოს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შესარჩევი 3 მოსამართლის შერჩევის სხვა მეთოდს.

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას. იგი უფლებამოსილია განიხილოს დაეები ბოსნიისა და ჰერცეგოვინას, ერთეულებს ან მათ დაწესებულებებს შორის, მეზობელ სახელმწიფოებთან განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობის დადგენის შესახებ ერთეულის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე, ასევე ერთეულის კონსტიტუციის ან კანონის დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ. იგი იხილავს სააპელაციო საჩივრებს კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი უფლებამოსილია განიხილოს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოჩენილი კანონის კონსტიტუციასთან, გარკვეულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და ნორმებთან შესაბამისობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე ფულადი ნიშნების გამომშვებ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელ ერთადერთ ორგანოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ბანკი წარმოადგენს. ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭო შედგება პრეზიდენტის მიერ 6 წლის ვადით დანიშნული 5 წევრისგან. საბჭო თავისი შემადგენლობიდან 6 წლის ვადით ნიშნავს მმართველს.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციაში არ არის საუბარი ხალხზე, როგორც ხელისუფლების წყაროზე. ორგანოებში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუცია მხოლოდ ცალსახად აფიქსირებს, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებებში თანამდებობებზე დანიშნული პირები ძირითადად არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხალხის წარმომადგენლები.

ქვეყნის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა ეფექტურად მისაღებად კონსტიტუცია ითვალისწინებს კონსენსუსის მეთოდს. პრეზიდენტის საქმიან-

ნობის პროცესში ხაზგასმულია, რომ იგი ცდილობს ყველა გადაწყვეტილება მიიღოს კონსენსუსით. თუ აღნიშნული კონსენსუსის მიღწევის ყოველგვარი მცდელობა ვერ გამოიღებს შედეგს, გადაწყვეტილებები მიიღება 2/3-ით შემდეგი წესით: პრეზიდენტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, შეუძლია იგი აღიაროს თავისი ერთეულის ინტერესებისათვის ზიანის მომტანად. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამისი ერთეულის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობას. თუ ეს განცხადება 10 დღის ვადაში დამტკიცდება აღნიშნულ წევრთა ხმების 2/3-ით, პრეზიდენტის სადავო გადაწყვეტილება არ შევა ძალაში.

კონსენსუსის მიღწევის პრინციპი გვხვდება საკანონმდებლო ასამბლეის მუშაობაშიც. მისი პალატები გადაწყვეტილებებს იღებენ დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით. წევრები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, რომ ამ უმრავლესობაში შევიდეს ყოველი ერთეულის დელეგატთა ხმების არანაკლებ 1/3. თუ ხმათა უმრავლესობა არ შეიცავს ამგვარ უმრავლესობას, იქმნება კომისია, რომელიც ცდილობს მის დამტკიცებას კენჭისყრიდან 3 დღის ვადაში. თუ ეს მცდელობა შედეგს არ გამოიღებს, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით, იმ პირობით, რომ წინააღმდეგ ხმის მიცემაში არ უნდა შევიდნენ ყოველი ერთეულიდან არჩეული დელეგატების 1/3 ან მეტი. საპარლამენტო ასამბლეის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი დელეგატების უმრავლესობის მიერ შეიძლება აღიარებულ იქნეს ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი ხალხის ცხოვრებისეული ინტერესებისათვის ზიანის მომტანად. ამგვარი გადაწყვეტილების დასამტკიცებლად ხალხთა პალატაში საჭიროა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ბოსნიელი, სერბი და ხორვატი დელეგატების უმრავლესობა. თუ აღნიშნული უმრავლესობა არ ეთანხმება ამ წესის გამოყენებას, ხალხთა პალატის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევს ერთობლივ კომისიას, რომელიც შედგება ეროვნებათა პროპორციულობის დაცვით 3 დელეგატისგან. თუ კომისია ამ გზით ვერ გადაწყვეტს საკითხს, იგი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც დაჩქარებული წესით იხილავს მას პროცედურასთან შესაბამისობის საკითხში.

ორიგინალურია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის ხელმოწერის წესიც. მას ხელს აწერენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და სერბეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში ერთეულებს დაევალებათ შესწორებების შეტანა თავიანთ შესაბამის კონსტიტუციებში. თითოეულ ერთეულს ჰყავს საკუთარი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციაში ფუნქციო-

ნირებს ორპალატიანი ფედერალური პარლამენტი, რომელიც აირჩევა საყოველთაო კენჭისყრით 4 წლის ვადით. მის წარმომადგენელთა პალატაში შედის 140 წევრი, ხოლო ხალხთა პალატაში – 74 წევრი (30 ბოსნიელი, 30 ხორვატი და 14 სხვა ეროვნების წარმომადგენელი). აღმსარებელ ხელისუფლებას ახორციელებენ პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი. პრეზიდენტის თანამდებობაზე აირჩევა 2 კანდიდატი (1 ბოსნიელი და 1 ხორვატი), რომელთაგან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ხდება. ყოველწლიურად მიმდინარეობს მათი თანამდებობრივი როტაცია. იგივე პრინციპით ირჩევა წარმომადგენელთა პალატა პრემიერ-მინისტრსა და ვიცე-პრემიერს. სერბეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ორგანოა 83 წევრიანი ერთპალატიანი ასამბლეა, რომელიც აირჩევა საყოველთაო კენჭისყრით 4 წლის ვადით.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია, მისი დანიშნულებისა და მიღების თავისებურებიდან გამომდინარე კონსტიტუციური სამართლის მრავალ განსაკუთრებულ ნორმას შეიცავს, რომლებიც იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნების კონსტიტუციურ წყაროებში.

– პირველ რიგში აღსანიშნავია მისი მიღების წესი - კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით და მას ხელს აწერენ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის წარმომადგენლები. თავისებურია კონსტიტუციის გადასინჯვის წესიც – მისთვის საჭიროა ორივე პალატის თანხმობა. ამასთან, დაუშვებელია კონსტიტუციაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც უარყოფს ან ასუსტებს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;

– ქვეყანა შედგება ორი ერთეულისგან, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის და სერბეთის რესპუბლიკისგან, რომელთაც სხვა ფედერალური სახელმწიფოების სუბიექტებზე ფართო უფლებამოსილება გააჩნიათ;

– ქვეყნის ერთიანი ორგანოების ფორმირებისას დაცულია ერთეულებს შორის პროპორციულობის პრინციპი, რის მიხედვითაც ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ეკუთვნის ორჯერ მეტი წარმომადგენლობა, ვიდრე სერბეთის რესპუბლიკას. ზოგიერთი ორგანოს, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, ამასთან ერთად, მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც;

– აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ორგანოების უფლებამოსილების საკმაოდ ხანმოკლე ვადებია დადგენილი, რაც გარდამავალი ეტაპისთვის არის დამახასიათებელი და მიზნად ისახავს ხელისუფლების უზურპაციის თავიდან აცილებას;

– კონსტიტუცია არ იცნობს ისეთ ტერმინებს, როგორცაა „დეპუტატი“, მის ნაცვლად ტერმინ „დელეგატს“ გამოიყენებს და „არჩევას“, რომლის მაგიერ გამოყენებულია ტერმინი „შერჩევა“;

– პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების - პრეზიდუმისა და საპარლამენტო ასამბლეის საქმიანობაში დაცულია კონსენსუსის პრინციპი, რაც აუცილებელია, რათა ყველა გადაწყვეტილება ურთიერთდათმობის გზით აუცილებლად იქნას მიღებული;

– ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში აღიარებულია როგორც ქვეყნის, ისე ერთეულის მოქალაქეობა. ამასთან ბოსნიასა და ჰერცეგოვინას მოქალაქე შეიძლება იმაედროულად იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქეც, თუ შესაბამის ქვეყნებს შორის არსებობს ამგვარი შეთანხმება;

– კონსტიტუციის დანართში წინასწარ არის ჩამოთვლილი ის საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მონაწილეც აუცილებლად უნდა იყოს ბოსნია და ჰერცეგოვინა.

– კონსტიტუციის ტექსტი ლაკონურია. მას არ აქვს თავები და შედგება 12 მუხლისგან.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია¹

მიღებულია 1995 წლის 14 დეკემბერს

პრეამბულა

ადამიანთა ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემაზე დაყრდნობით,

ისწრაფვიან რა მშვიდობის, სამართლიანობის, ტოლერანტობისა და შერიგებისკენ,

დარწმუნებულნი იმაში, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები და სამართლიანი პროცედურები პლურალისტურ საზოგადოებაში გაუმჯობესების მხრივ უზრუნველყოფენ მშვიდობიან ურთიერთობებს,

სურთ რა, რომ უზრუნველყონ კერძო საკუთრების დაცვისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზით საყოველთაო კეთილდღეობა და ეკონომიკური აღმავლობა,

ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებითა და პრინციპებით,

არიან ერთგულნი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა,

ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტებით და ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობის, ასევე ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა დოკუმენტებით,

იმოწმებენ რა 1995 წლის 8 სექტემბერს ენეევასა და 1995 წლის 26 სექტემბერს ნიუ-იორკში შეთანხმებულ ძირითად პრინციპებს,

ბოსნიელები, სერბები და ხორვატები, როგორც ერები (სხვებთან ერთად), რომლებიც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს წარმოადგენენ, იღებენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემდეგ კონსტიტუციას:

¹ თარგმანისას გამოყენებულია ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ccbh.ba/?lang=en&page=texts/constitution/annex2 ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mvp.gov.ba/HTML/ENG/uslav BiH eng.htm გამოქვეყნებული ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები.

მუხლი I. ბოსნია და ჰერცეგოვინა

1. *მემკვიდრეობითობა.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, რომელიც ამ დროიდან იწოდება „ბოსნია და ჰერცეგოვინა“-დ, როგორც სახელმწიფო განაგრძობს თავის იურიდიულ არსებობას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, თავისი შიდა სტრუქტურით, რომელიც შეიცვალა ამ კონსტიტუციის თანახმად და არსებულ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. იგი რჩება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოდ და, როგორც ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, შეუძლია შეინარჩუნოს ან მოითხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ორგანიზაციებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა.

2. *დემოკრატიული პრინციპები.* ბოსნია და ჰერცეგოვინა არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ფუნქციონირებს კანონის უზენაესობისა და თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

3. *შეზღვევადობა.* ბოსნია და ჰერცეგოვინა შედგება ორი ერთეულისგან (შემდგომ – „ერთეული“) – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და სერბეთის რესპუბლიკისგან.

4. *საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ხალხის გადაადგილება.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე აღიარებულია გადაადგილების თავისუფლება. ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ და ერთეულებმა არ შეიძლება შეაფერხონ ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილების სრული თავისუფლება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე. არცერთმა ერთეულმა არ შეიძლება დააწესოს ერთეულებს შორის არსებული საზღვრის კონტროლი.

5. *დედაქალაქი.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დედაქალაქია სარაევო.

6. *სიმბოლიკა.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ექნება იმგვარი სიმბოლიკა, როგორსაც დაადგენს საპარლამენტო ასამბლეა და დაამტკიცებს პრეზიდენტი.

7. *მოქალაქეობა.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეობა, რომელიც მოწესრიგებულია საპარლამენტო ასამბლემის მიერ და თითოეული ერთეულის მოქალაქეობა, რომელიც წესრიგდება ყოველი ერთეულის მიერ, განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

ა) ნებისმიერი ერთეულის მოქალაქეები ამის შესაბამისად არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეები;

ბ) არცერთ პირს არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეობა ან ერთეულის მოქალაქეობა, ან დატოვებულ იქნეს მოქალაქეობის გარეშე. არცერთ პირს არ შეიძლება ჩამოერთვას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან ერთეულის მოქალაქეობა სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი მიკუთვნების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა ვალდებულების საფუძველით;

გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მოქალაქეები ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეები. 1992 წლის 6 აპრილის შემდეგ, მაგრამ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, ნატურალიზებულ პირთა მოქალაქეობა განისაზღვრება საპარლამენტო ასამბლეის მიერ;

დ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს შეუძლიათ შეინარჩუნონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, იმ პირობით, თუ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას და შესაბამის სახელმწიფოს შორის ამ საკითხზე მე-4 მუხლის შესაბამისად საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადებულია ორმხრივი შეთანხმება. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებმა შეიძლება ხმა მისცენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში და ერთეულში, თუ ბოსნია და ჰერცეგოვინა არის მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა;

ე) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქე ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაცვის ქვეშ. ყოველ ერთეულს შეუძლია თავის მოქალაქეს მისცეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პასპორტი, საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადგენილი წესით. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შეუძლია პასპორტი მისცეს იმ მოქალაქეს, რომელსაც არ მიუღია ერთეულის პასპორტი. ერთეულებისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიერ გაცემული ყველა პასპორტი შეიტანება ცენტრალურ რეესტრში.

მუხლი II. ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

1. ადამიანის უფლებები. ბოსნია და ჰერცეგოვინა და ორივე ერთეული უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უმაღლეს დონეს. ამ მიზნით ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის იქმნება ადამიანის უფლებათა კომისია, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-6 დანართით.

2. საერთაშორისო ნორმები. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი პროტოკოლებით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები პირდაპირ მოქმედებენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მათ გააჩნიათ უპირატესი ძალა ყველა სხვა სამართლის ნორმის მიმართ.

3. უფლებათა ნუსხა. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ყველა პირი სარგებლობს მე-2 პუნქტში აღნიშნული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით; მათ განეკუთვნება:

ა) სიცოცხლის უფლება;

ბ) წამების ან არაადამიანური, დამამცირებელი მიმართვის ან სასჯელის გამოუყენებლობის უფლება;

გ) მონობის ან დამოკიდებული მდგომარეობის და იძულებით ან სავალდებულო შრომის დაუქვემდებარებლობის უფლება;

დ) თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;

ე) სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები;

ვ) პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლება;

ზ) შეხედულების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;

თ) აზრის გამოხატვის თავისუფლება;

ი) მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლება და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება;

კ) დაქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება;

ლ) ქონების უფლება;

მ) განათლების უფლება;

ნ) თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება.

4. არადისკრიმინაცია. ამ მუხლში ან საერთაშორისო შეთანხმებაში განმტკიცებული, ამ კონსტიტუციის I დანართით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა დაცულია ყველა პირისთვის ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა ვალდებულების გამო დისკრიმინაციის გარეშე.

5. *ლტოლვილები და გადაადგილებული პირები.* ყველა ლტოლვილსა და გადაადგილებულ პირს აქვს სახლში თავისუფლად დაბრუნების უფლება. საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-10 დანართის შესაბამისად მათ უფლება აქვთ, რომ დაუბრუნდეთ ქონება, რომელიც ჩამოერთვათ 1991 წლის საომარი მოქმედებების დროს და ნებისმიერი ამგვარი ქონებისგან, რომელიც მათ არ შეიძლება დაუბრუნდეთ, მიიღონ კომპენსაცია. ამგვარ ქონებასთან დაკავშირებით იძულებით მიღებული ყველა ვალდებულება ან გაკეთებული განცხადება ბათილია.

6. *განხორციელება.* ბოსნია და ჰერცეგოვინა, ყველა სასამართლო, დაწესებულება, სახელმწიფო ორგანო და ერთეულების მიერ შექმნილი და მათში მოქმედი მექანიზმი ახორციელებს და იცავს მე-2 პუნქტში აღნიშნულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

7. *საერთაშორისო შეთანხმებები.* ბოსნია და ჰერცეგოვინა რჩება ან ხდება ამ კონსტიტუციის I დანართით გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილე.

8. *თანამშრომლობა.* ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყველა კომპეტენტური ორგანო თანამშრომლობს და უზრუნველყოფს მათთან შეუზღუდავ დაშვებას: ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის ნებისმიერი საერთაშორისო კონტროლის მექანიზმებთან; ამ კონსტიტუციის I დანართში ჩამოთვლილი ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად შექმნილ ზედამხედველობის ორგანოებთან; ყოფილი იუგოსლავიისთვის საერთაშორისო ტრიბუნალთან (განსაკუთრებით, აღასრულებენ ტრიბუნალის წესდების 29-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს); ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიანიჭა მანდატი ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის სფეროში.

მუხლი III. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და ერთეულების ინსტიტუტების ვალდებულებები და ურთიერთობა

1. *ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებები.* ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებებს განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ა) საგარეო პოლიტიკა;
- ბ) საგარეო საგაჭრო პოლიტიკა;
- გ) საბაჟო პოლიტიკა;

დ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ეს გათვალისწინებულია VII მუხლში;

ე) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების დაფინანსება და საერთაშორისო ვალდებულებები;

ვ) პოლიტიკა და რეგულირება იმიგრაციის, ლტოლვილთა და თავშესაფრის სფეროში;

ზ) საერთაშორისო და ერთეულების დონეზე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის ურთიერთობა ინტერპოლთან;

თ) საერთო და საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებების შექმნა და ექსპლუატაცია;

ი) ერთეულებს შორის ტრანსპორტის რეგულირება;

კ) საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი.

2. ერთეულების ვალდებულებები

ა) ერთეულებს უფლება აქვთ მეზობელ სახელმწიფოებთან დაამყარონ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისი სპეციალური პარალელური ურთიერთობები.

ბ) ყოველი გაერთიანება უზრუნველყოფს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობისათვის ყველა აუცილებელი დახმარების აღმოჩენას, რათა მან შესძლოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა, იმ პირობით, რომ ერთი ერთეულის მიერ მეორე ერთეულთან შეთანხმების გარეშე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საპარლამენტო ასამბლეისა და პრეზიდენტის არჩევამდე ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა დაეკისრება თვით ამ ერთეულს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვალდებულება აუცილებელია რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წევრობის გასაგრძელებლად.

გ) ერთეულები თავიანთი იურისდიქციის შესაბამისად ყველა პირისთვის უზრუნველყოფენ უსაფრთხო და საიმედო პირობებს, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად მოქმედი და ზემოაღნიშნული II მუხლით განმტკიცებული საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დამცველი სამოქალაქო სამართალდამცავი დაწესებულებების შენახვის გზით, ასევე სხვა სათანადო ღონისძიებების მიღების გზით.

დ) ყოველ ერთეულს საპარლამენტო ასამბლეასთან შეთანხმებით შეუძლია ასევე დადოს შეთანხმებები სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საპარლამენტო ასამბლეას შეუძლია კანონით დაადგინოს, რომ ზოგიერთი სახის შეთანხმებები არ საჭიროებენ ამგვარ თანხმობას.

3. კანონი და ერთეულებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებლობა

ა) ყველა სამთავრობო ფუნქციასა და უფლებამოსილებას, რომლებიც ამ კონსტიტუციით პირდაპირ არ მიეკუთვნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს, ასრულებენ ერთეულები.

ბ) ერთეულები და მათი დანაყოფები სრულად იცავენ ამ კონსტიტუციას, რომელიც ცვლის მასთან შეუსაბამო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონმდებლობის, ერთეულების კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის დებულებებს და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.

4. კოორდინაცია. პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ერთეულებს შორის იმ საკითხთა კოორდინაციისთვის ხელშეწყობის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ვალდებულებებს, თუ რომელიმე ერთეული არ იქნება წინააღმდეგი რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში.

5. დამატებითი ვალდებულებები

ა) ბოსნია და ჰერცეგოვინა პასუხისმგებელია სხვა საკითხებზეც, რომლებიც: შეთანხმებულია ერთეულების მიერ; გათვალისწინებულია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-5–მე-8 დანართებით; ან აუცილებელია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის დასაცავად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს შორის ვალდებულებების განაწილების შესაბამისად. ამგვარი ვალდებულებების შესასრულებლად, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას დამატებითი ინსტიტუტები.

ბ) ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში ერთეულები დაიწყებენ მოლაპარაკებებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებათა რიცხვში სხვა საკითხების, მათ შორის, ენერგეტიკული რესურსებითა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტებით სარგებლობის შესახებ საკითხის შეტანის მიზნით.

მუხლი IV. საპარლამენტო ასამბლეა

საპარლამენტო ასამბლეა შედგება ორი პალატის – ხალხთა პალატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

1. ხალხთა პალატა

ხალხთა პალატა შედგება 15 დელეგატისგან, რომლის ორი მესამედი შეირჩევა ფედერაციიდან (ხუთი ხორვატი და ხუთი ბოსნიელი) და ერთი მესამედი – სერბეთის რესპუბლიკიდან (ხუთი სერბი).

ა) ფედერაციიდან დასახელებული ხორვატი და ბოსნიელი დელეგატები შეირჩევიან შესაბამისად ფედერაციის ხალხთა პალატის ხორვატიისა და ბოსნიის დელეგატთა მიერ. სერბეთის რესპუბლიკის დელეგატები შეირჩევიან სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მიერ.

ბ) ქვორუმს შეადგენს ხალხთა პალატის ცხრა წევრი, იმ პირობით, თუ ესწრება არანაკლებ სამი ბოსნიელი, სამი ხორვატი და სამი სერბი დელეგატი.

2. წარმომადგენელთა პალატა

წარმომადგენელთა პალატა შედგება 42 წევრისგან, რომლის ორი მესამედი აირჩევა ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო ერთი მესამედი – სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

ა) წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩევიან უშუალოდ თავიანთი ერთეულიდან საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად. თუმცა, პირველი არჩევნები ტარდება საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართის შესაბამისად.

ბ) ქვორუმს შეადგენს წარმომადგენელთა პალატაში არჩეულ წევრთა უმრავლესობა.

3. პროცედურები

ა) ყოველი პალატა იკრიბება სარაევოში მისი არჩევიდან ან შერჩევიდან 30 დღის ვადაში.

ბ) ყოველი პალატა ხმათა უმრავლესობით იღებს რეგლამენტს და თავის წევრთაგან ირჩევს ერთ სერბს, ერთ ბოსნიელს და ერთ ხორვატს მისი თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციების შესასრულებლად. ამ სამი შერჩეული წევრიდან ყოველი მათგანი რიგ-რიგობით იკავებს თავმჯდომარის თანამდებობას.

გ) ყველა საკანონმდებლო აქტი საჭიროებს ორივე პალატის მიერ დამტკიცებას.

დ) ორივე პალატის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით. დელეგატები და წევრები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, რომ ამ უმრავლესობაში შევიდნენ ყოველი ერთეულის დელეგატთა და წევრთა ხმების არანაკლებ ერთი მესამედი. თუ ხმათა უმრავლესობა არ შეიცავს ყოველი ერთეულის დელეგატთა და წევრთა ხმების

არანაკლებ ერთ მესამედს, თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ქმნიან კომისიას და ცდილობენ მის დამტკიცებას კენჭისყრიდან სამი დღის ვადაში. თუ ეს მცდელობა შედეგს არ გამოიღებს, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით, იმ პირობით, რომ წინააღმდეგ ხმის მიცემაში არ უნდა შევიდნენ ყოველი ერთეულიდან არჩეული დელეგატებისა და წევრების ორი მესამედი ან მეტი.

ე) საპარლამენტო ასამბლეის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად არჩეული ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი დელეგატების უმრავლესობის მიერ შეიძლება აღიარებულ იქნეს ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი ხალხის ცხოვრებისეული ინტერესებისთვის ზიანის მომტანად. ამგვარი გადაწყვეტილების დასამტკიცებლად ხალხთა პალატაში საჭიროა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ბოსნიელი, სერბი და ხორვატი დელეგატების უმრავლესობა.

ვ) როდესაც ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი დელეგატების უმრავლესობა არ ეთანხმება „ე“ პუნქტის გამოყენებას, ხალხთა პალატის თავმჯდომარე ამ საკითხის გადასაწყვეტად დაუყოვნებლივ იწვევს ერთობლივ კომისიას, რომელიც შედგება ბოსნიელი, სერბი და ხორვატი დელეგატების მიერ თანაბრად შერჩეული სამი დელეგატისგან. თუ კომისია ამ გზით ვერ გადაწყვეტს საკითხს ხუთი დღის ვადაში, იგი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც დაჩქარებული წესით იხილავს მას პროცედურასთან შესაბამისობის საკითხში.

ზ) ხალხთა პალატა შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ ან საკუთარი გადაწყვეტილებით, დათხოვნის შესახებ მისი გადაწყვეტილება მტკიცდება უმრავლესობით, რომელშიც შედიან არანაკლებ ორი ერის – ბოსნიის, სერბეთის ან ხორვატიის დელეგატთა უმრავლესობა. თუმცა, ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ პირველ არჩევნებზე არჩეული ხალხთა პალატა არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს.

თ) საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების შემდეგ.

ი) ორივე პალატა აქვეყნებს სრულ ანგარიშს თავისი სხდომების შესახებ და, გარდა მათი რეგლამენტებით განსაზღვრული გამონაკლისი გარემოებებისა, ატარებს ღია სხდომებს.

კ) დელეგატები და წევრები არ შეიძლება მიეცნენ სისხლისსამართლებრივ ან სამოქალაქო პასუხისგებაში საპარლამენტო ასამბლეაში მათ მიერ თავიანთი მოვალეობების დროს განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისთვის.

4. უფლებამოსილება

საპარლამენტო ასამბლეა პასუხისმგებელია:

ა) ამ კონსტიტუციიდან გამომდინარე პრეზიდენტის გადაწყვეტილებებისა და ასამბლეის ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი კანონმდებლობის მიღებაზე;

ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების საქმიანობისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებების დასაფინანსებელი შემოსავლების წყაროებსა და მოცულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე;

გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების დასაფინანსებლად ბიუჯეტის წარდგენაზე;

დ) მისი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ნებისმიერი სხვა საკითხის, ასევე, ერთეულების ურთიერთშეთანხმებით მისთვის გადაცემული საკითხების გადაწყვეტაზე.

მუხლი V. პრეზიდენტი

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტი შედგება სამი წევრისგან: ფედერაციის ტერიტორიიდან უშუალოდ არჩეული ერთი ბოსნიელისა და ერთი ხორვატის, და სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან უშუალოდ არჩეული ერთი სერბისგან.

1. არჩევნები და უფლებამოსილების ვადა

ა) პრეზიდენტის წევრები აირჩევიან უშუალოდ, ყოველ ერთეულში (ყოველი ამომრჩეველი ხმას აძლევს პრეზიდენტში ერთი ადგილის შევსებას) საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად. თუმცა, პირველი არჩევნები ტარდება საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართის შესაბამისად. პრეზიდენტში ყოველი ვაკანტური ადგილს ავსებს შესაბამისი ერთეული, საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული კანონის თანახმად.

ბ) პირველი არჩევნების შედეგად არჩეულ პრეზიდენტის წევრთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს ორ წელს. წევრები შეიძლება ხელმეორედ არჩეულ იქნენ ერთხელ, რის შემდეგ ისინი არ შეიძლება არჩეულ იქნენ ოთხი წლის მანძილზე.

2. პროცედურები

ა) პრეზიდენტი განსაზღვრავს პროცედურის საკუთარ წესებს, რომლებიც ოთვალისწინებენ პრეზიდენტის შეხვედრების სათანადო შეტყობინებებს.

ბ) პრეზიდენტის წევრები თავისი შემადგენლობიდან ნიშნავენ თავმჯდომარეს. პრეზიდენტის უფლებამოსილების პირველ ვადაში თავმჯდომარეა პირი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას. შემდგომ თავმჯდომარის არჩევის მეთოდი – როტაცია ან სხვა, განისაზღვრება საპარლამენტო ასამბლეის მიერ IV მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით.

გ) პრეზიდენტი ცდილობს ყველა გადაწყვეტილება (ანუ III მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებთან დაკავშირებული საკითხები) მიიღოს კონსენსუსით. თუ აღნიშნული კონსენსუსის მიღწევის ყოველგვარი მცდელობა ვერ გამოიღებს შედეგს, მაშინ ქვემდგომი „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება ორი მესამედით.

დ) პრეზიდენტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის შემდეგ შეუძლია იგი აღიაროს ერთეულის ინტერესებისთვის ზიანის მომტანად, რომლის ტერიტორიიდანაც იგი იყო არჩეული. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა სერბეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას, თუ ამგვარ განცხადებას გააკეთებს ამ ტერიტორიიდან არჩეული წევრი, ფედერაციის ხალხთა პალატის ბოსნიის დელეგატებს, თუ ამგვარ განცხადებას გააკეთებს ბოსნიიდან არჩეული წევრი, ან ფედერაციის ხალხთა პალატის ხორვატიის დელეგატებს, თუ ამგვარ განცხადებას გააკეთებს ხორვატიიდან არჩეული წევრი. თუ ეს განცხადება მისი გადაცემიდან ათი დღის ვადაში დამტკიცდება აღნიშნულ წევრთა ხმების ორი მესამედით, პრეზიდენტის სადავო გადაწყვეტილება არ შევა ძალაში.

3. უფლებამოსილება

პრეზიდენტის კომპეტენციას წარმოადგენს:

- ა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საგარეო პოლიტიკის წარმართვა;
- ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ელჩებისა და სხვა საერთაშორისო წარმომადგენლების დანიშვნა, რომელთაგან არა უმეტეს ორი მესამედი შეიძლება იქნეს შერჩეული ფედერაციის ტერიტორიიდან;
- გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წარმომადგენლობა საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებში და იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შესვლა, რომლის წევრიც არ არის ბოსნია და ჰერცეგოვინა;
- დ) მოლაპარაკებების წარმოება, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შეთანხმების დენონსაცია და, საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით, მათი რატიფიკაცია;
- ე) საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებათა შესრულება;
- ვ) მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით, საპარლამენტო ასამბლეისთვის ყოველწლიური ბიუჯეტის წარდგენა;

ზ) საპარლამენტო ასამბლეისთვის მისივე მოთხოვნით, მაგრამ არანაკლებ ყოველწლიურად, პრეზიდუმის ხარჯების შესახებ მოხსენების წარდგენა;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია;

ი) მისი უფლებამოსილების განსაზოცილებლად აუცილებელი სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებსაც მას დააკისრებს საპარლამენტო ასამბლეა ან რომლებიც შეთანხმებულია ერთეულებთან.

4. მინისტრთა საბჭო

პრეზიდუმი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობას იკავებს წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცების შემდეგ. თავმჯდომარე ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრს, საგარეო ვაჭრობის მინისტრს და სხვა მინისტრებს, რომლებიც თანამდებობას იკავებენ წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ა) თავმჯდომარე და მინისტრები შეადგენენ მთავრობას, რომლის კომპეტენციაში შედის III მუხლის პირველ, მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნულ სფეროებში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოლიტიკის და გადაწყვეტილებების განხორციელება და საპარლამენტო ასამბლეისთვის მოხსენებების წარდგენა (მათ შორის, არანაკლებ წელიწადში ერთხელ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გასაულების შესახებ).

ბ) ფედერაციის ტერიტორიიდან შეიძლება დაინიშნოს მინისტრთა არა უმეტეს ორი მესამედი. თავმჯდომარე ნიშნავს ასევე მინისტრთა მოადგილეებს (რომლებიც არ შეიძლება განეკუთვნებოდნენ იმავე ხალხს, რომელსაც განეკუთვნება შესაბამისი მინისტრი), რომლებიც თანამდებობას იკავებენ წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცების შემდეგ.

გ) მინისტრთა საბჭო უნდა გადადგეს, როგორც კი საპარლამენტო ასამბლეა მას გამოუცხადებს უნდობლობის ვოტუმს.

5. მუდმივი კომიტეტი

ა) პრეზიდუმის ყოველ წევრს დაკავებული თანამდებობის ძალით აქვს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო ხელმძღვანელობის უფლება. არცერთმა ერთეულმა არ შეიძლება გამოიყენოს ძალა ან ძალის მუქარა სხვა ერთეულთან დაკავშირებით, და არცერთი ერთეულის არავითარი შეიარაღებული ძალები არ შეიძლება რაიმე ვითარებაში შევიდნენ ან გაჩერდნენ სხვა ერთეულის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის მთავრობისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდუმის თანხმობის გარეშე. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყველა შეიარაღებული ძალები მოქმედებენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად.

ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შეიარაღებული ძალების საქმიანობის კორდინაციისათვის პრეზიდენტის წევრები ირჩევენ სამხედრო საკითხთა მუდმივ კომიტეტს. პრეზიდენტის წევრები არიან მუდმივი კომიტეტის წევრები.

მუხლი VI. საკონსტიტუციო სასამართლო

1. შემადგენლობა

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის ცხრა წევრი.

ა) ოთხი წევრი შეირჩევა ფედერაციის წარმომადგენელთა პალატის, ხოლო ორი წევრი – სერბეთის რესპუბლიკის ასამბლეის მიერ. დანარჩენი სამი წევრი შეირჩევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტთან კონსულტაციის შემდეგ.

ბ) მოსამართლეები არიან მაღალი მორალური თვისებების მქონე ცნობილი იურისტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ამომრჩეველი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული მოსამართლეები არ შეიძლება იყვნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან მისი მეზობელი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები.

გ) თავდაპირველად დანიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა შეადგენს ხუთ წელს, თუ ისინი არ გადადგებიან ან რაიმე მიზეზით შეთანხმებით არ გადააყენებენ სხვა მოსამართლეები. თავდაპირველად დანიშნული მოსამართლეები არ შეიძლება ხელახლა იქნენ დანიშნულნი. შემდგომ დანიშნული მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ 70 წლის მიღწევამდე, თუ არ გადადგებიან ან რაიმე მიზეზით შეთანხმებით არ გადააყენებენ სხვა მოსამართლეები.

დ) რაც შეეხება მოსამართლეთა დანიშვნას თავდაპირველი დანიშნიდან ხუთი წლის შემდეგ, საპარლამენტო ასამბლეამ შეიძლება მიიღოს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შესარჩევი სამი მოსამართლის შერჩევის სხვა მეთოდს.

2. პროცედურები

ა) ქვორუმს შეადგენს სასამართლოს წევრთა უმრავლესობა.

ბ) სასამართლო იღებს საკუთარ რეგლამენტს წევრთა ხმების უმრავლესობით. იგი ატარებს ღია მოსმენებს და ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებებს, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს.

3. იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ამ კონსტიტუციის დაცვას.

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული იურისდიქცია ნებისმიერი დავის გადაწყვეტაში, რომელიც წარმოიშობა ამ კონსტიტუციის საფუძველზე ერთეულებს შორის, ბოსნიის და ჰერცეგოვინას და ერთეულს ან ერთეულებს შორის, ან ბოსნიის და ჰერცეგოვინის დაწესებულებებს შორის, ასევე შემდეგი უფლებამოსილება:

– შეესაბამება თუ არა მეზობელ სახელმწიფოებთან განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობის დადგენის შესახებ ერთეულის გადაწყვეტილება ამ კონსტიტუციას, რომელიც შეიცავს დებულებებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ;

– შეესაბამება თუ არა რომელიმე ერთეულის კონსტიტუციის ან კანონის დებულება ამ კონსტიტუციას.

დავები შეიძლება განსახილველად შეიტანონ მხოლოდ პრეზიდენტის წევრებმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, საპარლამენტო ასამბლეის რომელიმე პალატის თავმჯდომარემ ან თავმჯდომარის მოადგილემ, ან ერთეულის საკანონმდებლო ორგანოს რომელიმე პალატის წევრთა ერთმა მეოთხედმა.

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე გააჩნია სააპელაციო იურისდიქცია ამ კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

გ) საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განიხილება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სასამართლოს მიერ და სრულდება იმის დადგენით, რომ კანონი, რომლის ნამდვილობაზეც არის დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილება, არ ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას, ან რომ არსებობს თუ არა საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი ნორმა, რომელსაც კავშირი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, ან როგორია ამ ნორმის მოქმედების სფერო.

4. *გადაწყვეტილება.* საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა.

მუხლი VII. ცენტრალური ბანკი

იქმნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ბანკი, რომელიც იქნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე ფულადი ნიშნების გა-

მოშვები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ერთადერთი ორგანო.

1. ცენტრალური ბანკის ვალდებულებები განისაზღვრება საპარლამენტო ასამბლეის მიერ. თუმცა, ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან პირველ ექვს წელს მას არ შეუძლია ფულის ემისიის ხარჯზე კრედიტის გაცემა, სადაც იგი სავალუტო კონტროლის ორგანოს სახით გამოვა; ამის შემდეგ, საპარლამენტო ასამბლეას შეუძლია მისთვის ამ უფლების მინიჭება.

2. ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭოს პირველ შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ დანიშნული მმართველი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სამი წევრი, ორი ფედერაციიდან (ერთი ბოსნიელი და ერთი ხორვატი, რომელთაც ერთობლივად ერთი ხმა აქვთ) და ერთიც სერბეთის რესპუბლიკიდან; მათი უფლებამოსილების ვადა ექვს წელს შეადგენს. მმართველი, რომელიც არ შეიძლება იყოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან რომელიმე მეზობელი ქვეყნის მოქალაქე, მმართველ საბჭოში ხმათა გაყოფის შემთხვევაში სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით.

3. ამის შემდეგ, ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭო უნდა შედგებოდეს პრეზიდენტის მიერ ექვსი წლის ვადით დანიშნული ხუთი წევრისგან. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ექვსი წლის ვადით ნიშნავს მმართველს.

მუხლი VIII. ფინანსები

1. საპარლამენტო ასამბლეა ყოველწლიურად პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელიც ფარავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებების მიერ თავისი ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფასთან, ასევე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. თუ ეს ბიუჯეტი დროულად არ იქნება დამტკიცებული, დროებით საფუძველზე გამოიყენება წინა წლის ბიუჯეტი.

3. ბიუჯეტის შემოსავლების ორ მესამედს უზრუნველყოფს ფედერაცია, ხოლო ერთ მესამედს – სერბეთის რესპუბლიკა, გარდა საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადგენილი წესით შემოსავლების მობილიზაციისა.

მუხლი IX. ზოგადი დებულებები

1. პირებმა, რომლებიც ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენით იხდიან სასჯელს, ასევე პირებმა, რომლებთან დაკავშირებით ტრიბუნალმა გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და რომლებმაც არ შეასრულეს ტრიბუნალის დადგენილება ტრიბუნალში გა-

მოცხადების შესახებ, არ შეიძლება დაიკავონ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე რაიმე ადმინისტრაციული, საარჩევნო ან სხვა სახელმწიფო თანამდებობა.

2. იმ პირებს, რომლებსაც თანამდებობები უკავიათ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებებში, არ შეიძლება შეუმცირდეთ ანაზღაურება, სანამ უკავიათ ეს თანამდებობები.

3. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებებში თანამდებობებზე დანიშნული პირები ძირითადად არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხალხის წარმომადგენლები.

მუხლი X. შესწორებების შეტანა

1. *შესწორებების შეტანის პროცედურა.* ამ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა შესაძლებელია საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, წარმომადგენელთა პალატის წევრთა ორი მესამედის დასწრებითა და ხმის მიცემით.

2. *ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.* ამ კონსტიტუციის არცერთმა შესწორებამ არ შეიძლება უარყოს ან შეასუსტოს ამ კონსტიტუციის II მუხლში გათვალისწინებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ან შეცვალოს ეს პუნქტი.

მუხლი XI. გარდამავალი ღონისძიებები

სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, კანონმდებლობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული გარდამავალი ღონისძიებები მოცემულია ამ კონსტიტუციის II დანართში.

მუხლი XII. ძალაში შესვლა

1. ეს კონსტიტუცია ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება საერთო ჩარჩო შეთანხმებას, როგორც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის შემცვლელ კონსტიტუციურ აქტს.

2. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში ერთეულები შეიტანენ შესწორებებს თავიანთ შესაბამის კონსტიტუციებში, რათა III მუხლის მე-3 (ბ) პუნქტის თანახმად უზრუნველყონ ამ კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობა.

დანართი I. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოქმედი ადამიანის უფლებათა დამატებითი შეთანხმებები

1. 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ;
2. 1949 წლის I-IV კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და მისი 1977 წლის ფენევის I-II პროტოკოლები;
3. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებით და მისი 1966 წლის პროტოკოლი;
4. 1957 წლის კონვენცია დაქორწინებულ ქალთა მოქალაქეობის შესახებ;
5. 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არქონის შემცირების შესახებ;
6. 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასიზმის ყველა ფორმის დისკრიმინაციის გამორიცხვის შესახებ;
7. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი 1966 და 1989 წლების ფაკულტატური პროტოკოლები;
8. 1966 წლის პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
9. 1979 წლის კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის უარყოფის შესახებ;
10. 1984 წლის კონვენცია წამების და სხვა სასტიკი და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ;
11. 1987 წლის ევროპული კონვენცია წამების თავიდან აცილებისა და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ;
12. 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ;
13. 1990 წლის საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ;
14. 1992 წლის ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ;
15. 1994 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

დანართი II. გარდამავალი ღონისძიებები

1. გაერთიანებული შიდა კომისია

ა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის, საერთო ჩარჩო შეთანხმებისა და მისი დანართების შესრულებასთან დაკავშირებული პრაქტიკული

საკითხების განხილვისა და რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადების მიზნით მხარეებს შეუძლიათ შექმნან გაერთიანებული შიდა კომისია.

ბ) გაერთიანებული შიდა კომისია შედგება ფედერაციიდან ოთხი, სერბეთის რესპუბლიკიდან სამი, ბოსნიიდან და ჰერცეგოვინიდან ერთი წარმომადგენლისაგან.

გ) კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს უმაღლესი წარმომადგენელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

2. *კანონთა მექანიზმებითობა.* ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა კანონი, დადგენილება და სასამართლო საპროცედურო წესები ინარჩუნებს ძალას იმ ნაწილში, რაც არ ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას, სანამ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო სხვა რამეს არ დაადგენს.

3. *სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურები.* ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლოებში და ადმინისტრაციულ ორგანოებში ყველა პროცედურა გრძელდება ან გადაეცემა სხვა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს მათი კომპეტენციის განმსაზღვრელი კანონის შესაბამისად.

4. *სამსახურები.* შესაბამისი შეთანხმებით ან კანონით შეცვლამდე, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო ორგანოები, დაწესებულებები და სხვა ორგანოები იმართებიან შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. *ხელშეკრულებები.* 1992 წლის 1 იანვრიდან ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე რატიფიცირებული ხელშეკრულებები უნდა წარედგინოს პრეზიდენტის წევრებს თანამდებობის დაკავებიდან 15 დღის მანძილზე; ყოველი ამგვარი ხელშეკრულება, რომელიც წარდგენილ იქნება დენონსირებულ უნდა იქნეს. საპარლამენტო ასამბლეის პირველი შეკრებიდან ექვსი თვის განმავლობაში პრეზიდენტის რომელიმე წევრის მოთხოვნით საპარლამენტო ასამბლეამ უნდა განიხილოს დენონსირებულია თუ არა სხვა ამგვარი ხელშეკრულებები.

დეკლარაცია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სახელით
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა ამტკიცებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას საერთო ჩარჩო შეთანხმების IV დანართთან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკისთვის.

დეკლარაცია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის სახელით
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია მისი შემადგენელი ხალხისა და მოქალაქეთა სახელით ამტკიცებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას საერთო ჩარჩო შეთანხმების IV დანართთან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისთვის.

დეკლარაცია სერბეთის რესპუბლიკის სახელით
სერბეთის რესპუბლიკა ამტკიცებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას საერთო ჩარჩო შეთანხმების IV დანართთან სერბეთის რესპუბლიკისთვის.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია არის დეიტონში, ოპაოში 1995 წლის 21 ნოემბერს წარდგენილი დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ტექსტის IV დანართი.



გერმანია



ზოგადი ცნობარი შესავალი

ჩენი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბოლომდე თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე სახელმწიფო არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც ფრანკების წინამძღოლმა კლოვისმა დაამარცხა რომაელები, მან შექმნა სამეფო, რომელშიც შედიოდა გალეთის ნაწილი და სამხრეთ-დასავლეთ გერმანია. კარლ დიდმა თავის იმპერიაში გააერთიანა საქსონიური, ბავარიული, რეინის, ფრაკონიული და სხვა მიწები. თუმცა, მისი სიკვდილის შემდეგ, დიადი იმპერია დაიშალა, მის აღმოსავლეთ ნაწილზე კი წარმოიშვა გერმანიის იმპერია.

XII საუკუნის შუა წლებში გერმანიის იმპერიის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. XVI საუკუნის დასაწყისში მოხდა გერმანიის გახლეჩა რელიგიური პრინციპით. 30-წლიანი ომის შედეგად გერმანია გაიყო რამდენიმე ათეულ საფეოდალოდ და სამეფოდ, მათ შორის ყველაზე გავლენიანი იყო პრუსია. პრუსიის კანცლერმა ოტტო ფონ ბისმარკმა ფაქტიურად აღადგინა გერმანიის იმპერია და პრუსიის მეფე - ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორად (კაიზერად) გამოაცხადა. გერმანიის იმპერიამ თავისი განვითარების პიკს მიაღწია 1914 წლისათვის. თუმცა, პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ და ვერსალის 1919 წლის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად, ქვეყანამ დაკარგა თავისი მიწების ნაწილი და დაეკისრა უზარმაზარი კონტრიბუცია. 1919 წელს გერმანია გამოცხადდა რესპუბლიკად და ეწოდა ვაიმარის რესპუბლიკა, რომელმაც 1933 წლამდე იარსება.

ჰიტლერის მმართველობის წლებში გერმანიამ განახორციელა რაინის ოლქის რემილიტარიზაცია, დაიპყრო ავსტრია და ჩეხოსლოვაკეთის ნაწილი. 1939 წელს პოლონეთზე თავდასხმით გერმანიამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც დამარცხდა. 1945 წელს გერმანია ოკუპირებულ იქნა მოკავშირეების ჯარების მიერ, რომლებმაც გერმანია დაყვეს 4 სექტორად. მოგვიანებით ფრანგული, ბრიტანული და ამერიკული სექტორების ტერიტორიებზე შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო, საბჭოთა სექტორის ტერიტორიაზე – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1949 წელს გერმანია გაიყო ორ სახელმწიფოდ, ხოლო ბერლინი – ორ სექტორად.

ამ სახელმწიფოებმა 1990 წლის 3 ოქტომბრამდე იარსება, როცა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია გაერთიანდა.

გერმანია არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ყველა სპეციალიზირებული სააგენტოს, ასევე ევროპული კავშირის, ევროპის საბჭოს, ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა; აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პოლონეთი, ჩეხეთი, დასავლეთიდან – ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ჩრდილოეთიდან - დანია, სამხრეთიდან – შვეიცარია და ავსტრია.

ფართობი: სულ: 357,021 კმ²; ხმელეთი: 349,223 კმ²; წყალი: 7,798 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, მურა ნახშირი, ბუნებრივი გაზი, რკინის მადანი, სპილენძი, ნიკელი, ურანი, მარილი, სამშენებლო მასალები, ხე-ტყე, სახნავი მიწები.

მოსახლეობა

მოსახლეობა: 82,422,299 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 14.1% (მამაკაცი - 5,973,437; ქალი - 5,665,971)

15-64 წლის: 66.4% (მამაკაცი - 27,889,936; ქალი - 26,874,858)

65 და ზემოთ: 19.4% (მამაკაცი - 6,602,478; ქალი - 9,415,619) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.02 (2006);

შობადობა: 8.25 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 10.62 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 2.18 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 78.8 წელი; მამაკაცები: 75.81 წელი; ქალები: 81.96 წელი (2006).

მოქალაქეობა: გერმანიის

ეთნიკური ჯგუფები: გერმანელი 91.5%, თურქი 2.4%, სხვები (ძირითადად ბერძნები, იტალიელები, პოლონელები, რუსები, სერბები, ხორვატები, ესპანელები) 6.1%.

რელიგია: პროტესტანტები 34%, რომაული კათოლიკები 34%, მუსლიმანები 3.7%, სხვები 28.3%.

ენა: გერმანული

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის 99%; მამაკაცები 99%; ქალები 99%.

შენიშვნა: განსაზღვრებად მიჩნეულია 15 წლის ზევით ასაკის მქონე პირთა მიერ წერა-კითხვის ცოდნა.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი დასახელება: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

შემოკლებული დასახელება: გერმანია

ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: „ბუნდესრეპუბლიკ დოიჩლანდ“

ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: „დოიჩლანდ“

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო ფედერაციული რესპუბლიკა

დედაქალაქი: ბერლინი

ადმინისტრაციული ერთეულები: 13 ფედერალური მიწა და 3 თავისუფალი ქალაქი: ბადენ-ვიურტენბერგი, ბავარია, ბერლინი, ბრანდენბურგი, ბრემენი, ჰამბურგი, ჰესსენი, მეკლენბურგი-ფორპომერნი, ქვემო საქსონია, ჩრდილოეთ-რეინ ვესტფალია, რეინანდ-ჰვალცი, საარლანდი, საქსონია, საქსონია-ანჰალტი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ტიურინგია.

დამოუკიდებლობა: 1871 წლის 18 იანვარი (გერმანიის ტერიტორიაზე არსებული დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ). 1949 წლის 23 მაისს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საოკუპაციო ზონების ტერიტორიაზე შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ, დასავლეთ გერმანია). ამავე წლის 7 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მიერ მართულ ოკუპირებულ

ზონაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ, აღმოსავლეთ გერმანია). 1990 წლის 3 ოქტომბერს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანია გაერთიანდა.

ეროვნული დღესასწაული: გერმანიის გაერთიანების დღე, 3 ოქტომბერი (1990);

აღმასრულებელი ხელისუფლება: სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი პორსტ კიოლნერი (2004 წლის 1 ივლისიდან). მთავრობის მეთაური - კანცლერი ანგელა მერკელი (2005 წლის 22 ნოემბრიდან).

სამინისტროები: საგარეო საქმეთა სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კვების, სოფლის მეურნეობისა და სატყეო სამინისტრო; ოჯახის, მოხუცებულების, ქალებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ჯანმრთელობის სამინისტრო; გარემოს, ბუნების დაცვის და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტრო; ტრანსპორტის, მშენებლობისა და საქალაქო განვითარების სამინისტრო; ვაჭრობისა და ტექნოლოგიის სამინისტრო; სავაჭრო თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: გერმანიაში არსებობს ორპალატიანი პარლამენტი. ქვედა პალატა – ბუნდესტაგი აირჩევა 4 წლის ვადით, შერეული სისტემით. ბუნდესტაგი იქმნება პარტიული პრინციპით. ზედა პალატა – ბუნდესრატი შედგება მიწების მთავრობების მიერ წარმოდგენილი (3-დან 6 წევრამდე, მიწის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით) წევრებისაგან.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ალიანსი 90/მწევანეები, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ქრისტიან-სოციალური კავშირი, თავისუფალი დემოკრატიული პარტია, მემარცხენე პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ეკონომიკამ არნახული წინსვლა განიცადა და დღესდღეობით ეკონომიკური განვითარების მიხედვით, იგი მსოფლიოს ხუთ ყველაზე განვითარებულ

სახელმწიფოში შედის. ეკონომიკის რამდენიმე დარგში (ქიმიური მრეწველობა, ავტომობილების წარმოება, ელექტროტექნიკური წარმოება, შავი მეტალურგია) გერმანული ფირმები მსოფლიოს 10 უმსხვილესი კორპორაციების რიცხვში შედიან. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ფირმები „სიმენსი“ და „რობერტ ბოში“ აწარმოებენ მსოფლიო ელექტროტექნიკური პროდუქციის 20%-ს, საავტომობილო წარმოებაში „დაიმლერ-ბენცი“ და „ფოლკსვაგენი“ - 15%-ს, ქიმიურ მრეწველობაში წამყვანი პოზიციები უკავიათ ფირმებს „ბაიერი“ და „ბასფი“, შავ მეტალურგიაში „ტისსენის“ და „მანნესმანის“ წილზე მოდის მთელი მსოფლიო გაყიდვების 20%. მსუბუქ მრეწველობაში მსოფლიოს 10 უმსხვილეს ფირმებს შორისაა სპორტული ნაწარმის მწარმოებელი ფირმა „ადიდასი“.

გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია. გერმანიის ექსპორტის 55% მოდის ისეთ დარგებზე, როგორცაა ავტომობილების წარმოება, ქიმიური პროდუქცია და ელექტროტექნიკური საქონელი. მზა ქიმიური პროდუქციის ექსპორტში გერმანულ ფირმებს უკავიათ პირველი ადგილი მსოფლიოში (17%), ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტში – მე-4. გერმანია, ასევე მსოფლიოს უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს (მე-2 ადგილი მსოფლიოში).

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$2.504 ტრილიონი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 0.9% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$30,400 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორები: სოფლის მეურნეობა – 1.1%; მრეწველობა: 28.6%; მომსახურება: 70.3% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არსებობს

ბიჯეტი: შემოსავალი \$1.249 ტრილიონი; გასავალი \$1.362 ტრილიონი.

ექსპორტი: \$1.016 ტრილიონი

საექსპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები, ქიმიური ნივთიერებები, საკვები პროდუქტები, ლითონი, ტექსტილი

ექსპორტის პარტნიორები: საფრანგეთი 10.3%, აშშ 8.8%, იტალია 7.2%, ნიდერლანდები 6.2%, ბელგია 5.6%, ავსტრია 5.4%, ესპანეთი 5% (2004).

იმპორტი: \$801 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები, ქიმიური ნივთიერებები, ლითონი, საკვები პროდუქტები, ტექსტილი.

იმპორტის პარტნიორები: საფრანგეთი 9%, ნიდერლანდები 8.3%; აშშ 7%, იტალია 6.1%, დიდი ბრიტანეთი 5%, ჩინეთი 5.6%, ბელგია 4.9%, ავსტრია 4.2% (2004);

საგარეო ვალი: \$3.626 ტრილიონი (2005);

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$5.6 მილიარდი (1998);

ვალუტა: ევრო (EUR).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციონალიზმის ისტორია სათავეს იღებს გერმანიაში XIX საუკუნის 40-იანი წლების რევოლუციური მოძრაობიდან. მას შემდეგ, რაც პრუსიის მეფე ფრიდრიჰ-ვილჰელმ IV-ისგან მიიღეს უარი კონსტიტუციის მიღებაზე, პრუსიის მთავრობამ და გერმანიის კავშირის წევრი სხვა გერმანული სახელწიფოების მთავრობებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, მოეწიათ საკავშირო სეიმი, რომელმაც თავისმხრივ გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში მოიწვია ორგანო, რომელიც შედგებოდა პროვინციების ლანდტაგების წარმომადგენლებისგან და მიიღო გადაწყვეტილება, კონსტიტუციის შემუშავების მიზნით, საყოველთაო არჩევნების საფუძველზე, გერმანიის ეროვნული კრების მოწვევის შესახებ.

აღნიშნული კრების მიერ 1849 წელს შემუშავებულ იქნა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიაში კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას. მონარქიას მართავდა იმპერატორი, რომლის ძალაუფლებაც მემკვიდრეობით გადადიოდა. საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა ორპალატიანი საკანონმდებლო კრება, მინისტრები პასუხისმგებნი იყვნენ მის წინაშე, ასევე აღიარებული იყო დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები. ეს კონსტიტუცია ძალაში არ შესულა, ვინაიდან, ფრიდრიჰ-ვილჰელმ IV-ემ ჩაახშო რევოლუცია და დაშალა ეროვნული კრება.

მიუხედავად ამისა, პრუსიის მეფემ ანგარიში გაუწია ქვეყანაში არსებულ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას და მაინც მიიღო კონსტიტუცია, მაგრამ სხვა რედაქციით. მას მეფის მიერ „ნაჩუქარ კონსტიტუცია“-ს უწოდებენ, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა გერმანიის ეროვნული კრების მიერ შემუშავებული ე.წ. „ფრანკფურტის კონსტიტუციისაგან“. კერძოდ, კონსტიტუციის მიხედვით, მეფეს გააჩნდა როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლება. მას ჰქონდა აბსოლუტური ვეტოს, პარლამენტის დათხოვნის უფლება და სხვ. ქვეყანაში ფორმალურად არსებობდა ორპალატიანი პარლამენტი, რომლის პირველი პალატის წევრები ინიშნებოდნენ მეფის მიერ სამუდამოდ. მეორე პალატა აირჩეოდა ორეტაპიანი საარჩევნო სისტემის საფუძველზე: პირველ ეტაპზე ამომრჩევლები ირჩევდნენ ე.წ. „ამომრჩევლებს“, რომლებიც შემდგომ, უკვე უშუალოდ ირჩევდნენ პარლამენტის დეპუტატებს.

გერმანიის კონსტიტუციონალიზმის განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება გერმანიის ტერიტორიაზე არსებული მრავალი ათეული გერმანული სახელმწიფოს ერთ სახელწიფოდ გაერთიანებას (1870-1871 წწ), რის საფუძველზეც 1871 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. მის შესაბამისად, გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა 22 სახელმწიფო და 3

თავისუფალი ქალაქი. ამ სახელმწიფოებს მიენიჭათ გარკვეული დამოუკიდებლობა. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაური იყო პრუსიის მეფე, რომელის ფლობდა იმპერატორის ტიტულს. იგი იყო შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავდა მოხელეებს და მთავრობის მეთაურს – კანცლერს. ასევე ფუნქციონირებდა ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატის – საკეპირო საბჭოს (ბუნდესრატის) წევრები ინიშნებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობების მიერ. იგი ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, ახორციელებდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას და ქვედა პალატისგან დამოუკიდებლად და მის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდაც კი, იღებდა კანონის ძალის მქონე ბრძანებებს. ქვედა პალატა – რაიხსტაგი თავდაპირველად აირჩეოდა 3, ხოლო შემდგომ – 5 წლით. მართალია რაიხსტაგი მონაწილეობდა საკანონმდებლო პროცესში, მაგრამ მისი ძალაუფლება უმნიშვნელო იყო, ვინაიდან საბოლოო სიტყვა ბუნდესრატს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ზედა პალატას შეეძლო ქვედა პალატის ვადამდე დათხოვნა. ამგვარად, მართალია, გერმანიის იმპერიის 1871 წლის კონსტიტუციით აღიარებული იყო ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებად, მაგრამ, ამავე დროს, არ იყო შექმნილი ხელისუფლების შტოების ურთიერთგაწონასწოების სისტემა, რაც ხელისუფლების დემოკრატიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

გერმანიის შემდგომი, ე.წ. „კაიმარის კონსტიტუცია“ 1919 წლით თარიღდება. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წ.წ.) გერმანიის დამარცხების შედეგად რევოლუციის გამარჯვებისა და მეფის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, დროებითმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ჩაატარა სადამფუძნებლო კრების არჩევნები, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა გერმანიის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. აღნიშნული კრება მოწვეულ იქნა ქალაქ კაიმარში 1919 წელს, რომელმაც მიიღო კონსტიტუცია. ამ უკანასკნელმა გერმანია გარდაქმნა ბურჟუაზიულ საპარლამენტო რესპუბლიკად, რომლის სათავეშიც იდგა პრეზიდენტი. თუმცა, შენარჩუნებული იქნა სახელწოდება „გერმანიის იმპერია“. უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ფაქტობრივად ახორციელებდა რაიხსტაგი, თუმცა იგი მხოლოდ პარლამენტის ქვედა პალატა იყო, რომელიც 4 წლის ვადით, ფარული და პირდაპირი არჩევნების გზით აირჩეოდა. ზედა პალატა – რაიხსრატი შედგებოდა მიწების წარმომადგენლებისგან. პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, სადაო საკითხს წყვეტდა რესპუბლიკის პრეზიდენტი: იგი ან ეთანხმებოდა რაიხსრატს ან სადაო საკითხი გამოჰქონდა რეფერენდუმზე. სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა 18 მიწა, მათ შორის 15 რესპუბლიკა და 3 „თავი-

სუფალა ქლაქი“, რომელთაც გააჩნდათ ავტონომია. თითოეულ მიწას ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა.

ვაიმარის კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ისევე როგორც რაიხსტაგი, პრეზიდენტიც აირჩეოდა საყოველთაო არჩევნების გზით. მისი ხელისუფლება, მრავალ ასპექტში, უთანაბრდებოდა მონარქის ხელისუფლებას, რაც მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებაში გამოიხატებოდა. კონსტიტუცია ხაზს უსვამდა მთავრობის ხელმძღვანელის – კანცლერის თანამდებობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მას ევალებოდა პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ფორმირება. კონსტიტუციით აღიარებული იყო ასევე ადამიანის გარკვეული უფლებები.

ვაიმარის რესპუბლიკამ მხოლოდ 14 წელი იარსება, ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1933 წლიდან, რადიკალურად შეიცვალა გერმანიის სახელმწიფოებრივი განვითარების გზა. მართალია, ამ დროს ახალი კონსტიტუცია არ ყოფილა მიღებული, მაგრამ მასში მრავალი ცვლილება შევიდა და გამოცემულ იქნა რამდენიმე კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი (დეკრეტი), რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის და მმართველობის საფუძვლები, რაც უფლებების შეზღუდვასა და მართველობის დემოკრატიული ელემენტების გაუქმებაში გამოიხატა. გაუქმდა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა და მთელი სახელმწიფო ხელისუფლება მოექცა მთავრობის ხელში, რომელსაც ხელმძღვანელობდა საპუდამოდ დანიშნული ფიურერი. იგი არავის წინაშე არ იყო პასუხისმგებელი და უფლება ჰქონდა დაენიშნა საკუთარი მემკვიდრე. რაიხსტაგი გადაიქცა ფიქტიურ ორგანოდ. გაუქმდა მიწებად ქვეყნის ტრადიციული დაყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობა და შემოღებულ იქნა მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა.

II მსოფლიო ომში (1939-1941 წ.წ.) დამარცხების შემდეგ, 1948 წლის ლონდონის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, გერმანიის ტერიტორიაზე არსებულ ოთხ საოკუპაციო ზონაში 1949 წელს შეიქმნა ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფო (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ორივე გერმანულ სახელმწიფოში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლებიც, მათ მიერ არჩეული სახელმწიფოებრივი განვითარების კურსის შესაბამისად, არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა 1948 წელს აღმოსავლეთ გერმანიის სახალხო კონგრესის მიერ არჩეული ე.წ. გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ და მიღებულ იქნა 1949 წელს. გდრ-ის კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარ-

მოადგენდა 400 დეპუტატისგან შემდგარი სახალხო პალატა, რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით. იგი ფრაქციული პრინციპის გათვალისწინებით ირჩევდა პრეზიდენტს. მიწების წარმომადგენლობას ახორციელებდა მიწების პალატა, რომელსაც ირჩევდა ადგილობრივი ლანდტაგი. ორივე პალატის უფლებამოსილებაში შედიოდა პრეზიდენტის არჩევა, რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით. მთავრობა ყალიბდებოდა ძლიერი ფრაქციების წარმომადგენლებისგან. 1952 წელს კონსტიტუციაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, ლიკვიდირებულ იქნა ქვეყნის ისტორიული დაყოფა მიწებად და შემოღებულ იქნა გდრ-ის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 14 ოლქად და 217 რაიონად. გაუქმდა მიწების პალატები და ლანდტაგები.

გდრ-ის კონსტიტუციამ იარსება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანებამდე, 1990 წლის 3 ოქტომბრამდე, როდესაც გდრ-ამ, როგორც იურიდიულმა და საერთაშორისო სამართლებრივმა სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ყოფილი დასავლეთ გერმანიის ძირითადი კანონის, რომელიც დღესდღეობით გაერთიანებული გერმანიის კონსტიტუციას წარმოადგენს, შექმნა დასავლეთ ოკუპირებულ ზონებში არსებული მიწების პრემიერ-მინისტრებს დაავალეს აღნიშნული ზონების მმართველმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო გუბერნატორებმა. პრემიერ-მინისტრების დაავლებით, აღნიშნული პროექტი მომზადდა გერმანელი საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტებისგან შემდგარი კოლეგიის მიერ, რის შემდგომაც იგი განხილულ იქნა მიწების ლანდტაგების მიერ არჩეულ დეპუტატთაგან შემდგარ საპარლამენტო საბჭოში. 1949 წლის 8 მაისს საპარლამენტო საბჭომ ქალაქ ბონში მიიღო ძირითადი კანონის – ე.წ. „ბონის კონსტიტუციის“ პროექტი და რატიფიკაციისათვის გადასცა მიწების ლანდტაგებს. 1949 წლის 16-21 მაისს იგი ყველა მიწის პარლამენტმა დაამტკიცა გარდა ბავარიისა. 1949 წლის კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1949 წლის 23 მაისს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ძირითადი კანონი თავდაპირველად მიიღებოდა, როგორც დროებითი აქტი, რის შესახებ შესაბამისი დებულება აისახა კონსტიტუციის 146-ე მუხლში, რომლის მიხედვით, არსებული ძირითადი კანონი, რომელიც გერმანიის ერთიანობისა და თავისუფლების მიღწევის შემდეგ მოქმედებს მთელი გერმანელი ხალხისთვის, შეწყვეტს თავის მოქმედებას იმ დღეს, როდესაც ძალაში შევა გერმანელი ხალხის მიერ თავისუფალი გადაწყვეტილებით მიღებული კონსტიტუცია.

ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის საკმაოდ მარტივი პროცედურაა დადგენილი: იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ სპეციალური კონსტიტუციური კანონით, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს როგორც ბუნდესტაგის, ასევე ბუნდესრატის წევრთა 2/3-მა.

არ შეიძლება გადაინიშნოს კონსტიტუციით აღიარებული შემდეგი პრინციპები: ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, ხელისუფლების დანაწილება, დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები და სხვ.

გერმანიის ძირითადი კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე მასში შეტანილი იქნა 100-ზე მეტი ცვლილება. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე 1990 წლის 23 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებები.

კონსტიტუციის ანალიზი გერმანიის კონსტიტუციას „ძირითადი კანონი“ ეწოდება. იგი შედგება პრეამბულის, 11 ნაწილისა და 146 მუხლისგან. მას ასევე გააჩნია ორი დანართი, პირველ დანართში მოცემულია 5 მუხლი გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს ე.წ. „ვაიმარის კონსტიტუციიდან“, ხოლო მეორე დანართში – 2 მუხლი გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებიდან. გერმანიის ძირითადი კანონის ნორმები, სხვა ქვეყნების კონსტიტუციური ნორმებისგან განსხვავებით, საკმაოდ მოცულობითია და ამა თუ იმ საკითხს ფართოდ აშუქებს.

გერმანიის ძირითადი კანონი აგებულია ტრადიციული სქემით. ტექსტი იწყება ადამიანის პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალით. აღნიშნულ უფლებებს „ძირითად უფლებები“ ეწოდება, რითაც ხაზი ესმება მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ძირითადი უფლებების პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.

ძირითადი კანონი გარკვეულ შემთხვევებში ითვალისწინებს ზოგიერთი ძირითადი უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას. კერძოდ, პირს აღნიშნული უფლებები შეიძლება ჩამოერთვას აზრის გამოთქმის თავისუფლების, განსაკუთრებით, პრესის, სწავლების, შეკრების, გაერთიანების თავისუფლების, მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოების, საკუთრების უფლების ან თავშესაფრის უფლების თავისუფალი, დემოკრატიული წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ საბრძოლველად ბოროტად გამოყენებისას. უფლებების ჩამორთმევის საკითხს და მის მოცულობას განსაზღვრავს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

გერმანიის სახელმწიფო წყობის ფორმას გამოხატავს თავად სახელმწიფოს სახელწოდება „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“. გერმანია შედ-

გება 16 თანაბარი უფლებების მქონე მიწისგან (მათ შორის 3 ე.წ. „თავისუფალი ქალაქია“). მიწებს გააჩნიათ საკუთარი ხელისუფლების ორგანოები და კონსტიტუცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითადი კანონით განსაზღვრული რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპებს.

ძირითადი კანონი ღიდ ყურადღებას უთმობს ფედერაციისა და მიწების ფინანსური ურთიერთობის საკითხებს. განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს საფინანსო კანონმდებლობის და გადასახადების ადმინისტრირების სფეროში, კონკრეტულად ადგენს იმ გადასახადების ჩამონათვალს, რომელთა შემოსავალიც ეკუთვნის ფედერაციას, განსაზღვრავს ფედერაციის, მიწების და თემების წილებს სხვა გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში. იგი ითვალისწინებს ფედერალური საანგარიშო პალატის არსებობას, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკურ და საბიუჯეტო სფეროში რენტაბელურობისა და მართლზომიერების კონტროლი.

ძირითადი კანონი ღიდ ყურადღებას უთმობს ფედერაციისა და მიწების შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებს. იგი განსაზღვრავს ფედერაციის განსაკუთრებულ და მიწების საკანონმდებლო კომპეტენციას. კონსტიტუციის მიხედვით, მიწებს საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვთ იმდენად, რამდენადაც იგი ძირითადი კანონით ფედერაციის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება. ამასთან, ფედერალური კანონით მიწებს საკანონმდებლო კომპეტენცია შეიძლება მიენიჭოთ ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროშიც. რაც შეეხება კონკურენციულ კანონმდებლობას, მიწებს კონკურენციულ კანონმდებლობის სფეროში შემავალი საკითხების დარეგულირება შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ფედერაცია არ სარგებლობს თავისი საკანონმდებლო კომპეტენციით.

ძირითადი კანონი ასევე განსაზღვრავს ფედერაციისა და მიწების საერთო ამოცანების სფეროს. ფედერაცია და მიწები ერთობლივად ასრულებენ ამოცანებს, რომელთაც აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და რომელთა შესრულებაშიც ფედერაციის მონაწილეობა აუცილებელია ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ ძირითად კანონში უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტებიდან გათვალისწინებულია სავალდებულო ძალის მქონე რეფერენდუმი, საკონსულტაციო ხასიათის სახალხო გამოკითხვა და სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ფედერაციის ტერიტორიის ცვლილების საკითხს.

გერმანია წარმოადგენს კლასიკური ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკას, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება აგებულია ხელისუფლების დანაწილების

სქემის მიხედვით, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად.

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო – პარლამენტი შედგება ორი პალატის – ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისგან. ძირითადი კანონის მიხედვით, ბუნდესტაგი არის გერმანიის სახალხო წარმომადგენლობის ორგანო, რომელიც აირჩევა თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად დადგენილია მხოლოდ ასაკობრივი ცენზი. დეპუტატები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით, არ არიან შეზღუდული დავალებებით და მითითებებით და ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სინდისს.

ბუნდესტაგის წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მათი სამართლებრივ-სოციალური გარანტიები. დეპუტატები სარგებლობენ იმუნიტეტით. ბუნდესტაგში ან რომელიმე კომიტეტში ხმის მიცემის ან გამონათქვამების გამო დაუსუბებელია მათი დევნა სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით, ან სხვაგვარად პასუხისგებაში მიცემა ბუნდესტაგის გარეთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმუნიტეტი არ ვრცელდება ცილისმწამებლურ შეურაცხყოფებზე. დეპუტატებს ასევე უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მათ, როგორც დეპუტატებს, ან რომლებმაც მათ, როგორც დეპუტატებს, მიაწოდეს რაიმე ფაქტები, ისევე როგორც თვით ასეთი ფაქტების თაობაზე.

ბუნდესტაგის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, ფედერალური კანცლერის არჩევა და ფედერალური მთავრობის კონტროლი. საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, ბუნდესტაგი უფლებამოსილია შექმნას კომიტეტები. ძირითად კანონში განსაზღვრულია რამდენიმე კომიტეტი, რომლებიც აუცილებლად უნდა შეიქმნას. ესენია: ევროპული კავშირის კომიტეტი, საგარეო საქმეთა კომიტეტი და პეტიციის საკითხთა კომიტეტი. ასევე, საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას ძირითადი უფლებების დასაცავად, დამხმარე ორგანოს სახით, ბუნდესტაგი ნიშნავს ბუნდესტაგის წარმომადგენელს თავდაცვის საკითხებზე.

ძირითადი კანონი ითვალისწინებს მხოლოდ პარლამენტის ქვედა პალატის – ბუნდესტაგის დათხოვნის შესაძლებლობას პრეზიდენტის მიერ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ფედერალური კანცლერის კანდიდატურა ბუნდესტაგში განმეორებითი კენჭისყრის შემდეგაც ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, ან თუ ფედერალური კანცლერის მიმართვა მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ ვერ მოიპოვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას.

კანონპროექტები ბუნდესტაგში შეიტანება ფედერალური მთავრობის, ბუნდესრატის ან ბუნდესტაგის მიერ. ფედერალური მთავრობის კანონპროექტები თავდაპირველად უნდა წარედგინოს ბუნდესრატს.

ძირითადი კანონის მიხედვით, პრეზიდენტს, მთავრობის წინადადებით, შეუძლია გარკვეული პირობების არსებობისას, ბუნდესტაგის მიერ უარყოფილ კანონპროექტებთან მიმართებით, გამოაცხადოს ე.წ. „საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობა“, რომლის მოქმედების პერიოდშიც, თუ ბუნდესტაგი ისევ უარყოფს კანონპროექტს, ან მიიღებს მას ფედერალური მთავრობისათვის მიუღებელი რედაქციით, კანონის ძალაში შესვლისათვის საკმარისია მისი დამტკიცება ბუნდესრატის მიერ.

ბუნდესრატი არის გერმანიის პარლამენტის ზედა პალატა. მისი დაკომპლექტების წესიდან და შეზღუდული კონსტიტუციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ბუნდესრატს არც კი მიიჩნევს პარლამენტის პალატად, თუმცა, ამ პალატას გააჩნია ზოგიერთი ბერკეტი, რის გამოც შესაძლებელია მისი საკანონმდებლო უფლებამოსილების მქონე ორგანოდ განხილვა. ბუნდესრატის ფორმირების წესი განსხვავდება ბუნდესტაგის ფორმირების წესისგან. იგი შედგება მიწების მთავრობების მიერ დანიშნული წევრებისაგან. ძირითადი კანონი მის წევრთა საერთო რაოდენობას არ განსაზღვრავს. მასში მიწების წარმომადგენელთა რაოდენობა დამოკიდებულია მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე. ყოველ მიწას ჰყავს 3-დან 6 წარმომადგენელამდე. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წარმომადგენელი ჰყავს მიწას, მათ მიერ მიცემული ხმა ერთ ხმად ითვლება.

ბუნდესრატი გადაწყვეტილებებს იღებს არანაკლებ ხმების უმრავლესობით.

გარდა ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისა, გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს ერთობლივი კომიტეტის არსებობასაც. კომიტეტის 2/3 შედგება ბუნდესტაგის, ხოლო 1/3 – ბუნდესრატის წევრებისაგან. აღნიშნული კომიტეტი თავდაცვის მდგომარეობის დროს ცვლის ბუნდესტაგს და ბუნდესრატს და ერთიანი ორგანოს სახით ახორციელებს მათ უფლებამოსილებებს.

გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით სპეციალურად ამ მიზნით შეკრებილი ორგანოს – ფედერალური კრების მიერ ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი გერმანელი, რომელსაც აქვს ბუნდესტაგში არჩევის უფლება. ფედერალური კრება შედგება ბუნდესტაგის წევრებისაგან და მიწების სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ამავე რაოდენობის წევრებისაგან.

პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, ქვეყნის სახელით დებს ხელშეკრულებებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, ახდენს ელჩების აკრედიტაციას და მიღებას, თუ კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული, ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებს, ფედერალურ მოხელეებს და სხვ. ახორციელებს შეწყალების უფლებას, კანონების გამოქვეყნებამდე ამოწმებს კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის საკითხს.

პრეზიდენტის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი ფუნქციაა ბუნდესტაგისათვის ფედერალური კანცლერის კანდიდატურის წარდგენა, ხოლო შემდგომ კანცლერის წინადადებით – ფედერალური მინისტრების დანიშვნა. პრეზიდენტი ასევე უფლებამოსილია ბუნდესტაგის მიერ კანცლერისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანცლერის წინადადებით დაითხოვოს ბუნდესტაგი.

ძირითადი კანონი ითვალისწინებს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას. კერძოდ, ბუნდესტაგს ან ბუნდესრატს შეუძლიათ, პრეზიდენტის მიერ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოში აღძრან ბრალდება პრეზიდენტის წინააღმდეგ. ეს წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესტაგის ან ბუნდესრატის წევრთა არანაკლებ 1/4-ის სახელით. გადაწყვეტილება ბრალდების წაყენების თაობაზე მიიღება ბუნდესტაგის წევრთა 2/3-ის ან ბუნდესრატის ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდულია პრეზიდენტის მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემისას მისი პასუხისმგებლობა. ძირითადი კანონის მიხედვით, პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები საჭიროებს კანცლერის ან შესაბამისი კომპეტენტური მინისტრის თანახელმძღვანელებს.

გერმანიაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური მთავრობა, რომელიც შედგება კანცლერისა და მინისტრებისგან. მთავრობაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კანცლერი, რომელსაც პრეზიდენტის წინადადებით ირჩევს ბუნდესტაგი. კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პასუხისმგებელია მათზე. მთავრობა ახორციელებს ზედამხედველობას მიწების მიერ ფედერალური კანონების შესრულებაზე, ასევე მას შეიძლება მიენიჭოს უფლება, ფედერალური კანონების შესრულებასთან დაკავშირებით მიწების უმაღლეს ორგანოებს მისცეს კონკრეტული მითითებები.

საინტერესოა კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადების სამართლებრივი პროცედურა. ძირითადი კანონის მიხედვით, ბუნდესტაგს ფედერალური კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადება შეუძლია მხოლოდ მისი უფლებამონაცვლის არჩევის გზით.

გერმანიაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, ფედერალურ სასამართლებსა და მიწების სასამართლოებში განმწესებული მოსამართლეები.

სასამართლო ხელისუფლებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც შედგება ბუნდესტაგის და ბუნდესრატის მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული წევრებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით, მათ შორის აღსანიშნავია კონსტიტუციის განმარტება, ფედერალური სამართლის და მიწის სამართლის ძირითად კანონთა შესაბამისობის დადგენა, ფედერაციასა და მიწებს შორის დავების გადაწყვეტა. მას ასევე შეუძლია გააუქმოს პარლამენტების მიერ მიღებული კანონები, თუ ისინი არ შეესაბამება კონსტიტუციის არსს.

გერმანიაში საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროში მართლმსაჯულებას ახორციელებს სხვადასხვა სასამართლო. კერძოდ, არსებობს საერთო, ადმინისტრაციული, საფინანსო, შრომის სასამართლო და სოციალურ საკითხთა სასამართლო. აღნიშნული სასამართლოები იქმნება უმაღლესი სასამართლო პალატების სახით. მათ მოსამართლეებს ნიშნავს შესაბამის სფეროზე კომპეტენტური მინისტრი. გარდა ზემოაღნიშნული სასამართლოებისა, ფედერაციას შეუძლია შექმნას სასამართლო სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის საქმეებზე და სამხედრო-სისხლისსამართლებრივი სასამართლო.

ძირითადი კანონი ადგენს მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიებს. მუდმივად დანიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე თანამდებობიდან გადაყენება ან მათი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით და კანონით ზუსტად განსაზღვრულ საფუძველზე და წესით. ფედერალური მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება სპეციალური ფედერალური კანონით, ხოლო მიწების მოსამართლეების – მიწების სპეციალური კანონებით.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. გერმანიის ძირითადი კანონისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც გამომდინარეობს როგორც გერმანიის კონსტიტუციონალიზმის ტრადიციებიდან, ასევე გერმანიის ისტორიული და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებიდან. მათ შორის აღსანიშნავია:

– გერმანიის ძირითად კანონს აქვს 2 დანართი, რომლებშიც ასახულია გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუციისა და გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი;

– მიწების საკანონმდებლო კომპეტენციას განეკუთვნება ყველა საკითხი, რომელზეც ძირითადი კანონით არ ვრცელდება ფედერაციის უფლებამოსილება;

– ძირითადი კანონის დონეზე არის განსაზღვრული ბუნდესტაგში შესაქმნელი ზოგიერთი კომიტეტი;

– გერმანიის პრეზიდენტს ირჩევს სპეციალურად ამ მიზნით შეკრებილი ორგანო – ფედერალური კრება;

– პრეზიდენტს შეუძლია გამოაცხადოს „საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობა“ და მთავრობას მისცეს შესაძლებლობა, ბუნდესტაგის გვერდის ავლით, მხოლოდ ბუნდესრატის თანხმობით მიიღოს სასურველი კანონი;

– ბუნდესტაგის მიერ ფედერალური კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადებისას აუცილებელია მისი უფლებამონაცვლის წარდგენა;

– თავდაცვის მდგომარეობის დროს ბუნდესტაგის და ბუნდესრატის უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთობლივი კომიტეტი;

– გერმანიაში შექმნილია პოლისისტემური სასამართლო ხელისუფლება. არსებობს მართლმსაჯულების 6 შტო: საკონსტიტუციო, შრომის, ადმინისტრაციული, საფინანსო, სოციალურ საკითხთა და საერთო. გარდა ამისა, ძირითადი კანონი ასევე ითვალისწინებს სპეციალური სასამართლოების შექმნის შესაძლებლობასაც.

– ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის ე.წ. მოქნილი წესია დადგენილი. მისთვის საკმარისია პარლამენტის თითოეული პალატის წევრთა 2/3-ის თანხმობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი¹

მიღებულია 1949 წლის 23 მაისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1951, 1952, 1953, 1954, 1955,
1956, 1957, 1959, 1961, 1965, 1967, 1968, 1969, 1970,
1971, 1972, 1975, 1976, 1979, 1983, 1990, 1992,
1993, 1994, 1995, 1997, 1998,
2000, 2001, 2002 წლებში)

საპარლამენტო საბჭომ 1949 წლის 23 მაისს, ბონში, საჯარო სხდომაზე დაადგინა, რომ საპარლამენტო საბჭოს მიერ 1949 წლის 8 მაისს მიღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი მიღებულ იქნა 1949 წლის 16 მაისიდან 22 მაისამდე, თანამონაწილე გერმანული მიწების სახალხო წარმომადგებლობების ორ მესამედზე მეტის უმრავლესობით.

აღნიშნულის საფუძველზე საპარლამენტო საბჭომ, რომელსაც წარმოადგენდა პრეზიდენტი, შეადგინა და გამოაქვეყნა ეს ძირითადი კანონი.

145-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, ძირითადი კანონი ქვეყნდება ფედერალურ კანონთა ჟურნალში.

პრეამბულა

ღმერთისა და ადამიანების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით, შთაგონებული სურვილით, როგორც გაერთიანებული ევროპის თანასწორუფლებიანმა წევრმა, ემსახუროს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში, გერმანელი ხალხი, საკუთარი კონსტიტუციური სადამფუძნებლო ხელისუფლების საფუძველზე, იღებს ამ ძირითად კანონს.

გერმანელებმა ბადენ-ვიურტენბერგის, ბავარიის, ბერლინის, ბრემენის, ჰამბურგის, ჰესსენის, მეკლენბურგ-ვორპომერნის, ქვემო საქსონიის, ჩრდილოეთ-რეინ-ვესტფალიის, რეინლანდ-ფალცის, საარლანდის, საქსონიის, საქსონია-ანჰალტის, შლეზვიგ-ჰოლშტაინის და ტიურინგიის მიწებში,

თარგმანისას გამოყენებულია გერმანიის ბუნდესტაგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მისამართზე: www.bundestag.de/parlament/gesetze/gg_07_02.pdf გამოქვეყნებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის გერმანულენოვანი ოფიციალური ტექსტი და ფედერალური მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მისამართზე: www.bundesregierung.de/Anlage760204/Grundgesetz.pdf და www.bundesregierung.de/static/pdf/GG_engl_Stand_26_07_02.pdf გამოქვეყნებული მისი გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები.

თავისუფალი თვითგამორკვევის გზით მიღწიეს გერმანიის ერთიანობას და თავისუფლებას. აღნიშნულის შესაბამისად, ეს ძირითადი კანონი მოქმედებს მთელი გერმანელი ხალხისთვის.

I. ძირითადი უფლებები

მუხლი 1. (1) ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.

(2) აღნიშნულის შესაბამისად გერმანელი ხალხი ადამიანის ხელშეუხებელ და განუსხვისებელ უფლებებს აღიარებს, როგორც მსოფლიოში ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს.

(3) ქვემოთმოყვანილი ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის და მართლმსაჯულებისათვის.

მუხლი 2. (1) ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს.

(2) ყოველ ადამიანს გააჩნია სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია. აღნიშნულ უფლებებში ჩარევა შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 3. (1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

(2) მამაკაცები და ქალები თანასწორუფლებიანი არიან. სახელმწიფო ხელს უწყობს მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის რეალურ განხორციელებას და იღებს ზომებს არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

(3) არავის შეიძლება მიადგეს ზიანი ან მიენიჭოს უპირატესობა მისი სქესის, წარმომავლობის, რასის, ენის, დაბადების ადგილის ან წარმოშობის, რწმენის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

მუხლი 4. (1) რწმენის, სინდისის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების თავისუფლება ხელშეუხებელია.

(2) რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულების თავისუფლება გარანტირებულია.

(3) არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს, საკუთარი სინდისის საწინააღმდეგოდ, იარაღით ხელში იმსახუროს სამხედრო სამსახურში. დეტალებს აწესრიგებს ფედერალური კანონი.

მუხლი 5. (1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით და გამოსახულების საშუალებით და დაუბრკოლებლად შეიძინოს ცოდნა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. პრესის თავისუფლება და რადიოსა და კინოს საშუალებით ინფორმაციის მიღების თავისუფლება გარანტირებულია. ცენზურა არ არსებობს.

(2) აღნიშნული უფლებების საზღვრები დადგენილია ზოგადი კანონების ნორმებით, ახალგაზრდობის დაცვის შესახებ საკანონმდებლო დებულებებით და პიროვნული ღირსების უფლებით.

(3) ხელოვნება და მეცნიერება, კვლევა და სწავლება თავისუფალია. სწავლების თავისუფლება არ ათავისუფლებს კონსტიტუციისადმი ერთგულებისაგან.

მუხლი 6. (1) ქორწინება და ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

(2) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა წარმოადგენს მშობელთა ბუნებრივ უფლებას და მათ უპირატეს ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებას მეთვალყურეობს სახელმწიფო.

(3) ბავშვები, მათ აღზრდაზე უფლებამოსილი პირების ნების საწინააღმდეგოდ, საკუთარ ოჯახს შეიძლება დააშორონ მხოლოდ კანონის საფუძველზე, თუ მათ აღზრდაზე უფლებამოსილი პირები არ ასრულებენ საკუთარ ვალდებულებებს, ან თუ ბავშვები სხვა მიზეზების გამო შეიძლება დარჩნენ ზედამხედველობის გარეშე.

(4) ყოველ დედას აქვს უფლება, საზოგადოებისაგან მოითხოვოს დაცვა და მზრუნველობა.

(5) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფილი არიან მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების და საზოგადოებაში მათი მდგომარეობის ისეთივე პირობებით, როგორც ქორწინებაში დაბადებული ბავშვები.

მუხლი 7. (1) მთელი სასკოლო საქმე იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ.

(2) ბავშვების აღზრდაზე უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ ბავშვების რელიგიურ სწავლებებში მონაწილეობის საკითხი.

(3) რელიგიური სწავლება სახელმწიფო სკოლებში, გარდა არაკონფესიური სკოლებისა, წარმოადგენს სავალდებულო საგანს. სახელმწიფოს ზედამხედველობის უფლების დარღვევის გარეშე, რელიგიური სწავლება მიმდინარეობს რელიგიური გაერთიანებების პრინციპების შესაბამისად. არცერთ მას-

წავლებელს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ჩაატაროს რელიგიური სწავლება.

(4) კერძო სკოლების გახსნის უფლება გარანტირებულია. კერძო სკოლები, როგორც სახელმწიფო სკოლების შემცველი დაწესებულებები, საჭიროებენ სახელმწიფოს ნებართვას და ექვემდებარებიან ფედერალური მიწების კანონმდებლობას. ნებართვა უნდა გაიცეს, თუ კერძო სკოლები თავიანთი სასწავლო მიზნებითა და ორგანიზაციით, ასევე, მათი მასწავლებლების კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან სახელმწიფო სკოლებს და ხელს არ უწყობენ მოსწავლეების დიფერენცირებას მშობლების ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნებართვა არ უნდა გაიცეს, თუ მასწავლებლების ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი.

(5) კერძო სახალხო სკოლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო მმართველობა აღიარებს განსაკუთრებულ პედაგოგიურ ინტერესს ან თუ ბავშვების აღზრდაზე უფლებამოსილი პირების მოთხოვნით იგი დაარსდება, როგორც საზოგადოებრივი, კონფესიური ან მსოფლმხედველობრივი სკოლა და თუ ამასთან, ასეთი სახის საჯარო სახალხო სკოლა თემში არ არსებობს.

(6) მოსამზადებელი სკოლები აკრძალულია.

მუხლი 8. (1) ყველა გერმანელს აქვს უფლება წინასწარი შეტყობინების ან ნებართვის გარეშე შეიკრიბოს მშვიდობიანად და უიარაღოდ.

(2) ღია ცის ქვეშ შეკრებისათვის აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან კანონის საფუძველზე.

მუხლი 9. (1) ყველა გერმანელს აქვს უფლება შექმნას კავშირები და საზოგადოებები.

(2) აკრძალულია გაერთიანებები, რომელთა მიზნები ან საქმიანობა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონმდებლობას ან მიმართულია კონსტიტუციური წყობილების ან ხალხთა შორის ურთიერთგაგების იდეის წინააღმდეგ.

(3) ყოველი ადამიანისათვის და ყველა პროფესიის წარმომადგენლისათვის გარანტირებულია უფლება შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით შექმნას გაერთიანებები. შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავენ აღნიშნულ უფლებას ან ართულებენ მის განხორციელებას, ბათილია, ხოლო აღნიშნულის განსახორციელებლად მიმართული ზომები – კანონსაწინააღმდეგო. მე-12ა მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცების, 87ა მუხლის მე-4 აბზაცისა და 91-ე მუხლის შესაბამისად მიღებული

ზომები არ შეიძლება იყოს მიმართული იმ შრომითი აქციების წინააღმდეგ, რომლებიც პირველ წინადადებაში აღნიშნული გაერთიანებების მიერ ტარდება შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვის ან ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 10. (1) მიმოწერის საიდუმლოება, ასევე, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოება ხელშეუხებელია.

(2) შეზღუდვები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. თუ აღნიშნული შეზღუდვები ემსახურება თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების დაცვას ან ფედერაციის ან რომელიმე მიწის არსებობის დაცვას ან უზრუნველყოფას. ასეთ შემთხვევაში კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ ეცნობება მათ შესახებ და რომ სასამართლო წესით შემოწმების ნაცვლად, აღნიშნული შეზღუდვები შემოწმდება სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დანიშნული ორგანობისა და დამხმარე ორგანოების მიერ.

მუხლი 11. (1) ყველა გერმანელი სარგებლობს თავისუფალი გადაადგილების უფლებით მთელ ფედერალურ ტერიტორიაზე.

(2) აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს მის განსახორციელებლად საკმარისი პირობები და აღნიშნულის გამო მთელი საზოგადოებისათვის წარმოიშობოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, ან როდესაც ასეთი შეზღუდვები აუცილებელია იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან მიწის არსებობას, ან მათი თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, ან როდესაც შეზღუდვები აუცილებელია ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბუნებრივი კატასტროფების ან განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევების წინააღმდეგ ზომების მისაღებად, ახალგაზრდობის ზედამხედველობის გარეშე დარჩენისაგან დასაცავად ან დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 12. (1) ყველა გერმანელს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს პროფესია, სამუშაო ადგილი და განათლების მიღების ადგილი. პროფესიული განათლება შეიძლება დარეგულირდეს კანონით ან კანონის საფუძველზე.

(2) არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს შეასრულოს რაიმე განსაზღვრული სამუშაო, გარდა საყოველთაო და ყველასათვის თანაბარი საზოგადოებრივი ვალდებულებისა.

(3) იძულებითი შრომა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირისათვის თავისუფლების აღკვეთისას.

მუხლი 12 ^ა. (1) მამაკაცებს თერამეტი წლის ასაკიდან შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოში ან სამოქალაქო თავდაცვის კორპუსში.

(2) პირს, რომელიც სინდისის მოსახრებების გამო უარს აცხადებს იარაღით ხელში იმსახუროს სამხედრო სამსახურში, შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, იმსახუროს ალტერნატიულ სამსახურში. ალტერნატიულ სამსახურში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადაზე მეტი. დეტალებს არეგულირებს კანონი, რომელიც არ უნდა არღვევდეს სინდისის თავისუფლებას და ასევე, უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ალტერნატიული სამსახურის გავლის შესაძლებლობას, რომელიც არ არის დაკავშირებული შეიარაღებული ძალების და ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოს ნაწილებთან.

(3) სამხედრო ვალდებულებს, რომლებიც არ არიან გაწვეულნი სამხედრო სამსახურში პირველი და მე-2 აბზაცების შესაბამისად, თავდაცვის მდგომარეობის დროს, კანონით ან კანონის საფუძველზე, თავდაცვის მიზნებისათვის, მათ შორის, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით, შეიძლება დაეკისროთ გარკვეული შრომითი ურთიერთობები. ვალდებულების დაკისრება საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში დასაშვებია მხოლოდ პოლიციური ამოცანების ან საჯარო ადმინისტრაციის ისეთი უმაღლესი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების წესით. გარკვეული შრომითი ურთიერთობების შესრულების ვალდებულების შემოღებას პირველი წინადადების შესაბამისად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეიარაღებული ძალების მომარაგების სფეროში, ასევე, საჯარო ადმინისტრაციასთან. შრომითი ურთიერთობების დაკისრება სამოქალაქო მოსახლეობის მომარაგების სფეროში დასაშვებია მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებებზე სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ან მისი დაცვის უზრუნველსაყოფად.

(4) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს სანიტარიულ-სამკურნალო დაწესებულებების, ასევე, სტაციონარული სამხედრო ჰოსპიტალების მოთხოვნილება, მიიღონ სამოქალაქო მომსახურება, არ დაკმაყოფილდება ნებაყოფლობით საწყისებზე, კანონით ან კანონის საფუძველზე ასეთი სახის მომსახურების გასაწევად შეიძლება გაწვეულ იქნენ თერამეტიდან ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკის ქალები. მათ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება, იმსახურონ იარაღით ხელში.

(5) თავდაცვის მდგომარეობის წინა პერიოდში მე-3 აბზაცში აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ მე-80 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად. მე-3 აბზაცით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მოსამზადებლად, რაც საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და

უნარს, კანონით ან კანონის საფუძველზე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობის ვალდებულება. აღნიშნულ შემთხვევაში ამ აბზაცის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

(6) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს მე-3 აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ სფეროებში სამუშაო ძალის საჭიროება არ დაკმაყოფილდება ნებაყოფლობით საწყისებზე, აღნიშნული საჭიროების დასაფარად, კანონით ან კანონის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს გერმანელების თავისუფლება შეწყვიტონ პროფესიული საქმიანობა ან დატოვონ სამუშაო ადგილი. თავდაცვის მდგომარეობის დადგენამდე შესაბამისად მოქმედებს მე-5 აბზაცის პირველი წინადადება.

მუხლი 13. (1) საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია.

(2) ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსამართლის, ხოლო დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ასევე კანონებით გათვალისწინებული სხვა ორგანოების განკარგულებით და მხოლოდ აღნიშნული კანონებით დადგენილი წესით.

(3) თუ გარკვეული ფაქტიური მონაცემები ასაბუთებენ ვარაუდს, რომ პირმა ჩაიდინა კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, ასეთ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებების გამოძიება სხვა საშუალებებით გაცილებით მძიმე ან უშედეგო იქნებოდა, მოცემულ სამართალდარღვევასთან ბრძოლისათვის სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დასაშვებია აკუსტიკური თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმ საცხოვრებელ შენობებზე, რომლებშიც სავარაუდოდ იმყოფება ბრალდებული პირი. მიღებული ზომები შეზღუდული უნდა იყოს გარკვეული ვადით. განკარგულება გაიცემა სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში განკარგულება შეიძლება გასცეს ერთმა მოსამართლემაც.

(4) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით, საზოგადოებისათვის ან სიცოცხლისათვის გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საცხოვრებელი შენობების თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლო განკარგულების საფუძველზე. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ზომების მიღებაზე განკარგულება შეიძლება გამოსცეს კანონით გათვალისწინებულმა სხვა ორგანომაც. შემდგომში აღნიშნული ზომების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა გამოიციცეს სასამართლო განკარგულება.

(5) თუ ტექნიკური საშუალებები გათვალისწინებულია სპეციალურად იმ პირთა დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან საცხოვრებელ შენობებში, ასეთ შემთხვევაში ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს კანონით განსაზღვრული

რომელიმე ორგანოს განკარგულების საფუძველზე. ამ დროს მოპოვებული მონაცემების სხვაგვარი გამოყენება შეიძლება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ან საფრთხის თავიდან აცილების მიზნებისათვის და დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზომების კანონიერება სასამართლოს მიერ წინასწარ არის დადგენილი. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

(6) ფედერალური მთავრობა ბუნდესტაგს ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას ტექნიკური საშუალებების მე-3 აბზაცის შესაბამისად გამოყენების შესახებ, ხოლო ფედერალურ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებთან დაკავშირებით – აღნიშნული საშუალებების მე-4 აბზაცის შესაბამისად გამოყენების შესახებ, ასევე, მე-5 აბზაცის გამოყენების შესახებ, როდესაც კონტროლი უნდა განახორციელოს სასამართლომ. ბუნდესტაგის მიერ არჩეული კომისია აღნიშნული მოხსენების საფუძველზე ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს. ფედერალური მიწები უზრუნველყოფენ ეკვივალენტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას.

(7) საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის და მისი შეზღუდვის სხვა შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საერთო საფრთხის ან ცალკეული პირების სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ასევე, კანონის საფუძველზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის და წესრიგისათვის გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით საცხოვრებელ ფართზე არსებული საჭიროების აღმოსაფხვრელად, ეპიდემიებთან საბრძოლველად ან ახალგაზრდობის საფრთხისაგან დასაცავად.

მუხლი 14. (1) საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია. მათი შინაარსი და საზღვრები განისაზღვრება კანონებით.

(2) საკუთრება ავალებულა. საკუთრებით სარგებლობა ამავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.

(3) საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საერთო კეთილდღეობისათვის. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ კანონით ან კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ზიანის ანაზღაურების სახეს და ფარგლებს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა დადგინდეს საჯარო ინტერესების და მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსის საფუძველზე. ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესახებ დავის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ოდენობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით, საერთო იურისდიქციის სასამართლოში.

მუხლი 15. მიწა, წიაღი, ბუნებრივი რესურსები და წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემის მიზნით, საზოგადოებრივ საკუთრებაში ან საზოგადოებრივ მეურნეობაში არსებული სხვა ფორმებით, შეიძლება გადაცემულ იქნეს კანონით, რომელიც არეგულირებს ზიანის ანაზღაურების სახეს და ოდენობას. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად მოქმედებენ მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებები.

მუხლი 16. (1) გერმანიის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეუძლებელია. მოქალაქეობის დაკარგვა შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე, ხოლო დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი მოქალაქეობის დაკარგვის შედეგად არ გახდება მოქალაქეობის არმქონე პირი.

(2) არცერთი გერმანელი არ შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს. კანონით შეიძლება დადგინდეს ევროპული კავშირის წევრი რომელიმე სახელმწიფოსათვის ან რომელიმე საერთაშორისო სასამართლოსათვის პირის გადაცემის საკითხის განსხვავებული რეგულირება, რამდენადაც დაცულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.

მუხლი 16 ა. (1) პოლიტიკური დევნილი პირები სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

(2) პირველ აბზაცში აღნიშნულ უფლებას ვერ დაეყრდნობა პირი, რომელიც ქვეყანაში შემოდის ევროპული თანამეგობრობის წევრი ან სხვა რომელიმე მესამე ქვეყნიდან, რომელშიც გარანტირებულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციების გამოყენება. ევროპული თანამეგობრობის არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველ წინადადებაში აღნიშნულ პირობებს, განსაზღვრავს კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. პირველ წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში პირის ქვეყანაში ყოფნის აღკვეთისაკენ მიმართული ზომები შეიძლება განხორციელდეს აღნიშნულის თაობაზე შეტანილი საჩივრისაგან დამოუკიდებლად.

(3) კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება განისაზღვროს სახელმწიფოები, რომლებშიც სამართლის ნორმების გამოყენების და საერთო პოლიტიკური პირობების საფუძველზე, არ არსებობს პოლიტიკური დევნა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. ივარაუდება, რომ უცხო მოქალაქე რომელიმე ზემოაღნიშნული სახელმწიფოდან არ იქნება მიჩნეული პოლიტიკურ დევნილად იქამდე, სანამ ის არ

წარმოდგენს მტკიცებულებებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ იგი, ზემოაღნიშნული ვარაუდების საპირისპიროდ, იდევნება პოლიტიკურად.

(4) ქვეყანაში ყოფნის აღკვეთისაკენ მიმართული ზომები, მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ და სხვა შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში ყოფნა აშკარად უსაფუძვლოა ან განიხილება, როგორც აშკარად უსაფუძვლო, როდესაც არსებობს სერიოზული ეჭვი აღნიშნული ზომების კანონიერებასთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადების შეტანის ვადის დარღვევისას კონტროლის მოცულობა შეიძლება შეიზღუდოს და დაგვიანებული შუამდგომლობები არ იქნეს გათვალისწინებული. დეტალები რეგულირდება კანონით.

(5) პირველი-მე-4 აბზაცები არ ეწინააღმდეგება ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან და მესამე სახელმწიფოებთან დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხებიან თავშესაფრის მიცემის შესახებ შუამდგომლობების განხილვის შესახებ წესების გამოყენებას, მათ შორის, თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთაღსრულებას, იმ ვალდებულებათა დაცვით, რომლებიც გამომდინარეობენ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციებიდან, რომელთა დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოების მიერ.

მუხლი 17. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, წერილობით, თხოვნით ან საჩივრით მიმართოს კომპეტენტურ დაწესებულებებს და სახალხო წარმომადგენლობით ორგანოებს.

მუხლი 17^ა. (1) სამხედრო სამსახურის და ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონებით შეიძლება დადგინდეს, რომ პირებს, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებულ ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში, შეიარაღებულ ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში ყოფნის პერიოდში შეეზღუდოთ საკუთარი აზრის ზეპირად, წერილობით და გამოსახულების საშუალებით გამოხატვისა და გავრცელების ძირითადი უფლება (მე-5 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების პირველი ნაწილი), შეკრების თავისუფლება (მე-8 მუხლი) და პეტიციის უფლება (მე-17 მუხლი) იმ ზომით, რაც იძლევა უფლებას, სხვებთან ერთად მიმართოს თხოვნით ან საჩივრით კომპეტენტურ დაწესებულებებს.

(2) კანონებით, რომლებიც ემსახურებიან თავდაცვის მიზნებს, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას, შეიძლება დადგინდეს

თავისუფალი გადაადგილებისა (მე-11 მუხლი) და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის (მე-13 მუხლი) ძირითადი უფლებების შეზღუდვები.

მუხლი 18. იმ პირს, ვინც აზრის გამოთქმის თავისუფლებას, კერძოდ, პრესის თავისუფლებას (მე-5 მუხლის პირველი აბზაცი), სწავლების თავისუფლებას (მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი), შეკრების თავისუფლებას (მე-8 მუხლი), გაერთიანების თავისუფლებას (მე-9 მუხლი), მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოებას (მე-10 მუხლი), საკუთრების უფლებას (მე-14 მუხლი) ან თავშესაფრის უფლებას (მე-16ა მუხლი) იყენებს ბოროტად თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩამოერთმევა აღნიშნული ძირითადი უფლებები. ამ უფლებების ჩამორთმევა და ჩამორთმევის მოცულობა განისაზღვრება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

მუხლი 19. (1) რამდენადაც ამ ძირითადი კანონის მიხედვით, რომელიმე ძირითადი უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან კანონის საფუძველზე, ასეთი კანონი უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს და არ ეხებოდეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევას. გარდა ამისა, კანონში აღნიშნული ძირითადი უფლება დასახელებული უნდა იყოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის მითითებით.

(2) ძირითადი უფლების არსი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს.

(3) ძირითადი უფლებები, ასევე, ვრცელდება ადგილობრივ იურიდიულ პირებზე, რამდენადაც აღნიშნული უფლებები თავიანთი ბუნებით გამოყენებადია მათ მიმართ.

(4) თუ რომელიმე პირის უფლებები დაირღვა საჯარო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. რამდენადაც დადგენილი არ არის სხვა განსჯადობა, აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ საერთო სასამართლოები. მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება ხელუხლებელი რჩება.

II. ფედერაცია და მიწები

მუხლი 20. (1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო.

(2) მთელი სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი ხალხის მიერ ხორციელდება არჩევნების და კენჭისყრის გზით და კანონმდებლობის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სპეციალური ორგანოების მეშვეობით.

(3) კანონმდებლობა შებოჭილია კონსტიტუციური წყობილებით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება – კანონით და სამართლით.

(4) თუ სხვა საშუალებების გამოყენება შეუძლებელია, ყველა გერმანელს აქვს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერს, ვინც ცდილობს შეცვალოს აღნიშნული წყობილება.

მუხლი 20 ^ა. შეგნებული აქვს რა საკუთარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობებისადმი, კონსტიტუციური წყობილების ფარგლებში და კანონის და სამართლის შესაბამისად, სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების მეშვეობით, იცავს ბუნებრივ სასიცოცხლო პირობებს და ცხოველებს.

მუხლი 21. (1) პარტიები ხელს უწყობენ მოსახლეობის პოლიტიკური ნების ფორმირებას. მათი დაფუძნება თავისუფალია. მათი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს. მათ უნდა წარმოადგინონ საჯარო ანგარიში საკუთარი სახსრების წარმოშობის წყაროებისა და მათი გამოყენების, ასევე საკუთარი ქონების შესახებ.

(2) პარტიები, რომლებიც საკუთარი მიზნებით ან საკუთარი მხარდამჭერების ქცევით ისწრაფვიან ზიანი მიაყენონ თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს ან გააუქმონ იგი ან საფრთხე შეუქმნან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობას – არაკონსტიტუციურია. არაკონსტიტუციურობის საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

(3) დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონებით.

მუხლი 22. ფედერაციის დროშა არის შავი-წითელი-ოქროსფერი.

მუხლი 23. (1) გაერთიანებული ევროპის იდეის განსახორციელებლად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მონაწილეობს ევროპული კავშირის განვითარებაში, რომლის ვალდებულებებშიც შედის დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური და ფედერაციული სახელმწიფოს პრინციპების დაცვის გარანტირება, ასევე, სუბსიდიარობის პრინციპის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების დაცვას, რომლებიც არსებითად ემთხვევა ძირითად კანონში ასახულ ძირითად უფლებებს. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ფედერაციას შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, კანონის მეშვეობით საკუთარი სუვერენული უფლებების გადაცემა. ევროპული კავშირის დაარსებისათვის, ასევე მისი სახელშეკრულებო საფუძვლების შეც-

ვლისათვის და ანალოგიური დარეგულირებისათვის, რომელიც ცვლის ან ავსებს ამ ძირითად კანონს ან შესაძლებელს ხდის ასეთ ცვლილებებს ან დამატებებს, გამოიყენება 79-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები.

(2) ბუნდესტაგი უშუალოდ და მიწები ბუნდესრატის მეშვეობით, მონაწილეობენ ევროპული კავშირის საქმეებში. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ამომწურავად და დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ბუნდესრატს და ბუნდესტაგს.

(3) ფედერალური მთავრობა შესაძლებლობას აძლევს ბუნდესტაგს, ევროპული კავშირის ნორმატიული აქტების მიღებაში მის მონაწილეობამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები.

(4) ბუნდესრატი ფედერაციის ნების ფორმირებაში მონაწილეობს, რამდენადაც ის მონაწილეობას იღებს ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ან რამდენადაც მიწებს აქვთ შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებების გადაწყვეტის კომპეტენცია.

(5) რამდენადაც ფედერაციის განსაკუთრებული კომპეტენციის სფერო ეხება მიწების ინტერესებს ან რამდენადაც ფედერაციას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, ფედერაციის მთავრობა მხედველობაში იღებს ბუნდესრატის მოსაზრებებს. თუ მიწების საკანონმდებლო უფლებამოსილების ძირითადი ასპექტია მათი საშსახურების შექმნა ან მათი მართვის პროცესი, ასეთ შემთხვევაში ფედერაციის ნების ფორმირებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნდესრატის დასკვნა. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ფედერაციის საერთო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაც. საქმეებში, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფედერაციის ხარჯების ზრდა ან შემოსავლების შემცირება, აუცილებელია ფედერალური მთავრობის თანხმობა.

(6) თუ მიწების განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილებები ირდევება ძირითად ასპექტში, ასეთ შემთხვევაში იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც როგორც ევროპული კავშირის წევრს, ეკუთვნის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ფედერაციის მიერ უნდა გადაეცეს ბუნდესრატის მიერ შერჩეულ მიწების ერთ-ერთ წარმომადგენელს. უფლებები ხორციელდება ფედერალური მთავრობის მონაწილეობით და მასთან შეთანხმებით. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ფედერაციის საერთო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაც.

(7) მე-4-6 აბზაცებთან დაკავშირებული დეტალები რეგულირდება კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 24. (1) ფედერაციას შეუძლია კანონით, თავისი სუვერენული უფლებები გადასცეს სახელმწიფოთაშორის დაწესებულებებს.

(1) რამდენადაც ფედერალური მიწები კომპეტენტური არიან განახორციელონ სახელმწიფო უფლებამოსილებები და შეასრულონ სახელმწიფო ამოცანები, მათ შეუძლიათ, ფედერალური მთავრობის თანხმობით, თავიანთი სუვერენული უფლებები გადასცენ მეზობელი რეგიონის საზღვრისპირა დაწესებულებებს.

(2) მშვიდობის უზრუნველსაყოფად ფედერაციას შეუძლია ჩაერთოს ურთიერთკოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში. ამით ფედერაცია თანხმობას განაცხადებს თავისი სუვერენული უფლებების ისეთ შეზღუდვებზე, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიანი და ხანგრძლივი წესრიგის დამყარებას ევროპაში და მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის.

(3) სახელმწიფოთაშორისი დაეების დარეგულირებისათვის ფედერაცია უერთდება შეთანხმებებს საერთო, ყოვლისმომცველი, სავალდებულო საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ.

მუხლი 25. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები წარმოადგენენ ფედერაციის სამართლის შემადგენელ ნაწილს. მათ გააჩნიათ უპირატესობა კანონებთან შედარებით და უშუალოდ წარმოშობენ უფლებებს და ვალდებულებებს ფედერალური ტერიტორიის მაცხოვრებელთათვის.

მუხლი 26. (1) მოქმედებები, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და რომლებიც ხორციელდება ამ განზრახვით, განსაკუთრებით, აგრესიული ომის წარმოებისათვის მომზადება, არის არაკონსტიტუციური. აღნიშნული მოქმედებები უნდა იყოს დასჯადი.

(2) ომის წარმოებისათვის განკუთვნილი იარაღის წარმოება, გადატანა და გამოყენება შეიძლება მხოლოდ ფედერალური მთავრობის ნებართვით. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი.

მუხლი 27. ყველა გერმანული სავაჭრო გემი ქმნის ერთიან სავაჭრო ფლოტს.

მუხლი 28. (1) მიწების კონსტიტუციური წყობილება უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, ამ ძირითადი კანონის არსის ფარგლებში. მიწებში, ოლქებში და თემებში ხალხს უნდა ჰყავდეს საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული არჩევნების გზით შექმნილი წარმომადგენლობა. ევროპული თანამეგობრობის სამართლის შესაბამისად, მიწებში, ოლქებში და თემებში თანაბარი უფლებებით შეიძლება აირჩიონ და

არჩეულ იქნენ პირები, რომლებსაც გააჩნიათ ევროპული თანამეგობრობის წევრი რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. თემებში არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო შეიძლება შეიცვალოს თემთა კრებით.

(2) თემებს უნდა მიეცეთ უფლება, კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობით დაარეგულირონ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი. თემთა კავშირებს საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში და კანონის შესაბამისად, ასევე აქვთ თვითმმართველობის უფლება. თვითმმართველობის გარანტია ასევე მოიცავს საკუთარი ფინანსური პასუხისმგებლობის საფუძვლებსაც. აღნიშნულ საფუძვლებს განეკუთვნებიან საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ თემების ეკონომიკურ საკმარისობას და გადასახადების განაკვეთების დადგენა.

(3) ფედერაცია უზრუნველყოფს, რომ მიწების კონსტიტუციური წყობილება შესაბამისად პირველ და მე-2 აბზაცებში აღნიშნულ ძირითად უფლებებსა და დებულებებს.

მუხლი 29. (1) ფედერაციის ტერიტორია შეიძლება ახლებურად დაიყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიწებს შეეძლოთ, საკუთარი ტერიტორიის ფართობისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ეფექტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეგიონალური, ისტორიული და კულტურული კავშირები, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ასევე, ადგილობრივი და რეგიონალური დაგეგმარების მოთხოვნები.

(2) ფედერალური ტერიტორიის ახლებურად დაყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდება ფედერალური კანონის მეშვეობით, რომელიც საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას. დაინტერესებული მიწები მოსმენილი უნდა იქნენ.

(3) რეფერენდუმი ტარდება იმ მიწებში, რომელთა ტერიტორიიდან ან ტერიტორიის ნაწილიდან უნდა შეიქმნას ახალი მიწა ან მიწა ახალ საზღვრებში (დაინტერესებული მიწები). კენჭისყრა ტარდება საკითხზე, უნდა დარჩნენ თუ არა დაინტერესებული მიწები არსებულ საზღვრებში, თუ უნდა შეიქმნას ახალი მიწა, ან მიწა ახალ საზღვრებში. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება ახალი მიწის ან მიწის ახალ საზღვრებში შექმნის შესახებ ძალაში შევა, თუ აღნიშნულ, მომავალ ტერიტორიაზე და მთლიანად იმ დაინტერესებული მიწების ტერიტორიაზე ან ტერიტორიების ნაწილებზე, რომელთა მიწისაღმი კუთვნილება, შესაბამისად უნდა შეიცვალოს, უმრავლესობა გამოთქვამს თანხმობას აღნიშნულ ცვლილებებზე. გადაწყვეტილება ძალაში არ შევა, თუ ერთ-ერთი დაინტერესებული მიწის ტერიტორიაზე უმრავლესობა ცვლილებებს უარყოფს. უარყოფა მხედველობაში არ მიიღება,

თუ იმ ტერიტორიის ნაწილზე, რომლის დაინტერესებული მიწისადმი კუთვნილებაც უნდა შეიცვალოს, ორი მესამედის უმრავლესობა გამოთქვამს თანხმობას ცვლილებებზე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული მიწის მთელ ტერიტორიაზე ორი მესამედის უმრავლესობა ცვლილილებებს უარყოფს.

(4) თუ დასახლებით და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ შეზღუდულ ტერიტორიაზე, რომლის ნაწილებიც განლაგებულია რამდენიმე მიწაზე და რომელზეც ცხოვრობს არანაკლებ ერთი მილიონი მოსახლე, იმ ამომრჩეველთა ერთი მეთაედი, რომლებიც სარგებლობენ ბუნდესტაგში არჩევის უფლებით, სახალხო ინიციატივის გზით მოითხოვს, რომ აღნიშნული ტერიტორიისათვის შემოღებულ იქნეს ერთიანი მიწისადმი კუთვნილება, ასეთ შემთხვევაში ფედერალურმა კანონმა ორი წლის განმავლობაში ან უნდა დაადგინოს, რომ მე-2 აბზაცის შესაბამისად, შეიცვლება აღნიშნული ტერიტორიის განსაზღვრული მიწისადმი კუთვნილება, ან რომ დაინტერესებულ მიწებში ჩატარდება სახალხო გამოკითხვა.

(5) სახალხო გამოკითხვის მიზანი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ დადგინდეს, მხარს უჭერენ თუ არა შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ტერიტორიის მიწისადმი კუთვნილების შესახებ. კანონს შეუძლია სახალხო გამოკითხვაზე გამოიტანოს სხვადასხვა წინადადება, მაგრამ არაუმეტეს ორისა. თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს მიწისადმი კუთვნილების შემოთავაზებულ ცვლილებებს, ასეთ შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში ფედერალურმა კანონმა უნდა დაადგინოს, შეიცვლება თუ არა მიწისადმი კუთვნილება მე-2 აბზაცის შესაბამისად. თუ სახალხო გამოკითხვაზე გამოტანილი წინადადება, მე-3 აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებების შესაბამისად მოიპოვებს შესაბამის მხარდაჭერას, ასეთ შემთხვევაში ასეთი გამოკითხვის ჩატარებიდან ორი წლის განმავლობაში გამოცემული უნდა იქნეს ფედერალური კანონი შემოთავაზებული მიწის შექმნის შესახებ. აღნიშნული კანონი რეფერენდუმზე დამტკიცებას არ საჭიროებს.

(6) რეფერენდუმზე და სახალხო გამოკითხვაზე უმრავლესობად მიიჩნევა მიცემული ხმების უმრავლესობა, თუ იგი მოიცავს ბუნდესტაგის არჩევნებში ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა არანაკლებ ერთ მეთხედს. რეფერენდუმის, სახალხო ინიციატივის და სახალხო გამოკითხვის ჩატარების დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. კანონმა ასევე შეიძლება გაითვალისწინოს, რომ სახალხო ინიციატივა განმეორებით შეიძლება ჩატარდეს არაუადრეს ხუთი წლის გასვლაძდე.

(7) მიწების ტერიტორიული მდგომარეობის სხვაგვარი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებულ მიწებს შორის სახელმწიფო ხელშეკრულებების ან ფედერალური კანონის მეშვეობით, ბუნდესტაგის თანხმობა-

ბით, თუ იმ ტერიტორიაზე, რომლის მიწისაღმი კუთვნილება უნდა შეიცვალოს, ცხოვრობს არანაკლებ 50 ათასი მაცხოვრებელი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას და ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის თანხმობას. კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსმენილი იქნება დაინტერესებული თემებისა და ოლქების მოსაზრებები.

(8) მიწებს შუქლიათ მათი ტერიტორიების ან ტერიტორების ნაწილების ახლებურად დაყოფა განახორციელონ მე-2-7 აბზაცების დებულებებისგან განსხვავებულად, სახელმწიფო ხელშეკრულების მეშვეობით. ამ დროს მოსმენილი უნდა იქნენ დაინტერესებული თემები და ოლქები. სახელმწიფო ხელშეკრულება თითოეულ მიწაზე საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას. თუ სახელმწიფო ხელშეკრულება ეხება მიწის ტერიტორიის ნაწილს, მისი რეფერენდუმზე დამტკიცება შეიძლება შემოიფარგლოს ტერიტორიის მხოლოდ ამ ნაწილით. ასეთ შემთხვევაში მე-5 წინადადების მეორე ნაწილის დებულება არ გამოიყენება. რეფერენდუმზე გადაწყვეტილება მიიღება მიცემული ხმების უმრავლესობით, თუ იგი შეადგენს ბუნდესტაგის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ამომრჩეველთა არანაკლებ ერთ მეოთხედს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. სახელმწიფო ხელშეკრულება საჭიროებს ბუნდესტაგის თანხმობას.

მუხლი 30. სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელება და სახელმწიფო ამოცანების შესრულება არის მიწების საქმე, რამდენადაც ეს ძირითადი კანონი არ ადგენს ან არ უშვებს სხვაგვარ რეგულირებას.

მუხლი 31. ფედერალურ სამართალს მიწების სამართალთან მიმართებით გააჩნია უპირატესობა.

მუხლი 32. (1) საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების წარმართვა არის ფედერაციის საქმე.

(2) იმ ხელშეკრულების დადების წინ, რომელიც ეხება რომელიმე მიწის განსაკუთრებულ მდგომარეობას, აღნიშნული მიწა დროულად უნდა იქნეს მოსმენილი.

(3) რამდენადაც მიწებს გააჩნიათ საკანონმდებლო კომპეტენცია, მათ შუქლიათ, ფედერალური მთავრობის თანხმობით დადონ ხელშეკრულებები საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან.

მუხლი 33. (1) ყოველ გერმანელს, ყველა მიწაზე გააჩნია თანაბარი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

(2) ყოველ გერმანელს გააჩნია თანაბარი შესაძლებლობა, საკუთარი მიდრეკილებების, შესაძლებლობების და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა.

(3) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა, საჯარო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, ასევე, საჯარო სამსახურში შექმნილი უფლებები, დამოუკიდებელია რელიგიური მრწამსისაგან. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი რომელიმე მრწამსის ან მსოფლმხედველობისადმი მიკუთვნების გამო.

(4) სუვერენული უფლებამოსილებების განხორციელება, მუდმივი ფუნქციის სახით, უნდა გადაეცეთ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან სამსახურის და ერთგულების ურთიერთობებში.

(5) საჯარო სამსახურის სამართალი უნდა დარეგულირდეს პროფესიული მოხელეობის ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 34. თუ რომელიმე პირი მისთვის მინდობილი საჯარო თანამდებობის განხორციელებისას დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს მესამე პირთან მიმართებაში, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს ან იმ კორპორაციას, რომლის სამსახურშიც იმყოფება პირი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში შენარჩუნდება რეგრესული სარჩელის უფლება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და რეგრესული სარჩელის წარდგენისათვის არ უნდა გამოირიცხოს საერთო სასამართლოსადმი მიმართვის წესი.

მუხლი 35. (1) ფედერაციის და მიწების ხელისუფლების ყველა ორგანო ერთმანეთს უწევს სამართლებრივ და სამსახურებრივ დახმარებას.

(2) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან წესრიგის შენარჩუნების ან აღდგენისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, მიწას საკუთარი პოლიციის დასახმარებლად შეუძლია მოითხოვოს ფედერალური საზღვრის დაცვის ძალების და საშუალებების გამოძახება, თუ აღნიშნული დახმარების გარეშე პოლიციას არ შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანები ან მათი შესრულება დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან. სტიქიური უბედურების შემთხვევაში ან განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევისას დახმარების გასაწევად მიწას შეუძლია მოითხოვოს სხვა მიწის პოლიციური ძალების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ძალების და დაწესებულებების, ასევე, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოებისა და შეიარაღებული ძალების გამოყენება.

(3) თუ სტიქიური უბედურება ან უბედური შემთხვევა ზიანს აყენებს ერთზე მეტი მიწის ტერიტორიას, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, რამდენა-

დაც ეს ეფექტური ბრძოლისათვის არის აუცილებელი, მიწების მთავრობებს მისცეს მითითებები მათი პოლიციური ძალების სხვა მიწების განკარგულებაში გადაცემის შესახებ. ასევე პოლიციური ძალების მხარდასაჭერად გამოიყენოს ფედერალური საზღვრის დაცვისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. ფედერალური მთავრობის მიერ პირველი წინადადების შესაბამისად განხორციელებული ზომები ნებისმიერ დროს უნდა გაუქმდეს ბუნდესტაგის მოთხოვნით, ხოლო სხვა შემთხვევებში, დაუყოვნებლივ, საფრთხის აღმოფხვრისთანავე.

მუხლი 36. (1) ფედერაციის უმაღლესი ორგანოები სათანადო პროპორციით სარგებლობენ ყველა მიწის მოხელეების სამსახურით. პირები, რომლებიც მსახურობენ ფედერალური ხელისუფლების სხვა ორგანოებში, როგორც წესი, შერჩეული უნდა იქნენ იმ მიწის მაცხოვრებელთაგან, რომელშიც აღნიშნული ორგანოები მოქმედებენ.

(2) თავდაცვის შესახებ კანონები უნდა ითვალისწინებდნენ ფედერაციის მიწებად დაყოფას და მათ განსაკუთრებულ მიწათმფლობელობით ურთიერთობებს.

მუხლი 37. (1) თუ მიწა არ ასრულებს ძირითადი კანონით ან სხვა ფედერალური კანონით მასზე დაკისრებულ ფედერალურ ვალდებულებებს, ფედერალურ მთავრობას, ბუნდესრატის თანხმობით, შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები, რათა ფედერალური იძულების გზით, აიძულოს მიწა, შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები.

(2) ფედერალური იძულების განსახორციელებლად ფედერალურ მთავრობას ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მისცეს მითითებები ყველა მიწას და მათ დაწესებულებებს.

III. ბუნდესტაგი

მუხლი 38. (1) გერმანიის ბუნდესტაგის დებუტატები აირჩევიან საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. ისინი არიან მთელი ხალხის წარმომადგენლები, არ არიან შეზღუდულნი დავალებებით და მითითებებით და ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სინდისს.

(2) ამომრჩეველს წარმოადგენს ის, ვინც მიაღწია 18 წლის ასაკს. არჩეული შეიძლება იქნეს ის, ვინც მიაღწია ასაკს, რომლის დადგომითაც იწყება სრულწლოვანება.

(3) დეპუტატი რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 39. (1) ბუნდესტაგი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ქვემოაღნიშნული დებულებების დაცვით. მისი უფლებამოსილების ვადა მთავრდება ახალი ბუნდესტაგის პირველი შეკრებისთანავე. არჩევნები ტარდება უფლებამოსილების დაწყებიდან არაუადრეს ორმოცდაექვსი და არაუგვიანეს ორმოცდარვა თვისა. ბუნდესტაგის დათხოვნის შემთხვევაში ახალი არჩევნები ტარდება სამოცი დღის განმავლობაში.

(2) ბუნდესტაგი იკრიბება არჩევნებიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.

(3) ბუნდესტაგი განსაზღვრავს თავისი სხდომების დასრულებისა და განახლების საკითხს. ბუნდესტაგის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს სხდომა უფრო ადრეც. იგი ვალდებულია სხდომა მოიწვიოს ბუნდესტაგის წევრების ერთი მესამედის, ფედერალური პრეზიდენტის ან ფედერალური კანცლერის მოთხოვნით.

მუხლი 40. (1) ბუნდესტაგი ირჩევს თავის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივნებს. იგი იღებს თავის რეგლამენტს.

(2) თავმჯდომარე ბუნდესტაგის შენობაში ფლობს განმკარგულებელ უფლებებს და პოლიციურ ძალაუფლებას. მისი ნებართვის გარეშე ბუნდესტაგის შენობაში არ შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა ან დაპატიმრება.

მუხლი 41. (1) არჩევნების სისწორის შემოწმება არის ბუნდესტაგის საქმე. იგი იღებს აგრეთვე გადაწყვეტილებას დეპუტატის მიერ ბუნდესტაგის წევრობის დაკარგვის საკითხზე.

(2) ბუნდესტაგის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში.

(3) დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 42. (1) ბუნდესტაგის სხდომები საჯაროა. მისი წევრების ერთი მეთედის ან ფედერალური მთავრობის წინადადებით, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, სხდომები შეიძლება გამოცხადდეს დახურულად. გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღება დახურულ სხდომაზე.

(2) ბუნდესტაგის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების უმრავლესობა, თუ ამ ძირითადი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. რეგლამენტით შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისები ბუნდესტაგის მიერ ჩატარებულ არჩევნებთან მიმართებით.

(3) ბუნდესტაგის და მისი კომიტეტების საჯარო სხდომების შესახებ დადასტურებული ანგარიშები თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 43. (1) ბუნდესტაგს და მის კომიტეტებს შეუძლიათ მოითხოვონ ფედერალური მთავრობის ნებისმიერი წევრის დასწრება.

(2) ბუნდესრატის წევრებს და ფედერალური მთავრობის წევრებს, ასევე, მათი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, უფლება აქვთ დაესწრონ ბუნდესტაგის და მისი კომიტეტების ყველა სხდომას. ისინი ნებისმიერ დროს უნდა იქნენ მოსმენილი.

მუხლი 44. (1) ბუნდესტაგს უფლება აქვს, ხოლო მისი წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, ვალდებულია შექმნას საგამოძიებო კომიტეტი, რომელიც საჯარო სხომებზე აგროვებს საჭირო მტკიცებულებებს. სხდომები შეიძლება იყოს დახურული.

(2) მტკიცებულებების შეგროვების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესუალური დებულებები. მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოება არ უნდა დაირღვეს.

(3) სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან საგამოძიებო კომიტეტს გაუწიონ სამართლებრივი და ადმინისტრაციული დახმარება.

(4) საგამოძიებო კომიტეტის გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სასამართლო განსჯადობას. სასამართლოები თავისუფალი არიან გამოძიების საფუძველში არსებული გარემოებების განხილვისა და შეფასებისას.

მუხლი 45. ბუნდესტაგი ქმნის ევროპული კავშირის საქმეთა კომიტეტს. მას შეუძლია კომიტეტი აღჭურვოს უფლებამოსილებით, ფედერალური მთავრობის მიმართ განახორციელოს 23-ე მუხლით გათვალისწინებული ბუნდესტაგის უფლებები.

მუხლი 45 ^ა. (1) ბუნდესტაგი ქმნის საგარეო საქმეთა კომიტეტს და თავდაცვის კომიტეტს.

(2) თავდაცვის კომიტეტს ასევე გააჩნია საგამოძიებო კომიტეტის უფლებები. კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით იგი ვალდებულია აწარმოოს გამოძიება კონკრეტულ საქმეზე.

(3) 44-ე მუხლის პირველი აბზაცი არ გამოიყენება თავდაცვის სფეროსთან მიმართებით.

მუხლი 45 ^ბ. ძირითადი უფლებების დაცვისათვის და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას ბუნდესტაგის დამხმარე ორგანოს სახით, ინიშნება ბუნდესტაგის წარმომადგენელი თავდაცვის საკითხებზე. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 45 ბ. (1) ბუნდესტაგი ქმნის პეტიციის საკითხთა კომიტეტს, რომელიც ვალდებულია განიხილოს მე-17 მუხლის შესაბამისად ბუნდესტაგში შესული თხოვნები და საჩივრები.

(2) კომიტეტის უფლებამოსილება საჩივრების გადამოწმებასთან დაკავშირებით რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 46. (1) დეპუტატი არ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას სასამართლო წესით ან სამსახურებრივად, ან სხვაგვარად მიეცეს პასუხისგებაში ბუნდესტაგის გარეთ, მის მიერ ბუნდესტაგში ან რომელიმე კომიტეტში ხმის მიცემის ან გამოთქმული მოსაზრებების გამო. აღნიშნული არ ეხება ცილისმწამებლურ შეურაცხყოფებს.

(2) სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა ან დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ ბუნდესტაგის თანხმობით. გამონაკლისია დაკავების შემთხვევები უშუალოდ ასეთი ქმედების ჩადენისას ან შემდგომი დღის განმავლობაში.

(3) გარდა ამისა, ბუნდესტაგის თანხმობა სავალდებულოა დეპუტატის პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვა შეზღუდვისას ან მის წინააღმდეგ მე-18 მუხლით გათვალისწინებული წარმოების დაწყებისას.

(4) დეპუტატის წინააღმდეგ მიმდინარე ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი წარმოება და მე-18 მუხლით გათვალისწინებული წარმოება, დაპატიმრება და მისი პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვაგვარი შეზღუდვა ბუნდესტაგის მოთხოვნით უნდა შეჩერდეს.

მუხლი 47. დეპუტატებს უფლება აქვთ არ მისცენ ჩვენება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ენდნენ მათ, როგორც დეპუტატებს, ან რომლებმაც მათ, როგორც დეპუტატებს, მიაწოდეს რაიმე ფაქტები ან ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ. აღნიშნული უფლების მოქმედების ფარგლებში დოკუმენტების კონფისკაცია დაუშვებელია.

მუხლი 48. (1) მას, ვინც წამოაყენა თავისი კანდიდატურა ბუნდესტაგში, აქვს უფლება შევბუღებაზე, რაც აუცილებელია მისი არჩევნების მოსამზადებლად.

(2) არავის შეიძლება შეექმნას დაბრკოლება სადეპუტატო მანდატის მოპოვების და განხორციელებისას. აღნიშნულ საფუძველზე გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ან სამსახურიდან გათავისუფლება დაუშვებელია.

(3) დეპუტატებს აქვთ მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფი შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლება. მათ უფლება აქვთ უფასოდ ისარგებ-

ლონ ყველა სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებით. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 49. (გაუქმებულია)

IV. ბუნდესრატი

მუხლი 50. ბუნდესრატის მეშვეობით მიწები მონაწილეობენ ფედერაციის კანონმდებლობაში და მართვაში და ევროპული კავშირის საქმეებში.

მუხლი 51. (1) ბუნდესრატი შედგება მიწების მთავრობების წევრებისაგან, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ მთავრობები. მიწები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ მათი მთავრობების სხვა წარმომადგენლებით.

(2) ყოველ მიწას გააჩნია არანაკლებ სამი ხმა. მიწებს, რომელთა მოსახლეობა ორ მილიონზე მეტია, აქვთ ოთხი ხმა, მიწებს ექვს მილიონზე მეტი მოსახლეობით – ხუთი ხმა, მიწებს შეიძლება მილიონზე მეტი მოსახლეობით – ექვსი ხმა.

(3) ყოველ მიწას შეუძლია გაგზავნოს იმდენი წევრი, რამდენი ხმაც გააჩნია. მიწის ხმები შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ ერთად და მხოლოდ დამსწრე წევრების ან მათი წარმომადგენლების მიერ.

მუხლი 52. (1) ბუნდესრატი თავის თავმჯდომარეს ირჩევს ერთი წლის ვადით.

(2) თავმჯდომარე იწვევს ბუნდესრატს. იგი ვალდებულია მოიწვიოს ბუნდესრატი არანაკლებ ორი მიწის წარმომადგენლის ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით.

(3) ბუნდესრატი თავის გადაწყვეტილებებს იღებს სულ მცირე ხმათა უმრავლესობით. იგი იღებს თავის რეგლამენტს. მისი სხდომები საჯაროა. სხდომები შეიძლება გამოცხადდეს დახურულად.

(3ა) ევროპული კავშირის საქმეების განსახილველად ბუნდესრატს შეუძლია შექმნას ევროპული საქმეების პალატა, რომლის გადაწყვეტილებებსაც აქვთ ბუნდესრატის გადაწყვეტილებების ძალა. შესაბამისად გამოიყენება 51-ე მუხლის მე-2 აბზაცი და მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება.

(4) ბუნდესრატის კომიტეტებში შეიძლება შედიოდნენ მიწების მთავრობების სხვა წევრები ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

მუხლი 53. ფედერალური მთავრობის წევრებს უფლება აქვთ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ ბუნდესრატის და მისი კომიტეტების სხდომებში. მათ ნებისმიერ დროს უნდა მოუს-

მინონ. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ბუნდესრავტი მიმდინარე საქმეების შესახებ ყავდეს საქმის კურსში.

IV ა. ერთობლივი კომიტეტი

მუხლი 53 ა. (1) ერთობლივი კომიტეტი ორი მესამედით შედგება ბუნდესტაგის დეპუტატებისგან და ერთი მესამედით ბუნდესრავტის წევრებისგან. დეპუტატები ინიშნებიან ბუნდესტაგის მიერ, ფრაქციების ძალთა განლაგების საფუძველზე. ისინი არ შეიძლება შედიოდნენ ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში. ყოველი მიწა წარმოდგენილი უნდა იყოს მის მიერ დანიშნული ბუნდესრავტის ერთი წევრით. აღნიშნული წევრები შეზღუდულნი არ არიან მითითებებით. ერთობლივი კომიტეტის შექმნა და მისი საქმიანობის პროცედურა რეგულირდება რეგლამენტით, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ბუნდესტაგის მიერ და საჭიროებს ბუნდესრავტის თანხმობას.

(2) ფედერალური მთავრობა ერთობლივ კომიტეტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას თავდაცვის მდგომარეობის დროს საკუთარი გეგმების შესახებ. აღნიშნული არ ეხება ბუნდესტაგის და მისი კომიტეტების უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია 43-ე მუხლის პირველი აბზაცით.

V. ფედერალური პრეზიდენტი

მუხლი 54. (1) ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ფედერალური კრების მიერ დებატების გარეშე. არჩეული შეიძლება იქნეს ნებისმიერი გერმანელი, რომელსაც აქვს ბუნდესტაგში არჩევის უფლება და მიაღწია ორმოცი წლის ასაკს.

(2) ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ხუთი წელი. ხელმოკრედ ზედიზედ არჩევა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

(3) ფედერალური კრება შედგება ბუნდესტაგის წევრებისგან და მიწების სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ამავე რაოდენობის წევრებისგან.

(4) ფედერალური კრება იკრიბება ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 30 დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადადღე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული მომენტიდან არაუგვიანეს 30 დღისა. კრება მოიწვევა ბუნდესტაგის თავმჯდომარის მიერ.

(5) ბუნდესტაგის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას მე-4 აბზაცის პირველ წინადადებაში დადგენილი ვადა იწყება ბუნდესტაგის პირველი შეკრების დღიდან.

(6) არჩეულად ითვლება პირი, ვინც მიიღებს ფედერალური კრების წევრების ხმათა უმრავლესობას. თუ კენჭისყრის პირველ ორი ტურში ასეთი უმრავლესობა ვერ მიიღო ვერცერთმა პრეტენდენტმა, არჩეულად ითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც შემდეგ ტურში დააგროვებს ხმების მეტ რაოდენობას.

(7) ღებტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 55. (1) ფედერალური პრეზიდენტი არ შეიძლება შედიოდეს ფედერაციის ან რომელიმე მიწის მთავრობაში ან საკანონმდებლო ორგანოში.

(2) ფედერალურ პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ახორციელებდეს კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას ან შედიოდეს მოგების მიღების მიზნით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობაში ან სამეთვალყურეო საბჭოში.

მუხლი 56. ფედერალური პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნვისას ბუნდესტაგის და ბუნდესრატის შეკრებილი წევრების წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„ეფიცავ, ჩემი ძალები მოვახმარო გერმანელი ხალხის კეთილდღეობას, ვიმოქმედო მის სასარგებლოდ, ავარიდო ზიანი და დავიცვა ძირითადი კანონი და ფედერაციის კანონები, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები და დავიცვა ყველას მიმართ სამართლიანობა. ღმერთი იყოს ჩემი შემწე“.

ფიცი შეიძლება დადებულ იქნეს რელიგიური დამოწმების გარეშეც.

მუხლი 57. ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილებას, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას რაიმე სახის დაბრკოლების ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ახორციელებს ბუნდესრატის თავმჯდომარე.

მუხლი 58. ფედერალური პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი თანახელომწერა ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ. აღნიშნული არ ვრცელდება ფედერალური კანცლერის დანიშვნაზე და გათავისუფლებაზე, 63-ე მუხლის შესაბამისად ბუნდესტაგის დათხოვნაზე და 69-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ თხოვნებზე.

მუხლი 59. (1) ფედერალური პრეზიდენტი წარმოადგენს ფედერაციას საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში. იგი ფედერაციის სახელით

დებს ხელშეკრულებებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, ახდენს ელჩების აკრედიტაციას და მიღებას.

(2) ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს ფედერაციის პოლიტიკურ ურთიერთობებს ან ეხება ფედერალური კანონმდებლობის საკითხებს, საჭიროებს ფედერალურ კანონმდებლობაზე კომპეტენტური ორგანოების თანხმობას ან ხელშეწყობას, ფედერალური კანონის ფორმით. ადმინისტრაციული ხასიათის შეთანხმებებთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება დებულებები, რომლებიც ეხება ფედერალურ ადმინისტრაციას.

მუხლი 59ა. (გაუქმებულია)

მუხლი 60. (1) ფედერალური პრეზიდენტი, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებს, ფედერალურ მოხელეებს, ოფიცრებს და უნტერ-ოფიცრებს.

(2) კონკრეტულ შემთხვევებში იგი ფედერაციის სახელით ახორციელებს შეწყალების უფლებას.

(3) მას შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილებები გადასცეს სხვა ორგანოებს.

(4) 46-ე მუხლის მე-2-4 აბზაცების დებულებები შესაბამისად გამოიყენება ფედერალურ პრეზიდენტთან მიმართებით.

მუხლი 61. (1) ბუნდესტაგს ან ბუნდესრატს შეუძლიათ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევის გამო, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში აღძრან ბრალდება ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ. წინადადება ბრალდების აღძვრის თაობაზე წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან ბუნდესრატის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მიერ. გადაწყვეტილება ბრალდების აღძვრის თაობაზე მოითხოვს ბუნდესტაგის წევრთა ორი მესამედის ან ბუნდესრატის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობის თანხმობას. ბრალდებას მხარს უჭერს ბრალდების აღმძვრელი ორგანოს წარმომადგენელი.

(2) თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ფედერალური პრეზიდენტი დამნაშავეა ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევაში, მას შეუძლია გამოაცხადოს, რომ პრეზიდენტმა დაკარგა თანამდებობა. ბრალდების აღძვრის შემდეგ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს დროებითი განკარგულებით დაადგინოს, რომ ფედერალურ პრეზიდენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებები.

VI. ფედერალური მთავრობა

მუხლი 62. ფედერალური მთავრობა შედგება ფედერალური კანცლერისა და ფედერალური მინისტრებისგან.

მუხლი 63. (1) ფედერალური კანცლერი ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით აირჩევა ბუნდესტაგის მიერ, დებატების გარეშე.

(2) არჩეულად ითვლება ის, ვინც დააგროვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის ხმებს. არჩეული პირი უნდა დანიშნოს ფედერალურმა პრეზიდენტმა.

(3) თუ შემოთავაზებული წარდგენილი კანდიდატი არჩეული არ იქნა, ბუნდესტაგს შეუძლია არჩევნიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში საკუთარი წევრების ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიოს ფედერალური კანცლერი.

(4) თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში არჩევა არ მოხდება, დაუყოვნებლივ ტარდება არჩევნების ახალი ტური, რომელშიც არჩეულად ითვლება ის, ვინც მიიღებს უფრო მეტი რაოდენობის ხმას. თუ არჩეულმა პირმა დააგროვა ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის ხმები, ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია, არჩევნიდან შვიდი დღის განმავლობაში დანიშნოს იგი. თუ არჩეულმა პირმა ვერ მიიღო ხმების აღნიშნული უმრავლესობა, ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია შვიდი დღის განმავლობაში ან დანიშნოს იგი ან დაითხოვოს ბუნდესტაგი

მუხლი 64. (1) ფედერალური მინისტრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური კანცლერის წინადადებით.

(2) თანამდებობაზე დანიშნისას ფედერალური კანცლერი და ფედერალური მინისტრები ბუნდესტაგის წინაშე დებენ ფიცს, რომელიც გათვალისწინებულია 56-ე მუხლით.

მუხლი 65. ფედერალური კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პასუხისმგებელია მათზე. აღნიშნული ძირითადი მიმართულებების ფარგლებში თითოეული ფედერალური მინისტრი მისთვის მინდობილ დარგს მართავს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ფედერალურ მინისტრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში სადაო საკითხს წვეტს ფედერალური მთავრობა. ფედერალური კანცლერი მთავრობის საქმეებს წარმართავს ფედერალური მთავრობის მიერ მიღებული და ფედერალური პრეზიდენტის მიერ მოწონებული რეგლამენტის მიხედვით.

მუხლი 65 ა. (1) შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს თავდაცვის ფედერალური მინისტრი.

(2) (ამოღებულია)

მუხლი 66. ფედერალურ კანცლერს და ფედერალურ მინისტრებს არ შეიძლება ეკავთ რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ახორციელებდნენ კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას ან შედიოდნენ მოგების მიღების მიზნით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობაში, ხოლო ბუნდესტაგის თანხმობის გარეშე – მოგების მიღებაზე ორიენტირებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 67. (1) ბუნდესტაგს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს ფედერალურ კანცლერს იმით, რომ წევრთა უმრავლესობით აირჩევს მის უფლებამონაცვლეს და ფედერალური კანცლერის გათავისუფლების თხოვნით მიმართავს ფედერალურ პრეზიდენტს. ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა და დანიშნოს არჩეული პირი.

(2) უნდობლობის გამოცხადების შესახებ წინადადების წარდგენასა და არჩევნებს შორის უნდა გავიდეს ორმოცდარვა საათი.

მუხლი 68. (1) თუ ფედერალური კანცლერის მიმართვა მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ ვერ მოიპოვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის თანხმობას, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური კანცლერის წინადადებით, ოცდაერთი დღის განმავლობაში დაითხოვოს ბუნდესტაგი. დათხოვნის უფლება წყდება, როგორც კი ბუნდესტაგი თავისი წევრების უმრავლესობით აირჩევს სხვა ფედერალურ კანცლერს.

(2) ნდობის გამოცხადების შესახებ მიმართვასა და კენჭისყრას შორის უნდა გავიდეს ორმოცდარვა საათი.

მუხლი 69. (1) ფედერალური კანცლერი ფედერალური მინისტრებიდან ერთ-ერთს ნიშნავს თავის მოადგილედ.

(2) ფედერალური კანცლერის ან ფედერალური მინისტრის უფლებამოსილება ყველა შემთხვევაში მთავრდება ახალი ბუნდესტაგის პირველი შეკრებისთანავე. ხოლო ფედერალური მინისტრის უფლებამოსილება -- ასევე ფედერალური კანცლერის უფლებამოსილების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისთანავე.

(3) ფედერალური კანცლერი ფედერალური პრეზიდენტის თხოვნით, ხოლო ფედერალური მინისტრი ფედერალური კანცლერის ან ფედერალური

პრეზიდენტის თხოვნით, ვალდებულნი არიან საქმიანობა განაგრძონ მათი უფლებამონაცვლების დანიშვნამდე.

VII. ფედერაციის კანონმდებლობა

მუხლი 70. (1) მიწებს საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვთ რამდენადაც ამ ძირითადი კანონით საკანონმდებლო უფლებამოსილება ფედერაციას არ აქვს მინიჭებული.

(2) ფედერაციის და მიწების კომპეტენციათა გამოჯენა ღვინდება განსაკუთრებული და კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენციის შესახებ ამ ძირითადი კანონის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 71. ფედერაციის განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენციის სფეროში მიწებს აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ისინი აღნიშნულზე პირდაპირ არიან უფლებამოსილი ფედერალური კანონით.

მუხლი 72. (1) კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენციის სფეროში მიწებს აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ფედერაცია არ სარგებლობს თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილებით.

(2) აღნიშნულ სფეროში ფედერაციას აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება მაშინ და იმდენად, რამდენადაც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველყოფის ან სამართლებრივი ან ეკონომიკური ერთიანობის დაცვის მიზნით, აუცილებელია ფედერალური საკანონმდებლო რეგულირება.

(3) ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ ფედერალური საკანონმდებლო რეგულირება, როგორც მე-2 აბზაცის დებულებების არსიდან გამომდინარე აღარ არის აუცილებელი, შეიძლება შეიცვალოს მიწის სამართლით.

მუხლი 73. ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია შემდეგ საკითხებზე:

- 1) საგარეო საქმეები, ასევე, თავდაცვა, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჩათვლით;
- 2) ფედერაციის მოქალაქეობა;
- 3) თავისუფალი გადაადგილება, საპასპორტო რეჟიმი, იმიგრაცია და ემიგრაცია, ექსტრადიცია;

4) ვალუტა, ფულის მიმოქცევა და მონეტის მოჭრა, ზომის და წონის რეჟიმი, ასევე, ზუსტი დროის დადგენა;

5) ტერიტორიის საბაჟო და სავაჭრო ერთიანობა, ხელშეკრულებები ვაჭრობისა და საზღვაო ნაოსნობის შესახებ, საქონელბრუნვის თავისუფლება, საქონლის და გადარიცხვების ბრუნვა საზღვარგარეთ, საბაჟო და საზღვრის დაცვის ჩათვლით;

6) საჰაერო მიმოსვლა;

ნა) სარკინიგზო მიმოსვლა, რომელიც მთლიანად ან უმეტესწილად ეკუთვნის ფედერაციას (ფედერაციის რკინიგზა), სარკინიგზო გზების მშენებლობა, მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, ასევე, აღნიშნული გზებით სარგებლობისათვის საფასურის მიღება;

7) ფოსტა და ტელეკომუნიკაცია;

8) იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც იმყოფებიან ფედერაციის და საჯარო სამართლის ფედერალური კორპორაციის სამსახურში;

9) სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვა, საავტორო სამართალი და საგამომცემლო სამართალი;

10) ფედერაციის და მიწების თანამშრომლობა

ა) კრიმინალური პოლიციის სფეროში,

ბ) თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების, ფედერაციის ან მიწის არსებობის და უსაფრთხოების დაცვაში (კონსტიტუციის დაცვა) და

გ) ფედერაციის ტერიტორიის დაცვაში მისწრაფებისგან, ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენებისაკენ მიმართული მოსამზადებელი ქმედებების გზით, ზიანი მიადგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ინტერესებს, ასევე, კრიმინალური პოლიციის ფედერალური უწყების დაარსება და ბრძოლა საერთაშორისო დამნაშავეობასთან,

11) სტატისტიკა ფედერაციის მიზნებისათვის.

მუხლი 74. (1) კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენცია ვრცელდება შემდეგ სფეროებზე:

1. სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და განაჩენების აღსრულება, სასამართლო წყობილება, სასამართლო წარმოება, ადვოკატურა, ნოტარიატი და იურიდიული კონსულტაცია;

2. სამოქალაქო მდგომარეობის აქტები;

3. კავშირებისა და შეკრებების უფლება;

4. უცხოელთა ქვეყანაში ყოფნისა და მუდმივად დასახლების უფლება;

4ა. კანონმდებლობა იარაღის და ფეთქებადი ნივთიერებების შესახებ;

5. *(გაუქმებულია)*

6. ლტოლვილთა და დევნილთა საქმეები;
7. სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა;
8. (გაუქმებულია)
9. სამხედრო ზარალი და მისი ანაზღაურება;
10. ომის ინვალიდების, დაღუპულთა ნათესავების უზრუნველყოფა და ყოფილ სამხედრო ტყვეებზე მზრუნველობა;
- 10ა. დაღუპულ მებრძოლთა საფლავები, ომის სხვა მსხვერპლთა და ტირანის მსხვერპლთა საფლავები;
11. ეკონომიკური სამართალი (სამთო საქმე, მრეწველობა, ენერგეტიკა, სახელობო საქმე, ვაჭრობა, საბანკო და საბირჟო საქმე, კერძო დაზღვევა);
- 11^ა. ბირთვული ენერჯის წარმოება და მოხმარება მშვიდობიანი მიზნებისათვის, აღნიშნული მიზნებისათვის განკუთვნილი მოწყობილობების აგება და ექსპლუატაცია; დაცვა საფრთხისაგან, რომელიც წარმოიშობა ბირთვული ენერჯის გამოთავისუფლებისას ან იონიზირებული გამოსხივების შედეგად, რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამარხვა;
12. შრომის სამართალი, მათ შორის საწარმოთა ორგანიზაცია, შრომის დაცვა და შუამავლობა დასაქმებისას, ასევე, სოციალური დაზღვევა, უმუშევრობისაგან დაზღვევის ჩათვლით;
13. განათლებისათვის განკუთვნილი სუბსიდიების რეგულირება და სამეცნიერო კვლევებისთვის ხელშეწყობა;
14. საკუთრების ჩამორთმევის უფლება, რამდენადაც იგი ეხება 73-ე და 74-ე მუხლებში მითითებულ სფეროებს;
15. მიწის, წიაღის, ბუნებრივი რესურსების და წარმოების საშუალებების გადაცემა საზოგადოებრივ საკუთრებაში, ან საზოგადოებრივ მფარველობაში არსებული სხვა ფორმებით;
16. ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება;
17. წარმოებისათვის ხელშეწყობა სასოფლო და სატყეო მეურნეობაში; სურსათით მომარაგების უზრუნველყოფა, სასოფლო და სატყეო მეურნეობის პროდუქტების შემოტანა და გატანა, თევზჭერა ღია ზღვაში და მიმდებარე წყლებში, სანაპიროს დაცვა;
18. მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული გარიგებები, მიწის სამართალი (მიწის ათვისებაში მონაწილეობის უფლების გარეშე) და სასოფლო-სამეურნეო იჯარა, საბინაო საქმე, დასახლებული პუნქტები და პირად საკუთრებაში არსებული სახლები;
19. ადამიანებისა და ცხოველების საყოველთაოდ საშიში და გადაძვლები დაავადებების წინააღმდეგ დაცვის ღონისძიებები, საექიმო და სხვა სამედიცინო

ნო პროფესიებსა და თანამდებობებზე დაშვება, წამლების, სამკურნალო და ნარკოტიკული საშუალებების და შხამების მიმოქცევა;

19ა. საავადმყოფოების ეკონომიკური უზრუნველყოფა და მათ მიერ გაწეული დახმარების ტარიფების რეგულირება;

20. სურსათის და კვების მრეწველობის, პირველადი მოთხოვნილების საგნების, ფურაჟის, სასოფლო და სატყეო მეურნეობისათვის თესლეულისა და სარგავი მასალის ბრუნვისას დაცვა, მცენარეთა დაცვა დაავადებებისაგან და მავნებლებისაგან, ასევე, ცხოველთა დაცვა;

21. ნაოსნობა ღია ზღვაში და მიმდებარე წყლებში, ასევე, საზღვაო სანავიგაციო ნიშნები, საზღვაო ნაოსნობა შიდა წყლებში, მეტეოროლოგიური სამსახური, საზღვაო არხები და საერთო დანიშნულების შიდა საწყლოსნო გზები;

22. საგზაო მოძრაობა, საავტომობილო ტრანსპორტი, ავტოსტრადების აგება და მოვლა-პატრონობა, ასევე, სატრანსპორტო საშუალებებით საზოგადოებრივი გზებით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლების აკრეფა და განაწილება;

23. სალიანდაგო გზები, რომლებიც არ მიეკუთვნება ფედერაციის სარკინიგზო გზებს გარდა ფუნიკულიორებისა;

24. ნარჩენების განადგურება, ჰაერის დაცვა დაბინძურებისაგან და ბრძოლა ხმაურთან;

25. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა;

26. ადამიანთა ხელოვნური განაყოფიერება, გამოკვლევა და მემკვიდრეობითობის ინფორმაციის ხელოვნური შეცვლა, ასევე, ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის რეგულირება;

(2) 25-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებული კანონები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 74ა. (1) კონკურენციული კანონმდებლობა ვრცელდება ასევე იმ პირთა შრომის ანაზღაურებასა და უზრუნველყოფაზე, რომლებიც იმყოფებიან სამსახურის და ერთგულების საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში, რამდენადაც ფედერაციას 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად არ გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია.

(2) ფედერალური კანონები, რომლებიც გამოიცემა პირველი აბზაცის შესაბამისად, საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(3) ბუნდესრატის თანხმობას ასევე საჭიროებენ ფედერალური კანონები, რომლებიც გამოიცემა 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, რამდენადაც ისინი ადგენენ კრიტერიუმებს შრომის ანაზღაურებისა და უზრუნველყოფის სტრუქტურის ან ანარიცხებისათვის, მათ შორის პირველი აბზაცის შესაბა-

მისად მიღებული ფედერალური კანონებით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ თანამდებობრივ სარგოებს ან სხვა მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს.

(4) პირველი და მე-2 აბზაცები შესაბამისად გამოიყენება მიწების მოსამართლეების შრომის ანაზღაურებასა და უზრუნველყოფასთან მიმართებაში. 98-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით მიღებულ კანონებთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება მე-3 აბზაცი.

მუხლი 75. (1) ფედერაციას უფლება აქვს 72-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გამოსცეს ჩარჩო დებულებები შემდეგ საკითხებზე:

1. მიწების, თემების და საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების საჯარო სამსახურში მყოფი პირების სამართლებრივი მდგომარეობა, რამდენადაც 74 ა მუხლი სხვა რამეს არ ითვალისწინებს;

1ა. უმაღლესი განათლების ზოგადი პრინციპები;

2. ზოგადი დებულებები პრესის და კინოს შესახებ;

3. ნადირობა, ბუნების დაცვა და ლანდშაფტებზე ზრუნვა;

4. მიწის განაწილება, რეგიონალური დაგეგმარება და წყლის რესურსების მართვა;

5. მოსახლეობის რეგისტრაცია და პირადობის დამადასტურებელი საბუთების გაცემა;

6. საზღვარგარეთ გატანისაგან გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. შესაბამისად მოქმედებს 72-ე მუხლის მე-3 აბზაცი.

(2) ჩარჩო დებულებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შეიცავდნენ უშუალოდ მოქმედ რეგულირებას;

(3) თუ ფედერაცია გამოსცემს ჩარჩო დებულებებს, მიწები ვალდებულნი არიან, კანონით განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოსცენ თავიანთი კანონები.

მუხლი 76. (1) კანონპროექტები ბუნდესტაგში შეიტანება ფედერალური მთავრობის, ბუნდესრატის ან ბუნდესტაგის წევრთა მიერ.

(2) ფედერალური მთავრობის კანონპროექტები თავდაპირველად წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესრატში. ბუნდესრატს უფლება აქვს აღნიშნულ კანონპროექტებთან დაკავშირებით ექვსი კვირის განმავლობაში გამოთქვას თავისი მოსაზრებები. როდესაც მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, განსაკუთრებით, კანონპროექტის დიდი მოცულობის გამო, ბუნდესრატი მოითხოვს ვადის გაგრძელებას, აღნიშნული ვადა შეადგენს ცხრა კვირას. ფედერალური მთავრობას შეუძლია კანონპროექტი, რომელიც მან ბუნდესრატში წარდგენი-

სას განსაზღვრა როგორც უადრესად სასწრაფო, სამი კვირის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესრათი მე-3 წინადადების შესაბამისად დააყენებს ვადის გაგრძელების მოთხოვნას, ექვსი კვირის ამოწურვის შემდეგ წარუდგინოს იგი ბუნდესტაგს, იმისდა მიუხედავად, ბუნდესრათის მოსაზრებები კანონპროექტთან დაკავშირებით არის თუ არა წარმოდგენილი. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ბუნდესრათის მოსაზრებები მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, წარუდგინოს ბუნდესტაგს. იმ კანონპროექტებთან მიმართებით, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ამ ძირითად კანონში ან 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად სუვერენული უფლებების გადაცემას, მოსაზრებების წარდგენის ვადა შეადგენს ცხრა კვირას. მოცემულ შემთხვევაში მე-4 წინადადება არ გამოიყენება.

(3) ბუნდესრათის კანონპროექტები ბუნდესტაგს უნდა წარედგინოს სამი თვის ვადაში ფედერალური მთავრობის მეშვეობით. ფედერალური მთავრობა ვალდებულია კანონპროექტებთან დაკავშირებით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. როდესაც მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, განსაკუთრებით, კანონპროექტის დიდი მოცულობის გამო, ფედერალური მთავრობა მოითხოვს ვადის გაგრძელებას, აღნიშნული ვადა შეადგენს ცხრა კვირას. როდესაც ბუნდესრათმა კანონპროექტი განსაზღვრა, როგორც უადრესად სასწრაფო, ვადა შეადგენს სამ კვირას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობა მე-3 წინადადების შესაბამისად დააყენებს ვადის გაგრძელების მოთხოვნას – ექვს კვირას. იმ კანონპროექტებთან მიმართებით, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ამ ძირითად კანონში ან 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად სუვერენული უფლებების გადაცემას, მოსაზრებების წარდგენის ვადა შეადგენს ცხრა კვირას. ამ შემთხვევაში მე-4 წინადადება არ გამოიყენება. კანონპროექტები ბუნდესტაგმა უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამის ვადაში.

მუხლი 77. (1) ფედერალური კანონები მიიღება ბუნდესტაგის მიერ. მიღებული კანონები ბუნდესტაგის თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ბუნდესრათს.

(2) ბუნდესრათს შეუძლია მიღებული კანონის მისთვის გადაცემიდან სამი კვირის განმავლობაში მოითხოვოს კომიტეტის მოწვევა, რომელიც კანონის ერთობლივი განხილვისათვის იქმნება ბუნდესტაგის და ბუნდესრათის წევრთა მიერ. ამ კომიტეტის შემადგენლობა და მისი საქმიანობის პროცედურა რეგულირდება რეგლამენტით, რომელიც მიიღება ბუნდესტაგის მიერ ბუნდესრათის თანხმობით. კომიტეტში შემავალი ბუნდესრათის წევრები არ არიან შეზღუდულნი მითითებებით. თუ კანონის მიღებისათვის აუცილებელია ბუნდესრათის თანხმობა, ბუნდესტაგს და ფედერალურ მთავრობას შეუძლიათ

მოითხოვონ კომიტეტის მოწვევა. თუ კომიტეტი წარმოადგენს წინადადებებს მიღებული კანონის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ბუნდესტაგმა უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

(2ა) როდესაც კანონის მისაღებად ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელია, ბუნდესრატმა კანონთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დადგენილ ვადაში, თუ დაყენებული არ არის მე-2 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული მოთხოვნა ან თუ კომიტეტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას მიღებული კანონის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(3) რამდენადაც კანონის მისაღებად ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელი არ არის, ბუნდესრატს შეუძლია მე-2 აბზაცში მითითებული პროცედურის დასრულების შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს პროტესტი ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ. პროტესტის შეტანის ვადა, მე-2 აბზაცის ბოლო წინადადებაში მითითებულ შემთხვევაში, ათვლება ბუნდესტაგის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების შემოსვლის დღიდან. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, კომიტეტში პროცედურის დასრულების შესახებ მე-2 აბზაცში გათვალისწინებული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული შეტყობინების შემოსვლის დღიდან.

(4) თუ პროტესტი მიღებულ იქნება ბუნდესრატის წევრთა ხმების უმრავლესობით, ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება უარყოფილ იქნეს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუ ბუნდესრატმა პროტესტი მიიღო თავისი ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, ასეთ შემთხვევაში ბუნდესტაგის მიერ მისი უარყოფისთვის საჭიროა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა, რომელიც შეადგენს, სულ მცირე ბუნდესტაგის წევრთა ხმების ურავლესობას.

მუხლი 78. ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის, თუ ბუნდესრატი მას დაეთანხმება, 77-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად არ დააყენებს მოთხოვნას, 77-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ ვადაში არ განაცხადებს პროტესტს ან გამოითხოვს აღნიშნულ პროტესტს, ან თუ პროტესტი უარყოფილი იქნება ბუნდესტაგის მიერ.

მუხლი 79. (1) ძირითადი კანონი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით, რომელიც სპეციალურად ცვლის ძირითადი კანონის ტექსტს ან შეაქვს მასში დამატებები. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას, რომელთა საგანს წარმოადგენს მშვიდობიანი დარეგულირება, მშვიდობიანი დარეგულირების მომზადება, საოკუპაციო-სამართლებრივი რეჟიმის შეწყვეტა, ასევე, იმ ხელშეკრულებების დადებისას, რომელთა დანიშნულებაა ემსახუ-

რონ ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვას, იმის დასადასტურებლად, რომ ძირითადი კანონის დებულებები არ ეწინააღმდეგება ასეთი ხელშეკრულებების დადებას და ძალაში შესვლას, საკმარისია ამ ძირითადი კანონის ტექსტის დამატება, რომელიც იზღუდება ასეთი დადასტურებით.

(2) ასეთი კანონი საჭიროებს ბუნდესტაგის და ბუნდესრატის წევრთა ხმების ორი მესამედის თანხმობას.

(3) დაუშვებელია ამ ძირითადი კანონის შეცვლა იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც ეხება ფედერაციის მიწებად დაყოფას, კანონმდებლობაში მიწების მონაწილეობის პრინციპებს ან პრინციპებს, რომლებიც დადგენილია პირველ და მე-20 მუხლებში.

მუხლი 80. (1) კანონმა ფედერალურ მთავრობას, ფედერალურ მინისტრს ან მიწების მთავრობებს შეიძლება მიანიჭოს სამართლებრივი დადგენილების გამოცემის უფლებამოსილება. ამასთან კანონით უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძველი. თუ კანონით გათვალისწინებულია უფლებამოსილებების შემდგომი გადაცემის შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილებათა გადაცემისთვის საჭიროა სამართლებრივი დადგენილების გამოცემა.

(2) თუ ფედერალური კანონით სხვა რამ არის დადგენილი, ბუნდესრატის თანხმობას საჭიროებენ ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრების სამართლებრივი დადგენილებები ფოსტის და ტელეკომუნიკაციების გამოყენების პრინციპების და ტარიფების შესახებ, ფედერაციის რკინიგზით სარგებლობის საფასურის მიღების ძირითადი დებულებების შესახებ, რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ, ასევე, სამართლებრივი დადგენილებები, რომლებიც მიიღება ისეთი ფედერალური კანონების საფუძველზე, რომლებიც საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას ან რომლებსაც მიწები ასრულებენ ფედერაციის დავალებით ან მათი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

(3) ბუნდესრატს შეუძლია ფედერალურ მთავრობას წარუდგინოს პროექტები იმ სამართლებრივი დადგენილებების გამოსაცემად, რომლებიც საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

(4) რამდენადაც მიწების მთავრობები ფედერალური კანონით ან ფედერალური კანონების საფუძველზე უფლებამოსილი არიან გამოსცენ სამართლებრივი დადგენილებები, იმდენად ენიჭებათ მიწებს უფლება რეგულირება განახორციელონ კანონების მიღების მეშვეობით.

მუხლი 80 ^ა. (1) თუ ამ ძირითად კანონში ან თავდაცვის შესახებ ფედერალურ კანონში, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჩათვლით, განისაზღვრება, რომ სამართლებრივი დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ მუხლის შესაბამისად, მათი გამოყენება თავდაცვის მდგომარეობის გარდა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესტაგი და ადგენს დაძაბული მდგომარეობის არსებობას, ან გასცემს სპეციალურ თანხმობას ასეთ გამოყენებაზე. დაძაბული მდგომარეობის არსებობის დადგენა და სპეციალური თანხმობის გაცემა, მე-5 აბზაცის პირველ და მე-12ა მუხლის მე-6 აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში, მოითხოვს მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობას.

(2) ზომები, რომლებიც მიღებულია პირველ აბზაცში მითითებული სამართლებრივი დებულებების საფუძველზე, უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი.

(3) პირველი აბზაცისაგან განსხვავებით, ასეთი სამართლებრივი დებულებების გამოყენება დასაშვებია საერთაშორისო ორგანოს მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ფარგლებში, ფედერალური მთავრობის თანხმობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და შესაბამისად. ამ აბზაცის საფუძველზე მიღებული ზომები უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 81. (1) თუ 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბუნდესტაგი არ იქნება დათხოვნილი, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური მთავრობის წინადადებით და ბუნდესრატის თანხმობით, გამოაცხადოს საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობა იმ კანონპროექტთან მიმართებით, რომელიც ბუნდესტაგმა უარყო, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა მთავრობამ აღნიშნული კანონპროექტი განსაზღვრა, როგორც გადაუდებელი. აღნიშნული პროცედურა გამოყენებადია ასევე იმ უარყოფილი კანონპროექტის შემთხვევაშიც, რომელსაც ფედერალური კანცლერი უკავშირებდა 68-ე მუხლში აღნიშნულ წინადადებას.

(2) თუ ბუნდესტაგი საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ისევ უარყოფს კანონპროექტს, ან მას მიიღებს ფედერალური მთავრობისათვის მიუღებელი რედაქციით, კანონი ძალაში შესულად ითვლება, თუ მას დაეთანხმება ბუნდესრატი. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც პროექტი მისი ხელახალი შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში არ იქნება მიღებული ბუნდესტაგის მიერ.

(3) ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ნებისმიერი სხვა, ბუნდესტაგის მიერ უარყოფილი კანონპროექტი ასევე შეიძლება მიღებულ იქნეს პირველი ან მეორე აბზაცების შესაბამისად. საკანონმდებლო

საჭიროების მდგომარეობის პირველი გამოცხადებიდან ექვსი კვირის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ თანამდებობაზე იმავე ფედერალური კანცლერის ყოფნის პერიოდში დაუშვებელია საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობის შემდგომი გამოცხადება.

(4) მე-2 აბზაცის შესაბამისად ძალაში შესული კანონის საფუძველზე ძირითადი კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმდეს ან შეჩერდეს მისი მოქმედება.

მუხლი 82. (1) კანონები, რომლებიც ძალაში შევიდნენ ამ ძირითადი კანონის დებულებების საფუძველზე, თანახელმოწერის შემდეგ მზადდება ფედერალური პრეზიდენტის მიერ და ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“. სამართლებრივი დადგენილებები მზადდება მათი გამომცემი ორგანოების მიერ და თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“.

(2) ყველა კანონში და სამართლებრივ დადგენილებაში განსაზღვრული უნდა იყოს მათი ძალაში შესვლის თარიღი. ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში ისინი ძალაში შედიან „ფედერალურ კანონთა ჟურნალის“ გამოსვლიდან მე-14 დღეს.

VIII ფედერალური კანონების აღსრულება და ფედერალური ადმინისტრაცია

მუხლი 83. მიწები ფედერალურ კანონებს ასრულებენ როგორც საკუთარ საქმეს, რამდენადაც ამ ძირითადი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან დაშვებული.

მუხლი 84. (1) თუ მიწები ფედერალურ კანონებს ასრულებენ როგორც საკუთარ საქმეს, ასეთ შემთხვევაში ისინი თვითონ არეგულირებენ ხელისუფლების ორგანოების მოწყობასა და ადმინისტრაციულ წარმოებას, რამდენადაც ფედერალური კანონებით, ბუნდესრატის თანხმობით, სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები.

(3) ფედერალური მთავრობა ახორციელებს ზედამხედველობას მიწების მიერ ფედერალური კანონების მოქმედი სამართლის შესაბამისად შესრულებაზე. ამ მიზნით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, გაგზავნოს უფლებამოსილი პირები მიწების უმაღლეს ორგანოებში, ზოლო მათი თანხმობით, ან ასეთ თანხმობაზე უარის შემთხვევაში ბუნდესრატის თანხმობით, ასევე ხელისუფლების ქვემდგომ ორგანოებშიც.

(4) თუ მიწების მიერ ფედერალური კანონების შესრულებისას ფედერალური მთავრობის მიერ აღმოჩენილი ნაკლოვანებები არ აღმოფხვრება, ფედერალური მთავრობის ან მიწის წინადადებით ბუნდესრავტი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა მიწამ სამართლის ნორმა. ბუნდესრავტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში.

(5) ფედერალურ მთავრობას კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრავტის თანხმობას, შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფედერალური კანონების შესრულების თაობაზე გასცეს კონკრეტული მითითებები. აღნიშნული მითითებები მიმართული უნდა იყოს მიწების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებისაკენ, გარდა ფედერალური მთავრობის მიერ გადაუდებლად მიჩნეული შემთხვევებისა.

მუხლი 85. (1) თუ მიწები ფედერალურ კანონებს ასრულებენ ფედერაციის დავალებით, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოების მოწყობა რჩება მიწების უფლებამოსილებაში, რამდენადაც ფედერალური კანონებით, ბუნდესრავტის თანხმობით, სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრავტის თანხმობით, გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები. მას შეუძლია, ერთგვარონად დაარეგულიროს მოხელეებისა და მოსამსახურეების მომზადება. საშუალო ინსტანციის ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები უნდა დაინიშნონ მისი თანხმობით.

(3) მიწების ხელისუფლების ორგანოები ექვემდებარება ფედერაციის უმაღლესი კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მითითებებს. მითითებები მიმართული უნდა იყოს მიწების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებისაკენ, გარდა ფედერალური მთავრობის მიერ გადაუდებლად მიჩნეული შემთხვევებისა. მითითების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიწების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

(4) ფედერალური ზედამხედველობა ვრცელდება აღსრულების კანონიერებაზე და მიზანშეწონილობაზე. ამ მიზნით ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს ანგარიშები და დოკუმენტები, გაგზავნოს უფლებამოსილი პირები ხელისუფლების ყველა ორგანოში.

მუხლი 86. თუ კანონების აღსრულება ხორციელდება ფედერაციის მიერ, საკუთარი ფედერალური ადმინისტრაციის ან უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული კორპორაციების ან საჯარო სამართლის დაწესებულებების მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში ფედერალური მთავრობა, თუ კანონში სპეციალური დათქმა არ არსებობს, გამოსცემს ზოგად ადმინისტრაციულ დებულებებს. იგი

აწესრიგებს ხელისუფლების ორგანოების მოწყობას, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 87. (1) უშუალოდ ფედერალურ ადმინისტრაციას, საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლებით მიეკუთვნება საგარეო სამსახური, ფედერალური ფინანსების მართვა და 89-ე მუხლის შესაბამისად – ფედერალური საწყლოსნო გზების და ნაოსნობის მართვა. ფედერალური კანონით შეიძლება შეიქმნას ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოები, საპოლიციო საცნობარო და ინფორმაციის სამსახურის, კრიმინალური პოლიციის და კონსტიტუციის დაცვის და, ძალის გამოყენებით, ან ასეთი ძალის გამოყენებისაკენ მიმართული მოსამზადებელი მოქმედებების მცდელობებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ინტერესებს, ფედერაციის ტერიტორიის დაცვისათვის მონაცემთა შეგროვების ცენტრალური ორგანოები.

(2) უშუალოდ ფედერაციას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის კორპორაციების სახით მოქმედებენ სოციალური დაზღვევის ის დაწესებულებები, რომელთა კომპეტენციის სფერო სცილდება ერთი მიწის ტერიტორიის ფარგლებს. სოციალური დაზღვევის დაწესებულებები, რომელთა კომპეტენცია ვრცელდება ერთზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს სამი მიწის ტერიტორიაზე, პირველი წინადადებისაგან განსხვავებით მოქმედებენ უშუალოდ მიწების დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის კორპორაციების სახით, თუ მათზე კონტროლის განმახორციელებელი მიწა განსაზღვრულია დაინტერესებული მიწების მიერ.

(3) გარდა ამისა, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც ფედერაციას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, ფედერალური კანონით შეიძლება შეიქმნას უმაღლესი დამოუკიდებელი ფედერალური ორგანოები და ახალი, უშუალოდ ფედერაციის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის კორპორაციები და დაწესებულებები. თუ ფედერაციის წინაშე დადგება ახალი ამოცანები იმ სფეროებში, რომლებშიც მას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ბუნდესრატისა და ბუნდესტაგის უმრავლესობის წევრთა თანხმობით, შეიძლება შეიქმნას საშუალო და ქვედა ინსტანციების ორგანოები.

მუხლი 87^ა. (1) ფედერაცია თავდაცვისათვის ქმნის შეიარაღებულ ძალებს. მათი რაოდენობა და ორგანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები გაწერილი უნდა იყოს ბიუჯეტში.

(2) თავდაცვის გარდა შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ამ ძირითადი კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში.

(3) თავდაცვის ან დაძაბული მდგომარეობის შემთხვევაში შეიარაღებული ძალები აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებით, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათ მიერ თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად, დაიცვან სამოქალაქო ობიექტები და გადაწყვიტონ მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები. გარდა ამისა, თავდაცვის ან დაძაბული მდგომარეობის დროს, პოლიციური ღონისძიებების მხარდაჭერისათვის შეიარაღებულ ძალებს შეიძლება გადაეცეთ სამოქალაქო ობიექტების დაცვის ფუნქცია. აღნიშნულის განხორციელებისას შეიარაღებული ძალები მოქმედებენ კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოებთან ერთად.

(4) იმ საფრთხის აღმოსაფხვრელად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან რომელიმე მიწის არსებობას ან თავისუფალი, დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, თუ არსებობს 91-ე მუხლის მე-2 აბზაცში მითითებული წინაპირობები და თუ პოლიციური ძალები, ასევე, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოების ძალები არ არის საკმარისი, სამოქალაქო ობიექტების დაცვაში და ორგანიზებული და შეიარაღებული ფორმირების წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციის და ფედერალური საზღვის დაცვის ორგანოების დასახმარებლად გამოიყენოს შეიარაღებული ძალები. შეიარაღებული ძალების გამოყენება უნდა შეწყდეს, როდესაც ამას მოითხოვს ბუნდესტაგი ან ბუნდესრატი.

მუხლი 87 ბ. (1) ფედერალური სამხედრო მმართველობა ხორციელდება საკუთარი ფედერალური ადმინისტრაციის მიერ, საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლებით. მის ამოცანაში შედის პირადი შემადგენლობისა და შეიარაღებული ძალების მატერიალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფის საკითხები. დაზარალებულების უზრუნველყოფის და მშენებლობის ამოცანები ფედერალურ სამხედრო მმართველობას შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. ბუნდესრატის თანხმობას ასევე საჭიროებენ კანონები, რომლებითაც ფედერალურ სამხედრო მმართველობას ენიჭება უფლებამოსილება, ჩაერიოს მესამე პირების უფლებებში. აღნიშნული არ ეხება კანონებს, რომლებიც ეხებიან პირად შემადგენლობას.

(2) სხვა შემთხვევებში, თავდაცვის შესახებ ფედერალური კანონებით, მათ შორის, სამხედრო სამსახურის შეცვლის და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ფედერალური კანონებით, ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება დადგინდეს, რომ ისინი სრულად ან ნაწილობრივ აღსრულდებიან

უშუალოდ ფედერალური ადმინისტრაციის მიერ საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლების მეშვეობით ან მიწების მიერ, ფედერაციის დავალებით. თუ ასეთი კანონების აღსრულება ხორციელდება მიწების მიერ ფედერაციის დავალებით, აღნიშნული კანონებით ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება დადგინდეს, რომ უფლებამოსილებები, რომლებიც 85-ე მუხლის საფუძველზე ეკუთვნის ფედერალურ მთავრობას და კომპეტენტურ უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს. ამასთან შეიძლება დადგინდეს, რომ ამ ორგანოების მიერ 85-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების თანახმად გამოცემული ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები არ საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 87 ბ. კანონები, რომლებიც მიიღება 74-ე მუხლის მე-11^ა პუნქტის საფუძველზე, ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება ადგენდნენ, რომ მათი აღსრულება მიწების მიერ ხორციელდება ფედერაციის დავალებით.

მუხლი 87 ვ. (1) საპაერო მიმოსვლის მართვა ხორციელდება უშუალოდ ფედერალური ადმინისტრაციის მიერ. ფედერალური კანონი ადგენს მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ (საჯარო-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი) ფორმას.

(2) ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, საპაერო მიმოსვლის მართვის ამოცანები ფედერაციის დავალებით შეიძლება გადაეცეთ მიწებს.

მუხლი 87 ჯ. (1) სარკინიგზო მიმოსვლის მართვა ხორციელდება ფედერალური ადმინისტრაციის მიერ. სარკინიგზო მიმოსვლის მართვის ამოცანები, ფედერალური კანონის მიღების მეშვეობით შეიძლება გადაეცეს მიწებს, როგორც საკუთარი საქმე.

(2) ფედერალური კანონის შესაბამისად, ფედერაცია ახორციელებს სარკინიგზო მიმოსვლის მართვის ამოცანებს, რომლებიც სცილდება ფედერაციის რკინიგზის სფეროს.

(3) ფედერაციის რკინიგზა იმართება როგორც კერძო სამართლის სამეურნეო საწარმო. იგი იმყოფება ფედერაციის საკუთრებაში, რამდენადაც სამეურნეო საწარმოს საქმიანობა მოიცავს სალიანდაგო გზების მშენებლობას, შენახვას და ექსპლუატაციას. მე-2 წინადადების შესაბამისად საწარმოებში ფედერაციის წილების გადაცემა ხორციელდება კანონის საფუძველზე. აღნიშნულ საწარმოებში წილის უმეტესი ნაწილი რჩება ფედერაციას. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

(4) ფედერაცია უზრუნველყოფს, რომ ფედერაციის სალიანდაგო გზების შენახვისა და განვითარების, ასევე აღნიშნულ გზებზე სატრანსპორტო მომსახურების გაწევისას, მხედველობაში მიიღება საერთო კეთილდღეობის, განსაკუთრებით სატრანსპორტო საჭიროების მოთხოვნები, რამდენადაც აღნიშნული არ ეხება სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

(5) კანონები, რომლებიც მიიღება პირველი და მეოთხე აბზაცების საფუძველზე, საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას. ასევე ბუნდესრატის თანხმობას საჭიროებენ კანონები, რომლებიც არეგულირებენ ფედერაციის რკინიგზის საწარმოების ლიკვიდაციას, შერწყმას ან გაყოფას, ფედერაციის რკინიგზის სალიანდაგო გზების მესამე პირებისთვის გადაცემას, ან რომლებიც გავლენას ახდენენ სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტზე.

მუხლი 87 პ. (1) ფედერალური კანონის შესაბამისად, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ფედერაცია უზრუნველყოფს ფოსტის და ტელეკომუნიკაციის სფეროში არსებული შესაბამისი და საკმარისი მომსახურების გაცრელებას მთელ ფედერალურ ტერიტორიაზე.

(2) პირველ აბზაცში მითითებული მომსახურებების მიწოდება ხორციელდება კერძო სამეწარმეო საქმიანობის წესით, გერმანიის ფედერალური ფოსტის ქონების ბაზაზე შექმნილი საწარმოების და სხვა კერძო საწარმოების მიერ. ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში მართვა ხორციელდება ფედერალური ადმინისტრაციის მიერ.

(3) მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების დებულებების მიუხედავად, ფედერაცია ფედერალური კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის ფედერალური დაწესებულებების მეშვეობით ასრულებს გარკვეულ ამოცანებს იმ საწარმოებთან მიმართებით, რომლებიც ფედერალური კანონის მიხედვით შექმნილია გერმანიის ფედერალური ფოსტის ქონების საფუძველზე.

მუხლი 88. ფედერაცია, ფედერალური ბანკის სახით, ქმნის სავალუტო და საემისიო ბანკს. მისი ამოცანები და უფლებამოსილებები ევროპული კავშირის ფარგლებში შეიძლება გადაეცეს ევროპის ცენტრალურ ბანკს, რომელიც არის დამოუკიდებელი და რომლის უპირატეს მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მუხლი 89. (1) ფედერაცია წარმოადგენს ყოფილი საიმპერიო საწყლოსნო გზების მესაკუთრეს.

(2) ფედერაცია საწყლოსნო გზებს მართავს საკუთარი ორგანოების მეშვეობით. იგი ახორციელებს იმ შიდა ნაოსნობასთან დაკავშირებულ სახელ-

მწიფო ამოცანებს, რომელიც სცილდება ერთი მიწის ტერიტორიის ფარგლებს. ასევე საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ამოცანებს, რომლებიც მას გადაეცემა კანონით. რამდენადაც ფედერალური საწყლოსნო გზები გადის ერთი მიწის ტერიტორიაზე, ფედერაციას შეუძლია ამ მიწის თხოვნით, მათი მართვა, ფედერაციის დავალების სახით, გადასცეს აღნიშნულ მიწას.

თუ საწყლოსნო გზა გადის რამდენიმე მიწის ტერიტორიაზე, ფედერაციას შეუძლია მისი მართვა დაავალოს იმ მიწას, რომელსაც აირჩევენ დაინტერესებული მიწები.

(3) საწყლოსნო გზების მართვის, განვითარებისა და აღჭურვისას, მიწებთან შეთანხმებით დაცული უნდა იყოს ბუნების დაცვისა და საწყლოსნო მეურნეობის მოთხოვნები.

მუხლი 90. (1) ფედერაცია წარმოადგენს ყოფილი საიმპერიო ავტოსტრადების და საიმპერიო ტრასების მესაკუთრეს.

(2) ფედერალურ ავტოსტრადებს და სხვა შორეული მიმოსვლის ფედერალურ ტრასებს ფედერაციის დავალებით მართავენ მიწები ან მიწების სამართლის შესაბამისად განსაზღვრული კომპეტენტური თვითმმართველი კორპორაციები.

(3) ფედერაციას შეუძლია რომელიმე მიწის წინადადებით ფედერალური ადმინისტრაციის მართვაში მიიღოს აღნიშნული მიწის ტერიტორიაზე არსებული ფედერალური ავტოსტრადები და სხვა ფედერალური შორეული მიმოსვლის ტრასები.

მუხლი 91. (1) საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან რომელიმე მიწის არსებობას ან თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, მიწას შეუძლია მოითხოვოს სხვა მიწების პოლიციური ძალების, ასევე დაწესებულებების და ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოების ძალები.

(2) თუ მიწა, რომელსაც ემუქრება საფრთხე, თვითონ არ არის მზად ან არ შეუძლია აღმოფხვრას აღნიშნული საფრთხე, ფედერალურ მთავრობას შეუძლია საკუთარი განკარგულებით დაიქვემდებაროს აღნიშნული მიწის პოლიცია და სხვა მიწების პოლიციური ძალები. ასევე გამოიყენოს ფედერალური საზღვრის დაცვის ძალები და დაწესებულებები. აღნიშნული განკარგულება უნდა გაუქმდეს საფრთხის ლიკვიდაციისთანავე. ასევე ყველა შემთხვევაში, ბუნდესრატის მოთხოვნით. თუ საფრთხე ვრცელდება ერთზე მეტი მიწის ტერიტორიაზე, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, რამდენადაც ეს

აუცილებელია საფრთხესთან ეფექტური ბრძოლისათვის, მისცეს მითითებები მიწების მთავრობებს. პირველი და მე-2 წინადადებები ხელშეუხებელი რჩება.

VIII. საერთო ამოცანები

მუხლი 91 ა. (1) თუ ამოცანებს აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ფედერაციის მონაწილეობა აუცილებელია ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად (საერთო ამოცანები) ფედერაცია მონაწილეობს მიწების ამოცანების შესრულებაში, შემდეგ სფეროებში:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის მათთან არსებული კლინიკების, გაფართოება და მშენებლობა;

2. რეგიონალური ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესება;

3. აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება და მიმდებარე ზონების დაცვა.

(2) საერთო ამოცანები დეტალურად რეგულირდება ფედერალური კანონით, ბუნდესრატის თანხმობით. აღნიშნული კანონი უნდა შეიცავდეს ამგვარი ამოცანების შესრულების ზოგად პრინციპებს.

(3) კანონი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება ძირითადი მიმართულებების ერთობლივი დაგეგმვის პროცედურას და დაწესებულებებს. რომელიმე პროექტის ჩართვა ძირითადი მიმართულებების გეგმაში საჭიროებს იმ მიწის თანხმობას, რომლის ტერიტორიაზეც ის განხორციელდება.

(4) პირველი აბზაცის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, ფედერაცია თითოეულ მიწაზე გაიღებს ხარჯების ნახევარს. პირველი აბზაცის მე-3 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფედერაცია გაიღებს ხარჯების არანაკლებ ნახევარს; მონაწილეობა დადგენილი უნდა იყოს ყველა მიწისათვის საერთო საფუძველზე. დეტალები რეგულირდება კანონით. დაფინანსების დებულებები დადგენილი უნდა იყოს ფედერაციისა და მიწების ბიუჯეტებში.

(5) ფედერალურ მთავრობას და ბუნდესრატს, მათი მოთხოვნით, უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საერთო ამოცანების შესრულების შესახებ.

მუხლი 91 ბ. ფედერაციას და მიწებს შეუძლიათ ტრანსრეგიონალური მნიშვნელობის განათლების დაგეგმვის, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისას ითანამშრომლონ შეთანხმებების საფუძველზე. ხარჯების განაწილება რეგულირდება შეთანხმებით.

IX. მართლმსაჯულება

მუხლი 92. მართლმსაჯულება მინდობილი აქვთ მოსამართლეებს. იგი ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ამ ძირითადი კანონით გათვალისწინებული ფედერალური სასამართლოებისა და მიწების სასამართლოების მიერ.

მუხლი 93. (1) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დებულობს გადაწყვეტილებებს:

1. დავებზე ამ ძირითადი კანონის განმარტების შესახებ უმაღლესი ფედერალური ორგანოს ან იმ სხვა დაინტერესებული სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის თაობაზე, რომლებიც ამ ძირითადი კანონით ან უმაღლესი ფედერალური ორგანოს რეკლამენტიით აღჭურვილნი არიან აქვთ საკუთარი უფლებებით;

2. ფედერალური სამართლის და მიწის სამართლის ამ ძირითად კანონთან ან მიწის სამართლის სხვა ფედერალურ სამართალთან ფორმალური და ფაქტიური შესაბამისობის თაობაზე უთანხმოების ან ეჭვის არსებობისას - ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან ბუნდესტაგის წევრთა ერთი მესამედის შუამდგომლობით.

2^ა. ძირითადი კანონის 72-ე მუხლის მე-2 აბზაცში მითითებულ პირობებთან შესაბამისობაზე უთანხმოების არსებობისას - ბუნდესრატის, მიწის მთავრობის ან რომელიმე მიწის სახალხო წარმომადგენლობის ორგანოს შუამდგომლობით;

3. უთანხმოების არსებობისას ფედერაციის და მიწების უფლებებთან და მოვალეობებთან მიმართებით, განსაკუთრებით მიწების მიერ ფედერალური სამართლის აღსრულებისას და ფედერალური ზედამხედველობის განხორციელებისას;

4. სხვა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დავებზე, ფედერაციასა და მიწებს შორის, სხვადასხვა მიწებს შორის ან ერთი მიწის ფარგლებში, რამდენადაც სხვაგვარი სასამართლო განხილვის პროცედურა არ არის გათვალისწინებული;

4^ა. კონსტიტუციურ საჩივრებზე, რომლებიც შეიძლება შეტანილი იქნეს ნებისმიერი პირის მიერ, ვინც ამტკიცებს, რომ საჯარო ხელისუფლებამ დაარღვია ერთ-ერთი მისი ძირითადი უფლება ან ერთ-ერთი იმ უფლებათაგანი, რომელსაც ითვალისწინებენ მე-20 (მე-4 აბზაცი), 33-ე, 38-ე, 101-ე, 103-ე და 104-ე მუხლები;

4^ბ. კანონის მიერ ძირითადი კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლების დარღვევის თაობაზე თემების და თემთა გაერთიანებების კონსტიტუციურ საჩივრებზე. ზოლო მიწების კანონებთან მიმარ-

თებით საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეიძლება შეტანილ იქნეს მიწის საკონსტიტუციო სასამართლოში;

5. ამ ძირითადი კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

(2) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შემდგომში ასევე იმოქმედებს ფედერალური კანონით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 94. (1) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ფედერალური მოსამართლეებისაგან და სხვა წევრებისაგან. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თანაბარი რაოდენობით აირჩევიან ბუნდესტაგის და ბუნდესრატის მიერ. მათ უფლება არ აქვთ შედიოდნენ ბუნდესტაგის, ბუნდესრატისა, ფედერალური მთავრობის ან მიწების შესაბამისი ორგანოების შემადგენლობაში.

(2) ფედერალური კანონი არეგულირებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოწყობას და სასამართლო წარმოების წესს და განსაზღვრავს რომელ შემთხვევებში აქვს მის გადაწყვეტილებებს კანონის ძალა. კონსტიტუციური საჩივრის შეტანისათვის წინაპირობის სახით, კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ ჯერ ამოწურული იქნეს ჩვეულებრივი სასამართლო წარმოებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა. ასევე კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს კონსტიტუციური საჩივრის შეტანის სპეციალური პროცედურა.

მუხლი 95. (1) საერთო, ადმინისტრაციულ, საფინანსო, შრომის და სოციალური იუსტიციის სფეროებში მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ფედერაცია უმაღლესი სასამართლო პალატების სახით ქმნის ფედერალურ სასამართლო პალატას, ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს, ფედერალურ საფინანსო პალატას, ფედერალურ შრომის სასამართლოს და ფედერალურ სოციალურ საკითხთა სასამართლოს.

(2) აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი სფეროსათვის კომპეტენტური მინისტრი მოსამართლეების არჩევის კომიტეტთან ერთად, რომელიც შედგება, შესაბამისი სფეროებისათვის კომპეტენტურ, მიწების მინისტრებისგან და იგივე რაოდენობის სხვა წევრებისაგან, რომლებიც აირჩევიან ბუნდესტაგის მიერ.

(3) სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას პირველ აბზაცში მითითებული სასამართლოების ერთობლივი სენატი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 96. (1) ფედერაციას შეუძლია სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის საქმეებზე შექმნას ფედერალური სასამართლო.

(2) ფედერაციას შეუძლია შეიარაღებული ძალებისათვის, ფედერალური სასამართლოების სახით შექმნას სამხედრო-სისხლის სამართლის სასამართლოები. აღნიშნულ სასამართლოებს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ თავდაცვის მდგომარეობის დროს, ასევე, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, გაგზავნილნი არიან საზღვარგარეთ ან იმყოფებიან სამხედრო გემებზე. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. ეს სასამართლოები ექვემდებარება ფედერალური იუსტიციის მინისტრის მმართველობას. აღნიშნული სასამართლოების საშტატო მოსამართლეებს უნდა გააჩნდეთ სამოსამართლო კვალიფიკაცია.

(3) პირველ და მეორე აბზაცებში მითითებული სასამართლოებისათვის უმაღლეს სასამართლო პალატას წარმოადგენს ფედერალური სასამართლო პალატა.

(4) ფედერაციას შეუძლია პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან მასთან საჯარო-სამართლებრივ სამსახურებრივ ურთიერთობებში, დისციპლინური წარმოების და საჩივრებთან დაკავშირებული წარმოების საქმეების გადასაწყვეტად შექმნას ფედერალური სასამართლოები.

(5) სისხლისსამართლებრივი წარმოებისათვის ფედერალურმა კანონმა ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება გაითვალისწინოს მიწების მიერ ფედერაციის იურისდიქციის განხორციელება შემდეგ სფეროებში:

1. გენოციდი;
2. საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;
3. ომის დროს ჩადენილი დანაშაული;
4. სხვა მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება იმ განზრახვით, რომ დაირღვეს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება (მუხლი 26, პირველი აბზაცი);
5. სახელმწიფო დაცვა.

მუხლი 97. (1) მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

(2) მოსამართლეები, რომლებიც საშტატო თანამდებობაზე ინიშნებიან გეგმიურად და სამუდამოდ, უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მათი ნების საწინააღმდეგოდ შეიძლება განთავისუფლდნენ, დროებით ან სამუდამოდ ჩამოშორებულ იქნენ თანამდებობას ან გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობაზე ან გადაყენებულ იქნენ, მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით და მხო-

ლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლებით და წესით. კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგაც მოსამართლეები ტოვებენ თანამდებობას. სასამართლო წყობილების ან სასამართლო ოლქების ცვლილებისას მოსამართლეები შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სასამართლოში ან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მხოლოდ ანაზღაურების სრული ოდენობით შენარჩუნებით.

მუხლი 98. (1) ფედერალური მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობა უნდა დარეგულირდეს სპეციალური ფედერალური კანონით.

(2) თუ ფედერალური მოსამართლე სამსახურში ან სამსახურს გარეთ დაარღვევს ძირითადი კანონის პრინციპებს ან რომელიმე მიწის სასამართლო წყობილების საფუძვლებს, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ბუნდესტაგის წინადადებით, თავისი წევრების ორი მესამედის უმრავლესობით, გამოსცეს ბრძანება ასეთი მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. თუ დარღვევა ჩადენილია განზრახ, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

(3) მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობა მიწებში უნდა დარეგულირდეს მიწების სპეციალური კანონებით. ფედერაციას შეუძლია დაადგინოს ჩარჩო დებულებები, რამდენადაც 74^ა მუხლის მე-4 აბზაცი სხვა რამეს არ ადგენს.

(4) მიწებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ მიწებში მოსამართლეების დანიშვნის შესახებ, მოსამართლეების არჩევის კომიტეტთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მიწის იუსტიციის მინისტრი.

(5) მიწებს შეუძლიათ მიწების მოსამართლეებისათვის დაადგინონ მე-2 აბზაცის შესაბამისი რეგულირება. მიწების მოქმედი კონსტიტუციური სამართალი რჩება ხელუხლებელი. მოსამართლის ბრალდების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

მუხლი 99. მიწის კანონით ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება დაეკისროს კონსტიტუციური დავების გადაწყვეტა ერთი მიწის ფარგლებში, ხოლო 95-ე მუხლის პირველ აბზაცში მითითებულ უმაღლეს სასამართლო პალატებს – საბოლოო ინსტანციის სახით იმ საქმეთა გადაწყვეტა, რომლებიც ეხებიან მიწების სამართლის გამოყენებას.

მუხლი 100. (1) თუ რომელიმე სასამართლო ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს კანონს, რომლის ნამდვილობის საკითხი დადგა აღნიშნული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, სასამართლო წარმოება უნდა შეჩერდეს

და თუ საქმე ეხება მიწის კონსტიტუციის დარღვევას, სასამართლო უნდა დაელოდოს მიწის იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც კომპეტენტურია საკონსტიტუციო დავების გადაწყვეტაზე, ხოლო თუ საქმე ეხება ამ ძირითადი კანონის დარღვევას - ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს წესი ასევე მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მიწის სამართლის მიერ ამ ძირითადი კანონის დარღვევას ან მიწის კანონის ფედერალურ კანონთან შეუსაბამობას.

(2) თუ სამართლებრივ დავაში წარმოიშობა ეჭვი, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის ნორმა ფედერალური სამართლის შემადგენელ ნაწილს და უშუალოდ წარმოშობს თუ არა იგი ინდივიდისათვის უფლებებსა და მოვალეობებს (25-ე მუხლი), სასამართლო უნდა დაელოდოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

(3) თუ ამ ძირითადი კანონის განმარტებისას მიწის საკონსტიტუციო სასამართლო აპირებს გადაუხეიოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ან სხვა მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაელოდოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მუხლი 101. (1) საგანგებო სასამართლოები დაუშვებელია. არავინ შეიძლება დაქვემდებაროს სხვა მოსამართლეს, გარდა ქვემდებარეობით თავისი კანონიერი მოსამართლისა.

(2) სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონით.

მუხლი 102. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 103. (1) სასამართლოში ყველას აქვს უფლება, კანონის შესაბამისად იქნეს მოსმენილი.

(2) ქმედება დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა მის ჩადენამდე კანონით იყო დადგენილი.

(3) ერთიადიმავე ქმედებისათვის არავინ შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობაში მრავალჯობის, ზოგადი სისხლისსამართლებრივი კანონების საფუძველზე.

მუხლი 104. (1) პიროვნების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ოფიციალური კანონის საფუძველზე და ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით. დაკავებული პირებისადმი მორალურად ან ფიზიკურად სასტიკი მოპყრობა დაუშვებელია.

(2) თავისუფლების აღკვეთის დასაშვებობისა და ხანგრძლივობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მოსამართლე. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ შემთხვევაში, რომელიც არ ეფუძნება მოსამართლის ბრძანებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. პოლიციას საკუთარი სახელისუფლებო უფლებამოსილებების შესაბამისად, უფლება აქვს პირი დაკავებული ამყოფოს არაუმეტეს დაკავების დღის შემდგომი დღის ბოლომდე. დეტალები უნდა დარეგულირდეს კანონით.

(3) ყოველი პირი, ვინც დასჯადი ქმედების ჩადენაში ეჭვის საფუძველზე წინასწარ არის დაკავებული, არაუგვიანეს მისი დაკავების მომდევნო დღისა, უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელიც ვალდებულია აცნობოს მას დაკავების საფუძველი, დაკითხოს იგი და მისცეს შეპასუხების შესაძლებლობა. მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოსცეს მოტივირებული წერილობითი ბრძანება დაპატიმრების შესახებ, ან გასცეს განკარგულება დაკავებულის გათავისუფლების თაობაზე.

(4) თავისუფლების აღკვეთის ან დაკავების ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებული პირის ნათესავებს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

X. ფინანსები

მუხლი 104^ა. (1) თუ ეს ძირითადი კანონი სხვაგვარად არ ადგენს, ფედერაცია და მიწები, თითოეული თავისი მხრიდან გასწევს ხარჯებს საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად.

(2) თუ მიწები მოქმედებენ ფედერაციის დავალებით, ამ უკანასკნელს ეკისრება აღნიშნულიდან გამოძღინარე ხარჯების გაწევა.

(3) ფედერალური კანონებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური სახსრების გადაცემას და რომლებიც სრულდება მიწების მიერ, შეიძლება განისაზღვროს, რომ ფინანსური სახსრები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემული იქნება ფედერაციის მიერ. თუ კანონი ადგენს, რომ ფედერაცია გაიღებს ხარჯების ნახევარს ან ნახევარზე მეტს, ამ შემთხვევაში კანონი შესრულდება ფედერაციის დავალებით. თუ კანონი ადგენს, რომ მიწები გაიღებენ ხარჯების მეოთხედს ან მეოთხედზე მეტს, ასეთი კანონის მისაღებად საჭიროა ბუნდესრატის თანხმობა.

(4) ფედერაციას შეუძლია, მიწებს გაუწიოს ფინანსური დახმარება მიწების და თემების (თემთა გაერთიანებების) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხარჯების დასაფარად, რაც აუცილებელია საერთო ეკონომიკური ბალანსის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ფედერაციის ტერიტორიაზე შესაძლო ეკონომიკური დიფერენციაციის გასაწონასწორებლად ან ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად. დეტალები, განსაკუთრებით ინვესტიციების ფორ-

მები რეგულირდება ან ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას ან ფედერალურ საბიუჯეტო კანონზე დაფუძნებული ადმინისტრაციული შეთანხმებით.

(5) ფედერაციას და მიწებს აკისრიათ მათი ხელისუფლების ორგანოებში წარმოქმნილი ადმინისტრაციული ხარჯები და პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის მიმართ სათანადო მმართველობაზე. დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 105. (1) ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია საბაჟო და ფინანსური მეტროპოლიების კანონმდებლობაში.

(2) ფედერაციას გააჩნია კონკურენციული კანონმდებლობის მიღების კომპეტენცია სხვა გადასახადებთან დაკავშირებით, თუ მას მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის აღნიშნული გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ან თუ გამოყენებული უნდა იქნეს 72-ე მუხლის მე-2 აბზაცში განსაზღვრული პირობები.

(2ა) მიწებს გააჩნიათ უფლებამოსილება, გამოსცენ კანონმდებლობა ადგილობრივი, სამომხმარებლო გადასახადებისა და ხარჯების სფეროში, იქამდე და იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გადასახადები არ არიან ფედერალური კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების შესაბამისი.

(3) ფედერალური კანონები იმ გადასახადების შესახებ, რომელთაგან მიღებულ შემოსავალსაც მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ მიწები ან თემები (თეთა გაერთიანებები), საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 106. (1) ფედერაციას ეკუთვნის ფინანსური მონოპოლიებისგან და შემდეგი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი:

1. საბაჟო მოსაკრებელი;
2. არაპირდაპირი სამომხმარებლო გადასახადი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი მე-2 აბზაცის შესაბამისად არ ეკუთვნის ფედერალურ მიწებს, ფედერაციას და ფედერალურ მიწებს ერთობლივად (მე-3 აბზაცის შესაბამისად) ან თემებს (მე-6 აბზაცის შესაბამისად);
3. სატვირთო ტრანსპორტის გადასახადი;
4. გადასახადი კაპიტალის ბრუნვაზე, სადაზღვევო გადასახადი და გადასახადი გაცვლით ოპერაციებზე;
5. ქონების ერთჯერადი გადასახადი და მიწების ხარჯების დასაბალანსებელი საკომპენსაციო მოსაკრებლები;
6. დამატებითი მოსაკრებლები საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადზე;
7. ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში ასაკრეფი გადასახადები.

(2) მიწებს ეკუთვნით შემდეგი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები:

1. ქონების გადასახადი;
2. სამემკვიდრეო გადასახადი;
3. საავტომობილო გადასახადი;

4. სატრანსპორტო გადასახადი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი პირველი აბზაცის შესაბამისად არ ეკუთვნის ფედერაციას ან მე-3 აბზაცის შესაბამისად, ერთობლივად არ ეკუთვნის ფედერაციას და მიწებს;

5. ლუდის გადასახადი;

6. სათამაშო დაწესებულებების გადასახადი.

(3) საშემოსავლო, საკორპორაციო და ბრუნვის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი (საერთო გადასახადები) ერთობლივად ეკუთვნის ფედერაციას და მიწებს, თუ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი მე-5 აბზაცის შესაბამისად და ბრუნვის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი მე-5ა აბზაცის შესაბამისად, არ ეკუთვნით თემებს. საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ფედერაციასა და მიწებს შორის ნაწილდება თანაბრად. ფედერაციის და მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. აღნიშნული წილის განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგი ამოსავალი პრინციპების საფუძველზე:

1. მიმდინარე შემოსავლების ფარგლებში ფედერაციას და მიწებს გააჩნიათ თანაბარი უფლება, დაფარონ თავიანთი აუცილებელი ხარჯები. ასეთ შემთხვევაში ხარჯების მოცულობა განისაზღვრება მრავალწლიანი ფინანსური დაგეგმარების გათვალისწინებით.

2. ფედერაციის და მიწების ხარჯების დაფარვის მოთხოვნილებები ერთმანეთთან მიმართებაში ისე უნდა დარეგულირდეს, რომ მიღწეულ იქნეს ეკონომიკური ბალანსი, თავიდან იქნეს აცილებული გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის უფრო დამძიმება და უზრუნველყოფილ იქნეს ცხოვრების თანაბარი პირობები ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. ბრუნვის გადასახადში ფედერაციის და მიწების წილის განსაზღვრისას დამატებით მხედველობაში მიიღება დაბალი საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც მიწებს წარმოეშობათ 1996 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას ბავშვების გათვალისწინების გამო. დეტალებს განსაზღვრავს ფედერალური კანონი მე-3 აბზაცის შესაბამისად.

(4) ფედერაციის და მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში უნდა განისაზღვროს თავიდან, თუ ფედერაციის და მიწების შემოსავლების და ხარჯების თანაფარდობა არსებითად იცვლება. ამოუღებელი გადასახადები, რომელთა აკრეფაც მე-3 აბზაცის მე-5 წინადადების შესაბამისად ხდება დამატებით - მხედველობაში არ მიიღება. თუ ფედერალუ-

რი კანონი მიწებს აკისრებს დამატებით ხარჯებს ან აკლებს შემოსავლებს, აღნიშნული დამატებითი ხარჯების კომპენსაცია შეიძლება განხორციელდეს ფედერალური კანონის საფუძველზე, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ასევე, ამავე მიზნით ფედერალური სახსრებიდან ასიგნებების გამოყოფით, თუ აღნიშნული ხარჯები შემოიფარგლება მცირე დროის მონაკვეთით. კანონში დადგენილი უნდა იყოს აღნიშნული ფინანსური ასიგნებების ოდენობების განსაზღვრის და მიწებს შორის მათი განაწილების პრინციპები.

(5) თემები საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავლიდან იღებენ ნაწილს, რომელიც მიწებმა თემებს უნდა გადასცენ საშემოსავლო გადასახადის სახით თემების მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახდელების მიხედვით. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. აღნიშნულმა კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ თემები ადგენენ მათ მიერ გადასახდელი თანხების წილებს.

(5^ა) 1998 წლის 1 იანვრიდან თემები იღებენ წილს ბრუნვის გადასახადიდან. აღნიშნული წილი მიწების მიერ თავიანთ თემებს გადაეცემათ ადგილობრივი და ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) მიწის გადასახადიდან და ხელობის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის თემებს. მოხმარების საგნებზე და ხარჯების განსაზღვრულ სახეებზე ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის თემებს ან მიწების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – თემთა გაერთიანებებს. თემებს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, კანონის შესაბამისად დაადგინონ მიწის გადასახადის და ხელობის გადასახადის განაკვეთები. თუ მიწის შემადგენლობაში თემები არ არსებობენ, მიწის გადასახადიდან და ხელობის გადასახადიდან, ასევე, მოხმარების საგნებზე და ხარჯების განსაზღვრულ სახეებზე ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მიწას. ფედერაციას და მიწებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის გაინაწილონ ხელობის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნული განაწილების დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. მიწების კანონმდებლობის შესაბამისად მიწის და ხელობის გადასახადები, ასევე თემის წილი საშემოსავლო და ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში შეიძლება მიჩნეულ იქნეს საგადასახადო დაბეგრისას გაანგარიშების საფუძველად.

(7) გადასახადებიდან მიღებულ საერთო შემოსავალში მიწის წილიდან თემები და თემთა გაერთიანებები საერთო ჯამში ღებულობენ მიწების კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცენტს. სხვა შემთხვევებში მიწის კანონმდებ-

ლობა ადგენს, გადაეცემა თუ არა მიწების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი თემებს (თემთა გაერთიანებებს) და თუ გადაეცემა, რა ოდენობით.

(8) თუ ფედერაცია მოითხოვს ცალკეულ მიწებში ან თემებში (თემთა გაერთიანებებში) სპეციალური დაწესებულებების შექმნას, რომელთა არსებობა და საქმიანობა აღნიშნული მიწებისათვის ან თემებისათვის (თემთა გაერთიანებებისათვის) იწვევს ხარჯების უშუალო ზრდას ან შემოსავლების შემცირებას, ასეთ შემთხვევაში ფედერაცია უზრუნველყოფს მათ საჭირო კომპენსაციით, თუ არ შეიძლება ივარაუდებოდეს, რომ მიწებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს) აქვთ შესაძლებლობა, გასწიონ აღნიშნული ხარჯები. კომპენსაცია, რომელიც მომდინარეობს მესამე პირებისგან და ფინანსური უპირატესობა, რომელიც ამ მიწებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს) წარმოეშობათ მითითებული დაწესებულებების შექმნის შედეგად, მხედველობაში მიიღება მიწების ხარჯების დაბალანსებისას.

(9) მიწების შემოსავლებად და ხარჯებად, აღნიშნული მუხლის აზრიდან გამომდინარე, განიხილება აგრეთვე თემების (თემთა გაერთიანებების) შემოსავლები და ხარჯები.

მუხლი 106 ^ა. 1996 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებრივი საგარეუბნო სამეზაურო ტრანსპორტის შესანახად მიწებს გადაეცემათ წილი ფედერაციის საგადასახადო შემოსავლებიდან. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. პირველ წინადადებაში მითითებული წილი მხედველობაში არ მიიღება 107-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრისას.

მუხლი 107. (1) მიწების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი და საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მიწების წილი ცალკეულ მიწებს ეკუთვნით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღნიშნული გადასახადები საფინანსო ორგანოების მიერ იკრიფება მათ ტერიტორიაზე (ადგილობრივი გადასახადები). დეტალები, რომლებიც ეხება განაწილებას, ასევე საკორპორაციო გადასახადიდან და შრომით გასამრჯელოზე არსებული გადასახადიდან ადგილობრივი შემოსავლების მიღების საშუალებები და განაწილების ფარგლები დადგენილი უნდა იყოს ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. კანონმა ასევე შეიძლება გაითვალისწინოს დებულებები სხვა გადასახადებიდან მიღებული ადგილობრივი შემოსავლების გამიჯვნისა და განაწილების შესახებ. მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში ცალკეული მიწებისათვის განისაზღვრება მათი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. მიწების კუთვნილი შემოსავლების ნაწილისათვის, მაგრამ არაუმეტეს მიწე-

ბის აღნიშნული წილის ერთი მეოთხედისათვის, ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი წილები იმ მიწებისთვის, რომელთა შემოსავლებიც თითოეულ მოსახლეზე მიწების გადასახადებიდან და საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან, სხვა მიწებში არსებულ საშუალო მაჩვენებელზე უფრო ნაკლები აღმოჩნდება.

(2) კანონმა უნდა უზრუნველყოს, რომ მიწების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობები გათანაბრდეს შესაბამის დონეზე. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს თემების (თემთა გაერთიანებების) ფინანსური შესაძლებლობები და ფინანსური მოთხოვნილებები. გამოთანაბრებაზე უფლებამოსილი მიწების მოთხოვნის პირობები და პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნულ გადასახდელებთან დაკავშირებით გამოთანაბრებაზე ვალდებული მიწების ვალდებულებებს, ასევე გამოთანაბრებითი სახსრების ოდენობის დადგენის პრინციპები, დგინდება კანონით. კანონმა ასევე შეიძლება განსაზღვროს, რომ ფედერაცია საკუთარი საშუალებებიდან ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ მიწებს, მათი საერთო ფინანსური მოთხოვნილებების დამატებით დასაფარად, აძლევს სუბსიდიებს (დამატებითი სუბსიდიები).

მუხლი 108. (1) საბაჟო მოსაკრებლები, ფინანსური მონოპოლიები, ფედერალური კანონმდებლობით რეგულირებადი სამომხმარებლო გადასახადები, მათ შორის საიმპორტო გადასახადი და ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში აკრეფილი გადასახადები, რეგულირდება ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ. ამ ორგანოების სტრუქტურა განისაზღვრება ფედერალური კანონით. თუ შექმნილია საშუალო ინსტანციის ორგანოები, მათი ხელმძღვანელები ინიშნებიან მიწების მთავრობების თანხმობით.

(2) სხვა დანარჩენი გადასახადები იმყოფება მიწების საფინანსო ორგანოების მმართველობაში. ამ ორგანოების სტრუქტურა, ასევე შესაბამისი მოხელეების ერთიანი მომზადება შეიძლება დარეგულირდეს ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. თუ შექმნილია საშუალო ინსტანციის ორგანოები, მათი ხელმძღვანელები ინიშნებიან ფედერალური მთავრობის თანხმობით.

(3) რამდენადაც გადასახადები მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის ფედერაციას, მიწების საფინანსო ორგანოები მოქმედებენ ფედერაციის დავალებით. 85-ე მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსთა მინისტრი მოქმედებს ფედერალური მთავრობის ნაცვლად.

(4) ფედერალურმა კანონმა, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, იმ შემთხვევებისათვის და იმდენად, რამდენადაც ფინანსური კანონების შესრულება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ან შემსუბუქდება, გადასახადე-

ბის ადმინისტრირებისას შეიძლება გაითვალისწინოს ფედერალური საფინანსო-სო ორგანოებისა და მიწების საფინანსო ორგანოების თანამშრომლობა, ასევე პირველ აბზაცში აღნიშნული გადასახადების მიწების საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრირება და სხვა გადასახადების ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრირება. იმ გადასახადების ადმინისტრირება, რომელთაგან მიღებული შემოსავალიც ეკუთვნის მხოლოდ თემებს (თემთა გაერთიანებებს) და რომელთა ადმინისტრირებაც შედის მიწების საფინანსო ორგანოების მმართველობაში, მიწების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს თემებს (თემთა გაერთიანებებს).

(5) ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ გამოყენებული პროცედურა რეგულირდება ფედერალური კანონით. მიწების საფინანსო ორგანოების მიერ გამოსაყენებელი პროცედურა და მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში თემების (თემთა გაერთიანებების) მიერ გამოსაყენებელი პროცედურა შეიძლება დარეგულირდეს ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) იურისდიქცია საფინანსო საქმეებზე რეგულირდება საერთო საწყისებზე, ფედერალური კანონით.

(7) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები, თუ გადასახადების ადმინისტრირება დაკისრებული აქვს მიწების საფინანსო ორგანოებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს).

მუხლი 109. (1) თავიანთ საბიუჯეტო მეურნეობაში ფედერაცია და მიწები არიან თავისუფალი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.

(2) ფედერაცია და მიწები ვალდებული არიან თავიანთი საბიუჯეტო მეურნეობის წარმოებისას ანგარიში გაუწიონ საერთო ეკონომიკური ბალანსის მოთხოვნებს.

(3) ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ფედერაციის და მიწებისთვის შეიძლება დადგინდეს მეურნეობის კონიუნქტურასთან შეთავსების, ასევე, მრავალწლიანი ფინანსური დაგეგმარების, საბიუჯეტო სამართლისა და საბიუჯეტო პოლიტიკის წარმართვის საერთო პრინციპები.

(4) საერთო ეკონომიკური ბალანსის დარღვევის თავიდან ასაცილებლად ფედერალური კანონის საფუძველზე, რომელიც ბუნდესრატის თანხმობას საჭიროებს, შეიძლება გამოიციეს სამართლებრივი განკარგულებები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

1. ტერიტორიული კორპორაციებისა და მიზნობრივი კავშირებისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური თანხა, პირობები და თანმიმდევრულობა და

2. ფედერაციისა და მიწების ვალდებულება, საკუთარი უპროცენტო აქტივები შეინახონ გერმანიის ფედერალურ ბანკში (რეზერვები ბალანსის კონიუნქტურული დარღვევის შემთხვევისათვის).

მხოლოდ ფედერალურ მთავრობას შეუძლია მინიჭოს სამართლებრივი განკარგულებების გამოცემის უფლებამოსილება. აღნიშნული განკარგულებები საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. ისინი უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 110. (1) ფედერაციის ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა აისახოს ბიუჯეტში. ფედერალური საწარმოების და სპეციალური ქონების შემთხვევაში უნდა აისახოს მხოლოდ დამატებითი ასიგნებები და დაქვითვები შემოსავლიდან. შემოსავლები და ხარჯები დაბალანსებული უნდა იყოს ბიუჯეტში.

(2) ბიუჯეტი მტკიცდება საბიუჯეტო კანონით, ერთი ან რამდენიმე საანგარიშო წლით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყოველი წლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველ წელს განცალკევებულად, პირველი საანგარიშო წლის დაწყებამდე. კანონმა საანგარიშო წლების მიხედვით შეიძლება გაითვალისწინოს ბიუჯეტის ზოგიერთი თავის მოქმედების განსხვავებული ვადები.

(3) მე-2 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად მომზადებული კანონპროექტი, ასევე პროექტები საბიუჯეტო კანონში ცვლილების ან ბიუჯეტში შესწორებების შეტანის შესახებ, განმარტებით ბარათთან ერთად ერთდროულად შეიტანება ბუნდესრატში და ბუნდესტაგში. ბუნდესრატს უფლება აქვს, ექვსი კვირის განმავლობაში, ხოლო ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის შემთხვევაში – სამი კვირის განმავლობაში გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით.

(4) საბიუჯეტო კანონში უნდა აისახოს მხოლოდ ის დებულებები, რომლებიც ეხება ფედერაციის შემოსავლებს და ხარჯებს და საბიუჯეტო კანონის მოქმედების ვადას. საბიუჯეტო კანონით შეიძლება განისაზღვროს, რომ დებულებები ძალას კარგავენ მხოლოდ შემდეგი საბიუჯეტო კანონის გამოქვეყნებისთანავე ან უფრო გვიან, 115-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 111. (1) თუ მომდევნო წლის ბიუჯეტი საანგარიშო წლის დასრულებამდე არ არის დამტკიცებული კანონით, ასეთ შემთხვევაში შემდგომ, აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე, ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია გასწიოს ყველა ხარჯი, რომელიც აუცილებელია:

ა) კანონით განსაზღვრული დაწესებულებების შესანახად და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად;

ბ) ფედერაციის იურიდიულად დასაბუთებული კალდებულებების შესასრულებლად;

გ) მშენებლობების, შესყიდვების და სხვა სამუშაოების გასაგრძელებლად ან შემდგომში აღნიშნული მიზნებისათვის სახსრების გამოსაყოფად, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შესაბამისი თანხები გათვალისწინებული იყო წინა წლის ბიუჯეტით.

(2) თუ პირველ აბზაცში მითითებული ხარჯები არ იფარება სპეციალური კანონებით დადგენილი გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და სხვა წყაროებიდან ან საწარმოთა სარეზერვო საშუალებებიდან მიღებული შემოსავლებით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია ეკონომიკის მდრადი განვითარების შენარჩუნებისათვის საჭირო საშუალებების მობილიზაცია მოახდინოს კრედიტების საშუალებით, მაგრამ არაუშეტეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის საერთო თანხის ერთი მეოთხედის ოდენობით.

მუხლი 112. ზეგეგმიური და არაგეგმიური ხარჯები საჭიროებენ ფედერალური ფინანსთა მინისტრის თანხმობას. ასეთი ხარჯების გაწვევა შესაძლებელია ნებადართული იქნეს მხოლოდ გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 113. (1) კანონები, რომლებითაც იზრდება ფედერალური მთავრობის მიერ შემოთავაზებული საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ახალ ხარჯებს, ან მომავალში გამოიწვევენ მათ საჭიროებს ფედერალური მთავრობის თანხმობას. აღნიშნული ვრცელდება ასევე იმ კანონებზეც, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებას ან მომავალში გამოიწვევენ მათ. ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა გადადოს აღნიშნული კანონების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში ფედერალურმა მთავრობამ საკუთარი მოსაზრებები ბუნდესტაგში უნდა წარადგინოს ექვსი კვირის განმავლობაში.

(2) ფედერალურ მთავრობას ბუნდესტაგის მიერ კანონის მიღების შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა თავიდან განიხილოს საკითხი.

(3) თუ კანონი ძალაში შევიდა 78-ე მუხლის შესაბამისად, ფედერალურ მთავრობას შეუძლია მის მიერ გაცემულ თანხმობაზე უარი განაცხადოს მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან წინასწარ გამოიყენა პირველი აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებებით ან მე-2 აბზაცით გათვალისწინებული პროცედურები. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თანხმობა გაცემულად ჩაითვლება.

მუხლი 114. (1) ფედერალური ფინანსთა მინისტრი ვალდებულია ფედერალური მთავრობის დაავალებით, ბუნდესტაგს და ბუნდესრატს წარუდგინოს ანგარიში მომდევნო საფინანსო წლისათვის ყველა შემოსავლის და ხარჯის, ასევე, სახელმწიფო ქონების და ვალების მდგომარეობის შესახებ.

(2) ფედერალური საანგარიშო პალატა, რომლის წევრებიც სარგებლობენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობით, ამოწმებს ანგარიშებს, ასევე, მმართველობის რენტაბელურობას და მართხომიერებას ეკონომიკურ და საბიუჯეტო სფეროში. პალატა ვალდებულია საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად მიაწოდოს როგორც მთავრობას, ასევე უშუალოდ ბუნდესტაგს და ბუნდესრატს. ფედერალური საანგარიშო პალატის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება ფედერალური კანონით.

მუხლი 115. (1) კრედიტების აღება, ასევე ფინანსური პასუხისმგებლობის აღება იმ ვალდებულებებზე, გარანტიებზე და უზრუნველყოფის სხვა სახეებზე, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ხარჯები მომავალ საანგარიშო წლებში, საჭიროებენ უფლებამოსილების საკანონმდებლო დონეზე დადგენას. ამასთან, საკანონმდებლო დონეზე დადგენილი უნდა იქნეს აღნიშნული კრედიტების ოდენობა ან მათი ოდენობის განსაზღვრის ნებართვა. კრედიტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა არ უნდა გადააჭარბოს ბიუჯეტის ინვესტიციების თავში მითითებული ხარჯების ოდენობას. გამონაკლისები დასაშვებია მხოლოდ საერთო ეკონომიკური ბალანსის დარღვევისაგან თავის დაცვის მიზნით. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი.

(2) ფედერაციის სპეციალურ ქონებასთან მიმართებით ფედერალური კანონით შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისები პირველი აბზაციდან.

Xა. თავდაცვის მდგომარეობა

მუხლი 115 ^ა. (1) ფედერაციის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტის ან ასეთი თავდასხმის უშუალო საფრთხის არსებობის (თავდაცვის მდგომარეობა) კონსტატაციას ახდენს ბუნდესტაგი, ბუნდესრატის თანხმობით. კონსტატაცია ხორციელდება ფედერალური მთავრობის წინადადებით და საჭიროებს მიცემული ხმების ორ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ბუნდესტაგის წევრთა ხმების უმრავლესობისა.

(2) თუ მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ მოქმედებას, ხოლო ბუნდესტაგის დროულ მოწვევას ხელს უშლის გადაულახავი დაბრკოლებები ან ბუნდესტაგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები, ასეთ შემთხვევაში კონსტატაციას მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით და არანაკლებ კომიტეტის წევრთა უმრავლესობით, ახდენს ერთობლივი კომიტეტი.

(3) თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია, ფედერალური პრეზიდენტის მიერ 82-ე მუხლის შესაბამისად ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“. თუ აღნიშნულის დროულად განხორციელება შეუძლებელია, გამოქვეყნება უნდა მოხდეს სხვა საშუალებით. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი პირობები თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია უნდა გამოქვეყნდეს „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“.

(4) თუ ფედერაციის ტერიტორიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა და კომპეტენტური ფედერალური ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, პირველი აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად დაუყოვნებლივ მოახდინონ თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია, ასეთ შემთხვევაში თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია ითვლება დადგენილად და გამოქვეყნებულად შეიარაღებული თავდასხმის დაწყების მომენტიდან. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი პირობები ფედერალურმა პრეზიდენტმა უნდა განაცხადოს აღნიშნული მომენტის შესახებ.

(5) თუ თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია გამოქვეყნებულია და ფედერაციის ტერიტორიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა, ასეთ შემთხვევაში ფედერალურ პრეზიდენტს, ბუნდესტაგის თანხმობით, შეუძლია გააკეთოს საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათის განცხადება თავდაცვის მდგომარეობის არსებობის შესახებ. მე-2 აბზაცში მითითებული წინაპირობების არსებობისას ბუნდესტაგს ცვლის ერთობლივი კომიტეტი.

მუხლი 115 ბ. თავდაცვის მდგომარეობის გამოქვეყნების მომენტიდან შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გადაეცემა ფედერალურ კანცლერს.

მუხლი 115 ბ. (1) თავდაცვის მდგომარეობის დროს ფედერაციას აქვს უფლება გამოსცეს კონკურენტული კანონმდებლობა იმ საკითხებზეც, რომელთა რეგულირებაც შედის მიწების საკანონმდებლო კომპეტენციაში. აღნიშნული კანონები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

(2) რამდენადაც ამას მოითხოვს თავდაცვის მდგომარეობის დროს არსებული პირობები ფედერალური კანონებით შესაძლებელია:

1. დროებით, მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადებისაგან განსხვავებულად დარეგულირდეს საკუთრების ჩამორთმევისას ანაზღაურების საკითხი;

2. განისაზღვროს 104-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-3 და მე-3 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადისგან განსხვავებული ვადა, მაგრამ არაუმეტეს ოთხი დღისა იმ შემთხვევაში,

როდესაც მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი უფლებამოსილება განახორციელოს მშვიდობიანი დროისათვის დადგენილ საერთო ვადაში.

(3) იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია რეალური ან უშუალო საფრთხის აღსაკვეთად, ფედერალური კანონით, ბუნდესრატის თანხმობით, თავდაცვის მდგომარეობის დროს შეიძლება ფედერაციის და მიწების მართვა და ფინანსების დარეგულირება VIII, VIIIa და X თავების დებულებებისაგან განსხვავებულად. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს მიწების, თემების (თემთა გაერთიანებების) სიცოცხლისუნარიანობის ინტერესები, განსაკუთრებით, ფინანსური თვალსაზრისით.

(4) პირველ აბზაცში და მეორე აბზაცის პირველ პუნქტში მითითებული ფედერალური კანონები, მათი აღსრულების მოსამზადებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს თავდაცვის მდგომარეობის დადგომამდე.

მუხლი 115 Բ. (1) თავდაცვის მდგომარეობის დროს ფედერალური კანონმდებლობისათვის მოქმედებს 76-ე მუხლის მე-2 აბზაცის, 77-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების და მე-2-4 აბზაცებისგან განსხვავებული, ამ მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებში მოცემული რეგულირება.

(2) ფედერალური მთავრობის კანონპროექტები, რომლებსაც მთავრობა გადაუდებლად მიიჩნევს, ბუნდესრატს და ბუნდესტაგს უნდა გადაეცეს ერთდროულად. აღნიშნულ კანონპროექტებს ბუნდესტაგი და ბუნდესრატი განიხილავენ დაუყოვნებლივ და ერთობლივად. რამდენადაც კანონის მიღებისათვის აუცილებელია ბუნდესრატის თანხმობა, კანონის ძალაში შესვლისათვის საჭიროა მისი ხმების უმრავლესობის თანხმობა. დეტალებს არეგულირებს რეგლამენტი, რომელსაც ბუნდესრატის თანხმობით იღებს ბუნდესტაგი.

(3) ამ კანონების გამოქვეყნებაზე შესაბამისად ვრცელდება 115a მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება.

მუხლი 115 2. (1) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს ერთობლივი კომიტეტი მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომიტეტის წევრთა უმრავლესობისა, დაადგენს, რომ ბუნდესტაგის დროულ შეკრებას ხელს უშლის გადაულახავი დაბრკოლებები, ან თუ ბუნდესტაგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ასეთ შემთხვევაში ერთობლივი კომიტეტი ცვლის ბუნდესტაგს და ბუნდესრატს და ერთიანი ორგანოს სახით ახორციელებს მათ უფლებამოსილებებს.

(2) ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონით არ შეიძლება შეიცვალოს ძირითადი კანონი, მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმდეს ან შეჩერდეს მისი მოქმედება. ერთობლივი კომიტეტი არ არის უფლებამოსილი,

გამოსცეს 23-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადებაში, 24-ე მუხლის პირველ აბზაცში და 29-ე მუხლში მითითებული კანონები.

მუხლი 115 პ. (1) თავდაცვის მდგომარეობის დროს, რამდენადაც ამას მოითხოვენ გარემოებები, ფედერალურ მთავრობას შეუძლია:

1. ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოები გამოიყენოს ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე;

2. ფედერალური ადმინისტრაციის გარდა მითითებები მისცეს მიწების მთავრობებს და თუ გადაუდებლად მიიჩნევს, ასევე მიწების ხელისუფლების ორგანოებს და აღნიშნული, მითითებების გაცემის უფლებამოსილება გადასცეს მის მიერ განსაზღვრულ მიწების მთავრობების წევრებს.

(2) ბუნდესტაგს, ბუნდესრატს და ერთობლივ კომიტეტს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 115 ზ. დაუშვებელია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სტატუსის, სასამართლოს და მისი მოსამართლეების მიერ მათთვის კონსტიტუციით დაკისრებული ამოცანების შესრულების ხელყოფა. კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრითაც აუცილებელია სასამართლოს ფუნქციონირების უნარის შენარჩუნებისთვის. ასეთი კანონის გამოცემაზე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს სასამართლოს მუშაობის უნარის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები. მე-2 და მე-3 წინადადებების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიიღება დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 115 თ. (1) ბუნდესტაგის ან მიწების სახალხო წარმომადგენლობების ორგანოების უფლებამოსილების პერიოდი, რომელიც იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ. ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა, რომელიც იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, ასევე პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადაზე აღრე გათავისუფლებისას მისი უფლებამოსილებების ბუნდესრატის თავმჯდომარის მიერ განხორციელების ვადა მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ცხრა თვის შემდეგ. ფედერალური სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა, რომელიც

იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ.

(2) თუ აუცილებელია ერთობლივი კომიტეტის მიერ ახალი ფედერალური კანცლერის არჩევა, ერთობლივი კომიტეტი ახალ ფედერალურ კანცლერს ირჩევს საკუთარი წევრების უმრავლესობით. წინადადებას ერთობლივ კომიტეტს წარუდგენს ფედერალური პრეზიდენტი. ერთობლივ კომიტეტს ფედერალური კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადება შეუძლია მხოლოდ საკუთარი წევრების ორი მესამედის უმრავლესობით მისი უფლებამონაცვლის არჩევის გზით.

(3) თავდაცვის მდგომარეობის დროს ბუნდესტაგის დათხოვნა დაუშვებელია.

მუხლი 115 ო. (1) თუ კომპეტენტური ფედერალური ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიიღონ საფრთხის აღსაკვეთად საჭირო ზომები, ხოლო მდგომარეობა გადაუდებლად მოითხოვს ფედერალური ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში დაუყოვნებლივ დამოუკიდებელ მოქმედებებს, ასეთ შემთხვევაში ფედერალური მიწების მთავრობები ან მათ მიერ განსაზღვრული ხელისუფლების ორგანოები ან უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები უფლებამოსილი არიან, მათი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ 115ე მუხლის პირველ აბზაცში მითითებული ზომები.

(2) პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებული ზომები შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ფედერალური მთავრობის მიერ, ხოლო მიწების ხელისუფლების ორგანოებისა და ქვემდგომი ფედერალური ორგანოების მიერ მიღებული ზომები - ასევე, მიწების პრემიერ-მინისტრების მიერაც.

მუხლი 115 ა. (1) 115გ, 115ე და 115ზ მუხლებით გათვალისწინებული კანონების და ამ კანონების საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი განკარგულებები მოქმედების პერიოდში არ მოქმედებს სამართალი, რომელიც მათ ეწინააღმდეგება. აღნიშნული არ ვრცელდება ადრე მოქმედ სამართალზე, რომელიც გამოცემული იყო 115გ, 115ე და 115ზ მუხლების საფუძველზე.

(2) კანონები, რომლებიც გამოსცა ერთობლივმა კომიტეტმა და სამართლებრივი განკარგულებების, რომლებიც გამოცემულია აღნიშნული კანონების საფუძველზე, ძალას კარგავენ თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვს თვეში.

(3) კანონები, რომლებიც შეიცავენ 91ა, 91ბ, 104ა, 106-ე და 107-ე მუხლების დებულებებისაგან განსხვავებულ რეგულირებას, მოქმედებენ არაუმეტეს თავდაცვის მდგომარეობის დასრულების შემდგომ მეორე საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. აღნიშნული კანონები, თავდაცვის მდგომარეობის დამ-

თავრების შემდეგ, VIIIა და X ნაწილებით გათვალისწინებულ რეგულირებაზე გადასასვლელად ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება შეიცვალოს ფედერალური კანონით.

მუხლი 115 ლ. (1) ბუნდესტაგს შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით ნებისმიერ დროს, გააუქმოს ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონები. ბუნდესრატს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. ერთობლივი კომიტეტის ან ფედერალური მთავრობის მიერ საფრთხის აღსაკვეთად მიღებული სხვა ზომები უნდა გაუქმდეს, თუ აღნიშნულს გადაწყვეტს ბუნდესტაგი და ბუნდესრატი.

(2) ბუნდესტაგს შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ნებისმიერ დროს გამოაცხადოს თავდაცვის მდგომარეობის დასრულება, რაც ქვეყნდება ფედერალური პრეზიდენტის მიერ. ბუნდესრატს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. თავდაცვის მდგომარეობა დასრულებულად უნდა გამოცხადდეს დაუყოვნებლივ, თუ აღარ არსებობს მისი კონსტიტაციისათვის აუცილებელი წინაპირობები.

(3) გადაწყვეტილება სამშვიდობო შეთანხმების შესახებ მიიღება ფედერალური კანონის მეშვეობით.

XI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 116. (1) ამ ძირითადი კანონის არსიდან გამომდინარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გერმანელად ითვლება ის, ვინც ფლობს გერმანიის მოქალაქეობას, ან როგორც ლტოლვილი ან გერმანელი ეროვნების დევნილი პირი ან აღნიშნული პირებიდან ერთ-ერთის მუდღე ან შთამომავალი მიღებულ იქნა გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე, მისი 1937 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(2) ყოფილი გერმანიის მოქალაქეებს, რომლებსაც 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდში, მოქალაქეობა ჩამოერთვათ პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით, ასევე, მათ შთამომავლებს, მოქალაქეობა აღუდგებათ მათი განცხადებით. ითვლება, რომ მათ მოქალაქეობა არ დაუკარგავთ, თუ 1945 წლის 8 მაისის შემდეგ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი შეიძინეს გერმანიაში და თუ არ გამოუთქვამთ აღნიშნულის საწინააღმდეგო სურვილი.

მუხლი 117. (1) სამართალი, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის დებულებას, ძირითადი კანონის აღნიშნულ დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანამდე რჩება ძალაში, მაგრამ არაუგვიანეს 1953 წლის 31 მარტისა.

(2) კანონები, რომლებიც საცხოვრებელ ფართზე მოცემულ მომენტში არსებული საჭიროების გათვალისწინებით ზღუდავენ გადაადგილების თავისუფლებას, ძალაში რჩება მათი ფედერალური კანონით გაუქმებამდე.

მუხლი 118. იმ ტერიტორიის ახალი დაყოფა, რომელიც მოიცავს ბადენის, ვიურტენბერგ-ბადენის და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლლერნის მიწებს, შეიძლება განხორციელდეს 29-ე მუხლის დებულებებისაგან განსხვავებულად, დაინტერესებული მიწების შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ტერიტორიის ახლებური დაყოფა რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სახალხო გამოკითხვას.

მუხლი 118 ა. იმ ტერიტორიის ახლებური დაყოფა, რომელიც მოიცავს ბერლინის და ბრანდენბურგის მიწებს, შეიძლება განხორციელდეს 29-ე მუხლის დებულებებისაგან განსხვავებულად, აღნიშნული მიწების ამომრჩევლების მონაწილეობით და ორივე მიწის თანხმობით.

მუხლი 119. ლტოლვილების და დევნილი პირების საქმეებზე, განსაკუთრებით მათ მიწებში განაწილებასთან დაკავშირებით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ფედერალურ საკანონმდებლო რეგულირებამდე გამოსცეს კანონის ძალის მქონე განკარგულებები. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში ფედერალურ მთავრობას შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, გასცეს ცალკეული მითითებები. აღნიშნული მითითებები, გარდა დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევებისა, მიმართული უნდა იყოს მიწების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი.

მუხლი 120. (1) ფედერაციას ეკისრება საოკუპაციო და ომის შედეგებიდან გამომდინარე სხვა საშინაო და საგარეო ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები ფედერალური კანონების დეტალური განსაზღვრების შესაბამისად. რამდენადაც მითითებული, ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებები 1969 წლის 1 ოქტომბრამდე დარეგულირებულია ფედერალური კანონებით, ფედერაციას და მიწებს ხარჯები ამ კანონებით განსაზღვრული პროპორციულობით, ეკისრებათ იმდენად, რამდენადაც ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომლებიც ფედერალური კანონებით არ არის დარეგულირებული და არც დარეგულირდება, 1965 წლის 1 ოქტომბრამდე ეკისრებოდათ მიწებს, თემებს (თემთა გაერთიანებებს) ან ამოცანების შემსრულებელ სხვა სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებდნენ მიწების და თემების ამოცანებს. ფედერაცია აღნიშნული თარიღის შემდგომაც არ არის ვალდებული თავის თავზე აიღოს აღნიშნული სახის ხარჯების დაფარვა. ფედე-

რაციას ეკისრება სოციალური დაზღვევის, მათ შორის უმუშევრობისაგან დაზღვევის და უმუშევრობაზე შემწეობის ვალდებულებების სუბსიდირება. ფედერაციასა და მიწებს შორის ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებების განაწილება, რაც რეგულირდება მოცემული აბზაცით, არ ეხება ომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების საკანონმდებლო რეგულირებას.

(2) შემოსაყლები ფედერაციას გადაეცემა იმ დროსათვის, როცა ფედერაცია თავის თავზე იღებს ხარჯებს.

მუხლი 120 ა. (1) ბუნდესრატის თანხმობით კანონებით, რომლებიც ემსახურება მიწების ხარჯების დაბალანსებას, შეიძლება განისაზღვროს, რომ აღნიშნული ხარჯების დაფარვა ხორციელდება ნაწილობრივ ფედერაციის და ფედერაციის დავალებით, ნაწილობრივ მიწების მიერ და რომ 85-ე მუხლის საფუძველზე ფედერალური მთავრობისა და კომპეტენტური უმაღლესი ფედერალური ორგანოების კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა ხარჯების დაბალანსებაზე პასუხისმგებელ ფედერალურ უწყებას. ფედერალური უწყება აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისას ბუნდესრატის თანხმობას არ საჭიროებს. მისი მითითებები, გადაუღებელი შემთხვევების გამოკლებით, მიმართული უნდა იყოს მიწების უმაღლესი ორგანოებისადმი (ხარჯების დაბალანსებაზე უფლებამოსილი მიწების უწყებები).

(2) 87-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება რჩება ძალაში.

მუხლი 121. ბუნდესტაგის და ფედერალური კრების წევრების უმრავლესობას, ამ ძირითადი კანონის არსიდან გამომდინარე, წარმოადგენს მათი წევრების კანონით დადგენილი რაოდენობა.

მუხლი 122. (1) ბუნდესტაგის შეკრების დღიდან კანონები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ ძირითადი კანონით აღიარებული საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ.

(2) აღნიშნული მომენტიდან უქმდება საკანონმდებლო და კანონმდებლობის საკონსულტაციო კოლეგიები, რომელთა კომპეტენცია სრულდება პირველი აბზაცის შესაბამისად.

მუხლი 123. (1) სამართალი, რომელიც მოქმედებდა ბუნდესტაგის პირველ შეკრებამდე, აგრძელებს მოქმედებას, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.

(2) გერმანიის იმპერიის მიერ იმ საკითხებზე დადებული სახელმწიფო ხელშეკრულებები, რომლებზეც ამ ძირითადი კანონის მიხედვით, კომპეტენტურია მიწების კანონმდებლობა, თუ ისინი ნამდვილია სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად და მონაწილეთა ყველა უფლებებისა და შეპასუხებების მხედველობაში მიღებით რჩება ძალაში, აგრძელებენ მოქმედებას, ვიდრე ამ ძირითადი კანონით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოების მიერ არ იქნება დადებული ახალი სახელმწიფო ხელშეკრულებები, ან ვიდრე აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედება, მათში ასახული დებულებების საფუძველზე არ შეწყდება სხვა საშუალებით.

მუხლი 124. სამართალი, რომელიც ეხება ფედერაციის განსაკუთრებული კომპეტენციის საკითხებს, თავისი მოქმედების სფეროში წარმოადგენს ფედერალურ სამართალს.

მუხლი 125. სამართალი, რომელიც ეხება ფედერაციის კონკურენტული კანონმდებლობის საკითხებს, თავისი მოქმედების სფეროში წარმოადგენს ფედერალურ სამართალს, თუ:

1. იგი ერთნაირად მოქმედებს ერთ ან რამდენიმე საოკუპაციო ზონაში;
2. საქმე ეხება სამართალს, რომლითაც 1945 წლის 8 მაისის შემდეგ შეიცვალა ადრე მოქმედი იმპერიის სამართალი.

მუხლი 125 ^ა. (1) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოცემულია როგორც ფედერალური სამართალი, მაგრამ 74-ე მუხლის ან 75-ე მუხლის პირველი აბზაცების ცვლილებების შედეგად აღარ შეიძლება გამოიყენოს ფედერალური სამართლის სახით, აგრძელებენ მოქმედებას როგორც ფედერალური სამართალი. ისინი შეიძლება შეიცვალოს მიწების სამართლით.

(2) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც 72-ე მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე 1994 წლის 15 ნოემბრამდე არსებული რედაქციით არის გამოცემული, აგრძელებენ მოქმედებას ფედერალური სამართლის სახით. ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ აღნიშნული სამართლებრივი დებულებები შეიძლება შეიცვალოს მიწების სამართლით. აღნიშნულის შესაბამისად, მოქმედებას განაგრძობენ ფედერალური სამართლებრივი დებულებები, თუ ისინი გამოცემულია ზემოაღნიშნულ თარიღამდე და 75-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით შემდგომ მათი გამოცემა შეუძლებელია.

მუხლი 126. თუ არსებობს უთანხმოება იმის თაობაზე, სამართლებრივი დებულებები აგრძელებენ თუ არა მოქმედებას ფედერალური სამართლის სა-

ხით, გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

მუხლი 127. ფედერალურ მთავრობას შეუძლია დაინტერესებული მიწების მთავრობების თანხმობით, ამ ძირითადი კანონის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში, მიწებში ბადენი, დიდი ბერლინი, რეინალდ-ჰფალცი და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლლერნი, სამოქმედოდ შემოიღოს გაერთიანებული ეკონომიკური ზონის მართვის სამართალი, რამდენადაც აღნიშნული სამართალი 124-ე ან 125-ე მუხლების შესაბამისად აგრძელებს მოქმედებას ფედერალური სამართლის სახით.

მუხლი 128. რამდენადაც იმ სამართლით, რომელიც აგრძელებს მოქმედებას, გათვალისწინებულია მითითებების გაცემის უფლება 84-ე მუხლის მე-5 აბზაცის არსის შესაბამისად, საკითხის კანონით სხვაგვარად დარეგულირებაზე აღნიშნული უფლებები რჩება ძალაში.

მუხლი 129. (1) რამდენადაც სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ფედერალური სამართლის სახით აგრძელებენ მოქმედებას, შეიცავენ ნორმებს, რომლებიც იძლევიან სამართლებრივი განკარგულებების ან ზოგადი ადმინისტრაციული დებულებების გამოცემის, ასევე ადმინისტრაციული აქტების შესრულების უფლებამოსილებას, ეს უფლებამოსილება გადაეცემათ მოცემულ ეტაპზე კომპეტენტურ ორგანოებს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ეჭვების არსებობისას, გადაწყვეტილებას ბუნდესრატის თანხმობით, იღებს ფედერალური მთავრობა. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.

(2) რამდენადაც ასეთივე უფლებამოსილებას შეიცავენ სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მიწის სამართლის სახით აგრძელებენ მოქმედებას, აღნიშნული უფლებამოსილება ზორციელდება მიწების სამართლის შესაბამისად განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოების მიერ.

(3) რამდენადაც სამართლებრივი დებულებები პირველი და მე-2 აბზაცების შესაბამისად შეიცავენ მათში ცვლილების ან დამატების შეტანის, ან კანონების ნაცვლად სამართლებრივი განკარგულებების გამოცემის უფლებამოსილებას, აღნიშნული უფლებამოსილებები უქმდება.

(4) პირველი და მე-2 აბზაცების დებულებები მოქმედებენ შესაბამისად, რამდენადაც სამართლებრივი დებულებები შეიცავენ დათქმას დებულებაზე, რომელიც აღარ მოქმედებს ან დაწესებულიაზე, რომელიც აღარ არსებობს.

მუხლი 130. (1) ადმინისტრაციული ორგანოები და საჯარო ადმინისტრაციის ან სხვა სამართალდამცავი დაწესებულებები, რომლებიც არ მოქმედებენ მიწების სამართლის ან მიწებს შორის დადებული სახელმწიფო ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რკინიგზის საწარმოების გაერთიანებები და ფრანგული საოკუპაციო ზონის ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციული საბჭო, ექვემდებარებიან ფედერალურ მთავრობას. ფედერალური მთავრობა ბუნდესრატის თანხმობით არეგულირებს მათ გადაცემას, გაუქმებას და ლიკვიდაციას.

(2) აღნიშნული ადმინისტრაციებისა და დაწესებულებების თანამშრომლებისათვის უმაღლესი დისციპლინარული ხელმძღვანელია კომპეტენტური ფედერალური მინისტრი.

(3) კორპორაციები და საჯარო სამართლის დაწესებულებები, რომლებიც არ იმყოფება მიწების უშუალო მმართველობაში და რომლებიც მოქმედებს მიწებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ექვემდებარება კომპეტენტური უმაღლესი ფედერალური ორგანოების ზედამხედველობას.

მუხლი 131. იმ პირების (მათ შორის ლტოლვილები და დევნილი პირები) სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც 1945 წლის 8 მაისიდან მსახურობდნენ საჯარო სამსახურში და რომლებიც გათავისუფლებული იქნენ არა სამსახურებრივ ან სატარიფო წესებთან დაკავშირებული მიზეზების, არამედ სხვა მიზეზების გამო და რომელთა გამოყენებაც დღემდე არ ხდება ან რომლებიც არ გამოიყენებიან მათი აღრინდელი მდგომარეობის შესაბამისად, უნდა დარეგულირდეს ფედერალური კანონით. აღნიშნული ეხება ასევე იმ პირებს (მათ შორის ლტოლვილებს და დევნილ პირებს), რომლებსაც 1945 წლის 8 მაისისათვის გააჩნდათ შესაბამისი დახმარების მიღების უფლება და არა სამსახურებრივ ან სატარიფო წესებთან დაკავშირებული მიზეზების გამო, არამედ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე აღარ იღებენ არანაირ დახმარებას. ფედერალური კანონის ძალაში შესვლამდე მათ არ შეუძლიათ წამოაყენენ არანაირი სამართლებრივი პრეტენზია, თუ მიწების სამართლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 132. (1) მოხელეები და მოსამართლეები, რომლებიც ამ ძირითადი კანონის ძალაში შესვლის დროს თანამდებობაზე დანიშნული იყვნენ მუდმივი ვადით, ბუნდესტაგის პირველი შეკრებიდან ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, ჩაირიცხონ რეზერვში ან გადაყვანილი იქნენ დაბალ თანამდებობაზე უფრო დაბალი ანაზღაურებით, თუ ისინი პიროვნულად ან პროფესიული თვალსაზრისით არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას. აღნიშნული დებულება შესაბამისად

ვრცელდება იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ სამსახურებში. იმ მოსამსახურეებისათვის, რომლებიც იმყოფებიან არამუდმივ სამსახურებში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ის ვადები, რომლებიც სცილდება სატარიფო რეგულირების ფარგლებს, შეიძლება გაუქმდეს იმავე ვადაში.

(2) აღნიშნული დებულება არ გამოიყენება იმ საჯარო მოსამსახურეებთან მიმართებით, რომელთაც არ ეხებათ დებულებები „ნაციონალ-სოციალიზმისგან და მილიტარიზმისგან განთავისუფლების შესახებ“, ან რომელთა მიმართაც დადგენილია, რომ ისინი იღვენებოდნენ ნაციონალ-სოციალიზმის მიერ, თუ უშუალოდ მათი პიროვნება არ იწვევს მკვეთრ წინააღმდეგობებს.

(3) პირებს, რომლებსაც ეხებათ აღნიშნული დებულებები, უფლება აქვთ მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის შესაბამისად მიმართონ სასამართლოს.

(4) დეტალები განისაზღვრება ფედერალური მთავრობის დადგენილებით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 133. ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს გაერთიანებული ეკონომიკური ზონის მართვასთან დაკავშირებულ უფლებებს და ვალდებულებებს.

მუხლი 134. (1) იმპერიის ქონება ხდება ფედერაციის ქონება.

(2) რამდენადაც ეს ქონება თავისი პირვანდელი დანიშნულებით უპირატესად განსაზღვრული იყო იმ მმართველობითი ამოცანებისათვის, რომლებიც ამ ძირითადი კანონის მიხედვით არ წარმოადგენს ფედერაციის მმართველობით ამოცანებს, იგი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს აღნიშნული ამოცანების განხორციელებაზე კომპეტენტურ ამოცანების შემსრულებელ სუბიექტებს და რამდენადაც აღნიშნული ქონება, თავისი ამჟამინდელი, გადაცემას დაუქვემდებარებელი სარგებლობით ემსახურება მმართველობით ამოცანებს, რომლებიც ამ ძირითადი კანონის შესაბამისად, ამიერიდან უნდა განახორციელონ მიწებმა – გადასცეს მიწებსაც. ფედერაციას შეუძლია, მიწებს ასევე გადასცეს სხვა ქონება.

(3) ქონება, რომელიც მიწების და თემების (თემთა გაერთიანებების) მიერ იმპერიას გადაეცა უსასყიდლოდ, კვლავ ხდება მიწების და თემების (თემთა გაერთიანებების) ქონება, რამდენადაც იგი ფედერაციას არ სჭირდება საკუთარი მმართველობითი ამოცანებისათვის.

(4) დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 135. (1) თუ 1945 წლის 8 მაისსა და ამ ძირითადი კანონის ძალაში შესვლამდე პერიოდში რომელიმე ტერიტორიის მიწისაღმამი კუთვნილე-

ბა შეიცვალა, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული იმ მიწის ქონება, რომელშიც შედიოდა ეს ტერიტორია, გადაეცემა იმ მიწას, რომელსაც იგი ამჟამად მიეკუთვნება.

(2) იმ მიწების და საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების და დაწესებულებების ქონება, რომლებიც აღარ არსებობენ, რამდენადაც იგი თავისი პირვანდელი დანიშნულებით განსაზღვრული იყო უპირატესად მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად, ან თავისი ამჟამინდელი, გადაცემას დაუქვემდებარებელი სარგებლობით ემსახურება უპირატესად მმართველობით ამოცანებს, გადაეცემა იმ მიწას, საჯარო სამართლის კორპორაციას ან დაწესებულებას, რომელიც ამიერიდან ახორციელებს აღნიშნულ ამოცანებს.

(3) იმ ფედერალური მიწების მიწა, რომლებიც აღარ არსებობენ, მათ შორის, მიწის შემადგენელი ნაწილები, რამდენადაც იგი არ მიეკუთვნება პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ქონებას, გადაეცემა იმ მიწას, რომლის ტერიტორიაზეც არის იგი მოქცეული.

(4) თუ ფედერაციის უპირატესი ინტერესი ან რომელიმე ტერიტორიის განსაკუთრებული ინტერესი ამას მოითხოვს, ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს პირველი-მე-3 აბზაცებისაგან განსხვავებული რეგულირება.

(5) სხვა შემთხვევებში სამართალმემკვიდრეობა და ქონების გაყოფა, თუ იგი დაინტერესებულ მხარეთა ან საჯარო სამართლის კორპორაციების ან დაწესებულებების შეთანხმებით არ განხორციელებულა 1952 წლის 1 იანვრამდე, რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) ყოფილი მიწის - პრუსიის მონაწილეობა კერძო სამართლის საწარმოებში გადაღის ფედერაციაზე. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელმაც შეიძლება დაადგინოს განსხვავებული რეგულირება.

(7) რამდენადაც ის ქონება, რომელიც პირველი-მე-3 აბზაცების შესაბამისად უნდა გადაცემოდა რომელიმე მიწას ან საჯარო სამართლის კორპორაციას ან დაწესებულებას, უკვე განიკარგა ძირითადი კანონის ძალაში შესვლისას უფლებამოსილი სუბიექტის მიერ მიწის კანონით, მიწის კანონის საფუძველზე ან სხვა საშუალებით, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ქონება გადაცემულად ითვლება მის განკარგვამდე.

მუხლი 135 ა. (1) 134-ე მუხლის მე-4 და 135-ე მუხლის მე-5 აბზაცებით ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებული კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს, რომ არ უნდა შესრულდეს ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს:

1. იმპერიის ვალდებულებები, ასევე ყოფილი მიწის - პრუსიის და იმ სხვა საჯარო სამართლის კორპორაციების და დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც აღარ არსებობენ.

2. ფედერაციის ან საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების და დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია 89-ე, 90-ე, 134-ე და 135-ე მუხლების შესაბამისად ქონებრივი ფასეულობების გადაცემასთან, ასევე, აღნიშნული უფლებების მქონე სუბიექტების ვალდებულებები, რომლებიც დაფუძნებულია პირველ პუნქტში მითითებული უფლების მქონე სუბიექტების მოქმედებებზე.

3. მიწების და თემების (თემთა გაერთიანებების) 1945 წლის 1 აგვისტომდე წარმოშობილი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც იმპერიის კომპეტენციაში შემავალი ან იმპერიაზე დაკისრებული ადმინისტრაციული ამოცანების ფარგლებში შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებების საფუძველზე ან საომარი მოქმედებების შედეგად გამოწვეული მდგომარეობის აღდგენისას.

(2) პირველი აბზაცი შესაბამისად გამოიყენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ან მისი უფლებამოსილი სუბიექტების ვალდებულებების მიმართ, ასევე ფედერაციის, საჯარო სამართლის სხვა კორპორაციებისა და დაწესებულებების იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქონებრივი ფასეულობების ფედერაციის, მიწების და თემებისთვის გადაცემასთან. ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე დაფუძნებული ვალდებულებების მიმართ.

მუხლი 136. (1) ბუნდესრატი პირველად იკრიბება ბუნდესტაგის პირველი შეკრების დღეს.

(2) პირველი ფედერალური პრეზიდენტის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს ბუნდესრატის თავმჯდომარე. მას არ აქვს ბუნდესტაგის დათხოვნის უფლება.

მუხლი 137. (1) მოხელეების, საჯარო სამსახურში მყოფი მოსამსახურეების, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეების, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების და ფედერაციის, მიწების და თემების მოსამართლეების პასიური საარჩევნო უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

(2) პირველი ბუნდესტაგის, პირველი ფედერალური კრების და ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ფედერალური პრეზიდენტის არჩევისას მოქმედებს საარჩევნო კანონი, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს საპარლამენტო საბჭოს მიერ.

(3) 41-ე მუხლის მე-2 აბზაცით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიკუთვნებული უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს შექმნამდე ხორციელდება გაერთიანებული ეკონომიკური ზონისათვის გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს საქმის წარმოების საკუთარი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 138. ნოტარიატის არსებული დაწესებულებების ცვლილებები მიწებში ბადენი, ბავარია, ვიურტენბერგ-ბადენი და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლ-ლერნი საჭიროებენ აღნიშნული მიწების მთავრობების თანხმობას.

მუხლი 139. ამ ძირითადი კანონის დებულებებით არ უნდა დაირღვეს „გერმანელი ხალხის ნაციონალ-სოციალიზმისაგან და მილიტარიზმისაგან განთავისუფლებისათვის“ გამოცემული სამართლებრივი დებულებები.

მუხლი 140. 1919 წლის 11 აგვისტოს გერმანიის კონსტიტუციის 136-ე, 137-ე, 138-ე 139-ე და 141-ე მუხლების დებულებები არის ამ ძირითადი კანონის შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 141. მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადება არ გამოიყენება იმ მიწაზე, რომელშიც 1949 წლის 1 იანვარს მოქმედებდა მიწის სამართლით გათვალისწინებული სხვაგვარი რეგულირება.

მუხლი 142. 31-ე მუხლის დებულების მიუხედავად, მიწების კონსტიტუციების დებულებები, ასევე რჩება ძალაში, რამდენადაც ისინი ამ ძირითადი კანონის პირველი-მე-18 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოფენ ძირითად უფლებებს.

მუხლი 142 ა. (გაუქმებულია)

მუხლი 143. (1) სამართალი, რომელიც მოქმედებს გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ ტერიტორიაზე, არაუგვიანეს 1992 წლის 31 დეკემბრამდე, შეიძლება განსხვავდებოდეს ამ ძირითადი კანონის დებულებისაგან, რამდენადაც განსხვავებული ურთიერთობების შედეგად, ამ ძირითადი კანონით დადგენილ კონსტიტუციურ წყობილებასთან სრული შესაბამისობა ჯერ კიდევ ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ზემოაღნიშნული განსხვავებები არ უნდა არღვევდეს მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის დებულებებს და უნდა შეესაბამებოდეს 79-ე მუხლის მე-3 აბზაცში მოცემულ პრინციპებს.

(2) II, VIII, VIIIa, IX, X და XI განყოფილებებისგან განსხვავებული დებულებები დასაშვებია არაუგვიანეს 1995 წლის 31 დეკემბრამდე.

(3) პირველი და მე-2 აბზაცების დებულებებისგან დამოუკიდებლად, გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 41-ე მუხლი და მისი ცხოვრებაში გატარების პროცედურები ასევე გამოიყენება, იმდენად, რამდენადაც ისინი ითვალისწინებენ იმ ცვლილებების გაუქმების შეუძლებლობას, რომლებიც ეხება ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნულ საკუთრების უფლებას ტერიტორიაზე.

მუხლი 143 ^ა. (1) ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია ყველა საკითხზე, რომელიც გამოძინარეობს ფედერალურ საკუთრებაში არსებული ფედერალური რკინიგზების სამეურნეო საწარმოებად გარდაქმნიდან. შესაბამისად გამოიყენება 87-ე მუხლის მე-5 აბზაცი. ფედერალური რკინიგზების მუშაკები, მათი სამართლებრივი სტატუსის და დაშლამების პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით, შეიძლება გადაყვანილ იქნენ კერძო-სამართლებრივად ორგანიზებული ფედერაციის რკინიგზების განკარგულებაში.

(2) პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებულ კანონებს ახორციელებს ფედერაცია.

(3) საგარეუბნო სამგზავრო მიმოსვლის სფეროში ყოფილი ფედერალური რკინიგზების ამოცანების შესრულება 1995 წლის 31 დეკემბრამდე წარმოადგენს ფედერაციის საქმეს. აღნიშნული ასევე ეხება სარკინიგზო ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის ამოცანებს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

მუხლი 143 ^ბ. (1) გერმანიის ფედერალური ფოსტის სპეციალური ქონება, ფედერალური კანონის შესაბამისად, გარდაიქმნება კერძო სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. აღნიშნულიდან გამოძინარე ყველა საკითხთან დაკავშირებით ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია.

(2) გარდაქმნამდე არსებული ფედერაციის განსაკუთრებული უფლებები გარდამავალი პერიოდისათვის ფედერალური კანონით შეიძლება გადაეცეს გერმანიის ფედერალური ფოსტის (POSTDIENST) და გერმანული ფედერალური ფოსტის (TELEKOM) საფუძველზე შექმნილ საწარმოებს. კანონის ძალაში შესვლიდან არაუადრეს ხუთი წლისა, ფედერაციას უფლება აქვს კაპიტალის უდიდესი ნაწილი გადასცეს გერმანიის ფედერალური ფოსტის (POSTDIENST) და გერმანული ფედერალური ფოსტის (TELEKOM) სამართალმემკვიდრე საწარმოებს. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა ფედერალური კანონის მიღება, ბუნდესრატის თანხმობით.

(3) გერმანიის ფედერალური ფოსტის ფედერალური მუშაკები, მათი სამართლებრივი სტატუსის და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით, დასაქმდებიან კერძო სამართლის საწარმოებში. მეწარმეები ახორციელებენ დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. დეტალებს განსაზღვრავს ფედერალური კანონი.

მუხლი 144. (1) ეს ძირითადი კანონი უნდა იქნეს მიღებული გერმანიის იმ მიწების ორი მესამედის სახალხო წარმომადგენლობების ორგანოების მიერ, რომლებშიც იგი შემდგომ უნდა ამოქმედდეს.

(2) რამდენადაც ამ ძირითადი კანონის გამოყენება 23-ე მუხლში ჩამოთვლილი მიწებიდან ერთ-ერთ მიწაზე ან ამ მიწების ერთ-ერთ ნაწილში ექვემდებარება შეზღუდვებს, ასეთ მიწას ან მის ნაწილს უფლება აქვს გააგზავნოს წარმომადგენლები ბუნდესტაგში (38-ე მუხლის შესაბამისად) და ბუნდესრატში (50-ე მუხლის შესაბამისად).

მუხლი 145. (1) საპარლამენტო საბჭო დიდი ბერლინის დეპუტატების მონაწილეობით, საჯარო სხდომაზე ამტკიცებს ამ ძირითადი კანონის მიღებას, ამზადებს და აქვეყნებს მას.

(2) ეს ძირითადი კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღის ამოწურვისთანავე.

(3) ძირითადი კანონი უნდა გამოქვეყნდეს „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“.

მუხლი 146. ეს ძირითადი კანონი, რომელიც გერმანიის ერთიანობის და თავისუფლების მიღწევის შემდეგ, მოქმედებს მთელი გერმანელი ხალხისათვის, შეწყვეტს თავის მოქმედებას იმ დღეს, როდესაც ძალაში შევა გერმანელი ხალხის მიერ თავისუფალი გადაწყვეტილებით მიღებული კონსტიტუცია.

1919 წლის 2 აგვისტოს გერმანიის კონსტიტუციიდან
(ვაიმარის კონსტიტუცია)

მუხლი 136. (1) კერძო და საჯარო სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები არ არის განპირობებული ან/და შეზღუდული რელიგიის თავისუფლების განხორციელებით.

(2) კერძო და საჯარო სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა, ასევე საჯარო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, მრწამსისგან დამოუკიდებელია.

(3) არავინ არის ვალდებული, განაცხადოს თავისი რელიგიური მრწამსის შესახებ. ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ, რომელიმე რელიგიურ საზოგადოებასთან პირის კუთვნილების შესახებ იკითხონ მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც აღნიშნულზე დამოკიდებულია უფლებები და მოვალეობები ან ამას მოითხოვს კანონით განსაზღვრული სტატისტიკური გამოკვლევა.

(4) არავინ შეიძლება იქნეს იძულებული, შეასრულოს საეკლესიო წესჩვეულებები, მონაწილეობდეს რელიგიურ ღვთისმსახურებში ან დადოს რელიგიური შინაარსის ფიცი.

მუხლი 137. (1) სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.

(2) გარანტირებულია რელიგიურ საზოგადოებაში გაერთიანების თავისუფლება. რელიგიური საზოგადოებების გაერთიანება იმპერიის ტერიტორიის ფარგლებში არ ექვემდებარება არანაირ შეზღუდვებს.

(3) ყოველი რელიგიური საზოგადოება დამოუკიდებლად ადგენს და წარმართავს საკუთარ საქმეებს ყველასათვის სავალდებულო კანონით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. იგი თავის თანამდებობებს ანიჭებს სახელმწიფოს ან სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

(4) რელიგიური საზოგადოებები უფლებაუნარიანობას იძენენ სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

(5) რელიგიური საზოგადოებები რჩება საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებად, თუ მათ ადრე ჰქონდათ აღნიშნული სტატუსი. სხვა რელიგიურ გაერთიანებებს მათი მოთხოვნით უნდა მიენიჭოთ ასეთივე უფლებები, თუ ისინი საკუთარი სტრუქტურით და წევრების რაოდენობით იძლევიან ხანგრძლივი არსებობის გარანტიას. თუ რამდენიმე ასეთი სახის საჯარო-სამართლებრივი რელიგიური საზოგადოება გაერთიანდება კავშირში, ასეთი კავშირი ასევე წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ კორპორაციას.

(6) რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებს, უფლება აქვთ სამოქალაქო საგადასახადო სიეზის საფუძველზე, მიწების სამართლის დებულებების შესაბამისად, აკრიფონ გადასახადები.

(7) რელიგიურ საზოგადოებებს უთანაბრდება გაერთიანებები, რომლებიც თავიანთ ამოცანად ისახავენ რომელიმე მსოფლმხედველობის საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

(8) რამდენადაც მოცემული დებულებების განხორციელება მოითხოვს დამატებით რეგულირებას, აღნიშნული განეკუთვნება მიწის კანონმდებლობის კომპეტენციას.

მუხლი 138. (1) რელიგიური საზოგადოებების სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება კანონს, ხელშეკრულებას ან სპეციალურ სამართლებრივ საფუძველს, წყდება მიწების კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგად პრინციპებს ადგენს იმპერია.

(2) რელიგიური საზოგადოებებისა და რელიგიური კავშირების საკუთრება და მათი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მათ კულტურულ, სასწავლო და საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებთან, შენატანებთან, ასევე სხვა ქონება გარანტირებულია.

მუხლი 139. კვირა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დღესასწაულები, როგორც სამუშაოსაგან დასვენებისა და სულიერი ამალლების დღეები, დაცულია კანონით.

მუხლი 141. რამდენადაც ჯარში, საავადმყოფოებში, სასჯელალსრულებით დაწესებულებებში ან სხვა საჯარო დაწესებულებებში არსებობს ღვთისმსახურების და სულზე მზრუნველობის მოთხოვნილება, რელიგიური საზოგადოებები დაშვებული უნდა იქნენ რელიგიური მოქმედებების შესასრულებლად, ამ დროს ყოველგვარი იძულება აღკვეთილი უნდა იყოს.

გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების
მე-3 და 41-ე მუხლები

მუხლი 3. ძირითადი კანონის ძალაში შესვლა

გაერთიანებასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (გამოქვეყნებული „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“ ნაწილი III, №100-1), უკანასკნელი ცვლილებებით, რომლებიც განხორციელდა 1983 წლის 21 დეკემბრის კანონით („ფედერალური კანონთა ჟურნალი“ ნაწილი I, გვერდი 148), მიწებში ბრანდენბურგი, მეკლენბურგი-ფორპომერნი, საქსონია, საქსონია-ანჰალტი და ტიურინგია, ასევე ბერლინის იმ ნაწილში, რომელშიც იგი არ გამოიყენებოდა, ძალაში შედის მე-4 მუხლიდან გამომდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, თუ ამ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 41. ქონებრივი დავების რეგულირება

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების 1990 წლის 15 ივნისის ერთობლივი განცხადება ქონებრივი დავების მოწესრიგების შესახებ (დანართი II) არის ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

(2) ცალკეული სამართლებრივი რეგულირების შესაბამისად საკუთრების უფლების დაბრუნება მიწის ნაკვეთებზე და შენობა-ნაგებობაზე არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწის ნაკვეთები ან შენობა-ნაგებობები აუცილებელია სასწრაფო საინვესტიციო მიზნებისათვის, კერძოდ, რომელიმე სამრეწველო საწარმოს განთავსებისათვის და აღნიშნული საინვესტიციო გადაწყვეტილების რეალიზაცია ემსახურება მთელი ეკონომიკის კეთილდღეობას, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილების შექმნისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ინვესტორმა უნდა წარმოადგინოს პროგრამა, რომელიც შეიცავს პროექტის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს და აღნიშნულის საფუძველზე თავის თავზე აიღოს პროგრამის განხორციელების ვალდებულება. კანონმა ყოფილი მესაკუთრისთვის უნდა დაადგინოს ადეკვატური კომპენსაცია.

(3) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ გამოსცემს რაიმე სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება პირველ აბზაცში მითითებულ ერთობლივ განცხადებას.



სპანეთი



ზოგადი ცნობარი შესავალი

ძველად ესპანეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ იბერები, ძვ.წ. აღ-მდე მე-5-3 საუკუნეებში დასახლდნენ კელტები. მესამე საუკუნეში ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მოექცა კართაგენის ხელისუფლების ქვეშ. პირველ საუკუნეში იგი დაიმორჩილა რომმა. მე-5 საუკუნეში ვესტგუთების სახელმწიფო გაანადგურეს არაბებმა, რომლებმაც 711-718 წლებში დაიპყრეს ესპანეთის ტერიტორია და შექმნეს რიგი სახელმწიფოები. რეკონკისტის მსვლელობისას (718-1492წ.წ.) წარმოიშვნენ ესპანური სამეფოები, ბარაბონი, კასტილია და სხვები. კასტილიისა და არაგონის დინასტიური უნიის დროიდან 1479 წ. ესპანეთი ერთიანი სახელმწიფოა.

მე-16 საუკუნეში განმტკიცდა აბსოლუტიზმი და ჩამოყალიბდა ესპანეთის კოლონიალური იმპერია, ასევე დაიწყო ესპანეთის ეკონომიკური დაცემა. ინგლისთან ომების შედეგად შეწყდა ესპანეთის საზღვაო ბატონობა.

მე-18 საუკუნის დასაწყისში დაიწყო ევროპული დინასტიების ბრძოლა ესპანეთის ტახტისათვის. მე-19 საუკუნეში მოხდა 5 რევოლუცია. ამ რევოლუციის შედეგი იყო კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის კომპრომისის მიღწევა, რომლებიც გამოხატავდნენ კონსტიტუციური მონარქიის აუცილებლობას. 1810-21 წლებში ლათინური ამერიკის ესპანური კოლონიების დიდი ნაწილი დამოუკიდებელი გახდა. 1890-იან წლებში დარჩენილი კოლონიების უმრავლესობა გადავიდა აშშ-სა და გერმანიის გამგებლობაში. მე-20 საუკუნის დასაწყისში ესპანეთი მონაწილეობდა მაროკოს კოლონიურ დაყოფაში. 1923 წელს დამყარდა სამხედრო მონარქიული დიქტატურა (1930 წლამდე). 1931 წლის 14 აპრილს დამხობილ იქნა მონარქია, რამაც საფუძველი ჩაუყარა ესპანეთის რევოლუციას 1931-39წ.წ., რომლის მსვლელობის დროსაც 1936 წელს შეიქმნა ესპანეთის სახალხო ფრონტი, ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია. სამოქალაქო ომი (1936-1939 წ.წ.) დამთავრდა გენერალ ფრანკოს დიქტატურის დამყარებით. 1947 წელს ესპანეთი გამოცხადდა სამეფოდ (ტახტი დარჩა დაუკავებელი). 1975 წლის ნოემბერში ფრანკოს სიკვდილის შემდეგ მეფედ გამოცხადებულ იქნა ხუან კარლოსი. ლეგალიზებულ იქნა რიგი პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, მემარჯვენე პარტია, 1978 წელს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. 1982 წლიდან ხელისუფლებაშია სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ ფორმირებული მთავრობა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ დასავლეთი ევროპა; ესაზღვრება ბისკეის ყურე, ხმელთაშუა ზღვა, ატლანტიის ოკეანის ჩრდილოეთი, პირინეის მთები და სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთი.

ფართობი: სულ: 504,782 კმ²; ხმელეთი: 499,542 კმ²; წყალი: 5,240 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, მურა ნახშირი, რკინის მადანი, სპილენძი, ტყვია, თუთია, ურანი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, გოგირდის აღმადანი, მაგნეზიტი, ფლუორიტი, კაოლინი, პოტაში, წყლის რესურსები, სახნავი მიწა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 40,397,842 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 14,4% (მამაკაცი 3,000,686/ქალი 2,821,325);

15-64 წლის: 67,8% (მამაკაცი 13,751,963/ქალი 13,653,426);

65-წლის და ზევით: 17,7% (მამაკაცი 2,993,296/ქალი 4,176,946) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0,13% (2006);

შობადობა: 10,6 დაბადებული/1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 9,72 გარდაცვლილი/1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 0.99 მიგრანტი /1000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა:

მთლიან მოსახლეობაზე: 79,65 წელი; მამაკაცები: 76,32 წელი; ქალები: 83,2 წელი (2006).

მოქალაქეობა: ესპანეთის

ეთნიკური ჯგუფები: ხმელთაშუა ზღვისა და ნორდიკული ტიპების ნაერთი.

რელიგია: რომის კათოლიკური 94%, სხვა 6%.

ენები: კასტილიური ესპანური 74%, კატალონიური 17%, გალიციური 7%, ბასკური 2%;

შენიშვნა – კასტილიური არის საერთო-სახალხოდ გავრცელებული ოფიციალური ენა; სხვა ენები არის ოფიციალური რეგიონალურად.

განათლებულობა: მთლიან მოსახლეობის 97,9%; მამაკაცები: 98,7%; ქალები: 97,2% (2003).

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის და ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ერცელი ფორმა: ესპანეთის სამეფო

შემოკლებული ფორმა: ესპანეთი

ადგილობრივი შემოკლებული ფორმა: ესპანია

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო მონარქია

დედაქალაქი: მადრიდი

ადმინისტრაციული დაყოფა: 17 ავტონომიური საზოგადოება და ორი ავტონომიური ქალაქი: ანდალუზია, არაგონი, ასტურია, ბელერესი, სეუტა, კანარები (კანარის კუნძულები), კანტაბრია, კასტილა-ლა მანჩა, კასტილა ულეონ, კატალინა, კომუნიდად ვალენსიანა, ექსტრემადურა, გალიცია, ლა რიოხა, მადრიდი, მელილა, მურცია, ნავარა, პაის ვასკო (ბასკების ქვეყანა);

შენიშვნა: ავტონომიურ ქალაქებს სეუტსა და მალილას დამატებული სამი პატარა კუნძული ჩაფარინას, პენონ დე ალკემას და პენონ დე ველეს დე ლა გომერა, რომლებიც პირდაპირ იმართებიან ესპანეთის ცენტრალური მთავრობის მიერ, განლაგებულნი არიან მაროკოს სანაპიროს გასწვრივ და მათ კოლექტიურად ეხებათ სუვერენიტეტის ადგილების მდგომარეობა.

დამოუკიდებლობა: იბერიის ნახევარკუნძული ხასიათდებოდა დამოუკიდებელი სამეფოების სხვადასხვაობით მუსულმანურ ოკუპაციამდე, რომელიც დაიწყო ჩენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის დასაწყისში და გაგრძელდა თითქმის შვიდი საუკუნე. ჩრდილოეთის პატარა ქრისტიანულმა დასახლებებმა დაუკონებლივ დაიწყეს ხელახალი დაპყრობა, რომელმაც კულმინაციას მიაღწია გრენადში 1492 წელს. ეს მოვლენები დასრულდა რამდენიმე სამეფოს გაერთიანებით და ის ტრადიციულად განიხილება, როგორც დღევანდელი ესპანეთის ცენტრი.

ეროვნული დღესასწაული: ეროვნული დღე, 12 ოქტომბერი

აღმასრულებელი ხელისუფლება: სახელმწიფოს მეთაური: მეფე ხუან კარლოს I (1975 წლის 22 ნოემბრიდან); გამოცხადებული მემკვიდრე – პრინცი ფილიპე, მონარქის ვაჟი, დაიბადა 1968 წლის 30 იანვარს.

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს ზაპარეტო (2004 წლის 17 აპრილიდან);

არჩევნები: მონაქრია არის მემკვიდრეობითი.

სამინისტროები:

პრემიერ-მინისტრი

პირველი ვიცე-პრემიერი

მეორე ვიცე-პრემიერი

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

განვითარების მინისტრი

გარემოს დაცვის მინისტრი

ეკონომიკის მინისტრი

თავდაცვის მინისტრი

იუსტიციის მინისტრი

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი

საპრეზიდენტო მინისტრი

საჯარო ადმინისტრაციის მინისტრი

სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და საკვების მინისტრი

ფინანსთა მინისტრი

შინაგან საქმეთა მინისტრი

შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი

ჯანდაცვისა და მომხმარებელთა საქმეების მინისტრი

საკანონმდებლო ხელისუფლება: ბიკამერალური; სენატი (259 მანდატი – 208 წევრი აირჩევა პირდაპირ სახალხო კენჭისყრით და დანარჩენი 51 ინიშნება რეგიონალური ლევისლატურების მიერ 4 წლის ვადით) და დეპუტატთა კონგრესი (350 მანდატი; წევრები აირჩევიან სახალხო კენჭისყრით ბლოკების სიებით პროპორციული წარმომადგენლობით 4 წლის ვადით).

არჩევნები: სენატის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 14 მარტს, შემდეგი არჩევნები იქნება 2008 წლის მარტში; დეპუტატთა კონგრესი – უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 14 მარტს, შემდეგი არჩევნები იქნება ასევე 2008 წლის მარტში.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ბასკეთის ნაციონალური პარტია; კანარის კოალიცია; დაახლოება და კავშირი (კატალონიის დემოკრატიული დაახლოებისა და კატალონიის დემოკრატიული გაერთიანების კავშირი); გალიციის ნაციონალური ბლოკი; ლანზაროტესაგან დამოუკიდებლობის პარტია; სახალხო პარტია; კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელები; ესპანეთის სოციალისტურ მშრომელთა პარტია; გაერთიანებული მემარცხენეები.

ეკონომიკა

ეკონომიკური მიმოხილვა: ესპანეთის ეკონომიკური წინსვლა განსაკუთრებით შეინიშნებოდა 1985-90 წლებში, როდესაც იყო საშუალოდ 5%-იანი ზრდა. 1990 წლის დასაწყისში დიდი ევროპული უკუსვლის შემდეგ ესპანეთის ეკონომიკამ გააგრძელა ზომიერი ზრდა, რომელიც დაიწყო 1994 წელს. ყოფილი პრეზიდენტის აზნარის მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა წარმატებით მუშაობდა შემოსავლის მისაღებად ევროპული ვალუტის (ევროს) შემოღებაზე 1999 წლის 1 იანვრიდან. აზნარის ადმინისტრაცია აგრძელებდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, პრივატიზაციისა და რეგულირების შეწყვეტას და საბოლოოდ შემოიღო ზოგიერთი საგადასახადო რეფორმა. უმუშევრობა მყარად შემცირდა აზნარის მთავრობის დროს, მაგრამ მაინც მაღალი რჩებოდა მისი მასშტაბები.

სოციალისტმა პრეზიდენტმა როდრიგეს ზაპარეტომ წამოიწყო ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, რომელიც პოპულარულია ხალხის მასებში, მაგრამ წარმოადგენს დიდ სირთულეებს რელიგიური და სხვა კონსერვატიული ელემენტებისათვის.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: 1.029 ტრილიონი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 3,4% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 25,500 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 3,4%; მრეწველობა: 28,7%; მომსახურება: 67,9% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: NA%;

ბიუჯეტი: შემოსავალი: 440.9 მილიარდი; გასავალი: 448.4 მილიარდი (2005);

ექსპორტი: 194.3 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: მანქანები, სატრანსპორტო საშუალებების ძრავები, სურსათ-სანოვაგე, ფარმაცევტული საშუალებები, მედიკამენტები და მოხმარების სხვა საგნები.

ექსპორტის პარტნიორები: საფრანგეთი 19,5%, გერმანია 11,7%, პორტუგალია 9,8%, იტალია 9,1%, დიდი ბრიტანეთი 9,1%, (2004);

იმპორტი: 278.8 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, საწვავი, ქიმიკალები, ნახევარფაბრიკატები, სურსათ-სანოვაგე, მოხმარების საქონელი, ზომისა და სამედიცინო კონტროლის ინსტრუმენტები.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 16,7%, საფრანგეთი 15,9%, იტალია 9,1%, დიდი ბრიტანეთი 6,4%, ჰოლანდია 5%, (2004);

საგარეო ვალი: \$1,249 მილიარდი (2005);

ღონორთა ეკონომიკური დახმარება: ODA, \$1.33 მილიარდი;

ვალუტა: ევრო

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ესპანეთი გამოირჩევა კონსტიტუციების სიმრავლით, რაც პირველ რიგში, ქვეყნის მმართველობის ფორმის ხშირი ცვალებადობით არის განპირობებული.

ესპანეთის პირველი დაწერილი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1812 წლის 12 მარტს ეროვნული საკანონმდებლო კრების – კორტესების მიერ ესპანეთის ქალაქ კადისში. მის თანახმად ესპანეთი წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე ფერდინანდ VII. მისი ხელისუფლება შეზღუდული იყო ერთპალატიანი კორტესებითა და მთავრობით. სუვერენიტეტი ეკუთვნოდა ხალხს. გარდა ამისა, კონსტიტუცია ეხებოდა გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებსაც. აიკრძალა ინკვიზიცია, სახელმწიფო რელიგიად დარჩა კათოლიციზმი, განმტკიცდა სიტყვის, შეკრებისა და მამაკაცთა საარჩევნო უფლებები. ქვეყანა აგებული იყო ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემით, პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების საფუძველზე.

შემდგომ მონარქიის პერიოდში მიღებულ იქნა 1837, 1845, 1869 წლების კონსტიტუციები, ხოლო პირველი რესპუბლიკის დროს (1873-1874 წ.წ.) – 1973 წლის კონსტიტუცია. შემდგომი კონსტიტუცია თარიღდება 1876 წლით, რაც ბურბონთა მმართველობის აღდგენასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ამის შემდეგი კონსტიტუცია მეორე რესპუბლიკის შექმნით (1931-1936 წ.წ.) იყო განპირობებული და მიღებულ იქნა 1931 წლის 9 დეკემბერს.

1931 წლის კონსტიტუციის თანახმად, მეფე ალფონსო XIII-ს ჩამოგდების შემდეგ ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. შეიქმნა დროებითი მთავრობა და დამფუძნებელმა კორტესებმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციით განისაზღვრა საყოველთაო საარჩევნო უფლება, დასრულდა ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პროცესი.

1938 წელს ტახტზე ავიდა მეფე ხუან კარლოსი. ამ პერიოდში მიღებულ იქნა რამდენიმე ძირითადი კანონი, რასაც „ფრანკოს კონსტიტუციის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ. იგი ორიგინალურობით გამოირჩეოდა. კანონები არ ხასიათდებოდა ცვლილებების შეტანის გართულებული წესით, თუმცა ზოგიერთი კატეგორიის ცვლილება რეფერენდუმზე დამტკიცებას საჭიროებდა. კორტესების შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე კატეგორიის დეპუტაცია: 125 იყო თანამდებობით წევრი, 25-ს ნიშნავდა სახელმწიფოს მეთაური, 114-ს – ტერიტორიული ერთეულები, 196-ს – პროფკავშირები, ხოლო 104 აირჩეოდა ხალხის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ფუნქციას ფრანკიზმის იდეოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენდა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. დღეს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავება დაიწყო 1977 წლის 15 ივლისის ახალი კორტესების არჩევნების შემდეგ. დაინიშნა 7 წევრიანი კომისია, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. განხილვის პერიოდში კორტესებში შეტანილ იქნა ათასობით ცვლილების პროექტი. კონსტიტუციის პროექტი საბოლოოდ მიღებულ იქნა პალატების მიერ კონსენსუსის საფუძველზე, რაც კენჭისყრის შედეგებიდანაც ნათლად ჩანს: 1978 წლის 31 ოქტომბერს კონგრესის 350 დეპუტატიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 345-მა, რომელთაგან 325-მა ხმა მისცა კონსტიტუციას, 14-მა თავი შეიკავა, ხოლო 6 წინააღმდეგი იყო. სენატის კენჭისყრაში მონაწილეობდა 239 სენატორი, რომელთაგან 226-მა ხმა მისცა მას, რვამ თავი შეიკავა, ხოლო 5 წინააღმდეგი იყო. აღსანიშნავია, რომ პროექტს მხარი დაუჭირა ქვეყნის ყველა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ. 1978 წლის 6 დეკემბერს კონსტიტუცია საბოლოოდ დამტკიცდა რეფერენდუმზე.

კონსტიტუციური შესწორების ინიციატივის უფლება გააჩნია მთავრობას, კონგრესსა და სენატს, ასევე ავტონომიური საზოგადოებების კრებებს, თუ მიმართავენ მთავრობას კონსტიტუციური პროექტის მიღების, ასევე დეპუტატთა კონგრესის პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო წინადადებების გადაცემის შესახებ. ამასთან ამ წინადადების დასაცავად მითითებულ პალატაში გზავნიან კრების მაქსიმუმ 3 წევრს.

კონსტიტუციის შესწორების პროექტი მიიღება გენერალური კორტესების თითოეული პალატის წევრთა არანაკლებ 3/5-ის უმრავლესობით. თუ პალატები ვერ შეთანხმდებიან ერთიან ტექსტზე, იქმნება დეპუტატებისა და სენატორების ერთობლივი კომისია, რომელიც წარადგენს მის მიერ შემუშავებულ ტექსტს დეპუტატთა კონგრესისა და სენატის კენჭისყრაზე. თუ ამ შემთხვევაშიც არ იქნება მიღწეული თანხმობა, მაშინ იმ პირობით, რომ სენატი მიიღებს მითითებულ ტექსტს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, კონგრესს შეუძლია მიიღოს იგი წევრთა ხმების 2/3-ით. გენერალური კორტესების მიერ მიღებული კონსტიტუციური შესწორების პროექტი გაიტანება რეფერენდუმზე იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიღებიდან 15 დღის ვადაში ასეთ კენჭისყრას მოითხოვს ნებისმიერი პალატის წევრთა 1/10.

თუ გადასინჯვის ინიციატივა ეხება კონსტიტუციის მთლიან ან ნაწილობრივ გადასინჯვას, ასევე კონსტიტუციის შესავალ ნაწილს, სადაც განხილულია სახელმწიფოს ნიშნები და ძირითადი პრინციპები, ასევე უფლებებსა და თავისუფლებებს, იგი მიიღება პრინციპების დონეზე თითოეული პალატის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით, რის შემდეგაც გენერალური კორტესები დაითხოვება. პალატების ხელახლა არჩევის შემდეგ მათ შეუძლიათ თითოეული პალატის წევრთა 2/3-ით დაამტკიცონ კონსტიტუციის შესწორების პროექ-

ტი და უზრუნველყონ კონსტიტუციის ახალი ტექსტის შესწავლა. ორივე პალატის მიერ მიღებული კონსტიტუციის შესწორების ტექსტი საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას.

შესწორების ინიციატივა არ შეიძლება მიღებულ იქნეს საომარი ან საერთხის მდგომარეობის დროს.

დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა მხოლოდ ერთხელ 1992 წლის 27 აგვისტოს.

კონსტიტუციის ანალიზი. ესპანეთის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 10 ნაწილისა და 169 მუხლისგან, ასევე დამატებითი, გარდამავალი, გამუქმებული და დასკვნითი დებულებებისგან. ნაწილები იყოფა თავებად, ხოლო ზოგიერთი თავი – განყოფილებებად. კონსტიტუცია იწყება და მთავრდება ესპანეთის მეფის სიტყვებით.

კონსტიტუციის თანახმად, ესპანეთი დაფუძნებულია, როგორც სამართლებრივი სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მართლწესრიგის უზენაეს ღირებულებებად აცხადებს თავისუფლებას, სამართლიანობას, თანასწორობას და პოლიტიკურ პლურალიზმს. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ესპანელ ხალხს, რომლიდანაც გამომდინარეობს სახელმწიფოს უფლებამოსილებები.

ესპანეთის სახელმწიფოს ოფიციალური ენა არის კასტილური. ყველა ესპანელი ვალდებულია იცოდეს იგი, და აქვს მისი გამოყენების უფლება. ესპანეთის სხვა ენები ასევე ოფიციალურია ავტონომიურ საზოგადოებებში მათი სტატუსების შესაბამისად. ესპანეთის სხვადასხვა ენების თავისებურებების სიმდიდრე არის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც სარგებლობს განსაკუთრებული პატივისცემითა და დაცვით.

კონსტიტუცია აწესრიგებს ესპანელთა და უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას, რომელთაც კონსტიტუციის 169 მუხლიდან 55-ს უთმობს და განამტკიცებს საქვეყნოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შესახებ აცხადებს, რომ ისინი განხილულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ესპანეთის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მოქალაქეობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს შეუძლია დადოს ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის შესახებ იბერიულ-ამერიკულ ქვეყნებთან ან ქვეყნებთან, რომლებსაც ჰქონდათ ან აქვთ განსაკუთრებული კავშირი ესპანეთთან. ამ ქვეყნებშიც, რომლებიც არც კი აღიარებენ თავისი მოქალაქეების უფლებას ორმხრივ საფუძველზე, ესპანელებს გააჩნიათ ნატურალიზაციის უფლება თავისი მოქალაქეობის დაკარგვის გარეშე.

ყველა ესპანელი კანონის წინაშე თანასწორია და არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე დისკრიმინაციას დაბადების, რასის, სქესის, აღმსარებლობის, შეხედულებების ან სხვა რაიმე პირადი ან სოციალური ხასიათის მოტივებიდან გამომდინარე.

ესპანეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეებში უშუალოდ ან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც თავისუფლად აირჩევიან პერიოდულად ჩატარებულ არჩევნებში საყოველთაო კენჭისყრის გზით. მათ ასევე უფლება აქვთ თანაბარ პირობებში დაიკავონ საზოგადოებრივი და სახელმწიფო თანამდებობები. გამონაკლის შემთხვევებში, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მუნიციპალურ არჩევნებში შეიძლება მიენიჭოს უცხოელებს ნაცვალების პირობებში ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე.

უზრუნველყოფილია იდეოლოგიის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, რომელიც ხორციელდება ინდივიდების ან მათი ერთობების მიერ რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აუცილებელია კანონით დაცული საზოგადოებრივი წესრიგის მხარდასაჭერად. არცერთ რწმენას არ შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო რელიგიის ხასიათი. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ესპანეთის საზოგადოების რელიგიური რწმენები და მხარი დაუჭირონ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე თანამშრომლობას კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვა კონფესიებთან.

თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ღირსების, პირადი და ოჯახური საიდუმლოების და საკუთარი სახელის, გადაადგილების, უიარაღოდ მშვიდობიანი შეკრების, ასოციაციების შექმნის, ეფექტური სასამართლო დაცვის, სწავლის, პროფკავშირში გაერთიანების და სხვა უფლებები და თავისუფლებები. აღიარებულია კერძო საკუთრებისა და მისი მემკვიდრეობით მიღების, ფონდების დაფუძნების უფლება, მეწარმეობის თავისუფლება.

ესპანეთის კონსტიტუციის თავისებურებაა, რომ ცალკე თავით არის მოწესრიგებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება უზრუნველყონ ყოველი უფლებისა და თავისუფლების განხორციელება.

კონსტიტუციაში დეტალურადაა ჩამოთვლილი ის უფლებები, რომელთა მოქმედება შეიძლება შეჩერდეს საგანგებო ან საალყო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში. უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების არაკანონიერი ან გაუმართლებელი შეჩერება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ესპანეთის სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა საპარლამენტო მონარქია. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს მეფე,

საკანონმდებლო ხელისუფლებას - გენერალური კორტესები, აღმასრულებელს - მთავრობა, ხოლო სასამართლოს - სასამართლოები. სასამართლოებისგან განცალკევებულად არის განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა.

მეფის ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებით ქვეყანაში ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობდა. მეფე არის სახელმწიფოს მეთაური მისი ერთიანობისა და მუდმივობის სიმბოლო. იგი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების არბიტრი და გარანტი, ახორციელებს ესპანეთის სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში და განსაკუთრებით იმ ხალხებთან ურთიერთობაში, რომლებთანაც მას აკავშირებს ისტორიული ერთიანობა.

განსაზღვრულია ტახტის გადაცემის წესი. ესპანეთის გვირგვინი მემკვიდრეობით გადაეცემა ისტორიული დინასტიის კანონიერი მემკვიდრის, მისი უდიდებულესობა დონ ზუან კარლოს I დე ბურბონის მემკვიდრებს. ტახტის მემკვიდრეობა ხორციელდება პირველშობისა და წარმომადგენლობის წესების შესაბამისად, შორეულთან შედარებით ახლო ნათესაური ხაზისათვის უპირატესობის მინიჭებით; ერთგვაროვანი ხაზის შემთხვევაში - უფრო ახლო ნათესაობისთვის უფრო შორეულთან; ნათესაობის ერთი და იგივე ხარისხის შემთხვევაში - მამაკაცისთვის ქალთან მიმართებაში, ხოლო ერთი სქესის შემთხვევაში - ასაკით უფროსისათვის უმცროსთან მიმართებაში. მემკვიდრე პრინცი მისი დაბადების დღიდან ან მისი ასეთად გამოცხადების დღიდან იძენს ასტურიის პრინცის ტიტულს და სხვა ტიტულებს, რომელიც ტრადიციულად მიეკუთვნება ესპანეთის გვირგვინის მემკვიდრეს. თუ ტახტის მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები დაქორწინდებიან მეფისა და გენერალური კორტესების აკრძალვის მიუხედავად, მათ, ისევე როგორც მათ მემკვიდრეებს, ჩამოერთმევათ გვირგვინის მემკვიდრეობის უფლება.

მეფის მოვალეობებს წარმოადგენს: კანონთა პრომულგირება, გენერალური კორტესების მოწვევა, დათხოვნა და არჩევნების დანიშვნა, მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დეკრეტებზე ხელმოწერა, სამოქალაქო ან სამხედრო მოსამსახურეების დანიშვნა, საპატიო წოდებების მინიჭება და ორდენებით დაჯილდოება, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა, შეწყალების უფლების განხორციელება, ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა, ესპანეთში უცხოეთის წარმომადგენლების აკრედიტაცია.

მიუხედავად კონსტიტუციით განმტკიცებული მეფის მრავალმხრივი უფლებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ საკმაოდ ფორმალური და სიმბოლური ხასიათი გააჩნია და მეფე თავის უფლებამოსილებას ყოველთვის

საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის პოლიტიკის საფუძველზე და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით ახორციელებს.

მეფის აქტები მტკიცდება მთავრობის თავმჯდომარისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინისტრების ხელმოწერით. კანდიდატურის შეთავაზება და მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა, აგრეთვე ამ უკანასკნელის გადადგომის შესახებ განცხადება, მტკიცდება კონგრესის თავმჯდომარის მიერ. მეფის აქტებზე პასუხისმგებელია არა მეფე, არამედ ის პირები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ხელმოწერით.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს გენერალური კორტესები, რომელიც წარმოადგენს ესპანეთის ხალხს და შედგება ქვედა პალატის - დეპუტატთა კონგრესისა და ზედა პალატის - სენატისაგან. გენერალური კორტესები იღებენ ქვეყნის ბიუჯეტს, აკონტროლებენ მთავრობის საქმიანობასა და ახორციელებენ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საარჩევნო სისტემის თავისებურების გამო, კონსტიტუცია არ განსაზღვრავს პალატების წევრთა ზუსტ რაოდენობას. იგი ადგენს, რომ კონგრესი შედგება 300-400 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით. ამჟამად ამ პალატაში 350 წევრია. წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია ამომრჩეველთა რაოდენობაზე. ყოველი პროვინცია (სულ 50) წარმოადგენს საარჩევნო ოლქს, რომელიც დეპუტატებს ირჩევს მისი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, იმგვარად, რომ ყოველ პროვინციას გააჩნდეს არანაკლებ 1 წარმომადგენელი. ქალაქების სეუტასა და მელილის მოსახლეობა წარმოდგენილია თითო დეპუტატით. არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით. კონგრესი აირჩევა 4 წლით.

სენატი არის ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა. კონსტიტუცია ამ შემთხვევაში მის წევრთა რაოდენობის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს. მის შემადგენლობაში ამჟამად 254 წევრია, რომლებიც აირჩევა შემდეგი წესით: თითოეული პროვინციიდან აირჩევა 4 სენატორი საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. სენატორთა ასარჩევად კუნძულების პროვინციებში კუნძულები ქმნიან ოლქს: 3-3 სენატორი აირჩევა ყველა დიდი კუნძულიდან (კანარის დიდი კუნძულები, მალიორკა და ტენერიფე) და თითო-თითო ყველა შემდეგი კუნძულიდან ან კუნძულთა ჯგუფიდან (ივიზა, ფორმენტერა, მენორკა, ფუერტენვენტურა, გომერა, იერო, ლანსაროტე და ლა-პალმა). სეუტისა და მელილის მოსახლეობა ირჩევს 2-2 სენატორს. ავტონომიური საზოგადოებები (სულ 17) ნიშნავენ თითო სენატორს და მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ მილიონ მოსახლეზე დამატებით კიდევ 1 სენატორს. დანიშვნას

ახორციელებს საკანონმდებლო კრება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – ავტონომიური საზოგადოების უმაღლესი კოლექტიური ორგანო, მათი სტატუსის შესაბამისად, რომლებმაც ყველა შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ადეკვატური პროპორციული წარმომადგენლობა. სენატი ასევე აირჩევა 4 წლის ვადით.

არავინ არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი, შეითავსოს ავტონომიური საზოგადოების წევრისა და კონგრესის დეპუტატთა მანდატები. გენერალური კორტესების წევრები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით. კონსტიტუცია ადგენს აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ერთგვაროვან შემთხვევებს, რომლებსაც განეკუთვნება მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები. მანდატის მოქმედების ვადის განმავლობაში დეპუტატები და სენატორები თანაბრად სარგებლობენ იმუნიტეტით და შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ დანაშაულის ადგილზე. მათ არ შეიძლება წარედგინოთ ბრალდება და არ შეიძლება მიცემულ იქნენ სამართალში შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გენერალურ კორტესებს გააჩნია პალატებისთვის საერთო რეგლამენტი, თუმცა, პალატები თავისმხრივ იღებენ თავიანთ რეგლამენტებს.

პალატები ერთობლივად წყვეტენ არა საკანონმდებლო, არამედ იმ საკითხებს, რაც მიეკუთვნება გენერალური კორტესების განსაკუთრებულ კომპეტენციას. გენერალური კორტესების გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების აღებას, ავტონომიური საზოგადოებების სტატუსების სარეგულაციო არეალს, საინვესტიციო ფონდიდან ავტონომიურ საზოგადოებებსა და პროვინციებს შორის სახსრების განაწილებას მიიღება თითოეული პალატის ხმათა უმრავლესობით. პირველ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნის კონგრესს, ხოლო მეორე ორ შემთხვევაში – სენატს. ორივე შემთხვევაში, სენატსა და კონგრესს შორის თანხმობის არარსებობისას, თანხმობის მიღწევას ცდილობენ პალატების წევრთა თანაბარი რაოდენობისაგან შერეული კომისიის შექმნით. კომისია წარადგენს ტექსტს, რომელიც კენჭისყრაზე ღება ორივე პალატაში. თუ ამ შემთხვევაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული, კონგრესი საკითხს წყვეტს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

ესპანეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებაა, რომ პალატებს შეუძლიათ მუდმივ საკანონმდებლო კომისიებს მიანიჭონ კანონების მიღების უფლება. მაგრამ პალატებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოითხოვონ იმ კანონპროექტის ან წინადადების პლენარულ სხდომაზე განხილვა და კენჭისყრა, რომელიც იყო დელეგირების საგანი. კომისიებს არ აქვთ უფლება განიხილონ საკითხები, რომლებიც უკავშირდება კონსტიტუციურ რეფორმას, სა-

ერთაშორისო საკითხებს, ორგანულ და საბაზო კანონებს, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტს.

პარლამენტარიზმის კიდევ ერთი თავისებურებაა, თითოეულ პალატაში მუდმივი დეპუტაციის შექმნა, მინიმუმ 21 წევრის შემადგენლობით, რომელიც წარმოადგენს საპარლამენტო ჯგუფებს, მათი რაოდენობის პროპორციულად. მუდმივ დეპუტაციებს თავმჯდომარეობენ შესაბამისი პალატის თავმჯდომარეები. ისინი იკრიბებიან საგანგებო სესიაზე, სადაც ამტკიცებენ ამ პერიოდში გამოცემულ მთავრობის დეკრეტებს და მონაწილეობენ საგანგებო, საალყო და საფრთხის მდგომარეობის გამოცხადებაში, იმ შემთხვევაში, როდესაც კორტესები დათხოვნილია ან მათი მანდატი ამოიწურა, და ახორციელებენ პალატების ფუნქციას, როდესაც ისინი არ არიან მოწვეული სესიაზე. პალატების უფლებამოსილების ვადის გასვლის ან მათი დათხოვნის შემთხვევაში, მუდმივი დეპუტაციები აგრძელებენ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას ახალი გენერალური კორტესების მოწვევამდე. როდესაც შეიკრიბება შესაბამისი პალატა, მუდმივი დეპუტაცია ანგარიშს აბარებს მას განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

პალატის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია წევრთა უმრავლესობის დასწრება, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა გამონაკლისებისა. ხმის მიცემა პირადია და არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ესპანეთის კონსტიტუცია იცნობს კანონთა რამდენიმე სახეს: კონსტიტუციურს, ორგანულს, საბაზოსა და ჩვეულებრივს. ორგანული კანონები მიიღება ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, არჩევნების წესის, ავტონომიების სტატუტების დამტკიცების და კონსტიტუციით დეტალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. მათ მისაღებად აუცილებელია კონგრესის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. საბაზო კანონით ხორციელდება მთავრობისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება. ისინი ზუსტად ადგენენ დელეგირებული უფლებამოსილების მიზნებსა და ფარგლებს, აგრეთვე პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს მათი განხორციელებისას. მთავრობის მიერ საკანონმდებლო დელეგირების საფუძველზე გამოცემულ აქტებს ეწოდებათ საკანონმდებლო დეკრეტები.

საგანგებო და სასწრაფო შემთხვევაში მთავრობას შეუძლია გამოსცეს დეკრეტები – კანონის ფორმის მქონე დროებითი საკანონმდებლო აქტები. გარკვეული ვადის განმავლობაში კონგრესმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კანონ-დეკრეტის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია მთავრობას, კონგრესსა და სენატს. თუმცა, ავტონომიური საზოგადოებების კრებებს ან არანაკლებ 500

ათას ამომრჩეველს ასევე შეუძლია მთავრობას წარუდგინონ კანონპროექტი დეპუტატთა კონგრესისათვის წარსადგენად. სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანული კანონით მოსაწესრიგებელ, ასევე საგადასახადო, საერთაშორისო ურთიერთობებსა და შეწყალუბასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

ორგანული ან ჩვეულებრივი კანონის პროექტს თავდაპირველად იხილავს დეპუტატთა კონგრესი, რომელიც დამტკიცების შემდეგ მას განსახილველად გადასცემს სენატს. სენატს 2 თვის ვადაში შეუძლია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ვეტო დაადოს ან შეიტანოს შესწორებები ამ ტექსტში. ვეტოს მიღების შემთხვევაში მეფის მიერ ხელმოსაწერად გადასაცემად საჭიროა პირველადი ტექსტის კონგრესის მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ან უბრალო უმრავლესობით დამტკიცება, თუ მისი წარმოდგენიდან გავიდა ორი თვე, ან კონგრესის მიერ შესწორების მიღება ან უარყოფა ხმათა უბრალო უმრავლესობით. გენერალური კორტესების მიერ დამტკიცებულ კანონს მეფე ამტკიცებს 15 დღის ვადაში.

გარდა სახალხო საკანონმდებლო ინიციატივისა, კონსტიტუცია უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან ითვალისწინებს რეფერენდუმის ინსტიტუტსაც. მისი ჩატარება ფაქტობრივად არ არის შეზღუდული, ვინაიდან შესაძლებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. რეფერენდუმი ინიშნება მეფის მიერ მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით დეპუტატთა კონგრესის წინასწარი დამტკიცებით.

აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციასა და სახელმწიფოს თავდაცვას. იგი შედგება თავმჯდომარის, აუცილებლობის შემთხვევაში მისი მოადგილეების, აგრეთვე მინისტრებისა და სხვა წევრებისაგან.

დეპუტატთა კონგრესის შემადგენლობის ყოველი არჩევის შემდეგ მეფე პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ კონგრესის თავმჯდომარის მეშვეობით წამოაყენებს კანდიდატურას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ეს კანდიდატი შეიტანს დეპუტატთა კონგრესის განსახილველად ჩამოსაყალიბებელი მთავრობის პოლიტიკურ პროგრამას და ითხოვს პალატის ნდობას. თუ დეპუტატთა კონგრესი თავის წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გამოუცხადებს ნდობას წარდგენილ კანდიდატს, მეფე ნიშნავს მას მთავრობის თავმჯდომარედ. მთავრობის დანარჩენი წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან მეფის მიერ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით.

მთავრობა უნდა გადადგეს საყოველთაო არჩევნების ჩატარების შემდეგ, ასევე საპარლამენტო ნდობაზე უარის თქმის ან მისი თავმჯდომარის გადაღ-

გომის ან გარდაცვალების შემთხვევაში. მთავრობა თავისი პოლიტიკური საქმიანობისათვის სოლიდარულად არის პასუხისმგებელი დეპუტატთა კონგრესის წინაშე. კონსტიტუცია ითვალისწინებს ნებისმიერ დროს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების ინსტიტუტს თვით მთავრობის ინიციატივით, ასევე დეპუტატთა კონგრესის ინიციატივით უნდობლობის გამოცხადებას.

მთავრობის უმაღლეს საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო საბჭო. მისი ფორმირების წესსა და კომპეტენციას ადგენს ორგანული კანონი.

კონსტიტუციაში სასამართლო ხელისუფლების წყაროდ მოხსენიებულია ხალხი, თვით ეს ხელისუფლება კი ხორციელდება მეფის სახელით მოსამართლეებისა და მაგისტრატების მიერ. მოქალაქეებს მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა მეშვეობით სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე ჩვეულებითი და ტრადიციული სასამართლოების მეშვეობით.

სასამართლო ხელისუფლების მართვის ორგანოა გენერალური საბჭო. იგი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან, რომელიც თავმჯდომარეობს ამ საბჭოს და მეფის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 20 წევრისგან. 12 მათგანი ინიშნება მოსამართლეებისა და ყველა კატეგორიის მაგისტრატებისგან, 4 – დეპუტატთა კონგრესის წინადადებით, ხოლო 4 – სენატის წინადადებით, რომლებიც ორივე შემთხვევაში აირჩევიან ხმათა 3/5-ის უმრავლესობით ადვოკატებისა და სხვა იურისტებისაგან, რომელთა კომპეტენტურობა აღიარებულია სახალხოდ და რომელთაც თავისი პროფესიით ნამუშევარი აქვთ 15 წელზე მეტი.

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ყველა საქმეზე, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც ეხება კონსტიტუციურ გარანტიებს. მისი თავმჯდომარე ინიშნება მეფის მიერ სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს წინადადებით.

პროკურატურას მიუხედავად სხვა ორგანოების მიერ განხორციელებული ფუნქციებისა, გააჩნია საკუთარი ამოცანები ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების აღსრულებას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული საჯარო იტერესების დაცვის მიზნით, თავისი მოვალეობების ძალით ასევე დაინტერესებული პირების შუამდგომლობით, აგრეთვე მეთვალყურეობა გაუწიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და დაიცვას მათი საზოგადოებრივი იტერესები.

სახელმწიფოს ფინანსური ანგარიშებისა და ეკონომიკური საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სექტორის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საანგარიშო პალატა. იგი პირდაპირ არის პასუხისმგებელი გენერალური კორტესების წინაშე და თავის ფუნქციებს ახორციელებს გენერალური

კორტესების დავალებით სახელმწიფოს საერთო ანგარიშების შესწავლისა და შემოწმების დროს. მას შემოწმებისათვის გადაეცემა სახელმწიფოსა და საჯარო სექტორის ანგარიშები.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება მეფის მიერ 9 წლის ვადით დანიშნული 12 წევრისგან, რომელთაგან 4 წარდგენილია კონგრესის მიერ წევრთა ხმების 3/5-ით, 4 – სენატის მიერ იგივე უმრავლესობით, 2 – მთავრობის მიერ და 2 – სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს მიერ. ისინი უნდა დაინიშნონ მოსამართლეებისა და პროკურორების, უნივერსიტეტის პროფესორების, საჯარო ადმინისტრაციის ორგანოებისა და ადვოკატებისაგან. ყველა მათგანი უნდა იყოს იურისტი, რომელთა კომპეტენცია საყოველთაოდ აღიარებულია და მუშაობდნენ თავიანთი პროფესიით 15 წელზე მეტი ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება მის წევრთაგან მეფის მიერ 3 წლის ვადით ამავე სასამართლოს წევრთა უმრავლესობის წინადადებით.

საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავებს კანონებისა და კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურობის შესახებ, სახელმწიფოსა და ავტონომიურ საზოგადოებებს შორის კომპეტენციის შესახებ და სხვ.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს მუნიციპალიტეტებს, პროვინციებსა და ავტონომიურ საზოგადოებებს. ისინი თავიანთი საქმეების განხორციელებისას სარგებლობენ ავტონომიით. კონსტიტუცია აღიარებს და უზრუნველყოფს ავტონომიის უფლებას მისი შემადგენელი ეროვნებებისა და რეგიონებისათვის და მათ შორის სოლიდარობას.

მუნიციპალიტეტს მართავს მუნიციპალური საბჭო, რომელიც შედგება მერისა და მრჩეველებისაგან. მრჩეველები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, ხოლო მერი აირჩევა მრჩეველების ან მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მიერ. პროვინცია წარმოადგენს ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე მუნიციპალიტეტთა გაერთიანებას. პროვინციის საზღვრების შეცვლას ამტკიცებს გენერალური კორტესები. მისი ხელმძღვანელობა ხორციელდება პროვინციის კრების ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. კუნძულთა არქიპელაგს ასევე აქვს საკუთარი ადმინისტრაცია კაბილდოს ან სხვა საბჭოების სახით. პროვინციები გაერთიანებულია ავტონომიურ საზოგადოებებში.

კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტონომიური საზოგადოებების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას. სწორედ ავტონომიის შემოღებით გადაჭრა კონსტიტუციამ ეროვნული პრობლემა, იმგვარად, რომ არც ფედერალური წყობილების შემოღება გახდა აუცილებელი. ისინი წარმოადგენენ საერთო ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური

ინშენების მქონე მოსაზღვრო პროვინციებს, კუნძულის ტერიტორიებსა და პროვინციებს, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან ისტორიულ მხარეს. ამჟამად ესპანეთში 17 ავტონომიური გაერთიანებაა. ავტონომიის მიცემის შესახებ ინიციატივით მიმართვა შეუძლია ყველა დაინტერესებულ წარმომადგენელთა კრებას ან შესაბამის კუნძულთაშორისო ორგანოს, აგრეთვე მუნიციპალიტეტების 2/3-ს, რომელთა მოსახლეობაც თითოეული პროვინციის ან კუნძულის ამომრჩეველთა არანაკლებ უმრავლესობას შეადგენს.

ყოველი ავტონომიური საზოგადოების ძირითადი სამართლებრივი აქტი არის სტატუტი. სახელმწიფო აღიარებს და იცავს მათ, როგორც საკუთარი კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. სტატუტის პროექტი მუშავდება დაინტერესებული პროვინციის მიერ და გადაეცემა გენერალურ კორტესებს. სტატუტები მტკიცდება გენერალური კორტესების მიერ ორგანული კანონის მიღების გზით.

კონსტიტუცია ამომწურავად განსაზღვრავს ავტონომიური საზოგადოებებისა და სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წრეს. ის საკითხები, რომლებიც არ განეკუთვნება სახელმწიფოს გამგებლობას, შეიძლება გადაეცეს ავტონომიურ საზოგადოებებს მათი სტატუტების შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი სტატუტების თანახმად არ წარმოადგენს ავტონომიური საზოგადოებების კომპეტენციას, განეკუთვნება სახელმწიფოს გამგებლობას. გარდა ამისა, გენერალურ კორტესებს შეუძლია, სახელმწიფო გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, ავტონომიურ საზოგადოებას გადასცეს საკანონმდებლო აქტების მიღების უფლებამოსილება ორგანული კანონით დადგენილი პრინციპების, საფუძვლებისა და პირობების ფარგლებში.

ავტონომიურ გაერთიანებას გააჩნია შემდეგი ორგანოები: საყოველთაო კენჭისყრით, პროპორციული სისტემით არჩეული საკანონმდებლო კრება; აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი სამთავრობო საბჭო, რომლის თავმჯდომარე აირჩევა კრების მიერ თავის წევრთაგან და ინიშნება მეფის მიერ. იგი არის ავტონომიური საზოგადოების უმაღლესი თანამდებობის პირი და მასში სახელმწიფოს წარმომადგენელი. ავტონომიურ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო.

ავტონომიური საზოგადოებების ორგანოებზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს ახორციელებენ შემდეგი ცენტრალური ორგანოები: საკონსტიტუციო სასამართლო, მათ მიერ მიღებული კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე, მთავრობა სახელმწიფო საბჭოს წარდგინებით, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე, ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები, ავტონომიურ მართველობასა და

მის გადაწყვეტილებებზე, საანგარიშო პალატა, ეკონომიკურ და საბიუჯეტო საქმიანობაზე.

გარდა ამისა, ცენტრალურ ხელისუფლებას ასევე უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩაერიოს ავტონომიური საზოგადოების საქმიანობაში, თუ იგი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს ან მისი მოქმედებები სერიოზულ ზიანს აყენებს ესპანეთის საერთო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მთავრობას, წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, შეუძლია სენატის თანხმობით მიიღოს აუცილებელი ზომები ავტონომიური საზოგადოების მიერ მოვალეობების იძულებითი წესით შესასრულებლად ან ესპანეთის საერთო ინტერესების დასაცავად.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებანი. ესპანეთს, რომლის კონსტიტუციური სამართალი აგებულია ქვეყნის მრავალფეროვანი კონსტიტუციური ტრადიციების გაზიარებითა და ევროპის განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ინსტიტუტების ფორმირებით, გააჩნია მრავალი მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურება:

– ესპანეთის კონსტიტუცია კლასიკურ სისტემასთან ერთად, შედგება დამატებითი, გარდამავალი, გამაუქმებელი და დასკვნითი დებულებებისგან;

– ესპანეთის სახელმწიფოს ოფიციალური ენა არის კასტილური, თუმცა, ავტონომიურ საზოგადოებებში ასევე ოფიციალურია ესპანეთის სხვა ენები;

– ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებულია ორმაგი მოქალაქეობა იბერიულ-ამერიკულ ქვეყნებთან ან ქვეყნებთან, რომლებსაც ჰქონდათ ან აქვთ განსაკუთრებული კავშირი ესპანეთთან;

– გამონაკლის შემთხვევებში, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მუნიციპალურ არჩევნებში შეიძლება მიენიჭოს უცხოელებს ნაცვალების პირობებში ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე;

– კონსტიტუციაში დეპუტატთა კონგრესის წევრთა რაოდენობის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარია დადგენილი, სენატთან დაკავშირებით კი საერთოდ არ არის საუბარი წევრთა რაოდენობაზე;

– კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი თითოეული პალატის არჩევნის ტერიტორიული ერთეულების მიერ ასარჩევი წარმომადგენლების რაოდენობა;

– მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება ესპანეთის პარლამენტარიზმი. კანონების მიღების უფლება შეიძლება მიენიჭოს მუდმივ საკანონმდებლო კომისიებს, თუმცა, მოთხოვნის შემთხვევაში ისინი უნდა დაამტკიცოს პალატამ; თითოეულ პალატაში იქმნება მუდმივი დეპუტაცია 21 წევრის შემადგენლობით, რომელიც პალატის მოვალეობას ასრულებს, როდესაც პა-

ლატა არ არის შეკრებილი; ესპანეთის კონსტიტუცია იცნობს კანონთა რამდენიმე სახეს: კონსტიტუციურს, ორგანულს, საბაზოს და ჩვეულებრივს; მართალია, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მთავრობას, კონგრესსა და სენატს გააჩნია, მაგრამ ავტონომიური საზოგადოებების კრებებს ან არანაკლებ 500 ათას ამომრჩეველს ასევე შეუძლია მთავრობის მეშვეობით წარადგინონ კანონპროექტი დეპუტატთა კონგრესში; შეზღუდვებია დაწესებული სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის მიმართ: იგი არ შეიძლება ეხებოდეს ორგანული კანონით მოსაწესრიგებელ, ასევე საგადასახადო, საერთაშორისო ურთიერთობებსა და შეწყალებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

– საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კანდიდატურების წარდგენაში მონაწილეობენ პალატები, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო;

– ტერიტორიული მოწყობა მოიცავს მუნიციპალიტეტებს, პროვინციებსა და ავტონომიურ საზოგადოებებს. ავტონომიურ საზოგადოებებს გააჩნიათ ფედერალურ ერთეულებზე მცირე, მაგრამ უნიტარულ ერთეულებზე ფართო უფლებამოსილება. ამასთან, ყველა ის საკითხი, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფოს გამგებლობას, შეიძლება გადაეცეს ავტონომიურ საზოგადოებებს მათი სტატუტების შესაბამისად;

– კონსტიტუციის შესწორებისთვის ორნაირი წესია დადგენილი: პირველი ეხება კონსტიტუციის მთლიან ან ნაწილობრივ გადასინჯვას, კონსტიტუციის შესავალი ნაწილის, უფლებებისა და თავისუფლებების შეცვლას, ხოლო მეორე სხვა დანარჩენს.

ესპანეთის სამეფოს კონსტიტუცია¹

მიღებულია 1978 წლის 27 დეკემბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1992 წლის 27 აგვისტოს)

დონ ხუან კარლოს I, ესპანეთის მეფე, აცხადებს ყველასთვის, ვინც ნახავს და გაიგებს ამ აქტს, იცოდეს, რომ კორტესებმა მოიწონა და ესპანელმა ხალხმა დაამტკიცა შემდეგი კონსტიტუცია:

პრეამბულა

ესპანელ ერს სურს რა დაამყაროს სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება და უზრუნველყოს ყველა წევრის კეთილდღეობა, იყენებს რა თავის სუვერენულ უფლებას, ისწრაფვის:

კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში სამართლიანი, ეკონომიკური და სოციალური წესრიგის შესაბამისად უზრუნველყოს დემოკრატიული თანაარსებობა;

დაამყაროს სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, როგორც ერის ნების გამოვლინებას;

უზრუნველყოს ყველა ესპანელისა და ესპანეთის ყველა ხალხის მიერ ადამიანის უფლებების განხორციელება, თავიანთი კულტურისა და ტრადიციების, ენებისა და ინსტიტუტების განვითარება;

ხელი შეუწყოს კულტურისა და ეკონომიკის პროგრესს ყველასათვის ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად;

შექმნას მოწინავე დემოკრატიული საზოგადოება და ხელი შეუწყოს დედამიწის ყველა ერს შორის მშვიდობიან ურთიერთობებსა და ეფექტურ თანამშრომლობას.

ამის შესაბამისად, კორტესების და ესპანელი ერის მიერ დამტკიცებულ იქნა შემდეგი კონსტიტუცია.

შესავალი ნაწილი

მუხლი I. 1. ესპანეთი დაფუძნებულია, როგორც სამართლებრივი სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მართლწესრიგის უზენა-

¹ თარგმანისას გამოყენებულია ესპანეთის სენატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.senado.es/constitu/index.html გამოქვეყნებული ესპანეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

ეს ღირებულებებად აცხადებს თავისუფლებას, სამართლიანობას, თანასწორობას და პოლიტიკურ პლურალიზმს.

2. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ესპანელ ხალხს, რომლიდანაც გამოძინარეობს სახელმწიფოს უფლებამოსილებები.

3. ესპანეთის სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა საპარლამენტო მონარქია.

მუხლი 2. კონსტიტუცია ეფუძნება ესპანელი ერის ურღვევ ერთიანობას, ყველა ესპანელისათვის სამშობლოს ერთიანობასა და განუყოფლობას. ის აღიარებს და უზრუნველყოფს ავტონომიის უფლებას მისი შემადგენელი ეროვნებებისა და რეგიონებისათვის და მათ შორის სოლიდარობას.

მუხლი 3. 1. კასტილური არის ესპანეთის სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ყველა ესპანელი ვალდებულია იცოდეს, და აქვს მისი გამოყენების უფლება.

2. ესპანეთის სხვა ენები ასევე ოფიციალურია ავტონომიურ საზოგადოებებში მათი სტატუტების შესაბამისად.

3. ესპანეთის სხვადასხვა ენების თავისებურებების სიმდიდრე არის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც სარგებლობს განსაკუთრებული პატივისცემითა და დაცვით.

მუხლი 4. 1. ესპანეთის დროშა შედგება სამი ჰორიზონტალური ზოლისაგან – წითელის, ყვითელის და წითელისაგან, ამასთან ყვითელი ზოლი ორჯერ განიერია ვიდრე თითოეული წითელი.

2. სტატუტებმა შეიძლება აღიარონ ავტონომიური საზოგადოებების განსაკუთრებული დროშები და გერბული ნიშნები. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ოფიციალურ აქტებში ესპანეთის სახელმწიფო დროშის გვერდით.

მუხლი 5. სახელმწიფოს დედაქალაქი არის ქალაქი მადრიდი.

მუხლი 6. პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების შესაბამისად ხელს უწყობს სახალხო ნების ფორმირებასა და გამოხატვას და წარმოადგენს პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ინსტრუმენტს. მათი შექმნა და საქმიანობა თავისუფალია კონსტიტუციისა და კანონის პატივისცემის პირობებში. მათი შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა იყოს დემოკრატიული.

მუხლი 7. მშრომელთა პროფკავშირებსა და მეწარმეთა ასოციაციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვასა და განხორციელებაში, რომელიც არის ასევე მათი საკუთარი ინტერესი. მათი შექმნა და საქმიანობა თავისუფალია კონსტიტუციისა და კანონის პატივისცემის პირობებში. მათი შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა იყოს დემოკრატიული.

მუხლი 8. 1. შეიარაღებული ძალები, რომლებიც შედგებიან სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან, მოწოდებული არიან უზრუნველყონ ესპანეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, დაიცვან მისი ტერიტორიული მთლიანობა და კონსტიტუციური წესრიგი.

2. შერეული ძალების ორგანიზაციის საფუძვლები განისაზღვრება ორგანული კანონით ამ კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 9. 1. მოქალაქეები და სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან კონსტიტუცია და პატივი სცენ სამართლებრივ წესრიგს.

2. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ პირობებს, რომლის დროსაც ინდივიდებისა და მათი ჯგუფების თავისუფლება და თანასწორობა ხდება ნამდვილი და ეფექტური, აგრეთვე აცილებენ ყველა დაბრკოლებას მათი სრული განვითარების გზაზე და ხელს უწყობენ ყველა მოქალაქის მონაწილეობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში.

3. კონსტიტუცია უზრუნველყოფს კანონიერების პრინციპს, ნორმატიული აქტების იერარქიას, სამართლებრივი ნორმების გამოქვეყნებას, სანქციის შემცველი უკუქცევითი ძალის მქონე ნორმების აკრძალვას, რომელიც ხელს უშლის პირადი უფლებების განხორციელებას ან ზღუდავს მათ, იურიდიული დაცვის უფლებას, სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას თვითნებობისათვის.

ნაწილი I. ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 10. 1. პიროვნების ღირსება, მისი განუყოფელი უფლებების განუსხვიებლობა, მისი თავისუფალი განვითარება, კანონისა და სხვათა უფლებების პატივისცემა, არის პოლიტიკური წესრიგისა და სოციალური მშვიდობის საფუძველი.

2. კონსტიტუციის მიერ აღიარებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ ნორმები განხილულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, იმავე საკითხებზე ესპანეთის მიერ

რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

თავი 1. ესპანელები და უცხოელები

მუხლი 11. 1. ესპანეთის მოქალაქეობის შექმნა, შენარჩუნება და დაკარგვა ხდება კანონის შესაბამისად.

2. არცერთ წარმოშობით ესპანელს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა.

3. სახელმწიფოს შეუძლია დადოს ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის შესახებ იბერიულ-ამერიკულ ქვეყნებთან ან ქვეყნებთან, რომლებსაც ჰქონდათ ან აქვთ განსაკუთრებული კავშირი ესპანეთთან. ამ ქვეყნებშიც, რომლებიც არც კი აღიარებენ თავისი მოქალაქეების უფლებას ორმხრივ საფუძველზე, ესპანელებს გააჩნიათ ნატურალიზაციის უფლება თავისი მოქალაქეობის დაკარგვის გარეშე.

მუხლი 12. ესპანელები სრულწლოვანებას აღწევენ თვრამეტი წლის ასაკიდან.

მუხლი 13. 1. უცხოელები სარგებლობენ ესპანეთში სამოქალაქო თავისუფლებებით, რომლებსაც უზრუნველყოფს ეს ნაწილი, ხელშეკრულებებისა და კანონების შესაბამისად.

2. 23-ე მუხლში მითითებული უფლებებით შეიძლება სარგებლობდნენ მხოლოდ ესპანელები, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მუნიციპალურ არჩევნებში შეიძლება მიენიჭოთ უცხოელებს ნაცვალგების პირობებში ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე.

3. დამნაშავეთა გადაცემა დაიშვება მხოლოდ ხელშეკრულების ან კანონის შესასრულებლად ნაცვალგების პრინციპის დაცვით. გადაცემას არ ექვემდებარება პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი პირი; ტერორისტული აქტები არ მიეკუთვნება პოლიტიკურ დანაშაულებს.

4. კანონი ადგენს პირობებს, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყნების მოქალაქეები და აპატრიდები სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით ესპანეთში.

თავი 2. უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 14. ყველა ესპანელი კანონის წინაშე თანასწორია და არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე დისკრიმინაციას დაბადების, რასის, სქესის,

აღმსარებლობის, შეხედულებების ან სხვა რაიმე პირადი ან სოციალური ხასიათის მოტივებიდან გამომდინარე.

*განყოფილება 1. ძირითადი უფლებები და
სამოქალაქო თავისუფლებები*

მუხლი 15. ყველას აქვს სიცოცხლის, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლება და არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაპუმანურ ან დამამცირებელ სასჯელებს. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, გარდა სამხედრო სისხლის სამართლებრივ კანონებში გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლებიც მოქმედებენ ომის დროს.

მუხლი 16. 1. უზრუნველყოფილია იდეოლოგიის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, რომელიც ხორციელდება ინდივიდების ან მათი ერთობების მიერ რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აუცილებელია კანონით დაცული საზოგადოებრივი წესრიგის მხარდასაჭერად.

2. არავინ არ არის ვალდებული განაცხადოს თავისი იდეოლოგიის, რელიგიისა და რწმენის შესახებ.

3. არცერთ რწმენას არ შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო რელიგიის ხასიათი. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ესპანეთის საზოგადოების რელიგიური რწმენები და მხარი დაუჭირონ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე თანამშრომლობას კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვა კონფესიებთან.

მუხლი 17. 1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისუფლება, გარდა ამ მუხლის დებულების შესაბამისად და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ფორმით.

2. წინასწარი დაკავება არ შეიძლება გაგრძელდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია საქმის ყველა გარემოების გასარკვევად, მაგრამ არა უმეტეს სამოცდათორმეტი საათისა, რომლის ამოწურვის შემდეგაც დაკავებული ან უნდა განთავისუფლდეს, ან უნდა გადაეცეს სასამართლო ხელისუფლებას.

3. თითოეულ დაკავებულს გასაგები ფორმით დაუყონებლივ უნდა ეცნობოს თავისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლების შესახებ და არ უნდა იქნეს იძულებული მისცეს ჩვენება. დაკავებული უზრუნველყოფილია ადვოკატის

დახმარებით, პოლიციური და სასამართლო პროცედურების განხორციელების დროს კანონით გათვალისწინებული წესით.

4. კანონი აწესრიგებს „ჰაბეას კორპუს“-ის გამოყენების პროცედურის წესს, თითოეული უკანონოდ დაკავებულის სასამართლოს განკარგულებაში დაუყონებლივი წარდგენს მიზნით. კანონით ასევე განისაზღვრება წინასწარი დაკავების მაქსიმალური ვადა.

მუხლი 18. 1. ღირსების, პირადი და ოჯახური საიდუმლოების და საკუთარი სახელის უფლება უზრუნველყოფილია.

2. საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. საცხოვრებელ ადგილზე შესვლა ან ჩხრეკა არ შეიძლება მოხდეს მისი პატრონის ნებართვის გარეშე, ან სასამართლოს წინასწარი სანქციის გარეშე, გარდა დანაშაულის ადგილზე დაკავების შემთხვევებისა.

3. შეტყობინების საიდუმლო უზრუნველყოფილია, კერძოდ საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო შეტყობინებები, გარდა სასამართლო გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. კანონი ზღუდავს ინფორმაციის გამოყენებას ღირსების დაცვის, მოქალაქეთა პირადი და ოჯახური საიდუმლოებების უზრუნველყოფისა და მათ მიერ თავიანთი უფლებების სრულად განხორციელების მიზნით.

მუხლი 19. 1. ესპანელს აქვთ უფლება თავისუფლად აირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდნენ ეროვნულ ტერიტორიაზე.

მათ ასევე უფლება აქვთ თავისუფლად შემოვიდნენ ესპანეთში და გავიდნენ ესპანეთიდან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივებით.

მუხლი 20. 1. აღიარებული და დაცულია შემდეგი უფლებები:

- ა) შეხედულებების, იდეებისა და აზრების თავისუფალი გამოხატვა და გავრცელება ზეპირი, წერილობითი ფორმით ან რეპროდუქციის სხვა საშუალებებით;
- ბ) ლიტერატურული, მხატვრული, სამეცნიერო და ტექნიკური ნაწარმოებების წარმოება და შექმნა;
- გ) სწავლების უფლება;
- დ) ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და მიღება ნებისმიერი საშუალებით.

ამ უფლების განსახორციელებლად კანონი არეგულირებს რწმენისა და პროფესიულ საიდუმლოებას.

2. ამ უფლების განხორციელება არ შეიძლება შეიზღუდოს წინასწარი ცენზურის არანაირი სახით.

3. კანონი არეგულირებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციასა და საპარლამენტო კონტროლს, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფოზე ან ნებისმიერ საჯარო დაწესებულებებზე და უზრუნველყოფს ამ საშუალებების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა წარმომადგენლობითი სოციალური და პოლიტიკური ჯგუფებისადმი, პატივის სცემს რა საზოგადოების პლურალიზმსა და სხვადასხვა ენების არსებობას ესპანეთში.

4. ეს უფლებები იზღუდება ამ ნაწილში მითითებული უფლებების პატივისცემით, კანონთა დაქმებით, რომლებიც მათ აზუსტებენ და განსაკუთრებით პატივის, პირადი ცხოვრების, ადამიანის ღირსების, ახალგაზრდობისა და ბავშვთა დაცვის უფლებებით.

5. გამოცემაზე, ჩანაწერსა და ინფორმაციის სხვა საშუალებებზე ყადაღის დადება წარმოებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალით.

მუხლი 21. 1. აღიარებულია უიარაღოდ მშვიდობიანი შეკრების უფლება. ამ უფლების განხორციელება არ ითხოვს წინასწარ ნებართვას.

2. საზოგადოებრივ ადგილებში შეკრების ჩატარებისა და დემონსტრაციის შესახებ ხელისუფლებას წინასწარ უნდა ეცნობოს. ხელისუფლებას შეუძლია აკრძალოს მათი ჩატარება, როდესაც არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ვარაუდის საფუძველი, რომელიც საშიშია ადამიანებისა და ქონებისათვის.

მუხლი 22. 1. აღიარებულია გაერთიანების უფლება.

2. გაერთიანება, რომლის მიზანიც ან გამოყენების საშუალებები კვალიფიცირდება როგორც დანაშაული, არის უკანონო.

3. მოცემული მუხლის შესაბამისად შექმნილი გაერთიანებები შეტანილ უნდა იქნენ რეესტრში საჯაროობის მიზნით.

4. გაერთიანებები შეიძლება დათხოვნილ იქნეს ან მათი საქმიანობა შეჩერდეს მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების ძალით.

5. აკრძალულია საიდუმლო საზოგადოებები და გასამხედროებული ხასიათის გაერთიანებები.

მუხლი 23. 1. მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეებში უშუალოდ ან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც თავისუფლად აირჩევიან პერიოდულად ჩატარებულ არჩევნებში საყოველთაო კენჭისყრის გზით.

2. მათ ასევე აქვთ უფლება თანაბარ პირობებში დაიკავონ საზოგადოებრივი და სახელმწიფო თანამდებობები კანონის შესაბამისად.

მუხლი 24. 1. ყველა მოქალაქეს აქვს ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელების დროს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უარი ეთქვას ასეთ დაცვაზე.

2. თანაბარი წესით ყველა უნდა განსაჯოს მხოლოდ კანონით განსაზღვრულმა სასამართლომ, დაცულ იქნას და ისარგებლოს ადვოკატის დახმარების უფლებით. ყველას აქვს უფლება იცოდეს წარდგენილი ბრალდების შესახებ, ღია სასამართლო განხილვის უფლება, რომელიც ხორციელდება დადგენილ ვადებში ყველა გარანტიის დაცვით, უფლება გამოიყენოს ყველა საშუალება თავის დაცვის დროს, უფლება არ გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის წინააღმდეგ, არ აღიაროს თავი დამნაშავედ, ასევე ყველას აქვს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.

კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ნათესაური კავშირების ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის ძალით ჩვენების მიცემა იმ ქმედებებზე, რომელიც ითვლება დანაშაულად, არ არის სავალდებულო.

მუხლი 25. 1. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს ან დაისაჯოს მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, რომელიც ჩადენის მომენტში კანონმდებლობით არ კვალიფიცირდებოდა დანაშაულად, გადაცდომად ან აღმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

2. თავისუფლების აღკვეთა და სოციალური დაცვის სხვა ზომები მიმართულ უნდა იყოს ხელახლა აღზრდასა და სოციალურ რეაბილიტაციაზე და არ შეიძლება დაკავშირებულ იყოს იძულებით შრომასთან. მსჯავრდებული მის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში სარგებლობს ამ თავში ჩამოთვლილი ძირითადი უფლებებით. გარდა იმ უფლებებისა, რომელთა შეზღუდვაც განსაზღვრულია განაჩენით სასჯელის ხასიათით ან პენიტენციალური კანონით. ნებისმიერ შემთხვევაში მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოსა და სოციალური დაზღვევის სიკეთებით სარგებლობის უფლება, აგრეთვე კულტურისა ხელმისაწვდომობისა და საკუთარი პიროვნების სრულფასოვანი განვითარების უფლება.

3. აღმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებს არ შეიძლება დააკისრონ სანქციები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას.

მუხლი 26. აკრძალულია ღირსების სასამართლოები სამოქალაქო ადმინისტრაციაში ან პროფესიულ კავშირებში.

მუხლი 27. 1. ყველას აქვს სწავლის უფლება. აღიარებულია განათლების თავისუფლება.

2. განათლების მიზანია ადამიანის პიროვნების მრავალმხრივი განვითარება დემოკრატიული პრინციპების თანაარსებობისა და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემის საფუძველზე.

3. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მშობლების უფლებას თავიანთი ბავშვებისათვის რელიგიური და მორალური აღზრდა აირჩიონ საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

4. დაწყებითი განათლება სავალდებულო და უფასოა.

5. სახელმწიფო ორგანოები ყველასათვის უზრუნველყოფენ სწავლის უფლებას, განათლების საერთო დაგეგმვის მეშვეობით, ყოველი დაინტერესებული სექტორის აქტიური მონაწილეობით და საგანმანათლებლო ცენტრების შექმნით.

6. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის აღიარებულია საგანმანათლებლო ცენტრების შექმნის თავისუფლება კონსტიტუციური პრინციპების დაცვით.

7. მასწავლებლები, მშობლები, და თუ ეს აუცილებელია, ასევე მოსწავლეებიც მონაწილეობენ ყველა საგანმანათლებლო ცენტრის კონტროლსა და მართვაში, რომელთა შენახვაც ხდება ადმინისტრაციების მიერ საჯარო ფონდების ხარჯზე, კანონით დადგენილი წესით.

8. სახელმწიფო ორგანოები ამტკიცებენ და აკონტროლებენ განათლების სისტემას კანონების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

9. სახელმწიფო ორგანოები აღმოუჩენენ დახმარებას იმ საგანმანათლებლო ცენტრებს, რომელთა საქმიანობა პასუხობს კანონის მოთხოვნებს.

10. უნივერსიტეტების ავტონომია აღიარებულია კანონის ფარგლებში.

მუხლი 28. 1. ყველას აქვს უფლება თავისუფლად გაერთიანდეს პროფკავშირში. ეს უფლება კანონით შეიძლება შეეზღუდოს ან ჩამოერთვას მხოლოდ შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე სამხედრო ან სხვა დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან სამხედრო დისციპლინას. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო მოსამსახურების მიერ ამ უფლებით სარგებლობის განსაკუთრებულ პირობებს. პროფკავშირული საქმიანობის თავისუფლება შეიცავს პროფკავშირების შექმნის უფლებას, საკუთარი არჩევანით მასში შესვლის უფლებას, აგრეთვე პროფკავშირების უფლებას გაერთიანდნენ კონფედერაციაში და დააფუძნონ საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან მიუერთდნენ მათ. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს შევიდეს პროფკავშირში.

2. აღიარებულია მშრომელთა გაფიცვის უფლება, მათ მიერ საკუთარი იტერესების დაცვის მიზნით. კანონი აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას ადგენს ზუსტ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამსახურების საქმიანობას.

მუხლი 29. 1. ყველა ესპანელს აქვს უფლება შეიტანოს ინდივიდუალური ან კოლექტიური პეტიცია წერილობითი სახით, კანონით დადგენილი ფორმითა და მიზნით.

2. პირებს, რომლებიც მსახურობენ სამხედრო დისციპლინას დაქვემდებარებულ შეიარაღებულ ძალებში ან სამხედრო დაწესებულებებში ან კორპორაციებში, შეუძლიათ განხორციელონ ეს უფლება მხოლოდ ინდივიდუალური წესით და სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილება 2. მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 30. 1. ესპანელებს აქვთ უფლება და მოვალენი არიან დაიცვან ესპანეთი.

2. კანონი განსაზღვრავს სამხედრო ვალდებულებებს და აწესრიგებს შესაბამისი გარანტიების დაცვით სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების წესს მრწამსის ან აღმსარებლობის გამო, აგრეთვე სხვა მიზეზებით და ადგენს სავალდებულო ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით მის შეცვლას.

3. შეიძლება შეიქმნას ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც პასუხობს საერთო იტერესებს.

4. კანონი აწესრიგებს მოქალაქეთა მოვალეობებს სერიოზული საშიშროების, კატასტროფების ან საზოგადოებრივი უბედურებების შემთხვევებში.

მუხლი 31. 1. ყველა უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივი ხარჯების დაფინანსებაში თავიანთი ეკონომიური შესაძლებლობების შესაბამისად სამართლიანი საგადასახადო სისტემის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობისა და პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებზე და რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ითვალისწინებდეს კონფისკაციას.

2. სახელმწიფო ხარჯები ზორციელდება რესურსების სამართლიანი განაწილების ხარჯზე, ხოლო მათი დაგეგმვა და გამოყენება უნდა პასუხობდეს ეფექტურობისა და ეკონომიურობის კრიტერიუმებს.

3. პირადი და ქონებრივი გადასახადები საჯარო მიზნით შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

მუხლი 32. 1. ქალსა და მამაკაცს უფლება აქვთ დაქორწინდნენ სრული იურიდიული თანასწორობის საფუძველზე.

2. კანონი ადგენს ქორწინების ფორმას, საქორწინო ასაკს, ქორწინებისათვის აუცილებელ უფლებაუნარიანობას, მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს და განქორწინების მიზეზებსა და შედეგებს.

მუხლი 33. 1. აღიარებულია კერძო საკუთრებისა და მისი შემკვიდრებით მიღების უფლება.

2. ამ უფლებათა სოციალური ფუნქცია ზღუდავს მათ შინაარსს, კანონის შესაბამისად.

3. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ან მასზე უფლება, გარდა იმ მიზეზით, რაც გამართლებულია საზოგადოებრივი სარგებლობით ან სოციალური იტერესებით, კანონის დებულების საფუძველზე, შესაბამისი ანაზღაურების პირობებით.

მუხლი 34. 1. აღიარებულია ფონდების დაფუძნების უფლება კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი იტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

2. ფონდებს თანაბრად ეხებათ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების დებულებები.

მუხლი 35. 1. ყველა ესპანელი მოვალეა იშრომოს და აქვს შრომისა და პროფესიის ან საქმიანობის თავისუფალი არჩევის, სამსახურში დაწინაურების ან დაჯილდოების უფლება, რომელიც საკმარისია საკუთარი და თავისი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, იმ პირობებში, სადაც არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნით.

2. კანონი აწესრიგებს მშრომელთა სტატუსს.

მუხლი 36. 1. კანონი აწესრიგებს პროფესიული კორპორაციების სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებებსა და შესაბამისი კორპორაციების წევრთა პროფესიულ საქმიანობას. ამ კორპორაციების შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა იყოს დემოკრატიული.

მუხლი 37. 1. კანონი უზრუნველყოფს შრომითი დაკების გადაწყვეტის უფლებას მუშათა და მეწარმეთა წარმომადგენლებს შორის, აგრეთვე მათი შეთანხმების სამართლებრივ ძალას.

2. აღიარებულია მშრომელთა და მეწარმეთა შრომითი კონფლიქტის უფლება. ამ უფლების განხორციელების მომწესრიგებელი კანონი, იმ შეზღუდვების მიუხედავად, რომელიც მის მიერ შეიძლება იყოს დადგენილი, უნდა

ითვალისწინებდეს გარანტიებს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამსახურების საქმიანობას.

მუხლი 38. მეწარმეობის თავისუფლება აღიარებულია საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ და იცავენ მის განხორციელებას, აგრეთვე უზრუნველყოფენ წარმოების დაცვას საერთო ეკონომიკური მოთხოვნების შესაბამისად და, აუცილებლობის შემთხვევაში, დაგეგმვის მოთხოვნების შესაბამისად.

თავი 3. სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

მუხლი 39. 1. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ოჯახის სოციალურ, ეკონომიკურ და იურიდიულ დაცვას.

2. სახელმწიფო ორგანოები თანაბარი ზომით უზრუნველყოფენ ბავშვთა ყოველმხრივ დაცვას, რომლებიც კანონის წინაშე თანასწორი არიან მიუხედავად მათი წარმომავლობისა და დედების სამოქალაქო მდგომარეობისა. კანონი ხელს უწყობს მამობის დადგენას.

3. მშობლებმა უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება თავიანთ შვილებს, მიუხედავად იმისა, ისინი დაბადებული არიან ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე მათი არასრულწლოვანების განმავლობაში და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4. ბავშვები სარგებლობენ მათი უფლებების დასაცავად დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი დაცვით.

მუხლი 40. 1. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ხელსაყრელი პირობების შექმნას სოციალური და ეკონომიკური პროგრესისა და რეგიონალური და პირადი შემოსავლების მეტ-ნაკლებად სამართლიანი განაწილებითვის, ეკონომიკური სტაბილურობის პოლიტიკის ფარგლებში. განსაკუთრებით მათ უნდა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად.

2. სახელმწიფო ორგანოები თანაბარი ზომით წახალისებენ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების განხორციელებას; ისინი მეთვალყურეობენ შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენას, უზრუნველყოფენ აუცილებელ დასვენებას სამუშაო დღის შეზღუდვის, პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების მიცემისა და შესაბამისი ცენტრების ქსელის განვითარების მეშვეობით.

მუხლი 41. სახელმწიფო ორგანოები მხარს უჭერენ ყველა მოქალაქისათვის სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, აუცილებელ სოციალურ მომსახურებას, პირველ რიგში, უმუშევრობისას. დამატებითი დახმარება და მომსახურება ნებაყოფლობითია.

მუხლი 42. სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს იმ ესპანელი მშრომელების სოციალური და ეკონომიკური უფლებების დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ და ახორციელებს მათი დაბრუნებისაკენ მიმართულ პოლიტიკას.

მუხლი 43. 1. აღიარებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

2. სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში შედის სახალხო ჯანდაცვის ორგანიზაცია და დაცვა, რომელიც ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებების გათვალისწინებით აუცილებელი დახმარებისა და მომსახურების გაწევით. კანონი ადგენს შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებს ყველასათვის, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფუნქციების განხორციელებაში.

3. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სანიტარული განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებას და მათზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

მუხლი 44. 1. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ კულტურის ხელმისაწვდომობას, რომელზეც უფლება აქვს ყველა მოქალაქეს და წაახალისებენ მას.

2. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ მეცნიერების, სამეცნიერო და ტექნიკური გამოკვლევების განვითარებას საერთო ინტერესების სასიკეთოდ.

მუხლი 45. 1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს გარემოთი საკუთარი პიროვნების განვითარების მიზნით და ვალდებულია დაიცვას გარემო.

2. სახელმწიფო ორგანოები თვალყურს ადევნებენ ყველა ბუნებრივი რესურსის რაციონალურ გამოყენებას ცხოვრების ხარისხის დაცვისა და გაუმჯობესების, გარემოს დაცვისა და აღდგენის მიზნით, ეყრდნობიან რა აუცილებელ კოლექტიურ სოლიდარობას.

3. წინა პუნქტის დებულების დარღვევაში ბრალდებული პირები ექვემდებარებიან კანონის შესაბამისად სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, აგრეთვე ვალდებული არიან ანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

მუხლი 46. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ესპანეთის ხალხთა ისტორიული, კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობისა და მისი შემადგენელი სიმდიდრის შენარჩუნებასა და დაცვას, მათი სამართლებრივი რეჟიმისა და კუთვნილების მიუხედავად. სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სანქციებს ამ მემკვიდრეობის ხელყოფის წინააღმდეგ.

მუხლი 47. ყველა ესპანელს აქვს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილით სარგებლობის უფლება. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ ამისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ადგენენ ამ უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფ შესაბამის ნორმებს, აწესრიგებენ რა საერთო იტერესებში მიწის ნაკვეთებით სარგებლობას, მათით სპეკულაციის თავიდან აცილების მიზნით.

მოსახლეობა მონაწილეობს ხარჯებში, რომელიც გამოწვეულია საჯარო დაწესებულებების საქმიანობის კეთილმოწყობისათვის.

მუხლი 48. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ სათანადო პირობების შექმნას პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში ახალგაზრდობის თავისუფალი და ეფექტური მონაწილეობისათვის.

მუხლი 49. სახელმწიფო ორგანოები იღებენ ზომებს ფიზიკურად და ფსიქიკურად დასუსტებული პირების მკურნალობისა და გამოჯანმრთელებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, უწყვენ რა მათ სპეციალურ დახმარებას, რომელიც მათ სჭირდებათ, და აუცილებელ დახმარებას იმ უფლებებით სარგებლობისათვის, რომელიც ეძლევა ყველა მოქალაქეს ამ ნაწილიდან გამომდინარე.

მუხლი 50. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მოხუცებული მოქალაქეების ღირსეულ ეკონომიკურ არსებობას მათთვის შესაბამისი პენსიების მიცემით, რომელთა ოდენობის გადასინჯვა ხდება პერიოდულად. აგრეთვე ოჯახური ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლად აღმოუჩენენ დახმარებას ამ პირებს მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის სოციალური სამსახურების სისტემის მეშვეობით, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ მეთვალყურეობა მათ ჯანმრთელობაზე, საბინაო და კულტურულ პირობებსა და თავისუფალ დროზე.

მუხლი 51. 1. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მომხმარებელთა და სარგებლობის უფლების მქონე პირთა ინტერესების დაცვას, უზრუნველ-

ყოფენ რა ეფექტური საშუალებებით მათ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და მათ კანონიერ ეკონომიკურ იტერესებს.

2. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ ინფორმაციისა და აუცილებელი ცოდნის გავრცელებას მომხმარებელთათვის და სარგებლობის უფლების მქონე პირთათვის, მხარს უჭერენ მათ ორგანიზაციას და განიხილავენ საკითხებს, რომლებიც შეიძლება შეეხოს მომხმარებელთა იტერესებს, კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. წინა პუნქტის დებულების ფარგლებში კანონი არეგულირებს შიდა ვაჭრობასა და საქონლის წარმოებაზე ნებართვების გაცემის წესს.

მუხლი 52. კანონი არეგულირებს პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ხელს უწყობენ თავიანთი ეკონომიკური იტერესების დაცვას.

ამ ორგანიზაციების შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა ატარებდეს დემოკრატიულ ხასიათს.

თავი 4. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები

მუხლი 53. 1. ამ ნაწილის მე-2 თავში აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს პატივი უნდა სცეს ყველა სახელმწიფო ორგანომ. მხოლოდ კანონს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში პატივს უნდა სცემდეს მათ ძირითად შინაარსს, შეუძლია მოაწესრიგოს ეს უფლებები და თავისუფლებები; მათი დაცვის წესი მოცემულია 161-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-პუნქტში.

2. თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება დაიცვას მე-2 თავის პირველი განყოფილების მე-14 მუხლში აღიარებული თავისი უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერი სასამართლოს წინაშე, სადაც საქმე განხილულ უნდა იქნეს სასწრაფო და პრიორიტეტული წესით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გასაჩივრების შესახებ განცხადების საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის გზით. ეს წესი გამოიყენება 30-ე მუხლის შესაბამისად სინდისის მოტივით სამხედრო სამსახურზე უარის თქმის დროს.

3. მე-3 თავში ჩამოთვლილი პრინციპების აღიარებამ, პატივისცემამ და დაცვამ გამოხატულება უნდა ჰპოვოს მიმდინარე კანონმდებლობაში, სასამართლო პრაქტიკასა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში. ამ უფლებების დაცვის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოებისადმი მიმართვით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 54. ორგანული კანონი აწესრიგებს სახალხო დამცველის სტატუსს, რომელიც არის გენერალური კორტესების უმაღლესი რწმუნებული და რომელიც ინიშნება მის მიერ ამ ნაწილში გათვალისწინებული უფლებების დასაცავად, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაზე და ექვემდებარება გენერალურ კორტესებს.

თავი 5. უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების შეჩერება

მუხლი 55. 1. მე-17 მუხლში, მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-19 მუხლში, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტსა და მე-5 ქვეპუნქტში, 21-ე მუხლში, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი უფლებების მოქმედება შეიძლება შეჩერებულ იქნეს საგანგებო ან სააღყო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საგანგებო მდგომარეობის შემოღება არ ვრცელდება მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედებაზე.

2. ორგანულმა კანონმა შეიძლება განსაზღვროს ფორმა და შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური წესით და აუცილებელი სასამართლო ჩარევისა და შესაბამისი საპარლამენტო კონტროლის დროს მე-17 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი უფლებები შეიძლება შეჩერებულ იქნეს განსაზღვრული პირების მიმართ შეიარაღებული ბანდების ან ტერორისტული ელემენტების საქმიანობის გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამ ორგანული კანონით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების არაკანონიერი ან გაუმართლებელი შეჩერება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის.

ნაწილი 2. გვირგვინი

მუხლი 56. 1. მეფე არის სახელმწიფოს მეთაური მისი ერთიანობისა და მუდმივობის სიმბოლო. იგი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების არბიტრი და გარანტი, ახორციელებს ესპანეთის სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში და განსაკუთრებით იმ ხალხებთან ურთიერთობაში, რომლებთანაც მას აკავშირებს ისტორიული ერთიანობა და ახორციელებს მისთვის კონსტიტუციითა და კანონებით მინიჭებულ ფუნქციებს.

2. მისი ტიტულია – ესპანეთის მეფე, და მას შეუძლია ისარგებლოს სხვა ტიტულებითაც, რომელიც ეხება გვირგვინს.

3. მეფე ხელშეუხებელია. ის არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას. მისი აქტები ყოველთვის უნდა იქნენ კონტრასიგნებული 64-ე მუხლით დადგენილი წესით. მის გარეშე აქტებს არ აქვს ძალა, გარდა 65-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისი დებულებებისა.

მუხლი 57. 1. ესპანეთის გვირგვინი მემკვიდრეობით გადაეცემა ისტორიული დინასტიის კანონიერი მემკვიდრის, მის უდიდებულესობა დონ ხუან კარლოს I დე ბურბონის მემკვიდრეებს. ტახტის მემკვიდრეობა ხორციელდება პირველშობისა და წარმომადგენლობის წესების შესაბამისად, შორეულთან შედარებით ახლო ნათესაური ხაზისათვის უპირატესობის მინიჭებით; ერთგვაროვანი ხაზის შემთხვევაში – უფრო ახლო ნათესაობისთვის უფრო შორეულთან; ნათესაობის ერთი და იგივე ხარისხის შემთხვევაში – მამაკაცისთვის ქალთან მიმართებაში, ხოლო ერთი სქესის შემთხვევაში – ასაკით უფროსისათვის უმცროსთან მიმართებაში.

2. მემკვიდრე პრინცი მისი დაბადების დღიდან ან მისი ასეთად გამოცხადების დღიდან იძენს ასტურიის პრინცის ტიტულს და სხვა ტიტულებს, რომელიც ტრადიციულად მიეკუთვნება ესპანეთის გვირგვინის მემკვიდრეს.

3. გვირგვინის მემკვიდრეობის უფლების მქონე დინასტიის ყველა შტოს ამოწვევებისას, გენერალური კორტესები ზრუნავენ გვირგვინის მემკვიდრეობის ფორმაზე, რომელიც საუკეთესო სახით პასუხობს ესპანეთის ინტერესებს.

4. თუ ტახტის მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები დაქორწინდებიან მეფისა და გენერალური კორტესების აკრძალვის მიუხედავად, მათ, ისევე როგორც მათ მემკვიდრეებს, ჩამოერთმევათ გვირგვინის მემკვიდრეობის უფლება.

5. გვირგვინის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გადადგომა და უარი და ყველა ნებისმიერი ეჭვი არსებითად ან უფლების შესახებ წყდება ორგანული კანონით.

მუხლი 58. დელოფალ-მეუღლეს ან დელოფლის მეუღლეს არ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ კონსტიტუციური მოვალეობების შესრულება, გარდა რეგენტობასთან დაკავშირებული შემთხვევებისა.

მუხლი 59. 1. მეფის არასრულწლოვანებისას რეგენტის ფუნქციებს, სანამ მეფე არასრულწლოვანია, კონსტიტუციით დადგენილი წესის შესაბამის-

სად ახორციელებს მეფის მამა ან დედა, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, მეფის მემკვიდრეებს შორის უახლოესი სრულწლოვანი ნათესავი.

2. თუ მეფე აღმოჩნდება ქმედუნარო განახორციელოს თავისი ხელისუფლება და მისი ეს ქმედუნარობა აღიარებულია გენერალური კორტესების მიერ, მემკვიდრე პრინცი, თუ ის სრულწლოვანია, დაუყონებლივ შეუდგება რეგენტის ფუნქციების განხორციელებას. თუ ეს უკანასკნელი არასრულწლოვანია, მაშინ მოქმედებს წინა მუხლში გათვალისწინებული წესი, მემკვიდრე უფლისწულის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.

3. იმ პირების არარსებობის შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ რეგენტის უფლება. რეგენტობა დგინდება გენერალური კორტესების მიერ ერთი, სამი ან ხუთი ადამიანის შემადგენლობით.

4. რეგენტის უფლების განსახორციელებლად აუცილებელია იყო ესპანელი და სრულწლოვანი.

5. რეგენტის უფლებამოსილება ხორციელდება კონსტიტუციური მანტადის ძალით და ყოველთვის მეფის სახელით.

მუხლი 60. 1. არასრულწლოვანი მეფის მეურვე იქნება პირი, რომელსაც დანიშნავს თავის ანდერძში განსვენებული მეფე, იმ პირობით, რომ ეს პირი უნდა იყოს სრულწლოვანი და დაბადებით ესპანელი; თუ ეს პირი არ დაინიშნა, მეურვე ხდება მამა ან დედა, სანამ ისინი არ დაქვრივდებიან. თუ ასეთი არ არის, მეურვეს ნიშნავს გენერალური კორტესები, მაგრამ მას არ შეუძლია შეათავსონ რეგენტისა და მეურვის მოვალეობები. გამონაკლისია მეფის მამა, დედა ან პირდაპირი წინაპრები.

2. მეურვეობის განხორციელება თანაბრად შეუთავსებელია ნებისმიერ თანამდებობასთან ან პოლიტიკური ხასიათის წარმომადგენლობასთან.

მუხლი 61. კორონაციის დროს მეფე წარმოსთქვამს ფიცს გენერალური კორტესების წინაშე, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის ფუნქციას, დაიცავს და უზრუნველყოფს კონსტიტუციისა და კანონის დაცვას, აგრეთვე პატივს სცემს მოქალაქეთა და ავტონომიური საზოგადოებების უფლებებს.

2. სრულწლოვანებას მიღწეული მემკვიდრე პრინცი, რეგენტი ან რეგენტები, თავიანთი მოვალეობის შესრულების დაწყებისას წარმოთქვამენ იგივე ფიცს, როგორც მეფისადმი ერთგულების ფიცს.

მუხლი 62. მეფის მოვალეობებში შედის:

- ა) კანონთა სანქციონირება და პრომულგირება;
- ბ) გენერალური კორტესების მოწვევა და დათხოვნა და არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციით დადგენილი პირობების თანახმად;

- გ) კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში რეფერენდუმის დანიშვნა;
- დ) მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შეთავაზება და, აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ეს დადგენილია კონსტიტუციის დებულებებით, მისი დანიშვნა და მისი ფუნქციების შეწყვეტა;
- ე) მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით მთავრობის წევრთა დანიშვნა და გათავისუფლება;
- ვ) მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დეკრეტებზე ხელმოწერა, სამოქალაქო ან სამხედრო მოსამსახურეების დანიშვნა, საპატიო წოდებების მინიჭება და ორდენებით დაჯილდოება, კანონის შესაბამისად;
- ზ) ინფორმაციის მიღება სახელმწიფო საქმეებზე და ამ მიზნით მინისტრთა საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობა, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის მთავრობის თავმჯდომარის თხოვნის საფუძველზე;
- თ) შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის განხორციელება;
- ი) შეწყალების უფლების განხორციელება კანონის შესაბამისად, რომელიც არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საყოველთაო ამნისტიაში;
- კ) სამეფო აკადემიებისადმი უმაღლესი მფარველობის განხორციელება.

მუხლი 63. 1. მეფე ნიშნავს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს. უცხოეთის წარმომადგენლები ესპანეთში აკრედიტირდება მასთან.

2. მეფეს ეკუთვნის უფლება გამოხატოს სახელმწიფოს თანხმობა საერთაშორისო ვალდებულებების აღების შესახებ ხელშეკრულებების მეშვეობით კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

3. მეფის ვალდებულებებში შედის გენერალური კორტესების თანხმობით ომის გამოცხადება და ზავის დადება.

მუხლი 64. 1. მეფის აქტები მტკიცდება მთავრობის თავმჯდომარისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინისტრების ხელმოწერით. კანდიდატურის შეთავაზება და მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა, აგრეთვე 99-ე მუხლით გათვალისწინებული ამ უკანასკნელის გადადგომის შესახებ განცხადება, მტკიცდება კონგრესის თავმჯდომარის მიერ.

2. მეფის აქტებისათვის პასუხისმგებელი არიან პირები, რომელთაც დაამტკიცეს ისინი თავიანთი ხელმოწერით.

მუხლი 65. 1. მეფე სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს საერთო თანხას თავისი ოჯახისა და სამეფო კარის შესანახად და თავისუფლად განკარგავს მას.

2. მეფე თვითონ ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სამეფო კარის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებს.

ნაწილი 3. გენერალური კორტესები თავი I. პალატები

მუხლი 66. 1. გენერალური კორტესები წარმოადგენს ესპანეთის ხალხს და შედგება დეპუტატთა კონგრესისა და სენატისაგან.

2. გენერალური კორტესები ახორციელებს სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებას, იღებს მის ბიუჯეტს, აკონტროლებს მთავრობის საქმიანობასა და ახორციელებს მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. გენერალური კორტესები ხელშეუხებელია.

მუხლი 67. 1. არავინ არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი, შეითავსოს ავტონომიური საზოგადოების წევრისა და კონგრესის დეპუტატის მანდატები.

2. გენერალური კორტესების წევრები არ არიან დაკავშირებული იმპერატორული მანდატით.

3. რეგლამენტით გათვალისწინებული წესების დარღვევით მოწვეული პარლამენტართა კრება არ არის უფლებამოსილი და მის წევრებს არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული პრივილეგიებით.

მუხლი 68. 1. კონგრესი შედგება მინიმუმ 300 და მაქსიმუმ 400 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით, კანონით დადგენილი წესით.

2. საარჩევნო ოლქი არის პროვინცია. ქალაქების სეუტასა და მელილის მოსახლეობა წარმოდგენილია თითოეული ერთი დეპუტატით. კანონი ანაწილებს დეპუტატთა საერთო რაოდენობას, უზრუნველყოფს რა მინიმუმ ერთ წარმომადგენელს ერთი საარჩევნო ოლქიდან და ანაწილებს დანარჩენ ადგილებს მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

3. არჩევნები ტარდება თითოეულ საარჩევნო ოლქში პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

4. კონგრესი აირჩევა ოთხი წლით. დეპუტატის მანდატის მოქმედების ვადა მთავრდება მისი არჩევიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ ან პალატის დათხოვნის მომენტიდან.

5. ყველა ესპანელი არის ამომრჩეველი და შეიძლება არჩეულ იქნეს, იყენებს რა თავიანთ პოლიტიკურ უფლებებს სრული მოცულობით. კანონი

ცნობს იმ ესპანელთა საარჩევნო უფლებებს, რომლებიც იმყოფებიან ესპანეთის ტერიტორიის გარეთ, ხოლო სახელმწიფო აღმოუჩენს დახმარებას ამ პირებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში.

6. არჩევნები ტარდება ოცდაათიდან სამოც დღემდე შორის პერიოდში მანდატის მოქმედების ვადის გასვლიდან. ახლადარჩეული კონგრესი მოწვეულ უნდა იქნეს არჩევნების ჩატარებიდან ოცდახუთი დღის განმავლობაში.

მუხლი 69. 1. სენატი არის ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა.

2. თითოეული პროვინციიდან აირჩევა ოთხი სენატორი საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით მისი ამომრჩევლების მიერ ორგანული კანონით დადგენილ პირობებში.

3. კუნძულების პროვინციებში თითოეული კუნძული ან კუნძულთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ თავიანთი ორგანო *კაბილდო* ან კუნძულის საბჭო, ქმნის ოლქს სენატორთა ასარჩევად: სამ-სამი სენატორი აირჩევა ყველა დიდი კუნძულიდან – კანარის დიდი კუნძულები, მალიორკა და ტენერიფე და თითო-თითო ყველა შემდეგი კუნძულიდან ან კუნძულთა ჯგუფიდან – ივიზა, ფორმენტერა, მენორკა, ფუერტენვენტურა, გომერა, იერო, ლანსაროტე და ლა-პალმა.

4. სეუტიისა და მელილის მოსახლეობა ირჩევს ორ-ორ სენატორს.

5. ავტონომიური საზოგადოებები ნიშნავენ თითო სენატორს და მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ მილიონ მოსახლეზე კიდევ ერთ სენატორს. დანიშნას ახორციელებს საკანონმდებლო კრება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – ავტონომიური საზოგადოების უმაღლესი კოლეგიური ორგანო, მათი სტატუსის შესაბამისად, რომლებმაც ყველა შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ადეკვატური პროპორციული წარმომადგენლობა.

6. სენატი აირჩევა ოთხი წლის ვადით. სენატორის მანდატის მოქმედების ვადა იწურება მისი არჩევიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ ან პალატის დათხოვნის მომენტიდან.

მუხლი 70. 1. საარჩევნო კანონი ადგენს აურჩევლობისა და დეპუტატთა და სენატორთა მანდატების შეუთავსებლობის შემთხვევებს; ისინი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყვნენ:

- ა) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები;
- ბ) სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები, რომელთაც განსაზღვრავს კანონი, გამონაკლისია მთავრობის წევრები;
- გ) სახალხო დამცველი;
- დ) მაგისტრატები, მოსამართლეები და პროკურორები;

ე) პროფესიონალი სამხედროები და პირები, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, უშიშროების კორპუსსა და პოლიციაში;

ვ) საარჩევნო კომისიების წევრები.

2. ორივე პალატის წევრთა არჩევის ნამდვილობა და მანდატები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს საარჩევნო კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 71. 1. დეპუტატები და სენატორები სარგებლობენ ხელშეუხებლობით მათ მიერ აზრის გამოხატვისას თავიანთი ფუნქციების განხორციელების დროს.

2. მანდატის მოქმედების ვადის განმავლობაში დეპუტატები და სენატორები თანაბრად სარგებლობენ იმუნიტეტით და შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ დანაშაულის ადგილზე. მათ არ შეიძლება წარედგინოთ ბრალდება და ისინი არ შეიძლება მიცემულ იქნენ სამართალში შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე.

3. დეპუტატები და სენატორები ექვემდებარებიან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განსჯადობას.

4. დეპუტატები და სენატორები იღებენ ხელფასს, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი პალატის მიერ.

მუხლი 72. 1. პალატები ადგენენ თავიანთ რეგლამენტებს, იღებენ თავიანთ ბიუჯეტებს და ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ გენერალური კორტესების მომსახურე პერსონალის სტატუსს. რეგლამენტები და მათი შესწორებები მიიღება დასკვნით კენჭისყრაზე პალატის სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

2. პალატები ირჩევენ თავიანთ თავმჯდომარესა და თავიანთი პრეზიდენტების სხვა წევრებს. ერთობლივი სხდომები ტარდება კონგრესის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და გენერალური კორტესების რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც მიიღება თითოეული პალატის ხმათა უმრავლესობით.

3. პალატების თავმჯდომარეები პალატების სახელით ახორციელებენ ყველა ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ფუნქციას.

მუხლი 73. 1. პალატები იკრიბებიან წელიწადში ორ მორიგ სესიაზე: პირველი არის სექტემბრიდან დეკემბრამდე, მეორე – თებერვლიდან ივნისამდე.

2. პალატები შეიძლება შეიკრიბონ საგანგებო სესიაზე მთავრობის, მუდმივი დეპუტაციის ან ერთ-ერთი პალატის აბსოლუტური უმრავლესობის

თხოვნით. საგანგებო სესიები მოიწვევა განსაზღვრული დღის წესრიგის განსახილველად და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

მუხლი 74. 1. პალატები იკრიბებიან ერთობლივ სხდომებზე არა საკანონმდებლო, არამედ იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც მეორე ნაწილის თანახმად მიეკუთვნება გენერალური კორტეზების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

2. გენერალური კორტეზების გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია 94-ე მუხლის პირველ პუნქტში, 145-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და 158-ე მუხლის მე-2 პუნქტებში მიიღება თითოეული პალატის ხმათა უმრავლესობით. პირველ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნის კონგრესს, ხოლო მეორე ორ შემთხვევაში – სენატს. ორივე შემთხვევაში, სენატსა და კონგრესს შორის თანხმობის არარსებობისას, თანხმობის მიღწევას ცდილობენ დეპუტატებისა და კონგრესმენების თანაბარი რაოდენობისაგან შერეული კომისიის შექმნით. კომისია წარადგენს ტექსტს, რომელიც გამოიტანება კენჭისყრაზე ორივე პალატაში. თუ ამ შემთხვევაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული, კონგრესი საკითხს წყვეტს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 75. 1. პალატები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს პლენარულ სხდომებზე და კომისიებში.

2. პალატებს შეუძლიათ უფლება მიანიჭონ მუდმივ საკანონმდებლო კომისიებს მიიღონ კანონპროექტები და საკანონმდებლო წინადადებები. მაგრამ პალატებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოითხოვონ იმ კანონპროექტის ან წინადადების პლენარულ სხდომაზე განხილვა და კენჭისყრა, რომელიც იყო დელეგირების საგანი.

3. წინა პუნქტში მითითებულიდან გამონაკლისს წარმოადგენს კონსტიტუციური რეფორმა, საერთაშორისო საკითხები, ორგანული და საბაზო კანონები, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 76. 1. კონგრესსა და სენატს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ორივე პალატას ერთობლივად შეუძლიათ დანიშნონ კომისიები ნებისმიერი საკითხის გამოსაძიებლად, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინტერესს. ამ კომისიების დასკვნები არ არის სავალდებულო სასამართლოებისათვის და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ასეთი გამოძიების შედეგები ეცნობება პროკურატურას შესაბამის შემთხვევებში გამოყენებისათვის.

2. პალატების მოთხოვნით გამოცხადება სავალდებულოა. კანონი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებს სანქციებს.

მუხლი 77. 1. ორივე პალატას შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური და კოლექტიური პეტიციები, რომლებიც ყოველთვის წარმოდგენილია წერილობითი ფორმით. აკრძალულია მათი წარდგენა მოქალაქეთა დემონსტრაციების მიერ.

2. პალატებს შეუძლიათ გადასცენ მიღებული პეტიციები მთავრობას. მთავრობამ უნდა მისცეს განმარტება მის შინაარსთან დაკავშირებით ყოველთვის, როდესაც ამას მოითხოვს პალატა.

მუხლი 78. 1. თითოეულ პალატაში იქმნება მუდმივი დეპუტაცია, მინიმუმ ოცდაერთი წევრის შემადგენლობით, რომელიც წარმოადგენს საპარლამენტო ჯგუფებს, მათი რაოდენობის პროპორციულად.

2. მუდმივ დეპუტაციებს თავმჯდომარეობენ შესაბამისი პალატის თავმჯდომარეები. ისინი ასრულებენ 73-ე მუხლში გათვალისწინებულ ფუნქციებს და თავის თავზე იღებენ პალატების უფლებამოსილებას 86-ე და 116-ე მუხლების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც კორტესები დათხოვნილია ან მათი მანდატი ამოიწურა, და ახორციელებენ პალატების ფუნქციას, როდესაც ისინი არ არიან მოწვეული სესიაზე.

3. პალატების უფლებამოსილების ვადის გასვლის ან მათი დათხოვნის შემთხვევაში, მუდმივი დეპუტაციები აგრძელებენ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას ახალი გენერალური კორტესების მოწვევამდე.

4. როდესაც შეიკრება შესაბამისი პალატა, მუდმივი დეპუტაცია ანგარიშს აბარებს მას განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

მუხლი 79. 1. პალატის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია რეგლამენტის შესაბამისად შეკრება და წევრთა უმრავლესობის დასწრება.

2. იმისათვის, რომ იყოს კანონიერი, ეს გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა გამონაკლისებისა, როდესაც კონსტიტუციის ან ორგანული კანონების თანახმად, მოითხოვება კვალიფიციური უმრავლესობა, ხოლო პირთა ასარჩევად – პალატების რეგლამენტებში მითითებული უმრავლესობა.

3. სენატორთა და დეპუტატთა მიერ ხმის მიცემა პირადია და არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

მუხლი 80. პალატების პლენარული სხდომები ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თითოეული პალატა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით

იღებს სხვა გადაწყვეტილებას ან როდესაც ეს გათვალისწინებულია რეგლამენტით.

თავი 2. კანონთა შემუშავება

მუხლი 81. 1. ორგანული კანონები ეხება ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებას, ამტკიცებს ავტონომიების სტატუსტებს, ეხება საყოველთაო არჩევნების წესს, ორგანულია ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა სხვა კანონი.

2. ორგანული კანონების მისაღებას, შესაცვლელად ან გასაუქმებლად ბოლო კენჭისყრის დროს აუცილებელია კონგრესის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა.

მუხლი 82. 1. გენერალურ კორტესებს შეუძლიათ გადასცენ მთავრობას განსაზღვრულ საკითხებზე კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება, გარდა წინა მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

2. საკანონმდებლო დელეგირება ხორციელდება საბაზო კანონით, როდესაც საქმე ეხება ტექსტის მუხლის შემუშავებას და ჩვეულებრივი კანონით, როდესაც საქმე ეხება განსხვავებული საკანონმდებლო ტექსტების ერთ ტექსტად გაერთიანებას.

3. ყველა შემთხვევაში მთავრობისათვის საკანონმდებლო დელეგირება უნდა მოხდეს განსაზღვრულ სფეროში, მისი განხორციელების დროის მითითებით. დელეგირება ამოწურულად ითვლება, როდესაც მთავრობა მას შეასრულებს, გამოაქვეყნებს რა შესაბამის ნორმას. დელეგირება არ შეიძლება გადაცემულ იქნეს განუსაზღვრელი ფორმით ან განუსაზღვრელი ვადით. ასევე დელეგირება დაუშვებელია მთავრობის გარდა სხვა ორგანოებისათვის.

4. საბაზო კანონები ზუსტად ადგენენ დელეგირებული უფლებამოსილების მიზნებსა და ფარგლებს, აგრეთვე პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს მათი განხორციელებისას.

5. საკანონმდებლო ტექსტების გადამუშავებაზე უფლებამოსილების დელეგირებისას საკანონმდებლო უფლებამოსილების შესაბამისად დგინდება ნორმაშემოქმედების ფარგლები და მიეთითება, შეიზღუდოს თუ არა ერთი ტექსტის დამუშავებით, თუ გათვალისწინებულ იქნეს რამდენიმე საკანონმდებლო ტექსტის მოწესრიგების, ჰარმონიზაციისა და კლასიფიკაციის შესაძლებლობა.

6. დელეგირების შესახებ კანონებს შეუძლიათ დაადგინონ კონტროლის დამატებითი საშუალებები სასამართლოების კომპეტენციისადმი ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 83. საბაზო კანონებს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება:

- ა) ნება დაერთოს შეცვალოს თვითონ საბაზო კანონი;
- ბ) აღიჭურვოს ნორმის გამოცემის უფლებით, რომელსაც აქვს უკუქცევი-
თი ძალა.

მუხლი 84. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საკანონმდებლო წინა-
დადება ან შესწორება ეწინააღმდეგება საკანონმდებლო დელეგირებას, მთავ-
რობას უფლება აქვს შეაჩეროს მისი განხილვა. ამ შემთხვევაში შეიძლება
წარდგენილ იქნეს საკანონმდებლო წინადადება დელეგირების შესახებ კანო-
ნის სრული ან ნაწილობრივი გაუქმების შესახებ.

მუხლი 85. მთავრობის მიერ საკანონმდებლო დელეგირების საფუძველზე
გამოცემულ აქტებს ეწოდებათ საკანონმდებლო დეკრეტები.

მუხლი 86. 1. საგანგებო და სასწრაფო შემთხვევაში მთავრობას შეუძ-
ლია გამოსცეს დეკრეტები – კანონის ფორმის მქონე დროებითი საკანონ-
მდებლო აქტები, რომლებიც არ შეიძლება შეეხოს სახელმწიფოს ძირითად
ინსტიტუტებს, პირველ ნაწილში ჩამოთვლილ მოქალაქეთა უფლებებს, თავი-
სუფლებებსა და ვალდებულებებს, ავტონომიური საზოგადოებების რეჟიმსა
და საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

2. კანონ-დეკრეტი დაუყონებლივ უნდა გადაეცეს განსახილველად და
კენჭსაყრელად სრული შემადგენლობის დეპუტატთა კონგრესს, რომელიც
მოწვეული უნდა იქნეს კანონ-დეკრეტის პრომულგაციის დღიდან ოცდაათი
დღის ვადაში, თუ არ არის მოწვეული. დასახელებული ვადის განმავლობაში
კონგრესმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კანონ-დეკრეტის დამტკიცების ან
უარყოფის შესახებ; ამ მიზნით რეგლამენტი ითვალისწინებს სპეციალურ შე-
მოკლებულ პროცედურას.

3. წინა პუნქტში დადგენილი ვადის განმავლობაში გენერალურ კორტე-
სებს შეუძლიათ კანონპროექტების სასწრაფო წესით განხილვა.

მუხლი 87. 1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია მთავრობას,
კონგრესსა და სენატს კონსტიტუციისა და პალატების რეგლამენტების შე-
საბამისად.

2. ავტონომიური საზოგადოებების კრებებს შეუძლიათ მიმართონ მთავრო-
ბას პროექტის მიღების, ასევე კონგრესის პრეზიდენუმისათვის საკანონმდებ-
ლო წინადადებების გადაცემის შესახებ, ამასთან ამ წინადადების დასაცავად
გზავნის მითითებულ პალატაში კრების მაქსიმუმ სამ წევრს.

3. ორგანული კანონი განსაზღვრავს საკანონმდებლო წინადადებების წარ-
დგენის გზით სახალხო ინიციატივის განხორციელების ფორმებსა და პირო-

ბებს. ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა არანაკლებ ხუთასი ათასი დამოწმებული ხელმოწერა. ასეთი პროცედურა არ გამოიყენება ორგანული კანონით მოსაწესრიგებელ, ასევე, საგადასახადო, საერთაშორისო ურთიერთობებსა და შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

მუხლი 88. კანონპროექტებს ამტკიცებს მინისტრთა საბჭო, რომლებიც შემდგომ განსახილველად შეიტანება კონგრესში, მათ განსახილველად აუცილებელი საფუძვლებისა და მოტივების მითითებით.

მუხლი 89. 1. საკანონმდებლო წინადადებების განხილვის პროცედურა წესრიგდება პალატების რეკლამენტებით. ამასთან, კანონპროექტთა განხილვისათვის პრიორიტეტის მინიჭება გავლენას არ მოახდენს 87-ე მუხლში მითითებული საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებაზე.

2. 87-ე მუხლის შესაბამისად სენატის მიერ მიღებული საკანონმდებლო წინადადებები შემდგომი განხილვისათვის იგზავნება კონგრესში.

მუხლი 90. 1. დეპუტატთა კონგრესის მიერ ჩვეულებრივი ან ორგანული კანონის დამტკიცების შემდეგ მისი თავმჯდომარე დაუყოვნებლივ აუწყებს ამის შესახებ სენატის თავმჯდომარეს, რომელიც, თავის მხრივ, პროექტს განსახილველად გადასცემს თავის პალატას.

2. სენატს ტექსტის მიღებიდან ორი თვის ვადაში შეუძლია მოტივირებული გზავნილით დაადოს ვეტო ან შეიტანოს შესწორებები ამ ტექსტში. ვეტო მიიღება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ვეტოს მიღების შემთხვევაში მეფის მიერ ხელმოწერისთვის გადასაცემად საჭიროა კონგრესის მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით პირველადი ტექსტის დამტკიცება, ან მისი უბრალო უმრავლესობით დამტკიცება, თუ წარმოდგენიდან გავიდა ორი თვე, ან კონგრესის მიერ შესწორების მიღება ან უარყოფა — ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3. მთავრობის ან კონგრესის დეპუტატთა მიერ სასწრაფოდ გამოცხადებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით ვეტოს უფლების განხორციელების ან შესწორებების შეტანის სენატისათვის მიცემული ორი თვის ვადა შეიკვეცება ოც კალენდარულ დღემდე.

მუხლი 91. მეფე თხუთმეტი დღის ვადაში ამტკიცებს გენერალური კორტესების მიერ დამტკიცებულ კანონებს, ახდენს მათ პრომულგირებას და გასცემს განკარგულებას მათი დაუყოვნებელი გამოქვეყნების შესახებ.

მუხლი 92. 1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს საერთო-სახალხო საკონსულტაციო რეფერენდუმით.

2. რეფერენდუმი ინიშნება მეფის მიერ მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით დეპუტატთა კონგრესის წინასწარი დამტკიცებით.

3. ორგანული კანონი განსაზღვრავს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის რეფერენდუმების ჩატარების პროცედურასა და პირობებს.

თავი 3. საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 93. ორგანული კანონით მინიჭებული ხელშეკრულების დადების უფლება, რომელიც წარმოიშობა კონსტიტუციიდან, შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო ორგანიზაციას ან დაწესებულებას. გენერალური კორტესები ან მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებებისა და გადაწყვეტილებების შესრულება, რომლებიც გამომდინარეობს იმ საერთაშორისო ან ზეეროვნული ორგანიზაციებიდან, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებით.

მუხლი 94. სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულებების თავის თავზე აღება, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან ან შეთანხმებებიდან, მოითხოვს გენერალური კორტესების წინასწარ თანხმობას:

- ა) პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებებზე;
- ბ) სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებებსა ან შეთანხმებებზე;
- გ) პირველ ნაწილში მითითებულ ხელშეკრულებებსა ან შეთანხმებებზე, რომლებიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;
- დ) ხელშეკრულებებზე ან შეთანხმებებზე, რომლებიც ფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს;
- ე) ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, რომლებიც იწვევს რომელიმე კანონის მიღებას ან გაუქმებას ან მოითხოვს საკანონმდებლო ზომებს მათ შესასრულებლად.

2. კონგრესსა და სენატს დაუყონებლივ უნდა ეცნობოს სხვა ხელშეკრულებების ან შეთანხმებების დადების შესახებ.

მუხლი 95. 1. იმ საერთაშორისო შეთანხმების დადებას, რომელიც შეიცავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებებს, წინ უნდა უსწრებდეს კონსტიტუციის წინასწარი გადასინჯვა.

2. მთავრობას ან ნებისმიერ პალატას შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეკითხვით იმის შესახებ, არის თუ არა ასეთი წინააღმდეგობა.

მუხლი 96. 1. კანონის შესაბამისად დადებული და ოფიციალურად გამოქვეყნებული ესპანეთის საერთაშორისო ხელშეკრულებები შეადგენენ მისი შიდა კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. მისი დებულებები გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ უნდა იქნეს მხოლოდ თვითონ ხელშეკრულებაში მითითებული წესის ან საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების შესაბამისად.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების დენონსირებისათვის გამოიყენება 94-ე მუხლში გათვალისწინებული იგივე პროცედურები, რაც მათი დადებისათვის.

ნაწილი IV. მთავრობა და სახელმწიფო მმართველობა

მუხლი 97. მთავრობა ხელმძღვანელობს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციასა და სახელმწიფოს თავდაცვას. ის ახორციელებს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

მუხლი 98. 1. მთავრობა შედგება თავმჯდომარის, აუცილებლობის შემთხვევაში მისი მოადგილეების, აგრეთვე მინისტრებისა და სხვა წევრებისაგან, როგორც ეს დადგენილია კანონით.

2. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას და ახდენს მისი სხვა წევრების ფუნქციების კოორდინირებას, მიუხედავად მათი კომპეტენციისა და პირდაპირ პასუხისმგებელია მათ საქმიანობაზე.

3. მთავრობის წევრებს არ შეუძლიათ განახორციელონ სხვა წარმომადგენლობითი ფუნქციები, გარდა საპარლამენტო მანდატისა, აგრეთვე არ შეუძლიათ განახორციელონ სხვა საჯარო ფუნქციები, რომლებიც არ ეხება მათ თანამდებობას, ეწოდნენ რაიმე პროფესიულ ან სავაჭრო საქმიანობას.

4. კანონი აწესრიგებს მთავრობის წევრთა სტატუსსა და თანამდებობრივ შეუთავსებლობას.

მუხლი 99. 1. კონგრესის დეპუტატთა შემადგენლობის ყოველი განახლების შემდეგ ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში მეფე პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან

კონსულტაციის შემდეგ კონგრესის თავმჯდომარის მეშვეობით წამოაყენებს კანდიდატურას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2. წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად წამოყენებული კანდიდატი შეიტანს დეპუტატთა კონგრესის განსახილველად იმ მთავრობის პოლიტიკურ პროგრამას, რომლის ჩამოყალიბებაც მას აქვს განზრახული და ითხოვს პალატის ნდობას.

3. თუ დეპუტატთა კონგრესი თავის წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გამოუცხადებს ნდობას წარდგენილ კანდიდატს, მეფე ნიშნავს მას მთავრობის თავმჯდომარედ. თუ მითითებული უმრავლესობა არ იქნა მიღებული, მაშინ იგივე წინადადება თავიდან იქნება დაყენებული კენჭისყრაზე პირველი დაყენებიდან ორმოცდარვა საათის შემდეგ და ნდობა მიღებულად ითვლება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

4. თუ ხელახალ კენჭისყრაზე არ იქნება მიღებული ნდობა ინვესტიტურის შესახებ, მომდევნო კენჭისყრა წარმოებს წინა პუნქტებით გათვალისწინებული წესით ხდება ახალი წინადადების წარდგენა.

5. თუ მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნაზე პირველი კენჭისყრიდან ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს კონგრესის ნდობას, მეფე კონგრესის თავმჯდომარის თანხმობით დაითხოვს ორივე პალატას და ნიშნავს ახალ არჩევნებს.

მუხლი 100. მთავრობის დანარჩენი წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან მეფის მიერ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 101. 1. მთავრობა გადადგება საყოველთაო არჩევნების ჩატარების შემდეგ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ საპარლამენტო ნდობაზე უარის თქმის ან მისი თავმჯდომარის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

2. გადამდგარი მთავრობა აგრძელებს თავისი ფუნქციების განხორციელებას ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე.

მუხლი 102. 1. მთავრობის თავმჯდომარე და სხვა წევრები შესაბამის შუიბხვევებში პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის წინაშე.

2. ბრალდება ღალატში ან სახელმწიფოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მძარბოულ სხვა დანაშაულის ჩადენაში მთავრობის წევრთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ კონკრეტულად წყვეტილი მუხლებით და მისი წევრების მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით.

3. შეწყალების უფლება, რომელიც ეკუთვნის მეფეს, არ გამოიყენება ამ მუხლში გათვალისწინებული ქმედებების მიმართ.

მუხლი 103. 1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები განუწყვეტლივ ემსახურებიან საერთო იტერესებს და მოქმედებენ ეფექტურობის, იერარქიულობის, დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციისა და კოორდინაციის პრინციპების შესაბამისად კანონისა და სამართლისადმი სრულად დაქვემდებარებით.

2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა შექმნა, მართვა და კოორდინაცია ზორციელდება კანონის შესაბამისად.

3. კანონი ადგენს საჯარო მომსახურეთა სტატუსს, საჯარო სამსახურში მიღების პრინციპებს ყოველი პირის ღირსებისა და ნიჭის შესაბამისად, მათი პროფესიულ გაერთიანებებში წევრობის უფლებას, თანამდებრივი შეუთავსებლობის რეჟიმს და საჯარო ფუნქციების განხორციელების უწყვეტობის გარანტიებს.

მუხლი 104. 1. მთავრობისადმი დაქვემდებარებულ უშიშროების ძალები და კორპუსი მოწოდებულნი არიან დაიცვან მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება და უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოება.

2. ორგანული კანონი განსაზღვრავს უშიშროების ძალებისა და კორპუსის ფუნქციებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და სტატუსს.

მუხლი 105. კანონი არეგულირებს:

ა) მოქალაქეთა მონაწილეობას უშუალოდ ან კანონით აღიარებული მათი ორგანიზაციებისა და ასოციაციების მეშვეობით იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შემუშავებაში, რომლებიც ეხება მათ ინტერესებს;

ბ) მოქალაქეების დაშვებას არქივებსა და ადმინისტრაციულ რეესტრებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფოს უშიშროებასა და თავდაცვას, დანაშაულთა გამოძიებასა და ზალხის პირად ცხოვრებას;

გ) ადმინისტრაციული აქტების მიღების პროცედურას, რომლებიც უზრუნველყოფენ დაინტერესებულ მხარეთა მოსმენას.

მუხლი 106. 1. სასამართლოები ახორციელებენ კონტროლს განმკარგულეული უფლებამოსილების რეალიზაციასა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოქმედების კანონიერებაზე, აგრეთვე მათი საქმიანობის კანონით დადგენილი დებულებებისადმი შესაბამისობაზე.

2. კერძო პირებს ყველა შემთხვევაში აქვთ კანონის ფარგლებში ზარალის ანაზღაურების უფლება, რომელიც მათ ქონებას ან უფლებებს მიაღდა, საჯარო სამსახურების საქმიანობის შედეგად, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა.

მუხლი 107. სახელმწიფო საბჭო არის მთავრობის უმაღლესი საკონსულტაციო ორგანო. ორგანული კანონი ადგენს მისი ფორმირების წესსა და კომპეტენციას.

ნაწილი V. მთავრობასა და გენერალურ კორტესებს შორის ურთიერთობა

მუხლი 108. მთავრობა თავისი პოლიტიკური საქმიანობისათვის სოლიდარულად არის პასუხისმგებელი დეპუტატთა კონგრესის წინაშე.

მუხლი 109. პალატებს და მათ კომისიებს თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით შეუძლიათ მოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაცია და დახმარება, რომელიც მათ სჭირდებათ მთავრობისაგან, მისი დეპარტამენტების, სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოსა და ავტონომიური საზოგადოებებისაგან.

მუხლი 110. 1. პალატებს და მათ კომისიებს შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთ სხდომებზე მთავრობის წევრთა დასწრება.

2. მთავრობის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ პალატებისა და მათი კომისიების სხდომებს და აქვთ უფლება მოუსმინონ მათ და შეუძლიათ იშუამდგომლონ, რომ სამთავრობო უწყებების მოსამსახურებმა წარმოადგინონ საჭირო ინფორმაცია.

მუხლი 111. 1. მთავრობა და მისი ნებისმიერი წევრი ვალდებულია გასცეს პასუხი პალატებში შეტანილ ინტერპელაციებსა და შეკითხვებს. ასეთ შემთხვევებში დებატების ორგანიზებისათვის რეგლამენტები ადგენენ მინიმალურ ერთ კვირიან ვადას.

2. ნებისმიერი ინტერპელაცია შეიძლება გახდეს დადგენილების პროექტის შეტანის საფუძველი, რომლის შესახებ პალატა გამოხატავს თავის პოზიციას.

მუხლი 112. მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრთა საბჭოში საკითხის განხილვის შემდეგ შეუძლია დეპუტატთა კონგრესის წინაშე დასვას თავისი

საქმიანობის პროგრამისა და ზოგადი პოლიტიკის ნდობის საკითხი. ნდობა მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დეპუტატთა უმრავლესობა.

მუხლი 113. 1. დეპუტატთა კონგრესს შეუძლია დასვას მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, იღებს რა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უნდობლობის რეზოლუციას.

2. უნდობლობის რეზოლუცია წარდგენილ უნდა იქნეს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეთედის მიერ და უნდა შეიცავდეს წინადადებას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატურის შესახებ.

3. უნდობლობის რეზოლუცია შეიძლება დაყენებულ იქნეს კენჭისყრაზე მისი შეტანიდან ხუთი დღის შემდეგ. მითითებული ვადის პირველი ორი დღის განმავლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს ალტერნატიული რეზოლუციები.

4. თუ უნდობლობის რეზოლუცია არ იქნა კონგრესის მიერ მიღებული, მასზე ხელისმომწერ დეპუტატებს არ შეუძლიათ იგივე სესიის განმავლობაში შეიტანონ ახალი რეზოლუცია.

მუხლი 114. 1. თუ კონგრესი არ გამოუცხადებს მთავრობას ნდობას, მთავრობა შედის გადადგომის შესახებ განცხადებით მეფესთან, რის შემდეგაც 99-ე მუხლის დებულებების შესაბამისად ინიშნება მთავრობის თავმჯდომარე.

2. თუ კონგრესი იღებს გადაწყვეტილებას ნდობის შესახებ, მთავრობა შედის გადადგომის შესახებ განცხადებით მეფესთან და ამ რეზოლუციით წარმოდგენილი კანდიდატი განიხილება, როგორც პალატის ნდობის მიმღები 99-ე მუხლის შესაბამისად. მეფე ინიშნავს მას მთავრობის თავმჯდომარედ.

მუხლი 115. 1. მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრთა საბჭოსთან წინასწარი განხილვის შემდეგ და თავისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით შეუძლია შესთავაზოს კონგრესის, სენატის ან გენერალური კორტის დათხოვნა, რომელიც ხორციელდება მეფის დეკრეტით. დათხოვნის შესახებ დეკრეტი მითითებული უნდა იყოს არჩევნების თარიღი.

2. დათხოვნის შესახებ წინადადება არ შეიძლება წარდგენილ იქნეს უნდობლობის რეზოლუციის განხილვის დროს.

3. დათხოვნა დაუსმეველია წინა დათხოვნიდან არა უადრეს ერთი წლისა, გარდა 99-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 116. 1. ორგანული კანონი განსაზღვრავს საფრთხის მდგომარეობას, საგანგებო და სააღყო მდგომარეობას და ადგენს შესაბამის უფლებამოსილებებსა და შეზღუდვებს.

2. საფრთხის მდგომარეობა ცხადდება მთავრობის დეკრეტით, რომელიც მიიღება მინისტრთა საბჭოს მიერ მაქსიმუმ 15 დღის ვადით, რის შესახებაც ეცნობება დეპუტატთა კონგრესს, რომელიც იკრიბება დაუყონებლივ; მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მითითებული ვადის გაგრძელება. დეკრეტში განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორია, რაზეც ვრცელდება ეს მდგომარეობა.

3. საგანგებო მდგომარეობა ცხადდება მთავრობის დეკრეტით, რომელიც მიიღება მინისტრთა საბჭოს მიერ დეპუტატთა კონგრესის წინასწარი თანხმობით. საგანგებო მდგომარეობის თანხმობამ და გამოცხადებამ უნდა განსაზღვროს მიზნები, რომელთა გამო ხდება მისი შემოღება, ტერიტორიული საზღვრები, რაზეც ის ვრცელდება და მისი მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, რომელთა განახლება ხდება იგივე ხანგრძლივობით და იმავე პირობების დაცვისას.

4. სააღყო მდგომარეობა ცხადდება დეპუტატთა კონგრესის აბსოლუტური უმრავლესობით მხოლოდ მთავრობის წინადადებით. კონგრესი განსაზღვრავს ტერიტორიულ საზღვრებს, რაზეც ვრცელდება ეს მდგომარეობა, მის ხანგრძლივობასა და პირობებს.

5. დაუშვებელია კონგრესის დათხოვნა ამ მუხლში მითითებული რომელიმე მდგომარეობის გამოცხადების დროს; პალატები ავტომატურად მოიწვევა, თუ ეს ხდება მათი არასასესიო პერიოდის დროს. მათი საქმიანობა, ისევე როგორც სახელმწიფოს სხვა კონსტიტუციური ხელისუფლების საქმიანობა არ შეიძლება შეწყდეს ამ მდგომარეობის არსებობის დროს. როდესაც კონგრესი დათხოვნილია ან მისი უფლებამოსილების ვადა გავიდა, და თუ მდგომარეობა მოითხოვს, რომ გამოცხადებულ იქნეს ერთ-ერთი მითითებული მდგომარეობა, კონგრესის უფლებამოსილება ეკისრება მუდმივ დეპუტაციას.

6. საფრთხის მდგომარეობის, საგანგებო ან სააღყო მდგომარეობის გამოცხადება არ ცვლის კონსტიტუციითა და კანონებით აღიარებული მთავრობისა და მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის პრინციპს.

ნაწილი VI. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 117. 1. სასამართლო ხელისუფლება მომდინარეობს ხალხიდან და ხორციელდება მეფის სახელით ამ ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლეებისა და მაგისტრატების მიერ, რომლებიც არიან დამოუკიდებელი, შეუცვლელი, პასუხისმგებელი და ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს.

2. მოსამართლეები და მაგისტრატები არ შეიძლება შეცვლილ, გათავისუფლებულ ან გადაყვანილ იქნენ ერთი თანამდებობიდან მეორეზე ან პენსიაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და გარანტიების დაცვით.

3. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება პროცესის ყველა სტატიისაზე, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განაჩენების გამოტანა და მათი აღსრულების უზრუნველყოფა განეკუთვნება მხოლოდ მოსამართლეთა და სასამართლოს კომპეტენციას, რომელიც განსაზღვრულია კანონებით, მათ მიერ დადგენილი კომპეტენციის შესახებ ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად.

4. მოსამართლეები და სასამართლოები არ ახორციელებენ სხვა ფუნქციებს, გარდა წინა პუნქტში აღნიშნულისა, ასევე იმ ფუნქციებს, რომლებიც კანონით მათ გამგებლობას განეკუთვნება ნებისმიერი უფლების გარანტიის მიზნით.

5. სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი არის სასამართლოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძველი. კანონი აწესრიგებს სამხედრო მართლმსაჯულების განხორციელებას მხოლოდ სამხედრო სფეროში, სააღყო მდგომარეობის პირობებში, კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად.

6. საგანგებო სასამართლოების საქმიანობა აკრძალულია.

მუხლი 118. შესასრულებლად სავალდებულოა მოსამართლეებისა და სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები და კანონიერ ძალაში შესული სხვა გადაწყვეტილებები, აგრეთვე საქმის განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებისას მათთვის დახმარების აღმოჩენა.

მუხლი 119. მართლმსაჯულება ხორციელდება უფასოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ასევე ყველა სხვა შემთხვევაში, სასამართლო პროცესში მონაწილე პირთათვის, თუ ისინი დაასაბუთებენ, რომ არ აქვთ სასამართლოში შესატანად საკმარისი საშუალებები.

მუხლი 120. 1. სასამართლო განხილვა საჯაროა, გარდა საპროცესო კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სასამართლო განხილვა არის უპირატესად ზეპირი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე.

3. სასამართლო გადაწყვეტილებები ყოველთვის უნდა იყოს მოტივირებული და გამოცხადებული საჯაროდ.

მუხლი 121. სასამართლოს შეცდომით მიყენებული, ასევე მართლმსაჯულების განხორციელებისას უკანონო მოქმედებით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფო ხარჯზე, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 122. 1. სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონი აწესრიგებს სასამართლოებისა და ტრიბუნალების შექმნის, საქმიანობისა და მართვის წესს, ერთიანი კორპუსის შემადგენელი პროფესიონალი მოსამართლეებისა და მაგისტრატების, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების სისტემის პერსონალის იურიდიულ სტატუსს.

2. სასამართლო ხელისუფლების მართვის ორგანოა გენერალური საბჭო. ორგანული კანონი განსაზღვრავს მის სტატუსს, მის წევრთა შეუთავსებლობის რეჟიმს, აგრეთვე მათ ფუნქციებს, კერძოდ, დანიშნის, სამსახურებრივი დაწინაურების, ზედამხედველობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროში.

3. სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან, რომელიც თავმჯდომარეობს ამ საბჭოს და მეფის მიერ ხუთი წლის ვადით დანიშნული 20 წევრისაგან. თორმეტი მათგანი ინიშნება მოსამართლეებისა და ყველა კატეგორიის მაგისტრატებისაგან, ორგანული კანონის დებულებების შესაბამისად; ოთხი – დეპუტატთა კონგრესის წინადადებით, ხოლო ოთხი – სენატის წინადადებით, რომლებიც ორივე შემთხვევაში აირჩევიან ხმათა სამი მეხუთედის უმრავლესობით ადვოკატებისა და სხვა იურისტებისაგან, რომელთა კომპეტენტურობა აღიარებულია სახალხოდ და რომელთაც თავისი პროფესიით ნამუშევარი აქვთ თხუთმეტ წელზე მეტი.

მუხლი 123. 1. უზენაესი სასამართლო, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე, არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ყველა საქმეზე, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც ეხება კონსტიტუციურ გარანტიებს.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება მეფის მიერ სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს წინადადებით კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 124. 1. პროკურატურას მიუხედავად სხვა ორგანოების მიერ განხორციელებული ფუნქციებისა, გააჩნია საკუთარი ამოცანები ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების აღსრულებას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული საჯარო იტერესების დაცვის მიზნით, თავისი მოვალეობების ძალით ასევე დაინტერესებული პირების შუამდგომლობით, აგრეთვე

მეთვალყურეობა გაუწიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და დაიცვას მათი საზოგადოებრივი იტერესები.

2. პროკურატურა ახორციელებს თავის ფუნქციებს საკუთარი ორგანოების მეშვეობით მოქმედების ერთიანობის, იერარქიული თანადაქვემდებარებისა და ყოველთვის კანონიერებისა და უწყვეტობის პრინციპების საფუძველზე.

3. კანონი განსაზღვრავს პროკურატურის ორგანულ სტატუსს.

4. სახელმწიფოს გენერალური პროკურორი ინიშნება მეფის მიერ მთავრობის წარდგინებითა და სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 125. მოქალაქებს შეუძლიათ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების მეშვეობით კანონით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საქმეზე და წესით, აგრეთვე ჩვეულებითი და ტრადიციული სასამართლოების მეშვეობით.

მუხლი 126. სამართალდარღვევების გამოძიების, დანაშაულთა გახსნისა და სამართალდამრღვეთა დაპატიმრების საქმეში კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად სასამართლო პოლიცია ანგარიშვალდებულია მოსამართლეების, სასამართლოებისა და პროკურორების წინაშე.

მუხლი 127. 1. თანამდებობაზე მყოფ მოსამართლეებსა და მაგისტრატებს, აგრეთვე პროკურორებს არ შეუძლიათ დაიკავონ სხვა საჯარო თანამდებობები ან გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიაში ან პროფკავშირებში. კანონი ადგენს მოსამართლეების, მაგისტრატებისა და პროკურორების პროფესიული გაერთიანებების სისტემასა და პირობებს.

2. კანონი ადგენს სასამართლო ხელისუფლების პირთა შეუთავსებლობის რეჟიმს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი სრული დამოუკიდებლობა.

ნაწილი VII. ეკონომიკა და ფინანსები

მუხლი 128. 1. ქვეყნის ყველა სახის სიმდიდრე, მისი ყოველი ფორმით, მიუხედავად საკუთრების ხასიათისა, ემსახურება საყოველთაო ინტერესებს.

2. აღიარებულია სახელმწიფო ინიციატივა ეკონომიკურ საქმიანობაში. კანონმა შეიძლება მოახდინოს საჯარო სექტორისათვის უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და მომსახურების რეზერვირება, განსაკუთრებით მონოპოლიის შემთხვევაში და ნება დართოს საწარმოთა მართვაში მონაწილეობაზე, როდესაც ამას მოითხოვს საყოველთაო ინტერესები.

მუხლი 129. 1. კანონი ადგენს სოციალურ უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმებს, რომელთა ფუნქციებს აქვთ უშუალო ურთიერთობა ცხოვრების ღონესთან ან საერთო კეთილდღეობასთან.

2. სახელმწიფო ორგანოები აქტიურად ავითარებენ საწარმოების საქმიანობაში მონაწილეობის განსხვავებულ ფორმებს და შესაბამისი კანონმდებლობის გამოცემით წახალისებენ კოოპერატიული საზოგადოებების განვითარებას, ასევე ყოველ ღონეს ხმარობენ საკუთრების წარმოების საშუალებებზე მშრომელთა ხელმისაწვდომობისათვის.

მუხლი 130. 1. სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავს ეკონომიკის ყველა დარგის, კერძოდ, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, თევზჭერისა და სხვადასხვა სახის ხელოსნობის მოდერნიზაციასა და განვითარებაზე, ყველა ესპანელის ცხოვრების ღონის გათანაბრების მიზნით.

2. იგივე მიზნით განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს მთიანი რაიონები.

მუხლი 131. 1. სახელმწიფოს კანონის მიღებით შეუძლია დაგეგმოს საერთო ეკონომიკური საქმიანობა კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, რაიონებისა და დარგების თანაბარი და ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის, შემოსავლებისა და სიმდიდრის ზრდის სტიმულირების, აგრეთვე მათი ყველაზე უფრო სამართლიანი განაწილების მიზნით.

2. მთავრობა შეიმუშავებს დაგეგმვის პროექტებს ავტონომიური საზოგადოებების მიერ მისთვის წარდგენილი პროგნოზების შესაბამისად, აგრეთვე პროფკავშირების, სხვა პროფესიული, სამეწარმეო და ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარებითა და თანამშრომლობით. ამ მიზნით იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობა და ფუნქციები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 132. 1. კანონი აწესრიგებს სახელმწიფო და კომუნალური ქონების სამართლებრივ სტატუსს იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც არ უშვებს მის გასხვივებას, კონფისკაციას ან მასზე ყადაღის დადებას, აგრეთვე იცავს მას არადანიშნულებისამებრ გამოყენებისგან.

2. სახელმწიფო ქონება არის კანონით განსაზღვრული ქონება და, ყველა შემთხვევაში, სანაპირო ზონა, პლაჟები, ტერიტორიული წყლები, ეკონომიკური ზონის ბუნებრივი რესურსები და კონტინენტური შელფი.

3. კანონით წესრიგდება სახელმწიფო და ეროვნული საკუთრების გამოყენება და დაცვა.

მუხლი 133. 1. გადასახადების დადგენის პირველადი უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს და ხორციელდება კანონით.

2. ავტონომიურ საზოგადოებებსა და ადგილობრივ კრებებს შეუძლიათ დაადგინონ და ამოიღონ გადასახადები კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

3. საგადასახადო შეღავათები, რომელიც ეხება სახელმწიფო დაბეგვრას, უნდა დადგინდეს კანონის შესაბამისად.

4. სახელმწიფო სამსახურებს შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ფინანსური ვალდებულებები და აწარმოონ ხარჯები მხოლოდ კანონის შესაბამისად.

მუხლი 134. 1. მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტს; გენერალური კორტესები მას განიხილავს, შეაქვს შესწორებები და ამტკიცებს.

2. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის წლიური, რომელიც შეიცავს სახელმწიფო სექტორის ყველა შემოსავალსა და გასავალს; მასში ასევე განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ამოღებული საგადასახადო მოსაკრებლების მოცულობა.

3. მთავრობამ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი დებუტატთა კონგრესს უნდა წარუდგენოს წინა წლის ბიუჯეტის ვადის გასვლამდე არანაკლებ სამი თვისა.

4. თუ ბიუჯეტის შესახებ კანონი არ იქნება მიღებული შესაბამისი წლის პირველი დღის დადგომამდე, მაშინ ახალი ბიუჯეტის მიღებამდე ავტომატურად გრძელდება წინა წლის ბიუჯეტის მოქმედება.

5. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მიღების შემდეგ მთავრობას შეუძლია წარადგინოს შესაბამისი საბიუჯეტო წლის ხარჯების ნაწილის გაზრდის ან საშემოსავლო ნაწილის შემცირების შესახებ კანონპროექტები.

6. ნებისმიერი წინადადება ან შესწორება, რომელიც უშვებს კრედიტების გაზრდას ან საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, შეიტანება მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

7. ბიუჯეტის შესახებ კანონს არ შეუძლია დაადგინოს ახალი გადასახადები. მას შეუძლია შეიტანოს მათში ცვლილებები ცალკე საგადასახადო კანონით.

მუხლი 135. 1. მთავრობას კანონის შესაბამისად ნება ეძლევა გამოუშვას სახელმწიფო სესხი ან აიღოს კრედიტი.

2. პროცენტების ან თანხის გადასახდელად განკუთვნილი კრედიტები, რომლების დაკავშირებულია სახელმწიფო სესხის მომსახურებასთან ყოველთვის შეიტანება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. მათში არ შეიძლება შეტა-

ნილ იქნეს შესწორებები და ცვლილებები, თუ ისინი შეესაბამება ემისიის შესახებ კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 136. 1. საანგარიშო პალატა არის სახელმწიფოს საფინანსო ანგარიშებისა და ეკონომიკური საქმიანობის, აგრეთვე მთელი სახელმწიფო სექტორის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო. იგი პირდაპირ ექვემდებარება გენერალური კორტესებს და თავის ფუნქციებს ახორციელებს გენერალური კორტესების დაავალებით სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტის ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების დროს.

2. სახელმწიფოსა და სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშები შემოწმებისათვის გადაეცემა საანგარიშო პალატას. საანგარიშო პალატა, თავის იურისდიქციასთან დაკავშირებული ფუნქციის განხორციელების გარდა, გენერალურ კორტესებს უზავნის ყოველწლიურ მოხსენებას, რომელშიც, აუცილებლობის შემთხვევაში აცნობებს დარღვევების ან პასუხისმგებლობის ზომების შესახებ, რომლებიც მისი შეხედულებით დაშვებულ იქნა.

3. საანგარიშო პალატის წევრები ისეთივე დამოუკიდებელნი და შეუცვლელნი არიან როგორც მოსამართლეები, და მათზე ასევე ვრცელდება თანამდებობრივი შეუთვისებლობის მდგომარეობა.

4. ორგანული კანონი აწესრიგებს საანგარიშო პალატის შემადგენლობას, ორგანიზაციასა და ფუნქციებს.

ნაწილი VIII. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია თავი I. ზოგადი პრინციპები

მუხლი 137. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს მუნიციპალიტეტებს, პროვინციებსა და ავტონომიურ საზოგადოებებს. ყველა ეს წარმონაქმნი სარგებლობს ავტონომიით თავიანთი საქმეების წარმოებისას.

მუხლი 138. 1. სახელმწიფო უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-2 მუხლში განმტკიცებული სოლიდარობის პრინციპის ეფექტურ განხორციელებას, ზრუნავს ესპანეთის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებს შორის ადეკვატური და სამართლიანი ეკონომიკური წონასწორობის დადგენაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კუნძულების ტერიტორიებს.

2. ავტონომიური საზოგადოებების სტატუსების განსხვავებულობამ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მისცეს მათ ეკონომიკური ან სოციალური უპირატესობა.

მუხლი 139. 1. ყველა ესპანელს აქვს ერთი და იგივე უფლებები და მოვალეობები სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

2. ხელისუფლების არცერთ ორგანოს არ შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად აბრკოლებს პირთა გადაადგილების თავისუფლებასა და ადგილსამყოფელის არჩევას და ქონების თავისუფალ გადაადგილებას ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე.

თავი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

მუხლი 140. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების ავტონომიას. მათ სრულად აქვთ იურიდიული პირის უფლებები. მათი ხელმძღვანელობა და მართვა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური საბჭოების მიერ, რომლებიც შედგება მერებისა და მრჩეველებისაგან. მრჩეველები აირჩევა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მიერ თავისუფალი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, კანონით დადგენილ წესით. მერები აირჩევა მრჩეველების ან მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლების მიერ. კანონი განსაზღვრავს ღია სხდომების ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლი 141. 1. პროვინცია არის ადგილობრივი წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია იურიდიული პირის უფლებები. ის წარმოადგენს მუნიციპალიტეტთა განსაზღვრული რაოდენობის გაერთიანებას ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო საქმიანობის განსახორციელებლად. პროვინციის საზღვრების ყოველგვარი შეცვლა დამტკიცებულ უნდა იქნეს გენერალური კორტესების მიერ შესაბამისი ორგანული კანონის მიღებით.

2. პროვინციის ხელმძღვანელობა და ავტონომიური მმართველობა ხორციელდება პროვინციის კრების ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

3. შეიძლება შეიქმნას პროვინციისგან განსხვავებული მუნიციპალიტეტთა გაერთიანება.

4. კუნძულთა არქიპელაგს ასევე აქვს საკუთარი ადმინისტრაცია კაბილდოს ან სხვა საბჭოების სახით.

მუხლი 142. ადგილობრივი ბიუჯეტები საკმარისი უნდა იყოს იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც კანონით მიეკუთვნება შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების გამგებლობას, რისთვისაც გამოიყენება მათი საკუთარი გადასახადები, ასევე სახელმწიფო გადასახადებში მათი წილი და ავტონომიური საზოგადოებების გადასახადები.

თავი 3. ავტონომიური საზოგადოებები

მუხლი 143. 1. კონსტიტუციის მე-2 მუხლით აღიარებული ავტონომიის უფლების განხორციელებისას, საერთო ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური ნიშნების მქონე მოსახლერო პროვინციებს, კუნძულის ტერიტორიებსა და პროვინციებს, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან ისტორიულ მხარეს, შეუძლიათ მიიღონ თვითმმართველობა და შექმნან ავტონომიური საზოგადოებები ამ ნაწილისა და შესაბამისი სტატუტების თანახმად.

2. ავტონომიის მიცემის შესახებ ინიციატივით მიმართვა შეუძლია ყველა დაინტერესებულ წარმომადგენელთა კრებას ან შესაბამის კუნძულთაშორისო ორგანოს, აგრეთვე მუნიციპალიტეტების ორ მესამედს, რომელთა მოსახლეობაც შეადგენს არანაკლებ თითოეული პროვინციის ან კუნძულის ამომრჩეველთა უმრავლესობას. ინიციატივა წარდგენილ უნდა იქნეს დაინტერესებული წარმომადგენელთა კრების მიერ ამ საკითხზე პირველი გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

3. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიციატივა შეიძლება ხელახლა იქნეს წარდგენილი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ.

მუხლი 144. ხელმძღვანელობენ რა ეროვნული ინტერესებით გენერალურ კორტესებს ორგანული კანონით შეუძლიათ:

ა) გადაწყვიტოს ავტონომიური საზოგადოების შექმნა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ტერიტორია არ აღემატება ერთი პროვინციის ტერიტორიას და არ არის დაცული 143-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები;

ბ) გადაწყვიტოს ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღოს სტატუტი იმ ტერიტორიისათვის, რომელიც არ შედის პროვინციაში;

გ) მიიღოს 143-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წარმომადგენელთა კრების ინიციატივა.

მუხლი 145. 1. არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება ავტონომიური საზოგადოებების ფედერაციის შექმნა.

2. სტატუტებს შეუძლია დაადგინოს ავტონომიურ საზოგადოებებს შორის შეთანხმების დადების პირობები, პრინციპები და წესი, მათ მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისა და ერთმანეთისათვის დახმარების აღმოჩენის, აგრეთვე გენერალური კორტესებისათვის ცნობების მიწოდების წესი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ავტონომიურ საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები იდება გენერალური კორტესების ნებართვით.

მუხლი 146. ავტონომიური საზოგადოების სტატუსის პროექტი მუშავდება კრების მიერ, რომელიც შედგება პროვინციის კრების წევრების ან დაინტერესებული პროვინციების კუნძულთაშორისო ორგანოსაგან და მათგან არჩეული დეპუტატებისა და სენატორებისაგან და გადაეცემა გენერალურ კორტესებს კანონის სახით განსახილველად.

მუხლი 147. 1. ამ კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად სტატუტები არის თითოეული ავტონომიური საზოგადოების ძირითადი სამართლებრივი აქტი და სახელმწიფო აღიარებს და იცავს მათ, როგორც საკუთარი კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს.

2. ავტონომიის შესახებ სტატუტები უნდა შეიცავდეს:

ა) ავტონომიური საზოგადოების დასახელებას, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს მის ისტორიას;

ბ) მისი ტერიტორიის საზღვრებს;

გ) ავტონომიური დაწესებულებების სახელწოდებას, სტრუქტურასა და ადგილსამყოფელს;

დ) ავტონომიური საზოგადოებების უფლებამოსილებებს კონსტიტუციის ფარგლებში და მისთვის შესაბამისი სამსახურების გადაცემის საფუძვლებს.

3. სტატუტების რეფორმა ხორციელდება მათ მიერ დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ ყველა შემთხვევაში მოითხოვს გენერალური კორტესების მიერ დამტკიცებას შესაბამისი ორგანული კანონის მიღების გზით.

მუხლი 148. 1. ავტონომიური საზოგადოებების გამგებლობას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

I) საკუთარი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა;

II) მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლა, რომლებიც განლაგებულია მათ ტერიტორიაზე და საერთოდ იმ ფუნქციების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობასთან, რომელიც ეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა გამგებლობას, რომელთა გადაცემა წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობით;

III) საქალაქო და სასოფლო დაგეგმვა და განსახლება;

IV) მშენებლობა ავტონომიური საზოგადოების ინტერესებისა და ტერიტორიის ფარგლებში;

V) რკინიგზები და გზები, რომლებიც მთლიანად გადის ავტონომიური საზოგადოების ტერიტორიაზე, მათზე ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;

VI) ნავსადგურები, სპორტული პორტები და აეროდრომები და მსგავსი სახის ყველა ნაგებობა, რომელიც არ არის დაკავშირებული კომერციულ საქმიანობასთან;

VII) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, ეკონომიკური განვითარების საერთო მიმართულების შესაბამისად;

VIII) ტყეები და სატყეო მეურნეობა;

IX) საქმიანობა გარემოს დაცვის მიმართულებით;

X) ჰიდრორესურსების, არხებისა და სარწყავი მიწების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებიც წარმოადგენს ავტონომიური საზოგადოების ინტერესს, აგრეთვე მინერალური და თერმული წყლები;

XI) თევზჭერა შიდა წყლებში, ზღვის პროდუქტების რეწვა და წყლის მეურნეობა, ნადირობა და მდინარის თევზჭერა;

XII) ადგილობრივი ბაზრები;

XIII) ავტონომიური საზოგადოების ეკონომიკის განვითარება საერთო-ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შესაბამისად;

XIV) ხელოსნობა;

XV) მუზეუმები, ბიბლიოთეკები და მუსიკალური კონსერვატორიები, რომლებიც წარმოადგენს ავტონომიური საზოგადოების ინტერესს;

XVI) ძეგლთა დაცვა, რომლებიც წარმოადგენს ავტონომიური საზოგადოების ინტერესს;

XVII) კულტურის, მეცნიერების განვითარება და ავტონომიური საზოგადოების ენის სწავლება;

XVIII) ტურიზმის განვითარება და ორგანიზაცია ავტონომიური საზოგადოების ტერიტორიაზე;

XIX) სპორტისა და დასვენების განვითარება;

XX) სოციალური უზრუნველყოფა;

XXI) ჯანდაცვა და ჰიგიენა;

XXII) შენობებისა და ნაგებობების დაცვა და შენახვა. ადგილობრივ პოლიციასთან დაკავშირებული კოორდინაცია და სხვა ფუნქციების განხორციელება ორგანული კანონით დადგენილი წესით.

2. ხუთი წლის შემდეგ ავტონომიურ საზოგადოებებს თავიანთი სტატუსტების შეცვლის მეშვეობით შეუძლიათ თანდათან გააფართოონ თავიანთი კომპეტენცია 149-ე მუხლში დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 149. 1. სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

I) განსაკუთრებული პირობების მოწესრიგება, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ესპანელის თანასწორობას მათ მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებასა და კონსტიტუციური მოვალეობების შესრულების დროს;

II) მოქალაქეობა, იმიგრაცია და ემიგრაცია, უცხოელთა სტატუსი და თავშესაფრის უფლება;

III) საერთაშორისო ურთიერთობები;

IV) თავდაცვა და შეიარაღებული ძალები;

V) მართლმსაჯულების განხორციელება;

VI) საეკონომიკური, სისხლისა და სასჯელ-აღსრულებითი სამართალი. საპროცესო კანონმდებლობა, გარდა გამოჩვეულის შემთხვევებისა, რომლებიც გამომდინარეობს ავტონომიური საზოგადოების კანონმდებლობის თავისებურებებიდან;

VII) შრომითი კანონმდებლობა, ავტონომიური საზოგადოებების ორგანოების მიერ ზიანის მიყენების გარეშე;

VIII) სამოქალაქო სამართალი, ავტონომიური საზოგადოებების მიერ სამოქალაქო სამართლის, განსაკუთრებული უფლებების ან მათი არსებობის შემთხვევაში ფურცალური სამართლის შენარჩუნების, განახლების ან სრულყოფის მიუხედავად. ყველა შემთხვევაში წესები, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიული ნორმებისა და საქორწინო-ურთიერთობებიდან გამომდინარე სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების გამოყენებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფასთან, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტებისა და სანოტარო აქტების ჩაწერის წესთან, სახელმეკრულებო ვალდებულებების საფუძვლებთან, იურიდიული დავების მომწესრიგებელ ნორმებთან და სამართლის წყაროების განსაზღვრასთან;

IX) კანონმდებლობა ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების შესახებ;

X) საბაჟო და სატარიფო რეჟიმები; საგარეო ვაჭრობა;

XI) ფულადი სისტემა: ვალუტა, მისი კურსი და კონვერტირებადობა, საკრედიტო, საბანკო და სადაზღვევო სისტემების საფუძვლები;

XII) კანონმდებლობა ზომისა და წონის სისტემის შესახებ, იფიციალური დროის დადგენა;

XIII) ეკონომიკური საქმიანობის საერთო დაგეგმვის საფუძველები და კოორდინაცია;

XIV) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი;

XV) სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების განვითარება და საერთო კოორდინაცია;

XVI) ჯანდაცვის საერთაშორისო ზომები. ჯანდაცვის საფუძვლები და საერთო კოორდინაცია. კანონმდებლობა ფარმაცევტული პრეპარატების შესახებ;

XVII) სოციალური დაზღვევის სისტემის კანონმდებლობის საფუძვლები და ეკონომიკური რეჟიმი ავტონომიური საზოგადოებების სამსახურების მიერ ზიანის გარეშე განხორციელებისათვის;

XVIII) სახელმწიფო ორგანოებისა და მათი მოსამსახურეების სტატუსის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მომუშავე პირთა თანასწორობას. საერთო ადმინისტრაციული პროცედურა ავტონომიური საზოგადოებების მმართველობის საკუთარ ორგანიზაციასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინებით; კანონმდებლობა იძულებითი ექსპროპრიაციის შესახებ, ადმინისტრაციული კონტრაქტების და კონცესიების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობის ერთიანი სისტემა;

XIX) საზღვაო თევზჭერა, გარდა იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ამ დარგის ორგანიზაციის პროცესში გადაეცემა ავტონომიურ საზოგადოებებს;

XX) სავაჭრო საზღვაო ფლოტი, ზომალდა მიწერა პორტებისადმი; საზღვაო სანაპიროს შუქურათა სამსახური და საზღვაო სიგნალიზაცია; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პორტები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აეროპორტები; საჰაერო სივრცის, საჰაერო ტრანზიტისა და საჰაერო ტრასპორტის კონტროლი; მეტეოროლოგიური სამსახური და საჰაერო ზომალდების რეგისტრაცია.

XXI) ერთზე მეტ ავტონომიური საზოგადოების ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზები და სახმელეთო ტრასპორტი; კავშირგაბმულობის საერთო რეჟიმი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და გადაადგილება; ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი; საჰაერო, წყალქვეშა კაბელები და რადიოკომუნიკაციები;

XXII) კანონმდებლობა ჰიდრორესურსებისა და ჰიდრონაგებობების გამოყენების და კონცესიების შესახებ, თუ წყლები ჩაედინება ერთზე მეტი ავტონომიური საზოგადოების ტერიტორიაზე, აგრეთვე ელექტრონაგებობების მშენებლობაზე ნებართვა, თუ მათი გამოყენება ეხება სხვა ავტონომიური საზოგადოების ინტერესებს ან როდესაც ენერგია გადაეცემა ამ უკანასკნელის ტერიტორიით;

XXIII) გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები ავტონომიური საზოგადოებების უფლებამოსილებებისგან დამოუკიდებლად დამატებითი დაცვითი ზომების განსახორციელებლად. ტყეების, სატყეო სავრგულები-სა და საძოვრების გამოყენების კანონმდებლობის საფუძვლები;

XXIV) საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლებიც წარმოადგენს საერთო ინტერესს და რომელთა ჩატარება ეხება ერთზე მეტი ავტონომიური საზოგადოების ინტერესებს;

XXV) სამთამადნო მრეწველობისა და ენერგეტიკული რეჟიმის საფუძვლები;

XXVI) იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოების, გაყიდვის, ფლობისა და სარგებლობის წესის განსაზღვრა;

XXVII) ბეჭდვის, რადიოსა და ტელევიზიის და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების რეჟიმის საერთო წესები, გარდა ავტონომიური საზოგადოებების მიერ მათი განვითარებისა და გამოყენების შესაბამისი უფლებამოსილებებისა;

XXVIII) კულტურის, ისტორიისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა საზღვარგარეთ გატანისა და დატაცებისგან; სახელმწიფო მნიშვნელობის მუზეუმები, ბიბლიოთეკები და არქივები, გარდა ამ მიმართულებით ავტონომიური საზოგადოებების საქმიანობისა;

XXIX) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ავტონომიური საზოგადოების მიერ პოლიციის სამსახურების შექმნის შესაძლებლობისგან დამოუკიდებლად, შესაბამის სტატუტებში დადგენილი წესით და ორგანული კანონის ფარგლებში;

XXX) სამეცნიერო და პროფესიული წოდებების მიღების, გაცემისა და აღიარების პირობების მოწესრიგება, აგრეთვე ძირითადი ნორმების დადგენა კონსტიტუციის 27-ე მუხლის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების ამ მიმართულებით უზრუნველყოფის მიზნით;

XXXI) სახელმწიფო მიზნებიდან გამომდინარე სტატისტიკის წარმოება;

XXXII) რეფერენდუმის მეშვეობით მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარების ნებართვა.

2. იმ უფლებამოსილებისგან დამოუკიდებლად, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ავტონომიურ საზოგადოებას, სახელმწიფო განიხილავს კულტურის განვითარებას, როგორც ერთ-ერთ თავის მოვალეობას და განსაკუთრებული ყურადღების საგანს და მათთან თანამშრომლობით ხელს უწყობს ავტონომიურ საზოგადოებებს შორის კულტურულ კავშირებს.

3. საკითხები, რომლებიც ამ კონსტიტუციით სპეციალურად არ განეკუთვნება სახელმწიფოს გამგებლობას, შეიძლება გადაეცეს ავტონომიურ საზოგადოებებს მათი სტატუტების შესაბამისად. სახელმწიფოს გამგებლობას განეკუთვნება ყველა საკითხი, რომელიც სტატუტების თანახმად არ წარმოადგენს ავტონომიური საზოგადოების კომპეტენციას. დავის შემთხვევაში სახელმწიფო ნორმებს უპირატესი ძალა გააჩნია ავტონომიური საზოგადოების ნორმებთან შედარებით, იმ საკითხებზე, რომლებიც არ განეკუთვნება მათ

განსაკუთრებულ გამგებლობას. ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს კანონდებლობა ავსებს ავტონომიური საზოგადოებების კანონმდებლობას.

მუხლი 150. 1. გენერალურ კორტესებს შეუძლია, სახელმწიფო გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, ყველა ან ზოგიერთ ავტონომიურ საზოგადოებას გადასცეს საკანონმდებლო აქტების მიღების უფლებამოსილება ორგანული კანონით დადგენილი პრინციპების, საფუძვლებისა და პირობების ფარგლებში. სასამართლოთა უფლებამოსილებისგან დამოუკიდებლად თითოეული ჩარჩო-კანონი ადგენს გენერალური კორტესების მხრიდან ავტონომიური საზოგადოებების ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტებზე კონტროლის განხორციელების წესს.

2. სახელმწიფოს ორგანული კანონის მიღებით შეუძლია გადასცეს უფლებამოსილებები ან მოახდინოს მათი დელეგირება ავტონომიური საზოგადოებისათვის, რომლებიც მიეკუთვნება მის კომპეტენციას და რომლებიც თავიანთი ხასიათით შეიძლება ექვემდებარებოდნენ გადაცემას ან დელეგირებას. კანონი თითოეულ შემთხვევაში ითვალისწინებს შესაბამისი ფინანსური საშუალებების, ასევე კონტროლის ფორმების გადაცემას, რომელთა შენარჩუნებაც ხდება სახელმწიფოს მიერ.

3. სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს კანონები, რომლებიც ადგენს აუცილებელ პრინციპებს ავტონომიური საზოგადოებების ნორმატიული დებულებების შესათანხმებლად, მათ შორის მათ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებაში, თუ ამას მოითხოვს საერთო ინტერესები. ასეთი აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური კორტესები თითოეულ პალატაში ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 151. 1. იმ ხუთწლიანი ვადის გასვლა, რომელზეც საუბარია 148-ე მუხლის მე-2 პუნქტში, არ იქნება სავალდებულო, თუ ავტონომიის მიცემის შესახებ ინიციატივა წარდგენილ იქნება 143-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილ ვადაში და დამტკიცდება პროვინციის კრების ან შესაბამისი კუნძულთაშორისო ორგანოების ან თითოეული დაინტერესებული პროვინციის მუნიციპალიტეტების სამი მეოთხედის მიერ, რომლებიც შეადგენენ არანაკლებ თითოეული პროვინციის ამომრჩეველთა უმრავლესობას, და იმ პირობით, თუ ასეთი ინიციატივა დამტკიცდება რეფერენდუმზე თითოეული პროვინციის ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, ორგანული კანონით დადგენილი წესით.

2. წინა პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში სტატუსი მუშავდება შემდეგი წესით:

I) მთავრობა იწვევს ყველა დეპუტატსა და სენატორს იმ საარჩევნო ოლქებიდან, რომლებიც შედის იმ ტერიტორიის შემადგენლობაში, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ავტონომიის მიღებაზე და მათგან ქმნის კრებას ერთადერთი მიზნით, შეიპუშაოს ავტონომიის შესახებ შესაბამისი სტატუტი ამ კრების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით;

II) პარლამენტართა კრების მიერ მიღებული სტატუტის პროექტი გადაეცემა კონგრესის საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც ორი თვის განმავლობაში განიხილავს მას კრების მონაწილეობითა და დახმარებით, რათა ერთობლივად განსაზღვრონ საერთო პროექტი;

III) ასეთი თანხმობის მიღწევის შემთხვევაში, მიღებული ტექსტი გაიტანება რეფერენდუმზე იმ ტერიტორიებზე განლაგებულ პროვინციებში, რომელთა საზღვრები განსაზღვრულია შემუშავებული სტატუტით;

IV) თითოეულ პროვინციაში ნამდვილად ცნობილი ხმების უმრავლესობით სტატუტის პროექტის მიღების შემთხვევაში, იგი გადაეცემა გენერალურ კორტესებს. პლენარულ სხდომებზე პალატები იღებენ გადაწყვეტილებას კენჭისყრის გზით ტექსტის რატიფიკაციისათვის. მიღებულ სტატუტს ხელს აწერს მეფე და აქვეყნებს როგორც კანონს;

V) თუ ამ მუხლის მე-2 ქვეპუნქტში გათვალისწინებული თანხმობა არ იქნა მიღწეული, სტატუტის პროექტი განსახილველად გადაეცემა გენერალურ კორტესებს კანონპროექტის სახით. მის მიერ მიღებული ტექსტი გაიტანება იმ პროვინციების ამომრჩეველთა რეფერენდუმზე, რომლებიც მდებარეობს შემუშავებული სტატუტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. თითოეულ პროვინციაში ნამდვილად ცნობილ ხმათა უმრავლესობით მიღების შემთხვევაში, სტატუტი პრომულგაციისათვის გადაეცემა წინა პუნქტით გათვალისწინებული წესით.

3. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთი ან რამდენიმე პროვინციის მიერ სტატუტის პროექტის უარყოფა არ აბრკოლებს ავტონომიური საზოგადოების შემადგენელ დანარჩენ პროვინციებს გაერთიანდნენ ისეთი ფორმით, რომელიც დადგენილ იქნება ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ორგანული კანონით.

მუხლი 152. 1. წინა მუხლში გათვალისწინებული წესით დამტკიცებულ სტატუტებში ინსტიტუციონალური ავტონომიური ორგანიზაცია შეიცავს: საკანონმდებლო კრებას, რომელიც აირჩევა საყოველთაო კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს ტერიტორიების განსხვავებული ტერიტორიების წარმომადგენლობას; სამთავრობო საბჭოს, რომელიც ასრულებს აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს და მის თავმჯდომარეს, რომელიც აირჩევა კრების მიერ თავისი

წევრებისაგან და ინიშნება მეფის მიერ. თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს სამთავრობო საბჭოს, არის ავტონომიური საზოგადოების უმაღლესი თანამდებობის პირი და მასში სახელმწიფოს წარმომადგენელი. სამთავრობო საბჭოს თავმჯდომარე და წევრები თავიანთი საქმიანობისთვის პოლიტიკურად პასუხისმგებელი არიან კრების წინაშე.

მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო, უზენაესი სასამართლოს იურისდიქციისაღმდეგ ზიანის მიყენების გარეშე, არის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ავტონომიურ საზოგადოებაში. ავტონომიური საზოგადოებების სტატუტებმა შეიძლება განსაზღვროს მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციაში ავტონომიური საზოგადოებების მონაწილეობის პირობები და ფორმები ოლქების დონეზე. ყოველივე ეს უნდა შესაბამებოდეს სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონის დებულებებს, მისი ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით.

123-ე მუხლისგან დამოუკიდებლად, შესაბამისი სასამართლო ინსტანციები, აუცილებლობის შემთხვევაში, იცვლებიან ავტონომიური საზოგადოების სასამართლო ორგანოებით, რომლებიც შექმნილია იმ ტერიტორიაზე, რომელზეც განლაგებულია პირველი ინსტანციის კომპეტენტური ორგანო.

2. დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ შესაბამისი სტატუტები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მათ მიერ დადგენილი წესითა და ავტონომიურ საზოგადოებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რეფერენდუმის მეშვეობით.

3. ერთმანეთის მოსაზღვრე მუნიციპალიტეტთა გაერთიანების დროს სტატუტებმა შეიძლება შექმნან საკუთარი ტერიტორიული ოლქები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის სრული უფლებებით.

მუხლი 153. ავტონომიური საზოგადოებების ორგანოებზე კონტროლი ხორციელდება:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მათ მიერ მიღებული კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან მიმართებაში;

ბ) მთავრობის მიერ სახელმწიფო საბჭოს წარდგინებით, მათთვის დღევანდური უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე, 150-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად;

გ) ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ ავტონომიურ მართველობასა და მის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში;

დ) საანგარიშო პალატის მიერ ეკონომიკური და საბიუჯეტო საქმიანობისათვის.

მუხლი 154. მთავრობის მიერ დანიშნული თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ავტონომიური საზოგადოების

ტერიტორიაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, ათანხმებს მის საქმიანობას ავტონომიური საზოგადოების მმართველობის ორგანოების საქმიანობასთან.

მუხლი 155 1. თუ ავტონომიური საზოგადოება არ ასრულებს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან მისი მოქმედებები სერიოზულ ზიანს აყენებს ესპანეთის საერთო ინტერესებს, მთავრობა აფრთხილებს ავტონომიური საზოგადოების თავმჯდომარეს. თუ მისი მხრიდან პასუხი არ მოყვება, მთავრობას შეუძლია სენატის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით მიიღოს აუცილებელი ზომები ავტონომიური საზოგადოების მიერ მითითებული მოვალეობების იძულებითი წესით შესასრულებლად ან ზემოხსენებული საერთო ინტერესების დასაცავად.

2. წინა პუნქტით გათვალისწინებული ზომების განსახორციელებლად მთავრობას შეუძლია მისცეს შესაბამისი განკარგულებები ავტონომიური საზოგადოების ნებისმიერ ორგანოს.

მუხლი 156 1. ავტონომიური საზოგადოება სარგებლობს ფინანსური ავტონომიით თავისი უფლებამოსილებების განვითარებისა და განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ხაზინასთან საქმიანობის კოორდინაციის პრინციპისა და ყველა ესპანელისადმი სოლიდარობის პრინციპის შესაბამისად.

2. ავტონომიურ საზოგადოებებს შეუძლია იმოქმედოს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა ან თანამშრომელმა გადასახადების ამოღების, ხარჯვის ან გაუქმების დროს, კანონებისა და სტატუტების შესაბამისად.

მუხლი 157 1. ავტონომიური საზოგადოებების სახსრები შედგება:

ა) გადასახადებისგან, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფო გადასახადებზე დანამატებისაგან და სახელმწიფოს გადასახადებში სხვაგვარი მონაწილეობისგან;

ბ) საკუთარი გადასახადების, სპეციალური ბაჟისა და შენატანებისგან;

გ) ტერიტორიათშორისი საკომპენსაციო ფონდიდან გზავნილებისგან და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის სხვა შენატანებისგან;

დ) მათი საკუთარი ქონებიდან მოგებისგან და კერძო სამართლით მოწესრიგებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებისგან;

ე) საკრედიტო ოპერაციებიდან მოგებისგან.

2. ავტონომიურ საზოგადოებებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ ამოიღონ გადასახადები ქონებისგან, რომელიც იმყოფება მისი ტერიტორიის გარეთ და, გადასახადები, რომლებმაც შეიძლება დაბრკოლება შეუქმნას საქონლის თავისუფალ მიმოქცევასა და მომსახურებას.

3. ორგანულ კანონი აწესრიგებს პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური უფლებამოსილებების განხორციელებას, ავტონომიურ საზოგადოებებსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესსა და ფინანსური თანამშრომლობის შესაძლო პირობებს.

მუხლი 158. 1. სახელმწიფოს ერთიანმა ბიუჯეტმა ავტონომიური საზოგადოებისათვის შეიძლება დაადგინოს განსაზღვრული ასიგნებები, მათთვის გადაცემული მომსახურების მოცულობიდან და მათი მხრიდან ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე ძირითადი საჯარო მომსახურების შედარებით მინიმალური დონის განხორციელების გარანტიებიდან გამომდინარე.

2. ესპანეთის სხვადასხვა რეგიონებში ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების და სოლიდარობის პრინციპის განხორციელების მიზნით იქმნება საკომპენსაციო ფონდი, რომელიც განკუთვნილია საბიუჯეტო სახსრების ინვესტირებისათვის. ფონდის სახსრებს ანაწილებს გენერალური კორტეხები ავტონომიურ საზოგადოებებსა და პროვინციებს შორის.

ნაწილი IX. საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 159. 1. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება მეფის მიერ დანიშნული თორმეტი წევრისგან, რომელთაგან ოთხი წარდგენილია კონგრესის მიერ წევრთა ხმების სამი მეხუთედის უმრავლესობით, ოთხი – სენატის მიერ იგივე უმრავლესობით, ორი – მთავრობის მიერ და ორიც – სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს მიერ.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ინიშნება მოსამართლეებისა და პროკურორების, უნივერსიტეტის პროფესორების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ადვოკატებისაგან; ყველა ისინი უნდა იყვნენ იურისტები, რომელთა კომპეტენცია საყოველთაოდ აღიარებულია და მუშაობდნენ თავიანთი პროფესიით თხუთმეტ წელზე მეტი ვადით.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ინიშნებიან 9 წლით; ყოველ სამ წელიწადში ხდება მისი შემადგენლობის ერთი მესამედით განახლება.

4. საკონსტიტუციოს სასამართლოს წევრობა შეუთავსებელია ნებისმიერ წარმომადგენლობით მანდატთან, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებთან, რომელიმე პარტიაში ან პროფკავშირში ხელმძღვანელი ფუნქციის განხორციელებასთან და მათ სამსახურში ყოფნასთან, სასამართლო ან საპროკურორო ფუნქციების განხორციელებასა და პროფესიული ან კომერციული ხასიათის ნებისმიერ საქმიანობასთან. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე ვრცელდება თანამდებობრივი შეუთავსებლობის იგივე დებულებები, რაც სასამართლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებზე.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები დამოუკიდებელნი და შუუც-
ვლელნი არიან თავიანთი მანდატის განხორციელების დროს.

მუხლი 160. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება მის
წევრთაგან მეფის მიერ სამი წლის ვადით ამავე სასამართლოს სრული შე-
მადგენლობის წინადადებით.

მუხლი 161. 1. საკონსტიტუციო სასამართლო ფლობს იურისდიქციას ეს-
პანეთის მთელ ტერიტორიაზე და უფლებამოსილია:

ა) განიხილოს განცხადება კანონებისა და კანონის ძალის მქონე ნორმა-
ტიული აქტების არაკონსტიტუციურობის შესახებ. კანონის ძალის მქონე
იურიდიული ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, რაც შექმნილია
სასამართლო პრაქტიკის ძალით ართმევს მას კონსტიტუციურობას, მაგრამ
გამოტანილი გადაწყვეტილება ან განაჩენი არ კარგავს ძალას;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნ-
ქტში ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ
კანონით დადგენილ შემთხვევებში და ფორმით;

გ) გადაწყვიტოს დავები უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, სახელ-
მწიფოსა და ავტონომიურ საზოგადოებებს შორის, ან ავტონომიურ საზოგა-
დოებებს შორის;

დ) განიხილოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით მის გამგებლო-
ბას მიკუთვნებული სხვა საკითხები.

2. მთავრობას შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გაასაჩივ-
როს ავტონომიური საზოგადოებების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვე-
ტილებები და დადგენილებები. გასაჩივრება იწვევს განსახილველი გადაწყვე-
ტილების ან დადგენილების მოქმედების შეჩერებას, მაგრამ საკონსტიტუციო
სასამართლომ უნდა დაამტკიცოს ასეთი შეჩერება ან უარყოს შეამდგომლო-
ბა არაუმეტეს ხუთი თვის ვადაში.

მუხლი 162. 1. კანონი აძლევს უფლებას:

ა) დააყენოს არაკონსტიტუციურობის შესახებ საკითხი – მთავრობის
თავმჯდომარემ, სახალხო დამცველმა, 50-მა დეპუტატმა, 50-მა სენატორმა,
ავტონომიური საზოგადოებების აღმასრულებელმა კოლეგიურმა ორგანოებმა
აგრეთვე მათმა კრებებმა;

ბ) შეიტანონ საჩივარი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებე-
ბის დაღვევის შესახებ ყველა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, რომლე-
ბიც უთითებენ თავიანთ კანონიერ ინტერესებზე, აგრეთვე სახალხო დამ-
ცველმა და პროკურატურამ.

2. სხვა შემთხვევებში ორგანული კანონი განსაზღვრავს მითითებული უფლების მქონე პირებსა და ორგანოებს.

მუხლი 163. თუ სასამართლო ორგანო რაიმე საქმის განხილვის დროს ჩათვლის, რომ კანონის ძალის მქონე ნორმა, რომელიც საქმეზე გამოიყენება, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაშინ მას შეუძლია დააყენოს ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე კანონით დადგენილი პირობებში, ფორმითა და წესით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეაჩეროს კანონი.

მუხლი 164. 1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, აუცილებლობის შემთხვევაში მის წევრთა განსაკუთრებული აზრის მითითებით, ქვეყნდება სახელმწიფოს ოფიციალურ ბიულეტენში. ისინი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მომდევნო დღეს, და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. გადაწყვეტილებები, კანონის ან კანონის ძალის მქონე ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ, ისევე როგორც ყველა გადაწყვეტილება, რომელიც არ იზღუდება ინდივიდუალური უფლების სუბიექტური შეფასებით, მიიღება სავალდებულო წესით.

2. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის მითითებული, კანონი რჩება ძალაში იმ ნაწილში, რომელიც არ არის ცნობილი არაკონსტიტუციურად.

მუხლი 165. ორგანული კანონი აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, მის წევრთა სტატუსს, სასამართლო განხილვის წესსა და იმ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების პირობებს.

ნაწილი X. კონსტიტუციური შესწორებები

მუხლი 166. კონსტიტუციური შესწორების ინიციატივა ზორციელდება 87-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 167. 1. კონსტიტუციის შესწორების პროექტი მიღებულ უნდა იქნეს გენერალური კორტესების თითოეული პალატის წევრთა არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით. პალატებს შორის თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, მის მისაღწევად იქმნება ერთობლივი კომისია დეპუტატებისა და სენატორების თანაბარი რაოდენობის შემადგენლობით, რომელიც კონგრესისა და სენატის კენჭისყრაზე წარადგენს მის მიერ შემუშავებულ ტექსტს.

2. თუ წინა პუნქტში დადგენილი პროცედურის განხორციელების მეშვეობით არ იქნება მიღწეული თანხმობა, მაშინ იმ პირობით, რომ სენატი მიიღებს მითითებულ ტექსტს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, კონგრესს შეუძლია მიიღოს იგი წევრთა ხმების ორი მესამედით.

3. გენერალური კორტესების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციური შესწორების პროექტი გაიტანება რეფერენდუმზე სარატიფიკაციოდ, თუ პროექტის მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში ასეთ კენჭისყრას მოითხოვს ერთ-ერთი პალატის წევრთა ერთი მეთელი.

მუხლი 168. როდესაც შეიტანება წინადადება კონსტიტუციის მთლიან ან ნაწილობრივ გადასინჯვაზე, რომელიც ეხება შესავალ ნაწილს, I ნაწილის II თავის პირველ ან II განყოფილებას, გადასინჯვის პრინციპები უნდა იქნეს მიღებული თითოეული პალატის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, რის შემდეგაც ხდება გენერალური კორტესების დათხოვნა.

2. ახლადარჩეულ პალატები ამტკიცებენ კონსტიტუციის შესწორების პროექტს და შეუდგებიან კონსტიტუციის ახალი ტექსტის შესწავლას, რომელიც დამტკიცებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობამ.

3. გენერალური კორტესების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის შესწორების ტექსტი გაიტანება რეფერენდუმზე რატიფიციციისათვის.

მუხლი 169. კონსტიტუციის შესწორების ინიციატივა არ შეიძლება მიღებულ იქნეს ომის დროს ან 116-ე მუხლში გათვალისწინებული მდგომარეობის დროს.

დამატებითი დებულებები

პირველი. კონსტიტუცია იცავს და პატივს სცემს ფუერალური ტერიტორიების ისტორიულ უფლებებს.

ფუერალური უფლებები ზორციელდება აუცილებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციისა და ავტონომიის სტატუსის შესაბამისად.

მეორე. ამ კონსტიტუციის მე-12 მუხლით დადგენილი დებულება სრულწლოვანების შესახებ არ აუქმებს ნორმებს, რომელიც გათვალისწინებულია ფუერალურ სამართალში, კერძო სამართლის მიმართულებით.

მესამე. კანარის არქიპელაგის ფინანსური და ეკონომიკური სტატუსის ცვლილება მოითხოვს ავტონომიური საზოგადოების ან დროებითი ავტონომიური ორგანოს წინასწარ მოხსენებას.

მეოთხე. ავტონომიურ საზოგადოებებში, რომელთაც აქვთ ერთზე მეტი სასამართლო ხელისუფლების ორგანო, შესაბამისი ავტონომიის სტატუსტებმა

შეიძლება შეინარჩუნონ უკვე არსებული სასამართლო ორგანოები, გაანაწილონ უფლებამოსილებები მათ შორის, მაგრამ ყოველთვის სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონის დებულებების შესაბამისად და მისი ერთიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების გათვალისწინებით.

გარდამავალი დებულებები

პირველი. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სარგებლობენ დროებითი ავტონომიებით, მათ უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოებს შეუძლიათ წვერთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით განახორციელონ 143-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინიციატივა, რომელიც მიეკუთვნება პროვინციის წარმომადგენელთა კრების ან შესაბამისი კუნძულთაშორისო ორგანოების გამგებლობას.

მეორე. ტერიტორიებს, რომლებმაც რეფერენდუმის მეშვეობით წარსულში მიიღეს ავტონომიის სტატუსების პროექტები და ამ კონსტიტუციის გამოქვეყნების მომენტში აქვთ დროებითი ავტონომიის სტატუსი, შეუძლიათ დაუყონებლივ მიიღონ 148-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზომები, როგორც კი მათი წინაავტონომიური წარმომადგენლობითი ორგანოები გადაწყვეტენ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით და ამის შესახებ აცნობებენ მთავრობას. სტატუსის პროექტი უნდა მომზადდეს 151-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად წინაავტონომიური წარმომადგენლობითი ორგანოს ინიციატივით.

მესამე. ავტონომიის მიცემის შესახებ ინიციატივის უფლების განხორციელება, რომელიც მომდინარეობს 143-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ადგილობრივი ორგანოების ან მათი წევრებისაგან, ექვემდებარება ვადის გაგრძელებას ყველა თავისი შედეგით კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ორგანიზებული პირველი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე.

მეოთხე. 1. ნავარისათვის, ბასკების გენერალურ საბჭოში მისი შეყვანილობის ან მასზე ბასკების ავტონომიის გავრცელების მიზნით, კონსტიტუციის 143-ე მუხლის დებულებებისაგან გადახვევით ინიციატივა ეკუთვნის არსებულ ფერალურ ორგანოს, რომელიც ამის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას წვერთა ხმების უმრავლესობით. დასახელებული ინიციატივის კანონიერებისათვის შესაბამისი ფერალური ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დამტკიცებული ამ მიზნით ჩატარებული რეფერენდუმით და დამტკიცებული ნამდვილად ცნობილი ხმების უმრავლესობით.

2. თუ ინიციატივა არ დამტკიცდება, იგი ხელახლა შეიძლება იქნეს ინიცირებული შესაბამისი ფერალური ორგანოს უფლებამოსილების მოქმედე-

ბის სხვა პერიოდში 143-ე მუხლით დადგენილი მინიმალური ვადის გასვლის შემდეგ.

მეხუთე. ქალაქებს სეუტასა და მელილს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ავტონომიური საზოგადოებები, თუ მათი მუნიციპალური საბჭოები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით და, თუ ეს გადაწყვეტილება დამტკიცდება გენერალური კორტესების მიერ 144-ე მუხლის დებულებების შესაბამისად გამოცემული ორგანული კანონით.

მეექვსე. თუ საკონსტიტუციო კომისიაში შეიტანება ავტონომიის სტატუტის რამდენიმე პროექტი, იგი გამოიტანს მათზე გადაწყვეტილებას შეტანის რიგის მიხედვით, ხოლო 151-ე მუხლში დადგენილი ორთვიანი ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც კომისია დაასრულებს მის მიერ რიგითობის წესით განხილული პროექტის ან პროექტების შესწავლას.

მეშვიდე. დროებითი ავტონომიური ორგანოები დათხოვნილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ავტონომიის სტატუტით გათვალისწინებული კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული ორგანოების დამტკიცების შემდეგ;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ავტონომიის მიცემის შესახებ ინიციატივა ვერ დასრულდება 143-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო;

გ) თუ ეს ორგანო არ განახორციელებს პირველი გარდამავალი დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებას სამი წლის განმავლობაში.

მერვე. 1. პალატები, რომლებიც დაამტკიცებენ ამ კონსტიტუციას, მისი ძალაში შესვლის შემდეგ შეუდგებიან თავიანთი ფუნქციისა და უფლებამოსილების განხორციელებას, რომელიც კონსტიტუციით მიეკუთვნება კონგრესსა და სენატს. მათი უფლებამოსილების ვადა ამოიწურება 1981 წლის 15 ივნისს.

2. რაც შეეხება 99-ე მუხლის დებულებებს, კონსტიტუციის გამოქვეყნება განიხილება, როგორც მისი მიღების კონსტიტუციური საფუძველი. ამ მიზნით ამ მუხლის დებულებების ძალაში შესასვლელად გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა ათვლება გამოქვეყნების დღიდან.

ამ დროის განმავლობაში მოქმედ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც ახორციელებს ამ თანამდებობისათვის კონსტიტუციით მინიჭებულ ფუნქციასა და უფლებამოსილებებს, შეუძლია გამოიყენოს მისთვის 115-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებები ან გადადგეს და შეუდგეს 99-ე მუხლში გათვალისწინებული დებულების განხორციელებას, რჩება რა მოცემულ შემთხვევაში 101-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მდგომარეობაში.

3. 115-ე მუხლის შესაბამისად პალატების დათხოვნის შემთხვევაში, თუ არ იქნა გამოყენებული 66-ე და 69-ე მუხლების დებულებები, არჩევნების

დროს გამოიყენება ადრე მოქმედი ნორმები, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომ დეპუტატის აურჩევლობის ან თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევაში უშუალოდ იქნება გამოყენებული კონსტიტუციის დებულებები რომლებიც შეიცავს 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებებს, აგრეთვე დებულებები ასაკის შესახებ, რომლიდანაც დგება ხმის მიცემის უფლება და დებულებები, რომელსაც შეიცავს 69-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მე-3 რე. საკონსტიტუციოს სასამართლოს პირველად არჩევიდან სამი წლის გასვლის შემდეგ კენჭისყრით დანიშნება ოთხი წევრისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც აირჩევა იგივე პირობებში, რაც დადგენილია გადადგომასა და შეცვლას დაქვემდებარებულ წევრთათვის.

მათგან ორი უნდა იყოს მთავრობის წარდგინებით დანიშნულთაგან, ხოლო ორი – სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს წარდგინებით დანიშნულთაგან. იგივე საშუალებით სამი წლის გასვლის შემდეგ განისაზღვრება ორი ჯგუფის წევრები, რომელთაც ადრე არ ჩაუტარდათ კენჭისყრა. ამის შემდეგ ძალაში შედის 159-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები.

გამაუქმებელი დებულებები

1. უქმდება 1977 წლის 4 იანვრის №1 კანონი პოლიტიკური რეფორმის შესახებ, აგრეთვე ქვემოთ მითითებული კანონები იმ მოცულობით, რითაც ისინი არ იქნენ გაუქმებული დასახელებული კანონით: 1958 წლის 17 მაისის კანონი ეროვნული მოძრაობის პრინციპების შესახებ, 1945 წლის 17 ივლისის ესპანელთა ქარტია, 1938 წლის 9 მარტის შრომის ქარტია, 1942 წლის 17 ივლისის კანონი გენერალური კორტეხების შესახებ, 1947 წლის 26 ივნისის კანონი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის მემკვიდრეობის შესახებ, აგრეთვე სახელმწიფოს ორგანული კანონი 1967 წლის 10 იანვრიდან, რომელმაც თავის მხრივ შეცვალა ზემოთ დასახელებული კანონები, და 1945 წლის 22 ოქტომბრის კანონი ეროვნული რეფერენდუმის შესახებ.

2. საბოლოო ფორმით უქმდება დღემდე ძალაში მყოფი 1839 წლის 25 დეკემბრის კანონის ზოგიერთი დებულება, რომელიც ეხება ალავის, გიპუსკოას და ბისკაის პროვინციებს. იგივე წესით საბოლოოდ უქმდება 1876 წლის 21 ივლისის კანონი.

3. თანაბრად უქმდება ყველა დებულება, რომელიც ასე თუ ისე ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას.

დასკვნითი დებულებები

ეს კონსტიტუცია ძალაში შედის მისი ტექსტის სახელმწიფოს ოფიციალურ ბიულეტენში ოფიციალურად გამოქვეყნების დღეს. ის უნდა გამოქვეყნდეს ესპანეთის ყველა ენაზე.


ამგვარად, ვუბრძანებ ყველა ესპანელს, კერძო პირებსა და ხელისუფლების ორგანოებს დაიცვან და უზრუნველყონ ამ კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონის დაცვა.

კორტესების სასახლე,

ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი წლის ოცდაშვიდი დეკემბერი
ხუან კარლოსი

კორტესების თავმჯდომარე *ანტონიო პერნანდეს გილი*

კონგრესის სპიკერი *ფერნანდო ალვარეს დე მირანდა ი ტორესი*
სენატის სპიკერი *ანტონიო ფონტან პერესი*



ესტონეთი



ზოგადი ცნობარი შესავალი

დანიელების, შვედების, გერმანელებისა და რუსების რამდენიმე საუკუნოვანი მმართველობის შემდეგ, 1918 წელს ესტონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1941 წელს საბჭოთა კავშირში იძულებითი შესვლის შემდეგ, 1991 წელს ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ ესტონეთმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც 1994 წელს რუსეთის ჯარმა საბოლოოდ დატოვა ქვეყანა, ესტონეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები დაამყარა დასავლეთ ევროპასთან. 2004 წლის გაზაფხულში ის გაწევრიანდა ეუთოსა და ევროკავშირში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: აღმოსავლეთი ევროპა, ესაზღვრება ბალტიის ზღვა და ფინეთის ყურე, მდებარეობს ლატვიასა და რუსეთს შორის.

ფართობი: სულ: 45,226 კმ²; ხმელეთი: 43,211 კმ²; წყალი: 2,015 კმ²;
შენიშვნა: მოიცავს 1,520 კუნძულს ბალტიის ზღვაში.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ტორფი, ფოსფორიტები, თინა, კირქვა, სილა, დოლომიტები, სასოფლო-სამეურნეო მიწები, ზღვის ტალახი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 1,324,333 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა: 0-14 წლის: 15.2% (მამაკაცი 103,367; ქალი 97,587); 15-64 წლის: 67.6% (მამაკაცი 427,043; ქალი 468,671); 65 წლის და ზემოთ: 17.2% (მამაკაცი 75,347; ქალი 152,318) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.64.% (2006);

შობადობა: 10.04 დაბადებული/1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 13.25 გარდაცვლილი/1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: -3.2 მიგრანტი/1,000 მოსახლეზე (2006);

სიკოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობა: 72.04 წელი; მამაკაცი: 66.58 წელი; ქალი: 77.83 წელი (2006).

მოქალაქეობა: ესტონეთის

ეთნიკური ჯგუფები: ესტონელები 67.9%, რუსები 25.6%, უკრაინელები 2.1%, ბელარუსები 1.3%, ფინელები 0.9%, სხვა 2.2% (2000).

რელიგია: ლუთერანები - 13.6%, მართლმადიდებლები - 12.8%, სხვა ქრისტიანები (მეთოდისტები, მე-7 დღის ადვენტიტები, რომაული კათოლიკეები) - 1.4%, სხვა - 32%, არც ერთი რელიგიის მიმდევარი - 40.2% (2000).

ენები: ესტონური (ოფიციალური) 67.3%, რუსული 29.7%, სხვა 3.0%, (2000);

განათლებულობა: მთელი მოსახლეობა: 99.8%; მამაკაცი: 99.8%; ქალი: 99.8% (2003). შენიშვნა ინფორმაცია მოცემულია 15 წლამდე და ზემოთ პირთა მიმართ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: ესტონეთის რესპუბლიკა

შემოკლებული ფორმა: ესტონეთი

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: ეესტი ვაბარიიკ

ადგილობრივი შემოკლებული ფორმა: ეესტი

ყოფილი: ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ტალინი

ადმინისტრაციული ერთეულები: 15 ოლქი

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 20 აგვისტო (საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე);

ეროვნული დღესასწაულები: დამოუკიდებლობის დღე – 24 თებერვალი (1918);

შენიშვნა: 1918 წლის 24 თებერვალს ესტონეთმა გამოაცხადა საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა, ხოლო 20 აგვისტოს – საბჭოთა კავშირი-საგან დამოუკიდებლობა.

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი (2001 წლის 8 ოქტომბრიდან).

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ანდრუს ანსიპი (2005 წლის 12 აპრილიდან).

არჩევნები: პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი ხუთი წლის ვადით;

არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2001 წლის 21 სექტემბერს.

არჩევნების შედეგები: არნოლდ რუუტელი: 186 ხმა, პარლამენტის თავ-მჯდომარე, ტომას სავი - 155 ხმა.

სამინისტროები:

გარემოს დაცვის სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტრო

თავდაცვის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო

კულტურის სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფინანსთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი ანუ რიიგი-კოგუ (101 ადგილი; წევრებს ირჩევს ხალხი 4 წლის ვადით).

არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2003 წლის 2 მარტს.

პოლიტიკური პარტიები: ესტონეთის ცენტრისტული პარტია; ესტონეთის სახალხო კავშირი; ესტონეთის რეფორმისტული პარტია; ესტონეთის გაერ-თიანებული რუსი ხალხის პარტია; პრო პარტია იუნიონი; რესპუბლიკა; სო-ციალ-დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა:

1930 წლის ბოლოს ესტონეთი გახდა სამრეწველო-აგრარული ქვეყანა. ომის შემდგომ პერიოდში ესტონეთში განხორციელდა დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია, რასაც განაპირობებდა მისი სასარგებლო გეოგრაფიული მდებარეობა. 80-იან წლებში აშენდა ტალინის ახალი საზღვაო ნავსადგური „მუუგა“. 1990 წლიდან ესტონეთი გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, რამაც დღის წესრიგში დააყენა საკუთარი საგარეო სავაჭრო პრიორიტეტების გადახედვა.

ესტონეთი საკუთარი რესურსებით არა მხოლოდ სრულად აკმაყოფილებს ქვეყნის ენერგო მოთხოვნილებებს, არამედ აკეთებს მის ექსპორტს. საბჭოთა ესტონეთი წარმოებული საწვავისა და ელექტროენერჯის მნიშვნელოვან ნაწილს უგზავნიდა სხვა ქალაქებს.

ესტონეთი, როგორც ეუთოსა და ევროკავშირის ახალი წევრი, დასავლეთთან მჭიდრო კავშირით წარმატებით გადავიდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაზე ევროსთან მიმართებაში საკუთარი ვალუტის კურსის ხელოვნური შენარჩუნებით. ეკონომიკა შემოსავალს ღებულობს ძლიერი ელექტრო და ტელეკომუნიკაციების სექტორიდან და მნიშვნელოვან გავლენას განიცდის სამ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში – ფინეთში, შვედეთსა და გერმანიაში მიმდინარე პროცესებისგან. მიმდინარე სავაჭრო ბალანსის დეფიციტი კვლავ მაღალია, თუმცა ბიუჯეტი დაბალანსებულია და სახელმწიფო ვალი დაბალი.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$21.92 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი: \$12.28 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი – 7.4% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი - \$16,400 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით:

სოფლის მეურნეობა: 4.1%,

მრეწველობა: 29.1%,

მომსახურება: 66.8% (2005).

უმუშევრობის მაჩვენებელი: 9.2% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: არ არის (2000);

ბიუჯეტი: შემოსავლები: \$5.126 მილიარდი; ხარჯები: \$5.017 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$7.439 მილიარდი;

საექსპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 33%, ხე-ტყე და ქალაქი 15%, საფეიქრო ნაწარმი 14%, საკვები პროდუქტები 8%, ავეჯი 7%, ლითონები, ქიმიური პროდუქტები (2001).

ექსპორტის პარტნიორები: ფინეთი 23.1%, შვედეთი 15.3%, გერმანია 8.4%, ლატვია 7.9%, რუსეთი 5.7%, ლიტვა 4.4% (2004).

იმპორტი: \$9.189 მილიარდი;

საიმპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 33%, ქიმიური პროდუქტები 11.6%, საფეიქრო ნაწარმი 10.3%, საკვები პროდუქტები 9.4%, სატრანსპორტო აღჭურვილობა 8.9% (2001).

იმპორტის პარტნიორები: ფინეთი 22.1%, შვედეთი 9.7%, გერმანია 12.9%, ლატვია 4.7%, რუსეთი 9.2%, ლიტვა 5.3% (2004).

საგარეო ვალი: \$10.9 მილიარდი (2005).

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$108 მილიონი (2000).

ვალუტა: ესტონური კრონი (EEK).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ესტონეთის კონსტიტუციონალიზმის ისტორიის გამოირჩევა კონსტიტუციების სიმრავლით. ფორმალურად, ესტონეთის პირველ კონსტიტუციად ითვლება 1919 წლის 4 ივნისს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ესტონეთის დროებითი კონსტიტუცია, თუმცა, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე იგი არ ამოქმედებულა. შემდგომ 1920 წლის 15 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა 1920 წლის 21 დეკემბერს. იგი აგებული იყო შვეიცარიულ მოდელზე, რომლის თანახმად იქმნებოდა საპარლამენტო რესპუბლიკა, არ არსებობდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა და მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები გადაცემული ჰქონდა მთავრობასა და მის თავმჯდომარეს. მთავრობა იყო კოალიციური და მოკლევადიანი ორგანო. საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა პროპორციული სისტემით. უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან გათვალისწინებული იყო რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა (სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ჰქონდა 25 ათას ამომრჩეველს).

შემდგომი კონსტიტუცია, რომელიც 1920 წლის კონსტიტუციის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენდა, მიღებულ იქნა რეფერენდუმზე 1933 წლის 14-16 ოქტომბერს. იგი სრულიად ცვლიდა მმართველობის ფორმას და ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა სახელმწიფოს მეთაურს. მას საკუთარი დეკრეტით სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების უფლებაც კი გააჩნდა. ეს ყოველივე სახელმწიფოს მეთაურს დიქტატორული უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას აძლევდა.

1937 წლის 28 ივლისის კონსტიტუციის შემუშავებაში, რომელიც ეროვნულმა კრებამ პლებისციტის შედეგების გათვალისწინებით მიიღო, მონაწილეობდნენ ქვეყნის გამოჩენილი იურისტები. ამ კონსტიტუციამ გარკვეულწილად გაართულა სახელმწიფო სისტემა, გაზარდა პროცედურებისა და დაწესებულებათა რიცხვი, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ბერკეტი მაინც პრეზიდენტის ხელში დატოვა.

გარდა ამისა, ესტონეთში მოქმედებდა კიდევ ერთი – 1938 წლის კონსტიტუცია და ორი სიციალისტური ტიპის – 1940 და 1978 წლების კონსტიტუციები.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ესტონეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1988 წელს დაიწყო. 1990 წელს უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან ერთად ჩატარდა ესტონეთის კონგრესის არჩევნები, რის შედეგად ეს უკანასკნელი ეროვნული ძალებით დაკომპლექტდა. 1990 წლის 30 მარტს მიღებულ იქნა უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„ესტონეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, რომელმაც ბათილად გამოაცხადა სსრკ კანონების უზენაესობა და მათი მოქმედება რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევად სცნო. 1991 წლის 20 აგვისტოს ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ“ ითვალისწინებდა ასევე ესტონეთის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად საკონსტიტუციო კომისიის შექმნას. მის შემადგენლობაში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი როგორც უმაღლესი საბჭოს, ისე ესტონეთის კონგრესის წევრები. მის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი მიღებულ იქნა რეფერენდუმზე 1992 წლის 28 ივნისს და ძალაში შევიდა 1992 წლის 3 ივლისს.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციას არ ახლავს გარდამავალი დებულებების შესახებ თავი, სადაც მითითებული იქნებოდა კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ გასატარებელი ღონისძიებები. მის მაგიერ კონსტიტუციასთან ერთად რეფერენდუმზე მიღებულ იქნა კანონი „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“, სადაც განისაზღვრა კონსტიტუციის ძალაში შესვლის, იმ დროისთვის მოქმედი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების ამოწურვის და ახალი არჩევნების ჩატარების ვადები, ასევე, კონსტიტუციით გათვალისწინებული ხმათა გარკვეული რაოდენობების, მაგალითად, „ორი მესამედის“, „ოთხი მეხუთედის“ და ა.შ. განმარტება და კონსტიტუციის ნორმებისგან განსხვავებული საგამონაკლისო დროებითი ნორმები. აქვე განისაზღვრა რეფერენდუმზე მიღებიდან 3 წლის განმავლობაში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის განსხვავებული წესი. სახელმწიფო კრებას უფლება ჰქონდა სახელმწიფო კრების შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, დაჩქარებული წესით, კონსტიტუციაში შეეტანა ცვლილებები. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღებოდა „მომხრე“ ხმათა უმრავლესობით. ამ პერიოდში სახალხო ინიციატივის სახით კონსტიტუციური ცვლილებების საკითხის აღძვრის უფლება ჰქონდა ხმის უფლების მქონე 10 000 მოქალაქეს. თუმცა, არც ამ პერიოდში და არც შემდგომ კონსტიტუციაში არცერთი ცვლილება არ ყოფილა შეტანილი.

ესტონეთის კონსტიტუციის მიღებიდან 3 წლის შემდეგ მისი გადასინჯვის მექანიზმი გართულებულ პროცედურებს ითვალისწინებს, რაც მისი სიმყარის უმნიშვნელოვანესი გარანტია. კონსტიტუციის გადასინჯვის სამი სახე არსებობს: რეფერენდუმის გზით, ზედიზედ ორი მოწვევის პარლამენტის მიერ და ეროვნული კრების მიერ სასწრაფო საკითხის წესით. შესწორებების შეტანის საკითხის აღძვრის უფლება აქვს ეროვნული კრების წევრთა 1/5-ს ან პრეზიდენტს. კანონპროექტის სარეფერენდუმოდ გატანისათვის საჭიროა ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის 3/5-ის თანხმობა, რის შემდეგ რეფერენდუმი უნდა გაიმართოს არანაკლებ 3 თვის ვა-

დაში. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ნიშნებს ეხება – პირველი თავი („ზოგადი დებულებები“) და XV თავი („კონსტიტუციური შესწორებები“) შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

კონსტიტუციური შესწორებების შეტანის მეორე სახის მიხედვით, კანონპროექტი ეროვნული კრების მიერ განიხილება სამი მოსმენით, ამასთან, პირველ და მე-2 მოსმენას შორის პერიოდი არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები, ხოლო მე-2 და მე-3 მოსმენებს შორის – 1 თვეზე ნაკლები. კონსტიტუციის შეცვლის წესი წყდება მე-3 მოსმენის დროს. კონსტიტუციურმა პროექტმა უნდა მიიღოს ეროვნული კრების უმრავლესობის მხარდაჭერა. თუ ეროვნული კრების შემდეგი შემადგენლობა პირველი მოსმენით წევრთა 3/5-ის ხმათა უმრავლესობით ცვლილებების გარეშე მიიღებს წინა მოწვევის ეროვნული კრების უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ კონსტიტუციურ შესწორებებს, ისინი მიღებულად ჩაითვლება.

კონსტიტუციური შესწორების შესახებ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული კრების წევრთა 4/5-ის ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში, კონსტიტუციური შესწორების შესახებ კანონი მიიღება ეროვნული კრების წევრთა 2/3-ით.

გარდა ამისა, გადასინჯვისთვის დაწესებულია გარკვეული შეზღუდვებიც: კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკითხის აღძვრა და კონსტიტუციის შეცვლა არ შეიძლება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; შესწორებების თემა ერთსა და იმავე საკითხზე არ შეიძლება დაყენებულ იქნეს 1 წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც რეფერენდუმზე ან ეროვნული კრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი უარყოფის თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციური შესწორებების ძალაში შესვლისთვის გარკვეული ვადაა დაწესებული: იგი ძალაში შედის მასში მითითებულ ვადაში, მაგრამ მისი გამოქვეყნებიდან არაუადრეს 3 თვისა.

კონსტიტუციის ანალიზი. ესტონეთის კონსტიტუცია ტიპოლოგიურად განეკუთვნება კონსტიტუციური აქტების პოსტ-სოციალისტურ მოდელებს. იგი შედგება პრეამბულის, 15 თავისა და 168 მუხლისგან. კონსტიტუციის ერთი მესამედი – 47 მუხლი ეთმობა ადამიანის უფლებებს, რაც ამ საკითხების მიმართ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

კონსტიტუციის თანახმად, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნული, რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, აგრეთვე ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის ან სხვა გარემოებების გამო. კონსტიტუციაში ჩამოთვლილი და განმტკიცებულია ადამიანის

ყველა ის პირადი და სოციალურ-ეკონომიკური ძირითადი უფლება და თავისუფლება, რაც დამახასიათებელია თანამედროვე კონსტიტუციონალიზმისთვის.

ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება. კონსტიტუცია დეტალურად აღწერს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს. ეს შემთხვევები მიმართულია მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელების, დამნაშავეს გამოვლენის, არასრულწლოვანის გამოსწორების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საკუთრება ხელშეუხებელია და თანაბრად არის დაცული. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ქონების ისეთი სახეები, რომელთა საკუთრების უფლებით შეძენაც ესტონეთში აქვთ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეებს, ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს ან ესტონეთის სახელმწიფოს.

ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლება აუცილებელია კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ფარგლებში და უფასოა სახელმწიფო და მუნიციპალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს განათლების სტანდარტებზე. უნივერსიტეტები და სასწავლო დაწესებულებები კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობენ ავტონომიით.

ყოველ ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და აზრის თავისუფლება. ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებებისადმი მიკუთვნება თავისუფალია. სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს. ყველას აქვს უფლება, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან პირადად შეასრულოს რელიგიური წეს-ჩვეულებები, თუ ეს ზიანს არ აყენებს საზოგადოებრივ წესრიგს, ჯანმრთელობას ან ზნეობას.

ესტონეთის სახელმწიფო ენა არის ესტონური. სახელმწიფო დაწესებულებებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში სამართალწარმოება ხორციელდება ესტონურ ენაზე. რეგიონებში, სადაც ესტონური ენა არ წარმოადგენს მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენას, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ შიდა საქმისწარმოება განახორციელონ მოცემულ რეგიონში მუდმივ მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენაზე. უცხო ენების, ასევე ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენების საკითხს სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სასამართლო და სასამართლომდელი წარმოების პროცესში განსაზღვრავს კანონი.

ასევე ხაზგასმულია, რომ კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები არ გამორიცხავენ სხვა უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს

კონსტიტუციის არსიდან და შესაბამისობაში არიან სოციალური და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანური ღირსების განმსაზღვრელ პრინციპებთან.

ძირითად კანონში ფორმულირებული ყველა უფლება თანაბრად ვრცელდება როგორც ესტონეთის მოქალაქეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. ეს ეხება პირად და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. თუმცა, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს მათთვის სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის კონკრეტული შემთხვევები. უფლებათა თანასწორობა არ ეხება პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რის თაობაზე კონკრეტული მუხლები კონსტიტუციის სხვადასხვა თავებშია მოცემული. მაგალითად, საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ ესტონეთის მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან. ხმის უფლება არ გააჩნიათ ესტონეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ. ამასთან, ეს უფლება კანონით შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს განაჩენით სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი ესტონეთის მოქალაქეებისთვისაც. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობებს იკავებენ ესტონეთის მოქალაქეები. თუმცა, კანონმა შეიძლება დაუშვას გამონაკლისი და ეს თანამდებობები დაიკავონ ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა.

კონსტიტუცია საკმაოდ ზოგადად ეხება იურიდიულ პირთა უფლებებს, რამდენადაც აღნიშნავს, რომ ძირითად კანონში ჩამოთვლილი ყველა უფლება, თავისუფლება და ვალდებულება ვრცელდება იურიდიულ პირებზე იმდენად, რამდენადაც ეს შესაბამეა იურიდიული პირების საერთო მიზნებს და ასეთი უფლებების, თავისუფლებებისა და ვალდებულებების არსს.

უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ეს შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის და არ უნდა იწვევდეს უფლებებისა და თავისუფლებების არსის დამახინჯებას.

კონსტიტუცია იზილავს მოქალაქეობის შესახებ ძირითად საკითხებსაც. ყოველ ბავშვს, რომლის ერთ-ერთი მშობელი ესტონეთის მოქალაქეა, უფლება აქვს იყოს დაბადებით ესტონეთის მოქალაქე. ყოველ პირს, რომელიც სრულწლოვანების მიღწევაზე დაკარგავს ესტონეთის მოქალაქეობას, აქვს მისი აღდგენის უფლება. დაუშვებელია დაბადებით მოპოვებული ესტონეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა და მოქალაქეობის ჩამორთმევა შეხედულებების გამო. ესტონეთიდან მისი მოქალაქის გაბეჭება და ესტონეთში დასახლებაზე წინააღმდეგობის გაწევა, ასევე უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემ-

თხვევებისა. გადაწყვეტილებას მოქალაქის გადაცემის შესახებ იღებს მთავრობა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეროვნული უმცირესობის უფლებებს. აღნიშნულია, რომ ყველას აქვს თავისი ეროვნულობის შენარჩუნების უფლება. ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ ეროვნული კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ავტონომიის შესახებ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, შექმნან თვითმმართველობითი დაწესებულებები. რეგიონებში, სადაც მუდმივ მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს, ყველას აქვთ უფლება სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და თანამდებობის პირებიდან პასუხი მიიღოს ეროვნული უმცირესობის ენაზეც.

ესტონეთში უმაღლესი ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, რომელიც მას ახორციელებს ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მეშვეობით სახელმწიფო კრების არჩევისა და რეფერენდუმის (საერთო-სახალხო კენჭისყრის) გზით. მნიშვნელოვანია, რომ ხალხის შესახებ კონსტიტუციაში ცალკე თავია გამოყოფილი.

სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობისა და სასამართლოების საქმიანობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსირების პრინციპზე დაყრდნობით.

ესტონეთში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს 4 წლის ვადით არჩეული სახელმწიფო კრება, რომელიც შედგება თავისუფალი არჩევნების გზით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი წესით, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე არჩეული 101 დეპუტატისგან. დეპუტატად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ესტონეთის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

სახელმწიფო კრების წევრთა უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან. ამავე დღეს წყდება წინა მოწვევის სახელმწიფო კრების წევრთა უფლებამოსილება. დეპუტატის მანდატი თავისუფალია, იგი შებოჭილი არ არის მანდატით და არ ატარებს იურიდიულ პასუხისმგებლობას სახელმწიფო კრებასა თუ მის ორგანოებში კენჭისყრისა და პოლიტიკური განცხადებებისთვის. კონსტიტუცია მას უკრძალავს ნებისმიერი სხვა სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას. მთავრობის წევრად დანიშნის დროს ესტონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეჩერების ინსტიტუტს. ეს უფლებამოსილება აღდება მთავრობის წევრობიდან გათავისუფლებისას. აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების შეჩერების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არჩევნები არ ტარდება, არამედ მის ადგილს იკავებს რეზერვში მყოფი დეპუტატი, რომელიც წინასწარ აირჩევა. რეზერვისტი პარლამენტარი ფლობს სახელმწიფო კრების

წვერის ყველა უფლებებსა და ვალდებულებებს. სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილების აღდგენისას რეზერვისტი პარლამენტარის უფლებამოსილება წყდება.

სახელმწიფო კრება განეკუთვნება შედარებით განსაზღვრული უფლებამოსილების მქონე პარლამენტების რიცხვს. კონსტიტუციაში ჩამოთვლილია უფლებამოსილებათა გარკვეული წრე, თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ იგი წყვეტს სახელმწიფო ცხოვრების სხვა საკითხებს, რომლებიც კონსტიტუციით არ განეკუთვნება პრეზიდენტის, მთავრობის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას. სახელმწიფო კრების უფლებამოსილება და შიდასაპროცედურო საკითხები დეტალურად განისაზღვრება კანონით „სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ“.

სახელმწიფო კრების წევრი სარგებლობს ხელშეუხებლობით. მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით. წევრთა მატერიალურ ანაზღაურებასთან და სხვა შრომითი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია, რომ ისინი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ახალი მოწვევის სახელმწიფო კრების მიერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური. იგი წარმოადგენს ესტონეთს საერთაშორისო ურთიერთობებში; მთავრობის წინადადებით ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს ესტონეთში აკრედიტებულ დიპლომატიურ წამომადგენლობათა რწმუნების სიგელებს; ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის წევრებს; სახელმწიფო კრებაში შედის წინადადებით სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, სახელმწიფო კონტროლიორის, იუსტიციის კანცლერის და თავდაცვის ძალების სარდლის ან მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშნავსთან დაკავშირებით; ესტონეთის ბანკის საბჭოს წინადადებით ნიშნავს ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს; მთავრობისა და თავდაცვის ძალების სარდლის წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავდაცვის ძალების სარდლობას; ხელმძღვანელობს ესტონეთის სახელმწიფო თავდაცვას და სხვ.

პრეზიდენტის თანამდებობაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს არანაკლებ 40 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ესტონეთის მოქალაქე. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ. მას ირჩევენ სახელმწიფო კრება წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს სახელმწიფო კრების წევრთა არანაკლებ 1/5-ს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიი-

ღებს ხმათა სასურველ რაოდენობას, ტარდება კენჭისყრის მეორე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურიც. საკითხის სწრაფად გადაწყვეტის მიზნით ეს ტურები ტარდება მეორე დღეს. თუ აღნიშნულ ტურებშიც ვერ აირჩა პრეზიდენტი, ესტონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორიგინალურ ფორმას – სახელმწიფო კრების თავმჯდომარე პრეზიდენტის ასარჩევად ერთთვიან ვადაში იწვევს ამომრჩეველთა კოლეგიას, რომელიც შედგება სახელმწიფო კრების წევრების, ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების თავმჯდომარეებისა და საბჭოების მიერ არჩეული არანაკლებ თითო წარმომადგენლისაგან. კოლეგია პრეზიდენტს ირჩევს ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტობის იმ ორი კანდიდატიდან, რომლებმაც სახელმწიფო კრებაში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება უკიდურეს შემთხვევაში აქვს ამომრჩეველთა კოლეგიის 21 წევრს. თუ პირველ ტურში კანდიდატი ვერ აირჩევა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს. პრეზიდენტის არჩევის ამგვარი წარმომადგენლობითი და ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს გარანტს.

პრეზიდენტს თანამდებობის დაკავებისას უწყდება ყველა უფლება და ვალდებულება სხვა ასარჩევ თუ დასანიშნ თანამდებობებზე, ასევე ჩერდება მისი პოლიტიკური პარტიის წევრობაც.

პრეზიდენტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემა მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით, თუმცა, კონსტიტუცია პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს არ ითვალისწინებს.

სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას; მიმართულებას აძლევს და კოორდინაციას უწევს სამთავრობო დაწესებულებებს; ორგანიზებას უწევს კანონებისა და სხვა აქტების შესრულებას. ესტონეთის მთავრობას გააჩნია ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურისთვის მიკუთვნებული ფუნქციები: იგი სახელმწიფო კრებას რატიფიცირებისა და დენონსირებისთვის წარუდგენს უცხო ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებს, ასევე ორგანიზებას უწევს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

მთავრობის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს მთავრობას და ხელმძღვანელობს მის საჭიროებას. იგი ასევე ნიშნავს ორ მინისტრს, რომლებსაც უფლება აქვთ შეცვალონ პრემიერ-მინისტრი მისი არყოფნისას. პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრის წარდგინებით დანიშნოს ის მინისტრები, რომელთა ფუნქციაში არ შედის კონკრეტული სამინისტროს ხელმძღვანელობა.

მთავრობის ფორმირება ხდება შემდეგი გზით: მთავრობის გადადგომიდან 14 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, რომელსაც ავალებს ახალი მთავრობის ფორმირებას. იგი დავალების მიღებიდან 14 დღის ვადაში სახელმწიფო კრებას წარუდგენს ანგარიშს მომავალი მთავრობის ფორმირების საფუძვლების შესახებ, რის შემდეგაც სახელმწიფო კრება ღია კენჭისყრით დებატების გარეშე ღებულობს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისათვის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში, პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, რომელიც 3 დღის ვადაში ნიშნავს მთავრობას. დანიშნული მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები ხორციელდება პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

კონსტიტუცია ღებულებს მთავრობის გადადგომის შემთხვევებს, ესენია: სახელმწიფო კრების ახალი შემადგენლობის მოწვევა, პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან გარდაცვალება, სახელმწიფო კრების მიერ მთავრობისათვის ან პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება.

სახელმწიფო კრებას უფლება აქვს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს გამოუცხადოს უნდობლობა, თუ ამას მხარს დაუჭერს დეპუტატთა უმრავლესობა. ამ საკითხის აღძვრის უფლება აქვს დეპუტატთა არანაკლებ 1/5-ს. მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის მიმართ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტს მთავრობის წინადადებით შეუძლია 3 დღის ვადაში დანიშნოს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები, ხოლო მინისტრის მიმართ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში სახელმწიფო კრება აცნობებს პრეზიდენტს, რომელიც თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრს.

გარდა უნდობლობისა, გათვალისწინებულია ასევე მთავრობის ინიციატივით ნდობის გამოცხადების ინსტიტუტიც. თუ სახელმწიფო კრების მიერ აღნიშნული პროექტი არ იჭება მიღებული, მთავრობა გადადგება.

მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა სახელმწიფო თანამდებობა ან შედიოდეს საწარმოს მმართველ ან საზედამხებდველო ორგანოში. აღსანიშნავია, რომ მთავრობის წევრებს უფლება აქვთ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო კრებისა და მისი კომისიების სხდომებში.

კონსტიტუციაში ცალკე თავი ეთმობა კანონმდებლობას. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: სახელმწიფო კრების წევრებს, სახელმწიფო კრების ფრაქციებს, სახელმწიფო კრების კომისიებს, რესპუბლიკის მთავრობას, ასევე, კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხებზე, რესპუბლიკის პრეზი-

დენტს. კონსტიტუცია რამდენიმე კანონს სხვა კანონებზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამომწურავად ჩამოთვლის ამ კანონთა ჩამონათვალს (სულ 17 კანონს), რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობით მიიღება. მათ შორის აღსანიშნავია: კანონი „მოქალაქეობის შესახებ“, კანონი „სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ“, კანონი „რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“, კანონი „სამინაო და საგარეო სესხის, ასევე სახელმწიფოს ქონებრივი ვალდებულებების შესახებ“ და სხვ.

სახელმწიფო კრებას უფლება აქვს კანონპროექტი ან სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი გაიტანოს რეფერენდუმზე, სადაც გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებები სახელმწიფო ორგანოებისთვის სავალდებულოა. ზოლო იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმზე გატანილი კანონპროექტი ვერ მიიღებს „მომხრე“ ხმათა უმრავლესობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს. დაუშვებელია კონსტიტუციით განსაზღვრული ზოგიერთი კატეგორიის საკითხთა რეფერენდუმზე გატანა.

ესტონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს საპრეზიდენტო ვეტოს გამოყენების განსხვავებულ მექანიზმს, რომელიც არა გადალახვაში, არამედ ხელახლა მიღებაში გამოიხატება. პრეზიდენტი კანონის გადაცემიდან 14 დღის ვადაში მოტივირებულ გადაწყვეტილებასთან ერთად უბრუნებს სახელმწიფო კრებას ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. თუ სახელმწიფო კრება დაბრუნებულ კანონს მიიღებს ცვლილებების გარეშე, პრეზიდენტი ან აქვეყნებს კანონს ან მიმართავს სახელმწიფო სასამართლოს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის წინადადებით. თუ სახელმწიფო სასამართლო ცნობს კანონს კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტი აქვეყნებს კანონს.

ქვეყნის თავდაცვას მეთაურობს პრეზიდენტი. ესტონეთის თავდაცვის ძალებსა და თავდაცვის სახელმწიფო ორგანიზაციებს შვეიდობიანობის დროს ხელმძღვანელობს თავდაცვის ძალების სარდალი, ზოლო ომიანობის დროს — თავდაცვის ძალების მთავარსარდალი. თავდაცვის ძალების სარდალსა და მთავარსარდალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კრება პრეზიდენტის წარდგინებით.

ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო კონტროლის სამსახური, რომელიც თავისი საქმიანობის სფეროში წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს. იგი ამოწმებს სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობას. მას ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელსაც პრეზი-

დენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კრება 5 წლის ვადით.

ესტონეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებაა ასევე იუსტიციის კანცლერის თანამდებობის არსებობა, რომელიც თავის საქმიანობაში წარმოადგენს დამოუკიდებელ თანამდებობის პირს და ახორციელებს ზედამხედველობას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობაზე. თუ იუსტიციის კანცლერი დაასკვნის, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს, ის სთავაზობს აქტის მიმღებ ორგანოს 20 დღის ვადაში მოიყვანოს იგი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან ან კანონთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიმართავს სახელმწიფო სასამართლოს აქტის იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადების თაობაზე. იგი ასევე აანალიზებს საკანონმდებლო წინადადებებს და აუცილებლობის შემთხვევაში წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო კრებას. გარდა ამისა, გააჩნია მაღალი თანამდებობის პირების, კერძოდ, სახელმწიფო კრების წევრის, პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, სახელმწიფო კონტროლიორის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახელმწიფო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის ინიციატივის უფლება. საბოლოო გადაწყვეტილებას კი სახელმწიფო საბჭო იღებს.

იუსტიციის კანცლერს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო კრება. მისი თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. იგი სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც აღჭურვილია მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობისას და შეუძლია სათათბირო ხმის უფლებით სახელმწიფო კრებისა და მთავრობის სხდომებში მონაწილეობის მიღება. იუსტიციის კანცლერი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ პრეზიდენტის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოებს მიერ. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე. მოსამართლის გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. სასამართლო სისტემაში შედიან: საგრაფო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები; საოლქო სასამართლოები; სახელმწიფო სასამართლო. ზოგიერთი კატეგორიის სასამართლო საქმეთა განმხილველი სპეციალური სასამართლოების შექმნის წესი განისაზღვრება კანონით. საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია.

საგრაფო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები წარმოადგენენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს, საოლქო სასამართლოები – მე-2 ინსტანციის სასამართლოებს, რომლებიც სააპელაციო წესით განიხილავენ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ხოლო სახელმწიფოს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს სახელმწიფო სასამართლო, რომელიც საკასაციო წესით განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო სასამართლო ამავდროულად წარმოადგენს კონსტიტუციური ზედამხედველობის სასამართლოსაც. იგი იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს ნებისმიერ კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტს, თუ ის ეწინააღმდეგება არა მხოლოდ კონსტიტუციის დებულებებს, არამედ მის არსსაც.

სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო კრების მიერ პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო წევრები – სახელმწიფო კრების მიერ სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. სხვა მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სასამართლოს წარდგინებით.

სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით ესტონეთი უნიტარული სახელმწიფოა, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განისაზღვრება კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ თემები და ქალაქები. ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები შეიძლება შეიქმნას კანონით დადგენილი წესითა და საფუძველით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო, რომელიც აირჩევა თავისუფალ არჩევნებზე საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით. ამ ორგანოთა არჩევნებში გაფართოებულია აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა წრე და ამ უფლებით სარგებლობენ არა მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეები, არამედ შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 18 წლის ასაკს მიღწეული სხვა პირებიც.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ესტონეთის კონსტიტუციას მრავალი განსაკუთრებული თავისებურება გააჩნია. მათ შორის აღსანიშნავია:

– თავისებურებით გამოირჩევა, პირველ რიგში, კონსტიტუციის სტურქტურა, მასში ცალკე თავებად არის გამოყოფილი ხალხი, კანონმდებლობა, საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო ხელშეკრულებები;

– უფლებებისა და თავისუფლებების თავში განხილულია მხოლოდ პირადი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ხოლო პოლიტიკური უფლებების შესახებ ნორმები განმტკიცებულია კონსტიტუციის სხვადასხვა თავებში;

– ესტონეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენაა ესტონური, თუმცა რეგიონებში, სადაც ესტონური ენა არ წარმოადგენს მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენას, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ შიდა საქმისწარმოება განახორციელონ მოცემულ რეგიონში მუდმივ მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენაზე;

– თავისებურია პრეზიდენტის უფლებამოსილება. მას არ გააჩნია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის გაძევების, მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტის, უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილება. ამ უფლებების ნაწილი მთავრობის ხელშია;

– უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სახელმწიფო კრება საკმაოდ მცირერიცხოვანია – იგი შედგება 101 წევრიდან, ამასთან, წევრები აირჩევიან 21 წლის ასაკიდან, ახალარჩეული სახელმწიფო კრების უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან;

– დეპუტატის მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისას მისი უფლებამოსილება ჩერდება და აღდგება აღნიშნული თანამდებობის დატოვებისას. ამ პერიოდში კი მის ადგილს იკავებს დუბლიორი დეპუტატი, რომელიც საყოველთაო არჩევნებისას არის არჩეული;

– თავისებურებები არსებობს პრეზიდენტის არჩევის წესსა და პირობებშიც. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით ესტონეთის მოქალაქე 40 წლის ასაკიდან. მას ირჩევს საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ მის მიერ აურჩევლობის შემთხვევაში იქმნება სახელმწიფო კრების წევრთა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთაგან ფორმირებული ამომრჩეველთა კოლეგია, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს;

– ესტონეთში შემოღებულია იუსტიციის კანცლერის თანამდებობა, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობაზე. ასევე მას გააჩნია მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ინიციატივის უფლება;

– ესტონეთში არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის დამოუკიდებელი ორგანო, ამ უფლებამოსილებას ახორციელებს უმაღლესი სასამართლო ორგანო – სახელმწიფო სასამართლო. იგი იზილავს არა მხოლოდ კონსტიტუციის დებულებებთან, არამედ მის არსთან შესაბამისობას საკითხსაც;

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლება გააჩნიათ თვითმმართველობის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებსაც;

– თავისებურია კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმიც. იგი სხვადასხვა პროცედურებს მოიცავდა კონსტიტუციის მიღებიდან 3 წლის მანძილზე და

შემდგომ. ამჟამად მოქმედი გადასინჯვის მექანიზმიც რამდენიმე სახეს ითვალისწინებს: კონსტიტუციის გადასინჯვას რეფერენდუმის გზით, ზედიზედ ორი მოწვევის პარლამენტის მიერ და ეროვნული კრების მიერ სასწრაფო საკითხის წესით.

ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია¹

მიღებულია 1992 წლის 28 ივნისის რეფერენდუმზე

ესტონელი ხალხი, გამოთქვამს რა ურყევ რწმენასა და ნებას გააძლიეროს და განავითაროს სახელმწიფო, რომელიც შექმნილია ხალხის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის მუდმივ უფლებაზე და განმტკიცებულია 1918 წლის 24 თებერვლის რეფერენდუმზე;

რომელიც ეყრდნობა თავისუფლებას, სამართლიანობასა და სამართალს, რომელიც იცავს ქვეყნის შიდა და მსოფლიოს მშვიდობას, ასევე საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველს და არსებული და მომავალი თაობებისთვის საერთო სარგებელს,

რომელიც მოწოდებულია, საუკუნოდ უზრუნველყოს ესტონეთის ერისა და კულტურის შენარჩუნება,

1992 წლის 28 ივნისს, 1938 წლის ძირითადი კანონის პირველი მუხლის საფუძველზე საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით ღებულობს შემდეგ კონსტიტუციას.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ესტონეთი არის თვითმყოფადი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სადაც უმაღლესი ხელისუფლების წყაროს ხალხი წარმოადგენს.

ესტონეთის თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა წარუვალი და ხელშეუკალია.

მუხლი 2. ესტონეთის სახელმწიფო ტერიტორია, ტერიტორიული წყლები და საჰაერო სივრცე ერთიანი და განუყოფელია.

სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით, ესტონეთი უნიტარული სახელმწიფოა, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 3. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციისა და მის შესაბამისობაში მყოფი კანონების საფუძველზე. საერთა-

¹ თარგმანისას გამოყენებულია ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.president.ee/en/estonia/constitution.php გამოქვეყნებული ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი და მისამართზე: www.auditorium.ru/books/116/Estonia/01.html#snos გამოქვეყნებული, 1992 წელს ტალინში გამოცემული მისი ოფიციალური რუსულენოვანი ტექსტი.

შორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები ესტონეთის სამართლებრივი სისტემის ხელშეუვალი ნაწილია.

კანონების გამოქვეყნება ხდება დადგენილი წესით. შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ გამოქვეყნებული კანონები.

მუხლი 4. სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობისა და სასამართლოების საქმიანობა ხორციელდება ხელი-სუფლების დანაწილებისა და ბალანსირების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 5. ესტონეთის წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

მუხლი 6. ესტონეთის სახელმწიფო ენა არის ესტონური.

მუხლი 7. ესტონეთის სახელმწიფო ფერებია: ლურჯი, შავი და თეთრი. სახელმწიფო დროშისა და გერბის ფორმას ადგენს კანონი.

თავი II. ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები

მუხლი 8. ყოველ ბავშვს, რომლის ერთ-ერთი მშობელი არის ესტონეთის მოქალაქე უფლება აქვს იყოს დაბადებით ესტონეთის მოქალაქე.

ყოველ პირს, რომელიც სრულწლოვანების მიღწევამდე დაკარგავს ესტონეთის მოქალაქეობას, აქვს მისი აღდგენის უფლება.

დაუშვებელია დაბადებით მოპოვებული ესტონეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა.

დაუშვებელია ესტონეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეხედულებების გამო.

ესტონეთის მოქალაქეობის მოპოვების, დაკარგვისა და აღდგენის წესი განისაზღვრება მოქალაქეობის შესახებ კანონით.

მუხლი 9. ძირითად კანონში ჩამოთვლილი ყველა უფლება, თავისუფლება და ვალდებულება თანაბრად ვრცელდება, როგორც ესტონეთის მოქალაქეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

ძირითად კანონში ჩამოთვლილი ყველა უფლება, თავისუფლება და ვალდებულება ვრცელდება იურიდიულ პირებზე იმდენად, რამდენადაც ეს შეესა-

ბამება იურიდიული პირების საერთო მიზნებს და ასეთი უფლებების, თავისუფლებებისა და ვალდებულებების არსს.

მუხლი 10. მოცემულ თავში ჩამოთვლილი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები არ გამოირიცხავენ სხვა უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის არსიდან და შესაბამისობაში არიან სოციალური და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანური ღირსების განმსაზღვრელ პრინციპებთან.

მუხლი 11. უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ეს შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის და არ უნდა იწვევდნენ უფლებებისა და თავისუფლებების არსის დამახინჯებას.

მუხლი 12. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნული, რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, აგრეთვე ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის ან სხვა გარემოებების გამო.

ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური შუღლის გაჩაღება, ძალადობა და დისკრიმინაცია იკრძალება და ისჯება კანონით. ასევე იკრძალება და კანონით ისჯება საზოგადოების ფენებს შორის შუღლის გაჩაღება, ძალადობა და დისკრიმინაცია.

მუხლი 13. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცულ იქნეს სახელმწიფოსა და კანონის მხრიდან.

კანონი იცავს ყველას სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისაგან.

მუხლი 14. უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ვალდებულებაა.

მუხლი 15. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყველას შეუძლია სასამართლოში თავისი საქმის განხილვისას მოითხოვოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის წარმოდგენა და კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედება.

სასამართლო თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის შესრულებას და ნებისმიერ კანონს, სამართლებრივ აქტს ან მოქმედებას, რომლითაც ირღვევა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები ან რომლებიც სხვა სახით ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, აღიარებს კონსტიტუციის შეუსაბამოდ.

მუხლი 16. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ამ უფლებას იცავს კანონი. სიცოცხლის თვითნებურად აღკვეთა დაუშვებელია.

მუხლი 17. დაუშვებელია პირის პატივისა და ღირსების ხელყოფა.

მუხლი 18. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება.

არავის, მისი ნების წინააღმდეგ არ შეიძლება ჩაუტარდეს სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტი.

მუხლი 19. ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას, ასევე ვალდებულებების შესრულებისას პირი ვალდებულია პატივი სცეს და გაითვალისწინოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე დაიცვას კანონები.

მუხლი 20. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება.

ადამიანს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში:

1. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ან სასამართლოს მიერ დაკავების შეფარდებისას;

2. სასამართლოს განკარგულების შესრულებლობის ან კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

3. დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით მისი შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში მოთავსებით, ან მიმალვის მცდელობის თავიდან აცილების მიზნით;

4. არასრულწლოვანზე პედაგოგიური ზედამხედველობის დასაწესებად, ან მისი კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში მოსათავსებლად, მსგავსი ზედამხედველობის დაწესების პრობლემის მოგვარების მიზნით;

5. ინფექციურად დაავადებული პირის, სულიერად ავადმყოფის, ალკოჰოლით დაავადებულის ან ნარკომანის დასაკავებლად, თუ ის საკუთარი თავისა და საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს;

6. ესტონეთში პირთა უკანონოდ დამკვიდრების აღსაკვეთად, ესტონეთიდან პირის გასაძევებლად ან უცხო სახელმწიფოსთვის გადასაცემად.

არავის არ შეიძლება აღკვეთოს თავისუფლებები მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მას არ შეუძლია რაიმე ხელშეკრულებითი ვალდებულების შესრულება.

მუხლი 21. თავისუფლებაზე ზღუდულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველები, ასევე მიეცეს უფლება თავისუფლების აღკვეთის შესახებ აცნობოს მის ახლობლებს. დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ადვოკატი და შეხვედეს მას. დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის უფლება, შეატყობინოს ახლობლებს თავისუფლების აღკვეთის შესახებ, იზღუდება კანონით დადგენილ შემთხვევებში, საგამოძიებო მოქმედებების დროს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

დაუშვებელია პირის დაკავება 48 საათზე მეტი ხნით სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. დაკავებულს სასამართლო გადაწყვეტილება ეცნობება დაუყოვნებლივ მისთვის გასაგებ ენაზე.

მუხლი 22. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული სისხლის სამართალწარმოებაში ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან თავის ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება.

მუხლი 23. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტისათვის სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

არავის არ შეიძლება შეეფარდოს იმაზე მძიმე სასჯელი, რომელიც შეიძლება მას შეეფარებოდა სამართალდარღვევის ჩადენის დროისათვის. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდგომ კანონით დადგენილ იქნა სასჯელის უფრო მსუბუქი ზომა, გამოიყენება სასჯელის მსუბუქი ზომა.

არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

მუხლი 24. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება. ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მისი საქმის სასამართლო განხილვის პროცესში.

სასამართლოს სხდომები ღიაა. სახელმწიფოებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის, პიროვნების პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, ან თუ ამას ითხოვს არასრულწლოვანის, დაზარალებულის ან სამართალწარმოების ინტერესები კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში სასამართლოს უფლება აქვს სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, გარდა იმ გამონაკლისებისა, როდესაც არასრულწლოვანის, ერთ-ერთი მეუღლის ან დაზარალებულის ინტერესები მოითხოვს საპირისპიროს.

ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

მუხლი 25. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 26. ყველას აქვს ოჯახური და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და მათ თანამდებობის პირებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ პირის ოჯახურ ან პირად ცხოვრებაში, გარდა კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი წესრიგის, სხვა ადამიანთა უფლებების დაცვის, ზნეობრიობის, დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეის დაკავებისათვის.

მუხლი 27. ოჯახი როგორც ხალხის შენარჩუნების და გამრავლების, ასევე საზოგადოების საფუძველი, სარგებლობს სახელმწიფოს დაცვით.

მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები.

მშობლების უფლებასა და ვალდებულებას წარმოადგენს შვილების აღზრდა და მათზე ზრუნვა.

მშობელთა და შვილთა უფლებები დაცულია კანონით.

ოჯახის ვალდებულებაა იზრუნოს ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც დაზარალებას საჭიროებენ.

მუხლი 28. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ესტონეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღოს დახმარება სახელმწიფოსგან მოხუცებულობის, შრომისუუნარობის, მარჩენალის დაკარგვისა და სიღარიბის დროს. დახმარებათა სახეებს, ოდენობას, პირობებსა და რიგითობას ადგენს კანონი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ უფლებით ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

სახელმწიფო ახალისებს ნებაყოფლობით მზრუნველობას და თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ მზრუნველობას.

მრავალშვილიანი ოჯახები, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ადამიანები იმყოფებიან სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ.

მუხლი 29. ესტონეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად აირჩიონ სამუშაო, პროფესია და მუშაობის ადგილი. კანონი ადგენს ამ უფლებით სარგებლობის პირობებსა და წესს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ესტონეთის მოქალაქეთა თანაბარი უფლებით სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

დაუსვენებელია პირის იძულებითი შრომა და სამსახური, გარდა თავდაცვის ძალებში ან მის ალტერნატიულ სამსახურებში მსახურის, ინფექციური დაავადებების გავრცელების აღმოფხვრისათვის სამუშაოების, სტიქიური უბედურების და კატასტროფის დროს, ასევე იმ სამუშაოებისა, რომელთა შესრულებაც ვეალებათ პატიმრებს კანონის საფუძველზე და დადგენილი წესით.

სახელმწიფო ორგანიზებას უწევს პროფესიულ სწავლებას და ეხმარება მსურველებს დასაქმებაში.

სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომის პირობებზე.

დასაქმებულებისა და დასაქმებულთა გაერთიანებებსა და კავშირებში მონაწილეობის უფლება ნებაყოფლობითია. გაერთიანებებსა და კავშირებს უფლება აქვთ დაიცვან საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები კანონით ნებადართული მეთოდებით. გაფიცვის უფლების განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

შრომითი დავების განხილვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30. კანონით დადგენილი საფუძველითა და წესით, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობებს იკავებენ ესტონეთის მოქალაქეები. კანონის შესაბამისად, გამოწვევისის სახით, ეს თანამდებობები შეიძლება დაიკავონ ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა.

კანონით შეიძლება შეიზღუდოს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის უფლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შედიოდეს კომერციულ გაერთიანებებში (მუხლი 31), პარტიებსა და ზოგიერთ არაკომერციულ გაერთიანებებში (მუხლი 48).

მუხლი 31. ესტონეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, შედიოდნენ კომერციულ გაერთიანებებსა და კავშირებში. კანონით შეიძლება დადგინდეს ამ უფლებით სარგებლობის პირობები და წესი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად ამ უფლებით სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

მუხლი 32. საკუთრება ხელშეუხებელია და თანაბრად არის დაცული. მესაკუთრის თანხმობის გარეშე საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, საერთო ინტერესებისათვის, სამართლიანი და დაუყოვნებლივი კომპენსაციით. ყველას, ვისაც საკუთრება ჩამოერთვა მისი ნების საწინააღმდეგოდ, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და გაასაჩივროს ჩამორთმეული საკუთრება, კომპენსაცია ან მისი მოცულობა.

ყველას აქვს საკუთრების თავისუფლად ფლობის, სარგებლობისა და გაქარგვის უფლება. შეზღუდვა განისაზღვრება კანონით. საკუთრების საერთო ინტერესების წინააღმდეგ გამოყენება დაუშვებელია.

საერთო ინტერესებიდან გამომდინარე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ქონების ისეთი სახეები, რომელთა საკუთრების უფლებით შექნაც ესტონეთში აქვთ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეებს, ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს ან ესტონეთის სახელმწიფოს.

მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 33. საცხოვრებელი ხელშეუხებელია. დაუშვებელია პირის საცხოვრებელში, მფლობელობაში ან სამუშაო ადგილას შეჭრა და იქ ჩხრეკის წარმოება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, დამნაშავის დაკავების ან სისხლის სამართალწარმოებაზე ჭეშმარიტების დასადგენად.

მუხლი 34. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ესტონეთში აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება. თავისუფალი მიმოსვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, სტიქიური უბედურობებისა და კატასტროფების დროს, ინფექციური დაავადებების გავრცელების აღკვეთის, გარემოს დაცვისა და სისხლის სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 35. ყველას აქვს ესტონეთიდან გასვლის უფლება. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, სასამართლოში და სასამართლომდე საქმის წარმოებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

მუხლი 36. ესტონეთიდან ესტონეთის მოქალაქის გაძევება და მისთვის ესტონეთში დასახლებაზე წინააღმდეგობის გაწევა დაუშვებელია.

ესტონეთის მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილებას მოქალაქის გადაცემის შესახებ იღებს რესპუბლიკის მთავრობა. ყველას, ვინც ექვემდებარება გადაცემას, შეუძლია გადაცემის ფაქტი გაასაჩივროს ესტონეთის სასამართლოში.

ყველა ესტონელს აქვს ესტონეთში დასახლების უფლება.

მუხლი 37. ყველას აქვს განათლების მიღების უფლება.

სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლება აუცილებელია კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ფარგლებში და უფასოა სახელმწიფო და მუნიციპალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობები ინახავენ საჭირო რაოდენობის სასკოლო დაწესებულებებს. კანონით დასაშვებია სხვა სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის კერძოს შექმნა და შენახვა.

ბავშვებისათვის განათლების ფორმის შერჩევისას ადამიანთა უფლებების სიტყვა.

ყველას აქვს უფლება ისწავლოს ესტონურ ენაზე. სასწავლო დაწესებულებებში ეროვნული უმცირესობისათვის სასწავლო ენას ირჩევს სასწავლო დაწესებულება.

სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს განათლების სტანდარტებზე.

მუხლი 38. მეცნიერება, ხელოვნება, სწავლება თავისუფალია.

უნივერსიტეტები და სასწავლო დაწესებულებები კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობენ ავტონომიით.

მუხლი 39. ავტორი ფლობს განუსხვისებელ უფლებას მის შემოქმედებაზე. საავტორო უფლებებს იცავს სახელმწიფო.

მუხლი 40. ყოველ ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და აზრის თავისუფლება.

ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებებისადმი მიკუთვნება თავისუფალია. სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.

ყველას აქვს უფლება, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან პირადად შეასრულოს რელიგიური წეს-ჩვეულებები, თუ ეს ზიანს არ აყენებს საზოგადოებრივ წესრიგს, ჯანმრთელობას ან ზნეობას.

მუხლი 41. ყველას აქვს უფლება შეინარჩუნოს მისი აზრი და შეხედულება. დაუშვებელია აზრისა და შეხედულებების შეცვლის მიზნით პირის იძულება.

ადამიანის შეხედულებები არ შეიძლება იყოს სამართალდარღვევის ჩადენის გამართლების საფუძველი.

დაუშვებელია შეხედულებების გამო პირის იურიდიულ პასუხისგებაში მიცემა.

მუხლი 42. სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და მათ თანამდებობის პირებს უფლება არ აქვთ ესტონეთის მოქალაქის ნების საწინააღმდეგოდ შეაგროვონ და შეინახონ ცნობები მისი შეხედულებების შესახებ.

მუხლი 43. ყველას აქვს მიმოწერის საიდუმლოების უფლება, რომელიც გადაიცემა ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფონით ან სხვა არსებული საშუალებებით. გამონაკლისები დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით, დანაშაულის თავიდან აცილების, ან სისხლის სამართალწარმოებაზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში.

მუხლი 44. ყველას აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს საყოველთაო გამოყენებისათვის გავრცელებული ინფორმაცია.

ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ადგილობრივი თვითმმართველობა და მათი თანამდებობის პირები ვალდებული არიან კანონით დადგენილი წესით

ესტონეთის მოქალაქის მოთხოვნით მიაწოდოს მას ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემაც იკრძალება კანონით, ასევე რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის.

ესტონეთის მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ არსებულ იმ მონაცემებს, რომლებიც ინახება სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალურ არქივებში. კანონის საფუძველზე ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ბავშვის წარმომავლობის დაფარვის, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების, დამნაშავის დაკავების ან სისხლის სამართალწარმოების პროცესში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტებში მითითებული უფლებებით ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

მუხლი 45. ყველას აქვს უფლება იდუა, აზრი, შეხედულება ან სხვა ინფორმაცია თავისუფლად გაავრცელოს ზეპირად, წერილობით, გამოსახულებით ან სხვაგვარი საშუალებით. ეს უფლება შეიძლება კანონით შეიზღუდოს საზოგადოებრივი წესრიგის, სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების, ჯანმრთელობის, სინდისისა და კარგი რეპუტაციის დაცვის მიზნით. კანონით ეს უფლება შეიძლება ნაწილობრივ შეეზღუდოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების მოსამსახურეებს სახელმწიფოებრივი და კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მდგომარეობით, კონფიდენციალური შეტყობინებით, ასევე ოჯახური, სხვა ადამიანების პირადი ცხოვრებისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 46. ყველას აქვს უფლება მემორანდუმებითა და განცხადებებით მიმართოს სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და მათ თანამდებობის პირებს. პასუხის გაცემის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 47. ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე მშვიდობიანი შეკრებებისა და კრებების გამართვის უფლება. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილ შემთხვევებსა და წესით სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოე-

ბისა და შეკრების მონაწილეთა დაცვის, ასევე ინფექციური დაავადებების გავრცელების აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 48. ყველას აქვს უფლება შევიდეს არაკომერციულ საზოგადოებებსა და კავშირებში. პარტიებში გაწევრიანების უფლება აქვთ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეებს.

ისეთი საზოგადოებებისა და კავშირების შესაქმნელად, რომელთა განკარგულებაში არის იარაღი, ასევე გასამხედროებული საზოგადოებებისა და კავშირების შესაქმნელად, რომლებიც სამხედრო მომზადების პრაქტიკას გადიან, საჭიროა წინასწარი თანხმობა, რომლის გაცემის პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

იკრძალება ისეთი საზოგადოების, კავშირის ან პარტიის შექმნა, რომლის მიზანი და საქმიანობა მიმართულია ესტონეთის კონსტიტუციური წყობილების ძალადობით დამხობისაკენ ან ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მხოლოდ სასამართლოს შეუძლია სამართალდარღვევის არსებობისას საზოგადოების, კავშირის ან პარტიის საქმიანობის შერევა ან აკრძალვა, ასევე ჯარიმის დაკისრება.

მუხლი 49. ყველას აქვს თავისი ეროვნულობის შენარჩუნების უფლება.

მუხლი 50. ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ ეროვნული კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ავტონომიის შესახებ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, შექმნან თვითმმართველობითი დაწესებულებები.

მუხლი 51. ყველას აქვს უფლება სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და მათ თანამდებობის პირებს მიმართოს ესტონურ ენაზე და ამავე ენაზე მიიღოს პასუხი.

რეგიონებში, სადაც მუდმივ მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს, ყველას აქვს უფლება სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და თანამდებობის პირებიდან პასუხი მიიღოს ეროვნული უმცირესობის ენაზეც.

მუხლი 52. სახელმწიფო დაწესებულებებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში სამართალწარმოება ხორციელდება ესტონურ ენაზე.

რეგიონებში, სადაც ესტონური ენა არ წარმოადგენს მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენას, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ კანონ-

ნით განსაზღვრული მოცულობითა და წესით შიდა საქმისწარმოება განა-
ხორციელონ მოცემულ რეგიონში მუდმივ მაცხოვრებელთა უმრავლესობის
ენაზე.

უცხო ენების, ასევე ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენების სა-
კითხს სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სასამართლო და სასამარ-
თლომდელი წარმოების პროცესში განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 53. ყველა ვალდებულია მზრუნველობით მოეპყროს სასიცოცხლო
და ბუნებრივ გარემოს და ანაზღაუროს მის მიერ გარემოსთვის მიყენებული
ზარალი. ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 54. ესტონეთის მოქალაქის ვალდებულებაა იყოს კონსტიტუ-
ციური წყობილების ერთგული და დაიცვას ესტონეთის დამოუკიდებლობა.

ესტონეთის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, სხვა საშუალების
არარსებობის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გაუწიოს წინააღმდეგობა
კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის ყველა მცდელობას.

მუხლი 55. ესტონეთში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალა-
ქეობის არმქონე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ესტონეთის კონსტი-
ტუციური წყობილება.

თავი III. ხალხი

მუხლი 56. უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას ხალხი
ახორციელებს ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მეშვეობით:

1. სახელმწიფო კრების არჩევის გზით;
2. რეფერენდუმის (საერთო-სახალხო კენჭისყრის) გზით.

მუხლი 57.

საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ ესტონეთის მოქალაქეები 18
წლის ასაკიდან.

ხმის უფლება, არ გააჩნიათ ესტონეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც
სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ.

მუხლი 58. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება კანონით შეიძლება
შეიზღუდოს სასამართლოს განაჩენით სასჯელალსრულების დაწესებულებაში
მყოფი ესტონეთის მოქალაქეებისთვის.

თავი IV. სახელმწიფო კრება¹

მუხლი 59. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო კრება.

მუხლი 60. სახელმწიფო კრება შედგება ას ერთი დეპუტატისგან. სახელმწიფო კრების წევრები აირჩევიან თავისუფალი არჩევნების გზით, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირია. კენჭისყრა ფარულია.

სახელმწიფო კრების წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ესტონეთის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

სახელმწიფო კრების მორიგი არჩევნები ტარდება მარტის პირველ კვირას, წინა სახელმწიფო კრების არჩევიდან ოთხი წლის თავზე.

სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები ტარდება კონსტიტუციის 89-ე, 97-ე, 105-ე და 119-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არჩევნების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 40 დღისა. სახელმწიფო კრების არჩევის წესი განისაზღვრება სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ კანონით.

მუხლი 61. სახელმწიფო კრების წევრთა უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან. ამავე დღეს წყდება წინა მოწვევის სახელმწიფო კრების წევრთა უფლებამოსილება.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, სახელმწიფო კრების წევრები დებენ თანამდებობრივ ფიცს ესტონეთის რესპუბლიკისა და მისი კონსტიტუციური წყობილებს ერთგულებისადმი.

მუხლი 62. სახელმწიფო კრების წევრი შებოჭილი არ არის მანდატით და არ ატარებს იურიდიულ პასუხისმგებლობას სახელმწიფო კრებასა თუ მის ორგანოებში კენჭისყრისა და პოლიტიკური განცხადებებისთვის.

მუხლი 63. სახელმწიფო კრების წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე სხვა სახელმწიფო თანამდებობა.

სახელმწიფო კრების წევრი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში თავისუფლდება თავდაცვის ძალებში სამსახურის ვალდებულებისგან.

¹ ესტონეთის პარლამენტს ეროვნულ ენაზე ეწოდება „რიიგიკოგუ“. სწორედ ამ ტერმინს იყენებს პარლამენტის აღსანიშნავად ესტონეთის კონსტიტუცია.

მუხლი 64. სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილება ჩერდება მისი რესპუბლიკის მთავრობის წევრად დანიშვნის დროს და აღდება მისი მთავრობის წევრის ვალდებულებიდან გათავისუფლებისას.

სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილება ვადაძლე წყდება:

1. სხვა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
2. მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;
3. კანონით დადგენილი წესით მისი გადადგომისას;
4. თუ სახელმწიფო სასამართლო დაადგენს, რომ მას მუდმივად არ შეუძლია ნაკისრი ფუნქციების შესრულება;
5. გარდაცვალებისას.

სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილების შეჩერების ან ვადაძლე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს, კანონით დადგენილი წესით, იკავებს რეზერვში მყოფი დეპუტატი. რეზერვისტი პარლამენტარი ფლობს სახელმწიფო კრების წევრის ყველა უფლებებსა და ვალდებულებებს.

სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილების აღდგენისას რეზერვისტი პარლამენტარის უფლებამოსილება წყდება.

მუხლი 65. სახელმწიფო კრება:

1. იღებს კანონებსა და დადგენილებებს;
2. წყვეტს რეფერენდუმის ჩატარების საკითხს;
3. კონსტიტუციის 79-ე მუხლის შესაბამისად ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს;
4. კონსტიტუციის 121-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებასა და დენონსირებას;
5. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ანიჭებს უფლებამოსილებას რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებისათვის;
6. იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამტკიცებს ანგარიშს მისი შესრულების შესახებ;
7. რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარეს, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო კონტროლიორს, იუსტიციის კანცლერს, თავდაცვის ძალების სარდალს ან მთავარსარდალს;
8. სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო სასამართლოს წევრებს;
9. ნიშნავს ესტონეთის ბანკის საბჭოს წევრებს;

10. რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო სესხისა და სახელმწიფოს მიერ სხვა ქონებრივი ვალდებულებების აღების შესახებ;

11. გამოდის განცხადებით, დეკლარაციითა და მიმართვით ესტონეთის ხალხის, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე;

12. აწესებს სახელმწიფო ჯილდოებს, სამხედრო და დიპლომატიურ ჩინებს;

13. იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის მთავრობის, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

14. კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას;

15. რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და დემობილიზაციას;

16. წვეტს სახელმწიფო ცხოვრების სხვა საკითხებს, რომლებიც კონსტიტუციით არ განეკუთვნება რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას.

მუხლი 66. ახალი მოწვევის სახელმწიფო კრების პირველი სხდომა იმართება არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. სახელმწიფო კრების პირველი სხდომა მოიწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 67. სახელმწიფო კრების მორიგი სესიები იმართება იანვრის მეორე ორშაბათიდან – ივნისის მესამე ხუთშაბათამდე და სექტემბრის მეორე ორშაბათიდან – დეკემბრის მესამე ხუთშაბათამდე.

მუხლი 68. სახელმწიფო კრების რიგგარეშე სესიებს იწვევს სახელმწიფო კრების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის ან სახელმწიფო კრების არანაკლებ ერთი მებუთედის წინადადებით.

მუხლი 69. სახელმწიფო კრება თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის ორ მოადგილეს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ სახელმწიფო კრების მუშაობას სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ კანონისა და სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ კანონის შესაბამისად.

მუხლი 70. სახელმწიფო კრების უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ. სახელმწიფო კრების რიგგარეშე სესია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სახელმწიფო კრების წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 71. სახელმწიფო კრება ქმნის კომისიებს.

სახელმწიფო კრების წევრებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ ფრაქციებში. კომისიებისა და ფრაქციების შექმნის წესი და უფლებები განისაზღვრება კანონით სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ.

მუხლი 72. სახელმწიფო კრების სესიები საჯაროა, თუ სახელმწიფო კრება ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით სხვა რამეს არ დაადგენს.

სახელმწიფო კრებაში კენჭისყრა ღიაა. ფარული კენჭისყრა ტარდება კონსტიტუციითა და სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხოლოდ თანამდებობის პირის არჩევის ან დანიშვნისას.

მუხლი 73. სახელმწიფო კრების აქტები მიიღება „მომხრე“ ხმათა უმრავლესობით, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 74. სახელმწიფო კრების წევრებს უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ რესპუბლიკის მთავრობასა და მის წევრებს, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს, სახელმწიფო კონტროლიორს, იუსტიციის კანცლერს და თავდაცვის ძალების სარდალს ან მთავარსარდალს.

შეკითხვაზე პასუხის გაცემა ხდება სახელმწიფო კრების სხდომაზე ოცი სასესიო დღის განმავლობაში.

მუხლი 75. სახელმწიფო კრების წევრის ანაზღაურება და სხვა შრომითი შემოსავლების მიღების შეზღუდვები განისაზღვრება კანონით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ახალი მოწვევის სახელმწიფო კრების მიერ.

მუხლი 76. სახელმწიფო კრების წევრი ხელშეუხებელია. მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით.

თავი V. რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 77. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 78. რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1. წარმოადგენს ესტონეთის რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში;

2. რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით ნიშნავს და გამოიწვევს ესტონეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს ესტონეთში აკრედიტებულ დიპლომატიურ წამომადგენლობათა რწმუნების სიგელებს;

3. აცხადებს სახელმწიფო კრების მორიგ არჩევნებს, ასევე კონსტიტუციის 89-ე, 97-ე, 105-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად - სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს;

4. კონსტიტუციის 66-ე მუხლის შესაბამისად იწვევს ახალი მოწვევის სახელმწიფო კრებას და ხსნის მის პირველ სხდომას;

5. სახელმწიფო კრების თავმჯდომარესთან შედის წინადადებით კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო კრების რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ;

6. კონსტიტუციის 105-ე და 107-ე მუხლების შესაბამისად აქვეყნებს კანონებს და ხელს აწერს რატიფიცირებულ სიგელებს;

7. კონსტიტუციის 109-ე და 110-ე მუხლების შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს;

8. აყენებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხს;

9. კონსტიტუციის 89-ე მუხლის შესაბამისად ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე;

10. კონსტიტუციის 89-ე, 90-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის წევრებს;

11. სახელმწიფო კრებაში შედის წინადადებით სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, სახელმწიფო კონტროლიორის, იუსტიციის კანცლერის და თავდაცვის ძალების სარდლის ან მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით;

12. ესტონეთის ბანკის საბჭოს წინადადებით ნიშნავს ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს;

13. სახელმწიფო სასამართლოს წინადადებით ნიშნავს მოსამართლეებს;

14. რესპუბლიკის მთავრობისა და თავდაცვის ძალების სარდლის წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავდაცვის ძალების სარდლობას;

15. გასცემს სახელმწიფო ჯილდოებს, ანიჭებს სამხედრო და დიპლომატიურ წოდებებს;

16. ხელმძღვანელობს ესტონეთის სახელმწიფო თავდაცვას;

17. საგანგებო მდგომარეობის შესახებ კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად, წინადადებით შედის სახელმწიფო კრებაში საომარი მდგომარეობის შემოღების, მობილიზაციისა და დემობილიზაციის გამოცხადების თაობაზე;

18. ესტონეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და კონსტიტუციის 128-ე მუხლის შესაბამისად ნიშნავს თავდაცვის ძალების მთავარსარდალს;

19. შეწყალების წესით მათივე თხოვნით სასჯელის მოხდისგან ათავისუფლებს მსჯავრდებულებს ან უმსუბუქებს სასჯელს;

20. კონსტიტუციის 145-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებაში აძლევს იუსტიციის კანცლერს.

მუხლი 79. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს სახელმწიფო კრება ან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ამომრჩეველთა კოლეგია.

რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს სახელმწიფო კრების შემადგენლობის არანაკლებ ერთ მუხუთედს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს არანაკლებ 40 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ესტონეთის მოქალაქე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით. სახელმწიფო კრების ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს სახელმწიფო კრების წევრთა ხმათა უმრავლესობის ორ მესამედს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა სასურველ რაოდენობას, მეორე დღეს ტარდება კენჭისყრის ახალი ტური. კენჭისყრის მეორე ტურის წინ ხდება კანდიდატთა ახალი წარდგენა. თუ მეორე ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა სასურველ რაოდენობას, იმავე დღეს ტარდება კენჭისყრის მესამე ტური, იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეტი ხმა დააგროვეს. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ იქნება არჩეული კენჭისყრის მესამე ტურშიც, სახელმწიფო კრების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად ერთიანი ვადაში იწვევს ამომრჩეველთა კოლეგიას.

ამომრჩეველთა კოლეგია შედგება სახელმწიფო კრების წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების თავმჯდომარეებისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველი საბჭო ირჩევს ამომრჩეველთა კოლე-

გიაში წარსადგენ არანაკლებ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უნდა იყოს ესტონეთის მოქალაქე.

სახელმწიფო კრება ამომრჩეველთა კოლეგიას წარუდგენს პრეზიდენტობის იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სახელმწიფო კრებაში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება უკიდურეს შემთხვევაში აქვს ამომრჩეველთა კოლეგიის 21 წევრს.

ამომრჩეველთა კოლეგია რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით. თუ პირველ ტურში კანდიდატი ვერ აირჩევა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის ზუსტი წესი განისაზღვრება კანონით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

მუხლი 80. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 81. თანამდებობის დაკავების წინ რესპუბლიკის პრეზიდენტი ესტონეთის ხალხისათვის სახელმწიფოს კრების წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებით, მე (სახელი, გვარი) ფიცით ვაცხადებ, რომ უყოყმანოთ დავიცავ ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, სამართლიანად და მიუკერძოებლად ვისარგებლებ ჩემი ხელისუფლებით, რწმენითა და სიმართლით შევასრულებ ნაკისრ ვალდებულებებს, მთელ ჩემს ძალასა და შესაძლებლობას გამოვიყენებ ესტონეთის ხალხისა და ესტონეთის რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის“.

მუხლი 82. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება:

1. მისი გადადგომისას;
2. მასთან დაკავშირებული სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლილას;
3. გარდაცვალებისას;
4. რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისას.

მუხლი 83. თუ სახელმწიფო სასამართლო დაადგენს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი მუდმივად ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან თუ კანონ-

ნით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვერ ასრულებს მას დროებით, ან თუ მისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყდა, ასეთ შემთხვევაში მისი მოვალეობები დროებით გადადის სახელმწიფო კრების თავმჯდომარეზე.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალდებულების შესრულების პერიოდში მისი, როგორც სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილება ჩერდება.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობების განხორციელებისას უფლება არა აქვს სახელმწიფო სასამართლოს თანხმობის გარეშე დანიშნოს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩენები ან უარი თქვას კანონების პრომულგირებაზე.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი 3 თვის განმავლობაში ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან თუ მისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყდა, სახელმწიფო კრება კონსტიტუციის 79-ე მუხლის შესაბამისად, 14 დღის ვადაში ირჩევს რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს.

მუხლი 84. რესპუბლიკის პრეზიდენტს თანამდებობის დაკავებისას უწყდება ყველა უფლება და ვალდებულება სხვა ასარჩევ თუ დასანიშნ თანამდებობებზე, ასევე პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით ჩერდება მისი პოლიტიკური პარტიის წევრობაც.

მუხლი 85. რესპუბლიკის პრეზიდენტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიექცემა მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით.

თავი VI. რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 86. სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 87. რესპუბლიკის მთავრობა:

1. ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას;
2. მიმართულებას აძლევს და კოორდინაციას უწევს სამთავრობო დაწესებულებებს;
3. ორგანიზებას უწევს კანონების, სახელმწიფო კრების დადგენილებებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების შესრულებას;
4. სახელმწიფო კრებას წარუდგენს კანონპროექტებს, აგრეთვე უცხო ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებს რატიფიცირებისა და დენონსირებისთვის;

5. შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სახელმწიფო კრებას. ორგანიზებას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და სახელმწიფო კრებას წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს;

6. კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს;

7. ორგანიზებას უწევს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას;

8. სტიქიური უბედურების, კატასტროფის ან ინფექციური დაავადებების გავრცელების აღმოსაფხვრელად სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას;

9. ასრულებს კონსტიტუციითა და კანონებით რესპუბლიკის მთავრობისათვის განკუთვნილ სხვა ვალდებულებებს.

მუხლი 88. რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები.

მუხლი 89. მთავრობის გადადგომიდან 14 დღის ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, რომელსაც ავალებს ახალი მთავრობის ფორმირებას.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის ფორმირების შესახებ დავალების მიღებიდან 14 დღის ვადაში სახელმწიფო კრებას წარუდგენს ანგარიშს მომავალი მთავრობის ფორმირების საფუძველების შესახებ, რის შემდეგაც სახელმწიფო კრება ღია კენჭისყრით დებატების გარეშე ღებულობს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისათვის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, სახელმწიფო კრების მიერ მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭებიდან შეიღი დღის ვადაში, რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, რომელიც სამი დღის ვადაში ნიშნავს მთავრობას.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი სახელმწიფო კრებაში ვერ მიიღებს „მომხრე“ ხმათა უმრავლესობას, ან ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, ან უარს იტყვის მის ფორმირებაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს შეიღი დღის ვადაში წარმოადგინოს პრემიერ-მინისტრობის სხვა კანდიდატურა.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიღი დღის ვადაში არ წარმოადგენს პრემიერ-მინისტრობის სხვა კანდიდატურას, ან უარს იტყვის მის წამოყენებაზე, ან თუ სხვა კანდიდატი ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით ვერ მიიღებს სახელმწიფო კრებისგან

მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას, ან ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, ან უარს იტყვის მის ფორმირებაზე, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წარმოდგენის უფლებამოსილება გადადის სახელმწიფო კრებაზე.

სახელმწიფო კრება წარმოადგენს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას. თუ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის წარმოდგენის უფლებამოსილების სახელმწიფო კრებაზე გადასვლიდან 14 დღის ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის არ იქნება წარდგენილი მთავრობის შემადგენლობა, რესპუბლიკის პრეზიდენტი აცხადებს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

მუხლი 90. რესპუბლიკის დანიშნული მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები ხორციელდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

მუხლი 91. უფლებამოსილების დაწყებისას რესპუბლიკის მთავრობა ფიცს დებს სახელმწიფო კრების წინაშე.

მუხლი 92. რესპუბლიკის მთავრობა გადადგება:

1. სახელმწიფო კრების ახალი შემადგენლობის მოწვევისას;
2. პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან გარდაცვალებისას;
3. სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის მთავრობისთვის ან პრემიერ-მინისტრისთვის უნდობლობის გამოუცხადებისას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი რესპუბლიკის მთავრობის გადადგომას დებულობს ახალი მთავრობის უფლებამოსილების დაწყებისას.

მუხლი 93. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს რესპუბლიკის მთავრობას და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას.

პრემიერ-მინისტრი ნიშნავს ორ მინისტრს, რომლებსაც უფლება აქვთ შეცვალონ პრემიერ-მინისტრი მისი არყოფნისას. შეცვლის წესს ადგენს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 94. სამინისტროები იქმნება კანონის საფუძველზე მმართველობის სფეროს მოწესრიგების მიზნით.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც წყვეტს სამინისტროს მმართველობას მიკუთვნებულ საკითხებს, კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, ასევე ასრულებს კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილი წესით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებას.

თუ მინისტრი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დროებით ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ამ პერიოდში მისი ვალდებულებების შესრულებას პრემიერ-მინისტრი ავალებს სხვა მინისტრს.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრის წარდგინებით დანიშნოს ის მინისტრები, რომელთა ფუნქციაში არ შედის კონკრეტული სამინისტროს ხელმძღვანელობა.

მუხლი 95. რესპუბლიკის მთავრობასთან არსებობს სახელმწიფო კანცელარია სახელმწიფო მდივნის ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფო მდივანი მთავრობის სხდომებში მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

სახელმწიფო მდივანი, როგორც კანცელარიის ხელმძღვანელი, სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობისას კანონით მინიჭებული აქვს მინისტრს.

მუხლი 96. რესპუბლიკის მთავრობის სხდომები დახურულია, თუ მთავრობა სხვა რამეს არ გადაწყვეტს.

მთავრობას გადაწყვეტილება გამოაქვს პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის წარდგინებით.

მთავრობის დადგენილება ნამდვილია, თუ იგი დამტკიცებულია პრემიერ-მინისტრის, შესაბამისი მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის ხელწერით.

მუხლი 97. სახელმწიფო კრებას უფლება აქვს რესპუბლიკის მთავრობას, პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს დადგენილებით გამოუცხადოს უნდობლობა, თუ ამას მხარს დაუჭერს სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

სახელმწიფო კრების არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვს სახელმწიფო კრების სხდომაზე წერილობითი მოთხოვნით აღძრას უნდობლობის საკითხი.

უნდობლობის ვოტუმის საკითხი უნდა გადაწყდეს მისი აღძვრიდან არა უმეტეს მესამე დღეს, თუ მთავრობა არ მოითხოვს მის უფრო ადრეულ გადაწყვეტას.

მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის მიმართ უნდობლობის ვოტუმის შემთხვევაში პრეზიდენტს მთავრობის წინადადებით შეუძლია სამი დღის ვადაში დანიშნოს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები.

მინისტრის მიმართ უნდობლობის ვოტუმის შემთხვევაში სახელმწიფო კრება აცნობებს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრს.

იმავე საფუძველით უნდობლობის საკითხის ხელახლა აღძვრა დასაშვებია უნდობლობის ვოტუმის პირველი კენჭისყრიდან არა უადრეს 3 თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 98. რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს სახელმწიფო კრებას შეუთანხმოს მის მიერ წარდგენილი ნდობის ვოტუმის მიღების პროექტი.

კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს ნდობის ვოტუმის პროექტის შეთანხმებიდან არა უადრეს მესამე დღისა. თუ სახელმწიფო კრების მიერ პროექტი არ იქნება მიღებული, მთავრობა გადადგება.

მუხლი 99. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა სახელმწიფო თანამდებობა ან შედიოდეს საწარმოს მმართველ ან საზედამხედველო ორგანოში.

მუხლი 100. მთავრობის წევრები სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ სახელმწიფო კრებისა და მისი კომისიების სხდომებში.

მუხლი 101. მთავრობის წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა დასაშვებია იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

მთავრობის წევრთან დაკავშირებით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ წყდება მისი უფლებამოსილება.

თავი VII. კანონმდებლობა

მუხლი 102. ესტონეთის რესპუბლიკის კანონები მიიღება კონსტიტუციის შესაბამისად.

მუხლი 103. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ:

1. სახელმწიფო კრების წევრებს;
2. სახელმწიფო კრების ფრაქციებს;
3. სახელმწიფო კრების კომისიებს;
4. რესპუბლიკის მთავრობას;
5. რესპუბლიკის პრეზიდენტს – კონსტიტუციის შესწორების საკითხებზე.

სახელმწიფო კრებას უფლება აქვს მის წევრთა ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მთავრობას მიმართოს წინადადებით სახელმწიფო კრების მიერ რეკომენდირებული პროექტის ინიცირებისათვის.

მუხლი 104. კანონის მიღების წესი განისაზღვრება კანონით სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ.

მხოლოდ სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობით მიიღება და იცვლება შემდეგი კანონები:

1. კანონი მოქალაქეობის შესახებ;
2. კანონი სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ;
3. კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ;
4. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ;
5. კანონი რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) შესახებ;
6. კანონი სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ და კანონი სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ;
7. კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო კრების წევრთა ანაზღაურების შესახებ;
8. კანონი რესპუბლიკის მთავრობის შესახებ;
9. კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრთა სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ;
10. კანონი ეროვნული უმცირესობების კულტურული ავტონომიების შესახებ;
11. კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
12. კანონი ესტონეთის ბანკის შესახებ;
13. კანონი სახელმწიფო კონტროლის შესახებ;
14. კანონი სასამართლო წყობილების შესახებ და კანონი სამართალწარმოების შესახებ;
15. კანონი საშინაო და საგარეო სესხის, ასევე სახელმწიფოს ქონებრივი ვალდებულებების შესახებ;
16. კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ;
17. კანონი მშვიდობიანობის დროს სახელმწიფო თავდაცვის შესახებ და კანონი ომიანობის დროს სახელმწიფო თავდაცვის შესახებ.

მუხლი 105. სახელმწიფო კრებას უფლება აქვს კანონპროექტი ან სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი გაიტანოს რეფერენდუმზე.

ხალხის გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

რეფერენდუმის გზით მიღებულ კანონს დაუყოვნებლივ აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოებისთვის.

თუ რეფერენდუმზე გატანილი კანონპროექტი ვერ მიიღებს „მომხრე“ ხმათა უმრავლესობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

მუხლი 106. რეფერენდუმზე არ გაიტანება ბიუჯეტის, გადასახადების, სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულებების, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და დენონსირების, საგანგებო სიტუაციების შემოღებისა და გაუქმების, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვის შესახებ საკითხები.

რეფერენდუმის ჩატარების წესი განისაზღვრება კანონით რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) შესახებ.

მუხლი 107. კანონები ქვეყნდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია არ გამოაქვეყნოს სახელმწიფო კრების მიერ მიღებული კანონი და მისი გადაცემიდან 14 დღის ვადაში მოტივირებულ გადაწყვეტილებასთან ერთად დაუბრუნოს სახელმწიფო კრებას ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

თუ სახელმწიფო კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაბრუნებულ კანონს მიიღებს ცვლილებების გარეშე, რესპუბლიკის პრეზიდენტი ან აქვეყნებს კანონს ან მიმართავს სახელმწიფო სასამართლოს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის წინადადებით. თუ სახელმწიფო სასამართლო ცნობს კანონს კონსტიტუციის შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტი აქვეყნებს კანონს.

მუხლი 108. კანონი ძალაში შედის „ესტონეთის რესპუბლიკის უწყებანში“ გამოქვეყნებიდან მეათე დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

მუხლი 109. თუ სახელმწიფო კრებას არ შეუძლია შეიკრიბოს, რესპუბლიკის პრეზიდენტს გადაუდებელი სახელმწიფოებრივი აუცილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს გამოსცეს სახელმწიფო კრებისა და პრემიერ-მინისტრის ხელწერებით გამყარებული კანონის ძალის მქონე ბრძანებულება.

როგორც კი სახელმწიფო კრება შეიკრიბება, რესპუბლიკის პრეზიდენტი წარუდგენს მას ბრძანებებს და სახელმწიფო კრება დაუყოვნებლივ ღებულობს კანონს მათი დამტკიცების ან გაუქმების შესახებ.

მუხლი 110. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით არ შეიძლება ძალაში შევიდეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს კონსტიტუცია, კონსტიტუციის 104-ე მუხლში ჩამოთვლილი კანონები, ასევე კანონებში, რომელიც აღგენს სახელმწიფო გადასახადებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს.

თავი VIII. ფინანსები და სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 111. ესტონეთის ფულის ემისიის განსაკუთრებული უფლება გააჩნია ესტონეთის ბანკს. ესტონეთის ბანკი ორგანიზებას უწევს ფულად მიმოქცევას და უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას.

მუხლი 112. ესტონეთის ბანკი მოქმედებს კანონის საფუძველზე და ანგარიშვალდებულია სახელმწიფო კრების წინაშე.

მუხლი 113. სახელმწიფო გადასახადები, შემოწირულობები, მოსაკრებლები, ჯარიმები და სავალდებულო სადაზღვევო გადასახდელები დგინდება კანონით.

მუხლი 114. სახელმწიფო ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 115. სახელმწიფო კრება ყოველი წლისათვის ღებულობს სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და გასავლის შესახებ ბიუჯეტის კანონს. რესპუბლიკის მთავრობა სახელმწიფო კრებას წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს სამი თვისა. მთავრობის წარდგინებით სახელმწიფო კრებას შეუძლია საბიუჯეტო წლის პერიოდში მიიღოს დამატებითი ბიუჯეტი.

მუხლი 116. წინადადებას სახელმწიფო ბიუჯეტის ან მისი პროექტის შეცვლის თაობაზე, რომელიც განპირობებულია გათვალისწინებული შემოსავლების შემცირებით, ხარჯების გაზრდით ან ხარჯების გადანაწილებით, ინიციატორი ვალდებულია მიუთითოს ხარჯების დასაფარად აუცილებელი შემოსავლების წყაროებზე.

სახელმწიფო კრებას უფლება არა აქვს გააუქმოს ან შეამციროს ბიუჯეტით ან ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯები, რომლებიც დადგენილია სხვა კანონებით.

მუხლი 117. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 118. სახელმწიფო კრების მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტი ძალაში შედის საბიუჯეტო წლის დაწყებისთანავე. თუ სახელმწიფო კრება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტს, დასაშვებია ხარჯების ყოველთვიურად განსაზღვრა წინა წლის ბიუჯეტის ხარჯების ერთი მეორმეტედის ფარგლებში.

მუხლი 119. თუ საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში სახელმწიფო კრება არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

თავი IX. საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 120. სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ესტონეთის რესპუბლიკის ურთიერთობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 121. სახელმწიფო კრება ახდენს ესტონეთის რესპუბლიკის იმ ხელშეკრულებების რატიფიცირებას და დენონსირებას, რომლებიც:

1. ეხება სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;
2. ძალაში შესასვლელად საჭიროებენ ესტონეთის კანონების მიღებას, შეცვლას ან გაუქმებას;
3. ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებში ან კავშირებში ესტონეთის რესპუბლიკის შესვლას;
4. ითვალისწინებს ესტონეთის რესპუბლიკის მიერ სამხედრო ან ქონებრივი ვალდებულებების აღებას;
5. ითვალისწინებს რატიფიკაციას.

მუხლი 122. ესტონეთის სახმელეთო საზღვრები განისაზღვრება ტარტუსის 1920 წლის 2 თებერვლის სამშვიდობო შეთანხმებით და საზღვრების შესახებ სხვა სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებით. ესტონეთის საზღვაო და საჰაერო საზღვრები განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე.

იმ ხელშეკრულებების რატიფიკაციისათვის, რომელთა მიხედვითაც იცვლება ესტონეთის სახელმწიფო საზღვრები საჭიროა სახელმწიფო კრების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობა.

მუხლი 123. ესტონეთის რესპუბლიკა არ დებს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

თუ ესტონეთის რესპუბლიკის კანონი ან რაიმე სხვა სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება სახელმწიფო კრების მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

თავი X. სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 124. ესტონეთის მოქალაქენი ვალდებულნი არიან კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო თავდაცვაში.

პირი, რომელიც რელიგიური ან ზნეობრივი შეხედულებების გამო უარს იტყვის თავდაცვის ძალებში სამსახურზე, ვალდებულია კანონით დადგენილი წესით გაიაროს ალტერნატიული სამსახური.

თუ კანონიდან და სამსახურის სპეციფიკის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა რამ არ არის დადგენილი, თავდაცვის ძალებსა და ალტერნატიულ სამსახურში მყოფი პირები სარგებლობენ ყველა კონსტიტუციური უფლებით, თავისუფლებითა და ვალდებულებით. იკრძალება მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით, მე-11-18 მუხლებით, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით, 21-28-ე, 32-ე, 33-ე, 36-43-ე მუხლებით, 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, 49-51-ე მუხლებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.

სახელმწიფო თავდაცვის ან ალტერნატიულ სამსახურში მყოფ პირთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 125. მოქმედ სამხედრო სამსახურში მყოფ პირს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე არჩევითი ან დანიშნითი თანამდებობა და მონაწილეობდეს რომელიმე პარტიის საქმიანობაში.

მუხლი 126. თავდაცვის ძალების მშენებლობისა და ესტონეთის სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები განისაზღვრება კანონით მშვიდობიან პერიოდში სახელმწიფო თავდაცვის შესახებ და კანონით საომარ პერიოდში სახელმწიფო თავდაცვის შესახებ.

მუხლი 127. სახელმწიფო თავდაცვას მეთაურობს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო თავდაცვის საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომლის შემადგენლობა და ამოცანები განისაზღვრება კანონით.

ესტონეთის თავდაცვის ძალებსა და თავდაცვის სახელმწიფო ორგანიზაციებს მშვიდობიანობის დროს ხელმძღვანელობს თავდაცვის ძალების სარდალი, ხოლო ომიანობის დროს თავდაცვის ძალების მთავარსარდალი. თავდაცვის ძალების სარდალსა და მთავარსარდალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

მუხლი 128. სახელმწიფო კრება პრეზიდენტის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციასა და დემობილიზაციას, იღებს გადაწყვეტილებას ესტონეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ.

ესტონეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი, სახელმწიფო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე აცხადებს საომარ მდგომარეობასა და მობილიზაციას, ასევე ნიშნავს თავდაცვის ძალების მთავარსარდალს.

მუხლი 129. საშიშროების გაჩენის შემთხვევაში, რომელიც ემუქრება ესტონეთის კონსტიტუციურ წყობას, სახელმწიფო კრებას შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტის ან რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით ხმათა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მთელ სახელმწიფოში არაუშეტეს 3 თვის ვადით შუილიოს საგანგებო მდგომარეობა.

საგანგებო მდგომარეობის შემოღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 130. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში, შეიძლება შეიზღუდოს პირთა უფლებები და თავისუფლებები, ასევე დაეკისროთ ვალდებულებები. არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მე-8, მე-11-18 მუხლებით, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით, 22-ე, 23-ე მუხლებით, 24-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით, 25-ე, 27-ე, 28-ე მუხლებით; 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით; მე-40, 41-ე, 49-ე მუხლებით და 51-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 131. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს არ ტარდება სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, ასევე არ წყდება მათი უფლებამოსილება.

სახელმწიფო კრებას, რესპუბლიკის პრეზიდენტს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს უფლებამოსილება უგრძელდებათ, თუ მათი ვადა გადიოდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში, ან საგანგებო და საომარი მდგომარეობის შეწყვეტიდან 3 თვის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევებში ახალი არჩევნები ინიშნება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შეწყვეტიდან 3 თვის განმავლობაში.

თავი XI. სახელმწიფო კონტროლის სამსახური

მუხლი 132. თავისი საქმიანობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ახორციელებს კონტროლს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 133. სახელმწიფო კონტროლის სამსახური ამოწმებს:

1. სახელმწიფო დაწესებულებების, სახელმწიფო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობას;
2. სახელმწიფო ქონების შენახვასა და გამოყენებას;
3. ადგილობრივი თვითმმართველობების მფლობელობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების გამოყენებასა და განკარგვას;
4. იმ საწარმოების ეკონომიკურ საქმიანობას, რომლებშიც სახელმწიფოს აქვს აქციებითა და პაიებით განსაზღვრული ხმათა ნახევარზე მეტი წილი, ან იმ საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობას, რომელთა კრედიტები ან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 134. სახელმწიფო კონტროლის სამსახურს ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კრება.

სახელმწიფო კონტროლიორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

მუხლი 135. სახელმწიფო კონტროლიორი სახელმწიფო კრებას ერთდროულად წარუდგენს როგორც წინა საბიუჯეტო წელს სახელმწიფო ქონების გამოყენებისა და შენახვის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს.

მუხლი 136. სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო კონტროლიორი, როგორც თავისი უწყების ხელმძღვანელი, სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც კანონით აღჭურვილია მინისტრი, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელი.

მუხლი 137. სახელმწიფო კონტროლის სამსახურის მუშაობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 138. სახელმწიფო კონტროლიორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა ხმების უმრავლესობის თანხმობით.

თავი XII. იუსტიციის კანცლერი

მუხლი 139. იუსტიციის კანცლერი თავის საქმიანობაში წარმოადგენს დამოუკიდებელ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობაზე.

იუსტიციის კანცლერი ახორციელებს იმ წინადადებების ანალიზს, რომელთა მიზანია კანონის შეცვლა, ახალი კანონის მიღება, ასევე იმ წინადადებების ანალიზს, რომლებიც ეხება სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობას და აუცილებლობის შემთხვევაში წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო კრებას.

კონსტიტუციის 76-ე, 85-ე, 101-ე, 138-ე და 153-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იუსტიციის კანცლერი სახელმწიფო კრებაში შედის სახელმწიფო კრების წევრის, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის წევრის, სახელმწიფო კონტროლიორის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახელმწიფო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის წინადადებით.

მუხლი 140. იუსტიციის კანცლერს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით შვიდი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო კრება.

იუსტიციის კანცლერის გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.

მუხლი 141. იუსტიციის კანცლერი თავისი კანცლერის ხელმძღვანელობისას სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც აღჭურვილია მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობისას.

იუსტიციის კანცლერს შეუძლია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის სხდომებში.

მუხლი 142. თუ იუსტიციის კანცლერი დაასკენის, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს, ის სთავაზობს აქტის მიმღებ ორგანოს ოცი დღის ვადაში მოიყვანოს იგი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან ან კანონთან.

თუ ოცი დღის ვადაში აქტი არ იქნება მოყვანილი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან ან კანონთან, იუსტიციის კანცლერი სახელმწიფო სასამართლოს მიმართავს აქტის იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადების თაობაზე.

მუხლი 143. წელიწადში ერთხელ იუსტიციის კანცლერი სახელმწიფო კრებას წარუდგენს ანგარიშს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 144. იუსტიციის კანცლერის სამართლებრივი სტატუსი და მისი კანცელარიის მუშაობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 145. იუსტიციის კანცლერი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით სახელმწიფო კრების უმრავლესობის თანხმობით.

თავი XIII. სასამართლო

მუხლი 146. მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ. სასამართლო დამოუკიდებელია და საქმიანობას ახორციელებს კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

მუხლი 147. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე. მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

მოსამართლის გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.

მოსამართლებს არ შეიძლება ეკავოთ სხვა რაიმე არჩევითი ან დანიშნითი თანამდებობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები და სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 148. სასამართლო სისტემაში შედიან:

1. საგრაფო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები;
2. საოლქო სასამართლოები;
3. სახელმწიფო სასამართლო.

ზოგიერთი კატეგორიის სასამართლო საქმეთა განმხილველი სპეციალური სასამართლოების შექმნის წესი განისაზღვრება კანონით.

საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია.

მუხლი 149. საგრაფო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები წარმოადგენენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს.

საოლქო სასამართლოები წარმოადგენენ მეორე ინსტანციის სასამართლოებს, ისინი სააპელაციო წესით განიხილავენ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფოს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს სახელმწიფო სასამართლო, რომელიც საკასაციო წესით განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო სასამართლო ამავდროულად წარმოადგენს კონსტიტუციური ზედამხედველობის სასამართლოსაც.

სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 150. სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

სახელმწიფო სასამართლოს წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან სახელმწიფო კრების მიერ სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სასამართლოს წარდგინებით.

მუხლი 151. წარმომადგენლობის, დაცვის, სახელმწიფო ბრალდებისა და სამართალწარმოებისას კანონიერებაზე ზედამხედველობის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 152. სასამართლო საქმის განხილვისას არ იყენებს ისეთ კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

სახელმწიფო სასამართლო იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს ნებისმიერ კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტს, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებსა და არსს.

მუხლი 153. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოსამართლე სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოს წარდგინებით რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობით.

სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცნენ მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა ხმების უმრავლესობის თანხმობით.

თავი XIV. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 154. ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტითა და მოწყობით დაკავებულია ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც კანონის საფუძველზე მოქმედებენ დამოუკიდებლად.

ადგილობრივ თვითმმართველობებს ესა თუ ის ვალდებულებები შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონის საფუძველზე ან ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით. ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის კანონით დაკისრებული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებასთან, დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 155. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ თემები და ქალაქები.

ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები შეიძლება შეიქმნას კანონით დადგენილი წესითა და საფუძველით.

მუხლი 156. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო, რომელიც აირჩევა თავისუფალ არჩევნებზე საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.

ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებზე კანონის შესაბამისად, ხმის უფლებით სარგებლობენ თვითმმართველობის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 18 წლის ასაკს მიღწეული პირები.

მუხლი 157. ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის ფორმირების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კანონით.

ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს კანონის შესაბამისად დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, ასევე დააწესოს მოსაკრებლები.

მუხლი 158. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების აზრის გაუთვალისწინებლად დაუშვებელია მათი საზღვრების შეცვლა.

მუხლი 159. ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს სხვა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად შექმნას კავშირები და ერთობლივი დაწესებულებები.

მუხლი 160. ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის წესი და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა განისაზღვრება კანონით.

თავი XV. კონსტიტუციური შესწორებები

მუხლი 161. კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ სახელმწიფო კრების წევრთა ერთ მეხუთედსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს.

კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკითხის აღძვრა და კონსტიტუციის შეცვლა არ შეიძლება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 162. კონსტიტუციის პირველი თავი – „ზოგადი დებულებები“ და XV თავი – „კონსტიტუციური შესწორებები“ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის შედეგად.

მუხლი 163. კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს კანონით, რომელიც მიღებულია:

1. რეფერენდუმის შედეგად;
2. ზედიზედ ორი მოწვევის სახელმწიფო კრების მიერ;
3. სახელმწიფო კრების მიერ სასწრაფო საკითხის სახით.

კანონპროექტი კონსტიტუციური შესწორების შესახებ განიხილება სახელმწიფო კრების მიერ სამი მოსმენით, ამასთან, პირველ და მეორე მოსმენას შორის პერიოდი არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები, ხოლო მეორე და მესამე მოსმენებს შორის – ერთ თვეზე ნაკლები. კონსტიტუციის შეცვლის წესი წყდება მესამე მოსმენის დროს.

მუხლი 164. კონსტიტუციური შესწორებების კანონპროექტის სარეფერენდუმოდ გამოტანისთვის საჭიროა სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის თანხმობა. რეფერენდუმი იმართება სახელმწიფო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუადრეს სამი თვისა.

მუხლი 165. ზედიზედ ორი მოწვევის სახელმწიფო კრების მიერ კონსტიტუციის შესაცვლელად კონსტიტუციური შესწორების შესახებ კანონპროექტმა უნდა მიიღოს სახელმწიფო კრების უმრავლესობის მხარდაჭერა.

თუ სახელმწიფო კრების შემდეგი შემადგენლობა პირველი მოსმენით თავის წევრთა სამი მეხუთედის ხმათა უმრავლესობით ცვლილებების გარეშე მიიღებს წინა მოწვევის სახელმწიფო კრების უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ კონსტიტუციურ შესწორებებს, ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციური შესწორებები მიღებულად ითვლება.

მუხლი 166. კონსტიტუციური შესწორებების კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების წევრთა ოთხი მეხუთედის ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციური შესწორებების შესახებ კანონი მიიღება სახელმწიფო კრების ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 167. კონსტიტუციური შესწორებების კანონი ქვეყნდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ და ძალაში შედის მასში მითითებულ ვადაში, მაგრამ მისი გამოქვეყნებიდან არაუადრეს სამი თვისა.

მუხლი 168. კონსტიტუციური შესწორებების საკითხი ერთსა და იმავე საკითხზე არ შეიძლება დაყენებულ იქნეს ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც რეფერენდუმზე ან სახელმწიფო კრების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მისი უარყოფის თაობაზე.

**ესტონეთის რესპუბლიკის კანონი
„კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“**

მუხლი 1. კონსტიტუცია ძალაში შედის რეფერენდუმზე მისი მიღებიდან მეორე დღეს და მოქმედებას იწყებს არსებული კანონით დადგენილი წესით.

სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების გამოცხადებით უფლებამოსილება უწყდებათ ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და ესტონეთის კონგრესს.

სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე საკანონმდებლო კრების ფუნქციებს ასრულებს ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

სახელმწიფო კრების მიერ მთავრობის ფორმირების შემდეგ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული რესპუბლიკის მთავრობა გადადგება.

მუხლი 2. ამ დროისთვის ესტონეთის რესპუბლიკაში მოქმედი სამართლებრივი აქტები მოქმედებენ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდგომ, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას ან კანონს „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“, სანამ ისინი არ იქნებიან გაბათილებული ან კონსტიტუციასთან მთლიანად შესაბამისობაში მოყვანილი.

დავა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან და კანონთან „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“ შესაბამისობის თაობაზე განიხილება სახელმწიფო სასამართლოს მიერ.

მუხლი 3. უმაღლესი საბჭო კონსტიტუციის მიღების შემდგომ აცხადებს სახელმწიფო კრებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს და ადგენს არჩევნების ჩატარების გრაფიკს. არჩევნები უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 1992 წლის 27 სექტემბრისა.

კონსტიტუციის მიღების შემდგომ არჩეული პირველი მოწვევის სახელმწიფო კრების უფლებამოსილება გამონაკლისის სახით განისაზღვრება სამ წლამდე ვადით.

სახელმწიფო კრების პირველი სხდომა მოიწვევა რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ არჩევნების გამოქვეყნების დღიდან ათი დღის ვადაში.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე სახელმწიფო კრების თავმჯდომარის არჩევამდე ხელმძღვანელობს სახელმწიფო კრების საქმიანობას.

რეგლამენტისა და მუშაობის წესის შესახებ კანონების მიღებამდე სახელმწიფო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი.

კონსტიტუციის თანახმად:

- „მომხრე“ ხმათა უმრავლესობა ნიშნავს, როდესაც „მომხრე“ ხმათა რაოდენობა აღემატება „წინააღმდეგ“ ხმათა რაოდენობას;

- ორი მესამედის უმრავლესობა ნიშნავს, როდესაც „მომხრე“ ხმათა რაოდენობა უკიდურეს შემთხვევაში ორჯერ აღემატება „წინააღმდეგ“ ხმათა რაოდენობას;

- ოთხი მეხუთედის უმრავლესობა ნიშნავს, როდესაც „მომხრე“ ხმათა რაოდენობა უკიდურეს შემთხვევაში ოთხჯერ აღემატება „წინააღმდეგ“ ხმათა რაოდენობას;

- სახელმწიფო კრების ორი მესამედის უმრავლესობა ნიშნავს, როდესაც „მომხრე“ ხმას აძლევს სახელმწიფო კრების შემადგენლობის არაუმეტეს ორი მესამედი;

- სახელმწიფო კრების სამი მეხუთედის უმრავლესობა ნიშნავს, როდესაც „მომხრე“ ხმას აძლევს სახელმწიფო კრების შემადგენლობის არაუმეტეს სამი მეხუთედი.

სახელმწიფო კრებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების გამოცხადებამდე უმაღლესი საბჭო ამოქმედებს ნორმატიულ აქტებს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების, სახელმწიფო კრების წევრთა და რესპუბლიკის პრეზიდენტის ანაზღაურებისა და სოციალური გარანტიების შესახებ.

მუხლი 4. კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-11 პუნქტი და 79-ე მუხლი გამოიყენება ამ მუხლის საფუძველზე არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების შემდგომ.

კონსტიტუციის მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პრეზიდენტი, გამონაკლისის სახით, აირჩევა სახელმწიფო კრების არჩევასთან ერთად საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის მიერ ოთხი წლის ვადით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების ნახევარს, რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს სახელმწიფო კრება, სახელმწიფო კრების მოწვევიდან ათი დღის ვადაში, იმ ორი კანდიდატიდან, რომელთაც არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მიიღეს.

პრეზიდენტის არჩევნების ზუსტი წესი განისაზღვრება კანონით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ხმის უფლების მქონე არანაკლე ათი ათას ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქეს.

პირს, რომელიც კენჭს იყრის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე, უფლება არა აქვს იმავდროულად კენჭი იყაროს სახელმწიფო კრების არჩევნებში.

მუხლი 5. კონსტიტუციის ძალაში შესვლა თავისთავად არ იწვევს სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული მუშაკებისთვის შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას.

ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული სახელმწიფო კონტროლიორის, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარისა და სახელმწიფო სასამართლოს წევრების უფლებამოსილება გრძელდება მათი თანამდებობებზე დანიშვნის დროს დადგენილი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-11 პუნქტში ჩამოთვლილ თანამდებობებზე დასანიშნ კანდიდატებს, რომლებიც აღნიშნული არ არიან ამ მუხლის მეორე პუნქტში, რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო კრებას წარუდგენს მის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 6. ის პირები, რომლებმაც თავიანთი კანდიდატურა წარადგინეს რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე, სახელმწიფო კრების ან ადგილობრივ თვითმმართველობის წევრობაზე, ასევე პირებს, რომლებსაც სურვილი აქვთ დაიკავონ პრემიერ-მინისტრის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, სახელმწიფო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, იუსტიციის კანცლერის, სახელმწიფო კონტროლიორის, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტის, თავდაცვის ძალების მთავარსარდლის ან სარდლის, ასევე ნებისმიერი სხვა არჩევითი თუ დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ან ადგილობრივ თვითმმართველობებში, ვალდებული არიან 2000 წლის 31 დეკემბრამდე წერილობითი ფორმით დადონ ფიცი, რომ ისინი არ მსახურობდნენ ესტონეთის სახელმწიფოს მაკუპირებელ უშიშროების, ასევე დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოებში და მათ შეიარაღებულ ძალებში, არ იყვნენ მათი აგენტები, ასევე არ მონაწილეობდნენ მოქალაქეთა დევნასა და რეპრესიებში მათი პოლიტიკური შეხედულებების, არალოიალობის, კლასობრივი კუთვნილების ან ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ან თავდაცვის ორგანოებში მსახურისათვის.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ ფიცი არ შეესაბამება სიმართლეს, კანდიდატი გამოირიცხება საარჩევნო სიიდან, მისი მანდატი ჩაითვლება უმოქმედოდ, არ დაინიშნება პირველ აბზაცში მითითებულ თანამდებობებზე ან გათავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან.

მუხლი 7. პირი, რომელიც გამოთქეამს სურვილს დარჩეს მე-ნ მუხლის პირველ აბზაცში მითითებულ თანამდებობაზე, რომელიც მან დაიკავა სახელმწიფო კრების მოწვევამდე, ვალდებულია დადოს ფიცი სახელმწიფო კრების მოწვევიდან 30 დღის ვადაში. თუ პირი უარს იტყვის ფიცი დადებაზე ან სასამართლო დაადგენს, რომ ფიცი არ შეესაბამება რეალობას, პირი თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან.

ფიცის დადების წესს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო სახელმწიფო კრებისა და პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე.

მუხლი 8. კონსტიტუციის რეფერენდუმზე მიღებიდან სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო კრებას უფლება აქვს სახელმწიფო კრების შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, დაჩქარებული წესით, შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები. დაჩქარებული წესით კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის განხილვის გადაწყვეტილება მიიღება „მომხრე“ ხმათა უმრავლესობით.

კონსტიტუციის რეფერენდუმზე მიღებიდან სამი წლის განმავლობაში, სახალხო ინიციატივის სახით კონსტიტუციური ცვლილებების საკითხის აღძვრის უფლება აქვს ხმის უფლების მქონე ათი ათას მოქალაქეს. სახალხო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კონსტიტუციური ცვლილებები სასწრაფო საკითხის სახით შეიტანება სახელმწიფო კრების დღის წესრიგში და განიხილება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ეს კანონი და კონსტიტუცია მიღებულია 1992 წლის 28 ივნისის რეფერენდუმზე. კანონი ძალაში შედის კონსტიტუციასთან ერთად.

„კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს კონსტიტუციური ცვლილებების შეტანისათვის დადგენილი წესით.



თურქეთის რესპუბლიკა



ზოგადი ცნობარი შესავალი

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ისტორია დაახლოებით 10 ათას წელს ითვლის. 330 წელს კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის დედაქალაქი გადაიტანა ბიზანტიამი და დაარქვა კონსტანტინოპოლი. 1288 წელს ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერია. 1453 წელს სულთან მეჰმედ ფათიხ II დაიპყრო კონსტანტინოპოლი, რის შემდეგაც იგი გადაიქცა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად.

XVII-XIX საუკუნეებში სამხედრო დამარცხებებს მოჰყვა ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვა.

1914-1919 წლებში თურქეთმა I მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა გერმანიის მხარეზე, დამარცხების შემდეგ თურქეთში შევიდნენ ანტანტას ჯარები. 1920-1922 წლებში მიმდინარეობდა ომი დამოუკიდებლობისთვის მუსტაფა ქემალის წინამძღოლობით. 1922 წელს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სულთანატის გაუქმების შესახებ. 1923 წელს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ქემალ ათათურქი.

1925-1935 წლებში ქემალ ათათურქმა პროგრესული რეფორმების მეშვეობით მოახდინა მთელი თურქული საზოგადოების ძირეული გარდაქმნა.

1952 წელს თურქეთი ნატოს წევრი გახდა.

1960-1980 წლებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არმიის არაერთგზისი ჩარევისა და საპარლამენტო კრიზისის შემდეგ, 1982 წელს რეფერენდუმის შედეგად მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, სამხედრო მთავრობის მეთაურმა დაითხოვა სამხედრო კომიტეტი და გახდა რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1983 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად თურქეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად განვითარდა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: დასავლეთი აზია და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა. ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, აღმოსავლეთით – ირანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ერაყი და სირია, ჩრდილო-დასავლეთით – ბულგარეთი და საბერძნეთი. ჩრდილოეთით აკრავს შავი ზღვა, დასავლეთით – ეგეოსის ზღვა, სამხრეთით – ხმელთაშუა ზღვა.

ფართობი: სულ – 780.580 კმ²; ხმელეთი – 770.760 კმ²; წყალი – 9.820 კმ².

ბუნებრივი რესურსები: ნახშირი, რკინის მადანი, სპილენძი, ქრომი, სტიბიუმი, ვერცხლისწყალი, ოქრო, ბარიტი, ბორატები, ცელესტინი (სტრონციუმი), კორუნდი, მინდვრის შპატი, კირქვა, მაგნეზიტი, მარმარილო, პერლიტი, პემზა, ალმადანი (გოგირდი), თიხა, სახნავი მიწა, ჰიდროენერგეტიკა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 70.413.958 (2006).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 25.5% (მამაკაცი – 9.133.226; ქალი – 8.800.070);
15-64 წლის: 67.7% (მამაკაცი – 24.218.277; ქალი – 23.456.761);
65 წლის და ზემოთ: 6.8% (მამაკაცი – 2.198.073; ქალი – 2.607.551)
(2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 1.06% (2006).

შობადობა: 16.62 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2006).

სიკვდილიანობა: 5.97 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2006).

მიგრაცია: 0 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2006).

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა:

მთელი მოსახლეობა – 72.62 წელი;
მამაკაცები – 70.18 წელი;
ქალები – 75.18 წელი (2006).

მოქალაქეობა: თურქეთის

ეთნიკური ჯგუფები: თურქი – 80%, ქურთი – 20% (დაახლოებით).

რელიგია: ისლამი – 99.8% (ძირითადად სუნიტები), სხვა – 0.2% (ძირითადად ქრისტიანები და იუდაისტები).

ენა: თურქული (ოფიციალური), ქურთული, აზერბაიჯანული, ყაბარდოული.

განათლება: მთელი მოსახლეობა – 86.5% (მამაკაცი – 94.3%; ქალი – 78.7%) (2003).

შენიშვნა: მოცემულია 15 წლის და უფროსი ასაკის პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა – თურქეთის რესპუბლიკა;

შემოკლებული ფორმა – თურქეთი.

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ანკარა

81 პროვინცია: ადანა, ადიამანი, აიდინი, ამასია, ანთალია, ანკარა, არდაჰანი, ართვინი, აფიონ-ყარაჰისარი, აქსარაი, ალრა, ბაიბურთი, ბალიქესირი, ბათმანი, ბართინი, ბილევჯიკი, ბინგოლი, ბითლისი, ბოლუ, ბურდური, ბურსა, გაზიანთეფი, გირესუნი, გუმუშჰანე, დენიზლი, დიარბაქირი, დუჩე, ეღირნე, ელაზილი, ერზინჯანი, ერზერუმი, ესტიშეჰირი, ვანი, ზონგულდაქი, თექირდაღი, თოქათი, თუნჯელი, იალოვა, იგდირი, იზმირი, იოზგათი, ისპარტა, მერსინი, კაისერი, კასთამონუ, კაჰრანმანმარაში, კონია, კოჯაელი, მალათია, მანისა, მარდინი, მულლა, მუში, ნეეშეჰირი, ნიგდე, ორდუ, ოსმანიე, რიზე, სამსუნი, საქარია, სივასი, სირთი, სინოპი, სტამბოლი, ტრაპიზონი, უშაქი, ქლისი, ქირიქკალე, ქირკლარელი, ქიშეჰირი, ქუთაჰია, ყარაბუქი, ყარამანი, ყარსი, შანლიურფა, შირნაქი, ჩანაქალე, ჩანქირი, ჩორუმი, ჰათაი, ჰაქიარი.

დამოუკიდებლობა: 1923 წლის 29 ოქტომბერი (ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო).

ეროვნული დღესასწაული: რესპუბლიკის დღე, 29 ოქტომბერი (1923).

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი (2000 წლის 16 მაისიდან);

მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიპ ერდოღანი (2003 წლის 14 მარტიდან).

სამინისტროები: სოფლის მეურნეობისა და სასოფლო საქმეთა სამინისტრო; კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო; ენერგეტიკისა და ბუნებრივი სიმდიდრეთა სამინისტრო; გარემოსა და მეტყვევების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; ეროვნული თავდაცვის სამინისტრო; ეროვნული განათლების სამინისტრო; საზოგადოებრივი შრომისა და განსახლების სამინისტრო; ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი დიდი ეროვნული კრება, რომელიც შედგება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე 5 წლის ვადით არჩეული 550 წევრისგან.

პოლიტიკური პარტიები: პარტია სამშობლო, დემოკრატიული მემარცხენე პარტია, სახალხო-დემოკრატიული პარტია, კეთილდღეობის პარტია, სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, ნაციონალისტური მოქმედების პარტია, სახალხო აღორძინების პარტია, სახალხო-რესპუბლიკური პარტია, სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია, ჭეშმარიტი გზის პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა. I მსოფლიო ომის დაწყებამდე თურქეთი რჩებოდა უპირატესად აგრარულ ქვეყანად სუსტად განვითარებული მრეწველობით. ათათურქის ომის შემდგომ პოლიტიკას მოჰყვა წარმოების ჩამოყალიბება, რომელიც სახელმწიფოს ხელში იყო. ამჟამად ძირითადი სამრეწველო საწარმოები თავმოყრილია სახელმწიფოს დასავლეთში მდებარე რამდენიმე ქალაქში. განვითარებულია ისეთი დარგები, როგორებიცაა: რკინის, ალუმინისა და ფოლადის წარმოება, სამთო მრეწველობა.

1983 წლიდან თურქეთში ხორციელდება ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობისა და დოტაციების შემცირების გზით კერძო კაპიტალის მხარდაჭერის, ასევე იმპორტზე შეზღუდვების გაუქმების პროგრამა. საშუალო საწარმოების ნახევარზე მეტი დაკავებულია ლითონის, ქსოვილის, ტყავის, კვების პროდუქტებისა და სასმელის წარმოებით. მთელი ეს პროდუქცია მიეწოდება ევროკავშირის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 44%, მრეწველობაში – 22%. შრომისუნარიანი მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ძირითადად დასაქმებულია მომსახურების სფეროში.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტით: \$572 მილიარდი (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 5.6% (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$8,200 (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა – 11.7%; მრეწველობა – 29.8%; მომსახურება – 58.5%.

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 20% (2002).

ბიუჯეტი: შემოსავალი – \$93.58 მილიარდი; გასავალი – \$115.3 მილიარდი (2005).

ექსპორტი: \$72.49 მილიარდი (2005).

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია – 13%, დიდი ბრიტანეთი – 8.2%, იტალია – 7%, აშშ – 6.8%, საფრანგეთი – 5%, ესპანეთი – 4.1% (2005).

იმპორტი: \$101.2 მილიარდი (2005).

იმპორტის პარტნიორები: გერმანია – 13.6%, რუსეთი – 10.1%, იტალია – 6.9%, საფრანგეთი – 5.5%, ჩინეთი – 4.4%, აშშ – 4.1% (2005).

საგარეო ვალი: 170.1 მილიარდი (2005).

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$635.8 მილიონი (2002).

ვალუტა: თურქული ლირა (YTL); 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა ძველი თურქული ლირა (TRL).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. თურქეთის კონსტიტუციონალიზმის ისტორიის ათვლა იწყება მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც 1876 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა სულთან აბდულჰამიდ II-ის მიერ დამტკიცებული პირველი კონსტიტუცია.

მონარქიის გაუქმების შემდეგ, 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო 1924 წლის 20 აპრილს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო პირველი რესპუბლიკური კონსტიტუცია. კონსტიტუციის შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანო იყო მოსახლეობის მიერ 4 წლით არჩეული ერთპალატიანი დიდი ეროვნული კრება. კრება ამავე ვადით ირჩევდა პრეზიდენტს, რომელიც, თავის მხრივ, თანამდებობაზე ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს.

1960 წელს თურქეთში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ გაუქმდა 1924 წლის კონსტიტუცია, რაც, ფაქტობრივად, თურქეთის პირველი რესპუბლიკის არსებობის შეწყვეტას ნიშნავდა.

მეორე რესპუბლიკური კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1961 წლის 9 ივლისს. ახალმა კონსტიტუციამ გააფართოვა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და გაითვალისწინა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. დიდი ეროვნული კრება – პარლამენტი შედგებოდა 2 პალატისგან: მოსახლეობის მიერ 6 წლით არჩეული სენატისა და 4 წლით არჩეული ეროვნული პალატისგან. სახელმწიფოს მეთაურს – პრეზიდენტს 7 წლის ვადით ირჩევდა დიდი ეროვნული კრება ორივე პალატის ხმათა 2/3-ით. 1971 წელს პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ განაპირობა 1961 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რისი შედეგიც იყო მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა ქვეყანა მორიგ სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1980 წელს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნული უშიშროების საბჭომ შეაჩერა 1961 წლის კონსტიტუციის მოქმედება და მხოლოდ 1982 წლის 7 ნოემბერს, რეფერენდუმის შედეგად იქნა მიღებული თურქეთის რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

1982 წლის კონსტიტუციაში არაერთხელ იქნა შეტანილი შესწორება. კონსტიტუციის შესწორების ინიციატივით გამოსვლის უფლება აქვს თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს. წინადადება შესწორების შეტანის შესახებ პლენარულ სხდომაზე გა-

ნიხილება ორჯერ და მიიღება კრების წევრთა სრული შემადგენლობის 3/5-ით.

პრეზიდენტს უფლება აქვს კანონი კონსტიტუციის შესწორების შესახებ შემდგომი განხილვისათვის დაუბრუნოს კრებას. თუ კრება მიიღებს პრეზიდენტის მიერ დაბრუნებული კანონის პროექტს 2/3-ის უმრავლესობით, პრეზიდენტს შეუძლია მისი გატანა რეფერენდუმზე. იმ შემთხვევაში, თუ კრება კანონს მიიღებს წევრთა სრული შემადგენლობის 3/5-ით ან 2/3-ზე ნაკლები ხმით და პრეზიდენტი არ დააბრუნებს მას შემდგომი განხილვისთვის, ხდება კანონის გამოქვეყნება და რეფერენდუმზე გატანა.

პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმზე გაიტანოს დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიღებული ან მის მიერვე შემდგომი განხილვისათვის დაბრუნებული კანონი ან მისი ცალკეული მუხლები კონსტიტუციის შესწორების შესახებ. კანონები და მუხლები, რომლებიც არ იქნა გატანილი რეფერენდუმზე, ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში.

რეფერენდუმზე გატანილ კანონს მხარი უნდა დაუჭიროს საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონის მიღებისას დიდი ეროვნული კრება განსაზღვრავს, თუ რომელი დებულებები უნდა იქნეს რეფერენდუმზე გატანილი ერთად და რომელი – ცალ-ცალკე.

კონსტიტუციის ანალიზი. თურქეთის კონსტიტუციის სტრუქტურა საკმაოდ რთულია. იგი შედგება პრეამბულის, 7 ნაწილის, ცალკეული თავების, ქვეთავების, 177 მუხლისა და 16 დროებითი მუხლისაგან. პრეამბულაში ნათქვამია, რომ კონსტიტუცია თურქი ერისა და თურქეთის სახელმწიფოს განუყოფელ ერთიანობას განამტკიცებს რესპუბლიკის დამაარსებლისა და წინამძღოლის, ათათურქის მიერ გამოცხადებული რეფორმების შესაბამისად. კონსტიტუციაში თურქეთი დახასიათებულია როგორც დემოკრატიული, საერო და სოციალური სახელმწიფო. თურქეთის მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა, ხოლო სახელმწიფო ენა – თურქული. სახელმწიფოს ძირითად მიზნებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს თურქი ერის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის, რესპუბლიკისა და დემოკრატიის განუყოფლობის დაცვა, ადამიანისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა. სუვერენიტეტი მთლიანად და უპირობოდ ეკუთვნის ერს, რომელიც ახორციელებს მას უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით კონსტიტუციაში გამტკიცებული ადამიანის ხელშეუვალი და განუყოფელი უფლებები კლასიფიცირებულია ძირითად, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებად და თავისუფლებებად.

ძირითად უფლებებს შორის აღსანიშნავია სიცოცხლის, მატერიალური და სულიერი მონაპოვრის დაცვისა და განვითარების უფლება. დაუშვებელია ადამიანის წამება, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. პირის დაპატიმრება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ ამ პირის მიმართ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე პირის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, ან მაშინ, როდესაც დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხება. დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი უნდა წარედგინოს მოსამართლეს არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში – არა უგვიანეს 4 დღისა. დანაშაულსა და სასჯელს არა აქვს უკუქცევითი ძალა. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას. კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის იძულებას მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში ან რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში და გამოააშკარაოს თავისი აღმსარებლობა.

ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრის გამოხატვისა და სხვადასხვა საშუალებით მისი გავრცელების უფლებით. პრესა თავისუფალია და არ ექვემდებარება ცენზურას. პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემათა გამოშვება შესაძლებელია წინასწარი ნებართვისა და ფინანსური გარანტიის შეტანის გარეშე.

აზრის გამოხატვისა და გავრცელების უფლებას უკავშირდება გაერთიანების შექმნის, მასში გაწევრიანების ან გაერთიანებიდან გასვლის, აგრეთვე წინასწარი ნებართვის გარეშე მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრებისა და დემონსტრაციაში მონაწილეობის უფლება.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების ფართო ჩამონათვალი თვალსაჩინოს ხდის სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისაკენ. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს ოჯახის სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის, ახალგაზრდობის სწავლებისა და განვითარებისათვის, ხელს უწყობს ნებისმიერი ასაკის თურქი მოქალაქის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას და მასებს შორის სპორტის გავრცელებას, ზრუნავს გამოჩინილ სპორტსმენებზე და ხელოვნების მოღვაწეებზე, უზრუნველყოფს მშრომელებს შესაბამისი ანაზღაურებით, ზრუნავს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობს საზოგადოებრივი საბინაო

პროგრამების განვითარებას, იცავს ინვალიდებს, ომის ვეტერანებს და ომისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ქვრივებს და ობლებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი ურთიერთობების რეგულირების საკითხს. მუშაობა არის ყოველი პირის როგორც უფლება, ისე ვალდებულება. მშრომელები უზრუნველყოფილი არიან დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლებით. თავიანთი ინტერესების დასაცავად მათ აქვთ მშრომელთა კავშირების შექმნის უფლება. შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში მშრომელებს აქვთ გაფიცვის უფლება, ხოლო დამსაქმებლებს შეუძლიათ მიმართონ ლოკაუტს. გაფიცვისა და ლოკაუტის უფლების განხორციელება არ შეიძლება, თუ იგი ეწინააღმდეგება კეთილი ნების პრინციპს, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს და ეროვნულ სიძლიერეს.

კონსტიტუციაში გათვალისწინებული პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში. ისინი პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებენ უშუალოდ ან პოლიტიკური პარტიების მეშვეობით. პოლიტიკური პარტიის შექმნა შესაძლებელია წინასწარი ნებართვის გარეშე. ყოველი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან უზრუნველყოფილია არჩევნებში ხმის მიცემისა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებით. სახელმწიფო სამსახური თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყოველი თურქისთვის. მოქალაქეებსა და ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს აქვთ პეტიციის უფლება.

მმართველობის ფორმის მიხედვით, თურქეთი შეიძლება მივაკუთვნოთ საპარლამენტო რესპუბლიკას, თუმცა, კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკებისგან განსხვავებით, აღმასრულებელ ხელისუფლებას მთავრობასთან ერთად ახორციელებს პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის დიდ ეროვნულ კრებას, ხოლო სასამართლო ხელისუფლება – სასამართლოებს.

დიდი ეროვნული კრება შედგება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული 550 დეპუტატისაგან. კრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, მაგრამ მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ვადის გასვლამდე ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს პრეზიდენტსაც. დეპუტატს გააჩნია თავისუფალი მანდატი და იგი ფლობს საპარლამენტო იმუნიტეტს.

კრება იღებს კანონებს, ზედამხედველობს მინისტრთა საბჭოს და მინისტრებს, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოს ანიჭებს კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილებას, განიხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს, ახდენს საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირებას, იღებს გადაწყვეტილებას ამნისტიისა და შეწყალე-

ბის შესახებ, ახორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ მინისტრთა საბჭოს და დეპუტატებს. კრების მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს პრეზიდენტი 15 დღის ვადაში. ამავე ვადაში მას შეუძლია კანონი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს კრებას ხელახალი განხილვისათვის.

დიდი ეროვნული კრება იკრიბება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის შემადგენლობით და გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

კრება საკონტროლო საქმიანობას ახორციელებს შეკითხვის, საპარლამენტო კვლევის, საერთო დებატების, უნდობლობის გამოცხადებისა და საპარლამენტო გამოძიების მეშვეობით. პრემიერ-მინისტრისთვის ან მინისტრებისთვის დასმულ შეკითხვაზე აუცილებელია პასუხის გაცემა მინისტრთა საბჭოს სახელით ზეპირად ან წერილობით.

გაკიცხვის დადგენილების წარდგენა შესაძლებელია პოლიტიკური პარტიული ჯგუფის სახელით ან არანაკლებ 20 დეპუტატის ხელმოწერით. მინისტრთა საბჭოს ან მინისტრის გადასაყენებლად საჭიროა კრების წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა. კენჭისყრისას დაითვლება მხოლოდ უნდობლობის გამოცხადებისთვის მიცემული ხმები.

პრემიერ-მინისტრის ან სხვა მინისტრების მიმართ შესაძლებელია საპარლამენტო გამოძიების ჩატარებაც, რომელსაც აწარმოებს 15 წევრისაგან შემდგარი კომისია.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. მას 7 წლის ვადით ირჩევს დიდი ეროვნული კრება თავის წევრთაგან ან დეპუტატობის უფლების მქონე თურქი მოქალაქეებისგან. პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება შეუძლია უმაღლესი განათლების მქონე პირს 40 წლის ასაკიდან. აკრძალულია პრეზიდენტის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევა.

პრეზიდენტის უფლებამოსილებები გამიჯნულია ხელისუფლების შტოების მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში პრეზიდენტი ნიშნავს დიდი ეროვნული კრების ახალ არჩევნებს, ხელს აწერს და აქვეყნებს, ან ხელახალი განხილვისათვის აბრუნებს კანონებს, აუცილებლობის შემთხვევაში რეფერენდუმზე გააქვს კონსტიტუციის შესწორებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგენს სარჩელს კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულებისა და დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის დებულებათა მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მოთხოვნით.

აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებას და პროშუღგირებას, იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების მობილიზაციის შესახებ, თავმჯდომარეობს ეროვნული უშიშროების საბჭოს, აცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია პრეზიდენტის უფლებამოსილება მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში. იგი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო საბჭოს წევრთა 1/4-ს, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მთავარ პროკურორსა და მთავარი პროკურორის მოადგილეს, უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს, უზენაესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოსა და მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს წევრებს.

პრეზიდენტის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ სახელმწიფოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში. თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების შესახებ წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროოს საკანონმდებლო ორგანოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-მა, ხოლო გადაწყვეტილებას თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების შესახებ – არანაკლებ 3/4-მა.

გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა რაიმე მიზეზით პრეზიდენტის თანამდებობის გათავისუფლების შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს დიდი ეროვნული კრების სპიკერი.

მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. პრემიერ-მინისტრს დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით – პრეზიდენტი კრების წევრთაგან ან იმ პირებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ დეპუტატისთვის დადგენილ მოთხოვნებს. პრემიერ-მინისტრის წინადადებით მათი გათავისუფლების უფლება აქვს პრეზიდენტს.

მინისტრთა საბჭოს სამთავრობო პროგრამას მისი შექმნიდან 1 კვირის ვადაში კრებას წარუდგენს პრემიერ-მინისტრი ან ერთ-ერთი მინისტრი, რის შემდეგაც კენჭი ეყრება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას. პრემიერ-მინისტრს შეუძლია მინისტრთა საბჭოში საკითხის განხილვის შემდეგ ნდობის ვოტუმის მისაღებად მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს.

პრემიერ-მინისტრი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფს მინისტრებს შორის თანამშრომლობას და ზედამხედველობს მთავრობის ძირითადი პოლიტიკის განხორციელებას. მინისტრთა საბჭოს წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის.

მინისტრთა საბჭო დიდი ეროვნული კრების მიერ მინიჭებული უფლება-
მოხილების საფუძველზე გამოსცემს კანონის ძალის მქონე ბრძანებულებას,
რომელიც ძალას კარგავს, თუ გამოქვეყნების დღესვე არ წარედგინება კრე-
ბას. ბრძანებულება ძალას კარგავს კრების მიერ მისი უარყოფის შემთხვევა-
შიც. მინისტრთა საბჭო გამოსცემს აგრეთვე ინსტრუქციებს, რომლებიც არე-
გულირებს კანონის შესრულების წესს ან განსაზღვრავს კანონით მოსაწეს-
რიგებელ საკითხებს.

დიდი ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნების ჩატარებამდე თანამ-
დებობიდან უნდა გადადგნენ იუსტიციის, შინაგან საქმეთა და კავშირგაბმუ-
ლობის მინისტრები. პრეზიერ-მინისტრი ამ მინისტრების თანამდებობებზე დი-
დი ეროვნული კრების წევრთაგან ან სხვა პირებისგან ნიშნავს დამოუკიდე-
ბელ პირებს. იმ შემთხვევაში, თუ მინისტრთა საბჭო ვერ მიიღებს ნდობის
ვოტუმს ან გადადება უნდობლობის ვოტუმის გამო და დაინიშნება ახალი
არჩევნები, პრეზიდენტმა დროებითი მინისტრთა საბჭოს შესაქმნელად უნდა
დანიშნოს პრეზიერ-მინისტრი. დროებითი მინისტრთა საბჭო შედგება პოლი-
ტიკური პარტიული ჯგუფების წევრებისგან პარლამენტში მათი წარმომად-
გენლობის პროპორციულად, გარდა იუსტიციის, შინაგან საქმეთა და კავშირ-
გაბმულობის მინისტრებისა, რომლებიც უნდა იყვნენ დიდი ეროვნული კრე-
ბის წევრთაგან ან სხვა პირთაგან დანიშნული დამოუკიდებელი პირები.

დროებითი მინისტრთა საბჭო თავის მოვალეობას ახორციელებს ახალი
კრების მოწვევამდე და მასზე არ ვრცელდება ნდობის ვოტუმი.

მმართველობის სისტემა ეფუძნება ცენტრალიზაციისა და ადგილობრივი
მმართველობის პრინციპებს. მმართველობის ორგანოს ნებისმიერი აქტი და
მოქმედება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. პრეზიდენტის აქტებსა
და უზენაესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტრო-
ლი არ ვრცელდება.

თურქეთი არის უნიტარული სახელმწიფო. კონსტიტუცია განსაზღვრავს
ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, მაგრამ
არაფერს ამბობს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

კონსტიტუციაში განმტკიცებულია სასამართლო ხელისუფლების საფუძ-
ვლები. მოსამართლე თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებე-
ლია და გადაწყვეტილება გამოაქვს კონსტიტუციის, კანონისა და შინაგანი
რწმენის შესაბამისად. არავის არა აქვს უფლება მისცეს მოსამართლეს მი-
თითება სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუცია აწესრიგებს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების
სტრუქტურას და საქმიანობის წესს. სასამართლო ორგანოების სისტემაში
ცენტრალური ადგილი უკავია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს —
საკონსტიტუციო სასამართლოს. იგი შედგება 11 ძირითადი და 4 სათადარი-

გო წევრისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ერთპიროვნულად ნიშნავს პრეზიდენტი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებიდან, ასევე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებლების, მაღალი თანამდებობის პირებისა და იურისტებისგან. საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს ძირითად წევრთაგან 4 წლის ვადით.

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კონსტიტუციასთან ფორმისა და არსის მიხედვით კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულებისა და დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის შესაბამისობის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა ფუნქციებს შორის აღსანიშნავია მის მიერ უზენაესი სასამართლოს სახით კონსტიტუციით განსაზღვრული მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულის საქმეების განხილვა.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. თურქეთის კონსტიტუციის თავისებურებას გარკვეულწილად მისი სტრუქტურა განაპირობებს. კონსტიტუცია საკმაოდ ვრცელია და შედგება 177 ძირითადი და 16 დროებითი მუხლისაგან. სწორედ დროებითი მუხლების არსებობა განასხვავებს მას სხვა კონსტიტუციებისგან და წარმოადგენს ერთ-ერთ განსაკუთრებულ თავისებურებას. რაც შეეხება კონსტიტუციის სხვა თავისებურებებს, მათ შორის აღსანიშნავია:

- პრეამბულა, რომელშიც ხაზგასმულია ერის წინაშე კონკრეტული პირის დამსახურება;
- შრომითი დავის წარმოშობისას გაფიცვასთან ერთად ლოკაუტის უფლების გათვალისწინება;
- კონსტიტუციაში სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის გათვალისწინებლობა;
- პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ; მისი უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადა – იგი შეადგენს 7 წელს; პრეზიდენტის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევის აკრძალვა; პრეზიდენტის პასუხისმგებლობა მხოლოდ სახელმწიფოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში – კონსტიტუციის დარღვევისა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პრეზიდენტის იმპიჩმენტი გათვალისწინებული არ არის;
- პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების დანიშვნა დიდი ეროვნული კრების წევრთაგან; კრების მიერ მინისტრთა საბჭოსთვის კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭება; მინისტრთა საბჭოს ინსტრუქციებით კანონის შესრულების წესის რეგულირება ან კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების განსაზღვრა;
- დროებითი მინისტრთა საბჭოს ფორმირება;

- კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის გაუთვალისწინებლობა;
- საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულებისა და დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვა ფორმისა და არსის მიხედვით;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული საქმეების განხილვა უზუნაესი სასამართლოს სახით.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია¹

მიღებულია 1982 წლის 7 ნოემბერს

(შესწორებები შეტანილია 1987 წლის 17 მაისს, 995 წლის 2 ივლისს, 1995 წლის 23 ივლისს, 1999 წლის 13 აგვისტოს, 2001 წლის 17 ოქტომბერს, 2001 წლის 30 ნოემბერს, 2002 წლის 12 დეკემბერს, 2004 წლის 22 მაისს)

პრეამბულა

ნაციონალიზმის კონცეფციისა და თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, უკვდავი წინამძღოლისა და უბადლო გმირის, ათათურქის მიერ გამოცხადებული რეფორმებისა და პრინციპების შესაბამისად ეს კონსტიტუცია განამტკიცებს თურქი ერისა და საშობლოს მარადიულ არსებობას და თურქეთის სახელმწიფოს განუყოფელ ერთიანობას;

მიისწრაფვის, დაიცვას თურქეთის რესპუბლიკის, როგორც მსოფლიოს ხალხთა ოჯახის ღირსეული, თანასწორუფლებიანი წევრის სამარადისო არსებობა, წარმატება, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, მიაღწიოს თანამედროვე ცივილიზაციის სტანდარტებს;

აცნობიერებს ერის ნების აბსოლუტურ უზენაესობას და იმ გარემოებას, რომ სუვერენიტეტი მთლიანად და უპირობოდ ეკუთვნის თურქ ერს, აგრეთვე იმას, რომ არც ერთმა პირმა ან ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია ხალხის სახელით განახორციელოს ეს სუვერენიტეტი, არ უნდა გადაუხვიოს მის მოთხოვნილებათა შესაბამისად დადგენილი ლიბერალური დემოკრატიისა და კანონმდებლობის ფარგლებს;

განასახიერებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რომელიც არ გულისხმობს სახელმწიფო ორგანოებს შორის დაქვემდებარების არსებობას, არამედ არის ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ვალდებულებისა და უფლებამოსილების გადაცემა, რაც შემოიფარგლება თანამშრომლობითა და ფუნქციების დაყოფით, კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის აღიარებით;

აღიარებს, რომ არ იქნება მხარდაჭერილი ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება თურქეთის ეროვნულ ინტერესებს, თურქეთის სახელმწიფოს

¹ თარგმანისას გამოყენებულია თურქეთის პარლამენტის (დიდი ეროვნული კრების) ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.tbmm.gov.tr/english/constitution.htm გამოქვეყნებული თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

განუყოფელი ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის პრინციპებს, თურქეთის ისტორიულ და ზნეობრივ ღირებულებებს ან ნაციონალიზმს, ათათურქის პრინციპებს, რეფორმებს და გარდაქმნებს, აგრეთვე, როგორც ამას მოითხოვს სეკულარიზაციის პრინციპი, სახელმწიფოს საქმეებსა და პოლიტიკაში რელიგიური გრძნობების ჩარევის დაუშვებლობას;

ადასტურებს თურქეთის ყოველი მოქალაქის განუყოფელ უფლებას, ეწეოდეს ღირსეულ ცხოვრებას და გააუმჯობესოს საკუთარი მატერიალური და სულიერი მდგომარეობა ეროვნული კულტურის, ცივილიზაციისა და კანონის უზენაესობის პირობებში, კონსტიტუციაში მოცემული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების გზით, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნათა შესაბამისად;

აღიარებს, რომ ყოველი თურქი მოქალაქე გაერთიანებულია ეროვნული ღირსებითა და სიამაყით, ეროვნულ სიხარულსა და მწუხარებაში, ეროვნულ არსებობასთან დაკავშირებით უფლებებსა და მოვალეობებში, კეთილდღეობასა და გასაჭირში, ეროვნული ცხოვრების ნებისმიერ გამოვლენაში, რომ მას აქვს მშვიდობიანი ცხოვრების მოთხოვნის უფლება, რომელიც ემყარება ერთმანეთის უფლებებისა და თავისუფლებების უდავო პატივისცემას, ურთიერთსიყვარულსა და მეგობრობას, ასევე რწმენას შეხედულებისა: „მშვიდობა სახლში, მშვიდობა მსოფლიოში“.

ეს კონსტიტუცია მოიცავს იდეებს, შეხედულებებს, განსაზღვრებებს, რომლებიც ასახულია ქვემოთ და განიმარტება და სრულდება მისი ფორმისა და არსის მიმართ უსიტყვო ერთგულებითა და თავდადებით.

ამ კონსტიტუციას თურქი ერი მიანდობს დემოკრატიის ერთგული შეილების პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს.

ნაწილი პირველი. ზოგადი პრინციპები I. სახელმწიფოს ფორმა

მუხლი 1. თურქეთის სახელმწიფო არის რესპუბლიკა.

II. რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშნები

მუხლი 2. თურქეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული, საერო და სოციალური სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას, ემყარება საყოველთაო მშვიდობის, ეროვნული სოლიდარობისა და სამართლიანობის კონცეფციებს, აღიარებს ადამიანის უფლებებს, ერთგულია ათათურქის ნაციონალიზმის და ეყრდნობა პრეამბულაში ჩამოთვლილ ძირითად პრინციპებს.

III. სახელმწიფოს მთლიანობა, ოფიციალური ენა, დროშა, ეროვნული ჰიმნი და დედაქალაქი

მუხლი 3. თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობა განუყოფელია. მისი ოფიციალური ენა არის თურქული.

დროშა, რომლის ფორმა განისაზღვრება სპეციალური კანონით, შედგება თეთრი ნახევარმთვარისა და ვარსკვლავისგან წითელ ფონზე.

თურქეთის ეროვნული ჰიმნი არის „დამოუკიდებლობის მარში“.

თურქეთის დედაქალაქია ანკარა.

IV. უცვლელი დებულებები

მუხლი 4. კონსტიტუციის პირველი მუხლის დებულება, რომელიც სახელმწიფოს ფორმად ადგენს რესპუბლიკას, მე-2 მუხლის დებულებები რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ და მე-3 მუხლის დებულებები არ შეიძლება შესწორდეს; აგრეთვე არ შეიძლება მათი შესწორების თაობაზე წინადადებების შეტანა.

V. სახელმწიფოს ძირითადი მიზნები და ვალდებულებები

მუხლი 5. სახელმწიფოს ძირითადი მიზნები და ვალდებულებებია: თურქი ერის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის, ქვეყნის, რესპუბლიკისა და დემოკრატიის განუყოფლობის დაცვა; პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობის, მშვიდობისა და ბედნიერების უზრუნველყოფა; კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სოციალური სახელმწიფოსა და სამართლიანობის პრინციპებთან შეუთავსებელი მეთოდით ბრძოლა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ზღუდავს პიროვნების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; პიროვნების მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

VI. სუვერენიტეტი

მუხლი 6. სუვერენიტეტი მთლიანად და უპირობოდ ეკუთვნის ერს.

თურქი ერი სუვერენიტეტს ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

დაუშვებელია სუვერენიტეტის განხორციელების უფლებამოსილების რომელიმე პირისთვის, ჯგუფისთვის ან კლასისთვის გადაცემა. დაუშვებელია რომელიმე პირის ან ორგანოს მიერ კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი რაიმე სახის სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

VII. საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 7. საკანონმდებლო ხელისუფლება თურქი ერის სახელით ეკუთვნის თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. დაუშვებელია ამ ხელისუფლების გადაცემა.

VIII. აღმასრულებელი ხელისუფლება და ფუნქციები

მუხლი 8. აღმასრულებელ ხელისუფლებას და ფუნქციებს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ახორციელებენ რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო.

IX. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 9. სასამართლო ხელისუფლებას თურქი ერის სახელით ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები.

X. კანონის წინაშე თანასწორობა

მუხლი 10. ყოველი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად ენისა, რასისა, კანის ფერისა, სქესისა, პოლიტიკური შეხედულებისა, ფილოსოფიური მრწამსისა, აღმსარებლობისა, რწმენისა ან სხვა მოსაზრებისა.

კაცებსა და ქალებს თანაბარი უფლებები აქვთ და ამ უფლებების დაცვისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

დაუშვებელია რომელიმე პირისთვის, ოჯახისთვის, ჯგუფისთვის ან კლასისთვის პრივილეგიების მინიჭება.

სახელმწიფო ორგანოებმა და ადმინისტრაციულმა ინსტანციებმა თავიანთი უფლებამოსილება უნდა განახორცილონ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის შესაბამისად.

XI. კონსტიტუციის უზენაესობა და სავალდებულო ძალა

მუხლი 11. კონსტიტუციის დებულებები არის ძირითადი სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებისთვის, ადმინისტრაციული ინსტანციებისთვის, სხვა ორგანიზაციებისა და პირებისთვის.

კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

ნაწილი მეორე. ძირითადი უფლებები და ვალდებულებები
თავი პირველი. ზოგადი დებულებები
I. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა არსი

მუხლი 12. ყოველი ადამიანი სარგებლობს ხელშეუვალი და განუყოფელი ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გულისხმობს ასევე პიროვნების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას საზოგადოების, საკუთარი ოჯახისა და სხვა პირთა მიმართ.

II. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა

მუხლი 13. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, მათი არსის დარღვევის გარეშე.

ეს შეზღუდვები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ფორმას და არსს, საზოგადოების დემოკრატიული წყობილებისა და საერო რესპუბლიკის მოთხოვნებსა და პროპორციულობის პრინციპს.

III. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

მუხლი 14. არ შეიძლება კონსტიტუციაში მოცემული არც ერთი უფლებისა და თავისუფლების განხორციელება სახელმწიფოს განუყოფელი ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის დარღვევისა და ადამიანის უფლებებზე დამყარებული თურქეთის რესპუბლიკის დემოკრატიული და საერო წყობილების არსებობისთვის საფრთხის შექმნის მიზნით.

არ შეიძლება ამ კონსტიტუციის არც ერთი დებულების განმარტება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს ან პიროვნების მიერ კონსტიტუციაში ასახული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა ან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიმართულია ამ უფლებებისა და თავისუფლებების უფრო ფართო მოცულობით შეზღუდვისკენ, ვიდრე ეს კონსტიტუციითაა დადგენილი.

სანქციები, რომლებიც გამოიყენება ამ დებულებების დამრღვევ პირთა მიმართ, განისაზღვრება კანონით.

IV. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების შეჩერება

მუხლი 15. ომის, მობილიზაციის, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეჩერდეს ნაწილობრივ ან მთლიანად, ან მიღებულ იქნეს აუცილებლობით განპირობებული ზომები, რომლებიც აკნინებს კონსტიტუციაში მოცემულ გარანტიებს, იმ პირობით, რომ არ დაირღვევა საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებები.

პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებშიც, ადამიანის სიცოცხლის უფლება, პიროვნების მატერიალური და სულიერი მონაპოვარი ხელშეუვალია, გარდა ომის წესებიდან გამომდინარე სიკვდილისა; დაუშვებელია ადამიანის იძულება გამოაშკარავოს თავისი აღმსარებლობა, სინდისი, აზრი ან შეხედულება და ამის გამო მისთვის ბრალის დადება; დანაშაულსა და სასჯელს არა აქვს უკუტყვევითი ძალა. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

V. უცხოელთა სტატუსი

მუხლი 16. უცხოელთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია კანონით, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

თავი მეორე. ადამიანის უფლებები და ვალდებულებები
I. ადამიანის ხელშეუხებლობა, მატერიალური და სულიერი მონაპოვარი

მუხლი 17. ყველას აქვს სიცოცხლის, მატერიალური და სულიერი მონაპოვრის დაცვისა და განვითარების უფლება.

დაუშვებელია ადამიანის ფიზიკური მთლიანობის დარღვევა, გარდა სამედიცინო აუცილებლობისა და კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა; დაუშვებელია ადამიანის მიმართ მისი თანხმობის გარეშე სამეცნიერო ან სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება.

დაუშვებელია ადამიანის წამება, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულებები არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როგორებიცაა: მკვლელობა აუცილებელი მოგერიებისას, სიკვდილი იარაღის გამოყენების შედეგად, რაც დაშვებულია კანონით, როგორც აუცილებელი ღონისძიება დაკავებისას, დაპატიმრებისას, კანონიერად

დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად, აჯანყებისა და ამბოხების ჩასახშობად, ასევე საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებამოსილი ორგანოს განკარგულების შესასრულებლად.

II. იძულებითი შრომის აკრძალვა

მუხლი 18. დაუშვებელია ადამიანის იძულება იშრომოს. იძულებითი შრომა აკრძალულია.

სამუშაო, რომლის შესრულება მოეთხოვება პირს სასჯელის მოხდის, დაკავების ან საგანგებო მდგომარეობის დროს, აგრეთვე ფიზიკური ან ინტელექტუალური სამუშაო, რომლის შესრულება აუცილებელია ქვეყნის ინტერესებით განპირობებული სამოქალაქო მოვალეობის განსახორციელებლად, არ ითვლება იძულებით სამუშაოდ, თუ ასეთი სამუშაოს ფორმა და პირობები განსაზღვრულია კანონით.

III. პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება

მუხლი 19. ყველას აქვს პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როგორებიცაა: სასამართლოს განკარგულების აღსრულება, რომელიც ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას და უსაფრთხოების ზომების გატარებას; სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება; განკარგულების აღსრულება არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი ზედამხედველობის ან უფლებამოსილ ორგანოში მიყვანის მიზნით; კანონის დებულებათა შესაბამისად ზომების მიღება დაწესებულებებში სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების, მანანწალების ან იმ პირების მკურნალობის, ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისთვის, რომლებიც ავრცელებენ ინფექციურ დაავადებებს და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ; იმ პირის დაპატიმრება ან დაკავება, რომელიც შემოვიდა ან ცდილობდა უკანონოდ შემოსვლას ქვეყანაში, ან რომლის მიმართ გამოტანილია გადაწყვეტილება დეპორტაციის ან ექსტრადიციის შესახებ.

პირი, რომლის მიმართ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს მოსამართლის გადაწყვეტილებით მხოლოდ გაქცევის, მტკიცებულებათა განადგურების ან თვისებების შეცვლის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, როდესაც დაპატიმრება აუცილებელია. მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე პირის დაპატიმრება

შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, ან როდესაც დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხება. ასეთ მოქმედებათა ჩატარების პირობები განისაზღვრება კანონით.

დაკავებულს ან დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს წერილობით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – ზეპირი ფორმით, დაკავების ან დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება; დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში შეტყობინება უნდა გაკეთდეს მოსამართლისთვის ამ პირების წარდგენამდე.

დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი უნდა წარედგინოს მოსამართლეს არა უგვიანეს ორმოცდარვა საათისა, ხოლო დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში – არა უგვიანეს ოთხი დღისა, გარდა დაპატიმრების ადგილიდან უახლოეს სასამართლომდე პირის მიყვანისთვის საჭირო დროისა. არავის არ შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე აღეკეთოს თავისუფლება ზემოაღნიშნული ვადების ამოწურვის შემდეგ. ამ ვადების გაგრძელება შესაძლებელია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის ან ომის დროს.

პირის დაკავების ან დაპატიმრების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ახლო ნათესავს.

დაკავებულ პირს აქვს დადგენილ ვადაში მის მიმართ საქმის განხილვის ან გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროს გათავისუფლების მოთხოვნის უფლება. გათავისუფლება შეიძლება იყოს პირობითი, სამართალწარმოებაში პირის დასწრებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გარანტიის წარდგენით.

პირს, რომელსაც აღეკეთილი აქვს თავისუფლება, ნებისმიერ ვითარებაში უფლება აქვს მიმართოს შესაბამის სასამართლო ორგანოს სამართალწარმოების სწრაფი დასრულებისა და გათავისუფლების მოთხოვნით, თუ მას თავისუფლება უკანონოდ შეეზღუდა.

ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევით პირისთვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, კომპენსაციის შესახებ კანონის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

IV. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და დაცვა

ა. პირადი ცხოვრების საიდუმლოება

მუხლი 20. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს პირადი და საოჯახო ცხოვრების დაცვა. არ შეიძლება პირადი და საოჯახო ცხოვრების საიდუმლოების დარღვევა.

დაუშვებელია ადამიანის გაჩხრეკა, აგრეთვე მისი პირადი საბუთებისა და ნივთების გაჩხრეკა და დაყადაღება. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა,

როდესაც არსებობს მოსამართლის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება ერთი ან რამდენიმე საფუძვლის შესახებ, რომელიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ან გარემოება, როდესაც ზემოდასახელებული საფუძვლების გამო დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კანონით უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი განკარგულება. უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა მოსამართლეს განსჯადობის მიხედვით 24 საათის განმავლობაში. თუ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას დაყადაღებიდან 48 საათის განმავლობაში, ყადაღა მოხსნილად ჩაითვლება.

ბ. საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა

მუხლი 21. პიროვნების საცხოვრებელი ბინა ხელშეუხებელია.

დაუშვებელია პირის საცხოვრებელ ბინაში შესვლა, ჩხრეკის ჩატარება ან იქ არსებული ქონების დაყადაღება. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს მოსამართლის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება ერთი ან რამდენიმე საფუძვლის შესახებ, რომელიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ან გარემოება, როდესაც ზემოაღნიშნული საფუძვლების გამო დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კანონით უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი განკარგულება. უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა მოსამართლეს განსჯადობის მიხედვით 24 საათის განმავლობაში. თუ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას დაყადაღებიდან 48 საათის განმავლობაში, ყადაღა მოხსნილად ჩაითვლება.

გ. კომუნიკაციის თავისუფლება

მუხლი 22. ყოველ ადამიანს აქვს კომუნიკაციის თავისუფლება.

კომუნიკაციის საიდუმლოება ძირითადია.

დაუშვებელია კომუნიკაციის თავისუფლებისთვის დაბრკოლების შექმნა ან მისი საიდუმლოების დარღვევა. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს მოსამართლის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება ერთი ან რამდენიმე საფუძვლის შესახებ, რომელიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და მორალის

ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ან გარემოება, როდესაც ზემოაღნიშნული საფუძვლების გამო დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კანონით უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი განკარგულება. უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა მოსამართლეს განსჯადობის მიხედვით 24 საათის განმავლობაში. თუ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას დაყაღალებიდან 48 საათის განმავლობაში, ყაღაღა მოხსნილად ჩაითვლება.

საჯარო ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა მიმართ შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება, განისაზღვრება კანონით.

V. საცხოვრებელი ადგილისა და მიმოსვლის თავისუფლება

მუხლი 23. ყველას აქვს საცხოვრებელი ადგილისა და მიმოსვლის თავისუფლება.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად, ურბანიზაციის კანონიერი და ორგანიზებული პროცესის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად; მიმოსვლის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. ქვეყნიდან გასვლის თავისუფლება მოქალაქეს შეიძლება შეეზღუდოს სამოქალაქო მოვალეობებთან, გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით.

არ შეიძლება მოქალაქის დეპორტაცია ან მისთვის სამშობლოში შემოსვლის უფლების ჩამორთმევა.

VI. აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება

მუხლი 24. ყველას აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

ღვთისმსახურება და რელიგიური წეს-ჩვეულებები უნდა სრულდებოდეს თავისუფლად, მე-14 მუხლის დებულებათა დარღვევის გარეშე.

დაუშვებელია ადამიანის იძულება მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში ან რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში და გამოააშკარაოს თავისი აღმსარებლობა, ასევე ბრალის ან მსჯავრის დადება აღმსარებლობისა და რწმენის გამო.

რელიგიისა და ეთიკის სწავლება ხორციელდება სახელმწიფოს ზედამხედველობითა და კონტროლით. რელიგიური კულტურის სწავლება და ზნეობრივი აღზრდა დაწყებითი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმის აუ-

ცილებელი შემადგენელი ნაწილია. სხვა სახის რელიგიური განათლების მიღება დამოკიდებულია პიროვნების სურვილზე, ხოლო არასრულწლოვნისთვის – მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნაზე.

დაუშვებელია თუნდაც ნაწილობრივ რელიგიის, რელიგიური გრძნობებისა და სიწმინდეების ხელყოფა ან შეურაცხყოფა პირადი ან პოლიტიკური გაელენისთვის, ასევე სახელმწიფოს ძირითადი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი წყობილების დამყარება რელიგიურ პრინციპებზე.

VII. აზრისა და შეხედულების თავისუფლება

მუხლი 25. ყოველ ადამიანს აქვს აზრისა და შეხედულების თავისუფლება. დაუშვებელია რაიმე მიზეზით ან მიზნით პირის იძულება გამოაშკარაოს თავისი აზრი და შეხედულება, ასევე ბრალის ან მსჯავრის დადება აზრისა და შეხედულების გამო.

VIII. აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება

მუხლი 26. ყველას აქვს უფლება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი აზრი და შეხედულება ზეპირად, წერილობით, გამოსახულებით ან ინფორმაციის სხვა საშუალებით. ეს უფლება მოიცავს ხელისუფლების ორგანოების ჩარევის გარეშე ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის თავისუფლებას. ეს დებულება არ გამორიცხავს ტელერადიოგადაცემების, კინოსა და მსგავსი საშუალებების ლიცენზირების სისტემისთვის დაქვემდებარებას.

ამ თავისუფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს კანონით, ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშნებისა და სახელმწიფოს განუყოფელი ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის, სხვათა რეპუტაციის, უფლებების, პირადი და საოჯახო ცხოვრების, პროფესიული საიდუმლოების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, დამნაშავეის დასჯის ან სასამართლო ხელისუფლების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

აზრის გამოხატვისა და გავრცელების უფლების განხორციელების პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

IX. მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფლება

მუხლი 27. ყველას აქვს უფლება თავისუფლად ისწავლოს და შეასწავლოს, ახსნას და გაავრცელოს მეცნიერება და ხელოვნება, აგრეთვე აწარმოოს კვლევა ამ დარგებში.

დაუშვებელია გავრცელების უფლების განხორციელება ამ კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-3 მუხლების დებულებათა შეცვლის მიზნით.

ამ მუხლის დებულებები არ გამოიცხადება ქვეყანაში უცხოურ პუბლიკაციათა შემოსვლისა და გავრცელების კანონით რეგულირებას.

X. პრესასა და გამომცემლობასთან დაკავშირებული დებულებები ა. პრესის თავისუფლება

მუხლი 28. პრესა თავისუფალია და მისი ცენზურა დაუშვებელია. სტამბის დაარსება არ ექვემდებარება წინასწარ ნებართვას ან ფინანსური გარანტიის შეტანას.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს პრესისა და ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

პრესის თავისუფლების შეზღუდვისას გამოიყენება კონსტიტუციის 26-ე და 27-ე მუხლები.

პირი, რომლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ან ცნობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო უშიშროებას, მის განუყოფელ ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას, მოუწოდებს დანაშაულის ჩადენისკენ, აჯანყებისა და ამბოხებისკენ, ან რომელიც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, აგრეთვე ის პირი, რომელიც აქვეყნებს ან გადასცემს სხვას ასეთ ინფორმაციას ან ცნობას ზემოაღნიშნული მიზნებისთვის, პასუხისმგებლობაში მიეცემა შესაბამისი კანონის მიხედვით. ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია შეჩერდეს მოსამართლის გადაწყვეტილებით, როგორც გამაფრთხილებელი ზომა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაყონება დაუშვებელია — კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ამ ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა უნდა ეცნობოს უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ ორმოცდარვა საათის განმავლობაში მოსამართლე არ დაამტკიცებს განკარგულებას ინფორმაციის შეჩერების შესახებ, ის ბათილად ჩაითვლება.

არ შეიძლება მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გადაცემის აკრძალვა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიღებულია მოსამართლის გადაწყვეტილება.

პერიოდული და არაპერიოდული გამომცემების დაყვანება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას, აგრეთვე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს განკარგულებით, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ან იმ შემთხვევებში, როდესაც დაყონება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს განუყოფელ ტერიტორიულ და ეროვნულ

მთლიანობას, ეროვნულ უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მორალს. კონფისკაციის შესახებ განკარგულების გამოცემა ორგანომ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა უნდა აცნობოს უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ ორმოცდარვა საათის განმავლობაში უფლებამოსილი სასამართლო არ დაამტკიცებს განკარგულებას კონფისკაციის შესახებ, ის ბათილად ჩაითვლება.

გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემათა დაყადალებისა და კონფისკაციისას გამოიყენება ზოგადი დებულებები.

თურქეთში გამოძვალვი პერიოდული გამოცემის დროებითი შეჩერება შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ დადგინდება, რომ მასში მოცემული ცნობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს განუყოფელ ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას, რესპუბლიკის ძირითად პრინციპებს, ეროვნულ უშიშროებას და საზოგადოებრივ მორალს. აკრძალულია ნებისმიერი პუბლიკაცია, რომელიც ნათლად შეიცავს შეჩერებული პერიოდული გამოცემის ნიშნებს; მასზე ყადაღის დადება შესაძლებელია უფლებამოსილი მოსამართლის გადაწყვეტილებით.

ბ. პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემათა გამოშვების უფლება

მუხლი 29. პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემათა გამოშვება არ ექვემდებარება წინასწარ ნებართვას ან ფინანსური გარანტიის შეტანას.

პერიოდულ გამოცემათა გამოსაშვებად საკმარისია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოსთვის კანონით დადგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა. თუ დადგინდება, რომ წარდგენილი ინფორმაცია და საბუთები ეწინააღმდეგება კანონს, უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიმართოს შესაბამის სასამართლოს გამოცემის გამოშვების შესაჩერებლად.

პერიოდულ გამოცემათა გამოშვება, გამოშვების პირობები, დაფინანსების წყაროები და ჟურნალისტიკის პროფესიასთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება კანონით. დაუშვებელია კანონით ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და სპეციალური პირობების დაწესება, რომლებიც აფერხებს ინფორმაციის, აზრისა და მრწამსის გავრცელებას.

პერიოდული გამოცემებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია სახელმწიფოსა და სხვა საჯარო კორპორაციული ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლობების სახსრები და საშუალებები.

გ. ბეჭდვით საშუალებათა დაცვა

მუხლი 30. დაუშვებელია კანონის შესაბამისად პრესის საწარმოს სახით დაარსებული სტამბისა და მისი ფილიალების დაყადალება, კონფისკაცია ან

საქმიანობის შეწყვეტა, თუ დადგინდება, რომ ისინი მიმართულია დანაშაულის ჩადენისკენ.

დ. გარდა პრესისა, საჯარო კორპორაციების საკუთრებაში არსებული ინფორმაციის სხვა საშუალებების გამოყენება

მუხლი 31. ყოველ პირსა და პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს გამოიყენოს გარდა პრესისა, საჯარო კორპორაციების საკუთრებაში არსებული მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ასეთი გამოყენების პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

დაუშვებელია კანონით ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც აფერხებს საზოგადოების მიერ ამ საშუალებებით ინფორმაციის მიღებას, იღებინასა და შეხედულებების ჩამოყალიბებას, გარდა იმ პირობებისა, რომლებიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ე. გასწორებისა და პასუხის უფლება

მუხლი 32. გასწორებისა და პასუხის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ილაზება პირადი რეპუტაცია და ღირსება, აგრეთვე დაუსაბუთებელი განცხადების დროს და განისაზღვრება კანონით.

თუ გასწორება და პასუხი არ არის გამოქვეყნებული, მოსამართლე დაინტერესებული პირის მიმართვიდან შვიდი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ.

XI. შეკრების უფლება და თავისუფლება

ა. გაერთიანების თავისუფლება

მუხლი 33. ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე გაერთიანების შექმნის, მასში გაწევრიანების ან გაერთიანებიდან გასვლის უფლება.

დაუშვებელია პირის იძულება გაწევრიანდეს გაერთიანებაში ან დარჩეს მის წევრად.

გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით ისეთი პირობების არსებობისას, რომლებიც აუცილებელია ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, მორალისა და ჯანმრთელობის დასაცავად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

გაერთიანების თავისუფლების განხორციელების მარეგულირებელი პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. იმ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას ან საზოგადოებრივ წესრიგს, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ან გაგრძელების თავიდან აცილების ან დაპატიმრების განხორციელების აუცილებლობისას, კანონით განსაზღვრულ ორგანოებს ენიჭებათ გაერთიანების საქმიანობის შეჩერების უფლებამოსილება. მათი გადაწყვეტილება ოცდაოთხი საათის განმავლობაში დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მოსამართლეს. თუ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას ორმოცდარვა საათის განმავლობაში, ეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ბათილად ჩაითვლება.

პირველი პუნქტის დებულებები არ აბრკოლებს შეზღუდვების დაწესებას სამხედრო ძალებისა და უშიშროების სამსახურის თანამდებობის პირებისა და სამოქალაქო მოსამსახურეების უფლებებზე, სამოქალაქო მოსამსახურეებისთვის დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში.

ამ მუხლის დებულებები გამოიყენება აგრეთვე საქველმოქმედო ფონდების მიმართ.

ბ. მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარების უფლება

მუხლი 34. ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრების, ასევე დემონსტრაციაში მონაწილეობის უფლება.

მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარების უფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, მორალისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარების უფლების განხორციელების მარეგულირებელი პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

XII. საკუთრების უფლება

მუხლი 35. ყველას აქვს საკუთრებისა და მისი მემკვიდრეობით მიღების უფლება.

ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით, მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

საკუთრების უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

XIII. დებულებები უფლებათა დაცვის შესახებ

ა. უფლებათა დაცვის თავისუფლება

მუხლი 36. ყველას აქვს სასამართლო პროცესზე მოსარჩელისა და მოპასუხის სახით გამოსვლის ან კანონიერი საშუალებებითა და წესით სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება.

არც ერთ სასამართლოს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს მის იურისდიქციაში შემაჯავლი საქმის განხილვაზე.

ბ. კანონიერი სასამართლო განხილვის გარანტია

მუხლი 37. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება.

დაუშვებელია საგანგებო სასამართლოს შექმნა, რომელიც ჩაერევა კანონით განსაზღვრული სასამართლოს იურისდიქციაში.

გ. პრინციპები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ

მუხლი 38. არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი ისეთი ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად დანაშაულად არ ითვლებოდა. არავის არ შეიძლება დანაშაულისთვის უფრო მძიმე სასჯელი დაენიშნოს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენება ამ დანაშაულის ჩადენის დროს.

წინა პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე დანაშაულისა და სასჯელის ზანდაზმულობის ვადისა და განაჩენის შედეგების განსაზღვრისათვის.

სასჯელი და უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გამოიყენება სასჯელის ნაცვლად, განისაზღვრება მხოლოდ კანონით.

აღმაინი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

დაუშვებელია პირის იძულება ჩვენება მისცეს ან წარადგინოს მტკიცებულებები თავისი ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი ზასიათისაა.

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების განხორციელების შეუძლებლობის საფუძველით.

არავის არ შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა და ქონების სრული კონფისკაცია.

დაუშვებელია დანაშაულის ჩადენისთვის მოქალაქის უცხო სახელმწიფოს-
თვის გადაცემა, გარდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს
მხარისთვის დაკისრებული ვალდებულებებისა.

XIV. დასაბუთების უფლება

მუხლი 39. სახელმწიფო თანამდებობის პირის მიმართ მისი ფუნქციების
განხორციელებასთან დაკავშირებით ცილისწამებისა და ღიფამაციის საქმეებ-
ზე მოპასუხეს აქვს დასაბუთების უფლება. მტკიცებულების წარდგენა შესაძ-
ლებელია, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს ან არსებობს
მოსარჩელის თანხმობა.

XV. ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა

მუხლი 40. ყოველ ადამიანს აქვს უფლება კონსტიტუციური უფლებებისა
და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს უფ-
ლებამოსილ ორგანოს.

სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს სამართლებრივი საშუალებები,
ორგანოები და დანტერესებული პირების მიერ მათთვის მიმართვის წესი.

სახელმწიფო თანამდებობის პირის უკანონო ქმედობით ნებისმიერი ადამი-
ანისთვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო. სახელმწიფო ინარ-
ჩუნებს რეგრესის უფლებას პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიმართ.

თავი მესამე. სოციალური და ეკონომიკური უფლებები და ვალდებულებები I. ოჯახის დაცვა

მუხლი 41. ოჯახი თურქული საზოგადოების საფუძველია და ემყარება
მეუღლეთა თანასწორობას.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს და ქმნის აუცილებელ დაწესე-
ბულებებს ოჯახის სიმშვიდისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, გან-
საკუთრებით დედებისა და ბავშვების დასაცავად, აგრეთვე აცნობიერებს
ოჯახის დაგეგმვაში განათლების აუცილებლობას.

II. სწავლებისა და განათლების უფლება და ვალდებულება

მუხლი 42. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სწავლისა და განათლების
მიღების უფლება.

განათლების მიღების უფლების მოქმედების ფარგლები განისაზღვრება და რეგულირდება კანონით.

სწავლება და განათლების მიღება ხორციელდება ათათურქის პრინციპებისა და რეფორმების შესაბამისად, თანამედროვე მეცნიერებისა და განათლების მეთოდების საფუძველზე, სახელმწიფოს ზედამხედველობითა და კონტროლით. დაუშვებელია ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა.

სწავლებისა და განათლების მიღების თავისუფლება არ ათავისუფლებს პიროვნებას კონსტიტუციის ერთგულებისგან.

დაწყებითი განათლება ორივე სქესის ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოა და სახელმწიფო სკოლებში არის უფასო.

პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს დაწყებითი და საშუალო კერძო სკოლების საქმიანობას, რეგულირდება კანონით, სახელმწიფო სკოლებისთვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სახელმწიფო სწავლის გაგრძელების მიზნით სტიპენდიებითა და დახმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფს ღირსეულ სტუდენტებს, რომლებიც ფინანსურ სირთულეებს განიცდიან. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს იმ პირების გამოსასწორებლად, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ სწავლებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ სასწავლო, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. დაუშვებელია ამ საქმიანობისთვის რაიმე სახის დაბრკოლების შექმნა.

არ შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში თურქი მოქალაქეებისთვის დელაენის სახით არც ერთი ენის სწავლება, გარდა თურქულისა. უცხო ენები, რომელთა სწავლება აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე სკოლებში უცხო ენების სწავლების წესები განისაზღვრება კანონით.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა დებულებები ძალაში რჩება.

III. საზოგადოებრივი ინტერესები

ა. სანაპიროების გამოყენება

მუხლი 43. სანაპიროები არის სახელმწიფოს გამგებლობისა და განკარგულების ქვეშ.

ზღვის სანაპიროების, ტბის ან მდინარის ნაპირების, ზღვისა და ტბის სანაპირო ზოლის გამოყენება ხდება უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

სანაპიროებისა და სანაპირო ზოლის სიგანე ადამიანების მიერ მათი გამოყენების მიზნებისა და პირობების შესაბამისად, განისაზღვრება კანონით.

ბ. მიწის საკუთრება

მუხლი 44. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მიწის ეფექტური კულტივაციის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, ეროზიის შედეგად ზიანის აცილებისა და მიწამცირე და უმიწო ფერმერების მიწით უზრუნველყოფისთვის. ამ მიზნისთვის კანონით განისაზღვრება მიზომილი მიწის ოდენობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო რეგიონებისა და სავარგულის ტიპების მიხედვით. მიწამცირე და უმიწო ფერმერების მიწით უზრუნველყოფამ არ უნდა გამოიწვიოს წარმოების შემცირება, ტყეების და სხვა მიწების გამოფიტვა და მიწისქვეშა რესურსების ამოწურვა.

არ შეიძლება ამ მიზნით განაწილებული მიწის დაყოფა ან სხვებისთვის გადაცემა, გარდა მემკვიდრეობისა და მისი კულტივირება უნდა განახორციელონ მხოლოდ იმ ფერმერებმა, რომელთა შორისაც ის განაწილდა, აგრეთვე მათმა მემკვიდრეებმა. ზემოდასახელებული პირობების დარღვევისას სახელმწიფოს მიერ ამგვარად განაწილებული მიწის დაბრუნებასთან დაკავშირებული პრინციპები განისაზღვრება კანონით.

გ. სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და ამ სფეროებში დასაქმებული პირების დაცვა

მუხლი 45. სახელმწიფო ხელს უწყობს ფერმერებსა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მომშენებლებს მანქანების, მოწყობილობებისა და სხვა საშუალებათა შექენაში სასოფლო-სამეურნეო მიწის, სავარგულისა და საძოვრების არასათანადო გამოყენებისა და განადგურების თავიდან აცილებისა და მოსავლიანობისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობრივი ზრდის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მოსავლიანობის დონისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობრივი ზრდის ასამაღლებლად, რაც აძლევს მეწარმეებს მათი პროდუქციის რეალური ღირებულების მიღების საშუალებას.

დ. ექსპროპრიაცია

მუხლი 46. სახელმწიფოსა და საჯარო კორპორაციებს, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აქვთ კერძო უძრავი ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი ექსპროპრიაციისა და მასზე ადმინისტრაციული სერვიტუტის დაწესების უფლება, კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და წესის შესაბამისად, კომპენსაციის წინასწარი გაცემის პირობით.

ექსპროპრიაციისთვის კომპენსაციისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით გაზრდილი თანხის გაცემა წარმოებს წინასწარ და ნაღდი ანგარიშსწორებით. მიწის ექსპროპრიაციისთვის დაწესებული კომპენსაციის გაცემის წესები კი, რომლებიც გამოიყენება მიწის რეფორმის, ენერგეტიკული და ირიგაციული პროექტების, საბინაო პროგრამებისა და ტყის გაშენების, სანაპიროების დაცვისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, რეგულირდება კანონით. თუ კანონით დაშვებულია ნაწილ-ნაწილ გადახდა, გადახდის ვადა არ აღემატება ხუთ წელს, ხოლო გადახდა წარმოებს თანაბარ ნაწილებად.

ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემა წვრილი ფერმერისთვის, რომელიც ახორციელებს მიწის კულტივირებას, ყველა შემთხვევაში წარმოებს წინასწარ.

პროცენტების გადახდა, რომლებიც საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისთვის დაწესებული ყველაზე მაღალი პროცენტების ეკვივალენტურია, წარმოებს ნაწილ-ნაწილ, მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ე. ნაციონალიზაცია

მუხლი 47. კომუნალური მომსახურების კერძო საწარმოების ნაციონალიზაცია შესაძლებელია, თუ ეს განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით.

ნაციონალიზაცია ხორციელდება რეალური ღირებულების გათვალისწინებით. რეალური ღირებულების გამოანგარიშების მეთოდი და წესი განისაზღვრება კანონით.

წესი და პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს, სახელმწიფო ეკონომიკური საწარმოებისა და სხვა საჯარო კორპორაციული ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და ფონდების პრივატიზაციასთან, განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფოს, სახელმწიფო ეკონომიკური საწარმოებისა და სხვა საჯარო კორპორაციული ორგანიზაციების მიერ კაპიტალდაბანდება და საქმიანობა ან კერძო სამართლის შესაბამისად ამ უფლებამოსილების კორპორაციული ორგანიზაციებისთვის გადაცემა განისაზღვრება კანონით.

IV. შრომისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლება

მუხლი 48. ყველას აქვს მის მიერ არჩეულ სფეროში თავისუფალი მუშაობისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლება. კერძო საწარმოს დაარსება თავისუფალია.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს კერძო საწარმოთა საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნების, სოციალური მიზნების, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესაბამისად.

V. მუშაობასთან დაკავშირებული დებულებები ა. მუშაობის უფლება და ვალდებულება

მუხლი 49. ყველას აქვს მუშაობის უფლება და ვალდებულება.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მშრომელთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად, მშრომელთა და უმუშევართა დასაცავად, შრომის საერთო პირობების გასაუმჯობესებლად, შრომის ხელშესაწყობად, სათანადო ეკონომიკური პირობების შესაქმნელად, უმუშევრობის თავიდან აცილებისა და ქარბონიული შრომის უზრუნველყოფის მიზნით.

ბ. შრომის პირობები და დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება

მუხლი 50. არავის არ მოეთხოვება სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკს, სქესსა და შესაძლებლობებს.

არასრულწლოვნები, ქალები და ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირები სარგებლობენ სპეციალური დაცვით, შრომის პირობების თავისებურების გათვალისწინებით.

ყველა მშრომელს აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება.

უფლებები და პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სადღესასწაულო და ყოველკვირეული დასვენების დღეებთან, აგრეთვე ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებასთან, რეგულირდება კანონით.

გ. მშრომელთა კავშირების შექმნის უფლება

მუხლი 51. დამსაქმებლებსა და მუშაკებს აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე მშრომელთა კავშირების, დამსაქმებელთა გაერთიანებებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნის, აგრეთვე კავშირში გაერთიანებისა და კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება შრომით ურთიერთობებში მათი წევრების ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და განვითარების მიზნით. დაუშვებელია პირის იძულება გაერთიანდეს კავშირში ან გავიდეს მისი შემადგენლობიდან.

კავშირის შექმნის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსა-

ყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების ჯანმრთელობის, მორალისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

პირობები და წესი, რომლებიც გამოიყენება კავშირის შექმნის უფლების განხორციელებისას, განისაზღვრება კანონით.

დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი მშრომელთა კავშირის წევრობა.

მუშაკის სტატუსის არმქონე სამოქალაქო მოსამსახურეთა უფლებების მოქმედების ფარგლები, შეზღუდვები და გამონაკლისები განისაზღვრება კანონით, მათი სამუშაოს თავისებურების მიხედვით.

მშრომელთა კავშირებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების სტატუსი, მმართველობა და საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რესპუბლიკის ძირითად საფუძვლებსა და დემოკრატიის პრინციპებს.

დ. მშრომელთა კავშირების საქმიანობა

მუხლი 52. ამოღებულია.

VI. კოლექტიური მოლაპარაკება, გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება

ა. კოლექტიური მოლაპარაკების უფლება

მუხლი 53. დაშაქმებულებსა და მუშაკებს აქვთ კოლექტიური შეთანხმების დადების უფლება მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა და შრომის პირობების ერთობლივი რეგულირებისათვის.

კოლექტიური შეთანხმების დადების წესი რეგულირდება კანონით.

128-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო მოხელეების მიერ შექმნილ კავშირებსა და მათ ხელმძღვანელ ორგანოებს, რომლებზეც არ ვრცელდება იმავე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე 54-ე მუხლის მოქმედება, აქვთ თავიანთი წევრების სახელით სასამართლო ორგანოებისთვის მიმართვისა და თავიანთი მიზნების შესაბამისად ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებისა და შეხვედრის წარმოების უფლება. თუ შეთანხმება მიღწეულია კოლექტიური მოლაპარაკების შედეგად, შეთანხმების ტექსტი ხელმოწერილ უნდა იქნეს მხარეების მიერ. ასეთი ტექსტი წარედგინება მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული ან სამართლებრივი ზომების მისაღებად. თუ ტექსტის მომზადება შეუძლებელია კოლექტიური მოლაპარაკების შედეგად, შეთანხმებული და შეუთანხმებელი პუნქტები შესაბამისი მხარეების მიერ ასევე განსაზღვრულად წარედგინება მინისტრთა საბჭოს. ამ მუხლის მოქმედების წესი განისაზღვრება კანონით.

არ შეიძლება ერთსა და იმავე საწარმოში ერთდროულად ერთზე მეტი კოლექტიური შეთანხმების დადება და განხორციელება.

ბ. გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება

მუხლი 54. კოლექტიური მოლაპარაკების დროს დავის წარმოშობისას მშრომელებს აქვთ გაფიცვის უფლება. ამ უფლების განხორციელებისა და დამსაქმებლის მიერ ლოკაუტისთვის მიმართვის წესი და პირობები, აღნიშნულ მოქმედებათა ფარგლები და გამონაკლისები რეგულირდება კანონით.

დაუშვებელია გაფიცვისა და ლოკაუტის უფლების განხორციელება ისეთი საშუალებით, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილი ნების პრინციპს, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს და ეროვნულ სიმდიდრეს.

მშრომელთა კავშირი პასუხს აგებს გაფიცვის შედეგად საწარმოსთვის მშრომელებისა და მშრომელთა კავშირის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენებული მატერიალური ზიანისთვის.

გაფიცვისა და ლოკაუტის აკრძალვის ან გადადების გარემოებები და ადგილი განისაზღვრება კანონით.

გაფიცვის ან ლოკაუტის აკრძალვის ან გადადების შემთხვევაში დავა განიხილება უზენაესი საარბიტრაჟო საბჭოს მიერ გადადების პერიოდის დასრულებისას. მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ დავის ნებისმიერ სტადიაზე მიმართონ უზენაეს საარბიტრაჟო საბჭოს.

უზენაესი საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აქვს კოლექტიური შეთანხმების ძალა.

უზენაესი საარბიტრაჟო საბჭოს ორგანიზაცია და ფუნქციები რეგულირდება კანონით.

აკრძალულია გაფიცვისა და ლოკაუტის მოწყობა პოლიტიკური მიზნებისთვის ან სოლიდარობის გამო, საწარმოს დაკავება, მუშაობის ტემპის შემცირება და წინააღმდეგობის სხვა სახეები.

დაუშვებელია გაფიცვაში მონაწილე მუშაკთა მხრიდან საწარმოში იმ პირების მუშაობისთვის რაიმე სახის დაბრკოლების შექმნა, რომლებიც არ მონაწილეობენ გაფიცვაში.

VII. სამართლიანი ანაზღაურების გარანტია

მუხლი 55. ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რომ უზრუნველყოს მშრომელები შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით და სხვა სოციალური შეღავათით სარგებლობის უფლებით.

მინიმალური ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შრომელთა ცხოვრების პირობები და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.

VIII. ჯანმრთელობის დაცვა, გარემო და საბინაო საკითხი

ა. ჯანდაცვის სისტემა და გარემოს დაცვა

მუხლი 56. ყველას აქვს ჯანმრთელ და ჰარმონიულ გარემოში ცხოვრების უფლება.

ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება და მისი დაბინძურების თავიდან აცილება სახელმწიფოსა და მოქალაქეების ვალდებულებაა.

ყოველი ადამიანისთვის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის პირობებში ცხოვრების, ასევე ეკონომიკისა და წარმოების ზრდის მეშვეობით ადამიანური და ბუნებრივი რესურსების შეთავსების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ცენტრალიზებულად არეგულირებს ჯანდაცვის სამსახურის დაგეგმვასა და ფუნქციონირებას.

სახელმწიფო ასრულებს ამ ამოცანას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დაწესებულებათა გამოყენებისა და ზედამხედველობის მეშვეობით.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურების ფართოდ გასავრცელებლად კანონით შესაძლებელია ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის დაწესება.

ბ. ბინადრობის უფლება

მუხლი 57. სახელმწიფო იღებს ზომებს გეგმის ფარგლებში საბინაო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქალაქების თავისებურებებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით და ხელს უწყობს საზოგადოებრივი საბინაო პროგრამების განვითარებას.

IX. ახალგაზრდობა და სპორტი

ა. ახალგაზრდობის დაცვა

მუხლი 58. სახელმწიფო იღებს ზომებს ახალგაზრდობის სწავლებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, რომლისთვისაც მინდობილია ჩვენი სახელმწიფო, დამოუკიდებლობა და რესპუბლიკა, თანამედროვე მეცნიერების, ათათურქის პრინციპებისა და რეფორმების შესაბამისად და იმ იდეების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს განუყოფელი ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისკენ, დანაშაულის, აზარტული თამაშების, სხვა მავნე ჩვევებისა და უმეცრებისკენ მიდრეკილებისგან ახალგაზრდობის დასაცავად.

ბ. სპორტის განვითარება

მუხლი 59. სახელმწიფო იღებს ზომებს ნებისმიერი ასაკის თურქი მოქალაქის ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის და ხელს უწყობს მასებს შორის სპორტის ფართო გავრცელებას.

სახელმწიფო ზრუნავს გამოჩენილ სპორტსმენებზე.

X. სოციალური უზრუნველყოფის უფლებები

ა. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

მუხლი 60. ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს და ქმნის დაწესებულებებს სოციალური უზრუნველყოფის მიზნით.

ბ. პირები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დაცვას სოციალური უზრუნველყოფის დარგში

მუხლი 61. სახელმწიფო იცავს ომისა და სამსახურებრივი მოვალების შესრულების დროს დაღუპულთა ქვრივებსა და ობლებს, ასევე ინვალიდებსა და ომის ვეტერანებს და უზრუნველყოფს მათი ცხოვრების ღირსეულ დონეს.

სახელმწიფო იღებს ზომებს ინვალიდების დასაცავად და უზრუნველყოფს მათ ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხანდაზმულ პირებზე ზრუნავს სახელმწიფო. ხანდაზმული პირებისთვის სახელმწიფო დახმარება და სხვა უფლებები და შეღავათები რეგულირდება კანონით.

სახელმწიფო იღებს ყველა შესაძლო ზომას იმ ბავშვების სოციალური კეთილდღეობისთვის, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას.

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ქმნის აუცილებელ დაწესებულებებს ან გამოყოფს სახსრებს სხვა ორგანოების მიერ მათ შესაქმნელად.

გ. საზღვარგარეთ მომუშავე თურქი მოქალაქეები

მუხლი 62. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს ოჯახის ერთიანობის, ბავშვების განათლებისა და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-

ლების, აგრეთვე საზღვარგარეთ მომუშავე თურქი მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფისა და სამშობლოსთან მათი კავშირის შენარჩუნების მიზნით და ხელს უწყობს მათ სახლში დაბრუნებას.

XI. ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა

მუხლი 63. სახელმწიფო უზრუნველყოფს ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრისა და ქონების დაცვას და იღებს ამისთვის აუცილებელ ზომებს.

ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია კერძო საკუთრების ქონებასა და სიმდიდრეზე, აგრეთვე ანაზღაურება და შეღავათები, რომლებიც ეძლევა ასეთი ქონების მესაკუთრებს, რეგულირდება კანონით.

XII. ხელოვნებისა და ხელოვნების მოღვაწეების დაცვა

მუხლი 64. სახელმწიფო იცავს სახელოვნებო საქმიანობასა და ხელოვნების მოღვაწეებს. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს ხელოვნების ნაწარმოებებისა და ხელოვნების მოღვაწეების დასაცავად და მხარდასაჭერად, ასევე ხელს უწყობს ხელოვნების სწორად გაგებას.

XIII. სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ ვალდებულებათა ფარგლები

მუხლი 65. სახელმწიფო ასრულებს კონსტიტუციით დადგენილ ვალდებულებებს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე მიზნების შესაბამისი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

თავი მეოთხე. პოლიტიკური უფლებები და ვალდებულებები I. თურქეთის მოქალაქეობა

მუხლი 66. ყოველი პირი, რომელიც დაკავშირებულია თურქეთის სახელმწიფოსთან მოქალაქეობიდან გამომდინარე ვალდებულებით, არის თურქი. თურქი მამის ან თურქი დედის ბავშვი არის თურქი.

მოქალაქეობის მოპოვება შესაძლებელია კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, ხოლო მისი დაკარგვა ხდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

არც ერთ თურქს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა, თუ ის არ ჩაიდენს საშობლოს ერთგულებასთან შეუთავსებელ ქმედობას.

დაუშვებელია მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართ რეგრესის უფლების უარყოფა.

II. საარჩევნო უფლება და პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების უფლება

მუხლი 67. კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოქალაქეებს აქვთ უფლება მისცენ ხმა და იყარონ კენჭი, აგრეთვე უშუალოდ ან პოლიტიკური პარტიების მეშვეობით განახორციელონ პოლიტიკური საქმიანობა და მიიღონ მონაწილეობა რეფერენდუმში.

არჩევნები და რეფერენდუმი ტარდება სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხმების საჯაროდ დათვლის პრინციპის შესაბამისად. საზღვარგარეთ მყოფი თურქი მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელების პირობები განისაზღვრება კანონით.

თურქეთის ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს არჩევნებში ხმის მიცემის და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.

ამ უფლებათა განხორციელება განისაზღვრება კანონით.

ხმის მიცემის უფლება არა აქვთ სამხედრო ძალების რიგითებსა და კაპრალებს, სამხედრო სასწავლებლის სტუდენტებსა და პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში, გარდა გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისა. უზუნაესი საარჩევნო საბჭო განსაზღვრავს ზომებს სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისას ხმების დათვლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასეთი წესით ხმის მიცემა ხორციელდება ადგილზე, უფლებამოსილი მოსამართლის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. საარჩევნო კანონები უზრუნველყოფს მმართველობაში სამართლიანი წარმომადგენლობისა და თანამიმდევრობის პრინციპების შესაბამისობას.

საარჩევნო კანონებში შეტანილი შესწორებები არ გამოიყენება შესწორებების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული არჩევნების მიმართ.

III. დებულებები პოლიტიკური პარტიის შესახებ ა. პარტიის შექმნა, წევრობა და პარტიიდან გასვლა

მუხლი 68. მოქალაქეებს აქვთ კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიის შექმნის, მასში გაერთიანებისა და მისი შემადგენლობიდან გასვლის უფლება. ყოველ ადამიანს 18 წლის ასაკიდან აქვს პარტიაში გაერთიანების უფლება.

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

პოლიტიკური პარტიის შექმნა შესაძლებელია წინასწარი ნებართვის გარეშე და მისი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

პოლიტიკური პარტიის წესდება და პროგრამა, ისევე როგორც მისი საქმიანობა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, მის განუყოფელ ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას, ადამიანის უფლებებს, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, ეროვნულ სუვერენიტეტს, დემოკრატიული და საერო რესპუბლიკის პრინციპებს; ისინი არ უნდა იყოს მიმართული კლასის, ჯგუფის ან სხვა სახის დიქტატურის დაცვისა და დამყარებისკენ, ასევე არ უნდა მოუწოდებდეს მოქალაქეებს დანაშაულის ჩადენისკენ.

პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანების უფლება არა აქვთ მოსამართლეებსა და პროკურორებს, უმაღლესი სასამართლო ორგანოების, მათ შორის საანგარიშო სასამართლოს წევრებს, საჯარო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამოქალაქო მოსამსახურეებს, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც არ ითვლებიან მუშაქებად მათი სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მოსამსახურეებსა და სტუდენტებს, რომლებსაც ჯერ არა აქვთ უმაღლესი განათლება.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელთა წევრობა პოლიტიკურ პარტიაში რეგულირდება კანონით. ეს კანონი არ აძლევს ზემოაღნიშნულ წევრებს საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას, გარდა პარტიის ცენტრალური ორგანოებისა. ის ასევე შეიცავს დებულებებს, რომელთა შესაბამისად უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები განიხილებიან პოლიტიკური პარტიის წევრებად.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტების პოლიტიკურ პარტიაში წევრობასთან დაკავშირებული პრინციპები რეგულირდება კანონით.

სახელმწიფო თანაბარ საწყისებზე უზრუნველყოფს პოლიტიკურ პარტიებს შესაბამისი ფინანსური სახსრებით. პოლიტიკური პარტიებისთვის ფინანსური დახმარების გაზრდა, აგრეთვე საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების მიღების წესი რეგულირდება კანონით.

ბ. პოლიტიკური პარტიის სახელმძღვანელო პრინციპები

მუხლი 69. პოლიტიკური პარტიის საქმიანობა და შინაგანაწესი უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიის პრინციპებს. ამ პრინციპების გამოყენება განისაზღვრება კანონით.

პოლიტიკურ პარტიას არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

პოლიტიკური პარტიის შემოსავალი და გასავალი უნდა შეესაბამებოდეს პარტიის მიზნებს. ამ წესის გამოყენება რეგულირდება კანონით. პოლიტიკური პარტიის შემოსავლების, გასავლებისა და შენაძენების შემოწმება ხორციელდება კანონთან პარტიის შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის მიხედვით. შემოწმების მეთოდები და სანქციები, რომლებიც გამოიყენება შეუსაბამობის შემთხვევაში, ასევე რეგულირდება კანონით. საკონსტიტუციო სასამართლო ხელს უწყობს საანგარიშო სასამართლოს შემოწმების ამოცანების განხორციელებაში. შემოწმების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა.

პოლიტიკური პარტიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას რესპუბლიკის მთავარი პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიის საქმიანობის საბოლოო შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ დადგინდება, რომ პოლიტიკური პარტიის წესდება და პროგრამა ეწინააღმდეგება ნმ-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულებებს.

პოლიტიკური პარტია ჩაითვლება ასეთი საქმიანობის ცენტრად მხოლოდ მაშინ, თუ ეს საქმიანობა ხორციელდება მოცემული პარტიის წევრების მიერ ან საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობენ პარტიის ყრილობა, ხელმძღვანელობა, ცენტრალური გადაწყვეტილების მიმღები ან მმართველი ორგანოები, ჯგუფის საერთო კრება ან აღმასრულებელი ორგანო თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში, ან როცა ასეთი საქმიანობა ხორციელდება უშუალოდ პარტიის ზემოდასახელებული ორგანოების გადაწყვეტილებით.

ზემოსხენებული პუნქტების საფუძველზე პარტიის საქმიანობის საბოლოო შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ნაცვლად საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი პარტიისთვის სახელმწიფო დახმარების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევის შესახებ, ალტრული საქმის გათვალისწინებით.

პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, მისი ზედამხედველობა და საქმიანობის შეწყვეტა, პარტიისთვის სახელმწიფო დახმარების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევა, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო ხარჯები რეგულირდება კანონით, ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად.

IV. სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება

ა. სახელმწიფო სამსახურში შესვლა

მუხლი 70. ყოველ თურქს აქვს სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება.

დაუშვებელია სახელმწიფო სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა სხვა პირობების დაწესება.

ბ. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

მუხლი 71. სახელმწიფო სამსახურში შესვლისას ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესი და ვადები განისაზღვრება კანონით. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მოხელეები ამ ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებიან.

V. ერის სამსახური

მუხლი 72. ერის სამსახური ყოველი თურქის უფლება და ვალდებულებაა. სამხედრო ძალებში ან სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

VI. გადასახადის გადახდის ვალდებულება

მუხლი 73. ყველა ვალდებულია საზოგადოებრივი ხარჯების ასანაზღაურებლად გადაიხადოს გადასახადი თავისი ფინანსური საშუალებების შესაბამისად.

საგადახადო ვალდებულების სამართლიანი და დაბალანსებული განაწილება ფისკალური პოლიტიკის სოციალური მიზანია.

გადასახადის, შენატანის, მოსაკრებლის და სხვა სახის ფინანსური ვალდებულების დაწესება, შეცვლა ან გაუქმება ხორცილდება კანონის შესაბამისად.

მინისტრთა საბჭოს შესაძლებელია მიენიჭოს უფლებამოსილება, შესწორებები შეიტანოს გადასახადის, შენატანის, მოსაკრებლისა და სხვა სახის ფინანსური ვალდებულების შემცირების, შეღავათისა და გამონაკლისის პროცენტებში, კანონით განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

VII. პეტიციის უფლება

მუხლი 74. მოქალაქეებსა და ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს უფლება აქვთ წერილობითი ფორმით მიმართონ უფლებამოსილ ორგანოებსა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას მოთხოვნითა და საჩივრით, რომლებიც შეეხება მათ პირადად ან საზოგადოებას.

პირად საკითხზე მიმართვის შედეგი წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით.

ნაწილი მესამე. რესპუბლიკის ძირითადი ორგანოები
თავი პირველი. საკანონმდებლო ხელისუფლება
I. თურქეთის დიდი ეროვნული კრება
ა. შემადგენლობა

მუხლი 75. თურქეთის დიდი ეროვნული კრება შედგება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული ხუთას ორმოცდაათი დეპუტატისგან.

ბ. დეპუტატობისთვის დადგენილი მოთხოვნები

მუხლი 76. ყოველ თურქს 30 წლის ასაკიდან აქვს დეპუტატობის უფლება.

არ შეიძლება დეპუტატად არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც არა აქვს დაწყებითი განათლება, ჩამორთმეული აქვს ქმედუნარიანობა, არ გაუვლია სამხედრო სავალდებულო სამსახური, აკრძალული აქვს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით ან მთლიანობაში ერთი ან მეტი წლის ვადით, გარდა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისა; პირი, რომელიც მსჯავრდებულია ისეთი უღირსი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა: გაფლანგვა, კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა, თაღლითობა, დოკუმენტის გაყალბება, ნდობის ბოროტად გამოყენება, განზრახ გაკოტრება, აგრეთვე კონტრაბანდა, თანამდებობის პირის მოსყიდვაში შეკავშირება, დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებასთან, ტერორისტულ აქტში მონაწილეობა, წაქეზება და დახმარება, თუნდაც ეს პირი შეწყალებულ იქნეს.

არ შეიძლება იყვნენ დეპუტატობის კანდიდატები და დეპუტატები მოსამართლეები და პროკურორები, უმაღლესი სასამართლო ორგანოების წევრები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები, უმაღლესი განათლების საბჭოს წევრები, საჯარო დაწესებულებებისა და ორგანოების სამოქალაქო მოსამსახურეები, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც

არ ითვლებიან მუშაკებად მათი სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, ასევე სამხედრო მოსამსახურეები, თუ ისინი არ გადადგებიან თანამდებობიდან.

გ. თურქეთის დიდი ეროვნული კრების საარჩევნო ვადა

მუხლი 77. თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ.

კრებას შეუძლია ამ ვადის გასვლამდე მიიღოს გადაწყვეტილება ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ახალი არჩევნები შეიძლება დაინიშნოს ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

დეპუტატს უფლებამოსილების ვადის გასვლისას უფლება აქვს ხელახლა იყაროს კენჭი.

ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კრების უფლებამოსილება გრძელდება ახალი კრების არჩევამდე.

დ. თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების გადადება და დამატებითი არჩევნები

მუხლი 78. თუ ახალი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია ომის გამო, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არჩევნების ერთი წლით გადადების შესახებ.

თუ არჩევნების გადადების საფუძვლები არ აღმოიფხვრება, აღნიშნული ღონისძიება შეიძლება განმეორდეს არჩევნების გადადების წესის შესაბამისად.

დამატებითი არჩევნები ტარდება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში. დამატებითი არჩევნები ტარდება კრების მოწვევის განმავლობაში ერთხელ და შეიძლება ჩატარდეს წინა საყოველთაო არჩევნებიდან არა უადრეს 30 თვისა. თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა აღწევს ადგილების საერთო რაოდენობის ხუთ პროცენტს, არჩევნები ტარდება სამი თვის ვადაში.

დამატებითი არჩევნები ტარდება საყოველთაო არჩევნებამდე არა უგვიანეს ერთი წლისა.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, თუ ქალაქს ან ოლქს არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის წარმომადგენელი პარლამენტში, დამატებითი არჩევნები ტარდება ვაკანსიის წარმოქმნიდან 90 დღის შემდეგ პირველ კვირა დღეს. ამ პუნქტის შესაბამისად არჩევნების ჩატარებისას არ გამოიყენება კონსტიტუციის 127-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ე. არჩევნების საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა

მუხლი 79. არჩევნები ტარდება სასამართლო ორგანოების საერთო ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით.

უზენაესი საარჩევნო საბჭო კენჭისყრის დაწყებიდან დასრულებამდე ახორციელებს ყველა ფუნქციას არჩევნების სამართლიანად და ორგანიზებულად ჩასატარებლად, კენჭისყრის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევას, საჩივარსა და პროტესტს და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება, აგრეთვე ამოწმებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების შედეგებს. დაუშვებელია უზენაესი საარჩევნო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება რომელიმე ორგანოში.

უზენაესი საარჩევნო საბჭოსა და სხვა საარჩევნო საბჭოების ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

უზენაესი საარჩევნო საბჭო შედგება შვიდი ძირითადი და ოთხი სათადარიგო წევრისგან. საბჭოს ექვს წევრს ირჩევს უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს საერთო კრება, ხოლო ხუთ წევრს – სახელმწიფო საბჭოს საერთო კრება წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, თავის წევრთაგან, ფარული კენჭისყრით. ეს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

უზენაეს საარჩევნო საბჭოში უმაღლესი სააპელაციო სასამართლოსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ არჩეულ წევრთა თითოეული ჯგუფიდან ორი სათადარიგო წევრის ვინაობა განისაზღვრება წილისყრით. უზენაესი საარჩევნო საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ამ პროცედურაში არ მონაწილეობენ.

საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა რეფერენდუმის ჩატარებაზე იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლითაც ხდება კონსტიტუციაში შესწორების შეტანა, ხორციელდება დეპუტატთა არჩევისთვის დადგენილი წესით.

ვ. წევრობასთან დაკავშირებული დებულებები 1. ერის წარმომადგენლობა

მუხლი 80. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი წარმოადგენს არა მარტო საკუთარ საარჩევნო ოლქს ან ამომრჩევლებს, არამედ მთლიან ერს.

2. ფიცის დადება

მუხლი 81. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი თანამდებობის დაკავებისას დებს შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ ღირსებითა და სინდისით თურქეთის დიადი ერის წინაშე, რომ დაეიცავ სახელმწიფოს არსებობას და დამოუკიდებლობას, ქვეყნისა და ერის განუყოფელ მთლიანობას, ერის აბსოლუტურ სუვერენიტეტს; დაერჩები კანონის უზენაესობის, დემოკრატიული და საერო რესპუბლიკის, ათათათურქის პრინციპებისა და რეფორმების ერთგული; არ გადავუხვევ იდეალს, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით საზოგადოებრივი სიმშვიდისა და კეთილდღეობის, ეროვნული სოლიდარობის, სამართლიანობისა და კონსტიტუციის ერთგულების პირობების შესაბამისად“.

3. წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა

მუხლი 82. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრს არა აქვს უფლება ეკავოს თანამდებობა სახელმწიფო დაწესებულებებში და სხვა საჯარო კორპორაციულ ორგანოებსა და მათ ფილიალებში; სახელმწიფო და სხვა საჯარო კორპორაციულ ორგანოებთან დაკავშირებულ კორპორაციებსა და საწარმოებში; საწარმოთა და კორპორაციათა აღმასრულებელ ან საზედამხედველო ორგანოებში, რომლებშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ სახელმწიფო და საჯარო კორპორაციული ორგანოები, საქველმოქმედო ორგანიზაციათა აღმასრულებელ და საზედამხედველო ორგანოებში, რომელთა შემოსავლები და შეღავათები დადგენილია კანონით; იმ საქველმოქმედო ფონდების აღმასრულებელ და საზედამხედველო ორგანოებში, რომლებიც გათავისუფლებულია გადასახადებისგან და იღებენ სუბსიდიებს სახელმწიფოსგან; მშრომელთა კავშირებისა და საჯარო პროფესიული ორგანიზაციების აღმასრულებელ და საზედამხედველო ორგანოებში, საწარმოებსა და კორპორაციებში, რომლებშიც ზემოაღნიშნულ კავშირებსა და ორგანიზაციებს ან მათ ხელმძღვანელ ორგანოებს აქვთ წილი; ასევე, იგი არ შეიძლება დაინიშნოს ზემოხსენებული ორგანოების წარმომადგენლად, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს მონაწილეობა საქმიან გარიგებებში, იყოს წარმომადგენელთა არბიტრი მათ საქმიან ოპერაციებში.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრს არ შეიძლება დაეკისროს თანამდებობრივი ან პირადი ვალდებულებები, რომლებიც შეიცავს რეკომენდაციებს, თანამდებობაზე დანიშვნას ან დამტკიცებას აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან. მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით

დეპუტატისთვის დროებითი უფლებამოსილების მინიჭება, რომლის ვადა არ აღემატება ექვს თვეს, უნდა იქნეს დამტკიცებული კრების მიერ.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სხვა ფუნქციები და საქმიანობა რეგულირდება კანონით.

4. საპარლამენტო იმუნიტეტი

მუხლი 83. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხმის მიცემისა და განცხადებებისთვის, კრებაში გამოთქმული შეხედულებებისთვის ან მათი განმეორებისა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების გარეთ გახმაურებისთვის, თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას მოცემული კრების ბიუროს წინადადებით.

დაუშვებელია იმ დეპუტატის დაპატიმრება, დაკითხვა, დაკავება ან სამართალში მიცემა, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ, თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას. გამონაკლისია ისეთ დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი და კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, თუ გამოძიება დაწყებული იყო არჩევნებამდე. ასეთი ვითარების შესახებ უფლებამოსილმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრის მიმართ მის არჩევამდე ან არჩევის შემდეგ გამოტანილი განაჩენის აღსრულება შეჩერდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე; ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება პარლამენტში მისი წევრობის პერიოდში.

ახალარჩეული დეპუტატის მიმართ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა დამოკიდებულია იმაზე, მოუხსნის თუ არა მას იმუნიტეტს თურქეთის დიდი ეროვნული კრება.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში პოლიტიკური პარტიების ჯგუფებს არ შეუძლიათ საპარლამენტო იმუნიტეტთან დაკავშირებით საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

5. უფლებამოსილების შეწყვეტა

მუხლი 84. გადამდგარი დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარული სხდომა მას შემდეგ, რაც თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიურო დაადასტურებს გადადგომის შესახებ მოთხოვნის კანონიერებას.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ან ქმედუნარიანობის ჩამორთმევის საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტა ძალაში შედის მას შემდეგ, რაც საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარულ სხდომას.

იმ დებუტატის მიმართ, რომელიც ჯიუტად ასრულებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან აგრძელებს 82-ე მუხლის შესაბამისად წევრობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებას, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პლენარული სხდომა ფარული კენჭისყრით, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შექმნილი უფლებამოსილი კომისიის მიერ მოხსენების წარდგენის შემდეგ.

იმ დებუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც არასაპატიო მიზეზით ან უნებართვოდ ერთი თვის განმავლობაში არ ესწრებოდა ხუთ სხდომას, იღებს კრება წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით მას შემდეგ, რაც თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიურო აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებს.

იმ დებუტატის უფლებამოსილება, რომლის განცხადებები და ქმედობები ასახულია საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში, როგორც მისი პარტიის საქმიანობის საბოლოო შეწყვეტის საფუძველი, წყდება განსახილველი საკითხის შესახებ გადაწყვეტილებისა და მისი გამამართლებელი გარემოებების ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების დღეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერი დაუყოვნებლივ იღებს აუცილებელ ზომებს და აცნობებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარულ სხდომას.

6. მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ

მუხლი 85. დებუტატის საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის ან კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი, მე-3 ან მე-4 პუნქტების შესაბამისად უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მოცემულ ან სხვა დებუტატს შეუძლია თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან შვიდი დღის განმავლობაში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციასთან, კანონებთან ან თურქეთის დიდი ეროვნული კრების რეგლამენტთან შეუსაბამობის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს თხუთმეტი დღის განმავლობაში.

7. ხელფასი და შემწეობა

მუხლი 86. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრის ხელფასი, შემწეობა და საპენსიო უზრუნველყოფა რეგულირდება კანონით. ყოველთვიური ხელფასის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სახელმწიფო მოსამსახურის ხელფასს; სამგზავრო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ამ ხელფასის ნახევარს. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრები, აგრეთვე პენსიაზე გასული წევრები გაერთიანებული არიან თურქეთის რესპუბლიკის საპენსიო ფონდში და ეს გაერთიანება გრძელდება მათი სურვილით, უფლებამოსილების გასვლის შემთხვევაში.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრისთვის ხელფასისა და შემწეობის გადახდა არ იწვევს თურქეთის რესპუბლიკის საპენსიო ფონდის მიერ პენსიისა და სხვა მსგავსი შედავათის გადახდის შერეობას.

წინასწარ შესაძლებელია არა უმეტეს სამი თვის ანაზღაურებისა და შემწეობის გადახდა.

II. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ფუნქციები და უფლებამოსილება

ა. ზოგადი დებულებები

მუხლი 87. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ფუნქციებსა და უფლებამოსილებას განეკუთვნება: კანონის მიღება, შეცვლა და გაუქმება; ზედამხედველობა მინისტრთა საბჭოსა და მინისტრებზე; განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოსთვის კანონის ძალის მქონე მთავრობის ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭება; ბიუჯეტის პროექტის და საბოლოო ანგარიშის კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება ემისიასთან და ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით; საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირება, კონსტიტუციის შესაბამისად, სამი მეხუთედით გადაწყვეტილების მიღება ამნისტიისა და შეწყალების შესახებ; ასევე კონსტიტუციის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელება.

ბ. კანონპროექტის წარდგენა და განხილვა

მუხლი 88. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ მინისტრთა საბჭოს და დეპუტატებს.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში კანონპროექტისა და საკანონმდებლო წინადადების განხილვის წესი და პრინციპები რეგულირდება რეგლამენტით.

გ. კანონის პრომულგირება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ

მუხლი 89. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონის პრომულგირებას ახდენს რესპუბლიკის პრეზიდენტი თხუთმეტი დღის ვადაში.

ამავე ვადაში მას შეუძლია მოტივირებული შენიშვნებით თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს ის კანონი, რომლის პრომულგირებაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაუშვებლად მიაჩნია. თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მხოლოდ იმ მუხლების განხილვა, რომლებიც დაუშვებლად იქნა მიჩნეული პრეზიდენტის მიერ. ეს დებულებები არ ვრცელდება ბიუჯეტის კანონზე.

კონსტიტუციის შესწორებებთან დაკავშირებული დებულებები ძალაში რჩება.

დ. საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია

მუხლი 90. თურქეთის დიდი ეროვნული კრება ახდენს თურქეთის რესპუბლიკის სახელით უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების რატიფიკირებას, რატიფიკაციის საკითხების მომწესრიგებელი კანონის შესაბამისად.

შეთანხმებები, რომლებიც არეკლირებს ეკონომიკურ, კომერციულ და ტექნიკურ ურთიერთობებს და დადებულია არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ ამით სახელმწიფოს არ ეკისრება ფინანსური ვალდებულებები და არ ილახება პიროვნების სტატუსი ან საზღვარგარეთ მყოფი თურქი მოქალაქეების საკუთრების უფლება. ამ შეთანხმებათა შესახებ უნდა ეცნობოს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას მათი გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში.

შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეკონომიკური, კომერციული, ტექნიკური ან ადმინისტრაციული შეთანხმებების შესრულებასთან, არ მოითხოვს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ დამტკიცებას. ამ პუნქტის დებულებების შესაბამისად დადებული შეთანხმებები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ ან კომერციულ ურთიერთობებსა და ადამიანის პირად უფლებებზე, არ შედის ძალაში გამოქვეყნებამდე.

შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც ხდება შესწორებების შეტანა თურქეთის კანონმდებლობაში, უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს.

სათანადო წესით ძალაში შესული საერთაშორისო შეთანხმებები იძენს კანონის ძალას. დაუშვებელია ამ შეთანხმებათა გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში მათი არაკონსტიტუციურობის საფუძველით. თუ სათანადო წესით დამტკიცებული და ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმება ეწინააღმდეგება შიდასახელმწიფოებრივ კანონებს ერთი და იმავე საკითხის განსხვავებულად რეგულირების გამო, მოქმედებს საერთაშორისო შეთანხმების დებულებები.

ე. კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემის უფლება

მუხლი 91. თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მინისტრთა საბჭოს მიანიჭოს კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილება. დაუშვებელია კონსტიტუციის მე-2 ნაწილის პირველ და მე-2 თავებში დასახელებული ძირითადი უფლებების, პირადი უფლებებისა და ვალდებულებების, აგრეთვე მე-4 თავში ჩამოთვლილი პოლიტიკური უფლებებისა და ვალდებულებების რეგულირება კანონის ძალის მქონე ბრძანებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოში გამოცხადებულია საომარი და საგანგებო მდგომარეობა.

უფლებამოსილების მინიჭებისას კანონით განისაზღვრება კანონის ძალის მქონე ბრძანებულების მიზანი, პრინციპები, მოქმედების ფარგლები და ვადა, აგრეთვე ერთდროულად ერთზე მეტი ბრძანებულების გამოცემის შესაძლებლობა.

მინისტრთა საბჭოს გადადგომა, გადაყენება ან უფლებამოსილების ვადის გასვლა არ იწვევს დადგენილი ვადით მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტას.

განსაზღვრული ვადის გასვლამდე კანონის ძალის მქონე ბრძანებულების დამტკიცებისას თურქეთის დიდი ეროვნული კრება ასევე იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების შეწყვეტის ან აღნიშნული ვადის დასრულებამდე გაგრძელების შესახებ.

დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით გამართულ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოცემულ კანონის ძალის მქონე ბრძანებულებასთან, ძალაში რჩება.

კანონის ძალის მქონე ბრძანებულება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების დღეს, თუმცა ბრძანებულებაში შეიძლება აღინიშნოს მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი თარიღი.

ბრძანებულება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას წარედგინება მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების დღეს.

კანონები, რომლებითაც ხდება მინისტრთა საბჭოსთვის უფლებამოსილების მინიჭება და მისგან გამომდინარე კანონის ძალის მქონე ბრძანებულებები თურქეთის დიდი ეროვნული კრების კომიტეტებში და პლენარულ სხდომაზე განიხილება რიგგარეშე და გადაუდებლად.

ბრძანებულება, რომელიც თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას არ წარედგინება მისი გამოქვეყნების დღეს, ძალას კარგავს იმავე დღეს, ხოლო თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ უარყოფილი ბრძანებულება – ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნების დღეს. ბრძანებულების შესწორებები ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების დღეს.

ვ. საომარი მდგომარეობის გამოცხადება და სამხედრო ძალების გამოყენების უფლებამოსილება

მუხლი 92. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად საომარი მდგომარეობის გამოცხადების, უცხოეთის სახელმწიფოებში თურქეთის სამხედრო ძალების გაგზავნისა და უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ძალების თურქეთში განლაგებისთვის ნების დართვის უფლებამოსილება აქვს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია თურქეთის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ეტიკეტის წესებთან შესაბამისობა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების არდადეგების ან შესვენების დროს ქვეყანაზე მოულოდნელი შეირაღებული თავდასხმის შემთხვევაში, სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის აუცილებლობისას, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თურქეთის სამხედრო ძალების მობილიზაციის შესახებ.

III. თურქეთის დიდი ეროვნული კრების საქმიანობასთან დაკავშირებული დებულებები

ა. მოწვევა და შესვენება

მუხლი 93. თურქეთის დიდი ეროვნული კრება თავისი უფლებით იკრიბება ყოველი წლის ოქტომბრის პირველ დღეს.

კრება არდადეგებზე შეიძლება იყოს საკანონმდებლო წლის განმავლობაში არა უმეტეს სამი თვისა. არდადეგების ან შესვენების დროს რესპუბლიკის პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით ან მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით შეუძლია კრების მოწვევა.

კრების სპიკერს ასევე შეუძლია კრების მოწვევა საკუთარი ინიციატივით ან წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით.

არდადეგების ან შესვენების დროს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის შემთხვევაში მას არ შეუძლია სხდომის გადადება ან არდადეგების გაგრძელება იმ საკითხის რეგარეშე განხილვამდე, რომელმაც განაპირობა მისი მოწვევა.

ბ. კრების ბიურო

მუხლი 94. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროს შემადგენლობაში შედიან კრების წევრთაგან არჩეული სპიკერი, სპიკერის მოადგილე, წევრ-მდივნები და წევრ-ადმინისტრატორები.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიურო უზრუნველყოფს კრებაში ყველა პოლიტიკური პარტიული ჯგუფის წევრთა პროპორციულ წარმომადგენლობას. პოლიტიკურ პარტიულ ჯგუფებს არა აქვთ კანდიდატის დასახელების უფლება სპიკერის თანამდებობაზე.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროს არჩევნები ერთი საკანონმდებლო ვადის განმავლობაში ტარდება ორჯერ. პირველ წრეში არჩეულთა უფლებამოსილების ვადა არის ორი წელი, ხოლო მეორე წრეში არჩეულთა — სამი წელი.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენა ხდება კრების წევრთაგან თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროში, კრების მოწვევიდან ხუთი დღის ვადაში. სპიკერის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. პირველ ორ ტურში საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის, ხოლო მესამე ტურში — წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. თუ მესამე ტურში შეუძლებელია ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღება, არჩევნების მეოთხე ტურში კენჭი ეყრება მესამე ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს; არჩეულად ჩაითვლება ის წევრი, რომელიც მეოთხე ტურში ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. სპიკერის არჩევნები მთავრდება კანდიდატების დასახელებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან ხუთი დღის განმავლობაში.

სპიკერის მოადგილეების, წევრ-მდივნებისა და წევრ-ადმინისტრატორების რაოდენობა, არჩევნისთვის აუცილებელი კვორუმი, ტურების რაოდენობა და მათი ჩატარების წესი განისაზღვრება რეგლამენტით. თურქეთის დიდი ეროვნული

ნული კრების სპიკერს და სპიკერის მოადგილეს არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პარტიის ან პარტიული ჯგუფის საქმიანობაში, რომლის წევრებიც ისინი არიან, აგრეთვე დებატებში, როგორც კრებაში, ისე მის გარეთ, გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს განპირობებულია მათი მოვალეობის შესრულებით; სპიკერი და სპიკერის მოადგილე, რომლებიც თავ-მჯდომარეობენ სესიას, არ იღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში.

ბ. რეგლამენტი, პოლიტიკური პარტიული ჯგუფები და უსაფრთხოების სამსახური

მუხლი 95. თურქეთის დიდი ეროვნული კრება თავის საქმიანობას ახორციელებს მის მიერ მიღებული რეგლამენტის შესაბამისად.

რეგლამენტის დებულებები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კრების ნებისმიერი სახის საქმიანობაში ყველა პოლიტიკური პარტიული ჯგუფის მონაწილეობა წევრთა რაოდენობის პროპორციულად. პოლიტიკური პარტიული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას არანაკლებ ოცი წევრის შემადგენლობით.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების შენობა-ნეგებობებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ და უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს და ზედამხედველობს კრების სპიკერი.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ძალები კრების სპიკერს გამოეყოფა შესაბამისი ორგანოების მიერ.

დ. სესიის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი კვორუმი

მუხლი 96. თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თურქეთის დიდი ეროვნული კრება იკრიბება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის შემადგენლობით და გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმი შეიძლება იყოს არანაკლები წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მეოთხედს პლუს ერთი ხმისა.

მინისტრთა საბჭოს წევრებს შეუძლიათ მინისტრს მიანიჭონ თავიანთი სახელით ხმის მიცემის უფლებამოსილება თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე, როდესაც მათ არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, თუმცა მინისტრს არ შეიძლება ჰქონდეს ორ ხმაზე მეტი, საკუთარი ხმის ჩათვლით.

ე. დებატების საჯაროობა და გამოქვეყნება

მუხლი 97. თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარულ სხდომაზე დებატები იმართება საჯაროდ და სიტყვასიტყვით ქვეყნდება საოქმო ყურნალში.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას რეგლამენტის დებულებათა შესაბამისად შეუძლია დახურული სხდომის ჩატარება; ასეთ სხდომაზე გამართული დებატების გამოქვეყნება დამოკიდებულია თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებაზე.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში გამართული საჯარო დებატები თავისუფლად შეიძლება გადაიკეს ყველა საშუალებით, თუ კრების ბიუროს წინადადებით კრება არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

IV. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის წესი

ა. ზოგადი დებულებები

მუხლი 98. თურქეთის დიდი ეროვნული კრება საკონტროლო საქმიანობას ახორციელებს შეკითხვის, საპარლამენტო კვლევის, საერთო დებატების, უნდობლობის გამოცხადებისა და საპარლამენტო გამოძიების მეშვეობით. შეკითხვა არის პრემიერ-მინისტრისგან ან მინისტრებისგან ინფორმაციის გამოთხოვა, რომელზეც აუცილებელია პასუხის გაცემა მინისტრთა საბჭოს სახელით ზეპირად ან წერილობით.

საპარლამენტო კვლევა წარმოებს განსაზღვრული საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

საერთო დებატები არის საზოგადოებასა და სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებით განსაზღვრული საკითხის განხილვა თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარულ სხდომაზე.

შეკითხვასთან, საპარლამენტო კვლევასა და საერთო დებატებთან დაკავშირებული წინადადების წარდგენის ფორმა, მისი შინაარსი და მოქმედების ფარგლები, აგრეთვე განხილვის, გამოძიებისა და მასზე პასუხის გაცემის წესი რეგულირდება რეგლამენტით.

ბ. გაკიცხვის დადგენილება

მუხლი 99. გაკიცხვის დადგენილების განსახილველად წარდგენა შესაძლებელია პოლიტიკური პარტიული ჯგუფის სახელით ან არანაკლებ ოცი დეპუტატის ხელმოწერით.

გაკიცხვის დადგენილება ნაბეჭდი სახით ვრცელდება დეპუტატებს შორის მისი წარდგენიდან სამი დღის ვადაში; გაკიცხვის დადგენილების დღის წესრიგში შეტანის საკითხი განიხილება მისი წარდგენიდან ათი დღის ვადაში. საკითხის განხილვისას სიტყვით გამოსვლის უფლება აქვს დადგენილების მხოლოდ ერთ ხელმოწერეს, ერთ დეპუტატს ყოველი პოლიტიკური პარტიული ჯგუფიდან, პრემიერ-მინისტრს ან ერთ-ერთ მინისტრს მინისტრთა საბჭოს სახელით.

გაკიცხვის დადგენილების დღის წესრიგში შეტანასთან ერთად განისაზღვრება მისი განხილვის თარიღი; დადგენილება განიხილება დღის წესრიგში მისი შეტანიდან არა უადრეს ორი დღისა და დაუსმეებელია მისი გადაღება შეიქმნეს მეთი ვადით.

გაკიცხვის დადგენილების განხილვისას წინადადება უნდობლობის გამოცხადების შესახებ, დეპუტატების ან პარტიული ჯგუფების მიერ წარდგენილი მიზეზების მითითებით, ან მინისტრთა საბჭოს მოთხოვნა ნდობის გამოცხადების შესახებ კენჭისყრაზე დგება მხოლოდ ერთი სრული დღის გასვლის შემდეგ.

მინისტრთა საბჭოს ან მინისტრის გადასაყენებლად კენჭისყრისას საჭიროა თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა. კენჭისყრისას დაითვლება მხოლოდ უნდობლობის გამოცხადებისთვის ჩიცემული ხმები.

გაკიცხვის დადგენილებასთან დაკავშირებული სხვა დებულებები, რომლებიც შეესაბამება თურქეთის დიდი ეროვნული კრების შეუფერხებელ საქმიანობას და არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ პრინციპებს, განისაზღვრება რეგლამენტით.

გ. საპარლამენტო გამოძიება

მუხლი 100. პრემიერ-მინისტრის ან სხვა მინისტრების მიმართ საპარლამენტო გამოძიების ჩატარების მოთხოვნის უფლება აქვს თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეთექვსმეტს. კრება აღნიშნულ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს არა უგვიანეს ერთი თვისა.

გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას აწარმოებს პარტიისთვის კომისიაში გამოყოფილი ადგილების სამმაგი

ოდენობიდან წილისყრით არჩეული თხუთმეტი წევრისგან შემდგარი კომისია, პარლამენტში პარტიის წარმომადგენლობის პროპორციულობის გათვალისწინებით. კომისიამ მოხსენება გამოძიების შედეგების შესახებ უნდა წარუდგინოს კრებას ორი თვის ვადაში. თუ გამოძიება არ დასრულდება განსაზღვრული დროის განმავლობაში, კომისიას ორი თვით განესაზღვრება დამატებითი და საბოლოო ვადა. ამ ვადის გასვლისას მოხსენება უნდა წარუდგინოს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერისთვის მოხსენების წარდგენის შემდეგ იგი ათი დღის ვადაში ვრცელდება კრების წევრებს შორის და განიხილება მისი გავრცელებიდან ათი დღის ვადაში, ხოლო აუცილებლობისას შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი პირის შესახებ საკითხის უზენაესი სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

დაუშვებელია პოლიტიკური პარტიული ჯგუფების მიერ საპარლამენტო გამოძიებასთან დაკავშირებით კრებაში დებატების გამართვა ან გადაწყვეტილების მიღება.

თავი მეორე. აღმასრულებელი ხელისუფლება

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი

ა. მოთხოვნები და მიუკერძოებლობა

მუხლი 101. რესპუბლიკის პრეზიდენტად შვიდი წლის ვადით აირჩევა უმაღლესი განათლების მქონე პირი 40 წლის ასაკიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ თავის წევრთაგან ან თურქი მოქალაქეებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს და აქვთ დეპუტატობის უფლება.

რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად იმ პირის დასახელება, რომელიც არ არის თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი, შესაძლებელია კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით.

ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ორჯერ.

რესპუბლიკის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, თუ ის არის პარტიის წევრი, უნდა შეწყვიტოს თავისი ურთიერთობა პარტიასთან, ასევე უნდა შეწყდეს მისი, როგორც თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრის უფლებამოსილება.

ბ. არჩევნები

მუხლი 102. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. სესიებს შორის პერიოდში თურქეთის დიდი ეროვნული კრება მოიწვევა დაუყოვნებლივ.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები იწყება მისი უფლებამოსილების გასვლაამდე არა უკვიანეს ოცდაათი დღისა ან რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის გათავისუფლებიდან არა უადრეს ათი დღისა და სრულდება არჩევნების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. კანდიდატების რეგისტრაცია ხორციელდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროში ამ ვადის პირველი ათი დღის განმავლობაში, ხოლო არჩევნები სრულდება დარჩენილი ოცი დღის განმავლობაში.

თუ პირველ ორ ტურში, რომელთა შორისაც არანაკლებ სამდღიანი შუალედია, არ იქნება მიღწეული წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის მხარდაჭერა, იმართება არჩევნების მესამე ტური და არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას. თუ არჩევნების მესამე ტურში არ იქნება მიღწეული წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა, მეოთხე ტური იმართება მესამე ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის; თუ ამ ტურში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა შეუძლებელია წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, დაუყოვნებლივ იმართება თურქეთის დიდი ეროვნული კრების ახალი საყოველთაო არჩევნები.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება რესპუბლიკის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებამდე.

გ. ფიცის დადება

მუხლი 103. რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობის დაკავებისას თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„მე, რესპუბლიკის პრეზიდენტი, ღირსებითა და სინდისით ვფიცავ თურქეთის დიდი ეროვნული კრებისა და ისტორიის წინაშე, რომ დავიცავ სახელმწიფოს არსებობასა და დამოუკიდებლობას, ქვეყნისა და ერის განუყოფელ მთლიანობას, ერის აბსოლუტურ სუვერენიტეტს, დავრჩები კონსტიტუციის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და საერო რესპუბლიკის პრინციპების ერთგული; არ გადაუხვევ იდეალს, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ეროვნული სიმშვიდისა და კეთილდღეობის, ეროვნული სოლიდა-

რობისა და სამართლიანობის პირობებში, არ დავიშურებ ძალისხმევას თურქეთის რესპუბლიკის ღიღებისა და ღირსების ასამაღლებლად, მიუკერძოებლად შევასრულებ ჩემ მიერ ნაკისრ მოვალეობას“.

დ. ვალდებულებები და უფლებამოსილება

მუხლი 104. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. ამ სახით იგი წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკას და თურქი ერის ერთიანობას; უზრუნველყოფს კონსტიტუციის შესრულებას, ასევე სახელმწიფო ორგანოების უწყვეტ და ჰარმონიულ ფუნქციონირებას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით ახორციელებს შემდეგ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებას:

ა) საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში:

გამოდის მიმართვით თურქეთის ღიღი ეროვნული კრების გახსნისას საკანონმდებლო წლის პირველ დღეს, თუ მიიჩნევს აუცილებლად;

აუცილებლობისას იწვევს თურქეთის ღიღი ეროვნულ კრებას;

ახდენს კანონის პრომულგირებას;

აბრუნებს კანონს თურქეთის ღიღი ეროვნულ კრებაში ხელახლა განსახილველად;

თუ მიიჩნევს აუცილებლად, რეფერენდუმზე გააქვს კონსტიტუციის შესწორებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;

შეაქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულების, თურქეთის ღიღი ეროვნული კრების რეგლამენტის დებულებათა მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მოთხოვნით, ფორმის ან შინაარსის მიხედვით კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველით;

ნიშნავს თურქეთის ღიღი ეროვნული კრების ახალ არჩევნებს.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში:

ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და იღებს მის გადადგომას;

პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრებს;

თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს ან თავისი თავმჯდომარეობით იწვევს მინისტრთა საბჭოს, თუ მიიჩნევს აუცილებლად;

იღებს უცხოეთის სახელმწიფოში თურქეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და თურქეთის რესპუბლიკაში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებას და პრომულგირებას;

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით წარმოადგენს თურქეთის სამხედრო ძალების მთავარსარდლობას;

იღებს გადაწყვეტილებას თურქეთის სამხედრო ძალების მობილიზაციის შესახებ;

ნიშნავს გენერალური შტაბის უფროსს;

იწვევს ეროვნული უშიშროების საბჭოს;

თავმჯდომარეობს ეროვნული უშიშროების საბჭოს;

აცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას და გამოსცემს კანონის ძალის მქონე ბრძანებულებებს მისივე თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ხელს აწერს ბრძანებულებებს;

მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს სასჯელისაგან ქრონიკული ავადმყოფობის, ქმედუნარობის ან ზანდაზმულობის ასაკის გამო;

ნიშნავს სახელმწიფო საზედამხედველო საბჭოს წევრებსა და თავმჯდომარეს;

აკისრებს სახელმწიფო საზედამხედველო საბჭოს კვლევის, გამოძიებისა და შემოწმების განხორციელებას;

ნიშნავს უმაღლესი განათლების საბჭოს წევრებს;

ნიშნავს უნივერსიტეტების რექტორებს;

გ) სასამართლო ხელისუფლების სფეროში:

ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო საბჭოს წევრთა ერთ მეოთხედს, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მთავარ პროკურორსა და მთავარი პროკურორის მოადგილეს, უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს წევრებს, უზენაესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოს წევრებს, მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს წევრებს;

რესპუბლიკის პრეზიდენტი ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თანამდებობაზე არჩევასა და დანიშნავსთან დაკავშირებით და ასრულებს კონსტიტუციითა და კანონებით მისთვის დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს.

ე. პრეზიდენტის ანგარიშვალდებულება და არაანგარიშვალდებულება

მუხლი 105. პრეზიდენტის ყველა ბრძანებულებას, გარდა იმ ბრძანებულებისა, რომელიც პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის ხელმოწერის გარეშე კონსტიტუციისა და სხვა კანონების დებულებათა შესაბამისად, ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი მინისტრები. პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი მინისტრები პასუხისმგებელი არიან ამ ბრძანებულებათა შესრულებისთვის.

დაუშვებელია პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ხელმოწერილი გადაწყვეტილებისა და განკარგულების გასაჩივრება რომელიმე სასამართლო ორგანოში, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფოს ღალატის ჩადენისთვის თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წინადადების საფუძველზე, სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედით მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

ვ. რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება

მუხლი 106. ავადმყოფობის, საზღვარგარეთ გამგზავრების ან მსგავს გარემოებათა გამო რესპუბლიკის პრეზიდენტის დროებითი არყოფნის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების განახლებამდე, აგრეთვე გარდაცვალების, გადაღობის ან სხვა რაიმე მიზეზით პრეზიდენტის თანამდებობის გათავისუფლების შემთხვევაში, რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერი.

ზ. რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური სამდივნო

მუხლი 107. რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური სამდივნოს შექმნა, ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები და შემადგენლობის დანიშვნა რეგულირდება პრეზიდენტის ბრძანებულებით.

თ. სახელმწიფო საზედამხედველო საბჭო

მუხლი 108. სახელმწიფო საზედამხედველო საბჭო, რომელიც იქმნება რესპუბლიკის პრეზიდენტთან მმართველობის რეგულარული და ეფექტური ფუნქციონირების განხორციელებისა და მხარდაჭერის, აგრეთვე კანონის დაცვის მიზნით, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით უფლებამოსილია ყველა საჯარო ორგანოსა და ორგანიზაციის, საწარმოს, რომელშიც ამ საჯარო ორგანოსა და ორგანიზაციის წილი აღემატება კაპიტალის ნახევარს, საჯარო პროფესიული ორგანიზაციის, დამსაქმებელთა გაერთიანებებისა და მშრომელთა კავშირების, საქველმოქმედო ორგანიზაციისა და ფონდის მიმართ აწარმოოს კვლევა, გამოძიება და შემოწმება.

სახელმწიფო საზედამხედველო საბჭოს იურისდიქცია არ ვრცელდება სამხედრო ძალებსა და სასამართლო ორგანოებზე.

სახელმწიფო საზედამხედველო საბჭოს წევრებსა და თავმჯდომარეს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საბჭოს წევრთაგან ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

სახელმწიფო საზედამხედველო საბჭოს საქმიანობა, მისი წევრების უფლებამოსილების ვადა, ასევე მათ სტატუსთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება კანონით.

II. მინისტრთა საბჭო

ა. სტრუქტურა

მუხლი 109. მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

პრემიერ-მინისტრს თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ან იმ პირთაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ დეპუტატობისთვის დადგენილ მოთხოვნებს; აუცილებლობისას მათი გათავისუფლება შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

ბ. თანამდებობის დაკავება და ნდობის ვოტუმი

მუხლი 110. მინისტრთა საბჭოს წევრთა სრული სია წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არ დადებუბა, ხდება მისი მოწვევა.

მინისტრთა საბჭოს სამთავრობო პროგრამას თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე კითხულობს პრემიერ-მინისტრი ან ერთ-ერთი მინისტრი მინისტრთა საბჭოს შექმნიდან ერთი კვირის ვადაში, რის შემდეგაც კენჭი ეყრება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას. დებატები ნდობის ვოტუმის შესახებ იწყება პროგრამის წაკითხვიდან არა უადრეს ორი სრული დღისა, ხოლო კენჭისყრა ტარდება დებატების დასრულებიდან არა უადრეს ერთ სრული დღისა.

გ. ნდობის ვოტუმი თანამდებობაზე ყოფნისას

მუხლი 111. პრემიერ-მინისტრს შეუძლია, თუ აუცილებლად მიიჩნევს, მინისტრთა საბჭოში საკითხის განხილვის შემდეგ ნდობის ვოტუმის მისაღებად მიმართოს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას.

ნდობის ვოტუმის საკითხის განხილვა შესაძლებელია თურქეთის დიდი ეროვნული კრებისთვის მისი წარდგენიდან არა უადრეს ერთი სრული დღისა და კენჭისყრაზე დგება დებატებიდან არა უადრეს ერთი სრული დღისა.

ნდობის ვოტუმის შესახებ მოთხოვნის უარყოფა შეიძლება წვერთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

დ. ფუნქციები და პოლიტიკური პასუხისმგებლობა

მუხლი 112. პრემიერ-მინისტრი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფს მინისტრებს შორის თანამშრომლობას და ზედამხედველობს მთავრობის ძირითადი პოლიტიკის განხორციელებას.

მინისტრთა საბჭოს წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის.

ყოველი მინისტრი პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრის წინაშე. იგი ასევე პასუხს აგებს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირთა აქტებისა და მოქმედებებისთვის.

პრემიერ-მინისტრი უზრუნველყოფს კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად მინისტრების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებას და ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ზომების მიღებას.

მინისტრთა საბჭოს ის წევრი, რომელიც არ არის დეპუტატი, ფიცს დებს 81-ე მუხლის შესაბამისად თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე და მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას ვალდებულია დაიცვას დეპუტატისთვის დადგენილი წესები და მოთხოვნები. იგი სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტით და იღებს ისეთსავე ხელფასსა და შემწეობას, როგორსაც თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი.

ე. მინისტრები და სამინისტროების შექმნა

მუხლი 113. სამინისტროების შექმნა, გაუქმება, ფუნქციები, უფლებამოსილება და ორგანიზაცია რეგულირდება კანონით.

მინისტრს შეუძლია სხვისი მოვალეობის შესრულება, თუ სამინისტროში წარმოიქმნება ვაკანსია, მინისტრი შევუბლებაშია ან არ იმყოფება საპატიო მიზეზის გამო. მინისტრს არ შეუძლია ერთზე მეტი მინისტრის მოვალეობის შესრულება.

მინისტრი, რომლის შესახებ საქმე გადაეცემა უზენაეს სასამართლოს თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, კარგავს მინისტრის სტატუსს. თუ უზენაეს სასამართლოს გადაეცემა საქმე პრემიერ-მინისტრის შესახებ, მთავრობა ჩაითვლება გადამდგარად.

თუ რაიმე მიზეზით მინისტრის თანამდებობა გახდება ვაკანტური, ახალი მინისტრი უნდა დაინიშნოს თხუთმეტი დღის ვადაში.

ვ. დროებითი მინისტრთა საბჭო არჩევნების დროს

მუხლი 114. იუსტიციის, შინაგან საქმეთა და კავშირგაბმულობის მინისტრები თანამდებობიდან უნდა გადადგნენ თურქეთის დიდი ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნებამდე.

არჩევნების დაწყებამდე არა უკვიანეს სამი დღისა ან საარჩევნო ვადის გასვლამდე ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი ამ მინისტრების თანამდებობებზე თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ან სხვა პირთაგან ნიშნავს დამოუკიდებელ პირებს.

116-ე მუხლის შესაბამისად ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მინისტრთა საბჭო უნდა გადადგეს, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტმა დროებითი მინისტრთა საბჭოს შესაქმნელად უნდა დანიშნოს პრემიერ-მინისტრი.

დროებითი მინისტრთა საბჭო შედგება პოლიტიკური პარტიული ჯგუფების წევრებისგან პარლამენტში მათი წარმომადგენლობის პროპორციულად, გარდა იუსტიციის, შინაგან საქმეთა და კავშირგაბმულობის მინისტრებისა, რომლებიც უნდა იყვნენ თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ან სხვა პირთაგან დანიშნული დამოუკიდებელი პირები.

პოლიტიკური პარტიული ჯგუფებიდან წარმოდგენილი წევრების რაოდენობა განისაზღვრება თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მიერ და ეცნობება პრემიერ-მინისტრს. პარტიის წევრებს, რომლებიც უარს განაცხადებენ მათთვის შეთავაზებული მინისტრის თანამდებობის დაკავებაზე ან შემდეგ გადადგებიან, ენაცვლებიან დამოუკიდებელი პირები თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთაგან ან სხვა პირთაგან.

დროებითი მინისტრთა საბჭო იქმნება ოფიციალურ ორგანოში ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ხუთი დღის ვადაში.

ნდობის ვოტუმი არ ვრცელდება დროებით მინისტრთა საბჭოზე.

დროებითი მინისტრთა საბჭო თავის მოვალეობას ახორციელებს არჩევნების განმავლობაში და ახალი კრების მოწვევამდე.

ზ. ინსტრუქციები

მუხლი 115. მინისტრთა საბჭო გამოსცემს ინსტრუქციებს, რომლებიც არეგულირებს კანონის შესრულების წესს ან განსაზღვრავს კანონით მოსაწესრიგებელ საკითხებს, იმ პირობით, რომ ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ კანონებს და განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო საბჭოს მიერ.

ინსტრუქციებს ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ისინი ქვეყნდება კანონისთვის დადგენილი წესით.

თ. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების დანიშვნა

მუხლი 116. თუ მინისტრთა საბჭოს არ შეუძლია 110-ე მუხლის შესაბამისად ნდობის ვოტუმის მიღება ან იძულებულია გადადგეს 99-ე და 111-ე მუხლების შესაბამისად უნდობლობის ვოტუმის გამო და თუ ახალი მინისტრთა საბჭო არ შეიქმნება ორმოცდახუთი დღის ვადაში ან ახალ მინისტრთა საბჭოს არ შეუძლია ნდობის ვოტუმის მიღება, რესპუბლიკის პრეზიდენტს თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია დანიშნოს ახალი არჩევნები.

თუ ახალი მინისტრთა საბჭო არ შეიქმნება ორმოცდახუთი დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან, რაც არ არის დაკავშირებული უნდობლობის ვოტუმთან, ან ორმოცდახუთი დღის განმავლობაში ახალარჩეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროს თავმჯდომარის არჩევიდან, რესპუბლიკის პრეზიდენტი ასევე თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს ახალ არჩევნებს.

გადაწყვეტილება ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში, რის შემდეგაც ტარდება არჩევნები.

I. ეროვნული თავდაცვა

ა. მთავარსარდლობა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა

მუხლი 117. უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა განუყოფელია თურქეთის დიდი ეროვნული კრების სულიერი არსისგან და წარმოდგენილია რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე ეროვნული უშიშროებისა და ქვეყნის დასაცავად სამხედრო ძალების მომზადებისთვის.

გენერალური შტაბის უფროსი არის სამხედრო ძალების სარდალი და ომის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით ახორციელებს მთავარ-სარდლის მოვალეობას.

გენერალური შტაბის უფროსს მინისტრთა საბჭოს წარდგინებით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი; მისი ვალდებულებები და უფლებამოსილება რეგულირდება კანონით. გენერალური შტაბის უფროსი თავისი ვალდებულებებისა და უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ეროვნული თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლები და სამსახურებრივი ურთიერთობები გენერალური შტაბის უფროსთან და სამხედრო ძალების სარდლებთან რეგულირდება კანონით.

ბ. ეროვნული უშიშროების საბჭო

მუხლი 118. ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობს რესპუბლიკის პრეზიდენტი და იგი შედგება პრემიერ-მინისტრის, გენერალური შტაბის უფროსის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის, იუსტიციის, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრების, არმიის, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლებისა და ჟანდარმერიის მთავარსარდლისგან.

დღის წესრიგის თავისებურებიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე შეიძლება მინისტრებისა და სხვა პირების მოწვევა და მათი მოსაზრების მოსმენა.

ეროვნული უშიშროების საბჭო მინისტრთა საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებს გადაწყვეტილებათა მისაღებად და სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად. მინისტრთა საბჭო განიხილავს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის მიიჩნევს აუცილებლად სახელმწიფოს არსებობისა და დამოუკიდებლობის, ქვეყნის მთლიანობისა და განუყოფლობის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

ეროვნული უშიშროების საბჭოს დღის წესრიგს ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არყოფნის დროს ეროვნული უშიშროების საბჭო იკრიბება პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით.

ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური სამდივნოს ორგანიზაცია და ვალდებულებები რეგულირდება კანონით.

III. საგანგებო მდგომარეობის მარეგულირებელი წესები

ა. საგანგებო მდგომარეობა

1. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სტიქიური უბედურების ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისის გამო

მუხლი 119. სტიქიური უბედურების, საშიში ეპიდემიური დაავადებების ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით მოწვეულ მინისტრთა საბჭოს შეუძლია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე რეგიონში არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება

ძალადობის აქტების ფართოდ გავრცელებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი გაუარესების გამო

მუხლი 120. ძალადობის აქტების ფართოდ გავრცელების გამოვლენის შემთხვევაში, რომლებიც საფრთხეს უქმნის კონსტიტუციით დადგენილ თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებას ან ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ან ძალადობის აქტების გამო საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი გაუარესებისას რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით მოწვეულ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ეროვნული უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე რეგიონში არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

3. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული წესები

მუხლი 121. კონსტიტუციის 119-ე და 120-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში და დაუყოვნებლივ წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად. თუ თურქეთის დიდ ეროვნული კრება არდადგებოდა, იგი იკრიბება დაუყოვნებლივ. კრებას შეუძლია საგანგებო მდგომარეობის ვადის შეცვლა, გაგრძელება მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით ყოველ ჯერზე არა უმეტეს ოთხი თვისა ან მისი გაუქმება.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონით რეგულირდება ფინანსური, ქონებრივი და შრომითი ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ მოქალაქეებს 119-ე მუხლის შესაბამისად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში და გამოიყენება ყველა სახის საგანგებო მდგომარეობის დროს; პროცედურა, რომლის მიხედვითაც ხდება ძირითადი უფლებებისა და თავი-

სუფლებების შეზღუდვა ან შეჩერება მე-15 მუხლის დებულებათა შესაბამისად; ვითარებით განპირობებული აუცილებელი ღონისძიებები; სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის მინიჭებული უფლებამოსილების სახე; თანამდებობის პირთა სტატუსში ცვლილებების შეტანა და საგანგებო მდგომარეობის მომწესრიგებელი წესები.

საგანგებო მდგომარეობის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით მოწვეულ მინისტრთა საბჭოს შეუძლია საგანგებო მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემა. ეს ბრძანებულება ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში და იმავე დღეს დასამტკიცებლად წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას; მისი დამტკიცების ვადები და წესი განისაზღვრება რეგლამენტით.

ბ. საომარი მდგომარეობა, მობილიზაცია და ომი

მუხლი 122. მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია საომარი მდგომარეობის გამოცხადება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე რეგიონში არა უმეტეს ექვსი თვის ვადით ძალადობის აქტების ფართოდ გავრცელების შემთხვევებში, რომლებიც უფრო საშიშია, ვიდრე საგანგებო მდგომარეობის გამომწვევი გარემოებები და არღვევს კონსტიტუციით დადგენილ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ან საფრთხეს უქმნის თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებას; აგრეთვე ომის, ომის გამომწვევი ვითარების წარმოშობის, აჯანყების, სამშობლოსა და რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი და საშიში, ან სახელმწიფოებრივი და ეროვნული განუყოფლობის ხელმყოფი შინაგანი და გარეგანი წარმოშობის ქმედობების გავრცელების შემთხვევებში. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში და იმავე დღეს წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად. თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არდადგებზეა, იგი იკრიბება დაუყოვნებლივ. თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია, თუ მიიჩნევს აუცილებლად, საომარი მდგომარეობის ვადის შემცირება, გაგრძელება ან მისი გაუქმება.

საომარი მდგომარეობის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით მოწვეულ მინისტრთა საბჭოს საომარი მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემა.

ეს ბრძანებულება ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში და იმავე დღეს წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად. მისი დამტკიცების ვადები და წესი განისაზღვრება რეგლამენტით.

საომარი მდგომარეობის გაგრძელება ყოველ ჯერზე არა უშუბტეს ოთხი თვისა შესაძლებელია თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით. ომის დროს ოთხთვიანი შეზღუდვა არ გამოიყენება.

დებულებები, რომლებიც გამოიყენება საომარი მდგომარეობის, მობილიზაციისა და ომის დროს, საქმეებისა და ურთიერთობების წარმოება ადმინისტრაციასთან, თავისუფლებათა შეზღუდვა ან შეჩერება, ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ მოქალაქეებს ომის ან ომის გამომწვევი ვითარების დროს, რეგულირდება კანონით.

საომარი მდგომარეობის სარდლები თავიანთი ვალდებულებების განხორციელებისას ექვემდებარებიან გენერალური შტაბის უფროსს.

IV. მმართველობა

ა. მმართველობის ძირითადი პრინციპები

1. მმართველობის ერთიანობა და საჯარო სტატუსი

მუხლი 123. მმართველობა ერთიანია და მისი სტრუქტურა და ფუნქციები რეგულირდება კანონით.

მმართველობის ორგანიზაცია და ფუნქციები ეფუძნება ცენტრალიზაციისა და ადგილობრივი მმართველობის პრინციპებს.

საჯარო კორპორაციული ორგანიზაციები იქმნება მხოლოდ კანონით ან კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

2. კანონქვემდებარე აქტები

მუხლი 124. პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს და საჯარო კორპორაციულ ორგანიზაციებს შეუძლიათ კანონქვემდებარე აქტების გამოცემა მათი საქმიანობის სფეროში კანონებისა და ინსტრუქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კანონებსა და ინსტრუქციებს.

კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ორგანოში, განისაზღვრება კანონით.

ბ. სასამართლო კონტროლი

მუხლი 125. სასამართლო კონტროლისთვის მიმართვა შესაძლებელია მმართველობის ორგანოს ნებისმიერ აქტსა და მოქმედებასთან დაკავშირებით. ეროვნული ან საერთაშორისო არბიტრაჟისთვის მიმართვა შესაძლებელია იმ პირობებისა და ზელშეკრულებების გამო წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად, რომელთა შესაბამისად ზდება კონცესიების მინიჭება კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ შესაძლებე-

ლია მხოლოდ იმ დავების გადაწყვეტა, რომლებიც მოიცავს უცხოურ ელემენტებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტებზე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით და უზენაესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება.

ადმინისტრაციული აქტის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება წერილობითი შეტყობინების მომენტიდან.

სასამართლო ხელისუფლება შემოიფარგლება მმართველობის ორგანოების აქტებისა და მოქმედებების კანონთან შესაბამისობის შემოწმებით. სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება არ შედის ძალაში, რომელიც ზღუდავს აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებას კანონით განსაზღვრული ფორმებისა და პრინციპების შესაბამისად, შეიცავს ადმინისტრაციული აქტის ან მოქმედების ნიშნებს ან აუქმებს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

თუ ადმინისტრაციული აქტის შესრულება იწვევს ზიანის მიყენებას, რომლის ანაზღაურება რთული ან შეუძლებელია და ამავე დროს ეს აქტი აშკარად უკანონოა, შესაძლებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მისი მოქმედების შეჩერების შესახებ.

კანონით შესაძლებელია შეიზღუდოს აღმასრულებელ ორგანოთა აქტების შეჩერების შესახებ განკარგულებების გამოცემა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, მობილიზაციის ან ომის დროს, აგრეთვე იმ საფუძვლების შესაბამისად, რომლებიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

მმართველობის ორგანო პასუხისმგებელია თავისი აქტებისა და მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის.

გ. მმართველობის ორგანიზაცია 1. ცენტრალური მმართველობა

მუხლი 126. მმართველობის ცენტრალური ორგანოების სტრუქტურის, გეოგრაფიული მდგომარეობის, ეკონომიკური პირობებისა და კომუნალური მომსახურების მოთხოვნილებათა საფუძველზე თურქეთი დაყოფილია პროვინციებად; პროვინციები დაყოფილია ადმინისტრაციული ოლქების უფრო დაბალ დონედ.

პროვინციების მმართველობა ეფუძნება ადგილებზე უფრო ფართო უფლებამოსილების გადაცემის პრინციპს.

მმართველობის ცენტრალური ორგანოები, რომლებიც მოიცავს რამდენიმე პროვინციას, შეიძლება შეიქმნას კომუნალური მომსახურების ეფექტურობისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. ამ ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილება რეგულირდება კანონით.

2. ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 127. ადგილობრივი მმართველობის ორგანო არის საჯარო კორპორაციული ორგანიზაცია, რომელიც იქმნება იმ პროვინციების, მუნიციპალური ოლქებისა და სოფლების მცხოვრებთა საერთო ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების არჩევა და ორგანიზაციის პრინციპები განისაზღვრება კანონით.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შექმნა, ვალდებულებები და უფლებამოსილება რეგულირდება კანონით, ადგილობრივი მმართველობის პრინციპის შესაბამისად.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ, 67-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ან მათი წევრების საყოველთაო ან დამატებითი არჩევნები, რომლებიც იმართება ერთი წლის ვადაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების საყოველთაო ან დამატებით არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ, ტარდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების საყოველთაო ან დამატებით არჩევნებთან ერთად. დიდი საქალაქო ცენტრებისთვის სპეციალური ადმინისტრაციული ზომები შეიძლება დაწესდეს კანონით.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ცნობასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით საჩივრებს განიხილავენ სასამართლო ორგანოები. დროებითი ზომების მიღების მიუხედავად, შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გადააყენოს ადგილობრივი მმართველობის ის ორგანოები და წევრები, რომელთა წინააღმდეგ დაწყებულია გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის გამო.

მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს აქვთ ადმინისტრაციული მუშაობის უფლებამოსილება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიმართ კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესის ფარგლებში, მმართველობის ერთიანობის, ერთგვაროვანი კომუნალური მომსახურების განხორციელების, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრინციპების შესაბამისად, ადგილობრივი სამსახურების ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

მინისტრთა საბჭოს ნებართვით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გაერთიანება განსაზღვრული კომუნალური მომსახურების შესასრულებლად, ამ გაერთიანებათა ფუნქციები, უფლებამოსილება, დაფინანსება, უსაფრთხოების ზომები, მათი კავშირი და ურთიერთობა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან რეგულირდება კანონით. ამ მმართველობის ორგანოებს

შორის ფინანსური სახსრების განაწილება ხდება მათი ფუნქციების პროპორციულად.

დ. სახელმწიფო მოსამსახურებთან დაკავშირებული დებულებები
1. ზოგადი პრინციპები

მუხლი 128. სახელმწიფოს, სახელმწიფო ეკონომიკური საწარმოებისა და სხვა საჯარო კორპორაციული ორგანიზაციების ძირითად და უწყვეტ ფუნქციებს მმართველობის ზოგადი საფუძვლების შესაბამისად ახორციელებენ სახელმწიფო მოსამსახურეები და სხვა სახელმწიფო მოხელეები.

სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეებისთვის დადგენილი მოთხოვნები, მათი დანიშვნის წესი, ვალდებულებები და უფლებამოსილება, უფლებები და პასუხისმგებლობა, ხელფასი და შეშწეობა, ასევე მათ სტატუსთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება კანონით.

მაღალი თანამდებობის პირების მომზადების წესი და პრინციპები რეგულირდება სპეციალური კანონით.

2. ვალდებულებები, პასუხისმგებლობა და გარანტიები
დისციპლინური წარმოებისას

მუხლი 129. სახელმწიფო მოსამსახურეები და სხვა სახელმწიფო მოხელეები ვალდებული არიან განახორციელონ თავიანთი მოვალეობები კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

დისციპლინური პასუხისმგებლობა დაცვის უფლების მინიჭების გარეშე არ ვრცელდება სახელმწიფო მოსამსახურეებზე, სხვა სახელმწიფო მოხელეებსა და საჯარო პროფესიული ორგანიზაციების ან მათი ხელმძღვანელი ორგანოების წევრებზე.

გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, გარდა გაფრთხილებისა და საყვედურისა, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ძალების მოსამსახურებთან, მოსამართლეებსა და პროკურორებთან, ძალაში რჩება.

სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების მიერ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებისას მიყენებული ზიანის თაობაზე მმართველობის ორგანოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით და მასზე ვრცელდება რეგრესის უფლება.

სახელმწიფო მოსამსახურეების და სხვა სახელმწიფო მოხელეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სავარაუდო დანაშაულისთვის, გარდა

კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დამოკიდებულია კანონით განსაზღვრული მმართველობის ორგანოს ნებართვაზე.

ე. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები

1. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

მუხლი 130. თანამედროვე განათლების სისტემისა და სწავლების პრინციპების საფუძველზე, ერისა და ქვეყნის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ადამიანური რესურსების მომზადების მიზნით, სახელმწიფო კანონის შესაბამისად აარსებს უნივერსიტეტებს საჯარო კორპორაციის სახით და სამეცნიერო ავტონომიით. საშუალო განათლების საფუძველზე სასწავლო საქმიანობის მიზნით დაარსებული უნივერსიტეტები ამზადებენ სხვადასხვა რანგის მასწავლებლებს, საგამომცემლო სფეროს მუშაკებს, კონსულტანტებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით კადრებს ქვეყნისა და კაცობრიობის სამსახურისთვის.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სახელმწიფოს ზედამხედველობითა და კონტროლით შესაძლებელია დაარსდეს საქველმოქმედო ფონდების მიერ კანონით გათვალისწინებული წესისა და პრინციპების შესაბამისად, თუ მათი საქმიანობა არ იქნება მიმართული მოგების მიღებისკენ.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსიტეტების თანაბარი გეოგრაფიული განაწილება უზრუნველყოფილია კანონით.

უნივერსიტეტებს, მასწავლებლებს და მათ თანამშრომლებს შეუძლიათ ყველა სახის სამეცნიერო კვლევის წარმოება და გამოქვეყნება, თუმცა ეს არ გულისხმობს სახელმწიფოს არსებობისა და დამოუკიდებლობის, ერისა და ქვეყნის მთლიანობისა და განუყოფლობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლებას.

უნივერსიტეტებსა და მათ ქვედანაყოფებზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო. სახელმწიფო აგრეთვე უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო ფაკულტეტის დეკანს – უმაღლესი განათლების საბჭო კანონით გათვალისწინებული დებულებებისა და წესის შესაბამისად.

არც ერთ ორგანოს, გარდა უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოების ან უმაღლესი განათლების საბჭოსი, არ შეუძლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და საზედამხედველო ორგანოების, ასევე მასწავლებელთა შემაღენლობის თანამდებობიდან გადაყენება.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი, უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ წარედგინება ეროვნული

განათლების სამინისტროს და მისი შესრულება და გაკონტროლება ზდება იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება საერთო და დამხმარე ბიუჯეტების მიმართ.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და მათი ორგანოების დაარსება, ფუნქციონირება და არჩევნები, ვალდებულებები, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების კონტროლისა და შემოწმების უფლების განხორციელების წესი, მასწავლებელთა ვალდებულებები, წოდებები, თანამდებობაზე დანიშვნა, დაწინაურება და გადადგომა, მასწავლებელთა მომზადება, უნივერსიტეტებისა და მასწავლებელთა ურთიერთობა საჯარო და სხვა ორგანიზაციებთან, სწავლების დონე და ხანგრძლივობა, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღება, დასწრება და გადასახადი, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწვევასთან დაკავშირებული პრინციპები, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი, ფინანსური საკითხები, პერსონალის უფლებები, მასწავლებლებისთვის დადგენილი მოთხოვნები, მასწავლებელთა დანიშვნა უნივერსიტეტთაშორისი მოთხოვნების შესაბამისად, სწავლებისა და განათლების მიღების განხორციელება თავისუფლების პირობებში, ასევე თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების საბჭოსა და უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების გამოყენება რეგულირდება კანონით.

საქველმოქმედო ფონდების მიერ დაარსებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებზე ვრცელდება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის კონსტიტუციით დადგენილი დებულებები აკადემიური საქმიანობის, მასწავლებელთა შემადგენლობის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, გარდა ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხებისა.

2. უმაღლესი განათლების ხელმძღვანელი ორგანოები

მუხლი 131. უმაღლესი განათლების საბჭო იქმნება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღების დაგეგმვის, ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვის მიზნით, კანონით გათვალისწინებული მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად ამ დაწესებულებების დაარსებისა და განვითარების, უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენებისა და მასწავლებელთა მომზადების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად.

უმაღლესი განათლების საბჭო შედგება მინისტრთა საბჭოსა და უნივერსიტეტების წარდგინებით, კანონით განსაზღვრული რაოდენობის, კვალიფიკაციისა და წესის შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული

წევრებისგან, პროფესორ-მასწავლებლად ან რექტორად წარმატებით ნაშახურები პირებისთვის უპირატესობის მინიჭებით, აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული წევრებისგან.

საბჭოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და საქმიანობის პრინციპები რეგულირდება კანონით.

3. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური დებულებები

მუხლი 132. თურქეთის სამხედრო ძალებისა და უშიშროების ორგანოების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებზე ვრცელდება შესაბამისი სპეციალური კანონები.

ვ. სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოები და რადიოტელემართვა

მუხლი 133. რადიო-და ტელესადგურების შექმნა და მართვა ხორციელდება შეუზღუდავად, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

სახელმწიფოს მიერ საჯარო კორპორაციული ორგანიზაციის სახით შექმნილი რადიო-და ტელემაუწყებლობები და საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც დახმარებას იღებენ საჯარო კორპორაციული ორგანიზაციებისგან, სარგებლობენ ავტონომიით და მათი რადიოგადაცემები მიუკერძოებელია.

ზ. ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება

მუხლი 134. ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება იქმნება პრემიერ-მინისტრთან საჯარო კორპორაციული ორგანიზაციის სახით ათათურქის ზნეობრივი ეგიდის ნიშნით, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზედამხედველობითა და ხელშეწყობით სამეცნიერო კვლევის წარმოების, გამოქვეყნებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ათათურქის მსოფლმხედველობის, პრინციპებისა და რეფორმების, თურქული კულტურის, ისტორიისა და ენის შესაბამისად და შედგება ათათურქის კვლევითი ცენტრის, თურქული ენის საზოგადოების, თურქეთის ისტორიული საზოგადოებისა და ათათურქის კულტურული ცენტრისგან.

თურქული ენის საზოგადოების და თურქეთის ისტორიული საზოგადოების ფინანსური შემოსავლები, რომლებიც განსაზღვრულია ათათურქის ანდერძით, შენარჩუნებულია და შესაბამისად ნაწილდება.

ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოების შექმნა, ორგანოები, საქმიანობის წესი და შემაღვენლობასთან

დაკავშირებული საკითხები, ასევე ურთიერთობები ქვედანაყოფებთან რეგულირდება კანონით.

თ. საჯარო პროფესიული ორგანიზაციები

მუხლი 135. საჯარო პროფესიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები წარმოადგენენ საჯარო კორპორაციულ ორგანიზაციებს, რომლებიც იქმნება კანონით, განსაზღვრული პროფესიის წარმომადგენელთა საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი პროფესიული საქმიანობის მხარდასაჭერად, საერთო ინტერესების შესაბამისად პროფესიის განვითარების უზრუნველსაყოფად, პროფესიული დისციპლინისა და ეთიკის დასაცავად, მათ წევრებსა და საზოგადოებას შორის კეთილსინდისიერი ურთიერთობების უზრუნველყოფის მიზნით; მათი ორგანოები აირჩევა ფარული კენჭისყრით კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად და სასამართლო ორგანოების ზედამხედველობით.

პირებს, რომლებიც მუდმივად არიან დასაქმებული საჯარო დაწესებულებებსა და სახელმწიფო ეკონომიკურ საწარმოებში, არ მოეთხოვებათ საჯარო პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანება.

პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც ის შეიქმნა.

პოლიტიკურ პარტიებს არა აქვთ პროფესიული ორგანიზაციების ორგანოების არჩევნებში კანდიდატების წარდგენის უფლება.

სახელმწიფოს მიერ პროფესიულ ორგანიზაციებზე ადმინისტრაციული და ფინანსური ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება კანონით.

პროფესიული ორგანიზაციების პასუხისმგებელი ორგანოების საქმიანობის შეწყვეტა, თუ ის არ შეესაბამება მათ მიზნებს, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრული ორგანოების ან პროკურორის მოთხოვნით, ნაცვლად კი აირჩევა ახალი ორგანოები.

იმ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს, ან როდესაც აუცილებელია დანაშაულის ჩადენის ან გაგრძელების თავიდან აცილება ან დაპატიმრება, კანონით განსაზღვრულ ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერების უფლებამოსილება. ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება უფლებამოსილ მოსამართლეს ოცდამათხი საათის განმავლობაში. თუ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას ორმოცდარვა საათის განმავლობაში, ეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ჩაითვლება ბათილად.

ი. რელიგიის საქმეთა დეპარტამენტი

მუხლი 136. რელიგიის საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც შედის მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში, ახორციელებს სპეციალური კანონით განსაზღვრულ მოვალეობებს სეკულარიზაციის პრინციპების შესაბამისად, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეებისგან და მიისწრაფვის ეროვნული სოლიდარობისა და მთლიანობისკენ.

კ. არამართლზომიერი განკარგულება

მუხლი 137. თუ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პირი, მიუხედავად თანამდებობის ან სტატუსისა, მიიჩნევს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული განკარგულება ეწინააღმდეგება კანონქვემდებარე აქტის, ინსტრუქციის, კანონის ან კონსტიტუციის დებულებებს, მან განკარგულება არ უნდა შეასრულოს და ამის შესახებ უნდა შეატყობინოს განკარგულების გამომცემ პირს. თუ ხელმძღვანელი დაჟინებით მოითხოვს განკარგულების შესრულებას და განააზღვებს მას წერილობითი ფორმით, ეს განკარგულება უნდა შესრულდეს; ასეთ შემთხვევაში განკარგულების შემსრულებელი პირი არ მიეცემა პასუხისმგებამი.

განკარგულება, რომელიც თავისთავად დანაშაულს წარმოადგენს, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შესრულდეს; პირი, რომელიც შეასრულებს ასეთ განკარგულებას, არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

კანონით განსაზღვრული გამონაკლისი გადაუდებელ შემთხვევაში სამხედრო ვალდებულების შესრულებასთან, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით, ძალაში რჩება.

ნაწილი მესამე. სასამართლო ხელისუფლება

1. ზოგადი დებულებები

ა. სასამართლოს დამოუკიდებლობა

მუხლი 138. მოსამართლე დამოუკიდებელია თავისი საქმიანობის განხორციელებისას; მას გადაწყვეტილება გამოაქვს კონსტიტუციის, კანონისა და შინაგანი რწმენის შესაბამისად.

არავის არა აქვს უფლება მისცეს სასამართლოს ან მოსამართლეს მითითება ან ინსტრუქცია სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, გაუზღავნოს ცირკულარები, მიმართოს რეკომენდაციით ან წინადადებით.

დაუშვებელია შეკითხვის დასმა, დებატების გამართვა ან განცხადების გაკეთება საკანონმდებლო კრებაში სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, სასამართლო წარმოებაში არსებულ საქმეზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისა და მმართველობისთვის; ამ ორგანოებსა და მმართველობას არა აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის ან შეჩერების უფლება.

ბ. მოსამართლისა და პროკურორის გარანტიები

მუხლი 139. დაუშვებელია მოსამართლისა და პროკურორის გათავისუფლება თანამდებობიდან ან პენსიაზე გაშვება კონსტიტუციით დადგენილი ასაკის მიღწევამდე; არ შეიძლება ასევე მათთვის ხელფასის, შემწეობისა და მათ სტატუსთან დაკავშირებული სხვა უფლების ჩამორთმევა, სასამართლოს ან თანამდებობის გაუქმების შემთხვევაშიც კი.

ძალაში რჩება კანონით დადგენილი გამონაკლისი, რომელიც შეეხება ისეთი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თანამდებობიდან გათავისუფლება, პირს, რომელსაც არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება ავადმყოფობის გამო და ასევე პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება დაკავებულ თანამდებობასთან მისი შესაბამისობის თაობაზე.

გ. მოსამართლეები და პროკურორები

მუხლი 140. მოსამართლეები და პროკურორები ასრულებენ მოსამართლისა და პროკურორის მოვალეობებს სასამართლო ორგანოებსა და ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ამ მოვალეობებს ახორციელებენ პროფესიონალი მოსამართლეები და პროკურორები.

მოსამართლე თავის მოვალეობას ასრულებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად.

მოსამართლისა და პროკურორის კვალიფიკაცია, თანამდებობაზე დანიშვნა, უფლებები, ვალდებულებები, ხელფასი და შემწეობა, დაწინაურება, ვალდებულებების ან თანამდებობის დროებითი ან მუდმივი შეცვლა, მათ მიმართ დისციპლინური წარმოების აღძვრა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, მათ მიმართ გამოძიების ჩატარება და სამართალში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით ან შესრულებისას ჩადენილი დანაშაულისთვის, მსჯავრის დადება დანაშაულის ჩადენის ან არაკომპეტენტურობის სხვა შემ-

თხვევებისთვის, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და მათ სტატუსთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება კანონით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად.

მოსამართლეები და პროკურორები თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ სამოცდახუთი წლის ასაკის მიღწევამდე; სამსახურებრივი დაწინაურება ასაკის მიხედვით და სამხედრო მოსამართლეების გადადგომა განისაზღვრება კანონით.

მოსამართლეებს და პროკურორებს არა აქვთ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ფუნქციების განხორციელების უფლება.

მოსამართლეები და პროკურორები თავიანთი ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებისას ექვემდებარებიან იუსტიციის სამინისტროს.

მოსამართლეებსა და პროკურორებზე, რომლებიც მუშაობენ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სასამართლო ორგანოებში, ვრცელდება იგივე დებულებები, რაც სხვა მოსამართლეებსა და პროკურორებზე. მათი კატეგორია და რანგი განისაზღვრება მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად და ისინი სარგებლობენ მოსამართლისა და პროკურორის ყველა უფლებით.

დ. სასამართლოს სხდომების საჯაროობა და გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა

მუხლი 141. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სხდომის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი მორალის ან უსაფრთხოების მიზეზებით განპირობებულ შემთხვევებში.

არასრულწლოვნების საქმეების განხილვა რეგულირდება კანონის სპეციალური დებულებებით.

ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით შესაბამის დასაბუთებასთან ერთად.

სასამართლო ორგანოებმა უნდა დაასრულონ სასამართლო განხილვა უმოკლეს ვადაში და მინიმალური დანახარჯებით.

ე. სასამართლოების ორგანიზაცია

მუხლი 142. სასამართლოების ორგანიზაცია, ფუნქციები, იურისდიქცია, ფუნქციონირება და სამართალწარმოების წესები რეგულირდება კანონით.

ვ. სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები

მუხლი 143. სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები იქმნება ისეთ დანაშაულთა საქმეების განსახილველად, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს განუყოფელი ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის, თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ან რესპუბლიკის წინააღმდეგ, ან უშუალოდ შეეხება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უსაფრთხოებას. დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საომარ მდგომარეობასთან ან ომთან, ძალაში რჩება.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლო შედგება თავმჯდომარის, ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრის, ერთი მთავარი პროკურორისა და აუცილებელი რაოდენობის პროკურორებისგან.

თავმჯდომარეს, ორ ძირითად და ერთ სათადარიგო წევრს, აგრეთვე მთავარ პროკურორს პირველი კატეგორიის მოსამართლეებისა და პროკურორებისგან, ხოლო პროკურორებს – რესპუბლიკის სხვა პროკურორებისგან ოთხი წლის ვადით ნიშნავს მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო სპეციალური კანონით დადგენილი წესის შესაბამისად; უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში შესაძლებელია მათი ხელახლა დანიშვნა.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლო განიხილავს სააპელაციო საჩივრებს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს ფუნქციონირებასთან, ვალდებულებებთან, იურისდიქციასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა დებულებები განისაზღვრება კანონით.

ზ. ზედამხედველობა მოსამართლეებსა და პროკურორებზე

მუხლი 144. მოსამართლეებსა და პროკურორებზე ზედამხედველობას მათ მიერ კანონების, ინსტრუქციების, კანონქვემდებარე აქტებისა და ცირკულარების (მოსამართლეებისთვის – ადმინისტრაციული ცირკულარების) შესაბამისად მოვალეობის შესრულებაზე, გამოძიებას მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ან შესრულებისას დანაშაულის ჩადენის, სტატუსისა და მოვალეობასთან მათი საქმიანობისა და მდგომარეობის შესაბამისობის დასადგენად და აუცილებლობის შემთხვევაში, მათ მიმართ მოკვლევისა და გამოძიებას იუსტიციის სამინისტროს ნებართვით ახორციელებენ სასამართლო ინსპექტორები.

იუსტიციის მინისტრს შეუძლია მოსამართლისა და პროკურორის მიმართ მოკვლევის ან გამოძიების ჩატარება დაავალოს ზემდგომ მოსამართლეს ან პროკურორს.

თ. სამხედრო მართლმსაჯულება

მუხლი 145. სამხედრო მართლმსაჯულებას აზორციელებენ სამხედრო სასამართლოები და სამხედრო-სადისციპლინო სასამართლოები. ამ სასამართლოებს აქვთ სამხედრო მოსამსახურეების პასუხისმგებებაში მიცემის უფლებამოსილება სამხედრო დანაშაულისთვის, მათ მიერ სხვა სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ან საომარი მოქმედებების ადგილას ჩადენილი დანაშაულისთვის, აგრეთვე სამხედრო სამსახურსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

სამხედრო სასამართლოებს აქვთ ასევე სხვა პირების პასუხისმგებებაში მიცემის უფლებამოსილება სპეციალური კანონით გათვალისწინებული სამხედრო დანაშაულისთვის; აგრეთვე კანონით დადგენილი მოვალეობების შესრულებისას, ან კანონით განსაზღვრული საომარი მოქმედებების ადგილას სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის.

დანაშაული, აგრეთვე პირები, რომლებზეც ვრცელდება სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია ომის ან საომარი მდგომარეობის დროს, მისი სტრუქტურა და აუცილებლობისას სასამართლო ორგანოების მოსამართლეებისა და პროკურორების დანიშვნა სამხედრო სასამართლოში, რეგულირდება კანონით.

სამხედრო სასამართლოს ორგანიზაცია, ფუნქციები, სამხედრო მოსამართლის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, სამხედრო პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი სამხედრო მოსამართლის ურთიერთობები სარდლობასთან, რომელსაც ის ექვემდებარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რეგულირდება კანონით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპებისა და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად. სამხედრო მოსამართლეების ურთიერთობები სარდლობასთან, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან დაკავშირებით, გარდა სასამართლო ფუნქციებისა, აგრეთვე განისაზღვრება კანონით.

II. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები

ა. საკონსტიტუციო სასამართლო

1. სტრუქტურა

მუხლი 146. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება თერთმეტი ძირითადი და ოთხი სათადარიგო წევრისგან.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ორ ძირითად და ორ სათადარიგო წევრს უმაღლესი სააპელაციო სასამართლოდან, ორ ძირითად და ერთ სათა-

დარიგო წევრს – სახელმწიფო საბჭოდან და თითო წევრს – უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოდან, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოსა და აუდიტორული სასამართლოდან, ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე ყოველი სასამართლოს საერთო კრების მიერ წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით თავმჯდომარისა და წევრებისგან წარდგენილი სამი კანდიდატიდან; რესპუბლიკის პრეზიდენტი აგრეთვე ნიშნავს ერთ წევრს უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებლებისგან წარდგენილი სამი კანდიდატიდან, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები და სამ წევრსა და ერთ სათადარიგო წევრს – მაღალი თანამდებობის პირებისა და იურისტებისგან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ან სათადარიგო წევრად უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებელი, მაღალი თანამდებობის პირი და იურისტი შეიძლება დაინიშნოს ორმოცი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი განათლება, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებლად, სახელმწიფო მოსამსახურედ ან იურისტად მუშაობის სულ ცოტა თხუთმეტი წლის გამოცდილება.

საკონსტიტუციო სასამართლო წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ძირითად წევრთაგან, ოთხი წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს. უფლებამოსილების ვადის გასვლისას შეიძლება მათი ხელახლა არჩევა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს არაოფიციალურ ფუნქციებს, გარდა თავისი ძირითადი მოვალეობებისა.

2. წევრობის შეწყვეტა

მუხლი 147. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პენსიაზე გადის სამოცდახუთი წლის ასაკის მიღწევისას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება ავტომატურად, თუ მას მსჯავრი დაედება ისეთი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ხოლო თუ დადგინდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

3. ფუნქციები და უფლებამოსილება

მუხლი 148. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ფორმისა და არსის მიხედვით კონსტიტუციასთან კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებუ-

ლებისა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის შესაბამისობის საკითხს. კონსტიტუციის შესწორების განხილვა და შემოწმება ხორციელდება მხოლოდ ფორმის მიხედვით. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოში საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და ომის დროს გამოცემული კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გასაჩივრება ფორმისა და არსის მიხედვით კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცებით.

კანონის შემოწმება ფორმის მიხედვით შემოიფარგლება იმის განხილვით, იყო თუ არა საბოლოო კენჭისყრისას მიღებული ხმათა აუცილებელი უმრავლესობა; კონსტიტუციის შესწორების შემოწმება შემოიფარგლება იმის განხილვით, იყო თუ არა მიღებული ხმათა აუცილებელი უმრავლესობა წინადადების წარდგენისა და კენჭისყრის დროს და შესრულებულ იქნა თუ არა აკრძალვა საკითხების გადაუღებელი წესით განხილვის თაობაზე. კანონის შემოწმება ფორმის მიხედვით ხორციელდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ან თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. ფორმის ხარვეზის საფუძველზე კანონის გაუქმების მოთხოვნით წარდგინების შეტანა შესაძლებელია კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა და ამასთან, დაუშვებელია პროტესტის განცხადება.

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც უზენაესი სასამართლო, განიხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს წევრების, საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებისა და წევრების, მათი მთავარი პროკურორების, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეებს, ასევე მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოსა და აუდიტორული სასამართლოს თავმჯდომარეებისა და წევრების საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულის საქმეებს.

სახელმწიფო ბრალმძებლის მოვალეობას უზენაეს სასამართლოში ახორციელებს რესპუბლიკის მთავარი პროკურორი ან რესპუბლიკის მთავარი პროკურორის მოადგილე.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

სასამართლო ახორციელებს აგრეთვე კონსტიტუციით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4. საქმიანობა და საქმის განხილვის წესი

მუხლი 149. საკონსტიტუციო სასამართლო იკრიბება თავმჯდომარისა და ათი წევრის შემადგენლობით და იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. გადაწყვეტილება კონსტიტუციის შესწორებების გა-

უქმებისა და პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებით საქმის შეწყვეტის შესახებ მიიღება სამი მეხუთედის უმრავლესობით.

საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ფორმის ხარვეზის საფუძველზე კანონის გაუქმების მოთხოვნით შეტანილ წარდგინებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის წესი და ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით; სასამართლოს მუშაობის მეთოდები და მის წევრთა შორის თანამდებობრივ მოვალეობათა განაწილება რეგულირდება სასამართლოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებს როგორც უზენაესი სასამართლო. აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ზეპირი განმარტების მისაცემად მოიწვიოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვისთვის, ხოლო პოლიტიკური პარტიის საქმიანობის საბოლოო შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე სარჩელის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო რესპუბლიკის მთავარი პროკურორის შემდეგ ისმენს აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელის ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენლის საწინააღმდეგო მოსაზრებებს.

5. აქტის გაუქმება

მუხლი 150. რესპუბლიკის პრეზიდენტს, სახელისუფლებო და ძირითადი ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო ჯგუფებს, აგრეთვე თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმის მიხედვით კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცებით კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულების, თურქეთის დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის ან მათი ზოგიერთი მუხლის ან დებულების გაუქმების მოთხოვნით.

თუ ხელისუფლებაში ერთზე მეტი პოლიტიკური პარტიაა, აქტების გაუქმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ახორციელებს პარტია, რომელსაც ყველაზე მეტი წევრი ჰყავს.

6. ვადები აქტის გაუქმების შესახებ საქმეებზე

მუხლი 151. აქტის გაუქმების მოთხოვნით უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია სადავო კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულების ან რეგლამენტის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს სამოცი დღისა.

7. არაკონსტიტუციურობის მტკიცება სხვა სასამართლოებში

მუხლი 152. თუ საქმის განმხილველი სასამართლო დაასკენის, რომ კანონი ან კანონის ძალის მქონე ბრძანებულება კონსტიტუციის შეუსაბამოა, ან სასამართლო დარწმუნდება არაკონსტიტუციურობის შესახებ ერთ-ერთი მხარის მიერ შეტანილი წარდგინების საფუძვლიანობაში, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე.

თუ სასამართლო არ არის დარწმუნებული არაკონსტიტუციურობის შესახებ შეტანილი წარდგინების საფუძვლიანობაში, ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად უფლებამოსილი სააპელაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას წარდგინებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ საკითხზე იღებს და აქვეყნებს გადაწყვეტილებას საქმის მიღებიდან ხუთი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადაში არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლო განხილვა მთავრდება მოქმედი იურიდიული ნორმების მიხედვით. თუ გადაწყვეტილება საქმის არსის შესახებ გახდება საბოლოო, საქმის განმხილველ სასამართლოს ევალება მისი შესრულება.

განცხადების გაკეთება კონსტიტუციასთან იმავე სამართლებრივი ნორმის შეუსაბამობის შესახებ შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან არა უადრეს ათი წლისა.

8. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მუხლი 153. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. დაუშვებელია აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება წერილობითი დასაბუთების გარეშე.

კანონის ან კანონის ძალის მქონე ბრძანებულების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებისას საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების შესრულება და ისეთ გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც ამკვიდრებს ახალ პრაქტიკას.

კანონი, კანონის ძალის მქონე ბრძანებულება, თურქეთის დიდი ეროვნული კრების რეგლამენტი ან მათი დებულებები კარგავს ძალას გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებისთანავე. აუცილებლობისას საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე შეუძლია აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადის დადგენა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს ოფიციალურ ორგანოში გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გადადებისას თურქეთის დიდი ეროვნული კრება რიგგარეშე განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას იმ კანონპროექტსა და საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, რომლებითაც უნდა მოხდეს აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად წარმოშობილი საკანონმდებლო ხარვეზის შევსება.

აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა ძალა არ გააჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში და სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოებისა და ადმინისტრაციული ინსტანციებისთვის, პირებისა და კორპორაციული ორგანიზაციებისთვის.

ბ. უმაღლესი სააპელაციო სასამართლო

მუხლი 154. უმაღლესი სააპელაციო სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო. იგი განიხილავს საჩივრებს სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად არ გადაეცემა სხვა სასამართლო ინსტანციას. ის აგრეთვე არის პირველი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო კანონით განსაზღვრულ საქმეებზე.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს წევრებს რესპუბლიკის პირველი კატეგორიის მოსამართლეებისა და პროკურორებისგან ან ამ პროფესიის პირებისგან ნიშნავს მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, ქვედანაყოფების უფროსებს ირჩევს უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს საერთო კრება წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით, თავის წევრთაგან, ფარული კენჭისყრით; უფლებამოსილების ვადის გასვლისას შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს რესპუბლიკის მთავარ პროკურორს და რესპუბლიკის მთავარი პროკურორის მოადგილეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ოთხი წლის ვადით, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს საერთო კრების მიერ ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე თავის წევრთაგან ფარული კენჭისყრით წარდგენილი ხუთი კანდიდატიდან. უფლებამოსილების ვადის გასვლისას შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება და თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, ქვედანაყოფების უფროსებისა და წევრების, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს რესპუბლიკის მთავარი პროკურორისა და რესპუბლიკის მთავარი პროკურორის მოადგილის კვალი-

ფიკაცია და არჩევის წესი რეგულირდება კანონით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად.

გ. სახელმწიფო საბჭო

მუხლი 155. სახელმწიფო საბჭო არის საბოლოო ინსტანცია. იგი განიხილავს საჩივრებს ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად არ გადაეცემა სხვა ადმინისტრაციულ სასამართლოებს. ის აგრეთვე არის პირველი და საბოლოო ინსტანცია კანონით განსაზღვრულ საქმეებზე.

სახელმწიფო საბჭო განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეებს, ორი თვის ვადაში გამოთქვამს მოსაზრებას პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა საბჭოს მიერ წარდგენილი კანონპროექტების, პირობებისა და ხელშეკრულებების შესახებ, რომელთა შესაბამისად ხდება კონცესიების მინიჭება კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებით, ამოწმებს ინსტრუქციის პროექტებს, აწესრიგებს ადმინისტრაციულ დაევებს და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

სახელმწიფო საბჭოს წევრთა სამ მეოთხედს ნიშნავს მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო პირველი კატეგორიის ადმინისტრაციული მოსამართლეებისა და პროკურორებისგან ან ამ პროფესიის პირებისგან, ხოლო წევრთა ერთ მეოთხედს – რესპუბლიკის პრეზიდენტი იმ თანამდებობის პირებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, მთავარ პროკურორს, თავმჯდომარის მოადგილესა და ქვედანაყოფების უფროსებს ირჩევს სახელმწიფო საბჭოს საერთო კრება წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით, თავის წევრთაგან, ფარული კენჭისყრით; უფლებამოსილების ვადის გასვლისას შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება, თავმჯდომარის, მთავარი პროკურორის, თავმჯდომარის მოადგილისა და ქვედანაყოფების უფროსებისა და წევრების კვალიფიკაცია და არჩევის წესი რეგულირდება კანონით, ადმინისტრაციული იურისდიქციის თავისებურების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად.

დ. უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლო

მუხლი 156. უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო. იგი განიხილავს საჩივრებს სამხედრო სასა-

მართლობის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. ის აგრეთვე არის პირველი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო კანონით განსაზღვრულ საქმეებზე, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ.

უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს საერთო კრების მიერ ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე პირველი კატეგორიის სამხედრო მოსამართლეებისგან წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით წარდგენილი სამი კანდიდატიდან. უფლებამოსილების ვადის გასვლისას შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი, თავმჯდომარის მოადგილე და ქვედანაყოფების უფროსები ინიშნებიან რანგებისა და ქვემდებარეობის მიხედვით უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს წევრთაგან.

უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება, სგრეთვე წევრების მიმართ დისციპლინური წარმოებისა და პერსონალის საკითხები რეგულირდება კანონით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპებისა და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად.

ე. უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო

მუხლი 157. უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო არის პირველი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას ადმინისტრაციული აქტისა და მოქმედების შედეგად წარმოშობილ დავებზე სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს აქტი გამოიცა და მოქმედება შესრულდა სამოქალაქო ორგანოს მიერ. სამხედრო მოვალეობების შესრულების შედეგად წარმოშობილი დავისას არ არის აუცილებელი, რომ მოცემული პირი იყოს სამხედრო მოსამსახურე.

უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. სამხედრო მოსამართლეების დანიშვნა ხდება ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე პირველი კატეგორიის სამხედრო მოსამართლეებისგან სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან, ხოლო იმ წევრების დანიშვნა, რომლებიც არ არიან სამხედრო მოსამართლეები — გენერალური შტაბის უფროსის მიერ ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სამი კანდიდატიდან, რომლებიც შეესაბამებიან კანონით განსაზღვრულ რანგსა და მოთხოვნებს.

იმ წევრების უფლებამოსილების ვადა, რომლებიც არ არიან სამხედრო მოსამართლეები, არ აღემატება ოთხ წელს.

სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი და ქვედანაყოფების უფროსები ინიშნებიან სამხედრო მოსამართლეებისგან რანგისა და ქვემდებარეობის მიხედვით.

უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება, საქმისწარმოება, წევრების მიმართ დისციპლინური წარმოებისა და პერსონალის საკითხები რეგულირდება კანონით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპებისა და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად.

ვ. დავების მარეგულირებელი სასამართლო

მუხლი 158. დავების მარეგულირებელი სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლო ორგანოებსა და ადმინისტრაციულ და სამხედრო სასამართლოებს შორის დავებში, განსჯალობასა და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

დავების მარეგულირებელი სასამართლოს ორგანიზაცია, ფუნქციონირება, წევრთა კვალიფიკაცია და არჩევის წესი რეგულირდება კანონით. ამ სასამართლოს თავმჯდომარედ ინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავის წევრთაგან წარდგენილი პირი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საკონსტიტუციო სასამართლოსა და სხვა სასამართლოს შორის განსჯალობის შესახებ დავის არსებობისას.

III. მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო

მუხლი 159. მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო იქმნება და თავის მოვალეობებს ახორციელებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის გარანტიების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე არის იუსტიციის მინისტრი. იუსტიციის მინისტრის მოადგილე თანამდებობის მიხედვით არის საბჭოს წევრი. საბჭოს სამ ძირითად და სამ სათადარიგო წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ოთხი წლის ვადით, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს საერთო კრების მიერ ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე თავის წევრთაგან წარდგენილი სამი კანდიდატიდან, ორი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრი კი ინიშნება იმავე წესით სახელმწიფო საბჭოს საერთო კრების მიერ ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სამი კანდიდატიდან. უფლებამოსილების ვადის

გასვლისას შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა. არჩეული ძირითადი წევრებისგან საბჭო ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს.

მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭო განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეეხება სასამართლო ორგანოებისა და ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეებისა და პროკურორების თანამდებობაზე დამტკიცებას, დანიშვნას, სხვა თანამდებობაზე გადაყვანას, ღროებითი უფლებამოსილების დაკისრებას, დაწინაურებას, პირველი კატეგორიის მინიჭებას, თანამდებობათა განაწილებას, იმ პირის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანას, რომლის მიერაც პროფესიული საქმიანობის გავრძელება მიჩნეულია მიზანშეწონილად, დისციპლინური სახდელების შეფარდებასა და თანამდებობიდან გადაყენებას. საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იუსტიციის სამინისტროს წინადადებით სასამართლოს, მოსამართლის ან პროკურორის თანამდებობის გაუქმების, ან სასამართლოს განსაჯადობის შეცვლის შესახებ. იგი ასრულებს ასევე კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

არ შეიძლება საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არც ერთ სასამართლო ინსტანციაში.

საბჭოს ფუნქციონირება, მოვალეობათა შესრულების მეთოდები, არჩევნების წესი, მუშაობის მეთოდები და პროტესტის განხილვის პრინციპები რეგულირდება კანონით.

იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს მოსამართლეები და პროკურორები იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ღროებით ან მუდმივ მოვალეობათა შესასრულებლად, მათი თანხმობით.

იუსტიციის მინისტრს შეუძლია გადაუდებელ შემთხვევებში ღროებით დააკისროს უფლებამოსილება მოსამართლეებსა და პროკურორებს მუშაობაში შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს მიერ პირველსავე სხდომაზე დამტკიცების შემთხვევაში.

IV. აუდიტორული სასამართლო

მუხლი 160. აუდიტორული სასამართლოს მოვალეობებია: თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით საერთო და დამხმარე ბიუჯეტებით დაფინანსებული სამთავრობო უწყებათა შემოსავალთან, გასავალთან და საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის შემოწმება, პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მოქმედებისა და ანგარიშების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება კვლევასთან, შემოწმებასა და სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ერთჯერადად მოითხოვონ აუდიტორული სასამართლოს საბოლოო გადაწყვე-

ტილების გადასინჯვა გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში. დაუშვებელია ადმინისტრაციული სასამართლოსთვის მიმართვა ასეთი გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის თაობაზე.

სახელმწიფო საბჭოსა და აუდიტორულ სასამართლოს შორის გადასახადებსა და სხვა მსგავს ფინანსურ მოვალეობებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით დავის შემთხვევაში სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

ნაწილი მეოთხე. ფინანსური და ეკონომიკური დებულებები
თავი პირველი. ფინანსური დებულებები

I. ბიუჯეტი

ა. ბიუჯეტის მომზადება და შესრულება

მუხლი 161. სახელმწიფოსა და იმ საჯარო კორპორაციათა ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო ეკონომიკურ საწარმოებს, განისაზღვრება ყოველწლიური ბიუჯეტით.

საფინანსო წლის დასაწყისი, აგრეთვე საერთო და დამხმარე ბიუჯეტების მომზადებისა და შესრულების წესი განისაზღვრება კანონით. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კაპიტალდაბანდების სპეციალური ვადები და წესები, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის განვითარებასთან, ბიზნესსა და მომსახურებასთან, რომელიც გრძელდება ერთ წელზე მეტ ხანს.

არც ერთი დებულება, რომელიც არ არის დაკავშირებული ბიუჯეტთან, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიუჯეტის კანონში.

ბ. ბიუჯეტის განხილვა

მუხლი 162. მინისტრთა საბჭო თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას წარუდგენს საერთო და დამხმარე ბიუჯეტების პროექტებს, რომლებიც შეიცავს მოხსენებას ეროვნული ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ, საფინანსო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს სამოცდათხუთმეტი დღისა.

ბიუჯეტის პროექტებსა და მოხსენებას განიხილავს საბიუჯეტო კომიტეტი, რომელიც შედგება ორმოცი წევრისგან. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება კრების დამოუკიდებელი წევრებისა და ცალკეული პოლიტიკური პარტიული ჯგუფების წარმომადგენლობის პროპორციულად, სახელისუფლებო პარტიის ან პარტიებისთვის არანაკლებ ოცდახუთი ადგილის მინიჭების პირობით.

საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ორმოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში მიღებული ბიუჯეტის პროექტი განიხილება და მიიღება კრების მიერ საფინანსო წლის დაწყებამდე.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს პლენარულ სხდომაზე გამართული დებატების დროს აქვთ სამსახურებრივი, უწყებრივი და დამხმარე ბიუჯეტების შესახებ აზრის გამოთქმის უფლება; ცალკეული სათაურები და წინადადებები შესწორებების შესახებ უნდა იქნეს წაკითხული და დასმული კენჭისყრაზე დამატებითი დებატების გარეშე.

პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის კანონის განხილვისას თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს არ შეუძლიათ წინადადების წარდგენა, რომელიც იწვევს ხარჯების ზრდას ან შემოსავლების შემცირებას.

გ. საბიუჯეტო შესწორებებთან დაკავშირებული პრინციპები

მუხლი 163. საერთო და დამხმარე ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებებით განისაზღვრება ნებადართული ხარჯების ფარგლები. დაუშვებელია მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ხარჯების ფარგლების გაზრდის მიზნით რაიმე დებულების შეტანა ბიუჯეტში. მინისტრთა საბჭო არ არის უფლებამოსილი შეიტანოს ცვლილებები ბიუჯეტში კანონის ძალის მქონე ბრძანებულებით. ცვლილებების პროექტში, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტის ასიგნებების გაზრდას და კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებში, რომლებიც ითვალისწინებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს მიმდინარე ან მომდევნო წლის ბიუჯეტებში, უნდა მიეთითოს ხარჯების დასაფარავი წყაროები.

დ. საბოლოო ანგარიში

მუხლი 164. საბოლოო ანგარიშის პროექტს მინისტრთა საბჭო წარუდგენს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შესაბამისი საფინანსო წლის დასრულებიდან შეიდი თვის განმავლობაში, თუ კანონით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი. აუდიტორული სასამართლო თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას ატყობინებს საბოლოო ანგარიშის პროექტის შესაბამისობის თაობაზე მისი წარდგენიდან სამოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში.

საბოლოო ანგარიშის პროექტი შეიტანება საბიუჯეტო კომიტეტის დღის წესრიგში ახალი საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად. საბიუჯეტო კომიტეტი ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს პლენარულ სხდომას საბოლოო ანგარიშის პროექტთან ერთად; პლენარული სხდომა განიხილავს საბოლოო ანგარიშის პროექტს ახალი საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრებისთვის საბოლოო ანგარიშის პროექტი და შეტყობინება შესაბამისობის შესახებ არ აბრკოლებს აუდიტორული სასამართლოს მიერ შესაბამისი წლის ანგარიშების შემოწმების დასრულებას და არ ნიშნავს მოცემულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

ე. სახელმწიფო ეკონომიკური საწარმოების შემოწმება

მუხლი 165. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ იმ საჯარო დაწესებულებებისა და ამხანაგობების ანგარიშების შემოწმების საფუძვლები, რომლებშიც კაპიტალის ნახევარზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის სახელმწიფოს, რეგულირდება კანონით.

თავი მეორე. ეკონომიკური დებულებები

I. დაგეგმვა

მუხლი 166. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დაგეგმვა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი, დაბალანსებული და ქარმონიული განვითარება მთელ ქვეყანაში, ყოველმხრივი ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ეროვნული რესურსების ეფექტური გამოყენება, ასევე ამ მიზნისთვის აუცილებელი ორგანიზაციის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულია.

გეგმაში გათვალისწინებულია ზომები ეროვნული წარმოებისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად, საგარეო-სავაჭრო გარიგებებში ფასებისა და ბალანსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ინვესტიციების მხარდასაჭერად და გამოსაყენებლად; ინვესტიციების განხორციელებისას მხედველობაში მიიღება საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები, განისაზღვრება რესურსების ეფექტური გამოყენების მიზანი. სამეწარმეო საქმიანობის განვითარება ხორციელდება ამ გეგმის მიხედვით.

განვითარების გეგმის მომზადების წესი და პრინციპები, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მისი დამტკიცება, შესრულება და გადასინჯვა, აგრეთვე გეგმის ერთიანობის დამრღვევი შესწორებების თავიდან აცილება რეგულირდება კანონით.

II. ზედამხედველობა ბაზრებზე და საგარეო ვაჭრობის რეგულირება

მუხლი 167. სახელმწიფო იღებს ზომებს ფულის, კრედიტის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნ-

ველსაყოფად და მხარდასაჭერად; ხელს უშლის ბაზარზე მონოპოლიისა და კარტელის წარმოქმნას ფაქტობრივად ან შეთანხმების საფუძველზე.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინტერესებისთვის საგარეო ვაჭრობის რეგულირების მიზნით, მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია დააწესოს ან გააუქმოს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები იმპორტზე, ექსპორტზე და სხვა საგარეო-სავაჭრო გარიგებებზე გადასახადებსა და მსგავს ვალდებულებებთან ერთად.

III. ბუნებრივი რესურსების გამოკვლევა და გამოყენება

მუხლი 168. ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები არის სახელმწიფოს კონტროლისა და განკარგვის ქვეშ. რესურსების გამოკვლევისა და გამოყენების უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს. სახელმწიფოს განსაზღვრული ვადით შეუძლია ამ უფლების გადაცემა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები, რომელთა გამოკვლევა და გამოყენება წარმოებს სახელმწიფოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ერთად, ან უშუალოდ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, განისაზღვრება კანონით. ასეთ შემთხვევებში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სავალდებულო პირობები, სახელმწიფოს მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების წესი და პრინციპები, აგრეთვე სანქციები განისაზღვრება კანონით.

IV. ტყის ნაკრძალი და ტყის ნაკრძალის სოფლის მეურნეობები ა. ტყის ნაკრძალის დაცვა და განვითარება

მუხლი 169. სახელმწიფო იღებს აუცილებელ კანონმდებლობას და ახორციელებს ღონისძიებებს ტყის ნაკრძალის დასაცავად და გასაფართოებლად. ხანძრით განადგურებული ტყის ნაკრძალის რაიონები ხელახლა უნდა გატყიანდეს; დაუშვებელია სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება ამ რაიონებში. სახელმწიფო მფარველობს და ზედამხედველობს ყველა ტყის ნაკრძალს.

სახელმწიფოს საკუთრება ტყის ნაკრძალებზე არ გადაეცემა სხვას. სახელმწიფო ახორციელებს სახელმწიფო ტყის ნაკრძალების მართვას და გამოყენებას კანონის შესაბამისად. დაუშვებელია ამ ნაკრძალებზე საკუთრების უფლების მოპოვება ხანდაზმულობით, აგრეთვე მათზე სერვიტუტის დაწესება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებისა.

დაუშვებელია ისეთი აქტის გამოცემა და მოქმედების შესრულება, რომელიც ზიანს აყენებს ტყის ნაკრძალებს. პოლიტიკური პროპაგანდა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ტყის ნაკრძალების განადგურება, აკრძალულია; დაუშვებელია უშუალოდ ტყის ნაკრძალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით ამნისტიის გამოცხადება და შეწყალების განხორციელება. ტყის ნაკრძალების გადაწვის ან განადგურების, აგრეთვე ტყის ნაკრძალების რაიონების შემცირების მიზნით ჩადენილ დანაშაულზე ამნისტია და შეწყალება არ ვრცელდება.

ტყის ნაკრძალების საზღვრის შეკვეცა აკრძალულია, გარდა რაიონებისა, რომლებისთვისაც ტყის ნაკრძალების დანიშნულების შენარჩუნება სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონელია და რომელთა გარდაქმნა სასოფლო-სამეურნეო მიწებად მიჩნეულია აშკარად ხელსაყრელად, აგრეთვე მემინდერობის, მვენახეობის, მებაღეობისა და ზეთისხილის კორომებისთვის გამოსადეგი და სხვა მსგავსი ადგილებისა, რომლებმაც სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით 1981 წლის 31 დეკემბრამდე დაკარგეს სატყეო დანიშნულება და რომელთა გამოყენება სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობისთვის მიჩნეულია ხელსაყრელად, აგრეთვე ქალაქების, დასახლებებისა და სოფლების მშენებლობის ადგილებისა.

ბ. ტყის ნაკრძალის სოფლის მცხოვრებლების დაცვა

მუხლი 170. კანონით განისაზღვრება ზომები სახელმწიფოსა და ტყის ნაკრძალებში ან ტყის ნაკრძალების ახლოს განლაგებული სოფლების მცხოვრებლებს შორის თანამშრომლობის, ტყის ნაკრძალების გამოყენებისა და ზედამხედველობისთვის, მათი შენარჩუნებისა და მათი მცხოვრებლების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად; კანონი ასევე არეგულირებს იმ რაიონების განვითარებას, რომლებმაც სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით 1981 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკარგეს სატყეო დანიშნულება, იმ რაიონების გამოვლენასა და ტყის ნაკრძალის საზღვრებს გარეთ გატანას, რომელთა შენარჩუნება ტყის ნაკრძალის სახით სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით მიჩნეულია მიზანშეუწონლად, სახელმწიფოს მიერ ამ რაიონების მოწყობას ტყის ნაკრძალების სოფლების მცხოვრებლების მთლიანი ან ნაწილობრივი განსახლების მიზნით.

სახელმწიფო იღებს ზომებს ამ მცხოვრებლების მიერ სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობისა და სხვა საშუალებათა შექმნაში მხარდასაჭერად.

ტყის ნაკრძალებიდან გაყვანილი სოფლის მცხოვრებლების მიწის ნაკვეთები დაუყოვნებლივ უნდა გატყვიანდეს და გარდაიქმნას ტყის ნაკრძალად.

V. კოოპერატივების ხელშეწყობა

მუხლი 171. სახელმწიფო ეროვნული და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით იღებს ზომებს კოოპერატივების განვითარების უზრუნველსაყოფად, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია წარმოების გაზრდისა და მომხმარებელთა დაცვისკენ.

VI. მომხმარებლების, მცირე მოვაჭრეებისა და ხელოსნების დაცვა ა. მომხმარებელთა დაცვა

მუხლი 172. სახელმწიფო იღებს ზომებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და მათთვის განმარტებითი სამუშაოს ჩატარების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო მხარს უჭერს მომხმარებელთა ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია თავიანთი უფლებების დაცვისკენ.

ბ. მცირე მოვაჭრეებისა და ხელოსნების დაცვა

მუხლი 173. სახელმწიფო იღებს ზომებს მცირე მოვაჭრეებისა და ხელოსნების დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.

ნაწილი მეხუთე. სხვადასხვა დებულებები I. რეფორმის შესახებ კანონების დაცვა

მუხლი 174. დაუშვებელია კონსტიტუციის რომელიმე დებულების განხილვა ან განმარტება ისე, რომ არაკონსტიტუციურად იქნეს მიჩნეული რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღების დღეს მოქმედი ქვემოდასახელებული კანონები რეფორმის შესახებ, რომელთა მიზანია თურქეთის საზოგადოების მიერ თანამედროვე ცივილიზაციის დონის მიღწევა და რესპუბლიკის საერო ხასიათის დაცვა:

1) 1340 (1924) წლის 3 მარტის №430 კანონი „განათლების სისტემის უნიფიკაციის შესახებ“;

2) 1341 (1925) წლის 25 ნოემბრის №671 კანონი „თავსაბურავების შესახებ“;

3) 1341 (1925) წლის 30 ნოემბრის №677 კანონი „დერვიშთა ორდენებისა და წოდებების გაუქმების შესახებ“;

4) 1926 წლის 17 თებერვლის №743 კანონის „სამოქალაქო მოსამსახურეთა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ“ დებულება და ამ კანონის 110-ე მუხლი;

5) 1928 წლის 20 მაისის №1288 კანონი „საერთაშორისო ზომათა სისტემის მიღების შესახებ“;

6) 1928 წლის 1 ნოემბრის №1353 კანონი „თურქული ანბანის მიღებისა და გამოყენების შესახებ“;

7) 1934 წლის 26 ნოემბრის №2590 კანონი „ისეთი წოდებებისა და მიმართვების აკრძალვის შესახებ, როგორებიცაა: „ეფენდი“, „ბეი“, „ფაშა“;

8) 1934 წლის 3 დეკემბრის №2596 კანონი „ზოგიერთი სახის ტანსაცმლის ტარების აკრძალვის შესახებ“.

ნაწილი მეექვსე. დროებითი მუხლები

დროებითი მუხლი 1. კანონით დადგენილი წესით რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღების გამოცხადებისასთანავე, რეფერენდუმის ჩატარების მომენტისთვის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური იძენს რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატუსს და ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის კონსტიტუციურ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს შეიდი წლის განმავლობაში. ფიცი, რომელიც მან დადო როგორც სახელმწიფოს მეთაურმა 1980 წლის 18 სექტემბერს, ძალაში რჩება. შეიღწლიანი ვადის გასვლისას რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აგრეთვე ასრულებს 1980 წლის 12 დეკემბერს №2356 კანონით შექმნილი ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე და კრების ბიუროს შექმნამდე.

თუ რაიმე მიზეზით რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა იქნება ვაკანტური პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე და უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, ეროვნული უშიშროების საბჭოს უზუცესი წევრი ცვლის რესპუბლიკის პრეზიდენტს და ახორციელებს მის ყველა კონსტიტუციურ ფუნქციასა და უფლებამოსილებას თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე და კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

დროებითი მუხლი 2. 1980 წლის 12 დეკემბერს №2356 კანონით შექმნილი ეროვნული უშიშროების საბჭო აგრძელებს მოვალეობის შესრულებას

ბას „კონსტიტუციური წყობილების შესახებ“ №2324 კანონისა და „დამფუძნებელი კრების შესახებ“ №2485 კანონის შესაბამისად, კონსტიტუციის მიხედვით მომზადებული „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონისა და „არჩევნების შესახებ“ კანონის მიხედვით ჩატარებული პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე და კრების ბიუროს შექმნამდე.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ არ გამოიყენება №2356 კანონის მე-3 მუხლი, რომელიც შეეხება ეროვნული უშიშროების საბჭოში ამა თუ იმ მიზეზით გათავისუფლებული ადგილის დაკავების წესს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევისა და უფლებამოსილების განხორციელების დაწყების შემდეგ ხდება ეროვნული უშიშროების საბჭოს გარდაქმნა საპრეზიდენტო საბჭოდ ექვსი წლის ვადით, ხოლო ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები იძენენ საპრეზიდენტო საბჭოს წევრის სტატუსს. ფიცი, რომელიც მათ დადეს 1980 წლის 18 სექტემბერს როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებმა, ძალაში რჩება. საპრეზიდენტო საბჭოს წევრები სარგებლობენ კონსტიტუციის შესაბამისად თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებისთვის მინიჭებული უფლებებითა და იმუნიტეტით. საპრეზიდენტო საბჭო იურიდიულ არსებობას წვევებს ექვსწლიანი ვადის გასვლისას.

საპრეზიდენტო საბჭო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ამოწმებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებულ და რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის წარდგენილ კანონებს, რომლებიც შეეხება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, სეკულარიზაციის პრინციპს, ათათურქის რეფორმების დაცვას, ეროვნულ უშიშროებასა და საზოგადოებრივ წესრიგს, თურქეთის ტელერადიომაუწყებლობას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, უცხოეთის ქვეყნებში სამხედრო ძალების გაგზავნას და უცხოეთის სამხედრო ძალების განლაგებას თურქეთში, საგანგებო და საომარ მდგომარეობას, ომს, აგრეთვე იმ კანონებს, რომელთა შემოწმებასაც პრეზიდენტი მიიჩნევს აუცილებლად, პრეზიდენტისთვის განსახილველად მინიჭებული თხუთმეტწლიანი ვადის პირველი ათი დღის განმავლობაში;

ბ) რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით და მის მიერ დადგენილ ვადაში განიხილავს და გამოთქვამს მოსაზრებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ახალი საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელ საგანგებო უფლებამოსილებებსა და მისაღებ ზომებს, თურქეთის ტელერადიომაუწყებლობის მართვასა და ზედამხედველობას, ახალგაზრდობის აღზრდასა და რელიგიის საქმეთა წარმართვას;

გ) რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით განიხილავს და იკვლევს იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება საშინაო ან საგარეო უსაფრთხოებას, აგრეთვე სხვა აუცილებელ საკითხებს და წარუდგენს დასკვნას რესპუბლიკის პრეზიდენტს.

დროებითი მუხლი 3. კონსტიტუციის შესაბამისად პირველი საყოველთაო არჩევნების ჩატარების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევისა და კრების ბიუროს შექმნისთანავე კარგავს ძალას:

ა) 1980 წლის 27 ოქტომბრის №2324 კანონი „კონსტიტუციური წყობილების შესახებ“;

ბ) 1980 წლის 12 დეკემბრის №2356 კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“;

გ) 1981 წლის 29 ივნისის №2485 კანონი „დამფუძნებელი კრების შესახებ“ და წყვეტს იურიდიულ არსებობას ეროვნული უშიშროების საბჭო და საკონსულტაციო კრება.

დროებითი მუხლი 4. ამოღებულია.

დროებითი მუხლი 5. უზენაესი საარჩევნო საბჭოს მიერ პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მე-10 დღეს თურქეთის დიდი ეროვნული კრება იკრიბება თავისი უფლებით ანკარაში, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შენობაში 15 საათზე. ამ სესიას თავმჯდომარეობს უხუცესი დეპუტატი. ამავე სესიაზე დეპუტატები ღებენ ფიცს.

დროებითი მუხლი 6. ამ კონსტიტუციის შესაბამისად თურქეთის დიდი ეროვნული კრების შექმნამდე და რეგლამენტის მიღებამდე, რომელიც განსაზღვრავს სესიების ჩატარებისა და უფლებამოსილებათა განხორციელების წესს, გამოიყენება ეროვნული კრების რეგლამენტის ის დებულებები, რომლებიც მოქმედებდა 1980 წლის 12 სექტემბრამდე და არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

დროებითი მუხლი 7. მოქმედი მინისტრთა საბჭო აგრძელებს მოვალეობის შესრულებას პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე და ახალი მინისტრთა საბჭოს შექმნამდე.

დროებითი მუხლი 8. კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია კონსტიტუციით განსაზღვრული ახალი ორგანოების, დაწესებულებებისა და წარმომადგენლობების ორგანიზაციასთან, ვალდებულებებთან, უფლებამოსილებასთან და ფუნქციონირებასთან, აგრეთვე სხვა კანონმდებლობა, რომლის

მიღება და შესწორება გათვალისწინებულია კონსტიტუციით, მიიღება დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების დროს, რომელიც იწყება კონსტიტუციის მიღების შემდეგ; კანონმდებლობა, რომლის მიღება ამ პერიოდში შეუძლებელია, მიიღება ახალარჩეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი სესიიდან ერთი წლის განმავლობაში.

დროებითი მუხლი 9. პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ მოწვეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროს შექმნიდან ექვსი წლის განმავლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია დაუბრუნოს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შემდგომი განხილვისთვის კონსტიტუციის ნებისმიერი შესწორება, რომელიც მიღებულია კრების მიერ. ასეთ შემთხვევაში, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას მხოლოდ წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის უმრავლესობით შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელახლა წარუდგინოს კონსტიტუციის შესწორების პროექტი უცვლელი ფორმით.

დროებითი მუხლი 10. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ტარდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი სესიიდან ერთი წლის განმავლობაში.

დროებითი მუხლი 11. საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი და სათადარიგო წევრები, რომლებიც ახორციელებენ უფლებამოსილებას რევერენდუმის შედგად კონსტიტუციის მიღების დღეს, რჩებიან თანამდებობაზე და აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის განხორციელებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თანამდებობებზე უფრო ადრე არჩეული პირები ინარჩუნებენ ამგვარად შეძენილ სტატუსს.

დაუშვებელია არჩევნების ჩატარება საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი წევრების თავისუფალი ადგილების დაკავების მიზნით, ვიდრე ამ წევრების რაოდენობა არ შემცირდება თერთმეტამდე, აგრეთვე სათადარიგო წევრების თავისუფალი ადგილების დასაკავებლად, ვიდრე ძირითადი და სათადარიგო წევრების საერთო რაოდენობა არ შემცირდება თხუთმეტამდე. სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ გადავა ახალ სისტემაზე, არჩევნები, რომლებიც ტარდება ძირითადი წევრების რაოდენობის თერთმეტზე ნაკლებამდე, ხოლო ძირითადი და სათადარიგო წევრების საერთო რაოდენობის თხუთმეტზე ნაკლებამდე შემცირების შედეგად, უნდა შეესაბამებოდეს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და წესს.

სანამ საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი წევრების რაოდენობა თერთმეტამდე არ შემცირდება, 1962 წლის 22 აპრილის №44 კანონით

განსაზღვრული კვორუმი უნდა იქნეს დაცული ყოველი საქმის განხილვის დროს.

დროებითი მუხლი 12. პირები, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშნული არიან მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს ძირითად და სათადარიგო წევრებად უმაღლესი სააპელაციო სასამართლოსა და სახელმწიფო საბჭოს წევრებისგან, „მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს შესახებ“ 1981 წლის 13 მაისის №2461 კანონის დროებითი პირველი მუხლის შესაბამისად; მთავარ პროკურორად და მთავარი პროკურორის მოადგილედ, „უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს შესახებ“ №1730 კანონის 1981 წლის 25 ივნისის №2483 დამატების დროებითი მუხლის შესაბამისად; სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, მთავარ პროკურორად, თავმჯდომარის მოადგილედ და ქვედანაყოფის უფროსად, „სახელმწიფო საბჭოს შესახებ“ 1982 წლის 6 იანვრის №2576 კანონის დროებითი მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აგრძელებენ თავიანთი მოვალეობების განხორციელებას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

1982 წლის 6 იანვრის №2576 კანონის დროებითი მუხლების დებულებები, რომლებიც შეეხება ადმინისტრაციული სასამართლოების თავმჯდომარეებისა და წევრების დანიშნას, ასევე ძალაში რჩება.

დროებითი მუხლი 13. უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს წევრებისგან მოსამართლეების და პროკურორების უზენაესი საბჭოს ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრის არჩევნები ტარდება კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ოცი დღის განმავლობაში.

არჩეული წევრების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, კვორუმი საბჭოს სხდომების ჩასატარებლად ითვალისწინებს სათადარიგო წევრების მონაწილეობასაც.

დროებითი მუხლი 14. მშრომელთა კავშირების ვალდებულება, შეიტანონ შემოსავალი სახელმწიფო ბანკებში, უნდა შესრულდეს კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ორი წლისა.

დროებითი მუხლი 15. დაუშვებელია რაიმე განცხადების გაკეთება სისხლისსამართლებრივი, ფინანსური ან იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე ამ მიზნით სასამართლოსთვის მიმართვა №2356 კანონით შექმნილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც თურქი ერის სახელით ახორციელებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელი-

სუფლებას 1980 წლის 12 სექტემბრიდან პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ მოწვეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბიუროს შექმნამდე, აგრეთვე საბჭოს უფლებამოსილების ვადაში შექმნილი მთავრობის ან საკონსულტაციო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს „დამფუძნებელი კრების შესახებ“ №2485 კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული პუნქტების დებულებები ასევე გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას და მონაწილეობენ ასეთი გადაწყვეტილების შესრულებაში, ასევე მმართველობის, უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების ქმედობათა მიმართ.

დროებითი მუხლი 16. საარჩევნო უფლების მქონე პირებს, რომლებიც შეეყვანილი არიან ამომრჩეველთა სიაში და რეგისტრირებული არიან საარჩევნო უბნებში კონსტიტუციის თაობაზე ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ არ მიუღიათ მონაწილეობა კენჭისყრაში საპატიო იურიდიული ან ფაქტობრივი მიზეზის გარეშე, არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ან საკუთარი კანდიდატურის წარდგენა საყოველთაო, დამატებით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში ან რეფერენდუმში, კონსტიტუციის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმიდან ხუთი წლის განმავლობაში.

ნაწილი მეშვიდე. დასკვნითი დებულებები

I. კონსტიტუციის შესწორება, არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობა

მუხლი 175. კონსტიტუციის შესწორებას წერილობითი ფორმით წარადგენს თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი. წინადადება კონსტიტუციაში შესწორების შეტანის შესახებ განიხილება ორჯერ პლენარულ სხდომაზე. შესწორების შეტანის შესახებ წინადადება მიიღება თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით ფარული კენჭისყრით.

კონსტიტუციაში შესწორების შეტანის შესახებ წინადადების განხილვისა და მიღებისთვის გამოიყენება კანონმდებლობის განხილვისა და მიღებისთვის გათვალისწინებული დებულებები, გარდა ამ მუხლში მოცემული პირობებისა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია შემდგომი განხილვისთვის დააბრუნოს კონსტიტუციის შესწორებასთან დაკავშირებული კანონი. თუ კრება მიიღებს პრეზიდენტის მიერ დაბრუნებული კანონის პროექტს ორი მესამედის უმრავლესობით, პრეზიდენტს შეუძლია კანონის რეფერენდუმზე გატანა.

თუ კანონი მიღებულია კრების წევრთა სრული შემადგენლობის სამი მე-ხუთედით ან ორ მესამედზე ნაკლები ხმით და არ იქნება დაბრუნებული პრეზიდენტის მიერ შემდგომი განხილვისათვის, ხდება მისი გამოქვეყნება ოფიციალურ ორგანოში და რეფერენდუმზე გატანა.

კანონი კონსტიტუციის შესწორების შესახებ, რომელიც მიღებულია თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით ან დაბრუნებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ შემდგომი განხილვისათვის, ან მისი მუხლები აუცილებლობისას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე. კანონები და მუხლები კონსტიტუციის შესწორების შესახებ, რომლებიც არ იქნა გატანილი რეფერენდუმზე, ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში.

რეფერენდუმზე გატანილი კანონი კონსტიტუციის შესწორების შესახებ უნდა იქნეს მხარდაჭერილი საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტის მიერ.

კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონის მიღებისას თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი დებულებები უნდა იქნეს რეფერენდუმზე გატანილი ერთად და რომელი – ცალ-ცალკე.

რეფერენდუმში, საყოველთაო, დამატებით ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უნდა იქნეს მიღებული ყველა ზომა ჯარიმის ჩათვლით.

II. პრეამბულა და მუხლების სათაურები

მუხლი 176. პრეამბულა, რომელშიც მოცემულია კონსტიტუციის ფუძემდებლური იდეები და პრინციპები, შეადგენს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს.

მუხლების სათაურები მიუთითებს მხოლოდ მუხლების საგანს, რიგითობას და ურთიერთკავშირს. ეს სათაურები არ განიხილება კონსტიტუციის ტექსტის ნაწილად.

III. კონსტიტუციის ძალაში შესვლა

მუხლი 177. რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღებისა და ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებისთანავე იგი ხდება თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და ძალაში შედის მთლიანად, გარდა ძალაში შესვლასთან დაკავშირებული ისეთი გამოწვევებისა და დებულებებისა, როგორებიცაა:

ა) მე-2 ნაწილის მე-2 თავის დებულებები, რომლებიც შეეხება პირად თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, პრესას, ინფორმაციის საშუალებებსა და გამოცემლობას, აგრეთვე შეკრების თავისუფლებას.

მე-3 თავის დებულებები, რომლებიც შეეხება შრომას, კოლექტიურ შეთანხმებებს, გაფიცვისა და ლოკაუტის უფლებას.

ეს დებულებები ძალაში შედის შესაბამისი კანონმდებლობის გამოქვეყნების, ან მოქმედ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანის შემდეგ, ან არა უგვიანეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების დაწყებისა. მათ ძალაში შესვლამდე გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობა და ბრძანებულებები, ასევე ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები;

ბ) მე-2 ნაწილის დებულებები, რომლებიც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების უფლებას, ძალაში შედის ამ დებულებების შესაბამისად მომზადებული „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ ახალი კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება ძალაში შედის ამ დებულებების შესაბამისად მომზადებული „არჩევნების შესახებ“ ახალი კანონის გამოქვეყნებისთანავე;

გ) მე-3 ნაწილის დებულებები, რომლებიც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, ძალაში შედის პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ფუნქციებსა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ განყოფილებაში, ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭო, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე; „დამფუძნებელი კრების შესახებ“ 1981 წლის 29 ივნისის №2485 კანონის დებულებები ძალაში რჩება;

დ) მე-3 ნაწილის დებულებები, რომლებიც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო საზედამხებელო საბჭოს ფუნქციებსა და უფლებამოსილებას, სათაურით – „რესპუბლიკის პრეზიდენტი“, ინსტრუქციებს, ეროვნულ თავდაცვას, საგანგებო მდგომარეობის მარეგულირებელ წესებს, სათაურით – „მინისტრთა საბჭო“, ყველა სხვა დებულებას, სათაურით – „მმართველობა“, გარდა ადგილობრივი მმართველობისა და ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოებისა; აგრეთვე ყველა დებულება, რომელიც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, გარდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებისა, ძალაში შედის რეფერენდუმის შედეგად მიღებული კონსტიტუციის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებისთანავე. დებულებები, რომლებიც შეეხება ადგილობრივ მმართველო-


ბას და სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებს, ძალაში შედის შესაბამისი კანონების ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებისთანავე;

ე) თუ ახალი კანონმდებლობა ან მოქმედ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა საჭიროა კონსტიტუციის დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალაში შედის რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღების გამოცხადებისთანავე, ან შეეხება არსებულ ან შესაქმნელ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და წარმომადგენლობებს, შემდგომ პროცედურაზე ვრცელდება მოქმედი კანონების ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად;

ვ) კონსტიტუციის 164-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც არეგულირებს საბოლოო ანგარიშის პროექტის განხილვის წესს, ძალაში შედის 1984 წელს.



კანადა



ზოგადი ცნობარი შესავალი

კანადა თავდაპირველად ინდიელთა ტომებით – ინუიტებით იყო დასახლებული, რომელთა ცივილიზაცია ათასწლეულებს ითვლის. ევრაელთა პირველი კონტაქტები კანადაში, ისტორიკოსთა მტკიცებით, ჯერ კიდევ ვიკინგების დროს გაჩნდა. თუმცა, ევროპული ექსპანსია აქ XV საუკუნის ბოლოდან დაიწყო, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო 1604-1763 წლებში ფრანგული კოლონიალიზმის პირობებში. ხანგრძლივი კოლონიური ომების შედეგად, რომლებიც ერთი მხრივ ფრანგებსა და ინდიელებს შორის, ხოლო მეორე მხრივ ფრანგებსა და ინგლისელებს შორის მიმდინარეობდა, 1763-1867 წლებში კანადაში ბრიტანეთის კოლონიალური რეჟიმი დაჰყარდა. კანადამ სუვერენიტეტი მოიპოვა 1867 წლიდან. მისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ 1914 წლისთვის დასრულდა ბრიტანეთის ჩრდილოეთ-ამერიკული სამფლობელოების გაერთიანებით. ქვეყანა ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ვითარდებოდა მისი მეზობელი ამერიკის შეერთებული შტატების პარალელურად. დღეისათვის იგი წარმოადგენს „ნატოს“ წევრ სახელმწიფოს და შედის მსოფლიოს ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების ჯგუფში – ე. წ. „დიდი რვიანის“ შემადგენლობაში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: უკიდურესი ჩრდილოეთ ამერიკა, ესაზღვრება ჩრდილო ატლანტის ოკეანეს – აღმოსავლეთით, წყნარ ოკეანეს – დასავლეთით, აშშ-ს – სამხრეთით და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს – ჩრდილოეთით.

ფართობი: სულ: 9,984,670 კმ², ხმელეთი: 9,093,507 კმ², წყალი: 891,163 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: რკინა, სპილენძი, ოქრო, კალა, მოლიბდენუმი, ბრილიანტი, ვერცხლი, თევზი, ხე-ტყე, ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ჰიდრორესურსები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 33,098,932 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 17.6% (კაცი 2,992,811/ქალი 2,848,388);
15-64 წლის: 69.1% (კაცი 11,482,452/ ქალი 11,368,286);
65 წლის და ზევით: 13.3% (კაცი 1,883,008/ ქალი 2,523,987) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.88% (2006);

შობადობა: 10,78 დაბადებული /1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 7,8 გარდაცვლილი /1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 5,85 მიგრანტი /1,000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 80,22 წელი; კაცი 76,83; ქალი: 83,74 (2006);

მოქალაქეობა: კანადის;

ეთნიკური ჯგუფები: ბრიტანელები 28%, ფრანგები 23%, სხვა ევროპელები 15%, ინდიელები 2%, სხვები - აზიელები, აფრიკელები, არაბები 6%, შერეული 26% (2001);

რელიგია: კათოლიკე 42,6%, პროტესტანი 23,3%, (მათ შორის გაერთიანებული ეკლესიის მიმდევარი 9,5%, ანგლიკანი 6,8%, ბაპტისტი 2,4%, ლუთერანი 2%, სხვა ქრისტიანები 4,4%, მუსლიმი 1,9%, სხვა და დაუდგენელი 11,8%, ათეისტი 16%.

ენა: ინგლისური და ფრანგული;

განათლებულობა:

მთელი მოსახლეობის: 99%, კაცი 99%, ქალი 99% (2003);

განსაზღვრება მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: არ არსებობს,

მოკლე ფორმა: კანადა;

სახელმწიფოს ფორმა: კონსტიტუციური მონარქია; ფედერაცია;

დედაქალაქი: ოტავა;

ადმინისტრაციული ერთეულები: 10 პროვინცია და 3 ტერიტორია.

დამოუკიდებლობა: 1867 წლის 1 ივლისიდან (ბრიტანეთის კოლონიების გაერთიანება), 1931 წლის 11 დეკემბრიდან (დამოუკიდებლობის აღიარება);

ეროვნული დღესასწაული: კანადის დღე – 1 ივლისი;

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: დედოფალი ელისაბედ II, გენერალ-გუბერნატორი მიშელ ჟუანი (2005 წლის 27 სექტემბრიდან);

მთავრობა/სამინისტროები:

პრემიერ-მინისტრი;

გარემოს დაცვის სამინისტრო,

მრეწველობის სამინისტრო,

შრომისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,

ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სამინისტრო,

სამთავრობათშორისო საკითხებისა და სპორტის სამინისტრო,

ჯანმრთელობის დაცვისა და ფედერალური ეკონომიკის განვითარების სამინისტრო;

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო,

საერთაშორისო ვაჭრობის სამინისტრო,

ადამიანის რესურსებისა და სოციალური განვითარების,

ფინანსთა სამინისტრო,

საზოგადოებრივი სამუშაოებისა და სამთავრობო სამსახურების სამინისტრო,

თევზჭერისა და ოკეანეების სამინისტრო,

ბუნებრივი რესურსების სამინისტრო,

საგარეო საქმეთა სამინისტრო,

ეროვნული თავდაცვის სამინისტრო,

კანადის მემკვიდრეობისა და ქალთა საქმეების სამინისტრო,

ინდიელთა საკითხების, ჩრდილოეთის განვითარების, მეტისთა და უსტატუსო

ინდიელთა საქმეების სამინისტრო,

ეროვნული შემოსავლების სამინისტრო,

მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამინისტრო,

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო,

ვეტერანთა საქმეების სამინისტრო,
იუსტიციის სამინისტრო,
საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი შედგება სენატის (105 ადგილი; წევრები ინიშნებიან გენერალ-გუბერნატორის მიერ 75 წლის ასაკამდე) და თემთა პალატისგან (308 ადგილი; წევრები აირჩევიან პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პირდაპირი არჩევნებით 5 წლის ვადით). ბოლო არჩევნები გაიმართა 2006 წლის 23 იანვარს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: კეპეკელთა ბლოკი, კანადის კონსერვატორული პარტია, მწვანეთა პარტია, ლიბერალური პარტია, ახალი დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: კანადის ეკონომიკა ხასიათდება განვითარების მაღალი დონით და ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სამრეწველო და ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ზრდა. მომსახურების სფეროზე ორიენტირებული ეკონომიკა თანდათან გადაიქცა მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიულ ეკონომიკად. მას შემდეგ, რაც 1989 წელს აშშ-თან გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, აგრეთვე 1994 წლის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის აქტის ხელმოწერის შემდეგ კანადის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დაუკავშირდა აშშ-ს ეკონომიკას და განხორციელდა სერიოზული ურთიერთინტეგრაცია. კანადას აქვს მდიდარი ბუნებრივი რესურსები, განვითარებული შრომითი და ტექნოლოგიური რესურსები, რაც ეკონომიკური განვითარების დიდ პერსპექტივებს იძლევა. გამართული ადმინისტრირება საშუალებას აძლევს კანადას ჰქონდეს დაბალანსებული ბიუჯეტი. კანადის უმსხვილეს საეაჭრო პარტნიორად კვლავ რჩება აშშ, რომელზეც მოდის კანადის ექსპორტის 85%. კანადა აშშ-ს უმსხვილესი მიმწოდებელია ელექტროენერჯის სფეროში.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$1.114 ტრილიონი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 2,9% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$34,000 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2,2%, მრეწველობა: 29,4%, მომსახურება: 68,4% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 15,9% (1993);

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$159.6 მილიარდი, გასაველი \$152.6 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$364.8 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, ტელეკომუნიკაციის საშუალებები, სამრეწველო საქონელი, ქიმიური პროდუქცია, ალუმინი, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, ბენზინი, ხე-ტყე.

ექსპორტის პარტნიორები: აშშ 84,1%, იაპონია 2,1% დიდი ბრიტანეთი 1,8% (2005); .

იმპორტი: \$317.7 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, ნავთობი, სამომხმარებლო საქონელი;

იმპორტის პარტნიორები: აშშ 57,5%, ჩინეთი 7,4%, მექსიკა 3,8%. (2005);

საგარეო ვალი: \$439,8 მილიარდი (2005);

ეკონომიკური დახმარება: \$2,6 მილიარდი.

ვალუტა: კანადური დოლარი (CAD).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. კანადის სახელმწიფოსა და კონსტიტუციონალიზმის ისტორია სათავეს იღებს 1867 წლიდან, როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე დიდი ბრიტანეთის სამფლობელოები ერთ დომინიონად გაერთიანდნენ. ამ ფაქტის იურიდიულ გაფორმებას ისახავდა მიზნად 1867 წლის კანადის კონსტიტუციური აქტის მიღებაც, რომელმაც დასაბამი მისცა კანადის კონსტიტუციონალიზმს. თუმცა 1867 წლის კონსტიტუციური აქტის მიღებამდე, რომელიც დღესაც მოქმედი ნორმატიული აქტია, კანადაში მოქმედებდა თავისი ხასიათით გარკვეულწილად კონსტიტუციური მნიშვნელობის რამდენიმე აქტი, რომლებსაც იურიდიულ მეცნიერებაში 1867 წლის კონსტიტუციის მოსამზადებელ დოკუმენტებსაც უწოდებენ. მათგან ყველაზე ყურადსაღებია 1670 წელს ჩარლზ II-ის მიერ გამოცემული „კუძონის ყურის აქტი“, რომელიც არეგულირებდა კოლონიურ კანადაში ადმინისტრაციული მმართველობისა და მართლმსაჯულების აღსრულებასთან, აგრეთვე ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, „1763 წლის 7 ოქტომბრის სამეფო პროკლამაცია“, რომლითაც დადგინდა პროვინციები, მათი საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრები, მოწესრიგდა მიწის საკუთრებასთან და მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ ამ აქტით პირველად იქნა შემოღებული გუბერნატორების მიერ ხელისუფლების განხორციელება ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საბჭოების რჩევითა და თანხმობით, და „კვებეკის 1774 წლის აქტი“, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ აქტით ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე პირველად განისაზღვრა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის პირთა უფლებები და გარანტიები, დაიხვეწა სახელმწიფო მმართველობის განხორციელების სისტემა.

1867 წლის კონსტიტუციური აქტი, რომელსაც თავდაპირველად ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1867 წლის აქტს უწოდებდნენ, მიღებულ იქნა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ, რის შემდეგაც იგი პროკლამაციით დაამტკიცა დედოფალმა ვიქტორიამ. ამ კონსტიტუციურ აქტს მოჰყვა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მთელი რიგი კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტების მიღება, რომლებიც ძირითადად უკვე დაფუძნებულ დომინიონში ახალი ტერიტორიების გაერთიანების იურიდიული გაფორმებისა და აქედან გამომდინარე პარლამენტში სენატორებისა და პარლამენტის წევრთა რაოდენობის და ახალი პროვინციების უფლებამოსილებების განსაზღვრის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნით მიიღებოდა. ზოგი მათგანი იურიდიულად ბრიტანეთის პარლამენტის აქტს, ზოგიც ბრიტანეთის მონარქის ბრძანების სახით ფორმდებოდა. ყველა ეს აქტი, ისევე როგორც 1867 წლის კონსტიტუციური აქტი, როგორც წესი, ბრიტანეთის

ჩრდილოეთ ამერიკის აქტებად მოიხსენიება, თუმცა, შინაარსიდან გამომდინარე, ზოგიერთ მათგანს აქვს სხვა სახელწოდებაც. ესენია: „მისი უდიდებულესობის 1871 წლის 16 მაისის ბრძანება „ბრიტანეთის კოლუმბიის გაერთიანებაში შესვლის პირობების შესახებ“, რომლითაც გაფორმდა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ჩრდილოეთ ამერიკული სამფლობელოს – ბრიტანეთის კოლუმბიას კანადის დომინიონში გაერთიანება; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1871 წლის აქტი, რომელმაც გაითვალისწინა ახალი პროვინციის – მანიტობას შექმნა და კანადის დომინიონში რუპერტის მიწისა და ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიის გაერთიანება; „მისი უდიდებულესობის 1873 წლის 26 ივნისის ბრძანება „პრინც ედუარდის კუნძულის გაერთიანებაში შესვლის პირობების შესახებ“, რომლითაც გაფორმდა კანადის დომინიონში პრინც ედუარდის კუნძულის გაერთიანება (ამ აქტში ცვლილება იქნა შეტანილი 1993 წლს); „მისი უდიდებულესობის 1880 წლის 31 ივლისის ბრძანება „მოსაზღვრე ტერიტორიების შესახებ“, რომლითაც დადგინდა კანადის დომინიონში დიდი ბრიტანეთის ყველა ჩრდილოეთ ამერიკული სამფლობელოს, მიწისა და კუნძულის შესვლის შესაძლებლობა; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1886 წლის აქტი, რომელმაც განსაზღვრა კანადის სენატსა და თემთა პალატაში ტერიტორიების წარმომადგენელთა შეყვანის საკითხი; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1907 წლის აქტი, რომელმაც განსაზღვრა ფედერალური მთავრობის მიერ პროვინციებისათვის საკომპენსაციო ტრანსფერების გადახდის სისტემა; კანადის სენატში პროვინციების მიხედვით ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1915 წლის აქტი, რომელმაც დააზუსტა სენატორთა რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხები; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1916 წლის აქტი, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხს; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1930 წლის აქტი, რომელმაც მოაწესრიგა კანადის ახალი პროვინციების – ბრიტანეთის კოლუმბიის, მანიტობას, ალბერტას, სასკაჩევანის უფლებები მათ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1940 წლის აქტი, რომელმაც კანადის მთავრობას მიანიჭა უფლებამოსილება უმუშევართა უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1943 წლის აქტი (ცვლილება შევიდა 1982 წლის კონსტიტუციით), რომელიც შეეხებოდა პარლამენტის წევრთა ადგილებთან დაკავშირებულ საკითხებს; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1946 წლის აქტი (ცვლილება შევიდა 1982 წლის კონსტიტუციით), რომელიც შეეხებოდა პარლამენტის წევრთა ადგილებთან დაკავშირებულ საკითხებს; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის №1 აქტი (ნიუფაუნდლენდის აქტი), რომლითაც მოწესრიგდა კანადის დომინიონში ნიუფაუნდლენდის გაერთიანებასთან დაკავშირებული საკითხები;

ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის №2 აქტი (ცვლილება შვეი-
და 1982 წლის კონსტიტუციით), რომლითაც კანადის პარლამენტს მიენიჭა
კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება; ბრიტა-
ნეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1951 წლის აქტი (ცალკეული ცვლილებები შე-
ტანილი იქნა 1964 აქტით აგრეთვე 1982 წლის კონსტიტუციით), რომლი-
თაც პროვინციების ლევისლატურებს მიენიჭა უფლებამოსილება მოხუცე-
ბულთა პენსიების სფეროში გადაწყვეტილებების მისაღებად; ბრიტანეთის
ჩრდილოეთ ამერიკის 1952 წლის აქტი (ცვლილება შვეიდა 1982 წლის
კონსტიტუციით), რომელმაც მოაწესრიგა პარლამენტის წევრთა რაოდენო-
ბასთან დაკავშირებული საკითხები, რომლითაც იუკონის ტერიტორიას მიეცა
პარლამენტში წარმომადგენლის ყოლის უფლება; ბრიტანეთის ჩრდილოეთ
ამერიკის 1960 წლის აქტი, რომლითაც დადგინდა უმაღლესი სასამართლოს
მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის მაქსიმალური ასაკი; ბრიტანეთის
ჩრდილოეთ ამერიკის 1964 წლის აქტი, რომლითაც განისაზღვრა კანადის
მთავრობის უფლებამოსილება პენსიების სფეროში; ბრიტანეთის ჩრდილოეთ
ამერიკის 1965 წლის აქტი, რომელმაც დაადგინა სენატორთა თანამდებობა-
ზე ყოფნის მაქსიმალური ასაკი; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1974
წლის აქტი, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის წევრების რაოდენობასთან
დაკავშირებულ საკითხებს; ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1975 წლის
№1 აქტი, რომელმაც გაზარდა პარლამენტში ჩრდილო-დასავლეთ ტერიტო-
რიების წარმომადგენელი წევრების რაოდენობა; ბრიტანეთის ჩრდილოეთ
ამერიკის 1975 წლის №2 აქტი, რომლითაც გაიზარდა სენატორთა რაოდე-
ნობა და თითო ადგილი სენატში მიეცა იუკონსა და ჩრდილო-დასავლეთ
ტერიტორიებს. კანადის კონსტიტუციური სამართლისათვის განსაკუთრებუ-
ლი დატვირთვა აქვს აგრეთვე 1931 წლის ენსმინსტერის სტატუსს, რომე-
ლიც ასევე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ იქნა მიღებული.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ამგვარი ნაყოფიერი კანონშემოქმედებითი
საქმიანობის პარალელურად კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტებს იღებდა
კანადის პარლამენტიც. აღსანიშნავია, რომ კანადის პარლამენტს კონსტიტუ-
ციაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება ოფიციალურად მხოლოდ
ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის №2 აქტით მიენიჭა. თუმცა
კანადის პარლამენტი მანამდეც იღებდა კონსტიტუციური მნიშვნელობის აქ-
ტებს, მაგრამ არა საკონსტიტუციო ცვლილებების სახით. ამ უკანასკნელის
მიერ მიღებული სხვადასხვა აქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: მანიტობას
1870 წლის აქტი, რომლითაც შეიქმნა პროვინცია მანიტობა, დადგინდა მისი
მმართველობისა და სასამართლო სისტემა; კანადის პარლამენტის 1875
წლის აქტი, რომელმაც დაადგინა პარლამენტის წევრთა ხელშეუხებლობა
და სხვა გარანტიები; კანადის (ონტარიოს საზღვრების დამდგენი) 1889

წლის აქტი, რომელმაც განსაზღვრა ონტარიოს პროვინციის საზღვრები; კანადის პარლამენტის საიკერის შესახებ (მოადგილის დანიშვნის) 1895 წლის აქტი, რომელმაც მოაწესრიგა პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები; იუკონის ტერიტორიის 1898 წლის აქტი, რომელმაც იუკონის ტერიტორია გამოიხილა ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიიდან და შექმნა პროვინცია, განსაზღვრა მისი მმართველობისა და სასამართლო სისტემის საფუძვლები; ალბერტას 1905 წლის აქტი, რომელმაც შექმნა პროვინცია ალბერტა, განსაზღვრა მისი მმართველობისა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები და მოაწესრიგა ფინანსური ურთიერთობები ფედერალურ ხელისუფლებასთან; სასკაჩევანის 1905 წლის აქტი, რომელიც თავისი შინაარსით ზუსტად ალბერტას აქტის იდენტურია.

გარდა ჩამოთვლილი აქტებისა, როგორც დიდი ბრიტანეთის, ისე კანადის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ე.წ. გადასინჯვითი სტატუტი, რომელთა მიღება პერიოდულად ხდებოდა სხვადასხვა დროს მიღებულ ცალკეულ კონსტიტუციურ აქტებს შორის შესაბამისობის დადგენისა და კოდიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.

კანადის კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1982 წელს მეორე კონსტიტუციური აქტის მიღება, რომელმაც მოაწესრიგა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები და გადაახალისა 1867 წლის კონსტიტუციური აქტის მთელი რიგი დებულებები, თუმცა მისთვის იურიდიული ძალა არ დაუკარგავს. ამ აქტით გარკვეულად დასრულდა კანადის კონსტიტუციური სამართლის ფორმირების ხანგრძლივი პროცესი. მართალია, 1983 წელს, 1985 წელს, 1987 წელს (ნიუფაუნდლენდის აქტი), 1993 წელს (ნიუ-ბრანსვიკის აქტი), 1993 წელს (პრინც ედუარდის კუნძულის აქტი), 1997 წელს (ნიუფაუნდლენდის აქტი), 1997 წელს (კვებეკის აქტი), 1998 წელს (ნიუფაუნდლენდის აქტი), 1999 წელს (ნუნავის აქტი), 2001 წელს (ნიუფაუნდლენდისა და ლაბრადორის აქტი) კანადის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, მაგრამ მათ კანადის კონსტიტუციური სამართლის განვითარებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. კანადის კონსტიტუცია დღემდე მოიხსენიება როგორც კანადის 1867-1982 წლის კონსტიტუციური აქტების ერთობლიობა და შედგება ამ ორი ძირითადი აქტისგან.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. კანადის კონსტიტუციების მიღების პროცედურა, ჩამოყალიბების თვალსაზრისით პირობითად შეიძლება ორ ძირითად განსხვავებულ ეტაპად დაიყოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიდი ბრიტანეთის მონარქების ჩარლზ II-ისა და გეორგ III-ის მიერ 1867 წლამდე გამოცემულ აქტებს. პირველ ეტაპზე, რომელიც 1867-

1975 წლების განმავლობაში გრძელდებოდა, კანადის კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტები მიიღებოდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცესის რეჟიმით და იურიდიულ ძალას იძენდა მონარქის მიერ ფორმალურად პროკლამაციით დამტკიცების შემდეგ. ამ წესით იქნა მიღებული 1867 წლის კონსტიტუციური აქტიც, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით ე.წ. „ნაბოძებ კონსტიტუციათა“ რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს. ამავე რეჟიმში იქნა მიღებული ე.წ. ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტების მთელი სერია. თუმცა ამ წესიდან არსებობდა გარკვეული გამონაკლისიც, რაც დაკავშირებული იყო კანადის დომინიონში ბრიტანეთის სხვა ჩრდილო-ამერიკული სამფლობელოების გაერთიანებასთან. ამგვარ შემთხვევაში სამართლებრივ საფუძველს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული აქტი კი არ ქმნიდა, არამედ დიდი ბრიტანეთის მონარქის მიერ საიდუმლო საბჭოში გამოცემული ბრძანება, რომლის იურიდიული ძალაც პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებთან იყო გათანაბრებული.

1867 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ თავდაპირველად კანადის პარლამენტი იურიდიულად უფლებამოსილი არ იყო მიეღო კონსტიტუციური აქტები. მისი აქტები იურიდიული ძალით დიდი ბრიტანეთის პარლამენტის აქტებზე იურარქიულად დაბლა იდგა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია კანადის პარლამენტისათვის მიეღო რამდენიმე თავისი მნიშვნელობით კონსტიტუციური აქტი, რომლებიც განსაზღვრავდა კანადის დომინიონში ახალი ბრიტანული სამფლობელოების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი პროვინციების სამართლებრივ სტატუსს, მმართველობისა და მართლმსაჯულების სისტემასა და ფედერალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების სისტემას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ყველა ამგვარი აქტი დაფუძნებული იყო იმ ძირითად პრინციპებზე, რაც 1867 წლის კონსტიტუციით იქნა დადგენილი.

კანადის კონსტიტუციის მიღების პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლა, ანუ კანადის კონსტიტუციის მიღებასთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული დიდი ბრიტანეთის პარლამენტის უფლებამოსილებების კანადის პარლამენტისათვის გადაცემა მოხდა თანდათანობით. ეს პროცესი გამოწვეული იყო კანადის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებით, თანდათანობით დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი საკითხების საკანონმდებლო გადაწყვეტის აუცილებლობა, რომლებიც ერთი მხრივ, თავისი მნიშვნელობით არ წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთის პარლამენტის განსაკუთრებული კომპეტენციის საგანს და არ საჭიროებდნენ მის საკანონმდებლო ჩარევას, ხოლო მეორე მხრივ მათი გადაწყვეტა დაკავშირებული იყო გარკვეულ ოპერატიულობასთან, რისი უზრუნველყოფაც დიდი

ბრიტანეთის პარლამენტის საკანონმდებლო პროცესის პირობებში საკმაოდ რთული იქნებოდა.

1926-1930 წლების განმავლობაში იმპერიული კონფერენციის რეჟიმში ხანგრძლივი განხილვების შემდეგ 1931 წლის 11 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ვენსტიმინსტერის სტატუტი“, რომლითაც დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა ნაწილი გადაეცა ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემაჯავლი: კანადის დომინიონის, ავსტრალიის კავშირის, ახალი ზელანდიის დომინიონის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოსა და ნიუფაუნდლენდის პარლამენტებს. ამ დღიდან კანადის პარლამენტმა მიიღო სრული, სუვერენული საკანონმდებლო ხელისუფლება. კანადის პარლამენტის უფლებამოსილება კონკრეტულად კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ოურიდიულად განმტკიცდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის №2 აქტით.

თუმცა, მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ცვლილებებისა, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ კანადისათვის კონსტიტუციური აქტების მიღების პრაქტიკა დასრულდა მხოლოდ 1970-იანი წლების ბოლოს 1982 წელს კანადის მეორე კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც კონკრეტულად განსაზღვრა კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი. ამის შემდეგ კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კანადის პარლამენტის მიერ ხორციელდება.

1982 წლის კანადის კონსტიტუციური აქტის შესაბამისად დადგენილია კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის რამდენიმე პროცედურა ძირითადი წესისა და გამონაკლისების სახით. ამ პროცედურებს შორის განსხვავება ძირითადად საკითხთა წრესა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმებში, აგრეთვე რიგ შემთხვევებში პროცესის მონაწილე სუბიექტების განსხვავებულ უფლებამოსილებებში გამოიხატება. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ხდება კანადის პარლამენტის მიერ, რომელსაც ამტკიცებს კანადის გენერალ-გუბერნატორი კანადის დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციის გამოცემით. კანადის გენერალ-გუბერნატორის ამგვარი უფლებამოსილება წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში არსებული „სამეფო თანხმობის“ ინსტიტუტის კანადურ მოდელს და ეს უფლება კანადის გენერალ-გუბერნატორს დელეგირებული აქვს დიდი ბრიტანეთის მონარქისაგან. თუმცა აღსანიშნავია, რომ კანადის 1867 წლის კონსტიტუციურმა აქტმა ე.წ. ბილის შენახვის მექანიზმით გარკვეულად შეინარჩუნა დიდი ბრიტანეთის მონარქის უფლება „სამეფო თანხმობაზე“.

კანადის კონსტიტუციაში სხვადასხვა საკითხზე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს თემთა პალატა, სენატი ან პროვინციის ლეგისლატურა. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო ცვლილება შეეხება კანადაში მცხოვრებ ინდიელებს ან იმ მიწებს, რომლებზეც ისინი ცხოვრობენ, მისი საკანონმდებლო წესით განხილვამდე კანადის პრემიერ-მინისტრის მიერ მოწვეულ უნდა იქნეს კონსტიტუციური კონფერენცია. იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილება შეეხება რომელიმე კონკრეტულ პროვინციას და არა ყველას, იგი მიიღება პარლამენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი პროვინციის ლეგისლატურის (საკანონმდებლო ორგანოს) წინასწარი თანხმობით, ხოლო, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილება შეეხება ყველა პროვინციის ინტერესის სფეროში შემავალ საკითხს, მისი ძალაში შესვლისათვის საჭიროა კანადის პროვინციების ორი მესამედის ლეგისლატურების მხარდაჭერა მაინც. თუ რომელიმე პროვინციის ლეგისლატურა მხარს არ დაუჭერს, ცვლილება ვერ იმოქმედებს ამ პროვინციასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, რომ პროვინციების ლეგისლატურებს უფლება აქვთ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე აქტის მიღებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააუქმონ მათი უარი და მხარი დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებებს. კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, როგორც წესი, ხდება პარლამენტის ორივე პალატის მიერ ცალ-ცალკე თანხმობის რეზოლუციის მიღებით, მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისიც, როდესაც სენატის წინააღმდეგობის შემთხვევაში თემთა პალატა უფლებამოსილია განმეორებითი კენჭისყრით მიიღოს ეს აქტი და დაძლიოს სენატის წინააღმდეგობა.

1982 წლის კონსტიტუციური აქტით დადგენილი წესით კანადის კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა 1983, 1985, 1987, 1993, 1997, 1998, 1999, 2001 წლებში.

კონსტიტუციის ანალიზი. კანადის კონსტიტუცია აერთიანებს ორ ძირითად აქტს – 1867 წლისა და 1982 წლის კონსტიტუციურ აქტებს.

1867 წლის კონსტიტუციური აქტი შედგება პრეამბულის, 11 ნაწილის, 147 მუხლისა და 6 დანართისაგან. მისი რედაქცია ხასიათდება XIX საუკუნის სამართლებრივი ტექნიკითა და რთული ფორმულირებებით. აღსანიშნავია, რომ 1867 წლის კონსტიტუციურ აქტში ცვლილებების შეტანა ხდებოდა ორი საუკუნის განმავლობაში. ყველა ამ ცვლილების შეტანისას მაქსიმალურად იყო დაცული პირვანდელი რედაქციის სტილი და წყობა. დღეისთვის იგი არსებობს კოდიფიცირებული აქტის სახით, ამდენად ხშირია ამოღებული მუხლების რაოდენობაც.

1867 წლის კონსტიტუციური აქტის პრეამბულაში გაცხადებულია ბრიტანეთის ჩრდილო-ამერიკული სამფლობელოების კანადის, ნოვა-სკოტიასა და ნიუ-ბრანსვიკის ნება საპარლამენტო ხელისუფლების ქვეშ ერთ დომინიონში გაერთიანების თაობაზე, აქვეა გათვალისწინებული დომინიონში ბრიტანეთის სხვა ჩრდილო-ამერიკული სამფლობელოების გაერთიანების შესაძლებლობაც.

I ნაწილი ზოგადი ხასიათის დებულებებს წარმოადგენს და აქტის სახელწოდებას განსაზღვრავს. II ნაწილი მთლიანად დათმობილი აქვს კანადის გაერთიანების საკითხებს. აქ განსაზღვრულია კანადის დომინიონის სტატუსი და მისი შემდგომი განვითარების (ახალი წევრების შეერთების) შესაძლებლობა. დადგენილია კანადის ტერიტორიული მოწყობისა და მოსახლეობის აღწერის საკითხები. კონსტიტუციური აქტის მიხედვით კანადა შედგება ოთხი პროვინციის – ონტარიოს, კვებეკის, ნოვა სკოტიასა და ნიუ-ბრანსვიკისაგან.

კანადაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს კონსტიტუციური აქტის III ნაწილი, რომლის თანახმადაც კანადის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ბრიტანეთის მონარქს და იგი ამ ხელისუფლებას ახორციელებს კანადის გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით. კანადის გენერალ-გუბერნატორი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს კანადისათვის შექმნილი საიდუმლო საბჭოს რჩევითა და თანხმობით და ბრიტანეთის მონარქის სახელით. კანადის შვიარადებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ბრიტანეთის მონარქია.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ეძღვნება კონსტიტუციური აქტის IV ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს კანადის პარლამენტის საქმიანობის პრინციპებსა და ფორმირების წესს, კვორუმებს და ა.შ. კანადის საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი შედგება თემთა პალატისა და სენატისაგან. თემთა პალატის შემადგენლობა განსაზღვრულია 295 წევრით, ხოლო სენატის – 105 სენატორით. კონსტიტუციური აქტის მიხედვით გენერალ-გუბერნატორი შედის საკანონმდებლო ორგანოში, რაც განპირობებულია მისი აქტიური მონაწილეობით საკანონმდებლო პროცესში და ზოგადად პარლამენტის საქმიანობაში. კერძოდ, გენერალ-გუბერნატორი იწვევს პარლამენტის სესიებს, დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციით ამტკიცებს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, მონაწილეობს პარლამენტის ფორმირებაში და ა.შ. გენერალ-გუბერნატორი თანამდებობაზე ნიშნავს და კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადააყენებს სენატორებს, რომლებიც კონსტიტუციით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში წარმოადგენენ კონკრეტულ პროვინციებს. სენატორები თავდაპირველად თანამდებობებზე ინიშნებოდნენ სამუდამოდ, მაგრამ ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1965 წლის აქტით განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებით დადგინდა სენატორთა სავალდებულო გადად-

გომა 75 წლის ასაკის მიღწევითანავე. სენატორობის კანდიდატებისადმი წაყენებულია გარკვეული მოთხოვნები, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის, ასაკობრივი და ქონებრივი ცენზის სახით, რომელთა დაუკმაყოფილებლობა შეიძლება გახდეს უკვე დანიშნული სენატორის გადაყენების საფუძველი. სენატის სპიკერი ინიშნება გენერალ-გუბერნატორის მიერ. კონსტიტუციური აქტი ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სენატორთა რაოდენობის გაზრდასა და შემცირებას გენერალ-გუბერნატორის წარდგინების საფუძველზე დიდი ბრიტანეთის მონარქის მიერ.

თემთა პალატა ფორმირდება პროპორციული არჩევებით პროვინციების მიხედვით ხუთწლიანი უფლებამოსილების ვადით. სენატორები არ შეიძლება მონაწილეობდნენ თემთა პალატის საქმიანობაში. თემთა პალატის სპიკერი აირჩევა თავად პალატის მიერ თავის წევრთაგან. სპიკერის არყოფნისას მის მოვალეობას მოადგილედ დანიშნული სხვა წევრი ასრულებს. აღსანიშნავია, რომ სენატის სპიკერისგან განსხვავებით თემთა პალატის სპიკერს არ აქვს კენჭისყრისას ხმის მიცემის უფლება. იგი ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ კენჭისყრისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში. კონსტიტუციური აქტით დეტალურად არის მოწესრიგებული თემთა პალატაში კანადის პროვინციების წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები.

თემთა პალატას კანადის საკანონმდებლო ხელისუფლებაში წარმმართველი ფუნქციები აქვს. მაგალითად, მხოლოდ თემთა პალატა უფლებამოსილია დაიწყოს ფინანსური ხასიათის კანონპროექტების ინიცირება და განხილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ თემთა პალატის ნება-სურვილის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაღება ან გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების შემოღება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანადის გენერალ-გუბერნატორი ამგვარ კანონპროექტებზე სარგებლობს ვეტოს უფლებით. კანადაში ვეტოს მექანიზმის თავისებურება ის არის, რომ იგი ბრიტანეთის მონარქის ინსტიტუტზეა მიბმული. მართალია, 1867 წლის კონსტიტუციურმა აქტმა მონარქს ფორმალურად შეუნარჩუნა კანონებზე სამეფო თანხმობის მიცემის პრეროგატივა, მაგრამ ამ პროცედურაში კანადის გენერალ-გუბერნატორს გადაამწყვეტი ფუნქციები მიანიჭა. კერძოდ, კანადის კანონებზე, როგორც წესი, ბრიტანეთის მონარქის სახელით თანხმობას აძლევს თავად კანადის გენერალ-გუბერნატორი და არა ბრიტანეთის მონარქი. ამავე დროს, გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია თავისი შეხედულებებისამებრ გადაუგზავნოს კანონპროექტი მონარქს ნება-სურვილის გამოსახატავად. დიდი ბრიტანეთის მონარქი უფლებამოსილია აქტის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში საბჭოში დაამტკიცოს ან უარყოს იგი. თუ ორი წლის განმავლობაში არანაირი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, აქტი თანხმობამიყვებულად ითვლება. იმ შემთხვევაში, თუ მონარქი საბჭოში უარს

იტყვის კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ გაგზავნილ კანონზე თანხმობის მიცემაზე, აღნიშნული კანონი ძალას კარგავს გენერალ-გუბერნატორის მიერ სათანადო პროკლამაციით პარლამენტისათვის შეტყობინების შემდეგ. კანადის პარლამენტს არ აქვს ამ ვეტოს დაძლევის უფლება. ვეტოს იგივე მექანიზმი მოქმედებს პროვინციების ლეგისლატურების მიერ მიღებულ აქტებზეც. იმ განსხვავებით, რომ სამეფო თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილ სუბიექტსა და უმაღლეს ინსტანციას უკვე კანადის გენერალ-გუბერნატორი და არა ბრიტანეთის მონარქი წარმოადგენს.

კონსტიტუციური აქტის ცალკე V ნაწილი დათმობილი აქვს პროვინციებს. იგი დეტალურად განსაზღვრავს პროვინციებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას. თითოეულ პროვინციას სათავეში უდგას კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული ლეიტენანტ-გუბერნატორი, რომელიც პროვინციის ფარგლებში იგივე ფუნქციებით, კომპეტენციითა და სტატუსით მოქმედებს როგორც გენერალ-გუბერნატორი კანადაში. ლეიტენანტ-გუბერნატორი ყველა პროვინციაში თანამდებობის მიხედვით შედის საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში ანუ გარკვეულად ინაწილებს საკანონმდებლო ხელისუფლებასაც, როგორც ეს კანადის გენერალ-გუბერნატორის შემთხვევაშიც არის დადგენილი. საკანონმდებლო ხელისუფლება პროვინციაში ეკუთვნის ლეგისლატურებს, რომლებიც სხვადასხვა პროვინციისათვის პალატების სხვადასხვა რაოდენობას აერთიანებს: ონტარიოს ლეგისლატურა შედგება ლეიტენანტ-გუბერნატორისა და ონტარიოს საკანონმდებლო ასამბლეად წოდებული ერთი პალატისგან, კვებეკის ლეგისლატურა – ლეიტენანტ-გუბერნატორისა და კვებეკის საკანონმდებლო საბჭოდ და კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეად წოდებული ორი პალატისგან, ასევე მოწყობილი ნოვა-სკოტია და ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურებიც. პროვინციების საკანონმდებლო საბჭოები თავიანთი ფუნქციებით, უფლებამოსილებებითა და სამართლებრივი სტატუსით სენატის ტიპის ზედა პალატაა, რომლის წევრებიც პროვინციების ლეიტენანტ-გუბერნატორების მიერ ინიშნებიან, ხოლო საკანონმდებლო ასამბლეები თემთა პალატისათვის დამახასიათებელი ფუნქციებითა და კომპეტენციით არჩევით ქვედა პალატებს წარმოადგენენ. პროვინციების ლეგისლატურების მუშაობის პროცედურები, წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, კვორუმები და ა.შ. შესაბამისად ისეთივეა, როგორც კანადის პარლამენტის ქვედა და ზედა პალატებისთვის.

პროვინციებსა და ფედერალურ ხელისუფლებას შორის საკანონმდებლო ხელისუფლებათა დანაწილების საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული კონსტიტუციის VI ნაწილით. არსებობს მკვეთრად გამიჯნული კომპეტენცია და შეჯიბრებითი უფლებამოსილება. ეს უკანასკნელი ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროზე ვრცელდება. დარეგულირებულია საკანონ-

მდებლო უფლებამოსილების საკითხები საგადასახადო და ფინანსურ სფერო-
ებში, სამოქალაქო და სისხლის სამართლისა და საპროცესო კანონმდებლო-
ბის სფეროში და ა.შ. ცალკე დებულებები ეთმობა ბუნებრივი რესურსების
სფეროში კანონმდებლობის საკითხებსა და განათლების სფეროს. 1867
წლის კონსტიტუციური აქტით კანადის პარლამენტს ეკისრება ფუნქცია უზ-
რუნველყოს პროვინციებში მიღებული კანონების ერთიანობა და ჰარმონიზა-
ცია და ამ მიზნით გამოსცეს ახალი საკანონმდებლო აქტები.

კონსტიტუციური აქტის VII ნაწილის მიხედვით კანადის სასამართლო
სისტემა აერთიანებს უმაღლეს, საოლქო და საგრაფო სასამართლოებს, მემ-
კვიდრეობის საკითხების განმხილველ და საადმირალო სასამართლოებისგან,
აგრეთვე გათვალისწინებულია კანადის მთავარი სააპელაციო სასამართლოს
შექმნაც. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან კანადის გენერალ-გუ-
ბერნატორის მიერ საშუალოდ, მაგრამ 75 წლის ასაკის მიღწევა იწვევს თა-
ნამდებობიდან მათ სველდებულო გადადგომას.

კანადის სახელმწიფოს შემოსავლებთან, ვალებთან, აქტივებთან და გადა-
სახადებთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმები თავმოყრილია VIII
ნაწილში, რომლითაც დადგენილია კანადის ფედერალური ბიუჯეტისა და
პროვინციული ბიუჯეტის ფორმირების წესები, განსაზღვრულია ფედერალურ
ხელისუფლების მიერ პროვინციებისათვის ვალების გასასტუმრებელი
სუბსიდიებისა და კომპენსაციების საკითხები, აგრეთვე ცალკეული საგადასა-
ხადო და საბაჟო ურთიერთობები.

კონსტიტუციური აქტის IX ნაწილი თავისი შინაარსით გარდამავალი ხა-
სიათის დებულებების ერთობლიობას წარმოადგენს. იგი აწესრიგებს კანადის
დომინიონის დაფუძნებამდე არსებული სხვადასხვა ვალდებულებებისა და სა-
კანონმდებლო აქტების მოქმედების გაგრძელების, სასამართლო სისტემის
გარდაქმნისა და მოქმედი თანამდებობის პირების კანადის სამსახურში გადაყ-
ვანას, სასჯელალსრულებით სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.
შ.

XI ნაწილი შეეხება გაერთიანებაში ახალი სუბიექტების მიღების უფლე-
ბამოსილებას და მასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა პარ-
ლამენტში წარმომადგენლობა, სენატორთა და პარლამენტის წევრთა საერთო
რაოდენობის ზრდა და ა.შ.

კანადის კონსტიტუციის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. და-
ნართები, რომლებიც კონსტიტუციური აქტის განუყოფელ ნაწილსა და ნორ-
მადამდგენ დოკუმენტებს წარმოადგენენ. პირველი და მეორე დანართები
სხვადასხვა პროვინციაში საარჩევნო ოლქებისა და ერთეულების განმსაზ-
ღვრელ აქტებს წარმოადგენს. მესამე დანართში მოცემულია პროვინციების
საკუთრებაში არსებული ის ქონება და საზოგადოებრივი სამუშაოები, რომ-

ლებიც გაერთიანების დაფუძნების შემდეგ კანადის ფედერალური ხელისუფლების საკუთრებაში გადავიდა. მეოთხე დანართით დადგენილია კვებეკისა და ონტარიოს პროვინციების ერთობლივ საკუთრებას მიკუთვნებული ფინანსური და ქონებრივი აქტივების ნუსხა. მეხუთე დანართი შეიცავს ფიცის ტექსტსა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ დეკლარაციის ტექსტს, რომლებსაც კანადის სენატორი ან სხვა შესაბამისი თანამდებობის პირი ღებს თანამდებობის დაკავებამდე. მეექვსე დანართი კი 1867 წლის კონსტიტუციური აქტის 92ა მუხლის ტერმინთა განმარტებას წარმოადგენს.

კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტი, რომელსაც ხშირად ადამიანის უფლებათა კანადის ქარტიასაც უწოდებენ, შედგება 7 ნაწილის, 61 მუხლისა და ერთი დანართისგან.

კონსტიტუციური აქტის პირველი ნაწილი მთლიანად დათმობილი აქვს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი უზრუნველყოფის გარანტიებს. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დაჯგუფებულია ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიულ, გადაადგილების, იურიდიულ, თანასწორობის და ოფიციალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო უფლებების ჯგუფებში. კონსტიტუციური აქტის მიხედვით ძირითადი თავისუფლებები გულისხმობს: სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, აზრის, რწმენის, შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლებას, ბეჭდვითი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების ჩათვლით, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და გაერთიანების თავისუფლებას. დემოკრატიული უფლებები აერთიანებს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს და ა.შ. აქვე არის დაზუსტებული საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობის რამდენიმე დეტალი. გადაადგილების უფლებები შეეხება მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და შემოსავლის მიღების საკითხებს. იურიდიული უფლებები ითვალისწინებს მოქალაქეთა გარანტიებს სისხლის სამართლის პროცესულურ ურთიერთობებში, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმეციას და სხვა საპროცესო უფლებებს. თანასწორობის უფლებები ადგენს კანონის წინაშე თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას. ამავე დროს აქვე გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება სოციალური პროგრამების სახით დისკრიმინაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

1982 წლის კონსტიტუციური აქტით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანადის ოფიციალურ ენებსა და მათი გამოყენების წესების განსაზღვრას. ოფიციალურ ენებად გამოცხადებულია ფრანგული და ინგლისური ენები, რომელთაც თანაბარი სტატუსი აქვთ მინიჭებული; დეტალურადაა რეგლამენტირებული ოფიციალური ენების გამოყენების პრინციპები პარლამენტის

მენტის პალატებისა და სასამართლო ორგანოების, აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოების მიერ. ოფიციალური ენების გამოყენების წესების პარალელურად ცალკეა დადგენილი ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვის გარანტიები და ეროვნულ უმცირესობათა უფლება განათლება მიიღონ თავიანთ ენებზე, დაარსონ სკოლები და ა.შ. კანადის კონსტიტუციის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ცალკე მუხლით არის დადგენილი უფლებათა დაცვის გარანტიები და მათი უზრუნველყოფის მექანიზმები. აქვეა მოცემული ნორმები ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა კულტურების დაცვისა და განვითარების საქმეში სახელმწიფოს ვალდებულებების თაობაზე. განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა სფეროში კონსტიტუციური აქტის ნორმების გამოყენების წესები და გამონაკლისები.

კანადის აბორიგენი მოსახლეობის უფლებები განსაკუთრებული ხაზგასმით არის განმტკიცებული კონსტიტუციური აქტის II ნაწილით. ამავე დროს დადგენილია, რომ ამ უფლებებთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ კონსტიტუციური კონფერენციის გამართვის შემდეგ.

კონსტიტუციური აქტის III ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის ვალდებულებების დაკისრებას სხვადასხვა პროვინციებს შორის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური თვალსაზრისით არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამ კუთხით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის დაკისრებული ვალდებულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გათანაბრებითი ხასიათის პოლიტიკის განხორციელებას გადახდების სფეროში.

V ნაწილი აწესრიგებს კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესს. ამ ნორმებით დიდი ბრიტანეთის პარლამენტს საბოლოოდ ჩამოერთვა კანადისათვის კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტების მიღების უფლებამოსილება და ამ სფეროში ხელისუფლება მთლიანად კანადის საკანონმდებლო ორგანოსა და პროვინციების ლეგისლატურებს გადაეცა.

1982 წლის კონსტიტუციური აქტის VII ნაწილი თავისი შინაარსით გარდამავალი და დასკვნითი ხასიათის დებულებებს წარმოადგენს და იგი აერთიანებს ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს კონსტიტუციის იურიდიულ ძალასთან, ამოქმედებასთან, ფრანგულენოვანი და ინგლისურენოვანი ვერსიების გამოყენებასთან და ა. შ. დაკავშირებულ საკითხებს. 1982 წლის კონსტიტუციური აქტის დანართი წარმოადგენს იმ კონსტიტუციური ხასიათის აქტების ჩამონათვალს, რომლებიც სხვადასხვა დროს მიღებულ იქნა კანადაში კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

კანადის 1867-1982 წლის კონსტიტუციური აქტები, მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ზოგადი ხასიათის ნორმადამდგენი კონსტიტუციები არ მიეკუთვნება ე.წ. დეტალურ კონსტიტუციათა რიგს, რაც განაპირობებდა და განაპირობებს მათში ხშირი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას სხვადასხვა ურთიერთობების რეგულირებისას საკითხების დაზუსტებისა და ახალი რეგულაციების შემოღების მიზნით. ხშირ ცვლილებებს ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ კანადის კონსტიტუციით მასში ცვლილებების შეტანის არცთუ რთული პროცედურაა დადგენილი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანადის კონსტიტუციაში პრინციპული ხასიათის ცვლილებები თითქმის არასდროს არ ყოფილა შეტანილი. საერთოდ კანადის კონსტიტუციაზე განზოგადებითი ხასიათის მსჯელობა რთულია, რადგან იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წესით მიღებული აქტების ერთობლიობას წარმოადგენს, რაც აძნელებს იურიდიულ მეცნიერებაში მიღებული კლასიფიკაციით მისი რომელიმე ტიპის კონსტიტუციების კატეგორიაში სრულყოფილად მოქცევას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. კანადის 1867-1982 წლის კონსტიტუციური აქტები საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

– კონსტიტუციის წყობა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, რაც მის აგებულებაში, მუხლების რთულ სტრუქტურასა და ერთიდაიგივე სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სხვადასხვა ნაწილებსა და მუხლებში გაფანტვაში, აგრეთვე ე.წ. დანართების სისტემაში გამოიხატება. თავისებურებად უნდა ჩათვალოს ის ფაქტიც, რომ საარჩევნო ოლქები დეტალურად არის განსაზღვრული კონსტიტუციის დანართებით, იმ ფონზე, როდესაც სხვა საარჩევნო საკითხები ზოგადი ხასიათის დათქმებითა და ბლანკეტური მითითებებით წესრიგდება;

– კონსტიტუციის გადასინჯვის მრავალფეროვანი გამონაკლისებით გაჯერებული პროცედურა, რომელიც ძირითადი, ჩვეულებრივი და სხვადასხვა გამონაკლისი წესების პარალელურად გამონაკლისის სახით უშვებს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებში ცვლილებების შეტანის პროცედურას;

– სამეფო თანხმობის (ვეტოს) მექანიზმი, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და კანადური კონსტიტუციუნალიზმის ერთობლივ შემოქმედებას წარმოადგენს;

– კონსტიტუციური აქტები არ შეიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოს (მინისტრთა კაბინეტის) სტატუსისა და საქმიანობის პირდაპირ მომწესრიგებელ ნორმებს;

– პროვინციათა არათანაბარი მდგომარეობა უფლებამოსილებათა თვალსაზრისით;

– სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების არასრულყოფილი რეგულირება. კერძოდ, კონსტიტუციური აქტები არ განსაზღვრავს სასამართლო სისტემის ორგანიზაციას და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს ფუნქცია მთლიანად პარლამენტზეა დელეგირებული;

– საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

1867 წლის კონსტიტუციური კანონი²

(დელოვალ ექტორიას მმართველობის 30-ე და 31-ე წლები, თავი 3, სრული ტექსტი შეტანილი ცვლილებებით)
აქტი კანადის, ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდიის) და ნიუ-ბრანსვიკის გაერთიანების, მათი მმართველობისა და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ
(1867 წლის 29 მარტი)

იმის გათვალისწინებით, რომ პროვინციებმა კანადამ, ნოვა სკოტიამ (ახალმა შოტლანდიამ) და ნიუ-ბრანსვიკამ გამოხატეს სურვილი ფედერალურად გაერთიანდნენ ერთ დომინიონში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინის ქვეშ კონსტიტუციით, რომლის პრინციპებიც მსგავსია გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციის პრინციპებისა;

და იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი კავშირი ხელს შეუწყობს პროვინციების კეთილდღეობას და ბრიტანეთის იმპერიის ინტერესების წინ წამოწევას;

და იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანების დაფუძნება პარლამენტის ხელისუფლების ქვეშ მიზანშეწონილია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონსტიტუციით დომინიონში უზრუნველყოფილია საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ იმიტომაც, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ხასიათიც აქვე არის გაცხადებული;

და შემდეგში იმის გათვალისწინებით, რომ მიზანშეწონილია განხილულ იქნეს გაერთიანებაში ბრიტანული ჩრდილოეთ ამერიკის სხვა ნაწილების შესვლის შესაძლებლობა:⁽¹⁾

I. შესავალი

1. შემოკლებული სახელწოდება. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1867 წლის კონსტიტუციური აქტი.⁽²⁾
2. ამოღებულია. ⁽³⁾

² თარგმანისას გამოყენებულია კანადის კანონმდებლობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: <http://laws.justice.gc.ca/en/const/index.html> გამოქვეყნებული კანადის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

II. გაერთიანება

3. *გაერთიანების დეკლარირება.* დედოფალს ენიჭება უფლებამოსილება მისი უდიდებულესობის ღრმად პატივცემული საიდუმლო საბჭოს რჩევით პროკლამაციით განაცხადოს, რომ დადგენილ დღეს ან მის მომდევნო დღეს, მაგრამ ამ აქტის მიღებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, პროვინციები კანადა, ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკი გაერთიანდებიან და იქნებიან ერთ დომინიონში კანადის სახელწოდებით და ამ დღის მომდევნო დღიდან დასახელებული სამი პროვინცია გაერთიანდება და იქნება ერთი დომინიონი აღნიშნული სახელწოდებით. (4)

4. *აქტის შემდგომი დებულებების განმარტება.* მანამ, სანამ ეს სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული ან განზრახული, კანადა ეწოდება ამ აქტით დაფუძნებულ გაერთიანებას. (5)

5. *ოთხი პროვინცია.* კანადა იყოფა ოთხ პროვინციად: ონტარიო, კვებეკი, ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკი. (6)

6. *ონტარიოსა და კვებეკის პროვინციები.* კანადის პროვინციის ნაწილები (როგორც ისინი არსებობენ ამ აქტის მიღების დროისათვის), რომლებიც წინათ შესაბამისად შეადგენდნენ ზემო კანადასა და ქვემო კანადას, მიიჩნევიან გაყოფილად და შექმნიან ორ განცალკევებულ პროვინციას. ის ნაწილი, რომელიც წინათ შეადგენდა ზემო კანადის პროვინციას, შეადგენს ონტარიოს პროვინციას, და ნაწილი, რომელიც წინათ შეადგენდა ქვემო კანადის პროვინციას, შეადგენს კვებეკის პროვინციას.

7. *ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის პროვინციები.* ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის პროვინციებს ექნებათ იგივე საზღვრები, რომლებიც ამ აქტის მიღებამდე ჰქონდათ.

8. *აღწერა ათ წელიწადში ერთხელ.* კანადის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც ამ აქტით არის მოთხოვნილი, უნდა განხორციელდეს ათას რვაას სამოცდათერთმეტ წელს და ამის შემდეგ ყოველ მომდევნო მეათე წელს; ოთხი პროვინციიდან თითოეულში აღწერა უნდა განხორციელდეს განცალკევებულად.

III. აღმასრულებელი ხელისუფლება

9. *დედოფლის აღმასრულებელი ხელისუფლების დეკლარირება.* უდავოდ დადგენილია, რომ დედოფალი აგრძელებს და მას ეკუთვნის კანადის აღმასრულებელი ხელისუფლება და მმართველობა კანადაში.

10. *გენერალ-გუბერნატორთან დაკავშირებული დებულებების გამოყენება.* ამ აქტის დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია გენერალ-გუბერნატორთან, ვრცელდება და გამოიყენება კანადის გენერალ-გუბერნატორის მიმართ

მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს ან აღმასრულებელი ხელისუფლების სა-
თავეში მყოფი სხვა უმაღლესი თანამდებობის პირის მიმართ ან ადმინისტრატორის
მიმართ, რომელიც იმ დროისთვის ახორციელებს კანადის მმართვე-
ლობას დედოფლის სახითა და სახელით, როგორც არ უნდა იყოს მისი
ტიტული.

11. *საიდუმლო საბჭოს დაფუძნება კანადისათვის.* უნდა შეიქმნას საბჭო
კანადის მთავრობის დასახმარებლად და რჩევების მიცემის მიზნით, ამ საბ-
ჭოს სახელწოდება იქნება დედოფლის საიდუმლო საბჭო კანადისათვის; და
პირები, რომლებიც იქნებიან ამ საბჭოს წევრები დრო და დრო შეირჩევიან
და გამოძახებული იქნებიან კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ და დაფი-
ცებულ იქნებიან, როგორც საიდუმლო საბჭოს წევრები; შესაბამისად წევრე-
ბი დრო და დრო გადაყენებულ იქნებიან გენერალ-გუბერნატორის მიერ.

12. *აქტებით განსაზღვრული ყველა უფლება, რომელიც უნდა განახორ-
ციელოს გენერალ-გუბერნატორმა საიდუმლო საბჭოს რჩევით ან ერთპიროვ-
ნულად.* ყველა ხელისუფლება, უფლებამოსილება და ფუნქცია, რომელიც
დიდი ბრიტანეთის პარლამენტის, ან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გა-
ერთიანებული სამეფოს პარლამენტის, ან ზემო კანადის, ქვემო კანადის, კა-
ნადის, ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) ან ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატუ-
რების ნებისმიერი აქტის საფუძველზე გაერთიანების დროისათვის დაკისრე-
ბული იყო ან ხორციელდებოდა შესაბამისი გუბერნატორების ან ლეიტე-
ნანტ-გუბერნატორების მიერ შესაბამისი აღმასრულებელი საბჭოების რჩევით,
ან რჩევითა და თანხმობით, ან ამ საბჭოებთან ერთად, ან ამ უკანასკნელთა
წევრების ნებისმიერ რაოდენობასთან ერთად, ან ამ გუბერნატორებისა და
ლეიტენანტ-გუბერნატორების მიერ ერთპიროვნულად, რაკი ეს უფლებები
განაგრძობს არსებობას და მათი აღსრულება შესაძლებელია გაერთიანების
დაფუძნების შემდეგ კანადის მმართველობასთან დაკავშირებით, ეკუთვნის და
აღსრულდება გენერალ-გუბერნატორის მიერ კანადისათვის შექმნილი დე-
დოფლის საიდუმლო საბჭოს რჩევით, ან რჩევითა და თანხმობით, ან მასთან
ერთად, ან ამ უკანასკნელის წევრთა ნებისმიერ რაოდენობასთან ერთად, ან
გენერალ-გუბერნატორის მიერ ერთპიროვნულად, როგორც ამას საქმე მოით-
ხოვს; თუმცა, ეს ხელისუფლება, უფლებამოსილება და ფუნქცია (დიდი ბრი-
ტანეთის პარლამენტის ან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებუ-
ლი სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებული აქტების საფუძველზე არსებუ-
ლის გარდა) შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს კანადის პარლამენ-
ტის მიერ.⁽⁷⁾

13. *საბჭოში გენერალ-გუბერნატორთან დაკავშირებული დებულებების გა-
მოყენება.* საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიმართ ამ აქტის დებულებები
განმარტებული უნდა იქნეს როგორც გენერალ-გუბერნატორთან დაკავშირე-

ბული, როდესაც იგი მოქმედებს კანადისათვის შექმნილი დედოფლის საიდუმლო საბჭოს რჩევით.

14. *მისი უდიდებულესობის უფლებამოსილება მიანიჭოს გენერალ-გუბერნატორს წარმომადგენლების დანიშვნის უფლება.* დედოფალს ენიჭება უფლებამოსილება, თუ მისი უდიდებულესობა მოისურვებს, მიანიჭოს უფლება გენერალ-გუბერნატორს, დროდადრო დანიშნოს ნებისმიერი პირი ან პირები ერთობლივად ან ცალ-ცალკე თავის წარმომადგენლად ან წარმომადგენლებად კანადის რომელიმე ნაწილში ან ნაწილებში, შესაძლებლობით, განახორციელონ რა ვადითაც გენერალ-გუბერნატორი მოისურვებს, გენერალ-გუბერნატორის ის ძალაუფლება, უფლებამოსილებები და ფუნქციები, რომელთაც იგი ჩათვლის საჭიროდ, რომ გადასცეს მას ან მათ დედოფლის მიერ გამოხატული შეზღუდვების ან გაცემული მითითებების გათვალისწინებით; მაგრამ ამგვარი წარმომადგენლის ან წარმომადგენლების დანიშვნამ არ შეიძლება ხელყოს რაიმე ძალაუფლების, უფლებამოსილებისა და ფუნქციის აღსრულება თავად გენერალ-გუბერნატორის მიერ.

15. *დედოფლის მიერ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის გაგრძელება.* უდავოდ დადგენილია, რომ დედოფალი აგრძელებს სახმელეთო და საზღვაო მილიციისა და კანადისა და კანადაში ყველა სამხედრო და საზღვაო ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას.

16. *კანადის მთავრობის ადგილსამყოფელი.* მანამ, სანამ დედოფლის მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, კანადის მთავრობის ადგილსამყოფელი იქნება ოტავა.

IV. საკანონმდებლო ხელისუფლება

17. *კანადის პარლამენტის შემადგენლობა.* კანადისთვის შეიქმნება ერთი პარლამენტი დედოფლის, სენატად წოდებული ზედა პალატისა და თემთა პალატის შემადგენლობით.

18. *პალატების პრივილეგიები და ა. შ.* პრივილეგიები, რომლებიც ეკუთვნის, იმუნიტეტები, რომლითაც სარგებლობს და ხელისუფლება, რომელსაც აღასრულებს სენატი და თემთა პალატა და შესაბამისად მათი წევრები, იქნება ისეთი, როგორიც დროდადრო დადგინდება კანადის პარლამენტის აქტით, მაგრამ ისე, რომ ამგვარი პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და ხელისუფლების განმსაზღვრელი რომელიმე აქტით, არ უნდა იქნეს მინიჭებული ისეთი პრივილეგიები, იმუნიტეტები და ხელისუფლება, რომელიც გადაამეტებს პრივილეგიებს, რომლებიც ეკუთვნის, იმუნიტეტებს, რომლითაც სარგებლობს და ხელისუფლებას, რომელსაც აღასრულებს აღნიშნული აქტის მიღების დროისათვის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატა და მისი წევრები.⁽⁸⁾

19. კანადის პარლამენტის პირველი სესია. კანადის პარლამენტი შეკრებულ უნდა იქნეს ერთად არა უგვიანეს ექვსი თვისა გაერთიანების დაფუძნებიდან.⁽⁹⁾

20. ამოღებულია⁽¹⁰⁾

სენატი

21. სენატორთა რაოდენობა. ამ აქტის დებულებების შესაბამისად სენატი შედგება სენატორად წოდებული ასხუთი წევრისგან.⁽¹¹⁾

22. სენატში პროვინციების წარმომადგენლობა. კონსტიტუციიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კანადის სენატი შედგება ოთხი ნაწილისაგან:

1) ონტარიო;

2) კვებეკი;

3) ზღვის სანაპირო პროვინციები – ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია), ნიუ-ბრანსვიკი და პრინც ედუარდის კუნძული;

4) დასავლეთის პროვინციები – მანიტობა, ბრიტანეთის კოლუმბია, სასკაჩევანი და ალბერტა;

რომელი ოთხი ნაწილიც (ამ აქტის დებულებების შესაბამისად) თანაბრად უნდა იქნეს წარმოდგენილი სენატში შემდეგი წესით: ონტარიო ოცდაოთხი სენატორით, კვებეკი ოცდაოთხი სენატორით; ზღვის სანაპირო პროვინციები და პრინც ედუარდის კუნძული – ოცდაოთხი სენატორით, რომელთაგან ათი წარმოადგენს ნოვა სკოტიას (ახალ შოტლანდიას), ათი წარმოადგენს ნიუ-ბრანსვიკს და ოთხი წარმოადგენს პრინც ედუარდის კუნძულს; დასავლეთის პროვინციები ოცდაოთხი სენატორით, რომელთაგან ექვსი წარმოადგენს მანიტობას, ექვსი წარმოადგენს ბრიტანეთის კოლუმბიას, ექვსი წარმოადგენს სასკაჩევანს და ექვსი წარმოადგენს ალბერტას; ნიუფაუნდლენდი უფლებამოსილია სენატში წარმოდგენილ იქნეს ექვსი წევრით; იუკონის ტერიტორია და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიები უფლებამოსილი არიან სენატში წარმოდგენილ იქნენ თითო წევრით.

კვებეკის შემთხვევაში ამ პროვინციის წარმომადგენელი ოცდაოთხი სენატორიდან თითოეული დანიშნული უნდა იქნეს კანადის ერთიანი სტატუსის პირველი თავის „ა“ დანართში განსაზღვრული ქვემო კანადის ოცდაოთხი საარჩევნო ოლქიდან თითოეულის მიერ.⁽¹²⁾

23. სენატორებისადმი წაყენებული მოთხოვნები. სენატორებისათვის წაყენებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

1) იგი სრულად უნდა იყოს 30 წლის ასაკს მიღწეული;

2) იგი უნდა იყოს დელოფლის ქვეშევრდომი დაბადებით, ან ნატურალიზაციით ღიდი ბრიტანეთის პარლამენტის, ან ღიდი ბრიტანეთისა და ირლან-

დღის გაერთიანებული სამეფოს, ან გაერთიანების დაფუძნებამდე ზემო კანადის ან ქვემო კანადის ან ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდია) ან ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატურების, ან გაერთიანების დაფუძნების შემდეგ კანადის პარლამენტის მიერ მიღებული აქტების საფუძველზე;

3) იგი, კანონიერად ან სამართლიანად, როგორც მესაკუთრე თავისი პირადი გამოყენებისა და სარგებლობის მიღების მიზნით, თავისუფლად ან საერთო სარგებლობის (ან იჯარის) უფლებით უპირობოდ უნდა ფლობდეს მიწას ან უძრავ ქონებას, ან თავისი პირადი გამოყენებისა და სარგებლობის მიღების მიზნით საკუთრებაში გააჩნდეს ან ფლობდეს მიწას ან უძრავ ქონებას *Franc-alleu* და *Roiture* უფლებების საფუძველზე იმ პროვინციაში, რომლისგანაც ინიშნება, არანაკლებ ოთხი ათასი დოლარის ღირებულებით, რომელიც აღმატება ან თავისუფალია ყოველგვარი ქირის, ვალების, ვალდებულებების, იპოთეკისა და გირავნობისაგან;

4) მისი უძრავი და მოძრავი ქონება ერთად, ყოველგვარი ვალებისა და პასუხისმგებლობის დაფარვით უნდა შეადგენდეს არანაკლებ ოთხი ათას დოლარს;

5) იგი უნდა ცხოვრობდეს იმ პროვინციაში, რომლისგანაც იგი ინიშნება;

6) კვებეკის პროვინციის შემთხვევაში, მას ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად უნდა ჰქონდეს უძრავი ქონება იმ საარჩევნო ერთეულში, რომლისგანაც იგი ინიშნება, ან უნდა ცხოვრობდეს ამ საარჩევნო ერთეულში.⁽¹³⁾

24. *სენატორთა მოწვევა*. გენერალ-გუბერნატორი დროდადრო, დედოფლის სახელით, კანადის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით სენატში მოიწვევს პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო მოთხოვნებს და ამ აქტის დებულებათა შესაბამისად ყველა ამგვარად მოწვეული პირი გახდება და იქნება სენატის წევრი და სენატორი.

25. *ამოღებულია*.⁽¹⁴⁾

26. *სენატორთა დამატება განსაზღვრულ შემთხვევებში*. თუ როდესმე გენერალ-გუბერნატორის რეკომენდაციის საფუძველზე დედოფალი მოისურვებს გამოსცეს ბრძანება სენატისათვის ოთხი ან რვა წევრის დამატების თაობაზე, გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია მოიწვიოს ოთხი ან რვა პირი (როგორც ამას საქმე მოითხოვს), რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო მოთხოვნებს, შესაბამისად კანადის ოთხი პროვინციის თანაბარი წარმომადგენლობით და პირდაპირ დაამატოს სენატის არსებულ შემადგენლობას.⁽¹⁵⁾

27. *სენატორთა შემცირება ნორმალურ რაოდენობამდე*. იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი დამატება განხორციელდება, გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს არ მოიწვიოს რომელიმე პიროვნება სენატში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედოფლის მიერ კვლავაც იქნება გამოცემული მსგავსი ბრძანება მსგავსი რეკომენდაციის საფუძველზე, სანამ კანადის ოთხი პრო-

ვინციიდან თითოეული არ იქნება წარმოდგენილი არაუმეტეს ოცდათხუთი სენატორით.⁽¹⁶⁾

28. *სენატორთა მაქსიმალური რაოდენობა.* სენატორთა რაოდენობამ არასოდეს არ უნდა გადააჭარბოს ასცამეტს.⁽¹⁷⁾

29. *სენატში ადგილის დაკავება საშუალოდ.* (1) ამ მუხლის მეორე პუნქტისა და ამ აქტის დებულებების შესაბამისად სენატორი სენატში ადგილს იკავებს საშუალოდ.

გადადგომს საზოცდათხუთმეტი წლის ასაკის მიღწევის გამო. (2) სენატორი, რომელიც ამ აქტის დებულებათა შესაბამისად მოწვეულ იქნება სენატში ამ პუნქტის ძალაში შესვლის შემდეგ, სენატში ადგილს იკავებს საზოცდათხუთმეტი წლის ასაკის მიღწევამდე.⁽¹⁸⁾

30. *სენატში ადგილზე უარის თქმა.* სენატორი უფლებამოსილია თავისი ხელით დაწერილი განცხადებით მიმართოს გენერალ-გუბერნატორს სენატში თავისი ადგილის დაკავებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც აღნიშნული ადგილი ითვლება ვაკანტურად.

31. *სენატორთა განთავისუფლება.* სენატორის ადგილი ვაკანტური გახდება თითოეულ შემდეგ შემთხვევაში:

1) თუ იგი პარლამენტის ზედიზედ ორი სესიის განმავლობაში არ დაესწრება სენატის სხდომებს;

2) თუ იგი დადებს ფიცს ან გააკეთებს განცხადებას ან აღიარებას სხვა სახელმწიფოს ერთგულების, მორჩილების ან ქვეშევრდომობის თაობაზე, ან განახორციელებს რაიმე აქტს, რომლის ძალითაც იგი ხდება სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი ან მოქალაქე, ან შეიძენს სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომის ან მოქალაქის უფლებებსა და პრივილეგიებს;

3) თუ იგი ცნობილი იქნება გაკოტრებულად ან ვალაუვალ მოვალედ, ან თუ იგი ისარგებლებს რაიმე სიკეთით, რომელიც რომელიმე კანონით ვალაუვალი მოვალისთვის იქნება დადგენილი, ან თუ იგი ცნობილი იქნება საზოგადოებრივი ფინანსური სახსრებისა ქონების მიმთვისებლად ან ბოროტად გამოიყენებს თანამდებობას;

4) თუ იგი გასამართლებული იქნება საშრობლოს დელატისათვის ან ცნობილი იქნება დამნაშავედ მძიმე ან სამარცხვინო დანაშაულისათვის;

5) თუ იგი ველარ დააკმაყოფილებს საკუთრებასთან ან საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ მოთხოვნებს; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სენატორის მიერ საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობად არ ჩაითვლება მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში იგი ცხოვრობს კანადის მთავრობის ადგილსამყოფელის მიხედვით, და თუკი მთავრობა მოითხოვს მის ამ ადგილზე ყოფნას.

32. *სენატორთა მოწვევა სენატში ვაკანსიის წარმოშობისას.* როდესაც სენატში გადადგომის, სიკვდილის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო წარმოიშობა ვაკანსია გენერალ-გუბერნატორმა შესაბამისი და კვალიფიციური პირის მოწვევის გზით უნდა შეავსოს ვაკანსია.

33. *სენატში წაყენებულ მოთხოვნებთან და ვაკანსიასთან დაკავშირებული კითხვები.* თუ წარმოიშობა რაიმე კითხვა სენატორის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ან სენატში ვაკანსიის წარმოშობასთან დაკავშირებით, ისინი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სენატის მიერ.

34. *სენატის სპიკერის დანიშვნა.* გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია დროდადრო, დელოფლის სახელით, კანადის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით დანიშნოს სენატორი სენატის სპიკერად, აგრეთვე გადააყენოს იგი და მის ადგილზე დანიშნოს სხვა სენატორი.⁽¹⁹⁾

35. *ქვორუმი სენატში.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, სპიკერის ჩათვლით არანაკლებ თხუთმეტი სენატორის დასწრება აუცილებელია იმისათვის, რომ შედგეს სენატის სხდომა მისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

36. *კენჭისყრა სენატში.* საკითხები, რომლებიც წამოიჭრება სენატში გადაწყდება ხმათა უმრავლესობით და სპიკერს ყველა შემთხვევაში აქვს ხმის უფლება; ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი ჩაითვლება უარყოფილად.

თემთა პალატა

37. *კანადის თემთა პალატის შემადგენლობა.* თემთა პალატა, ამ აქტის დებულებათა შესაბამისად, შედგება ორასოთხმოცდათხუთმეტი წევრისაგან, რომელთაგანაც ოთხმოცდაცხრამეტი აირჩევა ონტარიოს მიერ, სამოცდათხუთმეტი კვებეკის მიერ, თერთმეტი ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდია) მიერ, ათი ნიუ-ბრასიუკის მიერ, თოთხმეტი მანიტობას მიერ, ოცდათორმეტი ბრიტანეთის კოლუმბიის მიერ, ოთხი პრინც ედუარდის კუნძულის მიერ, ოცდაექვსი ალბერტას მიერ, თოთხმეტი სასკაჩევანის მიერ, შვიდი ნიუფაუნდლენდის მიერ, ერთი იუკონის ტერიტორიის და ორი ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიების მიერ.⁽²⁰⁾

38. *თემთა პალატის მოწვევა.* გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია დროდადრო, დელოფლის სახელით, კანადის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით მოიწვიოს და შეკრიბოს კანადის თემთა პალატა.

39. თემთა პალატაში სენატორების მონაწილეობის დაუშვებლობა. სენატორი არ არის უფლებამოსილი არჩეულ იქნეს, ან მონაწილეობა მიიღოს განხილვაში ან ხმა მისცეს როგორც თემთა პალატის წევრმა.

40. ოთხი პროვინციის საარჩევნო ოლქები. მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, პროვინციები ონტარიო, კვებეკი, ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკი თემთა პალატაში წევრების არჩევის მიზნით იყოფა საარჩევნო ოლქებად, შემდეგი წესით:

1. ონტარიო

ონტარიო უნდა დაიყოს საგრაფოებად, საგრაფოს რაიდინგებად (ოლქებად), ქალაქებად, ქალაქების ნაწილებად და დაბეზად ამ აქტის პირველ დანართში ჩამოთვლილის შესაბამისად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს საარჩევნო ოლქს; თითოეულ ამგვარ ოლქს, როგორც ეს განსაზღვრულია აღნიშნული დანართით, უფლება აქვს აირჩიოს თემთა პალატის ერთი წევრი.

2. კვებეკი

კვებეკი უნდა დაიყოს სამოცდახუთ საარჩევნო ოლქად, რომლებიც შედგება იმ სამოცდახუთი საარჩევნო ერთეულისგან, რომლებსაც ამ აქტის მიღების დროისათვის ქვემო კანადა დაყოფილი იყო კანადის გაერთიანებული სტატუტების მეორე თავის, ქვემო კანადის გაერთიანებული სტატუტების სამოცდამეხუთმეტე თავის და მისი უდიდებულესობა დედოფლის მმართველობის 23-ე წლის კანადის პროვინციის პირველი აქტის პირველი თავის, ან გაერთიანების დაფუძნების დროისათვის მოქმედი რომელიმე სხვა აქტის შესაბამისად, ისე, რომ თითოეულ საარჩევნო ერთეულს, რომელიც ამ აქტის დებულებათა შესაბამისად გახდება საარჩევნო ოლქი, უფლება აქვს აირჩიოს თემთა პალატის ერთი წევრი.

3. ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია)

ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდია) თერამეტი საგრაფოდან თითოეული უნდა გახდეს საარჩევნო ოლქი. პალიფაქსის საგრაფოს ენიჭება უფლებამოსილება აირჩიოს თემთა პალატის ორი წევრი, ხოლო დანარჩენ საგრაფოებს, თითოეულს ერთი წევრის არჩევის უფლება აქვს.

4. ნიუ-ბრანსვიკი

თითოეული თოთხმეტი საგრაფოდან, რომლებსაც ნიუ-ბრანსვიკი არის დაყოფილი, სენტ ჯონის ქალაქისა და საგრაფოს ჩათვლით, უნდა გახდეს საარჩევნო ოლქი. ქალაქი სენტ ჯონი აგრეთვე შეადგენს დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქს. თითოეული ამ თხუთმეტი საარჩევნო ოლქიდან ირჩევს თემთა პალატის თითო წევრს.⁽²¹⁾

41. *კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად დადგენამდე არსებული სა-არჩევნო კანონმდებლობის მოქმედების გაგრძელება.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, გაერთიანების დაფუძნებამდე პროვინციებში მოქმედი ყველა კანონი, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან ან რომელიმე მათგანთან, სახელწოდებნი – იმ პირთა კვალიფიკაცია და დისკვალიფიკაცია, რომლებიც აირჩევიან, მონაწილეობენ, ან ხმას აძლევენ როგორც ასამბლეის პალატის წევრები, ან სხვადასხვა პროვინციის ასამბლეის წევრები; ამ წევრთა არჩევნების დროს ხმის მიცემის უფლების მქონე პირები (ამომრჩევლები); ამომრჩეველთა მიერ ფიცის დადება; არჩევნების ჩატარების განმახორციელებელი თანამდებობის პირები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები; საარჩევნო პროცედურები; საარჩევნო ვადები; საარჩევნო დაკების განხილვა და მათი განხილვის პროცედურები; პარლამენტის წევრთა თანამდებობებზე ვაკანსიის წარმოშობა და ახალი არჩევნების დანიშვნა იმ შემთხვევებში, როდესაც ვაკანსია წარმოიშობა არა პარლამენტის დათხოვნის შედეგად, არამედ სხვა მიზეზით; – შესაბამისად გამოყენებული იქნება ამავე პროვინციების თემთა პალატების წევრთა არჩევისათვის.

მხელეულობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, ალგომას ოლქიდან თემთა პალატის წევრების ნებისმიერ არჩევნებზე იმ პირებთან ერთად, რომლებსაც საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვთ კანადის პროვინციის კანონმდებლობით, საარჩევნო უფლება ენიჭება აგრეთვე ბრიტანეთის ყველა მამრობითი სქესის ქვეშევრდომს, რომელმაც სრულად მიაღწია ოცდაერთი წლის ასაკს და ოჯახის უფროსია.⁽²²⁾

42. *ამოღებულია.*⁽²³⁾

43. *ამოღებულია.*⁽²⁴⁾

44. *თემთა პალატის სპიკერის არჩევის შესახებ.* თემთა პალატამ საერთო არჩევნების შემდეგ თავის პირველ შეკრებაზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა აირჩიოს თავისი ერთ-ერთი წევრი სპიკერად.

45. *სპიკერის ადგილზე წარმოშობილი ვაკანსიის შევსების შესახებ.* იმ შემთხვევაში, როდესაც სპიკერის თანამდებობაზე წარმოიშობა ვაკანსია მისი გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა მიზეზის გამო, თემთა პალატამ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა აირჩიოს თავისი ერთ-ერთი წევრი სპიკერად.

46. *სპიკერის თავმჯდომარეობა.* სპიკერი უნდა თავმჯდომარეობდეს თემთა პალატის სხდომებს.

47. *ღებულება სპიკერის არყოფნის შესახებ.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, იმ შემთხვევაში, როდესაც

საც რაიმე მიზეზით სპიკერს არ უკავია თემთა პალატის თავმჯდომარის ადგილი ზედიზედ ორმოცდარვა საათის განმავლობაში, თემთა პალატას უფლება აქვს აირჩიოს ერთ-ერთი წევრი სპიკერის მოვალეობათა შესასრულებლად და ამგვარად არჩეული წევრი სპიკერის არყოფნის მთელი ვადის განმავლობაში აღჭურვილი იქნება და აღასრულებს სპიკერის ყველა უფლებამოსილებას, პრივილეგიასა და მოვალეობას. (25)

48. *ქვორუმი თემთა პალატაში.* თემთა პალატის არანაკლებ ოცი წევრის დასწრება აუცილებელია იმისათვის, რომ შედგეს პალატის სხდომა მისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად; იმის გათვალისწინებით, რომ სპიკერი უნდა შედიოდეს ამ წევრებში.

49. *კენჭისყრა თემთა პალატაში.* საკითხები, რომლებიც წამოიჭრება თემთა პალატაში გადაწყდება ხმათა უმრავლესობით, სპიკერის ხმის გარდა; სპიკერს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში და არა სხვაგვარად.

50. *თემთა პალატის უფლებამოსილების ვადა.* თემთა პალატის თითოეული შემადგენლობა მუშაობას აგრძელებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნებულ იქნება თემთა პალატის არჩევნების სიები, თუ იგი მანამდე არ იქნა დათხოვნილი გენერალ-გუბერნატორის მიერ. (26)

51. *თემთა პალატაში წარმომადგენლობის ცვლილება.* (1) ამ პუნქტის ძალაში შესვლის მომენტისათვის და შემდგომში ათ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დასრულების შემდეგ, უნდა განხორციელდეს თემთა პალატის წევრებისა და მასში პროვინციათა წარმომადგენლების რაოდენობის ცვლილება იმ უფლებამოსილებებით, იმ წესითა და იმ ვადით, როგორც ამას კანადის პარლამენტი დროდადრო დაადგენს შემდეგი წესების გათვალისწინებით:

წესები.

1. თითოეული პროვინციისთვის დგინდება წევრების რაოდენობა, რომელიც ტოლია იმ რიცხვისა, რომელიც მიიღება ამ პროვინციის მოსახლეობის რაოდენობის გაყოფის გზით პროვინციების მოსახლეობის საერთო რაოდენობის ორას სამოცდაცხრამეტზე გაყოფით მიღებულ განაყოფზე, და განაყოფის მეთედების დამრგვალებით, თუ ეს მეთოდები 0,5-ს აღემატება.

2. თუ პირველი წესის გამოყენებით პროვინციისთვის დადგენილ იქნება წევრთა საერთო რაოდენობა, რომელიც ნაკლებია ამ პუნქტის ძალაში შესვლის დღისთვის ამ პროვინციისთვის დადგენილ წევრთა საერთო რაოდენობაზე, ამგვარად დადგენილ წევრთა რაოდენობას უნდა დაემატოს წევრთა ისეთი რაოდენობა, რომ შედეგად პროვინციას ჰყავდეს წევრთა იგივე რაოდენობა, რომელიც დადგენილი იყო ამ დღემდე. (27)

იუკონის ტერიტორია, ჩრდილოდასავლეთი ტერიტორიები და ნუნავი. (2)
იუკონის ტერიტორია იმ საზღვრებში, რაც დადგენილი და აღწერილია 1985 წლის კანადის გადასინჯული სტატუტების Y_2 თავში მოცემულ დანართში, უფლებამოსილია წარმოდგენილ იქნეს ერთი წევრით; ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიები იმ საზღვრებში, რაც დადგენილი და აღწერილია 1985 წლის კანადის გადასინჯული სტატუტების 27-ე თავის მე-2 პუნქტში, მასში 1993 წლის კანადის სტატუტების 28-ე თავის 77-ე პუნქტით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, უფლებამოსილია წარმოდგენილ იქნენ ერთი წევრით და ნუნავი იმ საზღვრებში, რაც დადგენილი და აღწერილია 1993 წლის კანადის სტატუტების 28-ე თავის მე-3 პუნქტში, უფლებამოსილია წარმოდგენილ იქნეს ერთი წევრით. (28)

51 *ა. თემთა პალატის შემადგენლობა.* ამ აქტის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, პროვინცია ყოველთვის უნდა იყოს უფლებამოსილი თემთა პალატაში წარმოდგენილ იქნეს წევრთა .იმ რაოდენობით მაინც, რომელიც არანაკლები იქნება სენატში ამ პროვინციის წარმომადგენელი სენატორების რაოდენობისა. (29)

52. *თემთა პალატის წევრების რაოდენობის გაზრდა.* თემთა პალატის წევრების რაოდენობა შეიძლება დრო და დრო გაიზარდოს კანადის პარლამენტის მიერ, იმ პირობით, რომ ამ აქტით დადგენილი პროვინციების პროპორციული წარმომადგენლობა არ დაირღვა.

ფინანსური კანონმდებლობა. სამეფო თანხმობა

53. *სასიგნებებო და საგადასახადო ბილები.* ბილები, რომლებითაც ხდება სახელმწიფო შემოსავლების ასიგნება, ან რაიმე გადასახადის ან გადასახდელის შემოღება, უნდა მომდინარეობდეს თემთა პალატისგან.

54. *ფინანსური სახსრების ასიგნების შესახებ.* თემთა პალატა არ არის უფლებამოსილი დაამტკიცოს ან მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რეზოლუცია, მიმართვა ან ბილი სახელმწიფო შემოსავლების ნაწილის ასიგნების, გადასახადების ან გადასახდელის შემოღების თაობაზე, თუ არა იმ მიზნით, რომელიც ამ პალატისთვის თავდაპირველად იყო რეკომენდებული გენერალ-გუბერნატორის წერილობით მიმართვაში იმ სესიისადმი, რომელზედაც განიხილება აღნიშნული გადაწყვეტილება, რეზოლუცია, მიმართვა ან ბილი.

55. *სამეფო თანხმობა ბილებზე და ა.შ.* როდესაც პარლამენტის მიერ მიღებული ბილი, დელოფლის თანხმობის მისაღებად წარედგინება გენერალ-გუბერნატორს, იგი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ამ აქტის დებულებებისა და მისი უდიდებულესობის ინსტრუქციების დაცვით, განაცხადოს, ეთანხმება თუ არა აღნიშნულ ბილს დელოფლის სახელით, ან

უარს ამბობს დედოფლის თანხმობის მიცემაზე, ან შეინახავს და გაუგზავნის ბილს დედოფალს მისი ნება-სურვილის გამოსახატავად.

56. *გენერალ-გუბერნატორის მიერ სამეფო თანხმობამიყვებული აქტის ბრძანებით უარყოფა საბჭოში.* როდესაც გენერალ-გუბერნატორი დედოფლის სახელით მისცემს ბილზე სამეფო თანხმობას, იგი ვალდებულია პირველივე სათანადო შესაძლებლობისას გადაუგზავნოს ამ აქტის დამოწმებული ასლი მისი უდიდებულესობა დედოფლის ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო მდივანს და თუ საბჭოში დედოფალი სახელმწიფო მდივნის მიერ აღნიშნული აქტის ასლის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში მოისურვებს უარყოს აქტი, ამგვარი უარყოფა (სახელმწიფო მდივნის მიერ იმ დღის სათანადო დამოწმებით, როდესაც მან ეს აქტის მიიღო) გენერალ-გუბერნატორის მიერ ზეპირი განცხადებით ან წერილობითი მიმართვის მეშვეობით ან პროკლამაციის გამოცემის გზით ეცნობება პარლამენტის თითოეულ პალატას და აუქმებს ამ აქტის მოქმედებას გენერალ-გუბერნატორის მიერ აღნიშნული შეტყობინების განხორციელების მომდევნო დღიდან.

57. *დედოფლის ნება-სურვილის გამოხატვა შენახულ და მასთან გაგზავნილ ბილზე.* ბილს, რომელიც შენახული და გაგზავნილი იქნება დედოფალთან მისი ნება-სურვილის გამოსახატავად, არ ექნება იურიდიული ძალა და ვერ ამოქმედდება მანამ, სანამ და თუ ორი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ბილი წარდგენილ იქნა გენერალ-გუბერნატორისთვის სამეფო თანხმობის მისაღებად, გენერალ-გუბერნატორი ზეპირი განცხადებით ან პარლამენტის თითოეული პალატისათვის გაგზავნილი წერილობითი მიმართვის მეშვეობით, ან პროკლამაციის გამოცემით არ განაცხადებს, რომ ამ ბილმა მიიღო საბჭოში დედოფლის თანხმობა.

ჩანაწერი ყოველი ამგვარად გაკეთებული ზეპირი განცხადების, წერილობითი მიმართვისა თუ პროკლამაციის შესახებ გაკეთებულ უნდა იქნეს თითოეული პალატის ყურნალში (პროტოკოლში) და მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი სავალდებულო წესით შესანახად უნდა გადაეცეს კანადის არქივის შესაბამის თანამდებობის პირს.

V. პროვინციების კონსტიტუციები აღმასრულებელი ხელისუფლება

58. *პროვინციების ლეიტენანტ-გუბერნატორების დანიშვნა.* თითოეული პროვინციისათვის დანიშნული იქნება თანამდებობის პირი ლეიტენანტ-გუბერნატორის სახელწოდებით, რომელიც დანიშნული იქნება გენერალ-გუბერნატორის მიერ საბჭოში კანადის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით.

59. *ლეიტენანტ-გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნის ზანგრძლივობა.* ლეიტენანტ-გუბერნატორი თანამდებობაზე იმყოფება იმ ვადის განმავლობაში,

როგორც ამას გენერალ-გუბერნატორი მოისურვებს; მაგრამ ყოველი ლეიტენანტ-გუბერნატორი, რომელიც დანიშნული იქნება კანადის პარლამენტის პირველი სესიის გახსნის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, დაუსვებელია გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან ამგვარი დანიშნიდან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს კონკრეტული საფუძველი, რომლის შესახებაც, წერილობითი ფორმით ეცნობება ლეიტენანტ-გუბერნატორს მისი გადაყენების შესახებ ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის განმავლობაში და რომლის შესახებაც აგრეთვე ეცნობება სენატსა და თემთა პალატას წერილობითი მიმართვის გაგზავნით აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ ამ დროისათვის პარლამენტი სესიაზეა შეკრებილი; ხოლო თუ ამ დროისათვის პარლამენტი არ არის შეკრებილი სესიაზე, მაშინ – პარლამენტის მომდევნო სესიის გახსნის ოფიციალური ცერემონიიდან ერთი კვირის განმავლობაში.

60. *ლეიტენანტ-გუბერნატორების ხელფასი.* ლეიტენანტ-გუბერნატორების ხელფასი განისაზღვრება იმ ოდენობით, როგორც ამას კანადის პარლამენტი დაადგენს. (30)

61. *ლეიტენანტ-გუბერნატორის ფიცი და ა. შ.* ყოველი ლეიტენანტ-გუბერნატორი ვალდებულია თანამდებობის დაკავებამდე და უფლება-მოვალეობათა აღსრულების დაწყებამდე გენერალ-გუბერნატორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის წინაშე დაიფიცოს და წერილობით დაადასტუროს ერთგულებისა და თანამდებობის დაკავების შესახებ იგივე ფიცით, როგორსაც ღებს გენერალ-გუბერნატორი.

62. *ლეიტენანტ-გუბერნატორთან დაკავშირებული დებულებების გამოყენება.* ლეიტენანტ-გუბერნატორთან დაკავშირებული ამ აქტის დებულებები ვრცელდება და გამოიყენება თითოეული პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორის მიმართ მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს ან აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მყოფი სხვა უმაღლესი თანამდებობის პირის მიმართ ან ადმინისტრატორის მიმართ, რომელიც იმ დროისათვის ახორციელებს პროვინციის მმართველობას, როგორც არ უნდა იყოს მისი ტიტული.

63. *აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნა ონტარიოსა და კვებეკისათვის.* ონტარიოსა და კვებეკის აღმასრულებელი საბჭო შედგება იმ პირებისაგან, რომელთაც ლეიტენანტ-გუბერნატორი დრო და დრო მოისურვებს და დანიშნავს, და პირველ რიგში შემდეგ თანამდებობის პირებს, სახელდობრ – პროვინციის გენერალურ ატორნეის, მდივანსა და რეგისტრატორს, პროვინციის ზახინადარს, გვირგვინის მიწების კომისარსა და სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების კომისარს; ხოლო კვებეკის შემთხვევაში – საკანონმდებლო საბჭოს სპიკერსა და გენერალურ სოლისიტორს. (31)

64. აღმასრულებელი ხელისუფლება ნოვა სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკში. აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობა ნოვა სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის პროვინციებში, თითოეულში ამ აქტის დებულებათა შესაბამისად იქნება ისეთი, როგორც იყო გაერთიანების დაფუძნებისათვის, მანამ, სანამ ეს მოწყობა არ შეიცვლება ამ აქტით დადგენილი უფლებამოსილებების საფუძველზე. (32)

65. უფლებამოსილებანი, რომლებიც აღსრულდება ონტარიოს ან კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ ვინმეს რჩევით ან ერთპიროვნულად. ყველა ხელისუფლება, უფლებამოსილება და ფუნქცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის პარლამენტის, ან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის, ან ზემო კანადის, ქვემო კანადის, კანადის, ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) ან ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურების ნებისმიერი აქტის საფუძველზე გაერთიანების დაფუძნების დროისათვის დაკისრებული იყო ან ხორციელდებოდა პროვინციების შესაბამისი გუბერნატორების ან ლეიტენანტ-გუბერნატორების მიერ შესაბამისი აღმასრულებელი საბჭოს რჩევით, ან რჩევითა და თანხმობით, ან ამ საბჭოებთან ერთად, ან ამ უკანასკნელთა წევრების ნებისმიერ რაოდენობასთან ერთად, ან ამ გუბერნატორებისა და ლეიტენანტ-გუბერნატორების მიერ ერთპიროვნულად, ამიერიდან იმდენად, რამდენადაც მათი აღსრულება შესაძლებელია გაერთიანების დაფუძნების შემდეგაც ონტარიოსა და კვებეკის მმართველობასთან დაკავშირებით, ეკუთვნის და აღსრულდება ონტარიოს ან კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ შესაბამისი აღმასრულებელი საბჭოების რჩევით, ან რჩევითა და თანხმობით, ან მათთან ერთად, ან ამ უკანასკნელთა წევრების ნებისმიერ რაოდენობასთან ერთად, ან ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ ერთპიროვნულად, როგორც ამას საქმე მოითხოვს; თუმცა, ეს ხელისუფლება, უფლებამოსილება და ფუნქცია (დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებული აქტების საფუძველზე არსებულის გარდა) შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს ონტარიოსა და კვებეკის ლეგისლატურების მიერ. (33)

66. საბჭოში ლეიტენანტ-გუბერნატორთან დაკავშირებული დებულებების გამოყენება. საბჭოში ლეიტენანტ-გუბერნატორის მიმართ ამ აქტის დებულებები განმარტებული უნდა იქნეს როგორც პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორთან დაკავშირებული, როდესაც იგი მოქმედებს აღმასრულებელი საბჭოს რჩევით.

67. მმართველობა ლეიტენანტ-გუბერნატორის არყოფნისას და ა.შ. საბჭოში გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია დრო და დრო დანიშნოს აღმინისტრატორი ლეიტენანტ-გუბერნატორის მოვალეობისა და ფუნქციების შესასრულებლად მისი არყოფნის, ავადმყოფობის ან სხვაგვარი ქმედუნარობის შემთხვევაში.

68. პროვინციების მთავრობების ადგილსამყოფელი. სანამ და თუ პროვინციის აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი პროვინციისათვის სხვაგვარად არ გადაწყვეტს, პროვინციების მთავრობების ადგილსამყოფელი იქნება შემდეგი, სახელდობრ – ონტარიოსათვის ქალაქი ტორონტო, კვებეკისათვის ქალაქი კვებეკი, ნოვა სკოტიასთვის (ახალი შოტლანდია) ჰალიფაქსი და ნიუბრანსვიკისთვის ქალაქი ფრედერიქტონი.

საკანონმდებლო ხელისუფლება

1. ონტარიო

69. *ონტარიოს ლეგისლატურა*. ონტარიოსთვის შეიქმნება ლეგისლატურა ლეიტენანტ-გუბერნატორისა და ონტარიოს საკანონმდებლო ასამბლეად წოდებული ერთი პალატის შემადგენლობით.

70. *საარჩევნო ოლქები*. ონტარიოს საკანონმდებლო ასამბლეა შედგება ამ აქტის პირველი დანართის შესაბამისად შექმნილი ოთხმოცდაორი საარჩევნო ოლქში არჩეული და მათი წარმომადგენელი ოთხმოცდაორი წევრისგან. (34)

2. კვებეკი

71. *კვებეკის ლეგისლატურა*. კვებეკისთვის შეიქმნება ლეგისლატურა ლეიტენანტ-გუბერნატორისა და კვებეკის საკანონმდებლო საბჭოდ და კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეად წოდებული ორი პალატის შემადგენლობით. (35)

72. *საკანონმდებლო საბჭოს შემადგენლობა*. კვებეკის საკანონმდებლო საბჭო შედგება ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ დედოფლის სახელით, კვებეკის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით დანიშნული ოცდაოთხი წევრისგან; იმის გათვალისწინებით, რომ ერთი წევრი ინიშნება ამ აქტში აღნიშნული ქვემო კანადის ოცდაოთხი საარჩევნო ერთეულიდან თითოეულის წარმომადგენლად და თითოეული წევრი თავის თანამდებობას იკავებს სამუდამოდ, თუ ამ აქტის დებულებათა შესაბამისად კვებეკის ლეგისლატურის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი.

73. *საკანონმდებლო საბჭოს წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნები*. კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნები იქნება ისეთივე, როგორც კვებეკის წარმომადგენელი სენატორებისათვის წაყენებული მოთხოვნები.

74. *გადადგომა, წაყენებული მოთხოვნების დაუკამყოფილებლობის გამო გადაყენება და ა. შ.* კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს წევრის ადგილზე ვაკანსია წარმოიშობა იმავე შემთხვევებში და საფუძვლით – *mutatis mutandis*, რა შემთხვევებში და საფუძვლითაც ვაკანსია წარმოიშობა სენატორის ადგილზე.

75. *ვაკანსიები*. იმ შემთხვევაში, როდესაც კვებეკის საკანონმდებლო საბჭოში გადადგომის, გარდაცვალების ან რაიმე სხვა მიზეზით წარმოიშობა ვაკანსია, ლეიტენანტ-გუბერნატორი დედოფლის სახელით და კვებეკის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით ვაკანსიის შესავსებად დანიშნავს შესაბამის პიროვნებას, რომელიც აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

76. *ვაკანსიებთან დაკავშირებული საკითხები* და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს წევრის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ან კვებეკის საკანონმდებლო საბჭოში ვაკანსიის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხი, ამგვარი საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს მიერ.

77. *საკანონმდებლო საბჭოს სპიკერი*. ლეიტენანტ-გუბერნატორი უფლებამოსილია დრო და დრო კვებეკის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით დანიშნოს კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს წევრი მის სპიკერად, აგრეთვე უფლებამოსილია გადააყენოს იგი და მის ადგილზე დანიშნოს სხვა წევრი.

78. *ქეორუმი საკანონმდებლო საბჭოში*. მანამ, სანამ კვებეკის ლეგისლატურის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, სპიკერის ჩათვლით საკანონმდებლო საბჭოს არანაკლებ ათი წევრის დასწრება აუცილებელია იმისათვის, რომ შედგეს საკანონმდებლო საბჭოს სხდომა მისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

79. *კენჭისყრა საკანონმდებლო საბჭოში*. საკითხები, რომლებიც წამოიჭრება საკანონმდებლო საბჭოში გადაწყდება ხმათა უმრავლესობით და სპიკერს ყველა შემთხვევაში აქვს ხმის უფლება; ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი ჩაითვლება უარყოფილად.

80. *კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეის შემადგენლობა*. კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეა შედგება სამოცდახუთი წევრისგან, რომლებიც აირჩევიან და წარმოადგენენ ამ აქტში აღნიშნულ ქვემო კანადის სამოცდახუთ საარჩევნო ერთეულს ან საარჩევნო ოლქს, იმის გათვალისწინებით, რომ კვებეკის ლეგისლატურას ენიჭება უფლებამოსილება შეცვალოს ისინი; ამასთან, დაუშვებელია ლეიტენანტ-გუბერნატორს თანხმობის მისაღებად წარუდგინოს რაიმე ბილი, რომლის მიზანი იქნება ამ აქტის მეორე დანართში მითითებული საარჩევნო ერთეულების ან საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლა, თუ აღნიშნული ბილი მეორე და მესამე მოსმენით განხილვისას არ იქნა მიღებული ამ საარჩევნო ერთეულებისა და საარჩევნო ოლქების წარმომადგენელი საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა უმრავლესობის ერთსულოვანი მხარდაჭერით და თანხმობა არ იქნება მიცემული არც ერთ ამგვარ ბილზე მანამ, სანამ ლეიტენანტ-გუბერნატორს არ წარუდგინება საკანონმდებლო ასამბლეის წერილობითი მიმართვა, რომელიც დაადასტურებს, რომ თანხმობის მისაღე-

ბად წარდგენილი ბილი ნამდვილად აღნიშნული პირობების დაცვით იქნა განხილული და მიღებული. (36)

3. ონტარიო და კვებეკი

81. ამოღებულია. (37)

82. *საკანონმდებლო ასამბლეების მოწვევა*. ონტარიოსა და კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორები ვალდებული არიან დრო და დრო დედოფლის სახელითა და თავიანთი პროვინციის დიდი ბეჭედდამსული აქტის გამოცემით მოიწვიონ და შეკრიბონ თავისი პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეა.

83. *თანამდებობის პირთა საარჩევნო შეზღუდვა*. მანამ, სანამ ონტარიოს ან კვებეკის ლევისლატურის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, პირს, რომელიც ლეიტენანტ-გუბერნატორის დანიშვნის საფუძველზე იკავებს ან უკავია რაიმე თანამდებობა, ასრულებს რაიმე დავალებას ან სამუშაოს ონტარიოში ან კვებეკში დროებით ან მუდმივად, რომელიც დაკავშირებულია პროვინციის სახსრებიდან ყოველწლიური ხელფასის, ან რაიმე პონორარის, შემწეობის, გასამრჯელოს, სარგებლის ან რაიმე თანხის მიღებასთან, უფლება არ აქვს არჩეულ იყოს ამ პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეის წევრად ან მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში და ხმა მისცეს როგორც საკანონმდებლო ასამბლეის წევრმა; მაგრამ ამ მუხლში არაფერი არ უკრძალავს პირს, რომელიც შესაბამისი პროვინციის აღმასრულებელი საბჭოს წევრია, ან უკავია რომელიმე ისეთი თანამდებობა, როგორებიცაა: სახელდობრ – პროვინციის გენერალური ატორნეის, მდივნისა და რეგისტრატორის, პროვინციის ხაზინადარის, გვირგვინის მიწების კომისრისა და სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების კომისრის, ხოლო კვებეკისათვის საკანონმდებლო საბჭოს სპიკერისა და გენერალური სოლისიტორის თანამდებობები, და არ ართმევს მას უფლებას, მონაწილეობა მიიღოს იმ პალატის სხდომებში, რომლის წევრადაც იგი აირჩიეს და ხმა მისცეს როგორც ამ პალატის წევრმა; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი არჩეული უნდა იყოს პალატის წევრად მისი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. (38)

84. *არსებული საარჩევნო კანონმდებლობის მოქმედების გაგრძელება*. მანამ, სანამ შესაბამისად ონტარიოსა და კვებეკის ლევისლატურების მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, გაერთიანების დაფუძნებამდე შესაბამისად ამ პროვინციებში მოქმედი კანონმდებლობის ყველა აქტი, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან ან რომელიმე მათგანთან, სახელდობრ – იმ პირთა კვალიფიკაცია და დისკვალიფიკაცია, რომლებიც აირჩევიან, მონაწილეობენ, ან ხმას აძლევენ როგორც კანადის ასამბლეის წევრები; არჩევნების დროს ხმის მიცემის უფლების მქონე პირების (ამომრჩეველების) კვალიფიკაცია და დისკვალიფიკაცია; ამომრჩეველთა მიერ ფიცის დადება; არჩევნ-

ბის ჩატარების განმახორციელებელი თანამდებობის პირები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები; საარჩევნო პროცედურები; საარჩევნო ვადები; საარჩევნო დაკების განხილვა და მათი განხილვის პროცედურები; პარლამენტის წევრთა თანამდებობებზე ვაკანსიის წარმოშობა და ახალი არჩევნების დანიშვნა იმ შემთხვევებში, როდესაც ვაკანსია წარმოიშობა არა პარლამენტის დათხოვნის შედეგად, არამედ სხვა მიზეზით; – გამოყენებული იქნება შესაბამისად ონტარიოსა და კვებეკის პროვინციების საკანონმდებლო ასამბლეების წევრთა არჩევისათვის.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მანამ, სანამ ონტარიოს ლეგისლატურის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, ალგომას ოლქიდან ონტარიოს საკანონმდებლო ასამბლეის წევრების ნებისმიერ არჩევნებზე იმ პირებთან ერთად, რომლებსაც საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვთ კანადის პროვინციის კანონმდებლობით, საარჩევნო უფლება ენიჭება აგრეთვე ბრიტანეთის ყველა მამრობითი სქესის ქვეშევრდომს, რომელმაც სრულად მიაღწია ოცდაერთი წლის ასაკს და ოჯახის უფროსია. (39)

85. *საკანონმდებლო ასამბლეების უფლებამოსილების ვადა.* ონტარიოს ყოველი საკანონმდებლო ასამბლეისა და კვებეკის ყოველი საკანონმდებლო ასამბლეის უფლებამოსილების ვადა გრძელდება არაუმეტეს ოთხი წლისა იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნებულ იქნება არჩევნების სიები (თუ მანამდე ონტარიოს საკანონმდებლო ასამბლეა ან კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეა დათხოვნილი არ იქნა პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ). (40)

86. *ლეგისლატურის ყოველწლიური სესია.* ონტარიოს ლეგისლატურისა და კვებეკის ლეგისლატურის სესია იმართება წელიწადში ერთხელ მაინც, იმ პირობით, რომ თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურის მიმდინარე სესიის ბოლო სხდომიდან არ უნდა იქნეს გასული თორმეტი თვე მისი მომდევნო სესიის პირველ სხდომამდე. (41)

87. *სპიკერი, კორონი და ა.შ.* ამ აქტის შემდეგი დებულებები, რომლებიც კანადის თემთა პალატას შეეხება, ვრცელდება და გამოიყენება ონტარიოსა და კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეების მიმართაც, სახელდობრ – დებულებები დაკავშირებული სპიკერის არჩევასთან (როგორც თავდაპირველი არჩევის, ასევე ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევებში), სპიკერის მოვალეობებთან, სპიკერის არყოფნის შემთხვევებთან, ქვოროუმთან და ხმის მიცემის პროცედურებთან. აღნიშნული დებულებები ვრცელდება და გამოიყენება თითოეული საკანონმდებლო ასამბლეის მიმართ მათი უფლებამოსილების ვადის გათვალისწინებით.

4. ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკი

88. *ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურების შემადგენლობა.* ნოვა სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრან-

სვიკის პროვინციების ლეგისლატურების მოწყობა, ამ აქტის დებულებათა შესაბამისად, იქნება იგივე როგორადაც იგი არსებობდა გაერთიანების დაფუძნებამდე, მანამ, სანამ არ იქნება შეცვლილი ამ აქტით დადგენილი უფლებამოსილებების საფუძველზე. (42)

5. ონტარიო, კვებეკი და ნოვა სკოტია (ახალი შოტლანდია)

89. ამოღებულია. (43)

6. ოთხი პროვინცია.

90. ლეგისლატურებთან დაკავშირებით იმ დებულებების გამოყენება, რომლებიც ფინანსურ კანონმდებლობას და სხვა საკითხებს შეეხება. ამ აქტის შემდეგი დებულებები, რომლებიც კანადის პარლამენტს შეეხება, სახელდობრ — დებულებები დაკავშირებული სასიგნებო და საგადასახადო ბილბთან, ფინანსური ხასიათის საკანონმდებლო ინიციატივებთან, ბილბზე თანხმობის მიცემასთან, აქტებზე თანხმობის არ მიცემასთან, შენახულ და დედოფალთან გაგზავნილ ბილბზე ნება-სურვილის გამოხატვასთან, — ვრცელდება და გამოიყენება სხვადასხვა პროვინციების ლეგისლატურების მიმართ შესაბამისი პროვინციების ლეგისლატურების უფლებამოსილების ვადის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ შესაბამისად სიტყვა „პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორი“ ცვლის სიტყვას „გენერალ-გუბერნატორი“, სიტყვა „გენერალ-გუბერნატორი“ ცვლის სიტყვას „დედოფალი“ და სიტყვას „სახელმწიფო მდივანი“, სიტყვა „ერთი წელი“ ცვლის სიტყვას „ორი წელი“ და სიტყვა „პროვინცია“ ცვლის სიტყვას „კანადა“.

IV. საკანონმდებლო ხელისუფლების დანაწილება პარლამენტის უფლებამოსილებები

91. კანადის პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები. დედოფალს ენიჭება უფლებამოსილება, უფრო მეტი ჭეშმარიტების დადგენის მიზნით და არა ამ მუხლით დადგენილი ზოგადი დებულებების შეზღუდვისათვის, სენატისა და თემთა პალატის რჩევითა და თანხმობით გამოსცეს კანონები მშვიდობის, მართლწესრიგისა და კანადის კარგი მმართველობის უზრუნველსაყოფად ყველა საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმ კატეგორიის საკითხებისა, რომლებიც ამ აქტის დებულებათა შესაბამისად პროვინციების ლეგისლატურების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება; უდავოდ დადგენილია, რომ (ამ აქტის ნებისმიერი დებულების მიუხედავად) კანადის პარლამენტის ექსკლუზიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები ვრცელდება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი; სახელდობრ:

1. ამოღებულია; (44)

1.ა. სახელმწიფო ვალი და სახელმწიფო საკუთრება; (45)

2. ვაჭრობისა და კომერციის რეგულირება;

- 2.ა. უმუშევართა დაზღვევა; (46)
3. ფულის ამოღება ნებისმიერი საგადასახადო მეთოდითა და სისტემით;
4. სახელმწიფო სესხების გაცემა;
5. საფოსტო სამსახური;
6. მოსახლეობის აღწერა და სტატისტიკა;
7. მილიცია, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამსახური და ქვეყნის თაღაცვა;
8. კანადის მთავრობის სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასის და შრომის ანაზღაურების წესის დადგენა;
9. სასიგნალო ნიშნები, ამოსაცნობი ნიშნები, სასიგნალო შუქურები და მონალექი კუნძულები;
10. ნავიგაცია და საზღვაო გადაზიდვები;
11. კარანტინი, საზღვაო პოსპიტალების შექმნა და ფუნქციონირება;
12. თევზჭერა ზღვის სანაპირო ზოლსა და შიდა წყლებში;
13. საბორნე მიმოსვლა პროვინციებს, ბრიტანულ ან რომელიმე უცხო ქვეყანას ან ორ პროვინციას შორის;
14. ხურდა ფულის მოჭრა და მიმოქცევა;
15. საბანკო საქმე, ბანკების შექმნა და ქალაქის ფულის მოჭრა;
16. შეზნახველი სალაროები;
17. წონისა და ზომის ერთეულები;
18. გადაცვლითი ბილები (ჩეკები) და თამასუქები;
19. პროცენტები;
20. კანონით გათვალისწინებული ხარჯები;
21. გაკოტრება და ვალაუვალობა;
22. გამოგონებისა და აღმოჩენების პატენტები;
23. საავტორო უფლებები;
24. ინდიელები და ინდიელების მიერ დაკავებული მიწები;
25. ნატურალიზაცია და უცხოელები;
26. ქორწინება და განქორწინება;
27. სისხლის სამართალი, გარდა სისხლისამართლებრივი განსჯადობის სასამართლოების მოწყობისა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოებისა და პროცესუალური ნორმების შემცველობით;
28. სასჯელალსრულებითი დაწესებულებების შექმნა, ფუნქციონირება და მართვა;
29. ის საკითხები, რომლებიც აშკარად ამოღებულია ამ აქტის დებულებებით პროვინციების ლეგისლაციურების ექსკლუზიური უფლებების ჩამონათვალში შეტანილი საკითხებისაგან;

და არც ერთი საკითხი, რომელიც შედის ამ მუხლში ჩამოთვლილი საკითხების კატეგორიაში, არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს ადგილობრივი ან კერძო ხასიათის იმ საკითხების კატეგორიას, რომლებიც ამ აქტის შესაბამისად პროვინციების ლევისლატურების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. (47)

პროვინციების ლევისლატურების ექსკლუზიური უფლებამოსილებანი

9.2. პროვინციების ექსკლუზიურ კანონმდებლობას მიკუთვნებული საკითხები. თითოეულ პროვინციაში ლევისლატურა უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები იმ კატეგორიის საკითხებზე, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი; სახელდობრ:

1. ამოღებულია; (48)
2. პროვინციაში პირდაპირი გადასახადების შემოღება პროვინციის საჭიროებისათვის;
3. პროვინციების კრედიტების საფუძველზე გაცემული სესხები;
4. პროვინციებში სახელმწიფო თანამდებობების შემოღება და ამ თანამდებობების პირების მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების ვადების დადგენა; პროვინციის სახელმწიფო თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და მათი შრომის ანაზღაურების წესის დადგენა;
5. პროვინციის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო მიწების, აგრეთვე მათზე არსებული ტყის მასივებისა და ტყეების მართვა და გაყიდვა;
6. პროვინციაში და პროვინციისათვის სახელმწიფო ციხეებისა და გამოსასწორებელი დაწესებულებების შექმნა, ფუნქციონირება და მართვა;
7. პროვინციაში და პროვინციისათვის პოსპიტალების (გარდა საზღვაო პოსპიტალებისა), თავშესაფრების, საქველმოქმედო და სათნოების დაწესებულებების შექმნა, ფუნქციონირება და მართვა;
8. პროვინციის მუნიციპალური ინსტიტუტები;
9. სავაჭრო დაწესებულებების (მაღაზიების), ბარების, სასტუმროების, აუქციონერების ლიცენზიები პროვინციის, ადგილობრივი ან მუნიციპალური საჭიროებისათვის თანხების მიღების მიზნით;
10. ადგილობრივი ხასიათის სამუშაოები და საწარმოები, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიისა:

ა) თბომავლებისა და სხვა გემების მიმოსვლის ხაზები, რკინიგზა, არხები, ტელეგრაფი და სხვა სამუშაოები და საწარმოები, რომლებიც აკავშირებს ერთ პროვინციას მეორე პროვინციასთან ან სხვა პროვინციებთან, ან რომლებიც სცდება ერთი პროვინციის საზღვრებს;

ბ) ორთქლმავალი გემების მიმოსვლის ხაზები პროვინციებს შორის, აგრეთვე ბრიტანულ ან რომელიმე სხვა ქვეყანას შორის;

გ) პროვინციის ტერიტორიის საზღვრებში მიმდინარე ისეთი სამუშაოები, რომლებიც დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ კანადის პარლამენტის მიერ გამოცხადებული იქნება სასარგებლოდ მთელი კანადისათვის ან ორი ან ორზე მეტი პროვინციისათვის.

11. იმ კომპანიების რეგისტრაცია, რომელთა საქმიანობის ხასიათი არ სცილდება პროვინციის ფარგლებს;

12. ქორწინება პროვინციაში;

13. საკუთრება და სამოქალაქო უფლებები პროვინციაში;

14. მართლმსაჯულების განხორციელება პროვინციაში, რომელიც მოიცავს პროვინციების სასამართლოების მოწყობას, ფუნქციონირებასა და ორგანიზაციას, ორივე სფეროში – სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალში სამართალწარმოებას, აგრეთვე პროცესუალურ საკითხებს სამოქალაქო სამართალში;

15. სასჯელის აღსრულება ჯარიმით, დასჯის სხვა ფორმებითა და დაპატიმრებით პროვინციის კანონმდებლობის დარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია ამ მუხლში ჩამოთვლილი საკითხების კატეგორიასთან;

16. ყველა სხვა საკითხი, რომლებიც თავისი ხასიათით მხოლოდ ადგილობრივი ან პროვინციისთვის კერძო მნიშვნელობისაა.

არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები, ტყის რესურსები და ელექტროენერგია

92.ა. არაგანახლებად ბუნებრივ რესურსებთან, ტყის რესურსებთან და ელექტროენერგიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. (1) თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები შემდეგ საკითხებზე:

ა) არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების დაზვერვა-გამოკვლევა;

ბ) პროვინციაში არსებული არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსებითა და ტყის რესურსებით სარგებლობა, მათი კონსერვაცია და მართვა, აგრეთვე მათგან წარმოებული პირველადი პროდუქციის ბრუნვასთან დაკავშირებული კანონები;

გ) პროვინციაში ადგილმდებარეობითა და შესაძლებლობებით სარგებლობა, მათი კონსერვაცია და მართვა ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად;

პროვინციიდან რესურსების ექსპორტი. (2) თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია მიიღოს კანონები პროვინციიდან კანადის სხვა ნაწილებში პროვინციაში არსებული არაგანახლებადი რესურსებისა და ტყის რესურსებიდან წარმოებული პირველადი პროდუქციის ექსპორტთან, აგრეთვე, ელექტროენერგიის საწარმოებელი შესაძლებლობების გამოყენებასთან და-

კავშირებით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი კანონები არ უნდა აწესებდეს ან ითვალისწინებდეს განსხვავებულ ფასს ან მიწოდების რეჟიმს კანადის სხვა ნაწილისათვის.

პარლამენტის უფლებამოსილებანი. (3) მე-2 პუნქტში არაფერი არ ზღუდავს პარლამენტის უფლებამოსილებას მიიღოს კანონები ამ პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით და იმ შემთხვევაში თუ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი წინააღმდეგობაში მოდის ამავე საკითხზე პროვინციის კანონთან, პარლამენტის კანონს პროვინციის კანონთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება.

გადასახადები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას. (4) თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია მიიღოს კანონები ნებისმიერი საგადასახადო მეთოდითა და სისტემით ფულის ამოღებასთან დაკავშირებით შემდეგზე:

- ა) პროვინციაში არსებული არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები და ტყის რესურსები და მათგან წარმოებული პირველადი პროდუქციის ბრუნვა;
- ბ) ელექტროენერჯის გამოსამუშავებელი ადგილმდებარეობები და შესაძლებლობები პროვინციაში და მათგან წარმოებული პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, ეს პროდუქცია პროვინციიდან ექსპორტირებული იქნება მთლიანად თუ ნაწილობრივ, ამგვარი კანონები არ უნდა აწესებდეს ან ითვალისწინებდეს განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმს ან სხვა განსხვავებებს იმ პროდუქციისთვის, რომელიც კანადის სხვა ნაწილში იქნა ექსპორტირებული და იმ პროდუქციისათვის, რომელიც არ ყოფილა ექსპორტირებული პროვინციიდან.

(5) **პირველადი პროდუქცია.** ტერმინი „პირველადი პროდუქცია“ გამოიყენება მეექვსე დანართში მოცემული მნიშვნელობით.

(6) **არსებული უფლებამოსილებანი და უფლებები.** პირველ-მე-5 პუნქტებში არაფერი არ ზღუდავს პროვინციის ლეგისლატურის იმ უფლებამოსილებებს ან უფლებებს, რომლებიც მათ ჰქონდათ ამ მუხლის ძალაში შესვლის მომენტისათვის. (49)

განათლება

93. **განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.** თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები განათლებასთან დაკავშირებით შემდეგი დებულებების საფუძველზე და დაცვით:

1. არაფერმა ამგვარ კანონებში არ უნდა მიაყენოს ზიანი გაერთიანების დაფუძნებისათვის პროვინციის კანონმდებლობით მოქმედი სხვადასხვა რელი-

გიური სკოლებისა და სხვა აღმსარებლობის მქონე პირთა უფლებებსა და პრივილეგიებს.

2. გაერთიანების დაფუძნებისათვის ზემო კანადის კანონმდებლობით დედოფლის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომების ცალკეული სკოლების ან სამეურვეო სკოლებისათვის მინიჭებული ან დადგენილი ყველა უფლება, პრივილეგია და ვალდებულება ძალაში რჩება და გავრცელდება აგრეთვე დედოფლის პროტესტანტი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომების დისიდენტურ სკოლებზე კვებეკში.

3. თუ რომელიმე პროვინციაში გაერთიანების დაფუძნებისათვის კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს ცალკეული ან დისიდენტური სკოლების სისტემა ან თუ ამგვარი სისტემა შემდეგში შეიქმნება პროვინციის ლეგისლაციურის მიერ, პროვინციის ხელისუფლების ის აქტი ან გადაწყვეტილება, რომელიც ხელყოფს დედოფლის პროტესტანტი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომების რაიმე უფლებას ან პრივილეგიას განათლებასთან დაკავშირებით, გასაჩივრდება საბჭოში გენერალ-გუბერნატორთან.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროვინციის რომელიმე ამგვარი კანონი არ იქნა გამოცემული და დრო და დრო საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიერ აღიარებული იქნება ამგვარი აქტის გამოცემის საჭიროება ამ მუხლის დებულებათა აღსრულებისათვის, ან იმ შემთხვევაში როდესაც საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება სათანადოდ არ იქნება აღსრულებული შესაბამისი პროვინციის ხელისუფლების მიერ მისი სახელით, მაშინ ყველა ამგვარ შემთხვევაში, მაგრამ იმ ფარგლებში, როგორც ამას საქმის გარემოებანი მოითხოვს, კანადის პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს დამხმარე კანონები ამ მუხლის დებულებების ან მათ საფუძველზე საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის. (50)

93. ბ. კეპელი. 93-ე მუხლის პირველი-მე-4 პუნქტები არ გამოიყენება კვებეკის მიმართ. (50.1)

ონტარიოს, ნოვა-სკოტიასა და ნიუ-ბრანსვიკის პროვინციებში კანონმდებლობის ერთიანობა

94. კანონმდებლობა სამ პროვინციაში კანონების ერთიანობისათვის. ამ აქტში არაფერმა არ შეიძლება შეზღუდოს კანადის პარლამენტის უფლებამოსილება მიიღოს კანონები ონტარიოს, ნოვა-სკოტიასა და ნიუ-ბრანსვიკის ყველა ან რომელიმე კანონის ერთიანობის მიზნით საკუთრებასთან და სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით; აგრეთვე სამივე პროვინციაში ყველა ან რომელიმე სასამართლოში სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირე-

ბით; ამავე დროს, აღნიშნულ საკითხებზე რომელიმე კანონის მიღებამდე ან მიღების შემდეგ ამ აქტში არაფერი არ ზღუდავს კანადის პარლამენტის უფლებამოსილებას შეუზღუდავად მიიღოს კანონები რომელიმე ამგვარ კანონში მითითებულ რომელიმე საკითხზე; მაგრამ კანადის პარლამენტის მიერ მიღებული აქტის დებულება კანონების ერთიანობის შესახებ ძალაში ვერ შევა რომელიმე პროვინციისთვის მანამ, სანამ არ იქნება დამტკიცებული და ამოქმედებული ამ პროვინციის ლეგისლატურის მიერ, როგორც პროვინციის კანონი.

პენსიები მოხუცებულთათვის

94. *მოხუცებულთა პენსიებთან და დამატებით შემწეობებთან დაკავშირებული კანონმდებლობა.* კანადის პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს კანონები მოხუცებულთა პენსიებთან და დამატებით შემწეობებთან დაკავშირებით, აგრეთვე ცოცხლად დარჩენილებისა და შრომისუნარო პირთა პენსიების ჩათვლით, მიუხედავად მათი ასაკისა; მაგრამ ამგვარმა კანონმა არ უნდა შეზღუდოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პროვინციის ლეგისლატურის მიერ უკვე მიღებული ან მომავალში მისაღები კანონის მოქმედება.⁽⁵¹⁾

სოფლის მეურნეობა და იმიგრაცია

95. *შეჯიბრებითი უფლებამოსილება სოფლის მეურნეობასა (მიწათმფლობელობას) და სხვა საკითხებზე კანონმდებლობასთან დაკავშირებით.* თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია მიიღოს კანონები პროვინციაში სოფლის მეურნეობასთან (მიწათმფლობელობასთან), აგრეთვე იმიგრაციასთან დაკავშირებით; აქვე უდავოდ დადგენილია, რომ კანადის პარლამენტი უფლებამოსილია დრო და დრო მიიღოს კანონები ყველა ან რომელიმე პროვინციისთვის სოფლის მეურნეობასთან (მიწათმფლობელობასთან), აგრეთვე იმიგრაციასთან დაკავშირებით; და პროვინციის ლეგისლატურის მიერ სოფლის მეურნეობასთან (მიწათმფლობელობასთან) ან იმიგრაციასთან დაკავშირებით მიღებული რომელიმე კანონი მოქმედებს მხოლოდ მანამ, სანამ იგი წინააღმდეგობაში არ მოვა კანადის პარლამენტის მიერ მიღებულ რომელიმე აქტთან.

VII. მართლმსაჯულება

96. *მოსამართლეობა დანიშნა.* გენერალ-გუბერნატორი თანამდებობაზე ნიშნავს უმაღლესი, საოლქო და საგრაფო სასამართლოების მოსამართლეებს თითოეულ პროვინციაში, გარდა მემკვიდრეობის საკითხების განმხილველი

სასამართლოების მოსამართლეებისა ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკში.

97. *მოსამართლეების შერჩევა ონტარიოში და ა. შ.* მანამ, სანამ არ იქნება მიღებული კანონები ონტარიოს, ნოვა-სკოტიასა და ნიუ-ბრანსვიკის საკუთრებასთან და სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული კანონების, აგრეთვე ამ პროვინციების სასამართლოებში სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებული კანონების ერთიანობის მიზნით; ამ პროვინციების სასამართლოების მოსამართლენი შეირჩევიან გენერალ-გუბერნატორის მიერ ამ პროვინციების შესაბამისი ადვოკატთა კოლეგიების წევრებისაგან.

98. *მოსამართლეების შერჩევა კვებეკში.* კვებეკის სასამართლოების მოსამართლენი შეირჩევიან ამ პროვინციის ადვოკატთა კოლეგიის წევრებისაგან.

99. *მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა.* (1) ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი თანამდებობაზე იქნებიან მათი კარგი ყოფაქცევის განმავლობაში, მაგრამ შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან გენერალ-გუბერნატორის მიერ სენატისა და თემთა პალატის მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა 75 წლის ასაკის მიღწეასთან დაკავშირებით. (2) უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეს, მიუხედავად იმისა, იგი თანამდებობაზე დანიშნულ იქნა ამ მუხლის ძალაში შესვლამდე თუ ძალაში შესვლის შემდეგ, უფლებამოსილება შეუწყდება სამოცდათხუთმეტი წლის ასაკის მიღწეისთანავე ან ამ მუხლის ძალაში შესვლისთანავე თუ იგი ამ დროისათვის უკვე არის სამოცდათხუთმეტი წლის ასაკს მიღწეული.⁽⁵²⁾

100. *მოსამართლეთა ხელფასები და ა. შ.* კანადის პარლამენტის მიერ დგინდება ხელფასი უმაღლესი, საოლქო და საგრაფო სასამართლოების მოსამართლეთათვის, გარდა მემკვიდრეობის საკითხების განმხილველი სასამართლოების მოსამართლეებისა ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკში, აგრეთვე საადმირალო სასამართლოების მოსამართლეთათვის, იმ შემთხვევებში, როდესაც უკანასკნელნი ხელფასს იღებენ.⁽⁵³⁾

101. *მთავარი სააპელაციო სასამართლო და ა. შ.* ამ აქტში არაფერი არ ზღუდავს კანადის პარლამენტის უფლებამოსილებას დრო და დრო მიიღოს ზომები კანადის მთავარი სააპელაციო სასამართლოს შექმნის, ფუნციონირებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე კანადის კანონმდებლობის უკეთესი აღსრულების მიზნით დამატებითი სასამართლოების დასაფუძნებლად. ⁽⁵⁴⁾

VIII. შემოსავლები, ვალები, აქტივები, გადასახადები

102. *ერთიანი საშემოსავლო ფონდის შექმნა.* ყველა ვალდებულება და შემოსავალი, რომლის მიღების უფლებაც გაერთიანების დაფუძნებამდე და დაფუძნებისას კანადის, ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრან-

სვიკის ლეგისლაციურების უფლებამოსილებას წარმოადგენდა, გარდა მათი იმ ნაწილებისა, რომლებიც ამ აქტით მიკუთვნებული აქვთ შესაბამისი პროვინციების ლეგისლაციურებს ან მათი ამოღება ხდება ამ აქტით მათთვის მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილებების საფუძველზე, ქმნის ერთიან საშემოსავლო ფონდს, რომელიც მიმართული იქნება კანადის სახელმწიფო სამსახურის საჭიროებისათვის ამ აქტით დადგენილი წესითა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

103. *შემოსავლების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ა. შ.* კანადის ერთიანი საშემოსავლო ფონდიდან მუდმივად უნდა იქნეს გაღებული ხარჯები იმ დანახარჯების, ვადებულებებისა და გასავალის დასაფარავად, რომელიც წარმოიშობა შემოსავლების შეგროვებას, მართვასა და ამოღებასთან დაკავშირებით; და ამგვარად გაღებული პირველივე ვალდებულების შესასრულებელი დანახარჯი ექვემდებარება შემოწმებასა და აუდიტს იმ ფორმით, როგორც ეს დადგენილი იქნება საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიერ მანამ, სანამ პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი.

104. *პროვინციული სახელმწიფო ვალების პროცენტები.* გაერთიანების დაფუძნებისათვის არსებული კანადის, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის სხვადასხვა პროვინციების სახელმწიფო ვალების ყოველწლიური პროცენტები წარმოადგენს კანადის ერთიანი საშემოსავლო ფონდის მიერ შესასრულებელ მეორე ვალდებულებას.

105. *გენერალ-გუბერნატორის ხელფასი.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, გენერალ-გუბერნატორის ხელფასი შეადგენს ათი ათას ფუნტ სტერლინგს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ფულის კურსით, რომელიც გადაიხდება კანადის ერთიანი საშემოსავლო ფონდიდან და იგი წარმოადგენს მის მიერ შესასრულებელ მესამე ვალდებულებას. (55)

106. *დრო და დრო გასაღები ხარჯები.* სხვადასხვა ხარჯები, რომელთა გაღებაც ამ აქტით დადგენილია კანადის ერთიანი საშემოსავლო ფონდისათვის, წარმოადგენს იმ ხარჯებს, რომლებიც კანადის პარლამენტის მიერ მიმართულ იქნება კანადის სახელმწიფო სამსახურის საჭიროებისათვის.

107. *აქტივების და ა.შ. გადაცემა.* ყველა აქტივი, ფულადი თანხა, საბანკო ბალანსი, ფულადი უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც გაერთიანების დაფუძნებისათვის იყო თითოეული პროვინციის საკუთრებაში, გარდა ამ აქტში მითითებული გამონაკლისებისა, წარმოადგენს კანადის საკუთრებას და მათი ღირებულება გამოაკლდება გაერთიანების დაფუძნებისათვის არსებული პროვინციის შესაბამისი ვალის ანგარიშს.

108. *დანართში მითითებული ქონების გადაცემა.* თითოეულ პროვინციაში არსებული საზოგადოებრივი სამუშაოები და ქონება, რომლებიც ჩამოთვლილია ამ აქტის მესამე დანართში, წარმოადგენს კანადის საკუთრებას.

109. *საკუთრება მიწაზე, მღაროებზე და ა.შ.* ყველა მიწა, მღარო, წიაღისეული და წიაღისეულის მოპოვების უფლების საფასური, რომელიც გაერთიანების დაფუძნებისას იყო კანადის, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის სხვადასხვა პროვინციების საკუთრებაში, აგრეთვე, ყველა ფულადი საშუალება, რომელიც მიიღება ან მიღებულ უნდა იქნეს ყველა ამგვარი მიწის, მღაროს, წიაღისეულისა და წიაღისეულის მოპოვების უფლების საფასურისგან, წარმოადგენს ონტარიოს, კვებეკის, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის იმ სხვადასხვა პროვინციების საკუთრებას, რომლებშიც ისინი მდებარეობს ან მოიპოვება იმ ვალდებულებებისა და ინტერესების დაცვით, რომლებიც შესაბამისად მათთან დაკავშირებით არსებობს. (56)

110. *პროვინციულ ვალებთან დაკავშირებული აქტივები.* ყველა აქტივი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალში თითოეული პროვინციის მიერ აღებულ წილთან, წარმოადგენს ამ პროვინციის საკუთრებას.

111. *კანადის პასუხისმგებლობა პროვინციულ ვალებზე.* კანადა პასუხისმგებელია გაერთიანების დაფუძნებისათვის არსებული თითოეული პროვინციის ვალებსა და სხვა პასუხისმგებლობებზე.

112. *ონტარიოსა და კვებეკის ვალები.* ონტარიო და კვებეკი ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი კანადის წინაშე იმ თანხის ოდენობით (თუ ამგვარი წარმოიშობა), რა ოდენობითაც გაერთიანების დაფუძნებისათვის კანადის პროვინციის ვალები გადააჭარბებს სამოცდაორი მილიონ ხუთასი ათას დოლარს და ვალდებული არიან პროცენტის სახით ყოველწლიურად გადაიხადონ ამ გადააჭარბებული თანხის ხუთი პროცენტის ოდენობის თანხა.

113. *ონტარიოსა და კვებეკის აქტივები.* ამ აქტის მეოთხე დანართში ჩამოთვლილი აქტივები, რომლებიც გაერთიანების დაფუძნებისათვის იყო კანადის პროვინციის საკუთრებაში, წარმოადგენს ონტარიოსა და კვებეკის საკუთრებას ერთობლივად.

114. *ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) ვალი.* ნოვა-სკოტია (ახალი შოტლანდია) პასუხისმგებელია კანადის წინაშე იმ თანხის ოდენობით (თუ ამგვარი წარმოიშობა), რა ოდენობითაც გაერთიანების დაფუძნებისათვის მისი სახელმწიფო ვალი გადააჭარბებს რვა მილიონ დოლარს და ვალდებულია პროცენტის სახით ყოველწლიურად გადაიხადოს ამ გადააჭარბებული თანხის ხუთი პროცენტის ოდენობის თანხა. (57)

115. *ნიუ-ბრანსვიკის ვალი.* ნიუ-ბრანსვიკი პასუხისმგებელია კანადის წინაშე იმ თანხის ოდენობით (თუ ამგვარი წარმოიშობა), რა ოდენობითაც გა-

ერთიანების დაფუძნებისათვის მისი სახელმწიფო ვალი გადაჭარბებს შვიდ მილიონ დოლარს და ვალდებულია პროცენტის სახით ყოველწლიურად გადაიხადოს ამ გადაჭარბებული თანხის ხუთი პროცენტი ოდენობის თანხა.

116. *ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკისათვის პროცენტების გადახდა.* იმ შემთხვევაში, თუ ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის სახელმწიფო ვალი გაერთიანების დაფუძნებისათვის არ გადაჭარბებს შესაბამისად რვა მილიონ და შვიდ მილიონ დოლარს, ისინი შესაბამისად უფლებამოსილი არიან მიიღონ ნახევარწლიანი წინასწარი გადახდით სუბსიდი კანადის მთავრობისაგან იმ თანხის ხუთი პროცენტის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს განსხვავებას პროვინციის შესაბამისი ვალის სახით არსებულ ფაქტიურ თანხებსა და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის.

117. *პროვინციული სახელმწიფო საკუთრება.* სხვადასხვა პროვინციები ინარჩუნებენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ყველა შესაბამის ქონებას, რომელთან დაკავშირებითაც ეს აქტი არ შეიცავს სხვაგვარ განკარგულებას, იმის გათვალისწინებით, რომ კანადა იტოვებს უფლებას დაიკავოს ის მიწები ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება, რომელთა გამოყენება საჭირო იქნება ფორტიფიკაციის ან კანადის თავდაცვისათვის.

118. *ამოღებულია.* (58)

119. *დამატებითი სუბსიდი ნიუ-ბრანსვიკისთვის.* ნიუ-ბრანსვიკი უფლებამოსილია გაერთიანების დაფუძნებიდან ათი წლის განმავლობაში ნახევარწლიანი წინასწარი გადახდით მიიღოს კანადისაგან დამატებითი სუბსიდიის სახით სამოცდასამი ათასი დოლარი ყოველწლიურად; მაგრამ ვიდრე ამ პროვინციის სახელმწიფო ვალი არ შემცირდება შვიდ მილიონ დოლარამდე, აღნიშნული სამოცდასამი ათასი დოლარიდან ყოველწლიურად გამოიქვითება ნაშთი იმ თანხის ყოველწლიური ხუთი პროცენტის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ნამეტ სხვაობას შვიდ მილიონ დოლარსა და პროვინციის სახელმწიფო ვალს შორის. (59)

120. *გადახდის ფორმა.* ყველა გადახდა, რომელიც უნდა შესრულდეს ამ აქტის საფუძველზე ან პროვინციების კანადის, ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის შესაბამისად რომელიმე აქტით დადგენილი იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც აღიარებულია კანადის მიერ, უნდა განხორციელდეს საბჭოში გენერალ-გუბერნატორის მიერ განსაზღვრული ფორმით მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი.

121. *კანადური ნაწარმი და ა.შ.* ნებისმიერ პროვინციაში მოყვანილი ან მიღებული ყველა პროდუქტი, ნაწარმი და გადაამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია გაერთიანების დაფუძნებისათვის და დაფუძნების შემდეგ შეუზ-

ლუდავად უნდა იქნეს შეტანილი და გავრცელებული თითოეული პროვინციიდან სხვა პროვინციებში.

122. *საბაჟო და აქციზის კანონების მოქმედების გავრძელება.* თითოეული პროვინციის საბაჟო და აქციზის კანონები, ამ აქტის დებულებათა შესაბამისად, განაგრძობს მოქმედებას მანამ, სანამ შეცვლილი არ იქნება კანადის პარლამენტის მიერ. (60)

123. *ორ პროვინციას შორის ექსპორტი და იმპორტი.* იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანების დაფუძნებისათვის რაიმე საგნებზე, პროდუქტებსა და ტვირთებზე რომელიმე ორ პროვინციაში დაკისრებული იქნება საბაჟო ვალდებულებები, გაერთიანების დაფუძნების შემდეგაც ეს საგნები, პროდუქტები და ტვირთები შეიძლება იმპორტირებულ იქნეს ერთი პროვინციიდან სხვა პროვინციებში მხოლოდ ექსპორტიორი პროვინციის შესაბამისი საბაჟო ვალდებულებების შესასრულებლად თანხის გადახდის დამატებული დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, აგრეთვე იმპორტიორ პროვინციაში საბაჟო ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი თანხის გადახდის შემდეგ (თუ ამგვარი საბაჟო ვალდებულებები დადგენილია). (61)

124. *ტყის გადასახადი ნიუ-ბრანსვიკში.* ამ აქტში არაფერმა არ შეიძლება შეზღუდოს ნიუ-ბრანსვიკის უფლება დააწესოს ტყითსარგებლობის გადასახადი, რომელიც გათვალისწინებულია ნიუ-ბრანსვიკის გადასინჯული სტატუტების მესამე კარის მეთხუთმეტე თავში, ან რომელიმე სხვა აქტით, რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი აღნიშნულ აქტში გაერთიანების დაფუძნებამდე ან მის შემდეგ, და არ გაზარდოს ამ გადასახადის ოდენობა; მაგრამ ტყითსარგებლობაზე სხვა პროვინციებში ნიუ-ბრანსვიკის გარდა გადასახადების დაწესება დაუშვებელია. (62)

125. *სახელმწიფო მიწების გადასახადებისგან გათავისუფლება და ა.შ.* სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არც ერთი მიწა, რომელიც კანადის ან რომელიმე პროვინციის საკუთრებაა დაუშვებელია დაიბეგროს გადასახადით.

126. *პროვინციული საშემოსავლო ფონდი.* გადასახადებისა და შემოსავლების ის ნაწილი, რომლის ამოღების უფლებამოსილებაც გაერთიანების დაფუძნებამდე შესაბამისად ჰქონდათ კანადის, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის პროვინციების ლეგისლატურებს და ამ აქტის დებულებებით ეს უფლებამოსილება შეუნარჩუნდათ შესაბამისი პროვინციების მთავრობებსა და ლეგისლატურებს, აგრეთვე ის გადასახადები და შემოსავლები, რომელთა მიღების უფლებაც მათ წარმოეშობათ ამ აქტით გადაცემული სპეციალური უფლებამოსილებების საფუძველზე, თითოეულ პროვინციაში ქმნიან ერთ ერთიან საშემოსავლო ფონდს, რომელიც მიმართული იქნება პროვინციის სახელმწიფო სამსახურის საჭიროებისათვის.

XI. შერეული დებულებები ზოგადი

127. *ამოღებულია.* (63)

128. *ერთგულების ფიცი და ა.შ.* კანადის სენატისა და თემთა პალატის ყველა წევრი ვალდებულია თანამდებობის დაკავებამდე გენერალ-გუბერნატორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის წინაშე დადოს და ხელმოწერით დაადასტუროს, აგრეთვე ნებისმიერი პროვინციის საკანონმდებლო საბჭოსა და საკანონმდებლო ასამბლეის წევრი ვალდებულია თანამდებობის დაკავებამდე პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის წინაშე დადოს და ხელმოწერით დაადასტუროს ამ აქტის მეხუთე დანართში აღნიშნული ფიცი. კანადის სენატის ყველა წევრი და კვებეკის საკანონმდებლო საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია აგრეთვე თანამდებობის დაკავებამდე გენერალ-გუბერნატორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი რომელიმე პირის წინაშე დადოს და ხელმოწერით დაადასტუროს ამავე დანართში აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების დეკლარაცია.

129. *არსებული კანონების, სასამართლოების, თანამდებობის პირთა და ა.შ. მოქმედების გაგრძელება.* ამ აქტით სხვაგვარად დადგენილი გამონაკლისების გარდა, გაერთიანების დაფუძნებისათვის კანადაში, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკში იურიდიული ძალის მქონე ყველა კანონი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა ყველა სასამართლო და კანონის საფუძველზე არსებული ყველა კომისია, ხელისუფლება და ორგანო, აგრეთვე გაერთიანების დაფუძნებისათვის მოქმედი სასამართლო ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოს, სამინისტროს ყველა თანამდებობის პირი, განაგრძობს მოქმედებას შესაბამისად ონტარიოში, კვებეკში, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკში გაერთიანების დაფუძნების მიუხედავად; თუმცა, ზემოთ აღნიშნული დაწესებულებები და თანამდებობის პირები (გარდა ღიდი ბრიტანეთის პარლამენტის ან ღიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის აქტის საფუძველზე შექმნილი დაწესებულების ან დანიშნული თანამდებობის პირისა) გაუქმებულ, დათხოვნილ ან შეცვლილ იქნეს კანადის პარლამენტის ან შესაბამისი პროვინციის ლეგისლატურის მიერ ამ აქტით პარლამენტისთვის ან შესაბამისი ლეგისლატურისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა შესაბამისად. (64)

130. *თანამდებობის პირების კანადის სამსახურში გადაყვანა.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, სხვადასხვა პროვინციების თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს იმ საკითხებზე, რაც ამ აქტით არ არის შეტანილი

პროვინციების ლეგილატურის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს მიკუთვნებულ საკითხთა ჩამონათვალში, წარმოადგენენ კანადის თანამდებობის პირებს და განაგრძობენ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას შესაბამის თანამდებობებზე იგივე ვალდებულებებით, პასუხისმგებლობითა და დარღვევის შემთხვევაში სასჯელის დაკისრებით, გაერთიანების შექმნის მიუხედავად. (65)

131. *ახალი თანამდებობის პირების დანიშვნა.* მანამ, სანამ კანადის პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, საბჭოში გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია დრო და დრო თანამდებობებზე დანიშნოს აღნიშნული თანამდებობის პირები, თუ საბჭოში იგი ამას საჭიროდ ან შესაბამისად ჩათვლის ამ აქტის აღსრულებისათვის.

132. *სახელმწიკრულებო ვალდებულებები.* კანადის პარლამენტი და მთავრობა, როგორც ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი, აღჭურვილი არიან ყველა საჭირო და შესაბამისი ხელისუფლებითა და უფლებამოსილებით, შეასრულონ კანადის ან მისი რომელიმე პროვინციის მიერ უცხოეთის სახელმწიფოთა წინაშე ნაკისრი ის ვალდებულებები, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიასა და ამ უცხოურ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს.

133. *ინგლისური და ფრანგული ენების გამოყენება.* კანადის პარლამენტის პალატებსა და კვებეკის ლეგისლატურის პალატებში ნებისმიერი პირისათვის დაშვებულია ინგლისური ან ფრანგული ენების გამოყენება; მაგრამ ამ პალატების ოქმების ჩანაწერებისა და ჟურნალების წარმოებისას ორივე ენის გამოყენება სავალდებულოა. დაშვებულია ერთი ან ორივე ენის გამოყენება ნებისმიერი პირის მიერ სასამართლო დოკუმენტებში ან სასამართლო განხილვებისას კანადის იმ სასამართლოებში, რომლებიც ამ აქტის საფუძველზეა შექმნილი, აგრეთვე კვებეკის ყველა ან რომელიმე სასამართლოში.

კანადის პარლამენტისა და კვებეკის ლეგისლატურის მიერ გამოცემული აქტები უნდა დაიბეჭდოს და გამოქვეყნდეს ამ ორივე ენაზე. (66)

ონტარიო და კვებეკი

134. *ონტარიოსა და კვებეკისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნა.* მანამ, სანამ ონტარიოსა და კვებეკის ლეგისლატურების მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, ონტარიოსა და კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორები უფლებამოსილი არიან პროვინციის დიდი ბეჭედდასმული აქტის გამოცემით, იმ ვადით, რა ვადითაც თვითონ მოისურვებენ, თანამდებობაზე დანიშნონ შემდეგი თანამდებობის პირები, სახელდობრ: გენერალური ატორნეი, პროვინციის მდივანი და რევის-

ტრატორი, პროვინციის ხაზინადარი, გვირგვინის მიწების კომისარი და სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების კომისარი, ხოლო კვებეკის შემთხვევაში გენერალური სოლისიტორი; და უფლებამოსილი არიან საბჭოში ლეიტენანტ-გუბერნატორის ბრძანების გამოცემით დრო და დრო განსაზღვრონ ამ თანამდებობის პირების, მათზე დაქვემდებარებული სხვადასხვა დეპარტამენტების ან იმ დეპარტამენტების, რომლებშიც ეს თანამდებობის პირები შედიან და ამ დეპარტამენტების სხვა თანამდებობის პირებისა და მოხელეების უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, იმ ვადით, რა ვადითაც ლეიტენანტ-გუბერნატორები მოისურვებენ, თანამდებობაზე დანიშნონ სხვა და დამატებითი თანამდებობის პირები და დრო და დრო განსაზღვრონ ამ თანამდებობის პირების, მათზე დაქვემდებარებული სხვადასხვა დეპარტამენტების ან იმ დეპარტამენტების, რომლებშიც ეს თანამდებობის პირები შედიან და ამ დეპარტამენტების სხვა თანამდებობის პირებისა და მოხელეების უფლება-მოვალეობები. (67)

135. *აღასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა ხელისუფლება, უფლება-მოვალეობანი და ა. შ.* მანამ, სანამ ონტარიოსა და კვებეკის ლეგისლატურების მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, ყველა უფლება, უფლებამოსილება, მოვალეობა, ფუნქცია, პასუხისმგებლობა ან ხელისუფლება, რომელიც ამ აქტის მიღებისათვის დაკისრებული იყო ან აღსრულდება გენერალური ატორნეის, გენერალური სოლისიტორის, კანადის პროვინციის მდივნისა და რეგისტრატორის, ფინანსთა მინისტრის, გვირგვინის მიწების კომისარის, საზოგადოებრივი სამუშაოების კომისარისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისა და გენერალური ხაზინადარის მიერ ზემო კანადის, ქვემო კანადის, ან კანადის რომელიმე კანონის, სტატუტის ან ორდონანსის საფუძველზე და არ ეწინააღმდეგება ამ აქტის დებულებებს, დაკისრებული იქნება და აღსრულდება ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების, ან რომელიმე მათგანის განსახორციელებლად დანიშნული თანამდებობის პირების მიერ; სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა კომისარი შეასრულებს ზემოთ აღნიშნული სოფლის მეურნეობის მინისტრის უფლება-მოვალეობებსა და ფუნქციებს, რომლებიც ამ აქტის მიღებისათვის მასზე იყო დაკისრებული, აგრეთვე შეასრულებს საზოგადოებრივ სამუშაოთა კომისარის უფლება-მოვალეობებსა და ფუნქციებს. (68)

136. *ღიდი ბეჭდები.* მანამ, სანამ შეცვლილი არ იქნება საბჭოში ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ, ონტარიოსა და კვებეკის ღიდი ბეჭდები იქნება იგივე ან იგივე ნიმუშის, როგორითაც იგი გამოიყენებოდა შესაბამისად ზემო კანადისა და ქვემო კანადის პროვინციებში, ვიდრე ისინი გაერთიანდებოდნენ კანადის პროვინციაში.

137. *დროებითი აქტების განმარტება.* სიტყვები „და ამ დროიდან ლევის-ლატურის მომდევნო სესიის დასრულებამდე“, ან იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია კანადის პროვინციის ნებისმიერ დროებით აქტში, რომელთაც არ დაუკარგავთ იურიდიული ძალა გაერთიანების დაფუძნებამდე, განმარტებულ უნდა იქნეს როგორც კანადის პარლამენტთან დაკავშირებული და მისი გამოყენება გავრცელდეს კანადის პარლამენტის მომდევნო სესიაზე, თუ ამ აქტით განსაზღვრული საკითხები შედის მის კომპეტენციაში, ან განმარტებულ უნდა იქნეს ონტარიოსა და კვებეკის ლევისლატურებთან დაკავშირებით და მისი გამოყენება გავრცელდეს შესაბამისად ონტარიოს ან კვებეკის ლევისლატურის მომდევნო სესიაზე, თუ ამ აქტით განსაზღვრული საკითხები შედის ონტარიოს ან კვებეკის ლევისლატურის კომპეტენციაში.

138. *დასახელებებში შეცდომებთან დაკავშირებით.* გაერთიანების დაფუძნებამდე ან დაფუძნების შემდეგ სიტყვების „ზემო კანადის“ ნაცვლად „ონტარიოს“ ან „ქვემო კანადის“ ნაცვლად „კვებეკის“ გამოყენება იურიდიულ ძალას უკარგავს აღნიშნულ სიტყვებს ნებისმიერ მოქმედებაში, ჩანაწერში, პროცედურაში, სასამართლო განხილვაში, დოკუმენტში, მასალებსა და საქმიან ქაღალდებში.

139. *გაერთიანების დაფუძნებამდე მიღებული პროკლამაციებისათვის გაერთიანების დაფუძნების შემდეგაც იურიდიული ძალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.* კანადის პროვინციის დიდი ბეჭედდასმული ნებისმიერი პროკლამაცია, რომელიც გამოცემულ იქნა გაერთიანების დაფუძნებამდე, დამოუკიდებლად იმისა, შეეხება თუ არა იგი, ან მასში გაცხადებული რომელიმე საკითხი ამ პროვინციას, ან ზემო კანადას, ან ქვემო კანადას, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას გაერთიანების დაფუძნების შემდეგაც, მიუხედავად გაერთიანების დაფუძნებისა. (69)

140. *გაერთიანების დაფუძნების შემდეგ პროკლამაციების გამოცემის შესახებ.* კანადის პროვინციის დიდი ბეჭედდასმული ნებისმიერი პროკლამაცია, რომლის გამოცემაც გათვალისწინებული იყო კანადის პროვინციის ლევისლატურის მიერ მიღებული რომელიმე აქტით ამ პროვინციასთან ან ზემო კანადის ან ქვემო კანადის პროვინციასთან დაკავშირებით და რომელიც არ ყოფილა გამოცემული გაერთიანების დაფუძნებამდე, შეიძლება გამოცემულ იქნეს ონტარიოს ან კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაბამისად მათი დიდი ბეჭდის დასმით; და ამგვარი პროკლამაციის გამოცემიდან და შემდეგშიც მასში მითითებული სხვადასხვა საკითხები და მონაცემები იმოქმედებს სრული იურიდიული ძალით ონტარიოსა და კვებეკში, მიუხედავად გაერთიანების დაფუძნებისა. (70)

141. *სასჯელალსრულების სისტემა*. მანამ, სანამ პარლამენტის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, კანადის პროვინციის სასჯელალსრულებითი სისტემა განაგრძობს მოქმედებას ონტარიოსა და კვებეკისათვის. (71)

142. *ვალებთან და ა. შ. დაკავშირებული არბიტრაჟი*. ზემო კანადისა და ქვემო კანადის ვალების, კრედიტების, ვალდებულებების, საკუთრებისა და პროცენტების გაყოფა და განაწილება განსახილველად გადაცემულ უნდა იქნეს არბიტრაჟისთვის სამი არბიტრის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი შერჩევა ონტარიოს მთავრობის, ერთი კვებეკის მთავრობის და ერთიც კანადის მთავრობის მიერ; და ამ არბიტრთა შერჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ კანადის პარლამენტისა და ონტარიოსა და კვებეკის ლეგისლატურების შეკრების შემდეგ; კანადის მთავრობის მიერ შერჩეული არბიტრი არ შეიძლება იყოს ონტარიოს ან კვებეკის მცხოვრები. (72)

143. *არქივების გაყოფა*. საბჭოში გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია დრო და დრო გამოსცეს ბრძანება, რომ კანადის პროვინციის არქივების, წიგნებისა და დოკუმენტების ის რაოდენობა, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ, გამოყოს და გადასცეს ონტარიოსა ან კვებეკის პროვინციებს და ამის შემდეგ ისინი წარმოადგენს ამ პროვინციის საკუთრებას; და ნებისმიერი ასლი ან ამონარიდი აღნიშნული დოკუმენტებიდან, რომელიც დადგენილი წესით დამოწმებულ იქნება ამ დოკუმენტების ორიგინალების შენახვაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ, განიხილება მტკიცებულებად. (73)

144. *დაბების შექმნა კვებეკში*. კვებეკის ლეიტენანტ-გუბერნატორი უფლებამოსილია დრო და დრო პროვინციის დიდი ბეჭედლასმული პროკლამაციის გამოცემით პროკლამაციით დადგენილი დღიდან დააფუძნოს დაბები კვებეკის პროვინციის იმ ნაწილებში, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ ყოფილა შექმნილი და განსაზღვროს მათი საზღვრები და ფარგლები.

X. კოლონიათაშორისი რკინიგზა

145. *ამოღებულია*. (74)

XI. სხვა კოლონიების მიღება

146. *გაერთიანებაში ნიუფაუნდლენდის და ა. შ. მიღების უფლებამოსილება*. დედოფალს ენიჭება უფლებამოსილება მისი უდიდებულესობის ღრმადპატივცემული საიდუმლო საბჭოს რჩევით კანადის პარლამენტის პალატების მიმართვისა და ამასთანავე ნიუფაუნდლენდის, პრინც ედუარდის კუნძულისა და ბრიტანეთის კოლუმბიის კოლონიების ან პროვინციების შესაბამისი ლეგისლატურების პალატების მიმართვის საფუძველზე ნება დართოს ამ კოლონიებსა და პროვინციებს ან რომელიმე მათგანს მიღებულ იქნენ გაერთიანების

შემადგენლობაში, აგრეთვე კანადის პარლამენტის პალატების მომართვით ნება დართოს რუპერტის მიწასა და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიას ან რომელიმე მათგანს მიღებულ იქნენ გაერთიანების შემადგენლობაში იმ ვადებში და პირობებით, როგორც ეს იქნება გამოხატული ამ მიმართებებში და დედოფალი მოისურვებს მის დამტკიცებას ამ აქტის დებულებათა შესაბამისად; და ამ საკითხებზე საბჭოში გამოცემული ნებისმიერი ბრძანების დებულებებს ექნებათ ისეთი იურიდიული ძალა, როგორც დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს. (75)

147. *ნიუფაუნდლენდისა და პრინც ედუარდის კუნძულის სენატში წარმომადგენლობის შესახებ.* გაერთიანებაში ნიუფაუნდლენდისა და პრინც ედუარდის კუნძულის ან რომელიმე მათგანის მიღების შემთხვევაში, თითოეული მათგანი უფლებამოსილი იქნება წარმოდგენილ იქნეს კანადის სენატში ოთხი წევრით და (ამ აქტის ნებისმიერი დებულების მიუხედავად) ნიუფაუნდლენდის მიღების შემთხვევაში სენატორთა ნორმალური რაოდენობა იქნება სამოცდათექვსმეტი, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს ოთხმოცდაორი; მაგრამ გაერთიანებაში პრინც ედუარდის კუნძულის მიღებისას იგი შეყვანილ იქნება მესამე ნაწილის შემადგენლობაში იმ სამი ნაწილიდან, რომლებსაც კანადა არის დაყოფილი ამ აქტით სენატის შემადგენლობასთან დაკავშირებით, და შესაბამისად გაერთიანებაში პრინც ედუარდის კუნძულის მიღების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ნიუფაუნდლენდი მიღებული იქნება თუ არა, ნოვა-სკოტიასა (ახალი შოტლანდია) და ნიუ-ბრანსვიკის წარმომადგენლობა სენატში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გათავისუფლდება ადგილები შემცირდება შესაბამისად თორმეტიდან ათ წევრამდე და თითოეული ამ პროვინციის წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა ნებისმიერ დროს დაუშვებელია ათ წევრზე მეტ რაოდენობამდე, გარდა ამ აქტით დადგენილი შემთხვევისა, როდესაც დედოფლის მითითების შესაბამისად ხდება სამი ან ექვსი დამატებითი სენატორის დანიშვნა. (76)

დანართი პირველი(77)

ონტარიოს საარჩევნო ოლქები

ა. არსებული საარჩევნო ერთეულები

საგრაფოები

1. პრესკოტი;
2. გლენგარი;
3. სტორმონტი;
4. დუნდასი;
5. რასელი;

6. კარლუტონი;
7. პრინც ელუარდი;
8. პალტონი;
9. ესექსი.

საგრაფოების რაიდინგები (ოლქები)

10. ლანარკის ჩრდილოეთ რაიდინგი;
11. ლანარკის სამხრეთ რაიდინგი;
12. ლიდსის ჩრდილოეთ რაიდინგი და გრენვილის ჩრდილოეთ რაიდინგი;
13. ლიდსის სამხრეთ რაიდინგი;
14. გრენვილის სამხრეთ რაიდინგი;
15. ნორთუმბერლენდის აღმოსავლეთ რაიდინგი;
16. ნორთუმბერლენდის დასავლეთ რაიდინგი (გარდა მასში შემავალი დაბა სამხრეთ მონაჰანისა);
17. დურჰამის აღმოსავლეთ რაიდინგი;
18. დურჰამის დასავლეთ რაიდინგი;
19. ონტარიოს ჩრდილოეთ რაიდინგი;
20. ონტარიოს სამხრეთ რაიდინგი;
21. იორკის აღმოსავლეთ რაიდინგი;
22. იორკის დასავლეთ რაიდინგი;
23. იორკის ჩრდილოეთ რაიდინგი;
24. ვენტვორთის ჩრდილოეთ რაიდინგი;
25. ვენტვორთის სამხრეთ რაიდინგი;
26. ელგინის აღმოსავლეთ რაიდინგი;
27. ელგინის დასავლეთ რაიდინგი;
28. ვატერლოოს ჩრდილოეთ რაიდინგი;
29. ვატერლოოს სამხრეთ რაიდინგი;
30. ბრანტის ჩრდილოეთ რაიდინგი;
31. ბრანტის სამხრეთ რაიდინგი;
32. ოქსფორდის ჩრდილოეთ რაიდინგი;
33. ოქსფორდის სამხრეთ რაიდინგი;
34. მიდლესექსის აღმოსავლეთ რაიდინგი;

ქალაქები, ქალაქების ნაწილები და მცირე ქალაქები

35. დასავლეთი ტორონტო;
36. აღმოსავლეთ ტორონტო;
37. ჰამილტონი;

38. ოტავა;
39. კინგსტონი;
40. ლონდონი;
41. ქალაქი ბრუკლინი მასზე მიბმული დაბა ელიზაბეტთან;
42. ქალაქი ნიაგარა მასზე მიბმული დაბა ნიაგარით;
43. ქალაქი კორნუოლი მასზე მიბმული დაბა კორნუოლით.

ბ. ახალი საარჩევნო ერთეულები

44. ალგომას დროებითი სასამართლო ოლქი;
ბრუსის საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონებად, შესაბამისად ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონების სახელწოდებით;
45. ბრუსის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – ბური, ლინდსეი, ესტონრი, არბელმაბლე, ამაბლე, არანი, ბრუსი, ელდერსლაი და საუგენი, აგრეთვე სოფელ საუთჰემპტონს;
46. ბრუსის საგრაფოს სამხრეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – კინკარდინი (სოფელ კინკარდინის ჩათვლით), გრიინოკი, ბრანტი, ჰურონი, კინროსი, კულროსი და კარიკი;
ჰურონის საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონებად, შესაბამისად ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონების სახელწოდებით;
47. ჰურონის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – აშფილდი, ვეანოში, ტარნბერი, ჰოვიკი, მორისი, გრეი, გოლბორნი, ჰალეტი, სოფლების – კლინტონისა და მაკილოპის ჩათვლით;
48. ჰურონის საგრაფოს სამხრეთი რაიონი, მოიცავს ქალაქ გოდერიჩს, დაბებს – გოდერიჩი, ტაკერსმიტი, სტენლი, ჰაი, უსბორნი და სტუენი;
მიდლესექსის საგრაფო დაყოფილი სამ რაიონებად, შესაბამისად ჩრდილოეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონების სახელწოდებით;
49. მიდლესექსის საგრაფოს, ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – მაკგილიერეი და ბიდულპი (ჰურონის საგრაფოს შემადგენლობიდან), აგრეთვე აღმოსავლეთი ვილიამსი, დასავლეთი ვილიამსი, ადელაიდა და ლობო;
50. მიდლესექსის საგრაფოს დასავლეთ რაიონი, მოიცავს დაბებს – დელავარი, კარადოკი, მეტკალფი, მოსა და ეფორდი, აგრეთვე სოფელ სორათრონის;
- [მიდლესექსის საგრაფოს აღმოსავლეთი რაიონი, მოიცავს მის გარშემო მდებარე დაბებს იმ საზღვრებით, რომლებიც მათ ამ დროისათვის გააჩნიათ];
51. ლამბტონის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ბოსანქვეტი, ვარეიკი, პლიმპტონი, სარნია, მური, ენისკილენი და ბრუკი, აგრეთვე ქალაქ სარნიას;

52. კენტის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ჩათქემი, დუკრი, აღმოსავლეთი ტილბური, რომნი, რელი, აგრეთვე ქალაქ ჩათქემს;
53. ბოთველის საგრაფო, მოიცავს დაბებს – სომბრა, დაუნი და ეუფიშია (ლაბტონის საგრაფოს შემადგენლობიდან), აგრეთვე დაბებს – ზონი, გამდენი მისი სოლისებურად შეჭრილი ტერიტორიით, ორფორდი და ჰოვარდი (კენტის საგრაფოს შემადგენლობიდან);
- გრეის საგრაფო, დაყოფილი ორ რაიდინგად, შესაბამისად ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიდინგების სახელწოდებით:
54. გრეის საგრაფოს სამხრეთი რაიდინგი, მოიცავს დაბებს – ბენტინკი, გლინიგლი, არტემისია, ოსპრეი, ნორმანბი, ეგრემონტი, პროტონი და მე-ლანქტონი;
55. გრეის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიდინგი, მოიცავს დაბებს – ქოლინგუ-დი, ეუფრაზია, პოლანდი, სან-ვინსენტი, სიდენჰამი, სულივანი, დერბი, კეპელი, სარავაკი და ბრუკი, აგრეთვე ქალაქ ოვენ საუნდს;
- პერთის საგრაფო, დაყოფილი ორ რაიდინგად, შესაბამისად სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიდინგების სახელწოდებით:
56. პერთის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიდინგი, მოიცავს დაბებს – ვალასი, ელმა, ლოვანი, ელისი, მორნინგტონი და ჩრდილოეთი ესტჰოპი, აგრეთვე ქალაქ სტრატფორდს;
57. პერთის საგრაფოს სამხრეთი რაიდინგი, მოიცავს დაბებს – ბლანჩჰარდი, დრენი, სამხრეთ ესტჰოპი, ფულარტონი ჰიბერი, აგრეთვე სოფლებს – მიტჩელი და სტე მარისი;
- ველინგტონის საგრაფო, დაყოფილი სამ რაიდინგად, შესაბამისად ჩრდილოეთ, სამხრეთ და ცენტრალური რაიდინგების სახელწოდებით:
58. ველინგტონის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიდინგი, მოიცავს დაბებს – ამარანტი, არტური, ლუთერი, მინტო, მარბოროუ, პილი, აგრეთვე სოფელ მაუნტ ფორესტს;
59. ველინგტონის საგრაფოს ცენტრალური რაიდინგი, მოიცავს დაბებს – გარაფრაქსა, ერინი, ერამოსა, ნიჩოლი და ფილკინგტონი, აგრეთვე სოფლებს ფერგუსი და ელორა;
60. ველინგტონის საგრაფოს სამხრეთი რაიდინგი, მოიცავს ქალაქ გუელფს, დაბებს – გუელფი და პუსლინიჩი;
- ნორფოლკის საგრაფო, დაყოფილი ორ რაიდინგად, შესაბამისად სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიდინგების სახელწოდებით:
61. ნორფოლკის საგრაფოს სამხრეთი რაიდინგი მოიცავს დაბებს – ჩარლოტევილი, ჰაუგტონი, ვოლსინგემი და ვუდჰაუსი მისი სოლისებურად შეჭრილი ტერიტორიით;

62. ნორფოლკის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – მიდლტონი, თაუნსენდი და ვინდჰამი, აგრეთვე ქალაქ სიმკოუს;
63. პალდიმანდის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ონიდა, სენეკა, ჩრდილოეთი კაიუგა, სამხრეთი კაიუგა, რენჰამი, ვალპული და დანი;
64. მონკის საგრაფო, მოიცავს დაბებს – კანბოროუ და მაულტონი, შერბრუკი, სოფელ დანვილს (პალდიმანდის საგრაფოს შემადგენლობიდან), დაბებს – კაინსტერი და გეინსბოროუ (ლინკოლნის საგრაფოს შემადგენლობიდან) და დაბებს – პელჰამსა და ვაინფლიტს (ველანდის საგრაფოს შემადგენლობიდან);
65. ლინკოლნის საგრაფო, მოიცავს დაბებს – კლინტონი, გრანტჰემი, გრიმსბი და ლაუთი, აგრეთვე ქალაქს სანტ კატერინესი;
66. ველანდის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ბერტი, ქროვლანდი, ჰამპერსტონი, სტამფორდი თოროლდი და ვილაუგბი, აგრეთვე სოფლებს – ჩიპევა, კლიფტონი, ფორტ ური, თოროლდი და ველანდი;
67. პილის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ჩინგუაქუსი, ტორონტო და ტორონტოს შეჭრილი მიწა, აგრეთვე სოფლებს – ბრამპტონი და სტრიიტსვილი;
68. გარდველის საგრაფო, მოიცავს დაბებს – ალბიონი და კალდონი (პილის საგრაფოს შემადგენლობიდან), აგრეთვე დაბებს – აჯალა და მონო (სიმკოუს საგრაფოს შემადგენლობიდან);
- სიმკოუს საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონებად, შესაბამისად სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონების სახელწოდებით:
69. სიმკოუს საგრაფოს სამხრეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – დასავლეთ გვილიმბური, ტეკუმსეტი, ინისფილი, ესსა, ტოსორონტიო, მალმური, აგრეთვე სოფელ ბრადფორდს;
70. სიმკოუს საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – ნოტავასაგა, სანიდეილი, ვესპრა, ფლოსი, ორო, მელოუნტი, ორილია და მატჩედაში, ტინი და ტეი, ბალაკლავა და რობინსონი, აგრეთვე ქალაქებს – ბარი და კოლინგუელი;
- ვიქტორიას საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონებად, შესაბამისად სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონების სახელწოდებით:
71. ვიქტორიას საგრაფოს სამხრეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – ოპსი, მარიპოსა, ემილი, ვერულამი, აგრეთვე ქალაქ ლინდსეის;
72. ვიქტორიას საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – ანსონი, ბექსლეი, გარდენი, დალტონი, დიგბი, ელდონი, ფენელონი, ჰინდონი, ლაქსტონი, ლუტერვიორთი, მაკაულაი და დრაპერი, სომერვილი, მორისონი, მუსკოკა, მონკი და ვათი (სიმკოუს საგრაფოს შემადგენლობიდან), აგრეთვე

ყველა სხვა მომიჯნავე დაბას, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნული ჩრდილოეთ რაიონის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ;

პეტერბოროუს საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონგად, შესაბამისად დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონების სახელწოდებით;

73. პეტერბოროუს საგრაფოს დასავლეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – სამხრეთ მონაჰანი (ნორთუმბერლანდის საგრაფოს შემადგენლობიდან), ჩრდილოეთ მონაჰანი, სმიტი და ენისმორი, აგრეთვე ქალაქ პეტერბოროუს;

74. პეტერბოროუს საგრაფოს აღმოსავლეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – ასფოდელი, ბელმონტი და მეთუენი, დოურო, დამერი, გალვეი, პარვეი, მინდენი, სტანჰოპი და დისარტი, ოტონაბი, სნოვდენი, აგრეთვე სოფელ აშურნკემსა და ყველა სხვა მომიჯნავე დაბას, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნული დასავლეთ რაიონის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ;

ჰასტინგსის საგრაფო, დაყოფილი სამ რაიონგად, შესაბამისად დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონების სახელწოდებით;

75. ჰასტინგსის საგრაფოს დასავლეთი რაიონი, მოიცავს ქალაქ ბელევილს, დაბა სიდნისა და სოფელ ტრენტონს;

76. ჰასტინგსის საგრაფოს აღმოსავლეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – თარლოუ, ტიენდინაგა და ჰანგერფორდი;

77. ჰასტინგსის საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – რაედონი, ჰანტინგდონი, მადოკი, ელზევირი, ტულორი, მარმორა და ლეიკი, აგრეთვე სოფელ სტირლინგსა და ყველა სხვა მომიჯნავე დაბას, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნული ჩრდილოეთ რაიონის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ;

78. ლენოქსის საგრაფო, მოიცავს დაბებს – რიჩმონდი, ადოლფსთაუნი, ჩრდილოეთ ფრედერიკსბურგი, სამხრეთ ფრედერიკსბურგი, ერნესტ თაუნი, ამპერსტ ისლანდი, აგრეთვე სოფელ ნაჰანიის;

79. აღინგტონის საგრაფო, მოიცავს დაბებს – კამდენი, პორტლანდი, შეფილდი, ჰინჩინბრუკი, კალადარი, კენებეკი, ოლდენი, ოსო, ანგლესია, ბარი, კლარენდონი, პალმერსტონი, ეფინგჰამი, აბინერი, მილერი, კანონტო, დენბი, ლაუპბოროუ და ბედფორდი;

80. ფრონტენაკის საგრაფო, მოიცავს დაბებს – კინგსტონი, ვოლფ ისლანდი, ჰიტსბურგი და ჰაუ ისლანდი, აგრეთვე სტორინგტონი;

რენფრიუს საგრაფო, დაყოფილი ორ რაიონგად, შესაბამისად სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონების სახელწოდებით;

81. რენფრიუს საგრაფოს სამხრეთი რაიონი, მოიცავს დაბებს – მაკნაბი, ბაგოტი, ბლითფილდი, ბრუკჰემი, ჰორტონი, ადმასტონი, გრატანი, მატვატჩანი, გრიფიტი, ლინდოჩი, რადკლიფი, ბრუდენელი, სებასტოპოლი, აგრეთვე სოფლებს – არნპრიორი და რენფრიუ;

82. რენფრიუს საგრაფოს ჩრდილოეთი რაიონები, მოიცავს დაბებს – როსი, ბრომლეი, ვესტმეითი, სტაფორდი, პემბროუკი, ვილბერფორსე, ელაისი, პეტავა, ბუნანანი, სამხრეთ ალგონა, ჩრდილოეთ ალგონა, ფრასერი, მაკეი, ვილიე, როლფი, პედი, მარია, კლარა, პაგერტი, შერვუდი, ბარნსი და რიჩარდსი, აგრეთვე ყველა სხვა მომიჯნავე დაბას, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნული ჩრდილოეთ რაიონების ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გასწვრივ.

გაერთიანების დაფუძნებისათვის არსებული ყველა ქალაქი და რეგისტრირებული სოფელი, რომელიც კონკრეტულად არ არის აღნიშნული ამ დანართში, წარმოადგენს იმ საგრაფოს ან საგრაფოს რაიონების შემადგენელ ნაწილს, რომელთანაც ტეროტორიულად ყველაზე ახლოს მდებარეობს.

დანართი მეორე

კეპეკისათვის სპეციალურად შექმნილი საარჩევნო ოლქები

საგრაფოები: პონტიაკი, ოტავა, ერჯენტვილი, პანტიგლონი, მისისკუი, ბროუმი, შეფორდი, სტანსტიდი, კომპტონი, ვოლფი და რიჩმონდი, მეგანტიკი, ქალაქი შერბრუკი.

დანართი მესამე

პროვინციული საზოგადოებრივი სამუშაოები და ქონება, რომელიც კანადის საკუთრებას წარმოადგენს

1. არხები, მათთან დაკავშირებული მიწითა და წყლის მართვის საშუალებებით;
2. სახელმწიფო ნავსადგურები,
3. შუქურები და დამბები, აგრეთვე საბლის კუნძული;
4. ორთქლმავალი გემები, სპეციალური აღწერილობის გემები და სახელმწიფო ხომალდები;
5. მდინარეებისა და ტბების მართვა;
6. რკინიგზა, რკინიგზის აქციები, გირაუნობა და სარკინიგზო კომპანიების სხვა ვალეები;
7. სამხედრო გზები;
8. საბაჟო პუნქტები, საფოსტო სადგურები, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფო დანიშნულების შენობა, გარდა კანადის მთავრობის მიერ პროვინციების ლეგისლატურებისა და მთავრობების სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობებისა;
9. იმპერიის მთავრობის მიერ გადაცემული ქონება, ცნობილი საარტილერიო ქონების სახელწოდებით;

10. არსენალები, სამხედრო სწავლებლებისათვის გამოყენებული შენობა-ნაგებობები, სამხედრო ჩაცმულობა და შეიარაღება, აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის გამოსაყენებელი მიწები.

დანართი მეოთხე

აქტივები, რომლებიც ონტარიოსა და კვებეკის ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს

ზემო კანადის სამშენებლო ფონდი;

ჭკუასუსტთა თავშესაფრები;

სააღმზრდელი-საგანმანათლებლო დაწესებულებები (ჩვეულებრივი სკოლები);
სასამართლოს შენობები აილმერში, მონრეალში, კამურასკაში (ქვემო კანადა);

იურისტთა საზოგადოება (ზემო კანადა);

მონრეალის საგზაო სამსახურების სამმართველო;

უნივერსიტეტის მუდმივი ფონდი;

სამეფო ინსტიტუტი;

ერთიანი მუნიციპალური საკრედიტო ფონდი (ზემო კანადა);

ერთიანი მუნიციპალური საკრედიტო ფონდი (ქვემო კანადა);

სოფლის მეურნეობის საზოგადოება (ზემო კანადა);

ქვემო კანადის საკანონმდებლო სუბსიდია;

კვებეკის ხანძრისაგან დაზარალებულთა საკრედიტო ფონდი;

ტემისკუატას საავანსო ანგარიში;

კვებეკის საგზაო სამსახურების სამმართველო;

საგანმანათლებლო ფონდი – აღმოსავლეთი;

სამშენებლო ფონდი და ნაფიც მსაჯულთა ფონდი (ქვემო კანადა);

მუნიციპალიტეტების ფონდი;

უმაღლესი განათლების საშემოსავლო ფონდი (ქვემო კანადა).

დანართი მეხუთე

ერთგულების ფიცი

„მე, ვფიცავ ვიყო ერთგული და ჭეშმარიტად ვემსახურო მის უდიდებულესობა დედოფალ ვიქტორიას.“

შენიშვნა: მეფის ან დედოფლის სახელი დრო და დრო შეიცვლება შესაბამისად იმ დროისათვის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე მყოფი მონარქის სახელით.

დეკლარაცია მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ

„მე, , ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ სრულად ვაკმაყოფილებ კანადის სენატის წევრობისათვის (ან შესაბამისად სხვა თანამდებობის პირისადმი, გარემოებებიდან გამომდინარე) წაყენებულ მოთხოვნებს; და მე კანონიერად და სამართლიანად მესაკუთრის სახით ჩემი პირადი სარგებლობისა და შემოსავლის მიღებისათვის თავისუფლად ან საერთო სარგებლობის (ან იჯარის) უფლებით უპირობოდ ვფლობ მიწებს ან უძრავ ქონებას [ან ჩემი პირადი გამოყენებისა და სარგებლობის მიღების მიზნით საკუთრებაში გამაჩნია ან ვფლობ მიწას ან უძრავ ქონებას *Franc-alleu* და *Roiture* უფლებების საფუძველზე (გარემოებებიდან გამომდინარე)] ნოვა-სკოტიას (ახალი შოტლანდია) პროვინციაში (ან შესაბამისად სხვა პროვინციაში გარემოებებიდან გამომდინარე) არანაკლებ ოთხი ათასი დოლარის ღირებულებით, რომელიც აღემატება ან თავისუფალია ყოველგვარი ქირის, ვალების, ვალდებულებების, იპოთეკისა და გირავნობისაგან; და მე შეთქმულებით ან თაღლითობით არ მომიპოვებია ეს საკუთრება ან მიმიღია აღნიშნული მიწები და უძრავი ქონება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი, იმისათვის, რომ გავმხდარიყავი კანადის სენატის წევრი (ან შესაბამისად სხვა თანამდებობის პირი გარემოებებიდან გამომდინარე); და ჩემი უძრავი და მოძრავი ქონება ერთად ნამდვილად არის არანაკლებ ოთხი ათასი დოლარის ღირებულებისა ყოველგვარი ვალებისა და ვალდებულებების გარეშე.

დანართი მეექვსე⁽⁷⁸⁾

არაგანაზღვრადი ბუნებრივი რესურსებისა და სატყეო რესურსების გადამუშავებით მიღებული პირველადი პროდუქცია

1. ამ აქტის 92ა მუხლის მიზნებისათვის:

ა) პროდუქცია არაგანაზღვრადი ბუნებრივი რესურსების გადამუშავებით მიღებულ პირველად პროდუქციად ჩაითვლება თუ:

(I) არის იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იგი მოიპოვება ან გამოიყოფა მისი თავდაპირველი ბუნებრივი მდგომარეობიდან; ან

(II) მიღებულია გადამუშავების ან გასუფთავების გზით და არ წარმოადგენს წარმოებულ პროდუქციას ან იმ პროდუქციას, რომელიც მიიღება ნედლი ნავთობის გადამუშავების გზით, გაუმჯობესებული მძიმე ნედლი ნავთო-

დანართი „ბ“
1982 წლის კანადის კონსტიტუციური აქტი⁽⁷⁹⁾

პროკლამაცია კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტის შესახებ

კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტი ამოქმედებულად ცხადდება
1982 წლის 17 აპრილიდან

*დელოფალი ელისაბედ მეორე
ჟან კრეტიენი – კანადის იუსტიციის მინისტრი*

ელისაბედ მეორე, ღვთის წყალობით დიდი ბრიტანეთის, კანადის, სხვა სამეფოებისა და ტერიტორიების დელოფალი, თანამეგობრობის მეტაური, სარწმუნოების დამცველი, მიესალმება ყველას, ვისაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს წინამდებარე დებულებებთან

პ რ ო კ ლ ა მ ა ც ი ა

იმის გათვალისწინებით,

რომ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა კანადის თხოვნითა და თანხმობით წარსულში რამდენჯერმე შეცვალა აქტის ცალკეული დებულებები, დიდი ბეჭდის გამოყენებით;

რომ, კანადელები, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ქვეშევრდომნი, ფლობენ სრულ უფლებამოსილებას ცვლილებები შეიტანონ კანადის კონსტიტუციაში;

რომ სასურველი იქნებოდა, კანადის კონსტიტუციაში ასახულიყო ადამიანის ძირითადი უფლებებსა და თავისუფლებებიდან ზოგიერთი, აგრეთვე განხორციელებულიყო კონსტიტუციის სხვა ცვლილებები;

რომ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა კანადის თხოვნითა და თანხმობით მიიღო ეს აქტი, რომელიც ადგენს მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას;

რომ, 1982 წლის კონსტიტუციური აქტის 58-ე მუხლი განსაზღვრავს 1982 წლის 59-ე მუხლის დებულებათა დაცვით ამ აქტის ძალაში შესვლის შესაძლებლობას იმ დღეს, რომელიც დადგენილი იქნება კანადის დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციით.

ჩვენ, კანადისათვის შექმნილი ჩვენი საიდუმლო საბჭოს რჩევით, ჩვენი ამ პროკლამაციით ვაცხადებთ, რომ 1982 წლის კონსტიტუციური აქტი, მისი 59-ე მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით, ძალაში

შედის ქრისტიეზობიდან ათას ცხრაას ოთხმოცდარი წლის აპრილის მეჩვიდმეტე დღეს.

ჩვენ ვთხოვთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომებსა და ყველას, ვისაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს ამ დებულებებთან, მხედველობაში მიიღონ იგი და იხელმძღვანელონ ამ აქტით,

რომლის დამადასტურებელი წერილიც ჩვენ პატენტის სახით გადავცით და მასზე დასმული იქნება კანადის დიდი ბეჭედი.

შესრულებულია ჩვენს ქალაქ ოტავაში ქრისტიეზობიდან ათას ცხრაას ოთხმოცდარი წლის აპრილის მეჩვიდმეტე დღესა და ჩვენი მეფობის ოცდამეთერთმეტე წელს.

მისი უდიდებულესობა ელისაბედ მეორის დავალებით

ანდრე უელეტი

კანადის გენერალური რევისტრატორი

პიერ ტრუდო

კანადის პრემიერ-მინისტრი

ნაწილი I. უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია

იმდნად, რამდნადაც კანადა დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომლებიც აღიარებენ ღვთის უზენაესობასა და კანონის მმართველობას:

უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები

1. *უფლებები და თავისუფლებები კანადაში.* უფლებებისა და თავისუფლებების კანადის ქარტია მასში მოცემულ უფლებებსა და თავისუფლებებს აღიარებს და უზრუნველყოფს მხოლოდ კანონით დადგენილი იმგვარი შეზღუდვებით გონივრულ ფარგლებში, რომელთა სამართლიანობა უდავოა თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ძირითადი თავისუფლებანი

2. *ძირითადი თავისუფლებანი.* ყველას აქვს შემდეგი ძირითადი თავისუფლებანი:

ა) სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება;

ბ) აზრის, რწმენის, შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლება, ბეჭდვითი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების ჩათვლით;

- გ) მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება;
- დ) გაერთიანების თავისუფლება.

დემოკრატიული უფლებები

3. *მოქალაქეთა ძირითადი უფლებები.* კანადის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება ხმა მისცეს კანადის თემთა პალატის ან საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა არჩევნებში, აგრეთვე შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში არჩეულ იქნეს წევრად.

4. *საკანონმდებლო ორგანოთა უფლებამოსილების მაქსიმალური ხანგრძლივობა.* (1) არც თემთა პალატის და არც საკანონმდებლო ასამბლეის უფლებამოსილება არ შეიძლება გაგრძელდეს ხუთ წელიწადზე მეტ ხანს იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნებული იქნება მათი წევრების არჩევნების სიები. (80)

ვადის გახანგრძლივება განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას. (2) საომარი მდგომარეობის ან ამგვარი საფრთხის არსებობისას, შეიარაღებული შემოსევის ან შეიარაღებული აჯანყების შემთხვევაში თემთა პალატის უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს იქნეს კანადის პარლამენტის, ხოლო საკანონმდებლო ასამბლეის უფლებამოსილება – შესაბამისი ლეგისლაციური მიერ, ხუთ წელზე მეტი ვადით, იმ პირობით, თუ ამგვარი ვადის გაგრძელების წინააღმდეგ ხმას არ მისცემს თემთა პალატის ან შესაბამისად საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა არაუმეტეს ერთი-მესამედი. (81)

5. *საკანონმდებლო ორგანოთა ყოველწლიური სესია.* პარლამენტი და თითოეული ლეგისლატურა სესიაზე უნდა შეიკრიბოს ყოველ თორმეტ თვეში ერთხელ მაინც. (82)

გადაადგილების უფლებები

6. *მოქალაქეთა გადაადგილება.* (1) ყველა მოქალაქეს აქვს უფლება შემოვიდეს, იმყოფებოდეს და გავიდეს კანადიდან.

გადაადგილებისა და საარსებო საშუალებების გამომუშავების უფლება. (2) ყველა მოქალაქესა და იმ პირს, რომელსაც აქვს კანადაში მუდმივად მყოფის სტატუსი, უფლება აქვს:

ა) თავისუფლად გადაადგილდეს და იმყოფებოდეს ნებისმიერ პროვინციაში;

ბ) გამოიმუშავოს საარსებო საშუალებები ნებისმიერ პროვინციაში.

შეზღუდვები. (3) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს:

ა) კანონებით ან საერთო გამოყენების ჩვეულებებით, რომლებიც ამ პროვინციაში გამოიყენება, თუ ისინი არ ადგენენ დისკრიმინაციულ განსხვავებას პროვინციაში თავდაპირველადვე მცხოვრებ მოქალაქეებსა და ამ დროისათვის პროვინციაში მყოფ პირებს შორის;

ბ) კანონებით, რომლებიც ადგენენ სამართლიან მოთხოვნებს პროვინციაში მუდმივად ყოფნასთან დაკავშირებით, როგორც პირობებს სახელმწიფო სოციალური სამსახურის მომსახურებით სარგებლობისათვის.

სოციალური დაცვის პროგრამები. (4) მე-2 და მე-3 პუნქტებმა არ შეიძლება შეაჩეროს რაიმე კანონის, პროგრამის ან საქმიანობის მოქმედება, რომლის მიზანია სოციალურად და ეკონომიკურად დაზარალებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება იმ პროვინციაში, რომლის დასაქმების დონე უფრო დაბალია, ვიდრე დასაქმების დონე მთელ კანადაში.

იურიდიული უფლებები

7. *პიროვნების სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოება.* ყველას აქვს სიცოცხლის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და ამ უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხორციელდება მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

8. *ჩხრეკა ან ჭიხების კონფისკაცია.* ყველას აქვს უფლება დაცული იყოს უსამართლო ჩხრეკისა და კონფისკაციისგან.

9. *დაკავება ან დაპატიმრება.* ყველას აქვს უფლება დაცული იყოს თვითნებური დაკავების ან დაპატიმრებისგან.

10. *დაპატიმრება ან დაკავება.* ყველას აქვს უფლება დაპატიმრების ან დაკავებისას:

ა) დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების შესახებ;

ბ) შეუფერხებლად მიმართოს და მიიღოს ადვოკატის დახმარება და ინფორმირებული იყოს ამ უფლების შესახებ;

გ) პტონდეს მისი დაკავების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობა ატვას ჩორაუს-ით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და უსამართლოდ დაკავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს.

11. *პროცედურები დანაშაულისა და სასჯელის სფეროში.* დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს:

ა) დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე მიიღოს ინფორმაცია იმ დანაშაულის ხასიათის შესახებ, რომლის ჩადენაც ედება ბრალად;

ბ) გასამართლებულ იქნეს გონივრულ ვადაში;

- გ) არ იქნეს იძულებული მოწმედ გამოვიდეს პროცესზე თავისი თავის წინააღმდეგ იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;
- დ) ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ არ იქნება ცნობილი ბრალდებულად კანონით დადგენილი წესით სამართლიან და ღია სასამართლო პროცესზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ;
- ე) დასაბუთებული მიზეზების არსებობის გარდა არ შეეზღუდოს გონივრულ ფარგლებში გირაოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა;
- ვ) გასამართლებული იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ან სხვა უფრო მკაცრი სასჯელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამხედრო ხასიათის სამართალდარღვევის ჩადენის გამო გასამართლება ხდება სამხედრო სასამართლოს მიერ;
- ზ) არ იქნეს ცნობილი დამნაშავედ რაიმე ქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტიდან არ ითვლებოდა სამართალდარღვევად კანადის შიდა კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით, ან არ ითვლებოდა დანაშაულად ერთა გაერთიანების მიერ აღიარებული სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად;
- თ) არ იქნეს გასამართლებული ხელმოკრედ იმ სამართალდარღვევისათვის, რომელთან დაკავშირებითაც იგი საბოლოოდ იყო გამართლებული; ან არ იქნეს გასამართლებული ხელმოკრედ იმ სამართალდარღვევისათვის, რომელთან დაკავშირებითაც იგი საბოლოოდ იყო ცნობილი დამნაშავედ და დაისაჯა;
- ი) შეეფარდოს სასჯელის უფრო მსუბუქი ზომა, იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ და დადგენილი იყო განსხვავებული სასჯელის ზომები სამართალდარღვევის ჩადენისას და განაჩენის გამოტანისას.
12. *მოპყრობა ან დასჯა.* ყველას აქვს უფლება დაცული იყოს სასტიკი ან არაჩვეულებრივი მოპყრობის ან დასჯისაგან.
13. *თვითდაპირალება.* მოწმეს, რომელმაც ჩვენება მისცა რომელიმე პროცესზე, უფლება აქვს მის მიერ ამ პროცესზე მიცემული ჩვენება არ იქნეს გამოყენებული მის წინააღმდეგ ბრალდების დასამტკიცებლად სხვა პროცესზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება დაკავშირებულია ცრუმოწმობასთან ან ყალბი ჩვენების მიცემასთან.
14. *თარგმნა.* მხარეს ან მოწმეს, რომელსაც რომელიმე პროცესზე არ ესმის პროცესის ენა ან ვერ ლაპარაკობს პროცესის ენაზე, ან ყრუ-მუნჯია უფლება აქვს ისარგებლოს თარგმნის დახმარებით.

15. *კანონის წინაშე თანასწორობა და კანონით თანასწორი დაცვა და სარგებლობა.* (1) ყველა პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და უფლება აქვს დაცული იყოს კანონით და ისარგებლოს კანონით დადგენილი სიკეთით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კონკრეტულად, რასობრივი, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკის ან შეზღუდული გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად.

სოციალური დაცვის პროგრამები. (2) პირველმა პუნქტმა არ შეიძლება შეაჩეროს რაიმე კანონის, პროგრამის ან საქმიანობის მოქმედება, რომლის მიზანია დაზარალებულ პირთა ან პირთა ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება, იმ პირთა ჩათვლით, რომელთა ამგვარი მდგომარეობა გამოწვეულია მათი რასობრივი, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკის ან შეზღუდული გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობებით. (83)

კანადის ოფიციალური ენები

16. *კანადის ოფიციალური ენები.* (1) ინგლისური და ფრანგული კანადის ოფიციალური ენებია და მათ აქვთ თანაბარი სტატუსი და თანაბარი უფლებები და პრივილეგიები კანადის პარლამენტისა და მთავრობის ყველა დაწესებულებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

ნიუ-ბრანსვიკის ოფიციალური ენები. (2) ინგლისური და ფრანგული ნიუ-ბრანსვიკის ოფიციალური ენებია და მათ აქვთ თანაბარი სტატუსი და თანაბარი უფლებები და პრივილეგიები ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურისა და მთავრობის ყველა დაწესებულებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

სტატუსისა და გამოყენების მიღწევა. (3) ამ ქარტილაში არაფერი არ ზღუდავს პარლამენტის ან ლეგისლატურის უფლებამოსილებას განახორციელონ ღონისძიებები ინგლისური და ფრანგული ენების თანაბარი სტატუსის ან გამოყენების მისაღწევად.

16.1. *ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი თემები ნიუ-ბრანსვიკში.* (1) ინგლისურენოვან თემსა და ფრანგულენოვან თემს ნიუ-ბრანსვიკში აქვთ თანაბარი სტატუსი და თანაბარი უფლებები. და პრივილეგიები, მათ შორის ისეთი განსაკუთრებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კულტურული დაწესებულებების შექმნის უფლება, როგორც საჭიროა ამ თემების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურისა და მთავრობის როლი. (2) უდავოდ დადგენილია ნიუ-ბრანსვიკის ლეგისლატურისა და მთავრობის ფუნქცია პირ-

ველ პუნქტში მითითებული სტატუსის, უფლებებისა და პრივილეგიების დაცვასა და განვითარებაში. (83.1)

17. *პარლამენტის პროცედურები.* (1) ყველას აქვს უფლება გამოიყენოს ინგლისური ან ფრანგული ენები პარლამენტში რომელიმე განხილვის ან სხვა პროცედურების დროს. (84)

ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატურის პროცედურები. (2) ყველას აქვს უფლება გამოიყენოს ინგლისური ან ფრანგული ენები ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატურაში რომელიმე განხილვის ან სხვა პროცედურების დროს. (85)

18. *საპარლამენტო სტატუტები და ჩანაწერები.* (1) პარლამენტის სტატუტები, ოქმების ჩანაწერები და ჟურნალები დაბეჭდილი და გამოქვეყნებული უნდა იქნეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ორივე ენაზე შესრულებული ვერსია თანასწორად ავთენტურია. (86)

ნიუ-ბრანსვიკის სტატუტები და ჩანაწერები. (1) ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატურის სტატუტები, ოქმების ჩანაწერები და ჟურნალები დაბეჭდილი და გამოქვეყნებული უნდა იქნეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ორივე ენაზე შესრულებული ვერსია თანასწორად ავთენტურია. (87)

19. *პროცედურები პარლამენტის მიერ შექმნილ სასამართლოებში.* (1) ინგლისური ან ფრანგული ენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პიროვნების მიერ საქმის განხილვის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე კანადის პარლამენტის მიერ შექმნილ ნებისმიერ სასამართლოში. (88)

პროცედურები ნიუ-ბრანსვიკის სასამართლოებში. (2) ინგლისური ან ფრანგული ენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პიროვნების მიერ საქმის განხილვის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ნიუ-ბრანსვიკის ნებისმიერ სასამართლოში. (89)

20. *მოსახლეობის ურთიერთობები ფედერალურ დაწესებულებებთან.* (1) კანადის ნებისმიერ მოსახლეს უფლება აქვს მიმართოს და მიიღოს შესაბამისი მომსახურება კანადის პარლამენტის ან მთავრობის დაწესებულების სათავეო ან ცენტრალური განყოფილებებიდან ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე, აგრეთვე ისარგებლოს ამ უფლებით ყველა სხვა განყოფილებასთან ან/და დაწესებულებასთან ურთიერთობებისას, რომლებშიც:

ა) ამ ენების გამოყენება განპირობებულია ამ დაწესებულებასთან ურთიერთობის და მის მიერ გასაწევი მომსახურების განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) დაწესებულების ხასიათიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მასთან ურთიერთობისას და მის მიერ გასაწევი მომსახურების მიღებისას ინგლისური ან ფრანგული ენის გამოყენების შესაძლებლობა.

მოსახლეობის ურთიერთობები ნიუ-ბრანსვიკის დაწესებულებებთან. (2) ნიუ-ბრანსვიკის ნებისმიერ მოსახლეს უფლება აქვს მიმართოს და მიიღოს

შესაბამისი მომსახურება ნიუ-ბრანსვიკის ლევისლატურის ან მთავრობის დაწესებულების განყოფილებებიდან ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.

21. *არსებული კონსტიტუციური დებულებების მოქმედების გაგრძელება.* მე-16-მე-20 მუხლებში არაფერი აუქმებს ან არღვევს რაიმე უფლებას, პრივილეგიას ან ვალდებულებას ინგლისურ ან ფრანგულ ენებთან, ან რომელიმე მათგანთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს ამ დროისათვის ან რომლის მოქმედება გაგრძელებულია კანადის კონსტიტუციის რომელიმე სხვა დებულებით. (90)

22. *შენარჩუნებული უფლებები და პრივილეგიები.* მე-16-მე-20 მუხლებში არაფერი აუქმებს ან არღვევს რაიმე იურიდიულ ან ჩვეულებით უფლებას ან პრივილეგიას, რომელიც წარმოშობილია ან რომლითაც სარგებლობდნენ ინგლისური და ფრანგული ენების გარდა სხვა ენებთან დაკავშირებით ამ ქარტიის ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ.

უმცირესობათა ენებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო უფლებები

23. *საგანმანათლებლო ენები.* (1) კანადის მოქალაქენი:

ა) რომელთა მიერ თავდაპირველად შესწავლილ და სასაუბრო ენას წარმოადგენს ის ენები, რომლებზეც მათი ადგილსამყოფელი პროვინციის ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი უმცირესობანი საუბრობენ;

ბ) რომელთაც კანადის დაწყებით სკოლებში განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე და ცხოვრობენ იმ პროვინციაში, სადაც ის ენა, რომელზედაც მათ მიღებული აქვთ განათლება, წარმოადგენს ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი უმცირესობების სასაუბრო ენას, უფლება აქვთ მათ შეიღებოს დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლება მიაღებინონ იმავე ენაზე იმავე პროვინციაში. (91)

განათლების ენის გამოყენების გაგრძელება. (2) კანადის მოქალაქეებს, რომელთა ერთმა შვილმა მაინც კანადის დაწყებით ან საშუალო სკოლაში მიიღო ან იღებს განათლებას ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე, უფლება აქვთ მათ სხვა შვილებსაც დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლება მიაღებინონ იმავე ენაზე.

გამოყენება, სადაც რაოდენობა უზრუნველყოფილია. (3) კანადის მოქალაქეთა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უფლება მათ შვილებს დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლება მიაღებინონ ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი უმცირესობების ენაზე რომელიმე პროვინციაში:

ა) გამოიყენება მთელ ტერიტორიაზე, როდესაც პროვინციაში იმ მოქალაქეთა შვილების რაოდენობა, რომელთაც ამგვარი უფლება აქვთ საკმარისია,

რათა უზრუნველყოფილ იქნეს უმცირესობათა ენებზე განათლების მისაღებად სახელმწიფო ფონდებიდან ხარჯების გაღება; და

ბ) როდესაც ამგვარი ბავშვების რაოდენობა იმდენია, რომ საკმარისია მათ მიერ უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ფონდებიდან ხარჯების გაღებისათვის.

აღსრულება

24. *გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსრულება.* (1) ყველას, რომელთა ამ ქარტილით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები დაირღვევა ან შეიზღუდება, უფლება აქვს მიმართოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს რათა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რომლებსაც სასამართლო ჩათვლის შესაბამისად და სამართლიანად ამ გარემოებებისათვის.

მართლმსაჯულების ორგანოების რეპუტაციაზე უარყოფითი გავლენის გამომწვევი ჩვენებების დაუშვებლობა. (2) პირველი პუნქტით დადგენილი პროცედურის დროს, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ ჩვენებები (მტკიცებულებები) მოპოვებულია ისეთი გზით, რომლითაც დაირღვა ან შეიზღუდა ამ ქარტილით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები, ჩვენება (მტკიცებულება) გამორიცხული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას, თუ დადგენილია, რომ ყველა შემთხვევაში მისი სასამართლო პროცესზე დაშვება, უარყოფით გავლენას მოახდენს მართლმსაჯულების ორგანოთა რეპუტაციაზე.

ზოგადი

25. *აბორიგენი მოსახლეობის უფლებები და თავისუფლებები, რომლებზეც გავლენას არ ახდენს ეს ქარტა.* ამ ქარტილით გარანტირებული კონკრეტული უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, რომ გაუქმდეს ან დაირღვეს აბორიგენული, სახელმწიკრულებო ან რომელიმე სხვა უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც დაკავშირებულია კანადის აბორიგენ მოსახლეობასთან, მათ შორის:

ა) რაიმე უფლებები ან თავისუფლებები, რომლებიც აღიარებულია 1763 წლის 7 ოქტომბრის სამეფო პროკლამაციით;

ბ) რაიმე უფლებები ან თავისუფლებები, რომლებიც ამ დროისთვის არსებობს მიწებთან დაკავშირებულ დავებზე დადებული შეთანხმებებით ან მიღწეულია ამგვარად. (92)

26. *სხვა უფლებები და თავისუფლებები, რომლებზეც გავლენას არ ახდენს ეს ქარტია.* ამ ქარტიით გარანტირებული კონკრეტული უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, რომ შეიზღუდოს კანადაში არსებული სხვა უფლებები და თავისუფლებები.

27. *სხვადასხვა კულტურათა მემკვიდრეობა.* ეს ქარტია განმარტებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს კანადელთა სხვადასხვა კულტურების მემკვიდრეობის დაცვა და მოვლა-პატრონობა.

28. *ორივე სქესისათვის თანაბრად გარანტირებული უფლებები.* ამ ქარტიაში არაფერმა არ შეიძლება შეზღუდოს, რომ მასში მითითებული უფლებები და თავისუფლებები თანასწორად იქნეს გარანტირებული მამაკაცებისა და ქალებისათვის.

29. *ცალკეული კატეგორიის სკოლებთან დაკავშირებული უფლებები.* ამ ქარტიაში არაფერმა არ შეიძლება გააუქმოს ან დაარღვიოს რაიმე უფლებები ან პრივილეგიები, რომლებიც გარანტირებულია კანადის კონსტიტუციით რელიგიური, დამოუკიდებელი ან დისიდენტური სკოლებისათვის. (93)

30. *ქარტიის გამოყენება ტერიტორიებზე და ტერიტორიული ხელისუფლების ორგანოების მიერ.* ამ ქარტიაში სიტყვების – პროვინცია ან საკანონმდებლო ასამბლეა ან ლევისლატურა – მოხსენიებისას ითვლება, რომ მათ შორის მოიხსენიება იუკონის ტერიტორია და ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, აგრეთვე შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება, გარემოებიდან გამომდინარე.

31. *საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებაზე გაუვრცელებლობა.* არაფერი ამ ქარტიაში არ ვრცელდება რომელიმე ხელისუფლების ან ორგანოს საკანონმდებლო უფლებამოსილებაზე.

ქარტიის გამოყენება

32. *ქარტიის გამოყენება.* (1) ეს ქარტია გამოიყენება:

ა) კანადის პარლამენტისა და მთავრობის მიერ პარლამენტის უფლებამოსილებაში შემაჯავლ ყველა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება იუკონის ტერიტორიასა და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიას;

ბ) თითოეული პროვინციის ლევისლატურისა და მთავრობის მიერ ამ პროვინციის ლევისლატურის უფლებამოსილებაში შემაჯავლ ყველა საკითხთან დაკავშირებით.

გამონაკლისი. (2) პირველი პუნქტის მიუხედავად მე-15 მუხლი ვერ შევა ძალაში, სანამ ამ მუხლის ამოქმედებიდან არ გავა სამი წელი.

33. *დეკლარაციით გამოხატული გამოწვევისი.* (1) პარლამენტი ან პროვინციის ლეგისლატურა უფლებამოსილია ღია დეკლარაციით პარლამენტის ან ლეგისლატურის აქტით (გარემოებებიდან გამომდინარე) დაადგინოს, რომ ეს აქტი ან რომელიმე მისი ნაწილი იმოქმედებს მე-2 ან მე-7-15 მუხლებით განმტკიცებული დებულებების მიუხედავად.

გამონაკლისის მოქმედება. (2) აქტი ან აქტის რომელიმე დებულება, რომელთან დაკავშირებითაც ამ მუხლის საფუძველზე გამოცემული იქნება დეკლარაცია, ძალაში შევა და იმოქმედებს ქარტიის დებულებებთან დაკავშირებით იმგვარად, როგორც ეს დადგენილი იქნება დეკლარაციით.

ხუთწლიანი შეზღუდვა. (3) პირველი პუნქტის საფუძველზე გამოცემული დეკლარაცია იმოქმედებს მისი გამოცემის დღიდან არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში ან უფრო ადრე, თუ ამგვარი თარიღი დადგენილი იქნება თავად დეკლარაციით.

ხელმოწერა ძალაში შესვლა. (4) პარლამენტი ან პროვინციის ლეგისლატურა უფლებამოსილია ხელმოწერდ აამოქმედოს პირველ პუნქტში მითითებული დეკლარაცია.

ხუთწლიანი შეზღუდვა. (5) მე-4 პუნქტის თანახმად ხელმოწერდ ამოქმედებულ დეკლარაციაზე ვრცელდება მე-3 პუნქტის დებულება.

34. *შემოკლებული სახელწოდება.* ეს ნაწილი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც უფლებებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია.

ნაწილი II. კანადის აბორიგენი მოსახლეობის უფლებები

35. *არსებული აბორიგენული და სახელმწიკრულებო უფლებების აღიარება.* (1) კანადის აბორიგენი მოსახლეობის არსებული აბორიგენული და სახელმწიკრულებო უფლებები უდავოდ აღიარებული და განმტკიცებულია.

„კანადის აბორიგენი მოსახლეობის“ განმარტება. (2) ამ აქტში ტერმინი „კანადის აბორიგენი მოსახლეობა“ მოიცავს კანადის ინდიელ, ინუიტ და მეტიის ხალხებს.

მიწებთან დაკავშირებულ დავებზე დადებული შეთანხმებები. (3) უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის პირველ პუნქტში „სახელმწიკრულებო უფლებები“ მოიცავს ამ დროისათვის მიწებთან დაკავშირებულ დავებზე დადებული შეთანხმებების საფუძველზე არსებულ ან ამგვარად მიღწეულ უფლებებს.

აბორიგენული და სახელმწიკრულებო უფლებების ორივე სქესისათვის თანაბრად გარანტირებულობა. (4) ამ აქტის ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად პირველ პუნქტში მითითებული აბორიგენული და სახელმწიკრულებო უფლებები თანაბრად არის გარანტირებული მამაკაცებისა და ქალებისათვის. (94)

35.1. საკონსტიტუციო კონფერენციაში მონაწილეობის ვალდებულება. კანადის მთავრობა და პროვინციების მთავრობები ვალდებული არიან დაიცვან პრინციპი, რომლის თანახმადაც „1867 წლის კონსტიტუციური აქტის“ 91-ე მუხლის 24-ე სტრიქონში, ამ აქტის 25-ე მუხლში ან ამ ნაწილში ცვლილებების შეტანამდე:

ა) კანადის პრემიერ-მინისტრმა უნდა მოიწვიოს კონსტიტუციური კონფერენცია კანადის პრემიერ-მინისტრისა და პროვინციების პირველი მინისტრების შემადგენლობით, რომლის დღის წესრიგში იქნება აღნიშნული ცვლილებები; და

ბ) კანადის პრემიერ-მინისტრმა უნდა მოიწვიოს კანადის აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენლები ამ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად. (95)

ნაწილი III. გათანაბრება და რეგიონული უთანასწორობა

36. თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ვალდებულება. (1) პარლამენტის ან პროვინციების ლეგისლატურების უფლებამოსილების ან მათი საკანონმდებლო ხელისუფლების აღსრულებასთან დაკავშირებულ უფლებებში ან რომელიმე მათგანში ცვლილებების შეტანის გარეშე, პარლამენტი და ლეგისლატურები კანადის მთავრობასთან და პროვინციების მთავრობებთან ერთად ვალდებული არიან:

ა) განავითარონ თანაბარი შესაძლებლობები კანადელთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად;

ბ) ხელი შეუწყონ ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, რათა შემცირდეს უთანასწორობა შესაძლებლობებს შორის;

გ) უზრუნველყონ ყველა კანადელისთვის ხარისხიანი ძირითადი საზოგადოებრივი სამსახურების ხელმისაწვდომობა.

საზოგადოებრივ სამსახურებთან დაკავშირებული ვალდებულება. (2) კანადის პარლამენტი და მთავრობა ვალდებული არიან განაზოგადონ გათანაბრებითი გადახდების პრინციპი პროვინციების მთავრობების საკმარისი შემოსავლებით უზრუნველყოფის მიზნით, რათა მათ გონივრულად შედარებით ღონეზე განავითარონ საზოგადოებრივი სამსახურები გონივრულად შედარებით ღონეზე არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში. (96)

ნაწილი IV. კონსტიტუციური კონფერენცია

37. ამოღებულია. (97)

ნაწილი IV. კონსტიტუციური კონფერენციები

37.1. ამოღებულია. (98)

ნაწილი V. კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურა(99)

38. *კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ძირითადი პროცედურა.* (1) კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ კანადის დიდი ბეჭედ-დასმული პროკლამაციის გამოცემის გზით, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს:

ა) სენატისა და თემთა პალატის რეზოლუციის საფუძველზე; და

ბ) იმ პროვინციების საკანონმდებლო ასამბლეების არანაკლებ ორი მესამედის რეზოლუციის საფუძველზე, რომელთა მოსახლეობის რაოდენობაც ბოლო საყოველთაო აღწერის მიხედვით შეადგენს კანადის ყველა პროვინციის მოსახლეობის საერთო რაოდენობის არანაკლებ ორმოცდაათ პროცენტს მაინც.

წევრთა უმრავლესობა. (2) პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ზღუდავს საკანონმდებლო ხელისუფლებას, საკუთრებასთან დაკავშირებულ უფლებებს ან პროვინციის ლეგისლატურის ან მთავრობის უფლებებსა და პრივილეგიებს, მიღებულ უნდა იქნეს სენატის, თემთა პალატისა და პირველ პუნქტში მითითებული ლეგისლატურების წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერილი რეზოლუციით.

შეუთანხმებლობის გამოხატვა. (3) მე-2 პუნქტში მითითებული საკონსტიტუციო ცვლილება ძალაში არ შევა იმ პროვინციის მიმართ, რომლის საკანონმდებლო ასამბლეამაც შესაბამისი პროკლამაციის გამოცემამდე წევრთა უმრავლესობის მიერ მხარდაწერილი რეზოლუციით გამოხატა თავისი შეუთანხმებლობა აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უარყოფითი რეზოლუციის მხარდამჭერი საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა უმრავლესობა უარყოფს შეუთანხმებლობას და მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას.

შეუთანხმებლობის გაუქმება. (4) მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული შეუთანხმებლობის რეზოლუცია შეიძლება გაუქმებულ იქნეს იმ პროკლამაციის ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ, რომელთან დაკავშირებითაც იგი იქნა მიღებული.

39. *პროკლამაციასთან დაკავშირებული შეზღუდვა.* (1) 38-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროკლამაცია არ შეიძლება იქნეს

გამოცემული საკონსტიტუციო ცვლილების შეტანის პროცედურის დაწყების თაობაზე რეზოლუციის დამტკიცების დღიდან ერთი წლის გასვლამდე, სანამ თითოეული პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ წინასწარ არ იქნება მიღებული თანხმობის ან შეუთანხმებლობის რეზოლუცია.

იგივე. (2) 38-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროკლამაცია არ შეიძლება იქნეს გამოცემული საკონსტიტუციო ცვლილების შეტანის პროცედურის დაწყების თაობაზე რეზოლუციის დამტკიცების დღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ.

40. *კომპენსაცია.* იმ შემთხვევაში, როდესაც 38-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილება იწვევს განათლებასთან ან სხვა კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული პროვინციული საკანონმდებლო უფლებამოსილებების პროვინციის ლეგისლაციური კომპეტენციიდან პარლამენტისათვის გადაცემას, კანადამ უნდა უზრუნველყოს სათანადო კომპენსაციის გადაცემა იმ პროვინციებისათვის, რომელთაც აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება არ შეხებიათ.

41. *ერთსულოვანი თანხმობით განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილება.* მხოლოდ კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ სენატისა და თემთა პალატის, აგრეთვე თითოეული პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეის თანხმობის რეზოლუციის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კანადის დიდი ბეჭედღასმული პროკლამაციის გამოცემით შეიძლება საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება შემდეგ საკითხებზე:

ა) დელოფლის, გენერალ-გუბერნატორისა და პროვინციის ლეიტენანტ-გუბერნატორის თანამდებობებთან დაკავშირებით;

ბ) პროვინციის უფლებასთან დაკავშირებით — წარმოდგენილი იყოს თემთა პალატაში არანაკლებ წევრთა იმ რაოდენობით, რა რაოდენობის წევრებითაც იგი წარმოდგენილია სენატში, ამ ნაწილის ძალაში შესვლის მომენტისათვის;

გ) 43-ე მუხლის შესაბამისად ინგლისური და ფრანგული ენების გამოყენებასთან დაკავშირებით;

დ) კანადის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობასთან დაკავშირებით;

ე) ამ ნაწილში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

42. *ცვლილებების შეტანა ჩვეულებრივი პროცედურით.* მხოლოდ 38-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად შეიძლება იქნეს შეტანილი ცვლილებები კანადის კონსტიტუციაში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) კანადის კონსტიტუციით დადგენილი თემთა პალატაში პროვინციების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპი;

ბ) სენატის უფლებამოსილება და სენატორთა შერჩევის წესი;

გ) წვერთა რაოდენობა, რომლითაც პროვინცია უფლებამოსილია წარმოადგენილ იქნეს სენატში, აგრეთვე სენატორებისათვის წაყენებული საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნა;

დ) კანადის უზენაეს სასამართლოსთან 41-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაკავშირებული საკითხები;

ე) არსებული პროვინციების ტერიტორიების გაფართოება;

ვ) ახალი პროვინციების დაფუძნება, მიუხედავად რომელიმე სხვა კანონის ან ჩვეულებისა.

გამონაკლისი. (2) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საკითხებთან დაკავშირებით არ გამოიყენება 38-ე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები.

43. *ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა პროვინციასთან დაკავშირებულ დებულებებში ცვლილებების შეტანა.* კანადის კონსტიტუციის დებულებებში ცვლილებების შეტანა, რომლებიც შეეხება ერთ ან მეტ პროვინციას, მაგრამ არა ყველა პროვინციას, და მოიცავს:

ა) პროვინციებს შორის საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ცვლილებებს იმ დებულებებში, რომლებიც შეეხება პროვინციაში ინგლისური და ფრანგული ენების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიძლება განხორციელდეს გენერალ-გუბერნატორის მიერ კანადის დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციის გამოცემით, მხოლოდ სენატისა და თემთა პალატის, აგრეთვე იმ პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეის რეზოლუციის საფუძველზე, რომელსაც აღნიშნული ცვლილება შეეხება.

44. *პარლამენტის მიერ ცვლილებების შეტანა.* 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად პარლამენტი უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანადის მთავრობასთან, სენატთან და თემთა პალატასთან დაკავშირებით.

45. *პროვინციების ლეგისლატურების მიერ ცვლილებების შეტანა.* 41-ე მუხლის შესაბამისად პროვინციის ლეგისლატურა უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები პროვინციის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

46. *ცვლილებების შეტანის პროცედურის ინიცირება.* (1) 38-ე, 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად ცვლილებების შეტანის პროცედურა შეიძლება ინიცირებულ იქნეს სენატის ან თემთა პალატის ან პროვინციის ლეგისლატურის მიერ.

უფლებამოსილების გაუქმება. (2) ამ ნაწილის მიზნებისათვის გამოცემული თანხმობის რეზოლუცია შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს მის საფუძველზე პროკლამაციის გაუქმებამდე.

47. *ცვლილებების შეტანა სენატის რეზოლუციის გარეშე.* (1) 38-ე, 41-ე, 42-ე ან 43-ე მუხლის შესაბამისად კანადის კონსტიტუციაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს სენატის მიერ ამ პროკლამაციასთან დაკავშირებით უფლებამოსილების (თანხმობის) რეზოლუციის მიღების გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც თემთა პალატის მიერ უფლებამოსილების (თანხმობის) რეზოლუციის დამტკიცების შემდეგ ასოთხმოცი დღის განმავლობაში სენატი არ დაამტკიცებს აღნიშნულ რეზოლუციას და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ნებისმიერ დროს თემთა პალატა განმეორებით დაამტკიცებს ამ რეზოლუციას.

დროის გამორიცხვა. (2) პირველი პუნქტით დადგენილი ასოთხმოცდღიანი ვადის ათელისას არ ჩაითვლება ნებისმიერი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პარლამენტი იმყოფებოდა არდადეგებზე ან დათხოვნილი იყო.

48. *რჩევა პროკლამაციის გამოცემისას.* კანადისათვის შექმნილი დელოფლის საიდუმლო საბჭო რჩევას აძლევს გენერალ-გუბერნატორს ამ ნაწილის შესაბამისად პროკლამაციის გამოცემის თაობაზე, მას შემდეგ, რაც ამ ნაწილის თანახმად დამტკიცებული იქნება რეზოლუციები პროკლამაციის შემუშავებით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

49. *კონსტიტუციური კონფერენცია.* ამ ნაწილის დებულებათა გადასინჯვის მიზნით კანადის პრემიერ-მინისტრის მიერ ამ ნაწილის ძალაში შესვლიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში მოწვეულ იქნება კონსტიტუციური კონფერენცია კანადის პრემიერ-მინისტრისა და პროვინციების პირველი მინისტრების შემადგენლობით.

ნაწილი VI. 1867 წლის კონსტიტუციურ აქტში ცვლილებების შეტანა

50. *ამოღებულია.* (100)

51. *ამოღებულია.* (101)

ნაწილი VII. ზოგადი

52. *კანადის კონსტიტუციის უზენაესობა.* (1) კანადის კონსტიტუცია კანადის უზენაესი კანონია და ნებისმიერი კანონი, რომელიც შეუსაბამობაშია მის დებულებებთან, არ მოქმედებს ან მას არ გააჩნია იურიდიული ძალა იმ ნაწილში, რომელშიც იგი შეუსაბამობაშია კონსტიტუციასთან.

კანადის კონსტიტუცია. (2) კანადის კონსტიტუცია მოიცავს:

ა) კანადის 1982 წლის აქტს ამ აქტის ჩათვლით;

ბ) დანართში მითითებულ აქტებსა და ბრძანებებს;

გ) „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებულ აქტებსა და ბრძანებებში რაიმე ცვლილებებსა და დამატებებს.

კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. (3) კანადის კონსტიტუციაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მასში მითითებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

53. *გაუქმებები და ახალი სახელწოდებები.* (1) დანართის I სვეტში აღნიშნული კანონები გაუქმდება ან შეიცვლება II სვეტის მიხედვით. გაუქმებულის გარდა სხვა კანონები განაგრძობენ მოქმედებას კანადაში III სვეტში მოცემული სახელწოდებებით.

ცვლილებებში ცვლილებების შემტანი ცვლილებები. (2) დანართის I სვეტში მითითებული ყველა კანონი, კანადის შესახებ 1982 წლის აქტის გარდა, შეიცვლის სახელწოდებას დანართის III სვეტში მოცემული სახელწოდების შესაბამისად, აგრეთვე ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის ყველა აქტი, რომელიც არ არის შეტანილი დანართში, შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც კონსტიტუციური აქტი მისი მიღების წლის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მისი ნომრის მითითებით.

54. *გაუქმება და ცვლილებებში შემტანი ცვლილებები.* IV ნაწილი გაუქმებული იქნება ამ ნაწილის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო ეს მუხლი შეიძლება გაუქმდეს და ამდენად ეს აქტიც გადანიშნოს IV ნაწილისა და ამ მუხლის გაუქმების შემდეგ გენერალ-გუბერნატორის მიერ კანადის დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციის გამოცემით. (102)

54.1. *ამოღებულია.* (103)

55. *კანადის კონსტიტუციის ფრანგული ვერსია.* დანართში მითითებული კანადის კონსტიტუციის ნაწილების ფრანგული ვერსია მომზადებულ უნდა იქნეს კანადის იუსტიციის მინისტრის მიერ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და როდესაც მომზადებული იქნება მისი საკმარისად მნიშვნელოვანი ნაწილი, იგი კანადის დიდი ბეჭედდასმული პროკლამაციის გამოცემით ასამოქმედებლად უნდა წარედგინოს გენერალ-გუბერნატორს იმ პროცედურით, რომელიც ამ ნაწილით დადგენილია კონსტიტუციის დებულებებში ცვლილებების შეტანისათვის.

56. *კონკრეტული საკონსტიტუციო ტექსტების ინგლისური და ფრანგული ვერსიები.* როდესაც კანადის კონსტიტუციის რომელიმე ნაწილი ამოქმედდება ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე ან კონსტიტუციის რომელიმე ნაწილი ამოქმედდება ფრანგულ ენაზე 55-ე მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციის ამ ნაწილების ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს თანაბარი იურიდიული ძალა ექნებათ.

57. *ამ აქტის ინგლისური და ფრანგული ვერსიები.* ამ აქტის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

58. *მოქმედების დასაწყისი.* 59-ე მუხლის შესაბამისად ეს აქტი ძალაში შედის დედოფლის ან გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულ კანადის დიდ ბეჭედსაძრულ პროკლამაციაში განსაზღვრულ დღეს. (104)

59. *კვებეკთან დაკავშირებით 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-პუნქტის მოქმედების დასაწყისი.* (1) 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი კვებეკისათვის ამოქმედდება დედოფლის ან გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულ კანადის დიდ ბეჭედსაძრულ პროკლამაციაში განსაზღვრულ დღეს.

კვებეკის უფლებამოსილება. (2) პროკლამაცია პირველი პუნქტის შესაბამისად შეიძლება გამოცემულ იქნეს მხოლოდ კვებეკის საკანონმდებლო ასამბლეის ან მთავრობის მიერ გამოცემული თანხმობის რეზოლუციის საფუძველზე. (105)

ამ მუხლის გაუქმება. (3) ეს მუხლი შეიძლება გაუქმდეს კვებეკისათვის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ძალაში შესვლის დღეს და ამდენად ამ აქტში შეტანილ იქნეს ცვლილებები და გადაინომროს ამ მუხლის გაუქმების შემდეგ გენერალ-გუბერნატორის მიერ კანადის დიდი ბეჭედსაძრული პროკლამაციის გამოცემით.

60. *შემოკლებული სახელწოდება და ციტირება.* ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტი; აგრეთვე კონსტიტუციური აქტები 1867 წლიდან 1975 წლამდე (№2) და ეს აქტი ერთობლივად შეიძლება მოხსენიებულ იქნენ როგორც 1867-1982 წლების კონსტიტუციური აქტები.

61. *მითითებები.* 1867-1982 წლების კონსტიტუციურ აქტებზე მითითებისას იგულისხმება, რომ მითითება შეიცავს 1983 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების პროკლამაციას. (106)

1982 წლის კონსტიტუციური აქტის დანართი

კონსტიტუციის მოდერნიზაცია

№	სვეტი I მოქმედი აქტი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი	სვეტი II ცვლილება	სვეტი III ახალი სახელწოდება
1.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1867 წლის აქტი (დელოფალ ვიქტორიას მეფობის 30-31 წლები) თავი მე-3 (დიდი ბრიტ.)	(1) პირველი მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1867 წლის კონსტიტუციური აქტი“	1867 წლის კონსტიტუციური აქტი
		(2) მე-20 მუხლი გაუქმებულ იქნეს.	
		(3) 91-ე მუხლის ჩამონათვალის პირველი პუნქტი გაუქმებულ იქნეს.	
		(3) 92-ე მუხლის ჩამონათვალის პირველი პუნქტი გაუქმებულ იქნეს.	
2.	აქტი, რომელმაც შეცვალა და გააგრძელა ამ აქტის მოქმედება (დელოფალ ვიქტორიას მეფობის 32-33 წლები) თავი მე-3, აგრეთვე რომელმაც დაადგინა მთავრობის შექმნა მანიტობას პროვინციისათვის 1870 წელი დელოფალ ვიქტორიას მეფობის 30-ე წელი, (კან.)	(1) ვრცელი სათაური გაუქმებულ იქნა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1870 წლის მანიტობას აქტი“.	1870 წლის მანიტობას აქტი

		(2) მე-20 მუხლი ამოღებულ იქნეს.	
3.	საბჭოში მისი უდიდებულესობა დედოფლის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც უფლებას აძლევს რუპერტის მიწასა და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიას შეუერთდნენ გაერთიანებას, დათარიღებულია 1870 წლის ივნისის 30-ე დღით		ბრძანება რუპერტის მიწისა და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიის შესახებ
4.	საბჭოში მისი უდიდებულესობა დედოფლის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც უფლებას აძლევს ბრიტანეთის კოლუმბიას შეუერთდეს გაერთიანებას, დათარიღებულია 1871 წლის მაისის მე-16 დღით		ბრიტანეთის კოლუმბიის შეერთების პირობები
5.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1871 წლის აქტი დედოფალ ვიქტორიას მეფობის 34-35 წლები, თავი 28-ე (დიდი ბრიტ.)	პირველი მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1871 წლის კონსტიტუციური აქტი“	1871 წლის კონსტიტუციური აქტი
6.	საბჭოში მისი უდიდებულესობა დედოფლის მიერ		პრინც ედუარდის კუნძულის

	გამოცემული ბრძანება, რომელიც უფლებას აძლევს პრინც ედუარდის კუნძულს შეუერთდეს გაერთიანებას, დათარიღებულია 1873 წლის ივნისის მე-26 დღით		შეერთების პირობები
7.	კანადის პარლამენტის 1875 წლის აქტი, დედოფალ ვიქტორიას მეფობის 38-39 წლები, თავი 38-ე (დიდი ბრიტ.)		კანადის პარლამენტის 1875 წლის აქტი
8.	საბჭოში მისი უდიდებულესობა დედოფლის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც უფლებას აძლევს ჩრდილოეთ ამერიკაში და კუნძულებზე არსებულ მომიჯნავე ბრიტანეთის სამფლობელოებსა და ტერიტორიებს შეუერთდნენ გაერთიანებას, დათარიღებულია 1880 წლის ივლისის 31-ე დღით (დიდი ბრიტ.)		ბრძანება მომიჯნავე ტერიტორიების შესახებ
9.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1886 წლის აქტი, დედოფალ ვიქტორიას მეფობის	მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რუდაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს	1886 წლის კონსტიტუციური აქტი

	49-50 წლები, თავი 35	როგორც 1886 წლის კონსტიტუციური აქტი“	
10.	კანადის (ონტარიოს საზღვრების) 1889 წლის აქტი დედოფალ ვიქტორიას მეფობის 52-53 წლები, თავი 28-ე (დიდი ბრიტ.)		კანადის (ონტარიოს საზღვრების) 1889 წლის აქტი
11.	1895 წლის აქტი კანადის სპიკერის (მოადგილის დანიშვნის) შესახებ, მე-2 სესია, დედოფალ ვიქტორიას მეფობის 59-ე წელი, თავი მე-3 (დიდი ბრიტ.)	ეს აქტი გაუქმებულ იქნეს.	
12.	ალბერტას 1905 წლის აქტი, მეფე ედუარდ VII-ის მეფობის 4-5 წლები, თავი მე-5, (კან.)		ალბერტას აქტი
13.	სასკაჩევანის 1905 წლის აქტი, მეფე ედუარდ VII-ის მეფობის 4-5 წლები, თავი 42-ე, (კან.)		სასკაჩევანის აქტი
14.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1907 წლის აქტი, მეფე ედუარდ VII-ის მეფობის 7 წელი, თავი მე-11 (დიდი ბრიტ.)	მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1907 წლის კონსტიტუციური აქტი“	1907 წლის კონსტიტუციური აქტი
15.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1915 წლის აქტი, მეფე გეორგ V-ის მეფობის 5-6 წლები,	მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს	1915 წლის კონსტიტუციური აქტი

	თავი 45 (დიდი ბრიტ.)	როგორც 1915 წლის კონსტიტუციური აქტი“	
16.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1930 წლის აქტი, მეფე გეორგ V-ის მეფობის 20-21 წლები, თავი 26-ე (დიდი ბრიტ.)	მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1930 წლის კონსტიტუციური აქტი“	1930 წლის კონსტიტუციური აქტი
17.	ვესტმინსტერის 1931 წლის სტატუტი მეფე გეორგ V-ის მეფობის 22-ე წელი, თავი მე-4 (დიდი ბრიტ.)	იმ ფარგლებში, რომელშიც ისინი გამოიყენება კანადის მიმართ: ა) მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს; ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.	ვესტმინსტერის 1931 წლის სტატუტი
18.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1940 წლის აქტი, მეფე გეორგ VI-ის მეფობის 3-4 წლები, თავი 36-ე (დიდი ბრიტ.)	მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1940 წლის კონსტიტუციური აქტი“	1940 წლის კონსტიტუციური აქტი
19.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1943 წლის აქტი, მეფე გეორგ VI-ის მეფობის 6-7 წლები, თავი 30-ე (დიდი ბრიტ.)	ეს აქტი გაუქმებულია.	
20.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1946 წლის აქტი, მეფე გეორგ VI-ის მეფობის 9-10 წლები, თავი 63-ე (დიდი ბრიტ.)	ეს აქტი გაუქმებულია.	
21.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის აქტი,	მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს	ნიუფაუნდლენდი ს აქტი

	მეფე გეორგ VI-ის მეფობის 12-13 წლები, თავი 22-ე (დიდი ბრიტ.)	აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც ნიუფაუნდლენდის აქტი“	
22.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1949 წლის №2 აქტი, მეფე გეორგ VI-ის მეფობის მე-13 წელი, თავი 81-ე (დიდი ბრიტ.)	ეს აქტი გაუქმებულია.	
23.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1951 წლის აქტი, მეფე გეორგ VI-ის მეფობის 14-15 წლები, თავი 32-ე (დიდი ბრიტ.)	ეს აქტი გაუქმებულია.	
24.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1952 წლის აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის პირველი წელი, თავი 15-ე (კან.)	ეს აქტი გაუქმებულია.	
25.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1960 წლის აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის მე-9 წელი, თავი მე-2 (დიდი ბრიტ.)	მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1960 წლის კონსტიტუციური აქტი“	1960 წლის კონსტიტუციური აქტი
26.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1964 წლის აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 12-13 წლები, თავი 73-ე (დიდი ბრიტ.)	მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1964 წლის კონსტიტუციური აქტი“	1964 წლის კონსტიტუციური აქტი
27.	ბრიტანეთის	მე-2 მუხლი გაუქმებულ	1965 წლის

	ჩრდილოეთ ამერიკის 1965 წლის აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის მე-14 წელი, თავი მე-4 ნაწილი I, (კან.)	იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1965 წლის კონსტიტუციური აქტი“	კონსტიტუციური აქტი
28.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1974 წლის აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 23-ე წელი, თავი მე-13 ნაწილი I, (კან.)	მე-3 მუხლი, რომელიც შეცვლილ იქნა (დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 25-26 წლებში, თავი 28-ე, (კან.)) აქტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტით, გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1974 წლის კონსტიტუციური აქტი“	1974 წლის კონსტიტუციური აქტი
29.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1975 წლის №2 აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 23-24 წლები, თავი 28-ე ნაწილი I, (კან.)	მე-3 მუხლი, რომელიც შეცვლილი იქნა (დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 25-26 წლებში, თავი 28-ე, (კან.)) აქტის 31-ე მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1975 წლის №1 კონსტიტუციური აქტი“	1975 წლის №1 კონსტიტუციური აქტი
30.	ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის 1975 წლის №2 აქტი, დედოფალ ელისაბედ II-ის მეფობის 23-24 წლები, თავი 53-ე, ნაწილი I, (კან.)	მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ეს აქტი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც 1975 წლის №2 კონსტიტუციური აქტი“	1975 წლის №2 კონსტიტუციური აქტი



ნორვეგია



ზოგადი ცნობარი შესავალი

ნორვეგიის ტერიტორიაზე მოსახლეობა ჩვ.წ-ალ-მდე მე-9 საუკუნეში დასახლდა. მე-8-11 საუკუნეებში ნორვეგიელები მონაწილეობდნენ ვიკინგების ლაშქრობებში. მე-9-10 საუკუნეებში დაიწყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რომელიც დასრულდა მე-13 საუკუნეში. 1030 წელს მიღებულ იქნა ქრისტიანობა. 1100-1200 წ.წ. გაუქმდა მონობა. 1262-1264 წლებში ნორვეგიამ დაიქვემდებარა ისლანდია. 1397 წლიდან ნორვეგია გადავიდა დანიის მმართველობის ქვეშ. 1537 წლიდან დანიის პროვინცია იყო. 1814 წელს ნორვეგია გადაეცა შვედეთს. ნორვეგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1905 წელს რეფერენდუმით. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. იგივე გააკეთა მან მე-2 მსოფლიო ომის დროს, თუმცა ოკუპირებულ იქნა გერმანიის მიერ (1940-1945 წ.წ.). 1949 წელს ნორვეგია გახდა ნატოს წევრი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთ ევროპა; აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შვედეთი, დასავლეთიდან – ნორვეგიის ზღვა.

ფართობი: სულ: 324,220 კმ², ხმელეთი: 307,860 კმ², წყალი: 16,360 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რკინა, ტყვია, სპილენძი, თუთია, ტიტანი, ნიკელი, თევზი, ხე-ტყე, ჰიდრორესურსები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 4,610,820 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 ასაკის: 19.3% (კაცი 455,122/ ქალი 434,009);

15-64 ასაკის: 65.9% (კაცი 1,542,439/ ქალი 1,496,745);

65 წლის და ზევით: 14.8% (კაცი 288,509/ქალი 393,996) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.38% (2006);

შობადობა: 11.46 დაბადებული/1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 9.4 გარდაცვლილი/1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 1.73 მიგრანტი/1,000 მოსახლეზე (2006);

მოქალაქეობა: ნორვეგიის

ეთნიკური ჯგუფები: ნორვეგიელები; საამი – 20,000;

რელიგია: ნორვეგიის ეკლესია 85.7%, ორმოცდაათიანული 1%, რომაული კათოლიკური 1%, სხვა ქრისტიანული 2.4%, მუსულმანური 1.8%, სხვა 8.1% (2004);

ენა: ნორვეგიული (ოფიციალური), საამი ოფიციალურია 6 მუნიციპალიტეტში;

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 100%; კაცი: 100%, ქალი: 100%; განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: ნორვეგიის სამეფო

მოკლე ფორმა: ნორვეგია

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: კონგერიკეტ ნორგე

ადგილობრივი მოკლე ფორმა: ნორგე

სახელმწიფოს ფორმა: კონსტიტუციური მონარქია

დედაქალაქი: ოსლო

ადმინისტრაციული ერთეულები: 19 ოლქი (ფიულკე);

დაქვემდებარებული ტერიტორიები: ბიუვეტის კუნძული, იან მაინი, სვალბარდი;

დამოუკიდებლობა: 1905 წლის 7 ივნისი (შედეგისგან);

ეროვნული დღესასწაული: კონსტიტუციის დღე – 17 მაისი (1814 წ.);

აღმასრულებელი ხელისუფლება: სახელმწიფოს მეთაური: მეფე პარაღდ V (1991 წლის 17 იანვრიდან);

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი (2005 წლის 17 ოქტომბრიდან).

სამინისტროები:

პრემიერ-მინისტრის ოფისი

ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო
ბავშვთა და თანასწორობის სამინისტრო

განათლებისა და კვლევის სამინისტრო

გარემოს დაცვის სამინისტრო

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო

თავდაცვის სამინისტრო

თევზჭერისა და სანაპირო საქმეთა სამინისტრო

იუსტიციისა და პოლიციის სამინისტრო

კულტურისა და საეკლესიო საქმეთა სამინისტრო

ნავთობისა და ენერგეტიკის სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

სამთავრობო ადმინისტრაციისა და რეფორმების სამინისტრო

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტრო

ფინანსთა სამინისტრო

შრომისა და სოციალური ერთიანობის სამინისტრო

ჯანმრთელობისა და მზრუნველობითი მომსახურების სამინისტრო

საკანონმდებლო ხელისუფლება:

პარლამენტი (სტორტინგი) (165 ადგილიანია; წევრები აირჩევიან პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2005 წლის 12 დეკემბერს;

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ცენტრისტული პარტია, ქრისტიან ხალხთა პარტია, სანაპირო პარტია, კონსერვატიული პარტია, შრომის პარტია, ლიბერალური პარტია, პროგრესის პარტია, წითელი საარჩევნო ალიანსი, სოციალისტური მემარცხენე პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ნორვეგიის ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ყველაზე მაღალია სკანდინავიის ქვეყნებში, ხოლო მსოფლიოში მე-4 ადგილს იკავებს. უპირველეს ყოვლისა, ეს დამოკიდებულია ნავთობ და გაზგადამამუშავებელ მრეწველობაზე. ნავთობის ექსპორტის მოცულობის მხრივ 1990-იანი წლების ბოლოს ნორვეგია გახდა მსოფლიოში მეორე ქვეყანაში, საუდის არაბეთის შემდეგ. სახელმწიფო შემოსავლების 1/10 ნავთობით ვაჭრობიდან შემოდის.

ნორვეგია ფლობს ასევე დიდ ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს. ერთ სულ მოსახლეზე ენერგეტიკის წარმოების მხრივ ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ენერგეტიკის მესამედი ხმარდება მეტალურგიულ წარმოებას. ნორვეგია არის ასევე ევროპაში ალუმინისა და მანგანუმის ყველაზე დიდი მწარმოებელი.

განვითარებულია გემთმშენებლობაც. ქვეყანაში დამუშავებულია მიწების 3%, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 6%. ფერმერული მეურნეობების რაოდენობა 200 ათასს აღწევს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ ნორვეგია აწარმოებს საჭირო პროდუქციის 40%-ს.

ქვეყნის 27% დაფარულია ტყით. განვითარებულია ასევე ხე-ტყის წარმოება და თევზჭერა.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$194.1 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 3.9% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$42,300 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2.2%, მრეწველობა: 37.2%, მომსახურება: 60.6% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: NA%;

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$176.1 მილიარდი, გასაცალი: \$131.3 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$111.2 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: ნათობი და ნათობპროდუქტები, მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, მეტალი, გემები, თევზი;

ექსპორტის პარტნიორები: დიდი ბრიტანეთი 22.3%, გერმანია 12.9%, ნიდერლანდები 9.9%, საფრანგეთი 9.6%, აშშ 8.4%, შვედეთი 6.7% (2004);

იმპორტი: \$58.12 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, მეტალი, სურსათ-სანოვაგე

იმპორტის პარტნიორები: შვედეთი 15.7%, გერმანია 13.6%, დანია 7.3%, დიდი ბრიტანეთი 6.5%, ჩინეთი 5%, აშშ 4.9%, ნიდერლანდები 4.4%, საფრანგეთი 4.3%, ფინეთი 4.1% (2004);

საგარეო ვალი: \$281 მილიარდი;

ეკონომიკური მხარდაჭერა: ODA, \$1.4 მილიარდი (1998);

ვალუტა: ნორვეგიის კრონი (NOK).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ნორვეგიაში 1814 წლამდე არ ყოფილა მიღებული რაიმე კონსტიტუციური აქტი. ნორვეგიის სამეფოს პირველი და დღემდე მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1814 წლის 17 მაისს, როდესაც ნორვეგია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. 1814 წლის 14 იანვარს კოლსკის შეთანხმების საფუძველზე დანიამ ნორვეგია გადასცა შვეციას, თუმცა ეს შეთანხმება დადებული იყო ნორვეგიელი ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლად და ამიტომ ნორვეგიელები არ ეთანხმებოდნენ მის პირობებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბურჟუაზიისა და ადგილობრივი თანამდებობის პირების მოთხოვნით და დანიელი მემამულის კრისტიან-ფრედერიკის ხელმძღვანელობით, რომელიც სამეფო პრინცის ტიტულს ატარებდა და ქვეყანაში 1813 წელს დაბრუნდა, ხალხის მიერ იქნა არჩეული დამფუძნებელი კრება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ნორვეგიის მომავლის განსაზღვრა. დამფუძნებელი კრება შედგებოდა 112 წევრისგან, რომელთაგან 25 იყო ქალაქების, 33 - არმიისა და ფლოტის, 54 - სასოფლო ოლქების წარმომადგენელი. მათგან 37 იყო მემამულე ფერმერი, 13 - კომერსანტი, 5 - მრეწველი, ხოლო 57 - თანამდებობის პირი.

კრება პირველად შეიკრიბა 1814 წლის 10 აპრილს ქალაქ ეიდსვოლში პრინც კრისტიან-ფრედერიკის მიერ. ექვსი კვირის შემდეგ, 17 მაისს კრებამ დაამთავრა მუშაობა და საქმიანობა შეწყვიტა, მას შემდეგ, რაც პრინცი კრისტიან-ფრედერიკი აიჩრია ნორვეგიის მეფედ. ამავე დღეს იქნა მიღებული და ხელმოწერილი ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია, რომელიც დღემდე მოქმედებს. ამ კონსტიტუციას, მისი მიღების ადგილიდან გამომდინარე, ხშირად უწოდებენ „ეიდსვოლის კონსტიტუციას“.

ნორვეგიის კონსტიტუციის გადასინჯვის გართულებული წესია დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აუცილებელია მისი რომელიმე ნაწილის შეცვლა, ამის შესახებ კანონპროექტი შეტანილ უნდა იქნეს სტორტინგის უფლებამოსილების პირველ, მე-2 ან მე-3 წელს და გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში. ეს პროექტი მომდევნო არჩევნების შემდეგ კვლავ გადაეცემა სტორტინგს უფლებამოსილების ცნობიდან პირველ, მე-2 ან მე-3 წელს იმავე ფორმით მისაღებად ან უარსაყოფად, რა ფორმითაც წინა მოწვევის სტორტინგმა მიიღო. თუმცა, ამგვარი ცვლილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის პრინციპებს, არამედ იყოს მხოლოდ განსაზღვრული დებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ ცვლის მათ კონსტიტუციურ სულს. ცვლილებების მისაღებად საჭიროა სტორტინგის ხმათა 2/3-ის მხარდაჭერა.

ამ გზით მიღებულ ძირითადი კანონის დებულებებს ხელს აწერს სტორტინგის თავმჯდომარე და მდივანი და ბეჭდვით ორგანოში გამოსაქვეყნებლად გადასცემს მეფეს, როგორც ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს.

მიუხედავად გართულებული პროცედურისა, ნორვეგიის კონსტიტუციაში მრავალი ცვლილება განხორციელდა 1862 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, რის შედეგად 112 მუხლიდან შეიცვალა 80-ზე მეტი მუხლი, მაგრამ ეს ყოველივე ქვეყნის დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივ განვითარების უწყობდა ხელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა სახელმწიფოებრივმა პრინციპმა ვერ ჰპოვა ასახვა კონსტიტუციაში, თუმცა კონსტიტუციური პრაქტიკის სახით მაინც მოქმედებს.

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ნორვეგიის კონსტიტუციონალიზმის ისტორიას შეეხებიან 3 ეტაპად ყოფენ, თუმცა სამივე ეტაპი დაკავშირებულია 1814 წლის კონსტიტუციის სრულყოფასა და განვითარებასთან. აღნიშნული კონსტიტუციის მიღებამდე ნორვეგიაში არ ყოფილა სხვა რაიმე კონსტიტუციური აქტი, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ კოდიფიცირებულ სამართლებრივ აქტებს.

პირველი ეტაპი მოიცავს 1814-1905 წლებს, როდესაც ნორვეგია შვეციის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამ დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას ფლობდა შვეციის მეფე, ნორვეგიის სამართავად ნიშნავდა მის მემკვიდრეს. ნორვეგიის მმართველობის ფორმა იყო დუალისტური მონარქია სუსტად განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტებით. სტორტინგს აკრძალული ჰქონდა საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობა.

მეორე ეტაპი აითვლება ნორვეგიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან - 1905 წლიდან, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად დაიშალა შვეციასთან კავშირი და ნორვეგია ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ პერიოდში მეორე მსოფლიო ომამდე ყველა კონსტიტუციური ცვლილება მიმართული იყო დუალისტური მონარქიიდან საპარლამენტო მონარქიაზე გადასვლისკენ, რაც პარლამენტარიზმის განვითარებასა და გარკვეული დემოკრატიული ინსტიტუტების აღიარებაში გამოიხატებოდა. მეფემ აბსოლუტური ვეტოს ნაცვლად მიიღო შეფარდებითი ვეტოს უფლება, ხოლო მთავრობის დაკომპლექტება დაიწყო პარლამენტის პარტიული ძალების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე განვითარდა მრავალპარტიული სისტემა, გაუქმდა ქონებრივი ცენზი.

მესამე ეტაპი მოიცავს კონსტიტუციონალიზმის განვითარების თანამედროვე პერიოდს, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად ნორვეგია ჩამოყალიბდა საპარლამენტო მონარქიად, რომელიც წარმოადგენს მსოფ-

ლილი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ნაწილს და გააჩნია საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის მიზანი.

კონსტიტუციის ანალიზი. ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია შედგება 5 თავისა და 112 მუხლისგან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიღების პერიოდის გამო მასში საკითხების წყობა განსხვავებულია და არ შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციების სტრუქტურას. იგი ერთ თავში იხილავს მმართველობის ფორმასა და რელიგიას, მეორეში - აღმასრულებელ ხელისუფლებას, მეფეს და სამეფო გვარს, მესამეში - მოქალაქეთა უფლებებსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას, მეოთხეში - სასამართლო ხელისუფლებას, ხოლო მეხუთეში - ზოგად დებულებებს. ამასთან, ისინი ასოებით ინომრება და არა ციფრებით.

ნორვეგიის კონსტიტუცია აგებულია 1776 წლის აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის იდეებზე დაყრდნობით და წარმოადგენს იმ დროისთვის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ კონსტიტუციას. მასში გატარებულია სახალხო სუვერენიტეტის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანის უფლებების შესახებ პრინციპები.

კონსტიტუციის თანახმად, ნორვეგიის სამეფო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი და განუსხვისებელი სახელმწიფო. ქვეყნის მმართველობის ფორმაა შეზღუდული და მემკვიდრეობითი მონარქია.

კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა შესახებ ნორმები სხვადასხვა თავებში გვხვდება. სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია არის ეს რელიგია. მეფე ვალდებულია ყოველთვის აღიაროს ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია, დაუჭიროს მხარი და გაუწიოს მფარველობა. მეფე წყვეტს ყველა ოფიციალურ საეკლესიო და ღვთისმსახურების, რელიგიური საკითხების შესახებ ყველა ღონისძიებისა და შეკრების საკითხებს და თვალყურს ადევნებს, რომ რელიგიის მასწავლებლებმა დაიცვან მათთვის დადგენილი წესები. სახელმწიფოს ყოველი მაცხოვრებელი ფლობს რელიგიური რწმენის თავისუფლებას, თუმცა ოფიციალური რელიგიის აღმსარებელი მაცხოვრებლები ვალდებული არიან ამგვარად აღზარდონ საკუთარი შვილები. სახელმწიფო საბჭოს ნახევარზე მეტი უნდა იყოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის აღმსარებელი. სახელმწიფო საბჭოს წევრი, რომელიც არ არის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის მიმდევარი, არ შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფო რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

აღმასრულებელი ხელისუფლება ფორმალურად ეკუთვნის მეფეს, ან დედოფალს იმ შემთხვევაში, თუ იგი მემკვიდრეობით მიიღებს გვირგვინს. მე-

ფის პიროვნება წმინდაა. იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს განსჯადობას და ბრალდებას. პასუხისმგებლობა ეკისრება მის საბჭოს. მიუხედავად კონსტიტუციაში განმტკიცებული მეფის უფლებებისა, პრაქტიკულად იგი მას არ იყენებს და, უნდა ვივარაუდოთ, რომ იტოვებს, როგორც სარეზერვო იარაღს, რომელსაც კრიტიკულ სიტუაციაში გამოიყენებს.

კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი ტახტის მემკვიდრეობის წესი და პირობები: ტახტი მემკვიდრეობით გადადის პირდაპირი ხაზით მეფის ან დედოფლის კანონიერ ქორწინებაში შობილ ბავშვებზე ან მათზე, ვინაც თვითონ გააჩნია მემკვიდრეობის უფლება; უახლოეს ხაზს უპირატესობა ენიჭება შორეულთან შედარებით და უფროსს უმცროსთან შედარებით. ტახტის მემკვიდრეობის რიცხვს ასევე განეკუთვნება ჯერარშობილი ბავშვი, რომელიც როგორც კი მოველინება ქვეყანას დაუყოვნებლივ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს მემკვიდრეობაში. მემკვიდრე პრინცესას ან პრინცის არარსებობის შემთხვევაში, მეფე ვალდებულია სტორტინგს შესთავაზოს თავისი მემკვიდრე, რომელსაც უფლება აქვს თვითონაც გააკეთოს არჩევანი იმ შემთხვევაში, თუ მეფის წინადადებას არ მიიღებს.

როგორც კი მეფე სრულწლოვანების მიღწევისას შეუდგება მმართველობას, ფიცს დებს სტორტინგის წინაშე. იგი ვალდებულია ცხოვრობდეს სახელმწიფოში და არ შეუძლია სტორტინგის თანხმობის გარეშე მუდმივად წავიკეთებ მეტხანს იმყოფებოდეს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს გვირგვინზე უფლებას. მეფეს არ შეუძლია მიიღოს რაიმე გვირგვინი ან მმართველობა სტორტინგის თანხმობის გარეშე, რისთვისაც საჭიროა ხმების 2/3.

მეფე იღებს დადგენილებას მათი ტიტულების შესახებ, ვინც იჭნება ტახტის მემკვიდრე. ნორვეგიის სამეფოს პრინცესას ან პრინცს უფლება არ აქვთ დაქორწინდნენ მეფის თანხმობის გარეშე. ასევე არ შეუძლიათ მიიღონ სხვა გვირგვინი ან მმართველობა მეფისა და სტორტინგის თანხმობის გარეშე; სტორტინგის თანხმობისათვის საჭიროა ხმების 2/3-ზე მეტი. ამ წესის დარღვევისას ისინი, ასევე მათი შთამომავლები კარგავენ ნორვეგიის ტახტის მემკვიდრეობის უფლებას.

მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტის მემკვიდრის არასრულწლოვანებისას სახელმწიფო საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ შეკრიბოს სტორტინგი. სტორტინგის მოწვევაზე და მართვის შესახებ დებულებების მიღებაზე, მეფის არასრულწლოვანებისას, სახელმწიფოს მართვაზე პასუხისმგებელია მთავრობა - სახელმწიფო საბჭო. თუ მეფე იმყოფება სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, გარდა ომის ველზე ყოფნისა, ან თუ იგი იმდენად აუად არის, რომ არ შეუძლია მართვა, მაშინ უახლოესი ტახტის მემკვიდრე, თუ მან მიაღწია 18 წლის ასაკს, თავის თავზე იღებს მმართველობას, რო-

გორც სამეფო ხელისუფლებით დროებით აღჭურვილი პირი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მმართველობა გადადის სახელმწიფო საბჭოზე. მეფის არასრულწლოვანების პერიოდში მმართველობის განმახორციელებელ რეგენტებს ირჩევს სტორტინგი.

არასრულწლოვანი მეფის აღზრდის ხელმძღვანელობა, თუ მისი ორივე მშობელი გარდაიცვალა და არცერთმა მათგანმა ამის შესახებ არ დატოვა წერილობითი მითითება, განისაზღვრება სტორტინგის მიერ. თუ სამეფო დინასტია ამოწყდება და ტახტის მემკვიდრე არ იქნება დანიშნული, ახალი დედოფალი ან მეფე აირჩევა სტორტინგის მიერ.

მეფეს შეუძლია დროებით, სტორტინგის უახლოეს სესიამდე გამოსცეს და გააუქმოს ვაჭრობასთან, საბაჟოსთან, ეკონომიკასთან, ასევე პოლიტიკასთან დაკავშირებული დადგენილებები, თუმცა ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და სტორტინგის მიერ მიღებულ კანონებს. მეფე ასევე უზრუნველყოფს საერთო წესით გადასახადების აკრეფასა და სტორტინგის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას, თვალყურს ადევნებს, რომ სახელმწიფო საკუთრება და სამეფო ხელისუფლების პრეროგატივები გამოყენებულ იქნეს და განხორციელდეს სტორტინგის მიერ დადგენილი წესით და საზოგადოებრივი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით, განაჩენის გამოტანის შემდეგ შეიწყალებს დანაშაულებს, სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩევს და ნიშნავს ყველა სამოქალაქო, სასულიერო და სამხედრო მოსამსახურეს, საუკეთესო სამსახურისთვის აჯილდოვებს ორდენებით.

მეფე არის სახელმწიფო სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. თუმცა, იგი შეზღუდულია სტორტინგის თანხმობის გარეშე მათ გამოყენებაში.

მართალია კონსტიტუციის თანახმად აღმასრულებელ ხელისუფლებას მეფე ახორციელებს, მაგრამ პრაქტიკულად ეს უფლებამოსილება მთავრობის - სახელმწიფო საბჭოს ხელშია. კონსტიტუციით მეფე დამოუკიდებლად ირჩევს საბჭოს ხმის უფლების მქონე ნორვეგიელ მოქალაქეთაგან, თუმცა, პრაქტიკულად საბჭოს შემადგენლობა სტორტინგში არჩეულ პოლიტიკურ ძალთა განაწილებაზე დამოკიდებულია. საბჭო უნდა შედგებოდეს პრემიერ-მინისტრისა და არანაკლებ 7 წევრისგან. როგორც კი ტახტის მემკვიდრეს შეუსრულდება 18 წელი, იგი უფლებამოსილია დაიკავოს ადგილი სახელმწიფო საბჭოში, მეფე თავისი შეზღუდულებისამებრ ანაწილებს საქმეებს სახელმწიფო საბჭოს წევრებს შორის. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, მაგრამ ხმათა თანაბრობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს ან მისი არყოფნისას სახელმწიფო საბჭოს უმაღლეს პირს ექნება 2 ხმა.

სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობებისას დახმარების გასაწევად მეფეს შეუძლია დანიშნოს სახელმწიფო მდივნები ხმის უფლებისა და პასუხისმგებლობის გარეშე. ყოველი სახელმწიფო მდივანი მოქმედებს სახელმწიფო საბჭოს იმ წევრის სახელით, რომელთანაც დაკავშირებულია შესაბამისი დებულების შესრულებისას.

პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრები, ასევე მათთან ერთად სახელმწიფო მდივნები, წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შეიძლება დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან მეფის მიერ, ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. იგივე ეხება სახელმწიფო საბჭოს მოსამსახურეებს, დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში მყოფ, უმაღლეს სამოქალაქო ან სასულიერო თანამდებობის პირებს და სხვა პირებს.

სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრი, თუ არ არსებობს მათი არყოფნის კანონიერი მიზეზი, ვალდებულია დაესწროს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს. საბჭოს არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ არ ესწრება მის წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სახელმწიფო საბჭოს წევრს რაიმე კანონიერი მიზეზით არ შეუძლია სხდომაზე დასწრება და მის უწყებაში შემავალ საკითხებზე მოხსენების გაკეთება, მოხსენებას მეფის დავალებით აკეთებს სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრი. თავისებურებით გამოირჩევა საკითხის განხილვის წესიც. სხდომაზე ყოველი მონაწილე ვალდებულია თავისი მოსაზრება გამოთქვას ღიად და მეფე ვალდებულია მოუსმინოს მას. თუმცა, მეფეს ეძლევა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ. თუ სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან რომელიმე ჩათვლის, რომ მეფის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მმართველობის ფორმას ან სახელმწიფოს კანონებს, ან რომ ეს აშკარა ზიანს აყენებს სახელმწიფოს, მაშინ იგი ვალდებულია აქტიურად გამოვიდეს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და შეიტანოს თავისი აზრი ოქმში. ის, ვინც ასეთი სახით არ გააპროტესტებს, ჩათვლება მეფის მომხრედ, რის შედეგადაც ექვემდებარება პასუხისმგებლობას და მის წინააღმდეგ შეიძლება ოდელესტინგის მიერ აღიძრას ბრალდება სახელმწიფო სასამართლოს წინაშე.

მეფის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ნამდვილობისთვის საჭიროებს კონტრასიგნაციას. სამხედრო ხელმძღვანელობის საკითხებზე გადაწყვეტილებები ხელმოწერილ უნდა იქნეს ამ საკითხების მომხსენებლის მიერ, სხვა საკითხებზე — პრემიერ-მინისტრის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — სახელმწიფო საბჭოს უმაღლესი რანგის დამსწრე წევრის მიერ. მეფის არყოფნისას მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სრულდება მეფის სახელით და მათ ხელს აწერს სახელმწიფო საბჭო.

კონსტიტუციაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სხვა თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესსაც. თანამდებობის პირთა დანიშვნის საკითხებზე წინადადებები წარედგინება სახელმწიფო საბჭოში მის იმ წევრებს, რომელთა მმართველობის სფეროშიც ისინი შედიან და მათ მიერ გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო საბჭოში მიღებული რეზოლუციის შესაბამისად. თანამდებობის პირები შეიძლება ვადაძლე იქნენ გადაყენებული თანამდებობიდან მეფის მიერ და მათი საქმე მაშინვე უნდა გადაეცეს სასამართლოს; თუმცა, მათი გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მათი ნების საწინააღმდეგოდ არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობაზე. ყველა თანამდებობის პირი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, კანონით დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევისას. კანონით შეიძლება განისაზღვროს ზოგიერთი თანამდებობის პირი, გარდა მოსამართლისა, რომელთა დანიშვნა დასაშვებია შეთანხმებით, განსაზღვრული ვადით.

საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება ორი განყოფილების — ლაგტინგის და ოდელსტინგისგან შემდგარი სტორტინგის მიერ. საარჩევნო უფლება ეკუთვნით ნორვეგიის მოქალაქეებს 18 წლის ასაკიდან. ნორვეგიის მოქალაქეებს, რომლებიც არჩევნების დღეს იმყოფებიან სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პირობას, ასევე გააჩნიათ საარჩევნო უფლება. საარჩევნო უფლება არ გააჩნია იმ პირებს, რომლებიც გასამართლებული არიან სისხლისსამართლებრივი ქმედებისათვის ან მთავრობის თანხმობის გარეშე შევიდნენ უცხო სახელმწიფოს სამსახურში.

სტორტინგში აირჩევა 165 წარმომადგენელი 4 წლის ვადით. ყოველი ოლქი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოკრუგს. 157 წარმომადგენელი არის ოკრუგის წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი 8 — გამათანაბრებითი წარმომადგენელი, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე აირჩევა. ოკრუგის წარმომადგენლები ნაწილდებიან სახელმწიფოს საარჩევნო ოკრუგებს შორის შემდეგი წესით: ესტფოლის ოლქიდან აირჩევა 8, ოსლოდან — 15, აკესჰუსის ოლქიდან — 12, ჰელსინგბორგის ოლქიდან — 8, ოპლანის ოლქიდან — 7, ბიუსკერუდის ოლქიდან — 7, ვესტფოლის ოლქიდან — 7, ტელემარკის ოლქიდან — 6, აუსტ-აგდეს ოლქიდან — 4, ვესტ-აგდერის ოლქიდან — 5, რუგალანის ოლქიდან — 10, ჰურდალანის ოლქიდან — 15, სოგნ-ო-ფიურანგის ოლქიდან — 5, მერე-ო-რომსდალის ოლქიდან — 10, სერ-ტრენდელაგის ოლქიდან — 10, ნურ-ტრენდელაგის ოლქიდან — 6, ნურლანის ოლქიდან — 12, ტრომსის ოლქიდან — 6 და ფინმარკის ოლქიდან — 4 წარმომადგენელი.

საოკრუგო წარმომადგენელთა არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით და წარმომადგენლები ნაწილდება პარტიებს შორის ე.წ. „ლაგუს მეთოდით“. ამ მეთოდს თვით კონსტიტუცია ადგენს. საარჩევნო ოკ-

რუგში პარტიის მიერ მიღებულ ხმათა საერთო რაოდენობა თანმიმდევრულად იყოფა 1.4-ზე, 3-ზე, 5-ზე, 7-ზე და შემდგომ იმდენჯერ, რამდენი წარმომადგენელიც შეიძლება მიიღოს შესაბამისმა პარტიამ. პარტიას, რომელიც ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ მიიღებს ყველაზე დიდ კვოტას, ენიჭება პირველი მანდატი, შემდეგ მანდატს იღებს პარტია, რომელსაც გააჩნია მის შემდეგ ყველაზე დიდი კვოტა და ა.შ. სანამ ყველა მანდატი არ განაწილდება. თუ რამდენიმე პარტიას გააჩნია ერთნაირი კვოტა, შემდგომი მანდატის განაწილება ხდება წილისყრით.

რაც შეეხება გამათანაბრებით მანდატებს, ისინი ნაწილდება არჩევნებში მონაწილე პარტიებს შორის, მთელ სახელმწიფოში ყოველი პარტიის მიერ მიღებულ ხმათა საერთო რაოდენობებს შორის არსებული თანაფარდობის საფუძველზე, რათა მიღებულ იქნეს პარტიებს შორის უდიდესი პროპორციულობა. მთელ სახელმწიფოში პროპორციულობის მისაღწევად, იმ მონაწილე პარტიების გათანაბრებაში, რომლებმაც მიიღეს ადგილი საოკრუგო მანდატების განაწილების წესით, უნდა განისაზღვროს სულ რამდენი მანდატი უნდა ეკუთვნოდეს თითოეულ პარტიას სტორტინგში. პარტიას ეძლევა იმდენი გამათანაბრებითი მანდატი, რომ მის მიერ მიღებულ საოკრუგო მანდატებთან ერთად იგი ფლობდეს სტორტინგში იმდენ ადგილს, რაც ეკუთვნის ზემოაღნიშნული განაწილების შემდეგ. პარტიას არ შეიძლება მიეცეს გამათანაბრებითი მანდატები, თუ მან მიიღო ქვეყნის ხმათა საერთო რაოდენობის 4%-ზე ნაკლები. პარტიისთვის მინიჭებული გამათანაბრებითი მანდატები ნაწილდება მისი სიით ოკრუგებში იმგვარად, რომ პირველი მანდატი საოკრუგო ხმათა განაწილებისას გადაეცეს უდიდესი ნაშთის მქონე სიას, მომდევნო მანდატი — იმ სიას, რომელსაც გააჩნია მომდევნო უდიდესი ნაშთი და ა.შ. იქამდე, სანამ არ განაწილდება ყველა გამათანაბრებითი მანდატი.

კანონი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში და რა ფორმით ექნებათ ამომრჩევლებს შესაძლებლობა სხვას გადასცენ თავისი ბიულეტენები ისე, რომ არ გამოცხადდნენ საარჩევნო უბანში. არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების კანონიერებას ამოწმებს სტორტინგი. საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული დავები წყდება საარჩევნო კომისიის მიერ, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს სტორტინგში.

დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა, ვინც სახელმწიფოში ცხოვრობს არანაკლებ 10 წლისა და სარგებლობს საარჩევნო უფლებით. დეპუტატად არ შეიძლება არჩეულ იქნენ სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების სამსახურში, გარდა სახელმწიფო მდივნებისა, ასევე პირები, რომლებიც არიან სასამართლოს თანამდებობის პირები. იგივე ეხებათ დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მოსამსახურეებს.

სახელმწიფო საბჭოს წევრები და სახელმწიფო მდივნები თანამდებობაზე ყოფნისას არ შეიძლება დაესწრონ სტორტინგის სხდომებს როგორც დეპუტატები.

თავისებურებით გამოირჩევა დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის წესი. ამ პროცედურას ერთვის წინაპირობა, რომლის მიხედვით, დეპუტატად არჩეული ყოველი პირი ვალდებულია მიიღოს არჩევა. თუმცა, მას დეპუტატობის უფლება არ გააჩნია, თუ იგი: არჩეულია არა იმ საარჩევნო ოლქიდან, სადაც გააჩნია საარჩევნო უფლება; არჩევნების ჩატარების წელს მიაღწია 60 წლის ასაკს; არის ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, ხოლო არჩეულ იქნა სხვა პოლიტიკური პარტიის სიით. თუ პირი, რომელიც არჩეულია წარმომადგენლად, არჩევის თანხმობის შეუზღუდავად აკეთებს განცხადებას იღებს თუ არა არჩევას.

დეპუტატები სტორტინგში წასვლისას, იქიდან წამოსვლისას და სტორტინგში ყოფნისას არ შეიძლება დაექვემდებარონ დაპატიმრებას, გარდა დანაშაულის ადგილზე წასწრებისა; ისინი არ შეიძლება დაექვემდებარონ სასამართლო დევნას სტორტინგში გამოთქმული მოსაზრებებისთვის სტორტინგის გარეთაც.

სპეციფიკურია სტორტინგის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის თანახმად სტორტინგში ფუნქციონირებს არა პარალელური პრინციპით შემქნილი პალატები, არამედ ვერტიკალური წესით ფორმირებული განყოფილებები. ახალარჩეული სტორტინგი თავის წევრთაგან ირჩევს წევრთა 1/4-ს, რომელიც წარმოადგენს ლაგტინგს, ხოლო დანარჩენი 3/4 შეადგენს ოდელსტინგს. ყოველი განყოფილება იკრიბება ცალ-ცალკე და ნიშნავს თავის თავმჯდომარესა და მდივანს. არცერთი განყოფილება არ შეიძლება შეიკრიბოს, თუ სხდომას არ ესწრება მის წევრთა არანაკლებ ნახევარი. თუმცა, კონსტიტუციური კანონპროექტები არ შეიძლება განხილულ იქნეს, თუ სხდომას არ ესწრება სტორტინგის წევრთა 2/3.

სტორტინგი უფლებამოსილია: მიიღოს კანონები, დაადგინოს გადასახდელები, აიღოს სესხი სახელმწიფო კრედიტით, განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ფინანსებზე და გამოყოს სახელმწიფოს გასავლებისთვის აუცილებელი სახსრები, მოითხოვოს ინფორმაცია კავშირებისა და იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც მეფემ დადო უცხო სახელმწიფოებთან, პასუხისგებაში მისცეს სახელმწიფო საქმეებზე ნებისმიერი პირი, გარდა მეფისა და სამეფო ოჯახის წევრებისა, თუმცა ეს გამონაკლისები არ ვრცელდება სამეფო სისხლის პრინციპზე მათ მიერ რაიმე თანამდებობების დაკავებისას, შემოწმოს სარგოებისა და პენსიების წინასწარი სიები და შეიტანოს მათში ცვლილებები, დანიშნოს სტორტინგის არაწევრი პირი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო მმართველობას და მასში შემავალ სამსახურ-

რებს, უცხოელებს მიანიჭოს მოქალაქეობა. კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სტორტინგის უფლებამოსილების აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დელეგირებას.

ყოველი კანონპროექტი შეიტანება ოდელსტინგში მისი წევრების ან მთავრობის მიერ. თუ კანონპროექტი მიღებულ იქნა, იგი გადაეცემა ლაგტინგს, რომელიც მას ამტკიცებს ან უარყოფს და, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უბრუნებს შეტანილი შენიშვნებით. ეს შენიშვნები განიხილება ოდელსტინგის მიერ, რომელიც ან უარს ამბობს კანონპროექტზე ან ხელახლა აბრუნებს ლაგტინგში ცვლილებებით ან მათ გარეშე. ოდელსტინგის მიერ ლაგტინგისათვის კანონპროექტის ორჯერ გაგზავნისას, რომელიც ასევე ორჯერ იქნა დაბრუნებული მის მიღებაზე უარის თქმით, მთელი სტორტინგი ერთობლივ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. ზემოდასახელებულ განხილვებს შორის თითოეულის დროს გასული უნდა იყოს არანაკლებ სამი დღე.

როდესაც ოდელსტინგის მიერ წარდგენილი წინადადება დამტკიცდება ლაგტინგის მიერ ან სტორტინგის მიერ ერთობლივ სხდომაზე, იგი გადაეცემა მეფეს თხოვნით სამეფო დამტკიცების მისაღებად. თუ მეფე დაამტკიცებს საკანონმდებლო გადაწყვეტილებას, იგი ხელს აწერს, რაც მას ანიჭებს კანონის ძალას. აღნიშნულზე უარის შემთხვევაში, იგი უბრუნდება ოდელსტინგს განცხადებით, რომ არ თვლის მიზანშეწონილად მის ამ დროისთვის დამტკიცებას. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო წინადადება ამავე სესიის მანძილზე არ შეიძლება კვლავ იქნეს წარდგენილი მეფისთვის.

კონსტიტუცია ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც კანონის მიღება აღარ საჭიროებს მეფის მიერ დამტკიცებას, თუმცა მისთვის გართულებული პროცედურაა დადგენილი. თუ კანონპროექტი მიღებულ იქნება 2 თანმიმდევრული მოწვევის სტორტინგის ერთობლივ სესიაზე, ისე, რომ მათ შორის შუალედი იყოს არანაკლებ 2 სესია, თუ ამ შუალედში სტორტინგის პირველ და ბოლო კენჭისყრებს შორის არ იქნება მიღებული სხვა გადაწყვეტილება, და თუ გადაწყვეტილებით ეთხოვა მეფეს, რომ მისმა აღმატებულებამ უარი არ თქვას კანონპროექტის დამტკიცებაზე, რომელსაც სტორტინგი საღი განხილვის შემდეგ მიიჩნევს სასარგებლოდ, იგი იძენს კანონის ძალას იმ შემთხვევაშიც, თუ სამეფო დამტკიცება სესიის ბოლომდე არ მოესწრება.

სტორტინგის წინააღმდეგ ნებისმიერი ქმედება ისჯება კანონით. ის, ვინც ექვემდებარება ბრძანებას, რომლის მიზანია სტორტინგის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დარღვევა, აღიარებულ იქნება სახელმწიფოს ღალატში ბრალდებულად.

სასამართლო ორგანოებიდან კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლოს სამართლებრივ მდგომარეობაზე.

სახელმწიფო სასამართლო საქმეებს იხილავს პირველი და საბოლოო ინსტანციებით სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სასამართლოსა და სტორტინგის წევრთა წინააღმდეგ ოდელსტინგის მიერ აღძრულ სისხლის სამართლებრივ ქმედებებზე. იგი შედგება 17 მუდმივი მოსამართლისგან, რომლებიც არიან ლაგტინგის მუდმივი წევრები და უმაღლესი სასამართლოს მუდმივად დანიშნული წევრები და თავმჯდომარისგან, რომელიც იმავდროულად ლაგტინგის თავმჯდომარეა. კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს წევრთა აცილების წესსა და პროცედურაზე.

უმაღლესი სასამართლო წარმოადგენს ბოლო ინსტანციას. იგი შედგება თავმჯდომარისგან და არანაკლებ 4 სხვა წევრისგან. მის წევრად დანიშნვა შესაძლებელია 30 წლის ასაკიდან.

ნორვეგიის საერთო სასამართლოების სისტემა მოიცავს სააპელაციო, საქალაქო, საოლქო და მოპრიგებულ სასამართლოებს. მათი მოსამართლეები ინიშნებიან მეფის მიერ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

კონსტიტუციის ზოგადი დებულებები გარკვეულწილად ადგენს ადამიანის ზოგიერთ უფლებასა და თავისუფლებას. ალბათ, ისევე და ისევე განსხვავებული სტრუქტურისა და მიღების პერიოდიდან გამომდინარე, კონსტიტუციის დონეზე არ არის განმტკიცებული თანამედროვე ტიპის კონსტიტუციებით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

კონსტიტუცია ადგენს, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ნორვეგიის მოქალაქეები, რომლებიც საუბრობენ სახელმწიფო ენაზე და აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: დაბადებული არიან ნორვეგიაში და მისი მშობლები არიან ნორვეგიის მოქალაქეები; დაიბადნენ საზღვარგარეთ ნორვეგიელი მშობლებისგან, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები; ბოლო 10 წლის განმავლობაში ცხოვრობენ ნორვეგიაში; სტორტინგის მიერ მიიღეს ნორვეგიის მოქალაქეობა. სხვა პირები შეიძლება დაინიშნონ უნივერსიტეტების მასწავლებლის, სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე, ექიმად ან კონსულად საზღვარგარეთ.

ასევე უზრუნველყოფილია გარკვეული პირადი და სოციალური უფლებები და თავისუფლებები. არავინ არ შეიძლება გასამართლდეს თუ არა კანონით ან დასჯილ იქნეს სასამართლოს გარეშე. წამებით დაკითხვა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. უსაფუძვლო დაპატიმრების ან უკანონო დაკავებისას დამკავებელი პირი პასუხს აგებს დაზარალებუ-

ლის წინაშე. აღიარებულია სიტყვის თავისუფლება. ყველას შეუძლია საჯაროდ გამოთქვას აზრი სახელმწიფო მოწყობასა და სხვა საკითხებზე. ყველას აქვს სახელმწიფო და მუნიციპალური ადმინისტრაციის დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება, ასევე სასამართლო და არჩევით ორგანოთა სხდომებზე დასწრების უფლება. კანონმა შეიძლება განსაზღვროს ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები პირად უფლებასთან დაკავშირებით ან სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებით.

თავისებური ფორმით არის აღიარებული შეკრების თავისუფლება. მთავრობას არ აქვს უფლება სამხედრო ძალები გამოიყენოს სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც რომელიმე შეკრება არღვევს საზოგადოებრივ მშვიდობას და დაუყოვნებლივ არ დაიშლება მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ორგანოები სამჯერ ხმამაღლა წაიკითხავენ მასობრივი უწყსრივობის შესახებ კანონის მუხლებს.

არავის არ აქვს უფლება დაადგინოს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლების შეზღუდვა. ბინის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე. არ შეიძლება დაირღვეს უძრავი და მოძრავი ქონების უფლება. მემკვიდრეობის უფლება და საგვარეულო მამულის გამოსყიდვის უფლება ნებადართულია. თუ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ აუცილებელია ვინმეს მოძრავი ან უძრავი ქონების საზოგადოებრივი სარგებლობისთვის გამოყენება, მისი შესაკუთრე სახელმწიფო ხაზინიდან იღებს სრულ კომპენსაციას. საეკლესიო საჭიროებისთვის განკუთვნილი ქონების გაყიდვიდან შემოსავალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასულიერო საჭიროებებისა და რწმენის განვითარებისთვის. საჩველმოქმედო დაწესებულებების საკუთრება გამოიყენება მათ სასარგებლოდ.

სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან შექმნან პირობები, რათა ყველა შრომისუნარიანმა მოქალაქემ საკუთარი შრომით შეძლოს თავის რჩენა. სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა შექმნან შესაძლებლობა, რათა საამის ხალხმა შეძლოს თავისი ენის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველყოფა და განვითარება. ყველას აქვს ჯანმრთელობის დამცავი გარემოს დაცვის უფლება, ასევე ბუნებრივი პროდუქციისა და მისი მრავალფეროვნების დაცვის უფლება. ბუნებრივი რესურსები უნდა იმყოფებოდეს ხანგრძლივი და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რათა ვიზრუნოთ ამ უფლებაზე შთამომავლობისთვისაც. მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის, ბუნებაზე ზემოქმედების შესახებ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ვალდებულია საერთო წესების თანახმად, წარმოშობისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად თანაბრად მონაწი-

ლბედეს სამხედრო სამსახურში განსაზღვრული ვადით. ამ დებულების გამოყენება და მისგან შეზღუდვები განისაზღვრება კანონით.

კონსტიტუციაში შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, რაც დაკავშირებულია ევრო სტრუქტურებში გაწვევრიანებასთან, შეეხება ნორვეგიის ურთიერთობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების და საერთაშორისო მართლწესრიგისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, სტორტინგს შეუძლია ხმათა 3/4-ით საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ნორვეგია შეუერთდა ან შეუერთდება გადასცეს კონსტიტუციით ნორვეგიის სახელმწიფო ორგანოთათვის გათვალისწინებული უფლებები, „ზუსტად განსაზღვრულ სფეროში, გარდა კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებამოსილებისა. სტორტინგის მიერ ამ უფლების მისანიჭებლად საჭიროა სტორტინგის წევრთა 2/3-ის თანხმობა.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ნორვეგიის კონსტიტუციას გააჩნია შემდეგი თავისებურებები:

– ვინაიდან კონსტიტუცია ძველია და მიღებულია 1814 წელს, მასში საკითხების წყობა განსხვავებულია და არ შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციების სტრუქტურას;

– თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, რომ დღეს მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნორვეგია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, იგი არ გაუქმებულა და მრავალი შესწორების მიუხედავად კვლავ განაგრძობს მოქმედებას;

– კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი ერთიდაიგივე რედაქციით უნდა მიიღოს ორი მოწვევის სტორტინგმა. ცვლილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის პრინციპებს, არამედ იყოს მხოლოდ განსაზღვრული დებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ ცვლის მათ კონსტიტუციურ სულს;

– განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საბჭოს ნახევარზე მეტი უნდა იყოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის აღმსარებელი;

– კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი მეფის უფლებები, ტახტის მემკვიდრეობის წესი, უფლებამონაცვლეობა და ა.შ;

– სტორტინგი შედგება 2 ვერტიკალური პრინციპით შექმნილი განყოფილებისგან. სტორტინგის წევრთა 1/4 წარმოადგენს ლაგტინგს, ხოლო დანარჩენი 3/4 – ოდელსტინგს.

– კანონპროექტი შეიტანება ოდელსტინგში, რომლის მიღების შემთხვევაში დასამტკიცებლად გადაეცემა ლაგტინგს. თუ ლაგტინგი ორჯერ უარყოფს პროექტს, მას იღებს მთელი სტორტინგი ერთობლივ სხდომაზე;

– სტორტინგის 165 წვერიდან 157 არის ოკრუგის წარმომადგენელი, ხოლო 8 – ე.წ. გამათანაბრებითი წარმომადგენელი, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე აირჩევა. კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი, თუ რომელ ოლქს რა რაოდენობის წარმომადგენლობა გააჩნია, ასევე, საარჩევნო მეთოდები და ხმების განაწილების წესი;

– დეპუტატობის უფლება არ გააჩნია პირს, თუ იგი: არის ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, ხოლო არჩეულ იქნა სხვა პოლიტიკური პარტიის სიით, ასევე, თუ არჩევნების ჩატარების წელს მიაღწია 60 წლის ასაკს;

– კონსტიტუციის დონეზე არ არის განმტკიცებული თანამედროვე ტიპის კონსტიტუციებით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუცია მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეხება.

ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია¹

მიღებულია 1814 წლის 17 მაისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1862 წლის 29 ნოემბერს, 1911 წლის 14 მარტს, 1919 წლის 24 მაისს, 1905 წლის 18 ნოემბერს, 1908 წლის 14 მარტს, 1908 წლის 19 აგვისტოს, 1908 წლის 12 აგვისტოს (24 ოქტომბერს), 1911 წლის 18 აგვისტოს, 1917 წლის 9 ნოემბერს, 1922 წლის 10 მარტს, 1931 წლის 10 აპრილს, 1964 წლის 4 მაისს, 1975 წლის 2 მაისს, 1976 წლის 1 ივნისს, 1976 წლის 1 ივლისს, 1980 წლის 26 მარტს, 1990 წლის 13 ივნისს, 1990 წლის 13 ივლისს, 1992 წლის 8 მაისს, 2003 წელს, 2004 წელს, 2006 წელს)

ა) მმართველობის ფორმა და რელიგია

მუხლი 1. ნორვეგიის სამეფო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი და განუსხვისებელი სახელმწიფო. მისი მმართველობის ფორმა არის შეზღუდული და მემკვიდრეობითი მონარქია.

მუხლი 2. სახელმწიფოს ყოველი მაცხოვრებელი ფლობს რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია არის ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია. მისი აღმსარებელი მაცხოვრებლები ვალდებული არიან ამგვარად აღზარდონ საკუთარი შვილები.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება, მეფე და სამეფო გვარი

მუხლი 3. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს, ან დედოფალს იმ შემთხვევაში, თუ იგი მემკვიდრეობით მიიღებს გვირგვინს ამ კონსტიტუციის მე-6, მე-7 ან 48-ე მუხლების შესაბამისად. როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება გადადის დედოფალზე, მაშინ მასზე ვრცელდება ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც ამ კონსტიტუციით ან ქვეყნის კანონების შესაბამისად ეკუთვნის მეფეს.

¹ თარგმანისას გამოყენებულია ნორვეგიის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: <http://odin.dep.no/odin/engelsk/norway/system/032005-990424/> და ნორვეგიის სტორტინგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.stortinget.no/english/constitution.html გამოქვეყნებული ნორვეგიის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები.

მუხლი 4. მეფე ვალდებულია ყოველთვის აღიაროს ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია, დაუჭიროს მხარი და გაუწიოს მფარველობა.

მუხლი 5. მეფის პიროვნება წმინდაა; იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს განსჯადობას და ბრალდებას. პასუხისმგებლობა ეკისრება მის საბჭოს.

მუხლი 6. ტახტი მემკვიდრეობით გადადის პირდაპირი ხაზით მეფის ან დედოფლის კანონიერ ქორწინებაში შობილ ბავშვებზე ან მათზე, ვისაც თვითონ გააჩნია მემკვიდრეობის უფლება; უახლოეს ხაზს უპირატესობა ენიჭება შორეულთან შედარებით და უფროსს უმცროსთან შედარებით.

ტახტის მემკვიდრეების რიცხვს ასევე განეკუთვნება ჯერარშობილი ბავშვი, რომელიც როგორც კი მოველინება ქვეყანას დაუყოვნებლივ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს მემკვიდრეობაში.

თუმცა, ტახტი არასოდეს არ შეიძლება ეკუთვნოდეს მას, ვინც არ დაბადებულია პირდაპირი დაღმავალი ხაზით ყველაზე უკანასკნელი მეფის ან დედოფლისგან ან მათი დებისგან ან ძმებისგან, ან თვითონ არიან ამგვარი დები ან ძმები.

ნორვეგიის ტახტის მემკვიდრეობის უფლების მქონე პრინცის ან პრინცის დაბადების შემთხვევაში, მათი დაბადების თარიღი ეცნობება სტორტინგს, რომელიც მას შეიტანს დღის წესრიგში.

მათთვის, ვინც დაიბადა 1971 წლამდე, ვრცელდება ძირითადი კანონის მე-6 მუხლი, რომელიც შეტანილ იქნა 1905 წლის 18 ნოემბერს. მათთვის, ვინც დაიბადა 1990 წლამდე, მამაკაცებთან დაკავშირებული დებულებები მოქმედებს ასევე ქალებთან დაკავშირებით.

მუხლი 7. მემკვიდრე პრინცესას ან პრინცის არარსებობის შემთხვევაში, მეფე ვალდებულია სტორტინგს შესთავაზოს თავისი მემკვიდრე, რომელსაც უფლება აქვს თვითონაც გააკეთოს არჩევანი იმ შემთხვევაში, თუ მეფის წინადადებას არ მიიღებს.

მუხლი 8. მეფის სრულწლოვანება განისაზღვრება კანონით.

მეფე კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე ოფიციალურად აცხადებს თავისი სრულწლოვანების შესახებ.

მუხლი 9. როგორც კი მეფე სრულწლოვანების მიღწევისას შეუდგება მმართველობას, სტორტინგის წინაშე წარმოთქვამს შემდეგ ფიცს:

„პირობას ვდებ და ვფიცავ, რომ ნორვეგიის სამეფოს ვმართავ კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად; დაე, დამეხმაროს ყოველისშემძლე და ყოველისმცოდნე ღმერთი.“

თუ ამ დროს სტორტინგი არ არის შეკრებილი, მაშინ ფიცი წერილობითი ფორმით მიიღება სახელმწიფო საბჭოში და სახეიმოდ მეორდება მეფის მიერ სტორტინგის პირველივე სესიასზე.

მუხლი 10. ამოღებულია.

მუხლი 11. მეფე ვალდებულია ცხოვრობდეს სახელმწიფოში და არ შეუძლია სტორტინგის თანხმობის გარეშე მუდმივად ექვს თვეზე მეტხანს იმყოფებოდეს სასივლითო ფარგლებს გარეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას გვირგვინზე.

მეფეს არ შეუძლია მიიღოს რაიმე გვირგვინი ან მმართველობა სტორტინგის თანხმობის გარეშე, რისთვისაც საჭიროა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა.

მუხლი 12. მეფე დამოუკიდებლად ირჩევს საბჭოს ხმის უფლების მქონე ნორვეგიელ მოქალაქეთაგან. ეს საბჭო უნდა შედგებოდეს პრემიერ-მინისტრისა და არანაკლებ შვიდი წევრისგან.

სახელმწიფო საბჭოს ნახევარზე მეტი უნდა იყოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის აღმსარებელი.

მეფე თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს საქმეებს სახელმწიფო საბჭოს წევრებს შორის. საგანგებო ვითარებაში მეფეს შეუძლია სახელმწიფო საბჭოზე დასასწრებად მისი მუდმივი წევრების გარდა ასევე მოიწვიოს სხვა ნორვეგიელი მოქალაქეები, გარდა სტორტინგის წევრებისა.

მეუღლეებს, მშობლებს, ბავშვებს, ძმებს და დებს არ შეუძლიათ ერთდროულად შეიკრიბონ სახელმწიფო საბჭოში.

მუხლი 13. მეფეს შეუძლია სახელმწიფოს ფარგლებში მოგზაურობის დროს სახელმწიფო მმართველობა გადასცეს სახელმწიფო საბჭოს. ის განახორციელებს მმართველობას მეფის სახელით და დავალებით. ის ვალდებულია განუხრებლად დაიცვას ამ კონსტიტუციის დებულებები, ასევე მეფის მითითებით კონსტიტუციის შესაბამისად მიცემული განსაკუთრებული განკარგულებები.

გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით; თუმცა, ხმათა თანაბრობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს ან მისი არყოფნისას სახელმწიფო საბჭოს უმაღლეს პირს ექნება ორი ხმა.

სახელმწიფო საბჭო ვალდებულია მეფეს წარუდგინოს მოხსენება იმ საკითხებზე, რომლებიც ამგვარად იქნა გადაწყვეტილი.

მუხლი 14. მეფეს შეუძლია დანიშნოს სახელმწიფო მდივნები, სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობებისას დახმარების გასაწევად. ყოველი სახელმწიფო მდივანი მოქმედებს სახელმწიფო საბჭოს იმ წევრის სახელით, რომელთანაც დაკავშირებულია შესაბამისი დებულების შესრულებისას.

მუხლი 15. ამოღებულია.

მუხლი 16. მეფე წყვეტს ყველა ოფიციალურ საეკლესიო და ღვთისმსახურების, რელიგიური საკითხების შესახებ ყველა ღონისძიებისა და შეკრების საკითხებს და თვალყურს ადევნებს, რომ რელიგიის მასწავლებლებმა დაიცვან მათთვის დადგენილი წესები.

მუხლი 17. მეფეს შეუძლია გამოსცეს და გააუქმოს ვაჭრობასთან, საბაჟოსთან, ეკონომიკასთან, ასევე პოლიციასთან დაკავშირებული დადგენილებები, თუმცა ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და სტორტინგის მიერ მიღებულ კანონებს (77-ე, 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად). ისინი ძალაში რჩებიან დროებით, სტორტინგის უახლოეს სესიამდე.

მუხლი 18. მეფე უზრუნველყოფს საერთო წესით გადასახადების აკრეფასა და სტორტინგის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 19. მეფე თვალყურს ადევნებს, რომ სახელმწიფო საკუთრება და სამეფო ხელისუფლების პრეროგატივები გამოყენებულ იქნეს და განხორციელდეს სტორტინგის მიერ დადგენილი წესით და საზოგადოებრივი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

მუხლი 20. მეფეს სახელმწიფო საბჭოში უფლება აქვს განაჩინოს გამოტანის შემდეგ შეიწყალოს დამნაშავეები. დამნაშავეს აქვს არჩევანის უფლება: მას შეუძლია შეწყალებისათვის მიმართოს მეფეს ან დაემორჩილოს მის მიმართ გამოტანილ სასჯელს.

საქმები, რომლებიც ოდელსტინგის მოთხოვნით განსახილველად გადაეცა სახელმწიფო სასამართლოს, არ შეიძლება დაექვემდებაროს არანაირ შეწყალებას, გარდა სიკვდილით დასჯისგან გათავისუფლებისა.

მუხლი 21. მეფე სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩევს და ნიშნავს ყველა სამოქალაქო, სასულიერო და სამხედრო მოსამსახურეს. ისინი ვალდებული არიან თანამდებობაზე დანიშნვამდე დადონ ფიცი ან თუ კანონით გათავისუფლებული არიან ფიცისგან, საზეიმოდ დადონ კონსტიტუციისა და მეფის ერთგულების პირობა; თუმცა ამ ვალდებულებისგან კანონით თავისუფლებიან მოსამსახურეები, რომლებიც არ არიან ნორვეგიის მოქალაქეები. სამეფო სახლის პრინცებს არ შეუძლიათ ეკავთ სამოქალაქო თანამდებობები.

მუხლი 22. პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრები, ასევე მათთან ერთად სახელმწიფო მდივნები, წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შეიძლება დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან მეფის მიერ, ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. იგივე ეხება სახელმწიფო საბჭოს მოსამსახურეებს, დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში მყოფ, უმაღლეს სამოქალაქო ან სასულიერო თანამდებობის პირებს, პოლიცია და სხვა სამხედრო ნაწილების მეთაურებს, ციხე-სიმაგრეების კომენდანტებსა და სამხედრო სასამართლოების მეთაურებს. სტორტინგი თავის უახლოეს სხლომაზე წყვეტს ამ წესით გათავისუფლებულ მოსამსახურეთათვის პენსიის დანიშვნის საკითხს. იქამდე ისინი იღებენ თავიანთი თანამდებობრივი სარგოს ორ მესამედს.

სხვა თანამდებობის პირები შეიძლება ვადაძლე იქნენ გადაყენებული თანამდებობიდან მეფის მიერ და მათი საქმე მაშინვე უნდა გადაეცეს სასამართლოს; თუმცა, მათი გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მათი ნების საწინააღმდეგოდ არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობაზე.

ყველა თანამდებობის პირი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, კანონით დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევისას. კანონით შეიძლება განისაზღვროს ზოგიერთი თანამდებობის პირი, გარდა მოსამართლისა, რომელთა დანიშვნა დასაშვებია შეთანხმებით, განსაზღვრული ვადით.

მუხლი 23. მეფეს აქვს თავისი სურვილით, საუკეთესო სამსახურისთვის ორდენებით დაჯილდოვების უფლება, რაც ოფიციალურად ქვეყნდება; მაგრამ მას არ შეუძლია სხვა წოდებითა და ჩინებით დაჯილდოვება, თუ არა იმ პირებისა, რომლებიც შეესაბამებიან მოცემულ თანამდებობას. ორდენით დაჯილდოება არავის არ ათავისუფლებს ყველა მოქალაქისათვის საერთო ვალდებულებებისაგან, ასევე არ აძლევს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისათვის რაიმე უპირატესობას. დამსახურებულად გადამდგარი თანამდებობის

პირები, ინარჩუნებენ იმ თანამდებობრივ წოდებას ან ჩინს, რომელიც მათ ეკავათ. თუმცა, ეს არ ეხებათ სახელმწიფო საბჭოს წევრებსა და სახელმწიფო მდივნებს.

დაუშვებელია ამ დროიდან ვინმესთვის რაიმე პირადი ან შერეული მემკვიდრეობითი პრივილეგიების მინიჭება.

მუხლი 24. მეფე თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს და ათავისუფლებს თავის კარისკაცებსა და სასახლის მოსამსახურეებს.

მუხლი 25. მეფე არის სახელმწიფო სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. დაუშვებელია მათი გაზრდა ან შემცირება სტორტინგის თანხმობის გარეშე. ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოთა სამსახურისათვის, ასევე უცხო სახელმწიფოს რაიმე შეიარაღებული ძალები, გარდა მტრული თავდასხმისგან დასაცავად დამხმარე ძალებისა, არ შეიძლება შემოყვანილ იქნეს სამეფოში სტორტინგის თანხმობის გარეშე.

სახმელეთო და სხვა ჯარები, რომლებიც არ არიან რეგულარული ჯარები, არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამეფოს საზღვრებს გარეთ სტორტინგის თანხმობის გარეშე.

მუხლი 26. მეფეს აქვს ჯარების მობილიზაციის, ქვეყნის დასაცავად ომის დაწყებისა და ზაის დადების, კავშირებში შესვლისა და მათგან გამოსვლის, დიპლომატიური წარმომადგენლების გაგზავნისა და მიღების უფლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებზე ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები, რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისად საჭიროებენ სტორტინგის მიერ ახალი კანონის ან დადგენილების მიღებას, საჭიროებენ სტორტინგის მიერ დამტკიცებას.

მუხლი 27. სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრი, თუ არ არსებობს მათი არყოფნის კანონიერი მიზეზი, ვალდებულია დაესწროს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს. სახელმწიფო საბჭოს არანაირი გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნას მიღებული, თუ არ ესწრება მის წევრთა ნახევარზე მეტი.

სახელმწიფო საბჭოს წევრი, რომელიც არ არის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის მიმდევარი, არ შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფო რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

მუხლი 28. თანამდებობის პირთა დანიშვნისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე წინადადებები წარედგინება სახელმწიფო საბჭოში მის იმ წევრებს, რომელთა მმართველობის სფეროშიც ისინი შედიან და მათ მიერ გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო საბჭოში მიღებული რეზოლუციის შესაბამისად. თუმცა, სამხედრო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები, მეფის მიერ მითითებულ ნაწილში შეიძლება გამოირიცხოს სახელმწიფო საბჭოს მმართველობიდან.

მუხლი 29. თუ სახელმწიფო საბჭოს წევრს რაიმე კანონიერი მიზეზით არ შეუძლია სხდომაზე დასწრება და მის უწყებაში შემავალ საკითხებზე მოხსენების გაკეთება, მოხსენებას მეფის დავალებით აკეთებს სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრი.

თუ კანონიერი მიზეზით დამსწრე წევრთა რაოდენობა აღემატება დადგენილ წევრთა არაუმეტეს ნახევარს, სახელმწიფო საბჭოში ადგილების დასაკავებლად შეიძლება დროებით დანიშნონ სხვა საჭირო რაოდენობის პირები, მამაკაცები ან ქალები.

მუხლი 30. სახელმწიფო საბჭოში განხილულ ყველა საქმეზე დგება ოქმი. ის დიპლომატიური საკითხები, რომლებიც სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა საიდუმლოდ შეინახოს, შეიტანება განსაკუთრებულ ოქმში. იგივე ეხება სამხედრო ხელმძღვანელობის საკითხებს, თუ სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა მათი საიდუმლოდ შეინახვა.

სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ყოველი მონაწილე ვალდებულია თავისი მოსაზრება გამოთქვას ღიად და მეფე ვალდებულია მოუსმინოს მას. თუმცა, მეფეს ეძლევა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ.

თუ სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან რომელიმე ჩათვლის, რომ მეფის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მმართველობის ფორმას ან სახელმწიფო კანონებს, ან რომ ეს ამკარა ზიანს აყენებს სახელმწიფოს, მაშინ იგი ვალდებულია აქტიურად გამოვიდეს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და შეიტანოს თავისი აზრი ოქმში. ის, ვინც ასეთი სახით არ გააპროტესტებს, ჩათვლება მეფის მომხრედ, რის შედეგადაც ექვემდებარება ქვემოთ განსაზღვრულ პასუხისმგებლობას და მის წინააღმდეგ შეიძლება ოდელსტინგის მიერ აღიძრას ბრალდება სახელმწიფო სასამართლოს წინაშე.

მუხლი 31. მეფის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ნამდვილობისთვის საჭიროებს კონტრასიგნაციას. სამხედრო ხელმძღვანელობის საკითხებზე გადაწყვეტილებები ხელმოწერილ უნდა იქნეს ამ საკითხების მომხსენებლის მიერ, სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებები – პრემიერ-მინისტრის, ხო-

ლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სახელმწიფო საბჭოს უმაღლესი რანგის დამსწრე წევრის მიერ.

მუხლი 32. მეფის არყოფნისას მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სრულდება მეფის სახელით და მათ ხელს აწერს სახელმწიფო საბჭო.

მუხლი 33. ამოღებულია.

მუხლი 34. მეფე იღებს დადგენილებას მათი ტიტულების შესახებ, ვინც იჭნება ტახტის მემკვიდრე.

მუხლი 35. როგორც კი ტახტის მემკვიდრეს შეუსრულდება 18 წელი, იგი უფლებამოსილია დაიკავოს ადგილი სახელმწიფო საბჭოში, ხმის უფლებისა და პასუხისმგებლობის გარეშე.

მუხლი 36. ნორვეგიის სამეფოს პრინცესას ან პრინცს უფლება არ აქვთ დაქორწინდნენ მეფის თანხმობის გარეშე. ასევე არ შეუძლიათ მიიღონ სხვა გვირგვინი ან მმართველობა მეფისა და სტორტინგის თანხმობის გარეშე; სტორტინგის თანხმობისათვის საჭიროა ხმების ორ მესამედზე მეტი.

თუ იგი დაარღვევს ამ წესს, შესაბამისი პირები, ასევე მათი შთამომავლები კარგავენ ნორვეგიის ტახტის მემკვიდრეობის უფლებას.

მუხლი 37. სამეფო სახლის პრინცები და პრინცესები არ იჭნებიან პასუხისმგებელნი არავის წინაშე, გარდა მეფისა და მათთვის დანიშნული მოსამართლეებისა.

მუხლი 38. ამოღებულია.

მუხლი 39. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტის მემკვიდრის არასრულწლოვანებისას სახელმწიფო საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ შეკრიბოს სტორტინგი.

მუხლი 40. სტორტინგის მოწვევამდე და მართვის შესახებ დებულებების მიღებამდე, მეფის არასრულწლოვანებისას, სახელმწიფოს მართვაზე კონსტიტუციის შესაბამისად პასუხისმგებელია სახელმწიფო საბჭო.

მუხლი 41. თუ მეფე იმყოფება სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, გარდა ომის ველზე ყოფნისა, ან თუ იგი იმდენად ავად არის, რომ არ შეუძლია

მართვა, მაშინ უახლოესი ტახტის მემკვიდრე, თუ მან მიაღწია იმ ასაკს, რაც დადგენილია მეფის სრულწლოვანებისთვის, თავის თავზე იღებს მმართველობას, როგორც სამეფო ხელისუფლებით დროებით აღჭურვილი პირი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მმართველობა გადადის სახელმწიფო საბჭოზე.

მუხლი 42. ამოღებულია.

მუხლი 43. მეფის არასრულწლოვანების პერიოდში მმართველობის განმხორციელებელ რეგენტებს ირჩევს სტორტინგი.

მუხლი 44. პრინცესა ან პრინცი, რომლებზეც 41-ე მუხლის თანახმად გადადის მმართველობა, სტორტინგის წინაშე ღებენ წერილობითი ფორმის შემდეგი შინაარსის ფიცს: „მე, ვღებ პირობას და ვფიცავ, ემართავ კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად; დაე, დამეხმაროს ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთი.“

თუ სტორტინგი ამ დროს არ არის შეკრებილი, ფიცი იღება წერილობითი ფორმით სახელმწიფო საბჭოს წინაშე და ამის შემდეგ მეორდება სტორტინგის უახლოეს სესიაზე.

პრინცესა ან პრინცი, რომლებმაც ერთხელ უკვე დადეს ფიცი, შემდგომ აღარ იმეორებენ მას.

მუხლი 45. თავისი მმართველობის შეწყვეტისთანავე ეს პირები ანგარიშს აბარებენ მეფესა და სტორტინგს.

მუხლი 46. თუ შესაბამისი პირები არ იზრუნებენ 39-ე მუხლის თანახმად სტორტინგის დაუყოვნებლივ შეკრებაზე, სახელმწიფო სასამართლო უპირობოდ ვალდებულია ეს შეკრება გამართოს ოთხ კვირიანი ვადის განმავლობაში.

მუხლი 47. არასრულწლოვანი მეფის აღზრდის ხელმძღვანელობა, თუ მისი ორივე მშობელი გარდაიცვალა და არცერთმა მათგანმა ამის შესახებ არ დატოვა წერილობითი მითითება, განისაზღვრება სტორტინგის მიერ.

მუხლი 48. თუ სამეფო დინასტიის გამგრძელებელი აღარ იქნება და ტახტის მემკვიდრე არ იქნება დანიშნული, ახალი დედოფალი ან მეფე აირჩევა სტორტინგის მიერ. აქამდე აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება მე-40 მუხლის შესაბამისად.

**გ. მოქალაქეთა უფლებები და საკანონმდებლო
ზელისუფლება**

მუხლი 49. მოქალაქეები საკანონმდებლო ზელისუფლებას ახორციელებენ ორი განყოფილების – ლაგტინგის და ოდელსტინგისგან შემდგარი სტორტინგის მიერ.

მუხლი 50. საარჩევნო უფლება ეკუთვნით ნორვეგიის მოქალაქეებს, მამაკაცებს და ქალებს, რომლებსაც არაუგვიანეს საარჩევნო წლის განმავლობაში შეუსრულდათ 18 წელი.

ამავდროულად იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც ნორვეგიის მოქალაქეები არიან და არჩევნების დღეს იმყოფებიან სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ შეესაბამებიან ზემოაღნიშნულ პირობას, გააჩნიათ კანონით დადგენილი საარჩევნო უფლება.

კანონით განისაზღვრება წესები, საარჩევნო უფლების მქონე იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც არჩევნების დღეს აშკარად გამოირჩევიან სერიოზული ფსიქიკური ნაკლოვანებებით ან ანალოგიური დაავადებებით.

მუხლი 51. საარჩევნო სიების შედგენისა და მათში მოქალაქეთა შეყვანის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 52. ამოღებულია.

მუხლი 53. საარჩევნო უფლება იკრძალება შემდეგ შემთხვევებში:

ა) კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი ქმედებისათვის გასამართლებისას კანონის დებულებების შესაბამისად;

ბ) მთავრობის თანხმობის გარეშე უცხო სახელმწიფოს სამსახურში შესვლისას;

გ) *ამოღებულია;*

დ) *ამოღებულია;*

ე) *ამოღებულია.*

მუხლი 54. არჩევნები ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში. ის უნდა დასრულდეს სექტემბერში.

მუხლი 55. არჩევნები ტარდება კანონით დადგენილი წესით. საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული დავები წყდება საარჩევნო კომისიის მიერ, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს სტორტინგში.

მუხლი 56. ამოღებულია.

მუხლი 57. სტორტინგში ასარჩევ წარმომადგენელთა რიცხვი 165-ია.

მუხლი 58. ყოველი ოლქი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოკრუგს. 157 წარმომადგენელი არის ოკრუგის წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი 8 – გამათანაბრებითი წარმომადგენელი.

ოკრუგის წარმომადგენლები ნაწილდებიან სახელმწიფოს საარჩევნო ოკრუგებს შორის შემდეგი წესით: ესტფოლის ოლქიდან აირჩევა 8, ოსლოდან – 15, აკესჰუსის ოლქიდან – 12, ჰელმარკის ოლქიდან – 8, ოპლანის ოლქიდან – 7, ბიუსკერუდის ოლქიდან – 7, ვესტფოლის ოლქიდან – 7, ტელემარკის ოლქიდან – 6, აუსტ-აგდეს ოლქიდან – 4, ვესტ-აგდერის ოლქიდან – 5, რუგალანის ოლქიდან – 10, ჰურდალანის ოლქიდან – 15, სოგნ-ო-ფიურანეს ოლქიდან – 5, მერე-ო-რომსდალის ოლქიდან – 10, სერ-ტრენდელაგის ოლქიდან – 10, ნურ-ტრენდელაგის ოლქიდან – 6, ნურლანის ოლქიდან – 12, ტრომსის ოლქიდან – 6 და ფინმარკის ოლქიდან – 4 წარმომადგენელი.

მუხლი 59. ყოველი მუნიციპალიტეტი წარმოადგენს განსაკუთრებულ საარჩევნო უბანს.

არჩევნები ტარდება ცალ-ცალკე ყოველ საარჩევნო უბანში. სტორტინგის დეპუტატები და მათი თანაშემწეები აირჩევიან საარჩევნო უბნებში მთელ საარჩევნო ოკრუგში.

საოკრუგო წარმომადგენელთა არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით და წარმომადგენლები ნაწილდება პარტიებს შორის ქვემოდადგენილი წესებით (ლაგუს მეთოდით).

საარჩევნო ოკრუგში პარტიის მიერ მიღებულ ხმათა საერთო რაოდენობა თანმიმდევრულად იყოფა 1.4-ზე, 3-ზე, 5-ზე, 7-ზე და შემდგომ იმდენჯერ, რამდენი წარმომადგენელიც შეიძლება მიიღოს შესაბამისმა პარტიამ. პარტიას, რომელიც ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ მიიღებს ყველაზე დიდ კვოტას, ენიჭება პირველი მანდატი, შემდეგ მანდატს იღებს პარტია, რომელსაც გააჩნია მის შემდეგ ყველაზე დიდი კვოტა და ა.შ. სანამ ყველა მანდატი არ განაწილდება. თუ რამდენიმე პარტიას გააჩნია ერთნაირი კვოტა, შემდგომი მანდატის განაწილება ხდება წილისყრით. დაუშვებელია პარტიული სიების გაერთიანება.

გამათანაბრებითი მანდატები ნაწილდება მასში მონაწილე პარტიებს შორის, მთელ სახელმწიფოში ყოველი პარტიის მიერ მიღებულ ხმათა საერთო რაოდენობებს შორის არსებული თანაფარდობის საფუძველზე, რათა მიღე-

ბულ იქნეს პარტიებს შორის უდიდესი პროპორციულობა. მთელ სახელმწიფო ფორში პროპორციულობის მისაღწევად, იმ მონაწილე პარტიების გათვალისწინებით, რომლებმაც მიიღეს ადგილი საოკრუგო მანდატების განაწილებაში, უნდა განისაზღვროს სულ რამდენი მანდატი უნდა ეკუთვნოდეს მანუელ პარტიას სტორტინგში. პარტიას ეძლევა იმდენი გამათანაბრებელი მანდატი, რომ მის მიერ მიღებულ საოკრუგო მანდატებთან ერთად იგი უნდა განაწილდეს სტორტინგში იმდენ ადგილს, რაც ეკუთვნის ზემოაღნიშნული მანდატების შემდეგ. თუ ამ წესით არსებობს ორი ან მეტი პარტია, რომელსაც გააჩნია დამატებითი წარმომადგენლობის მიღების უფლება, უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც მიიღო ხმათა უმეტესი რაოდენობა, ან ხმათა თანაბრობის შემთხვევაში, რომელიც გაიმარჯვებს წილისყრაში, თუ პარტიას საოკრუგო მანდატების განაწილებისას უკვე მიეცა უფრო მეტი ადგილი, რაც მას უნდა ჰქონოდა ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. გამათანაბრებითი მანდატების ახალი განაწილება ხორციელდება მხოლოდ სხვა პარტიებს შორის, მისი ხმათა რაოდენობა არ მიიღება მხედველობაში და ეს საოკრუგო მანდატები მიუერთდება პირველ უახლეს პარტიას.

პარტიას არ შეიძლება მიეცეს გამათანაბრებითი მანდატები, თუ მან მიიღო ქვეყნის ხმათა საერთო რაოდენობის 4%-ზე ნაკლები.

პარტიისთვის მინიჭებული გამათანაბრებითი მანდატები ნაწილდება მისი სიით ოკრუგებში იმგვარად, რომ პირველი მანდატი გადაეცეს საოკრუგო ხმათა განაწილებისას უდიდესი ნაშთის მქონე სიას, მომდევნო მანდატი — იმ სიას, რომელსაც გააჩნია მომდევნო უდიდესი ნაშთი და ა.შ. იქამდე, სანამ არ განაწილდება ყველა გამათანაბრებითი მანდატი.

მუხლი 60. კანონი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში და რა ფორმით ექნებათ ამომრჩევლებს შესაძლებლობა სხვას გადასცენ თავისი ბიულეტენები ისე, რომ არ გამოცხადდნენ საარჩევნო უბანში.

მუხლი 61. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა, ვინც სახელმწიფოში ცხოვრობს არანაკლებ 10 წლისა და სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

მუხლი 62. დეპუტატად არ შეიძლება არჩეულ იქნენ სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების სამსახურში, გარდა სახელმწიფო მდივნებისა, ასევე პირები, რომლებიც არიან სასამართლოს თანამდებობის პირები და სასამართლო პენსიონერები. იგივე ეხებათ დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მოსამსახურეებს.

სახელმწიფო საბჭოს წევრები არ შეიძლება შეიკრიბონ სტორტინგში როგორც დეპუტატები, სანამ არიან ამ თანამდებობებზე. ასევე სახელმწიფო მდივნები არ შეიძლება შეიკრიბონ როგორც დეპუტატები, სანამ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

მუხლი 63. დეპუტატად არჩეული ყოველი პირი ვალდებულია მიიღოს არჩევა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი:

ა) არჩეულია არა იმ საარჩევნო ოლქიდან, სადაც გააჩნია საარჩევნო უფლება;

ბ) სტორტინგის ყველა მორიგ სესიაზე წინა არჩევნების შემდეგ გამოდიოდა დეპუტატად;

გ) არაუშეტეს არჩევნების ჩატარების წელს მიღწია 60 წლის ასაკს;

დ) არის ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, ხოლო არჩეულ იქნა სხვა პოლიტიკური პარტიის სიით.

თუ პირი, რომელიც არჩეულია წარმომადგენლად, არჩევის თანხმობის შეუზღუდავად კანონით დადგენილი ვადითა და ფორმით, აკეთებს განცხადებას იღებს თუ არა არჩევას.

კანონმა შეიძლება დაადგინოს ასევე ორ ან მეტ ოკრუგში დეპუტატად არჩეულმა პირმა რა ვადაში და რა ფორმით უნდა გააკეთოს განცხადება, თუ რომელ არჩევას იღებს.

მუხლი 64. არჩეული დეპუტატები აღჭურვილი არიან უფლებამოსილებით, რომლის კანონიერებასაც ამოწმებს სტორტინგი.

მუხლი 65. სტორტინგის სხდომაზე მოწვეულ ყოველ დეპუტატს და მის თანამემწეს აქვთ კანონით დადგენილი ხარჯების ანაზღაურების უფლება სტორტინგში წასვლისას და იქიდან წამოსვლისას, ასევე სტორტინგიდან მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას წასვლისას არდადეგების დროს, რომელიც გრძელდება არანაკლებ თოთხმეტი დღის მანძილზე.

გარდა ამისა, იგი იღებს კანონით დადგენილ ანაზღაურებას სტორტინგის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

მუხლი 66. დეპუტატები სტორტინგში წასვლისას, იქიდან წამოსვლისას და სტორტინგში ყოფნისას არ შეიძლება დაექვემდებარონ დაპატიმრებას, გარდა დანაშაულის ადგილზე წასწრებისა; ისინი თანაბრად არ შეიძლება დაექვემდებარონ სასამართლო დევნას სტორტინგის გარეთაც სტორტინგში გამოთქმული მოსაზრებებისთვის. ყოველი დეპუტატი ვალდებულია დაემორჩილოს მიღებულ რეგლამენტს.

მუხლი 67. ზემოაღნიშნული წესით არჩეული დეპუტატები შეადგენენ ნორვეგიის სამეფოს სტორტინგს.

მუხლი 68. როგორც წესი, სტორტინგი იკრიბება სახელმწიფოს დედაქალაქში ყოველი წლის ოქტომბრის თვის პირველ სამუშაო დღეს, თუ მეფე საგანგებო გარემოებების ძალით, მაგალითად, მტრული თავდასხმის ან ეპიდემიისას არ განსაზღვრავს სახელმწიფოს სხვა ქალაქს. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს დროულად.

მუხლი 69. იმ პერიოდში, როდესაც სტორტინგი არ არის შეკრებილი, მეფეს შეუძლია მისი მოწვევა, თუ ჩათვლის საჭიროდ.

მუხლი 70. ამოღებულია.

მუხლი 71. სტორტინგის წევრები იკრიბებიან ოთხი თანმიმდევრული წლის მანძილზე.

მუხლი 72. ამოღებულია.

მუხლი 73. სტორტინგი თავის წევრთაგან ირჩევს წევრთა ერთ მეოთხედს, რომელიც წარმოადგენს ლაგტინგს, ხოლო დანარჩენი სამი მეოთხედი შეადგენს ოდელსტინგს. არჩევა ხორციელდება სტორტინგის ახალი საყოველთაო არჩევნების შემდეგ პირველ სესიაზე; შემდგომ ლაგტინგი რჩება ამავე შემადგენლობით იმავე მოწვევის სტორტინგის ყველა შემდგომ სესიაზე, თუ ნაწილობრივი არჩევის გზით არ მოხდება მის წევრთა ვაკანსიის შევსება.

ყოველი განყოფილება იკრიბება ცალ-ცალკე და ნიშნავს თავის თავმჯდომარესა და მდივანს. არცერთი განყოფილება არ შეიძლება შეიკრიბოს, თუ სხდომას არ ესწრება მის წევრთა არანაკლებ ნახევარი. თუმცა, კონსტიტუციური კანონპროექტები არ შეიძლება განხილულ იქნეს, თუ სხდომას არ ესწრება სტორტინგის წევრთა ორი მესამედი.

მუხლი 74. სტორტინგის შექმნისთანავე მეფე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სესიას ხსნის მოხსენებით, რომლითაც აცნობებს კრებას სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას და გარემოებებს, რომლებზეც სტორტინგმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება. არანაირი დისკუსია არ შეიძლება წარიმართოს მეფის დასწრებით.

სტორტინგის სესიის გახსნის შემდეგ პრემიერ-მინისტრსა და სახელმწიფო საბჭოს წევრებს აქვთ სტორტინგისა და მისი ორივე ნაწილის სხდომებზე დასწრების უფლება სხვა წევრების მსგავსად, მაგრამ გადაწყვეტი ხმის უფლების გარეშე, და აქვთ ღია სხდომაზე მიმდინარე დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უფლება. ისინი სარგებლობენ ამ უფლებით დახურულ სხდომებზეც, მხოლოდ როდესაც მათ ამის უფლებას მისცემს კრება.

მუხლი 75. სტორტინგი უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს და უარყოს კანონები, დაადგინოს გადასახადები, სახდელები, საბაჟო მოსაკრებლები და სხვა სახელმწიფო გადასახდელები, რომლებიც არ გადაიხდებიან შემდგომი წლის 31 დეკემბრის შემდეგ, თუ სტორტინგი მათ არ განახლებს;
- ბ) აიღოს სესხი სახელმწიფო კრედიტით;
- გ) განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ფინანსებზე და გამოყოს სახელმწიფოს გასაღებისთვის აუცილებელი სახსრები;
- დ) დაადგინოს „რა თანხები უნდა მიეცეს მეფეს ყოველწლიურად მისი ოჯახისათვის და დაამტკიცოს სამეფო ოჯახის ცივილური ფურცელი, რომელიც არ შეიძლება შეიცავდეს უძრავ ქონებას;
- ე) მოითხოვოს სახელმწიფო საბჭოს ოქმების და ყველა ოფიციალური ანგარიშის და დოკუმენტის წარდგენა;
- ვ) მოითხოვოს ინფორმაცია კავშირებისა და იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც მეფემ დადო უცხო სახელმწიფოებთან;
- ზ) პასუხისმგებამი მისცეს სახელმწიფო საქმეებზე ნებისმიერი პირი, გარდა მეფისა და სამეფო ოჯახის წევრებისა, თუმცა ეს გამონაკლისები არ ვრცელდება სამეფო სისხლის პრინციპზე მათ მიერ რაიმე თანამდებობების დაკავებისას;
- თ) შეამოწმოს სარგოებისა და პენსიების წინასწარი სიები და შეიტანოს მათში ცვლილებები, რასაც საჭიროდ ჩათვლის ხუთი რევიზორი და მისგან ამონაწერები გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში. ამ მიზნით, რევიზორებს ანგარიში უნდა გადაეცეთ იმ წლის დამთავრებიდან ექვსი თვის მანძილზე, რომლებიც განკუთვნილი იყო სტორტინგის მიერ სახსრების მიღებით, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინაშე ვალდებულ პირთა ანგარიშების შემოწმების წესთან დაკავშირებით;
- ი) დანიშნოს სტორტინგის არაწევრი პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო მმართველობას და მასში შემავალ სამსახურებს, რათა მათი მხრიდან არ იქნეს დაშვებული უკანონო უბრალო მოქალაქეებთან დაკავშირებით;
- კ) უცხოელებს მიანიჭოს მოქალაქეობა.

მუხლი 76. ყოველი კანონპროექტი ოდელსტინგში შეიტანება ან მისი საკუთარი წევრების მიერ ან მთავრობის ან სახელმწიფო საბჭოს სახელით.

თუ კანონპროექტი მიღებულ იქნა, იგი გადაეცემა ლაგტინგს, რომელიც მას ამტკიცებს ან უარყოფს და, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უბრუნებს შეტანილი შენიშვნებით. ეს შენიშვნები განიხილება ოდელსტინგის მიერ, რომელიც ან უარს ამბობს კანონპროექტზე ან ხელახლა აბრუნებს ლაგტინგში ცვლილებებით ან მათ გარეშე.

ოდელსტინგის მიერ ლაგტინგისათვის კანონპროექტის ორჯერ გაგზავნისას, რომელიც ასევე ორჯერ იქნა დაბრუნებული მის მიღებაზე უარის თქმით, მთელი სტორტინგი ერთობლივ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

ზემოდასახელებულ განხილვებს შორის თითოეულის დროს გასული უნდა იყოს არანაკლებ სამი დღე.

მუხლი 77. როდესაც ოდელსტინგის მიერ წარდგენილი წინადადება დამტკიცებულია ლაგტინგის მიერ ან სტორტინგის მიერ ერთობლივ სხდომაზე, იგი გადაეცემა მეფეს თხოვნით სამეფო დამტკიცების მისაღებად.

მუხლი 78. თუ მეფე დამტკიცებს საკანონმდებლო გადაწყვეტილებას, იგი ხელს აწერს, რაც მას ანიჭებს კანონის ძალას.

აღნიშნულზე უარის შემთხვევაში იგი უბრუნდება ოდელსტინგს განცხადებით, რომ არ თვლის მიზანშეწონილად მის ამ დროისთვის დამტკიცებას. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო წინადადება არ შეიძლება კვლავ იქნეს წარდგენილი მეფისთვის ამავე სესიის მანძილზე.

მუხლი 79. თუ კანონპროექტი მიღებულ იქნება ორი თანმიმდევრული მოწვევის სტორტინგის ერთობლივ სესიაზე, ისე, რომ მათ შორის შუალედი იყოს არანაკლებ ორი სესია, თუ ამ შუალედში სტორტინგის პირველ და ბოლო კენჭისყრებს შორის არ იქნება მიღებული სხვა გადაწყვეტილება, და თუ გადაწყვეტილებით ეთხოვა მეფეს, რომ მისმა აღმატებულებამ უარი არ თქვას კანონპროექტის დამტკიცებაზე, რომელსაც სტორტინგი საღი განხილვის შემდეგ მიიჩნევს სასარგებლოდ, იგი იძენს კანონის ძალას იმ შემთხვევაშიც, თუ სამეფო დამტკიცება სესიის ბოლომდე არ მოესწრება.

მუხლი 80. სტორტინგის სესია გრძელდება იმდენ ხანს, რამდენსაც იგი ჩათვლის აუცილებლად.

სტორტინგის მიერ მიღებული რეგლამენტის წესების შესაბამისად განხილვა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ იგი მთავრდება არაუმეტეს სექტემბრის ბოლო სამუშაო დღეს.

ამ დროისთვის მეფე პროექტთან დაკავშირებით თავის გადაწყვეტილებას აცნობებს, რომელიც იგი ჯერ არ არის მიღებული, მისი დამტკიცების ან უარყოფის გამოცხადებით. ყველა მათგანი, რომელიც არ იქნება დამტკიცებული, ითვლება მის მიერ უარყოფილად.

მუხლი 81. ყველა კანონი, გარდა 79-ე მუხლში მითითებულისა, ქვეყნდება მეფის მიერ ნორვეგიის სამეფოს ბეჭდით, შემდეგი ფორმით: „ჩვენ, ..., ვაცხადებთ, რომ ჩვენ წარმოგვედგინა ამა და ამ რიცხვის სტორტინგის გადაწყვეტილება (შემდგომ გადაწყვეტილება). ამის შედეგად ჩვენ იგი დავამტკიცეთ და დავადასტურეთ საკუთარი ხელით და სამეფო ბეჭდით როგორც კანონი“.

მუხლი 82. ამოღებულია.

მუხლი 83. სტორტინგმა შეიძლება მოითხოვოს უმაღლესი სასამართლოს მოსაზრება სამართლის საკითხებზე.

მუხლი 84. სტორტინგის სხდომები ღიაა, მისი დისკუსია ქვეყნდება ბეჭდით ორგანოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხმათა უმრავლესობით მიღებულია სხვა გადაწყვეტილება.

მუხლი 85. ის, ვინც ექვემდებარება ბრძანებას, რომლის მიზანია სტორტინგის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დარღვევა, აღიარებულ იქნება სახელმწიფოს ლალატში ბრალდებულად.

დ. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 86. სახელმწიფო სასამართლო საქმეებს იხილავს პირველი და საბოლოო ინსტანციებით სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სასამართლოსა და სტორტინგის წევრთა წინააღმდეგ ოდელსტინგის მიერ აღძრულ სისხლის სამართლებრივ ქმედებებზე, რომლებითაც ისინი ბრალეულად არიან ცნობილნი. ოდელსტინგის მიერ საქმის აღძვრის დეტალური წესები ამ მუხლის შესაბამისად დგინდება კანონით. თუმცა, სახელმწიფო სასამართლოს მიერ პროცესის დაწყების ვადა უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები.

სახელმწიფო სასამართლოს მოსამართლეები არიან ლაგტინგის მუდმივი წევრები და უმაღლესი სასამართლოს მუდმივად დანიშნული წევრები. სახელმწიფო სასამართლოს შემადგენლობის შესახებ დებულებები ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოცემულია 87-ე მუხლში. სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარეა ლაგტინგის თავმჯდომარე.

სახელმწიფო სასამართლოში ლაგტინგის წევრების სახით შეკრებილი წევრები არ გამოდიან სასამართლოს შემადგენლობიდან, თუ ვადა, რომლითაც ისინი იქნენ არჩეული, სტორტინგში გავა იქამდე, სანამ სახელმწიფო სასამართლო დაამთავრებს საქმის განხილვას. თუ იგი რაიმე მიზეზით წყვეტს სტორტინგის წევრობას, მან უნდა მოიხსნას სახელმწიფო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება. იგივე წესი გამოიყენება, თუ სახელმწიფო სასამართლოს წევრი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გამოვა უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან.

მუხლი 87. ბრალდებულს ან პირს, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას ოდელსტინგის სახელით აქვს ლაგტინგისა და უმაღლესი სასამართლოს იმდენი წევრის აცილების უფლება, რომ სახელმწიფო სასამართლოს მოსამართლედ დარჩეს ლაგტინგის 14-მდე წევრი და უმაღლესი სასამართლოს 7-მდე წევრი. ყოველ მხარეს უნდა მიეკუთვნოს ერთი და იგივე რაოდენობა; თუმცა, ბრალდებულს აქვს უპირატესი უფლება აცილება მისცეს კიდევ ერთ პირს, თუ აცილებას დაქვემდებარებულ პირთა რიცხვი არ იყოფა ორზე. იგივე ეხება უმაღლესი სასამართლოს წევრთა აცილებასაც. თუ საქმეში არის რამდენიმე ბრალდებული, მათ კანონით დადგენილი წესების თანახმად აქვთ კოლექტიური აცილების უფლება. თუ აცილება არ განხორციელდა დასაშვებ ფარგლებამდე, ლაგტინგის და უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვი, რაც აღემატება შესაბამისად 14-ს და 7-ს, გამოწვეულ უნდა იქნეს წილისყრით. განაჩენის გამოტანისას წილისყრით უნდა იქნეს მიკუთვნებული სახელმწიფო სასამართლოს იმდენი წევრი, რომ მათმა რაოდენობამ შეადგინოს 15, რომელთაგან მაქსიმუმ 10 იქნება ლაგტინგის წევრი, ხოლო 5 – უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება წილისყრით იქნენ აცილებულნი სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

თუ სახელმწიფო სასამართლო არ შეიძლება შეიქმნას ისე, რომ ლაგტინგის და უმაღლესი სასამართლოს წევრთა რაოდენობამ შეადგინოს ზემოაღნიშნული რაოდენობა, საქმე ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული და განაჩენი გამოტანილი, თუ სასამართლო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან.

სახელმწიფო სასამართლოს შექმნის ფორმის უფრო დეტალური დებულებები დგინდება კანონით.

მუხლი 88. უმაღლესი სასამართლო განსჯის ბოლო ინსტანციით. თუმცა, უმაღლეს სასამართლოში საქმის შეტანა შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

უმაღლესი სასამართლო უნდა შედგებოდეს თავმჯდომარისგან და არანაკლებ ოთხი სხვა წევრისგან.

მუხლი 89. ამოღებულია.

მუხლი 90. არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

მუხლი 91. არავინ არ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი სასამართლოს წევრად ოცდაათ წლამდე ასაკში.

ე. ზოგადი დებულებები

მუხლი 92. სახელმწიფო თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ნორვეგიის მოქალაქეები, მამაკაცები და ქალები, რომლებიც საუბრობენ სახელმწიფო ენაზე და ასევე:

ა) დაბადებული არიან სახელმწიფოში იმ მშობლებისაგან, რომლებიც არიან სახელმწიფოს ქვეშევრდომები;

ბ) ან დაიბადნენ საზღვარგარეთ ნორვეგიელი მშობლებისგან, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები;

გ) ან ბოლო 10 წლის მანძილზე ცხოვრობენ სახელმწიფოში;

დ) ან სტორტინგის მიერ მიიღეს ნორვეგიის მოქალაქეობა.

სხვა პირები შეიძლება დაინიშნონ უნივერსიტეტების მასწავლებლის, სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე, ექიმად ან კონსულად საზღვარგარეთ.

მუხლი 93. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების და საერთაშორისო მართლწესრიგისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, სტორტინგს შეუძლია ზმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით გადასცეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ნორვეგია შეუერთდა ან შეუერთდება ამ კონსტიტუციით ნორვეგიის სახელმწიფო ორგანოთათვის გათვალისწინებული უფლებები, ზუსტად განსაზღვრულ სფეროში, გარდა კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებამოსილებისა. სტორტინგის მიერ ამ უფლების მისანიჭებლად საჭიროა სტორტინგის წევრთა ორი მესამედის თანხმობა, კონსტიტუციის გადასინჯვისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 94. ახალი საერთო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები უნდა წარედგინოს პირველ, ან შეუძლებლობის შემთხვევაში, მეორე რიგგარეშე სტორტინგს. სანამ ძალაში რჩება სახელმწიფოს მოქმედი კანონები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ამ ძირითად კანონს და ამ დროისთვის გამოქვეყნებულ დროებით ბრძანებებს.

უახლოესი სტორტინგის მოწვევამდე ასევე უნდა შენარჩუნდეს მოქმედი მუდმივი გადასახადები.

მუხლი 95. ყოველგვარი სამართალში მიცემა, სამოქალაქო დაპატიმრებისგან დაცვა, მორატორიუმები ან რეაბილიტაცია დაუშვებელია ახალი საერთო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 96. არაინ არ შეიძლება გასამართლდეს თუ არა კანონით ან დასჯილ იქნეს სასამართლოს გარეშე. წამებით დაკითხვა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

მუხლი 97. არცერთ კანონს არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

მუხლი 98. მართლმსაჯულების სასამართლოების მოსამსახურეთათვის სპეციალური საშუალებების გადახდისას, დაუშვებელია ხაზინიდან იმავე საკითხზე სხვა თანხების გაღება.

მუხლი 99. არაინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. უსაფუძვლო დაპატიმრების ან უკანონო დაკავებისას დამკავებელი პირი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე.

მთავრობას არ აქვს უფლება სამხედრო ძალები გამოიყენოს სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც რომელიმე შეკრება არღვევს საზოგადოებრივ მშვიდობას და დაუყოვნებლივ არ დაიშლება მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოები სამკერ ხმამაღლა წაიკითხავენ მასობრივი უწყსრიგობის შესახებ კანონის მუხლებს.

მუხლი 100. აღიარებულია სიტყვის თავისუფლება. არაინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სასჯელს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შეხედულებების მიღებისა და გაცემისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ვალდებულება ამართლებს სიტყვის თავისუფლების მიზნებს, სახელდობრ, სამართლიანობის,

დემოკრატიისა და პირის მიერ აზრის თავისუფალ გამოხატვას. ამგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით.

ყველას შეუძლია საჯაროდ გამოთქვას აზრი სახელმწიფო მოწყობასა და სხვა საკითხებზე. შეიძლება დადგინდეს იქნეს ამ უფლების მხოლოდ ნათლად განსაზღვრული შეზღუდვა, როდესაც განსაკუთრებით სამართლიანი შეზღუდვებით იგი აბალანსებს სიტყვის თავისუფლების მიზანს.

წინასწარი ცენზურა და სხვა შემზღუდავი ღონისძიებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი აუცილებელია ბავშვთა და ახალგაზრდების კინოსგან მათზე ზემოქმედებისაგან დასაცავად.

ყველას აქვს სახელმწიფო და მუნიციპალური ადმინისტრაციის დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება, ასევე სასამართლო და არჩევით ორგანოთა სხდომებზე დასწრების უფლება. კანონმა შეიძლება განსაზღვროს ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები პირად უფლებასთან დაკავშირებით ან სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებით.

სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა აწარმოონ ღია და გამჭვირვალე საჯარო დიალოგი.

მუხლი 101. არავის არ აქვს უფლება დაადგინოს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლების შეზღუდვა.

მუხლი 102. ბინის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე.

მუხლი 103. მოვალეთა დაცვა არ შეიძლება ამ კანონის მიღების შემდეგ.

მუხლი 104. არ შეიძლება დაირღვეს უძრავი და მოძრავი ქონების უფლება.

მუხლი 105. თუ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ აუცილებელია ვინმეს მოძრავი ან უძრავი ქონების საზოგადოებრივი სარგებლობისთვის გამოყენება, მისი შესაკუთრე სახელმწიფო ხაზინიდან იღებს სრულ კონპენსაციას.

მუხლი 106. საეკლესიო საჭიროებისთვის განკუთვნილი ქონების გაყიდვიდან შემოსავალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასულიერო საჭიროებებისა და რწმენის განვითარებისთვის. საქველმოქმედო დაწესებულებების საკუთრება გამოიყენება მათ სასარგებლოდ.

მუხლი 107. მეპქვიდრობის უფლება და საგვარეულო მამულის გამოსყიდვის უფლება არ არის აკრძალული. სხვა პირობები, რომელთა მიხედვით მათ უნდა იარსებონ სახელმწიფოს სასარგებლოდ და სოფლის მოსახლეობის ინტერესებით, განისაზღვრება პირველი და მეორე სტორტინგების მიერ.

მუხლი 108. მომავალში არ შეიძლება შეიქმნას საგრაფოები, საბარონოები, მაიორატები და ბენეფიციარები.

მუხლი 109. სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ვალდებულია საერთო წესების თანახმად, წარმოშობისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად თანაბრად მონაწილეობდეს სამხედრო სამსახურში განსაზღვრული ვადით.

ამ დებულების გამოყენება და მისგან შეზღუდვები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 110. სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან შექმნან პირობები, რათა ყველა შრომისუნარიანმა მოქალაქემ საკუთარი შრომით შეძლოს თავის რჩენა.

დეტალური დებულებები საშტატო მოსამსახურეთა მიერ სამუშაო ადგილზე გადამწყვეტი ხმის უფლების შესახებ განისაზღვრება კანონით.

მუხლი 110ა. სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა შექმნან შესაძლებლობა, რათა საამის ხალხმა შეძლოს თავისი ენის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველყოფა და განვითარება.

მუხლი 110ბ. ყველას აქვს ჯანმრთელობის დამცავი გარემოს დაცვის უფლება, ასევე ბუნებრივი პროდუქციისა და მისი მრავალფეროვნების დაცვის უფლება. ბუნებრივი რესურსები უნდა იმყოფებოდეს ხანგრძლივი და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რათა ვიზრუნოთ ამ უფლებაზე შთამომავლობისთვისაც.

რათა ვიზრუნოთ ამ უფლებაზე არსებული თაობებისთვის, მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის, ბუნებაზე ზემოქმედების შესახებ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ამ კონსტიტუციურ პრინციპთა შესასრულებლად სახელმწიფო ორგანოები იღებენ უფრო დეტალურ დებულებებს.

მუხლი 110გ. სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა ადამიანის უფლებათა პატივისცემა და დაცვა.

დეტალური დებულებები აღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმების განხორციელების შესახებ განისაზღვრება კანონით.

მუხლი 111. ნორვეგიის დროშის ფორმა და ფერები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 112. თუ გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია ნორვეგიის სამეფოს ძირითადი კანონის რომელიმე ნაწილის შეცვლა, ამის შესახებ კანონპროექტი შეტანილ უნდა იქნეს სტორტინგის პირველ, მეორე ან მესამე სესიაზე ახალი არჩევნების შემდეგ და გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში. იგი კვლავ გადაეცემა სტორტინგის პირველ, მეორე ან მესამე სესიას შემდგომი არჩევნების შემდეგ, წარმოდგენილი ცვლილებების იმავე ფორმით მისაღებად ან მათ უარსაყოფად. თუმცა, ამგვარი ცვლილებები არცერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ძირითადი კანონის პრინციპებს, არამედ იყოს მხოლოდ განსაზღვრული დებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ ცვლის მათ კონსტიტუციურ სულს. ამგვარი ცვლილებებისათვის საჭიროა სტორტინგის ხმათა 2/3-ის უმრავლესობის მხარდაჭერა.

ამ გზით მიღებულ ძირითადი კანონის დებულებებს ხელს აწერს სტორტინგის თავმჯდომარე და მდივანი და ბეჭდვით ორგანოში გამოსაქვეყნებლად გადაეცემა მეფეს, როგორც ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებები.



ROMANIA



ზოგადი ცნობარი შესავალი

რუმინეთის ტერიტორია 106 წელს რომის იმპერიის მიერ იქნა დაპყრობილი. 1859 წელს რუმინეთის ტერიტორიაზე არსებულმა ვლახეთმა და მოლდოვეთმა გაერთიანება გადაწყვიტეს და საერთო მეფე გამოაცხადეს. 1878 წელს აღიარებულ იქნა რუმინეთის დამოუკიდებლობა. 1881 წლიდან კი ქვეყანას რუმინეთის სამეფო ეწოდებოდა.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში რუმინეთში დამყარდა პროფაშისტული რეჟიმი. 1947 წელს რუმინეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და ერთი წლის შემდეგ მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაზე იყო დაფუძნებული.

1989 წლამდე ქვეყანაში ბატონობდა კომუნისტური რეჟიმი. 1989 წლის 22 დეკემბრის რევოლუციის შედეგად ხელისუფლება გადავიდა ეროვნული გადარჩენის საბჭოს ხელში. 1990 წლის მაისის არჩევნებზე აღნიშნულმა საბჭომ გამარჯვება მოიპოვა. 2000 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციური კოალიცია.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა; ჩრდილოეთიდან ესაზღვრება უკრაინა, აღმოსავლეთიდან – მოლდავეთი, სამხრეთიდან – ბულგარეთი, ხოლო დასავლეთიდან – სერბეთი და მონტენეგრო და უნგრეთი.

ფართობი: სულ: 237,500 კმ²; ხმელეთი: 230,340 კმ²; წყალი: 7,160 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ხე-ტყე, ბუნებრივი გაზი, ნახშირი, რკინის მადანი, მარილი, სახნავ-სათესი მიწები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 22,303,552 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლამდე: 15,7% (კაცი 1,799,072; ქალი 1,708,630);

15-64 წლამდე: 69,64 (კაცი 7,724,368; ქალი 7,797,065)

64 წლის და ზევით: 17,7% (კაცი 1,347,392; ქალი 1,927,625) (2006);

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.12% (2006);

შობადობა: 10.7 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 11.7 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: -0.13 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 71.63 წელი; კაცი: 68.14 წელი; ქალი: 75.34 წელი.

მოქალაქეობა: რუმინეთის

ეთნიკური ჯგუფები: რუმინელები 89.5%, უნგრელები 6.6%, ბოშები 2.5%, უკრაინელები 0.3%, გერმანელები 0.3%, რუსები 0.2%, თურქები 0.2%, სხვები 0.4% (2002).

რელიგია: აღმოსავლური ორთოდოქსული 86.8%; პროტესტანტული 7.5%; რომაული კათოლიკური 4.7%, სხვები (უმეტესად მუსულმანები) 0.9% (2002).

ენა: რუმინული (ოფიციალური), უნგრული, გერმანული.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის - 98.4%; კაცი - 99.1%; ქალი - 97.7% (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის და ზევით პირთა მიმართ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: არ აქვს

მოკლე ფორმა: რუმინეთი

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: არ აქვს

ადგილობრივი მოკლე ფორმა: რომანია

სახელმწიფოს ფორმა: რესპუბლიკა

დედაქალაქი: ბუქარესტი

ადმინისტრაციული ერთეულები: 41 ოლქი და 1 მუნიციპალიტეტი.

დამოუკიდებლობა: 1877 წლის 9 მაისი (დამოუკიდებლობა გამოცხადდა ოტომანის იმპერიისგან; დამოუკიდებლობა აღიარებულ იქნა 1878 წლის 13 ივლისს ბერლინის ხელშეკრულებით; სამეფო გამოცხადდა 1881 წლის 26 მარტს); 1947 წლის 30 დეკემბერი (რესპუბლიკის გამოცხადება).

ეროვნული დღესასწაული: უნიფიკაციის დღე (რუმინეთის და ტრანსილვანიის), 1 დეკემბერი (1918);

აღმასრულებელი ხელისუფლება: სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ (2004 წლის 20 დეკემბრიდან).

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი – კალინ პოპესკუ-ტარისევუ (2004 წლის 29 დეკემბრიდან).

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა:

პრემიერ-მინისტრი;

სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკურ სფეროში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში;

სახელმწიფო მინისტრი კულტურის, განათლებისა და ევროპასთან ინტეგრაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში;

სახელმწიფო მინისტრი ბიზნესის განვითარების და მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში;

ოუსტიციის მინისტრი;

შრომის, სოციალური სოლიდარობისა და ოჯახის მინისტრი;

ევროპასთან ინტეგრაციის მინისტრი;

საერთაშორისო ურთიერთობათა მინისტრი;

ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა მინისტრი;

ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრი;

ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

სოფლის მეურნეობის, ტყეებისა და სოფლის განვითარების მინისტრი;

ტრანსპორტის, მშენებლობისა და ტურიზმის მინისტრი;

განათლებისა და კვლევის მინისტრი;

კულტურისა და რელიგიური საქმიანობის მინისტრი;

ჯანმრთელობის მინისტრი;

კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მინისტრი;

გარემოსა და წყლების მართვის მინისტრი;
მინისტრ-დელეგატი მთავრობის გენერალური სამდიენოს კოორდინაციის
საკითხებში;
მინისტრ-დელეგატი საერთაშორისო საფინანსო პროგრამებში მონაწილეობის
საკითხებში;
მინისტრ-დელეგატი პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში;
მინისტრ-დელეგატი სახალხო სამუშაოებისა და მიწის მართვის
კოორდინაციის საკითხებში;
მინისტრ-დელეგატი ვაჭრობის საკითხებში.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც
იყოფა სენატად (იგი არის 137 ადგილიანი; წევრები აირჩევიან პირდაპირ,
პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე 4 წლის ვადით) და
დეპუტატთა პალატად (იგი არის 332 ადგილიანი; წევრები აირჩევიან
პირდაპირ, პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე 4 წლის
ვადით);

პოლიტიკური პარტიები: კონსერვატიული პარტია, ჰუმანისტური პარტია,
დემოკრატიული პარტია; რუმინეთში მყოფი უნგრელების დემოკრატიული
გაერთიანება, ეროვნული ლიბერალური პარტია, სოციალურ-დემოკრატიული
პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: რუმინეთის ეკონომიკური პოტენციალი
მოსახლეობის მოთხოვნების ადეკვატურა და შეესაბამება საერთაშორისო
თანამეგობრობის ნორმებს. რუმინეთის ეკონომიკაში მუდმივად დასაქმებულთა
კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს. ცოტა ხნის წინ
განხორციელდა ინფრასტრუქტურის რესტრუქტურისა, რაც წარმატების
საწინდარია.

რუმინეთის მრეწველობა მაღალკონცენტრირებულია: 600-700 კომპანია
სამრეწველო პროდუქციის თითქმის 80%-ს ყიდულობს. რუმინეთში
არსებული 650-ზე მეტი ორგანიზაცია აცხადებს, რომ მათი მოქმედების
მთავარი ობიექტი ბუნებრივი რესურსების გადამუშავება იქნება. იყიდება
ყველა ის კომერციული კომპანია, რომელშიც სახელმწიფო იღებს
მონაწილეობას. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს ძველი სახელმწიფო
კორპორაციების რეორგანიზაციის შედეგად.

რუმინეთში წარმოდგენილ იმპორტიორთა შეღავათიანი მდგომარეობის
მაჩვენებელია ის, რომ იმპორტირებული საქონელი, რომელიც ფირმის

საკუთრებას წარმოადგენს, თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. სამრეწველო მოწყობილობის იმპორტი არ იბეგრება.

რუმინეთში დაწესებულ იქნა 5 თავისუფალი ზონა. ისინი ფუნქციონირებს საბაჟოს ტერიტორიაზე და არ ეხება არც საბაჟო გადასახადი და არც სხვა გადასახადები. ეკონომიკური ზონების განვითარება წარმოადგენს რუმინეთის ეკონომიკის რესტრუქტურისა და ცივის პროგრამის ნაწილს.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$186.7 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 4.5% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$8,400 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 13.1%; მრეწველობა: 33.7%; მომსახურება: 53.2%; (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 25% (2005);

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$29.97 მილიარდი; გასავალი: \$31.37 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$27.72 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: ქსოვილები და ფეხსაცმელი, ლითონები და ლითონის პროდუქცია, მანქანები და ნაწილები, მინერალები და ნავთობი, ქიმიკატები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ექსპორტის პარტნიორები: იტალია 21.4%, გერმანია 15%, საფრანგეთი 8.5%, თურქეთი 7%, დიდი ბრიტანეთი 6.6% (2004);

იმპორტი: \$38.15 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და ნაწილები, ნავთობი და მინერალები, ქიმიკატები, ქსოვილები და პროდუქტები, ძირითადი ლითონები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

იმპორტის პარტნიორები: იტალია 17.2%, გერმანია 14.9%, საფრანგეთი 7.1%, რუსეთი 6.8%, თურქეთი 4.2% (2004);

საგარეო ვალი: \$29.47 მილიარდი (2005);

ვალუტა: ლეუ (RON).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. რუმინეთის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1866 წლის 29 ივნისს და სანქციონირებულ იქნა მეფის მიერ. იგი წარმოადგენდა გარკვეულ კომპრომისს ბურჟუაზიასა და მემამულე-ლატიფუნდისტებს შორის, პირველ რიგში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის სფეროში. ქვეყანა იყო საპარლამენტო მონარქია. ხელისუფლების წყაროს წარმოადგენდა ხალხი, უარყოფილი იყო კლასობრივი განსხვავება, აღიარებული იყო მოქალაქეთა გარკვეული უფლებები. პარლამენტი წარმოადგენდა ორპალატიან ორგანოს. ქვედა პალატა - დეპუტატთა კრება თავდაპირველად შედგებოდა 4, ხოლო 1884 წლიდან - 3 კოლეგიისგან. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მესაკუთრები, რომლებსაც წლიური შემოსავალი გააჩნდათ არანაკლებ 300 ლეის ოდენობით. ზედა პალატა - სენატი შედგებოდა 110 წევრისგან, რომელთაგან 60 აირჩეოდა მემამულეების, ხოლო 50 - ბურჟუაზიის მიერ. 1917 წელს ამ კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, გაუქმდა ქვედა პალატის კოლეგიები და განხორციელდა აგრარული რეფორმა.

1923 წელს 1866 წლის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელმაც აღიარა მოქალაქეთა გარკვეული თავისუფლებები - სიტყვის, ბეჭდვის, გაერთიანების, ასევე საყოველთაო საარჩევნო უფლება (გარდა ქალებისა და სამხედრო მოსამსახურეებისა).

1938 წელს მიღებულ იქნა ახალი, დიქტატორული რეჟიმის კონსტიტუცია, რომელმაც დაადგინა მეფის დიქტატურა, აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესობა, კანონ-დეკრეტების გამოცემის გზით. დეპუტატთა კრება აირჩეოდა ფაშისტური იტალიის კონსტიტუციით დადგენილი მოდელის მიხედვით. სენატის ნახევარი აირჩეოდა, ხოლო ნახევარი მეფის მიერ ინიშნებოდა. ეს კონსტიტუცია გაუქმდა 1940 წელს, როდესაც ყველა სახელისუფლებო ბერკეტით აღიჭურვა გენერალი ანტონესკუ. უარყოფილ იქნა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები.

აღნიშნული რეჟიმის დამხობის შემდეგ 1944 წლის 31 აგვისტოს აღდგა 1866 წლის (1923 წლის რედაქციით) კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის მოქმედება, ხოლო 1948 წლის 13 აპრილს მიღებულ იქნა რუმინეთის ისტორიაში მესამე, მაგრამ პირველი საბჭოური მოდელის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. იგი თავისი შინაარსით წააგავდა 1936 წლის სსრკ-ის კონსტიტუციას, რომელიც არ ითვალისწინებდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, საკანონდებლო უფლებას ფორმალურად ახორციელებდა დიდი ეროვნული კრება, თუმცა, ფაქტობრივად, მისი ბერკეტები თავმოყრილი იყო 19 წევრისგან შემდგარი პრეზიდიუმის ხელში.

უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმომადგენელ მინისტრთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრი. ადგილობრივი ორგანოები იყო სახალხო საბჭოები, თუმცა ისინი აგებული იყო ცენტრალიზაციის პრინციპზე, ქვემდგომის ზემდგომისადმი დაქვემდებარებით.

მეორე საბჭოთა ტიპის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1952 წლის 24 სექტემბერს, რომელიც არ ცვლიდა სახელმწიფო სისტემას და ითვალისწინებდა სოციალისტური პოლიტიკური სისტემის პრინციპებს. იგი განსაზღვრავდა ეროვნული უმცირესობის გარკვეულ უფლებებს და უნგრელი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე ქმნიდა უნგრეთის ავტონომიურ რეგიონს. მას გააჩნდა საკუთარი საბჭო და ადგილობრივი ერთეულები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. 13 წლის მანძილზე ეს კონსტიტუცია ნაწილობრივ იქნა შეცვლილი, მაგალითად, დიდი ეროვნული კრების ნაცვლად მუდმივმოქმედი ორგანოს სახით შეიქმნა სახელმწიფო საბჭო.

სოციალისტური ტიპის მესამე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1965 წლის 21 აგვისტოს, რომელიც ძველისგან არსებითად განსხვავდებოდა როგორც სტრუქტურით, ისე ხასიათით, მიზნებითა და ამოცანებით. მასში მოცემული იყო ნორმები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო ორგანოთა სისტემის, უფლებამოსილების, სტრუქტურისა და შექმნის წესის შესახებ. ქვეყანას ეწოდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა. მმართველ პოლიტიკურ პარტიად განისაზღვრა კომუნისტური პარტია, ხოლო ქვეყნის ამოცანად – კომუნიზმის შენება. განსხვავებით 1952 წლის კონსტიტუციისგან, რომელიც დიდი ეროვნული კრების დეპუტატების არჩევას ითვალისწინებდა ყოველ 40 ათას ამომრჩეველზე, 1965 წლის კონსტიტუციამ ზუსტად განსაზღვრა დეპუტატთა რაოდენობა საარჩევნო ოლქების მოსახლეობის თანაბრობის დაცვით, რის თანახმად დეპუტატთა რიცხვი 465-ს შეადგენდა. ქვეყანა იყოფოდა 16 რეგიონად, მათ შორის იყო უნგრელთა ავტონომიური რეგიონი.

აღნიშნულმა კონსტიტუციამ 25 წლის მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა, რომლებიც ეხებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, დიდი ეროვნული კრების სტრუქტურისა და უფლებამოსილების ვადას, პრეზიდენტისა და რეფერენდუმის ინსტიტუტების შემოღებას.

1989 წელს ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობის შემდეგ 1965 წლის კონსტიტუცია ფორმალურად არ გაუქმებულა, თუმცა მის როლს ასრულებდა 1990 წლის 14 მარტის კანონ-დეკრეტი „რუმინეთის პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. დღეს მოქმედი რუმინეთის კონსტიტუცია მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ 1991 წლის 21 დეკემბერს სახელობითი კენჭისყრით, რომელზეც მას ხმა მისცა 414 წევრმა, ხოლო წინააღმდეგი იყო 95 წევრი. იგი ძალაში შევიდა რეფერენდუმზე დამტკიცებისთანავე 1991 წლის 7 დეკემბერს. ამავე დღეს სრულად იქნა გაუქმებული 1965 წლის 21 აგვისტოს კონსტიტუცია. საკანონმდებლო საბჭოს, მისი ორგანიზაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან 12 თვის ვადაში დაევალა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და სათანადო წინადადებების წარდგენა პარლამენტის ან, აუცილებელ შემთხვევაში, მთავრობისათვის.

რუმინეთში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გართულებული წესია დადგენილი. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება გააჩნია პრეზიდენტს მთავრობის წინადადების საფუძველზე, დეპუტატთა ან სენატორთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4-ს, ასევე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 500 ათას მოქალაქეს. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის წარმდგენი მოქალაქეებისთვის დადგენილია, რომ უნდა განეკუთვნებოდნენ ქვეყნის შემადგენლობაში არსებული ოლქების არანაკლებ ნახევარს და თითოეული ოლქიდან და ბუქარესტის მუნიციპალიტეტიდან ინიციატივის მხარდასაჭერად წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 20 ათასი ხელმოწერა.

გადასინჯვის ინიციატივა მიიღება ორივე პალატის მიერ, თითოეული პალატის წევრთა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დეპუტატთა პალატა და სენატი გადაწყვეტილებებს იღებენ გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატთა და სენატორთა არანაკლებ 3/5-ის უმრავლესობით. კონსტიტუციის გადასინჯვა საბოლოოდ ითვლება 30 დღის ვადაში მისი რეფერენდუმზე დამტკიცებით.

გადასინჯვის საგანი არ შეიძლება იყოს ამ კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება რუმინეთის სახელმწიფოს ეროვნულ, დამოუკიდებელ, ერთიან და განუყოფელ ხასიათს, მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, ტერიტორიულ მთლიანობას, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ოფიციალურ ენას. აგრეთვე დაუშვებელია ისეთი გადასინჯვა, რომლის შედეგად ხდება მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფა ან მათი დაცვა. კონსტიტუციის გადასინჯვა დაუშვებელია საალყო, საგანგებო მდგომარეობის ან ომის დროს.

კანონი კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. რეფერენდუმზე დამტკიცების შემდეგ შესწორებული სრული კონსტი-

ტუცია ხელახლა ქვეყნდება საკანონმდებლო საბჭოს მიერ, სახელწოდებები-
სა და გადანომრილი ტექსტის განახლებით.

კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა ერთხელ. მისი ტექსტი მო-
ამზადა სპეციალურმა საპარლამენტო საბჭომ, 2003 წლის ივნისში დაამ-
ტკიცა დეპუტატთა პალატამ, ხოლო სექტემბერში – სენატმა განსხვავებუ-
ლი შინაარსით. მისი შეჯერებული ვარიანტი მიღებულ იქნა 2003 წლის 18
სექტემბერს ორივე პალატის მიერ და დამტკიცდა 2003 წლის 18-19 ოქ-
ტომბერს რეფერენდუმზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა
55.7%-მა, რომელთაგან კონსტიტუციას ხმა მისცა 89.7%-მა.

2003 წლის ცვლილებები ძირითადად ეხებოდა ეროვნული უმცირესობის
ეროვნული ენის გამოყენების, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის 5
წლამდე გაზრდის, საპარლამენტო იმუნიტეტის შეკვეცის, ევროკავშირის
ქვეყნების მოქალაქეთათვის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლე-
ბის მიცემის, ევროკავშირსა და ნატო-ში რუმინეთის შესასვლელად რეფე-
რენდუმის საჭიროების უარყოფის საკითხებს და სხვ.

კონსტიტუციის ანალიზი. რუმინეთის კონსტიტუცია შედგება 8 ნაწილისა
და 152 მუხლისგან. ზოგიერთი ნაწილი თავისმხრივ იყოფა თავებად, ხოლო
ზოგიერთი თავი – განყოფილებებადაც. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციას
არ ახლავს პრეამბულა, სადაც გამოხატული იქნებოდა რუმინელი ხალხის
სურვილი და სახელმწიფოებრიობის საფუძვლები. პირველ მუხლში მხოლოდ
ის არის აღნიშნული, რომ რუმინეთის სახელმწიფოს ფასეულობები გარან-
ტირებულია რუმინელი ხალხის 1989 წლის დეკემბრის რევოლუციის იდეა-
ლებით.

კონსტიტუციის თანახმად, რუმინეთი არის სუვერენული, დამოუკიდებელი
და განუყოფელი სახელმწიფო. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის რუმი-
ნელ ხალხს, რომელიც მას ახორციელებს პერიოდული, თავისუფალი და სა-
მართლიანი არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოებისა
და რეფერენდუმის მეშვეობით. რუმინეთის პრეზიდენტს, პარლამენტთან კონ-
სულტაციის შემდეგ, შეუძლია ხალხს სთხოვოს რეფერენდუმის მეშვეობით
გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ეროვნული ინტერესის მქონე საკითხებზე.
სახელმწიფოს საფუძველია რუმინელი ხალხის ერთიანობა და სოლიდარობა.
აღნიშნულია, რომ რუმინეთი არის რუმინელი ხალხის საერთო და განუყო-
ფელი სამშობლო განურჩევლად სხვადასხვა პირობებისა.

კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებულია ძირითადი უფლებები,
თავისუფლებები და ვალდებულებები, რომლებიც შეესაბამება პოსტ-სოცია-
ლისტური ქვეყნების კონსტიტუციებით განმტკიცებულ პირად, პოლიტიკურ
და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ესენია: სიცოც-

ხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება, პირადი თავისუფლება, დაცვის უფლება, გადაადგილების თავისუფლება, პირადი და ოჯახური საიდუმლოება, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, კორესპონდენციის, სინდისის, გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის, განათლების, კულტურის ხელმისაწვდომობის, ჯანმრთელობის დაცვის, ჯანსაღი გარემოს უფლება, ხმის მიცემის, არჩევის, ევროპის პარლამენტში არჩევის, გაერთიანების უფლება, შეკრების თავისუფლება, შრომის უფლება და თავისუფლება, გაფიცვის, კერძო საკუთრების, მემკვიდრეობის, პეტიციის, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დაზარალებული პირის უფლება, ეკონომიკური თავისუფლება, ბავშვების, ახალგაზრდებისა და ინვალიდთა დაცვა. ვალებულებებიდან ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის ერთგულების, თავდაცვის, ფინანსური კონტრიბუციის ვალდებულებებზე.

კონსტიტუცია მნიშვნელოვან გარანტიებს ანიჭებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს. სახელმწიფო აღიარებს და იცავს მათ გამოხატონ და განავითარონ საკუთარი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა. სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით უნდა შეესაბამებოდეს რუმინეთის სხვა მოქალაქეებთან თანასწორობისა და არადისკრიმინირების პრინციპებს. მათ განსაზღვრული წარმომადგენლობა შეიძლება გააჩნდეთ პარლამენტის პალატებში. გარდა ამისა, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც მოქალაქეების უმრავლესობას წარმოადგენს მნიშვნელოვანი გაელენის მქონე ეროვნული უმცირესობა, მისი ენის გამოყენება უზრუნველყოფილია ზეპირი და წერილობითი ფორმით ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობებში. ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ რუმინეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ მშობლიურ ენაზე.

უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთად კონსტიტუციაში მოცემულია ნორმები ომბუდსმენის – ხალხის ადვოკატის შესახებ, რომელიც ინიშნება 5 წლის ვადით ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ინიციატივით ან უფლება-თავისუფლება შელახული პიროვნების განცხადების საფუძველზე. ხალხის ადვოკატის მოადგილეები სპეციალიზირებული არიან თავიანთ სამოქმედო სფეროებში.

რუმინეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა. სახელმწიფოს ორგანიზაცია დამყარებულია ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსირების პრინციპებზე – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის – კონსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებში.

პარლამენტი არის რუმინელი ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, რომელიც შედგება 2 პალატის – დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. პალატები აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი არჩევნებით. კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული პალატების წევრთა რაოდენობა და ამ საკითხის გადაწყვეტა საარჩევნო კანონს აქვს მინდობილი, ვინაიდან წევრთა რაოდენობის განსაზღვრას ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა უდევს საფუძვლად. ამასთან, თითო მანდატი ეკუთვნის ეროვნული უმცირესობების მიერ ფორმირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აგროვებენ ხმათა სათანადო რაოდენობას, რათა წარმოდგენილ იქნენ პარლამენტში. ეროვნული უმცირესობების ერთი ჯგუფი მხოლოდ ერთი ორგანიზაციით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამჟამად სენატში 137 წევრია, ხოლო დეპუტატთა პალატაში – 332, რომელთაგან 18 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია. მათი სახით წარმოდგენილი არიან გერმანელები, სომხები, იტალიელები, ბულგარელები, ბერძნები, ებრაელები, რუსები, ხორვატები, ალბანელები, მუსულმანი თათრები, უკრაინელები, მაკედონიელები, სლოვენები, სერბები, თურქები, სლოვაკები, ჩეხები, პოლონელები.

დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევა 4 წლის ვადით. მათი მანდატი გრძელდება ახალი პარლამენტის შეკრებამდე. ამ პერიოდში არ შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვა, ასევე დაუშვებელია ორგანული კანონის მიღება, შესწორება ან გაუქმება. წინა მოწვევის პარლამენტის დღის წესრიგში შეტანილი კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების პროცედურა გრძელდება ახალ პარლამენტში.

პალატები სხდომებს ატარებენ ცალ-ცალკე. კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ საკითხთა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომლებსაც პალატები გაერთიანებულ სხდომებზე ერთობლივად წყვეტენ, ესენია: სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტების მიღება, მობილიზაციის ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, ხალხის ადვოკატის არჩევა, დეპუტატთა და სენატორთა სტატუსის განსაზღვრა, ანაზღაურება და სხვა უფლებათა დადგენა. პალატების მიერ ცალ-ცალკე განსახილველ საკითხებზე კონსტიტუცია ყურადღებას არ ამახვილებს.

დეპუტატთა პალატა და სენატი დამსწრეთა უმრავლესობით იღებენ კანონებს, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებს. კანონი შეიძლება იყოს კონსტიტუციური, ორგანული და ჩვეულებრივი. კონსტიტუციური კანონები უნდა შეეხებოდეს კონსტიტუციის გადასინჯვას, ხოლო ორგანული კანონით დასარეგულირებელი საკმაოდ ფართო ჩამონათვალი კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია მთავრობას, დეპუტატებს,

სენატორებს ან ხმის უფლების მქონე არანაკლებ 100 ათას მოქალაქეს. თუმცა, გარკვეული თავისებურებები არის დადგენილი სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის განსახორციელებლად: ინიციატორი მოქალაქეები წარმოდგენილი უნდა იყვნენ ქვეყნის ოლქების საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4-იდან ისე, რომ ინიციატივა მხარდაჭერილი იყოს ყოველი მათგანიდან და ბუქარესტის მუნიციპალიტეტიდან არანაკლებ 5 ათასი რეგისტრირებული ამომრჩევლის მიერ. მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივა არ შეიძლება ეხებოდეს გადასახადებს, საერთაშორისო საკითხებს, აშინსტიას ან შეწყალებას.

დეპუტატთა პალატა თავდაპირველად იხილავს კანონპროექტებს ხელშეკრულებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციისთვის და მათგან გამომდინარე საკანონმდებლო ზომებს, ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონების ნაწილს, ხოლო სხვა კანონპროექტების განხილვა იწყება სენატში. პირველი პალატის მიერ მიღების ან არმიღების შემდეგ კანონპროექტი ყველა შემთხვევაში გადაეცემა მეორე პალატას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ორგანული კანონები და პალატების რეგლამენტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება თითოეული პალატის წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ჩვეულებრივი კანონები და გადაწყვეტილებები – პალატაში დამსწრე წევრთა უმრავლესობით. კანონი ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად ეგზავნება პრეზიდენტს. თუმცა, კანონის გამოქვეყნებამდე პრეზიდენტს უფლება აქვს იგი უკან დაუბრუნოს პარლამენტს ხელახლა განსახილველად. ამის უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ.

დეპუტატები და სენატორები საკუთარი მანდატის განხორციელებისას ხალხის სამსახურში არიან. ბათილია ნებისმიერი იმპერატიული მანდატი. არავის აქვს უფლება ერთდროულად იყოს დეპუტატიც და სენატორიც. მათი ფუნქციები შეუთავსებელია ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში უფლებამოსილების განხორციელებასთან. გამონაკლისს წარმოადგენს მთავრობის წევრობა. დეპუტატების ან სენატორების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა შეიძლება იმ ფაქტებისათვის, რომლებიც მათი უფლებამოსილების განხორციელებისას არ უკავშირდება ხმის მიცემას ან პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას. არ შეიძლება მათი გაჩხრეკა, დაკავება ან დაპატიმრება იმ პალატის ნებართვის გარეშე, რომლის წევრებიც არიან. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, როდესაც დეპუტატები და სენატორები შეიძლება დააკავონ და გაჩხრიკონ. ამის თაობაზე, იუსტიციის მინისტრი და უყოვნებლივ აცნობებს პალატის თავმჯდომარეს. იმ შემთხვევაში, თუ პალატის სხდომაზე დადგინდება, რომ არ არსებობს დაკავების მიზეზი, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გაბათილე-

ბა.

რუმინეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებას წარმოადგენს პარლამენტის სპეციალური საკონსულტაციო ორგანო – საკანონმდებლო საბჭო, რომელიც აკეთებს დასკვნას ნორმატიული აქტების პროექტების სისტემატიზაციის, უნიფიკაციის შესახებ და ახორციელებს მთელი კანონმდებლობის კოორდინაციასა და ოფიციალურ აღრიცხვას.

რუმინეთის პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს და ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტს, თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას და სახელმწიფო ორგანოების სათანადო ფუნქციონირებას. ამ მიზნის მისაღწევად ის ახორციელებს მედიატორის ფუნქციებს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი არჩევნებით 5 წლის ვადით. მის თანამდებობაზე არჩევის ნამდვილობას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლო. პრეზიდენტად არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტი სარგებლობს იმ სახის იმუნიტეტით, როგორც პარლამენტის წევრები.

მისი უფლებამოსილება ორ სახედ შეიძლება დაეცოს: გარკვეულ ფუნქციებს იგი დამოუკიდებლად ახორციელებს, ხოლო ზოგიერთს – პრემიერ-მინისტრთან ერთად.

რუმინეთის პრეზიდენტი წარადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს მთავრობას პარლამენტის მიერ ხმების უმრავლესობით მიღებული ნდობის ვოტუმის საფუძველზე. სამთავრობო რეორგანიზაციის ან ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, მთავრობის ცალკეულ წევრთა გათავისუფლებისა და დანიშვნის უფლება აქვს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის წინადადებით, ხოლო თუ რეორგანიზაციის საფუძველზე იცვლება მთავრობის პოლიტიკური სტრუქტურა ან შემადგენლობა – პარლამენტის თანხმობით, პრემიერ-მინისტრის შესაბამისი წინადადების საფუძველზე. პრეზიდენტს არ აქვს პრემიერ-მინისტრის გადაყენების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არ არის მთავრობის მეთაური, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, რომლებზეც განიხილება ეროვნული ინტერესის მქონე საკითხები საგარეო პოლიტიკასთან, ქვეყნის თავდაცვასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და, პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით და უხელმძღვანელოს მათ.

პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა შეუძლია ორივე პალატის თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ჯგუფების ლიდერებთან კონსულტაციის

შემდეგ, თუ პარლამენტმა არ გამოხატა მთავრობის ფორმირებისათვის აუცილებელი ნდობა პირველი მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში და სულ მცირე ორჯერ არ დაამტკიცა ინვესტიტიურის შესახებ მოთხოვნა. ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთხელ. თუმცა, პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში, ასევე სახელმწიფო მობილიზაციის, საომარი, სააღყო ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

უფლებამოსილებას საგარეო პოლიტიკის სფეროში პრეზიდენტი ახორციელებს მთავრობასთან ერთად. მას უფლება აქვს მთავრობის მიერ წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებები დადოს რუმინეთის სახელით და წარუდგინოს პარლამენტს რატიფიცირებისთვის. ასევე, იგი მთავრობის წინადადებით აკრედიტაციას აძლევს და გამოიწვევს რუმინეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და ამტკიცებს დიპლომატიური მისიების რანგის შექმნას, გაუქმებას ან შეცვლას.

რუმინეთის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოს.

პრეზიდენტის პასუხისმგებლობაც ორი სახის არსებობს: თანამდებობიდან ჩამოშორება და იმპიჩმენტი. თანამდებობიდან ჩამოშორებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მძიმე ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რითაც დაირღვა კონსტიტუციის დებულებები. ამ საკითხის დაყენების უფლება აქვს დეპუტატთა და სენატორთა არანაკლებ 1/3-ს, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს დეპუტატთა პალატა და სენატი გაერთიანებულ სხდომაზე, ხმების უმრავლესობით, საკონსტიტუციო სასამართლოსთან კონსულტაციის შემდეგ. თუმცა, პრეზიდენტის თანამდებობიდან საბოლოოდ გადასაყენებლად აუცილებელია თანამდებობიდან ჩამოშორების საკითხის 30 დღის ვადაში რეფერენდუმით დამტკიცება. პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით პასუხისგებაში მიცემის საკითხს კი წყვეტს ორივე პალატა გაერთიანებულ სხდომაზე, ხმების არანაკლებ 2/3-ით, თუ მან ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი. საკითხის დაყენების უფლება აქვს დეპუტატთა და სენატორთა უმრავლესობას. თუმცა, პალატების გადაწყვეტილება პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბოლოოდ უნდა დაადასტუროს უმაღლესმა საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლომ. პრეზიდენტი გადაყენებულად ითვლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს. პასუხისგებაში მიცემის დღიდან გადადგომის დღემდე პრეზიდენტის უფლებამოსილება შეწყვეტილია.

უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში პრეზიდენტს უფლება აქვს გამოსცეს დეკრეტები. დეკრეტების გარკვეული კატეგორია ამავდროულად საჭიროებს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერასაც.

მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გა-

ტარებას და ახორციელებს სახელმწიფო მმართველობის საერთო ხელმძღვანელობას. იგი შედგება პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა წევრებისაგან.

მთავრობის ფორმირება ხდება შემდეგი გზით: პრეზიდენტი პარლამენტში უმრავლესობის მქონე პარტიასთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში პარლამენტისგან ითხოვს მთავრობის პროგრამისა და სრული შემადგენლობისათვის ნდობის ვოტუმის გამოცხადებას. ეს საკითხები განიხილება დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს დეპუტატთა და სენატორთა ხმების უმრავლესობით.

მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებსა და ორდონანსებს, რომელთაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი იმ მინისტრებთან ერთად, რომელთაც ევალუბათ მათი აღსრულება. მთავრობას მთელ თავის საქმიანობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მთავრობის თითოეული წევრი მთავრობის მოქმედებებსა და აქტებზე პასუხს აგებს სოლიდარულად სხვა წევრებთან ერთად. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმიც. დეპუტატთა პალატას, სენატს და პრეზიდენტს უფლება აქვთ მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მთავრობის წევრის წინააღმდეგ, უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილი ქმედებისთვის. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს იგი ჩამოაშოროს საქმიანობას. მთავრობის წევრის საქმის განხილვის დაწყებას მოსდევს მისი გადაყენება. ამ საქმეს იხილავს უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლო. მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობის შემთხვევაში სასჯელები განისაზღვრება კანონით „მინისტრთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

პალატებს უფლება აქვთ გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატთა და სენატორთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4-ის ინიციატივით მოითხოვონ მთავრობის მიმართ უნდობლობის რეზოლუციის მიღება, რომელიც მიიღება დეპუტატთა და სენატორთა ხმების უმრავლესობით.

მთავრობას შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა პროგრამასთან, საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადებასთან ან ცალკეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით. მთავრობა გადაყენებულად ითვლება, თუ მთავრობის პროგრამის, საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადების ან კანონპროექტის წარდგენიდან 3 დღის ვადაში შეტანილი უნდობლობის რეზოლუცია მიღებულ იქნა. თუ მთავრობა არ იქნა გადაყენებული, მის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ჩაითვლება მიღებულად, ხოლო პროგრამა და საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადება მთავრობისათვის სავალდებულო ხდება.

პარლამენტს უფლება აქვს მიიღოს სპეციალური კანონი, რომელიც მთავრობას მიანიჭებს ორდონანსების გამოცემის უფლებას იმ სფეროში, რაც არ განეკუთვნება ორგანული კანონით რეგულირების სფეროს. იგი აუცილებლად უნდა განსაზღვრავდეს ორდონანსების სამოქმედო სფეროსა და ვადას. ამ სახის ორდონანსები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს პარლამენტს. გადაუდებელ შემთხვევებში მთავრობამ შეიძლება მიიღოს სასწრაფო ორდონანსები, რომელთა დარეგულირებაც არ შეიძლება გადაიდოს და ვალდებულია შეასრულოს სასწრაფო ორდონანსის შინაარსში გათვალისწინებული გარემოებები. სასწრაფო ორდონანსი ძალაში შედის იმ პალატაში სასწრაფო წესით განხილვის შემდეგ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. სასწრაფო ორდონანსები არ შეიძლება მიღებულ იქნეს საკონსტიტუციო კანონებზე, ან შეეხებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტების სტატუსს, უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე საარჩევნო უფლებებს და არ შეიძლება ითვალისწინებდეს რაიმე სიკეთის იძულების წესით საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემას.

სამინისტროები იქმნება მხოლოდ მთავრობის დაქვემდებარებაში. სხვა სპეციალიზირებული ორგანოები იქმნება მთავრობის ან სამინისტროების დაქვემდებარებაში, ან როგორც ავტონომიური ადმინისტრაციული დაწესებულებები. სამინისტროები იქმნება, იმართება და ფუნქციონირებს კანონიდან გამომდინარე.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით რუმინეთი არის უნიტარული სახელმწიფო, მისი ტერიტორია იყოფა კომუნებად, ქალაქებად და ოლქებად. კანონის თანახმად ზოგიერთი ქალაქი ცხადდება მუნიციპალიტეტად. საჯარო ადმინისტრაცია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში ეფუძნება დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი ავტონომიისა და საჯარო სამსახურის დეკონცენტრაციის პრინციპებს. კომუნებსა და ქალაქებში ადგილობრივი ავტონომიის განმახორციელებელ საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებს შეიძლება წარმოადგენდნენ არჩევითი ადგილობრივი საბჭოები და მერები. ეს ორგანოები შეიძლება შეიქმნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებშიც. საოლქო საბჭო წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კოორდინაციას უწევს კომუნებისა და ქალაქების საბჭოების საქმიანობას, ოლქისათვის საინტერესო საქმეების განსახორციელებლად. საოლქო საბჭო არჩევითი ორგანოა.

ყოველ ოლქში და ბუქარესტის მუნიციპალიტეტში მთავრობა ნიშნავს თითო პრეფექტს, რომელიც არის მთავრობის წარმომადგენელი ადგილობრივ დონეზე და ხელმძღვანელობს სამინისტროების დეცენტრალიზებულ სამსახურებს და ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ცენტრალური საჯარო ადმინისტრაციის სხვა ორგანოებს. პრეფექტებს და ადგი-

ლობრივ საბჭოებს, მერებს, ასევე ოლქის საბჭოს ხელმძღვანელებს შორის არ არსებობს სუბორდინაციული ურთიერთობები.

მართლმსაჯულება ხორციელდება უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოსა და კანონით განსაზღვრული სხვა სასამართლოების მიერ. დაუშვებელია საგანგებო სასამართლოების დაფუძნება. შეიძლება შეიქმნას სპეციალური სასამართლოები, საქმის შესაბამისად, მაგისტრატი პიროვნებების გარდა სხვა პირთა მონაწილეობით. უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს სხვა სასამართლოების მიერ, მათი კომპეტენციის შესაბამისად, კანონთა ერთგვაროვან განმარტებას.

მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი, რომლებიც შეუცვლელნი არიან. მოსამართლეთა წარდგენის, დანიშვნის, დაწინაურებისა და დასჯის საკითხებს წვევტს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

სასამართლო საქმიანობის ფარგლებში პროკურატურა გამოხატავს საზოგადოების საერთო ინტერესებს და იცავს მართლწესრიგს, ასევე მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. პროკურორები თავის საქმიანობას ახორციელებენ კანონიერების, სამართლიანობისა და იერარქიული კონტროლის პრინციპების შესაბამისად, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო არის სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი, რომელიც შედგება 19 წევრისგან. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო კანონის შესაბამისად პრეზიდენტს წარუდგენს კანდიდატებს მოსამართლეების და პროკურორების თანამდებობებზე დასანიშნად და თავისი სექციების მეშვეობით, მოსამართლეებისა და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე ასრულებს სასამართლოს როლს.

სახელმწიფო და საჯარო სექტორის ფინანსური რესურსების ფორმირებაზე, მართვასა და გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს საანგარიშო სასამართლო. იგი ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აღმოჩენილი ნაკლოვანებების მითითებით. დეპუტატთა პალატის ან სენატის მოთხოვნით, საანგარიშო სასამართლო ამოწმებს საჯარო ფინანსების გამოყენებას და აკეთებს მოხსენებას აღმოჩენილი ფაქტების შესახებ.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო წარმოადგენს პარლამენტისა და მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს.

საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციის უზენაესობის გარანტი. იგი შედგება 9 წლის ვადით დანიშნული 9 მოსამართლისგან, ხელახლა არჩევის გარეშე, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, 3-ს – სენატი, ხოლო 3-ს – პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განახლება ხდება ყოველ 3 წელიწადში. მის მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული გამოც-

დილება და სასამართლო ან აკადემიური საქმიანობის არანაკლებ 18 წლიანი გამოცდილება.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კანონების გამოქვეყნებამდე განსაზღვროს მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობა, ასევე სავალდებულო წესით – კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის კონსტიტუციურობა, ხელშეკრულებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, პარლამენტის რეგლამენტების, სასამართლოში ან სავაჭრო არბიტრაჟში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით კანონებისა და ორდონანსების კონსტიტუციურობა, სახელმწიფო ორგანოებს შორის კონსტიტუციური ხასიათის სამართლებრივი დაეების, პოლიტიკური პარტიის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა, ასევე იმ გარემოებათა არსებობის დადგენა, რომელიც შეიძლება გახდეს პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულების საფუძველი, პრეზიდენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის მიმდინარეობის დაცვა და მეთვალყურეობა და კენჭისყრის შედეგების დამტკიცება, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე საკონსულტაციო დასკვნის მიცემა, მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შესრულების პირობების შემოწმება.

რუმინეთის კონსტიტუცია შეიცავს ერთ სპეციფიკურ ნაწილს – „ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას“, რაც შეეხება ევროპულ კავშირში ინტეგრაციას და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულებაზე მიერთებას. ევროპული კავშირის დამაარსებელ ხელშეკრულებაზე რუმინეთის მიერთება, გარკვეული საქმიანობის საერთო ინსტიტუტებისათვის გადაცემის მიზნით, ასევე სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ხდება კანონის შესაბამისად, რომელიც მიიღება დეპუტატთა პალატის და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე, დეპუტატებისა და სენატორების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. რუმინეთის მიერ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულებაზე მიერთება შეიძლება მოხდეს დეპუტატთა პალატის და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული კანონის შესაბამისად, დეპუტატთა და სენატორთა 2/3-ის ხმათა უმრავლესობით.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. რუმინეთის კონსტიტუცია აგებულია თანამედროვე კონსტიტუციონალიზმისთვის დამახასიათებელ დემოკრატიულ პრინციპებზე, ფრანგულ მმართველობის ფორმაზე დაყრდნობით, სადაც პრეზიდენტს მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ბერკეტები გააჩნია, თუმცა მრავლად შეინიშნება განვითარებადი ქვეყნების კონსტიტუციური ინსტიტუტების თავისებურებებიც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მას გააჩნია შექმნილი განსაკუთრებული თავისებურებები:

– კონსტიტუცია შედგება ნაწილებისა და მუხლებისაგან, თუმცა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იყოფა თავებად, ხოლო ზოგიერთი თავი – განყოფილებებად;

– კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული პალატების წევრთა რაოდენობა და ამ საკითხს წყვეტს საარჩევნო კანონი. ამასთან, პალატაში თითო მანდატი ეკუთვნის ეროვნული უმცირესობების მიერ ფორმირებულ ორგანიზაციებს;

– განსხვავებული სტატუსი გააჩნია პალატებს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ახლადარჩეული პალატების შეკრებამდე – მათ არ შეუძლიათ განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

– კონსტიტუცია განსაზღვრავს პალატების ერთობლივ უფლებამოსილებას, თუმცა, მათ მიერ ცალ-ცალკე განსახილველ საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებს. ასევე ჩამოთვლილია საკანონმდებლო სფეროები, რომლებსაც თითოეული პალატა თავდაპირველად იხილავს;

– პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის ნამდვილობას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლო;

– დეპუტატთა პალატასა და სენატთან ერთად მთავრობის წევრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნის უფლება აქვს პრეზიდენტსაც;

– პრეზიდენტის პასუხისმგებლობა 2 სახის არსებობს: თანამდებობიდან ჩამოშორება და იმპიჩმენტი. თანამდებობიდან ჩამოშორების გადაწყვეტილება საბოლოოდ საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას;

– თვითმმართველობასთან ერთად გათვალისწინებულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივ საქმეთა გადაწყვეტაში მონაწილეობის გარკვეული მექანიზმები. ყოველ ოლქში და ბუქარესტის მუნიციპალიტეტში მთავრობა ნიშნავს თითო პრეფექტს, რომელიც არის მთავრობის წარმომადგენელი ადგილობრივ დონეზე;

– კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიიღება პალატების მიერ და მტკიცდება რეფერენდუმზე. ამასთან, არ შეიძლება გადასინჯოს კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება რუმინეთის სახელმწიფოს ნიშნებს, ოფიციალურ ენას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფას ან მათ დაცვას;

– საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლის უფლებამოსილება. სხვა კლასიკურ უფლებებთან ერთად იგი უფლებამოსილია უზრუნველყოს პრეზიდენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის მიმდინარეობის დაცვა და მეთვალყურეობა და კენჭისყრის შედეგების დამტკიცება, მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შესრულების პირობების შემოწმება;

– მკაცრი მოთხოვნებია დადგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის. მათ უნდა გააჩნდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული გამოცდილება და სასამართლო ან აკადემიური (სამეცნიერო) საქმიანობის არანაკლებ 18 წლიანი გამოცდილება;

– უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან გათვალისწინებულია საკანონმდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის ინიციატივის უფლება, ოლქების წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინებით; მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივა არ შეიძლება ეხებოდეს გადასახადებს, საერთაშორისო საკითხებს, ამნისტიას ან შეწყობას. თუმცა, ეს შეზღუდვა არ ეხება მთავრობისა და პალატების წევრთა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას;

– რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენოს რეფერენდუმის ინსტიტუტი და პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ზალხს სთხოვოს გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ეროვნული ინტერესის მქონე საკითხებზე.

რუმინეთის კონსტიტუცია²

მიღებულია 1991 წლის 8 დეკემბერს რეფერენდუმით

(ცვლილებები შეტანილ იქნა 2003 წლის 18-19 ოქტომბერს)

ნაწილი I. საერთო პრინციპები

მუხლი 1. რუმინეთის სახელმწიფო

1. რუმინეთი არის სუვერენული, დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო.

2. რუმინეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა.

3. რუმინეთი არის სამართლებრივი, დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო, სადაც ადამიანის ღირსება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, პიროვნების თავისუფალი განვითარება და სამართლიანობა პოლიტიკურ პლურალიზმთან ერთად წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობებს და გარანტირებულია რუმინელი ხალხის 1989 წლის დეკემბრის რევოლუციის იდეალებით.

4. სახელმწიფოს ორგანიზაცია დამყარებულია ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსირების პრინციპებზე – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის – კონსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებში.

5. რუმინეთში კონსტიტუციის დაცვა, მისი უზენაესობა და კანონები სავალდებულოა.

მუხლი 2. სუვერენიტეტი

1. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის რუმინელ ხალხს, რომელიც მას ახორციელებს პერიოდული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოებისა და რეფერენდუმის მეშვეობით.

2. არცერთ ვაგუფს და პიროვნებას არ შეუძლია ქვეყნის სუვერენიტეტი განახორციელოს საკუთარი სახელით.

მუხლი 3. ტერიტორია

1. რუმინეთის ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია.

2. ქვეყნის საზღვრები დადგენილია ორგანული კანონით, საყოველთაოდ

² თარგმანისას გამოყენებულია რუმინეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.cdep.ro/pls/dic/site.page?id=339&id1=2 გამოქვეყნებული რუმინეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

ადიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დაცვით.

3. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქვეყნის ტერიტორია იყოფა კომუნებად, ქალაქებად და ოლქებად. კანონის თანახმად ზოგიერთი ქალაქი ცხადდება მუნიციპალიტეტად.

4. რუმინეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ შეიძლება უცხო ხალხის დასახლება და მისი კოლონიზაცია.

მუხლი 4. ხალხის ერთიანობა და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა

1. რუმინეთის სახელმწიფოს საფუძველია რუმინელი ხალხის ერთიანობა და სოლიდარობა.

2. რუმინეთი არის რუმინელი ხალხის საერთო და განუყოფელი სამშობლო განურჩევლად რასის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, სქესის, მრწამსის, პოლიტიკური კუთვნილების, სოციალური და ქონებრივი წარმომავლობისა.

მუხლი 5. მოქალაქეობა

1. რუმინეთის მოქალაქეობის მიღება, შენარჩუნება და დაკარგვა ხდება ორგანული კანონით განსაზღვრული წესით.

2. რუმინეთის მოქალაქეობა არ შეიძლება ჩამოერთვას მას, ვინც იგი დაბადებით მოიპოვა.

მუხლი 6. უფლება თვითმყოფადობაზე

1. სახელმწიფო ადიარებს და იცავს ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს გამოხატონ და განავითარონ საკუთარი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა.

2. სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით უნდა შეესაბამებოდეს რუმინეთის სხვა მოქალაქეებთან თანასწორობისა და არადისკრიმინირების პრინციპებს.

მუხლი 7. საზღვარგარეთ მცხოვრები რუმინელები

სახელმწიფო მხარს უჭერს საზღვარგარეთ მცხოვრებ რუმინელებთან კავშირის განმტკიცებას და ცდილობს მათი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებას იმ სახელმწიფოს კანონების პატივისცემით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

მუხლი 8. პლურალიზმი და პოლიტიკური პარტიები

1. პლურალიზმი რუმინულ საზოგადოებაში წარმოადგენს კონსტიტუციური დემოკრატიის პირობას და გარანტიას.
2. პოლიტიკური პარტიების დაფუძნება და მათი საქმიანობის განხორციელება ხდება კანონის შესაბამისად. ისინი ხელს უწყობენ გამოავლინონ და განავითარონ მოქალაქეთა პოლიტიკური მისწრაფება ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და დემოკრატიის პრინციპების პატივისცემის ნიშნით.

მუხლი 9. სავაჭრო კავშირები, მუშა-მოსამსახურეთა ასოციაციები და პროფესიული ასოციაციები

სავაჭრო კავშირები, მუშა-მოსამსახურეთა ასოციაციები და პროფესიული ასოციაციები იქმნებიან და მოქმედებენ მათი სტატუსის შესაბამისად, კანონის თანახმად. ისინი მოქმედებენ მათი წევრების პროფესიული, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვით.

მუხლი 10. საერთაშორისო ურთიერთობები

რუმინეთი მხარს უჭერს და ავითარებს სამშვიდობო ურთიერთობებს ყველა სხვა სახელმწიფოსთან და ამ ჩარჩოებში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაფუძნებულ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას.

მუხლი 11. საერთაშორისო და ეროვნული სამართალი

1. რუმინეთის სახელმწიფო ვალდებულია ზუსტად და კეთილსინდისიერად შეასრულოს იმ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოვალეობები, რომლის წარმომადგენელიც არის თვითონ.
2. პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები კანონის თანახმად შეადგენს ეროვნული სამართლის ნაწილს.
3. თუ ხელშეკრულება, რომელშიც რუმინეთი მონაწილეობს, კონსტიტუციის საწინააღმდეგო პირობებთან დაკავშირებით კომპრომისზე წავა, მისი რატიფიკაცია მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ მოხდება.

მუხლი 12. ეროვნული სიმბოლოები

1. რუმინეთის დროშა არის სამფეროვანი. ფერები განლაგებულია ვერტიკალურად, შემდეგი თანმიმდევრობით: ლურჯი, ყვითელი, წითელი.
2. რუმინეთის ეროვნული დღესასწაულია 1 დეკემბერი.
3. რუმინეთის ეროვნული ჰიმნია „გაილვიძეთ რუმინელებო“.
4. ქუეყნის გერბი და სახელმწიფო ბეჭედი განისაზღვრება ორგანული კანონებით.

მუხლი 13. ოფიციალური ენა

რუმინეთის ოფიციალურ ენას წარმოადგენს რუმინული.

მუხლი 14. დედაქალაქი

რუმინეთის დედაქალაქი არის ბუქარესტის მუნიციპალიტეტი.

ნაწილი II. ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები
თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 15. უნივერსალურობა

1. მოქალაქეები სარგებლობენ კონსტიტუციითა და სხვა კანონებით მინიჭებული უფლებებით და თავისუფლებებით და აქვთ მათგან გამომდინარე ვალდებულებები.

2. კანონი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მომავლისთვის, გარდა უფრო მსუბუქი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული კანონმდებლობისა.

მუხლი 16. თანასწორუფლებიანობა

1. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონისა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე, პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

2. არავინ არ შეიძლება იღვეს კანონზე მალა.

3. საჯარო, სამოქალაქო ან სამხედრო თანამდებობები შეიძლება დაიკავონ იმ პირებმა, რომელთაც აქვთ რუმინეთის მოქალაქეობა და ცხოვრობენ რუმინეთში. ამ თანამდებობების დასაკავებლად სახელმწიფო თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ქალებსა და მამაკაცებს.

4. რუმინეთის ევროპულ კავშირში შესვლის შემდეგ, ევროპის გაერთიანების მოქალაქეებს, რომლებიც ორგანული კანონით გათვალისწინებულ ნორმებს აკმაყოფილებენ, უფლება აქვთ აირჩიონ ან თვითონ იყვნენ არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებში.

მუხლი 17. საზღვარგარეთ მყოფი რუმინეთის მოქალაქეები

საზღვარგარეთ მყოფი რუმინეთის მოქალაქეები სარგებლობენ რუმინეთის სახელმწიფოს დაცვით და ვალდებულნი არიან შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ქვეყნიდან შესაბამისი წესის დარღვევით არიან გასული.

მუხლი 18. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც რუმინეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სარგებლობენ კონსტიტუციით-
552

თა და სხვა კანონებით გარანტირებული პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვით.

2. თავშესაფრის უფლების მინიჭება და ჩამორთმევა ზღვება კანონით გათვალისწინებული წესით, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების გათვალისწინებით, რომელთა მონაწილე გვევლინება რუმინეთი.

მუხლი 19. ექსტრადიცია და გაძევება

1. რუმინეთის მოქალაქის რუმინეთიდან ექსტრადირება და გაძევება დაუშვებელია.

11. პირველი პუნქტიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც რუმინეთის მოქალაქის ექსტრადირება შეიძლება იმ საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის რუმინეთი, კანონიდან გამომდინარე და ნაცვალგების საფუძველზე.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არქონე პირების ექსტრადიცია შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო კონვენციის ან ნაცვალგების საფუძველზე.

3. ექსტრადიციისა და გაძევების საკითხები წყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 20. საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა შესახებ

1. კონსტიტუციური დებულებები მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ განიმარტება და გამოიყენება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციასთან და იმ პაქტებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში, რომელთა მონაწილეც არის რუმინეთი.

2. ადამიანის ძირითადი უფლებების განმსაზღვრელ ხელშეკრულებებს, პაქტებსა და რუმინეთის ეროვნულ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის არსებობისას პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო კანონმდებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსტიტუცია ან ეროვნული კანონმდებლობა შეიცავს უფრო შემწყნარებლურ დებულებებს.

მუხლი 21. სასამართლოსათვის მიმართვის თავისუფლება

1. ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საკუთარი კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

2. არ შეიძლება ეს უფლება შეიზღუდოს რომელიმე კანონით.

3. მხარეებს აქვთ დაეის საპართლიან და გონივრულ ვადაში გადაწყვეტის უფლება.

4. სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოები ნებაყოფლობითი და უფასოა.

თავი II. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 22. სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება

1. პიროვნების სიცოცხლის, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია.
2. წამება დაუშვებელია, ასევე აკრძალულია არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.
3. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 23. პირადი თავისუფლება

1. პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება ხელშეუხებელია.
2. პიროვნების ჩხრეკა, დაკავება ან დაპატიმრება დაშვებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.
3. დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.
4. პიროვნების წინასწარი დაპატიმრების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ და მხოლოდ დანაშაულის არსებობის შემთხვევაში.

41. საქმის გამოძიების მსვლელობისას ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს არაუმეტეს 30 დღისა. აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს რამდენჯერმე 30 დღით, მაგრამ მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას და არაუმეტეს 180 დღეს.

42. სასამართლო ვალდებულია კანონის შესაბამისად, არაუგვიანეს 60 დღისა, პერიოდულად შეამოწმოს წინასწარი პატიმრობის კანონიერება, საფუძვლები და განიხილოს ისინი, ასევე, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ბრალდებული, თუ შეწყდა ის საფუძვლები, რამაც გამოიწვია წინასწარი დაკავება, ან თუ სასამართლო დაადგენს, რომ არ არსებობს ისეთი ახალი გარემოებები, რის გამოც გამართლებული იქნებოდა დაკავება.

43. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კანონის შესაბამისად.

5. დაკავებულს ან დაპატიმრებულს განმარტება უნდა მიეცეს დაკავების ან დაპატიმრების მოტივებზე მისთვის გასაგებ ენაზე. ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს უმოკლეს პერიოდში. ბრალდების წაყენება დასაშვებია მხოლოდ დანიშნული ან არჩეული ადვოკატის თანდასწრებით.

6. დაკავებულის ან დაპატიმრებულის გაათავისუფლება აუცილებელია, თუ ასეთი ზომების მიღების მიზეზები აღარ არსებობს, ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. პიროვნებას, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, უფლება

აქვს მოითხოვოს დროებით გათავისუფლება სასამართლოს ან მოკვლევის ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ.

8. ყველა პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ სასამართლო მის წინააღმდეგ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანს.

9. სასჯელი შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ პირობებსა და საფუძველზე.

91. თავისუფლების აღმკვეთი სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულზე.

მუხლი 24. დაცვის უფლება

1. დაცვის უფლება გარანტირებულია.

2. სასამართლო პროცესის განმავლობაში მხარეებს უფლება აქვთ ჰყავდეთ მათ მიერ არჩეული ან დანიშნული ადვოკატი.

მუხლი 25. გადაადგილების თავისუფლება

1. გარანტირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების უფლება. კანონი ადგენს ამ უფლების გამოყენების პირობებს.

2. ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილია უფლებით ქვეყნის ნებისმიერ ადგილას აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, წაიედეს ემიგრაციაში და ასევე დაბრუნდეს ქვეყანაში.

მუხლი 26. პირადი და ოჯახური საიდუმლოება

1. ხელისუფლების წარმომადგენლები პატივს სცემენ და იცავენ ინტიმურ, ოჯახურ და პირად ცხოვრებას.

2. ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ ის არ ლახავს სხვის უფლებებსა და თავისუფლებებს, საზოგადოებრივ წესრიგს ან მორალურ ნორმებს.

მუხლი 27. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა

1. საცხოვრებელი ადგილი და რეზიდენცია ხელშეუხებელია. არავის არ აქვს უფლება შეიჭრას ან დარჩეს სხვის საცხოვრებელ ადგილას ან რეზიდენციაში მისი თანხმობის გარეშე.

2. კანონით შეიძლება განისაზღვროს პირველი პუნქტიდან განსხვავებული შემთხვევები:

ა) დაპატიმრების ორდერის ან სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების აღსრულებისას;

ბ) პიროვნების სიცოცხლისათვის საშიში, ფიზიკური ან ქონებრივი ხელ-

ყოფის სატეროხის აცილებისას;

გ) ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას;

დ) ეპიდემიის გავრცელების აღსაკვეთად;

3. ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და იგი ხორციელდება კანონით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.

4. ღამით ჩხრეკის ჩატარება აკრძალულია, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილას წასწრებისა.

მუხლი 28. კორესპონდენტის თავისუფლება

წერილების, ტელეგრამების, სხვა საფოსტო გზავნილების, სატელეფონო საუბრებისა და კომუნიკაციის სხვა კანონიერი საშუალებების საიდუმლოება ხელშეუხებელია.

მუხლი 29. სინდისის თავისუფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის და შეხედულების, ასევე რელიგიური რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია პირის იძულება გაიზიაროს სხვისი შეხედულება ან რელიგიური რწმენა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.

2. სინდისის თავისუფლება გარანტირებულია. იგი ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის სახით უნდა გამოვლინდეს.

3. რელიგიური კონფესიები თავისუფალნი არიან და იქმნებიან საკუთარი წესდებით, კანონით გათვალისწინებული პირობებით.

4. აკრძალულია კულტებს შორის რელიგიური შუღლი რაიმე ფორმით, საშუალებით ან მოქმედებით.

5. რელიგიური კულტები სახელმწიფოსგან ავტონომიით სარგებლობენ, ასევე ისინი სარგებლობენ ქვეყნის მხარდაჭერით ჯარში, საავადმყოფოებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თავშესაფრებსა და ობოლთა სახლებში.

6. მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ თავიანთი შეხედულების შესაბამისად უზრუნველყონ საკუთარი მცირეწლოვანი შვილების განათლება, რომლებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

მუხლი 30. გამოხატვის თავისუფლება

1. აზრის, შეხედულების ან რწმენის, ასევე ნებისმიერი სახის შემოქმედებითი თავისუფლება, სიტყვიერი, წერილობითი, წარმოდგენითი, ხმოვანი ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გამოხატვის თავისუფლება ხელშეუხებელია.

2. ნებისმიერი სახის ცენზურა დაუშვებელია.

3. პრესის თავისუფლება გულისხმობს პუბლიკაციის შექმნის თავისუფ-

ლებასაც.

4. პუბლიკაციის აკრძალვა დაუშვებელია.

5. კანონმა შეიძლება დაავალდებულოს მას-მედიის საშუალებები გამოაქვეყნონ დაფინანსების წყაროები.

6. გამოხატვის თავისუფლებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი პიროვნების ღირსებას, პირად ცხოვრებას და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას.

7. ქვეყნის და ერის ცილისწამება, მოწოდება აგრესიული ომის, ეროვნული, რასობრივი, კლასობრივი ან რელიგიური სიძულვილის, დისკრიმინაციის, ტერიტორიული სეპარატიზმის ან სახალხო ძალადობისაკენ, ასევე უკანონო მანიფესტაციებისაკენ ზნეობრივი სიკეთის საპირისპიროდ აკრძალულია.

8. კანონის შესაბამისად, საზოგადოებისათვის ინფორმაციის ან ნაწარმოების მიწოდებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრებათ გამოცემელს ან რეალიზატორს, ავტორს, არტისტული წარმოდგენის ორგანიზატორს, მულტიპლიკაციის საშუალების მფლობელს, რადიო ან სატელევიზიო სადგურს. პრესასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს არეგულირებს კანონი.

მუხლი 31. ინფორმაციის უფლება

1. არ შეიძლება შეიზღუდოს პიროვნების უფლება მოიპოვოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერი ინფორმაცია.

2. ხელისუფლების ორგანოები, მათი კომპეტენციის შესაბამისად ვალდებული არიან უზრუნველყონ მოქალაქეთათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი ხასიათის ან პირადი ინტერესის პრობლემებთან დაკავშირებით.

3. ინფორმაციის მიღების უფლება არ უნდა აყენებდეს ზიანს ახალგაზრდობის უფლებების დაცვასა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. კერძო და საზოგადოებრივი ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ვალდებული არიან უზრუნველყონ საზოგადოებრივი აზრის სწორად გადმოცემა.

5. საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის სამსახურები ავტონომიით სარგებლობენ. მათ უნდა უზრუნველყონ სოციალური და პოლიტიკური ვეგუფების უფლება მაუწყებლობის გამოყენებაზე. აღნიშნული სამსახურების ორგანიზაცია და მათ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი რეგულირდება ორგანული კანონით.

მუხლი 32. განათლების უფლება

1. განათლების მიღების უფლება უზრუნველყოფილია სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო, ლიცეუმის და პროფესიულ საგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო და სხვა სასწავლო ფორმების მეშვეობით.

2. სწავლების ყველა საფეხურზე სწავლა მიმდინარეობს რუმინულ ენაზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სწავლა შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო გამოყენების სხვა ენაზეც.

3. გარანტირებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლება ისწავლონ მშობლიური ენა და განათლება მიიღონ ამ ენაზე. ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა განსაზღვრულია კანონით.

4. კანონის შესაბამისად, სახელმწიფო სწავლება უფასოა. დაზარალებული ოჯახის ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ასევე კანონით განსაზღვრული სხვა პირებისათვის სახელმწიფო გასცემს სოციალურ სტიპენდიებს.

5. სწავლება სახელმწიფო, კერძო ან კონფესიურ დაწესებულებებში ყველა საფეხურზე მიმდინარეობს კანონის შესაბამისად.

6. უნივერსიტეტების ავტონომია გარანტირებულია.

7. სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური სწავლების თავისუფლებას, სხვადასხვა კულტის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სწავლება მიმდინარეობს და გარანტირებულია კანონის შესაბამისად.

მუხლი 32¹. კულტურის ხელმისაწვდომობა

1. კულტურის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია კანონით.

2. პიროვნების თავისუფლება განივითაროს სულიერება და ეზიაროს ეროვნულ და უნივერსალურ კულტურას, არ შეიძლება შეიზღუდოს.

3. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სულიერი წარმომადგენლობის შენარჩუნება, ეროვნული კულტურის მხარდაჭერა, ხელოვნების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, თანამედროვე ქმნილებების განვითარება, რუმინეთის კულტურული და ხელოვნების ქმნილებების წარმოდგენა მსოფლიოში.

მუხლი 33. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებულია.

2. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები საზოგადოებრივი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. სამედიცინო დახმარების და სოციალური დაზღვევის სისტემის ორგანიზება ავადმყოფობასთან, უბედურ შემთხვევასთან, დედაობასა და ჯანმრთე-

ლობის აღდგენასთან დაკავშირებით, სამედიცინო პროფესიის განხორციელებისა და პარასამედიცინო საქმიანობის კონტროლი, ასევე პიროვნების ფიზიკური და გონებრივი დაცვის სხვა ღონისძიებები რეგულირდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 33. ჯანსაღი გარემოს უფლება

1. სახელმწიფო ცნობს პიროვნების უფლებას ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას ამ უფლების განსახორციელებლად.
3. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან დაიცვან და გააუმჯობესონ გარემო.

მუხლი 34. ხმის მიცემის უფლება

1. ხმის მიცემის უფლება აქვთ მოქალაქეებს, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი.
2. ხმის მიცემის უფლება არ აქვთ უნარდაქვეითებულებს, ჭკუასუსტებს, მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებს, ასევე სასამართლოს საბოლოო განაჩენით ხმის უფლებაჩამორთმეულებს.

მუხლი 35. არჩევის უფლება

1. მოქალაქეებს უფლება აქვთ არჩეულ იქნენ, თუ აკმაყოფილებენ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, თუ მათ 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად აკრძალული არ აქვთ პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანება.
2. კანდიდატებს არჩევნების დღისათვის შესრულებული უნდა ჰქონდეთ 23 წელი, რათა არჩეულ იქნენ დეპუტატთა პალატაში ან ადგილობრივი ხელისუფლების აღმინისტრაციულ ორგანოებში, 33 წელი, რათა არჩეულ იქნენ სენატში და 35 წელი, რათა არჩეულ იქნენ რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

მუხლი 35. ვეროპის პარლამენტში არჩევის უფლება

ვეროპულ კავშირში რუმინეთის შესვლის შემდეგ, რუმინეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ აირჩიონ ან არჩეულ იქნენ ვეროპის პარლამენტში.

მუხლი 36. შეკრების თავისუფლება

მიტინგები, დემონსტრაციები, მსვლელობები ან სხვა სახის შეკრებები თავისუფალია და ეწყობა და მიმდინარეობს მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით, ნებისმიერი სახის შეზღუდვების გარეშე.

მუხლი 37. გაერთიანების უფლება

1. მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებში, სავაჭრო კავშირებში, მუშა-მოსამსახურეთა ასოციაციებში და სხვა ფორმის ასოციაციებში.

2. პოლიტიკური პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი მიზნებით ან საქმიანობით მიმართულნი არიან პოლიტიკური პლურალიზმის, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების, სუვერენიტეტის, რუმინეთის ერთიანობის ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არაკონსტიტუციურად ჩაითვლება.

3. პოლიტიკური პარტიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, სახალხო დამცველები, მაგისტრატები, არმიის მოქმედი წევრები, პოლიციელები და ორგანული კანონით განსაზღვრული ხელისუფლების სხვა კატეგორიის წარმომადგენლები.

4. საიდუმლო ასოციაციები აკრძალულია.

მუხლი 38. შრომა და შრომის სოციალური დაცვა

1. შრომის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. პროფესიის, სამსახურის ან საქმიანობის არჩევა თავისუფალია.

2. მუშა-მოსამსახურეებს აქვთ სოციალური დაცვის უფლება. ეს გულისხმობს მათ ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას, ქალებისა და ახალგაზრდების სამუშაო რეჟიმს, საარსებო მინიმუმთან გათანაბრებული ხელფასის დადგენას, ყოველკვირეულ დასვენებას, ანაზღაურებად საშვებულებო დასვენებას, სამსახურის შენარჩუნებას განსაკუთრებულ და სპეციალურ პირობებში, პროფესიონალად ჩამოყალიბებას და ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა სპეციფიკურ სიტუაციებს.

3. სამუშაო დღის ხანგრძლივობა საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

4. მამაკაცებთან თანაბარ სამუშაო პირობებში, ქალებს მამაკაცების თანაბარი ხელფასი აქვთ.

5. შესასრულებელ სამუშაოზე კოლექტიური მოლაპარაკების უფლება და კოლექტიური შეთანხმების საეალღებულობა გარანტირებულია.

მუხლი 39. იძულებითი შრომის დაუშვებლობა

1. იძულებითი შრომა აკრძალულია.

2. იძულებით შრომაში არ იგულისხმება:

ა) სამხედრო ვალდებულების შესრულება, ის სამუშაო, რომელიც აღნიშნული ვალდებულების მაგივრად ხორციელდება კანონის შესაბამისად, აგრეთვე რელიგიური ან რწმენის მოტივებიდან გამომდინარე;

ბ) მსჯავრდებულის ნორმალურ პირობებში შრომა, პატიმრობის ან პირობითი თავისუფლების აღკვეთის პერიოდში;

გ) სტიქიური უბედურების ან სხვა საშიშროების დროს შესრულებული სამუშაო, ასევე ის სამუშაო, რომელიც სამოქალაქო ვალდებულებების ნორმების ნაწილია და კანონით არის დადგენილი.

მუხლი 40. გაფიცვის უფლება

1. მუშებს აქვთ გაფიცვის უფლება პროფესიული, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.

2. კანონი ადგენს ამ უფლების გამოყენების პირობებსა და ფარგლებს, ასევე გარანტიებს საზოგადოებისათვის არსებითად აუცილებელი სამსახურების დასაზღვევად.

მუხლი 41. კერძო საკუთრების უფლება

1. საკუთრების უფლება, ისევე როგორც სახელმწიფოს საეკონომიკური ვალდებულებები გარანტირებულია. აღნიშნული უფლებების შინაარსი და ფარგლები განსაზღვრულია კანონით.

2. კერძო საკუთრება თანაბრად გარანტირებული და დაცულია კანონით მიუხედავად მისი შესაკუთრისა. უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ მიიღონ მიწაზე კერძო საკუთრების უფლება იმ პირობების შესაბამისად, რომელიც რუმინეთის ევროპულ კავშირში შესვლისას განისაზღვრება და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც რუმინეთია, ნაცვალგების პრინციპზე, ასევე ორგანული კანონიდან გამომდინარე და კანონიერი მემკვიდრეობით.

3. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მიწა, გარდა იმ მიწებისა, რომელიც საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნით გაიცემა, კანონით დადგენილი წესით, წინასწარი და სამართლიანი ანაზღაურების გადახდის პირობით.

31. აკრძალულია ნაციონალიზაცია ან სხვა ზომების მიღება საზოგადოებრივ საკუთრებაში რაიმე სიკეთის იძულებით გადასაცემად, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა დისკრიმინაციული ხასიათის მოტივებით.

4. საერთო ინტერესების პროექტებისათვის ხელისუფლების ორგანოებს

შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი უძრავი ქონების, შენობისა და პლანტაციის მესაკუთრის მიწისქვეშა ფართი, ხელისუფლების ორგანოების მიერ გრუნტის დაზიანების ან სხვა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით.

5. მე-3 და მე-4 პუნქტებში გათვალისწინებული კომპენსაცია განისაზღვრება მესაკუთრესთან მიღწეული შეთანხმებით ან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ.

6. საკუთრების უფლება მესაკუთრეს ავალდებულებს გარემოს დაცვასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა უზრუნველყოფას, ამავე დროს იმ მოვალეობათა შესრულებას, რომელიც კანონიდან და წესჩვეულებებიდან გამომდინარეობს.

7. დაუშვებელია კანონიერად მოპოვებული საკუთრების კონფისკაცია. ქონების კანონიერად მოპოვების სახეები განისაზღვრება კანონით.

8. დანაშაულით ან კანონის დარღვევით მოპოვებული, გამოყენებული ან წარმოშობილი სიკეთეები შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 41. ეკონომიკური თავისუფლება

გარანტირებულია ბიროვნების ეკონომიკურ საქმიანობაზე დაშვების თავისუფლება, თავისუფალი მეწარმეობა და მისი კანონის ფარგლებში განხორციელება.

მუხლი 42. მემკვიდრეობის უფლება

მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 43. ცხოვრების დონე

1. სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეების ღირსეულად ცხოვრების მიზნით, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური დაცვისათვის მიიღოს ზომები.

2. მოქალაქეებს აქვთ პენსიის, მშობიარობასთან დაკავშირებული ანაზღაურებადი შვებულების, სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების, უმუშევრობისათვის დახმარებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის კერძო და საზოგადოებრივი სოციალური დაზღვევის უფლება. კანონის შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ სოციალური დახმარების უფლება.

მუხლი 44. ოჯახი

1. ოჯახი ეფუძნება მეუღლეთა შორის შემდგარ თავისუფალ ქორწინებას,

მათ უფლებებსა და მოვალეობებში თანასწორობას უზრუნველყონ შვილების გაზრდა, განათლება და აღზრდა.

2. დაქორწინებისა და ქორწინების გაუქმების პირობები განისაზღვრება კანონით. რელიგიური ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ.

3. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ქორწინებაში დაბადებული ბავშვების თანასწორნი არიან.

მუხლი 45. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა

1. ბავშვები და ახალგაზრდები თავიანთი უფლებების განხორციელებისას სარგებლობენ სპეციალური დაცვითა და მომსახურებით.

2. სახელმწიფო გამოყოფს დახმარებას ავადმყოფი ან უნარდაქვეითებული ბავშვების დასახმარებლად. ბავშვთა და ახალგაზრდების სოციალური დახმარების სხვა ფორმები განისაზღვრება კანონით.

3. აკრძალულია მცირეწლოვანთა ექსპლუატაცია, მათი გამოყენება ისეთ საქმიანობაში, რომელიც მათ ჯანრმთელობას და მორალს აზიანებს ან მათი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის სახიფათოა.

4. 15 წლის ასაკს ქვემოთ მცირეწლოვანები არ შეიძლება დასაქმდნენ რაიმე ანაზღაურებად სამსახურში.

5. ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ პირობები ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების თავისუფლად მონაწილეობისათვის.

მუხლი 46. ინვალიდთა დაცვა

ინვალიდები სარგებლობენ სპეციალური დაცვის უფლებით. ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას სახელმწიფო უზრუნველყოფს ინვალიდთა სამკურნალოდ და გამოსაჯანმრთელებლად თანაბარი პირობებით, რაც გულისხმობს მათ ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მშობლების და მეურვეების უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 47. პეტიციის უფლება

1. მოქალაქეებს უფლება აქვთ ხელისუფლების ორგანოებს მიმართონ პეტიციით, მხოლოდ მის ხელისმომწერთა სახელით.

2. კანონიერად დაფუძნებულ ორგანიზაციებს აქვთ პეტიციით მიმართვის უფლება იმ კოლექტივის სახელით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

3. პეტიციის უფლების განხორციელება თავისუფლდება გადასახადისგან.

4. ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება უპასუხონ პეტიციებს კანონით განსაზღვრულ დროსა და პირობებში.

მუხლი 48. სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დაზარალებული პირის უფლება

1. სახელმწიფო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტით ან განცხადების კანონიერ ვადაში დაუკმაყოფილებლობით დაზარალებულ პირს აქვს საკუთარი უფლების ან კანონიერი ინტერესის შესაბამისად წარდგენილი უფლების ან კანონიერი ინტერესის აღიარების, აქტის გაუქმებისა და ზიანის ანაზღაურების უფლება.

2. აღნიშნული უფლების გამოყენების პირობები და ფარგლები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. სახელმწიფო საკუთარი სახელით აგებს პასუხს სასამართლოს შეცდომით მიყენებული ზიანის გამო. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგენილია კანონით და იგი არ ინაწილებს მაგისტრატების პასუხისმგებლობას, რომლებმაც თავიანთი ფუნქცია არაკეთილსინდისიერად ან განსაკუთრებული უყურადღებობით შეასრულეს.

მუხლი 49. ზოგიერთი უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა

1. ზოგიერთი უფლების ან თავისუფლების განხორციელების შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და თუ ეს აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან საზოგადოებრივი მორალის, მოქალაქეთა უფლებების ან თავისუფლებების დაცვის, სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების, სტიქიური უბედურების, კატასტროფის ან რაიმე განსაკუთრებით საშიში შედეგის აღკვეთის მიზნით.

2. დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარი შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. ზომები უნდა იყოს დამდგარი შედეგის პროპორციული და არადისკრიმინაციული. იგი არ უნდა არღვევდეს ასეთი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას.

თავი III. ძირითადი ვალდებულებები

მუხლი 50. ქვეყნის ერთგულება

1. ქვეყნის ერთგულება წმინდათაწმინდა მოვალეობაა.

2. სახელისუფლო ფუნქციებით აღჭურვილი მოქალაქეები, ასევე სამხედროები პასუხს აგებენ იმ ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე, რომლებიც მათ აკისრიათ. ამ მიზნით ისინი ფიცს დებენ კანონის შესაბამისად.

მუხლი 51. (ამოღებულია)

მუხლი 52. ქვეყნის თავდაცვა

1. მოქალაქეებს აქვთ რუმინეთის დაცვის უფლება და ვალდებულება.
2. სამხედრო ვალდებულების შესრულების პირობები გათვალისწინებულია ორგანული კანონით.
3. ორგანული კანონის შესაბამისად, მოქალაქეთა არმიაში გაწვევა წარმოებს 20 წლიდან 35 წლამდე. გამონაკლისს წარმოადგენენ მოხალისეები.

მუხლი 53. ფინანსური კონტრიბუცია

1. მოქალაქეები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო გასაყვლებში გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის გზით.
2. გადასახადის გადახდის კანონიერი სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ფისკალური გადასახადის სამართლიან განაწილებას.
3. აკრძალულია ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელი, გარდა კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 54. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება

რუმინეთის მოქალაქეებმა, უცხოელმა მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა თავიანთი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უნდა განახორციელონ კეთილსინდისიერად, სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების შეულახავად.

თავი IV. ხალხის ადვოკატი

მუხლი 55. დანიშვნა და როლი

1. ხალხის ადვოკატი ინიშნება 5 წლის ვადით ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ხალხის ადვოკატის მოადგილეები სპეციალიზირებულნი არიან თავიანთ სამოქმედო სფეროში.
2. ხალხის ადვოკატი და მისი მოადგილეები არ შეიძლება ასრულებდნენ სახელმწიფო ან კერძო საქმიანობას, გარდა უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო საქმიანობისა.
3. ხალხის ადვოკატის ინსტიტუტის ორგანიზაცია და ფუნქციები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 56. უფლებამოსილების განხორციელება

1. ხალხის ადვოკატი თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ინიციატივით ან უფლება-თავისუფლება შელახული პიროვნების განცხადების საფუძველზე, კანონით დადგენილ ფარგლებში.
2. ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ხალ-

ხის ადვოკატს მისი ფუნქციების შესრულებაში.

მუხლი 57. მოხსენება პარლამენტის წინაშე

ხალხის ადვოკატი წარადგენს მოხსენებას პარლამენტის ორივე პალატის წინაშე ყოველწლიურად ან მათი მოთხოვნის შესაბამისად. მოხსენება შეიძლება შეიცავდეს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად კანონმდებლობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს ან სხვა სახის ზომებს.

ნაწილი III. სახელმწიფო ორგანოები

თავი I. პარლამენტი

განყოფილება I. ორგანიზაცია და ფუნქციონირება

მუხლი 58. როლი და სტრუქტურა

1. პარლამენტი არის რუმინელი ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთი ორგანო.
2. პარლამენტი შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან.

მუხლი 59. პალატების არჩევა

1. დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი არჩევნებით, საარჩევნო კანონის შესაბამისად.
2. ეროვნული უმცირესობების მიერ ფორმირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აგროვებენ ხმათა სათანადო რაოდენობას, რათა წარმოდგენილ იქნენ პარლამენტში, საარჩევნო კანონის შესაბამისად ეკუთვნით თითო მანდატი. ეროვნული უმცირესობების ერთი ჯგუფი მხოლოდ ერთი ორგანიზაციით უნდა იყოს წარმოდგენილი.
3. დეპუტატთა და სენატორთა რაოდენობა განისაზღვრება საარჩევნო კანონით, ქვეყნის მოსახლეობის შესაბამისად.

მუხლი 60. უფლებამოსილების ვადა

1. დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევა 4 წლის ვადით, რაც მობილიზაციის, ომის, ალყის ან საგანგებო მდგომარეობის დროს შეიძლება გახანგრძლივდეს მათ შეწყვეტამდე.
2. დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან მისი დათხოვნიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში.
3. ახლადარჩეული პარლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მოწვევით, არჩევნებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.
4. პალატების მანდატი გრძელდება ახალი პარლამენტის კანონიერ შეკ-

რუბამდე. ამ პერიოდში არ შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვა, ასევე დაუშვებელია ორგანული კანონის მიღება, შესწორება ან გაუქმება.

5. წინა მოწვევის პარლამენტის დღის წესრიგში შეტანილი კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების პროცედურა გაგრძელდება ახალ პარლამენტში.

მუხლი 61. შიდა ორგანიზაცია

1. თითოეული პალატის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება მათი შესაბამისი რეგლამენტით. პალატების ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მათ მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2. თითოეული პალატა ირჩევს ერთ მუდმივ ბიუროს. დეპუტატთა პალატისა და სენატის თავმჯდომარეები აირჩევა პალატების უფლებამოსილების ვადით. მუდმივი ბიუროების სხვა წევრები აირჩევიან ყოველი სესიის დასაწყისში. მუდმივი ბიუროების წევრები შეიძლება შეიცვალონ მათი უფლებამოსილების ამოწურვამდეც.

3. დეპუტატებს და სენატორებს შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ საპარლამენტო ჯგუფებად, თითოეული პალატის რეგლამენტის შესაბამისად.

4. თითოეული პალატა აყალიბებს მუდმივ კომიტეტებს და შეუძლია შექმნას საგამოძიებო ან სხვა სპეციალური კომიტეტები. პალატებს შეუძლიათ შექმნან გაერთიანებული კომიტეტები.

5. მუდმივი ბიუროები და კომიტეტები ყალიბდება პალატების პოლიტიკური შემადგენლობის შესაბამისად.

მუხლი 62. პალატების სხდომები

1. დეპუტატთა პალატა და სენატი სხდომებს ატარებენ ცალ-ცალკე.

2. პალატები გაერთიანებულ სხდომებზე შეიძლება შეიკრიბონ დეპუტატთა და სენატორთა ხმების უმრავლესობით მიღებული რეგლამენტის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) რუმინეთის პრეზიდენტის შეტყობინების მისაღებად;

ბ) სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტების მისაღებად;

გ) საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაციის გამოსაცხადებლად;

დ) საომარი მდგომარეობის გამოსაცხადებლად;

ე) სამხედრო დაპირისპირების შეწყვეტის ან შეჩერებისთვის;

ვ) ქვეყნის ეროვნული თავდაცვის გეგმის შესამუშავებლად;

ვ¹) ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს მოხსენების განსახილველად;

ზ) რუმინეთის პრეზიდენტის წარდგინებით, საგამოძიებო სამსახურის დირექტორის დანიშვნისა და ამ სამსახურზე კონტროლის განსახორციელებ-

ლად;

ზ¹) ხალხის ადვოკატის ასარჩევად;

ზ²) დეპუტატებისა და სენატორების სტატუსის განსაზღვრის, ანაზღაურებისა და სხვა უფლებათა დადგენისათვის;

თ) კონსტიტუციისა და რეგლამენტის შესაბამისად გაერთიანებულ სხდომაზე განსახილველი სხვა საკითხების განსაზღვრისათვის.

მუხლი 63. სესიები

1. დეპუტატთა პალატა და სენატი წელიწადში ატარებენ ორ სესიას. პირველი სესია იწყება თებერვალში და არ შეიძლება გადასცდეს ივნისის ბოლოს. მეორე სესია იწყება სექტემბერში და არ შეიძლება გადასცდეს დეკემბრის ბოლოს.

2. დეპუტატთა პალატა ან სენატი შეიძლება შეიკრიბოს საგანგებო სესიაზე პრეზიდენტის, პალატების მუდმივი ბიუროებს ან დეპუტატთა ან სენატორთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. თითოეულ პალატას იწვევს მისი თავმჯდომარე.

მუხლი 64. პარლამენტის აქტები და კვორუმი

დეპუტატთა პალატა და სენატი დამსწრეთა უმრავლესობით იღებს კანონებს, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებს.

მუხლი 65. სხდომების საჯაროობა

1. პალატების სხდომები საჯაროა.

2. პალატებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ზოგიერთი სხდომის დახურულად ჩატარების საკითხი.

განყოფილება 2. დეპუტატთა და სენატორთა სტატუსი

მუხლი 66. წარმომადგენლობითი მანდატი

1. დეპუტატები და სენატორები საკუთარი მანდატის განხორციელებისას ხალხის სამსახურში არიან.

2. ბათილია ნებისმიერი იმპერატიული მანდატი.

მუხლი 67. დეპუტატთა და სენატორთა მანდატი

1. დეპუტატები და სენატორები თავიანთი მანდატის განხორციელებას იწყებენ იმ პალატის პირველი კანონიერი შეკრებიდან, რომლის წევრებიც ისინი არიან, არჩევნების კანონიერად ცნობისა და ფიცის დადების შემდეგ.

ფიცის ფორმა განისაზღვრება ორგანული კანონით.

2. დეპუტატის ან სენატორის უღლებამოსილება წყდება ახალი პალატების კანონიერი შეკრების დღეს ან გადადგომის, საარჩევნო უფლებების დაკარგვის, შეუთავსებლობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 68. შეუთავსებლობა

1. არაეის აქვს უფლება ერთდროულად იყოს დეპუტატიც და სენატორიც.

2. დეპუტატის ან სენატორის ფუნქციები შეუთავსებელია ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში უფლებამოსილების განხორციელებასთან. გამონაკლისს წარმოადგენს მთავრობის წევრობა.

3. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 69. საპარლამენტო იმუნიტეტი

1. დეპუტატს ან სენატორს არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელებისას ხმის მიცემის ან პოლიტიკური შეხედულების გამოხატვისას.

2. დეპუტატების ან სენატორების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა შეიძლება იმ ფაქტებისათვის, რომლებიც მათი საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელებისას არ უკავშირდება ხმის მიცემას ან პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას. არ შეიძლება მათი გაჩხრეკა, დაკავება ან დაპატიმრება იმ პალატის ნებართვის გარეშე, რომლის წევრებიც არიან. გამოძიების ან ბრალდების განხორციელება შეუძლია მხოლოდ უზენაეს საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ პროკურატურას. უზენაესი საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო ამ საქმეებზე ახორციელებს თავის იურისდიქციას.

3. დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში დეპუტატები და სენატორები შეიძლება დააკავონ და გაჩხრიკონ. იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ აცნობებს პალატის თავმჯდომარეს დაკავების ან გაჩხრეკის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პალატის სხდომაზე დადგინდება, რომ არ არსებობს დაკავების მიზეზი, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გაბათილება.

მუხლი 70. (ამოღებულია)

მუხლი 71. (ამოღებულია)

მუხლი 72. კანონის კატეგორიები

1. პარლამენტი იღებს კონსტიტუციურ, ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებს.
2. კონსტიტუციური კანონები უნდა შეეხებოდეს კონსტიტუციის გადასინჯვას.
3. ორგანულმა კანონმა უნდა დაარეგულიროს:
 - ა) საარჩევნო სისტემა; მუდმივი საარჩევნო ორგანოების ორგანიზაცია და ფუნქციონირება;
 - ბ) პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა, ფუნქციონირება და დაფინანსება;
 - გ) დეპუტატებისა და სენატორების სტატუსი, მათი გასამრჯელო და სხვა უფლებები;
 - დ) რეფერენდუმის ორგანიზება და ჩატარება;
 - ე) მთავრობისა და ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ორგანიზება;
 - ვ) შეიარაღებული ძალების საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაციისა და საომარი მდგომარეობის შემოღება;
 - ზ) საალყო და საგანგებო მდგომარეობის შემოღება;
 - თ) დანაშაულები, სასჯელები და მათი აღსრულების რეჟიმები;
 - ი) ამნისტიისა და კოლექტიური შეწყალების გამოცხადება;
 - კ) საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი;
 - ლ) სადავო საქმეთა შეთანხმება ადმინისტრაციულ სასამართლოთა კომპეტენციის ფარგლებში;
 - მ) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს, სასამართლოების, პროკურატურის და აუდიტორული პალატის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;
 - ნ) საკუთრებისა და მემკვიდრეობის სამართლებრივი სტატუსი;
 - ო) განათლების საერთო ორგანიზაცია;
 - პ) ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის და ტერიტორიების ორგანიზაცია და ადგილობრივი ავტონომიების საერთო წესები;
 - ჟ) შრომითი ურთიერთობების, სავაჭრო კავშირების, მუშა-მოსამსახურეთა ასოციაციების და სოციალური დაცვის საერთო წესები;
 - რ) ეროვნული უმცირესობების სტატუსი რუმინეთში;
 - ს) რელიგიური კულტების ზოგადი წესები;
 - ტ) სხვა სფეროები, რომელთა შესახებ კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ორგანული კანონის მიღება.

მუხლი 73. საკანონმდებლო ინიციატივა

1. საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის მთავრობას, დეპუტატებს, სენატორებს ან ხმის მიცემის უფლების მქონე არანაკლებ 100 000 მოქალაქეს. მოქალაქეები, რომლებიც იყენებენ საკანონმდებლო ინიციატივას, წარმოდგენილი უნდა იყვნენ ქვეყნის ოლქების საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეოთხედთან ისე, რომ ეს ინიციატივა მხარდაჭერილი იყოს ყოველი მათგანიდან და ბუქარესტის მუნიციპალიტეტიდან არანაკლებ 5000 რეგისტრირებული ამომრჩევლის მიერ.

2. მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივა არ შეიძლება ეხებოდეს გადასახადებს, საერთაშორისო საკითხებს, ამნისტიას ან შეწყობას.

3. მთავრობა საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივას ახორციელებს კანონპროექტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ანუ პირველგანმხილველ პალატაში წარდგენით.

4. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე დეპუტატებმა, სენატორებმა და მოქალაქეებმა საკუთარი წინადადება უნდა წარადგინონ მხოლოდ კანონპროექტისათვის განსაზღვრული ფორმით.

5. საკანონმდებლო ინიციატივა პირველ რიგში წარედგინება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ანუ პირველგანმხილველ პალატას.

მუხლი 731. პალატების შეტყობინება

1. დეპუტატთა პალატა, როგორც პირველგანმხილველი პალატა, განიხილავს და იღებს კანონებს და საკანონმდებლო წინადადებებს ხელშეკრულებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციისთვის და ამ ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ზომებს, ასევე შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ ორგანული კანონების პროექტებს: 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 55-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“, „ლ“, „მ“, „ო“, „პ“, ქვეპუნქტებით, 79-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 116-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 117-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, 119-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 125-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით და 140-ე მუხლის მე-5 პუნქტით. სხვა კანონპროექტები ან საკანონმდებლო წინადადებები განიხილება და მიიღება სენატში, როგორც პირველგანმხილველ პალატაში.

2. პირველგანმხილველმა პალატამ გადაწყვეტილება 45 დღის განმავლობაში უნდა გამოიტანოს. კოდექსებისა და სხვა განსაკუთრებულად კომპლექტური კანონებისათვის ვადა 60 დღეა. აღნიშნული ვადების გადაცილების შემთხვევაში კანონპროექტი და საკანონმდებლო წინადადება მიღებულად ითვლება.

3. პირველგანმხილველი პალატის მიერ პროექტის ან საკანონმდებლო წინადადების მიღების ან უარყოფის შემდეგ პროექტი ან საკანონმდებლო წინადადება ეგზავნება მეორე პალატას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველგანმხილველი პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც პირველი პუნქტის შესაბამისად მის კომპეტენციაში შედის, გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლება, თუ მას მეორე პალატაც დაეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის დადგენილებასთან ერთად კანონი უბრუნდება პირველგანმხილველ პალატას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დაჩქარებული წესით.

5. მე-4 პუნქტის დებულებები, რომლებიც კანონის დაბრუნებასთან არის დაკავშირებული, გამოიყენება შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიმღები პალატა დაადგენს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის კომპეტენცია პირველგანმხილველ პალატას ეკუთვნის.

მუხლი 74. კანონისა და გადაწყვეტილების მიღება

1. ორგანული კანონები და პალატების რეგლამენტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება თითოეული პალატის წევრთა ხმების უმრავლესობით.

2. ჩვეულებრივი კანონები და გადაწყვეტილებები მიიღება პალატაში დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

3. თითოეული პალატის რეგლამენტის შესაბამისად მთავრობის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, პარლამენტს შეუძლია კანონპროექტები ან საკანონმდებლო წინადადებები მიიღოს დაჩქარებული წესით.

მუხლი 75. (ამოღებულია)

მუხლი 76. (ამოღებულია)

მუხლი 77. კანონების პრომულგაცია

1. კანონი პრომულგაციისთვის ეგზავნება რუმინეთის პრეზიდენტს. კანონის გამოქვეყნება ხდება მისი პრეზიდენტისათვის გადაცემიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

2. კანონის გამოქვეყნებამდე პრეზიდენტს უფლება აქვს იგი უკან დაუბრუნოს პარლამენტს ხელახლა განსახილველად. ამის უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ.

3. თუ პრეზიდენტმა მოითხოვა კანონის გადახედვა ან კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის დადგენა, გამოქვეყნება ხდება კანონის გადახედიდან ან

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის დადასტურებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 78. კანონის ძალაში შესვლა

კანონი ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ გაზეთში და ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში ან კანონის ტექსტში მითითებულ დღეს.

მუხლი 79. საკანონმდებლო საბჭო

1. საკანონმდებლო საბჭო არის პარლამენტის საპეციალური საკონსულტაციო ორგანო, რომელიც აკეთებს დასკვნას ნორმატიული აქტების პროექტების სისტემატიზაციის, უნიფიკაციის შესახებ და ახორციელებს მთელი კანონმდებლობის კოორდინაციას. ის აწარმოებს რუმინეთის კანონმდებლობის ოფიციალურ აღრიცხვას.

2. საკანონმდებლო საბჭოს შექმნა, ორგანიზაცია და ფუნქციები განისაზღვრება ორგანული კანონით.

თავი II. რუმინეთის პრეზიდენტი

მუხლი 80. რუმინეთის პრეზიდენტი

1. რუმინეთის პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს და ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტს.

2. რუმინეთის პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას და სახელმწიფო ორგანოების სათანადო ფუნქციონირებას. ამ მიზნის მისაღწევად ის ახორციელებს მედიატორის ფუნქციებს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

მუხლი 81. პრეზიდენტის არჩევა

1. რუმინეთის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი არჩევნებით.

2. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნების პირველ ტურში დააგროვებს საარჩევნო სიებში განსაზღვრული ამომრჩევლების ხმების უმრავლესობას.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა ამგვარი უმრავლესობა, ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებს ის ორი კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მოიპოვეს. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც

უფრო მეტ ხმას მიიღებს.

4. არავის აქვს უფლება შეასრულოს რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციები არაუმეტეს ორი ვადისა. ვადა შეიძლება იყოს თანმიმდევრული.

მუხლი 82. მანდატის ნამდვილობა და ფიცის დადება

1. რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის ნამდვილობას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლო.

2. კანდიდატი, რომლის არჩევის ნამდვილობაც დადასტურებულ იქნა, ფიცს დებს დეპუტატთა პალატისა და სენატის წინაშე, გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი ტექსტით: „ვფიცავ, რომ გამოვიყენებ მთელ ჩემს შესაძლებლობას რუმინელი ხალხის სულიერად და მატერიალურად გასაძლიერებლად, პატივს ვცემ ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ დემოკრატიას, ჩემი მოსახლეობის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რუმინეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. დაე, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“

მუხლი 83. მანდატის ხანგრძლივობა

1. რუმინეთის პრეზიდენტის მანდატის ხანგრძლივობა ხუთი წელია და ათვლება ფიცის დადებიდან.

2. რუმინეთის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას ასრულებს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაამდე.

3. ორგანული კანონის შესაბამისად, რუმინეთის პრეზიდენტის მანდატი შეიძლება გახანგრძლივდეს საომარი მდგომარეობის ან კატასტროფის შემთხვევაში.

მუხლი 84. შეუთავსებლობა და იმუნიტეტი

1. რუმინეთის პრეზიდენტი უფლებამოსილების განხორციელების დროს არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი, ასევე არ შეიძლება ეკავოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო თანამდებობა.

2. რუმინეთის პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით. შესაბამისად გამოიყენება 69-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებები.

3. *ამოღებულია*

მუხლი 85. მთავრობის დანიშვნა

1. რუმინეთის პრეზიდენტი წარადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს მთავრობას პარლამენტის მიერ ხმების უმრავლესობით მიღებული ნდობის ვოტუმის საფუძველზე.

2. სამთავრობო რეორგანიზაციის ან ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში,

პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით ათავისუფლებს და ნიშნავს მთავრობის ცალკეულ წევრებს.

3. თუ რეორგანიზაციის საფუძველზე იცვლება მთავრობის პოლიტიკური სტრუქტურა ან შემადგენლობა, რუმინეთის პრეზიდენტს მე-2 პუნქტში აღნიშნული უფლების გამოყენება შეუძლია პარლამენტის თანხმობით, პრემიერ-მინისტრის შესაბამისი წინადადების საფუძველზე.

მუხლი 86. მთავრობასთან კონსულტაცია

რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია კონსულტაცია გამართოს მთავრობასთან გადაუღებელ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე.

მუხლი 87. მთავრობის სხდომებში მონაწილეობა

1. რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, რომლებზეც განიხილება ეროვნული ინტერესის მქონე საკითხები საგარეო პოლიტიკასთან, ქვეყნის თავდაცვასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და, პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

2. რუმინეთის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მთავრობის იმ სხდომებს, რომელსაც ესწრება.

მუხლი 88. შეტყობინებები

რუმინეთის პრეზიდენტი ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით შეტყობინებით მიმართავს პარლამენტს.

მუხლი 89. პარლამენტის დათხოვნა

1. ორივე პალატის თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ჯგუფების ლიდერებთან კონსულტაციის შემდეგ, რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, თუ პარლამენტმა არ გამოხატა მთავრობის ფორმირებისთვის აუცილებელი ნდობა პირველი მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში და სულ მცირე ორჯერ არ დაამტკიცა ინვესტიტიურის შესახებ მოთხოვნა.

2. ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთხელ.

3. პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუმინეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ასევე სახელმწიფო მობილიზაციის, საომარი, საალყო ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

მუხლი 90. რეფერენდუმი

რუმინეთის პრეზიდენტს, პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია ხალხს სთხოვოს რეფერენდუმის მეშვეობით გამოხატოს საკუთარი მო-

საზრება ეროვნული ინტერესის მქონე საკითხებზე.

მუხლი 91. უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის სფეროში

1. პრეზიდენტს უფლება აქვს მთავრობის მიერ წარმოდებული მოლაპარაკების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებები დალოს რუმინეთის სახელით და გონივრული ვადის განმავლობაში წარუდგენს პარლამენტს რატიფიცირებისთვის. სხვა შეთანხმებები და საერთაშორისო ხელშეკრულებები დაიდება, მტკიცდება ან მათი რატიფიკაცია ხდება კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

2. პრეზიდენტი მთავრობის წინადადებებით აკრედიტაციას აძლევს და გამოიწვევს რუმინეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და ამტკიცებს დიპლომატიური მისიების რანგის შექმნას, გაუქმებას ან შეცვლას.

3. სხვა სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები აკრედიტაციას გადაიან რუმინეთის პრეზიდენტთან.

მუხლი 92. უფლებამოსილება თავდაცვის სფეროში

1. რუმინეთის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავრსარდალი და ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოს.

2. პარლამენტის თანხმობით მას შეუძლია გამოაცხადოს სამხედრო ძალების ნაწილობრივი ან საყოველთაო მობილიზაცია. გამონაკლის შემთხვევებში პრეზიდენტის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა დასამტკიცებლად წარუდგინება პარლამენტს.

3. ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, რუმინეთის პრეზიდენტი იღებს ზომებს აგრესიის მოსაგერიებლად და დაუყოვნებლივ უგზავნის პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ პარლამენტი არ იმყოფება სესიაზე, კანონით იგი იკრიბება აგრესიის დაწყებიდან 24 საათში.

4. მობილიზაციის ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში, პარლამენტი აგრძელებს თავის საქმიანობას და თუ არ იმყოფება სესიაზე, კანონით უნდა შეიკრიბოს ასეთი მდგომარეობის გამოცხადებიდან 24 საათში.

მუხლი 93. საგანგებო ღონისძიებები

1. კანონიდან გამომდინარე, რუმინეთის პრეზიდენტი აცხადებს საალყო ან საგანგებო მდგომარეობას მთელ ქვეყანაში ან ზოგიერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში და მიმართავს პარლამენტს აღნიშნული ღონისძიებების დასამტკიცებლად მისი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში.

2. თუ პარლამენტი სესიაზე არ იმყოფება, იგი უნდა შეიკრიბოს საალყო

ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 48 საათისა და იმუშაოს მთელი ამ მდგომარეობის განმავლობაში.

მუხლი 94. სხვა უფლებამოსილება

1. რუმინეთის პრეზიდენტს ასევე გააჩნია შემდეგი უფლებამოსილება:

- ა) ანიჭებს ორდენებსა და ღირსების წოდებებს;
- ბ) ანიჭებს მარშლის, გენერლისა და აღმირალის რანგებს;
- გ) კანონით განსაზღვრულ პირობებში ნიშნავს საჯარო მოსამსახურეებს;
- დ) ახორციელებს ინდივიდუალურ შეწყალებას.

მუხლი 95. თანამდებობიდან ჩამოშორება

1. მიძიმე ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რითაც დაირღვა კონსტიტუციის დებულებები, რუმინეთის პრეზიდენტი შეიძლება ჩამოშორებულ იქნეს თანამდებობიდან დეპუტატთა პალატისა და სენატის მიერ გაერთიანებულ სხდომაზე, დეპუტატებისა და სენატორთა ხმების უმრავლესობით, საკონსტიტუციო სასამართლოსთან კონსულტაციის შემდეგ. პრეზიდენტმა პარლამენტს შეიძლება მისცეს განმარტება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაშიც მას ბრალი ედება.

2. თანამდებობიდან ჩამოშორების საკითხი შეუძლია დააყენოს დეპუტატთა და სენატორთა არანაკლებ 1/3-მა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პრეზიდენტს.

3. თანამდებობიდან ჩამოშორების საკითხის დამტკიცების შემთხვევაში, პრეზიდენტის გადასაყენებლად 30 დღის ვადაში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი.

მუხლი 95¹. იმპიჩმენტი

1. დეპუტატთა პალატას და სენატს გაერთიანებულ სხდომაზე, დეპუტატთა და სენატორთა ხმების არანაკლებ 2/3-ით შეუძლიათ გადაწყვიტონ რუმინეთის პრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემის საკითხი სახელმწიფო ღალატის გამო.

2. პასუხისგებაში მიცემის საკითხის დაყენების უფლება აქვს დეპუტატთა და სენატორთა უმრავლესობას, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რუმინეთის პრეზიდენტს, რათა მან მისცეს განმარტება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც მას ბრალად წაეყენება.

3. პასუხისგებაში მიცემის დღიდან გადადგომის დღემდე პრეზიდენტის უფლებამოსილება შეწყვეტილია.

4. აღნიშნული საქმეების განსჯადობის კომპეტენცია ეკუთვნის უმაღლეს საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს. პრეზიდენტი გადაყენებულად ითვლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს.

მუხლი 96. თანამდებობრივი ვაკანსია

1. რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური ხდება მისი გადადგომის, გადაყენების, უფლებამოსილების შესრულების შეწყვეტის შემთხვევაში ან გარდაცვალების შემთხვევაში.

2. რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე ვაკანსიის წარმოქმნიდან სამი თვის ვადაში მთავრობა ორგანიზებას უწევს ახალი პრეზიდენტის არჩევის ჩატარებას.

მუხლი 97. მოვალეობის დროებითი შესრულება

1. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია ან ჩამოშორებულია თანამდებობიდან ან დროებით ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მისი მოვალეობის შესრულება დროებით შეიძლება დაეკისროს სენატის ან დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

2. პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულების დროს შემსრულებელს არ შეუძლია განახორციელოს 88-ე-90-ე მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციები.

მუხლი 98. პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის პასუხისმგებლობა

თუ რუმინეთის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ჩაიდენს მძიმე ქმედებას, რომლითაც დაირღვა კონსტიტუციის დებულებები, შესაბამისად გამოიყენება 95-ე და 97-ე მუხლები.

მუხლი 99. პრეზიდენტის აქტები

1. უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში რუმინეთის პრეზიდენტს უფლება აქვს გამოსცეს დეკრეტები, რომლებიც ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. გამოუქვეყნებელი დეკრეტი არ მოქმედებს.

2. რუმინეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული დეკრეტები, რომლებიც გათვალისწინებულია 91-ე მუხლის პირველ და მე-2, 92-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, 93-ე მუხლის პირველ პუნქტში და 94-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ხელმოწერილი უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის მიერ.

მუხლი 100. გასამრჯელო და სხვა უფლებები

რუმინეთის პრეზიდენტის გასამრჯელო და სხვა უფლებები განისაზღვრება კანონით.

თავი III. მთავრობა

მუხლი 101. როლი და სტრუქტურა

1. მთავრობა პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას და ახორციელებს სახელმწიფო მმართველობის საერთო ხელმძღვანელობას.

2. თავისი საქმიანობის განხორციელების პერიოდში მთავრობა თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

3. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა წევრებისაგან.

მუხლი 102. ინვესტიტურა

1. რუმინეთის პრეზიდენტი პარლამენტში უმრავლესობის მქონე პარტიასთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო თუ არ არსებობს ამგვარი უმრავლესობა, კონსულტაცია იმართება პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებთან.

2. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში პარლამენტისგან ითხოვს მთავრობის პროგრამისა და სრული შემადგენლობისთვის ნდობის ვოტუმის გამოცხადებას.

3. მთავრობის პროგრამა და სრული შემადგენლობა განიხილება დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს დეპუტატთა და სენატორთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 103. ერთგულების ფიც

1. პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები 82-ე მუხლით განსაზღვრული წესით ინდივიდუალურად დებენ ფიცს რუმინეთის პრეზიდენტის წინაშე.

2. მთელი მთავრობა და მისი თითოეული წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს ფიცის დადების მომენტიდან.

მუხლი 104. შეუთავსებლობა

1. მთავრობის წევრობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელებასთან, გარდა დეპუტატობისა და სენატორობისა. გარდა ამისა, ასევე შეუთავსებელია კომერციული ორგანიზაციის მიერ ანაზღაურებად პროფესიული წარმომადგენლობის განხორციელებასთან.

2. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 105. მთავრობის წევრობის შეწყვეტა

მთავრობის წევრობა წყდება გადადგომის, გადაყენების, საარჩევნო უფლების დაკარგვის, შეუთავსებლობის, გარდაცვალების და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 106. პრემიერ-მინისტრი

1. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინაციას უწევს მისი წევრების საქმიანობას მისი უფლებამოსილების ფარგლებში. იგი ასევე დეპუტატთა პალატასა და სენატს წარუდგენს ანგარიშსა და მოხსენებას მთავრობის პოლიტიკის შესახებ, რომლის განხილვა პრიორიტეტულია.

11. რუმინეთის პრეზიდენტს არ აქვს პრემიერ-მინისტრის გადაყენების უფლება.

2. თუ პრემიერ-მინისტრი იმყოფება 105-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სიტუაციაში, გარდა გადადგომისა, ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისა, რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნოს მთავრობის სხვა წევრი, რათა ახალი მთავრობის ფორმირებამდე განახარციელოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შესრულება წყდება, თუ პრემიერ-მინისტრი დაუბრუნდება თავის საქმიანობას მთავრობაში.

3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისად მთავრობის სხვა წევრთა მიმართ, პრემიერ-მინისტრის წინადადებით, არაუმეტეს 45 დღით.

მუხლი 107. მთავრობის აქტები

1. მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებსა და ორდონანსებს.

2. გადაწყვეტილებები მიიღება კანონების აღსრულების ორგანიზებისათვის.

3. ორდონანსები შეიძლება მიღებულ იქნეს სპეციალურად უფლებამოსილი კანონის საფუძველზე, აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და პირობებში.

4. მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ორდონანსებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი იმ მინისტრების თანახელმძღვანელობით, რომელთაც ევალებათ მათი აღსრულება და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილებები და ორდონანსები არ მოქმედებენ. სამხედრო ხასიათის გადაწყვეტილებები ეცნობება მხოლოდ დაინტერესებულ დაწესებულებებს.

მუხლი 108. მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა

1. მთავრობას მიუღი თავის საქმიანობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მთავრობის თითოეული წევრი მთავრობის მოქმედებებსა და აქტებზე პასუხს აგებს სოლიდარულად სხვა წევრებთან ერთად.

2. მხოლოდ დეპუტატთა პალატას, სენატს და რუმინეთის პრეზიდენტს აქვთ უფლება მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მთავრობის წევრთა წინააღმდეგ, უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილი ქმედებებისთვის. ამგვარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრის შემთხვევაში რუმინეთის პრეზიდენტს უფლება აქვს ისინი ჩამოაშოროს საქმიანობას. მთავრობის წევრის საქმის განხილვის დაწყებას მოსდევს მისი გადაყენება. ამ საქმეს იხილავს უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლო.

3. მთავრობის წევრების პასუხისმგებლობის შემთხვევაში სასჯელები განისაზღვრება კანონით „მინისტრთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

მუხლი 109. უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ახალი საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების ნამდვილობის ცნობამდე.

2. მთავრობა დათხოვნილად ითვლება, თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას ან თუ პრემიერ-მინისტრი იმყოფება 105-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გარემოებაში, გარდა მისი გადადგომის ან 45 დღის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობისა.

3. მე-2 პუნქტში გათვალისწინებული სიტუაციის არსებობისას მოქმედებს 102-ე მუხლი.

4. მთავრობა, რომლის საქმიანობა შეწყდა პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ახალი მთავრობის წევრთა მიერ ფიცის დადებაზე განაგრძობს მხოლოდ სახელმწიფო მმართველობისათვის საჭირო აქტების აღსრულებას.

თავი IV. პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები

მუხლი 110. პარლამენტის ინფორმირება

1. მთავრობა და სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვა ორგანოები მათ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში ვალდებული არიან ინფორმაცია და დოკუმენტები წარუდგინონ დეპუტატთა პალატას, სენატს ან საპარლამენტო კომიტეტებს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, მათი თავმჯდომარეების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როდესაც საკანონმდებლო ინიციატივა

ითვალისწინებს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტში ან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში, ინფორმაციის მოთხოვნა სავალდებულოა.

2. მთავრობის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ საპარლამენტო სხდომებს. სხდომაზე დასწრების მოთხოვნის შემთხვევაში, მათი მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 111. კითხვები, შეკითხვები და მარტივი წინადადებები

1. მთავრობა და მისი თითოეული წევრი ვალდებულია გასცეს პასუხი დეპუტატებისა ან სენატორების მიერ დასმულ კითხვებსა და შეკითხვებს, პარლამენტის ორივე პალატის რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში.

2. დეპუტატთა პალატასა და სენატს შეუძლია მიიღოს მარტივი წინადადება, რომელიც გამოხატავს მათ პოზიციას საშინაო ან საგარეო პოლიტიკაზე შეკითხვის საგანთან დაკავშირებით.

მუხლი 112. უნდობლობის რეზოლუცია

1. დეპუტატთა პალატასა და სენატს უფლება აქვთ გაერთიანებულ სხდომაზე გამოიწვიონ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების რეზოლუცია უნდობლობის რეზოლუციის მიღებით, დეპუტატთა და სენატორთა ხმების უმრავლესობით.

2. უნდობლობის რეზოლუციის მიღების ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს დეპუტატთა და სენატორთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4. ინიციატივის წარდგენის შესახებ იმავე დღეს უნდა ეცნობოს მთავრობას.

3. უნდობლობის რეზოლუციის განხილვა უნდა მოხდეს მისი წარდგენიდან 3 დღის ვადაში, ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

4. თუ უნდობლობის რეზოლუცია არ იქნა მიღებული, დეპუტატებსა და სენატორებს, რომელთაც ხელი მოაწერეს, არ შეუძლიათ მისი დაყენება იმავე სესიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობა პასუხისმგებელია 113-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 113. მთავრობის მიერ პასუხისმგებლობის აღება

1. მთავრობას შეუძლია დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა პროგრამასთან, საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადებასთან ან ცალკეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით.

2. მთავრობა გადაყენებულად ითვლება, თუ მთავრობის პროგრამის, საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადების ან კანონპროექტის წარდგენიდან 3 დღის ვადაში შეტანილი უნდობლობის რეზოლუცია მიღებულ იქნა 112-ე მუხლის შესაბამისად.

3. თუ მთავრობა არ იქნა გადაყენებული მე-2 პუნქტის შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ჩაითვლება მიღებულად, ხოლო პროგრამა და საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადება საყალბეებულ ხდება მთავრობისთვის.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რუმინეთის პრეზიდენტი ითხოვს მე-3 პუნქტის თანახმად მიღებული კანონის გადასინჯვას, მისი განხილვა უნდა მოხდეს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

მუხლი 114. საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემა

1. პარლამენტს უფლება აქვს მიიღოს სპეციალური კანონი, რომელიც მთავრობას მიანიჭებს ორდონანსების გამოცემის უფლებამოსილებას იმ სფეროში, რაც არ განეკუთვნება ორგანული კანონით რეგულირების სფეროს.

2. უფლებამოსილების გადაცემის შესახებ კანონი აუცილებლად უნდა განსაზღვრავდეს ორდონანსების სამოქმედო სფეროსა და ვადას.

3. უფლებამოსილების გადაცემის შესახებ კანონის პირობათა შესაბამისად ორდონანსები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს პარლამენტს, საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, უფლებამოსილების გადაცემის შესახებ კანონის ვადის ამოწურვამდე. ვადის დაუცველობა იწვევს ორდონანსების მოქმედების ვადის შეწყვეტას.

4. გადაუდებელ შემთხვევებში მთავრობამ შეიძლება მიიღოს სასწრაფო ორდონანსები, რომელთა დარეგულირებაც არ შეიძლება გადაიღოს და ვალდებულია შეასრულოს სასწრაფო ორდონანსის შინაარსში გათვალისწინებული გარემოებები.

41. სასწრაფო ორდონანსი ძალაში შედის იმ პალატაში სასწრაფო წესით განხილვის შემდეგ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და ასევე რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ პალატები არ იმყოფებიან სესიაზე, პალატები იკრიბებიან ორდონანსების მიღებიდან 5 დღის ვადაში. თუ ორდონანსის განმზილველმა პალატამ 30 დღეში არ მიიღო გადაწყვეტილება, ის მიღებულად ჩაითვლება და გადაეგზავნება მეორე პალატას, რომელიც მას განიხილავს ასევე სასწრაფო წესით. სასწრაფო ორდონანსი, რომელიც შეიცავს ორგანული კანონის მსგავს ნორმებს, მიიღება 74-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უმრავლესობით.

42. სასწრაფო ორდონანსები არ შეიძლება მიღებულ იქნეს საკონსტიტუციო კანონებზე, ან შეეხებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტების სტატუსს, უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე საარჩევნო უფლებებს და არ შეიძლება ითვალისწინებდეს რაიმე სიკეთის იძულების წესით საზოგადოებრივ საკუთრებაში

გადაცემას.

5. ორდონანსები პარლამენტის მიერ მიიღება ან უარყოფილ იქნება კანონით, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს ორდონანსს, რომელმაც მე-3 პუნქტის შესაბამისად შეწყვიტა მოქმედება.

51. კანონი, რომელიც იღებს ან უარყოფს ორდონანსს, საქმის გათვალისწინებით უნდა არეგულირებდეს აუცილებელ ზომებს ორდონანსის ძალაში ყოფნისას წარმოქმნილ კანონიერ შედეგებთან დაკავშირებით.

თავი V. საჯარო ადმინისტრაცია

განყოფილება 1. სპეციალიზირებული ცენტრალური საჯარო ადმინისტრაცია

მუხლი 115. სტრუქტურა

1. სამინისტროები იქმნება მხოლოდ მთავრობის დაქვემდებარებაში.
2. სხვა სპეციალიზირებული ორგანოები იქმნება მთავრობის ან სამინისტროების დაქვემდებარებაში, ან როგორც ავტონომიური ადმინისტრაციული დაწესებულებები.

მუხლი 116. შექმნა

1. სამინისტროები იქმნება, იმართება და ფუნქციონირებს კანონიდან გამომდინარე.
2. მთავრობას და სამინისტროებს, აუდიტორული სასამართლოს ნებართვით შეუძლიათ თავის დაქვემდებარებაში შექმნან სპეციალიზირებული ორგანოები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი ანიჭებს მათ ამის უფლებას.
3. ავტონომიური ადმინისტრაციული ორგანოები იქმნება ორგანული კანონით.

მუხლი 117. შეიარაღებული ძალები

1. ჯარი ექვემდებარება მხოლოდ ხალხის ნებას სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და სახელმწიფოს ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური დემოკრატიის უზრუნველსაყოფად. კანონისა და საერთაშორისო გარიგებების შესაბამისად, რომლის წევრიც რუმინეთია, ჯარი ხელს უწყობს კოლექტიურ თავდაცვას სამხედრო ალიანსის სისტემებში და მონაწილეობს მშვიდობის შენარჩუნებისა და დამყარების მისიებში.

2. ეროვნული თავდაცვის სისტემის სტრუქტურა, მოსახლეობის, ეკონომიკის და ტერიტორიის მომზადება თავდაცვისათვის, ასევე სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსი რეგულირდება ორგანული კანონით.

3. პირველი და მე-2 პუნქტის დებულებები ასევე გამოიყენება კანონით განსაზღვრული შეიარაღებული ძალების სხვა კომპონენტების მიმართ.

4. აკრძალულია სამხედრო ან გასამხედროებული საქმიანობის სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე ორგანიზება.

5. უცხო სამხედრო ძალები შედიან, განლაგებულნი არიან და ატარებენ ოპერაციებს რუმინეთის ტერიტორიაზე კანონის და იმ საერთაშორისო გარიგებების საფუძველზე, რომლის მონაწილეც რუმინეთია.

მუხლი 118. ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭო

ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭო ერთგვაროვნად უწევს ორგანიზებას და კოორდინაციას ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, მის მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებაში და კოლექტიურ თავდაცვას სამხედრო ალიანსის სისტემაში, ასევე მშვიდობის შენარჩუნებისა ან დამყარების საქმეში.

განყოფილება 2. ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაცია

მუხლი 119. ძირითადი პრინციპები

1. საჯარო ადმინისტრაცია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში ეფუძნება დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი ავტონომიისა და საჯარო სამსახურთა დეკონცენტრაციის პრინციპებს.

2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც მოქალაქეების უმრავლესობას წარმოადგენს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ეროვნული უმცირესობა, წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობის ენის გამოყენება უზრუნველყოფილია ზეპირი და წერილობითი ფორმით ადგილობრივ საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და დეცენტრალიზებულ საჯარო სამსახურებთან ურთიერთობებში, ორგანული კანონით გათვალისწინებულ პირობებში.

მუხლი 120. კომუნებისა და ქალაქების ხელისუფლება

1. კომუნებსა და ქალაქებში ადგილობრივი ავტონომიის განმახორციელებელ საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონის შესაბამისად შეიძლება წარმოადგენდნენ არჩევითი ადგილობრივი საბჭოები და მერები.

2. ადგილობრივი საბჭოები და მერები, როგორც ავტონომიური ადმინისტრაციული ორგანოები, კანონის შესაბამისად მართავენ საქმეებს კომუნებსა და ქალაქებში.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები შეიძლება შეიქმნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებშიც.

მუხლი 121. საოლქო საბჭო

1. საოლქო საბჭო წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოს,

რომელიც კოორდინაციას უწევს კომუნებისა და ქალაქების საბჭოების საქმიანობას, ოლქისათვის საინტერესო საქმეების განსახორციელებლად.

2. საოლქო საბჭო აირჩევა და ფუნქციონირებს კანონის შესაბამისად.

მუხლი 122. პრეფექტი

1. მთავრობა ნიშნავს თითო პრეფექტს ყოველ ოლქში და ბუქარესტის მუნიციპალიტეტში.

2. პრეფექტი არის მთავრობის წარმომადგენელი ადგილობრივ დონეზე და ხელმძღვანელობს სამინისტროების დეცენტრალიზებულ სამსახურებს და ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ცენტრალური საჯარო ადმინისტრაციის სხვა ორგანოებს.

3. პრეფექტის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

31. პრეფექტებს და ადგილობრივ საბჭოებს, მერებს, ასევე ოლქის საბჭოს და მათ ხელმძღვანელებს შორის არ არსებობს სუბორდინაციული ურთიერთობები.

4. პრეფექტს ადმინისტრაციულ სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს საოლქო საბჭოს, ადგილობრივი საბჭოს ან მერის აქტი, იმ შემთხვევაში, თუ მას უკანონოდ თვლის. გასაჩივრებული აქტი შეჩერებულად ითვლება.

თავი VI. სასამართლო ხელისუფლება

განყოფილება 1. სასამართლოები

მუხლი 123. სასამართლო ადმინისტრაცია

1. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის სახელით.

11. სასამართლო არის ყველასათვის ერთიანი, მიუკერძოებელი და თანასწორი.

2. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს.

მუხლი 124. მოსამართლეების სტატუსი

1. რუმინეთის პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოსამართლეები შეუცვლელნი არიან კანონის შესაბამისად.

11. ორგანული კანონის შესაბამისად მოსამართლეთა წარდგენის, დანიშვნის, დაწინაურებისა და დასჯის საკითხებს წყვეტს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

2. მოსამართლის ფუნქციის შესრულება შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან, გარდა აკადემიური საქმიანობისა.

მუხლი 125. სასამართლოები

1. მართლმსაჯულება ხორციელდება უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოსა და კანონით განსაზღვრული სხვა სასამართლოების მიერ.

2. სასამართლოთა იურიდიქცია და სასამართლო პროცესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

3. უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს სხვა სასამართლოების მიერ, მათი კონპეტენციის შესაბამისად, კანონთა ერთგვაროვან განმარტებას.

4. უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს შემადგენლობა და ფუნქციები დგინდება ორგანული კანონით.

5. დაუშვებელია საგანგებო სასამართლოების დაფუძნება. ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრულ საკითხებზე შეიძლება შეიქმნას სპეციალური სასამართლოები, საქმის შესაბამისად, მაგისტრატი პიროვნებების გარდა სხვა პირთა მონაწილეობით.

6. გარანტირებულია სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციულ აქტებზე სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში შემავალ სადაო საკითხებზე, გარდა იმ აქტებისა, რომლებიც დაკავშირებულია პარლამენტთან, ასევე სამხედრო ბრძანებებთან. ადმინისტრაციული სასამართლოები უფლებამოსილი არიან სადაო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვიტონ აღნიშნული აქტებით დაზარალებული პიროვნებების საქმეები, ან საქმის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულებებით დაზარალებულთა საქმეები.

მუხლი 126. განხილვის საჯაროობა

სასამართლო სხდომები საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 127. სასამართლოში მშობლიური ენისა და თარჯიმნის გამოყენება

1. სასამართლო პროცესი ტარდება რუმინულ ენაზე.

2. ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ რუმინეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ, ორგანული კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად, სასამართლოს წინაშე წარსდგნენ მშობლიურ ენაზე.

3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება გულისხმობს ასევე თარჯიმნით ან მთარგმნელით სარგებლობას ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას და არ გამოიწვიოს მხარეთა დამატებითი ხარჯები.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებსაც არ ესმით ან ვერ ლაპარაკობენ რუმინულ ენაზე, უფლება აქვთ გაეცნონ მთელ საქმის მასალებსა და პროცედურებს, სასამართლოში ილაპარაკონ და დასკვნები გააკეთონ თარჯიმნის მეშვეობით; სისხლის სამართლის პროცესებზე ეს უფლებები უზრუნველყოფილია უფასოდ.

მუხლი 128. გასაჩივრების უფლების გამოყენება

სასამართლო გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ დაინტერესებულ მხარეებსა და პროკურატურას შეუძლიათ კანონის შესაბამისად ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით.

მუხლი 129. სასამართლო პოლიცია

სასამართლოებს მათ სამსახურში შეიძლება ჰყავდეს პოლიცია.

განყოფილება 2. პროკურატურა

მუხლი 130. პროკურატურის როლი

1. სასამართლო საქმიანობის ფარგლებში პროკურატურა გამოხატავს საზოგადოების საერთო ინტერესებს და იცავს მართლწესრიგს, ასევე მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. პროკურატურა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონის შესაბამისად პროკურორების მეშვეობით.

3. სასამართლოებზე მიმავრებული პროკურატურები კანონის შესაბამისად მართავენ და ზედამხედველობენ პოლიციის მიერ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.

მუხლი 131. პროკურატურის სტატუსი

1. პროკურორები თავის საქმიანობას ახორციელებენ კანონიერების, სამართლიანობისა და იერარქიული კონტროლის პრინციპების შესაბამისად, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით.

2. პროკურორის საქმიანობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა სახელმწიფო თუ კერძო საქმიანობასთან, გარდა აკადემიური საქმიანობისა.

განყოფილება 3. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო

მუხლი 132. როლი და სტრუქტურა

1. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო არის სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი.

2. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება 19 წევრისგან. ესენი არიან:

ა) მაგისტრატთა საყოველთაო სხდომებზე არჩეული და სენატის მიერ დამტკიცებული 14 წევრი; ისინი ორ სექციად იყოფიან: ერთი მოსამართლეთათვის და ერთი პროკურორთათვის; პირველი სექცია შედგება 9 მოსამართლისგან, ხოლო მეორე სექცია - 5 პროკურორისგან;

ბ) სამოქალაქო საზოგადოების 2 წარმომადგენელი, რომლებიც სამართლის სპეციალისტები არიან, სარგებლობენ მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაციით, აირჩევიან სენატის მიერ; ისინი მონაწილეობენ პლენარულ სხდომებზე;

გ) იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს თავმჯდომარე და უმაღლეს საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს მიმარბეული გენერალური პროკურორი.

3. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ერთი წლის ვადით, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ მაგისტრატთაგან, რომლებიც არ შეიძლება არჩეულ იქნენ ხელმეორედ.

4. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 6 წელია.

5. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით.

6. რუმინეთის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს იმ სხდომებს, რომელსაც იგი ესწრება.

7. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა 133-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 133. უფლებამოსილება

1. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო კანონის შესაბამისად რუმინეთის პრეზიდენტს წარუდგენს კანდიდატებს მოსამართლეების და პროკურორების თანამდებობებზე დასანიშნად, გარდა სტაჟიორებისა.

2. ორგანული კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო თავისი სექციების მეშვეობით, მოსამართლეებისა და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე ასრულებს

სასამართლოს როლს. აღნიშნულ სიტუაციაში, იუსტიციის მინისტრს, უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს თავმჯდომარესა და უმაღლეს საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს მიმაგრებულ გენერალურ პროკურორს არ აქვთ ხმის უფლება.

3. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოში.

4. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს შეუძლია განაზოცრიელოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა ფუნქციებიც, რათა უზრუნველყოს სასამართლო დამოუკიდებლობის გარანტიის როლის შესრულება.

ნაწილი IV. ეკონომიკა და საზოგადოებრივი ფინანსები

მუხლი 134. ეკონომიკა

1. რუმინეთის ეკონომიკა არის თავისუფალ მეწარმეობასა და კონკურენციაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

ა) თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი კონკურენციის დაცვა, წარმოების ყველა ფაქტორის სარეალიზაციოდ ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ბ) ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო საქმიანობაში ეროვნული ინტერესების დაცვა;

გ) ეროვნული სამეცნიერო, ტექნოლოგიური კვლევებისა და ხელოვნების წახალისება და საავტორო უფლებების დაცვა;

დ) ბუნებრივი რესურსების გამოყენება ეროვნული ინტერესების შესაბამისად;

ე) გარემოს აღდგენა და დაცვა, ასევე ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება;

ვ) აუცილებელი პირობების შექმნა ცხოვრების დონის ასამაღლებლად;

ზ) რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შექმნა, ევროპული კავშირის მიზნების შესაბამისად.

მუხლი 135. საკუთრება

1. საკუთრება შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო.

2. საჯარო საკუთრება გარანტირებული და დაცულია კანონით და შეიძლება იყოს სახელმწიფოს ან ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის საკუთრებაში.

3. საჯარო ინტერესის მქონე მინერალური რესურსები, საჰაერო სივრცე, ენერგეტიკული პოტენციალის მქონე წყლები, რომლებიც შეიძლება გამოყე-

ნებულ იქნეს ეროვნული ინტერესებისათვის, სანაპიროები, ტერიტორიული ზღვები, ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები, ასევე ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა სიძლიერები, შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო საკუთრებაში.

4. საჯარო საკუთრება განუყოფელია. ორგანული კანონის შესაბამისად, საჯარო საკუთრება შეიძლება სამართავად გადაეცეს ავტონომიურ სახელმწიფო მონოპოლიებს ან სახელმწიფო დაწესებულებებს, კონცესიით გადაეცეს ან გაქირავდეს. ასევე, ისინი შეიძლება თავისუფლად სარგებლობისათვის გადაეცეს საჯარო კომუნალურ დაწესებულებებს.

5. კერძო საკუთრება ხელშეუხებელია ორგანული კანონის შესაბამისად.

მუხლი 136. საფინანსო სისტემა

1. სახელმწიფოს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებისა და საჯარო დაწესებულებების ფინანსური რესურსების ფორმირება, მართვა, გამოყენება და კონტროლი რეგულირდება კანონით.

2. ეროვნულ ფულს წარმოადგენს ლეუ, ხოლო მის დანაყოფს – ბანი. ევროპულ კავშირში რუმინეთის ინტეგრაციის პირობებში, ეროვნული ფულის ერთეულის მიმოქცევა და შეცვლა ევროპულ კავშირში აღიარებული ერთეულით მოხდება ორგანული კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 137. ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტი

1. ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცავს სახელმწიფო ბიუჯეტს, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტსა და კომუნების, ქალაქებისა და ოლქების ადგილობრივ ბიუჯეტებს.

2. მთავრობა ყოველწლიურად შემოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის პროექტებს, რომლებიც ცალ-ცალკე წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

3. თუ სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის კანონები არ იქნა მიღებული საბიუჯეტო წლის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 3 დღეში, ახალი ბიუჯეტების მიღებამდე ძალაში რჩება გასული წლის სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტები.

4. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა, დამტკიცება და შესრულება ხდება კანონის შესაბამისად.

5. არანაირი საბიუჯეტო ხარჯები არ შეიძლება იქნეს გაწეული დაფინანსების წყაროს დადგენის გარეშე.

მუხლი 138. გადასახადები, ვალდებულებები და სხვა მოსაკრებლები

1. სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტების გადასახადები, ვალდებულებები და სხვა შემოსავლები დგინდება მხოლოდ კანონით.

2. ადგილობრივი გადასახადები და ვალდებულებები განისაზღვრება ადგილობრივი ან საოლქო საბჭოების მიერ, კანონით დადგენილი შეზღუდვებითა და პირობებით.

3. ფონდების დასაარსებლად გათვალისწინებული თანხები კანონის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

მუხლი 139. საანგარიშო სასამართლო

1. საანგარიშო სასამართლო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო და საჯარო სექტორის ფინანსური რესურსების ფორმირებაზე, მართვასა და გამოყენებაზე. ორგანული კანონის შესაბამისად საანგარიშო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული დავები წყდება სპეციალური სასამართლოს მიერ.

2. საანგარიშო სასამართლო ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აღმოჩენილი ნაკლოვანებების მითითებით.

3. დეპუტატთა პალატის ან სენატის მოთხოვნით, საანგარიშო სასამართლო ამოწმებს საჯარო ფინანსების გამოყენებას და აკეთებს მოხსენებას აღმოჩენილი ფაქტების შესახებ.

4. საანგარიშო მრჩეველებს ნიშნავს პარლამენტი 9 წლის ვადით, რაც არ შეიძლება გაგრძელდეს ან განახლდეს. საანგარიშო სასამართლოს წევრები უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელი და ხელშეუხებელი არიან. მათზე ვრცელდება კანონით მოსამართლეებისთვის დადგენილი შეუთავსებლობები.

5. ყოველ 3 წელიწადში ხდება საანგარიშო სასამართლოს ერთი მესამედის განახლება პარლამენტის მიერ დანიშნული მრჩეველებით, ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობებით.

6. საანგარიშო სასამართლოს წევრს თანამდებობიდან გადააყენებს პარლამენტი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და პირობებით.

მუხლი 139¹. ეკონომიკური და სოციალური საბჭო

ეკონომიკური და სოციალური საბჭო წარმოადგენს პარლამენტისა და მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს, მისი შექმნის, ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრულ სპეციალურ სფეროებში.

ნაწილი V. საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 140. სტრუქტურა

1. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობის გარანტს.

2. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წლის ვადით დანიშნული ცხრა მოსამართლისგან, ვადის გაგრძელების ან განახლების გარეშე.

3. სამ მოსამართლეს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, სამს – სენატი, ხოლო სამს – რუმინეთის პრეზიდენტი.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში, სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 141. დანიშენისათვის საჭირო მოთხოვნები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული გამოცდილება და სასამართლო ან აკადემიური საქმიანობის არანაკლებ 18 წლიანი გამოცდილება.

მუხლი 142. შეუთავსებლობა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა სახელმწიფო თუ კერძო საქმიანობასთან, გარდა აკადემიური საქმიანობისა.

მუხლი 143. დამოუკიდებლობა და შეუცვლელიობა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელნი, ხოლო უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუცვლელნი არიან.

მუხლი 144. უფლებამოსილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილება:

ა) რუმინეთის პრეზიდენტის, ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, მთავრობის, უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს, ხალხის ადვოკატის, არანაკლებ 50 დეპუტატის ან 25 სენატორის ინიციატივით კანონების გამოქვეყნებამდე მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის განსაზღ-

ღვრა, ასევე სავალდებულო წესით — კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის კონსტიტუციურობის განსაზღვრა;

ა) ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, არანაკლებ 50 დეპუტატის ან 25 სენატორის ინიციატივით ხელშეკრულებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განსაზღვრა;

ბ) ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, არანაკლებ 50 დეპუტატის ან 25 სენატორის ინიციატივით პარლამენტის რეგლამენტების კონსტიტუციურობის განსაზღვრა;

გ) სასამართლოში ან სავაჭრო არბიტრაჟში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით კანონებისა და ორდონანსების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა; არაკონსტიტუციურობის შესახებ საკითხის შეტანა პირდაპირ შეუძლია ასევე ხალხის ადვოკატს;

გ1) რუმინეთის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით სახელმწიფო ორგანოების შორის კონსტიტუციური ხასიათის სამართლებრივი დაკავშირების გადაწყვეტა;

დ) რუმინეთის პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობის დაცვა და მეთვალყურეობა და კენჭისყრის შედეგების დამტკიცება;

ე) იმ გარემოებათა არსებობის დადგენა, რომელიც შეიძლება გახდეს რუმინეთის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულების საფუძველი და მათი შედეგების პარლამენტისა და მთავრობისათვის წარდგენა;

ვ) რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე საკონსულტაციო დასკვნის მიცემა;

ზ) რეფერენდუმის ორგანიზაციისა და ჩატარების პროცესის დაცვა და მეთვალყურეობა და კენჭისყრის შედეგების დამტკიცება;

თ) მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შესრულების პროცესის შემოწმება;

ი) პოლიტიკური პარტიის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა;

ი1) სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 145. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. არაკონსტიტუციურად ცნობილი ძალაში შესული კანონის ან ორდონანსის დებულებები, ასევე გადაწყვეტილებები იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 45 დღეში. თუ ამ დროის პერიოდში პარლამენტმა ან მთავრობამ ამ შემთხვევის გათვალისწინებით კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არ მოიყვანა არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულებები, ამ დროის მანძილზე არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულებების მოქმედება ჩერდება.

2. კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, მის გამოქვეყნებამდე პარლამენტი უფლებამოსილია აღნიშნული დებულებები მოიყვანოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში.

3. თუ ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების კონსტიტუციურობა ცნობილ იქნა 144-ე მუხლის „ა1“ პუნქტის შესაბამისად, ეს ღოკომენტი არ შეიძლება იყოს არაკონსტიტუციურობის გამოცხადების საგანი. დაუშვებელია არაკონსტიტუციურად ცნობილი ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. გადაწყვეტილებები სავალდებულოა მისი გამოქვეყნების მომენტიდან და მოქმედებს მხოლოდ მომავლისათვის.

ნაწილი VI. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია

მუხლი 145. ევროპულ კავშირში ინტეგრაცია

1. ევროპული კავშირის დამაარსებელ ხელშეკრულებაზე რუმინეთის მიერთება, გარკვეული საქმიანობის საერთო ინსტიტუტებისათვის გადაცემის მიზნით, ასევე სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ხდება კანონის შესაბამისად, რომელიც მიიღება დეპუტატთა პალატის და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე, დეპუტატებისა და სენატორების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

2. ინტეგრაციის შედეგად, ევროპული კავშირის დამაარსებელი ხელშეკრულებების დებულებებს, ასევე სავალდებულო ხასიათის სხვა ერთიან წესებს ქვეყნის შიდა კანონებთან შედარებით პრიორიტეტი ენიჭება.

3. პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისად ევროპული კავშირის დამაარსებელი ხელშეკრულებების შესწორებებთან მიერთების შემთხვევაში.

4. პარლამენტი, რუმინეთის პრეზიდენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფენ შეერთების აქტებთან დაკავშირებული ვალდებულებების და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას.

5. მთავრობა პარლამენტის ორივე პალატას უგზავნის სავალდებულო აქტების პროექტებს, სანამ ისინი დასამტკიცებლად წარედგინება ევროპული კავშირის ინსტიტუტებს.

მუხლი 145. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულებაზე მიერთება

რუმინეთის მიერ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულებაზე მიერთება შეიძლება მოხდეს დეპუტატთა პალატის და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული კანონის შესაბამისად, დეპუტატთა და სენატორთა ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით.

ნაწილი VII. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 146. გადასინჯვის ინიციატივა

1. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა გააჩნია რუმინეთის პრეზიდენტს მთავრობის წინადადების საფუძველზე, დეპუტატთა ან სენატორთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთ მეოთხედს, ასევე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 500 000 მოქალაქეს.

2. მოქალაქეები, რომლებმაც წარადგინეს კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა, უნდა განეკუთვნებოდნენ ქვეყნის შემადგენლობაში არსებული ოლქის არანაკლებ ნახევარს და თითოეული აღნიშნული ოლქიდან ან ბუქარესტის მუნიციპალიტეტიდან ინიციატივის მხარდასაჭერად წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 20 000 ხელმოწერა.

მუხლი 147. გადასინჯვის პროცედურა

1. პროექტი ან გადასინჯვის ინიციატივა მიღებულ უნდა იქნეს დეპუტატთა პალატის და სენატის მიერ, თითოეული პალატის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

2. თუ შეთანხმების პროცედურის საფუძველზე შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დეპუტატთა პალატა და სენატი გადაწყვეტილებებს იღებენ გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატთა და სენატორთა არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით.

3. გადასინჯვა საბოლოოდ ითვლება გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მიღებიდან 30 დღის ვადაში ჩატარებულ რეფერენდუმზე დამტკიცებით.

მუხლი 148. გადასინჯვის ვადები

1. ამ კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება რუმინეთის სახელმწიფოს ეროვნულ, დამოუკიდებელ, უნიტარულ და განუყოფელ ხასიათს, მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, ტერიტორიულ მთლიანობას, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ოფიციალურ ენას არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი.

2. აგრეთვე დაუშვებელია ისეთი გადასინჯვა, რომლის შედეგად ზღება მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფა ან მათი დაცვა.

3. კონსტიტუციის გადასინჯვა დაუშვებელია სააღყო, საგანგებო მდგომარეობის ან ომის დროს.

ნაწილი VIII. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 149. ძალაში შესვლა

ეს კონსტიტუცია ძალაში შედის რეფერენდუმზე მისი მიღების დღეს. ამავე დღეს სრულად გაუქმებულად ითვლება 1965 წლის 21 აგვისტოს კონსტიტუცია.

მუხლი 150. კანონთა დროებითი შეუსაბამობა

1. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები ძალაში რჩებიან, სანამ არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას.

2. საკანონმდებლო საბჭო, მისი ორგანიზაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან 12 თვის ვადაში ამოწმებს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობას და სათანადო წინადადებებს წარუდგენს პარლამენტს ან აუცილებელ შემთხვევებში მთავრობას.

მუხლი 151. გარდამავალი დებულებები

1. კანონები და საკანონმდებლო წინადადებები განიხილება და მიიღება შესწორების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე არსებული კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად.

2. შესწორების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე არსებული კონსტიტუციით გათვალისწინებული დაწესებულებები მოქმედებენ მათი შემცველების შექმნამდე.

3. 83-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულებები მოქმედებას იწყებენ ახალი საპრეზიდენტო ვადის დაწყებიდან.

4. უმაღლეს საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოსთან დაკავშირებული დებულებები უნდა განხორციელდეს შესწორებების შესახებ კანონის ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში.

5. მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და პარლამენტის მიერ დანიშნული აუდიტორული მრჩეველები საქმიანობას აგრძელებენ უფლებამოსილების ამოწურვამდე. ყოველ 3 წელიწადში აუდიტორული სასამართლოს განახლების უზრუნველსაყოფად აუდიტორული მრჩეველები შეიძლება დაინიშნონ შემდგომი 3 ან 6 წლიანი ვადით.

6. სპეციალური სასამართლოების შექმნამდე აუდიტორული სასამართლოს საქმიანობიდან გამომდინარე დაეებს წყვეტენ ჩვეულებრივი სასამართლოები.

მუხლი 152. კონსტიტუციის გამოქვეყნება

კანონი კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. რეფერენდუმზე დამტკიცების შემდეგ შესწორებული სრული კონსტიტუცია ხელახლა ქვეყნდება საკანონმდებლო საბჭოს მიერ, სახელწოდებებისა და გადანომრილი ტექსტის განახლებით.



ՄՅՆՈՅՆ



ზოგადი ცნობარი შესავალი

უკრაინა იყო პირველი სლავური სახელმწიფო – კიევის რუსეთის ცენტრი, რომელიც მე-10-მე-11 საუკუნეების განმავლობაში ევროპაში უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. შიდა ბრძოლებითა და მონღოლთა შემოსევებით დასუსტებული კიევის რუსეთი შევიდა ლიტვის დიდ სათავადოში და საბოლოოდ პოლონურ-ლიტვურ თანამეგობრობაში. კიევის რუსეთის კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობა დაედო საფუძვლად შემდგომ საუკუნეებში უკრაინულ ნაციონალიზმს. ახალი უკრაინული სახელმწიფო – კაზაკთა საჰეტმანო, დაფუძნდა მე-17 საუკუნის შუა წლებში პოლონელების წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ. მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა, საჰეტმანომ შესძლო ავტონომიის შენარჩუნება ას წელიწადზე მეტ ხანს. მე-18 საუკუნის ბოლოს უკრაინის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაპყრობილ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ. 1917 წელს მეფის რუსეთის ნგრევის შედეგად უკრაინა ხანმოკლე პერიოდში იყო დამოუკიდებელი, მაგრამ საბოლოოდ შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში როგორც ერთ-ერთი რესპუბლიკა.

მეორე მსოფლიო ომმა უმძიმესი შედეგი გამოიღო უკრაინისათვის - დაღუპულ უკრაინელთა რაოდენობა 7-8 მილიონს შეადგენს. მიუხედავად დამოუკიდებლობისა, რომელსაც უკრაინამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიადწია, უკრაინაში დემოკრატია მოჩვენებით სახეს ატარებდა, რადგან სახელმწიფო კონტროლის მძიმე მემკვიდრეობა და მისთვის დამახასიათებელი ფართო მასშტაბიანი კორუფცია აფერხებდა განვითარებას ეკონომიკურ რემორმების, პრივატიზაციისა და სამოქალაქო თავისუფლებების სფეროში.

მშვიდობიანი მასობრივი პროტესტი „ნარინჯისფერი რევოლუცია“ 2004 წლის ბოლო თვეებში ხელისუფლება აიბულა გაებათილებინა გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები და დაეშვა ახალი არჩევნების ჩატარება საერთაშორისო მონიტორინგის ქვეშ, რომელშიც გაიმარჯვა რეფორმატორთა გუნდმა.

გეოგრაფია

აღვილმდებარეობა: აღმოსავლეთი ევროპა, ესაზღვრება შავ ზღვას, პოლონეთს, რუმინეთსა და მოლდოვას დასავლეთით და რუსეთის აღმოსავლეთით.

ფართობი: სულ: 603,700 კმ²; ხმელეთი: 603,700 კმ²; წყალი: 0 კმ².

ბუნებრივი რესურსები: რკინის მადანი, ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი, ნავთობი, მარილი, გოგირდი, გრაფიტი, ტიტანი, მაგნიუმი, კალინი, ნიკელი, ვეცხლისწყალი, ხე-ტყე, მიწა.

მოსახლეობა:

მოსახლეობის რაოდენობა: 46,710,816 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 14.1% (მამაკაცი 3,377,868; ქალი 3,203,738);

15-64 წლის: 69.3% (მამაკაცი 15,559,998; ქალი 16,831,486);

65 წლის და ზემოთ: 16.6% (მამაკაცი 2,635,651; ქალი 5,102,075) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.6% (2006);

შობადობა: 8.82 დაბადებული/1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 14.39 გარდაცვლილი/1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: -0.43 მიგრანტი/1,000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 69.98 წელი; კაცი: 64.71 წელი; ქალი: 75.59 (2006);

ეთნიკური ჯგუფები: უკრაინელები 77.8%, რუსი 17.3%, ბელორუსი 0.6%, მოლდოველი 0.5%, ყირიმის თათარი 0.5%, ბულგარელი 0.4%, უნგრელი 0.3%, რუმინელი 0.3%, პოლონელი 0.3%, ებრაელი 0.2%, სხვა 1.8%; (2001);

რელიგია: უკრაინული მართლმადიდებლური – კიევის საპატრიარქო 19%, მართლმადიდებლური (კონკრეტული მიკუთვნების გარეშე) 16%, უკრაინის მართლმადიდებლური – მოსკოვის საპატრიარქო, უკრაინული რომაულ-კათოლიკური 6%, უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებლური 1.7%, პროტესტანტულ, იუდაური, არცერთი 38%. (2004);

ენა: უკრაინული (სახელმწიფო ენა) 67%, რუსული 24%, რუმინულ, პოლონურ და უნგრულ ენებზე მოლაპარაკე პატარა უმცირესობა.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის - 99.7%. მამაკაცი - 99.8%; ქალი - 99.6 (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი სახელწოდება: არ აქვს

შემოკლებული სახელწოდება: უკრაინა

ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: უკრაინა

ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: უკრაინა

ყოფილი სახელწოდება: უკრაინის ეროვნული რესპუბლიკა, უკრაინის სახელმწიფო, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მმართველობის ფორმა: რესპუბლიკა

დელაქალაქი: კიევი

ადმინისტრაციული ერთეულები:

24 ოლქი - ვინიციის, ვოლინიის, დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაკარპატიის, ზაპოროჟიის, ივანო-ფრანკოვის, კიევის, კიროვოგრაძის, ლვოვის, ლუგანის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, ჟიტომირის, როვენის, სუმის, ტერნოპოლის, ჩერკასის, ჩერნიგოვის, ჩერნოვიცკის, ხარკოვის, ხერსონის, ხმელნიცკის.; ერთი ავტონომიური რესპუბლიკა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა; ქალაქები: კიევი და სევასტოპოლი.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 24 აგვისტო (საბჭოთა კავშირისაგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე, 24 აგვისტო (1991); 22 იანვარი - უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის პირველად გამოცხადების დღე (საბჭოთა რუსეთისაგან) და უკრაინის დასავლეთი და ცენტრალური რესპუბლიკების მცირე დროით გაერთინების დღე, რომელიც დღეს აღინიშნება როგორც ერთიანობის დღე.

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოსა მეთაური: პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო (2005 წლის 23 იანვრიდან);

მთავრობის თავმჯდომარე: პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი (2006 წლის 4 აგვისტოდან).

სამინისტროები:

აგრარული პოლიტიკის სამინისტრო;
მშენებლობის, არქიტექტურისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო;
თავდაცვის სამინისტრო;
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
ბუნებრივი გარემოს დაცვის სამინისტრო;
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო;
ფინანსთა სამინისტრო;
საგარეო საქმეთა სამინისტრო;
შინაგან საქმეთა სამინისტრო;
იუსტიციის სამინისტრო;
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;
ეკონომიკის სამინისტრო;
საწვავისა და ენერგეტიკის სამინისტრო;
ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო;
კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო;
შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო;
სამრეწველო პოლიტიკის სამინისტრო;
საგანგებო სიტუაციების საკითხებისა და ჩერნობილის კატასტროფის შედეგებისგან მოსახლეობის დაცვის სამინისტრო;
საოჯახო საქმეთა, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი ან ვერხოვ-ნაია რადა (450 ადგილიანი; წევრები პროპორციული წესით იმ პარტიებიდან აირჩევიან, რომლებიც ხმების 3%-ს ან მეტს მოიპოვებენ, ხუთი წლის ვადით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2006 წლის 26 მარტს.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: რუსეთის შემდეგ უკრაინის რესპუბლიკა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ კომპონენტს, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა ოთხჯერ აღემატებოდა მომდევნო რესპუბლიკას. მისი ნაყოფიერი შავი მიწა აწარმოებდა საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1/4-ს, მისი კოლმე-

ურნეობები მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფდნენ სხვა რესპუბლიკებს ხორციით, რძით, ყურძნითა და ბოსტნეულით. ამასთან ერთად, უკრაინის მრავალსახოვანი მძიმე ინდუსტრია ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებს უზრუნველყოფდა უნიკალური მოწყობილობებით (მაგალითად, დიდი დიამეტრის მილებით) და შესაბამისი მასალებით სამრეწველო და სამთო დარგებისათვის (ვერტიკალური ბურღვის აპარატები). დღესდღეობით უკრაინა დამოკიდებულია ენერჯის იმპორტზე, განსაკუთრებით ბუნებრივ აირზე, იმისათვის, რომ დაფაროს ენერჯის ყოველწლიური მოთხოვნილების 85%. 1991 წლის დეკემბერში დამოუკიდებლობის დამყარებიდან მცირე დროის გავლის შემდეგ უკრაინის მთავრობამ მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, შექმნა საკანონმდებლო ბაზა პრივატიზაციის ჩასატარებლად, მაგრამ რეფორმებისადმი ფართო წინააღმდეგობამ მთავრობისა და საკანონმდებლო ხელისუფლების შიგნით მალე შეაფერხა რეფორმის განხორციელება და გარკვეულწილად უკან დახია იგი. 1999 წლის მშპ 40%-ზე მეტით დაეცა 1991 წელთან შედარებით. წარუმატებელმა მონეტარულმა პოლიტიკამ ინფლაცია ჰიპერინფლაციად აქცია 1993 წლის ბოლოს. 2005 წლის მიწურულს დავამ რუსეთთან ფასების შესახებ ბუნებრივი აირის დროებითი გათიშვა გამოიწვია. უკრაინის მთავრობამ გააუქმა გადასახადებისა და მოსაკრებლების უმეტესობა 2005 წლის მარტის ბიუჯეტის კანონით, გამოიყვანა რა ამით ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილი ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო სექტორიდან, მაგრამ სხვა ზომების გატარებაც არის აუცილებელი, მათ შორის კორუფციასთან ბრძოლა, კაპიტალური ბაზრების განვითარება. რეფორმები პოლიტიკურად ისეთ მეტად მგრძობიარე სფეროებში, როგორცაა სტრუქტურული რეფორმისა და მიწის პრივატიზაციის სფერო, ჯერ კიდევ განსახორციელებელია.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$319.4 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 2.4% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$6,800 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 22.5%; მრეწველობა: 33.2%; მომსახურება: 44.3% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 29% (2003);

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$23.59 მილიარდი; გასავალი: \$22.98 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$38.22 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: რკინის ლითონები, საწვავი და ნავთობის პროდუქტები, ქიმიური ნაწარმი, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო მოწყობილობები, საკვები პროდუქტები.

ექსპორტის პარტნიორები: რუსეთი 18%, გერმანია 5.8%, თურქეთი 5.7%, იტალია 5%, აშშ 4.6% (2004);

იმპორტი: \$ 37.18 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: ენერგომატარებლები, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა, ქიმიური ნაწარმი.

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი 41.8%, გერმანია 9.6%, თურქმენეთი 6.7% (2004);

საგარეო ვალი: \$33.93 მილიარდი (2005);

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$637.7 მილიონი (1995); მსოფლიო სავალუტო ფონდი – \$2.2 მილიარდი (1998);

ვალუტა: გრივნა (UAH).

პონსტიტუციის მიმოხილვა

უკრაინის კონსტიტუციონალიზმის ისტორია. უკრაინის კონსტიტუციონალიზმის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის.

უკრაინის პირველი კონსტიტუციური დოკუმენტი არის „ზაპოროჟის მხედრობის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუცია“, რომელიც შექმნილია უკრაინელი ჰეტმანის ფილიპ ორლიკის მონაწილეობით, დამტკიცდა მისი ჰეტმანად არჩევის დღეს 1710 წლის აპრილში და მისი სახელით არის ცნობილი. კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და უკრაინის სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების მკაფიოდ დადგენა. მას იმდროინდელ კონსტიტუციურ აქტებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ითვალისწინებდა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში აღიარებულ გარკვეულ დემოკრატიულ პრინციპებს, თუმცა დემოკრატიის არა იმ ხარისხით, რაც თანამედროვეობისათვის არის დამახასიათებელი. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის თანახმად, უკრაინაში მოქმედებდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა წარმომადგენლობითი ორგანო – კაზაკთა პარლამენტი (გენერალური რადა), რომელიც წელიწადში სამჯერ მოიწვეოდა, აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ჰეტმანს, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ჰეტმანისაგან დამოუკიდებლად ახორციელებდა გენერალური სასამართლო.

კონსტიტუცია მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჰეტმანის უფლებებს, ითვალისწინებდა წარმომადგენლობითი ორგანოს – გენერალური რადას შექმნას. მასში ფორმულირებული იყო ზოგიერთი თანამდებობის არჩევითობა.

უკრაინის მეორე კონსტიტუცია იყო 1918 წლის 29 აპრილს მიღებული ცენტრალური რადას კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციით უკრაინა გამოცხადდა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, გაუქმდა სიკვდილით დასჯა და არ დაიშვებოდა ადამიანის დამცირებასთან დაკავშირებული სხვა სახის სასჯელები. უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ერს ენიჭებოდა ეროვნულ-პერსონალური ავტონომია, მათ შორის ამ კონსტიტუციის ძალით რუს, ებრაელ და პოლონელ ერებს, ხოლო სხვა ერებისათვის აღნიშნული უფლების მოპოვება შესაძლებელი იყო სასამართლოსათვის მათი მიმართვის საფუძველზე სპეციალური პროცედურის შესაბამისად. უკრაინის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციას ცხოვრებაში გატარება არ ეწეოდა, რადგან ცენტრალური რადა დამხობილ იქნა ამ კონსტიტუციის დამტკიცების დღეს.

უკრაინაში 1919 წლის მარტში ბოლშევიკთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად, მიღებულ იქნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (უსსრ) – ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი

კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია მნიშვნელოვანწილად წარმოადგენდა რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუციის ასლს, შეიცავდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იყო უფრო მეტად პოლიტიკური, ვიდრე სამართლებრივი დოკუმენტი.

უსსრ-ის 1919 წლის კონსტიტუციით მტკიცდებოდა მუშათა კლასის ძალაუფლება პროლეტარიატის დიქტატურის ფორმით, იზღუდებოდა ყოფილი ექსპლუატატორული კლასების წარმომადგენელთა უფლებები, ცხადდებოდა უკრაინის ორიენტაცია ერთიან საერთაშორისო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შესვლაზე, რომელიც შეიქმნებოდა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

უსსრ-ის ყველა შემდგომი კონსტიტუცია (1929, 1937, 1978 წლების) საბჭოთა კონსტიტუციების ასლებს წარმოადგენდა.

უსსრ-ის 1929 კონსტიტუციით საკანონმდებლო წესით მტკიცდებოდა უკრაინის შესვლა სსრკ-ში ფედერალური ერთეულის სახით, განისაზღვრებოდა სახელმწიფო ხელისუფლების რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენცია და ფუნქციები, სსრკ-სა და უსსრ-ის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს შორის ურთიერთობა, უსსრ-ის შემადგენლობაში შედიოდა მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

უსსრ-ის 1937 კონსტიტუციით ცხადდებოდა სოციალიზმის სრული გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ ტრანსფორმაცია, მტკიცდებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია (საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, ფარული კენჭისყრით) და ეს იმ პირობებში, როდესაც საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატურა შეიტანებოდა.

უსსრ-ის 1978 კონსტიტუცია „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია იყო და განამტკიცებდა უკრაინის ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის საფუძვლებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს, რითაც უარყოფდა პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპს.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური ტიპის უკრაინის ყველა კონსტიტუცია უარყოფდა სამართლის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს, აცხადებდა რა, რომ მთელი ძალაუფლება ეკუთვნის საბჭოებს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე კომუნისტურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა კრაზი განიცადა. 1990 წლის 16 ივლისს უსსრ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის

შესახებ, სადაც დაფიქსირდა, რომ დეკლარაცია იქნებოდა ახალი კონსტიტუციის საფუძველი.

საყურადღებოა, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უსსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა 200-ზე მეტი ცვლილება, რამაც შესაძლებელი გახადა მისი მოქმედების გაგრძელება დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 5 წლის განმავლობაში. თუმცა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის დასრულებისთვის სამართლებრივი თვალსაზრისით აუცილებელი იყო უკრაინის ძირითადი კანონის სრული განახლება.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1990 წლის 24 ოქტომბერს უსსრ-ის უზენაესმა საბჭომ ახალი კონსტიტუციის შემუშავების მიზნით შექმნა კომისია, რომელმაც მის შემადგენლობაში ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სახალხო დეპუტატები და ქვეყნის წამყვანი მეცნიერები.

1992 წლის 1 ივლისს უკრაინის უზენაესმა საბჭომ განიხილა ახალი კონსტიტუციის პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება მისი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გატანის შესახებ. განხილვისას, აგრეთვე პროექტის უკრაინელი და უცხოელი ექპერტების ანალიზის მსვლელობისას საკონსტიტუციო კომისიაში შემოვიდა 47 ათასი ცვლილება და დამატება. 1993 წლის ოქტომბერში უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ახალი კონსტიტუციის პროექტის დამატებითი შემუშავების მიზნით საკონსტიტუციო კომისიისათვის გადაცემის შესახებ. თუმცა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის წარმოქმნილმა გამწვავებულმა წინააღმდეგობებმა და პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ხელახლა არჩევის დაწყებულმა მზადებამ დროებით შეწყვიტა ახალი კონსტიტუციის მომზადების პროცესი.

1994 წლის 20 სექტემბერს უკრაინის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შექმნა ხელისუფლების ყველა შტოების წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. კომისიას თანათავმჯდომარეობის უფლებით სათავეში ჩაუდგნენ უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და უკრაინის პრეზიდენტი. ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას უკრაინელი და უცხოელი მეცნიერებისა და ორგანიზაციების მიერ, მათ შორის ვენეციის კომისიის მიერ, ჩატარდა კონსტიტუციის პროექტის სამეცნიერო ექსპერტიზები.

უკრაინის ახალი კონსტიტუცია მიღებულ იქნა უკრაინის უზენაესი საბჭოს მიერ 1996 წლის 28 ივნისს.

კონსტიტუციის გადასინჯვის წესი მოცემულია კონსტიტუციაში. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას კონ-

სტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ წინასწარ მოწონებული კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ უმაღლესი რადას მომდევნო მორიგ სესიაზე მას ხმას მისცემს უმაღლესი რადას წვერთა არანაკლებ 2/3.

გადასინჯვის განსხვავებული წესია დადგენილი კონსტიტუციის ზოგიერთი განყოფილების მიმართ, რაც ამ განყოფილებებში მოცემული ნორმების მნიშვნელობაზე მიუთითებს. კონსტიტუციის განყოფილებებში, რომლებიც ეხება ზოგად პრინციპებს, არჩევნებს, რეფერენდუმს და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი უმაღლეს რადას წარედგინება პრეზიდენტის ან უმაღლესი რადას 2/3-ის მიერ და უმაღლესი რადას არანაკლებ 2/3-ით მისი მიღების შემთხვევაში მტკიცდება სრულიად უკრაინის რეფერენდუმით, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს.

ერთსა და იმავე საკითხზე კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ განყოფილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განმეორებით წარედგენა შესაძლებელია მხოლოდ მომდევნო მოწვევის უკრაინის უმაღლესი რადას მიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უკრაინის კონსტიტუცია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს, თუ ცვლილებები მიზნად ისახავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმებას ან შეზღუდვას ან თუ ისინი უკრაინის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ არის მიმართული. უმაღლეს რადას თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ შეუძლია ორჯერ შეცვალოს კონსტიტუციის ერთი და იგივე დებულება.

უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა 2004 წლის 12 აგვისტოს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა უმაღლესი რადას უფლებამოსილება მინისტრთა კაბინეტის ფორმირების პროცესში.

კონსტიტუციის ანალოზი. უკრაინის კონსტიტუციას შემდეგი სტრუქტურა გააჩნია: იგი შედგება პრეამბულის, 161 მუხლისა და 15 განყოფილებისგან. მისი სტრუქტურა ანალოგიურია და ფაქტობრივად არ განსხვავდება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციების სტრუქტურისგან, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი განყოფილების, მაგალითად, არჩევნებისა და რეფერენდუმის, პროკურატურის, საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე განყოფილებად გამოყოფას.

კონსტიტუციამ განამტკიცა შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპები: სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა; ადამიანის, მისი სიცოცხლის, უფლებებისა და თავისუფლებების უმაღლეს ღირებულებად აღიარება; უკრაინელი ხალხის ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ

გამოცხადება; ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მრავალფეროვნება, მათ შორის მრავალპარტიულობა, საკუთრებისა და მეურნეობის სხვადასხვა ფორმების უზრუნველყოფა; სახელმწიფოსთან მიმართებაში სამართლის პრიორიტეტის აღიარება.

კონსტიტუცია განამტკიცებს ხალხის უფლებას ხელისუფლება განახორციელოს უშუალოდ და სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით. ამასთან, უკრაინაში ხალხი არის სუვერენიტეტის მატარებელი და ხელისუფლების ერთადერთი წყარო. საინტერესოა უკრაინაში რეფერენდუმის ჩატარების წესი და პირობები. სრულიად უკრაინის რეფერენდუმი ცხადდება სახალხო ინიციატივის საფუძველზე ხმის უფლების მქონე უკრაინის არანაკლებ 3 მილიონი მოქალაქის მოთხოვნით იმ პირობით, რომ რეფერენდუმის დანიშნვის თაობაზე ხელმოწერები შეგროვდება უკრაინის ოლქების არანაკლებ 2/3-ში და თითოეულ ოლქში არანაკლებ 100 000-ისა. მხოლოდ სრულიად უკრაინის რეფერენდუმის გზით წყდება უკრაინის ტერიტორიის შეცვლის საკითხი. რეფერენდუმი არ დაიშვება იმ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გადასახადების, ბიუჯეტისა და ამნისტიის საკითხებს შეეხება.

მიწა, მისი წიაღი, ატმოსფერული ჰაერი, წყლის და უკრაინის ტერიტორიის ფარგლებში არსებული სხვა ბუნებრივი რესურსები, მისი კონტინენტური შეღვის, განსაკუთრებული (საზღვაო) ეკონომიკური ზონის ბუნებრივი რესურსები არის უკრაინელი ხალხის საკუთრების უფლების ობიექტი. კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, უკრაინელი ხალხის სახელით მესაკუთრის უფლებებს ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ უკრაინელი ერის, მისი ისტორიული ცნობიერების, ტრადიციებისა და კულტურის კონსოლიდაციისა და განვითარების, აგრეთვე უკრაინის ყველა ძირძველი ხალხის და ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობა. ნიშანდობლივია, რომ უკრაინის კონსტიტიციით პირდაპირ არის განმტკიცებული სახელმწიფოს ვალდებულება - პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის - ჩერნობილის კატასტროფის შედეგების დაძლევა.

კონსტიტუცია კრძალავს უკრაინის ტერიტორიაზე უცხოური სამხედრო ბაზების განთავსებას. თუმცა, კონსტიტუციის გარდამავალი დებულებები უშვებენ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების გამოყენებას უცხო სამხედრო ფორმირებების დროებით ყოფინსათვის იჯარის პირობებით უკრაინის უმაღლესი რადას მიერ რატიფიცირებული უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული წესით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ კონსტიტუციის დონეზე არის დაფიქსირებული უკრაინის სახელმწიფო გერბისა და დროშის გამოსახულების სტრუქტურა და ჰიმნის ტექსტზე მითითება.

უკრაინის კონსტიტუცია წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კონსტიტუციების კლასიკურ მაგალითს ადამიანის პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების სტრუქტურისა და განთავსების თვალსაზრისით. ამასთან, კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები დიდი შინაარსობრივი დატვირთვით გამოირჩევა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის ძირითად პირად, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთან ერთად, იგი აცხადებს, რომ კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები არ არის ამომწურავი. კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია და არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს, ხოლო ახალი კანონების მიღების ან მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანისას არ დაიშვება არსებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსისა და მოცულობის შეზღუდვა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობაში კონკურენციის დაცვას. არ დაიშვება ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

სახელმწიფო ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას, უკრაინასა და მსოფლიო საზოგადოებას შორის მეცნიერული კავშირების დამყარებას, კულტურული ღირებულების მქონე ისტორიული ძეგლებისა და სხვა ობიექტების შენარჩუნებას, იღებს ზომებს უკრაინის ფარგლებს გარეთ არსებული ხალხის კულტურული ფასეულობების უკან დასაბრუნებლად.

საინტერესო ნორმას შეიცავს კონსტიტუცია საგადასახადო ვალდებულებასთან მიმართებაში, რომლის თანახმად, უკრაინის ყველა მოქალაქე ყოველწლიურად ვალდებულია საგადასახადო ინსპექციაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და წინა წლის შემოსავლების შესახებ.

უკრაინაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად მისი დანაწილების პრინციპის საფუძველზე. კონსტიტუცია განსაზღვრავს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის წესს, მათ კომპეტენციასა და უფლებამოსილებას.

საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა პარლამენტი – უკრაინის უმაღლესი რადა. მის შემადგენლობაშია საყოველთაო, თანასწორი

და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული 450 დეპუტატი. უკრაინაში დეპუტატს „სახალხო დეპუტატი“ ეწოდება.

დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს არჩევნების დღისათვის 21 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელსაც ხმის უფლება გააჩნია და უკრაინაში ცხოვრობს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. კონსტიტუციით დადგენილია უმაღლეს რადაში იმ მოქალაქის არჩევის აკრძალვა, რომელიც ნასამართლევა მხოლოდ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ ეს ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ არის.

დეპუტატს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა წარმომადგენლობითი მანდატი, იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ეწოდეს სხვა ანაზღაურებად ან სამეწარმეო საქმიანობას (გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა), შედიოდეს იმ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას. ისეთი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც სადეპუტატო მანდატის სხვა საქმიანობასთან შეუთავსებლობის მოთხოვნებს არღვევენ, დეპუტატი ასეთი გარემოებების წარმოქმნიდან 20 დღის ვადაში წყვეტს ასეთ საქმიანობას ან იხსნის უფლებამოსილებას.

დეპუტატის უფლებამოსილება იწყება ფიცის დადების მომენტიდან და წყდება ახალი მოწვევის უმაღლესი რადას პირველი სხდომის გახსნის დღეს.

კონსტიტუციაში განმტკიცებულია დეპუტატთა ხელშეუხებლობის გარანტიები. კერძოდ, უმაღლესი რადას თანხმობის გარეშე დაუშვებელია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება. კონსტიტუცია არ ითვალისწინებს დეპუტატის დაკავების შესაძლებლობას დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.

დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებიც კლასიკურია და წააგავს დსთ-ს სხვა ქვეყნებში განმტკიცებულ ანალოგიურ საფუძვლებს, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როდესაც პოლიტიკური პარტიის სიით არჩეული დეპუტატი უარს იტყვის ამ პარტიის ფრაქციის შემადგენლობაში შესვლაზე ან გამოვა მისი შემადგენლობიდან. ასეთ შემთხვევაში მისი უფლებამოსილება ვადაძღე წყდება შესაბამისი პოლიტიკური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობითი ორგანოს გადაწყვეტილებით. თუმცა, მეორე საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება ეს პრინციპი თავისუფალი მანდატის არსს.

მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუცია განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომლებიც მხოლოდ უკრაინის კანონებით შეიძლება განისაზღვროს და დადგინდეს. უმაღლესი რადას ძირითადი უფლებამოსილებებია: უკრაინის კონ-

სტიტუციაში ცვლილებების შეტანა და კანონების მიღება; სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და მის შესრულებაზე კონტროლი; საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლების განსაზღვრა; პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით; მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება; უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებასა და დენონსაციაზე თანხმობის მიცემა; საპარლამენტო კონტროლის განხორციელება.

უმაღლესი რადას ექსკლუზიურ უფლებამოსილებას სახელმწიფო ორგანოების ფორმირების პროცესში წარმოადგენს: საანგარიშო პალატის უფროსისა და წევრების, უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებულისა და უკრაინის ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში რეგლამენტირებულია აგრეთვე ანტიმონოპოლიური კომიტეტის თავმჯდომარის, სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარის, აგრეთვე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობის ფორმირების წესი უმაღლესი რადასა და პრეზიდენტის მონაწილეობით.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია უმაღლესი რადას უფლებამოსილება ვადაძვე შეწყვიტოს შემდეგ შემთხვევებში: თუ რადაში 1 თვის განმავლობაში ვერ შეიქმნება დეპუტატთა ფრაქციების კოალიცია; მინისტრთა კაბინეტის გადადგომიდან 60 დღის განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდება მინისტრთა კაბინეტის პერსონალური შემადგენლობა; 30 დღის განმავლობაში არ იწყება პლენარული სხდომები. უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაძვე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან, მის მოადგილეებთან და ფრაქციების თავმჯდომარეებთან კონსულტაციების შემდეგ. არ შეიძლება უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაძვე შეწყვეტა მისი არჩევის დღიდან 1 წლის განმავლობაში, ასევე უმაღლესი რადას ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

უკრაინის უმაღლეს რადაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია პრეზიდენტს, დეპუტატებს და მინისტრთა კაბინეტს. არ არის გათვალისწინებული სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის ინსტიტუტი.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საპარლამენტო კონტროლს ახორციელებს უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებული. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია იმ განყოფილებაში, რომელიც განსაზღვრავს უკრაინის უმაღლესი რადას სტატუსს.

კონსტიტუციის შესაბამისად უკრაინის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და გამოდის მისი სახელით, აგრეთვე იგი სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტია. იგი აირჩევა უკრაინის მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევნო ხმის უფლება, არჩევნების დღემდე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში და ფლობს სახელმწიფო ენას. ერთი და იგივე პირი უკრაინის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ არა უმეტეს ორჯერ. უკრაინის კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ პრეზიდენტის თანამდებობრივ სტატუსზე, არამედ პრეზიდენტის წოდებაზეც. იგი კანონით არის დაცული და ყოფილ პრეზიდენტს სამისდღემშიოდ უნარჩუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით იქნა გადაყენებული.

პრეზიდენტის ძირითადი უფლებამოსილებაა: საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმოდგენა; სხვა სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურების თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება; მინისტრთა კაბინეტის აქტების მოქმედების შეჩერება კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივებით და მათი კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა.

პრეზიდენტი სარგებლობს უმაღლესი რადას მიერ მიღებული კანონების უმაღლეს რადაში ხელმოწერად განსახილველად დაბრუნების უფლებით, თუმცა ვეტოს უფლება არ გააჩნია უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონებზე.

პრეზიდენტის იმ აქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურების თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებასთან, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობასთან, მთელ უკრაინაში ან მის ცალკეულ ადგილებში საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე უკრაინის ცალკეული ადგილების საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის ზონებად გამოცხადებასთან, სასამართლოების შექმნასთან, კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტთან ერთად. აგრეთვე პრემიერ-მინისტრისა და აქტის შესრულებაზე პასუხისმგებელი მინისტრის ხელმოწერების სავალდებულობას.

სახელმწიფო ღალატის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული უმაღლესი რადას

მიერ იმპიჩმენტის წესით. ამ საკითხის წარდგენა ხდება უმაღლესი რადას უმრავლესობით. გამოძიების ჩატარების მიზნით უმაღლესი რადა ქმნის სპეციალურ დროებით საგამოძიები კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალური პროკურორი და სპეციალური გამოძიებლები. კომისიის დასკვნებს განიხილავს უმაღლესი რადა და ხმათა არანაკლებ 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტისათვის ბრალდების წაყენების შესახებ. პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი რადას არანაკლებ 3/4-ით მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის შემოწმების და გამოძიებისა და იმპიჩმენტის საქმის განხილვის კონსტიტუციური პროცედურის დაცვის შესახებ, ხოლო უზენაესი სასამართლო მიიღებს დასკვნას, რომ პრეზიდენტის ქმედება სახელმწიფო ღალატის ან სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი არის უმაღლესი ორგანო აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში, რომელიც პასუხისმგებელია პრეზიდენტისა და უმაღლესი რადას წინაშე. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერ-მინისტრები, მინისტრები.

კონსტიტიცუცია ითვალისწინებს მინისტრთა კაბინეტის ფორმირების თავისებურ წესს, რომლის მიხედვით პრეზიდენტს, გარდა პრემიერ-მინისტრისა, გააჩნია აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან პოზიციებზე უმაღლესი რადასთვის კანდიდატურების წარდგენის უფლება, როგორცაა თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები. მინისტრთა კაბინეტის სხვა მინისტრებს რადა ნიშნავს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

პრეზიდენტის ან დეპუტატთა არანაკლებ 1/3-ის წარდგინებით უმაღლესი რადა უფლებამოსილია განიხილოს მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხი და უმრავლესობით მიიღოს რეზოლუცია მისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები უფლებამოსილი არიან უმაღლეს რადას განუცხადონ თავისი გადადგომის შესახებ. პრემიერ-მინისტრის გადადგომას და მინისტრთა კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ უმაღლესი რადის მიერ მიღებულ რეზოლუციას შედეგად მოჰყვება მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობის გადადგომა. ამ შემთხვევებში უმაღლესი რადა ახორციელებს მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის ფორმირებას.

უკრაინაში მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ. საერთო იურისდიქციის სასამართლოების სისტემაში უმაღლესი სასამართლო ორგანოა უკრაინის უზენაესი სასამართლო. სპეციალიზირებული სასამართლოების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია შესაბამისი უმაღლესი

სასამართლოები. საგანგებო და სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მართლმსაჯულებას ახორციელებენ პროფესიონალი მოსამართლეები და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – სახალხო მსაჯულები და ნაფიცი მსაჯულები.

მოსამართლის თანამდებობაზე პირველი დანიშვნა ხდება 5 წლის ვადით პრეზიდენტის მიერ. ამ ვადის გასვლის შემდეგ ყველა მოსამართლე უმაღლესი რადას მიერ აირჩევა უკიდოდ. მოსამართლედ შეიძლება გამწესდეს არანაკლენ 25 წლის უკრაინის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლეს 3 წლის სტაჟი, არანაკლეს 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში და ფლობს სახელმწიფო ენას.

პროკურატურა შეადგენს ერთიან სისტემას, რომელსაც სხვა მოვალეობებთან ერთად გარკვეულ შემთხვევებში ევალება კანონების შესრულებაზე და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზედამხედველობა.

უკრაინის ტერიტორიული მოწყობა ეფუძნება სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობისა და მთლიანობის პრინციპებს, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეთავსებას, რეგიონების დაბალანსებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს ისტორიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებები, ეთნიკური და კულტურული ტრადიციები.

უკრაინის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემას შეადგენენ: ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქები, რაიონები, ქალაქები, ქალაქის რაიონები, დაბები და სოფლები. აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქებისა და 2 მნიშვნელოვანი ქალაქის დასახელებები კონსტიტუციაშია ჩამოთვლილი.

უკრაინისთვის დამახასიათებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილებზე მაღალი ცენტრალიზაციის დონე, კერძოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას ოლქებში და რაიონებში, ქალაქებში - კიევში და სევასტოპოლში ახორციელებენ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები, რომელთა თავმჯდომარეები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან პრეზიდენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით.

კონსტიტუცია უკრაინას უნიტარულ სახელმწიფოდ აცხადებს, თუმცა მის შემადგენლობაში შედის ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც უკრაინის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და წყვეტს თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს. მას აქვს საკუთარი კონსტიტუცია, რომელსაც

იღებს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადა და ამტკიცებს უკრაინის უმაღლესი რადა. ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს მინისტრთა საბჭო, რომლის თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას მიერ უკრაინის პრეზიდენტთან შეთანხმებით.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებსაც არეგულირებს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა და მის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, თუმცა უკრაინის კანონებით ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისათვის შეიძლება სხვა უფლებამოსილებებიც იქნეს დელეგირებული.

ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი ბერკეტები გააჩნია. უკრაინის კონსტიტუციასთან და უკრაინის კანონებთან ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შეუსაბამობის მოტივით პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს მათი მოქმედება უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ მიმართვასთან ერთად. რაც შეეხება უმაღლეს რადას, მას შეუძლია ვადამდე შეწყვიტოს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას უფლებამოსილება ამ უკანასკნელის მიერ უკრაინის კონსტიტუციის ან უკრაინის კანონების დარღვევის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის არსებობისას. უმაღლესი რადას კომპეტენციაში შედის აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა.

უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ნებაყოფლობით გაერთიანებული რამდენიმე სოფლის, დაბის და ქალაქის მაცხოვრებელთა უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები კონსტიტუციითა და კანონებით განისაზღვრება.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში უკრაინის უმაღლესი რადას კომპეტენციაა რაიონების შექმნა და ლიკვიდაცია, რაიონებისა და ქალაქების საზღვრების დადგენა და შეცვლა, დასახლებული პუნქტების ქალაქების კატეგორიისადმი მიკუთვნება, დასახლებული პუნქტებისა და რაიონებისათვის სახელის მინიჭება და გადარქმევა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონით შეიძლება მიენიჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცალკეული უფლებამოსილებები.

ქალაქებს – კიევსა და სევასტოპოლს სპეციალური სტატუსი აქვთ, რომლებში განხორციელების თავისებურებანი განისაზღვრება უკრაინის ცალკეული კანონებით.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო უკრაინაში საკონსტიტუციო იურისდიქციის ერთადერთი ორგანოა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად წყვეტს უკრაინის კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისობის საკითხებს და იძლევა უკრაინის კონსტიტუციის და უკრაინის კანონების ოფიციალურ განმარტებას. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 18 მოსამართლისგან. მის 6-6 წევრს ნიშნავენ უკრაინის პრეზიდენტი, უკრაინის უმაღლესი რადა და უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა.

მართალია, კონსტიტუცია მას, ისევე როგორც საერთო იურისდიქციის საერთო იურისდიქციის სასამართლოებს სამართალწარმოების განმახორციელებელ ორგანოს უწოდებს და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს მოსამართლეებად მოიხსენიებს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ მდგომარეობას ცალკე განყოფილებას უთმობს და სასამართლოებისგან განცალკევებულად იხილავს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. უკრაინის კონსტიტუციის განსაკუთრებულ თავისებურებებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

– მინისტრთა კაბინეტის ფორმირების განსაკუთრებული წესი, როდესაც უმაღლეს რადაში თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების კანდიდატურებს წარადგენს პრეზიდენტი, ხოლო სხვა მინისტრობის კანდიდატებს – პრემიერ-მინისტრი;

– უმაღლესი რადას დეპუტატთათვის დაწესებულია დაბალი ასაკობრივი ცენზი - 21 წელი, აკრძალულია დეპუტატად ისეთი მოქალაქის არჩევა, რომელიც ნასამართლეია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დეპუტატის ხელშეუხებლობა ფართო მოცულობისაა, რაც გამორიცხავს დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში მისი დაკავების შესაძლებლობას, ასევე დეპუტატის უფლებამოსილება ვადაძღე წყდება, თუ იგი უარს იტყვის ფრაქციის შემადგენლობაში შესვლაზე ან გავა ასეთი ფრაქციის შემადგენლობიდან;

– უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაძღე შეწყვეტა წარმოადგენს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას; პრეზიდენტს ვეტოს უფლება არ გააჩნია უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონებზე;

– მოსამართლეობისთვის დადგენილია დაბალი ასაკობრივი ცენზი - 25 წელი; მოსამართლე თანამდებობაზე პირველად ინიშნება 5 წლის ვადით პრეზიდენტის მიერ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ აირჩევა უმაღლესი რადას მიერ უვადოდ;

– პროკურატურის მოვალეობაა, გარკვეულ შემთხვევებში ზედამხედველობა გაუწიოს კანონების შესრულებას და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

– უკრაინა წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს, მის შემადგენლობაში ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის არსებობით;

– გათვალისწინებულია ადგილებზე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი ცენტრალიზაციის დონე, კერძოდ აღმასრულებელ ხელისუფლების განხორციელება ოლქებში, რაიონებში, ქალაქებში (კიევი და სევასტოპოლში) ხდება ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების მიერ;

– ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში უკრაინის უმაღლესი რადას კომპეტენციაა რაიონების შექმნა და ლიკვიდაცია, რაიონებისა და ქალაქების საზღვრების დადგენა და შეცვლა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა;

– ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქებისა და 2 მნიშვნელოვანი ქალაქის დასახელებები კონსტიტუციაშია ჩამოთვლილი;

– კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სახალხო საკანონმდებლო ინიციატივას. რაც შეეხება სრულიად უკრაინის რეფერენდუმის ჩატარებას, იგი დასაშვებია მხოლოდ სახალხო ინიციატივის საფუძველზე ხმის უფლების მქონე არანაკლებ 3 მილიონი მოქალაქის მოთხოვნით, იმ პირობით, რომ რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე ხელმოწერები შეგროვდეს ოლქების არანაკლებ 2/3-ში და თითოეულ ოლქში არანაკლებ 100 ათასისა;

– კონსტიტუციის გადასინჯვის განსხვავებული წესია დადგენილი კონსტიტუციის სხვადასხვა განყოფილებებთან მიმართებაში. ზოგიერთ საკითხზე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი რადას მომდევნო მორიგ სესიაზე, ხოლო რიგ საკითხებზე აუცილებელია სრულიად უკრაინის რეფერენდუმის ჩატარება. აკრძალულია უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადის განმავლობაში უკრაინის კონსტიტუციის ერთი და იგივე დებულების ორჯერ შეცვლა.

უკრაინის კონსტიტუცია¹

მიღებულია 1996 წლის 28 ივნისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 2004 წლის 12 აგვისტოს)

უკრაინის უმაღლესი რადა, უკრაინელი ხალხის – უკრაინის ყველა ეროვნების მოქალაქის სახელით, გამოხატავს რა ხალხის სუვერენულ ნებას, ეყრდნობა უკრაინის სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და უკრაინელი ერის, მთელი უკრაინელი ხალხის მიერ განხორციელებული თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, ზრუნავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და მისი ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფასა და უკრაინის მიწაზე სამოქალაქო თანხმობის განმტკიცებაზე, მისიწრაფვის განავითაროს და განამტკიცოს დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, აღიარებს პასუხისგებლობას ღმერთის, საკუთარი სინდისის, წინა, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე, ხელმძღვანელობს რა 1991 წლის პირველი დეკემბრის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით დამტკიცებული უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ 1991 წლის 24 აგვისტოს აქტით, იღებს ამ კონსტიტუციას – უკრაინის ძირითად კანონს.

განყოფილება I. ზოგადი პრინციპები

მუხლი 1. უკრაინა არის სუვერენული და დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფო.

მუხლი 2. უკრაინის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე.

უკრაინა არის უნიტარული სახელმწიფო.

უკრაინის ტერიტორია არსებული საზღვრების ფარგლებში ერთიანი და ხელშეუვალია.

¹ თარგმანისას გამოყენებულია უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.president.gov.ua/ru/content/103_r.html გამოქვეყნებული უკრაინის კონსტიტუციის რუსულენოვანი და მისამართზე: www.president.gov.ua/en/content/103_e.html გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი ტექსტები.

მუხლი 3. უკრაინაში ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება აღიარებულია უმაღლეს სოციალურ ღირებულებად.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და მათი გარანტიები განსაზღვრავენ სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსსა და მიმართულებას. თავისი საქმიანობისათვის სახელმწიფო პასუხისმგებელია ადამიანის წინაშე.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცება და უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ვალდებულებას.

მუხლი 4. უკრაინაში არსებობს ერთიანი მოქალაქეობა.

უკრაინის მოქალაქეობის შექმნისა და შეწყვეტის საფუძვლები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 5. უკრაინა არის რესპუბლიკა.

უკრაინაში სუვერენიტეტის მატარებელი და ხელისუფლების ერთადერთი წყარო არის ხალხი. ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ და სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით.

უკრაინაში კონსტიტუციური წყობილების განსაზღვრისა და შეცვლის უფლება ეკუთვნის მხოლოდ ხალხს და იგი არ შეიძლება მითვისებულ იქნეს სახელმწიფოს, მისი ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ.

არავის არ შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების მითვისება.

მუხლი 6. უკრაინაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად მისი დანაწილების პრინციპის საფუძველზე.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში და უკრაინის კანონების შესაბამისად.

მუხლი 7. უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობა აღიარებული და გარანტირებულია.

მუხლი 8. უკრაინაში აღიარებულია და მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი.

უკრაინის კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები უკრაინის კონსტიტუციის საფუძველზე მიიღება და მას უნდა შეესაბამებოდეს.

უკრაინის კონსტიტუციის ნორმები პირდაპირი მოქმედების ნორმებია. უშუალოდ უკრაინის კონსტიტუციის საფუძველზე სასამართლოში ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით მიმართვა გარანტირებულია.

მუხლი 9. მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა სავალდებულობაზე თანხმობა უკრაინის უმაღლესი რადის მიერ არის მიცემული, უკრაინის ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.

ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, რომლებიც უკრაინის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, შესაძლებელია მხოლოდ უკრაინის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

მუხლი 10. უკრაინული ენა არის უკრაინის სახელმწიფო ენა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს უკრაინული ენის ყოველმხრივ განვითარებასა და ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უკრაინის მთელ ტერიტორიაზე.

უკრაინაში რუსული, უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა სხვა ენების თავისუფალი განვითარება, გამოყენება და დაცვა გარანტირებულია.

სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის ენების შესწავლას.

უკრაინაში ენების გამოყენება გარანტირებულია უკრაინის კონსტიტუციით და განისაზღვრება კანონით.

მუხლი 11. სახელმწიფო ხელს უწყობს უკრაინელი ერის, მისი ისტორიული ცნობიერების, ტრადიციებისა და კულტურის კონსოლიდაციასა და განვითარებას, აგრეთვე უკრაინის ყველა ძირძველი ხალხისა და ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის განვითარებას.

მუხლი 12. უკრაინა ზრუნავს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები უკრაინელების ეროვნულ-კულტურული და ენობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

მუხლი 13. მიწა, მისი წიაღი, ატმოსფერული ჰაერი, წყლის და უკრაინის ტერიტორიის ფარგლებში არსებული სხვა ბუნებრივი რესურსები, მისი კონტინენტური შეღწის, განსაკუთრებული (საზღვაო) ეკონომიკური ზონის ბუნებრივი რესურსები არის უკრაინელი ხალხის საკუთრების უფლების ობიექტი. ამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, უკრაინელი ხალხის

სახელით მესაკუთრის უფლებებს ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

თითოეულ მოქალაქეს კანონის შესაბამისად აქვს ხალხის საკუთრების უფლების ბუნებრივი რესურსების ობიექტებით სარგებლობის უფლება.

საკუთრება ავალდებულებს. საკუთრება არ უნდა გამოიყენებოდეს ადამიანისა და საზოგადოების საზიანოდ.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთრების უფლებისა და მეურნეობის ყველა სუბიექტის უფლებების დაცვას, ეკონომიკის სოციალურ მიმართულებას. საკუთრების უფლების ყველა სუბიექტი კანონის წინაშე თანასწორია.

მუხლი 14. მიწა არის სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არსებული ძირითადი ეროვნული სიმდიდრე.

მიწაზე საკუთრების უფლება გარანტირებულია. მოქალაქეების, იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მიერ ამ უფლების შექმნა და განხორციელება მხოლოდ კანონის შესაბამისად ხდება.

მუხლი 15. უკრაინაში საზოგადოებრივი ცხოვრება ეფუძნება პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მრავალფეროვნების პრინციპებს.

არცერთი იდეოლოგია არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ აღიარებული იყოს როგორც სავალდებულო.

ცენზურა აკრძალულია.

სახელმწიფო უზრუნველყოფს უკრაინის კონსტიტუციითა და კანონებით აუკრძალავი პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას.

მუხლი 16. უკრაინის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის – ჩერნობილის კატასტროფის შედეგების დაძლევა, უკრაინელი ხალხის გენოფონდის შენარჩუნება სახელმწიფოს ვალდებულებაა.

მუხლი 17. უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მისი ეკონომიკური და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია და მთელი უკრაინელი ხალხის საქმეა.

უკრაინის თავდაცვა, მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუვალობის დაცვა უკრაინის შეირალებულ ძალებს ევალება.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვა ევალება სახელმწიფოს შესაბამის სამხედრო ფორმირებებსა

და სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა ორგანიზაცია და საქმიანობის წესი კანონით განისაზღვრება.

უკრაინის შეირალებული ძალები და სხვა სამხედრო ფორმირებები არავის მიერ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ან კონსტიტუციური წყობილების დამზობის, ხელისუფლების ორგანოების იძულებით შეცვლის ან მათი საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნის მიზნით.

სახელმწიფო უზრუნველყოფს უკრაინის შეირალებული ძალების ან სხვა სამხედრო ფორმირებების სამსახურში მყოფი უკრაინის მოქალაქეების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სოციალურ დაცვას.

უკრაინის ტერიტორიაზე კანონით გაუთვალისწინებელი რაიმე სამხედრო ფორმირებების შექმნა და ფუნქციონირება იკრძალება.

დაუშვებელია უკრაინის ტერიტორიაზე უცხოური სამხედრო ბაზების განთავსება.

მუხლი 18. უკრაინის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა მიმართულია მისი ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების უზრუნველყოფისაკენ საერთაშორისო საზოგადოების წევრებთან მშვიდობიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შენაჩუნების გზით საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე.

მუხლი 19. უკრაინაში მართლწესრიგი ეფუძნება ისეთ პრინციპებს, რომელთა შესაბამისად არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს გააკეთოს ის, რაც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათი თანამდებობის პირები ვალდებული არიან იმოქმედონ მხოლოდ უკრაინის კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებულ საფუძველზე, უფლებამოსილებათა ფარგლებში და სამუალებით.

მუხლი 20. უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოები არის უკრაინის სახელმწიფო დროშა, უკრაინის სახელმწიფო გერბი და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი.

უკრაინის სახელმწიფო დროშა შედგება ლურჯი და ყვითელი ფერის ორი თანაბარზომიერი ჰორიზონტალური ზოლისგან.

უკრაინის დიდი სახელმწიფო გერბი დგინდება უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით მიღებული კანონით, უკრაინის მცირე გერბისა და ზაპოროჟიის მხედრობის გერბის გათვალისწინებით.

უკრაინის დიდი სახელმწიფო გერბის მთავარი ელემენტია ვლადიმერ დიდის სათავადო სახელმწიფოს ნიშანი (უკრაინის მცირე სახელმწიფო გერბი).

უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი არის უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით მიღებული კანონით დამტკიცებული ეროვნული ჰიმნი მ. ვერბიციის მუსიკაზე სიტყვებით.

უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოების აღწერილობა და მათი გამოყენების წესი დგინდება უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით მიღებული კანონით.

უკრაინის დედაქალაქი არის ქალაქი კიევი.

განყოფილება II. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები

მუხლი 21. ყველა ადამიანი თავის ღირსებასა და უფლებებში თავისუფალი და თანასწორია. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განუსხვისებელი და ხელშეუხებელია.

მუხლი 22. ამ კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები არ არის ამომწურავი.

კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია და არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს.

ახალი კანონების მიღების ან მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანისას არ დაიშვება არსებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსისა და მოცულობის შეზღუდვა.

მუხლი 23. ყველა ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თუ ამით არ ირღვევა სხვა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები და გააჩნია მოვალეობები საზოგადოების წინაშე, რომელშიც უზრუნველყოფილია მისი პიროვნების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარება.

მუხლი 24. მოქალაქეები სარგებლობენ თანაბარი კონსტიტუციური უფლებებით და თავისუფლებებით და კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

არ შეიძლება არსებობდეს პრივილეგიები ან შეზღუდვები რასის, კანის ფერის, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა შეხედულებების, სქესის, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ენობრივი ან სხვა ნიშნებით.

ქალისა და მამაკაცის უფლებების თანასწორობა უზრუნველყოფილია ქალებისათვის მამაკაცების თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, განათლების მიღებით და პროფესიული მომზადებით, შრომით და მისთვის ანაზღაურებით; ქალების შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური ზომებით, საპენსიო შეღავათების დადგენით; ისეთი პირობების შექმნით, რაც ქალებს შრომის დედობასთან შეთავსების შესაძლებლობას ანიჭებს; სამართლებრივი დაცვით, დედობისა და ბავშვობის მატერიალური და მორალური მხარდაჭერით, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ანაზღაურებადი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მინიჭებით.

მუხლი 25. უკრაინის მოქალაქეს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა და მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

უკრაინის მოქალაქე არ შეიძლება უკრაინის ფარგლებს გარეთ გაძევებულ იქნეს ან სხვა სახელმწიფოს გადაეცეს.

უკრაინა უზრუნველყოფს მის საზღვრებს გარეთ მყოფი თავისი მოქალაქეების მზრუნველობასა და დაცვას.

მუხლი 26. უკრაინაში კანონიერი საფუძვლებით მყოფი უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები უკრაინის მოქალაქეების თანაბარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ და, აგრეთვე, ასეთივე მოვალეობები აკისრიათ, უკრაინის კონსტიტუციით, კანონებით ან უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი გამონაკლისების გარდა.

უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეიძლება თავშესაფარი მიეცეთ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 27. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის განუსხვისებელი უფლება. არავის არ შეიძლება თვითნებურად მოესპოს სიცოცხლე. ადამიანის სიცოცხლის დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ყველას აქვს თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სხვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის არამართლზომიერი ხელყოფისაგან დაცვის უფლება.

მუხლი 28. ყველას აქვს თავისი ღირსებისადმი პატივისცემის უფლება.

არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

არცერთი ადამიანი არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო, სამცენიერო ან სხვა ცდებს მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 29. ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

არავინ არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული ან პატიმრობაში იმყოფებოდეს, თუ არა სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით და მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ან მისი აღკვეთის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კანონით უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ პირის დაპატიმრება გამოიყენონ დროებითი აღკვეთის ღონისძიების სახით, რომლის დასაბუთებლობა სასამართლოს მიერ უნდა იქნეს შემოწმებული სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში. დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ დაკავებიდან სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში მას დაპატიმრების შესახებ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილება არ ჩაბარდება.

ყველა დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაპატიმრების ან დაკავების მოტივების შესახებ, განემარტოს მისი უფლებები და დაკავების მომენტიდან მიეცეს შესაძლებლობა თავი დაიცვას პირადად ან ისარგებლოს დამცველის სამართლებრივი დახმარებით.

ყველა დაკავებულ პირს აქვს სასამართლოში თავისი დაკავების ნებისმიერ დროს გასაჩივრების უფლება.

ადამიანის დაპატიმრების ან დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაპატიმრებული ან დაკავებული პირის ნათესავებს.

მუხლი 30. ყველასათვის გარანტირებულია საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა.

არ დაიშვება პირის საცხოვრებელში ან სხვა მფლობელობაში შეღწევა, მასში დათვალიერებისა ან ჩხრეკის ჩატარება, თუ არა სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადამიანების სიცოცხლის და ქონების გადარჩენასთან ან დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების უშუალო დევნასთან დაკავშირებულ გადაუდებელ შემთხვევებში, დაიშვება პირის საცხოვრებელში ან სხვა მფლობელობაში შეღწევის, მასში დათვალიერების ან ჩხრეკის ჩატარების კანონით გათვალისწინებული სხვა წესი.

მუხლი 31. ყველასათვის გარანტირებულია მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, სატელეგრაფო და სხვა კორესპონდენციის საიდუმლოება. გამონაკლისები შეიძლება დადგენილი იქნეს მხოლოდ სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანაშაულის თავიდან აცილების ან სის-

ხლის სამართლის საქმეზე გამოძიებისას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიღება შეუძლებელია.

მუხლი 32. დაუშვებელია პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა, გარდა უკრაინის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არ დაიშვება პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა და მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებების ინტერესებში.

ყველა მოქალაქეს აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მასზე არსებული იმ მონაცემების გაცნობის უფლება, რომლებიც სახელმწიფო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

ყველასათვის გარანტირებულია მასზე და მისი ოჯახის წევრების შესახებ დაუდასტურებელი ინფორმაციის უარყოფისა და ნებისმიერი ინფორმაციის ამოღების უფლების სასამართლო წესით დაცვა, აგრეთვე ასეთი დაუდასტურებელი ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გავრცელების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

მუხლი 33. ყველასათვის, ვინც უკრაინის ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლებით იმყოფება, გარანტირებულია გადაადგილების თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება და უკრაინის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა.

უკრაინის მოქალაქეს არ შეიძლება ჩამოერთვას ნებისმიერ დროს უკრაინაში დაბრუნების უფლება.

მუხლი 34. ყველასათვის გარანტირებულია აზრისა და სიტყვის თავისუფლების, თავისი შეხედულებებისა და მრწამსის თავისუფლად გამოხატვის უფლება.

ყველას აქვს თავისი არჩევანით ინფორმაციის ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით თავისუფლად შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გავრცელების უფლება.

აღნიშნული უფლებების განხორციელება შეიძლება კანონით იქნეს შეზღუდული ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებში არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილების, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სხვა ადამიანების რეპუტაციის ან

უფლებების დაცვის მიზნით, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ანდა მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 35. ყველას აქვს მსოფლმხედველობისა და რწმენის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ნებისმიერი ან არცერთი რელიგიის აღმსარებლობის, დაუბრკოლებლად ერთპიროვნულად ან კოლექტიურად რელიგიური კულტისა და რელიგიური რიტუალების ჩატარების, რელიგიური საქმიანობის განხორციელების უფლებას.

ამ უფლების განხორციელება შეიძლება კანონით იქნეს შეზღუდული მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებში. უკრაინაში ეკლესია და რელიგიური ორგანიზაციები განცალკევებულია სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა – ეკლესიისაგან. არცერთი რელიგია არ შეიძლება იქნეს აღიარებული როგორც სავალდებულო.

არავინ არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სახელმწიფოს წინაშე მოვალეობებისაგან რელიგიური მოტივებით ან უარი თქვას კანონების შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ვალდებულების შესრულება მოქალაქის რელიგიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება, ამ ვალდებულების შესრულება ალტერნატიული (არასამხედრო) სამსახურით უნდა შეიცვალოს.

მუხლი 36. უკრაინის მოქალაქეებს აქვთ თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისა და დაცვის მიზნით და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ინტერესების დასაცმაცოფილებლად პოლიტიკურ პარტიებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თავისუფლად გაერთიანების უფლება, გარდა კანონით ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებში დადგენილი შეზღუდვებისა.

უკრაინაში პოლიტიკური პარტიები ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების ფორმირებასა და გამოხატვას. პოლიტიკური პარტიების წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ უკრაინის მოქალაქეები. პოლიტიკურ პარტიებში წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები ღვინდება მხოლოდ ამ კონსტიტუციითა და უკრაინის კანონებით.

მოქალაქეებს, თავისი შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, აქვთ პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლება. პროფესიული კავშირები არის პროფესიული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე საერთო ინტერესებით დაკავშირებული მოქალაქეთა

გამაერთიანებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პროფესიული კავშირები იქმნება წინასწარი ნებართვის გარეშე მათი წევრების თავისუფალი არჩევანის საფუძველზე. ყველა პროფესიულ კავშირს თანაბარი უფლებები გააჩნია. პროფესიულ კავშირებში წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები დგინდება მხოლოდ ამ კონსტიტუციითა და უკრაინის კანონებით.

არაეინ არ შეიძლება იქნეს იძულებული შევიდეს მოქალაქეთა რაიმე გაერთიანებაში ან შეიზღუდოს უფლებებში პოლიტიკური პარტიებისადმი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი კუთვნილების ან არმიკუთვნების გამო.

მოქალაქეთა ყველა გაერთიანება კანონის წინაშე თანასწორია.

მუხლი 37. აკრძალულია ისეთი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობა, რომელთა პროგრამული მიზნები ან მოქმედებები მიმართულია უკრაინის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის, კონსტიტუციური წყობილების ძალადობის გზით შეცვლის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, მისი უშიშროების შერყევის, სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდების, ომის, ძალადობის პროპაგანდის, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური მტრობის გაღვივების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელყოფისაკენ.

პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შეიძლება ჰქონდეთ გასამხედროებული ფორმირებები.

არ დაიშვება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში, სამხედრო ფორმირებებში, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოებში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა და საქმიანობა.

მოქალაქეთა გაერთიანებების საქმიანობის აკრძალვა ხორციელდება მხოლოდ სასამართლო წესით.

მუხლი 38. მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების მართვაში, სრულიად უკრაინის და ადგილობრივ რეფერენდუმებში, თავისუფლად აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

მოქალაქეები სარგებლობენ სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურში თანაბარი დაშვების უფლებით.

მუხლი 39. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად, იარაღის გარეშე და ჩაატარონ კრებები, მიტინგები, მსვლელობები და დემონსტრაციები, რომელთა თაობაზე წინასწარ ეცნობება აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

ამ უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვა შეიძლება დადგინდეს სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად და მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებში – არეულობის ან დანაშაულების თავიდან აცილების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ან სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

მუხლი 40. ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი და ამ ორგანოების თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეებისადმი ინდივიდუალური ან კოლექტიური წერილობითი მიმართების გაგზავნის ან პირადად მიმართვის უფლება, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ მიმართვა და დასაბუთებული პასუხი გასცენ კანონით დადგენილ ვადაში.

მუხლი 41. ყველას აქვს თავისი საკუთრების, ინტელექტუალური, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

კერძო საკუთრების უფლების შექმნა ხდება კანონით დადგენილი წესით.

მოქალაქეებს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო და კომუნალური საკუთრების უფლების ობიექტებით კანონის შესაბამისად.

არავის არ შეიძლება საკუთრება ჩამოერთვას არამართლზომიერად. კერძო საკუთრების უფლება ხელშეუხებელია.

კერძო საკუთრების უფლებას ობიექტების იძულებით გასხვისების უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლისი წესით საზოგადოებრივი აუცილებლობის მოტივით კანონით დადგენილი საფუძვლით და წესით, მათი ღირებულების წინასწარი და სრული ანაზღაურების პირობით. ასეთი ობიექტების იძულებით გასხვისება მათი ღირებულების შემდგომი სრული ანაზღაურებით დაიშვება მხოლოდ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

ქონების კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილ შემთხვევებში, მოცულობითა და წესით.

საკუთრებით სარგებლობა არ შეიძლება ზიანს აყენებდეს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და ღირსებას, საზოგადოების ინტერესებს, აუარესებლად ეკოლოგიურ მდგომარეობას და მიწის ბუნებრივ თვისებებს.

მუხლი 42. ყველას აქვს კანონით აუკრძალავი სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

დეპუტატების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეების სამეწარმეო საქმიანობა კანონით იზღუდება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობაში კონკურენციის დაცვას. არ დაიშვება ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. მონოპოლიების სახეები და ფარგლები კანონით განისაზღვრება.

სახელმწიფო იცავს მომხმარებელთა უფლებებს, ახორციელებს პროდუქციისა და ყველა სახის მკვსაზურებისა და სამუშაოების ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლს, ზღვს უწყობს მომხმარებელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

მუხლი 43. ყველას აქვს შრომის უფლება, რაც მოიცავს ანაზღაურების შესაძლებლობას იმ შრომით, რაზეც პირი თავისუფლად ირჩევს ან თავისუფლად ეთანხმება.

სახელმწიფო ქმნის მოქალაქეთა მიერ შრომის უფლების სრულად განხორციელების პირობებს, უზრუნველყოფს პროფესიისა და შრომითი საქმიანობის შერჩევის თანაბარ შესაძლებლობებს, ახორციელებს პროფესიულ-ტექნიკური სწავლების, კადრების მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად.

იძულებითი შრომის გამოყენება აკრძალულია. აკრძალულ შრომად არ ითვლება სამხედრო ან ალტერნატიული (არასამხედრო) სამსახური, აგრეთვე სამუშაო ან სამსახური, რომელიც პირის მიერ განაჩენის ან სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე ანდა საომარი და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონების შესაბამისად სრულდება.

ყველას აქვს შრომის სათანადო, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების, კანონით დადგენილ ზღვარზე არანაკლები შრომის ანაზღაურების უფლება.

იკრძალება ქალებისა და არასრულწლოვნების შრომის გამოყენება მათი ჯანმრთელობისათვის სახიფათო სამუშაოებზე.

მოქალაქეებისათვის გარანტირებულია სამუშაოდან უკანონო გათავისუფლებისაგან დაცვა.

შრომის ანაზღაურების დროული მიღების უფლება დაცულია კანონით.

მუხლი 44. მომუშავეებს აქვთ თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად გაფიცვის უფლება.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, გაფიცვის უფლების განხორციელების წესი დგინდება კანონით.

არავინ არ შეიძლება აიძულონ გაფიცვაში მონაწილეობაზე ან მონაწილეობის მიუღებლობაზე.

გაფიცვის აკრძალვა მხოლოდ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი.

მუხლი 45. ყველა მომუშავეს აქვს დასვენების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია ყოველკვირული დასვენების დღეების, აგრეთვე ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულების მინიჭებით, ცალკეული პროფესიებისა და წარმოებისათვის შემცირებული სამუშაო დღის დადგენით, ღამის საათებში სამუშაოს ხანგრძლივობის შემცირებით.

სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა, დასვენებისა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა, დასვენებისა და უქმე დღეები, აგრეთვე ამ უფლების განხორციელების სხვა პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 46. მოქალაქეებს აქვთ სოციალური დაცვის უფლება, რაც მოიცავს უფლებას უზრუნველყოფილი იქნენ შრომისუნარიანობის სრული, ნაწილობრივი ან დროებითი დაკარგვის შემთხვევაში, მარჩენალის დაკარგვის, მათგან დამოუკიდებელი გარემოებებისაგან უმუშევრობის გამო, აგრეთვე მოხუცებულობაში და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ეს უფლება გარანტირებულია საერთოსახელმწიფოებრივი სოციალური დაზღვევით მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სადაზღვევო შენატანების ხარჯზე, აგრეთვე საბიუჯეტო და სოციალური უზრუნველყოფის სხვა წყაროებით, შრომისუნარიანობა მოვლისათვის სახელმწიფო, კომუნალური, კერძო დაწესებულებების ქსელის მექანიზმით.

პენსიებმა, სოციალურმა გადასახდლებმა და შემწეობების სხვა სახეებმა, რომლებიც არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, უნდა უზრუნველყონ ცხოვრების კანონით განსაზღვრულ მინიმუმზე არანაკლები დონე.

მუხლი 47. ყველას აქვს საცხოვრებელი ბინის უფლება. სახელმწიფო ქონის ისეთ პირობებს, როდესაც ყველა მოქალაქეს ექნება საცხოვრებელი

ბინის აშენების, მისი საკუთრებად შექენის ან იჯარით აღების შესაძლებლობა.

მოქალაქეებს, რომელთაც სოციალური დაცვა ესაჭიროებათ, სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საცხოვრებელი ბინა მიეცემათ უფასოდ ან მათთვის მისაღები ფასით კანონის შესაბამისად.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საცხოვრებელი ბინა იძულებით, თუ არა კანონის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 48. ყველას აქვს თავისთვის ან თავისი ოჯახისათვის სათანადო ცხოვრების დონის უფლება, რაც მოიცავს საკმარის კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ ბინას.

მუხლი 49. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო დაზღვევის უფლება.

ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო-სანიტარული და გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური პროგრამების სახელმწიფო დაფინანსებით.

სახელმწიფო ქმნის ყველა მოქალაქისათვის ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პირობებს. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებებში სამედიცინო დახმარება გაიწვევა უფასოდ; ასეთი დაწესებულებების არსებული ქსელი არ შეიძლება შემცირებულ იქნეს. სახელმწიფო ხელს უწყობს საკუთრების ყველა ფორმის სამკურნალო დაწესებულებების განვითარებას.

სახელმწიფო ზრუნავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, უზრუნველყოფს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ კეთილდღეობას.

მუხლი 50. ყველას აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოსა და ამ უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

ყველასათვის გარანტირებულია გარემოს მდგომარეობის, საკვები პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო საგნების ხარისხის შესახებ ინფორმაციისადმი თავისუფალი დაშვების, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის გავრცელების უფლება.

ასეთი ინფორმაცია არავის მიერ არ შეიძლება იქნეს გასაიდუმლოებული.

მუხლი 51. ქორწინება ეყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით თანხმობას. თითოეულ მუდღეს ოჯახში თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნია.

მშობლები ვალდებული არიან შეიღებონ სრულწლოვანებამდე არჩინონ. სრულწლოვანმა შეიღებმა მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ თავიანთი შრომისუუნარო მშობლებისადმი.

ოჯახი, ბავშვობა, დედობა და მამობა დაცულია სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 52. ბავშვები თავის უფლებებში თანასწორნი არიან მათი წარმოშობის, აგრეთვე იმის მიუხედავად ქორწინებაში, თუ მის გარეშე დაიბადნენ.

ბავშვზე ნებისმიერი ძალადობა და მისი ექსპლუატაცია კანონით ისჯება.

ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვის რჩენა და აღზრდა სახელმწიფოს ეკისრება. სახელმწიფო წაახალისებს და მხარს უჭერს საქველმოქმედო საქმიანობას ბავშვების მიმართ.

მუხლი 53. ყველას აქვს განათლების უფლება.

სრული საერთო საშუალო განათლება სავალდებულოა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და უფასო სკოლამდელ, სრულ საერთო საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, უმაღლეს განათლებას სახელმწიფო და კომუნალურ სასწავლო დაწესებულებებში; სკოლამდელი, სრული საერთო საშუალო, სკოლისგარეშე, პროფესიულ-ტექნიკური, უმაღლესი და დიპლომისშემდგომი განათლების, სწავლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მინიჭებას.

მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო და კომუნალურ სასწავლო დაწესებულებებში კონკურსის საფუძველზე უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების უფლება.

ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებული მოქალაქეებისათვის, კანონის შესაბამისად გარანტირებულია მშობლიურ ენაზე სწავლების ან მშობლიური ენის შესწავლის უფლება სახელმწიფო და კომუნალურ სასწავლო დაწესებულებებში ანდა კულტურული საზოგადოებების მეშვეობით.

მუხლი 54. მოქალაქეებისათვის გარანტირებულია ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული და ტექნიკური შემოქმედების თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრების, მათი საავტორო უფლებების, მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვის უფლება, რომლებიც წარმოიშობა ინტელექტუალური საქმიანობის სხვადასხვა სახეებთან დაკავშირებით.

ყველა მოქალაქეს აქვს თავისი ინტელექტუალური, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების უფლება; არავის არ შეუძლია მისი თანხმობის გარეშე მათი გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

სახელმწიფო ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას, უკრაინასა და მსოფლიო საზოგადოებას შორის მეცნიერული კავშირების დამყარებას.

კულტურული მემკვიდრეობა კანონით არის დაცული.

სახელმწიფო უზრუნველყოფს კულტურული ღირებულების მქონე ისტორიული ძეგლებისა და სხვა ობიექტების შენარჩუნებას, იღებს ზომებს უკრაინის ფარგლებს გარეთ არსებული ხალხის კულტურული ფასეულობების უკან დასაბრუნებლად.

მუხლი 55. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები დაცულია სასამართლო წესით.

ყველასათვის გარანტირებულია სასამართლოში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეების გადაწყვეტილებების, მოქმედებების ან უმოქმედობის გასაჩივრების უფლება.

ყველას აქვს თავის უფლებათა დასაცავად უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებულისადმი მიმართვის უფლება.

ყველას აქვს სამართლებრივი დაცვის ყველა ეროვნული საშუალების გამოყენების შემდეგ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად შესაბამის საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებებისა ან საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის ორგანოებისადმი მიმართვის უფლება, რომელთა წევრი ან მონაწილე არის უკრაინა.

ყველას აქვს დარღვეებისა და არამართლზომიერი ხელყოფისაგან კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საშუალებით თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფლება.

მუხლი 56. ყველას აქვს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, რაც მიყენებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეების მოქმედებებით ან უმოქმედობით თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს.

მუხლი 57. ყველასათვის გარანტირებულია თავისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის უფლება.

მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მოსახლეობას უნდა ეცნობოს კანონით დადგენილ წესით.

ბათილია მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც მოსახლეობას კანონით დადგენილი წესით არ ეცნობება.

მუხლი 58. კანონებსა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებს დროში უკუძალა არ გააჩნია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ამსუბუქებენ ან აუქმებენ პირის პასუხისმგებლობას.

არავინ არ შეიძლება აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომლებიც მათი ჩადენის დროისათვის კანონით სამართალდარღვევებად არ იყო აღიარებული.

მუხლი 59. ყველას აქვს სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეს დახმარება გაიწვევა უფასოდ. ყველა თავისუფალია თავის უფლებათა დამცველის შერჩევაში.

ბრალდებისაგან დაცვის უფლების უზრუნველყოფისა და საქმეთა განხილვისას სასამართლოებში და სხვა სახელმწიფო ორგანოებში სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით უკრაინაში მოქმედებს ადვოკატურა.

მუხლი 60. არავინ არ არის ვალდებული შეასრულოს ამჟამად დანაშაულებრივი განკარგულებები ან ბრძანებები.

ამჟამად დანაშაულებრივი განკარგულების ან ბრძანების გაცემისა და შესრულებისათვის დგება იურიდიული პასუხისმგებლობა.

მუხლი 61. არავინ არ შეიძლება ორჯერ იქნეს მიცემული იურიდიულ პასუხისგებაში ერთსა და იმავე სამართალდარღვევისათვის.

პირის იურიდიულ პასუხისმგებლობას ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

მუხლი 62. პირი დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოდ ითვლება და სისხლისსამართლებრივ სასჯელს არ შეიძლება დაექვემდებაროს, ვიდრე მისი ბრალი კანონიერი წესით არ დამტკიცდება და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ იქნება დადგენილი.

არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა დანაშაულის ჩადენაში.

ბრალდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს უკანონო გზით მიღებულ მტკიცებულებებს, აგრეთვე ვარაუდებს. ყველა ეჭვი პირის ბრალეულობის დამტკიცების შესახებ მის სასარგებლოდ განიმარტება.

სასამართლოს უკანონო განაჩენის გაუქმების შეთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს უსაფუძვლო მსჯავრდებით მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზიანს.

მუხლი 63. პირი პასუხს არ აგებს ჩვენების ან განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის საკუთარი თავის, ოჯახის წევრების ან ახლო ნათესაების მიმართ, რომელთა წრე კანონით განისაზღვრება.

ეჭვიმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი სარგებლობს დაცვის უფლებით.

მსჯავრდებული სარგებლობს ადამიანისა და მოქალაქის ყველა უფლებებით, კანონით განსაზღვრული და სასამართლოს განაჩენით დადგენილი გამონაკლისების გარდა.

მუხლი 64. ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა უკრაინის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეიძლება დადგინდეს უფლებათა და თავისუფლებათა ცალკეული შეზღუდვები ამ შეზღუდვების მოქმედების ვადის მითითებით. არ შეიძლება შეიზღუდოს ამ კონსტიტუციის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, მე-40, 47-ე, 51-ე, 52-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე, მე-60, 61-ე, 62-ე და 63-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 65. სამშობლოს, უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მისი სახელმწიფო სიმბოლოების პატივისცემა უკრაინის მოქალაქეების ვალდებულებაა.

მოქალაქეები სამხედრო სამსახურს გაივლიან კანონის შესაბამისად.

მუხლი 66. ყველა ვალდებულია ზიანი არ მიაყენოს ბუნებას, კულტურულ მემკვიდრეობას, ანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზარალი.

მუხლი 67. ყველა ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში.

ყოველწლიურად ყველა მოქალაქე საგადასახადო ინსპექციაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კანონით დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და წინა წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 68. ყველა ვალდებულია განუხრელად დაიცვას უკრაინის კონსტიტუცია და უკრაინის კანონები, არ ხელყოს სხვა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები, პატივი და ღირსება.

კანონების არცოდნა არ ათავისუფლებს იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.

განყოფილება III. არჩევნები. რეფერენდუმი

მუხლი 69. ხალხის ნების გამოვლენა ხორციელდება არჩევნების, რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 70. არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება გააჩნით მათი ჩატარების დღისათვის უკრაინის ტერაპეტი წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს.

ხმის მიცემის უფლება არა აქვთ სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილ პირებს.

მუხლი 71. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები თავისუფალია და ხორციელდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით.

ამომრჩევლებისათვის გარანტირებულია ნების თავისუფალი გამოვლენა.

მუხლი 72. სრულიად უკრაინის რეფერენდუმი უკრაინის უმაღლესი რადას ან უკრაინის პრეზიდენტის მიერ ინიშნება ამ კონსტიტუციით დადგენილი მათი უფლებამოსილებების შესაბამისად.

სრულიად უკრაინის რეფერენდუმი ცხადდება სახალხო ინიციატივის საფუძველზე ხმის უფლების მქონე უკრაინის არანაკლებ სამი მილიონი მოქალაქის მოთხოვნით, იმ პირობით, რომ რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე ხელმოწერები შეგროვდება ოლქების არანაკლებ ორ მესამედში და თითოეულ ოლქში არანაკლებ ასი ათასისა.

მუხლი 73. მხოლოდ სრულიად უკრაინის რეფერენდუმის გზით წყდება უკრაინის ტერიტორიის შეცვლის საკითხები.

მუხლი 74. რეფერენდუმი არ დაიშვება იმ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გადასახადების, ბიუჯეტისა და ამნისტიის საკითხებს შეეხება.

განყოფილება IV. უკრაინის უმაღლესი რადა

მუხლი 75. უკრაინაში საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთი ორგანო არის პარლამენტი – უკრაინის უმაღლესი რადა.

მუხლი 76. უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემაღგენლობა შეადგენს უკრაინის ოთხას ორმოცდაათ დეპუტატს, რომლებიც აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით.

უკრაინის სახალხო დეპუტატად შეიძლება არჩეული იქნეს არჩევნების დღისათვის ოცდაერთი წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელსაც ხმის უფლება გააჩნია და უკრაინაში ცხოვრობს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

უკრაინის უმაღლეს რადაში არ შეიძლება არჩეულ იქნეს მოქალაქე, რომელიც ნასამართლევა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ ეს ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ არის კანონით დადგენილი წესით.

უკრაინის სახალხო დეპუტატების უფლებამოსილება განისაზღვრება უკრაინის კონსტიტუციითა და კანონებით.

უკრაინის უმაღლესი რადის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

მუხლი 77. უკრაინის უმაღლესი რადას მორიგი არჩევნები ტარდება უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების მეთხე წლის მარტის ბოლო კვირას.

ეს ნაწილი სხვა რედაქციით ჩამოყალიბდება 2006 წელს არჩეული უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ცნობის დღიდან (უკრაინის 2004 წლის 12 აგვისტოს კანონი, №2222-ი)

უკრაინის უმაღლესი რადას რიგგარეშე არჩევნები უკრაინის პრეზიდენტის მიერ ინიშნება და ტარდება უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან სამოცი დღის განმავლობაში.

უკრაინის სახალხო დეპუტატთა არჩევის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 78. უკრაინის სახალხო დეპუტატები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ მუდმივ საფუძველზე.

უკრაინის სახალხო დეპუტატებს არ შეიძლება ჰქონდეთ სხვა წარმომადგენლობითი მანდატი, იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში, ეკავთ სხვა ანაზღაურებადი თანამდებობები, ეწეოდნენ სხვა ანაზღაურებად ან სამეწარ-

მეო საქმიანობას (გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა), შედიოდნენ იმ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

მოთხოვნები სადეპუტატო მანდატის სხვა სახის საქმიანობასთან შეუთავსებლობის შესახებ დგინდება კანონით.

ისეთი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც სადეპუტატო მანდატის სხვა საქმიანობასთან შეუთავსებლობის მოთხოვნებს არღვევენ, უკრაინის სახალხო დეპუტატი ასეთი გარემოებების წარმოქმნიდან ოცი დღის ვადაში წყვეტს ასეთ საქმიანობას ან შეიტანს პირად განცხადებას უკრაინის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ.

მუხლი 79. თანამდებობის დაკავების წინ უკრაინის სახალხო დეპუტატი უკრაინის უმაღლესი რადას წინაშე დებენ შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ უკრაინის ერთგულებას. ვიღებ ვალდებულებას მთელი ჩემი მოქმედებებით დავიცვა უკრაინის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, ვიზრუნო სამშობლოს სიკეთესა და უკრაინელი ხალხის კეთილდღეობაზე.

ვფიცავ, რომ დავიცავ უკრაინის კონსტიტუციას და უკრაინის კანონებს, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ ყველა თანამემამულის ინტერესებში.“

ახლადარჩეული უკრაინის უმაღლესი რადას პირველი სესიის გახსნის წინ ფიცს კითხულობს ასაკით უხუცესი უკრაინის სახალხო დეპუტატი, რის შემდეგ დეპუტატები ფიცის ტექსტის ქვემოთ აწერენ ხელს.

ფიცის დადებაზე უარის თქმას შედეგად მოჰყვება დეპუტატის მანდატის დაკარგვა.

უკრაინის სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილება იწყება ფიცის დადების მომენტიდან.

მუხლი 80. უკრაინის სახალხო დეპუტატებისათვის გარანტირებულია სადეპუტატო ხელშეუხებლობა.

უკრაინის სახალხო დეპუტატებს იურიდიული პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ კენჭისყრის შედეგების ან პარლამენტში და მის ორგანოებში გამოთქმებისათვის, გარდა შეურაცხყოფის ან ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისა.

უკრაინის უმაღლესი რადას თანხმობის გარეშე დაუშვებელია უკრაინის სახალხო დეპუტატების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება.

მუხლი 81. უკრაინის სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილება წყდება უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად.

უკრაინის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილება ვადამდე წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- 1) პირადი გაცხადების საფუძველზე უფლებამოსილების მოხსნისას;
- 2) დეპუტატის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;
- 3) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობისას;
- 4) უკრაინის მოქალაქეობის შეწყვეტისას ან უკრაინის ფარგლებს გარეთ მუდმივად საცხოვრებლად წასვლისას;
- 5) თუ იმ გარემოების წარმოშობიდან ოცი დღის განმავლობაში, რაც იწვევს დეპუტატის მანდატის საქმიანობის სხვა სახეებთან შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევას, ასეთი გარემოება დეპუტატის მიერ არ იქნა აღმოფხვრილი;

6) პოლიტიკური პარტიიდან (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკიდან) არჩეული უკრაინის სახალხო დეპუტატის მიერ ამ პოლიტიკური პარტიის (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკის) ფრაქციის შემადგენლობაში შესვლაზე უარის თქმისას ან უკრაინის სახალხო დეპუტატის ასეთი ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლისას;

7) გარდაცვალებისას;

უკრაინის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილება ვადამდე წყდება აგრეთვე უკრაინის კონსტიტუციის შესაბამისად უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – ახალი მოწვევის უკრაინის უმაღლესი რადას პირველი სხდომის გახსნის დღეს.

გადაწყვეტილება უკრაინის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირველი და მე-4 ქვეპუნქტების შემთხვევაში მიიღება უკრაინის უმაღლესი რადას მიერ, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილის მე-5 ქვეპუნქტის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ.

უკრაინის სახალხო დეპუტატის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, უკრაინის სახალხო დეპუტატის ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ ცნობის შემთხვევაში მისი უფლებამოსილება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო უკრაინის სახალხო დეპუტატის გარდაცვალების შემთხვევაში – მისი გარდაცვალების მოწმობაში აღნიშნული გარდაცვალების დღიდან.

პოლიტიკური პარტიიდან (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკიდან) არჩეული უკრაინის სახალხო დეპუტატის მიერ ამ პოლიტიკური პარტიის (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკის) ფრაქციის შემადგენ-

ლობაში შესვლაზე უარის თქმის ან ასეთი ფრაქციის შემადგენლობიდან უკრაინის სახალხო დეპუტატის გასვლის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილება ვადამდე წყდება კანონის საფუძველზე შესაბამისი პოლიტიკური პარტიის (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკის) უმაღლესი ხელმძღვანელობითი ორგანოს გადაწყვეტილებით ასეთი გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

მუხლი 82. უკრაინის უმაღლესი რადა მუშაობს სასესიო წესით.

უკრაინის უმაღლესი რადა უფლებამოსილია მისი კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევნისას.

უკრაინის უმაღლესი რადა პირველ სესიაზე იკრიბება არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს ოცდამეათე დღეს.

ახლადარჩეული უმაღლესი რადას პირველ სხდომას ხსნის ასაკით უხუცესი უკრაინის სახალხო დეპუტატი.

მუხლი 83. უკრაინის უმაღლესი რადას მორიგი სესიები იწყება ყოველი წლის თებერვლისა და სექტემბრის პირველ სამშაბათს.

უკრაინის უმაღლესი რადას რიგგარეშე სესიები, დღის წესრიგის მითითებით, უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის მიერ მოიწვევა უკრაინის პრეზიდენტის ან უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატთა კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ მთელ უკრაინაში ან მის ზოგიერთ ადგილას საომარი ან საგანგებო მდგომარეობის შესახებ განკარგულების გამოცხადების შემთხვევაში, უკრაინის უმაღლესი რადა სხდომაზე მოწვევის გარეშე იკრიბება 2 დღის ვადაში.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილება გრძელდება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ არჩეული უკრაინის უმაღლესი რადას პირველი სესიის პირველი სხდომის დღემდე.

უკრაინის უმაღლესი რადას საქმიანობის წესი დგინდება უკრაინის კონსტიტუციით და უკრაინის უმაღლესი რადას რეგლამენტით.

უკრაინის უმაღლესი რადას არჩევნების შედეგებისა და პოლიტიკური პოზიციების შეთანხმების საფუძველზე იქმნება დეპუტატთა ფრაქციების კოალიცია, რომლის შემადგენლობაში შედის უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის სახალხო დეპუტატთა უმრავლესობა.

უკრაინის უმაღლეს რადაში დეპუტატთა ფრაქციების კოალიცია იქმნება უკრაინის უმაღლესი რადას პირველი სხდომის გახსნიდან ერთი თვის ვადაში, რომელიც ტარდება უკრაინის უმაღლესი რადას მორიგი ან რიგგარეშე

არჩევნების შემდეგ ან უკრაინის უმაღლეს რადაში დეპუტატთა ფრაქციების კოალიციის საქმიანობის შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში.

უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატთა ფრაქციების კოალიცია ამ კონსტიტუციის შესაბამისად უკრაინის პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს უკრაინის პრემიერ-მინისტრისა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის კანდიდატურების შესახებ.

უკრაინის უმაღლეს რადაში დეპუტატთა ფრაქციების კოალიციის შექმნის, საქმიანობის ორგანიზაციისა და შეწყვეტის საფუძვლები დგინდება უკრაინის კონსტიტუციით და უკრაინის უმაღლესი რადას რეგლამენტით.

უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატთა ფრაქციას, რომლის შემადგენლობაში უკრაინის უმაღლესი რადას უკრაინის სახალხო დეპუტატთა კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობა შედის, აქვს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატთა ფრაქციების კოალიციის უფლებები.

მუხლი 84. უკრაინის უმაღლესი რადას სხდომები ტარდება ღიად. დახურული სხდომა ტარდება უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

უკრაინის უმაღლესი რადას გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ მის პლენარულ სხდომებზე კენჭისყრის გზით.

უკრაინის უმაღლესი რადას სხდომებზე უკრაინის სახალხო დეპუტატის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება პირადად.

მუხლი 85. უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

1) უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ამ კონსტიტუციის XIII თავით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით;

2) სრულიად უკრაინის რეფერენდუმის დანიშვნა ამ კონსტიტუციის 73-ე მუხლით განსაზღვრულ საკითხებზე;

3) კანონების მიღება;

4) უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა, უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლი, მისი შესრულების ანგარიშის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

5) სამინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლების განსაზღვრა;

6) ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური, ეროვნულ-კულტურული განვითარების, გარემოს დაცვის საერთოსახელმწიფოებრივი პროგრამების დამტკიცება;

7) უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში;

8) უკრაინის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ყოველწლიური და რიგგარეშე მოხსენებების მოსმენა;

9) უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით საომარი მდგომარეობის გამოცხადება და ზავის დადება, უკრაინის წინააღმდეგ შეირაღებული აგრესიის შემთხვევაში უკრაინის შეირაღებული ძალებისა და სხვა სამხედრო შენაერთების გამოყენების თაობაზე უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილების დამტკიცება;

10) უკრაინის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება ამ კონსტიტუციის 111-ე მუხლით დადგენილი განსაკუთრებული პროცედურის (იმპიჩმენტის) წესით;

11) უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის პროგრამის განხილვა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

12) უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით უკრაინის პრემიერ-მინისტრის, უკრაინის თავდაცვის მინისტრის, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნა, უკრაინის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრების, უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის თავმჯდომარის, უკრაინის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, უკრაინის სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარის დანიშვნა, აღნიშნული პირების თანამდებობიდან გადაყენება, უკრაინის პრემიერ-მინისტრის, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წევრთა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საკითხის გადაწყვეტა;

121) უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

13) უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება ამ კონსტიტუციის შესაბამისად;

14) უკრაინის მიერ უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სესხების გაცემისა და ეკონომიკური დახმარების გაწევის, აგრეთვე უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი უცხო სახელმწიფოების, ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან უკრაინის მიერ სესხების მიღების, მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებების დამტკიცება;

15) უკრაინის უმაღლესი რადას რეგლამენტის მიღება;

16) საანგარიშო პალატის უფროსისა და წევრების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

17) უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; უკრაინაში

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ მისი ყოველწლიური მოხსენებების მოსმენა;

18) უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით უკრაინის ეროვნული ბანკის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

19) უკრაინის ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

20) ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებზე უკრაინის ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

21) უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

22) უკრაინის უშიშროების სამსახურის, უკრაინის შეირაღებული ძალების, უკრაინის კანონების შესაბამისად შექმნილი უკრაინის სხვა შეირაღებული შინაერთების, აგრეთვე უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო სტრუქტურის, რაოდენობისა, ფუნქციების განსაზღვრის დამტკიცება;

23) სხვა სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის, სხვა სახელმწიფოში უკრაინის შეირაღებული ძალების ქვედანაყოფების გაგზავნის ან უკრაინის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების შეირაღებული ძალების ქვედანაყოფების დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მოწონება;

24) უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოების დადგენა;

25) უკრაინის პრეზიდენტისათვის უკრაინის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემა; უკრაინის გენერალური პროკურორისათვის უნდობლობის გამოცხადება, რასაც შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვება;

26) უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთი მესამედის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

27) მოსამართლეთა უვადოდ არჩევა;

28) ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტა მის მიერ უკრაინის კონსტიტუციის ან უკრაინის კანონების დარღვევის თაობაზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის არსებობისას; ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა;

29) რაიონების შექმნა და ლიკვიდაცია, რაიონებისა და ქალაქების საზღვრების დადგენა და შეცვლა, დასახლებული პუნქტების ქალაქების კატეგორიისადმი მიკუთვნება, დასახლებული პუნქტებისა და რაიონებისათვის სახელის მინიჭება და გადარქმევა;

30) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი და რიგპარეშე არჩევნების დანიშვნა;

31) უკრაინის პრეზიდენტის მიმართვიდან ორი დღის ვადაში მთელ უკრაინაში ან მის ცალკეულ ადგილებში საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, სრული ან ნაწილობრივი მობილიზაციის, ცალკეული ადგილების საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის ზონებად გამოცხადების შესახებ განკარგულებების დამტკიცება;

32) კანონით დადგენილ ვადაში უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებასა და უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებების დენონსაციაზე თანხმობის მიცემა;

33) ამ კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საპარლამენტო კონტროლის განხორციელება;

34) უკრაინის პრეზიდენტისადმი უკრაინის სახალხო დეპუტატის, სახალხო დეპუტატთა ჯგუფის ან უკრაინის უმაღლესი რადას კომიტეტის მოთხოვნით შეკითხვით მიმართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც წინასწარ მხარს უჭერს უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი;

35) უკრაინის უმაღლესი რადას აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; უკრაინის უმაღლესი რადას ხარჯთარციხვისა და მისი აპარატის სტრუქტურის დამტკიცება;

36) სახელმწიფო საკუთრების უფლების ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცება, რომელიც პრივატიზაციას არ ექვემდებარება; კერძო საკუთრების უფლების ობიექტების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;

37) ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის და მასში ცვლილებების შეტანის კანონით დამტკიცება;

უკრაინის უმაღლესი რადა ახორციელებს აგრეთვე სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც უკრაინის კონსტიტუციის შესაბამისად მის გამგებლობას მიეკუთვნება.

მუხლი 86. უკრაინის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს უკრაინის უმაღლესი რადას სესიაზე შეკითხვით მიმართოს უკრაინის უმაღლესი რადას ორგანოებს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტს, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უკრაინის სახალხო დეპუტატს აცნობონ მისი შეკითხვის განხილვის შედეგების შესახებ.

მუხლი 87. უკრაინის უმაღლესი რადა უკრაინის პრეზიდენტის ან უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის სახალხო დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით უფლებამოსილია განიხილოს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხი და უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უძრავლესობით მიიღოს რეზოლუცია უკრაინის მინისტრთა კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხი უკრაინის უმაღლესი რადას მიერ არ შეიძლება განხილულ იქნეს ერთი მორიგი სესიის განმავლობაში ერთზე მეტჯერ, აგრეთვე უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის პროგრამის მოწონებიდან ერთი წლის ან უკრაინის უმაღლესი რადას უკანასკნელი სესიის განმავლობაში.

მუხლი 88. უკრაინის უმაღლესი რადა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს, უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს და გამოიწვევს ამ თანამდებობებიდან.

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე:

- 1) უძღვება უკრაინის უმაღლესი რადას სხდომებს;
- 2) ორგანიზებას უწევს უკრაინის უმაღლესი რადას მუშაობას, ახორციელებს მისი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას;
- 3) ხელს აწერს უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ აქტებს;
- 4) უკრაინის უმაღლეს რადას წარმოადგენს უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და სხვა სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობებში;

5) ორგანიზებას უწევს უკრაინის უმაღლესი რადას აპარატის მუშაობას.

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე ახორციელებს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, უკრაინის უმაღლესი რადას რეკლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 89. უკრაინის უმაღლესი რადა საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების მომზადებისა და წინასწარი განხილვის, მაკონტროლებელი ფუნქციების შესრულების

მიზნით უკრაინის კონსტიტუციის შესაბამისად უკრაინის სახალხო დეპუტატთა შემადგენლობიდან ქმნის უკრაინის უმაღლესი რადას კომიტეტებს, ირჩევს ამ კომიტეტების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, მოადგილეებსა და მდივნებს.

უკრაინის უმაღლესი რადა თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკითხების მომზადებისა და წინასწარი განხილვის მიზნით უფლებამოსილია შექმნას დროებითი სპეციალური კომისიები.

იმ საკითხებზე გამოძიების ჩასატარებლად, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, უკრაინის უმაღლესი რადა ქმნის დროებით საგამოძიებო კომისიებს, თუ მას მხარს დაუჭერს უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი.

დროებითი საგამოძიებო კომისიების დასკვნებსა და წინადადებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვთ გამოძიებისა და სასამართლოსათვის.

უკრაინის უმაღლესი რადის კომიტეტების, დროებითი სპეციალური და საგამოძიებო კომისიების ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 90. უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილება წყდება ახალი მოწვევის უკრაინის უმაღლესი რადას პირველი სხდომის გახსნის დღეს.

უკრაინის პრეზიდენტი უფლებამოსილია უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილება ვადაძღე შეწყვიტოს, თუ:

1) ამ კონსტიტუციის 83-ე მუხლის შესაბამისად უკრაინის უმაღლეს რადაში ერთი თვის განმავლობაში ვერ შეიქმნება დეპუტატთა ფრაქციების კოალიცია;

2) უკრაინის მინისტრთა კაბინეტის გადადგომიდან სამოცი დღის განმავლობაში ვეს ჩამოყალიბდება უკრაინის მინისტრთა კაბინეტის პერსონალური შემადგენლობა;

3) ერთი მორიგი სესიის ოცდაათი დღის განმავლობაში არ იწყება პლენარული სხდომები.

უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაძღე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უკრაინის პრეზიდენტის მიერ მიიღება უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან, მის მოადგილეებთან და უკრაინის უმაღლეს რადაში დეპუტატთა ფრაქციების თავმჯდომარეებთან კონსულტაციების შემდეგ.

არ შეიძლება წინა მოწვევის უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების უკრაინის პრეზიდენტის მიერ ვადაძღე შეწყვეტის შემდეგ რიგგარეშე არჩევნებში არჩეული უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადაძღე შეწყვეტა მისი არჩევის დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილება არ შეიძლება ვადაძღვე იქნეს შეწყვეტილი უკრაინის უმაღლესი რადას ან უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 91. უკრაინის უმაღლესი რადა კანონებს, დადგენილებებსა და სხვა აქტებს იღებს კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 92. მხოლოდ უკრაინის კანონებით განისაზღვრება:

1) ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, ამ უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები; მოქალაქის ძირითადი ვალდებულებები;

2) მოქალაქეობა, მოქალაქეთა სამართალსუბიექტურობა, უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსი;

3) ძირძველი ხალხებისა და ეროვნული უმცირესობების უფლებები;

4) ენების გამოყენების წესი;

5) ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებული (საზღვაო) ეკონომიკური ზონის, კონტინენტური შელფის გამოყენების, კოსმოსური სივრცის ათვისების, ენერგოსისტემების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციის საფუძვლები;

6) სოციალური დაცვის საფუძვლები, საპენსიო უზრუნველყოფის ფორმები და სახეები, შრომისა და დასაქმების, ქორწინების, ოჯახის, ბავშვობის, დედობის, მამობის დაცვის, აღზრდის, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების რეგულირების საფუძვლები;

7) საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი;

8) მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები და გარანტიები; კონკურენციის წესები და ანტიმონოპოლიური რეგულირების ნორმები;

9) საგარეო ურთიერთობების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, საბაჟო საქმის საფუძვლები;

10) დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების რეგულირების საფუძვლები;

11) პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეთა სხვა გაერთიანებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაცია და საქმიანობის წესი;

12) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობა, სახელმწიფო სამსახურის, სახელმწიფო სტატისტიკისა და ინფორმაციის ორგანიზაციის საფუძვლები;

13) უკრაინის ტერიტორიული მოწყობა;

14) სასამართლო წყობილება, სამართალწარმოება, მოსამართლეთა სტატუსი, სასამართლო ექსპერტიზის საფუძვლები, პროკურატურის, მოკლევინა და გამოძიების ორგანოების, ნოტარიატის, სასაჯელადსრულების ორგანოებისა და დაწესებულებების ორგანიზაცია და საქმიანობა; ადვოკატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლები;

15) ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები;

16) უკრაინის დედაქალაქის სტატუსი; სხვა ქალაქების სპეციალური სტატუსი;

17) ეროვნული უსაფრთხოების, უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საფუძვლები;

18) სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი რეჟიმი;

19) საომარი და საგანგებო მდგომარეობის, განსაკუთრებული ეკოლოგიური სიტუაციის ზონების სამართლებრივი რეჟიმი;

20) არჩევებისა და რეფერენდუმების ჩატარების ორგანიზაცია და წესი;

21) უკრაინის უმაღლესი რადას საქმიანობის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, უკრაინის სახალხო დეპუტატთა სტატუსი;

22) სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, იმ ქმედებების საფუძვლები, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულებს, ადმინისტრაციულ და დისციპლინურ სამართალდარღვევებს და მათთვის პასუხისმგებლობა.

მხოლოდ უკრაინის კანონებით დგინდება:

1) უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტი და უკრაინის საბიუჯეტო სისტემა; საგადასახადო სისტემა, გადასახადები და მოსაკრებლები; ფინანსური, ფულადი, საკრედიტო და საინვესტიციო ბაზრების შექმნისა და ფუნქციონირების საფუძვლები; ეროვნული ვალუტის სტატუსი, აგრეთვე უკრაინის ტერიტორიაზე უცხოური ვალუტების სტატუსი; სახელმწიფო სამინაო და საგარეო ვალის წარმოქმნისა და დაფარვის წესი; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოცემისა და ბრუნვის წესი, მათი სახეები და ტიპები;

2) უკრაინის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების სხვა სახელმწიფოებში გაგზავნის წესი; უკრაინის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების დაშვების წესი და ყოფნის პირობები;

3) წონის, ზომისა და დროის ერთეულები; სახელმწიფო სტანდარტების დადგენის წესი;

4) სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენებისა და დაცვის წესი;

5) სახელმწიფო ჯილდოები;

6) სამხედრო წოდებები, დიპლომატიური რანგები და სხვა სპეციალური წოდებები;

7) სახელმწიფო დღესასწაულები;

8) საერთოსაგან განსხვავებული, ეკონომიკური ან მიგრაციული რეჟიმის მქონე თავისუფალი და სხვა სპეციალური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების წესი.

უკრაინის კანონით ცხადდება ამნისტია.

მუხლი 93. უკრაინის უმაღლეს რადაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია უკრაინის პრეზიდენტს, უკრაინის სახალხო დეპუტატებს და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ გადაუდებლად განსაზღვრული კანონპროექტები, უკრაინის უმაღლესი რადას მიერ რიგგარეშედ განიხილება.

მუხლი 94. კანონს ხელს აწერს უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე და დაუყოვნებლივ უგზავნის უკრაინის პრეზიდენტს.

უკრაინის პრეზიდენტი კანონის მიღებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში ხელს აწერს მას, იღებს რა აღსასრულებლად და ოფიციალურად აქვეყნებს მას ან თავისი მოტივირებული და ჩამოყალიბებული შენიშვნებით უკან უბრუნებს უკრაინის უმაღლეს რადას ხელმეორედ განსახილველად.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში ხელმეორედ განსახილველად კანონის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, კანონი უკრაინის პრეზიდენტის მიერ მოწონებულად ითვლება და ხელმოწერილი და ოფიციალურად გამოქვეყნებული უნდა იქნეს.

თუ ხელმეორედ განხილვის დროს უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით კანონი კვლავ იჭება მიღებული, უკრაინის პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს მას და ოფიციალურად გამოაქვეყნოს 10 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის პრეზიდენტი ასეთ კანონს ხელს არ მოაწერს, იგი დაუყოვნებლივ ქვეყნდება უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის მიერ მისი ხელმოწერით.

კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არაუადრეს მისი გამოქვეყნების დღისა.

მუხლი 95. უკრაინის საბიუჯეტო სისტემა ეფუძნება მოქალაქეებსა და ტერიტორიულ თემებს შორის საზოგადოებრივი სიმდიდრის სამართლიანი და მიუკერძოებელი განაწილების პრინციპებს.

მხოლოდ უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრება სახელმწიფოს ნებისმიერი ხარჯები მთელი საზოგადოების საჭიროებისათვის, ამ ხარჯების მოცულობა და მიზნობრივი მიმართვა.

სახელმწიფო მიისრაფვის უკრაინის ბიუჯეტის დაბალანსებისაკენ.

უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ პერიოდული ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 96. უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტი უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ყოველწლიურად მტკიცდება პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე, ხოლო განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას – სხვა პერიოდზე.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტს არაუგვიანეს ყოველი წლის 15 სექტემბრისა უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს მომავალი წლის უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი. კანონის პროექტთან ერთად შეიტანება მოხსენება უკრაინის მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 97. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი კანონის შესაბამისად უკრაინის უმაღლეს რადაში წარადგენს ანგარიშს უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

წარდგენილი ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 98. უკრაინის უმაღლესი რადას სახელით უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების შემოსვლისა და მათი გამოყენების კონტროლს ახორციელებს საანგარიშო პალატა.

მუხლი 99. უკრაინის ფულის ერთეულია გრივნა.

ფულის ერთეულის სტაბილურობის უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის – უკრაინის ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია.

მუხლი 100. უკრაინის ეროვნული ბანკის საბჭო შეიმუშავებს ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ახორციელებს მის შესრულებაზე კონტროლს.

უკრაინის ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 101. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საპარლამენტო კონტროლს ახორციელებს უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებული.

თავი V. უკრაინის პრეზიდენტი

მუხლი 102. უკრაინის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და გამოდის მისი სახელით.

უკრაინის პრეზიდენტი არის სახელმწიფო სუვერენიტეტის, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, უკრაინის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი.

მუხლი 103. უკრაინის პრეზიდენტი აირჩევა უკრაინის მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით, ხუთი წლის ვადით.

უკრაინის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ოცდათხუთმეტი წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევნო ხმის უფლება, არჩევნების დღემდე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში და ფლობს სახელმწიფო ენას.

ერთი და იგივე პირი უკრაინის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ არა უმეტეს ორჯერ.

უკრაინის პრეზიდენტს არ შეიძლება გააჩნდეს სხვა წარმომადგენლობითი მანდატი, ეკავოს თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ან მოქალაქეთა გაერთიანებებში, აგრეთვე ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად ან სამეწარმეო საქმიანობას ან შედიოდეს იმ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს ან სახელმძღვანელო საბჭოს შემადგენლობაში, რაც მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

უკრაინის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილების მეხუთე წლის ბოლო თვის ბოლო კვირა დღეს. უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადად შეწყვეტის შემთხვევაში, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში.

უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი დგინდება კანონით.

მუხლი 104. უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღის ვადაში, უკრაინის უმაღლესი რადას საზეიმო სხდომაზე ხალხის წინაშე ფიცის დადების მომენტიდან.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას ახორციელებს უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

უკრაინის პრეზიდენტი წარმოთქვამს შემდეგ ფიცს:

„მე, (სახელი და გვარი), ხალხის ნებით უკრაინის პრეზიდენტად ხალხის მიერ არჩეული, ვიკავებ რა ამ მაღალ თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ უკრაინის ერთგულებას. ვიღებ ვალდებულებას, მთელი ჩემი საქმეებით დავიცვა უკრაინის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, ვიზრუნო სამშობლოს სიკეთესა და უკრაინელი ხალხის კეთილდღეობაზე, დავიცვა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, შევასრულო უკრაინის კონსტიტუცია და უკრაინის კანონები, ჩემი მოვალეობები შევასრულო ყველა თანამემამულის ინტერესებში, ავამაღლო უკრაინის ავტორიტეტი მსოფლიოში.“

რიგგარეშე არჩევნებზე არჩეული უკრაინის პრეზიდენტი ფიცს დებს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

მუხლი 105. უკრაინის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროს სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით.

უკრაინის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების ხელყოფაში ბრალდებული პირები პასუხისგებაში მიეცემა კანონის საფუძველზე.

უკრაინის პრეზიდენტის წოდება კანონით არის დაცული და მას სამისდღემშიოდ უნარჩუნდება, თუ უკრაინის პრეზიდენტი თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით არ იქნა გადაყენებული.

მუხლი 106. უკრაინის პრეზიდენტი:

1) უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ეროვნულ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობას;

2) მოხსენებებით მიმართავს ხალხს და ყოველწლიური და რიგგარეშე მოხსენებებით მიმართავს უკრაინის უმაღლეს რადას უკრაინის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ;

3) საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს სახელმწიფოს, ხელმძღვანელობს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

4) იღებს გადაწყვეტილებებს უცხო სახელმწიფოების აღიარების შესახებ;

5) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურებს; იღებს უცხო სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს;

6) ამ კონსტიტუციის 156-ე მუხლის შესაბამისად ნიშნავს სრულიად უკრაინის რეფერენდუმს უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებით, აცხადებს მთელუკრაინულ რეფერენდუმს ხალხის ინიციატივით;

7) ამ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ნიშნავს უკრაინის უმაღლესი რადას რიგგარეშე არჩევნებს;

8) ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს უკრაინის უმაღლესი რადას უფლებამოსილებას;

9) უკრაინის კონსტიტუციის 83-ე მუხლის შესაბამისად უკრაინის უმაღლეს რადაში შექმნილი დეპუტატთა ფრაქციის კოალიციის წინადადების საფუძველზე, შეაქვს წარდგინება უკრაინის უმაღლესი რადას მიერ უკრაინის პრემიერ-მინისტრის დანიშვნის შესახებ ასეთი წინადადების მიღებიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღის ვადაში;

10) უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს წარდგინებები უკრაინის თავდაცვის მინისტრის და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნის შესახებ;

11) უკრაინის უმაღლესი რადას თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უკრაინის გენერალურ პროკურორს;

12) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უკრაინის ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობის ნახევარს;

13) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებზე უკრაინის ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ნახევარს;

14) უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს წარდგინება უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

15) შეაჩერებს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის აქტების მოქმედებას ამ კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივებით მათი კონსტიტუციურობის თაობაზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში ერთდროულად მიმართვასთან ერთად;

16) აუქმებს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქტებს;

17) უკრაინის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია; თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უკრაინის შეიარაღებული ძალების, სხვა შეიარაღებული ფორმირებების უმაღლეს სარდლობას; ახორციელებს ხელმძღვანელობას ეროვნული უშიშროებისა და სახელმწიფო თავდაცვის სფეროებში;

18) ხელმძღვანელობს უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს;

19) უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს წარდგინება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას უკრაინის შეიარაღებული ძალებზე

ბისა და უკრაინის კანონების შესაბამისად შექმნილი სხვა შეიარაღებული ფორმირებების გამოყენების შესახებ;

20) თავდასხმის საფრთხის, უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის საშიშროების შემთხვევაში, კანონის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაციისა და მთელ უკრაინაში ან მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ;

21) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მთელ უკრაინაში ან მის ცალკეულ ადგილებში საგანაგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უკრაინის ცალკეულ ადგილებს აცხადებს საგანგებო ეკოლოგური სიტუაციის ზონებად – ასეთი გადაწყვეტილებების უკრაინის უმაღლესი რადას მიერ შემდგომი დამტკიცებით;

22) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთ მესამედს;

23) კანონით დადგენილი წესით ქმნის სასამართლოებს;

24) ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებსა და სხვა უმაღლეს სპეციალურ წოდებებსა და საკლასო ჩინებს;

25) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს; აწესებს პრეზიდენტის ჯილდოებს და ანიჭებს მათ;

26) იღებს გადაწყვეტილებას უკრაინის მოქალაქეობის მინიჭებისა და უკრაინის მოქალაქეობის შეწყვეტის, უკრაინაში თავშესაფრის მინიჭების შესახებ;

27) ახორციელებს შეწყალებას;

28) უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებად ქმნის საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებსა და სამსახურებს;

29) ხელს აწერს უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ კანონებს;

30) ვეტოს უფლება გააჩნია უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ კანონებზე (გარდა უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონებისა) მათი ხელმოწერედ განსახილველად უკრაინის უმაღლეს რადაში შემდგომი უკან დაბრუნების უფლებით;

31) ახორციელებს უკრაინის კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილება სხვა პირებს ან ორგანოებს გადასცეს.

უკრაინის პრეზიდენტი უკრაინის კონსტიტუციის საფუძველზე და მისი შესრულების მიზნით გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე სავალდებულოა შესასრულებლად.

უკრაინის პრეზიდენტის აქტებს, რომლებიც ამ მუხლის მე-5, მე-18, 21-ე და 23-ე ნაწილებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული, ხელს აწერენ უკრაინის პრემიერ-მინისტრი და აქტის შესრულებაზე პასუხისმგებელი მინისტრი.

მუხლი 107. უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო არის უკრაინის პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე საკოორდინაციო ორგანო.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეა უკრაინის პრეზიდენტი.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას აყალიბებს უკრაინის პრეზიდენტი.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან უკრაინის პრემიერ-მინისტრი, უკრაინის თავდაცვის მინისტრი, უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსი, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მიღების უფლება აქვს უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებებით.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს კომპეტენციაა და ფუნქციები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 108. უკრაინის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებამდე.

უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილებები ვადამდე წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- 1) გადადგომისას;
- 2) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობისას;
- 3) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებისას;
- 4) გარდაცვალებისას.

მუხლი 109. უკრაინის პრეზიდენტის გადადგომა ძალაში შედის უკრაინის უმაღლესი რადას სხდომაზე გადადგომის თაობაზე განცხადების პირადად გამოცხადების შემდეგ.

მუხლი 110. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უკრაინის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა შეიძლება დადგენილ იქნეს უკრაინის უმაღლესი რადას სხდომაზე და დამტკიცდება მისი კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით უკრაინის უმაღლესი რადას მიმართვის შედეგად – უკრაინის უზენაესი სასამართლოს წერილობითი წარდგინებისა და სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 111. სახელმწიფო ღალატის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უკრაინის პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული უკრაინის უმაღლესი რადას მიერ იმპიჩმენტის წესით.

უკრაინის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის წარდგენა ხდება უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობით.

გამოძიების ჩატარების მიზნით უკრაინის უმაღლესი რადა ქმნის სპეციალურ დროებით საგამოძიებო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალური პროკურორი და სპეციალური გამოძიებლები.

დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნები და წინადადებები განიხილება უკრაინის უმაღლესი რადას სხდომაზე. საფუძველების არსებობისას უკრაინის უმაღლესი რადა კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას უკრაინის პრეზიდენტისათვის ბრალდების წაყენების შესახებ.

გადაწყვეტილება უკრაინის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიიღება უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედით უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის შემოწმების და გამოძიებისა და იმპიჩმენტის საქმის განხილვის კონსტიტუციური პროცედურის დაცვის შესახებ დასკვნის და უკრაინის უზენაესი სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ, რომ ის ქმედებები, რომელთა ჩადენა უკრაინის პრეზიდენტს ბრალად წაყენება, სახელმწიფო ღალატის ან სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

მუხლი 112. ამ კონსტიტუციის 108-ე, 109-ე, 110-ე და 111-ე მუხლების შესაბამისად უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უკრაინის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე და თანამდებობის

დაკავებაზე პერიოდში უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება ეკისრება უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს. უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობების შესრულების პერიოდში არ არის უფლებამოსილი განახორციელოს უკრაინის კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2, მე-6-8, მე-10-13, 22-ე, 24-ე, 25-ე, 27-ე და 28-ე ნაწილებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

**თავი VI. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი.
აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოები**

მუხლი 113. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი არის უმაღლესი ორგანო აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია უკრაინის პრეზიდენტისა და უკრაინის უმაღლესი რადას წინაშე, მას კონტროლს უწევს და იგი ანგარიშვალდებულია უკრაინის უმაღლესი რადას წინაშე, ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კონსტიტუციით და უკრაინის კანონებით, აგრეთვე უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად მიღებული უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებებით და უკრაინის უმაღლესი რადის დადგენილებებით.

მუხლი 114. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან უკრაინის პრემიერ-მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერ-მინისტრები, მინისტრები.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ინიშნება უკრაინის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე.

უკრაინის პრეზიდენტს უკრაინის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს უკრაინის კონსტიტუციის 83-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი დეპუტატთა ფრაქციების კოალიციის ან დეპუტატთა ფრაქციის წარდგინების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში შედის უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უკრაინის სახალხო დეპუტატთა უმრავლესობა.

უკრაინის თავდაცვის მინისტრი და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ინიშნებიან უკრაინის პრეზიდენტის წარდგინებით, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ინიშნებიან უკრაინის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მუშაობას, წარმართავს მას უკრაინის უმაღლესი რადის მიერ მო-

წონებული უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის პროგრამის განსახორციელებლად.

მუხლი 115. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილებას იხსნის ახლადარჩეული უკრაინის უმაღლესი რადას წინაშე.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები უფლებამოსილი არიან უკრაინის უმაღლეს რადას განუცხადონ თავისი გადადგომის შესახებ.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის გადადგომას და უკრაინის მინისტრთა კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ რეზოლუციას შედეგად მოჰყვება უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობის გადადგომა. ამ შემთხვევებში უკრაინის უმაღლესი რადა უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის ფორმირებას ახორციელებს ამ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი, რომელმაც უფლებამოსილება ახლადარჩეული უკრაინის უმაღლესი რადას წინაშე მოიხსნა ან რომლის გადადგომა მიღებულია უკრაინის უმაღლესი რადას მიერ, აგრძელებს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას ახლადჩამოყალიბებული უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ მუშაობის დაწყებამდე.

მუხლი 116. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი:

- 1) უზრუნველყოფს უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, უკრაინის კონსტიტუციის და კანონების, უკრაინის პრეზიდენტის აქტების შესრულებას;
- 2) იღებს ზომებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად;
- 3) უზრუნველყოფს ფინანსური, ფასების, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკის გატარებას;
- 4) შეიმუშავებს და ახორციელებს უკრაინის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ პროგრამებს;
- 5) უზრუნველყოფს საკუთრების ყველა ფორმის განვითარების თანაბარ პირობებს; ახორციელებს სახელმწიფო საკუთრების ობიექტების მართვას კანონის შესაბამისად;
- 6) შეიმუშავებს კანონის პროექტს უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და უზრუნველყოფს უკრაინის უმაღლესი რადას მიერ დამტკიცებული

უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, უკრაინის უმაღლეს რადას წარუდგენს მისი შესრულების ანგარიშს;

7) ატარებს ზომებს უკრაინის თავდაცვისუნარიანობისა და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, დამნაშავეობასთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად;

8) ორგანიზებას უწევს და უზრუნველყოფს უკრაინის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, საბაჟო საქმის განხორციელებას;

9) წარმართავს და კოორდინირებას უწევს სამინისტროების, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობას;

91) კანონის შესაბამისად ქმნის, ახდენს სამინისტროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, მოქმედებს რა აღმასრულებელი ორგანოების შენახვისათვის გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში;

92) უკრაინის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ შედიან უკრაინის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში;

10) ახორციელებს უკრაინის კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 117. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს და განკარგულებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის აქტებს ხელს აწერს უკრაინის პრემიერ-მინისტრი.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები რეგისტრაციას ექვემდებარება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 118. აღმასრულებელ ხელისუფლებას ოლქებში და რაიონებში, ქალაქებში - კიევში და სევასტოპოლში ახორციელებენ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები.

ქალაქებში - კიევში და სევასტოპოლში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების თავისებურებანი უკრაინის ცალკეული კანონებით განისაზღვრება.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების შემადგენლობას აყალიბებენ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების თავმჯდომარეები.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების თავმჯდომარეები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან უკრაინის პრეზიდენტის მიერ უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წარდგინების საფუძველზე.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების თავმჯდომარეები თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პასუხისმგებელი არიან უკრაინის პრეზიდენტისა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წინაშე, მათ კონტროლს უწევენ და ისინი ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წინაშე.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები ანგარიშვალდებული და კონტროლის ქვეშ არიან იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რაც მათთვის დელეგირებულია შესაბამისი რაიონული ან საოლქო საბჭოების მიერ.

ადგილობრივ სახელმწიფო ადმინისტრაციებს კონტროლს უწევენ და ისინი ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წინაშე.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციას და კანონებს, უკრაინის კანონმდებლობის სხვა აქტებს, კანონის შესაბამისად შეიძლება გაუქმდეს იქნეს უკრაინის პრეზიდენტის ან უმაღლესი დონის ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ.

საოლქო ან რაიონული საბჭო უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარეს, რის საფუძველზე უკრაინის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას და გასცემს დასაბუთებულ პასუხს.

თუ რაიონული ან საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიმართ გამოცხადებულია უნდობლობა შესაბამისი საბჭოს დეკლარატთა ორი მესამედის მიერ, უკრაინის პრეზიდენტი გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 119. ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები შესაბამის ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ:

1) უკრაინის კონსტიტუციის და კანონების, უკრაინის პრეზიდენტის, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების აქტების შესრულებას;

2) კანონიერებასა და მართლწესრიგს, მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

3) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამების, გარემოს დაცვის პროგრამების, ხოლო

ძირძველი ხალხებისა და ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, აგრეთვე მათი ეროვნულ-კულტურული პროგრამების შესრულებას;

4) შესაბამისი საოლქო და რაიონული ბიუჯეტების მომზადებასა და შესრულებას;

5) შესაბამისი ბიუჯეტებისა და პროგრამების შესრულების ანგარიშს;

6) ურთიერთმოქმედებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

7) სახელმწიფოს მიერ მინიჭებული, აგრეთვე შესაბამისი საბჭოების მიერ დელეგირებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 120. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წევრებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს უფლება არ აქვთ თავისი სამსახურებრივი საქმიანობა შეათავსონ სხვა სამუშაოსთან, გარდა (არასამუშაო დროს პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა), შედიოდნენ იმ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სამეთვალყურეო ორგანოს შემადგენლობაში, რაც მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაცია, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება უკრაინის კონსტიტუციით და კანონებით.

თავი VII. პროკურატურა

მუხლი 121. უკრაინის პროკურატურა შეადგენს ერთიან სისტემას, რომელსაც ვეალება:

1) სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;

2) სასამართლოში მოქალაქის ან სახელმწიფოს ინტერესების წარმოდგენა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

3) კანონების შესრულებაზე იმ ორგანოების ზედამხედველობა, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევას, წინასასამართლო გამოძიებას ახორციელებენ;

4) კანონების შესრულებაზე ზედამხედველობა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას, აგრეთვე იძულებითი ხასიათის სხვა ზომების გამოყენებისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა პირადი თავისუფლების შეზღუდვასთან;

5) ზედამხედველობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, ასევე ამ საკითხებზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეების მიერ კანონების დაცვაზე.

მუხლი 122. უკრაინის პროკურატურას ხელმძღვანელობს უკრაინის გენერალური პროკურორი, რომელსაც უკრაინის უმაღლესი რადას თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უკრაინის პრეზიდენტი. უკრაინის უმაღლესი რადა უფლებამოსილია უკრაინის გენერალურ პროკურორს უნდობლობა გამოუცხადოს, რასაც შედეგად მისი თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვება.

უკრაინის გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

მუხლი 123. უკრაინის პროკურატურის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

თავი VIII. მართლმსაჯულება

მუხლი 124. უკრაინაში მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ. სასამართლოების ფუნქციების დელეგირება, აგრეთვე ამ ფუნქციების სხვა ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ მითვისება არ დაიშვება.

სასამართლოების იურისდიქცია ვრცელდება სახელმწიფოში წარმოშობილ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე.

სამართალწარმოება ხორციელდება უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ.

ხალხი მართლმსაჯულების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობას იღებს სახალხო მსაჯულთა და ნაფიც მსაჯულთა მეშვეობით.

სასამართლო გადაწყვეტილებები უკრაინის სახელით გამოიტანება და შესასრულებლად სავალდებულოა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 125. უკრაინაში საერთო იურისდიქციის სასამართლოების სისტემა ეფუძნება ტერიტორიულობისა და სპეციალიზაციის პრინციპებს.

საერთო იურისდიქციის სასამართლოების სისტემაში უმაღლესი სასამართლო ორგანოა უკრაინის უზენაესი სასამართლო.

სპეციალიზირებული სასამართლოების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია შესაბამისი უმაღლესი სასამართლოები.

სააპელაციო და ადგილობრივი სასამართლოები მოქმედებს კანონის შესაბამისად.

საგანგებო და სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 126. მოსამართლეების დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა გარანტირებულია უკრაინის კონსტიტუციით და კანონებით.

აკრძალულია მოსამართლეებზე რაიმე სახის ზემოქმედება.

მოსამართლე, უკრაინის უმაღლესი რადას თანხმობის გარეშე, არ შეიძლება დაკავებული ან დაპატიმრებული იქნეს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე.

მოსამართლეები თანამდებობებს იკავებენ უვადოდ, გარდა უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისა და იმ მოსამართლეებისა, რომლებიც მოსამართლის თანამდებობაზე პირველად ინიშნებიან.

მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს ის ორგანო, რომლის მიერ იგი არჩეული ან დანიშნულია შემდეგ შემთხვევებში:

- 1) იმ ვადის ამოწურვისას, რა ვადითაც იგი დანიშნული ან არჩეულია;
 - 2) მოსამართლის მიერ სამოცდახუთი წლის ასაკის მიღწევისას;
 - 3) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავის უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას;
 - 4) მოსამართლის მიერ შეუთავსებლობის შესახებ მოთხოვნების დარღვევისას;
 - 5) მოსამართლის მიერ ფიცის დარღვევისას;
 - 6) მოსამართლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;
 - 7) მოქალაქეობის შეწყვეტისას;
 - 8) მოსამართლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად აღიარებისას;
 - 9) მოსამართლის მიერ გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საკუთარი სურვილით განცხადების შეტანისას.
- მოსამართლის უფლებამოსილება წყდება მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლეთა და მათი ოჯახების პირად უსაფრთხოებას.

მუხლი 127. მართლმსაჯულებას ახორციელებენ პროფესიონალი მოსამართლეები და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – სახალხო მსაჯულეები და ნაფიცი მსაჯულეები.

პროფესიონალი მოსამართლეები არ შეიძლება მიეკუთვნებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და პროფესიულ კავშირებს, მონაწილეობდნენ რაიმე პოლი-

ტიკურ საქმიანობაში, ჰქონდეთ წარმომადგენლობითი მანდატი, ეკავთ რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, შეასრულონ სხვა ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი სამუშაოსა.

მოსამართლის თანამდებობაზე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის მიერ შეიძლება რეკომენდირებულ იქნეს უკრაინის არანაკლებ ოცდახუთი წლის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი, არანაკლებ ათი წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში და ფლობს სახელმწიფო ენას.

სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეები შეიძლება იყვნენ პირები, რომელთაც ამ სასამართლოების იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხებზე პროფესიული მომზადება გააჩნიათ. ეს მოსამართლეები მართლმსაჯულებას მხოლოდ მოსამართლეთა კოლეგიების შემადგენლობაში ახორციელებენ.

მოსამართლეთა ცალკეული კატეგორიების მიმართ სტაჟის, ასაკის და მათი პროფესიული დონის მიმართ დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით.

პროფესიონალ მოსამართლეთა ინტერესების დაცვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 128. პროფესიონალი მოსამართლის თანამდებობაზე პირველი დანიშნვა ხდება 5 წლის ვადით უკრაინის პრეზიდენტის მიერ. ყველა სხვა მოსამართლე, გარდა უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისა, უკრაინის უმაღლესი რადას მიერ აირჩევა უვადოდ, კანონით დადგენილი წესით.

უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობაზე აირჩევა და თანამდებობიდან თავისუფლდება უკრაინის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ ფარული კენჭისყრის გზით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 129. მოსამართლეები მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

სამართლწარმოება ხორციელდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, მოსამართლეთა კოლეგიის ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.

სამართლწარმოების ძირითადი პრინციპებია:

- 1) კანონიერება;
- 2) სასამართლო პროცესის ყველა მონაწილის თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე;
- 3) ბრალის დამტკიცების უზრუნველყოფა;

4) მხარეთა შეჯიბრებითობა და მათ მიერ სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა წარმოდგენისა და დამაჯერებლობის დამტკიცების თავისუფლება;

5) სასამართლოში პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;

6) ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა;

7) სასამართლო პროცესის საჯაროობა და ტექნიკური საშუალებებით მისი სრული დაფიქსირება;

8) სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების უზრუნველყოფა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა;

9) სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა;

კანონით შეიძლება განისაზღვროს ცალკეული სასამართლო იურისდიქციის სასამართლოებში სამართალწარმოების სხვა პრინციპებიც.

სასამართლოსა და მოსამართლის მიმართ უპატივცემულობისათვის ბრალეულ პირებს ეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა.

მუხლი 130. სახელმწიფო უზრუნველყოფს სასამართლოების ფუნქციონირებისა და მოსამართლეთა საქმიანობის დაფინანსებასა და სათანადო პირობებს. უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლოების შენახვის ხარჯები განისაზღვრება ცალკე.

სასამართლოების შიდა საქმიანობის საკითხების გადაწყვეტის მიზნით მოქმედებს სასამართლო თვითმმართველობა.

მუხლი 131. უკრაინაში მოქმედებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის გამგებლობას მიეკუთვნება:

1) მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე წარდგინების შეტანა;

2) მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ შეუთავსებლობის შესახებ მოთხოვნების დარღვევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება;

უკრაინის უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სპეციალზირებული სასამართლოების მოსამართლეების მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელება და სააპელაციო და ადგილობრივი სასამართლოების მოსამართლეებისა, აგრეთვე პროკურორებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა;

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება ოცი წევრისგან. უკრაინის უმაღლესი რადა, უკრაინის პრეზიდენტი, უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა, უკრაინის ადვოკატთა ყრილობა, უმაღლესი იურიდიული სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა ყრილობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნიშნავენ სამ-სამ წევრს, ხოლო პროკურატურის მუშაკების

სრულიად უკრაინის კონფერენცია ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორ წევრს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უკრაინის იუსტიციის მინისტრი, უკრაინის გენერალური პროკურორი.

თავი IX. უკრაინის ტერიტორიული მოწყობა

მუხლი 132. უკრაინის ტერიტორიული მოწყობა ეფუძნება სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობისა და მთლიანობის პრინციპებს, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეთავსებას, რეგიონების დაბალანსებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მათი ისტორიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებების, ეთნიკური და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

მუხლი 133. უკრაინის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემას შეადგენენ: ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქები, რაიონები, ქალაქები, ქალაქის რაიონები, დაბები და სოფლები.

უკრაინის შემადგენლობაში შედიან: ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, ვინიცის, ვოლინის, დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაკარპატიის, ზაპოროჟიის, ივანო-ფრანკოვის, კიევის, კიროვოგრაძის, ლეოვის, ლუგანის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, ჟიტომირის, როვენის, სუმის, ტერნოპოლის, ჩერკასის, ჩერნიგოვის, ჩერნოვიცკის, ხარკოვის, ხერსონის, ხმელნიცკის ოლქები, ქალაქები – კიევი და სევასტოპოლი.

ქალაქებს – კიევსა და სევასტოპოლს სპეციალური სტატუსი აქვთ, რომელიც უკრაინის კანონებით განისაზღვრება.

თავი X. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა

მუხლი 134. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და უკრაინის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში წყვეტს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს.

მუხლი 135. ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელსაც ყირიმის ავტონომიური რეს-

პუბლიკის უმაღლესი რადა იღებს და უკრაინის უმაღლესი რადა კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ნახევრით ამტკიცებს.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს უკრაინის კონსტიტუციას და კანონებს და მიიღება უკრაინის კონსტიტუციის, უკრაინის კანონების, უკრაინის პრეზიდენტისა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის აქტების შესაბამისად და მათ შესასრულებლად.

მუხლი 136. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოა.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადა თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს და დადგენილებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაა. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას მიერ უკრაინის პრეზიდენტთან შეთანხმებით.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას და ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილებები, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება უკრაინის კონსტიტუციით და უკრაინის კანონებით, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება უკრაინის სასამართლოების ერთიან სისტემას მიკუთვნებული სასამართლოების მიერ.

მუხლი 137. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა ნორმატიულ რეგულირებას ახორციელებს შემდეგ საკითხებზე:

- 1) სოფლის მეურნეობა და ტყეები;
- 2) მელიორაცია და კარიერები;
- 3) საზოგადოებრივი სამუშაოები, ხელობები და რეწვა; ქველმოქმედება;
- 4) ქალაქმშენებლობა და საბინაო მეურნეობა;
- 5) ტურიზმი, სასტუმროს საქმე, ბაზრობები;

6) მუზეუმები, ბიბლიოთეკები, თეატრები, კულტურის სხვა დაწესებულებები, ისტორიულ-კულტურული ნაკრძალები;

7) საერთო სარგებლობის ტრანსპორტი, საავტომობილო გზები, მილსადენები;

8) ნადირობა, თევზჭერა;

9) სანიტარული და სამკურნალო საშსახურები.

უკრაინის კონსტიტუციასთან და უკრაინის კანონებთან ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შეუსაბამობის მოტივით უკრაინის პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ მიმართვასთან ერთად.

მუხლი 138. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიეკუთვნება:

1) ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას დეპუტატთა არჩევნების დანიშვნა, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;

2) ადგილობრივი რეფერენდუმების ორგანიზაცია და ჩატარება;

3) ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ქონების მართვა;

4) უკრაინის ერთიანი საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის საფუძველზე ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემუშავება, დამტკიცება და შესრულება;

5) საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, რაციონალური ბუნებათსარგებლობის, გარემოს დაცვის საკითხებზე ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და რეალიზაცია;

6) ადგილისათვის კურორტის სტატუსის მინიჭება; კურორტების სანიტარული დაცვის ზონების დადგენა;

7) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, ეროვნული თანხმობის უზრუნველყოფაში მონაწილეობა, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა;

8) ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო და ეროვნული ენების ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა; ისტორიის ძეგლების დაცვა;

9) დეპორტირებული ხალხების დაბრუნების სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობა;

10) ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან მის ცალკეულ ადგილებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის ზონების დადგენის ინიცირება.

უკრაინის კანონებით ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისათვის შეიძლება სხვა უფლებამოსილებებიც იქნეს დელეგირებული.

მუხლი 139. ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობა, რომლის სტატუსი განისაზღვრება უკრაინის კანონით.

თავი XI. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 140. ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ტერიტორიული თემის – სოფლის ან სოფლის თემად ნებაყოფლობით გაერთიანებული რამდენიმე სოფლის, დაბის და ქალაქის მაცხოვრებელთა უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები უკრაინის კონსტიტუციის და კანონების ფარგლებში.

ქალაქებში – კიევში და სევასტოპოლში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების თავისებურებანი განისაზღვრება უკრაინის ცალკეული კანონებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა ტერიტორიული თემის მიერ ხორციელდება კანონით დადგენილი წესით, როგორც უშუალოდ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - სოფლის, დაბის, ქალაქის საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია რაიონული და საოლქო საბჭოები, რომლებიც სოფლების, დაბებისა და ქალაქების ტერიტორიული თემების საერთო ინტერესებს წარმოადგენენ.

ქალაქების რაიონების მმართველობის ორგანიზაციის საკითხები ქალაქის საბჭოების კომპეტენციას მიეკუთვნება.

სოფლის, დაბის, ქალაქის საბჭოები უფლებამოსილნი არიან მაცხოვრებელთა ინიციატივით შექმნან სახლის, ქუჩის, უბნის და მოსახლეობის თვითორგანიზაციის სხვა ორგანოები და მათ გადასცენ თავიანთი კომპეტენციის, ფინანსების, ქონების ნაწილი.

მუხლი 141. სოფლის, დაბის, ქალაქის საბჭოს შემადგენლობაში შედიან დეპუტატები, რომლებიც სოფლის, დაბის, ქალაქის მაცხოვრებელთა მიერ აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით, ოთხი წლის ვადით.

ტერიტორიული თემები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით, ოთხი წლის ვადით ირჩევენ შესაბამისად სოფლის, დაბის და ქალაქის თავს, რომელიც საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს თავმჯდომარეობს.

საბჭოს თავების, დეპუტატების და აღმასრულებელი ორგანოების სტატუსი და მათი უფლებამოსილებები, შექმნის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება კანონით.

რაიონული და საოლქო საბჭოს თავმჯდომარეები შესაბამისი საბჭოს მიერ აირჩევა და საბჭოს აღმასრულებელ აპარატს ხელმძღვანელობენ.

მუხლი 142. ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალურ და ფინანსურ საფუძველს წარმოადგენს მოძრავი და უძრავი ქონება, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები, სხვა ფულადი სახსრები, მიწა, სოფლების, დაბების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორიული თემების საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსები, აგრეთვე მათი საერთო საკუთრების ობიექტები, რომლებიც რაიონული და საქალაქო საბჭოების მართვაში იმყოფება.

სოფლების, დაბების და ქალაქების ტერიტორიული თემები უფლებამოსილი არიან სახელშეკრულებო საწყისებზე გააერთიანონ კომუნალური საკუთრების ობიექტები, აგრეთვე საბიუჯეტო სახსრები, საერთო პროექტების განხორციელების ან კომუნალური საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საერთო დაფინანსების (შენახვის) მიზნით, ამ მიზნით შექმნან შესაბამისი ორგანოები და სამსახურები.

სახელმწიფო მონაწილეობას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირებაში, ფინანსურად მხარს უჭერს რა ადგილობრივ თვითმმართველობას. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯები სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება.

მუხლი 143. სოფლის, დაბის, ქალაქის ტერიტორიული თემები კომუნალურ საკუთრებაში არსებულ ქონებას მართავენ უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით; ამტკიცებენ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამებს და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას; ამტკიცებენ შესაბამისი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას; ადგენენ ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს კანონის შესაბამისად; უზრუნველყოფენ ადგილობრივი რეფერენდუმების ჩატარებას და მათი შედეგების რეალიზაციას; ქმნიან და ახდენენ კომუნალური

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, აგრეთვე ახორციელებენ კონტროლს მათ საქმიანობაზე; წყვეტენ კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებული ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს. საოლქო და რაიონული საბჭოები ამტკიცებენ შესაბამისი ოლქების და რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამებს და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას; ამტკიცებენ რაიონულ და საოლქო ბიუჯეტებს, რომლებიც ყალიბდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ტერიტორიულ თემებს შორის მათი შესაბამისი განაწილების მიზნით ან საერთო პროექტების განხორციელების მიზნით იმ სახსრებიდან, რომლებიც სახელმწიფო საწყისებზე მობილიზებულია ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრამების რეალიზაციის მიზნით და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას; წყვეტენ კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონით შეიძლება მიენიჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცალკეული უფლებამოსილებები. სახელმწიფო ასეთი უფლებამოსილებების განხორციელებას სრული მოცულობით აფინანსებს უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ან ადგილობრივი ბიუჯეტისათვის კანონით დადგენილი წესით ცალკეული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების მიკუთვნების გზით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადასცემს სახელმწიფო საკუთრების შესაბამის ობიექტებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათ მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების განხორციელების საკითხებში ექვემდებარებიან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების კონტროლს.

მუხლი 144. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, იღებენ გადაწყვეტილებებს; რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა შესაბამის ტერიტორიაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებები მათი უკრაინის კონსტიტუციასთან ან კანონებთან შეუსაბამისობის მოტივით კანონით დადგენილი წესით შეჩერდება სასამართლოში ერთდროულ მიმართვასთან ერთად.

მუხლი 145. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები დაცულია სასამართლო წესით.

მუხლი 146. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის, საქმიანობისა და პასუხისმგებლობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

თავი XII. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 147. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო უკრაინაში საკონსტიტუციო იურისდიქციის ერთადერთი ორგანოა.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს უკრაინის კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისობის საკითხებს და იძლევა უკრაინის კონსტიტუციის და უკრაინის კანონების ოფიციალურ განმარტებას.

მუხლი 148. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს თერამეტი მოსამართლისგან.

უკრაინის პრეზიდენტი, უკრაინის უმაღლესი რადა და უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა ნიშნავენ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს-ექვს მოსამართლეს.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს უკრაინის მოქალაქე, რომელმაც დანიშვნის დღისათვის მიაღწია ორმოცი წლის ასაკს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ათი წლის სტაჟი, ცხოვრობს უკრაინაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში და ფლობს სახელმწიფო ენას.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები 9 წლის ვადით ინიშნებიან ხელმეორედ დანიშვნის უფლების გარეშე.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურ პლენარულ სხდომაზე აირჩევა უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი სამწლიანი ვადით.

მუხლი 149. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ვრცელდება ამ კონსტიტუციის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და ამ კონსტიტუციის 127-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეუთავსებლობის შესახებ მოთხოვნები.

მუხლი 150. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს მიეკუთვნება:

1) უკრაინის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხების გადაწყვეტა (კონსტიტუციურადა):

ა) კანონების და უკრაინის უმაღლესი რადას სხვა სამართლებრივი აქტების;

ბ) უკრაინის პრეზიდენტის აქტების;

გ) უკრაინის მინისტრთა კაბინეტის აქტების;

დ) ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადის სამართლებრივი აქტების.

ეს საკითხები განიხილება უკრაინის პრეზიდენტის, უკრაინის არანაკლებ ორმოცდახუთი სახალხო დეპუტატთა, უკრაინის უზენაესი სასამართლოს, უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებებზე რწმუნებულის; ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი რადას მიმართების საფუძველზე.

2) უკრაინის კონსტიტუციის და უკრაინის კანონების ოფიციალური განმარტება.

ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 151. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო უკრაინის პრეზიდენტის ან უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიმართვის საფუძველზე გასცემს დასკვნებს უკრაინის კონსტიტუციასთან უკრაინის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის შესახებ, რომლებიც უკრაინის უმაღლეს რადაში შეიტანება მათ სავალდებულობაზე თანხმობის მისაღებად.

უკრაინის უმაღლესი რადას მიმართვის საფუძველზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო გასცემს დასკვნას უკრაინის პრეზიდენტის იმპრემენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების გამოძიებისა და საქმის განხილვის კონსტიტუციური პროცედურის დაცვის შესახებ.

მუხლი 152. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად ცხადდება, თუ ისინი უკრაინის კონსტიტუციას არ შეესაბამება ან თუ დარღვეულია მათი განხილვის, მიღების ან ძალაში შესვლის უკრაინის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა.

არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონები, სხვა სამართლებრივი აქტები ან მათი ცალკეული დებულებები, ძალას კარგავენ მათი არაკონსტიტუციუ-

რობის შესახებ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლის გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტებითა და მოქმედებებით ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მიყენებული მატერიალური ან მორალური ზიანი, სახელმწიფო მიერ ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 153. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, მის მიერ საქმეების განხილვის პროცედურა განისაზღვრება კანონით.

თავი XIII. უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 154. უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი უკრაინის უმაღლეს რადაში შეიძლება წარდგენილ იქნეს უკრაინის პრეზიდენტის ან უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უკრაინის სახალხო დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის მიერ.

მუხლი 155. უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, გარდა განყოფილების I „ზოგადი პრინციპები“, III განყოფილების „არჩევნები. რეფერენდუმი“ და XIII განყოფილების „უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა“, რომელიც უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ წინასწარ მოწონებულია, მიღებულად ითვლება, თუ უკრაინის უმაღლესი რადას მომდევნო მორიგ სესიაზე მას ხმას მისცემს უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

მუხლი 156. უკრაინის კონსტიტუციის I განყოფილებაში „ზოგადი პრინციპები“, III განყოფილებაში „არჩევნები. რეფერენდუმი“ და XIII განყოფილებაში „უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი უკრაინის უმაღლეს რადაში წარედგინება უკრაინის პრეზიდენტის ან უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ და მისი უკრაინის უმაღლესი რადას კონსტიტუციური შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით მიღების შემთხვევაში მტკიცდება სრულიად უკრაინის რეფერენდუმით, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტი ნიშნავს.

ერთსა და იმავე საკითხზე ამ კონსტიტუციის I, III და XIII განყოფილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განმეორებით წარ-

დგენა შესაძლებელია მხოლოდ მომდევნო მოწვევის უკრაინის უმაღლეს რადაში.

მუხლი 157. უკრაინის კონსტიტუცია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს, თუ ცვლილებები მიზნად ისახავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმებას ან შეზღუდვას ან ისინი უკრაინის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ არის მიმართული.

უკრაინის კონსტიტუცია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

მუხლი 158. უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც უკრაინის უმაღლესი რადას მიერ იქნა განხილული და არ იყო კანონი მიღებული, უკრაინის უმაღლეს რადაში შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ კანონპროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უადრეს ერთი წლის შემდეგ.

უკრაინის უმაღლეს რადას თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ შეუძლია ორჯერ შეცვალოს უკრაინის კონსტიტუციის ერთი და იგივე დებულება.

მუხლი 159. უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი უკრაინის უმაღლესი რადის მიერ განიხილება კანონპროექტის ამ კონსტიტუციის 157-ე და 158-ე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის არსებობისას.

თავი XIV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 160. უკრაინის კონსტიტუცია ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 161. უკრაინის კონსტიტუციის მიღების დღე არის სახელმწიფო დღესასწაული – უკრაინის კონსტიტუციის დღე.

თავი XV. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები იმ ნაწილში მოქმედებს, რაც უკრაინის კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. უკრაინის კონსტიტუციის მიღების შემდეგ უკრაინის უმაღლესი რადა ახორციელებს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

უკრაინის უმაღლესი რადის მორიგი არჩევნები ტარდება 1998 წლის მარტში.

3. უკრაინის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება 1999 წლის ოქტომბრის ბოლო კვირას.

4. უკრაინის კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში უკრაინის პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ მოწონებული და უკრაინის პრემიერ-მინისტრის ხელმოწერილი ბრძანებულებები კანონით მოწესრიგებულ ეკონომიკურ საკითხებზე, ამ კონსტიტუციის 93-ე მუხლით დადგენილი წესით უკრაინის უმაღლეს რადაში შესაბამისი კანონპროექტის შეტანასთან ერთად.

უკრაინის პრეზიდენტის ასეთი ბრძანებულება ძალაში შედის, თუ კანონპროექტის წარდგენიდან ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში (სესიებს შორის პერიოდის დღეების გამოკლებით) უკრაინის უმაღლესი რადა არ მიიღებს კანონს ან კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობით არ უარყოფს კანონპროექტს, და მოქმედებს ამ საკითხებზე უკრაინის უმაღლესი რადის მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლამდე.

5. უკრაინის მინისტრთა კაბინეტი ყალიბდება ამ კონსტიტუციის შესაბამისად მისი ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში.

6. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო ყალიბდება ამ კონსტიტუციის შესაბამისად მისი ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნამდე კანონთა განმარტებას ახორციელებს უკრაინის უმაღლესი რადა.

7. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების თავმჯდომარეები იძენენ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების თავმჯდომარეების სტატუსს ამ კონსტიტუციის 118-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო შესაბამისი საბჭოების თავმჯდომარეების არჩევის შემდეგ იხსნიან ამ საბჭოების თავმჯდომარეების უფლებამოსილებას.

8. სოფლის, დაბის, ქალაქის საბჭოები და ამ საბჭოების თავმჯდომარეები უკრაინის კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ 1998 წლის მარტში ამ საბჭოების ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არჩეული რაიონული და საოლქო საბჭოები მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ამ საბჭოების ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბებამდე ამ კონსტიტუციის შესაბამისად.

ქლაქის რაიონების საბჭოები და ამ საბჭოების თავმჯდომარეები ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ თავის უფლებამოსილებებს ახორციელებენ კანონის შესაბამისად.

9. პროკურატურა აგრძელებს მოქმედი კანონების შესაბამისად კანონების შესრულებასა და გამოყენებაზე ზედამხედველობისა და წინასწარი გამოძების ფუნქციის შესრულებას – კანონების შესრულებაზე კონტროლის შესახებ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელი კანონების ამოქმედებამდე და წინასასამართლო გამოძიების სისტემის ჩამოყალიბებამდე და მისი ფუნქციონირების მომწესრიგებელი კანონების ამოქმედებამდე.

10. ამ კონსტიტუციის 118-ე მუხლის შესაბამისად ქლაქებში - კიევში და სევასტოპოლში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების თავისებურებების განმსაზღვრელი კანონების მიღებამდე ამ ქლაქებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ადმინისტრაციები.

11. ამ კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდება ეროვნული ფულის ერთეულის – გრივნის შემოღების შემდეგ.

12. უკრაინის უზენაესი სასამართლო და უკრაინის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უკრაინაში საერთო იურიდიუციის სისტემის სასამართლოების შექმნამდე ამ კონსტიტუციის 125-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლის ვადით.

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღემდე უკრაინის ყველა სასამართლოს არჩეული ან დანიშნული მოსამართლეები, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებას აგრძელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათი არჩევის ან დანიშვნის ვადის ამოწურვამდე.

მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილებები ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღეს ამოწურა, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებას აგრძელებენ ერთი წლის განმავლობაში.

13. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში შენარჩუნებულია დაპატიმრების, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების პატიმრობაში ყოფნისა და დაკავების წესი, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის ან პირის სხვა მფლობელობის დათვალიერებისა და ჩხრეკის წესი.

14. უკრაინის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების გამოყენება უცხო სამხედრო ფორმირებების დროებით ყოფნისათვის შესაძლებელია იჯარის პირობებით უკრაინის უმაღლესი რადას მიერ რატიფიცირებული უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული წესით.



უზბრკობი



ზოგადი ცნობარი შესავალი

უნგრეთის სახელმწიფოებრიობა სათავეს იღებს 1001 წლიდან მას შემდეგ, რაც მეფე სტეფან პირველმა გააერთიანა მადიართა ტომები. შუა საუკუნეების ბოლოს უნგრეთი წარმოადგენდა ავსტრო-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც დაიშალა პირველი მსოფლიო ომის დროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1956 წლამდე იგი მოექცა კომუნისტური მმართველობის ქვეშ. 1968 წლიდან უნგრეთში დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია. 1990 წელს გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები და დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. უნგრეთი „ნატოს“ წევრია 1999 წლიდან და ევროკავშირის წევრია 2004 წლიდან.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა. დასავლეთით ესაზღვრება სლოვენია და ავსტრია, აღმოსავლეთით – რუმინეთი, ჩრდილოეთით – სლოვაკეთი და უკრაინა, სამხრეთით – სერბეთი და ხორვატია.

ფართობი: სულ: 93030 კმ², ხმელეთი: 92,340 კმ², წყალი: 0,690 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ბოქსიტი, ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი, ნაყოფიერი ნიადაგი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 9,981,334 (2006);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 15.6% (კაცი 799,163/ქალი 755,389);

15-64 წლის: 69.2% (კაცი 3,403,375/ ქალი 3,505,640);

65 წლის და ზევით: 15.2% (კაცი 550,297/ ქალი 967,470) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.25% (2006);

შობადობა: 9.72 დაბადებული /1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 13.11 გარდაცვლილი /1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 0.86 მიგრანტი /1,000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 72,66 წელი; კაცი 68,45; ქალი: 77,14 (2006);

მოქალაქეობა: უნგრეთის;

ეთნიკური ჯგუფები: უნგრელები 92.3%, რუმინელები 1.9%, სხვა 5.8% (2001);

რელიგია: კათოლიკე 51.9%, კალვინისტი 15.9%, ლუთერანი 3%, ბერძენი კათოლიკე 2.6%, სხვა ქრისტიანები 1%, სხვა და დაუდგენელი 11.1%, ათეისტი 14.5% (2001);

ენა: უნგრული;

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99,4%, კაცი 99,5%, ქალი 99,3% (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: უნგრეთის რესპუბლიკა;

მოკლე ფორმა: უნგრეთი;

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: მაგიარ კოზტარსასაგ;

ადგილობრივი მოკლე ფორმა: მაგიარორსზაგ.

სახელმწიფოს ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა;

დედაქალაქი: ბუდაპეშტი;

ადმინისტრაციული ერთეულები: 19 ოლქი, 20 საქალაქო ოლქი და 1 დედაქალაქი;

დამოუკიდებლობა: 1001 წლიდან;

ეროვნული დღესასწაული: წმინდა სტეფანეს დღე – 20 აგვისტო;

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ლაზლო სოლიომი (2005 წლის 5 აგვისტოდან), არჩეულია პარლამენტის მიერ;

მთავრობა/სამინისტროები:
პრემიერ-მინისტრი;
სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო;
თავდაცვის სამინისტრო,
ეკონომიკის სამინისტრო,
განათლების სამინისტრო,
გარემოს დაცვის სამინისტრო,
საგარეო საქმეთა სამინისტრო,
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო,
შინაგან საქმეთა სამინისტრო,
იუსტიციის სამინისტრო,
ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო,
სოციალურ და საოჯახო საკითხთა სამინისტრო,
ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და წყლის სამინისტრო,
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი ეროვნული კრება (386 ადგილი; წევრები აირჩევიან პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პირდაპირი არჩევნებით). ბოლო არჩევნები გაიმართა 2006 წლის 9 და 23 აპრილს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: თავისუფალ დემოკრატთა გაერთიანება, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია, ფიდესი – უნგრეთის სამოქალაქო გაერთიანება, უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი, უნგრეთის სოციალისტური პარტია, უნგრეთის კომუნისტ მუშათა პარტია, უნგრეთის მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ცენტრისტული პარტია, კუმანისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მწვანეთა პარტია, პენსიონერთა პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: მე-20 საუკუნის ბოლოს უნგრეთმა განახორციელა სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე წარმატებული გადასვლა და დღესაც აგრძელებს მზარდ ეკონომიკურ განვითარებას. იგი 2004 წლის მაისში გახდა ევროპის კავშირის წევრი. კერძო სექტორი ქმნის ერ-
684

თიანი შიდა პროდუქტის 80%-ს. ქვეყანაში ფართოდაა გაშლილი უცხოური საწარმოებისა და კომპანიების საქმიანობა და ქვეყანაში მიმდინარეობს უცხოური კაპიტალის აქტიური ინვესტირების პროცესი. 1989 წლიდან დღემდე განხორციელებული უცხოური ინვესტიციები 60 მილიარდამდე აშშ დოლარს შეადგენს. ამასთანავე, უნგრეთი ჩეხეთის რესპუბლიკასთან ერთად ცენტრალურ ევროპაში ყველაზე მაღალი სახელმწიფო ვალის მქონე ქვეყანაა. თუმცა, მნიშვნელოვნადაა შემცირებული ინფლაცია, კერძოდ 1998 წლიდან 2005 წლამდე იგი 14%-დან 3.7%-მდე შემცირდა. შრომითი რესურსების გამოყენების კუთხით უნგრეთი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონეზეა. ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია გერმანია.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$162.6 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 4.1% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$16,300 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 3.7%, მრეწველობა: 31.2%, მომსახურება: 65.1% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 8.6% (1993);

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$51.4 მილიარდი, გასავალი: \$58.34 მილიარდი (2005);

ექსპორტი: \$61.75 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები 61.1%, სხვა სამრეწველო საქონელი 28.7%, კვების პროდუქტები 6.5%, ნედლეული 2%, ელექტროენერგია 1.6% (2003);

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 29.2%, ავსტრია 6.4%, იტალია 5.5%, საფრანგეთი 4.9%, დიდი ბრიტანეთი 4.7% (2005);

იმპორტი: \$64.83 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები 51.6%, სხვა სამრეწველო საქონელი 35.7%, კვების პროდუქტები 3.1%, ნედლეული 2%, საწვავი და ელექტროენერგია 77% (2003);

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 27.5%, რუსეთი, 7.2%, ჩინეთი 7%, ავსტრია 6.7%, იტალია 5%, საფრანგეთი 4.7%, პოლანდია 4.4% (2005);

საგარეო ვალი: \$66.22 მილიარდი (2005);

ეკონომიკური დახმარება: \$4.2 მილიარდი ევროკავშირისგან 2004-2006 წლებში.

ვალუტა: ფორინტი (HUF).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. უნგრეთის კონსტიტუციონალიზმის ისტორია XIX საუკუნიდან იღებს სათავეს და მთელი თავისი განვითარების მანძილზე დაკავშირებულია იმ მრავალრიცხოვან რევოლუციებთან, რომელთაც სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა უნგრეთში. იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულებით 1848 წლის რევოლუციის შემდეგ უნგრეთის ეროვნული კრების მიერ კონსტიტუციური მონარქიის შემოღებისა და ბატონყმობის გაუქმების შესახებ მიღებული კანონები განიხილება კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტებად და მათ ხშირად უნგრეთის პირველ კონსტიტუციასაც უწოდებენ. ამ აქტებით გათვალისწინებული იყო ადამიანთა თანასწორობა და სხვა ლიბერალური უფლებები, დადგინდა საპარლამენტო ტიპის კონსტიტუციური მონარქია. თუმცა ამ აქტების მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1849 წელს ავსტრიის ჯარების წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად დასამარდა რევოლუციური მოძრაობა და შესაბამისად ამ კანონების მოქმედებაც.

უნგრეთის კონსტიტუციური სამართლის განვითარების სტაგნაცია კიდევ უფრო მყარი გახდა 1867 წლიდან ავსტრო-უნგრეთის დუალისტური მონარქიის დამყარებით. კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში ახალი ეტაპი დადგა 1918 წლის უნგრეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებით, როდესაც დაემხო მონარქია და მიღებულ იქნა უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მთლიანად აგრძელებდა 1848 წლის კანონებში გაცხადებულ ლიბერალურ სულისკვეთებას. ამ კონსტიტუციით განისაზღვრა უნგრეთის დემოკრატიული, საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნა, მაგრამ ამ აქტის მოქმედება შეწყდა უნგრეთის რესპუბლიკის არსებობასთან ერთად, რომელიც 1919 წლის სახალხო რევოლუციის შედეგად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ შეცვალა. სახალხო რესპუბლიკის სამართლებრივ საფუძვლად „ბურჟუაზიული ძირითადი კანონი“ არ გამოდგებოდა, ამიტომ 1919 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა უნგრეთის სოციალისტურ-ფედერალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. თუმცა, არც ამ კონსტიტუციას უმოქმედია დიდი ხნის განმავლობაში. 1920 წლის გადატრიალების შედეგად უნგრეთი უკვე ავსტრიელთა მარიონეტულ დიქტატურად, ხოლო მოგვიანებით პროფაშისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

უნგრეთის კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში მორიგი ეტაპი დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945-1946 წლებში) განხორციელებული ორი სახალხო-დემოკრატიული, ხოლო 1947-1948 წლებში – სოციალისტური რევოლუციის შედეგად უნგრეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნითა და 1949 წლის კონსტიტუციის მიღებით, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებაში კომუნისტური კონსტიტუციის სახელითაც მოიხსენიებენ.

1949 წლის 18 აგვისტოს კონსტიტუცია იყო პირველი კონსტიტუციური აქტი, რომელმაც წინამორბედებისგან განსხვავებით რეალური გამოყენება ჰპოვა, თუმცა იგი არ იყო ისეთი ლიბერალური. ამ აქტით ფორმალურად შემოღებულ იქნა საპარლამენტო მმართველობა. ერთპალატიანი პარლამენტი აღიჭურვა ფართო უფლებებით, იგი ქმნიდა პრეზიდენტს, რომელიც ახორციელებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუმცა რეალურად პარლამენტის როლი სახელმწიფო მმართველობაში გაცილებით დაკნინებული იყო და ერთპარტიული საკანონმდებლო ორგანო მმართველი პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უბრალო იურიდიულ გამფორმებელს წარმოადგენდა. ამგვარი სისტემა ჩვეულებრივ დამახასიათებელი იყო სოციალისტური ქვეყნებისათვის. მიუხედავად რიგი ფორმალური მომენტებისა, 1949 წლის კონსტიტუცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი კანონის ფუნქციას სტაბილურად ასრულებდა და მასში ძირეული ცვლილების შეტანის საკითხი მხოლოდ 1990-იან წლებში დადგა დღის წესრიგში, რაც უფრო პოლიტიკური ვითარებით უფრო იყო განპირობებული ვიდრე სამართლებრივი პრობლემებით.

1983 წელს ახალი საარჩევნო კანონის მიღების შემდეგ უნგრეთში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ერთპარტიული კომუნისტური პარლამენტის არსებობა. დაიწყო დემოკრატიული რეფორმები, რაც იურიდიულად გაფორმდა 1989 წლის XXXI აქტითა და 1990 წლის X აქტით შეტანილი საკონსტიტუციო ცვლილებებით. ეს ცვლილებები იმდენად არსებითი ხასიათისა იყო, რომ ევროპელი იურისტების ნაწილი უნგრეთის დღეს მოქმედ ძირითად კანონს 1989 წლის კონსტიტუციასაც უწოდებს. თუმცა 1949 წლის კონსტიტუცია მრავალი გარდაქმნის შემდეგ დღესაც მოქმედი აქტია და მისთვის საკონსტიტუციო ცვლილებებს იურიდიული ძალა არ დაუკარგავთ.

ის კონსტიტუციური აქტები, რომლებიც უნგრეთის სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიიღებოდა და უნგრული კონსტიტუციონალიზმის საფუძველს ქმნიდა, თავისი პერიოდისათვის უდაოდ პროგრესული და დახვეწილი სამართლებრივი აზროვნების პროდუქტია, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის იყო, რომ ძირითადად ისინი პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა და მათ არ უმოქმედიათ, როგორც კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს. მათი მიღება, მართალია, იწვევდა გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომას, მაგრამ ეს აქტები არ ასრულებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ხანგრძლივი სამართლებრივი რეგულატორის ფუნქციას. მაგალითად, უნგრეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში 1945 წლის 15 მარტის დროებითი მთავრობის დეკრეტი აგარარული რეფორმის განხორციელების თაობაზე გაცილებით მნიშვნელოვანი აქტი იყო

თავისი პრაქტიკული შედეგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ვიდრე 1919 წლის უნგრეთის კონსტიტუცია. ყოველივე ამან, ბუნებრივია შესაბამისი გაელენა იქონია უნგრეთის კონსტიტუციონალიზმის განვითარებაზე, რასაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მრავალრიცხოვანი რევოლუციები, გადატრიალებები, ავსტრიელთა ექსპანსია და ზოგადად არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. თუმცა, ამ ფონზეც 1848 წლის კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე კანონები და 1919 წლის კონსტიტუციით, თუნდაც თეორიულად გაცხადებული და დაცული დემოკრატიული ღირებულებები და სამართლებრივი იდეები, საკმარისია იმისათვის, რომ უნგრეთის კონსტიტუციონალიზმი კონსტიტუციური სამართლის მკვლევართა ინტერესის სფეროში მოექცეს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. უნგრეთის კონსტიტუციის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის რაიმე განსაკუთრებულ წესს არ ადგენს და ამის შესახებ პარლამენტის კვორუმების განმსაზღვრელ მუხლში ზოგადად მიუთითებს. ფაქტიურად, უნგრეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ჩვეულებრივი კანონის მიღების პროცედურით, ოღონდ მაღალი კვორუმის პირობებში ხდება.

ამდენად, უნგრეთის კონსტიტუცია ე.წ. მოქნილ კონსტიტუციათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით, რადგან 1949 წლის კონსტიტუციაში ცვლილებები არაერთხელ იქნა შეტანილი. ზოგიერთი მათგანი იმდენად პრინციპული ხასიათის იყო, რომ 1949 წლის კონსტიტუციის არსებითი გარდაქმნა მოახდინა და მისი თავდაპირველი ვარიანტიდან მხოლოდ სტრუქტურული წყობა თუ დარჩა ხელუხლებელი. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის კონსტიტუცია არ შეიცავს ე.წ. დაცულ დებულებებს ან საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა გადასინჯვა ან შეცვლა საკონსტიტუციო ცვლილებებით დაუშვებელი იქნებოდა.

უნგრეთის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინიციატივის წარდგენის უფლება აქვთ კონსტიტუციით განსაზღვრული საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებს: პრეზიდენტს, მთავრობას, საპარლამენტო კომიტეტსა და პარლამენტის წევრებს. საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება შეიძლება განხორციელდეს ასევე ე.წ. სახალხო ინიციატივის წესით საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 000 მოქალაქის მიერ.

პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს განიხილავს რეგულამენტით დადგენილი ჩვეულებრივი საკანონმდებლო განხილვის პროცედურით. სხვა კანონების მიღების წესისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება არა დამსწრე პარლამენტის

წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია, არამედ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. საკონსტიტუციო ცვლილებების პროპულგაცია და ამოქმედება ხდება ჩვეულებრივი კანონისათვის დადგენილი წესით.

უნგრეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესის ერთი თავისებურება ის არის, რომ 1994 წელს პარლამენტის რეგლამენტით შეიქმნა ე.წ. ექვსთა კომიტეტი, რომელშიც გაერთიანებული არიან პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ფრაქციათა ხელმძღვანელები. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო ცვლილება საპარლამენტო განხილვების შემდეგ კენჭისყრაზე იქნეს დაყენებული საჭიროა ექვსთა კომიტეტის ერთსულოვანი ან მისი ხუთი წევრის თანხმობა მაინც. ექვსთა კომიტეტის ძირითადი ფუნქცია, მართალია, შემთხვევითი ორგანოს როლის შესრულება და ამ პროცესში დემოკრატიულობის უზრუნველყოფაა, მაგრამ მისმა შემოღებამ მაინც გარკვეულად გაართულა კონსტიტუციაში ცვლილებების მანამდე არსებული პროცედურა.

კანადის 1949 წლის კონსტიტუციაში 1990-იანი წლების ბოლომდე 20-ზე მეტი ცვლილება იქნა შეტანილი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1950, 1954, 1957, 1972, 1989, 1990, 1993, 1994, 1997 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები.

კონსტიტუციის ანალიზი. უნგრეთის კონსტიტუცია შედგება 15 თავისა და 79 მუხლისგან. საკონსტიტუციო ცვლილებების სიმრავლის გამო ხშირია ამოღებული მუხლები და პუნქტები, ასევე ხშირია დამატებული მუხლების რაოდენობაც.

უნგრეთი უნიტარული საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელშიც ერთპალატიან პარლამენტს წამყვანი როლი აკისრია. უნგრეთის კონსტიტუცია არ განსაზღვრავს პარლამენტის წევრთა რაოდენობას და არც მათი რაოდენობის დამდგენ სხვა აქტზე ბლანკეტურ მითითებას შეიცავს. არაფერია ნათქვამი პარლამენტის არჩევნების წესზე ან საარჩევნო სისტემის შესახებაც. პარლამენტის წევრები, რომელთა რაოდენობა საკანონმდებლო აქტების თანახმად, 386-ს შეადგენს, სარგებლობენ იმუნიტეტითა და ინდემნიტეტით, მათი თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან გარდა მთავრობის წევრობისა. პარლამენტი 4 წლის ვადით აირჩევა და უნგრეთის უმაღლესი სახელმწიფო და სახალხო წარმომადგენლობის ორგანოა. ამის დასტურია უფლებამოსილებათა ის ფართო სპექტრი, რომლითაც უნგრეთის პარლამენტი აღჭურვილი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების, პრეზიდენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირთა არჩევის უფლება, მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება, კონსტიტუ-

ციის მიღება და კანონმდებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი, საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ.

უნგრეთის კონსტიტუცია იცნობს პარლამენტის დათხოვნის მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუ იგი პრეზიდენტის მიერ ოთხჯერ წარმოადგენის შემდეგ არ დაამტკიცებს პრემიერ-მინისტრსა და ნლობას არ გამოუცხადებს მთავრობას ან 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ოთხჯერ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას. ზოგიერთი საპარლამენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მოდელის მსგავსად, უნგრეთის პარლამენტს აქვს ე.წ. თვითდათხოვნის უფლებაც. თვითდათხოვნის წესისა და პირობების დეტალურ რეგლამენტაციას კონსტიტუცია არ ადგენს. ამდენად, უნგრეთის პარლამენტს თვითდათხოვნის შესახებ შეუძლია ნებისმიერი შიდასაპარლამენტო კრიზისის დროს განაცხადოს. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაუშვებელია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უნგრეთის კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხელისუფლების უწყვეტობის უზრუნველყოფის საკითხს როგორც პარლამენტის, ისე მთავრობის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში და პირდაპირ ავალებს უფლებამოსილება შეწყვეტილ ორგანოებს ადასრულონ თავიანთი ვალდებულებები ახალი შესაბამისი ორგანოების ფორმირებამდე.

საკანონმდებლო პროცესს ძირითადი კანონი ძალიან ზოგადად აწესრიგებს. ამ პროცესში ყველაზე საინტერესოა პრეზიდენტის მონაწილეობა პრომულგაციისა და კანონის ამოქმედების ეტაპზე. უნგრეთის პრეზიდენტი ე.წ. „სუსპენზიური ვეტოს“ უფლებით სარგებლობს და უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. მაგრამ თუ პარლამენტი ხელშეორე კენჭისყრით კვლავ მიიღებს კანონს, პრეზიდენტი ვალდებულია მოახდინოს მისი პრომულგაცია და უზრუნველყოს მისი ამოქმედება. პარლამენტის მიერ განმეორებით კენჭისყრაზე პრეზიდენტის ვეტოს იგივე ჩვეულებრივი კვორუმით დაძლევის მომენტი მნიშვნელოვნად ასუსტებს უნგრეთის პრეზიდენტის მიერ ვეტოს მექანიზმის გამოყენებით პარლამენტზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობებს. მართალია მას ამ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართვაც შეუძლია, მაგრამ თუ სასამართლო არ დაადასტურებს კანონის არაკონსტიტუციურობას, მაშინ პრეზიდენტი ასევე ვალდებულია ხელი მოაწეროს კანონს და ჩვეულებრივ რეჟიმში შენიშვნის გამოთქმის უფლებაც აღარ რჩება.

პარლამენტთან დაკავშირებულ ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ე.წ. წინააღმდეგობის წამოჭრის შემთხვევა, როდესაც პარლამენტი არ არის

შეკრებილი და მისი მოწვევა შეუძლებელია საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, რესპუბლიკის პრეზიდენტს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება ენიჭება და ერთპიროვნულად საომარი ან ეროვნული უბედურების ან/და საგანგებო მდგომარეობის შემოღება და თავდაცვის ეროვნული საბჭოს შეკრებაც კი შეუძლია. ამასთან, წინააღმდეგობის წამოჭრის იურიდიული ფაქტი ოფიციალურად უნდა იქნეს დადასტურებული ერთობლივად პარლამენტის სპიკერის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის მიერ. პარლამენტი პირველი შეკრებისთანავე განიხილავს წინააღმდეგობის წამოჭრის რეჟიმში პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ეროვნული თავდაცვის საბჭოს უნგრეთის სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და პრაქტიკულად საგანგებო, საომარ ან სხვაგვარ კრიზისულ მდგომარეობაში ქვეყნის მართვის ოპერატიულ შტაბს წარმოადგენს. იგი მუდმივმოქმედი ორგანო არ არის და განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვადასხვა თანამდებობის პირთა შეკრების შედეგად შექმნილ საკოორდინაციო კომიტეტს ჰკავს. გასათვალისწინებელია, რომ ამ საბჭოში გამსაზღვრელი ფუნქციები ქვეყნის პოლიტიკურ თანამდებობის პირებს აქვთ და სამხედროები მასში მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ. საერთოდ, უნგრეთის კონსტიტუციის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს საგანგებო, საომარ და კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების, შეიარაღებულ ძალთა გამოყენების, უცხოეთის შეიარაღებულ ძალთა უნგრეთში დაშვების პროცესების დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია.

კონსტიტუციით განტკიცებულია სახელმწიფო მმართველობაში ხალხის მონაწილეობა არა მხოლოდ პირდაპირი წესით არჩეული პარლამენტის, არამედ უშუალო დემოკრატიის ისეთი ფორმებით, როგორებიცაა რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა. რეფერენდუმი შეიძლება იყოს სარეკომენდაციო ან საეალღებულო ხასიათის. რაც შეეხება სახალხო ინიციატივას, ის 50 000 ამომრჩევლის მიერ პარლამენტისათვის მიმართვას გულისხმობს და ფაქტიურად საკანონმდებლო ინიციატივას უტოლდება, რადგან პარლამენტი ვალდებულია ყველა შემთხვევაში განიხილოს მის წინაშე სახალხო ინიციატივით დაყენებული საკითხი.

უნგრეთის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და დემოკრატიის დაცვის გარანტია. იგი შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალია და რიგ შემთხვევებში სამხედრო ძალების პარლამენტის თანხმობის გარეშე გამოყენებაც შეუძლია. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის უნგრელი მოქალაქე 5 წლის ვადით, ორ ვადაზე მეტჯერ არჩევის აკრძალვით. პრეზიდენტი თანამდებობაზე აირჩევა პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით

პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების 2/3-ის უმრავლესობით ან, არჩევნების მესამე ტურის გამართვის შემთხვევაში, ხმათა უბრალო უმრავლესობით. მისი თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან ან მანდატთან, იგი ხელშეუხებელია. რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს უნგრეთი საერთაშორისო ურთიერთობებში, დადოს ხელშეკრულებები, დანიშნოს გარკვეული თანამდებობის პირები და დიპლომატიური პერსონალი, მიანიჭოს საპატიო წოდებები და განახორციელოს სპეციალური კანონით მინიჭებული სხვა უფლებები, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროს გაატაროს სპეციალური ღონისძიებები. მის განსაკუთრებულ უფლებამოსილებაშია სახელმწიფო მდივნების დანიშვნის უფლებაც. საპარლამენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მოდელის მიხედვით, რესპუბლიკის პრეზიდენტის ყველა მნიშვნელოვანი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის ან რომელიმე სხვა მინისტრის მიერ ხელმოწერით დადასტურებას. პრეზიდენტის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას შეზღუდული უფლებამოსილებებითა და ვეტოს უფლების გარეშე ასრულებს პარლამენტის სპიკერი.

უნგრეთის კონსტიტუცია იცნობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების მექანიზმს. იმპიჩმენტის პროცედურის თავისებურება ის არის, რომ ამ პროცესს იწყებს პარლამენტი და ამთავრებს საკონსტიტუციო სასამართლო. პარლამენტის წევრთა 1/5 უფლებამოსილია მოახდინოს საკითხის ინიცირება. გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის პროცედურისათვის მსვლელობის მიცემისა და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ იღებს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ის უმრავლესობით. მისთვის მიმართვის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მოხდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს სისხლის სამართალწარმოების წესით, პროცესზე ბრალდების მხარეს წარმოადგენს პარლამენტის წევრთაგან დანიშნული სპეციალური პროკურორი.

უნგრეთის მთავრობა კოლეგიალური ორგანოა და კონსტიტუციის მიხედვით პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან შედგება. მთავრობა უზრუნველყოფს კანონთა აღსრულებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას; მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში და დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და მათ აღსრულებას; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე. მათი ურთიერთობები ტიპიურია საპარლამენტო რესპუბლიკების მოდელისათვის. მაგალითად, მთავ-

რობა უფლებამოსილია პარლამენტში ნებისმიერი საკითხის განხილვისას იმადროულად დააყენოს ნდობის გამოცხადების საკითხი, ან პარლამენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურის დასახელებით დააყენოს მთავრობის უნდობლობის ვოტუმი და ა.შ. პარლამენტის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება იწვევს მთავრობის გადადგომას. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, სხვა საპარლამენტო რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, მოკლებულია არბიტრის ფუნქციას და მხოლოდ პარლამენტის მიერ 12 თვის განმავლობაში მთავრობის ოთხჯერ დათხოვნის შემთხვევაში შეუძლია ჩაერიოს ამ ურთიერთობებში. ახალი მთავრობის ფორმირებამდე გადამდგარი აღმასრულებელი ორგანო ასრულებს თავის მოვალეობას უფლებამოსილებათა შეზღუდულ ფარგლებში. პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილების შეუძლებლობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ასრულებს მის მიერვე დანიშნული ერთ-ერთი მინისტრი.

პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს მისი ფინანსური საქმიანობის შემოწმება პარლამენტთან არსებული ორგანოს – სახელმწიფო აუდიტორული პალატის მიერ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს ამოწმებს და მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ ბიუჯეტის შესრულებისა და ხარჯვის ანგარიშზე სპეციალურ თანამოსხენებას წარადგენს.

უნგრეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა, კონსტიტუციის თანახმად, მოიცავს დედაქალაქს, ოლქებს, ქალაქებსა და სოფლებს. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები უნგრეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციაშია. ცალკეა გარანტირებული ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა თვითმმართველობის უფლებები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ქმნიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები და მერები. წარმომადგენლობითი ორგანოები პირდაპირი არჩევნებით 4 წლის ვადით აირჩევა. კონსტიტუცია ამ შემთხვევაშიც არაფერს ამბობს საარჩევნო სისტემაზე და არჩევნების პრინციპებზე. სახელმწიფო ადმინისტრაციული უფლება-მოვალეობანი შეიძლება დაკისრებულ იქნეს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მდივანზე ან კანცელარიის უფროსზე. თვითმმართველობის ორგანოები ფართო კომპეტენციით სარგებლობენ. მათ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს მთავრობა. მათი დათხოვნა კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის პრეროგატივაა. ამ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს მთავრობის რეკომენდაციით საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მხრიდან კონსტი-

ტუციის დარღვევის ფაქტის დადასტურებისას. თვითმმართველობის ორგანოებს გარანტირებული აქვთ თავიანთი უფლებების სასამართლო წესით დაცვა.

უნგრეთის სასამართლო ხელისუფლებას სათავეში უდგას უზენაესი სასამართლო, რომლის თავმჯდომარესაც პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი, ხოლო სხვა პროფესიონალ მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი. სასამართლო სისტემა აერთიანებს უზენაეს სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოებს, ბუდაპეშტის მუნიციპალურ სასამართლოს, საოლქო სასამართლოებს, ადგილობრივ და შრომით სასამართლოებს. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნისათვის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლო განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკასა და გამოცემს ყველა სასამართლოსთვის შესასრულებლად სავალდებულო დადგენილებებს სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე კანონის ერთგვაროვნად გამოყენებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუცია დამოუკიდებელ სისტემად განიხილავს პროკურატურას, რომლის სათავეშიც დგას პარლამენტის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით არჩეული გენერალური პროკურორი. სახელმწიფო პროკურორები თანამდებობებზე ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ. კონსტიტუციით დადგენილია პროკურატურის ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე.

უნგრეთის კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციას. დადგენილია მათი მიზნები, ამოცანები, ამ ძალების გამოყენების შემთხვევები და წესები. პოლიციისა და სამხედრო ძალების პროფესიონალ წევრებს, ისევე როგორც პროკურორებსა და მოსამართლეებს, ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა.

საკონსტიტუციო კონტროლი უნგრეთში 11 წევრისაგან შემდგარი საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. საკონსტიტუციო სასამართლო აირჩევა პარლამენტის მიერ განსაკუთრებული პროცედურით. დემოკრატიულობის უზრუნველყოფის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება ხდება პარლამენტში სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომიტეტის მიერ, რომელშიც პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ფრაქციათა ხელმძღვანელები არიან გაერთიანებული. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც არც ერთი სხვა სასამართლოს მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ან მისი უფლებამოსილების ვადას.

უნგრეთის კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ამოცანაა სამართლებრივი აქტების ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს გადაწყვეტა. იგი ასევე გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე და სათანადო გარემოებების არსებობისას სისხლის სამართლის წესით ასამართლებს მას, სამართლებრივ შეფასებას აძ-

ლევს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე და მონაწილეობს კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტების დადგენაში. უნგრეთში არსებობს როგორც წინასწარი კონსტიტუციური კონტროლის პროცედურა, ასევე აქტის მიღების შემდგომი კონსტიტუციური კონტროლის წესი. პირველი პროცედურა ვრცელდება მხოლოდ კანონებზე და ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს – პრეზიდენტს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნებისმიერ პირს. სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ანტიკონსტიტუციურად ცნობა იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

უნგრეთში მოქმედებს სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო ომბუდსმენისა და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ომბუდსმენის ინსტიტუტები, რომლებიც მოწოდებულია ადამიანის უფლებათა დასაცავად. ეს თანამდებობის პირები აირჩევიან პარლამენტის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით საკმაოდ მაღალი კვორუმით და ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე. კონსტიტუციით დადგენილია სპეციალური ომბუდსმენტების არჩევის შესაძლებლობა კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებებს უნგრეთის 1949 წლის რეფორმირებული და არაერთგზის შეცვლილი კონსტიტუციის საკმაოდ ვრცელი – XII თავი ეთმობა. თუმცა, ყურადსაღებია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ეს თავი კონსტიტუციის ბოლოს არის მოქცეული. აღსანიშნავია, რომ მასში მოცემული უფლებათა ფართო ჩამონათვალი იურიდიულ მეცნიერებაში მაღალ შეფასებას იმსახურებს. კონსტიტუციით გარანტირებულია: სიცოცხლისა და პიროვნული ღირსების უფლება, წამების, ღირსებაშემლახავი და სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნისაგან სასამართლო დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება, გადაღვივებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, პირადი საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, აზრის თავისუფალი გამოხატვის, იმ ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების უფლება, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, თავშესაფრის უფლება, მამაკაცთა და ქაღთა თანასწორობა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში, საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლებები, ბავშვთა, ეროვნულ უმცირესობათა, შრომის, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების უფლება, სამეცნიერო და შემოქმედებით

საქმიანობის თავისუფლება, ადამიანისა და მოქალაქის სხვა უფლებები. ამავე დროს დადგენილია ვალდებულებები, ერთი მხრივ, სახელმწიფოსათვის ადამიანის უფლებების დასაცავად კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებისათვის – სამშობლოს დაცვის, მშობლებისათვის – ბავშვებზე ზრუნვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის – გადასახადების გადახდის, კანონების, სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე და ა.შ.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებანი. უნგრეთის კონსტიტუციური სამართალი ხასიათდება გარკვეული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშნებით, რომელთაგან ყველაზე საინტერესოა:

– კონსტიტუციის გადასინჯვისა და ცვლილებების შეტანის მოქნილი პროცედურა;

– პარლამენტის წევრთა რაოდენობისა და საარჩევნო სისტემის საფუძვლების კონსტიტუციით გაუთვალისწინებლობა;

– პარლამენტის თვითდათხოვნის უფლება ყოველგვარი პირობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების გარეშე;

– პარლამენტში ე.წ. „წინააღმდეგობის წამოჭრის სიტუაცია“ და პრეზიდენტის ფუნქციების გაზრდა;

– ეროვნული თავდაცვის საბჭო სტატუსი, რომელიც არ არის მუდმივმოქმედი ორგანო და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იწყებს ფუნქციონირებას, ასევე მისი შემადგენლობა;

– პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამ პროცესზე მიბმული სისხლისამართლებრივი დევნა;

– მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობებში პრეზიდენტის არცთუ ძლიერი პოზიცია;

– საკონსტიტუციო სასამართლოს, აგრეთვე სხვა სასამართლოს მოსამართლეებისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, მათი უფლებამოსილების ვადის გაუთვალისწინებლობა კონსტიტუციის მიერ;

– უზენაესი სასამართლოს მიერ საეალდებულო ხასიათის ნორმის განმმარტავი დადგენილებების გამოცემა რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის პირობებში.

– შექმნილია სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო ომბუდსმენისა და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ომბუდსმენის ინსტიტუტები. ასევე შესაძლებელია სპეციალური ომბუდსმენების არჩევა კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებებთან დაკავშირებით.

მიღებულია 1949 წელს

კონსტიტუციურ სახელმწიფოზე მშვიდობიანი პოლიტიკური გადასვლის უზრუნველყოფის, მრავალპარტიული სისტემის, საპარლამენტო დემოკრატიისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის დაფუძნების მიზნით, უნგრეთის რესპუბლიკის პარლამენტი ადგენს ამ ტექსტს, როგორც უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, სანამ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია იქნება დამტკიცებული.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უნგრეთის სახელმწიფო წარმოადგენს რესპუბლიკას.

მუხლი 2. (1) უნგრეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი, დემოკრატიული, კონსტიტუციური სახელმწიფოა.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით.

(3) დაუშვებელია რომელიმე პიროვნების საქმიანობა მიმართული იყოს ძალადობრივი გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდების ან განხორციელებისკენ. ყველას აქვს უფლება და აკისრია ვალდებულება კანონიერი გზით წინ აღუდგეს ამგვარ საქმიანობას.

მუხლი 2/ა. (1) ხელშეკრულების საფუძველზე უნგრეთის რესპუბლიკა, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოს შესაძლებლობით, უფლებამოსილია განახორციელოს კონსტიტუციური უფლებამოსილება ერთობლივად სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ევროპის კავშირისა და ევროპის გაერთიანების (შემდგომში – ევროკავშირი) დაფუძნების ხელშეკრულებებით დადგენილ უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით; ეს უფლებამოსილებანი აღსრულდება დამოუკიდებლად ან ევროკავშირის დაწესებულებების მეშვეობით.

¹ თარგმანისას გამოყენებულია უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.mkab.hu/en/enpage5.htm გამოქვეყნებული უნგრეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

(2) პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიკაცია და პრომულგაცია უნდა განხორციელდეს პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედით.

მუხლი 3. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური პარტიების შექმნა და ფუნქციონირება თავისუფალია კონსტიტუციითა და კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონების შესაბამისად.

(2) პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ხალხის ნება-სურვილის ჩამოყალიბებასა და გამოხატვაში.

(3) პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლება განახორციელოს უშუალოდ. შესაბამისად არც ერთ პარტიას არ შეუძლია ექსკლუზიურად განახორციელოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მართვა. პარტიების განცალკევებისა და ხელისუფლების დანაწილების უზრუნველყოფის მიზნით, კანონით უნდა იქნეს დადგენილი ის თანამდებობები და საქმიანობები, რომელთა დაკავებაც დაუშვებელია პარტიის წევრის ან პარტიული თანამდებობის პირის მიერ.

მუხლი 4. პროფესიული კავშირები და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოები იცავენ და წარმოადგენენ დაჭირავებულთა, კოოპერატივების წევრთა და მომხმარებელთა ინტერესებს.

მუხლი 5. უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ხალხის თავისუფლებასა და სუვერენიტეტს, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, აგრეთვე მის ეროვნულ საზღვრებს, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 6. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უარყოფს ომს, როგორც ერთა შორის დავების გადაწყვეტის საშუალებას და თავს იკავებს შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა ისწრაფვის მსოფლიოს ყველა ხალხთან და ქვეყანასთან თანამშრომლობისაკენ.

(3) უნგრეთის რესპუბლიკა აცნობიერებს პასუხისმგებლობას იმ უნგრელთა ბედზე, რომლებიც მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ და ხელს უწყობს მათ ურთიერთკავშირს უნგრეთთან.

(4) უნგრეთის რესპუბლიკა ევროპის ხალხთა თავისუფლების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მიღწევის გზით აქტიურ მონაწილეობას იღებს ევროპული თანასაზოგადოების ჩამოყალიბებაში.

მუხლი 7. (1) უნგრეთის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემა ცნობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის პარმონიზაციას საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან.

(2) კანონშემოქმედების პროცესი წესრიგდება კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 8. (1) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს ადამიანის ხელშეუხებელ და წარუვალ ადამიანის ძირითად უფლებებს. ამ უფლებათა პატივისცემა და დაცვა სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში ადამიანის ძირითად უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება კანონით; დაუშვებელია ამგვარმა კანონმა შეზღუდოს ძირითადი უფლებების შინაარსი.

(3) *ამოღებულია.*

(4) ადამიანის ძირითად უფლებათა განხორციელება ეროვნული კრიზისული მდგომარეობის, საგანგებო მდგომარეობის ან საფრთხის მდგომარეობის დროს შეიძლება დროებით შეჩერებულ ან შეზღუდულ იქნეს, გარდა 54-56-ე მუხლებში, 57-ე მუხლის (2)-(4) პუნქტებში, მე-60, 66-69-ე მუხლებსა და 70/ე მუხლში განსაზღვრული უფლებებისა.

მუხლი 9. (1) უნგრეთის ეკონომიკა არის საბაზრო ეკონომიკა, რომელშიც სახელმწიფო და კერძო საკუთრება კანონის მიერ თანაბარი დამოკიდებულებითა და დაცვით სარგებლობს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და ხელს უწყობს სამომხმარებლო უფლებასა და თავისუფალ კონკურენციას ეკონომიკაში.

მუხლი 10. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ქონება წარმოადგენს ეროვნულ საკუთრებას.

(2) საკუთრების ის სფეროები და ეკონომიკური საქმიანობა, რომლებიც სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება, განისაზღვრება კანონით.

მუხლი 11. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ და პასუხისმგებელნი არიან კანონით დადგენილი ფორმით.

მუხლი 12. (1) სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი გაერთიანების საფუძველზე შექმნილ კოოპერატივებს და აღიარებს მათ ავტონომიურობას.

(2) სახელმწიფო პატივს სცემს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებას.

მუხლი 13. (1) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და იცავს საკუთრების უფლებას.

(2) საკუთრების ექსპროპრიაცია დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ამგვარი მოქმედება განპირობებულია სახელმწიფო ინტერესით და მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და ფორმით, სრული, უპირობო და დაუყოვნებლივი კომპენსაციის პრინციპით.

მუხლი 14. კონსტიტუცია აღიარებს და იცავს მემკვიდრეობის უფლებას.

მუხლი 15. უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს.

მუხლი 16. უნგრეთის რესპუბლიკა იჩენს განსაკუთრებულ ძალისხმევას ახალგაზრდობის ცხოვრების ღონის, აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად, იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს.

მუხლი 17. უნგრეთის რესპუბლიკა სოციალური ღონისძიებების ფართო სპექტრის მეშვეობით უზრუნველყოფს დახმარებას იმ პირთათვის, რომლებიც ამგვარ დახმარებას საჭიროებენ.

მუხლი 18. უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას.

თავი II. პარლამენტი

მუხლი 19. (1) პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანო უნგრეთის რესპუბლიკაში.

(2) პარლამენტი სახალხო სუვერენიტეტზე დაფუძნებული თავისი უფლებების განხორციელებით უზრუნველყოფს კონსტიტუციურ წესრიგს საზოგადოებაში და განსაზღვრავს მმართველობის ორგანიზაციას, განვითარებას და პირობებს.

(3) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პარლამენტი:

ა) ამტკიცებს უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას;

ბ) იღებს კანონებს;

გ) განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას;
დ) განსაზღვრავს სახელმწიფო ფინანსების ბალანსს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტსა და მის აღსრულებას;

ე) გადაწყვეტილებას იღებს სამთავრობო პროგრამის შესახებ;

ვ) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია უნგრეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობებისათვის;

ზ) გადაწყვეტილებას იღებს საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და ზავის დადების შესახებ;

თ) აცხადებს ეროვნული კრიზისულ მდგომარეობას და საომარი მდგომარეობის ან სხვა ქვეყნის ძალების მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის საფრთხის (საომარი საფრთხის) არსებობისას ქმნის ეროვნული თავდაცვის საბჭოს;

ი) აცხადებს საგანგებო მდგომარეობას იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეიარაღებულ მოქმედებებს კონსტიტუციური წესრიგის დასაზოხად ან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ან როდესაც ხდება ძალადობრივი ქმედებები იარაღის გამოყენებით ან შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და საკუთრებას ფართო მასშტაბით, აგრეთვე ბუნებრივი ან საწარმოო კატასტროფების შემთხვევაში;

კ) კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, იღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე, სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების უნგრეთის ტერიტორიაზე ან უნგრეთის ტერიტორიის გამოყენებით სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგების თაობაზე, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიებსა და ჰუმანიტარულ ოპერაციებში შეიარაღებული ძალების მონაწილეობის თაობაზე, საზღვარგარეთ შეიარაღებული ძალების ყოფნის ან სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უნგრეთში ყოფნის თაობაზე;

ლ) ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, საპარლამენტო ომბუდსმენს, სახელმწიფო აუდიტორული პალატის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორს;

მ) მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც თავდაპირველად შეფასებისათვის წარედგინება საკონსტიტუციო სასამართლოს, დაითხოვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს, რომელთა საქმიანობაც ცნობილ იქნება ანტიკონსტიტუციურად; გადაწყვეტილებას იღებს ოლქების ტერიტორიის განსაზღვრის, მათი დასახელებისა და დედა-

ქალაქის თაობაზე, აგრეთვე ანიჭებს ქალაქებს ოლქის სტატუსსა და უფლებებს, ქმნის დელაქალაქის ოლქებს;

6) აცხადებს საყოველთაო ამნისტიას.

(4) მე-3 პუნქტის „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) ამოღებულია

(6) მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 19/ა. (1) იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში წარმოიშობა წინააღმდეგობა აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას, რეპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა, ეროვნული კრიზისული მდგომარეობა და შექმნას ეროვნული თავდაცვის საბჭო ან გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა.

(2) გადაწყვეტილებების მიღებისას პარლამენტში წინააღმდეგობა წარმოშობილად ჩაითვლება, თუ პარლამენტი არ არის შეკრებილი და მისი მოწვევა შეუძლებელია დროის სიმციროს ან რაიმე მოვლენის გამო, რაც გახდა საომარი მდგომარეობის, ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზი.

(3) პარლამენტის სპიკერი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ერთობლივად განსაზღვრავენ პარლამენტში წინააღმდეგობის წარმოშობის ფაქტის, აგრეთვე საომარი მდგომარეობის, ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლიანობას.

(4) წარმოშობილი წინააღმდეგობის ამოწურვის შემდეგ მომდევნო პირველივე შეკრებაზე პარლამენტი განიხილავს საომარი მდგომარეობის, ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლიანობის საკითხს და ადგენს განხორციელებული ღონისძიებების კანონიერებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 19/ბ. (1) საომარი მდგომარეობის განმავლობაში ეროვნული თავდაცვის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს:

ა) ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე სამშვიდობო მისი-

ებსა და პუმანიტარულ ოპერაციებში შეიარაღებული ძალების მონაწილეობის თაობაზე, სხვა ქვეყანაში შეიარაღებული ძალების ყოფნის თაობაზე;

ბ) სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების უნგრეთის ტერიტორიაზე ან უნგრეთის ტერიტორიის გამოყენებით სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგების თაობაზე, სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უნგრეთში ყოფნის თაობაზე;

გ) საგანგებო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც დადგენილია ცალკე კანონით.

(2) ეროვნული თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობს პრეზიდენტი და იგი შედგება პარლამენტის სპიკერის, პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ფრაქციათა ხელმძღვანელების, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან, აგრეთვე სათათბირო ხმის უფლებით მის შემადგენლობაში შედის უნგრეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი.

(3) ეროვნული თავდაცვის საბჭო ახორციელებს:

ა) უფლებამოსილებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს პარლამენტისგან;

ბ) უფლებამოსილებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტისგან;

გ) უფლებამოსილებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს მთავრობისგან.

(4) ეროვნული თავდაცვის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დეკრეტები, რომლითაც შეიძლება შეჩერდეს კონკრეტული კანონების მოქმედება ან გაუქმდეს კონკრეტული კანონების ცალკეული დებულებანი. გარდა ამისა, უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ექსტრაორდინალური ღონისძიებები, თუმცა არ არის უფლებამოსილი შეაჩეროს კონსტიტუციის მოქმედება.

(5) ეროვნული თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტები იურიდიულ ძალას კარგავენ ეროვნული კრიზისული მდგომარეობის გაუქმებისთანავე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დეკრეტების მოქმედება გაგრძელებულ იქნება პარლამენტის მიერ.

(6) საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შეზღუდვა დაუშვებელია ეროვნული კრიზისული მდგომარეობის განმავლობაში.

მუხლი 19/გ. (1) იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში წარმოიშობა წინააღმდეგობა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე 40/ბ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

(2) საგანგებო მდგომარეობისას რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია დეკრეტის გამოცემით განახორციელოს საგანგებო ღონისძიებები, რომლებიც დადგენილია ცალკე კანონით.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს პარლამენტის სპიკერს მის მიერ განხორციელებული საგანგებო ღონისძიებების შესახებ. პარლამენტი ან, თუ პარლამენტში წარმოიშობილი წინააღმდეგობა, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი შეკრებილი უნდა დარჩეს სესიაზე მთელი საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში. პარლამენტი ან პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი უფლებამოსილია შეაჩეროს საგანგებო ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით დადგენილი საგანგებო ღონისძიებები ძალას ინარჩუნებს ოცდაათი დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი მოქმედება გაგრძელდა პარლამენტის ან პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის მიერ.

(5) სხვა შემთხვევებში საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოიყენება ეროვნული კრიზისული მდგომარეობის მომწესრიგებელი წესები.

მუხლი 19/დ. კანონი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული კრიზისული მდგომარეობისა და საგანგებო მდგომარეობის მომწესრიგებელ კონკრეტულ წესებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 19/ე. (1) უნგრეთის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს შვიარადებული ძალების მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, ამ თავდასხმის საპასუხოდ საგანგებო მდგომარეობის ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებამდე, მთავრობისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული თავდაცვის გეგმის შესაბამისად იმ ძალების მიერ, რომლებიც თანაბარზომიერი და სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილი არიან წინააღმდეგობის გასაწევად, ხორციელდება დაუყოვნებელი ღონისძიებები, რათა დაცულ იქნეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნგრეთის და მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მიერ, უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციური წესრიგი, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოება, დაცულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება.

(2) შემდგომი ღონისძიებების განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობა დაუყოვნებლივ ატყობინებს პარლამენტსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

(3) კანონი, რომელიც განსაზღვრავს დაუყოვნებელი ღონისძიებების განხორციელების მომწესრიგებელ წესებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 20. (1) პარლამენტის წევრთა საყოველთაო არჩევნები, გარდა იმ არჩევნებისა, რომელიც იმართება პარლამენტის თვითდათხოვნის შესახებ დეკლარაციის მიღების ან პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში, უნდა გაიმართოს წინა პარლამენტის არჩევიდან მეოთხე წლის აპრილის ან მაისის თვეში.

(2) პარლამენტის წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

(3) პარლამენტის წევრები აღჭურვილი არიან საპარლამენტო იმუნიტეტით, პარლამენტის წევრის სტატუსის განმსაზღვრელი კანონის დებულებათა შესაბამისად.

(4) პარლამენტის წევრები უფლებამოსილი არიან მიიღონ კომპენსაცია, რომელიც საჭირო იქნება მათი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სხვა შეღავათები და დანამატები მათი ხარჯების დასაფარავად. კანონი, რომელიც განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას, შეღავათებსა და ხარჯების დასაფარავი დანამატების ოდენობას, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) დაუშვებელია პარლამენტის წევრი იმავდროულად იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამოქალაქო უფლებათა ომბუდსმენი, სახელმწიფო აუდიტორული პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან აუდიტორი, მოსამართლე ან პროკურორი, სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი — მთავრობის წევრებისა და საპარლამენტო სახელმწიფო მდივნების გარდა, აგრეთვე შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პროფესიონალი პირი, პოლიციისა და უშიშროების ორგანოების პროფესიონალი თანამშრომელი. თანამდებობრივი შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება კანონით.

(6) კანონი, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის წევრის სამართლებრივ სტატუსს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 20/ა. (1) პარლამენტის წევრის მანდატი წყდება:

ა) შესაბამისი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას;

ბ) გარდაცვალებისას;

გ) თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადასტურებისას;

დ) გადადგომისას;

ე) საარჩევნო უფლების დაკარგვისას.

(2) კანონი, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(3) პარლამენტის წევრი უფლებამოსილია გადადგეს ამის შესახებ პარლამენტისათვის განცხადების წარდგენის მეშვეობით. ამ განცხადების მიღების თაობაზე პარლამენტის მიერ სპეციალური განცხადება არ არის სავალდებულო გადადგომის ძალაში შესვლისათვის.

მუხლი 21. (1) პარლამენტი თავის წევრთაგან ირჩევს პარლამენტის სპიკერს, ვიცე-სპიკერებსა და მდივნებს.

(2) პარლამენტი თავის წევრთაგან ქმნის მუდმივ კომიტეტებს და უფლებამოსილია დაავალოს კომიტეტს ნებისმიერი საკითხის შესწავლა.

(3) ყველა ვალდებულია პარლამენტის კომიტეტს წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია და მისცეს ჩვენება.

მუხლი 22. (1) პარლამენტი ყოველწლიურად იკრიბება ორ მორიგ სესიაზე: ყოველი წლის პირველი თებერვლიდან 15 ივნისამდე და პირველი სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე.

(2) პარლამენტის დამფუძნებელი სხდომა იმართება რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწვევით არჩევნიდან ერთი თვის განმავლობაში; ყველა სხვა შემთხვევაში პარლამენტის სესიის მოწვევასა და კონკრეტული სხდომის გამართვაზე პასუხისმგებელია პარლამენტის სპიკერი.

(3) პარლამენტის საგანგებო სხდომა მოიწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მთავრობის ან პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი მიმართვით. ამგვარი მიმართვა უნდა შეიცავდეს საგანგებო სხდომის მოწვევის საფუძველს, აგრეთვე თარიღსა და დღის წესრიგს.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია გადადოს პარლამენტის სხდომა საპარლამენტო სესიის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ და არა უმეტეს ოცდაათი დღით.

(5) სხდომის ამგვარი გადადების განმავლობაში პარლამენტის სხდომა მოიწვევა სპიკერის მიერ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით, ამგვარი მოთხოვნის გადაცემიდან არა უგვიანეს რვა დღის განმავლობაში.

მუხლი 23. პარლამენტის სხდომები საჯაროა. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან ნებისმიერი პარლამენტის წევრის მოთხოვნითა და პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობის თანხმობით პარ-

ლაშქრობის უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის გამართვის თაობაზე.

მუხლი 24. (1) პარლამენტი უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

(2) პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

(3) კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, აგრეთვე მასში განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) პარლამენტის საქმიანობის წესი და განხილვის პროცედურები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით. პარლამენტის რეგლამენტი მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) ამოღებულია.

მუხლი 25. (1) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობას, საპარლამენტო კომიტეტსა და პარლამენტის წევრს.

(2) კანონის მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ პარლამენტს.

(3) პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ხელმოწერილ იქნება პარლამენტის სპიკერის მიერ, რის შემდეგაც ეგზავნება რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მუხლი 26. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი უზრუნველყოფს კანონის გამოქვეყნებას მისთვის გადაცემიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში, ან ხუთი დღის განმავლობაში, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის სპიკერი საკითხის გადაუდებლობიდან გამომდინარე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს მასთან გამოსაქვეყნებლად წარგზავნილ კანონს. კანონი ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

(2) იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ ეთანხმება კანონს ან კანონის რომელიმე დებულებას, იგი უფლებამოსილია თავისი შენიშვნებით შესთავაზოს იგი პარლამენტს ხელმეორე განხილვისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

(3) პარლამენტი ხელმეორედ განიხილავს და კენჭს უყრის კანონს. ამის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს პარლამენტის სპიკერის მიერ მისთვის გაგზავნილ კანონს და უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას ხუთი დღის განმავლობაში.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ კანონის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კანონის ხელმოწერამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტით ხელმოწერისათვის განსაზღვრულ ვადაში, ამგვარი კანონი განსახილველად გადაუგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

(5) იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თავის სპეციალურ სხდომაზე დაადასტურებს კანონის ანტიკონსტიტუციურობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი უკან დაუბრუნებს პარლამენტს ამგვარ კანონს; ყველა სხვა შემთხვევაში იგი ვალდებულია ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს კანონი ხუთი დღის ვადაში.

(6) ეროვნულ რეფერენდუმზე გატანილ კანონს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცებულ იქნება ეროვნული რეფერენდუმით.

მუხლი 27. ყველა პარლამენტის წევრი უფლებამოსილია შეკითხვით მმართველ სახელმწიფო უფლებების ომბუდსმენსა და ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების ომბუდსმენს, სახელმწიფო აუდიტორული პალატის თავმჯდომარესა და უნგრეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, მთავრობას ან მთავრობის რომელიმე წევრს, აგრეთვე გენერალურ პროკურორს მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

მუხლი 28. (1) პარლამენტის უფლებამოსილება იწყება მისი დამფუძნებელი სხდომის გამართვიდან.

(2) პარლამენტი უფლებამოსილია დეკლარაციით განაცხადოს თავისი თვითდათხოვნის შესახებ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი იმავდროულად არჩევნების დანიშვნით, თუ

ა) პარლამენტი თავის ერთი და იმავე მოწვევის პირობებში თორმეტი თვის განმავლობაში ოთხჯერ მაინც გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობის ვოტუმს; ან

ბ) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარდგენილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი არ იქნება არჩეული პარლამენტის მიერ პირველი კანდიდატის წარდგენიდან ორმოცი დღის განმავლობაში.

(4) *ამოღებულია*

(5) პარლამენტის დათხოვნამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია მოისმინოს პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის სპიკერისა და პარლამენტში

წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ფრაქციათა ხელმძღვანელების მოსაზრებები.

(6) ახლი პარლამენტი არჩეულ უნდა იქნეს პარლამენტის თვითდათხოვნის შესახებ დეკლარაციის მიღებიდან ან პარლამენტის დათხოვნიდან სამი თვის განმავლობაში.

(7) პარლამენტი განაგრძობს საქმიანობას ახალი პარლამენტის დამფუძნებელი სხდომის გამართვამდე.

მუხლი 28/ა. (1) ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის თვითდათხოვნის შესახებ დეკლარაციის მიღება ან პარლამენტის დათხოვნა დაუშვებელია.

(2) იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს, უფლებამოსილების ვადა გაგრძელდება ეროვნული კრიზისული მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე.

(3) საომარი მდგომარეობის, ან საომარი საფრთხის ან საგანგებო მდგომარეობის საფრთხის არსებობისას რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია ხელახლა შეკრიბოს პარლამენტი, რომელმაც მანამდე დეკლარაციით განაცხადა თვითდათხოვნის შესახებ, ან რომელიც დათხოვნილ იქნა.

მუხლი 28/ბ. (1) ეროვნული რეფერენდუმის ან სახალხო ინიციატივის საგანი შეიძლება გახდეს პარლამენტის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხი.

(2) კანონი, რომელიც აწესრიგებს ეროვნულ რეფერენდუმსა და სახალხო ინიციატივებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 28/გ. (1) ეროვნული რეფერენდუმი იმართება გადაწყვეტილების მისაღებად ან აზრის გამოსახატავად. ეროვნულ რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ან სარეკომენდაციო ხასიათისაა.

(2) ეროვნული რეფერენდუმი იმართება არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

(3) იმ შემთხვევაში თუ ეროვნული რეფერენდუმი სავალდებულო ხასიათისაა, მასზე მიღებული გადაწყვეტილება პარლამენტისთვის შესასრულებლად სავალდებულოა.

(4) სარეკომენდაციო ხასიათის ეროვნული რეფერენდუმი ინიშნება პარლამენტის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევ-

რთა არანაკლებ ერთი მესამედის ან არანაკლებ 100 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

(5) ეროვნული რეფერენდუმის გამართვა დაუშვებელია შემდეგ საკითხებზე:

ა) ცენტრალური ბიუჯეტის, ცენტრალური ბიუჯეტის აღსრულების, გადასახადებისა და მთავრობის წინაშე სხვა ვალდებულებების, საბაჟო ტარიფების, აგრეთვე ცენტრალიზებული პირობებით დადგენილი ადგილობრივი გადასახადების შესახებ კანონებთან დაკავშირებით;

ბ) ვალდებულებებზე, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე ამგვარი ვალდებულებების შემცველი კანონების შინაარსთან დაკავშირებით;

გ) ეროვნული რეფერენდუმისა და სახალხო ინიციატივის შესახებ კონსტიტუციის დებულებებთან დაკავშირებით;

დ) პარლამენტის უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკადრო და ორგანიზაციულ (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია) საკითხებთან დაკავშირებით;

ე) პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით;

ვ) სამთავრობო პროგრამასთან დაკავშირებით;

ზ) საომარი მდგომარეობის, საგანგებო მდგომარეობის ან ეროვნული კრიზისული მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით;

თ) ქვეყნის საზღვრებს გარეთ ან მის შიგნით შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნასთან დაკავშირებით;

კ) ამნისტიასთან დაკავშირებით.

(6) კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად გამართულ ეროვნულ რეფერენდუმზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ ეროვნულ რეფერენდუმზე დასმულ კითხვას ერთიდაიგივე პასუხს გასცემს რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ ქვეყანაში საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედისა.

მუხლი 28/დ. ეროვნული სახალხო ინიციატივის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 000 მოქალაქეს. ეროვნული სახალხო ინიციატივის მიზანია პარლამენტის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის პარლამენტის დღის წესრიგში განსახილველად დაყენება. პარლამენტი ვალდებულია განიხილოს ეროვნული სახალხო ინიციატივით განსაზღვრული საკითხი.

მუხლი 28/ე. ეროვნული რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი სამოქალაქო ინიციატივის წარდგენიდან ოთხი თვის, ხოლო ეროვნული სახალხო ინიციატივის წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში.

თავი III. რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 29. (1) უნგრეთის სახელმწიფოს მეთაურია რესპუბლიკის პრეზიდენტი. რომელიც განასახიერებს ერის ერთიანობასა და ზედამხედველობს სახელმწიფოს დემოკრატიულ საქმიანობას.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალია.

მუხლი 29/ა. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ხუთი წლის ვადით.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე უნგრეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღემდე უკვე მიიღწია ოცდათხუთმეტი წლის ასაკს.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება ამავე თანამდებობაზე ხელმოირიდ არჩეულ იქნეს არაუმეტეს ერთხელ.

მუხლი 29/ბ. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევას წინ უძღვის მისი კანდიდატურის დასახელება. ამგვარი კანდიდატურის დასახელებისათვის საჭიროა არანაკლებ ორმოცდაათი პარლამენტის წევრის წერილობითი წარდგინება. კანდიდატურა წარედგინება პარლამენტის სპიკერს კენჭისყრის დანიშნამდე. პარლამენტის თითოეული წევრი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს არაუმეტეს ერთი კანდიდატის წარდგინებას. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრის მიერ მხარდაჭერილ იქნება ერთზე მეტი კანდიდატის წარდგინება, ამ პარლამენტის წევრის მიერ განხორციელებული ყველა წარდგინება ბათილად ითვლება.

(2) პარლამენტი რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ფარული კენჭისყრით. აუცილებლობის შემთხვევაში კენჭისყრა შეიძლება განმეორდეს. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნება კანდიდატი, რომელიც კენჭისყრის პირველ ტურში მიიღებს პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობას.

(3) იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ამგვარ უმრავლესობას, იმართება განმეორებითი კენჭისყრა პირველი პუნქტის შესაბამისად. პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამე-

დის უმრავლესობის მიღება საჭიროა აგრეთვე კენჭისყრის მეორე ტურშიც რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად.

(4) იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო უმრავლესობას, იმართება კენჭისყრის მესამე ტური. კენჭისყრის მესამე ტურში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც მეორე ტურში მიიღეს ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა. კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრის მესამე ტურში ხმათა უმრავლესობას, მიუხედავად კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობისა, არჩეულ იქნება რესპუბლიკის პრეზიდენტად.

(5) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების პროცესი უნდა დასრულდეს არაუმეტეს სამი ერთმანეთის მომდევნო დღის განმავლობაში.

მუხლი 29/გ. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს წინამორბედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღით ადრე, ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტის სპიკერი.

მუხლი 29/დ. ახალარჩეული პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს წინამორბედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მერვე დღეს. თანამდებობის დაკავებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე დებს ფიცს.

მუხლი 29/ე. (1) იმ შემთხვევაში, როდესაც დროებითი გართულებების გამო რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ან მისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, პარლამენტის სპიკერი ასრულებს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას, სანამ ახალარჩეული პრეზიდენტი დაიკავებს თანამდებობას. ამგვარი უფლებამოსილება შეზღუდულია და პარლამენტის სპიკერს უფლება არ აქვს კანონპროექტი ხელმეორედ განსახილველად დააბრუნოს პარლამენტში, ან მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონპროექტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად, ასევე არ არის უფლებამოსილი დაითხოვოს პარლამენტი და უფლებამოსილია მხოლოდ შეიწყალოს ის მსჯავრდებულნი, რომელთა მიმართაც განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შესრულებისას პარლამენტის სპიკერი უფლებამოსილი არ არის განახორციელოს პარლამენ-

ტის წევრის ფუნქციები და მისი, როგორც პარლამენტის სპიკერის უფლებამოსილებას ახორციელებს პარლამენტის მიერ დანიშნული სპიკერის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 30. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ თანამდებობასთან ან უფლებამოსილებასთან. რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაო ან მიიღოს რაიმე შემოსავალი სხვა საქმიანობიდან, გარდა საერთო უფლებებით დაცული საქმიანობისა.

(2) კანონი, რომელიც განსაზღვრავს რესპუბლიკის პრეზიდენტის კომპენსაციის ოდენობას, შეღავათებსა და ხარჯების დასაფარავი დანამატების ოდენობას, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 30/ა. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი:

ა) წარმოადგენს უნგრეთის რესპუბლიკას;

ბ) უნგრეთის რესპუბლიკის სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს პარლამენტის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხს, ხელშეკრულების დადებამდე საჭიროა პარლამენტის წინასწარი თანხმობა;

გ) ნიშნავს და იღებს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებსა და წარგზავნილებს;

დ) ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საყოველთაო არჩევნებს, მერების არჩევნებსა და ევროპარლამენტის არჩევნების თარიღს, აგრეთვე ეროვნული რეფერენდუმის თარიღს;

ე) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს და სიტყვით გამოვიდეს პარლამენტისა და მისი კომიტეტების სხდომებზე;

ვ) უფლებამოსილია პეტიციით მიმართოს პარლამენტს მოქმედების დასაწყებად;

ზ) უფლებამოსილია მოითხოვოს რეფერენდუმის გამართვა;

თ) სპეციალური კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო მდივნებს;

ი) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნგრეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს; აგრეთვე უნივერსიტეტების პროფესორებს სპეციალური კანონით განსაზღვრული პირების ან ორგანიზაციების წარდგინებით; თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტების რექტორებს; ნიშნავს და აწინაურებს შეიარაღებული ძალების გენერლებს; ამტკიცებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს;

კ) კანონით დადგენილი წესით ანიჭებს წოდებებს, ორდენებსა და ჯილდოებს და აძლევს მათი ტარების უფლებას;

ლ) ახორციელებს პერსონალური შეწყალების უფლებას;

მ) გადაწყვეტილებას იღებს მოქალაქეობის საკითხებზე;

ნ) გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური კანონით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ყველა სხვა საკითხზე;

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ღონისძიებების ან მოქმედებების განხორციელებისათვის, გარდა „ა“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა, საჭიროა პრემიერ-მინისტრის ან პასუხისმგებელი მინისტრის კონტრასიგნაცია.

მუხლი 31. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას;

ბ) პრეზიდენტის გარდაცვალებისას;

გ) ოთხმოცდაათ დღეზე მეტი ვადის განმავლობაში უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას;

დ) თანამდებობრივი შეუთავსებლობისას;

ე) გადადგომისას;

ვ) თანამდებობიდან გადაყენებისას.

(2) იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოიშობა თანამდებობრივი შეუთავსებლობა, პარლამენტის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მიმართოს პარლამენტს თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ დეკლარაციის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამგვარი დადგენილების მისაღებად საჭიროა პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობის მხარდაჭერა. კენჭისყრა ფარულია.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადადგეს ამის შესახებ პარლამენტისათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის შემდეგ. პარლამენტი სპეციალური განცხადებით ადასტურებს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მისთვის გადადგომის მოთხოვნით მიმართვის ნამდვილობას. თხუთმეტი დღის განმავლობაში პარლამენტი უფლებამოსილია მოითხოვოს რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან გადადგომის თაობაზე გადაწყვეტილების გადასინჯვა. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას გადადგომის თაობაზე, პარლამენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს მისი გადადგომა.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში კონსტიტუციის ან მოქმედი კანონის განზრახ დარღვევისათვის.

მუხლი 31/ა. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია; მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის წესი განისაზღვრება კანონით.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობაზე ყოფნისას რესპუბლიკის პრეზიდენტი დაარღვევს კონსტიტუციას ან კანონს, პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედის მიერ მხარდაჭერილი დადგენილებით შეიძლება დადგეს საკითხი რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების თაობაზე.

(3) იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად საჭიროა პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობის მხარდაჭერა. კენჭისყრა ფარულია.

(4) იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების თაობაზე დადგენილების მიღებიდან იმპიჩმენტის პროცედურის დასრულებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს თავისი თანამდებობრივი უფლებამოვალეობანი.

(5) ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას.

(6) იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაირღვა კანონი, იგი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.

(7) *აძოლებულია.*

(8) *აძოლებულია.*

მუხლი 32. (1) იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო მის თანამდებობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების შესახებ დებულებები. ამ შემთხვევაში ბრალდება წარდგენილ უნდა იქნეს პარლამენტის წევრთაგან არჩეული სპეციალური პროკურორის მიერ.

(2) ყველა სხვა შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება დაიშვება მხოლოდ მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ.

(3) იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დამნაშავედ ცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტს განზრახი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, იგი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი და მის მიმართ იმავდროულად გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსით შესაბამისი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა.

თავი IV. საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 32/ა. (1) საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, აგრეთვე ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

(2) საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს კანონი ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელსაც იგი ჩათვლის ანტიკონსტიტუციურად.

(3) ნებისმიერი პირი უფლებამოსილია საქმის განხილვის მოთხოვნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

(4) საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პარლამენტის მიერ არჩეული თერთმეტი წევრისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კანდიდატურების დასახელება ხდება საინიციატივო კომისიის მიერ, რომელიც შედგება პარლამენტში წარმოდგენილი ყოველი პოლიტიკური პარტიის ფრაქციის თითო წარმომადგენლისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი აირჩევა პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები იმავდროულად იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან დაკავებული იყვნენ რაიმე პოლიტიკური საქმიანობით, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების სფეროში შემავალი საკითხების გადაწყვეტისა.

(6) კანონი, რომელიც აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოწყობასა და საქმიანობას, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

თავი V. სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო ომბუდსმენი და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ომბუდსმენი

მუხლი 32/ბ. (1) სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო ომბუდსმენი პასუხისმგებელია კონსტიტუციური უფლებების დარღვევის იმ შემთხვევების გამოძიებაზე ან გამოიძიების პროცესის დაწყების მოთხოვნაზე, რომელთა შესახებაც მისთვის ცნობილი გახდა, აგრეთვე მათი აღმოფხვრისათვის საერთო ან ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებების განხორციელების საკითხის დაყენების თაობაზე.

(2) ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ომბუდსმენი პასუხისმგებელია ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის იმ შემთხვევების გამოძიებაზე ან გამოიძიების პროცესის დაწყების მოთხოვნაზე, რომელთა შესახებაც მისთვის ცნობილი გახდა, აგრეთვე მათი

აღმოფხვრისათვის საერთო ან ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებების განხორციელების საკითხის დაყენების თაობაზე.

(3) ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გამოვიდეს საქმის აღძვრის ინიციატივით საპარლამენტო ომბუდსმენის მიერ გამოძიებულ საქმესთან დაკავშირებით.

(4) სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო ომბუდსმენი და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა ომბუდსმენი აირჩევა პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით. პარლამენტი უფლებამოსილია აგრეთვე აირჩიოს სპეციალური ომბუდსმენი კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებებთან დაკავშირებით.

(5) ამოღებულია.

(6) საპარლამენტო ომბუდსმენები ყოველწლიურად წარუდგენენ პარლამენტს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(7) კანონი საპარლამენტო ომბუდსმენის შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

თავი VI. სახელმწიფო აუდიტორული პალატა და უნგრეთის ეროვნული ბანკი

მუხლი 32/ვ. (1) სახელმწიფო აუდიტორული პალატა წარმოადგენს პარლამენტის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია საფინანსო და ეკონომიკურ კონტროლზე. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იგი ზედამხედველობს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვას, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია გადასინჯოს სახელმწიფო ბიუჯეტის დასაბუთებულობის მიზანშეწონილობა; გადასინჯავს გასაწევი ხარჯების აუცილებლობასა და მიზნობრიობას; ახორციელებს იმ ხელშეკრულებათა კონტრასიგნაციას, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საბიუჯეტო კრედიტებთან; ამოწმებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი ხარჯვის კანონიერებას; ამოწმებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო ანგარიშებს; ზედამხედველობს სახელმწიფო ქონების განკარგვას, ამოწმებს სახელმწიფო საწარმოებს და მათ საქმიანობას, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ქონების მოვლისა და გაუმჯობესებისაკენ; ახორციელებს კანონით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

(2) სახელმწიფო აუდიტორული პალატა თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის პრინციპების საფუძველზე. სახელმწიფო აუდიტორული პალატა გაწეული აუდიტორული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს. ანგარიში საჯაროა. სახელმწიფო აუდიტორული პალატის თავმჯდომარე პარლამენტს წარუდ-

გენს საბოლოო ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემოწმების შესახებ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად.

(3) სახელმწიფო აუდიტორული პალატის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე აირჩევიან პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) კანონი, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო აუდიტორული პალატის მოწყობასა და საქმიანობის პრინციპებს მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 32/დ. (1) უნგრეთის ეროვნული ბანკი არის უნგრეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი. კანონმდებლობის შესაბამისად უნგრეთის ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ქვეყნის ფულად პოლიტიკას.

(2) უნგრეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ექვსი წლის ვადით.

(3) უნგრეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარდგება პარლამენტის წინაშე.

თავი VII. მთავრობა

მუხლი 33. (1) მთავრობა შედგება:

ა) პრემიერ-მინისტრისა და

ბ) მინისტრებისგან.

(2) პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს მიანიჭოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის უფლებამოსილება.

(3) პრემიერ-მინისტრი აირჩევა პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობით, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე. პარლამენტი ერთდროულად უყრის კენჭს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურასა და სამთავრობო პროგრამას.

(4) მინისტრები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

(5) მინისტრების დანიშვნის შემდეგ მთავრობა ჩამოყალიბებულად ითვლება. მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ მთავრობის წევრები ფიცს დებენ პარლამენტის წინაშე.

მუხლი 33/ა. მთავრობის უფლებამოსილება წყდება:

ა) ახალარჩეული პარლამენტის შეკრებისთანავე;

ბ) პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადადგომისას;

გ) პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებისას;

- დ) პრემიერ-მინისტრის საარჩევნო უფლების დაკარგვისას;
- ე) პრემიერ-მინისტრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადასტურებისას;
- ვ) იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მიიღებს უნდობლობის ვოტუმს პრემიერ-მინისტრისადმი და აირჩევს ახალ პრემიერ-მინისტრს 39/ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 33/ბ. მინისტრის უფლებამოსილება წყდება:

- ა) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე;
- ბ) მინისტრის გადადგომისას;
- გ) მინისტრის გადაყენებისას;
- დ) მინისტრის გარდაცვალებისას;
- ე) მინისტრის მიერ საარჩევნო უფლების დაკარგვისას;
- ვ) მინისტრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადასტურებისას.

მუხლი 34. უნგრეთის რესპუბლიკის სამინისტროები განისაზღვრება სპეციალური კანონით.

მუხლი 35. (1) მთავრობა:

- ა) იცავს კონსტიტუციურ წესრიგს, უზრუნველყოფს და იცავს ფიზიკური პირების, იურიდიული პირებისა და არარეგისტრირებული გაერთიანებების უფლებებს;
- ბ) უზრუნველყოფს კანონთა აღსრულებას;
- გ) წარმართავს და კოორდინაციას უწევს სამინისტროებისა და მისი უშუალო ზედამხედველობის სფეროში შემავალ სხვა ორგანოთა საქმიანობას;
- დ) შინაგან საქმეთა მინისტრთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას;
- ე) უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და მათ აღსრულებას;
- ვ) განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მეცნიერებისა და კულტურის განვითარების სფეროებში და უზრუნველყოფს მათი აღსრულებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;
- ზ) განსაზღვრავს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების სისტემას და უზრუნველყოფს შესაბამისი ფონდების შექმნას მათი დაფინანსებისათვის;

თ) ზედამხედველობის შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და უშიშროების სხვა ორგანოთა საქმიანობას;

ი) ახორციელებს აუცილებელ ღონისძიებებს სიცოცხლისა და საკუთრებისათვის საფრთხის შემქმნელი ბუნებრივი კატასტროფების (შემდგომში საფრთხის მდგომარეობა) თავიდან აცილებისა და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად;

კ) მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში, უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

(2) მთავრობა, მისი უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხებზე იღებს დეკრეტებსა და დადგენილებებს, რომლებიც ხელმოწერილ უნდა იქნეს პრემიერ-მინისტრის მიერ. მთავრობის დეკრეტი და დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. მთავრობის დეკრეტები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

(3) საფრთხის მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში მთავრობა, თუ პარლამენტი მიანიჭებს მას ამგვარ უფლებამოსილებას, უფლებამოსილია გამოსცეს დეკრეტი ან მიიღოს დადგენილება, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონის ცალკეულ დებულებებს. კანონი, რომელიც საფრთხის მდგომარეობას აწესრიგებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს ან შეცვალოს მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები ან ღონისძიებები, გარდა სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 36. მთავრობა თავის ფუნქციათა განხორციელებისას ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მუხლი 37. (1) პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს და უზრუნველყოფს მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულებას.

(2) მინისტრები, სამართლებრივი აქტების დებულებებისა და მთავრობის დადგენილებების შესაბამისად ხელმძღვანელობენ მათი სამინისტროს უფლებამოსილების სფეროში შემავალი სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაბამისი შტოს საქმიანობას და წარმართავენ მათდამი დაქვემდებარებულ სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას. მინისტრები სამინისტროს გარეშე (უპირ-

ტფელო მინისტრები) ახორციელებენ მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.

(3) თავიანთი უფლებამოსილებების აღსრულებისას მთავრობის წევრები უფლებამოსილი არიან გამოსცენ განკარგულებები. ამგვარი განკარგულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, აგრეთვე მთავრობის დეკრეტებსა და დადგენილებებს. განკარგულებები ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 38. ამოღებულია.

მუხლი 39. (1) მთავრობა თავის საქმიანობაზე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და მუდმივად წარუდგენს მას ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(2) მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან მთავრობისა და პარლამენტის წინაშე და მთავრობასა და პარლამენტს წარუდგენენ ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ. მთავრობის წევრებისა და სახელმწიფო მდივნების სამართლებრივი სტატუსი, კომპენსაცია და ანგარიშვალდებულების წესი წესრიგდება კანონით.

(3) მთავრობის წევრი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს და სიტყვით გამოვიდეს პარლამენტისა და კომიტეტის სხდომებზე.

მუხლი 39/ა. (1) პრემიერ-მინისტრისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება შეიძლება ინიცირებულ იქნეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე კანდიდატის დასახელებით პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მიერ. პრემიერ-მინისტრისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება ნიშნავს იმავდროულად მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრთა უმრავლესობა გამოხატავს უნდობლობის ვოტუმისადმი მხარდაჭერას, დასახელებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება.

(2) უნდობლობის ვოტუმის შესახებ საკითხის განხილვა და მასზე კენჭისყრა იმართება წინადადების წამოყენებიდან არაუადრეს სამი და არაუგვიანეს რვა დღისა.

(3) მთავრობა უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრის მეშვეობით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წამოაყენოს ნდობის ვოტუმის განხილვის საკითხი.

(4) მთავრობა უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრის მეშვეობით მოითხოვოს, რომ მის მიერ პარლამენტში შეტანილ საკითხზე კენჭისყრისას იმავდროულად გაიმართოს კენჭისყრა მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ.

(5) იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მხარს არ დაუჭერს მთავრობისათვის ამ მუხლის (3)-(4) პუნქტების შესაბამისად ნდობის გამოცხადებას, მთავრობა გადადგება.

მუხლი 39/ბ. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ინარჩუნებს უფლებამოსილებას და ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე აგრძელებს უფლება-მოვალეობათა განხორციელებას, თუმცა უფლებამოსილი არ არის დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და უფლება აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცეს დეკრეტები მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

მუხლი 39/გ. (1) იმ შემთხვევაში, როდესაც პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება შეწყდება ახლარჩეული პარლამენტის შეკრებასთან, პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადადგომასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი ინარჩუნებს უფლებამოსილებას ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევამდე, როგორც პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ უფლებამოსილი არ არის წამოაყენოს წინადადება მინისტრების დანიშვნის ან გათავისუფლების თაობაზე და უფლება აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცეს დეკრეტები მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება შეწყდება მის გარდაცვალებასთან, მის მიერ საარჩევნო უფლების დაკარგვასთან ან თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით, მის მიერ მოადგილედ დასახელებული ერთ-ერთი მინისტრი ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული შეზღუდვებით ახორციელებს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევამდე; თუ პრემიერ-მინისტრის მიერ მოადგილედ დასახელებულ იქნა ერთზე მეტი მინისტრი, მაშინ მის მოვალეობას ასრულებს ის მინისტრი, რომელიც პირველად იქნა დასახელებული.

მუხლი 40. (1) მთავრობა უფლებამოსილია სპეციალურ ამოცანათა შესასრულებლად შექმნას კომიტეტები.

(2) ამოღებულია.

(3) მთავრობა უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო ადმინისტრაციის ცალკეული შტოების თავის უშუალო დაქვემდებარებაში გადაყვანა და ამ მიზნით შექმნას ცალკეული სამთავრობო ორგანოები.

თავი VIII. შეიარაღებული ძალები და პოლიცია

მუხლი 40/ა. (1) შეიარაღებული ძალების (უნგრეთის არმია და სასაზღვრო დაცვის ძალები) ძირითად მოვალეობას ქვეყნის შეიარაღებული დაცვა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად კოლექტიური თავდაცვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს. სასაზღვრო დაცვის ძალები, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი, იცავენ ქვეყნის საზღვრებს, ზედამხედველობენ და აკონტროლებენ საზღვრის გავლით გადაადგილებას, აგრეთვე იცავენ წესრიგს საზღვარზე. კანონი, რომელიც განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელ კონკრეტულ წესებს, მიიღება პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(2) პოლიციის ძირითად მოვალეობას სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვა წარმოადგენს. კანონი პოლიციისა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიიღება პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 40/ბ. (1) ამოღებულია.

(2) კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეიარაღებული მოქმედებების განხორციელებისას, ან იარაღის გამოყენებით ან შეიარაღებული ჯგუფების მიერ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებისას, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და საკუთრებას ფართო მასშტაბით, კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს დასაშვებია შეიარაღებული ძალების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის ძალების გამოყენება არ არის საკმარისი.

(3) კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მხოლოდ პარლამენტი, რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული თავდაცვის საბჭო, მთავრობა ან შესაბამისი მინისტრია უფლებამოსილი უხელმძღვანელოს შეიარაღებულ ძალებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვაგვარად არის დადგენილი. შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობასთან და უნგრეთის შეიარაღებული ძალების მეთაურობასთან დაკავშირებული დებულებები წესრიგდება აქტით, რომელიც მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით. ამ აქტის მიღებამდე აღნიშნული საკითხები წესრიგდება მთავრობის დადგენილებით.

(4) შეიარაღებული ძალების, პოლიციის, აგრეთვე სამოქალაქო ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების შემადგენლობაში მყოფ პროფესიონალ თა-

ნამშრომლებს უფლება არა აქვთ იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან ეწეოდნენ რაიმე სახის პოლიტიკურ საქმიანობას.

(5) შეიარაღებული ძალების არაპროფესიონალი წევრების პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები შეიძლება დადგინდეს კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 40/ვ. მთავრობა უფლებამოსილია 19/ე მუხლის დებულებათა დაცვით ნება დართოს მოკავშირე შეიარაღებულ ძალებს, განაზორციელონ საპატრულო მისიები სამხედრო ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მონაწილეობით ქვეყნის ტერიტორიის დასაცავად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თავი IX. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 41. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორია დაყოფილია შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: დედაქალაქი, ოლქები, ქალაქები და კომუნები.

(2) დედაქალაქი იყოფა რაიონებად. ქალაქები აგრეთვე შეიძლება დაიყოს რაიონებად.

მუხლი 42. კომუნების, ქალაქების, დედაქალაქისა და მისი რაიონების, აგრეთვე ოლქების ადგილობრივ ამომრჩევლებს აქვთ თვითმმართველობის უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებელ, დემოკრატიულ გადაწყვეტასა და ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად აღსრულებას.

მუხლი 43. (1) ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი უფლებები თანაბარია 44/ა მუხლის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებანი შეიძლება იყოს განსხვავებული.

(2) ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებების კანონიერად აღსრულების შესაძლებლობა სამართლებრივად დაცულია სასამართლოების მიერ, ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მუხლი 44. (1) ადგილობრივი ამომრჩეველები ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი რეფერენდუმის მეშვეობით.

(2) მერებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა არჩევნები, გარდა შუალედური არჩევნების გამონაკლისი შემთხვევებისა, იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის წინა საყოველთაო არჩევნიდან მეოთხე წლის ოქტომბრის თვეში.

(3) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილება წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო არჩევნების დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო არჩევნები არ გაიმართება კანდიდატთა სიმციროს გამო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების ვადა გაგრძელდება მომდევნო შუალედური არჩევნების დღემდე. მერის უფლებამოსილება წყდება ახალი მერის არჩევის შემდეგ.

(4) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები უფლებამოსილი არიან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დეკლარაციით განაცხადონ თვითდათხოვნის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით დადგენილი პირობების დაცვით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების შეწყვეტა აგრეთვე იწვევს მერის უფლებამოსილების შეწყვეტასაც.

მუხლი 44/ა. (1) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად გადაწყვიტონ და აღასრულონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გადასინჯვას მხოლოდ კანონიერების ფარგლებში;

ბ) ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობას, დამოუკიდებლად განკარგავენ ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლებს, უფლებამოსილი არიან საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა;

გ) უფლებამოსილი არიან კანონით დადგენილი წესით მიმართონ ადგილობრივი შემოსავლები ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებათა შესასრულებლად და უფლებამოსილი არიან მოითხოვონ დამატებითი სახელმწიფო დახმარება, რაც საჭირო იქნება ამ ვალდებულებათა აღსასრულებლად;

დ) უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ ადგილობრივი გადასახადების სახეები და ოდენობა კანონით დადგენილ ფარგლებში;

ე) დამოუკიდებლად ადგენენ თავიანთი ორგანიზაციისა და საქმიანობის განხორციელების მომწესრიგებელ წესებს კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ვ) უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლოები და ნიშნები, დაადგინონ საპატიო ჯილდოები და წოდებები;

ზ) უფლებამოსილი არიან წინადადებით მიმართონ იმ ორგანოებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან;

თ) უფლებამოსილი არიან თავისუფლად, საერთო ინტერესების დასაცავად სხვა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებთან გაერთიანებით შექმნან ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციები; უფლებამოსილი არიან ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და გაერთიანდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო ასოციაციებში.

(2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან გამოსცენ დადგენილებები, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივ აქტებს ან ზემდგომი ორგანოების აქტებს.

მუხლი 44/ბ. (1) მერი არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს კომიტეტები და შემოიღოს თანამდებობები.

(2) გამონაკლის შემთხვევებში, მერი უფლებამოსილია, კანონით ან კანონის საფუძველზე გამოცემული მთავრობის დეკრეტით მინიჭებული უფლებით, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებთან ერთად იმავდროულად განახორციელოს სახელმწიფო ადმინისტრაციული უფლება-მოვალეობანი.

(3) სახელმწიფო ადმინისტრაციული უფლება-მოვალეობანი შეიძლება დაკისრებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მდივანზე, ან გამონაკლის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის კანცელარიის უფროსზე.

მუხლი 44/გ. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დაიშვება კანონით, რომელიც მიიღება ხმათა ამგვარივე უმრავლესობით.

თავი X. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 45. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლება აღსრულებდა უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოების, ბუდაპეშტის მუნიციპალური სასამართლოს, საოლქო სასამართლოების, ადგილობრივი და შრომითი სასამართლოების მიერ.

(2) სპეციფიკური კატეგორიის საქმეთა განხილველი სპეციალური სასამართლოების შექმნა დასაშვებია კანონით.

მუხლი 46. (1) სასამართლოები, გარდა კანონით სხვაგვარად დადგენილი შემთხვევებისა, მართლმსაჯულებას აღსრულებენ კოლეგიურად.

(2) არაპროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობით განსახილველი საქმეები და მათი განხილვის წესი განისაზღვრება კანონით.

(3) ერთპიროვნული მოსამართლისა და სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასაშვებია მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლის დანიშვნა.

მუხლი 47. (1) უზენაესი სასამართლო სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უნგრეთის რესპუბლიკაში.

(2) უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას და მისი დადგენილებები სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე კანონის ერთგვაროვნად გამოყენებასთან დაკავშირებით ყველა სასამართლოსათვის სავალდებულოა.

მუხლი 48. (1) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა პარლამენტის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა პარლამენტის წევრთა შიგნით ორი მესამედის უმრავლესობით.

(2) პროფესიონალ მოსამართლეებს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(3) მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას და დადგენილი წესით.

მუხლი 49. ამოღებულია.

მუხლი 50. (1) უნგრეთის რესპუბლიკის სასამართლოებმა უნდა დაიცვან და განამტკიცონ კონსტიტუციური წესრიგი, აგრეთვე ფიზიკური პირების, 728

იურიდიული პირებისა და არარეგისტრირებული გაერთიანებების უფლებები და განუსაზღვრონ სასჯელი იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული.

(2) სასამართლოები უფლებამოსილი არიან გადასინჯონ სახელმწიფო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა კანონიერება.

(3) მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მოსამართლენი არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(4) სასამართლოების მართვა ხორციელდება იუსტიციის ეროვნული საბჭოს მიერ; ამგვარ მართვაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოსამართლეებს წარმოადგენენ.

(5) კანონი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოების სტრუქტურას, ზედამხედველობის წესს, აგრეთვე მოსამართლეთა სამართლებრივ სტატუსსა და შრომის ანაზღაურების პირობებს, მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

თავი XI. სახელმწიფო პროკურატურა

მუხლი 51. (1) უნგრეთის გენერალური პროკურორი და სახელმწიფო პროკურატურის ორგანოები უზრუნველყოფენ ფიზიკური პირების, იურიდიული პირებისა და არარეგისტრირებული გაერთიანებების უფლებების დაცვას, კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებასა და კანონის სრული დაცვით ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას ნებისმიერ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას.

(2) სახელმწიფო პროკურატურა კანონით დადგენილი წესით ახორციელებს გამოძიების უფლებას, მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში და ახორციელებს ზედამხედველობას სასჯელის აღსრულებაზე.

(3) სახელმწიფო პროკურატურა ხელს უწყობს კანონის დაცვას ყველა პირის მიერ. კანონის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო პროკურატურა, კანონით დადგენილი ფორმით, უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცებას.

მუხლი 52. (1) გენერალური პროკურორი აირჩევა პარლამენტის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო გენერალური პროკურორის მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გენერალური პროკურორის წარდგინებით.

(2) გენერალური პროკურორი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და წარუდგენს მას ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 53. (1) სახელმწიფო პროკურორები თანამდებობებზე ინიშნებიან უნგრეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ.

(2) სახელმწიფო პროკურორები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(3) სახელმწიფო პროკურატურის ორგანოების მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

(4) სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კანონით.

თავი XII. ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 54. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას დაბადებიდან აქვს სიცოცხლისა და პიროვნული ღირსების უფლება. არავის არ შეიძლება უსაფუძვლოდ შეეზღუდოს აღნიშნული უფლებები.

(2) არავინ არ შეიძლება გახდეს წამების ან სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. დაუშვებელია ნებისმიერ გარემოებაში პირი აღმოჩნდეს სამედიცინო ან სამეცნიერო კვლევის ობიექტი მისივე წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 55. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება გარდა კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას და კანონით დადგენილი წესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

(2) პირი, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში და დაკავებულია ამის გამო, გონივრულად მოკლე ვადაში უნდა განთავისუფლდეს ან წარედგინოს სასამართლოს. მოსამართლე ვალდებულია მოუსმინოს ამგვარად დაკავებულ პირს და დაუყოვნებლივ, სათანადო წერილობითი დასაბუთებით, გადაწყვიტოს პირის გათავისუფლების ან პატიმრობაში დატოვების საკითხი.

(3) უკანონოდ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 56. უნგრეთის რესპუბლიკაში ყველა პირი ქმედუნარიანია.

მუხლი 57. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველა თანასწორია კანონის წინაშე და უფლება აქვს მის მიმართ წარდგენილი ბრალდება, აგრეთვე სასამართლო პროცესთან დაკავშირებული მისი უფლება-მოვალეობანი განზილულ იქნეს სამართლიან, საჯარო სასამართლო სხდომაზე კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში არაეინ არ შეიძლება იქნეს ცნობილი დამნაშავედ ვიდრე მისი სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა არ იქნება დადგენილი სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

(3) სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირებს აქვთ სამართლებრივი დაცვის უფლება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. დაუშვებელია დამცველებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო პროცესზე გამოთქმული შეხედულებების გამო.

(4) არაეინ არ შეიძლება იქნეს ცნობილი დამნაშავედ და დაეკისროს სასჯელი იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისთვის უნგრეთის კანონის შესაბამისად არ წარმოადგენდა დანაშაულს.

(5) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. გასაჩივრების სამართლებრივი შესაძლებლობა, საქმეთა განხილვის გონიერულ ვადებში წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე და ამასთან დაკავშირებით, შეიძლება შეიზღუდოს კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 58. (1) ყველას ვინც კანონიერად იმყოფება ან ცხოვრობს უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა, უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და აირჩიოს ადგილსამყოფელი, აგრეთვე უფლება აქვს დატოვოს საცხოვრებელი ადგილი ან ქვეყანა.

(2) უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ უცხოელთა გაძევება დაიშვება მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებით.

(3) კანონი გადაადგილების თავისუფლებისა და ადგილსამყოფელის თავისუფალი არჩევის შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 59. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს პატივისა და ღირსების, აგრეთვე საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, პირადი საიდუმლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.

(2) კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 60. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს აზრის, სინდისი-
სა და რელიგიის თავისუფლების უფლება.

(2) ეს უფლება გულისხმობს რელიგიის ან რწმენის თავისუფალი არჩე-
ვის ან მიღების უფლებას, აგრეთვე თავისი რელიგიის საჯაროდ გამოხატვის
ან საჯაროდ გამოხატვის შესახებ განცხადების თავისუფლებას, ამ რელიგი-
ისა და რწმენის აღსრულებასა და სწავლებას რელიგიური ცერემონიების ან
რიტუალების მეშვეობით ან სხვა გზებით, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

(3) უნგრეთის რესპუბლიკაში ეკლესია მოქმედებს სახელმწიფოსგან და-
მოუკიდებლად.

(4) კანონი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ მიიღება
პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 61. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს აზრის თავისუფა-
ლი გამოხატვის, აგრეთვე იმ ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების უფ-
ლება, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და პატივს სცემს პრესის თავი-
სუფლებას.

(3) კანონი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცი-
ის მიღებისა და გავრცელების შესახებ, აგრეთვე კანონი პრესის თავისუფ-
ლების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამე-
დის უმრავლესობით.

(4) კანონი სახელმწიფო რადიომაუწყებლობის, სახელმწიფო ტელემაუწყ-
ებლობისა და სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს, აგრეთვე მათი დი-
რექტორების დანიშვნის წესის, კერძო რადიომაუწყებლობისა და ტელემაუწყ-
ებლობის ლიცენზირების და მედიის სფეროში მონოპოლიის თავიდან აცი-
ლების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამე-
დის უმრავლესობით.

მუხლი 62. (1) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს მშვიდობიანი შეკრების
უფლებას და უზრუნველყოფს მის თავისუფლად განხორციელებას.

(2) კანონი შეკრების უფლების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე
წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 63. (1) შეკრების უფლების საფუძველზე უნგრეთის რესპუბლიკა-
ში ყველას აქვს უფლება შექმნას გაერთიანება, რომლის მიზნები არ შეიძ-
ლება ეწინააღმდეგებოდეს კანონის დებულებებს, და შეუერთდეს ამგვარ გა-
ერთიანებას.

(2) შეკრების უფლების საფუძველზე დაუშვებელია პოლიტიკური მიზნების მქონე შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა.

(3) კანონი შეკრების უფლების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და საქმიანობის შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 64. უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს უფლება სხვებთან ერთად ან ინდივიდუალურად წერილობითი პეტიციით ან საჩივრით მიმართოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.

მუხლი 65. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში, კანონით დადგენილი პირობების დაცვით, უზრუნველყოფილია თავშესაფრის უფლება იმ უცხოელი მოქალაქეებისათვის, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებიც მათ მშობლიურ ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში იღვენიებიან რასობრივი ან ეროვნული საფუძვლით, პირთა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებთან კავშირის გამო ან რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით და არც მათი მშობლიური ქვეყანა ან რომელიმე სხვა ქვეყანა არ უზრუნველყოფს მათ დაცვას.

(2) კანონი თავშესაფრის უფლების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 66. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს მამაკაცთა და ქაღათა თანასწორობას სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში დედები იღებენ დახმარებას და დაცული არიან ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდეგ სპეციალური წესების შესაბამისად.

(3) შრომითი ურთიერთობებისას ქალებისა და ახალგაზრდობის დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალური წესებით.

მუხლი 67. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველა ბავშვს აქვს უფლება ოჯახის, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან მიიღოს სათანადო მზრუნველობა და დაცვა, რომელიც საჭიროა მათი ნორმალური ფიზიკური, გონებრივი და მორალური განვითარებისათვის.

(2) მშობლებს უფლება აქვთ თავიანთ შვილებს შეურჩიონ განათლების ფორმა.

(3) ოჯახისა და ახალგაზრდობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებები განისაზღვრება სპეციალური წესებით ვითარებიდან გამომდინარე.

მუხლი 68. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები მონაწილეობას იღებენ ხალხის სუვერენული უფლებების განხორციელებაში, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს და უზრუნველყოფს მათ ერთობლივ მონაწილეობას სახელმწიფო საკითხებში, მათი კულტურების დაცვას, მათ მიერ მშობლიური ენების გამოყენებას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას, აგრეთვე საკუთარი სახელების მშობლიურ ენებზე გამოყენების შესაძლებლობას.

(3) უნგრეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა უზრუნველყოფს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობითობას.

(4) ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები უფლებამოსილი არიან შექმნან თვითმმართველობის ადგილობრივი და ეროვნული ორგანოები.

(5) კანონი ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 69. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში დაუშვებელია ვინმეს ჩამოერთვას უნგრეთის მოქალაქეობა მისი ნების საწინააღმდეგოდ, დაუშვებელია უნგრეთის მოქალაქე განდევნილ იქნეს უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

(2) უნგრეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ საზღვარგარეთიდან ნებისმიერ დროს დაბრუნდნენ უნგრეთში.

(3) უნგრეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს სახელმწიფოს მფარველობით საზღვარგარეთ კანონიერად ყოფნის დროს.

(4) კანონი მოქალაქეობის შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 70. (1) ყველა სრულწლოვან უნგრეთის მოქალაქეს, რომელიც იმყოფება უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უფლება აქვს არჩეულ იყოს ან ხმა მისცეს პარლამენტის არჩევნებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში, უმცირესობათა თვითმმართველობის არჩევნებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ ან ადგილობრივ რეფერენდუმში ან სახალხო ინიციატივის განხორციელებაში, სპეციალური კანონით

დადგენილი წესით, თუ არჩევნების ან რეფერენდუმის დღეს იმყოფება ქვეყანაში.

(2) პირებს, რომლებიც იმყოფებიან უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმიგრანტების სახით და ჯერ არ მიუღიათ უნგრეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა, უფლება აქვთ ხმა მისცენ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მერების არჩევნებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ რეფერენდუმში ან სახალხო ინიციატივის განხორციელებაში.

(3) პირებს, რომლებიც იმყოფებიან მეურვეობის ქვეშ შეზღუდული ქმედუნარიანობის ან ქმედუნარობის გამო, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აკრძალული აქვთ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, ან იმყოფებიან საპრობილემო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, ან გადიან იძულებით სამედიცინო მკურნალობას სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის შესაბამისად, არ აქვთ საარჩევნო უფლება.

(4) უნგრეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმეებში და დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობებისა და ვარჯისიანობის შესაბამისად.

მუხლი 70/ა. (1) უნგრეთის რესპუბლიკა პატივს სცემს ქვეყანაში ყველა პირის ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს თანასწორად, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, ენისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, წარმოშობის ან რაიმე სხვა მიზეზისა.

(2) კანონით უნდა დადგინდეს მკაცრი სასჯელი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი თანასწორობის დარღვევისათვის.

(3) უნგრეთის რესპუბლიკა ისწრაფვის თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებისაკენ და ახორციელებს ღონისძიებებს ყველასთვის თანასწორი შესაძლებლობების შესაქმნელად.

მუხლი 70/ბ. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს შრომის უფლება, აგრეთვე სამუშაოსა და პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლება.

(2) ყველას აქვს თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლება დისკრიმინაციის გარეშე.

(3) ყველა პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოებს, უფლება აქვს მიიღოს მის მიერ გაწეული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება.

(4) ყველას აქვს დასვენების, თავისუფალი დროისა და ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

მუხლი 70/გ. (1) ყველას აქვს უფლება ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად შექმნას ორგანიზაცია ან შეუერთდეს მას ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.

(2) გაფიცვის უფლების განხორციელება დაიშვება ამ უფლების მომწესრიგებელი კანონით დადგენილ ფარგლებში.

(3) კანონი გაფიცვის უფლების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 70/დ. (1) ყველას, ვინც ცხოვრობს უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უფლება აქვს ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ამ უფლებას შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, სამედიცინო დახმარების ორგანიზებისა და რეგულარული ფიზიკური აქტივობების მეშვეობით, აგრეთვე გარემო ბუნებრივი პირობების დაცვით.

მუხლი 70/ე. (1) უნგრეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სოციალური დაცვის უფლება და შესაბამისი დახმარების მიღების უფლება მოხუცებულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, ობლობის და მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უმუშევრობის შემთხვევაში.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ამ უფლებას სოციალური დახმარების სისტემისა და სოციალური დახმარების ინსტიტუტების მეშვეობით.

მუხლი 70/ვ. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს განათლების უფლებას თავისი მოქალაქეებისათვის.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ამ უფლებას კულტურის გავრცელებითა და ხელმისაწვდომობით, უფასო სავალდებულო დაწყებითი განათლებით, საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობით მათი შესაძლებლობის შესაბამისად, აგრეთვე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშნებით.

მუხლი 70/ზ. (1) უნგრეთის რესპუბლიკა პატივს სცემს და ხელს უწყობს სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლებას, სწავლისა და პედაგოგიური საქმიანობის თავისუფლებას.

(2) მხოლოდ მეცნიერები არიან უფლებამოსილი გადაწვევით სამეცნიერო ჭეშმარიტების დადგენისა და კვლევის მეცნიერული ფასეულობის საკითხი.

მუხლი 70/თ. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას ქვეყანა.

(2) ქვეყნის დაცვის ძირითადი ვალდებულების საფუძველზე, მოქალაქეები გადიან შეიარაღებულ და უიარაღო სამხედრო სამსახურს, ან სამოქალაქო სამსახურს კანონით დადგენილი წესით.

(3) კანონი სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულების შესახებ მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 70/ი. ყველა ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და არარეგისტრირებული გაერთიანება ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო გადასახდელები თავისი შემოსავლისა და სიმდიდრის შესაბამისად.

მუხლი 70/კ. უნგრეთის რესპუბლიკაში მშობლები და მეურვეები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი არასრულწლოვანი შვილების განათლება.

მუხლი 70/ლ. ძირითადი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების აღსრულებისას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში.

თავი XIII. არჩევნების ძირითადი პრინციპები

მუხლი 71. (1) პარლამენტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, მერები და დედაქალაქის მერი აირჩევა ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

(2) ოლქების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ირჩევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. თავმჯდომარე უნდა იყოს უნგრეთის მოქალაქე.

(3) პარლამენტის წევრთა, ევროპარლამენტის წევრთა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და მერების არჩევნები წესრიგდება სპეციალური კანონებით. ამგვარი კანონები მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) უმცირესობათა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევნებს აწესრიგებს სპეციალური კანონის დებულებები. ამგვარი კანონი მიიღება პარლამენტის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 72. ამოღებულია.

მუხლი 73. ამოღებულია.

თავი XIV. უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქი და სახელმწიფო სიმბოლოები

მუხლი 74. უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ბუდაპეშტი.

მუხლი 75. უნგრეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი არის ფერენც კელჩეის ლექსი „ჰიმნი“ ფერენც ერკელის მუსიკაზე.

მუხლი 76. (1) უნგრეთის რესპუბლიკის დროშა სამფეროვანია და შედგება სამი ფართო, თანასწორი ჰორიზონტალური წითელი, თეთრი და მწვანე ზოლისაგან.

(2) უნგრეთის რესპუბლიკის გერბი წარმოადგენს ვერტიკალურად ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილ ფარს ზედა მომრგვალებული და ქვედა წამახვილებული ნაწილით. მარცხენა ნაწილი შედგება რვა ჰორიზონტალური წითელი და ვერცხლისფერი ხაზისგან. მარჯვენა ნაწილზე წითელ ფონზე გამოსახულია სამი მწვანე მთა, შუა ამაღლებულ მთაზე ოქროს გვირგვინში ჩასმული ვერცხლის ორმაგი ჯვრით. ფარის თავზე მოთავსებულია წმინდა სტეფანის უნგრეთის წმინდა გვირგვინი.

(3) კანონი უნგრეთის რესპუბლიკის გერბისა და დროშის, აგრეთვე მათი გამოყენების წესის შესახებ მიიღება პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

თავი XV. დასკენითი დებულებანი

მუხლი 77. (1) კონსტიტუცია უნგრეთის რესპუბლიკის უზენაესი კანონია.

(2) ეს კონსტიტუცია, მის საფუძველზე მიღებული კანონები და სამართლებრივი აქტები ქვეყანაში ყველასთვის თანაბრად არის სავალდებულო შესასრულებლად.

(3) *ამოღებულია*

მუხლი 78. (1) უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან; მთავრობა უზრუნველყოფს მის აღსრულებას.

(2) მთავრობა პარლამენტს წარუდგენს კონსტიტუციის აღსასრულებლად საჭირო კანონპროექტებს.

მუხლი 79. უნგრეთის რესპუბლიკის ევროკავშირში შესვლის საკითხთან დაკავშირებით სავალდებულო რეფერენდუმი უნდა გამართოს გაწევრიანების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. რეფერენდუმის გამართვის დღედ განისაზღვრება 2003 წლის 12 აპრილი. რეფერენდუმის კითხვა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ეთანხმებით თუ არა, რომ უნგრეთის რესპუბლიკა გახდეს ევროკავშირის წევრი?“.



ყანახეობი



ზოგადი დახასიათება შესავალი

ყაზახეთის ისტორია მრავალ ათასწლეულს ითვლის. VI საუკუნეში შეიქმნა თურქთა სახაკანო, მოგვიანებით კი – თურგეშებისა და ყარლუყების სახელმწიფოები, სადაც VIII-X სს.-ში გავრცელდა ისლამი. XV ს. ბოლოს ჩამოყალიბდა ყაზახთა სახანო, რომელიც იყოფოდა უფროს, საშუალო და უმცროს ყუზუბად. XVIII ს.-ში უმცროსი და საშუალო ყუზუბი ნებაყოფლობით იღებენ რუსეთის ქვეშევრდომობას. უფროსი ყუზის მიერთებით XVIII საუკუნის 60-იან წლებში ყველა ყაზახური მიწა შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ყაზახეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წელს ყაზახეთი გახდა ავტონომიური, ხოლო 1936 წელს – მოკავშირე რესპუბლიკა სსრკ-ის შემადგენლობაში. 1990 წლის 24 აპრილს მიღებული კანონით დაწესდა ყაზახეთის სსრ-ის პრეზიდენტის თანამდებობა და პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ნურსულთან ნაზარბაევი. 1990 წლის 25 ოქტომბერს ყაზახეთის სსრ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, 1991 წლის 16 დეკემბერს კი გამოაცხადა ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1993 წლის იანვარს მიღებულ იქნა სუვერენული ყაზახეთის პირველი კონსტიტუცია, 1995 წლის 30 აგვისტოს – რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად ყაზახეთის რესპუბლიკის ახალი, დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური აზია. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთით – თურქმენეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი, აღმოსავლეთით – ჩინეთი, დასავლეთით – კასპიისა და არალის ზღვები.

ფართობი: სულ – 2.717.300 კმ²; ხმელეთი – 2.669.800 კმ²; წყალი – 47.500 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობის მსხვილი საბადოები, ბუნებრივი აირი, ნახშირი, რკინის მადანი, მანგანუმი, ქრომის მადანი, ნიკელი, კობალტი, სპილენძი, მოლიბდენი, ტყვია, თუთია, ბოქსიტი, ოქრო, ურანი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 15.233.244 (2006).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 23% (მამაკაცი – 1.792.685; ქალი – 1.717.294);
15-64 წლის: 68.8% (მამაკაცი – 5.122.027; ქალი – 5.357.819);
65 წლის და ზემოთ: 8.2% (მამაკაცი – 438.541; ქალი – 804.878)
(2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.33% (2006).

შობადობა: 16 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2006).

სიკვდილიანობა: 9.42 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2006).

მიგრაცია: -3.33 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2006).

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობა – 66.89 წელი; მამაკაცები – 61.56 წელი; ქალები – 72.52 წელი (2006).

მოქალაქეობა: ყაზახეთის

ეთნიკური ჯგუფები: ყაზახი – 53.4%, რუსი – 30%, უკრაინელი – 3.7%, უზბეკი – 2.5%, გერმანელი – 2.4%, თათარი – 1.7%, უილური – 1.4%, სხვა – 4.9% (1999).

რელიგია: ისლამი – 47%, რუსული მართლმადიდებლობა – 44%, პროტესტანტიზმი – 2%, სხვა – 7%.

ენა: ყაზახური (სახელმწიფო ენა) – 64.4%, რუსული (ოფიციალური, გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში) – 95% (2001).

განათლება: მთელი მოსახლეობა – 98.4% (მამაკაცი – 99.1%; ქალი – 97.7%) (1999).

შენიშვნა: მოცემულია 15 წლის და უფროსი ასაკის პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ერცული ფორმა – ყაზახეთის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა – ყაზახეთი.

მმართველობის ფორმა: საპრეზიდენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ასთანა

ადმინისტრაციული ერთეულები:

14 ოლქი: აკმეჩეთი, აქმოლა, აქტობე, ალმა-ათი, ათირაუ, დასავლეთ ყაზახეთი, ყარაგანდი, კოსტანაი, მანგიშთაუ, სამხრეთ ყაზახეთი, პავლოდარი, აღმოსავლეთ ყაზახეთი, ჩრდილოეთ ყაზახეთი, თარაზი.

3 ქალაქი: ალმა-ათი, ასთანა, ბაიკონური.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 16 დეკემბერი.

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე, 16 დეკემბერი (1991).

ამასრულებელი ხელისუფლება: სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი (1990 წლის აპრილიდან); მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი დანიალ ახმეტოვი (2003 წლის 13 ივნისიდან).

სამინისტროები: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და ინფორმაციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტრო, ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და საბიუჯეტო დაგეგმვის სამინისტრო, ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების სამინისტრო, საგანგებო ვითარებათა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატა – სენატი შედგება 39 დეპუტატისგან და მისი უფლებამოსილების ვადა

6 წელი, ხოლო ქვედა პალატა – მაჟილისი – 77 დეპუტატისგან და მისი უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

პოლიტიკური პარტიები: რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია „ოტანი“ („სამშობლო“), ყაზახეთის სამოქალაქო პარტია, ყაზახეთის აგრარული პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია „აული“ („სოფელი“), რესპუბლიკური პარტია „ასარი“ („ყველა ერთად“), დემოკრატიული პარტია „აკ ჟოლი“ („ნათელი გზა“), ყაზახეთის კომუნისტური პარტია, სახალხო პარტია „ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი“, ყაზახეთის კომუნისტური სახალხო პარტია, ყაზახეთის პატრიოტთა პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ყაზახეთი ფლობს მდიდარ სათბობის რესურსებს (ნავთობი, აირი), ლითონისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვან მარაგს, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო სექტორს. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტამ გამოიწვია ეკონომიკის დაცემა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე იყო 1994 წელს. 1995-1997 წლებში მთავრობამ დააჩქარა რეფორმებისა და პრივატიზაციის პროგრამის განხორციელება, რის შედეგადაც გამოცოცხლდა კერძო სექტორის საქმიანობა. ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდა ნავთობისა და აირის მოპოვებითი მრეწველობა, განსაკუთრებით 2001 წელს კასპიის ნავთობსადენის გახსნის შემდეგ, რომელმაც დასაველეთ ყაზახეთის ნავთობსარეწები შეაერთა შვედეთთან. 2001 წლიდან ერთიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიური ზრდის დონე აღემატება 9%-ს. თუმცა, ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფას. 2004 წელს მოსახლეობის 19% ცხოვრობდა სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ.

2004 წელს ყაზახეთის ერთიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შეადგინა 118.4 მილიარდი აშშ დოლარი, რაც ერთ სულ მოსახლეზე შეესაბამებოდა 7800 დოლარს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა: მომსახურების წილი გაიზარდა 35%-დან 54.8%-მდე, ხოლო სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის წილი შემცირდა 27%-დან 7.4%-მდე. მრეწველობის წილია ერთიანი შიდა პროდუქტის 37.8%.

ერთიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$124.3 მილიარდი (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 9.2% (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$8.200 (2005).

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა – 6.7%; მრეწველობა – 38.6%; მომსახურება – 54.7% (2005).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 19% (2004).

ბიუჯეტი: შემოსავალი – \$12.19 მილიარდი; გასავალი – \$12.44 მილიარდი (2005).

ექსპორტი: \$30.09 მილიარდი (2005).

ექსპორტის პარტნიორები: რუსეთი – 13.1%, ბერმუდა – 12.8%, გერმანია – 10.4%, ჩინეთი – 9.8%, იტალია – 7.9%, საფრანგეთი – 7.6% (2005).

იმპორტი: \$17.51 მილიარდი (2005).

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი – 34.6%, ჩინეთი – 21.6%, გერმანია – 7.1%, უკრაინა – 4.1% (2005).

საგარეო ვალი: 41.66 მილიარდი (2005).

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$74.2 მილიონი.

ვალუტა: ტენგე (KZT).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. თავისი არსებობის მანძილზე ყაზახეთს მიღებული აქვს ოთხი კონსტიტუცია. ამათგან პირველი ორი მიღებულია სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის დროს 1937 და 1978 წლებში. რიგით მესამე, მაგრამ პირველი პოსტსაბჭოთა კონსტიტუცია თარიღდება 1993 წლის 28 იანვრით, დღეს კი ქვეყანაში მოქმედებს 1995 წლის 30 აგვისტოს რეფერენდუმის შედეგად მიღებული კონსტიტუცია.

1936 წელს ყაზახეთი შევიდა სსრკ-ის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სახით, რამაც ასახვა პოვა სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციაში. სწორედ ამ კონსტიტუციაზე დაყრდნობით შემუშავდა ყაზახეთის სსრ-ის კონსტიტუციის პროექტი და 1937 წელს საბჭოების სრულიად ყაზახეთის X საგანგებო ყრილობამ მიიღო ყაზახეთის სსრ-ის კონსტიტუცია, რომელშიც ყაზახეთის სსრ დახასიათებული იყო როგორც მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. სოციალისტური საკუთრება არსებობდა სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების სახით. კონსტიტუციაში აღნიშნული იყო, რომ ყაზახეთის სსრ ნებაყოფლობით იყო გაერთიანებული სსრკ-ში და ფლობდა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. კონსტიტუციით საკანონმდებლო უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – უზენაეს საბჭოს, რომელიც ირჩევდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო იყო სახალხო კომისართა საბჭო. კონსტიტუცია აწესრიგებდა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას. უმაღლესი სასამართლო ორგანო იყო უზენაესი სასამართლო, პროკურატურა კი ზედამხედველობდა კანონების ზუსტ შესრულებას.

ყაზახეთის სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია შემუშავებული იყო სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად. ახალი კონსტიტუციის მიხედვით ყაზახეთის სსრ-ს ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას ისევ უზენაესი საბჭო წარმოადგენდა, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო კი მინისტრთა საბჭო იყო.

ყაზახეთის სსრ-ის კონსტიტუციებში ხშირად შედიოდა ცვლილებები, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო მმართველობის სისტემის არამდგრადი ხასიათით.

1990 წელს, 1978 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად დაწესდა ყაზახეთის სსრ-ის პრეზიდენტის თანამდებობა. 1990 წლის 25 ოქტომბერს ყაზახეთის სსრ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „ყაზახეთის სსრ-ის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, ხოლო 1991

წლის 16 დეკემბერს – კონსტიტუციური კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ“.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა კონსტიტუციური რეფორმის განხორციელების საკითხი. აუცილებელი იყო დროის შესატყვისი ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედებოდა სახელმწიფოებრიობის განვითარებას. ამ მიზნით, 1992 წლის დასაწყისში შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

კომისიის ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, 1993 წლის 28 იანვარს ყაზახეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებელი ყაზახეთის პირველი კონსტიტუცია, რომელმაც ხელისუფლების წყაროდ გამოაცხადა ხალხი, გაითვალისწინა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, განამტკიცა ადამიანის განუყოფელი უფლებები და თავისუფლებები და კერძო საკუთრება. კონსტიტუციით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ერთპალატიან უზენაეს საბჭოს, პრეზიდენტი იყო სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მთავრობის ფუნქციებს ახორციელებდა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უზენაესი საბჭოს თანხმობით პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი. განსაზღვრული იყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა და საქმიანობა. მართლმსაჯულება ხორციელდებოდა საკონსტიტუციო, უზენაესი, უმაღლესი საარბიტრაჟო და ქვემდგომი სასამართლოების მიერ.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1993 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებაში. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო ქვეყნის კონსტიტუციური რეფორმის გაგრძელებისა და კონსტიტუციური კანონმდებლობის განახლების აუცილებლობა. ამ მიზნით, ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის, რომლის დროსაც თითქმის 30 ათასი წინადადება გააანალიზა პრეზიდენტის მეთაურობით სპეციალურად შექმნილმა საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭომ. შედეგად, პროექტში შევიდა დაახლოებით 1100 შესწორება და დამატება. 1995 წლის 30 აგვისტოს, რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად მიღებულ იქნა ყაზახეთის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილეთა თითქმის 90%-მა.

ყაზახეთის კონსტიტუციურ კანონმდებლობაში კონსტიტუციასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონსტიტუციურ კანონებს, რომლებიც მიი-

დება კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე, თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

დღეს ყაზახეთში მოქმედებს კონსტიტუციური კანონები, რომლებიც აწესრიგებს სახელმწიფო სისტემის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის, საკონსტიტუციო საბჭოს, სასამართლო სისტემის სამართლებრივი სტატუსი და სხვ.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შეიძლება რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად, რომელიც ტარდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. რეფერენდუმის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის ან მთავრობის წინადადებით. პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ცვლილებების პროექტის განსახილველად პარლამენტისთვის გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში არ ხდება პროექტის რესპუბლიკურ რეფერენდუმზე გატანა და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი. თუ პრეზიდენტი არ დაეთანხმება პარლამენტის წინადადებას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის რესპუბლიკურ რეფერენდუმზე გატანის თაობაზე, პარლამენტს უფლება აქვს თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 4/5-ის უმრავლესობით მიიღოს კანონი ამ ცვლილებების კონსტიტუციაში შეტანის შესახებ. პრეზიდენტი ხელს აწერს ამ კანონს ან გააქვს იგი რესპუბლიკურ რეფერენდუმზე.

ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა 1998 წლის 7 ოქტომბერს, რის შედეგადაც გაიზარდა პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადა: პრეზიდენტისთვის ეს ვადა განისაზღვრა 7 წლით (ცვლილებამდე იყო 5 წელი), სენატის დეპუტატისთვის – 6 წლით (ცვლილებამდე იყო 4 წელი), ხოლო მაჟილისის დეპუტატისთვის – 5 წლით (ცვლილებამდე იყო 4 წელი), სახელმწიფო მოსამსახურისთვის მოიხსნა ზედა ასაკობრივი ზღვარი, რომელიც შეადგენდა 65 წელს.

კონსტიტუციის შესაბამისად, დაუსშვებელია კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, უნიტარიზმისა და რესპუბლიკის მმართველობის ფორმის შეცვლა.

კონსტიტუციის ანალიზი. სტრუქტურულად ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 ნაწილისა და 98 მუხლისგან. პრეამბულაში დეკლარირებულია ყაზახეთის ხალხის მისწრაფება, დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. კონსტიტუციის შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკა იმკვიდრებს თავს დემოკრატიულ, საერო, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოდ. მსგავსი ფორმულირებით ხაზი

გაქვს იმ გარემოებას, რომ ყაზახეთი იმყოფება სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საწყის ეტაპზე.

კონსტიტუციაში ყაზახეთი დახასიათებულია უნიტარულ და საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოდ. ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ მიჩნეულია ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს უშუალოდ რესპუბლიკური რეფერენდუმისა და თავისუფალი არჩევნების მეშვეობით.

ყაზახეთში სახელმწიფო ენა არის ყაზახური. სახელმწიფო ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ყაზახურთან ერთად ოფიციალურად გამოიყენება რუსული ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ ყაზახეთის მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ რუსები.

კონსტიტუცია განმტკიცებს სახელმწიფოს სოციალურ ხასიათს. აღიარებულია და თანაბრად არის დაცული სახელმწიფო და კერძო საკუთრება. საკუთრების უფლების გარანტიებთან ერთად კონსტიტუცია კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებს სახელმწიფო საჭიროებისათვის ქონების იძულებით გასხვისებას მისი ტოლფასი ანაზღაურების პირობით.

სახელმწიფოში ოფიციალური რელიგიის არარსებობით ხაზი ესმება მის საერო ხასიათს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების საქმიანობა რელიგიურ საფუძველზე. უზრუნველყოფილია პოლიტიკური და იდეოლოგიური მრავალსახეობა. ყველა საზოგადოებრივი გაერთიანება თანასწორია კანონის წინაშე. აკრძალულია სახელმწიფოს უკანონო ჩარევა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმეებში, ისევე როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება.

კონსტიტუცია საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად არეგულირებს ადამიანის სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუცია აცხადებს ყოველი ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე. რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. ყაზახეთის კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები პირობითად შეიძლება დაიყოს პირად, პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ უფლებებებად და თავისუფლებებად.

კონსტიტუციაში განმტკიცებულია ადამიანის მთავარი პირადი უფლება – სიცოცხლის უფლება. სიკვდილით დასჯის შეფარდება ხდება კანონის შესაბამისად, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება.

ადამიანის დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ან პროკურორის სანქციით. ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. ყველას აქვს სინდისის თავისუფლება, აგრეთვე კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და საოჯახო საიდუმლოების, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება. უზ-

რუნველყოფილია სიტყვისა და შემოქმედების თავისუფლება. საცხოვრებელი ხელშეუხებელია. საცხოვრებელში შეღწევა, მისი დათვალიერება და გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

პოლიტიკურ უფლებებს შორის აღსანიშნავია სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობის უფლება. მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს და იქნეს არჩეული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ რეფერენდუმში. აღნიშნული უფლება არ გააჩნია მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელადსრულებით დაწესებულებაში. მოქალაქეებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია სახელმწიფო სამსახური. უზრუნველყოფილია შეკრების, მიტინგის, დემონსტრაციის, მსვლელობისა და პიკეტირების უფლება.

კონსტიტუციით განმტკიცებულია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები. რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ კერძო საკუთრებაში ჰქონდეთ კანონიერად შეძენილი ნებისმიერი ქონება. საკუთრებასთან ერთად უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის უფლება. ყველას აქვს შრომის, აგრეთვე საქმიანობის სფეროსა და პროფესიის თავისუფალი არჩევის თავისუფლება. შრომითი დავების გადასაწყვეტად შესაძლებელია გაფიცვის უფლების გამოყენება.

შრომის უფლებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული დასვენების უფლება. მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია შრომის ანაზღაურებისა და პენსიის მინიმალური ოდენობა, სოციალური ანაზღაურება ასაკის მიხედვით, ავადმყოფობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევებში. გარანტირებულია უფასო საშუალო განათლება სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში.

უფლებებისა და თავისუფლებების გარდა, კონსტიტუციაში მოცემულია გარკვეული მოვალეობებიც. ყველა ვალდებულია დაიცვას ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, პატივი სცეს სახელმწიფო სიმბოლოებს, გადასხადოს კანონიერად დადგენილი გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა აუცილებელი გადასახდელები. სამშობლოს დაცვა ყაზახეთის ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობადაა მიჩნეული. კონსტიტუცია ითვალისწინებს აგრეთვე ისეთ მოვალეობებს, როგორცაა ზრუნვა ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის, ბუნებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვა.

კონსტიტუციაში რეგლამენტირებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სამართლებრივი სტატუსი. ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დანაწილების საფუძველზე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში უმთავრესი

ადგილი უკავია რესპუბლიკის პრეზიდენტს. კონსტიტუცია მას ახასიათებს როგორც სახელმწიფოს მეთაურსა და უმაღლესი თანამდებობის პირს. პრეზიდენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და წარმოადგენს ყაზახეთს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში. პრეზიდენტი აირჩევა სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. მისი უფლებამოსილების ვადაა 7 წელი. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტს არა აქვს უფლება იყოს წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატი, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა და ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს მან უნდა შეაჩეროს თავისი საქმიანობა პოლიტიკურ პარტიაში.

პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს, იწვევს პარლამენტის პირველ სესიას, აგრეთვე პარლამენტის პალატების რიგგარეშე ერთობლივ სხდომებს, 15 სამუშაო დღის ვადაში ხელს აწერს პარლამენტის სენატის მიერ წარდგენილ კანონს, აქვეყნებს ან აბრუნებს მას ან მის ცალკეულ მუხლებს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის, პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სხვა წევრებს.

კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებას. იგი გამოსცემს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე ბრძანებულებებსა და განკარგულებებს. კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში მას უფლება აქვს გამოსცეს კანონები და კანონის ძალის მქონე ბრძანებულებები. პრეზიდენტს უფლება აქვს განსაზღვროს კანონის პროექტის განხილვის პრიორიტეტულობა, აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილება კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტმა მოცემული პროექტი უნდა განიხილოს შეტანიდან 1 თვის ვადაში. თუ პარლამენტი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, პრეზიდენტს შეუძლია კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემა, რომელიც მოქმედებს პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღებამდე.

პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან ვადამდე გაათავისუფლდეს ავადმყოფობის გამო თავისი მოვალეობების ხანგრძლივად შეუსრულებლობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას პრეზიდენტის გაათავისუფლების შესახებ იღებს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით, სპეციალურად შექმნილი კომისიისა და საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნების საფუძველზე.

პრეზიდენტს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ სახელმწიფოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში, რისთვისაც პარლამენტს შეუძლია მისი გადაყენება თანამდებობიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით, უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო საბჭოს შესაბამისი დასკვნების არსებობის შემთხვევაში.

რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა მუდმივმოქმედი სენატისა და მაჟილისისგან შემდგარი ორპალატიანი პარლამენტი.

სენატი იქმნება ყოველი ოლქიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქიდან და ყაზახეთის რესპუბლიკის დედაქალაქიდან შესაბამისად ოლქის, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქისა და რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატთა ერთობლივ სხდომაზე არჩეული ორ-ორი დეპუტატისგან. სენატის 7 დეპუტატს ნიშნავს პრეზიდენტი სენატის უფლებამოსილების ვადით. მაჟილისი შედგება 77 დეპუტატისგან. 67 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიანი ტერიტორიული საარჩევნო ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობით, 10 დეპუტატი კი – პარტიული სიების საფუძველზე პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, ერთიანი საერთო-ეროვნული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. სენატის დეპუტატთა უფლებამოსილების ვადაა 6 წელი, ხოლო მაჟილისის დეპუტატთა – 5 წელი.

პარლამენტის დეპუტატი არ არის შეზღუდული იმპერატიული მანდატით. დაუშვებელია დეპუტატის დაპატიმრება, მოყვანა, მისთვის სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, პასუხისგებაში მიცემა შესაბამისი პალატის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა. დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდება გადაგომის, მისი ქმედუნაროდ ცნობის, პარლამენტის დათხოვნისა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. დეპუტატს მანდატი ჩამოერთმევა მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, აგრეთვე ყაზახეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლის შემთხვევაში.

კონსტიტუციაში მკაფიოდაა განსაზღვრული საკითხთა წრე, რომლებსაც პალატები განიხილავენ ერთობლივად და ცალ-ცალკე.

სენატის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება პრეზიდენტის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების თანამდებობაზე არჩევა და გათავისუფლება, პრეზიდენტისთვის გენერალური პროკურორისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა, გენერა-

ლური პროკურორისთვის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეებისთვის ხელშეუხებლობის ჩამორთმევა, კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, უმაღლესი სასამართლო საბჭოს შემადგენლობაში ორი დეპუტატის დელეგირება, მაჟილისის მიერ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ აღძრული საკითხის განხილვა და მისი შედეგების გატანა პალატების ერთობლივ სხდომაზე განსახილველად.

მაჟილისის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება კანონის პროექტების განსახილველად მიღება და განხილვა, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნების თაობაზე წინადადებების მომზადება, პრეზიდენტის წარდგინებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრების თანამდებობაზე არჩევა და გათავისუფლება, პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამოცხადება, ოუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობაში ორი დეპუტატის დელეგირება, სახელმწიფოს ღალატის ჩადენაში პრეზიდენტისთვის ბრალდების წარდგენა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ პარლამენტის დეპუტატები და მთავრობა.

მაჟილისის მიერ განხილული და მოწონებული კანონპროექტი გადაეცემა სენატს, სადაც მისი განხილვა მიმდინარეობს არა უმეტეს 60 დღისა. სენატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული პროექტი 10 დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს ხელმოსაწერად.

აღსანიშნავია მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტის მიუღებლობის შემთხვევა. პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე დააყენოს მთავრობის ნდობის საკითხი. თუ წინადადება უნდობლობის ვოტუმის შესახებ ვერ მიიღებს ხმათა აუცილებელ რაოდენობას, კანონპროექტი ჩაითვლება მიღებულად კენჭისყრის გარეშე. მთავრობას ამ უფლების გამოყენება შეუძლია წელიწადში მხოლოდ ორჯერ.

კონსტიტუციაში სრულადაა ჩამოთვლილი პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის საფუძვლები. პრეზიდენტს ამ უფლების გამოყენება შეუძლია პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების, პრემიერ-მინისტრის დასანიშნად პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემაზე ორგზის უარის თქმის, პარლამენტის პალატებს ან პარლამენტსა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებს შორის დაუძლეველი უთანხმოებების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში. პარლამენტის დათხოვნა დაუსწებელია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის, აგრეთვე წინა დათხოვნიდან 1 წლის განმავლობაში.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ყაზახეთში ახორციელებს მთავრობა. კონსტიტუცია მას ანიჭებს აღმასრულებელი ორგანოების სისტემის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. მთავრობას აყალიბებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე.

მთავრობის საქმიანობას უძღვება პრემიერ-მინისტრი, რომელიც პერსონალურად აგებს პასუხს მისი მუშაობისთვის. მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, წარუდგენს პარლამენტს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს, უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას, შეაქვს მაჟილისში კანონის პროექტები და უზრუნველყოფს კანონების შესრულებას, შეიმუშავებს ზომებს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. მთავრობა თავისი კომპეტენციის განხორციელებისას გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი – განკარგულებებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

მთავრობა უფლებამოსილებას იხსნის ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში მთავრობა გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში მიიღებს ან უარყოფს გადადგომას. პრემიერ-მინისტრის გადადგომის მიღება ნიშნავს მთელი მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

კონსტიტუციური კონტროლს რესპუბლიკაში ახორციელებს საკონსტიტუციო საბჭო. იგი შედგება 7 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა 6 წელი. კონსტიტუცია შეიცავს ყურადსაღებ დებულებას, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის ექსპრეზიდენტები არიან საკონსტიტუციო საბჭოს სამუდამო წევრები. საბჭოს თავმჯდომარეს და 2 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო ორ-ორ წევრს – სენატისა და მაჟილისის თავმჯდომარეები.

საკონსტიტუციო საბჭოს კომპეტენციაში შედის დავის შემთხვევაში პრეზიდენტის და პარლამენტის დეპუტატთა არჩევნების, აგრეთვე რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების კანონიერების საკითხის განსაზღვრა, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერამდე კანონებისა და რატიფიცირებამდე რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვა, კონსტიტუციის ნორმების ოფიციალური განმარტება. დაუმუშავებელია საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნეული კანონების ხელმოწერა და ხელშეკრულებების რატიფიცირება. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და ადგილობრივი სასამართლოების მიერ.

მოსამართლე შეიძლება იყოს რესპუბლიკის მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესიით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. კონსტიტუციით დადგენილია მოსამართლის საქმიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები, აკრძალულია ნებისმიერი ჩარევა მის საქმიანობაში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.

უზენაესი სასამართლო არის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოლეგიების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს სენატი, რომელიც ვერდნობა უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციას.

უმაღლეს სასამართლო საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. საბჭო შედგება საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, იუსტიციის მინისტრის, სენატის დეპუტატების, მოსამართლეებისა და სხვა პირებისგან, რომლებსაც ნიშნავს პრეზიდენტი. იუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგია არის ავტონომიური დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც იქმნება მაჟილისის დეპუტატების, მოსამართლეების, პროკურორების, სამართლის მასწავლებლების, მეცნიერ-იურისტებისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკებისაგან.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას უმაღლეს ზედამხედველობას სახელმწიფოს სახელით უწევს პროკურატურა. იგი წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე.

კონსტიტუციის შესაბამისად, ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო – მასლიხატი გამოხატავს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის ნებას და მას ირჩევს მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით.

ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანო შედის რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ერთიან სისტემაში და მას ხელმძღვანელობს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აკიმი, რომელიც არის პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენელი. ოლქების, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებისა და დედაქალაქის აკიმებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი. სხვა ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული ერთეულის აკიმების თანამდებობაზე დანიშნვისა და არჩევის წესს განსაზღვრავს პრეზიდენტი. პრეზიდენტს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გაათავისუფლოს აკიმი თანამდებობიდან.

მასლიხატი უფლებამოსილია დეპუტატთა სრული შემადგენლობის 2/3-ით უნდობლობა გამოუცხადოს აკიმს და დააყენოს თანამდებობიდან მისი გადაყენების საკითხი შესაბამისად პრეზიდენტის ან ზემდგომი აკიმის წინაშე. ოლქების, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებისა და დედაქალაქის აკიმების უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისთანავე.

კონსტიტუციით მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის უზრუნველყოფა ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის პრეროგატივა მინიჭებული აქვთ მოქალაქეებს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ყაზახეთის კონსტიტუცია შეიცავს გარდამავალი ტიპის ქვეყნების კონსტიტუციებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. მასში არ არის სათანადოდ დაცული ხელისუფლებათა ბალანსი, შეინიშნება პრეზიდენტის ხელისუფლების დომინირება სხვა ცენტრალურ ორგანოებზე და, თავის მხრივ, ცენტრალური ორგანოების გავლენა ადგილობრივ ორგანოებზე. კონსტიტუციაში არაერთი განსაკუთრებული და ყურადსაღები დებულებაა მოცემული, რომელთაგან აღსანიშნავია:

– კონსტიტუციის პრეამბულა, რომელიც ყაზახეთში სახელმწიფოებრიობის განვითარების რთულ და საპატიო მისიას აკისრებს არა რომელიმე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს, არამედ ქვეყნის მთელ მოსახლეობას – „ყაზახეთის ხალხს“;

– კონსტიტუციაში სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის გაუთვალისწინებლობა;

– პრეზიდენტისა და პარლამენტის დეპუტატთა უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადა – პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 7 წელს, პარლამენტის სენატის დეპუტატის – 6 წელს, ხოლო მაჟილისის დეპუტატის – 5 წელს;

– პრეზიდენტის ინიციატივით მისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭება პარლამენტის მიერ; პრეზიდენტის უფლებამოსილება, განსაზღვროს კანონის პროექტის განხილვის პრიორიტეტულობა და მიიღოს გადაწყვეტილება კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, მაშინ როდესაც კონსტიტუციით პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ გააჩნია; პრეზიდენტის პასუხისმგებლობა მხოლოდ სახელმწი-

ფოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში – კონსტიტუციის დარღვევისა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ არის გათვალისწინებული; პრეზიდენტისთვის პარლამენტის ორივე პალატის დათხოვნის უფლებამოსილების მინიჭება პოლიტიკური კრიზისის არსებობისას, რაც საკმაოდ ზოგადი საფუძველია და პრეზიდენტს საკუთარი შეხედულებით მოქმედების საშუალებას აძლევს; სახელმწიფოს ღალატის ჩადენაში პრეზიდენტის მიმართ ბრალდების უარყოფის შემთხვევაში მაჟილისის იმ დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, რომლებმაც მოახდინეს მოცემული საკითხის განხილვის ინიცირება;

– პარლამენტის მაჟილისის შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე დაკომპლექტებისას მხოლოდ 10 დეპუტატის არჩევა პარტიული სიების საფუძველზე პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის შესაბამისად (სულ აირჩევა 77 დეპუტატი);

– სენატის ჩამოყალიბებაში პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობა – იგი ნიშნავს სენატის 7 დეპუტატს;

– საკონსტიტუციო საბჭოს გამოყოფა სასამართლო ხელისუფლებისგან; მის მიერ უმთავრესად წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება;

– რესპუბლიკის ექსპრეზიდენტების სამუდამო წევრობა საკონსტიტუციო საბჭოში;

– კონსტიტუციის ნორმა, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია კონსტიტუციითვე დადგენილი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, უნიტარისმისა და რესპუბლიკის მმართველობის ფორმის შეცვლა.

ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია³

მიღებულია 1995 წლის 30 აგვისტოს
რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად

(ცვლილებები და დამატებები შეტანილია
1998 წლის 7 ოქტომბერს)

ჩვენ, საერთო ისტორიული ბედით გაერთიანებული ყაზახეთის ხალხი, ექმნით რა სახელმწიფოებრიობას ძირძველ ყაზახურ მიწაზე, მივიჩნევთ რა თავს თავისუფლების, თანასწორობისა და თანხმობის იდეალების ერთგულ მშვიდობისმოყვარე სამოქალაქო საზოგადოებად, გვსურს რა დავიკავოთ ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში, ვაცნობიერებთ რა საკუთარ მაღალ პასუხისმგებლობას ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე, გამოძინარე საკუთარი სუვერენული უფლებიდან, ვიღებთ ამ კონსტიტუციას.

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. 1. ყაზახეთის რესპუბლიკა იმკვიდრებს თავს დემოკრატიულ, საერო, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოდ, რომლის უმაღლესი ფასეულობებია: ადამიანი, მისი სიცოცხლე, უფლებები და თავისუფლებები.

2. რესპუბლიკის საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპებია: საზოგადოებრივი თანხმობა და პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება მთელი ერის საკეთილდღეოდ, ყაზახური პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა დემოკრატიული მეთოდებით, მათ შორის რესპუბლიკურ რეფერენდუმსა და პარლამენტში ხმის მიცემით.

მუხლი 2. 1. ყაზახეთის რესპუბლიკა არის უნიტარული სახელმწიფო საპრეზიდენტო მმართველობის ფორმით.

³ თარგმანისას გამოყენებულია ყაზახეთის კანონმდებლობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://base.zakon.kz/doc/lawyer/?uid=FCD6B44C-A0244F8B-AC0F-F6DBAA5EC27E&doc_id=1005029 გამოქვეყნებული ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის რუსულ და ინგლისურენოვანი ტექსტები.

2. რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება მის მთელ ტერიტორიაზე, სახელმწიფო უზრუნველყოფს თავისი ტერიტორიის მთლიანობას, ხელშეუხებლობასა და განუყოფლობას.

3. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მისი დედაქალაქის ადგილმდებარეობა და სტატუსი განისაზღვრება კანონით.

4. სახელწოდებები „ყაზახეთის რესპუბლიკა“ და „ყაზახეთი“ თანაბარმნიშვნელოვანია.

მუხლი 3. 1. სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა ხალხი.

2. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს უშუალოდ რესპუბლიკური რეფერენდუმისა და თავისუფალი არჩევნების მეშვეობით, ასევე ახდენს სახელმწიფო ორგანოებისთვის თავისი ძალაუფლების დელეგირებას.

3. არავის არა აქვს უფლება მითვისოს ხელისუფლება ყაზახეთის რესპუბლიკაში. ხელისუფლების მითვისება იდევნება კანონით. ხალხისა და სახელმწიფოს სახელით გამოსვლის უფლება აქვს პრეზიდენტს, აგრეთვე რესპუბლიკის პარლამენტს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში. რესპუბლიკის მთავრობა და სხვა სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფოს სახელით გამოდიან მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანია და ხორციელდება კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დანაწილებისა და ურთიერთქმედების პრინციპის შესაბამისად, შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის გამოყენებით.

მუხლი 4. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში მოქმედ სამართალს წარმოადგენს კონსტიტუციის, მისი შესაბამისი კანონების, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ვალდებულებების, აგრეთვე რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს ნორმატიულ დადგენილებათა ნორმები.

2. კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და პირდაპირ მოქმედებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

3. რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მისი კანონების მიმართ და გამოიყენება უშუალოდ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საჭიროა კანონის გამოცემა.

4. ყველა ის კანონი და საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მონაწილეც არის რესპუბლიკა, უნდა გამოქვეყნდეს. მოქალაქეთა უფლებებთან,

თავისუფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ოფიციალური გამოქვეყნება არის მათი გამოყენების აუცილებელი პირობა.

მუხლი 5. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში აღიარებულია იდეოლოგიური და პოლიტიკური მრავალსახეობა. დაუშვებელია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების შერწყმა, სახელმწიფო ორგანოებში პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციების შექმნა.

2. საზოგადოებრივი გაერთიანებები თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სახელმწიფოს უკანონო ჩარევა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმეებში და საზოგადოებრივ გაერთიანებათა ჩარევა სახელმწიფოს საქმეებში, საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების დაკისრება, საზოგადოებრივ გაერთიანებათა სახელმწიფო დაფინანსება.

3. აკრძალულია იმ საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზნები და მოქმედებები მიმართულია კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, რესპუბლიკის მთლიანობის დარღვევის, სახელმწიფოს უმისრობის ხელყოფის, სოციალური, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, წოდებრივი და საგვარეულო შუღლის გაღვივებისკენ, აგრეთვე კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი გასამხედროებული ფორმირებების შექმნა.

4. დაუშვებელია რესპუბლიკაში სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური პარტიებისა და პროფესიული კავშირების, ასევე რელიგიურ საფუძველზე პარტიების საქმიანობა, პოლიტიკური პარტიებისა და პროფესიული კავშირების დაფინანსება უცხოეთის იურიდიული პირებისა და მოქალაქეების, უცხოეთის სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

5. რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა, აგრეთვე უცხოეთის რელიგიური ცენტრების მიერ რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელების დანიშვნა რესპუბლიკაში ხორციელდება რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 6. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში აღიარებულია და თანაბრად არის დაცული სახელმწიფო და კერძო საკუთრება.

2. საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. საკუთრების სუბიექტები და ობიექტები, მესაკუთრეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელების მოცულობა და ფარგლები, მათი დაცვის გარანტიები განისაზღვრება კანონით.

3. მიწა და მისი წიაღი, წყალი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, სხვა ბუნებრივი რესურსები არის სახელმწიფო საკუთრებაში. მიწა ასევე შეიძლე-

ბა იყოს კერძო საკუთრებაში კანონით დადგენილ საფუძველზე, ფარგლებში და განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 7. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ყაზახური.

2. სახელმწიფო ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ყაზახურთან ერთად ოფიციალურად გამოიყენება რუსული ენა.

3. სახელმწიფო ზრუნავს ყაზახეთის ხალხის ენების შესწავლისა და განვითარებისთვის პირობების შესაქმნელად.

მუხლი 8. ყაზახეთის რესპუბლიკა პატივს სცემს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, ატარებს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების, მათი თანასწორობისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პოლიტიკას, უარს ამბობს პირველმა გამოიყენოს შეიარაღებული ძალები.

მუხლი 9. ყაზახეთის რესპუბლიკას აქვს სახელმწიფო სიმბოლოები – დროშა, გერბი და ჰიმნი. მათი აღწერილობა და ოფიციალური გამოყენების წესი დგინდება კონსტიტუციური კანონით.

ნაწილი II. ადამიანი და მოქალაქე

მუხლი 10. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შეძენა და შეწყვეტა ხდება კანონის შესაბამისად. იგი ერთიანი და თანაბარია, მიუხედავად მისი შეძენის საფუძვლებისა.

2. რესპუბლიკის მოქალაქეს არანაირი პირობით არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა, მოქალაქეობის შეცვლის უფლება; არ შეიძლება აგრეთვე მისი გაძევება ყაზახეთის ფარგლებს გარეთ.

3. რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

მუხლი 11. 1. არ შეიძლება ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქის გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის, გარდა რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შემთხვევებისა.

2. რესპუბლიკა იცავს და მფარველობს თავის მოქალაქეებს მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 12. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციის შესაბამისად აღიარებული და უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

2. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ეკუთვნის ყველას დაბადებიდან და აღიარებულია აბსოლუტურად და განუყოფლად. ისინი განსაზღვრავს კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შინაარსსა და გამოყენებას.

3. რესპუბლიკის მოქალაქეს თავისი მოქალაქეობიდან გამომდინარე აქვს უფლებები და მოვალეობები.

4. უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს რესპუბლიკაში აქვთ მოქალაქეებისთვის დადგენილი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, გარდა კონსტიტუციით, კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს და არ უნდა ხელყოფდეს კონსტიტუციურ წყობილებას და საზოგადოებრივ ზნობას.

მუხლი 13. 1. ყველას აქვს თავისი სამართალსუბიექტურობის აღიარების უფლება და შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლებები ყველა საშუალებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს, აუცილებელი მოგერიების ჩათვლით.

2. ყველას აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვის უფლება.

3. ყველას აქვს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარება უფასოა.

მუხლი 14. 1. ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე.

2. არავინ არ შეიძლება ექვემდებარებოდეს რაიმე დისკრიმინაციას წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, სქესის, რასის, ეროვნების, ენის, რელიგიასთან დამოკიდებულების, მრწამსის, საცხოვრებელი ადგილის მოტივით ან ნებისმიერი სხვა გარემოების მიხედვით.

მუხლი 15. 1. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.

2. არავის არა აქვს ადამიანის სიცოცხლის თვითნებურად ხელყოფის უფლება. სიკვდილით დასჯის შეფარდება ხდება კანონით, როგორც სასჯე-

ლის განსაკუთრებული ღონისძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, შეწყალების თაობაზე მსჯავრდებულისთვის შუამდგომლობის უფლების მინიჭებით.

მუხლი 16. 1. ყველას აქვს პირადი თავისუფლება.

2. დაპატიმრება და პატიმრობაში ყოფნა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ოდენ მოსამართლის ან პროკურორის სანქციით, დაპატიმრებულისთვის სასამართლო გასაჩივრების უფლების მინიჭებით. პროკურორის სანქციის გარეშე პირის დაკავების ვადა არ უნდა აღმატებოდეს სამოცდათორმეტ საათს.

3. ყოველ დაკავებულს, დაპატიმრებულს, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულს აქვს ადვოკატის (დამცველის) დახმარებით სარგებლობის უფლება, შესაბამისად დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 17. 1. ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია.

2. არავინ არ უნდა ექვემდებარებოდეს წამებას, ძალადობას, სხვა სახის სასტიკ ან ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელის გამოყენებას.

მუხლი 18. 1. ყველას აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და საოჯახო საიდუმლოების, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს პირადი შენატანებისა და დანაშოვების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებათა საიდუმლოების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით.

3. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანამდებობის პირები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვალდებული არიან უზრუნველყონ ყოველი მოქალაქე მის უფლებებთან და ინტერესებთან დაკავშირებული დოკუმენტების, გადაწყვეტილებებისა და ინფორმაციის წყაროების გაცნობის შესაძლებლობით.

მუხლი 19. 1. ყველას აქვს უფლება განსაზღვროს და გამოაშკაროს ან არ გამოაშკაროს თავისი ეროვნული, პარტიული ან რელიგიური კუთვნილება.

2. ყველას აქვს მშობლიური ენისა და კულტურის გამოყენების, სასაუბრო ენის თავისუფალი არჩევის, აღზრდის, სწავლებისა და შემოქმედების უფლება.

მუხლი 20. 1. სიტყვისა და შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ცენზურა აკრძალულია.

2. ყველას აქვს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება ნებისმიერი საშუალებით, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ცნობების ნუსხა განისაზღვრება კანონით.

3. დაუმეხებელია კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, რესპუბლიკის მთლიანობის დარღვევის, სახელმწიფო უშიშროების ხელყოფის, ომის, სოციალური, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, წოდებრივი და საგვარეულო უპირატესობის, ასევე სისასტიკისა და ძალადობის კულტის პროპაგანდა და აგიტაცია.

მუხლი 21. 1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ყველას აქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლის უფლება. რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ რესპუბლიკაში დაუბრკოლებელი დაბრუნების უფლება.

მუხლი 22. 1. ყველას აქვს სინდისის თავისუფლება.

2. სინდისის თავისუფლების განხორციელება არ უნდა ახდენდეს სახელმწიფოს წინაშე ზოგადსაკაცობრიო და სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განპირობებას ან შეზღუდვას.

მუხლი 23. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ გაერთიანების თავისუფლება. საზოგადოებრივ გაერთიანებათ საქმიანობა რეგულირდება კანონით.

2. სამხედრო მოსამსახურეებს, ეროვნული უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებსა და მოსამართლეებს არა აქვთ პარტიებისა და პროფესიული კავშირების შემადგენლობაში ყოფნის, აგრეთვე რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის უფლება.

მუხლი 24. 1. ყველას აქვს შრომის, აგრეთვე საქმიანობის სფეროსა და პროფესიის თავისუფალი არჩევის თავისუფლება. იძულებითი შრომა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განაჩენით, აგრეთვე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში.

2. ყველას აქვს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობებისა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შრომის ანაზღაურების, აგრეთვე უმუშევრობისაგან სოციალური დაცვის უფლება.

3. აღიარებულია ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავეების უფლება მათი გადაწყვეტის კანონით დადგენილი საშუალებების, მათ შორის გაფიცვის უფლების გამოყენებით.

4. ყველას აქვს დასვენების უფლება. შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეებისთვის უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

მუხლი 25. 1. საცხოვრებელი ხელშეუხებელია. დაუშვებელია საცხოვრებლის ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. საცხოვრებელში შეღწევა, მისი დათვალიერება და გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით.

2. ყაზახეთის რესპუბლიკაში იქმნება პირობები საცხოვრებლით მოქალაქეების უზრუნველსაყოფად. კანონში მითითებული მოქალაქეების კატეგორიას, რომელიც საჭიროებს საცხოვრებელს, იგი სახელმწიფოს საბინაო ფონდიდან ხელმისაწვდომ საფასურად ეძლევა კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 26. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ კერძო საკუთრებაში ჰქონდეთ კანონიერად შეძენილი ნებისმიერი ქონება.

2. საკუთრება, ასევე მემკვიდრეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

3. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სახელმწიფო საჭიროებისთვის ქონების იძულებითი გასხვისება კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მისი ტოლფასი ანაზღაურების პირობით.

4. ყველას აქვს სამეწარმეო საქმიანობისა და ნებისმიერი კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვის თავისუფლება. მონოპოლიური საქმიანობა რეგულირდება და იზღუდება კანონით. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია აკრძალულია.

მუხლი 27. 1. ქორწინება და ოჯახი, დედები, მამები და ბავშვები იმყოფებიან სახელმწიფოს დაცვის ქვეშ.

2. ბავშვებისათვის ზრუნვა და მათი აღზრდა არის მშობლების ბუნებითი უფლება და მოვალეობა.

3. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შეილები ვალდებული არიან იზრუნონ შრომისუნარო მშობლებზე.

მუხლი 28. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შრომის ანაზღაურებისა და პენსიის მინიმალური ოდენობა, სოციალური ანაზღაურება ასაკის მიხედვით, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევებში, აგრეთვე სხვა კანონიერი საფუძვლით.

2. მხარდაჭერილია ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი ფორმების შექმნა და ქველმოქმედება.

მუხლი 29. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

2. რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ კანონით დადგენილი სამედიცინო დახმარების გარანტირებული მოცულობა.

3. სახელმწიფო და კერძო სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე კერძო სამედიცინო პრაქტიკით დასაქმებული პირებისგან ფასიანი სამედიცინო დახმარება მიიღება კანონით დადგენილ საფუძველზე და განსაზღვრული წესით.

მუხლი 30. 1. მოქალაქეებისათვის გარანტირებულია უფასო საშუალო განათლება სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში. საშუალო განათლება სავალდებულოა.

2. მოქალაქეს აქვს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კონკურსის საფუძველზე უფასო უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

3. კერძო სასწავლო დაწესებულებებში ფასიანი განათლების მიღება წარმოებს კანონით დადგენილ საფუძველზე და განსაზღვრული წესით.

4. სახელმწიფო ადგენს განათლების საყოველთაოდ სავალდებულო სტანდარტებს. ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს.

მუხლი 31. 1. სახელმწიფო მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელი გარემოს დაცვას.

2. თანამდებობის პირების მიერ ისეთი ფაქტებისა და გარემოებების დაფარვა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად.

მუხლი 32. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად და უიარაღოდ, მოაწყონ შეკრება, მიტინგი და დემონ-

სტრატეგია, მსვლელობა და პიკეტირება. ამ უფლების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის დაცვის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 33. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საქმეების მართვაში უშუალოდ და თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, მიმართონ პირადად, აგრეთვე წარუდგინონ ინდივიდუალური და კოლექტიური მიმართვები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

2. რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს და იქნეს არჩეული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ რეფერენდუმში.

3. უფლება, აირჩიოს ან იქნეს არჩეული, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმში, არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნარიოდ, ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელადსრულებით დაწესებულებაში.

4. რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის თანაბარად ხელმისაწვდომია სახელმწიფო სამსახური. მოთხოვნები, რომლებიც სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობის დასაკავებლად წარედგინება კანდიდატს, განპირობებულია მხოლოდ თანამდებობრივ მოვალეობათა ხასიათით და ღვინდება კანონით.

მუხლი 34. 1. ყველა ვალდებულია დაიცვას ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, პატივი სცეს სხვათა უფლებებს, თავისუფლებებს, სახელსა და ღირსებას.

2. ყველა ვალდებულია პატივი სცეს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებს.

მუხლი 35. ყველას მოვალეობა და ვალდებულებაა კანონიერად დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა აუცილებელი გადასახდელების გადახდა.

მუხლი 36. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის დაცვა ყაზახეთის ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობა და ვალდებულებაა.

2. რესპუბლიკის მოქალაქეები სამხედრო სამსახურს გადიან კანონით დადგენილი წესისა და სახეების მიხედვით.

მუხლი 37. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებული არიან იზრუნონ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის, გაუფრთხილდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

მუხლი 38. ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებული არიან დაიცვან ბუნება და მზრუნველობით მოეპყრონ ბუნებრივ სიმდიდრეებს.

მუხლი 39. 1. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონებით და ოდენ იმ ზომით, რომელიც აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების, საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

2. არაკონსტიტუციურად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედობა, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ეროვნებათშორისი თანხმობა.

3. დაუშვებელია რაიმე ფორმით მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა პოლიტიკური მოტივებით. არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება შეზღუდვას კონსტიტუციის მე-10, მე-11, მე-13, მე-14, მე-15 მუხლებით, აგრეთვე მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, მე-17, მე-19, 22-ე და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

ნაწილი III. პრეზიდენტი

მუხლი 40. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, მისი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და წარმოადგენს ყაზახეთს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის, კონსტიტუციის ურყეობის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა სიმბოლო და გარანტი.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოს შეთანხმებულ ფუნქციონირებას და ხალხის წინაშე ხელისუფლების ორგანოთა პასუხისმგებლობას.

მუხლი 41. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა კონსტიტუციური კანონის შესაბამისად რესპუბლიკის სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით შეიდი წლის ვადით.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით რესპუბლიკის მოქალაქე ორმოცი წლის ასაკიდან, რომელიც თავისუფლად ფლობს სახელმწიფო ენას და ცხოვრობს ყაზახეთში არანაკლებ თხუთმეტი წლისა.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება დეკემბრის პირველ კვირა დღეს და არ უნდა ემთხვეოდეს რესპუბლიკის პარლამენტის ახალი შემადგენლობის არჩევნებს.

4. ამოღებულია.

5. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ორმოცდაათ პროცენტზე მეტს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათ საჭირო რაოდენობას, იმართება ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მეტ ხმას.

მუხლი 42. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს ხალხის წინაშე შემდეგი ფიცის დადების მომენტიდან: „საზეიმოდ ვფიცავ, რომ ერთგულად ვემსახურები ყაზახეთის ხალხს, მკაცრად დავიცავ ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს, უზრუნველვყოფ მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულებ ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩემთვის დაკისრებულ მაღალ ვალდებულებებს“.

2. ფიცის დადება ხდება საზეიმო ვითარებაში იანვრის მეორე ოთხშაბათს პარლამენტის დეპუტატების, საკონსტიტუციო საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა ყოფილი პრეზიდენტის თანდასწრებით. კონსტიტუციის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება, ფიცს დებს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება რესპუბლიკის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების მომენტიდან, აგრეთვე პრეზიდენტის ვადამდე გათავისუფლების, თანამდებობიდან გადაყენების ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში. რესპუბლიკის ყველა ყოფილ პრეზიდენტს, გარდა თანამდებობიდან გადაყენებულისა, აქვს ყაზახეთის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის წოდება.

4. ამოღებულია.

5. ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 43. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება არა აქვს იყოს წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატი, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა და ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

2. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა უნდა შეაჩეროს თავისი საქმიანობა პოლიტიკურ პარტიამში.

მუხლი 44. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) ყოველწლიურად მიმართავს ყაზახეთის ხალხს ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და რესპუბლიკის სამინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ;

2) ნიშნავს რესპუბლიკის პარლამენტის მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს; იწვევს პარლამენტის პირველ სესიას და იღებს ყაზახეთის ხალხის წინაშე დეპუტატების მიერ ფიცის დადებას; იწვევს პარლამენტის პალატების რიგგარეშე ერთობლივ სხდომებს; ხელს აწერს პარლამენტის სენატის მიერ წარდგენილ კანონს თხუთმეტი სამუშაო დღის ვადაში, აქვეყნებს კანონს ან აბრუნებს კანონს ან მის ცალკეულ მუხლებს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის;

3) პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს; პრემიერ-მინისტრის წარდგინებით განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მის წევრებს, ასევე ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოებს, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში; იღებს მთავრობის წევრთა ფიცს, თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით; აკისრებს მთავრობას პარლამენტის მაჟილისში კანონპროექტის შეტანას; მთლიანად ან ნაწილობრივ აუქმებს ან აჩერებს მთავრობისა და ოლქების, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებისა და რესპუბლიკის დედაქალაქის აკიშების აქტების მოქმედებას;

4) პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს;

5) პარლამენტის სენატის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს;

6) ნიშნავს და გამოიწვევს რესპუბლიკის წარმომადგენლობათა მეთაურებს;

7) ხუთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საანგარიშო კომიტეტის თავმჯდომარესა და ორ წევრს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით;

8) ამტკიცებს რესპუბლიკის სახელმწიფო პროგრამებს;

9) რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მყოფი ყველა ორგანოსათვის ამტკიცებს დაფინანსებისა და მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთიან სისტემას;

10) იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების შესახებ;

11) მართავს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებს; ხელს აწერს სარატიფიკაციო სიგელებს; იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენელთა რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს;

12) არის რესპუბლიკის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამხედრო ძალების უმაღლეს სარდლობას;

13) ანიჭებს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებს, საპატიო, უმაღლეს სამხედრო და სხვა წოდებებს, საკლასო ჩინებს, დიპლომატიურ რანგებს, საკვალიფიკაციო კლასებს;

14) წყვეტს რესპუბლიკის მოქალაქეობისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

15) შეიწყალებს მოქალაქეებს;

16) თუ საფრთხე ექმნება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას, აგრეთვე მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას და დარღვეულია სახელმწიფოს კონსტიტუციურ ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ იღებს ზემოდასახელებული გარემოებებით განპირობებულ ზომებს, ყაზახეთის მთელ ტერიტორიაზე და მის ცალკეულ ადგილებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და რესპუბლიკის სამხედრო ძალების გამოყენების ჩათვლით და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ რესპუბლიკის პარლამენტს;

17) რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის ან მისი უშიშროებისთვის უშუალო საგარეო საფრთხის შემთხვევაში რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საომარ მდგომარეობას, ნაწილობრივ ან საერთო მობილიზაციას და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ რესპუბლიკის პარლამენტს;

18) აყალიბებს თავის დაქვემდებარებაში არსებულ რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურს და რესპუბლიკურ გვარდას;

19) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანს, განსაზღვრავს მის სტატუსსა და უფლებამოსილებას; ქმნის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას;

20) ქმნის უშიშროების საბჭოს, უმაღლეს სასამართლო საბჭოს და სხვა საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოებს;

21) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

მუხლი 45. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

2. კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს კანონებს, ხოლო კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – რესპუბლიკის კანონის ძალის მქონე ბრძანებულებებს.

3. პარლამენტის აქტებს, რომლებსაც ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი, აგრეთვე პრეზიდენტის აქტებს, რომლებიც გამოიცემა მთავრობის ინიციატივით, წინასწარ ხელს აწერს, შესაბამისად, პარლამენტის თითოეული პალატის თავმჯდომარე ან პრემიერ-მინისტრი, რომლებსაც ეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა მოცემული აქტების კანონიერებისთვის.

მუხლი 46. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფა, მომსახურება და დაცვა ხორციელდება სახელმწიფო სახსრებიდან.

3. ამ მუხლის დებულებები ვრცელდება რესპუბლიკის ექსპრეზიდენტებზე.

მუხლი 47. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლდეს ავადმყოფობის გამო თავისი მოვალეობის ხანგრძლივად შეუსრულებლობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ქმნის კომისიას, რომელიც შედგება თითოეული პალატის თანაბარი რაოდენობის დეპუტატებისა და მედიცინის შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან. გადაწყვეტილება ვადამდე გათავისუფლების შესახებ პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე მიიღება თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით, დადგენილი კონსტიტუციური პროცედურების დაცვის შესახებ კომისიისა და საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნების საფუძველზე.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს თავისი მოვალეობის შესრულებისას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ სახელმწიფოს ღალატის ჩადენისათვის, რისთვისაც პარლამენტს შეუძლია მისი გადაყენება თანამდებობიდან. გადაწყვეტილებას ბრალდების წარდგენისა და მისი გამოძიების შესახებ იღებს მაჟილისი დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, მისი დეპუტატების არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. ბრალდების გამოძიების ორგანიზებას ახორციელებს სენატი და მისი შედეგები სენატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით განსახილველად გადაეცემა პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით, ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ უზენაესი სასამართლოს დასკვნის და დადგენილი კონსტიტუციური პროცედურების შესახებ საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნის არსებობისას. ბრალდების წარდგენიდან ორი თვის ვადაში საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობა იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ ბრალდების უარყოფას. სახელმწიფოს ღალატის ჩადენაში რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ ბრალდების უარყოფა ნებისმიერ სტადიაზე იწვევს მაჟილისის იმ დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რომლებმაც მოახდინეს მოცემული საკითხის განხილვის ინიცირება.

3. არ შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა მის მიერ რესპუბლიკის პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვის დროს.

მუხლი 48. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების ან გადაყენების, აგრეთვე მისი გარდაცვალების შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება დარჩენილი ვადით გადაეცემა პარლამენტის სენატის თავმჯდომარეს; თუ სენატის თავმჯდომარე ვერ აიღებს თავის თავზე პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ის გადაეცემა პარლამენტის მაჟილისის თავმჯდომარეს; თუ მაჟილისის თავმჯდომარე ვერ აიღებს თავის თავზე პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ის გადაეცემა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს. პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება, იხსნის შესაბამისად სენატის თავმჯდომარის, მაჟილისის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას. ასეთ შემთხვევაში ვაკანტური სახელმწიფო თანამდებობის დაკავება ხდება კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით.

2. პირს, რომელმაც თავის თავზე აიღო ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებუ-

ლი საფუძვლითა და წესით, არა აქვს ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიცირების უფლება.

ნაწილი IV. პარლამენტი

მუხლი 49. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პარლამენტი არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებს.

2. პარლამენტის უფლებამოსილება იწყება მისი პირველი სესიის გახსნის მომენტიდან და წყდება ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სესიის მუშაობის დაწყებისთანავე.

3. პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

4. პარლამენტის ორგანიზაცია და საქმიანობა, მისი დეპუტატების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 50. 1. პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: მუდმივმოქმედი სენატისა და მაჟილისისაგან.

2. სენატი იქმნება ყოველი ოლქიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქიდან და ყაზახეთის რესპუბლიკის დედაქალაქიდან შესაბამისად ოლქის, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქისა და რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატთა ერთობლივ სხდომაზე არჩეული ორ-ორი დეპუტატისგან. სენატის შვიდ დეპუტატს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი სენატის უფლებამოსილების ვადით.

3. მაჟილისი შედგება სამოცდაჩვიდმეტი დეპუტატისგან. სამოცდაშვიდი დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიანი ტერიტორიული საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებიც იქმნება რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით და ამომრჩეველთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობით. ათი დეპუტატი აირჩევა პარტიული სიების საფუძველზე პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის შესაბამისად, ერთიანი საერთო-ეროვნული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

4. პარლამენტის დეპუტატი არ შეიძლება იყოს ერთდროულად ორივე პალატის წევრი.

5. სენატის დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა ექვსი წელი, ხოლო მაჟილისის დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა – ხუთი წელი.

მუხლი 51. 1. მაჟილისის დეპუტატები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის-

ყრით. მაჟილისის დეპუტატთა მორიგი არჩევნები ტარდება მოქმედი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე არა უგვიანეს ორი თვისა.

2. სენატის დეპუტატები აირჩევიან ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. სენატის არჩეულ დეპუტატთა ნახევარი ხელახლა აირჩევა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ამასთან, მათი მორიგი არჩევნები ტარდება მათი უფლებამოსილების გასვლამდე არა უგვიანეს ორი თვისა.

3. პარლამენტის დეპუტატთა რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან ორი თვის განმავლობაში.

4. სენატის დეპუტატი შეიძლება იყოს ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ოცდაათი წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობა არანაკლებ ხუთი წლისა, აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება და მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი ოლქის, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქისა და რესპუბლიკის დედაქალაქის ტერიტორიაზე არანაკლებ სამი წლისა. მაჟილისის დეპუტატი შეიძლება იყოს რესპუბლიკის მოქალაქე ოცდახუთი წლის ასაკიდან.

5. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ერთმანდატიან ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ან ამომრჩევთა ხმების ორმოცდაათ პროცენტზე მეტს, შესაბამისად ოლქის, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქისა და რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატთა ერთობლივ სსდომაზე. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, იმართება ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ან ამომრჩევთა მეტ ხმას. პარტიული სიების საფუძველზე მაჟილისის არჩევნების შედეგად დეპუტატთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების შვიდი პროცენტი მაინც. სენატის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტმა. რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა არჩევის წესი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

6. პარლამენტის დეპუტატი დებს ფიცს ყაზახეთის ხალხის წინაშე.

მუხლი 52. 1. პარლამენტის დეპუტატი არ არის შეუპოვნილი რაიმე სახის იმპერატიული მანდატით.

2. პარლამენტის დეპუტატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში. პარლამენტში დეპუტატი ხმას აძლევს მხოლოდ პირადად. საპატიო მიზეზის გარეშე პალატებისა და მათი ორგანოების სხდომებზე დაუსწრებლობის სამზე მეტი ფაქტი, ისევე როგორც ხმის უფლების გადაცემა, იწვევს დეპუტატის მიმართ კანონით დადგენილი სახდელის ზომის გამოყენებას.

3. პარლამენტის დეპუტატს უფლება არა აქვს იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შედიოდეს კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. ამ წესის დარღვევა იწვევს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. არ შეიძლება თავისი უფლებამოსილების განმავლობაში პარლამენტის წევრის დაპატიმრება, მოყვანა, მისთვის სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, პასუხისგებაში მიცემა შესაბამისი პალატის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა.

5. პარლამენტის დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდება გადადგომის, მისი ქმედუნაროდ ცნობის, პარლამენტის დათხოვნისა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. პარლამენტის დეპუტატს მანდატი ჩამოერთმევა მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, აგრეთვე ყაზახეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლის შემთხვევაში.

6. დეპუტატის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის ზომის გამოყენებასთან, მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დაცვასთან, სადეპუტატო ეთიკის წესებთან, აგრეთვე დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტასთან და მისთვის უფლებამოსილებისა და სადეპუტატო ხელშეუხებლობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხების მომზადება ეკისრება ყაზახეთის რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მუხლი 53. პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე:

1) უფლებამოსილია ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები; მიიღოს კონსტიტუციური კანონები, შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები;

2) ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და მთავრობისა და საანგარიშო კომიტეტის ანგარიშებს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კონტროლთან დაკავშირებით, შეაქვს ცვლილებები და დამატებები ბიუჯეტში;

3) ხელახლა განიხილავს და კენჭს უყრის კანონებს ან კანონის მუხლებს, რომლებთან დაკავშირებით რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა შენიშვნები, ერთი თვის ვადაში მათი გაგზავნის დღიდან. ამ ვადის დაუკველობა ნიშნავს პრეზიდენტის შენიშვნების მიღებას. თუ პარლამენტი თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით დაადასტურებს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტი შეიძლება დღის ვადაში ხელს აწერს კანონს. თუ პრეზიდენტის შენიშვნები არ იქნება დაძლეული, კანონი არ ჩაითვლება მიღებულად ან ჩაითვლება მიღებულად პრეზიდენტის მიერ წარდგენილი რედაქციით;

4) უფლებამოსილია თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით, პრეზიდენტის ინიციატივით, გადასცეს მას საკანონმდებლო უფლებამოსილება არა უმეტეს ერთი წლის ვადით;

5) თანხმობას აძლევს პრეზიდენტს რესპუბლიკის პრეზიერ-მინისტრისა და ეროვნული ბანკის თავმჯდომარის დანიშვნაზე;

6) ისმენს პრეზიერ-მინისტრის მოხსენებას მთავრობის პროგრამის შესახებ და იწონებს ან უარყოფს პროგრამას. პროგრამის ხელახალი უარყოფა შესაძლებელია თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, რაც ნიშნავს მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას. ასეთი უმრავლესობის არარსებობა ნიშნავს მთავრობის პროგრამის მოწონებას;

7) თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, პარლამენტის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის ინიციატივით ან კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში უცხადებს მთავრობას უნდობლობის ვოტუმს;

8) წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს;

9) რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ მშვიდობისა და უშიშროების მხარდაჭერასთან დაკავშირებით საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად;

10) იჩენს ინიციატივას რესპუბლიკური რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით;

11) ისმენს რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს ყოველწლიურ მიმართვას რესპუბლიკაში კონსტიტუციური კანონიერების მდგომარეობის შესახებ;

12) ქმნის პალატების ერთობლივ კომისიებს, თანამდებობაზე ირჩევს და ათავისუფლებს მათ თავმჯდომარეებს, ისმენს ანგარიშს კომისიათა საქმიანობის შესახებ;

13) ახორციელებს კონსტიტუციით პარლამენტისათვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 54. პარლამენტი პალატების განცალკევებულ სხდომებზე საკითხის თავდაპირველად მაჟილისში, ხოლო შემდეგ სენატში თანამიმდევრული განხილვის გზით:

- 1) იღებს კანონებს;
- 2) განიხილავს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, აწესებს და აუქმებს სახელმწიფო გადასახადებსა და მოსაკრებლებს;
- 3) ადგენს ყაზახეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს;
- 4) აწესებს სახელმწიფო ჯილდოებს, საპატიო, სამხედრო და სხვა წოდებებს, საკლასო ჩინებს, რესპუბლიკის დიპლომატიურ რანგებს, განსაზღვრავს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებს;
- 5) წყვეტს სახელმწიფო სესხისა და რესპუბლიკის მიერ ეკონომიკური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენის საკითხებს;
- 6) გამოსცემს აქტებს მოქალაქეთა ამნისტიის შესახებ;
- 7) ახდენს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებასა და დენონსირებას.

მუხლი 55. სენატის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

- 1) ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების თანამდებობაზე არჩევა და გათავისუფლება, მათი ფიცის მიღება;
- 2) რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა;
- 3) რესპუბლიკის გენერალური პროკურორისთვის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეებისთვის ხელშეუხებლობის ჩამორთმევა;
- 4) რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;
- 5) ყაზახეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საბჭოს შემადგენლობაში ორი დეპუტატის დელეგირება;
- 6) მაჟილისის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ აღძრული საკითხის განხილვა და მისი შედეგების გატანა პალატების ერთობლივ სხდომაზე განსახილველად.

მუხლი 56. მაჟილისის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

- 1) კანონის პროექტების განსახილველად მიღება და განხილვა;
- 2) რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან დაკავშირებით ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შენიშვნების შესახებ წინადადებების მომზადება;
- 3) რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრების თანამდებობაზე არჩევა და გათავისუფლება;
- 4) რესპუბლიკის პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამოცხადება;
- 5) იუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობაში ორი დეპუტატის დელეგირება;
- 6) სახელმწიფოს ღალატის ჩადენაში რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის ბრალდების წარდგენა.

მუხლი 57. პარლამენტის თითოეული პალატა დამოუკიდებლად, მეორე პალატის მონაწილეობის გარეშე:

- 1) თანამდებობაზე ნიშნავს ხუთი წლის ვადით საანგარიშო კომიტეტის სამ წევრს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით;
- 2) ახდენს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შექმნილი კომისიის წევრების დელეგირებას;
- 3) ირჩევს პალატების ერთობლივ კომისიათა წევრების ნახევარს;
- 4) შეწყვეტს პალატების დეპუტატთა უფლებამოსილებას, აგრეთვე ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინებით წვევტს პალატების დეპუტატებისთვის ხელშეუხებლობის ჩამორთმევის საკითხს;
- 5) თავისი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით ატარებს საპარლამენტო მოსმენებს;
- 6) უფლებამოსილია პალატების დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით მოისმინოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ანგარიში მათი საქმიანობის შესახებ და პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით მიიღოს პრეზიდენტისადმი მიმართვა მთავრობის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მის მიერ რესპუბლიკის კანონების შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი უარყოფს ასეთ მიმართვას, პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით უფლებამოსილია პირველი მიმართვიდან ექვსი თვის გასვლისთანავე ხელმორედ დააყენოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე მთავრობის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. ასეთ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ათავისუფლებს თანამდებობიდან მთავრობის წევრს;
- 7) ქმნის პალატების საკოორდინაციო და სამუშაო ორგანოებს;

8) იღებს თავისი საქმიანობის რეგლამენტს და სხვა გადაწყვეტილებებს პალატის ორგანიზაციისა და შინაგანაწესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 58. 1. პალატებს ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები, რომლებიც პალატების დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით აირჩვიან სენატისა და მაჟილისის მიერ დეპუტატებისგან, რომლებიც თავისუფლად ფლობენ სახელმწიფო ენას. სენატის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. მაჟილისის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენენ პალატის დეპუტატები.

2. პალატების თავმჯდომარეების გაწვევა, აგრეთვე მათი გადადგომა შესაძლებელია პალატების დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

3. პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები:

1) იწვევენ და თავმჯდომარეობენ პალატების სხდომებს;

2) საერთო ხელმძღვანელობას უწევენ პალატების განსახილველად შეტანილი საკითხების მომზადებას;

3) პალატებს წარუდგენენ ასარჩევად პალატების თავმჯდომარეების მოადგილეთა კანდიდატურებს;

4) უზრუნველყოფენ პალატების საქმიანობაში რეგლამენტის დაცვას;

5) ხელმძღვანელობენ პალატების საკოორდინაციო ორგანოების საქმიანობას;

6) ხელს აწერენ პალატების მიერ გამოცემულ აქტებს;

7) ნიშნავენ ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციოს საბჭოს ორ-ორ წევრს;

8) ახორციელებენ პარლამენტის რეგლამენტით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს;

4. მაჟილისის თავმჯდომარე:

1) ხსნის პარლამენტის სესიებს;

2) იწვევს პალატების მორიგ ერთობლივ სხდომებს, თავმჯდომარეობს პალატების მორიგ და რიგგარეშე ერთობლივ სხდომებს;

5. თავისი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით პალატების თავმჯდომარეები გამოსცემენ განკარგულებებს.

მუხლი 59. 1. პარლამენტის სესია მიმდინარეობს მისი პალატების ერთობლივი და განცალკევებული სხდომების ფორმით.

2. პარლამენტის პირველ სესიას იწვევს ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

3. პარლამენტის მორიგი სესიები იმართება წელიწადში ერთხელ, სექტემბრის პირველი სამუშაო დღიდან ივნისის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით.

4. პარლამენტის სესია იხსნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ და იხურება სენატისა და მაჟილისის ერთობლივ სხდომებზე. პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით, პალატების თავმჯდომარეების ან პარლამენტის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წინადადებით შეუძლია პალატების რიგგარეშე ერთობლივი სხდომის მოწვევა, რომელზედაც შეიძლება მხოლოდ იმ საკითხების განხილვა, რომელთა საფუძველზეც მოხდა მისი მოწვევა.

5. პალატების ერთობლივი და განცალკევებული სხდომები ტარდება თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის დასწრების პირობით.

6. პალატების ერთობლივი და განცალკევებული სხდომები არის ღია. რეგლამენტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება დახურული სხდომების ჩატარება. რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და მთავრობის წევრებს, ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვთ დაესწრონ ნებისმიერ სხდომას და იქნენ მოსმენილი.

მუხლი 60. 1. პალატები ქმნიან მუდმივ კომისიებს, რომელთა რაოდენობა თითოეულ პალატაში არ აღემატება შვიდს.

2. პალატების ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად სენატსა და მაჟილისს აქვთ პარიტეტულ საწყისებზე ერთობლივი კომისიების შექმნის უფლება.

3. კომიტეტები და კომისიები თავიანთი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემენ დადგენილებებს.

4. კომიტეტებისა და კომისიების შექმნის წესი, უფლებამოსილება და საქმიანობის ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 61. 1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ ყაზახეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატებს და რესპუბლიკის მთავრობას; იგი ხორციელდება მხოლოდ მაჟილისში.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს განსაზღვროს კანონის პროექტების განხილვის პრიორიტეტულობა, აგრეთვე გამოაცხადოს კანონის პროექტის განხილვა დაჩქარებული წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტმა მოცემული პროექტი უნდა განიხილოს მისი შეტანიდან ერთი თვის ვადაში. პარლამენტის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას რესპუბლი-

კის პრეზიდენტს აქვს კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემის უფლება, რომელიც მოქმედებს პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილი წესით ახალი კანონის მიღებამდე.

3. პარლამენტს უფლება აქვს გამოსცეს კანონები, რომლებიც არეგულირებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგენს ფუძემდებლურ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც შეეხება:

1) ფიზიკური და იურიდიული პირების სამართალსუბიექტურობას, სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას;

2) საკუთრების რეჟიმსა და სხვა ქონებრივ უფლებებს;

3) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო და სამხედრო. სამსახურის ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლებს;

4) დაბეგვრას, მოსაკრებლებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების დაწესებას;

5) რესპუბლიკურ ბიუჯეტს;

6) სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საკითხებს;

7) განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას;

8) საწარმოებისა და მათი ქონების პრივატიზაციას;

9) გარემოს დაცვას;

10) რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას;

11) სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას.

ყველა სხვა ურთიერთობა რეგულირდება კანონქვემდებარე აქტებით.

4. მაჟილისის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით განხილული და მოწონებული კანონპროექტი გადაეცემა სენატს, სადაც განიხილება არა უმეტეს სამოცი დღისა. სენატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული პროექტი იქცევა კანონად და ათი დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს ხელმოსაწერად. სენატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მთლიანად უარყოფილი პროექტი ბრუნდება მაჟილისში. თუ მაჟილისი დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით ხელახლა მოიწონებს პროექტს, იგი გადაეცემა სენატს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის. არ შეიძლება ხელმოკრედ უარყოფილი კანონის პროექტის კვლავ შეტანა იმავე სესიის განმავლობაში.

5. სენატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები და დამატებები გადაეგზავნება მაჟილისს. თუ მაჟილისი დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით დათან-

ზმდება წარდგენილ ცვლილებებსა და დამატებებს, კანონი ჩაითვლება მიღებულიად. თუ მაჟილისი ზმათა იმავე უმრავლესობით უარყოფს სენატის მიერ შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს, უთანხმოება პალატებს შორის გადაწყდება შემთხვევითი პროცედურების მეშვეობით.

6. კანონის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფო შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფო ხარჯების ზრდას, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობის დადებითი დასკვნის არსებობისას.

7. მთავრობის მიერ შეტანილი კანონის პროექტის მიუღებლობასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე დააყენოს მთავრობის ნდობის საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა ტარდება ნდობის საკითხის დაყენებიდან არა უადრეს ორმოცდარვა საათისა. თუ წინადადება უნდობლობის ვოტუმის შესახებ ვერ მიიღებს კონსტიტუციით დადგენილ ზმათა აუცილებელ რაოდენობას, კანონის პროექტი ჩაითვლება მიღებულად კენჭისყრის გარეშე. თუმცა, მთავრობას ამ უფლების გამოყენება შეუძლია წელიწადში მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 62. 1. პარლამენტი იღებს საკანონმდებლო აქტებს ყაზახეთის რესპუბლიკის კანონების, პარლამენტის დადგენილებების, სენატისა და მაჟილისის დადგენილებების ფორმით, რომლებსაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ.

2. რესპუბლიკის კანონები ძალაში შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

3. კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეთხედის უმრავლესობით.

4. კონსტიტუციური კანონები მიიღება კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე, თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

5. პარლამენტისა და მისი პალატების საკანონმდებლო აქტები მიიღება პალატების დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. აუცილებელია არანაკლებ ორი მოსმენის ჩატარება კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, კონსტიტუციური კანონების მიღების ან მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხთან დაკავშირებით.

7. რესპუბლიკის კანონები, პარლამენტისა და მისი პალატების დადგენილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. პარლამენტისა და მისი პალატების დადგენილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონებს.

8. რესპუბლიკის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების, წარდგენის, განხილვის, ძალაში შესვლის და გამოქვეყნების წესი რეგულირდება სპეციალური კანონით და პარლამენტისა და მისი პალატების რეგლამენტებით.

მუხლი 63. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების, პრემიერ-მინისტრის დასანიშნად პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემაზე ორჯის უარის თქმის, პარლამენტის პალატებს ან პარლამენტსა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებს შორის დაუძლეველი უთანხმოებების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში.

2. არ შეიძლება პარლამენტის დათხოვნა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო ექვსი თვის, აგრეთვე წინა დათხოვნიდან ერთი წლის განმავლობაში.

ნაწილი V. მთავრობა

მუხლი 64. 1. მთავრობა ახორციელებს ყაზახეთის რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების სისტემას და უძღვება მათ საქმიანობას.

2. მთავრობა მთელი თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე, აგრეთვე კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-ნ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე.

3. მთავრობის წევრები ანგარიშვალდებული არიან პარლამენტის პალატების წინაშე კონსტიტუციის 57-ე მუხლის მე-ნ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. მთავრობის კომპეტენცია, ორგანიზაციის წესი და საქმიანობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 65. 1. მთავრობას ქმნის ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით.

2. წინადადებებს მთავრობის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან ათი დღის ვადაში.

3. მთავრობის წევრები დებენ ფიცს ყაზახეთის ხალხისა და პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 66. ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა:

1) შეიმუშავეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, მისი თავდაცვისუნარიანობის, უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებს და ახდენს მათი განხორციელების ორგანიზებას;

2) წარუდგენს პარლამენტს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს, უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას;

3) შეაქვს მაჟილისში კანონის პროექტები და უზრუნველყოფს კანონების შესრულებას;

4) ახდენს სახელმწიფო საკუთრების მართვის ორგანიზებას;

5) შეიმუშავეს ზომებს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით;

6) უძღვება სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სხვა ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას;

7) მთლიანად ან ნაწილობრივ აუქმებს ან აჩერებს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, რესპუბლიკის სხვა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აქტების მოქმედებას;

8) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში;

9) ასრულებს კონსტიტუციით, კანონებით და პრეზიდენტის აქტებით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 67. ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი:

1) ორგანიზებას უწევს და უძღვება მთავრობის საქმიანობას, პერსონალურად აგებს პასუხს მისი მუშაობისათვის;

2) დანიშნვიდან ერთი თვის ვადაში პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის პროგრამის შესახებ, ხოლო მისი უარყოფის შემთხვევაში ორი თვის ვადაში წარადგენს პროგრამის შესახებ ხელშეორე მოხსენებას;

3) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

4) მოახსენებს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მისი ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ;

5) ახორციელებს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 68. 1. მთავრობის წევრები დამოუკიდებელი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებისას და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის წინაშე პერსონალურად აგებენ პასუხს მათ დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო ორგანოების მუშაობისთვის. მთავრობის წევრი, რომელიც არ ეთანხმება მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას ან არ ახორციელებს მას, უნდა გადადგეს ან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. მთავრობის წევრს არა აქვს უფლება იყოს წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატი, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შედიოდეს კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 69. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა თავისი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირით გამოსცემს დადგენილებებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

2. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გამოსცემს განკარგულებებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

3. მთავრობის დადგენილებები და პრემიერ-მინისტრის განკარგულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, საკანონმდებლო აქტებს, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

მუხლი 70. 1. მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას ყაზახეთის რესპუბლიკის ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე.

2. მთავრობას და მის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, თუ შეუძლებლად მიაჩნია მისთვის დაკისრებული ფუნქციების შემდგომი განხორციელება.

3. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში მთავრობა რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართავს განცხადებით გადადგომის შესახებ.

4. რესპუბლიკის პრეზიდენტი ათი დღის ვადაში განიხილავს საკითხს გადადგომის მიღების ან უარყოფის შესახებ.

5. გადადგომის მიღება ნიშნავს მთავრობის ან მისი შესაბამისი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. პრემიერ-მინისტრის გადადგომის მიღება ნიშნავს მთელი მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

6. მთავრობის ან მისი წევრის გადადგომის უარყოფის შემთხვევაში პრეზიდენტი აკისრებს მას მოვალეობის შემდგომ განხორციელებას. მთავრობის გადადგომის უარყოფისას, რომელიც დაკავშირებულია პარლამენტის მიერ

მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებასთან, პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება.

7. რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და გაათავისუფლოს თანამდებობიდან მისი ნებისმიერი წევრი. პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლება ნიშნავს მთელი მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

ნაწილი VI. საკონსტიტუციო საბჭო

მუხლი 71. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა გრძელდება ექვსი წელი. საკონსტიტუციო საბჭოს სამუდამო წევრები არიან რესპუბლიკის ექსპრეზიდენტები.

2. საკონსტიტუციოს საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მისი ხმა.

3. საკონსტიტუციო საბჭოს ორ წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ორს – სენატის თავმჯდომარე, ორს – მაილისის თავმჯდომარე. საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა ნახევარი განახლდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

4. საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობა შეუთავსებელია სადეპუტატო მანდატთან, სხვა ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავებასთან, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შესვლასთან.

5. არ შეიძლება თავიანთი უფლებამოსილების განმავლობაში საკონსტიტუციო საბჭოს თ თავმჯდომარისა და წევრების დაპატიმრება, მოყვანა, მათთვის სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, პასუხისგებაში მიცემა პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა.

6. საკონსტიტუციო საბჭოს ორგანიზაცია და საქმიანობა რეგულირდება კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 72. 1. საკონსტიტუციო საბჭო ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სენატის თავმჯდომარის, მაილისის თავმჯდომარის, პარლამენტის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მიმართებით:

1) ღავის შემთხვევაში წყვეტს რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის დეპუტატთა არჩევნებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების კანონიერების საკითხს;

2) რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერამდე განიხილავს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თაობაზე;

3) რატიფიცირებამდე განიხილავს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებს კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თაობაზე;

4) ოფიციალურად განმარტავს კონსტიტუციის ნორმებს;

5) კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იძლევა დასკვნებს;

2. საკონსტიტუციო საბჭო კონსტიტუციის 78-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში განიხილავს სასამართლოთა მიმართებებს.

მუხლი 73. 1. კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვის შემთხვევაში პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავება, პარლამენტის არჩეული დეპუტატების რეგისტრაცია ან რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგების შეჯამება უნდა შეჩერდეს.

2. კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი აქტების ხელმოწერის ან რატიფიკაციის ვადის დინება უნდა შეჩერდეს.

3. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება გამოაქვს მიმართვის დღიდან ერთი თვის ვადაში. გადაუდებელ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით ეს ვადა შეიძლება შემცირდეს ათ დღემდე.

4. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებაში მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტის შენიშვნების შეტანა, რომელთა დაძლევა ხდება საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით. პრეზიდენტის შენიშვნების დაძლევის შეუძლებლობის შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად.

მუხლი 74. 1. დაუშვებელია ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნეული კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა ან, შესაბამისად, რატიფიცირება და ძალაში შესვლა.

2. კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიჩნეულია კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებისა და თავისუფლებების შემლახავად, უქმდება და არ ექვემდებარება გამოყენებას.

3. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის მათი მიღების დღიდან, საყოველთაოდ სავალდებულოა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, არის საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნაწილი VII. სასამართლოები და მართლმსაჯულება

მუხლი 75. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

2. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი და სამართალწარმოების კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი წარმოება ხორციელდება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

3. რესპუბლიკის სასამართლოებია: რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო და რესპუბლიკის ადგილობრივი სასამართლოები, რომლებიც იქმნება კანონით.

4. რესპუბლიკის სასამართლო სისტემა დგინდება რესპუბლიკის კონსტიტუციით და კონსტიტუციური კანონით. დაუშვებელია სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნა რაიმე სახელწოდებით.

მუხლი 76. 1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ყაზახეთის რესპუბლიკის სახელით და მისი მიზანია მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, კონსტიტუციის, კანონების, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა.

2. სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება კონსტიტუციის, კანონების, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ საქმეებსა და დავებზე.

3. სასამართლოების გადაწყვეტილებებს, განაჩენებსა და სხვა დადგენილებებს აქვს სავალდებულო ძალა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 77. 1. მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

2. რაიმე სახის ჩარევა მოსამართლის საქმიანობაში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად. მოსამართლეები არ არიან ანგარიშვალდებული კონკრეტულ საქმეებზე.

3. კანონის გამოყენებისას მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

1) ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით;

2) არავინ არ ექვემდებარება ერთი და იმავე სამართალდარღვევისათვის განმეორებით სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

3) არავის არ შეიძლება შეეცვალოს კანონით გათვალისწინებული განსჯადობა მისი თანხმობის გარეშე;

4) სასამართლოში ყველას აქვს უფლება იქნეს მოსმენილი;

5) კანონს, რომელიც აწესებს ან ამკაცრებს პასუხისმგებლობას, აკისრებს მოქალაქეებს ახალ ვალდებულებებს ან აუარესებს მათ მდგომარეობას, უკუქცევითი ძალა არა აქვს. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მისთვის პასუხისმგებლობა კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია, გამოიყენება ახალი კანონი.

6) ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა;

7) არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი თავის, მეუღლისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით. ღვთისმსახურები არ არიან ვალდებული გამოვიდნენ მოწმედ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც გაენდნენ აღსარების დროს;

8) ნებისმიერი ეჭვი პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით განიმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ;

9) იურიდიული ძალა არა აქვს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი მხოლოდ საკუთარი ჩვენების საფუძველზე;

10) სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენება დაუსტებელია.

4. კონსტიტუციით დადგენილი მართლმსაჯულების პრინციპები არის საერთო და ერთიანი რესპუბლიკის ყველა სასამართლოსა და მოსამართლისათვის.

მუხლი 78. სასამართლოებს არა აქვთ უფლება გამოიყენონ კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არღვევს ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ კანონი ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, არღვევს ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ბებს, იგი ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.

მუხლი 79. 1. სასამართლოები შედგება მუდმივი მოსამართლეებისგან, რომელთა დამოუკიდებლობა დაცულია კონსტიტუციითა და კანონით. მოსამართლის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს მხოლოდ კანონით დადგენილ საფუძველზე.

2. არ შეიძლება მოსამართლის დაპატიმრება, მოყვანა, მისთვის სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, პასუხისმგებაში მიცემა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობის გარეშე, რომელიც ეყრდნობა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საბჭოს დასკვნას, ხოლო კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში – სენატის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა.

3. მოსამართლე შეიძლება იყოს რესპუბლიკის მოქალაქე ოცდახუთი წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი ოურიდიული განათლება, ოურიდიული პროფესიით მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა. კანონით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეებისთვის.

4. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია საღებუტატო მანდატთან, სხვა ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავებასთან, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შესვლასთან.

მუხლი 80. სასამართლოების დაფინანსება, მოსამართლეების უზრუნველყოფა საცხოვრებლით ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მართლმსაჯულების სრული და დამოუკიდებელი განხორციელების შესაძლებლობას.

მუხლი 81. ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საერთო იურისდიქციის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებზე, რომელიც კანონით დადგენილი საპროცესო ფორმებით ზედამხედველობას უწევს მათ საქმიანობას და განმარტავს სასამართლო პრაქტიკის საკითხებს.

მუხლი 82. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოლეგიების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს სენატი, რომელიც ეყრდნობა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციას.

2. საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოების თავმჯდომარეებს, საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოების კოლეგიების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

3. რესპუბლიკის სხვა სასამართლოების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც ეყრდნობა იუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგიის რეკომენდაციას.

4. უმაღლეს სასამართლო საბჭოს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. იგი შედგება საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, იუსტიციის მინისტრის, სენატის დეპუტატების, მოსამართლეებისა და სხვა პირებისგან, რომლებსაც ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. იუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგია არის ავტონომიური დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც იქმნება მაჟილისის დეპუტატების, მოსამართლეების, პროკურორების, სამართლის მასწავლებლების, მეცნიერ-იურისტებისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკებისაგან.

5. უმაღლესი სასამართლო საბჭოსა და იუსტიციის საკვალიფიკაციო კოლეგიის სტატუსი, შექმნის წესი და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 83. 1. პროკურატურა სახელმწიფოს სახელით უმაღლეს ზედამხედველობას უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონების, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მოკვლევისა და გამოძიების, აღმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების კანონიერებას, იღებს ზომებს კანონიერების ნებისმიერი დარღვევის გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე ასაჩივრებს კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. პროკურატურა წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესებს სასამართლოში, აგრეთვე ახორციელებს სისხლის-სამართლებრივ დევნას კანონით დადგენილ შემთხვევებში, ფარგლებში და განსაზღვრული წესით.

2. რესპუბლიკის პროკურატურა არის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა ქვემდგომი პროკურორების დაქვემდებარებით ზემდგომი პროკურორებისა და რესპუბლიკის გენერალური პროკურორისადმი. იგი ახორციელებს თავის უფლებამოსილებას სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულია მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე.

3. არ შეიძლება თავისი უფლებამოსილების განმავლობაში რესპუბლიკის გენერალური პროკურორის დაპატიმრება, მოყვანა, მისთვის სასამართლო წესით აღმინისტრაციული სახდელის შეფარდება, პასუხისგებაში მიცემა სენატის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

4. რესპუბლიკის პროკურატურის კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 84. 1. სისხლის სამართლის საქმეთა მოკვლევისა და წინასწარ გამოძიებას ახორციელებენ სპეციალური ორგანოები, რომლებიც განცალკევებულია სასამართლოსა და პროკურატურისგან.

2. მოკვლევისა და გამოძიების ორგანოების უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, ყაზახეთის რესპუბლიკაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საკითხები რეგულირდება კანონით.

ნაწილი VIII. ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობა და თვითმმართველობა

მუხლი 85. ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამის ტერიტორიაზე საქმის ვითარებისთვის.

მუხლი 86. 1. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები – მასლიხატები გამოხატავენ შესაბამისი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის ნებას და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავენ მისი რეალიზაციისათვის აუცილებელ ზომებს, აკონტროლებენ მათ განხორციელებას.

2. მასლიხატებს ირჩევს მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით.

3. მასლიხატის დეპუტატად შეიძლება აირჩეს ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ოცი წლის ასაკიდან. რესპუბლიკის მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მასლიხატის დეპუტატი.

4. მასლიხატების გამგებლობას განეკუთვნება:

1) ტერიტორიის განვითარების ეკონომიკური და სოციალური პროგრამების, გეგმების, ადგილობრივი ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება;

2) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტა;

3) ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშების განხილვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კანონით მასლიხატის კომპეტენციას განეკუთვნება;

4) მასლიხატის მუდმივი კომისიებისა და სხვა სამუშაო ორგანოების შექმნა, მათი საქმიანობის ანგარიშის მოსმენა, მასლიხატის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა;

5) რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უფლებამოსილების განხორციელება მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

5. მასლიხატის უფლებამოსილებას ვადაძლე წყვეტს სენატი კანონით დადგენილი საფუძვლითა და განსაზღვრული წესით, აგრეთვე თვითდათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

6. მასლიხატების კომპეტენცია, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, მათი დეპუტატების სამართლებრივი მდგომარეობა დგინდება კანონით.

მუხლი 87. 1. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები შედიან ყაზახეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ერთიან სისტემაში, უზრუნველყოფენ აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებას შესაბამისი ტერიტორიის განვითარების მოთხოვნებისა და ინტერესების შთავსებით.

2. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების გამგებლობას განეკუთვნება:

1) ტერიტორიის განვითარების ეკონომიკური და სოციალური პროგრამების, გეგმების, ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავება და მათი შესრულების უზრუნველყოფა;

2) კომუნალური საკუთრების მართვა;

3) ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება, ადგილობრივი აღმასრულებელი

ორგანოების მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა;

4) ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობის ინტერესების შესაბამისად რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოებისათვის დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

3. ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აკიმი, რომელიც არის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენელი.

4. ოლქების, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებისა და დედაქალაქის აკიმებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აკიმები თანამდებობაზე ინიშნებიან ან აირჩევიან ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული წესით. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ გაათავისუფლოს აკიმები თანამდებობიდან.

5. მასლიხატს უფლება აქვს თავის დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აკიმს და დააყენოს თანამდებობიდან მისი გადაყენების საკითხი შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტის ან ზემდგომი აკიმის წინაშე. ოლქების, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებისა და დედაქალაქის აკიმების უფლებამოსილება წყდება რესპუბლიკის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისთანავე.

6. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი ღვინდება კანონით.

მუხლი მშ. 1. მასლიხატები თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებენ გადაწყვეტილებებს, ხოლო აკიმები – გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე.

2. მასლიხატების გადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას ან ადგილობრივი საბიუჯეტო ხარჯების ზრდას, შეიძლება შეტანილ იქნეს განსახილველად მხოლოდ აკიმის დადებითი დასკვნის არსებობისას.

3. მასლიხატების გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეესაბამება ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, შეიძლება გაუქმდეს სასამართლო წესით.

4. აკიმების გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების გაუქმება შეიძლება შესაბამისად ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან ზემდგომი აკიმის მიერ, აგრეთვე სასამართლო წესით.

მუხლი 89. 1. ყაზახეთის რესპუბლიკაში აღიარებულია ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მოსახლეობის მიერ უშუალოდ არჩევნების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი და სხვა ორგანოების მეშვეობით, სოფლისა და ქალაქების ადგილობრივ გაერთიანებებში, რომლებიც მოიცავს მოსახლეობის ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებს.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება თვითონ მოქალაქეების მიერ კანონით დადგენილ ფარგლებში.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

ნაწილი IX. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 90. 1. რეფერენდუმის შედეგად მიღებული ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის რეფერენდუმის შედეგების ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან, ყაზახეთის რესპუბლიკის ადრე მიღებული კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტასთან ერთად.

2. რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღების დღე ცხადდება სახელმწიფო დღესასწაულად – ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის დღედ.

მუხლი 91. 1. ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად; იგი ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რომელსაც ის იღებს საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის ან მთავრობის წინადადებით. თუ პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ცვლილებებისა და დამატებების პროექტის პარლამენტისთვის განსახილველად გადაცემის შესახებ, არ ხდება მისი გატანა რესპუბლიკურ რეფერენდუმზე. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება კონსტიტუციით დადგენილი წესით. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი უარყოფს პარლამენტის წინადადებას კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტის რესპუბლიკურ რეფერენდუმზე გატანის შესახებ, პარლამენტს უფლება აქვს პარლამენტის თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ოთხი მეხუთედის უმრავლესობით მიიღოს კანონი ამ ცვლილებებისა და დამატებების კონსტიტუციაში შეტანის შესახებ. ასეთ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ამ კანონს ან გააქვს იგი რესპუბლიკურ რეფერენ-

დუმზე, რომელიც ჩაითვლება ჩატარებულად, თუ კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი. რესპუბლიკურ რეფერენდუმზე გატანილი კონსტიტუციური ცვლილებები და დამატებები მიღებულად ჩაითვლება, თუ მათ ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილე მოქალაქეთა ნახევარზე მეტი.

2. კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, უნიტარიზმი და რესპუბლიკის მმართველობის ფორმა არ შეიძლება შეიცვალოს.

მუხლი 92. 1. კონსტიტუციური კანონები უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ კანონები, რომლებიც კონსტიტუციაში დასახელებულია კონსტიტუციურად, ან აქტები, რომლებსაც აქვთ ასეთი ძალა, მიღებული იყო მისი ძალაში შესვლის დროისათვის, ხდება მათი მოყვანა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში და ითვლება ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონებად.

2. კონსტიტუციაში დასახელებული სხვა კანონები უნდა იქნეს მიღებული პარლამენტის მიერ განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში, მაგრამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ორი წლისა.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებში, რომლებიც გამოცემულია მის მიერ დამატებითი უფლებამოსილების განხორციელების ვადაში „ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების მეთაურებისათვის დამატებითი უფლებამოსილების დროებით დელეგირების შესახებ“ ყაზახეთის რესპუბლიკის 1993 წლის 10 დეკემბრის კანონის შესაბამისად და აქვს კანონის ძალა, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან მათი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ რესპუბლიკის კანონებში ცვლილებების და დამატებების შეტანისა და მათი გაუქმებისთვის გათვალისწინებული წესით. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებები, რომლებიც გამოცემულია მის მიერ დამატებითი უფლებამოსილების განხორციელების ვადაში 1993 წლის 28 იანვარს მიღებული ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-18 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, არ ექვემდებარება რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

4. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის ის ნაწილი გამოიყენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მას, და კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში უნდა იქნეს მასთან შესაბამისობაში მოყვანილი.

მუხლი 93. კონსტიტუციის მე-7 მუხლის რეალიზაციის მიზნით, მთავრობა, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული არიან შექმნან ყველა აუცილებელი ორგანიზაციული, მატერიალური და ტექნიკური პირობები ყაზახეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის მიერ სახელმწიფო ენის თავისუფალი და უფასო დაუფლებისთვის, სპეციალური კანონის შესაბამისად.

მუხლი 94. 1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად არჩეული ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იძენს კონსტიტუციით დადგენილ ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას, რომელსაც ახორციელებს რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგად 1995 წლის 29 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობით, რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ეს ვადა შეიძლება შემცირდეს რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილებით, რომელიც მიღებულია პალატების ერთობლივ სხდომაზე თითოეული პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის მაჟილისი ერთი თვის ვადაში ნიშნავს ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს. ამ არჩევნების შედეგად არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტი ღებს ფიცს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში და ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებამდე. ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს შვიდი წლის შემდეგ დეკემბრის პირველ კვირას დღეს.

2. ყაზახეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც არჩეულია კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას იმ ვადის გასვლამდე, რომლითაც იქნა არჩეული.

მუხლი 95. 1. პირველი მოწვევის სენატის დეპუტატთა ნახევარი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ხოლო დეპუტატთა მეორე ნახევარი – ორი წლის ვადით, კონსტიტუციური კანონით დადგენილი წესით.

2. ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებები პარტიული სიების საფუძველზე პარლამენტის მაჟილისის დეპუტატთა არჩევნების შესახებ გამოიყენება მეორე მოწვევის პარლამენტის მაჟილისის დეპუტატთა არჩევნებიდან.

მუხლი 96. ყაზახეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან იძენს კონსტიტუციით დადგენილ ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 97. ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს პირველი შემადგენლობა ყალიბდება შემდეგი სახით: რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარლამენტის სენატის თავმჯდომარე და პარლამენტის მაჟილისის თავმჯდომარე ნიშნავენ საკონსტიტუციო საბჭოს თითო წევრს სამი წლის ვადით, ხოლო საკონსტიტუციო საბჭოს თითო წევრს – ექვსი წლის ვადით. საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ექვსი წლის ვადით.

მუხლი 98. 1. კონსტიტუციით გათვალისწინებული მართლშაჯულებისა და გამოძიების ორგანოები იქმნება შესაბამისი კანონებით გათვალისწინებული წესითა და დადგენილ ვადაში. მათ შექმნამდე მართლშაჯულებისა და გამოძიების მოქმედი ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

2. ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოსა და ადგილობრივი სასამართლოების მოსამართლეები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლოების შექმნამდე. მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობების დაკავება ხდება კონსტიტუციით დადგენილი წესით.



სომხეთის რესპუბლიკა



ზოგადი ცნობარი შესავალი

ხორვატიის ტერიტორიაზე სლავები VII საუკუნეში დასახლდნენ. IX საუკუნეში მათ შექმნეს სახელმწიფო, ხოლო 925 წელს – სამეფო. 1102 წელს ხორვატია შევიდა უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო 1526 წელს გადავიდა ჰაბსბურგთა მმართველობის ქვეშ. XVI-XVIII საუკუნეებში ხორვატიის ტერიტორიის დიდი ნაწილი იმყოფებოდა ოსმანთა, შემდგომ კი – უნგრეთის ხელისუფლების ხელში. 1848-49 წ.წ. ხორვატიამ ავტონომია მოიპოვა. 1918 წლიდან იგი იყო სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოს (1929 წლიდან იუგოსლავიის) შემადგენლობაში. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ხორვატიის რესპუბლიკა შევიდა იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1991 წელს მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ხოლო 1992 წელს მისი დამოუკიდებლობა აღიარა საერთაშორისო თანამეგობრობამ.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სლოვენია, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – უნგრეთი, აღმოსავლეთიდან – სერბეთი და მონტენეგრო, სამხრეთიდან – ბოსნია და ჰერცეგოვინა, დასავლეთიდან – ადრიატიკის ზღვა.

ფართობი: სულ: 56,542 კმ²; ხმელეთი: 56,414 კმ²; წყალი: 128 კმ².

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ბოქსიტი, ნავთობი, ქვანახშირი, რკინა, კალციუმი, თაბაშირი, ბუნებრივი ასფალტი, კვარციტი, მარილი, ენერგორესურსები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 4,494,749 (2006).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:

0-14 წლის: 16.2% (კაცი 373,638; ქალი 354,261);

15-64 წლის: 67% (კაცი 1,497,958; ქალი 1,515,314);

65 წლის და ზემოთ: 16.8% (კაცი 288,480; ქალი 465,098) (2006).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.03% (2006);

შობადობა: 9.61 დაბადებული/ 1,000 მოსახლეზე (2006);

სიკვდილიანობა: 11.48 გარდაცვლილი/ 1,000 მოსახლეზე (2006);

მიგრაცია: 1.58 მიგრანტი / 1,000 მოსახლეზე (2006);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 74.68 წელი; კაცი: 71.03; ქალი: 78.53 (2006).

მოქალაქეობა: ხორვატიის

ეთნიკური ჯგუფები: ხორვატი 89.6%, სერბი 4.5%, სხვა 5.9% (2001);

რელიგია: კათოლიკური 87.8%, ორთოდოქსალური 4.4%, სხვა ქრისტიანული 0.4%, მუსლიმანური 1.3%, არცერთი 5.2%. (2001);

ენა: ხორვატული 96.1%, სერბული 1%, სხვა 2.9% (2001);

განათლებულობა:

სრული მოსახლეობის: 98.5%; კაცი 99.4%; ქალი 97.8% (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:

ვრცელი ფორმა: ხორვატიის რესპუბლიკა;

მოკლე ფორმა: ხორვატია;

ადგილობრივი მოკლე ფორმა: ჰრვატსკა;

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: რესპუბლიკა ჰრვატსკა;

ყოფილი: ხორვატიის სახალხო რესპუბლიკა; ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკა.

სახელმწიფოს ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ზაგრები

ადმინისტრაციული ერთეულები: 20 ოლქი (უკანია) და 1 ქალაქი (გრად) – ზაგრები.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 25 ივნისი (იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის დღე);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე 8 ოქტომბერი (1991);

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი შტეფან მესიკი (2000 წლის 18 თებერვლიდან);

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ივო სანადერი (2003 წლის 9 დეკემბრიდან);

არჩევნები: პრეზიდენტის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2005 წლის 16 იანვარს (მომდევნო ტარდება 2010 წელს).

მთავრობის შემადგენლობა:

გარემოს დაცვის, ფიზიკური დაგეგმარებისა და მშენებლობის სამინისტრო,

ეკონომიკის, შრომისა და მეწარმეობის სამინისტრო,

თავდაცვის სამინისტრო,

იუსტიციის სამინისტრო,

კულტურის სამინისტრო,

მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სამინისტრო,

ოჯახის, ვეტერანთა საქმეებისა და თაობათა ერთიანობის სამინისტრო,

ფინანსთა სამინისტრო,

საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის სამინისტრო,

საზღვაო, ტურიზმის, ტრანსპორტისა და განვითარების სამინისტრო,

სოფლის მეურნეობის, ტყისა და წყლის მენეჯმენტის სამინისტრო,

შინაგან საქმეთა სამინისტრო,

ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

პარლამენტი (საბორი) შედგება ერთი პალატისგან: მის შემადგენლობაშია 152 წევრი, რომლებიც აირჩევიან პარტიული სიებით, 4 წლის ვადით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2003 წელს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ხორვატიის ბლოკი, ხორვატიის ქრისტიან-დემოკრატები, მემარჯვენეთა პარტია, გლეხთა პარტია, პენსიონერთა პარტია, სახალხო პარტია, სოციალ-ლიბერალური პარტია, დემოკრატიული ცენტრი, დამოუკიდებელ დემოკრატ სერბთა პარტია, ლიბერალური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა:

ხორვატიას ერთიანი იუგოსლავიის ფარგლებში მრეწველობის განვითარებისა და პროდუქციის წარმოების მხრივ ეკავა მეორე ადგილი სლოვენის შემდეგ. ეკონომიკის განვითარება შეაფერხა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამოქალაქო ომმა. ამ პერიოდის ეკონომიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც სამხედრო პერიოდის ეკონომიკა, როდესაც შემოსავლების 40% ქვეყნის თავდაცვისკენ იყო მიმართული.

ამჟამად ქვეყანაში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ხის დამზადება, საკვების წარმოება. ტყის 80% სახელმწიფოს საკუთრებაშია. ინტენსიურად იცვლება ქვეყნის ინდუსტრიული სექტორი. მრეწველობის დონე 1999 წლისთვის შეადგენდა 93 მილიარდს, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი – 293 ათასს, რაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 27%-ია. ექსპორტის 97%-ს სამრეწველო პროდუქტი შეადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ ხორვატია ევროპის ცენტრში მდებარეობს, განვითარებულია ტურიზმი, კერძოდ მისი სხვადასხვა ფორმები: გამაჯანსაღებელი ტურიზმი, რაც უზრუნველყოფილია 19 კურორტით, სანაუიგაციო ტურიზმი, წყალში ხტომა, რელიგიური ტურიზმი და კრუიზი.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასაქმებულია მშენებლობით. კონტრაქტთა საერთო ღირებულება 1999 წლისთვის \$123 მილიონს შეადგენდა. მხოლოდ 1998 წელს 12 557 ბინა აშენდა.

ხორვატიის ეკონომიკური ობიექტების 50% მონაწილეობს საღისტრიბუციო ვაჭრობაში, სადაც დასაქმებულია სამუშაო ძალის 15%. ამ სფეროდან მიღებულმა შემოსავალმა 1998 წელს \$19 მილიარდი შეადგინა.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: \$53.56 მილიარდი (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 3.5% (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: \$11,600 (2005);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 8.1%; მრეწველობა: 31%; მომსახურება: 60.8% (2005).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 11% (2003);

ბიუჯეტი: შემოსავალი: \$17.69 მილიარდი; გასავალი: \$19.35 მილიარდი (2005).

ექსპორტი: \$10.3 მილიარდი (2005);

საექსპორტო საქონელი: სატრანსპორტო აღჭურვილობა, ტექსტილი, ქიმიკატები, სურსათი, ნავთობი.

ექსპორტის პარტნიორები: იტალია 23%, ბოსნია და ჰერცეგოვინა 13.4%, გერმანია 11.4%, ავსტრია 9.6%, სლოვენია 7.6%, (2004);

იმპორტი: \$18.93 მილიარდი (2005);

საიმპორტო საქონელი: აღჭურვილობა, ტრანსპორტი და ელექტრო აღჭურვილობა, ქიმიკატები, ნავთობი და საცხები მასალები, სურსათი.

იმპორტის პარტნიორები: იტალია 17.4%, გერმანია 15.5%, რუსეთი 7.3%, სლოვენია 7.1%, ავსტრია 6.9%, საფრანგეთი 4.4% (2004);

საგარეო ვალი: \$29.28 მილიარდი (2005);

ეკონომიკური მხარდაჭერა: \$166.5 მილიონი (2002);

ვალუტა: კონა (HRK).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ხორვატიაში წლების მანძილზე 4 კონსტიტუცია იყო მიღებული, რომელთაგან სამი მოქმედებდა სოციალისტურ იუგოსლავიაში შემავალ ხორვატიაში და შესაბამისად იუგოსლავიის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებებთან იყო დაკავშირებული.

ხორვატიის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1947 წელს, როგორც ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ეფუძნებოდა 1946 წლის 31 იანვრის იუგოსლავიის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციას. ამ უკანასკნელის თანახმად, იუგოსლავიის შემადგენლობაში შედიოდა 6 რესპუბლიკა: სერბეთი, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, ჩერნოგორია. 1963 წლის 7 აპრილს მიღებულ იქნა იუგოსლავიის ახალი საკავშირო კონსტიტუცია, ხოლო მის საფუძველზე, იმავე წელს — ხორვატიის კონსტიტუცია, რომელმაც ცვლილებები განიცადა 1967, 1969, 1972 წლებში.

ხორვატიის კონსტიტუციური განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება იუგოსლავიის 1974 წლის კონსტიტუციას, რომელშიც პირველად იქნა დაფიქსირებული რესპუბლიკებისა და ავტონომიური მხარეების, როგორც ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფოებრიობა. მის შემადგენლობაში იყო შემოაღნიშნული 6 რესპუბლიკა, რომელთაგან სერბეთის რესპუბლიკაში გაერთიანებული იყო ორი ავტონომიური მხარე — ვიეოდინა და კოსოვო. კონსტიტუციის თანახმად, ფედერაცია საკავშირო ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფდა იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას; ის საკითხები, რომლებიც კონსტიტუციით არ განეკუთვნებოდა ფედერაციის გამგებლობას, მიეკუთვნებოდა რესპუბლიკების კომპეტენციას. ყოველ რესპუბლიკასა და ავტონომიურ მხარეს გააჩნდა საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და უმაღლესი ორგანოები. იუგოსლავიის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სკუპშინა შედგებოდა 2 პალატისგან: საკავშირო ვერესგან, რომელიც აერთიანებდა საოლქო სკუპშინების მიერ არჩეულ 225 დეპუტატს და რესპუბლიკებისა და მხარეთა ვერესგან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 88 დეპუტატი (ყოველი რესპუბლიკიდან 12-12 და ყოველი მხარიდან — 8-8). ქვეყნის ხელმძღვანელი იყო პრეზიდენტი, რომელიც მართავდა პრეზიდენტს. პრეზიდენტის შემადგენლობაში შედიოდა ყოველი ფედერაციული ერთეულის თითო წარმომადგენელი, რომლებიც აირჩეოდა შესაბამისი სკუპშინების მიერ. ამავე პრინციპის დაცვით აირჩეოდა იუგოსლავიის მთავრობა.

რესპუბლიკებს, ავტონომიურ მხარეებსა და ოლქებს გააჩნდათ სამპალატიანი სკუპშინები, რომლებიც ირჩევდნენ აღმასრულებელ ორგანოს და სხვა ორგანოებს.

1974 წლის კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებები შევიდა 1988 წელს, რომელიც ეხებოდა იუგოსლავიის ფედერაციის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ სისტემასა და მის ორგანიზაციას, რესპუბლიკებსა და ფედერაციას შორის ურთიერთობებს, თუმცა მათ ვერ შეაჩერეს ფედერაციის დაშლა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში არჩევნების შედეგად ხორვატიის რესპუბლიკის სათავეში მოვიდნენ ეროვნული ძალები, ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა 1990 წლის 20 იელისს მიიღო წინადადება კონსტიტუციისა და რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის შესახებ. მისი სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „სოციალისტური“ და დადგინდა იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლოები.

1990 წლის 22 დეკემბერს ხორვატიის სახელმწიფო საბორმა გაერთიანებული შრომის ეჭრეს, საოლქო ეჭრესა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეჭრეს სხდომაზე მიიღო ხორვატიის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას. 1991 წლის 19 მაისს ხორვატიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ხორვატიის დამოუკიდებლობას ხმა მისცა მოსახლეობის 94%-მა.

გარდა კონსტიტუციისა, ხორვატიის რესპუბლიკაში მოქმედებს რამდენიმე კონსტიტუციური კანონი, რომლებიც კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილად ითვლება და რომელთა მიღების აუცილებლობას თვით კონსტიტუცია ადგენს. 1990 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი „ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ“, 1991 წელს – „ხორვატიის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებებისა და ეთნიკური და ეროვნული თანამეგობრობისა და უმცირესობების უფლებათა შესახებ“, 1996 წელს – ხორვატიის რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ,“ 1999 წელს – „ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მათი თანაბარი ძალისა, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისა და კონსტიტუციური კანონების მისაღებად ხორვატიის კონსტიტუცია განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციური კანონი მიიღება ორგანული კანონისათვის გათვალისწინებული პროცედურით ანუ ხორვატიის საბორის წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედის უმრავლესობით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კონსტიტუციური კანონი – კონსტიტუციის შესწორებისათვის დადგინდული წესით.

ხორვატიის კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის რამდენიმე საფეხურ-
რიანი წესია დადგენილი: მისი ინიციატივა ხორვატიის საბორში შეიძლება
შეიტანოს საბორის წევრთა ერთმა მეხუთედმა, პრეზიდენტმა ან მთავრობამ.
საბორი წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით წევრებს კონ-
სტიტუციის გადასინჯვის პროცედურის დაწყების ან არ დაწყების საკითხს.
შემდგომი სტადია კონსტიტუციის შესწორების პროექტის დადგენა წევრთა
საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით, ხოლო შემდგომ კონსტიტუცი-
ის შესწორების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საბორის წევრთა საერთო
რაოდენობის ხმათა 2/3-ით. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციურ შეს-
წორებებს აქვეყნებს ხორვატიის საბორი.

ხორვატიის კონსტიტუციაში შესწორებები შევიდა სამჯერ – 1997,
2000 და 2001 წლებში, რომელთაგან მნიშვნელოვანია ქვეყნის შერეული
მმართველობის ფორმის საპარლამენტო რესპუბლიკით შეცვლა.

კონსტიტუციის ანალიზი. ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია შედ-
გება პრეამბულის, 9 თავისა და 145 მუხლისგან. პრეამბულა საკმაოდ მო-
ცულობითია და მასში მოთხრობილია ხორვატი ხალხის თვითმყოფადობისა
და სახელმწიფოებრიობის ფაქტები VII საუკუნეში ხორვატიის საჰერცოგოს
დაარსებიდან 1990 წელს ხორვატიის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის
მიღებასა და 1991-1995 წ.წ. სამამულო ომში გამარჯვებამდე.

ვინაიდან ხორვატიის რესპუბლიკაში ცხოვრობენ დიდი რაოდენობით სხვა
ერებიც, მათ შორის 600 000 სერბი, რაც უპირველესი მიზეზი იყო ხორვა-
ტიაში სამამულო ომის წარმოებისა, პრეამბულაში განისაზღვრა, რომ ხორ-
ვატიაში ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ სერბები, მუსულმანები,
სლოვენები, იტალიელები, უნგრელები, ებრაელები და აქედან გამომდინარე,
კონსტიტუციაც დიდ ყურადღებას უთმობს მათი უფლებების განსაზღვრას.
ხორვატიის რესპუბლიკაში ყველა ერისა და ეროვნული უმცირესობის წარ-
მომადგენლები თანასწორნი არიან. ყველა ეროვნული უმცირესობის წევრს
გარანტირებული აქვს მათი ეროვნული კუთვნილების გამოხატვის თავისუფ-
ლება, თავიანთი ენითა და დამწერლობით თავისუფლად სარგებლობისა და
კულტურული ავტონომიის უფლება. გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობათა
უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციური კანონით მათთვის გარანტი-
რებულია წარმომადგენლობით ორგანოებში პროპორციული მონაწილეობა.
ეთნიკურ და ეროვნულ თანამეგობრობასა და უმცირესობას უფლება აქვთ
საბორში აირჩიონ დეპუტატები თავიანთი რაოდენობის პროპორციულად, თუ
ისინი შეადგენენ მთელი მოსახლეობის 8%-ს, ხოლო თუ 8%-ზე ნაკლები
არიან, აქვთ 5 დეპუტატის არჩევის უფლება.

კონსტიტუცია ცალკე განყოფილებას უთმობს ხორვატიის რესპუბლიკის გაერთიანებისა და სეცესიის საკითხს. სხვა სახელმწიფოებთან კავშირში გაერთიანების პროცედურის დაწყების უფლება აქვს საბორის წევრთა საერთო რაოდენობის არაუმეტეს 1/3-ს, პრეზიდენტს ან მთავრობას. გაერთიანების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებას იღებს საბორი წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა 2/3-ით, ხოლო საბოლოოს – ქვეყნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა რეფერენდუმის გზით. იგივე წესები გამოიყენება ხორვატიის რესპუბლიკიდან გამოსვლის პირობებსა და პროცედურაზე. გაერთიანებასთან დაკავშირებით კონსტიტუცია ადგენს ერთ გამონაკლისს – დაუმეგებელია ხორვატიის რესპუბლიკის იმ სახელმწიფოებთან გაერთიანება, რომლებთან გაერთიანებამ შეძლო ან შეუძლია სამხრეთ სლავთა გაერთიანების ან ბალკანეთის სახელმწიფოს განახლება.

ხორვატიის რესპუბლიკაში ოფიციალურია ხორვატული ენა და ლათინური ანბანი. ცალკეულ ადგილობრივ ერთეულებში მათთან ერთად შეიძლება ოფიციალურად გამოსაყენებლად კანონით შემოღებულ იქნეს სხვა ენები, ასევე კირილიცა ან სხვა ანბანი.

ყველა ადამიანი და მოქალაქე ფლობს ყველა უფლებასა და თავისუფლებას მიუხედავად სხვადასხვა გარემოებებისა. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. თავისუფლებები და უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი მორალისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უშუალო საფრთხე ექმნება სახელმწიფოს არსებობას, არ უნდა შეიზღუდოს კონსტიტუციის დებულებების გამოყენება სიცოცხლის უფლებაზე, წამების აკრძალვაზე, მკაცრ ან ადამიანური ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელზე, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებისა და სასჯელის იურიდიული დასაბუთების აუცილებლობაზე, ასევე აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე.

დაუმეგებელია პირის დაკავება ან დაპატიმრება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. გამონაკლისია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა მხოლოდ მძიმე დანაშაული. კონსტიტუციაში დეტალურად არის რეგლამენტირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები.

საცხოვრებელი ხელშეუხებელია. კანონის შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ შევიდნენ საცხოვრებელში ან სხვა სადგომში სასამართლოს დადგენილების ან მფლობელის თანხმობის გარეშე და მოწმეთა დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია დამნაშავეს დაკავების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად, ასევე, თუ სერიოზული საფ-

როზე ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან დიდი რაოდენობით ქონებას.

გარკვეული ადგილი ეთმობა ასევე აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, სიტყვისა და საჯარო გამოსვლის თავისუფლებას, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფალი შექმნის უფლებას. ცენზურა აკრძალულია. ჟურნალისტებს აქვთ ინფორმაციის გავრცელებისა და მასზე დაშვების უფლება. ყველასთვის, ვისი უფლებებიც დაირღვა საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, გარანტირებულია მისი უარყოფის უფლება.

კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ მეწარმეობისა და ბაზრის თავისუფლება ხორვატიის ეკონომიკური სისტემის საფუძველია. სახელმწიფო ყველა მეწარმისთვის უზრუნველყოფს ბაზარზე თანასწორ სამართლებრივ მდგომარეობას, ასევე წაახლისებს ეკონომიკურ პროგრესს და სოციალურ კეთილდღეობას და ზრუნავს მისი ყველა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. კაპიტალის ინვესტირების გზით მოპოვებული უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტით. უცხოელი ინვესტორები სათვის გარანტირებულია სარგებლისა და საინვესტიციო კაპიტალის გადაზიდვა და რეპატრიაცია.

სუსტ, დაუცველ და უმუშევრობისა და შრომისუნარობის შედეგად რთულ მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს დახმარების უფლებას ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

საკუთრების უფლება გარანტირებულია. ხორვატიის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საკუთრების უფლება ქონების ღირებულების საბაზრო ფასად ანაზღაურებით. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობის და ხორვატიისათვის ინტერესის მქონე ობიექტები, მათ შორის მინერალური სიმდიდრეები, მიწა, ტყე, ფლორა და ფაუნა იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

მოქალაქეთა უფლებების დამცავ ორგანოს წარმოადგენს სახალხო ომბუდსმენი. კონსტიტუციაში იგი მოხსენიებულია, როგორც ხორვატიის საბორის უფლებამოსილი და, შესაბამისად, საბორის სტატუსის მომწესრიგებელ თავშია განხილული. სახალხო ომბუდსმენი აირჩევა საბორის მიერ 8 წლის ვადით.

ხორვატიის რესპუბლიკაში ხელისუფლება მომდინარეობს ხალხისგან და ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისუფალ და თანასწორუფლებიან მოქალაქეთა თანამეგობრობას, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს წარმომად-

გენლების არჩევითა და გადაწყვეტილების პირდაპირი მიღების გზით. სახელმწიფოებრივ დონეზე უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან აღიარებულია რეფერენდუმი, რომლის დანიშნვის უფლება აქვს საბორსა და პრეზიდენტს. საბორს მისი დანიშვნა შეუძლია კონსტიტუციის გადასინჯვის ან კანონპროექტის წინადადების თაობაზე ან მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხზე, ხოლო პრეზიდენტს – მთავრობის წინადადებით და პრემიერ-მინისტრის თანახელმწიფრით, კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების თაობაზე ან ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და არსებობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. საბორს რეფერენდუმის დანიშვნა შეუძლია ასევე ყველა ზემოაღნიშნული საფუძველით, თუ ამას მოითხოვს ხორვატიის ამომრჩეველთა 10%. რეფერენდუმზე გადაწყვეტილება მიიღება ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით, თუ მასში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა. გარდა რეფერენდუმისა, გეხდება უშუალო დემოკრატიის ადგილობრივი ფორმებიც. მოქალაქეებს უფლება აქვთ პირდაპირ მონაწილეობდნენ ადგილობრივ საქმეთა მართვაში, შეკრებების, რეფერენდუმისა და გადაწყვეტილების პირდაპირ მიღების სხვა ფორმების მეშვეობით.

სახელმწიფო ხელისუფლება აკებულება ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დანაწილების საფუძველზე, მაგრამ შეზღუდულია კონსტიტუციით გარანტირებული ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლებით. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოიცავს ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეკავება-გაწონასწორების ფორმებს.

კონსტიტუციის თანახმად, ხორვატიის საბორი წარმოადგენს ხალხის წარმომადგენლობით, ასევე ხორვატიის საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილ ორგანოს, რომელიც აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე 4 წლის ვადით. კონსტიტუცია ადგენს პარლამენტის წევრთა რაოდენობის მაქსიმუმს და მინიმუმს (არანაკლებ 100 და არაუმეტეს 160 წევრს), ხოლო წევრთა ზუსტ რაოდენობას საარჩევნო კანონმდებლობა განსაზღვრავს. მის შემადგენლობაში ამჟამად 151 წევრია, რომელთაგან 140 აირჩევა ქვეყნის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, 6 წარმოადგენს ხორვატიის მოქალაქეებს საზღვარგარეთ, ხოლო 5 აირჩევა ეთნიკური და ეროვნული თანამეგობრობიდან და უმცირესობიდან.

გათვალისწინებულა საბორის თვითდათხოვნის მექანიზმი, თუ ამას წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა გადაწყვეტს, ასევე დათხოვნის პროცედურა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახელმწიფრით, საპარლამენტო კლუბებთან (ფრაქცი-

ებთან) კონსულტაციების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წინადადებით საბორი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, ან თუ იგი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს წარდგენიდან 120 დღის ვადაში. პრეზიდენტს საბორის დათხოვნა არ შეუძლია, თუ მის წინააღმდეგ კონსტიტუციის დარღვევის გამო დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა.

საბორის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით. საბორის თანხმობის გარეშე მისი წევრის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წაასწრებენ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 5 წლის ვადით. ამ შემთხვევაში უნდა ეცნობოს საბორის თავმჯდომარეს. თუ ზორვატიის საბორი არ არის შეკრებილი, ამის თაობაზე თანხმობას აძლევს და იმუნიტეტის უფლების საკითხს წყვეტს სამანდატო და იმუნიტეტის კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოდ მტკიცდება საბორის მიერ.

კანონპროექტთა წარდგენის უფლება აქვს საბორის ყოველ წევრს, საპარლამენტო კლუბებს, საბორის სამუშაო ორგანოებს და მთავრობას. საბორი გადაწყვეტილებებს ძირითადად იღებს ხმათა უმრავლესობით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის დასწრებისას. კანონებს ხელს აწერს და აქვეყნებს პრეზიდენტი საბორის მიერ მათი მიღების დღიდან 8 დღის ვადაში. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-8 დღეს, თუ განსაკუთრებით გამამართლებელი მიზეზით, კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღსანიშნავია, რომ საბორს უფლება აქვს მაქსიმუმ 1 წლის ვადით მთავრობას გადასცეს გარკვეული საკანონმდებლო უფლებამოსილება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაზუსტებას, ეროვნულ უფლებებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციას, უფლებამოსილებასა და საქმიანობას.

ზორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება. იგი წარმოადგენს და იცავს ზორვატიის რესპუბლიკას ქვეყანაში და საზღვარგარეთ, პასუხისმგებელია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე, ზრუნავს მთავრობის რეგულარულ და ჰარმონიულ ფუნქციონირებასა და სტაბილურობაზე.

იგი აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, 5 წლის ვადით. პრეზიდენტად არჩევა ნებადართულია მხოლოდ ორჯერ. თანამდებობიდან მისი ვადამდე გადაყენება შესაძლებელია მის მიერ კონსტიტუციის დარღვევისათვის. იმპიჩმენტის პროცედურა აღიძრება საბორის მიერ წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა 2/3-ით, ხოლო საკითხს წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით.

პრეზიდენტს გააჩნია შეზღუდული იმუნიტეტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობით შესაძლებელია მისი დაკავება ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა. ამასთან, გათვალისწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე დაკავებაც, თუ წაასწრებენ ისეთი დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო, რომელმაც დააკავა პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის, ერთი ან მეტი ვიცე-პრემიერისა და მინისტრებისგან. თავისებურია მათი შეუთავსებლობის საკითხიც – რაიმე სხვა სახელმწიფო ან პროფესიული მოვალეობის შესრულება მათ შეუძლიათ, თუ მთავრობა მისცემს ამის ნებას.

მთავრობის ფორმირება ხდება შემდეგი გზით: პრეზიდენტი ერთ-ერთ პიროვნებას (ეს ძირითადად არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია) მიახლოებს მთავრობის ფორმირების მანდატს, რომელიც საბორს წარუდგენს მთავრობასა და მის პროგრამას და მოითხოვს ნდობის გამოცხადებას. ნდობა გამოცხადებულად ითვლება საბორის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერისას. თუ აღნიშნული პიროვნება ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას 30 დღის ვადაში, პრეზიდენტი ამავე ვადას აძლევს დამატებით, ხოლო თუ მაინც ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, პრეზიდენტი ამ მანდატს ანდობს სხვა წევრს. თუ ვერც ეს პიროვნება დააკომპლექტებს მთავრობას, პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ დროებით უპარტიო მთავრობის დანიშვნას და ამავდროულად საბორის ვადამდელი არჩევნების ჩატარებას.

მთავრობა პასუხისმგებელია საბორის წინაშე. პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ინდივიდუალურად – მათი შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში. საბორის წევრთა 1/5-ის წინადადებით შეიძლება დადგეს პრემიერ-მინისტრის, მთავრობის კონკრეტულ წევრთა ან მთელი მთავრობის ნდობის გამოცხადების საკითხი. ნდობის გამოცხადების შესახებ წინადადება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საბორის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საბორს ნდობის მისაღებად წარუდგენს სხვა წევრს ან პრემიერ-მინისტრი და მთავრობა იღებენ გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ.

მთავრობის ნდობის გამოცხადების საკითხის დაყენების უფლება აქვს ასევე პრემიერ-მინისტრს.

გარკვეულ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს პრეზიდენტი და მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ, რაც მართალია ასუსტებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, მაგრამ, პირიქით, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს პრემიერ-მინისტრსა და მის გუნდს. პრეზიდენტი და მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და აღსრულებას. საზღვარგარეთ ხორვატიის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულოების შექმნის საკითხს პრეზიდენტი წყვეტს მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახელმძღვანელობით, მთავრობის წინადადებით და საბორის უფლებამოსილი კომიტეტის მოსაზრების გათვალისწინებით; პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანახელმძღვანელობით, ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; საერთაშორისო შეთანხმებებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ საბორი, პრეზიდენტი და მთავრობა. პრეზიდენტი და მთავრობა თანამშრომლობენ უშიშროების სამსახურის მართვამდე. უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნას, საბორის უფლებამოსილი კომიტეტის წინასწარი თანხმობით, თანახელმძღვანელობით ახორციელებენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი; პრეზიდენტი საბორს ითხოვს საპარლამენტო კლუბებთან კონსულტაციების შემდეგ, მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახელმძღვანელობით.

ხორვატიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების შემადგენლობას, საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს ომს და მშვიდობას, ხოლო თუ საომარი მდგომარეობა არ არის გამოცხადებული და თუ უშუალო საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და არსებობას შეიარაღებული ძალების გამოყენების ბრძანება შეუძლია გასცეს პრემიერ-მინისტრის თანახელმძღვანელობით. ასევე კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემა მას შეუძლია პრემიერ-მინისტრის წინადადებითა და თანახელმძღვანელობით, თუ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო საბორის შეკრება შეუძლებელია. ეს დეკრეტი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საბორს როგორც კი იგი შეიკრიბება.

სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები. ზემდგომი სასამართლო ორგანოა უზენაესი სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს კანონთა ერთგვაროვან გამოყენებას და ყველა პიროვნების თანასწორობას. ქვემდგომი სასამართლოების შესახებ კონსტიტუცია არ საუბრობს, ისინი შექმნილია კანონის საფუძველზე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 4 წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს საბორი პრეზიდენტის წინადადებით, უზენაესი სასამართლოს საერთო სხდომის წინასწარი თანხმობით ყველა სხვა მოსამართლეს ნიშნავს

და ათავისუფლებს მოსამართლეთა ეროვნული საბჭო, რომელიც ასევე წყვეტს მათ დისციპლინარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და რომელიც შედგება საბორის მიერ ცნობილი იურისტების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტის სამართლის პროფესორების შემადგენლობიდან არჩეული 11 წევრისგან. მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობა უნდა იყოს მოსამართლის რანგის მქონე.

მოსამართლე, რომელიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს პირველად, ინიშნება 4 წლის ვადით, ხოლო დანიშვნის განახლების შემდეგ იგი უფლებამოსილებას ახორციელებს მუდმივად ანუ 70 წლის ასაკის მიღწევამდე. თუმცა, კონსტიტუცია ითვალისწინებს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია მათი თანამდებობიდან გადაყენება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები სარგებლობენ საკმაოდ ფართო იმუნიტეტით. დაუშვებელია ჩადენილი დანაშაულისთვის მოსამართლის სისხლის სამართლის წესით დაკავება მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე. დანაშაულის ჩადენის ადგილზე წასწრებისას წინასწარი თანხმობის გარეშე დაკავების შემთხვევას კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ეს ფაქტი, რომ მოსამართლის იმუნიტეტი უფრო ფართოა, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტის იმუნიტეტი, რომლის დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავება შესაძლებელია, ხაზს უსვამს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი როლის დამკვიდრებას სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

კონსტიტუციის თანახმად, პროკურატურაც სასამართლო ორგანოა, რომლის ფუნქციაა სისხლისსამართლებრივი ან სხვა დასჯადი ქმედობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ საქმის აღძვრა, კანონიერი ზომების მიღება ხორვატიის საკუთრების დასაცავად და სამართლებრივი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა კონსტიტუციისა და კანონის დასაცავად. პროკურატურის ხელმძღვანელს 4 წლის ვადით ნიშნავენ საბორი მთავრობის წინადადებით, საბორის უფლებამოსილ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით.

კონსტიტუციაში ცალკე თავის სახით, სასამართლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად არის განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა. იგი შედგება საბორის მიერ 8 წლის ვადით, გამოჩენილ იურისტთა, მოსამართლეთა, პროკურორთა, ადვოკატთა და უნივერსიტეტის სამართლის პროფესორთა რიცხვიდან არჩეული 13 მოსამართლისგან. მის კომპეტენციას წარმოადგენს არა მხოლოდ კანონის კონსტიტუციასთან, არამედ სხვა აქტების კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობის განსაზღვრა. იგი ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, წყვეტს სხვადასხვა ორგანო-

ბის ინდივიდუალური გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხს. გარდა ამისა, განიხილავს დავას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებათა შესახებ და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს, შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ზედამხედველობს არჩევნებისა და ეროვნული რეფერენდუმის კონსტიტუციურობასა და კანონიერებას და წყვეტს საარჩევნო დავებს, რომლებიც არ შედის სასამართლოთა კომპეტენციაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სარგებლობენ იმგვარი იმუნიტეტით, როგორც საბორის წევრები.

კონსტიტუციით მოქალაქეთათვის გარანტირებულია ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტები და ქალაქები, ხოლო რეგიონული თვითმმართველობის ერთეულებს – ოლქები. დედაქალაქ ზაგრებს კანონით მიკუთვნებული აქვს ოლქის სტატუსი. ყოველ თვითმმართველ ერთეულს აქვს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა თავისუფალი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თანასწორი და საყოველთაო კენჭისყრით. კონსტიტუცია მიჯნავს ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების კომპეტენციებს, რასაც საფუძვლად იდევს საქმეთა მოცულობა და ხასიათი, პროდუქტიულობისა და ეკონომიურობის მოთხოვნები.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ხორვატიის კონსტიტუცია მრავალ განსაკუთრებულ, მისთვის დამახასიათებელ ნორმასა და მექანიზმს ითვალისწინებს, რომელთა ძირითადი ნაწილი, საბოლოო ჯამში, კონსტიტუციური სამართლის სრულყოფისკენ არის მიმართული. მათ შორის აღსანიშნავია:

– კონსტიტუციის პრეამბულა (ისტორიული საფუძვლები), სადაც დასახელებულია ხორვატიის სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა ეტაპი;

– ხორვატიის საბორის წევრთა რაოდენობის მაქსიმუმისა და მინიმუმის განსაზღვრა და ზუსტი რაოდენობის დადგენის კანონისთვის დაკისრება, ასევე საბორის შემადგენლობაში წინასწარ გარკვეული კვოტის განსაზღვრა ეროვნული უმცირესობისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ხორვატიელთა წარმომადგენელთათვის;

– კანონის სხვადასხვა სახეების (კანონის, ორგანული კანონის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შესწორების) აღიარება და სხვა-

დასხვა კონსტიტუციური კანონებისთვის განსხვავებული მიღების წესების დადგენა;

– რეალურად საჭირო მოცულობის იმუნიტეტის შემოღება;

– პრეზიდენტისა და მთავრობის თანამშრომლობა და საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და აღსრულებაში, შეიარაღებული ძალების გამოყენებაში, უშიშროების სამსახურის მართვაში, რეფერენდუმის დანიშვნასა და საბორის დათხოვნაში გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება;

– საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო ხელისუფლებისგან განცალკევებით განხილვა და მისთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება;

– მოსამართლეთა ეროვნული საბჭოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება ცნობილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტებისაგან;

– კონსტიტუციის გადასინჯვის თავისებური პროცედურის დადგენა, რომელიც მოიცავს ინიციატივას, საკითხის გადაწყვეტას, პროექტის დადგენას და გადაწყვეტილების მიღებას საბორის მიერ, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მის რეფერენდუმზე გატანას;

– თვითმმართველობის ორი დონის – ადგილობრივის და რეგიონულის ფორმირება, მათი ფუნქციების გამიჯვნა და ფინანსური ავტონომიის მინიჭება.

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია⁴

მიღებულია 1990 წლის 22 დეკემბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1997 წლის 15 დეკემბერს,
2000 წლის 16 ნოემბერსა და 2001 წლის 2 აპრილს)

I. ისტორიული საფუძვლები

გამოვხატავთ რა ხორვატი ხალხის ათასწლოვან ეროვნულ თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრიობას, რომელიც დამტკიცებულია ისტორიული განვითარების გზებით განსხვავებული სახელმწიფოებრივი ფორმებით და ხორვატი ხალხის სრული სუვერენიტეტის ისტორიულ უფლებებზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფოს იდეის დაცვითა და განვითარებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა:

- VII საუკუნეში ხორვატიის საჰერცოგოს დაარსებაში;
- IX საუკუნეში შუა საუკუნეების ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებაში;
- X საუკუნეში ხორვატიის სამეფოს დაარსებაში;
- ხორვატიის სახელმწიფოებრიობის დაცვაში ხორვატია-უნგრეთის პირადი კავშირის შემადგენლობაში;
- 1527 წლის ხორვატიის საბორის დამოუკიდებელ და სუვერენულ გადაწყვეტილებაში მეფის ჰაბსბურგების დინასტიიდან არჩევის შესახებ;
- 1712 წლის ხორვატიის საბორის დამოუკიდებელ და სუვერენულ გადაწყვეტილებაში პრაგმატიკური სანქციის შესახებ;
- 1848 წლის ხორვატიის საბორის დაკენებში ხორვატი ხალხის ისტორიული, სახელმწიფოებრივი და ბუნებითი უფლებების საფუძველზე ბანას ხელისუფლების ქვეშ ხორვატიის სამერთიანი სამეფოს მთლიანობის აღდგენის შესახებ;
- დალმაციის, ხორვატიისა და სლოვენის და უნგრეთის სამეფოს შორის ურთიერთობების რეგულირების შესახებ 1848 წლის ხორვატია-უნგრეთის შეთანხმებაში, ორივე სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციებისა და 1712 წლის პრაგმატიკული სანქციის საფუძველზე;
- ერის ისტორიული და ბუნებითი სამართლის საფუძველზე მიღებულ, ავსტრია-უნგრეთს შორის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობებისა

⁴ თარგმანისას გამოყენებულია ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.usud.hr/htdocs/en/the_constitution.htm გამოქვეყნებული ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

და დამოუკიდებელი ზორვატიის იმავდროულ შესვლაში ყოფილი ჰაბსბურგების დინასტიის ტერიტორიაზე დაფუძნებულ სლოვენების, ხორვატიებისა და სერბების სამეფოს შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ ზორვატიის საბორის 1918 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებაში;

- იმ ფაქტში, რომ ზორვატიის საბორის მიერ არ ყოფილა სანქციონირებული სლოვენის, ხორვატიისა და სერბეთის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება სერბეთისა და ჩერნოგორიის სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენის სამეფოში გაერთიანების შესახებ (1918 წლის 1 დეკემბერს), რაც განმტკიცებული იყო იუგოსლავიის სამეფოს მიერ (1929 წლის 3 ოქტომბერს);

- 1939 წელს ხორვატიის ბანოვინას დაარსებაში, რომლითაც ხორვატიის სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა აღდგა იუგოსლავიის შემადგენლობაში;

- მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სახელმწიფო სუვერენიტეტის საფუძვლების დადგენისას, რაც გამოხატული იყო ხორვატიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში (1941 წელს), ხორვატიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიფაშისტური საბჭოს გადაწყვეტილებებში (1943 წელს), ხოლო შემდგომ ხორვატიის ეროვნული რესპუბლიკის კონსტიტუციაში 1947 წელს და მოგვიანებით ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციებში (1963-1990 წ.წ.);

- ისტორიის მეცკლის პერიოდში, რაც აღინიშნება კომუნისტურ სისტემაზე უარის თქმით და ევროპაში საერთაშორისო წესრიგის მეცკლით, ხორვატმა ხალხმა პირველ დემოკრატიულ არჩევნებზე (1990 წელს) ნების თავისუფალი გამოხატვით აღადგინა თავისი ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა. ხორვატიის რესპუბლიკის ახალი 1990 წლის კონსტიტუციითა და სამამულო ომში გამარჯვებით (1991-1995 წ.წ.) ხორვატმა ხალხმა აჩვენა თავისი ნება და მზადყოფნა აღადგინოს და დაიცვას ხორვატიის რესპუბლიკა, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან, ასევე თანამედროვე მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან, ხორვატი ხალხის თვითგამორკვევისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის განუსხვისებელი, განუყოფელი, გადაუცემელი და შეუზღუდავი უფლებებიდან, მათ შორის გაყოფისა და გაერთიანების განუსხვისებელი უფლებებიდან გამომდინარე, რომელიც ეფუძნება მშვიდობისა და საერთაშორისო წესრიგის სტაბილურობის ძირითად დებულებებს, ხორვატიის რესპუბლიკა იქნება როგორც ხორვატი ხალხის ეროვნული სახელმწიფო და როგორც მისი მოქალაქეობის მქონე სხვა ერებისა და ეროვნულ უმცირესობათა – სერბების, მუსულმანების, სლოვენების, იტალიელების, უნგრელების, ებრაელებისა და სხვათა სახელმწიფო, რომელთათვისაც გარან-

ტირებულია ხორვატი ეროვნების მოქალაქეებთან თანასწორუფლებიანობა და ეროვნულ უფლებათა დაცვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და თავისუფალი მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიული ნორმების შესაბამისად.

ხორვატი ერისა და ყველა მოქალაქის მიერ თავისუფალ არჩევნებზე მტკიცედ გამოხატული ნების პატივისცემით, ხორვატიის რესპუბლიკა იქმნება და ვითარდება როგორც სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც გარანტირებული და უზრუნველყოფილია ადამიანთა და მოქალაქეთა თანასწორობა, თავისუფლება და უფლება, ასევე სადაც ხორციელდება მათი ეკონომიკური და კულტურული პროგრესი და სოციალური კეთილდღეობა.

II. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. ხორვატიის რესპუბლიკა არის ერთიანი და განუყოფელი დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო.

ხორვატიის რესპუბლიკაში ხელისუფლება მომდინარეობს ხალხისგან და ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისუფალ და თანასწორუფლებიან მოქალაქეთა თანამეგობრობას.

ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების არჩევითა და გადაწყვეტილების პირდაპირი მიღების გზით.

მუხლი 2. ხორვატიის რესპუბლიკის სუვერენიტეტი განუსხვისებელი, განუყოფელი და გადაუცემელია.

ხორვატიის რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე ხმელეთზე, მდინარეებზე, ტბებზე, არხებზე, შიდა საზღვაო წყლებზე, ტერიტორიულ ზღვაზე და ამ ტერიტორიების ზემოთ საჰაერო სივრცეზე.

ხორვატიის რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ახორციელებს სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას ადრეატიკის ზღვის საზღვაო ტერიტორიასა და კონტინენტალურ შელფზე, მისი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებიდან მეზობელი სახელმწიფოს საზღვრებამდე.

ხორვატიის საბორი და ხალხი უშუალოდ, დამოუკიდებლად, კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას:

ხორვატიის რესპუბლიკაში ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირების შესახებ;

ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრეების შენახვისა და სარგებლობის შესახებ;

სხვა სახელმწიფოებთან კავშირში გაერთიანების შესახებ.

ხორვატიის რესპუბლიკა სხვა სახელმწიფოებთან კავშირებს ამყარებს იმ სუვერენული უფლების შენარჩუნებით, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება უფლებამოსილების დელეგირებისა და მისგან თავისუფლად გამოსვლის შესახებ.

მუხლი 3. თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, ეროვნული თანასწორობა, სქესთა თანასწორობა, მშვიდობისმოყვარეობა, სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, საკუთრების ხელშეუხებლობა, ბუნებისა და გარემოს დაცვა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული მრავალპარტიულობის სისტემა არის ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების უმაღლესი ფასეულობა და კონსტიტუციის განმარტების საფუძველი.

მუხლი 4. ხორვატიის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება აგებულია ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დანაწილების საფუძველზე, მაგრამ შეზღუდულია ამ კონსტიტუციით გარანტირებული ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლებით.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოიცავს კონსტიტუციითა და კანონით უზრუნველყოფილ ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეაკეობა-გაწონასწორების ფორმებს.

მუხლი 5. ხორვატიის რესპუბლიკაში კანონები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ხოლო სხვა აქტები – კონსტიტუციასა და კანონს.

ყველა უნდა იცავდეს კონსტიტუციასა და კანონებს და პატივს სცემდეს ხორვატიის რესპუბლიკის მართლწესრიგს.

მუხლი 6. პოლიტიკური პარტიების შექმნა თავისუფალია.

პოლიტიკური პარტიის შიდა ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს ძირითად კონსტიტუციურ დემოკრატიულ პრინციპებს.

პარტიები აქვეყნებენ მათი სახსრებისა და ქონების წყაროების შესახებ ანგარიშებს.

არაკონსტიტუციურია ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელთა პროგრამების ან უკანონო ქმედებების მიზანია დემოკრატიული წყობილების ხელყოფა, რაც სახიფათოა ხორვატიის რესპუბლიკის არსებობისთვის. არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო.

მუხლი 7. ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იცავს მის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება გადაკვეთოს მისი საზღვრები და იმოქმედოს მისი საზღვრების გარშემო მხოლოდ ხორვატიის საბორის წინასწარი გადაწყვეტილებით.

შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება გადაკვეთოს ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრები ხორვატიის საბორის წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე იმ საერთაშორისო თავდაცვის ორგანიზაციების ფარგლებში მიზნების განსახორციელებლად, რომელსაც შეუერთდა ან უერთდება ხორვატიის რესპუბლიკა, ასევე ჰუმანიტარული მიზნით.

კონსტიტუციის მე-17 და მე-100 მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებებში, თუ საფრთხის ხასიათი მოითხოვს, შეიარაღებული ძალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პოლიციის და სხვა სახელმწიფო ორგანოების დასახმარებლად.

თავდაცვის ორგანიზაცია, ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, მართვა და დემოკრატიული კონტროლი რეგულირდება ამ კონსტიტუციითა და კანონით.

მუხლი 8. ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ხორვატიის საბორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 9. ხორვატიის მოქალაქეობა, მისი მოპოვება და შეწყვეტა განისაზღვრება კანონით.

დაუშვებელია ხორვატიის რესპუბლიკიდან ხორვატიის მოქალაქის გაძევება, მოქალაქეობის ჩამორთმევა ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა.

მუხლი 10. ხორვატიის რესპუბლიკა იცავს უცხოეთში მცხოვრებ ან მყოფ თავის მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს და ხელს უწყობს სამშობლოსთან მათი კავშირის გაღრმავებას.

სხვა სახელმწიფოებში ხორვატიის დიასპორას გარანტირებული აქვს ხორვატიის რესპუბლიკის მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა.

მუხლი 11. ხორვატიის რესპუბლიკის გერბია ხორვატიის ისტორიული გერბი, რომლის საფუძველს წარმოადგენს 25 თანმიმდევრული წითელი და თეთრი (ვერცხლისფერი) მინდორი.

ხორვატიის რესპუბლიკის დროშა არის სამფეროვანი: წითელი, თეთრი და ლურჯი, მის ცენტრში ხორვატიის ისტორიული გერბით.

ხორვატიის რესპუბლიკის კიშნია „ჩენი მშენიერი საშობლო“ (ლექა ნაშა დომოვინა).

ხორვატიის ისტორიული გერბისა და დროშის აღწერილობა და კიშნის ტექსტი, ასევე ამ და სხვა სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 12. ხორვატიის რესპუბლიკაში ოფიციალურია ხორვატული ენა და ლათინური ანბანი.

ცალკეულ ადგილობრივ ერთეულებში ხორვატულ ენასა და ლათინურ ანბანთან ერთად შეიძლება, კანონით გათვალისწინებულ პირობებში, ოფიციალურად გამოსაყენებლად შეზღუდულ იქნეს სხვა ენები, ასევე კირილიცა ან სხვა ანბანი.

მუხლი 13. ხორვატიის რესპუბლიკის დედაქალაქია ქალაქი ზაგრები.

ქალაქ ზაგრების სტატუსი, უფლებამოსილება და ორგანიზაცია რეგულირდება კანონით.

III. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა 1. ძირითადი დებულებანი

მუხლი 14. ხორვატიაში ყველა ადამიანი და მოქალაქე ფლობს ყველა უფლებასა და თავისუფლებას მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, განათლების, სოციალური სტატუსის და სხვა თავისებურებისა.

კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

მუხლი 15. ხორვატიის რესპუბლიკაში ყველა ერისა და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები თანასწორნი არიან.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების თანასწორობა და დაცვა რეგულირდება კონსტიტუციური კანონით, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ორგანული კანონისათვის გათვალისწინებული პროცედურით.

გარდა საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, კანონით შეიძლება განისაზღვროს ეროვნულ უმცირესობათა სპეციალური უფლება ხორვატიის საბორში აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები.

ყველა ეროვნული უმცირესობის წევრს გარანტირებული აქვს მათი ეროვნული კუთვნილების გამოხატვის თავისუფლება, თავიანთი ენითა და

დამწერლობით თავისუფლად სარგებლობისა და კულტურული ავტომონიის უფლება.

მუხლი 16. თავისუფლებები და უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი მორალისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მუხლი 17. საომარი მდგომარეობის ან სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის უშუალო საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვანი სტიქიური უბედურების დროს შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა ცალკეული თავისუფლებები და უფლებები. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხორვატიის საბორი წევრთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის უმრავლესობით. თუ საბორის მოწვევა შეუძლებელია, გადაწყვეტილებას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

შეზღუდვის მოცულობა უნდა პასუხობდეს საფრთხის ხარისხს, ხოლო მიღებული ზომები მოქალაქეთათვის უნდა გატარდეს თანაბრად, მიუხედავად მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, აღმსარებლობის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობისა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უშუალო საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს არსებობას, არ უნდა შეიზღუდოს ამ კონსტიტუციის დებულებების გამოყენება სიცოცხლის უფლებაზე, წამების აკრძალვაზე, მკაცრ ან ადამიანური ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელზე, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებისა და სასჯელის იურიდიული დასაბუთების აუცილებლობაზე, ასევე აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე.

მუხლი 18. გარანტირებულია პირველი ინსტანციის სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

გასაჩივრების უფლება შეიძლება გამოირიცხოს გამონაკლისის წესით, თუ უზრუნველყოფილია სხვა სამართლებრივი დაცვა.

მუხლი 19. სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა ორგანოთა ცალკეული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს კანონს.

გარანტირებულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებების სასამართლო ზედამხედველობა.

მუხლი 20. ყველას, ვინც დაარღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ამ კონსტიტუციის დებულებებს, ეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და არ შეიძლება გაამართლოს თავისი მოქმედება ზემდგომი ბრძანების შესრულების აუცილებლობით.

2. პირადი და პოლიტიკური თავისუფლებები და უფლებები

მუხლი 21. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება. ხორვატიის რესპუბლიკაში დაუშვებელია სიკვდილით დასჯა.

მუხლი 22. ადამიანის თავისუფლება და პირადობა ხელშეუხებელია. არავის არ შეიძლება აეკრძალოს ან შეეზღუდოს თავისუფლება, თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებით და კანონის შესაბამისად.

მუხლი 23. არავინ არ შეიძლება მისი თანხმობის გარეშე დაექვემდებაროს რაიმე ფორმით წამებას ან სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტს. აკრძალულია იძულებითი ან სავალდებულო შრომა.

მუხლი 24. დაუშვებელია პირის დაკავება ან დაპატიმრება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა წაუკითხონ და გადასცენ დაკავებულ პირს.

სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე სამართალდამცავმა ორგანოებმა შეიძლება დააკავონ პირი, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა კანონით გათვალისწინებული მძიმე დანაშაული. დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზი და კანონით გათვალისწინებული მისი უფლებები.

ყოველ დაკავებულსა და დაპატიმრებულს აქვს უფლება საჩივრით მიმართოს სასამართლოს, რომელიც გონივრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დაკავების კანონიერების შესახებ.

მუხლი 25. ყოველ დაპატიმრებულსა და მსჯავრდებულს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პატივის სცემდნენ მის ადამიანურ ღირსებას.

ყოველ დაკავებულსა და სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებაში ბრალდებულს აქვს უფლება კანონით დადგენილ უმოკლეს ვადაში წარსდგეს

სასამართლოს წინაშე და კანონიერ ვადებში გათავისუფლდეს ან გასამართლდეს.

დაკავებული შეიძლება გათავისუფლდეს თავდებით და ამ მდგომარეობაში დაიცვას თავი.

ყველა პირს, რომელსაც უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება ან დაედო მსჯავრი, კანონის შესაბამისად აქვს ზიანის ანაზღაურებისა და საჯაროდ ბოდიშის მოხდის უფლება.

მუხლი 26. ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე და უცხოელები თანასწორნი არიან სასამართლოს, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა ორგანოების წინაშე.

მუხლი 27. ადვოკატურა, როგორც ავტონომიური და დამოუკიდებელი სამსახური, კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას.

მუხლი 28. არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი და ცნობილ იქნეს დამნაშავედ, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოს საბოლოო განაჩენით.

მუხლი 29. ყველას აქვს თავისი საქმის კანონით განსაზღვრული წესით დამოუკიდებლად და სამართლიანად განხილვის უფლება, როდესაც გადაუდებელ ვადებში წყდება მისი უფლებები და თავისუფლებები ან სისხლისსამართლებრივი ქმედების ჩადენის მტკიცება ან შეცვლა.

სისხლისსამართლებრივი ქმედების ჩადენის მტკიცების ან ბრალდების შემთხვევაში ეჭვმიტანილ, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს:

- დეტალურად, მისთვის გასაგებ ენაზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში გაეცნოს მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდების არსსა და მიზეზებს და ბრალდების მამხილებელ მტკიცებულებებს;

- მისი დაცვის მოსამზადებლად ჰქონდეს სათანადო დრო და შესაძლებლობა;

- ჰყავდეს ადვოკატი, თავისუფლად იქონიოს მასთან ურთიერთობა და გაეცნოს თავის უფლებებს;

- მისი სურვილით თავი დაიცვას პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, ხოლო თუ არ აქვს ადვოკატის აყვანის მატერიალური შესაძლებლობა, კანონით განსაზღვრულ ვადებში აიყვანოს უფასო ადვოკატი;

- მონაწილედეს საქმის განხილვაში, თუ დაიშვება სასამართლოში;

- დაიკითხოს, ჰყავდეს ბრალდების მოწმეები, მოითხოვოს დაცვის მოწმეთა იმავე პირობებში დასწრება და მოსმენა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს;

- სასამართლო განხილვის ენის არცოდნის შემთხვევაში მოითხოვოს თარჯიმნის უფასო მომსახურება.

დაუშვებელია ეჭვმიტანილ, ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა იძულება აღიარონ ბრალეულობა.

უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება სასამართლო პროცესზე არ დაიშვება.

სისხლის სამართალწარმოება შესაძლებელია მხოლოდ მართლმსაჯულების სასამართლოში, უფლებამოსილი ბრალმდებლის მოთხოვნით.

მუხლი 30. მიძემ და განსაკუთრებით ცინიკური დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით შეიძლება კანონით გათვალისწინებული იყოს გარკვეული სახის საქმიანობის მოპოვებული უფლების განსაზღვრული ვადით დაკარგვა ან მოპოვების აკრძალვა, თუ ამას მოითხოვს მართლწესრიგის დაცვა.

მუხლი 31. არავინ არ შეიძლება გასამართლდეს ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენისას კანონით ან საერთაშორისო სამართლით დანაშაულად არ ითვლებოდა, ასევე არავის არ შეიძლება დაეკისროს კანონით გაუთვალისწინებელი სასჯელი.

არავინ არ შეიძლება ხელახლა იქნეს დასჯილი ქმედებისთვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო დასჯილი და რომლის მიმართაც კანონის საფუძველზე გამოტანილია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

ამ მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე სასამართლო პროცესის განახლების შემთხვევები და საფუძვლები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით, კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 32. ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ყველა პირს აქვს გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.

ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს დატოვოს სახელმწიფოს ტერიტორია, დასახლდეს საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით, ან ნებისმიერ დროს დაბრუნდეს სამშობლოში.

ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილების, მის ფარგლებს გარეთ გასვლისა და შემოსვლის უფლება შეიძლება განსაკუთრებულ შემ-

თხვევებში შეიზღუდოს კანონით, თუ ეს აუცილებელია მართლწესრიგის ან სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 33. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია მიიღოს თავშესაფარი ხორვატიის რესპუბლიკაში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი იღვენებიან არაპოლიტიკური დანაშაულისათვის და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობისათვის.

უცხოელი, რომელიც კანონიერ საფუძველზე იმყოფება ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არ შეიძლება გაძევებულ იქნეს ქვეყნიდან ან გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა აღსრულდეს საერთაშორისო ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 34. საცხოვრებელი ხელშეუხებელია.

საცხოვრებლის ან სხვა სადგომის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საცხოვრებელში მცხოვრებს ან მის წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს მათი საცხოვრებლის ან სხვა სადგომის ჩხრეკას ორი მოწმის საკვლევლო დასწრებით.

კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ შევიდნენ საცხოვრებელში ან სხვა სადგომში სასამართლოს დადგენილების ან მფლობელის თანხმობის გარეშე და მოწმეთა დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია დამნაშავეს დაკავების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად, ასევე, თუ სერიოზული საფრთხე ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან დიდი რაოდენობით ქონებას.

იმ მტკიცებულებათა მოპოვების ან დაცვის მიზნით ჩხრეკა, რომელთან დაკავშირებით არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საცხოვრებელში იმყოფება დანაშაულის ჩამდენი პირი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწმეთა თანდასწრებით.

მუხლი 35. ყველასთვის გარანტირებულია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსების, რეპუტაციისა და პატივის სამართლებრივი დაცვა და პატივისცემა.

მუხლი 36. მიმოწერისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებათა თავისუფლება და საიდუმლოება გარანტირებული და ხელშეუხებელია.

სახელმწიფოს უშიშროების დასაცავად ან სისხლის სამართალწარმოები-
სათვის აუცილებელი შეზღუდვები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

მუხლი 37. ყოველი პირისთვის გარანტირებულია პირადი მონაცემების დაცვისა და საიდუმლოების უფლება. მფლობელის თანხმობის გარეშე მათი შეგროვება, დამუშავება ან გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პირადი მონაცემების ბაზის დაცვა, ასევე სახელმწიფოში საინფორმაციო სისტემების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება რეგულირდება კანონით.

დაუშვებელია პირადი მონაცემების გამოყენება მათი შეკრების მიზნის სა-
წინააღმდეგოდ.

მუხლი 38. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პრესისა და ინფორმაციის სხვა სა-
შუალებების თავისუფლებას, სიტყვისა და საჯარო გამოსვლის თავისუფლე-
ბას, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფალი შექმნის
უფლებას.

ცენზურა აკრძალულია. ჟურნალისტებს აქვთ ინფორმაციის გავრცელები-
სა და მასზე დაშვების უფლება.

ყველასთვის, ვისი კონსტიტუციური და კანონიერი უფლებები დაირღვა
საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, გარანტირებულია მისი უარყოფის
უფლება.

მუხლი 39. აკრძალულია და ისჯება ომისკენ ან ძალადობისკენ მოწოდე-
ბა ან წახალისება ან ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური განსხვავებუ-
ლობით ან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 40. გარანტირებულია სინდისისა და აღმსარებლობის, ასევე რე-
ლიგიური და სხვა შეხედულებების თავისუფლად და საჯაროდ გამოხატვის
უფლება.

მუხლი 41. ყველა რელიგიური გაერთიანება კანონის წინაშე თანასწორი
და სახელმწიფოსგან განცალკევებულია.

რელიგიურ გაერთიანებებს კანონის შესაბამისად აქვთ რელიგიური ჩვეუ-
ლებების თავისუფლად და საჯაროდ შესრულების, სკოლების, სასწავლებ-
ლების, სხვა ინსტიტუტების, სოციალური და საქველმოქმედო დაწესებულე-

ბების დაარსებისა და მათი მართვის უფლება. ისინი თავიანთ საქმიანობაში სარგებლობენ სახელმწიფოს დაცვითა და დახმარებით.

მუხლი 42. ყველასთვის გარანტირებულია კანონის შესაბამისად საჯაროდ შეკრებისა და მშვიდობიანი პროტესტის უფლება.

მუხლი 43. ყველასთვის გარანტირებულია თავისუფალი გაერთიანების უფლება მათი ინტერესების დაცვის მიზნით და სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული ან სხვა შეხედულებებისა და მიზნების გამოხატვის უფლება. ამ მიზნით, ყველას აქვს უფლება თავისუფლად შექმნას პროფესიული კავშირები და სხვა ასოციაციები, გაერთიანდეს მათში ან დატოვოს ისინი კანონის შესაბამისად.

ამ უფლების განხორციელება შეზღუდულია, თუ იგი ზიანს აყენებს დემოკრატიულ წყობილებასა და დამოუკიდებლობას, ასევე ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

მუხლი 44. ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმიანობის განხორციელებაში და მიღებულ იქნეს სახელმწიფო სამსახურში.

მუხლი 45. 18 წლის ასაკს მიღწეულ ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება. ეს უფლება ხორციელდება პირდაპირი არჩევნებით ფარული კენჭისყრით.

ხორვატიის საბორისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისას ხორვატიის რესპუბლიკა უზრუნველყოფს საარჩევნო უფლების განხორციელებას თავის იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც არჩევნების დროს იმყოფებიან საზღვარგარეთ, ისე, რომ მათ ხმა მისცენ იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფებიან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით.

მუხლი 46. ყოველ მოქალაქეს აქვს სახელმწიფო და სხვა საჯარო ორგანოებისათვის პეტციით, საჩივრით ან წინადადებით მიმართვის უფლება.

მუხლი 47. სამხედრო სამსახური და ხორვატიის რესპუბლიკის დაცვა ყველა იმ მოქალაქის ვალდებულებაა, რომელსაც შეუძლიათ ამის განხორციელება.

სინდისის მიმართ პროტესტი დასაშვებია იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც თავისი რელიგიური ან მორალური შეხედულებების გამო არ შეუძლია შეიარაღებული ძალების სამხედრო სამსახურის განხორციელებაში მონაწი-

ლეობა. ეს პირები ვალდებული არიან შეასრულონ კანონით გათვალისწინებული სხვა შემცველი ვალდებულება.

3. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

მუხლი 48. საკუთრების უფლება გარანტირებულია.

საკუთრება წარმოშობს ვალდებულებებს. საკუთრების უფლების სუბიექტები და საკუთრებით მოსარგებლენი უნდა ზრუნავდნენ საყოველთაო კეთილდღეობისათვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ საკუთრება შეიძლება მოიპოვოს კანონით გათვალისწინებული პირობებით.

მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 49. მეწარმეობისა და ბაზრის თავისუფლება ხორვატიის რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძველია.

სახელმწიფო ყველა მეწარმისთვის უზრუნველყოფს ბაზარზე თანასწორ სამართლებრივ მდგომარეობას.

სახელმწიფო წაახალისებს ეკონომიკურ პროგრესს და სოციალურ კეთილდღეობას და ზრუნავს მისი ყველა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

კაპიტალის ინვესტირების გზით მოპოვებული უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტით.

უცხოელი ინვესტორებისთვის გარანტირებულია სარგებლისა და საინვესტიციო კაპიტალის გადაზიდვა და რეპატრიაცია.

მუხლი 50. ხორვატიის რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საკუთრების უფლება ქონების ღირებულების საბაზრო ფასად ანაზღაურებით.

სამეწარმეო და ქონებრივი უფლებები განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს კანონით ხორვატიის რესპუბლიკის ინტერესებისა და უშიშროების, ბუნების, გარემოსა და ზღვის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მუხლი 51. ყველა უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო გასაქვების ანაზღაურებაში თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

საგადასახადო სისტემა ეფუძნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 52. ზღვა, ზღვის ნაპირი და კუნძულები, საჰაერო სივრცე, მინერალური სიმდიდრეები და სხვა ბუნებრივი რესურსები, ასევე მიწა, ტყე, ფლორა და ფაუნა, სხვა ბუნებრივი ობიექტები, უძრავი ქონება და ნივთები, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა და რომლებიც კანონით განსაზღვრულია ხორვატიის რესპუბლიკისთვის ინტერესის მქონე ობიექტებად, იმყოფება მისი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

კანონით განისაზღვრება წესი, რომლის შესაბამისად ხორვატიის რესპუბლიკის ინტერესის მქონე ობიექტები შეიძლება გამოყენებულ და ექსპლუატირებულ იქნეს უფლებამოსილი პირებისა და მესაკუთრეების მიერ, ასევე დგინდება მესაკუთრის უფლებამოსილების შეზღუდვისათვის კომპენსაციის გადახდის წესი.

მუხლი 53. ხორვატიის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი არის ხორვატიის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი. ხორვატიის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის სტატუსი, უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება კანონით.

ხორვატიის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და პასუხისმგებელია ხორვატიის საბორის წინაშე.

მუხლი 54. ყველას აქვს შრომის უფლება და თავისუფლება.

ყველას აქვს პროფესიისა და საქმიანობის თავისუფლად არჩევის უფლება და თანაბრად არის უზრუნველყოფილი მისი ნებისმიერ სამუშაო ადგილზე და თანამდებობაზე დაშვება.

მუხლი 55. ყველა მომუშავეს აქვს შრომის ანაზღაურების უფლება, რომელიც მისი და მისი ოჯახისთვის უზრუნველყოფს თავისუფალ და ღირსეულ ცხოვრებას.

სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა დგინდება კანონით.

ყველა მომუშავეს აქვს ყოველთვიური დასვენების და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება და დაუშვებელია მათზე უარის თქმა.

კანონის შესაბამისად მომუშავეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოში გადაწყვეტილების მიღებაში.

მუხლი 56. მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა რეგულირდება კანონით და კოლექტიური შეთანხმებით.

ბავშვის დაბადებასთან, დედობასთან და ბავშვთა მზრუნველობასთან დაკავშირებული უფლებები რეგულირდება კანონით.

მუხლი 57. სუსტ, დაუცველ და უმუშევრობისა და შრომისუნარობის შედეგად რთულ მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს დახმარების უფლებას ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნებიდან დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 58. ყველა პირისთვის გარანტირებულია კანონის შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

მუხლი 59. ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესთა დასაცავად ყველა მომუშავეს აქვს პროფესიული კავშირების შექმნის, მათში თავისუფალად შესვლისა და მათგან გამოსვლის უფლება.

პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ფედერაციები და გაერთიანებული საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები.

შეიარაღებულ ძალებში და სამართალდამცავ ორგანოებში პროფესიული კავშირების შექმნა შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

დამსაქმებლებს უფლება აქვთ დააფუძნონ გაერთიანებები, გაერთიანდნენ ან გამოვიდნენ მათგან.

მუხლი 60. გარანტირებულია გაფიცვის უფლება.

შეიარაღებულ ძალებში, სამართალდამცავ ორგანოებში, სახელმწიფო აპარატსა და საჯარო სამსახურში გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 61. ოჯახს იცავს სახელმწიფო.

ქორწინება და ქორწინებასთან, ქორწინებისგარეშე კავშირთან და ოჯახთან დაკავშირებული ურთიერთობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 62. სახელმწიფო იცავს დეობას, ბავშვებსა და ახალგაზრდობას, ასევე ქმნის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფილ სოციალურ, მატერიალურ და სხვა პირობებს.

მუხლი 63. მშობლებმა უნდა აღზარდონ, შეინახონ ბავშვები და მისცენ მათ განათლება. მათ გააჩნიათ უფლება და თავისუფლება დამოუკიდებლად აღზარდონ მათი ბავშვები.

მშობლები პასუხისმგებელნი არიან უზრუნველყონ ბავშვის პიროვნების სრულყოფილი და ჰარმონიული განვითარების უფლება.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ნაკლის მქონე და სოციალურად დაუცველ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვის, განათლებისა და კეთილდღეობის უფლება.

ბავშვები უნდა ზრუნავდნენ მოხუც და დახმარების გარეშე დარჩენილ მშობლებზე.

სახელმწიფო იჩენს განსაკუთრებულ მზრუნველობას მცირეწლოვან, მშობლების გარეშე დარჩენილ და მეურვეობა აკრძალულ ბავშვებზე.

მუხლი 64. ყველას ვალდებულებაა ბავშვებსა და დახმარების გარეშე დარჩენილ პირებზე ზრუნვა.

ბავშვები არ შეიძლება მიღებულ იქნენ სამუშაოზე კანონით დადგენილ ასაკს მიღწევამდე, ასევე დაექვემდებარონ იძულებით და მათი ჯანმრთელობისა და ზნეობისთვის ზიანის მომტან შრომას.

ახალგაზრდობას, დედებს, ინვალიდებს აქვთ სამუშაო ადგილზე განსაკუთრებული დაცვის უფლება.

მუხლი 65. დაწყებითი განათლება სავალდებულო და უფასოა.

სამუშაო და უმაღლესი განათლება ყველასთვის თანაბრად არის უზრუნველყოფილი მისი შესაძლებლობების შესაბამისად.

მუხლი 66. კანონით განსაზღვრული პირობებით, შეიძლება შეიქმნას კერძო სკოლები და ინსტიტუტები.

მუხლი 67. უნივერსიტეტების ავტონომია გარანტირებულია.

უნივერსიტეტი კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას თავისი ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ.

მუხლი 68. გარანტირებულია სამეცნიერო, კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის უფლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას.

სახელმწიფო იცავს სამეცნიერო, კულტურულ, შემოქმედებით ქონებას, როგორც ერის სულიერ ფასეულობას.

გარანტირებულია სამეცნიერო, კულტურულ, შემოქმედებით, ინტელექტუალურ და სხვა შემოქმედებითი საქმიანობიდან გამოძინარე მორალური და მატერიალური უფლებების დაცვა.

სახელმწიფო ხელს უწყობს და ზრუნავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

მუხლი 69. ყველას აქვს ჯანმრთელი ცხოვრების უფლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანმრთელი გარემოს არსებობის პირობებს. ყველას, თავისი უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლებში აქვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ბუნებისა და გარემოს განსაკუთრებული დაცვის უფლება.

IV. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია

1. ხორვატიის საბორო⁵

მუხლი 70. ხორვატიის საბორო წარმოადგენს ხალხის წარმომადგენლობით, ასევე ხორვატიის რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილ ორგანოს.

მუხლი 71. ხორვატიის საბორო შედგება პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული არანაკლებ 100 და არაუმეტეს 160 წევრისგან.

მუხლი 72. ხორვატიის საბოროს წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. ხორვატიის საბოროს წევრთა რაოდენობა და მათი არჩევის პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 73. ხორვატიის საბოროს წევრთა არჩევნები ტარდება ხორვატიის საბოროს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან დათხოვნიდან არაუმეტეს 60 დღის ვადაში.

ხორვატიის საბოროს პირველი სხდომა ტარდება არჩევნების ჩატარებიდან არაუმეტეს 20 დღის ვადაში.

ხორვატიის საბორო პირველ სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ირჩევს მის თავმჯდომარეს.

მუხლი 74. ხორვატიის საბოროს წევრებს არ გააჩნიათ იმპერატიული მანდატი.

ხორვატიის საბოროს წევრები იღებენ მუდმივ ფულად ანაზღაურებას და სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

⁵ ხორვატიის პარლამენტს ეროვნულ ენაზე ეწოდება მისი ისტორიული სახელწოდება „ხორვატიის საბორო“. სწორედ ამ ტერმინს იყენებს პარლამენტის აღსანიშნავად ხორვატიის კონსტიტუცია.

მუხლი 75. ხორვატიის საბორის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით.

დაუშვებელია წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან ხორვატიის საბორში აზრის გამოთქმის ან ხმის მიცემისთვის დასჯა.

დაუშვებელია წევრის დაკავება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხორვატიის საბორის თანხმობის გარეშე.

ხორვატიის საბორის თანხმობის გარეშე წევრის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წაასწრებენ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ხუთი წლის ვადით. ამ შემთხვევაში უნდა ეცნობოს ხორვატიის საბორის თავმჯდომარეს.

თუ ხორვატიის საბორი არ არის შეკრებილი, წევრის დაკავების ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ თანხმობას აძლევს და იმუნიტეტის უფლების საკითხს წყვეტს სამანდატო და იმუნიტეტის კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოდ მტკიცდება ხორვატიის საბორის მიერ.

მუხლი 76. ხორვატიის საბორის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს კანონით საომარი მდგომარეობის ან კონსტიტუციის მე-17 და მე-100 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 77. ხორვატიის საბორი შეიძლება დათხოვნილ იქნეს, რათა დაინიშნოს ახალი არჩევნები, თუ ამას გადაწყვეტს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.

კონსტიტუციის 103-ე მუხლის თანახმად, ხორვატიის საბორის დათხოვნა ასევე შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მუხლი 78. ხორვატიის საბორი იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ: პირველი სესია იწყება 15 იანვარს და გრძელდება 15 ივნისამდე, ხოლო მეორე სესია იწყება 15 სექტემბერს და გრძელდება 15 დეკემბრამდე.

ხორვატიის საბორი იკრიბება საგანგებო სესიაზე რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

ხორვატიის საბორის თავმჯდომარეს შეუძლია საპარლამენტო პარტიებისგან შემდგარ საპარლამენტო კლუბებთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ მოიწვიოს საგანგებო სესია.

მუხლი 79. ხორვატიის საბორს ჰყავს თავმჯდომარე და ერთი ან მეტი თავმჯდომარის მოადგილე.

ხორვატიის საბორის შიდა ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება მისი რეგლამენტით.

რეგლამენტი მიიღება წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

მუხლი 80. ხორვატიის საბორი:

- იღებს კონსტიტუციას და შეაქვს მასში ცვლილებები;
- იღებს კანონებს;
- ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- აცხადებს ომსა და მშვიდობას;
- იღებს აქტებს, რომლებიც გამოხატავენ ხორვატიის საბორის პოლიტიკას;
- ამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და ხორვატიის რესპუბლიკის თავდაცვის სტრატეგიას;
- ახორციელებს სამოქალაქო კონტროლს ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებულ და უშიშროების ძალებზე;
- იღებს გადაწყვეტილებას ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის შესახებ;
- ნიშნავს რეფერენდუმს;
- ატარებს არჩევნებს, კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან;
- ახორციელებს ზედამხედველობას ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობისა და კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად ხორვატიის საბორის წინაშე პასუხისმგებელი სხვა საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების საქმიანობაზე;
- სისხლის სამართლის საქმეებზე აცხადებს ამნისტიას;
- ახორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 81. თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხორვატიის საბორი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის დასწრებისას.

წევრები ხმას აძლევენ პირადად.

მუხლი 82. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების მომწესრიგებელი კანონები (ორგანული კანონები) მიიღება ხორვატიის საბორის მიერ წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედის უმრავლესობით.

კანონები (ორგანული კანონები), რომლებიც გადაამუშავებენ კონსტიტუციურად აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციას, უფლებამო-

სიღებასა და საქმიანობას და ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანიზაციასა და უფლებამოსილებას მიიღება ხორვატიის საბორის მიერ წვერთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-8 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება ხორვატიის საბორის მიერ წვერთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 83. ხორვატიის საბორის სხდომები საჯაროა.

მუხლი 84. კანონპროექტთა წარდგენის უფლება აქვს ხორვატიის საბორის ყოველ წვერს, წვერთა საპარლამენტო კლუბებს და ხორვატიის საბორის სამუშაო ორგანოებს, ასევე ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 85. ხორვატიის საბორის წვერებს უფლება აქვთ შეკითხვა დაუსვან ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას და კონტრეტულ მინისტრებს.

ხორვატიის საბორის წვერთა არანაკლებ ერთ მეთედს შეუძლია შეიტანოს ინტერპელაცია ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობისა და მის კონკრეტულ წვერთა საქმიანობის შესახებ.

შეკითხვა და ინტერპელაცია დეტალურად განისაზღვრება რეგლამენტით.

მუხლი 86. ხორვატიის საბორს შეუძლია დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციის გადასინჯვის ან კანონპროექტის წინადადების თაობაზე ან მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, მთავრობის წინადადებით და პრემიერ-მინისტრის თანახმობით, დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების თაობაზე ან ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და არსებობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

ხორვატიის საბორს შეუძლია დანიშნოს რეფერენდუმი ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე, თუ ამას მოითხოვს ხორვატიის რესპუბლიკის ამომრჩეველთა ათი პროცენტი.

ამგვარ რეფერენდუმზე გადაწყვეტილება მიიღება ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით, თუ რეფერენდუმში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.

რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა.

მიღებულ უნდა იქნეს კანონი რეფერენდუმის შესახებ.

მუხლი 87. ხორვატიის საბორს უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი წლის ვადით ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას მიანიჭოს უფლებამოსილება მიიღოს განკარგულებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაზუსტებას, ეროვნულ უფლებებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციას, უფლებამოსილებასა და საქმიანობას.

მთავრობისათვის დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე გამოცემულ მთავრობის განკარგულებებს არ აქვთ უაქცევი იურიდიული ძალა.

დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე გამოცემული განკარგულებები ძალას კარგავენ უფლებამოსილების დელეგირებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუ ხორვატიის საბორი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

მუხლი 88. კანონებს ხელს აწერს და აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხორვატიის საბორის მიერ მათი მიღების დღიდან რვა დღის ვადაში.

მუხლი 89. ძალაში შესვლამდე კანონები და სახელმწიფო ორგანოების აქტები ქვეყნდება ხორვატიის რესპუბლიკის ოფიციალურ ჟურნალში – „ნაროდნე ნოვინე“.

საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოთა აქტები ძალაში შესვლამდე უნდა გამოქვეყნდეს ხელმისაწვდომი ვხით, კანონის შესაბამისად.

კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მერვე დღეს, თუ განსაკუთრებით გამამართლებელი მიზეზით, კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოთა სხვა წესებს არ აქვთ უაქცევი იურიდიული ძალა.

მხოლოდ კანონის კონკრეტულ ნორმას შეიძლება ჰქონდეს უაქცევი იურიდიული ძალა განსაკუთრებით გამამართლებელი მიზეზით.

მუხლი 90. სახელმწიფო შემოსავლები და გასავლები მტკიცდება სახელმწიფო ბიუჯეტით.

კანონი, რომლის აღსრულება მოითხოვს ფინანსურ ფონდს, უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი ფონდის წყაროებს.

მუხლი 91. ხორვატიის საბორში შეიძლება შეიქმნას საგამოძიებო კომისიები საჯარო ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხზე.

საბორის საგამოძიებო კომისიების შემადგენლობა, კომპეტენცია და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

მუხლი 92. სახალხო ომბუდსმენი, როგორც ხორვატიის საბორის უფლებამოსილი, იცავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ და კანონიერ უფლებებს სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოების მხრიდან.

სახალხო ომბუდსმენი აირჩევა ხორვატიის საბორის მიერ რვა წლის ვადით.

სახალხო ომბუდსმენისა და მისი მოადგილეების თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების პირობები, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

უზრუნველყოფილია სახალხო ომბუდსმენის აპარატის მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური და კანონიერი უფლებების დაცვა თავდაცვის სამინისტროს, შეიარაღებული და სამხედრო ძალების მხრიდან, მოქალაქეთა უფლებების დაცვა ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან, ასევე ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოების უფლებების დაცვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 93. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი წარმოადგენს და იცავს ხორვატიის რესპუბლიკას ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ზრუნავს სახელმწიფოს მთავრობის რეგულარულ და პარამონიულ ფუნქციონირებასა და სტაბილურობაზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.

მუხლი 94. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით.

დაუშვებელია რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა ორზე მეტჯერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების ამგვარ უმრავლესობას, 14 დღის ვადაში ტარდება ახალი არჩევნები.

ახალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ ერთ-ერთი კანდიდატი მოხსნის კანდიდატურას, ახალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევა საუკეთესო შედეგის მქონე შემდგომ კანდიდატს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღის ვადაში.

უფლებამოსილების დაწყებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დებს კონსტიტუციის ერთგულების საზეიმო ფიცს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, ფიცი და მისი დადების წესი რეგულირდება კანონით.

მუხლი 95. რესპუბლიკის პრეზიდენტმა არ შეიძლება განაზორციელოს სხვა სახელმწიფო ან პროფესიული საქმიანობა.

მუხლი 96. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი დროებით ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას მისი არყოფნის, ავადმყოფობის ან მივლინებაში ყოფნის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება დააკისროს ზორვატიის საბორის თავმჯდომარეს. რესპუბლიკის პრეზიდენტი წყვეტს თანამდებობაზე დაბრუნების საკითხს.

იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი დიდი ხნის მანძილზე ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, მისი ავადმყოფობის ან ქმედუნარიობის შემთხვევაში, ან განსაკუთრებით, თუ არ შეუძლია უფლებამოსილების დროებით გადაცემა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას დროებით ახორციელებს ზორვატიის საბორის თავმჯდომარე. საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მთავრობის წინადადების საფუძველზე.

გარდაცვალების, გადადგომის, რომელიც წარედგინება ზორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და ეცნობება ზორვატიის საბორის თავმჯდომარეს, ან როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზს, რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება კონსტიტუციის ძალით გადადის ზორვატიის საბორის თავმჯდომარეზე.

როდესაც ზორვატიის საბორის თავმჯდომარე, როგორც რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტი ახდენს კანონთა პრომულგირებას, აქტებს მასთან ერთად ხელს აწერს ზორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილების დაწყების დღიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 97. რესპუბლიკის პრეზიდენტი:

- ნიშნავს ზორვატიის რესპუბლიკის საბორის არჩევნებს და იწვევს მის პირველ სხდომას;

- კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს რეფერენდუმს;
- აძლევს მთავრობის ფორმირების მანდატს პირს, რომელიც ხორვატიის საბორში ადგილების განაწილებისა და კონსულტაციების ჩატარების შედეგად მოიპოვებს მის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას;
- ახორციელებს შეწყალებას;
- აჯილდოვებს და ანიჭებს კანონით განსაზღვრულ წოდებებს;
- ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 98. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და აღსრულებას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით წყვეტს საზღვარგარეთ ხორვატიის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულოების შექმნის საკითხს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანახელმოწერით, მთავრობის წინადადებით და ხორვატიის საბორის უფლებამოსილი კომიტეტის მოსაზრების გათვალისწინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს.

მუხლი 99. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების შემადგენლობას.

ხორვატიის საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტი აცხადებს ომს და მშვიდობას.

თუ საომარი მდგომარეობა არ არის გამოცხადებული, რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით შეუძლია გასცეს შეიარაღებული ძალების გამოყენების ბრძანება, თუ უშუალო საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და არსებობას.

მუხლი 100. საომარი მდგომარეობის პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი, ხორვატიის საბორისგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საფუძველზე. თუ

ხორვატიის საბორი არ არის შეკრებილი, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია საომარი მდგომარეობისთვის საჭირო ყველა საკითხი დაარეგულიროს კანონის ძალის მქონე დეკრეტით.

თუ უშუალო საფრთხე ექმნება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და არსებობას, ან თუ სახელმწიფო ორგანოები მოკლებულნი არიან მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების მუდმივად განხორციელების შესაძლებლობას, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, პრემიერ-მინისტრის წინადადებით და მისი თანახმობით, გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა კანონის ძალის მქონე დეკრეტი დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ხორვატიის საბორს, როგორც კი იგი შეიკრებიან.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის ძალის მქონე დეკრეტს ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად არ წარუდგენს დასამტკიცებლად ხორვატიის საბორს, კანონის ძალის მქონე დეკრეტი კარგავს ძალას.

ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში დადგენილ შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მოიწვიოს მთავრობის სხდომა და უხელმძღვანელოს მას.

მუხლი 101. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მოიწვიოს მთავრობის სხდომა და გაიტანოს მასზე გარკვეული საკითხები.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს და მონაწილეობს განხილვაში.

მუხლი 102. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად თანამშრომლობენ უშიშროების სამსახურის მართვაში.

უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნას, ხორვატიის საბორის უფლებამოსილი კომიტეტის წინასწარი თანხმობით, თანახმობით ახორციელებენ რესპუბლიკის პრეზიდენტი და ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 103. რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახმობით, საპარლამენტო პარტიების კლუბების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ, ითხოვს ხორვატიის საბორს, თუ მთავრობის წინადადებით საბორი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, ან თუ იგი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს წარდგენიდან 120 დღის ვადაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია მთავრობის წინადადებით დაითხოვოს საბორი, თუ მის წინააღმდეგ კონსტიტუციის დარღვევის გამო დაწესებულია იმპიჩმენტის პროცედურა.

მუხლი 104. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით მისი უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილი კონსტიტუციის დარღვევისთვის.

რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა შეიძლება აღიძრას ზორვატიის საბორის მიერ წვერთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით.

რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს წყვეტს ზორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს იმპიჩმენტის საკითხს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ წინადადების შეტანიდან 30 დღის ვადაში.

თუ ზორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილებას, რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება კონსტიტუციის ძალით.

მუხლი 105. რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით.

რესპუბლიკის პრეზიდენტის დაკავება ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება დაკავებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დააკავებენ ისეთი დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო, რომელმაც დააკავა რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 106. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში დახმარებას უწევენ საკონსულტაციო ორგანოები. ამ ორგანოთა წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. დაუშვებელია ხელისუფლების დანაწილების საწინააღმდეგო დანიშვნის განხორციელება.

მრჩეველები, ექსპერტები და სხვა თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის მიერ. აპარატის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით და შინაგანაწესით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 107. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

მუხლი 108. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, ერთი ან მეტი ვიცე-პრემიერისა და მინისტრებისგან.

პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სხვა წევრებს არ შეუძლიათ შეასრულონ რაიმე სხვა სახელმწიფო ან პროფესიული მოვალეობა მთავრობის თანხმობის გარეშე.

მუხლი 109. პიროვნება, რომელსაც პრეზიდენტი მიანდობს მთავრობის ფორმირების მანდატს, წარმოადგენს მის წევრებს.

მთავრობის ფორმირების შემდეგ დაუყოვნებლივ, მაგრამ მანდატის მიღებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში, მანდატორი ხორვატიის საბორს წარუდგენს მთავრობასა და მის პროგრამას და მოითხოვს ნდობის გამოცხადებას.

მთავრობა იწყებს უფლებამოსილების განხორციელებას, თუ ნდობა გამოცხადებულია ხორვატიის საბორის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები ფიცს დებენ ხორვატიის საბორის წინაშე. ფიცის ტექსტი განისაზღვრება კანონით.

ხორვატიის საბორის მიერ ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის დანიშვნის აქტი გამოიცემა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხორვატიის საბორის თავმჯდომარის თანახელმწიფრით, ხოლო მთავრობის წევრთა დანიშვნის შესახებ აქტი – პრემიერ-მინისტრის მიერ ხორვატიის საბორის თავმჯდომარის თანახელმწიფრით.

მუხლი 110. თუ მანდატორი ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას მანდატის მიღების დღიდან 30 დღის ვადაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას ამ ვადის არაუმეტეს 30 დამატებით დღით გაგრძელების შესახებ.

თუ მანდატორი ვერ შესძლებს მთავრობის ფორმირებას დამატებით ვადაში, ან თუ წარდგენილი მთავრობა ვერ მიიღებს ხორვატიის საბორის ნდო-

ბას, რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის ფორმირების მანდატს ანდობს სხვა წევრს.

მუხლი 111. თუ მთავრობა ვერ დაკომპლექტდება კონსტიტუციის 109-ე და 110-ე მუხლების შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს დროებით უპარტიო მთავრობას და ამავდროულად ნიშნავს ხორვატიის საბორის ვადამდელ არჩევნებს.

მუხლი 112. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა:

- ხორვატიის საბორს წარუდგენს კანონებისა და სხვა აქტების პროექტებს;
- წარადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ყოველწლიურ ანგარიშს;
- აღასრულებს კანონებსა და ხორვატიის საბორის სხვა აქტებს;
- კანონების შესასრულებლად გამოსცემს განკარგულებებს;
- წარმართავს საგარეო და საშინაო პოლიტიკას;
- მიმართულებას აძლევს სახელმწიფო აპარატს და აკონტროლებს მის მართვას;
- ზრუნავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;
- მიმართულებას აძლევს საჯარო სამსახურის განხორციელებას და განვითარებას;
- ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 113. მთავრობის ორგანიზაცია, მართვის ფორმა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

მუხლი 114. მთავრობა პასუხისმგებელია ხორვატიის საბორის წინაშე.

პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ინდივიდუალურად — მათი შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 115. ხორვატიის საბორის წევრთა ერთი მეხუთედის წინადადებით შეიძლება დადგეს პრემიერ-მინისტრის, მთავრობის კონკრეტულ წევრთა ან მთელი მთავრობის ნდობის გამოცხადების საკითხი.

მთავრობის ნდობის გამოცხადების საკითხი შეიძლება დადგეს ასევე პრემიერ-მინისტრის მიერ.

დაუშვებელია მთავრობის ნდობის გამოცხადების შესახებ დებატები და კენჭისყრა ხორვატიის საბორში წინადადების წარდგენიდან შვიდი დღის გასულამდე.

დებატები და ნდობის გამოცხადების შესახებ კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ხორვატიის საბორისთვის წინადადების წარდგენიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში.

ნდობის გამოცხადების შესახებ წინადადება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს ხორვატიის საბორის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.

თუ ხორვატიის საბორი უარყოფს ნდობის გამოცხადების შესახებ წინადადებას, წარმდგენ წევრებს აღარ შეუძლიათ მისი წარდგენა ექვსი თვის ვადაში.

თუ ნდობის გამოცხადების შესახებ წინადადება შეტანილია პრემიერ-მინისტრის ან მთელი მთავრობის მიმართ, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა იღებენ გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ. თუ ახალი მანდატორის ან მის მიერ წარსადგენი მთავრობის წევრის ნდობა არ იქნება მიღებული 30 დღის ვადაში, ხორვატიის საბორის თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს. ცნობის მიღების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას ხორვატიის საბორის დათხოვნის შესახებ და იმედროულად ნიშნავს ხორვატიის საბორის არჩევნებს.

თუ მიღებულია გადაწყვეტილება მთავრობის კონკრეტული წევრისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, პრემიერ-მინისტრი ხორვატიის საბორის ნდობის მისაღებად წარუდგენს სხვა წევრს ან პრემიერ-მინისტრი და მთავრობა იღებენ გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ.

პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადადგომის ყველა შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-7 პუნქტი.

მუხლი 116. სახელმწიფო აპარატის ორგანიზაცია და ვალდებულებები, ისევე როგორც მისი მართვა რეგულირდება კანონით.

სახელმწიფო აპარატის განსაზღვრული ვალდებულებები კანონით შეიძლება მინდობილ იქნეს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის და საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოებისთვის.

სახელმწიფო თანამდებობის პირთა სტატუსი და სახელმწიფო მოსამსახურეთა სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება კანონით და სხვა დებულებებით.

4. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 117. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლო-ბი.

სასამართლო ხელისუფლება ავტონომიური და დამოუკიდებელია.

მოსამართლეები მართლმსაჯულებას ახორციელებენ კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე.

მუხლი 118. ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, როგორც უმაღლესი სასამართლო უზრუნველყოფს კანონთა ერთგვაროვან გამოყენებას და ყველა პიროვნების თანასწორობას.

ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის საბორი რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით, ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საერთო სხდომის წინასწარი თანხმობით. ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება ოთხი წლის ვადით.

სასამართლოთა შექმნა, უფლებამოსილება, შემადგენლობა და ორგანიზაცია, ასევე, სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 119. სასამართლოებში საქმეთა განხილვა ღიაა, სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება ხორვატიის რესპუბლიკის სახელით.

საზოგადოება არ დაიშვება სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უშიშროების მიზნით, განსაკუთრებით კი, თუ იხილება არასრულწლოვანის საქმე ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით. სასამართლო განხილვიდან საზოგადოების სრული ან ნაწილობრივ გამორიცხვა დაიშვება საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების, მეურვეობის ან შეილად აყვანის საქმეთა განხილვისას ან სამხედრო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის, ხორვატიის რესპუბლიკის უსაფრთხოების დაცვისა და თავდაცვის მიზნით, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, აბსოლუტურად აუცილებელია განსაკუთრებულ ვითარებაში, რომლისგანაც სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე ზიანი შეიძლება მიადგეს საზოგადოებას.

მუხლი 120. მსაჯულები სამართალწარმოებაში მონაწილეობენ კანონის შესაბამისად.

მუხლი 121. მოსამართლეები სარგებლობენ იმუნიტეტით კანონის შესაბამისად.

მოსამართლეებსა და მსაჯულებს სამართალწარმოებაში მონაწილეობისთვის არ მოეთხოვებათ ანგარიში სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოთქმული აზრების ან ხმის მიცემისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლე ჩაიდენს სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებას.

დაუშვებელია უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სისხლის სამართლის წესით დაკავება ჩადენილი დანაშაულისთვის მოსამართლეობა ეროვნული საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 122. მოსამართლე თანამდებობას იკავებს მუდმივად.

ამ მუხლის პირველი პუნქტისგან გამონაკლისის სახით, მოსამართლე, რომელიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს პირველად, ინიშნება ოთხი წლის ვადით. დანიშნის განახლების შემდეგ მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებს მუდმივად.

მოსამართლე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან:

- პირადი სურვილით;
- უფლებამოსილების განხორციელების მუდმივად შეუძლებლობისას;
- ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის თავისუფლების აღკვეთისას, რომლის ჩადენისთვის იგი არ არის ამ თანამდებობის დაკავების ღირსი;
- თუ კანონის შესაბამისად მოსამართლეთა ეროვნული საბჭო დაადგენს, რომ მან ჩაიდინა მძიმე დისციპლინარული სამართალდარღვევა;
- თუ შეუსრულდება 70 წელი.

მოსამართლეს უფლება აქვს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების დღიდან 15 დღის ვადაში, რომლის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს „ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული პროცედურითა და შემაღლებით.

მოსამართლეს უფლება აქვს მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ გაასაჩივროს ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლო საჩივარს იხილავს „ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული წესითა და პროცედურით.

ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენის დღიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამორიცხავს კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებას.

მოსამართლე არ შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა ადგილას მისი ნების საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონის შესაბამისად ადგილი აქვს სასამართლოს გაუქმებას ან რეორგანიზაციას.

დაუშვებელია მოსამართლეს კანონის საფუძველზე ეკავოს მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ასრულებდეს შეუთავსებელ ფუნქციას.

მუხლი 123. მოსამართლეებს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამართლეთა ეროვნული საბჭო, რომელიც ასევე წყვეტს მათ დისციპლინარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების დროს მოსამართლეთა ეროვნული საბჭო მხედველობაში იღებს ხორვატიის საბორის უფლებამოსილი კომიტეტის მოსაზრებას.

მოსამართლეთა ეროვნული საბჭო შედგება ხორვატიის საბორის მიერ, კანონის შესაბამისად, ცნობილი იურისტების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტის სამართლის პროფესორების შემადგენლობიდან არჩეული 11 წევრისგან. მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობა უნდა იყოს მოსამართლის რანგის მქონე.

მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრებად არ შეიძლება არჩეულ იქნენ სასამართლოების თავმჯდომარეები.

მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით და დაუშვებელია მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრობა ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობით ორ წლიანი უფლებამოსილების ვადით.

მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

5. პროკურატურა

მუხლი 124. პროკურატურა არის ავტონომიური და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია და ვალდებულია აღძვას

საქმე სისხლისსამართლებრივი ან სხვა დასჯადი ქმედობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ, მიიღოს კანონიერი ზომები ხორვატიის რესპუბლიკის საკუთრების დასაცავად და უზრუნველყოს სამართლებრივი ღონისძიებების გატარება კონსტიტუციისა და კანონის დასაცავად.

ხორვატიის რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელს ოთხი წლის ვადით ნიშნავს ხორვატიის საბორი ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით, ხორვატიის საბორის უფლებამოსილ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით.

თავდაპირველად, უფლებამოსილების განსახორციელებლად პროკურორთა თანაშემწეები ინიშნებიან ხუთი წლის ვადით. დანიშვნის განახლების შემდეგ ისინი უფლებამოსილებას ახორციელებენ მუდმივად.

პროკურორთა თანაშემწეები ინიშნებიან, თავისუფლდებიან და მიეცემათ დისციპლინარულ პასუხისმგებაში კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად პროკურატურის ეროვნული საბჭოს მიერ. პროკურატურის ეროვნული საბჭო აარჩევს ხორვატიის საბორის მიერ კანონით განსაზღვრული წესითა და პროცედურით. პროკურატურის ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობას გააჩნია პროკურორის თანაშემწის რანგი.

პროკურატურების ხელმძღვანელები არ შეიძლება არჩეულ იქნენ პროკურატურის ეროვნული საბჭოს წევრებად.

პროკურატურის ეროვნული საბჭოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

პროკურატურების შექმნა, ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

V. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 125. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნება ხორვატიის საბორის მიერ რვა წლის ვადით, გამოჩენილ იურისტთა, მოსამართლეთა, პროკურორთა, ადვოკატთა და უნივერსიტეტის სამართლის პროფესორთა რიცხვიდან არჩეული ცამეტი მოსამართლისგან.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურების ხორვატიის საბორში წარდგენის პროცედურა ხორციელდება ხორვატიის საბორის საკონსტიტუციო საკითხებზე უფლებამოსილი კომიტეტის მიერ.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო თავის წევრთაგან ოთხი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს.

მუხლი 126. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება ასრულებდეს სხვა სახელმწიფო ან პროფესიულ საქმიანობას.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სარგებლობენ იმგვარი იმუნიტეტით, როგორც ხორვატიის საბორის წევრები.

მუხლი 127. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს თანამდებობიდან პირადი სურვილით, თავისუფლების აღკვეთის მიხედვისას, ასევე უფლებამოსილების განხორციელების მუდმივი შეუძლებლობისას თვით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემთხვევაში.

მუხლი 128. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო:

- იღებს გადაწყვეტილებას კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ;

- იღებს გადაწყვეტილებას სხვა აქტების კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობის შესახებ;

- წვეტს იმ კანონთა კონსტიტუციურობის და კანონთა და სხვა აქტების კონსტიტუციურობის საკითხს, რომლებმაც დაკარგეს იურიდიული ძალა, იმ პირობით, თუ იურიდიული ძალის დაკარგვის მომენტიდან პროცედურების დაწყების მოთხოვნის ან წინადადების წარდგენამდე გასულია არა უმეტეს ერთი წელი;

წვეტს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოთა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხს, როდესაც ეს გადაწყვეტილებები არღვევენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ასევე ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციით გაანტირებულ ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლებებს;

- იცავს კონსტიტუციურობისა და კანონიერების რეალიზაციას და აცნობებს ხორვატიის საბორს მის მიერ დაცული კონსტიტუციურობისა და კანონიერების დაცვის შემთხვევების თაობაზე;

- წვეტს დავას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებათა შესახებ;

- კონსტიტუციის შესაბამისად წვეტს რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;

- 'ხედამხედველობის პოლიტიკური პარტიების პროგრამებისა და საქმიანობის კონსტიტუციურობას და კონსტიტუციის შესაბამისად შეუძლია აკრძალოს მათი საქმიანობა;
- ზედამხედველობის არჩევნებისა და ეროვნული რეფერენდუმის კონსტიტუციურობასა და კანონიერებას და წყვეტს საარჩევნო დაეებს, რომლებიც არ შედის სასამართლოთა კომპეტენციაში;
- ახორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 129. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ უფლებამოსილმა ორგანომ არ გამოსცა კონსტიტუციის, კანონის ან სხვა აქტის გამოსაყენებლად აუცილებელი აქტი ან დებულება, იგი ამის შესახებ აცნობებს მთავრობას, ამასთან ხორვატიის საბორს ეცნობება იმ დებულებათა შესახებ, რომელთა მიღება ევალებოდა მთავრობას.

მუხლი 130. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს კანონი, თუ დაადგენს მის არაკონსტიტუციურობას.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ან აბათილებს ყველა სხვა აქტს, თუ დაადგენს მის არაკონსტიტუციურობას ან კანონსაწინააღმდეგობას.

კონსტიტუციის 128-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადიდან გამომდინარე, თუ ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს კანონის არაკონსტიტუციურობას, კანონის ან სხვა აქტის არაკონსტიტუციურობას ან კანონსაწინააღმდეგობას, იგი იღებს გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურობის ან კანონსაწინააღმდეგობის განმარტების შესახებ.

მუხლი 131. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი და პირობები, კონსტიტუციურობისა და კანონიერების შემოწმების დაწყების პირობები და ვადები, პროცედურა და მის გადაწყვეტილებათა სამართლებრივი აღსრულება, კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებისა და საქმიანობის განსაზოციელებლად აუცილებელი სხვა საკითხები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

კონსტიტუციური კანონი მიიღება კონსტიტუციის შესწორებისთვის დადგენილი წესით.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა ორგანიზაცია განისაზღვრება მისი რეგლამენტით.

VI. ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობა

მუხლი 132. მოქალაქეთათვის გარანტირებულია ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლება.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლება ხორციელდება ადგილობრივი, ასევე რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, რომლებიც შედგება თავისუფალი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თანასწორი და საყოველთაო კენჭისყრით არჩეული წევრებისგან.

მოქალაქეებს უფლება აქვთ პირდაპირ მონაწილეობდნენ ადგილობრივ საქმეთა მართვაში, შეკრებების, რეფერენდუმისა და გადაწყვეტილების პირდაპირ მიღების სხვა ფორმების მეშვეობით, კანონისა და სტატუტის თანახმად.

მუხლი 133. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტები და ქალაქები, რომელთა ტერიტორია განისაზღვრება კანონით დადგენილი წესით. ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით.

ოლქები არის რეგიონული თვითმმართველობის ერთეულები. მათი ტერიტორია განისაზღვრება კანონით დადგენილი წესით.

დედაქალაქ ზაგრებს კანონით შეიძლება მიეკუთვნოს ოლქის სტატუსი. ხორვატიის რესპუბლიკის დიდ ქალაქებს კანონით შეიძლება მიენიჭოს ოლქის უფლებამოსილება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმები, კანონის შესაბამისად, შეიძლება შეიქმნას დასახლებულ ადგილებში ან მათ ნაწილში.

მუხლი 134. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები, რომლებიც მოქალაქეთა მოთხოვნებს პირდაპირ ასრულებენ, ახორციელებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს და, განსაკუთრებით, ადგილობრივი დასახლებების ორგანიზაციასთან, მშენებლობასთან, სფეროს და ურბანულ დაგეგმარებასთან, საზოგადოებრივ სარგებლობასთან, ბავშვთა ზრუნვასთან, სოციალურ კეთილდღეობასთან, პირველად დახმარებასთან, განათლებასთან და დაწყებით სკოლებთან, კულტურასთან, ფიზიკურ განათლებასთან და სპორტთან, მყიდველთა დაცვასთან, გარემოს დაცვასა და განვითარებასთან, ზანძარსაწინააღმდეგო დაცვასთან და სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს.

რეგიონული თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ რეგიონული მნიშვნელობის საქმეებს, განსაკუთრებით განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, სფეროს და ურბანულ დაგეგმარებასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან, გზებთან და საგზაო ინფრასტრუქტურასთან, საგანმანათლებლო,

ჯანმრთელობის, სოციალური და კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის საქმეები განისაზღვრება კანონით. საქმეთა გადაწვევისას პრიორიტეტი ენიჭება იმ ორგანოებს, რომლებიც უფრო ახლოს არიან მოსახლეობასთან.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საქმეთა მოცულობა და ხასიათი, პროდუქტიულობისა და ეკონომიურობის მოთხოვნები.

მუხლი 135. ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ერთეულებს უფლება აქვთ, კანონით განსაზღვრული შეზღუდვებით, თავიანთი სტატუსებით დამოუკიდებლად მოაწესრიგონ შიდა ორგანიზაცია, მათ ორგანოთა უფლებამოსილება და უზრუნველყონ ისინი ადგილობრივი საჭიროებებითა და შესაძლებლობებით.

მუხლი 136. უფლებამოსილების ფარგლებში საქმეთა განხორციელებისას ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ერთეულები ავტონომიურები არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ კონსტიტუციურობისა და კანონიერების შემოწმებას.

მუხლი 137. ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ერთეულებს უფლება აქვთ კჭონდეთ საკუთარი შემოსავლები და თავისუფლად განკარგონ ისინი მათი უფლებამოსილების ფარგლებში საქმეთა განხორციელებისას.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ერთეულების შემოსავლები უნდა იყოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული მათი უფლებამოსილების პროპორციული.

სახელმწიფო კანონის შესაბამისად დახმარებას უწევს ფინანსურად სუსტ ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ერთეულებს.

VII. საერთაშორისო ურთიერთობები

1. საერთაშორისო შეთანხმებები

მუხლი 138. საერთაშორისო შეთანხმებები იდება კონსტიტუციის, კანონისა და საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, მათი ბუნებისა და შინაარსის მიხედვით, ზორვატიის საბორის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ზორვატიის რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მუხლი 139. ხორვატიის საბორი ახდენს იმ საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირებას, რომლებიც იწვევენ კანონის მიღებას ან შეცვლას, გააჩნიათ სამხედრო ან პოლიტიკური ხასიათი, ხორვატიის რესპუბლიკისთვის აღდგენენ ფინანსურ ვალდებულებებს.

იმ საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაცია, რომელთა შესაბამისად საერთაშორისო ორგანიზაცია ან კავშირები აღიჭურვებიან ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებით, ხორციელდება ხორვატიის საბორის მიერ წვერთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ხორვატიის საბორის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის, მიერთების, დამტკიცების ან აღიარების შესახებ დოკუმენტებს.

საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც არ ექვემდებარება ხორვატიის საბორის მიერ რატიფიკაციას, იღება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მთავრობის წინადადებით, ან ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

მუხლი 140. კონსტიტუციის შესაბამისად დადებული და რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა, არის ხორვატიის რესპუბლიკის სამართლის სისტემის ნაწილი და გააჩნია კანონზე მალალი იურიდიული ძალა. მისი დებულებები შეიძლება შეიცვალოს ან უარყოფილ იქნეს მხოლოდ თვით შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობებით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების შესაბამისად.

2. გაერთიანებები და სეცესია

მუხლი 141. ხორვატიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან კავშირში გაერთიანების პროცედურის დაწყების უფლება აქვს ხორვატიის საბორის წვერთა საერთო რაოდენობის არაუმეტეს ერთ მესამედს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას.

დაუშვებელია ხორვატიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანების პროცედურის დაწყება, რომლებთან გაერთიანებამ შესძლო ან შეუძლია რაიმე ფორმით სამხრეთ სლავთა გაერთიანების ან ბალკანეთის სახელმწიფოს განახლება.

ხორვატიის რესპუბლიკის გაერთიანების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებას იღებს ხორვატიის საბორი წვერთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით.

გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმზე ჩიჩნის ავტონომიური რაიონის საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

ამგვარი რეფერენდუმი ტარდება ხორვატიის საბორის მიერ დადგენილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

გაერთიანების შესახებ ამ მუხლის დებულებები ასევე გამოიყენება ხორვატიის რესპუბლიკიდან გამოსვლის პირობებსა და პროცედურასთან დაკავშირებით.

VIII. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 142. ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორებების ინიციატივის უფლება გააჩნია ხორვატიის საბორის წევრთა ერთ მეხუთედს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 143. ხორვატიის საბორი წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით წყვეტს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის დაწყების ან არ დაწყების საკითხს.

კონსტიტუციის შესწორების პროექტს ხორვატიის საბორი ადგენს წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 144. კონსტიტუციის შესწორების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხორვატიის საბორის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით.

მუხლი 145. კონსტიტუციურ შესწორებებს აქვეყნებს ხორვატიის საბორი.

IX. დასკვნითი დებულებები

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორების (ოფიციალური ჟურნალი, №28/2001) ძალაში შესასვლელად წყდება ხორვატიის საბორის საოლქო საბჭოს, ასევე დროებითი პრეზიდენტის, მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრთა და ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

ხორვატიის საბორმა უნდა მიიღოს კონსტიტუციური კანონი „ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის აღსრულების შესახებ“.

რეზიუმე

კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ მისი თავმჯდომარის ვასილ გონაშვილის ხელმძღვანელობით იკვლევს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალს.

ამ მიზნით,

2004 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: აშშ-ის, არგენტინის, დანიის, იაპონიის, ჩეხეთის, მაროკოს, კუბის, ლატვიის, რუსეთის, სომხეთის, შვეიცარიის, ქუვეითის კონსტიტუციებს;

2005 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ავსტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ისრაელის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ფინეთის კონსტიტუციებს.

ეს წიგნი არის ამ სერიის III ნაწილი.

უახლოეს მომავალში იგეგმება ვასილ გონაშვილის მონოგრაფიის „პარლამენტის წევრის სტატუსი საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში“ გამოცემა.

კავშირის „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კავშირის ვებ-გვერდზე მისამართზე: www.lri.org.ge